სერგო ფიდანია

ქრონიკები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1984

Г 2
899.962.1—3
ჯ 46

ამ მოთხრობებისა და ქრონიკების გმირები საბჭოთა საქართველოს აქტიური მშენებლები არიან: მეცნიერები, ინჟინრები, სტუდენტები, ექიმები, მწერლები, რიგითი მშრომელები; თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლნი, მისი ყოფილი სტუდენტები და ასპირანტები.

ამ ადამიანთა ფიქრი და ოცნება, შრომა და სიყვარული ჩვენი ქვეყნის განახლებას ემსახურება

70302—137
Ч————————305—84
М601(С8)84

მე და ჩემი პროფესორი

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი...

ეს მე ვარ. ჩემი მამულისა და ქარიშხლიანი ეპოქის შვილი, ივანე ჯავახიშვილის ნამოწაფარი, ნაომარი კაცი... გინდათ, გაგაცნოთ ჩემი თავი?

დავიბადე 29 ოქტომბერს, განთიადისას, პატარა მდინარის პირას, დედულეთის ქოხში. ბებიაჩემის ხელში დავბადებულვარ, სხვა არავინ ყოფილა ახლოს. ახლა მაგ ენას რომ არ ასვენებ, რომ დაიბადე, ხმას არ იღებდი, ასე მეგონა ცოცხალი აღარ იყავიო, მიამბო ბებიამ. პატარა ფეხებში ხელი ჩაგავლე, თავქვე დაგკიდე და მაშინღა იყვირეო. შენი დაყვირება და ბაბუაშენის თოფის გასროლაც ერთად მოხდაო და სოფელმაც გაიგო, ბიჭი რომ დაიბადე, გვარის გამგრძელებელიო. მამაშენი მაშინ მცხეთაში მუშაობდა და შენც იქ წაგიყვანეთ ჩვილი, სამი თვისა თუ იქნებოდი, ხოლო იმ ზამთარს სოფლად დიდი თოვლი მოვიდა, ასეთი თოვლი ჩვენში არც არავის ახსოვდაო.

მერე რა მოხდა მნიშვნელოვანი ჩემს პატარაობაში არავის უამბია, ხოლო რაც მე თავს მოვესწარი და გამახსენდა, იმას თავად მოგიყვებით.

მამა მცხეთაში რკინიგზის სადგურზე მეფურნედ მუშაობდა და იქვე, „დიდი ხაზეინის“ სახლში ცხოვრობდა. ალბათ ოთხი წლისა თუ ვიქნებოდი, ამ სახლიდან ჩემზე ბევრად უფროს მამიდაშვილთან ერთად რომ გამოვიპარე და პომპეუსის ხიდზე გავედი. ხიდის მოაჯირის ჭუჭრუტანაში თავი გავყავი და მტკვარში ჩემი თავი დავლანდე, სიხარულისაგან შევყვირე და ის იყო უნდა მესკუპა, რომ მამიდაშვილმა ხელი წამავლო, გულში ჩამიხუტა და შინისაკენ მოკურცხლა.

ასე გადამარჩინეს ოთხი წლისა პირველ ფათერაკს...

ბავშვობიდან დამებედა ფათერაკი და ჩემი ცხოვრება, ფათერაკებითა და ხიფათით სავსე, ეგებ არც არავისათვის იყოს საინტერესო,

შაგრამ მაინც უნდა მოვყვე, რადგან ჩემს გულს ასე უნდა და, რაც გულს უნდა, იმას არც არასოდეს უნდა ვეურჩოთ ხოლმე...

1914 წელს მსოფლიო ომი დაიწყო. მამაჩემი ფრონტზე გაიწვიეს. მე და დედამ ისევ სოფელს მივაშურეთ, მამის სახლს. მცხეთიდან გამოსული მატარებელი ჩემი სოფლის მახლობელ სადგურზე გაჩერდა. აქ, სადგურზე, ეტლში ვიღაც ნაცნობებმა ჩაგვსვეს ჩვენი ბარგი-ბარხანით და ნახევარი დღე ვიარეთ. მერე ეს ეტლი რომელიღაც სოფლის ეკლესიის წინ შეჩერდა და ძირს ჩამომსვეს. აქედან ჩემი სოფლის აღმართი იწყებოდა. ამ გზაზე სიარული ფეხით, ურმით ან ცხენით შეიძლებოდა. ბაბუამ ურემი დაგვახვედრა. მეურმემ, ახალგაზრდა კაცმა, დედაჩემს დიდის ამბით ხელი ჩამოართვა, მე ამიყვანა და თავზე მაკოცა, მერე ბარგი დააწყო. დედამ ურემზე მოიკალათა, მეურმემ მხრებზე შემისვა და ურემს გაუძღვა წინ. ასე მხრებით მატარა აღმართ-დაღმართი ჩემი სოფლისა, სახლამდე. მამის შემდეგ ის ბიჭი დამამახსოვრდა ყველაზე მეტად. მაღალი იყო, ტანადი, შავგვრემანი, თმა წაბლისფერი, მოშვებული. როცა გაიღიმებდა, მთელი სახე უბრწყინავდა: ღიმილი კი არასდროს შორდებოდა მის კეთილ სახეს. ორი თვის შემდეგ ის ბიჭიც ფრონტზე გაიწვიეს.

ბაბუას სახლში დიდის ამბით შეგვხვდნენ. ჩემი ნათლია, სოფლის მასწავლებელი გიორგი, ამავე სოფლის მღვდელი ზოსიმე, ქოსა დიაკვანი მათე, მნათე გიგო და კიდევ სამიოდე მეზობელი მოეწვია ბაბუაჩემს ჩვენი ჩამოსვლის აღსანიშნავად გამართულ ნადიმზე. თამადად ბაბუა დადგა და დიდად მოილხინა. მე ადრე დამეძინა და აღარ შემიტყვია სტუმრების წასვლა. მეორე დღეს ბაბუამ მითხრა: ნახე, როგორ ბატის ჭუკივით გამოთვრა ის ბედდამწვარი მათეო. მე ვერაფერი ვერ გავიგე ამ სიტყვებისა და გაოცებული შევყურებდი ბაბუაჩემს. შემატყო, შუბლზე მეამბორა, ჯირკზე ჩამოჯდა, გვერდით მომისვა და ამიხსნა, რას ნიშნავდა ბატის ჭუკივით: აი, შეხედე ბატის ჭუკს, ბატს ქათმისოდენა ჭკუაც არა აქვს, ბატის ჭუკი კი ბატზე უჭკუოა, ჰოდა, როცა არაყს გამოვხდით, აი მაშინ ნახავ, ეს ჭუკები მიეტანებიან გამოხდილ ჭაჭას და მერე მთელი დღე გამორეტიანებული დაბორიალობენ. ასევე ერთი ჭიქა ღვინო ათრობს იმ ჩვენ საცოდავ დიაკვანს. ბედდამწვარია, აბა რა ეთქმის უცოლშვილოდ გადაშენებულ კაცს. კაცი დროზე უნდა მოეკიდოს ოჯახს. ოჯახს სითბო და ბედნიერება მოაქვს, ბაბუ, სითბო, შვილები და შვილიშვილები. ეს თქვა და ისევ მაკოცა შუბლზე...

აღდგომა დღეს ეკლესიაში წავყევი ბაბუას, ისევ ვნახე მღვდელი, დიაკვანი და მნათე გიგოია, ამის შემდეგ ყოველ კვირა დღეს დავდიოდი სოფლის ეკლესიაში და შევეჩვიე მნათე გიგოიას. ეკლესიაში ყველაზე მეტად ზარების რეკვა მიტაცებდა.

ასე იყო მცხეთაშიაც, მაგრამ სვეტიცხოვლის ბუმბერაზი ზარები შიშსა მგვრიდა და ახლოს არ ვეკარებოდი. ამ ზარების შემდეგ არად ვაგდებდი ჩემი სოფლის პატარა ზარების წკარუნს, ეკლესიიდან გამოვეპარებოდი ბაბუას და ეზოში იქ ჩავცუცქდებოდი, სადაც მაღალი ცაცხვის ხეზე დაკიდებულ ზარებს მიწამდე ჩამოშვებული ბაწრებით არისხებდა მნათე გიგოია.

ჩვენი უბნიდან მაშინ კიდევ ექვსი კაცი გაიწვიეს: უბანში სულ თორმეტი კომლი ცხოვრობდა, მე ყველა იმათგანი გავიცანი. ჩემი გონება უბანს კარგად წვდებოდა, ხოლო იმის სათვალავში ვერ შევდიოდი ჯერ კიდევ ექვსი წლის ბავშვი, თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე. ეს ამბავი განსაკუთრებით იმიტომაც დამამახსოვრდა, რომ ჩვენთან მოვიდა ის ხუთი ყმაწვილი კაცი, რომელნიც ჩვენს ოჯახში გაზრდილ ობოლთან ერთად ომში მიდიოდნენ. ბებია ტიროდა, ბაბუა არიგებდა ყმაწვილკაცებს, მერე სუფრა გაშალეს და გზა დაულოცეს. ყმაწვილკაცები ქეიფში გაერთნენ, გამხიარულდნენ და სიმღერა დასცხეს იმ სევდიან გულზე. ამ სიმღერით გავიდნენ ჩვენი სახლიდან...

ჰო, რას მღეროდნენ?

დიი, ოუ, დიი ოუ, დიი ოუ ნანა,
მა ჯარიშა მიონანა,
მა ჯარიშა ვამაინე
რუსიში თოფი ვამაღინე
დიი ოუ, დიი ოუ, დიი ოუ ნანა...

ეს სიმღერა დამამახსოვრდა და ჩემს უბნელ ბიჭებთან ერთად ვმღეროდი, ვიდრე ომი არ დამთავრდა.

ომი დასრულდა, ექვსი ჯარისკაციდან მხოლოდ ორი დაუბრუნდა სოფელს. მათვე ჩამოიტანეს დანარჩენთა სიკვდილის ამბავი და ოთხი ოჯახი ერთდროულად ატირდა. მთელი უბანი მოგროვდა ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე და მეოთხე ოჯახში და ერთი ზარით ტირილი გააბეს.

ბებიას ეს მეზობლის ობოლი, შვილივით გაზრდილი, შვილზე ნაკლებ როდი უყვარდა. ბებიაჩემმა შვილობილის მოკვლის ამბავი საოცრად შეიცხადა. დიდი ზალიდან იმ ობოლი ბიჭის ტანისამოსი აივანზე გამოიტანა, ტახტზე დაალაგა, თმა ჩამოიშალა და კივილი მორთო. ბებიას ტირილზე და კივილზე მეზობლები მოცვივდნენ, მას ახლა ის სამი ოჯახიც აჰყვა, მეზობლები გამოეხმაურნენ და სოფელი გლოვამ და ტირილმა მოიცვა, მოსთქვამდა კაცი და ქალი, საშინლად ყმუოდნენ სოფლის ორღობეში ძაღლები...

გული ჩამწყვიტა იმ ბიჭის სიკვდილმა. მთელი კვირა უბნის ბავშვებს გავებუტე და „ომობანა“ არ მითამაშია, ეს მაშინ ჩვენი ყველაზე საყვარელი თამაშობა იყო. მე მაშინ ბებიასთან ერთად დავ-

წყევლე ყველა ის მეფე, ვინც ომს იგონებს და ომში წყვეტს უდანაშაულო ხალხს.

იმ საშინელ ღამეს მუხლებზე დაჩოქილი ბებია რაღაცას ბუტბუტებდა და თან სწყევლიდა რუსის მეფეს, ნიკოლოზ მეფეს, რომელმაც ჩვენს ოჯახში გაზრდილი კაცი მოგვიკლა — მე ფეხზე ვიდექ და ბანს ვაძლევდი ბებიას — ამინ!

მალე მთელმა სოფელმა გაიგო, რომ ნიკოლოზი ჩამოაგდეს და ოჯახით ამოწყვიტესო. ბებიამ ეს ამბავი ჯერ შეიცხადა — მეფის დახვრეტა ვის გაუგონიაო, მერე თითქოს გონს მოეგო და თქვა, — დიახაც, კარგად უქნიათ, აბა რა ეგონა, ამდენი უდანაშაულო ხალხის სისხლი რომ დაიდო ვალადო?!

მალე მამაც დაბრუნდა ფრონტიდან და სულ სხვანაირი ცხოვრება დაიწყო. ბაბუას ცხრა შვილი ჰყავდა, ხუთი ვაჟი და ოთხი ქალი, და სამი ამდენი შვილიშვილი. ეს დიდი ჯალაბობა ჩონგურივით იყო აწყობილი. ბაბუას დაუკითხავად არც არაფერი გაკეთდებოდა ჩვენს ოჯახში, სუფრა რა არის, სუფრაც არ გაიშლებოდა და უცდიდნენ ბებია, დედა და გამზადებული პურ-მარილი ბაბუას განკარგულებას... თუ სტუმრები არ გვყავდა, სუფრა სამზარეულო სახლში იშლებოდა, შუა ცეცხლის პირას. ორი ტაბაკი გვქონდა. უფრო დიდს უფროსები მიუსხდებოდნენ ბაბუას მეთაურობით. მეორეს, პატარას — ქალები და ბავშვები. ოჯახში მე უფროსი შვილიშვილი ვიყავი და ამიტომ ბაბუა გვერდით მომისვამდა ხოლმე. პირველ სადღეგრძელოსაც ჩემსას სვამდა, მანებივრებდა. მაღალ ხეებზე აცოცებული ადესის ღვინო კი მუდამ გამოულევლად ჰქონდა სადილზე. სადღეგრძელოში უველგან მე ჩამართავდა, დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდა... მეც თავი მომქონდა ამით. საღამოობით, თუ კარგ გუნებაზე იყო, თავისთან დამაწვენდა. ბაბუა კი ოდა სახლის დიდ ზალაში მარტო იწვა მუდამ. იმ საღამოსაც ბაბუას ფეხებთან ვიწექი. დილით ადრე კარზე დააკაკუნეს. ვინ ხარო, ჰკითხა ბაბუამ. მე ვარო, იყო პასუხი. ბაბუა ადგა, კარი გააღო და საუბარი გაუბა, რაღაც დავალებები მისცა მოსულ სტუმარს, ისევ გამობრუნდა და ფრთხილად დაწვა. ეგონა, მეძინა. მე უცბად ბაბუას მოვუწექი, ვაკოცე და ვკითხე: ბაბუ, სახელი რატომ არ ჰკითხე-მეთქი იმ კაცს, ვინც კარზე დააკაკუნა. ჩვენ მცხეთაში, რკინიგზის პირას გვქონდა სახლი და დედაჩემი სანამ არ გამოკითხავდა სახელს, გვარსა და ვინაობას, მანამდე კარს არავის გაუღებდა. კარგ კაცს უკითხავადაც იცნობენო, შვილო, კარგი კაცის ხმაც ნაცნობია და სახელიც. ეცადე შენც კარგი კაცი იყოო — მითხრა ბაბუამ... მე არაფერი ვუპასუხე. ამეკვიატა ეს სიტყვები, მაგრამ გონებაში ღრმად აღმებეჭდა იმ კაცის პასუხი: მე ვარ... მთელი დღე ამ სიტყვებს ვიმეორებდი.

ბაბუას სახლში მუდამ უამრავი ხალხი ირეოდა. სტუმრებსა და

მომსვლელებს ბოლო არ უჩანდა. საქმეცა და გასაკეთებელიც აუარებელი იყო. მე კი მეტწილად სამზარეულო სახლში ვტრიალებდი. ქალები და მოსული სტუმრები აქ იყრიდნენ თავს. პირველ ჭორსაც აქ გაიგონებდით და სოფელში მომხდარ უბედურებასა თუ ფათერაკსაც აქ შეიცხადებდნენ, მე კითხვებით არ ვასვენებდი ამბის მთხრობელთ, რის გამოც დედა ხშირად მიწყრებოდა.

შაბათი საღამოს მოსვლა მიხაროდა! სოფელში შაბათობით ჩვენი სახლის პირდაპირ, დიდ გორაზე იკრიბებოდნენ ახალგაზრდებიც და ბავშვებიც, გათხოვილებიც და ცოლშვილიანებიც. მთელი კვირის შრომით უზომოდ დაღლილ-დაქანცულნი ზაფხულის ცხელ დღეებში, საღამოობით აქ ისვენებდნენ. ტაშ-ფანდურას, ცეკვა-თამაშს, ზღაპრებსა და ჭორებს, გაბმულ სოფლურ სიმღერებსა და სერიოზულ ამბებს აქ უყრიდნენ თავს. მე გაოცებით და გატაცებით შევცქეროდი მათ თვალებს, მათ ყოველ მოძრაობას, ქალების დაუსრულებელ ტკარცალს და ვაჟების ხორხოცს. ოღონდ, საწყენად ის მრჩებოდა, რომ ყველაზე ადრე უნდა დამეტოვებინა ეს გორაკი, ჩემი საყვარელი გორა. დედასთან დათქმული პირობის თანახმად ადრე უნდა დავბრუნებულიყავი შინ. შუა ძილში ისევ მესმოდა გორაკიდან მოვარდნილი სიმღერები და ტაშ-ფანდურას ხმები. სიზმარშიაც ხან მათთან ვიყავი, ხან ამირანივით ცხრათვალა და ცხრათავა ბაყბაყ დევებს ვებრძოდი და მზეთუნახავებს ვანთავისუფლებდი...

ყველაზე უფრო სიმინდის რჩევა მიყვარდა. იდგა ბაბუას დიდი ცაცხვის ძირას სიმინდის გორა. ჩვენიანები და ნადზე მოწვეული მეზობლები გარს შემოუსხდებოდნენ ამ გორას და იყო ერთი სიცილი და ტკარცალი. ზეიმობდა კაცის შრომის მონაწევი დოვლათი და ბარაქა, ზეიმობდა შემოდგომა, მიწისა და ოფლის ნაწური სიმინდების გორა, მაჭრით სავსე ქვევრები, მოხარშული სიმინდი და კვახი, დარჩეული კაკალი და თხილი...

მახსოვს, ერთ წელიწადს დიდი მოსავალი მოგვივიდა. სახლის წინ, ბჟოლის ძირას, სიმინდის ორი გორა იდგა. პირველ გორასთან ათიოდე ქალიშვილი და ამდენივე ჭაბუკი იყო თავშეყრილი. ბავშვებიც აქ ვტრიალებდით, მათ ტოლებად მოგვქონდა თავი, სიმინდის რჩევაშიც ვეხმარებოდით და ლაპარაკშიც ვერეოდით. ერთმანეთთან შელაზღანდარებულები, გულგახსნილები, დაუფარავად ამბობდნენ, რაც პირზე მოადგებოდათ. ჯერ ერთმანეთის წკიპურტებსა და გაკილვას მოუნდნენ.

— არა, თქვას შალიკომა როგორ აუხსნა სიყვარული თალიკოსა.

— თქვას, თქვას... დაიძახა ირინემ, — მაშინ ისიც თქვას, თალიკოსაგან რა პასუხიც მიიღო.

თალიკომ რომ უარი უთხრა უიმედოდ შეყვარებულ შალიკოს, ეს

ცნობილი იყო, ამიტომ იწყინა ეს შეხუმრება შალიკომ და თავის მხრივ შეუტია ირინეს.

— არა, ამას ისა სჯობია ის გვითხრა, შე წრუწუნა, შენა, მამაშენმა ბახვამ სახლიდან როგორ იფრინა შენი ხელის სათხოვრად მოსული მაჭანკალი ბესა... ეს ამბავი სოფელში არავინ იცოდა და ერთბაშად გაიტვრინენ. უსიამოვნება რომ გაეფანტა, სოკრატემ ერთბაშად სიმღერა წამოიწყო და აჰყვა სიმღერას მთელი გუნდი, მერე ორად გაიყო ეს გუნდი. ერთ ჯგუფს შალიკო ჩაუდგა სათავეში, მეორეს თალიკო და ახმიანდა მეგრული მელოდია შაირებისა. დიდებული რამ იყო ეს მელოდიები, გულისშემშფოთებელი, ცრემლში ამოვლებული, სიყვარულით დამწვარი... ისე ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში ის ჰაეროვანი მელოდიები და ჰანგები, რომ არც არასოდეს დამავიწყდება.

მე ამ ახალგაზრდებში ვტრიალებდი, მაგრამ უცბად ისეთი ხორხოცი და ხარხარი ატყდა მეორე გორასთან, ცაცხვის ძირში, რომ უმალვე იქ გავჩნდი. იქ კი უმთავრესად გათხოვილი და ხანშიშესული ქალები იყვნენ თავმოყრილი.

მეპორეების, ენაჭარტალების, მოარშიყეების, სხვათა განქიქებაში განთქმული სალაყბო ალაგი სოფელში ღამისთევა და სიმინდის რჩევა იყო. ასე იყო იმ საღამოსაც, მოიქსოვა ჰორების ბადე და შიგ მოყვა არაერთი ნადის წევრი. ახლა ბადეში მოყოლილი ბადის გარეთ დარჩენილს ითრევდა შიგ და ვალში არც არავინ რჩებოდა. მე ცნობისმოყვარეობით ყველას ვაკვირდებოდი, გულის ფიცარზე ვიწერდი მათ ნათქვამს. მომწონდა ეს ენამახვილი და ენაჭარტალა ხალხი. ბაბუას კი ჰირის დღესაითო ეზარებოდა ეს ჰორიკანები. მიხსნიდა, მარიგებდა, ვისი მომესმინა, ვის სახლში მევლო, ვისთან მემეგობრა, ვის ოჯახს და სახლს განვრიდებოდი. მე კი განურჩევლად ყველას ვუსმენდი და ყველასთან დავდიოდი. იმ საღამოსაც ერთხელაც არ შევბრუნებულვარ ქალიშვილების და ჭაბუკების გუნდთან. ვიყავი ამ ჰორიკანების კუთხეში სიმინდებში მიმალული და გაფაციცებით ვუსმენდი მათ ნათქვამს.

უცბად ლიზამ წამოიძახა:

— აბა, თუ გაიგეთ, რა მოსვლია ბახვას ოჯახს?

— რა, რა, — ერთხმად გაისმა ჰორების მოყვარულთაგან.

— რა და, მოუტაცნიათ მისი ლამაზი ეკა. აი, იმ ბომბოთელ ბიჭსა, აქ რომ დაეთრეოდა. სამი დღე ყოლია სახლში და მერე უკან მოუყვანია, ასე შემოუთვლია, ქოთანს ძირი ჰქონიაო გატეხილი.

— ეს რა თქვი, შე შეჩვენებულო, — დაუცაცხანა ვიღაც მეზობელმა ლიზას და სიცილმა გადაუარა მთელ გუნდს...

ჰორების წისქვილი ფქვავდა და ფქვავდა. დარჩეული სიმინდის ტაროები კი ტაროებს ემატებოდა, ახალი სიმინდის ზვინი დგებოდა. ამ გაწამაწიაში და ჰორების წისქვილის ბრუნვაში ჩამძინებოდა კიდეც.

დილით ბაბუამ თეთრად და ყვითლად, ყვითლად და თეთრად.

ვერცხლისფრად და ოქროსფრად მოლივლივე ტაროებით ავსებულ ეზოს რომ გადახედა, პირჯვარი გადაიწერა და მოწიწებით წარმოთქვა:

— ღმერთო, შენ შეგვეწიე...

ასე ვიზრდებოდი სოფლის ჰორებისა და ზღაპრების, ლეგენდებისა და თქმულებების, შელოცვებისა და ანდაზების ფანტასტურ იდილიაში, შრომის, სიკეთის, ვაჟკაცობის, პატიოსნების გარემოცვაში. იმ წელს შვიდი წლისა გავხდი და გამოვემშვიდობე კეთილი ბებიაჩემის წარმტაც ზღაპრებს, სოფლის გორაზე ამირანის ამბების მთხრობელს პაპა ივანეს და მეზობელ სოფელში შრომის სკოლას მივაშურე. მცხეთაში ბიძია ეგნატეს ნაჩუქარი გოგებაშვილის დედაენა თან წამოვიღე სოფელში. სკოლაში მიბარებამდე მამაჩემი მაჩვევდა, მიხსნიდა ქართულ ასოებს და ნახატებს. მე მაინც ქალაქელი ბიჭი ვიყავი და სოფლის სკოლაში სულ მალე გამოვიჩინე თავი, ქართულ ზეპირსა და არითმეტიკაში ვერავინ მჯობნიდა. ცოტა წერა მიჭირდა, ვერა და ვერ ვისწავლე რთული ქართული ასოების ლამაზად გამოყვანა.

სკოლიდან რომ დავბრუნდებოდი, პირველი ბაბუა შემეკითხებოდა, რა ქენი, ბიჭოო? — ხუთი მივიღე, ბაბუა-მეთქი, მივახარებდი. ბაბუს გაეღიმებოდა: — არა, ყოველ დღე ხუთს როგორ იღებ, ბიჭო?

ბაბუაჩემი ნავალი კაცი იყო და გონებაგახსნილი, სოფლის ერთ-ერთი თავკაცი. ყველა მას უამბობდა სოფლის გასაჭირს და დასალხინს. ბაბუაც გულდინჯად უსმენდა და უხსნიდა ყველას:

— სახელი, სახელი ამშვენებს კაცს, აქაც და იქაც, სააქაოშიაც და საიქიოშიაც, ოღონდ, სახელის მოპოვება უნდა შრომით, გარჯილობით და ვაჟკაცობით, მერე მოპოვებულ სახელს გაფრთხილება სჭირდება, რომ სირცხვილის ქვამ არ გასრისოს. სახელი შრომის ტყუპი ძმაა. სიკეთის, პატიოსნების, სინდისის, ნამუსის დუღაბი...

მიყვარდა ბაბუას ლაპარაკის მოსმენა, გულზე დავიბეჭდე ეს სიტყვები და ახლაც ყურში ჩამესმის მისი ტკბილი საუბარი. ერთხელ ნათქვამს ასჯერ მიმეორებდა, მარიგებდა, მინერგავდა იმ სიკეთეს, რომელიც თვითონ სწამდა. მეც ამ რწმენით მზრდიდა. შემიყვარდა ბაბუა და ჩემი სოფელი. გულში ჩავიხუტე და ერთად ვიყავით, ერთი საერთო აზრით ვცხოვრობდით.

თვითონ უსაშველო მშრომელი იყო. სახედამწვარი, ნაჯაფარი. ვერც შინ და ვერც გარეთ ვერ იტანდა მცონარესა და ზარმაცს. ეს ჩვენ კარგად ვიცოდით და ჩრდილში მონებივრე არასოდეს ვყოფილვართ. არიან ადამიანები — სიმართლით, პატიოსნებით, სინდისით და სიმშვიდით ყელამდის სავსე. შეუძლებელია მათთან სიახლოვისას არ განიცადო ადამიანის სულის აუწონავი სიმდიდრის ძალა და გავლენა. ასეთი იყო ბაბუაჩემის გავლენაც. რაც გინდა ბოროტი ყოფილიყო ადამიანი, არ შეეძლო ბაბუას წინაშე სინდისის ქენჯნა არ ეგრძნო.

ბაბუას არ ჰქონდა ციხე-დარბაზი, არც ქონგურებიანი სასახლეები ედგა, მაგრამ გლეხის პირობაზე კარგად ცხოვრობდა. მიწები, რაც მამასისხლად ეყიდა, ყოფნიდა ჩვენს ოჯახს. დიდი ეზო ხეხილითა და ხეზე გასული ადესის ვენახებით, ეზოს წინ მწვანედ მობიბინე კოინდარი გორაკებით ოთხმხრივ შემოღობილი, ადამიანის სულის დამამშვიდებელ პეიზაჟს ქმნიდა...

დაუდგრომელი და მოძრავი ვიყავი. ტოლ-ამხანაგებს ავიყოლიებდი, ავახმიანებდი სახლს, კარ-ეზოს, სოფლის შუკებსა და მოედნებს. გავერთობოდი... ხან მოვიწყენდი, არც ამხანაგებს გავეკარებოდი და არც ახლობლებს, ვიჯექი მარტოკა, ერთ ამოჩემებულ ალაგს და საკუთარ თავში ღრმად ჩაძირული, ზეცას შევჩერებოდი, სანამ ფიქრით და ოცნებით არ დავიღლებოდი და არ გამოვეფხიზლებოდი. მშობლებისა და მასწავლებლების წინაშე ყოველთვის მორიდებული ვიყავი. ყველაზე უფრო მაინც ბაბუასი მერიდებოდა.

დილით ადრე ავდგებოდი, უსათუოდ მზეს ავასწრებდი, მერე აივნიდან ვეაჯებოდი: მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა. დედა მასაუზმებდა და წიგნს ჩავაფრინდებოდი, ვიმეორებდი წუხანდელ შესწავლილს. სკოლისკენაც პირველი გავრბოდი... ასე იყო ყოველ დილას, ვიდრე არდადეგები დაიწყებოდა. არდადეგების ჟამს საქონელს დავსდევდი, შუადღისას ჩემი სოფლის პატარა მდინარეში ვბანაობდი, მზის ჩასვლისას ვბურთაობდი, აქაც არავის ვუთმობდი პირველობას...

საღამოობით დაღლილ-დაქანცული და ოფლში გაწურული ვბრუნდებოდი. ბებია მაშინვე ტანისამოსს მიცვლიდა. ბებიაჩემი კეთილი და მორწმუნე ქალი იყო. შელოცვაც იცოდა და გამოლოცვაც. ვის არ ნახავდით ჩვენთან დღისით და ღამით, სოფიო, საქონელი გარეთ დაგვრჩა, გამოგვილოცეო. ბებია არ დაიზარებდა, იქვე ოთხფეხა სკამს აიღებდა, ბაწრით დაბორკავდა და ბუტბუტით ლოცულობდა. საქონლის პატრონს სწამდა და სჯეროდა, რომ გარეთ დარჩენილ საქონელს არც ნადირისაგან და არც კაცისაგან ზიანი არ შეემთხვეოდა. ბებიას შელოცვანი ნადირს პირს დაუკეტავდა, ქურდს ხელ-ფეხს შეუკრავდა და ნახირიც გადარჩებოდა. თუ გათვალული ბავშვის დედა მოვიდოდა, მაშინ ბებია კერიის პირას ფეხს მოირთხამდა, ხელთ ნახშირს აიღებდა, წვრილად თლიდა და თან ლოცვანის სიტყვებს ბუტბუტებდა. და სჯეროდათ ჩვილთა დედებს, რომ სანამ ისინი შინ მოვიდოდნენ, ბავშვები მოიხედავდნენ, გათვალულები მორჩებოდნენ. სწამდა სოფელსაც, სწამდა ბებიასაც და დიდი პატივიც ჰქონდა სოფელში. ბაბუა რომ დაინახავდა ლოცვად დამდგარ ბებიას. ულვაშებში ჩაიცინებდა და ყველას გასაგონად იტყოდა: მართლა გგონიათ, რომ რაიმე ძალა აქვს ამ დედაკაცის ბუტბუტს? მეტი არაა ჩემი მტერიო. თავის მხრივ ბაბუა

უშლიდა ბებიას, მაგრამ სოფელი და ბებია არ იშლიდნენ და ჩვენი კერა ისმენდა ბებიაჩემის გაუთავებელ ლოცვა-ვედრებას.

დედა და მამა ბაბუას და ბებიას დაუკითხავად არაფერს გააკეთებდნენ. დედაჩემი უფროსი რძალი იყო და ამიტომ ოჯახის მოვლის მთელი სიმძიმე მას აწვა, იგიც უდრტვინველად იტანდა უსაშველო შრომას და გარჯას.

ჩვენი სოფლის მთავრობა როცა შეიცვალა, თავკაცებში მამაც გაერია.

ახლა სოფელში წარამარა ახსენებდნენ ორ სახელსა და ორ მთავრობას: — ლენინსა და ლენინის მთავრობას, ჟორდანიასა და ჟორდანიას მთავრობას. იყო საარაკო კამათი, დავა, შეხლა-შემოხლა და მიწევ-მოწევა...

ჩვენი სოფელი რკინიგზიდან ორმოცი ვერსით იყო დაშორებული, ხოლო საფოსტო გზიდან შვიდიოდე ვერსით. ამიტომ რევოლუციის ქარიშხლის გუგუნი ყრუდ აღწევდა მთებში შებუდულ ჩვენს სოფლამდე. 1917 წელს ჩვენს სოფელში ერთი თოფი არ გავარდნილა. ყველაფერი ეს უბრალოდ მოხდა: 1917 წლის მაისში მარტვილიდან ჩვენს სოფელში ბლუზა-შარვალში გამოწყობილი ერთი ჩია კაცი გამოცხადდა. სოფლის კანცელარიაში მამასახლისი დაიბარა და ყელზე ჩამობმულ გრძელ ძეწკვზე ჩამოკიდებული მედალი და ბეჭედი ჩამოართვა, მერე სოფლის კრება მოიწვია და ერობის თავმჯდომარე აირჩიეს. ერობის თავმჯდომარე მამასახლისის ოთახში მოკალათდა; ჩვენს სოფელში ერთსართულიანი, სამი ოთახისაგან შემდგარი, ყავრით დახურული ფიცრული კანცელარია იდგა. აქედან ერთი ოთახი, რომელშიაც ლურჯი მაუდგადაფარებული მაგიდა და სამიოდე დანჯღრეული სკამი იდგა, მამასახლისს ეკუთვნოდა. ახლა ამ ლურჯ მაგიდას ერობის თავმჯდომარე მიუჯდა და თითქოს ყველაფერი ამით დამთავრდა...

1920 წელი კი დიდი შიშით შემოვიდა ჩვენს სოფელში. ერობის თავმჯდომარე სოფლად დადიოდა და ხმებს ავრცელებდა, დავიღუპეთ, კაციჭამია ბოლშევიკები მოდიან და ყველაფერს წაგვართმევენ, აგვაწიოკებენ, არიქა თავს უშველეთ, ყველაფერი გადამალეთ... სულ მალე საშა გეგეჭკორის რაზმელებმა ახლომახლო სოფლებსა და მთებში აჯანყების ცეცხლი ააბრიალეს... — დავდგეთ იქ, სადაც ჭარიშხალია... გუგუნებდა ჩემი სოფელი. 1921 წლის მარტს მარტვილიდან მოვიდნენ სამი ძმანი ოდიშარიები, რომელთაც შავი ტყავის ქურთუკები, ნალებდაკრული მაღალყელიანი რუსული ჩექმები ეცვათ, წელზე პატრონტაში ერტყათ. მხრებზე ბერდენა გადაკიდებულებს, სარტყელზე ჩამოკიდებულ გრძელ ბოხჩაში კი ბრაუნინგები ედოთ. რევკომის სახელით კანცელარია ჩაიბარეს, აივანზე წითელი დროშა გამოკიდეს და სოფლის მართვას შეუდგნენ. ჭორებისაგან შეშინებული სოფელი ერთბაშად დაშოშმინდა და გამოცოცხლდა.

ქვეყნის ფერისცვალებამ ყველაზე უფრო ჩვენი სოფლის სამება — მღვდელი, დიაკვანი და მნათე დასეტყვა. ჯერ ერობის თავმჯდომარემ შეავიწროვა, საბოლოოდ კი რევკომმა მოუღო ბოლო. ყველაზე ადრე მღვდელი ზოსიმე მიიცვალა. მღვდელი მაღალი, გამხდარი, ბაბუას ჯოხივით წვრილი და თავკომბალა იყო. ბავშვობიდანვე ჭლექიანს სემინარიის უკანასკნელი კურსისათვის თავი მიუნებებია და მღვდლობა დაუწყია. მერე ავადმყოფს ცოლ-შვილი მიუტოვებია და ჩვენთან მთის ძირა ეკლესიის სენაკში დასახლებულა. მრევლს კვერცხი და რძე მოჰქონდა და იმით ცხოვრობდა. სოფელი პატარა იყო და შემოსავალიც ცოტა, მაგრამ ამითაც კმაყოფილი იყო: შემოსავლის ნახევარს თვითონ იტოვებდა, ნახევარს ცოლ-შვილს აწვდიდა. მღვდელი ბედს არ ემდუროდა. სწორედ ჭლექიანი კაცისთვის გამოწერილი მთის ჰაერი უმსუბუქებდა ცხოვრებას და უფერულ დღეებს. არც მრევლს ემდუროდა, დილით მათგან მორთმეულ კვერცხს უმად ყლაპავდა და აუდუღარ რძეს სვამდა, ჰამით ცოტას ჭამდა, ღვინოს არ ეკარებოდა. ავადმყოფი ხალხს ერიდებოდა და ხალხიც ერიდებოდა ჭლექიან მღვდელს. მრევლიდან შორს, გაუნძრევლად იდგა ეკლესიის ზეაღსავლის კართან და გამუდმებით ბუტბუტებდა წვრილი გამყინავი ხმით „ლოცვანის“ დაზეპირებულ სიტყვებს. როცა ბავშვს ნათლავდა, აუცილებლად წინასწარ ხელს საპნით დაიბანდა და მირონს ისე უცხებდა, წყლიდან კი მონათლული ჩვილები დიაკვანს ამოყავდა. მღვდელი მარტო დიაკვანს ემდუროდა. დიაკვანი კრიჭაში ედგა, ყოველ დღე მის სიკვდილს ელოდა და რაკი არ კვდებოდა, სიცოცხლეს უმწარებდა ავადმყოფს. კიდევ კარგი, საბჭოთა საქართველოს არ მოუსწრია, ისე მოკვდა, 1921 წლის მარტს გაცივდა და გარდაიცვალა ყველასაგან მიტოვებული, სენაკს შეკედლებული ზოსიმე მღვდელი. დიაკვანი ასეთ სიკვდილსაც ამაოდლიდა: ისე მოკვდა, არც წვერის გაპარსვა დასჭირვებია და არც სარწმუნოების გაპამპულებაო. სულ იმას ვნატრობდი, რომ ერთი ამ ბოლშევიკებს გაემწარებინათ ის ჩემი გამამწარებელი მღვდელი, მაგრამ აქაც ბედი ჰქონიაო, — ქირქილით ამბობდა დიაკვანი.

დიაკვანი მათე ჩვენს მღვდელზე უფრო განსწავლული იყო. ამბობდნენ, სახარებაც წაკითხული ჰქონდაო და დაბადებაც, მამაო-ჩვენოსაც უფრო რიხიანად ამბობდა, ვიდრე მღვდელიო. ერთ დროს ამ სოფლის ეკლესიაში მღვდლის მაგივრადაც წირავდა ქოსა დიაკვანი. მერე საიდანღაც ეს ჭლექიანი მღვდელი ზოსიმე მოევლინა სოფელს და ისევ ძველს თანამდებობაზე დააბრუნეს. მათე დიაკვანი გაანაწყენეს, მაგრამ მრევლში თავი ისე მოჰქონდა, როგორც მღვდელს და ნამდვილ მღვდელ ზოსიმეს ყველაფერში ეცილებოდა. მოშურნე, ენაკვიმატი დიაკვანი სოფელში არავის უყვარდა, უცოლ-შვილოდ გადაშენებული — დიდი წუწკი ვინმე იყო. დიაცთ მოყვარუ-

ლი ქვრივ ფეფიას შესჩვეოდა. ღამურასავით, დაღამდებოდა თუ არა, თავისი სახლიდან გამოძვრებოდა და ფეფიას მიაშურებდა. უშვილძირო დიაკვანს შუქჩამქრალი თვალები, წითური პირსახე და უფრო წითელი ლოყები, მოკაუჭებული ცხვირი და ყანჩასავით გრძელი ყელი ჰქონდა, ქიშმიშივით სახედაჭკნობილს და დაჭმუჭნულს, მარტო ფეფია აქებდა სოფელში...

მერე ეკლესიები დაკეტეს, ხატები და ჯვრები სადღაც გადაკარგეს. ეკლესიის ზარები სკოლაში დაკიდეს. მოიწყინეს დიაკვანმა და მნათემ. მოიწყინეს კვირა დღესა და დღეობებში ახმაურებულმა სოფლის ეკლესიებმაც. მერე, უფრო გვიან ამ ეკლესიებში კოლმეურნეთა საწყობები გამართეს. ისევ ახმაურდა ეკლესია. ახლა დიაკვანიც სოფლის გლეხებივით ყანას თოხნიდა და ჩაის ფართობს ბარით აბრუნებდა. ეკლესია-საწყობში კი ისე არ შევიდოდა, პირჯვარი არ გადაესახა და ლოცვანის სიტყვები ბუტბუტით არ წარმოეთქვა, მაგრამ ახლა ლოცვანის სიტყვებს არავინ უგდებდა ყურს.

ერთხელ, დილით, მკვდარი დიაკვანი ფეფიას სახლში იპოვეს.

სოფელში ფეფიას გარდა არავის უდარდია მისი სიკვდილი, ბაბუამ კი თქვა: ბოღმით სავსე ის ცოდვის შვილი ბრაზსა და დარდს გადაჰყვაო. კვირა დღეს დამარხეს უზიარებლად და უქელეხოდ ეს სოფლის მაზიარებელი და ქელეხების უცვლელი თამადა მათე დიაკვანი. რამდენი თანასოფლელის შესანდობარი დაულევიათ და მისი შესანდობარი კი არავის აუღია სოფლად ხელში.

სოფელმა სულ მალე დაივიწყა ქოსა დიაკვანი, ხოლო ლექსი, რომელიც სიცოცხლეშივე გამოუთქვეს, ხალხის ხსოვნას შერჩა. ისევ მღეროდნენ სოფლად:

ჩვეი პაპა მათეია
ანაფორა გინოკართეია.

ეკლესიების გაუქმებას ყველაზე უფრო მნათე გიგო ვერ შეეგუა. იაპონიასთან ომში ნამყოფი, ნასაღდათარი გიგო ისე შეეზარდა ეკლესიას და ზარებს, რომ უიმათოდ ცხოვრება ვერც წარმოედგინა. მწითური, ჟინჟღილივით ლოყებწითელა მნათე მღვდლისაც ერთგული იყო და დიაკვანისაც. ყოველთვის მათთან იყო წირვაზე და ქელეხში, ქორწილსა თუ ნათლობაში, თვალებში შესციცინებდა, მათ ყოველ განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებდა, უსაშველო მორწმუნე და ერთგული იყო რჯულისა და ეკლესიის. როცა მნათეს ზარები დახსნეს და სკოლის ეკლესიაში დაკიდეს, იმ დღეს ჭამისა და სმის მოყვარულ გიგოს წყალიც არ შეუსვამს. კრიჭაშეკრული იჯდა სახლში და დაჩოქილი ვიღაცას სწყევლიდა. კედელზე დაკიდებულ ხატზე გადასცა ის ვიღაც, რომელმაც ეკლესია დაუკეტა მნათე გიგოს. ერთი კვირა ასე იგლოვა ეს წარღვნის წინა დღე. მერე ბედს

შეურიგდა და სკოლის დარაჯად დადგომა ითხოვა, იქაც არ მიიღეს. ღვთისმორწმუნე კაცი ხარო, ეკლესიის მსახური და აბა ბავშვებს როგორ გაგაკარებთო. მთლად გადაირია მნათე. მერე იმ დღეს კარგად გამომთვრალი ბაბუას მოადგა და მთელი დღე ენად გაკრეფილი უმტკიცებდა: წარღვნა მოვიდაო, წარღვნაა აბა რა: ეკლესია გააუქმეს, ნათელმირონობა მოშალეს, უფროს-უმცროსობა დაივიწყესო. მერე წყევლა-კრულვით გადააგო ჩვენი რევკომის მდივანი ოდიშარია. სულ იმის ბრალია, რაც ჩვენში მოხდა, თუ საერთოდ ასეა, მაშინ რატომ მარტვილსა და ხობში არ გააუქმეს წირვა-ლოცვა. არა, ეს სულ ჩვენი გადარეული და რჯულზე ხელაღებული ოდიშარიას ბრალიაო და ისევ ლანძღვა-გინება მიაყოლა ოდიშარიას სახელს. ქართველი კაცი ათას ხუთასი წელია, რაც ლოცულობს და ავედრებს ღმერთს თავის მამულსა და ოჯახს და ახლა რაღა უნდა აკეთოსო კაცმა... ბაბუა ამშვიდებდა, მაგრამ ამაოდ. სწორედ ამ დროს მარტვილის ზარების რეკვა შემოესმა მნათე გიგოს. ზარები მღერიან, ზარები მეძახიანო, ადგა, თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და იმ ზარების ხმას მიჰყვა... მარტვილის ფერდობი გალია და მონასტერს მიადგა.

სოფელში ხმა გავრცელდა, ჩვენი მნათე გიგოია მარტვილის მონასტერში ბერად შემდგარაო...

მეშვიდე კლასში რომ გადავედი, ზინა მასწავლებელი დაგვინიშნეს ჯგუფის დამრიგებლად. ზინა მათემატიკას გვასწავლიდა. მათემატიკაც მიყვარდა და ზინა მასწავლებელიც. არც იგი მაკლებდა ყურადღებას. იმ წელს ჩვენმა სკოლამ პირველად მოაწყო საპირველმაისო დილა. მთელი ჯგუფი მოამზადა ზინა მასწავლებელმა ამ ზეიმისათვის. მე იროდიონ ევდოშვილის ლექსი — „ამირანი“ — უნდა წამეკითხა და მოხდა ისე, რომ იმ დილას მაზრიდან და რაიონიდან ჩამოსული სტუმრებიც დაესწრნენ. ყველაზე დიდ სასკოლო დარბაზში მთელი სკოლა შეიკრიბა. პირველად მე გამოვედი ტრიბუნასთან. დავიწყე თუ არა „ყალყზე შემდგარი ლრუბელი“... აუდიტორია გაინაბა, „კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს სხივები გადააყარა!“ — აქ ხმას უფრო ავუწიე, გრძელ ლექსს საკმაო დრო მოუნდა. მე ვღელავდი და მაინც თამამად გავაგრძელე კითხვა: ბოლო სტრიქონები:

იფეთქა აღმოსავლეთმაც,
წითელი დროშა გაშალა
და თავისუფალს ამირანს
სხივები გადააყარა!

რიხიანად წავიკითხე და მერხს მივაშურე. თან გამომყვა გამაყრუებელი ტაში და ვაშა!

ზეიმის შემდეგ ჩვენი მაზრის განათლების განყოფილების გამგემ

სამასწავლებლო ოთახში მიმიწვია და მასწავლებელთა წინაშე ხმამაღლა შემაქო...

ფრთაშესხმული დავბრუნდი ჩემს ტოლებში და პირველად ვიგრძენი უცნაური სიამაყე, ჩემს სულს ჩაეწვეთა თავის გამოჩენის გრძნობა. ზეიმის დამთავრების შემდეგ შინისკენ გავწიე. მივდიოდი ჩემი სოფლის ფართო შარაგზაზე, ახლად გაშლილი იასამნებისა და აკაციების ყვავილთა სურნელება მათრობდა ისედაც სიხარულისაგან მთვრალს და ჩემს გულში ვჩურჩულებდი: ეს მე ვარ, მე... მე... გურამ გუგუშვილი...

ერთხანს ამით დიდად მომქონდა თავი ჩემს ტოლებში, მერე ეს ამბავი ერთბაშად დაჩრდილა სხვა გრძნობამ. პირველად მეწვია სიყვარული. მაისის ბოლოს შვიდწლედს ვამთავრებდი, გამოცდებისთვის ვემზადებოდით. თანაკლასელებს ყველაზე მეტად მათემატიკისა ეშინოდათ, მე კი მათემატიკოსად მომქონდა თავი, განსაკუთრებით გოგოებს ეშინოდათ ზინა მასწავლებლის...

ჩვენს ჯგუფში გოგოები მეტი იყვნენ, ვიდრე ვაჟები. ამ გოგონებში ყველაზე უკეთესს ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა მე, ცისფერთვალა ქალიშვილს, ორი დაწნა ოქროსფერი თმა უკან სადრეკამდის ეფინა. ის მზეთუნახავი მეფის ასულად მესახებოდა, რომლის ამბავი პაპა ივანეს ზღაპრებში გამეგონა. ჩემად დავიგულე, მასთან ახლო ყოფნა მენატრებოდა, მუდამ მასზე ვფიქრობდი. სკოლაში ყველაზე ადრე მივდიოდი და მის გამოჩენას სულმოუთქმელად მოველოდი. სკოლის შემდეგ სახლამდე მივაცილებდი, რას არ ვუყვებოდი, რას არ ვიგონებდი. არავის ჩემთვის არ უსწავლებია როგორ უნდა მოექცე შეყვარებულს, მაგრამ ყველაფერს ისე ვაკეთებდი, თითქოს მიჯნურობის ინსტიტუტი დამემთავრებინოს. მიკვირდა, მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ თვით ადამიანის ბუნებაშია იმთავითვე ჩასახული ნიჭი სიყვარულის არტისტობისა.

მიმიხვდა ჩემი ირინე, რის გამოც ვიდებდი ასე თავს მის წინაშე, მიმიხვდა, მაგრამ გული არ გამიხსნა, არ მაგრძნობინა სამაგიერო და მე უფრო გავხელდი, უზომოდ გამიჯნურებული, არ ვეშვებოდი. ერთხელ ზინა მასწავლებელმა ირინე ალგებრაში გამოიძახა, ვერც ერთი ამოცანა ვერ ამოხსნა. მე მერხზე ვერ ვჩერდებოდი და იქიდან ვკარნახობდი ქუდმოგლეჯილი. ზინა მასწავლებელი მომიბრუნდა და მიბრძანა: გაკვეთილების შემდეგ ყოველდღე აქ დარჩებით შენ და ირინე, ვიდრე ალგებრაში არ გამოსწორდება ეს ქალბატონიო...

ჰო, როგორ გავიხარე! ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, ჩვენ ორივე ვრჩებოდით კლასში. ჯერ არ მიჯერებდა, არ მისმენდა ირინე, მერე შემეჩვია და ალგებრაც შეიყვარა. ამით გათამამებულმა ერთხელ შევბედე:

— ირინე, შენ ყველაზე ჰკვიანი ხარ, ჰკვიანი და მშვენიერი, ტკბილი და სასურველი...

არ დამაცალა:

— შენ გეჩვენება.

— არა, — ახლა უფრო თამამად ვთქვი, — ჰკვიანი და ყველაზე ლამაზი...

— ნუ სულელობ!

— თმა. თმა კი შენისთანა არც არავის აქვს ქვეყანაზე! — და მე მომინდა ხელით შევხებოდი მის ოქროსფერ ორად დაწნულ თმას. მივუახლოვდი თუ არა, გაბრაზებულმა მომაყვირა:

— ნუ სულელობ!

— კი არ ვსულელობ, მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ, ირინე!..

მე თვითონ არ ვიცი, ეს სიტყვები როგორ წარმოვთქვი. თავბრუ დამეხვა, დავბარბაცდი, რომ არ წავქცეულიყავ, იქვე მერხზე ჩამოვჯექ. ისე კი თვით შემრცხვა ამ სიტყვებისა, გავიხედე და ირინე აღარ იყო ოთახში, კარების მიჯახუნება მოვესმა და თვალიც მოვკარი, როგორი სისწრაფით დაეშვა თავქვე.

უნდა გავკიდებოდი, რომ ჯაბა შემოვარდა ოთახში და ნიშნის მოგებით შემომძახა: ეს შენა ხარ, ბიჭო, გურიკო? მეორე დღეს მთელ ჯგუფს ეს ამბავი ჰქონდა სალაპარაკოდ, ირინე გამებუტა. მე არ ვიცოდი, რა მექნა. ჯაბას ვწყევლიდი ჩემს გულში, ყველაფერა იმას ვაბრალებდი, მერე ვეღარ მოვითმინე და შინ მივუვარდი. ჯაბამ აქეთ შემომიტია, ალბათ შენ თვითონ მოდეო ეს ამბავი ჯგუფს, მერე ერთბაშად დამიყვირა, თვალებში შემომაჩერდა და ხმადაბლა მითხრა:

— იცი, შენ ირინეს ნამდვილად უყვარხარ!

— ტყუი, — გავჯავრდი მე.

— არა! დედას გეფიცები, ნამდვილს გეუბნები.

— შენ რა იცი, შენ მარტო დაბეზღება იცი.

— არა, თუ დამიჯერებ, მე არც... დამიბეზღებიხარ და არც ვაპირებ ამ ხელობას ხელი მოვკიდო, ისე კი, თუ მენდობი, მე ვიცი, რომ ირინეს შენ და მხოლოდ შენ უყვარხარ! — ამ სიტყვებს ისე დარწმუნებით იმეორებდა, მე გავჩუმდი; ჯაბამ გააგრძელა: — ქალიშვილებმა ასე იციან, როცა უყვართ ვინმე, სწორედ იმას დაემდურებიან, რომ ამით დაფარონ სხვების თვალში ნამდვილი ზრახვანი.

მე ვუსმენდი ჯაბას, თითქოს სადღაც, ცხრა მთას იქით გადაკარგული, პაპა ივანეს ზღაპარს ვისმენდი. მერე გადავეხვიე, ვაკოცე და შინისაკენ მოვკურცხლე. დაფეთებული გავრბოდი ჩემი სოფლის ორღობეში, ღრუბლიანი დღე იყო და მერცხლები დაბლა დაფრინავდნენ. ერთმა მათგანმა სულ ცხვირწინ ჩამომიქროლა ისე, რომ მისი ფრთების

შრიალი შემომესმა. შევჩერდი და ხმამაღლა შევძახე მერცხლებს: ეს მე ვარ, მე — გურიკო, გუგუ... თქვე კუდრაჭებო, თქვენა!

არ მახსოვს, როგორ მიველდი შინ. პირველი ბებია შემხვდა. ეზოში ფუსფუსებდა, მივვარდი, სულის მოუთქმელად გადავეხვიე და დავუწყე კოცნა პირზე, სახეზე, მხრებზე. ბებიაჩემი ჩემგან ამგვარ ალერსს შეჩვეული იყო და არც არა უთქვამს რა. მარტო ერთი და იგივე სიტყვებს იმეორებდა: ჰო, კმარა, შენ გენაცვალოს შენი ბებიაო. რა იცოდა ჩემმა კეთილმა ბებიამ, რომ მე იმ წუთში ჩემს გულში, ჩემს სულში იმ ჩემს პირველ სიყვარულს ვეხვეოდი და ვკოცნიდი.

ადამიანი ბავშვობის ასაკიდან სიყვარულს გამოჰყავს თურმე და მეც ერთბაშად შევიცვალე. სულ სხვანაირი გავხდი. მას შემდეგ, რაც ირინე შემიყვარდა, თითქოს გავიზარდე, თავი კაცად წარმოვიდგინე და სხვანაირად დავუწყე მზერა ჩემს ამხანაგებს. მასწავლებლებს და მთელს სამყაროს. მიწაზე არ ვეტეოდი და მზად ვიყავი ცაზე ასაფრენად. იმ დღეს მაინც განსაკუთრებული იყო ირინე. ბროწეულის ყვავილს მოჰგავდა, პეპლებიანი ვარდისფერი ჩითის კაბა ეცვა. იისფერი თვალები ჰქონდა, გრძნობდა თავის სილამაზეს და ამიტომაც ამაყად დადიოდა. აფასებდა ბუნებისაგან ბოძებულ დიდ განძს — სილამაზეს. მე შორიდან ველაციცებოდი და მითაც ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა, სწორედ იმ კვირას ტვინის ანთებით ავად გახდა ჩემი ირინე. მთელი ღამე სიცხისაგან გათანგული ჩემს სახელს აბოდებდა თურმე. ექიმები დაასიეს, მაგრამ ამაოდ. სამ დღეში გათავდა ის უბედურ დღეზე გაჩენილი...

ავტირდი ბავშვური უმანკოებითა და უანგარობით. პირველი სიყვარულის დაღუპვით გულმოკლული მთელი ღამე ჩუმად ვტიროდი ლოგინში. მეორე დღეს მთელმა კლასმა შევიცხადეთ უდროოდ დაღუპული ირინე. ცოცხალივით იწვა ყვავილებში ჩაფლული. ისე გულდამწვარი ვტიროდი, რომ ვერ მაკავებდნენ. მერე ზინა მასწავლებელი მოვიდა ჩემთან, ხელი მომხვია, მომეფერა და გარეთ გამომიყვანა. ხუთშაბათ დღეს ჩვენი სკოლის დიდი დარბაზიდან გამოასვენეს... ერთი გაბმული გმინვა აღმოხდა სოფელს. მკვდარიც ლამაზი იყო. სიკვდილს ვერ ეზეიმა ღვთაებრივ სილამაზეზე. მთელი სოფელი მოსდევდა პროცესიას. მეზობლები, სკოლის მოწაფენი, ნათესავები და ნაცნობები კვნესოდნენ, ოხრავდნენ, გმინავდნენ. მეც ხელებდაკრეფილი, გაშეშებული მივდიოდი და ამ ქვეყნისა არა მესმოდა რა. დარეტიანებული და მთლად გაოგნებული, უსაშველო დარდით შეპყრობილი ვკანკალებდი, მციოდა, სხეულის ყველა ნაწილი მტკიოდა. ჩემი გულის ბაგაბუგი ყელს ზევით ხმაურობდა, ხოლო ყელზე მომდგარი ცრემლი მახრჩობდა და რომ არ გამეცა ჩემი თავი, ჩურჩულით

ვამბობდი, არ იტირო, არ იტირო, ვაჟკაცს არ შვენის ცრემლი. ამავე დროს მრცხვენოდა ასე ლაჩრულად რომ ვმალავდი ჩემს უმანკო სიყვარულს. მაგრამ ვაი, რომ თვით ღმერთიც უძლური იყო შეეცვალა ბედი ჩემი!

და როცა დადგა საშინელი წუთები გამოთხოვებისა, მე ბორძიკით გადავდგი წინ ნაბიჯი, მსურდა ზედ დავკონებოდი კუბოს, მაგრამ ვერ გავბედე... საყდრის წინ დაასაფლავეს... ირინეს უღვთო სიკვდილი ბუნებამაც იგლოვა. მთელი თვე წვიმდა. მიწა დალპა, სახლის სახურავები ჩამოინგრა... ქარი კი ისევ ზრიალებდა, ზმუოდა, ღმუოდა, მთა-ბარს აჯანჯღარებდა, გადაქელვით ემუქრებოდა. ბუნების ამხედრებას ქვეყნის დასანთქმელად არ ვემდუროდი. გულის სევდას ამით უფრო ვიოხებდი და ვნატრობდი მთლად დედამიწა შთაენთქა. მერე კი ქვეყანაც დამშვიდდა და ბუნებაც. გარშემო ყველაფერი ჰყვაოდა, ჩემს გულში კი ზამთარი იდგა: გარშემო სიცოცხლე მღეროდა, ჩემი გული კი ტიროდა. ჩემთვის მოქსოვილი სამყარო მთლად დაბნელდა და დაიქცა. ზეცა ისევ იისფრად ლივლივებდა, მოხასხასე მდელოს ნიავი ეთამაშებოდა, ფრთოსანთა ჟივილ-ხივილი ატკბობდა არემარეს. ჩემი ყურთასმენა დადუმებული იყო ამ ტკბილ ხმათათვის. უსაშველო სევდით შეპყრობილი მოთქმით ვამბობდი: მშვიდობით, დილის მახარობელო ჩიტებო, გაუთელელო მინდვრის ყვავილებო, მშვიდობით. ჩემი ირინე ვეღარ გიხილავთ.

სკოლა და სოფელიც გლოვობდა ირინეს, რომელსაც თხუთმეტი გაზაფხული არ გადაეხადა: გორაკებიდან აღარ ისმოდა გოგო-ბიჭების სიცილი და სიმღერა. ბაბუაც გლოვობდა ირინეს. უყვარდა ჩვენი ცქრიალა მეზობელი. ისიც გაეგო, რომ ასე მძიმედ განვიცდიდი ამხანაგის დაკარგვას...

ბაბუამ მიხმო. თავზე ხელი გადამისვა და ისე მითხრა:

— გადააგდე დარდი, სულ ერთია, იმას ვერას ვუშველით. მისი სული ტანჯვისკენ კი არ გვეძახის, არამედ ცხოვრებისაკენ, რომ მერე ამქვეყნად ვალმოხდილი იმის ნათელ სულს შევუერთდეთ. დარდისაგან დაძაბუნებულსა და დაჩაჩანაკებულს ის არ მიგვიღებს. ბიჭი არა ხარ, ვაჟკაცი, დარდს კი არ უნდა შეაშმევინო სიცოცხლე, ცოცხალი კაცი სიკვდილს ვერ დაეძალები, ნუ დააჩაგვრინებ, შვილო, თავს სევდას. ხედავ, სიცოცხლე ერთი წამითაც არ შეყოვნებულა. ცხოვრება ისევ დევის ნაბიჯით მიაბიჯებს წინ, მხოლოდ წინ. დაუმარცხებელი სიცოცხლის ჯაჭვი გაუჭიმავთ და ისევ წინ და წინ ეხიდებიან. ჩვენ ვალდებული ვართ ავყვეთ ცხოვრების ფერხულს, თუ არა და ისე გაგვთელავს, რომ თვით ირინესაც შერცხვეს ჩვენთან შეხვედრის. — ესა თქვა, ხელი მომხვია და შუბლზე მაკოცა. აბა, იმ ჩემმა კეთილმა ბაბუამ რა იცოდა, მე ირინეს დაკარგვას რომ ორმა-

გად განვიცდიდი: ირინე სკოლის ამხანაგიც იყო და სულის მეგობარიც...

ამიტომ ადვილი როდი იყო უკუმეყარა უნაპირო სევდა. სრულად ყმაწვილმა პირველად ვიგრძენი ცხოვრების სუსხი, სიცოცხლის ამაოება... ვიგრძენი, დავკარგე რაღაც დიდი. სულ მალე მივხვდი, რომ ის მამოძრავებდა, მავსებდა სიხარულით. ახლა კი, სულამოცლილი, უსულო და უსიყვარულო სხეულს ძლივს დავათრევდი. ღამეც მოუსვენარი მჭონდა, უძილობითა და უცნაური სიზმრებით და ზმანებით შეწუხებული.

ყოველ ცისმარე დილით, ვიდრე სკოლაში მივიდოდი, გზად ავლისას ეკლესიის ეზოში შევდიოდი და ქედმოხრილი და გულდათუთქული ვიდექი ირინეს საფლავთან. ეს ბებიამ შემნიშნა და ქუდმოხდილი ჩემთვის რომ ვტიროდი, თავზე დამადგა, მომეფერა და დამიყვავა:

— შვილო, ტირილით რას გახდები. შენი ირინე აქ მიწაში კი არ არის, ზეცაშია ასული.

— ეს როგორ-მეთქი, — ჩემდაუნებურად ვკითხე ბებიას.

— განა არ იცი? — და დიდის ამბით მოჰყვა. — ირინე ანგელოზი იყო, შვილო, ანგელოზი, — ორივე ხელი ზეაღმართა და დაუმატა, — ანგელოზები როდი კვდებიან, ისინი ხორცს გაეცლებიან და ზეცაში ვარსკვლავებად დასხდებიან. მართალია, ირინეს ხორცი აქ მარხია, მაგრამ მისი სული ზეცაში სახლობს...

მე საზოგადოებათა მეცნიერებას მასწავლიდნენ სკოლაში, ათეისტად მზრდიდნენ და ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი, რასაც ახლა ბებია მიყვებოდა, სიცრუე იყო და მაინც იმ საღამოს ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას მივაჩერდი. ჩემის აზრით, ახალი ვარსკვლავი აღმოვაჩინე. იმ ვარსკვლავს სახელად ირინე დავარქვი. გვიან, ნავახშმევს ამოდიოდა და ეს ვარსკვლავი. ფრთხილად ავდგებოდი, გარეთ გამოვიპარებოდი და აღგზნებით შევცქეროდი. ასე გაგრძელდა მთელი კვირა, მერე ცა მოიღრუბლა და მთელი თვე პირი არ გაუხსნია, გადაუღებლად წვიმდა, ყაყრით გადახურულ ჩვენს ოდა სახლში წვიმა ატანდა, ჩემს სულშიაც წვიმდა...

გამოიდარა, მაგრამ ცაზე ის ვარსკვლავი ვერ აღმოვაჩინე და ვერა. ირინეც დავკარგე და ეს ვარსკვლავიც შავეთმა ჩაყლაპა. მერე ღამით საშინელი სიზმარი ვნახე, მდინარიდან ოქროსთმიანი ირინე ამოვიდა, ჩემი საყვარელი ბროწეულისფერი კაბა ეცვა. უმალ მასთან გავჩნდი. ირინე გაიქცა. მე გამოვეკიდე, გზა რომ დაებნია, გაუვალ ეკალ-ბარდებში შეძვრა. მეც გადავეშვი ამ ეკალ-ბარდებში, მაგრამ ამაოდ, ვერ დავეწიე. ეკალ-ბარდებმა მთლად დაგვაშორეს, სისხლი მდიოდა მთელი სხეულიდან, სისხლს დავხედე და შემეშინდა. ამ წვალებაში გამომეღვიძა კიდეც. მაგრამ ადამიანს იმის ნიჭიც არ ჰყოფნის თურმე, რომ

უსაშველო სევდა დიდხანს ატაროს. სულ მალე მივხვდი, რომ სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე სიცოცხლე. სწორედ იქ, ირინეს საფლავთან გამახსენდა ჩვენი საყვარელი პოეტის ბარათაშვილის სიტყვები:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს...“

ჩვენ ერთად ვისწავლეთ ორი თვის წინათ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“. გავყევ პოეტის ამ იდუმალ ხმას და სკოლის კარებს მივადექი. უზომოდ აღგზნებულმა მთლად მივეცი თავი სწავლასა და სკოლას. სულ მალე ისევ ძველი გურიკო ვიყავი, გამორჩეული, ყველაზე უკეთესი მოსწავლე, მასწავლებელთათვის თითით საჩვენებელი და ამხანაგებისათვის ერთგული მეგობარი. და მაინც, სიმართლე უნდა ვთქვათ, შინ თუ გარეთ რაღაც მაკლდა, მაინც რაღაცას დავეძებდი და უკმაყოფილების გრძნობა არ მასვენებდა.

ერთი თვის შემდეგ დედა ავად გახდა. მე თავსასთუმალთან ვუჯექი და გოგებაშვილის „იავნანამ რა ქნას“ ვუკითხავდი. დედაჩემი ალმურმოდებული და თვალებგაბრწყინებული მომჩერებოდა, ოღონდ მე ვერ გავარკვიე, სიცხისა იყო ეს ალმური თუ იავნანაში დატრიალებული ამბის სიხარულისა. ან იქნებ იმისა, მე რომ ასე სხაპასხუპით ვუკითხავდი წიგნს. დედაჩემმა წერა-კითხვა ძლივს იცოდა, მაგრამ თავად დიდი პატივისმცემელი იყო სწავლისა და დღენიადაგ იმას ჩამჩიჩინებდა, რომ მესწავლა, ბევრი წიგნი მეკითხა. იავნანას კითხვა რომ დავამთავრე, გამიღიმა და მითხრა, კარგია შვილო, კარგიო. ვერ გავიგე, სიტყვა კარგი რის გამო წამოსცდა შექებაში სიტყვაძვირ დედაჩემს...

მეორე დღეს ბაბუას ცხენით ექიმი ჟორდანია მოიყვანეს. ექიმი დიდხანს სინჯავდა დედაჩემს, მერე რეცეპტსაც დიდხანს წერდა. ორ დღეში მოკეთდა. ერთხელ, საღამოს, ჩუმად შევიპარე დედაჩემის საწოლ ოთახში. ხმადაბლა მღეროდა. მე მაინც კარგად გავარჩიე სიმღერის სიტყვები: „შენი სიყვარული ისე დამერია, რომ ღამე ძილი დამიფრთხა. ძილდამფრთხალი შუაღამისას შენსკენ მოვრბივარ, მაგრამ ყურადღება შენი ვერ დავისაკუთრე, მერე უმწეომ შენი სიყვარული ცხვირსახოცში გავახვიე და ისე ჩავიხუტე გულში“...

დედაჩემი ამ სიტყვებით მამას მიმართავდა. მე გაოცებული ვუსმენდი მის სიმღერას, — არა, სიმღერას კი არა, ლოცვას, ვედრებას. ვიცოდი, რომ დედაჩემს უსაზღვროდ უყვარდა მამა, მაგრამ საჯაროდ არასოდეს არ გაუმჟღავნებია ეს სიყვარული. ახლა სიკვდილს გადარჩენილი ჩუმად უმღეროდა მეუღლის სიყვარულს. ნაზი მელოდიით მოხიბლული, ჯიქურად მივიჯერ და ლოყაზე ვაკოცე. დედა გაწითლდა, გამხელილი გრძნობისა შერცხვა და რომ დაემალა, გულში რაღაცნაირად ჩამიხუტა, განსაკუთრებულად მომიალერსა. იგი მოფე-

რებით არასოდეს მანებივრებდა, მაგრამ ახლა მისი ასე გადამეტებული ალერსის მიზეზი ისევ ის სიმღერა იყო, რომლითაც ჩუმად ესიყვარულებოდა მამაჩემს...

მერე ეს სიმღერა არც არასოდეს მსმენია, მაგრამ ისეთი მომხიბვლელი იყო, რომ არც არასოდეს მომცილებია სულში ღრმად აღბეჭდილი მისი ნაზი სიტყვები.

იმ წელს ბაბუაჩემი მოკვდა. არც ისე დიდი ხნისა იყო, მაგრამ უსაშველო შრომაში დაილია ბაბუას ჯანი. გამრჯე, თავდადებული, შვილებისა და ოჯახის მოყვარული, მომთხოვნი და მკაცრი იყო. ცუღლუტი, ზარმაცი და უქნარა ჭირისდღესავით სძულდა, შრომა და პატიოსნება ტყუპი ძმები არიანო, ხშირად გვეტყოდა. ოჯახის წევრებისაგანაც თავაუღებელ შრომას და გარჯას მოითხოვდა. ჯმუხა, ჩაფსკვნილ, საშუალო ტანის ბაბუაჩემს, მუდამ წვერგაპარსულს, კვირა დღეს ჩოხა-ახალუხი და ხარაზული წაღები ეცვა, ზამთრობით მამაჩემის მიერ ქალაქში ნაყიდი დაბამბული პალტო. თეთრი სახე ჰქონდა, გაზაფხულსა და ზაფხულს მუდამდღე მზეს შეფიცხებულს ენდროს ფერი დაჰკრავდა. მაჯის სიმსხო ულვაშები მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა ამ მუდამ სახემომღიმარ მოხუცს. ბაბუასი დიდი შიში გვქონდა, თუმცა გაბრაზებული მე არც მახსოვს. სიცოცხლეს დახარბებული გლეხი მთელი გულით ხარობდა. მისი უსასრულო სიხარული და ღიმილი გადამდები იყო და მე ჩემს სახლში არავინ მინახავს ბუზღუნა და წუწუნა. ამავე დროს პირში მთქმელი კაცი იყო, პირდაპირი და მოურიდებელი, ჭირსა თქმა უნდა, თორემ გულში დაგუბდება და მოგახრჩობსო — იტყოდა ხოლმე. 70 წელს ისე მიაღწია, თავი რა არის, თავი არ ასტკენია. სამოცდამეთერთმეტე წელს სისუსტე იგრძნო მუხლებში. ყანიდან რომ დაბრუნდებოდა, მაშინვე ჩამოჯდებოდა, იტყოდა — ეს ოხერი მუხლები არ მემორჩილებაო...

სიკვდილის არ ეშინოდა, იმიტომ კი არა, რომ მორწმუნე იყო, არა, არა მგონია. ბაბუაჩემს არა ერთხელ უთქვამს: — მე შვილო, ამ ეკლესიებისა და მღვდლების იმდენი არა მჯერა რა, მაგრამ ღმერთი კი მწამს. ღმერთი რომ არ იყოს — ბაბუა თვალებზე ხელებს მოიჩრდილებდა და თავის ზღვისფერ თვალებს ოდნავ მოჭუტავდა, ზღვისკენ გაიხედავდა, ზეცას შეხედავდა და იტყოდა — აბა, ვინ განაგებს ამ უკიდეგანო ქვეყანას: ღმერთია უფალი, გამგებელი ქვეყნისა და იმედი კაცისა. ამას იტყოდა, პირჯვარს გადაისახავდა და თან დაატანდა — ღმერთო, შენ შეგვიწყალე. სწამდა ბაბუას ღმერთი და სჯეროდა მისი სიმართლისა. სიკვდილი? სიკვდილი მაშინ მოგაკითხავს, როცა შენი არ ეშინია. ჯერ კი ეშინია ჩემი და ვერ მიბედავსო. სიკვდილს დავრდომილებისა და დაჩაჩანაკებულების არ ეშინია და იმათ ემტერებაო. სწორედ იმათ იბრიყვებს, ვისიც არ ეშინიაო...

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ასე მოხდა. ბაბუა რომ ამ სიტყვებს ამბობდა, სიკვდილი თურმე იქვე ლაფაროში იყო ჩაცუცქული და ისე შემოალაჯა მის ოთახში, არც კი უკითხავს, შეიძლება თუ არაო? იმ დღეს, როცა შეატყო ბაბუამ მობრძანდაო ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ხმა არ გაუღია, მთელი დღე იწვა პირაღმა თვალდახუჭული. ზღვაში მზე ჩაიწურა და უფრო იგრძნო სისუსტე. შვილებს სთხოვა, ეზოში გამიყვანეთო. ააყენეს, მხარში ამოუდგნენ, ჩვენი დიდი ოდა სახლის აივანზე გამოიყვანეს. აივანზე შეჩერდა. მარცხნივ — მარტვილისაკენ გაიხედა, მწუხრის ზარებს არისხებდნენ მონასტერში. ზარების ხმა ჩვენს სახლამდე აღწევდა. ბაბუამ პირჯვარი გადაიწერა, შვილებს შეხედა და უთხრა: მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, შვილებო, უკურთხებელ მიწაში ნუ დამმარხავთო. ეკლესიის ეზო-სასაფლაო შორს იყო ჩვენი სოფლიდან. იმ წელს სოფლის ბოლოს დიდი მოედანი შემორაგვეს და ახალი სასაფლაო გაიჩინა სოფელმა. პირველი ჩვენი სოფლის დიაკვანი დაასაფლავეს. მორწმუნე ხალხი აჩურჩულდა, უკურთხებელ მიწაში ქრისტიანი კაცის დასაფლავება ვის უნახავსო...

ბაბუამ ახლა საკუთარი ოფლით ნაშენებ ეზო-კარს გადახედა. ჩვენი ეზო ლურჯად ლივლივებდა. ზღვიდან მონაქროლ ნიავს ნაყოფით დახუნძლული ხეებისა და დამწიფებული სიმინდის ყანის სურნელება მოჰქონდა. ნიავი ბაბუას კულულებსაც მიწვდა. აივანზე ყოფნა ეამა მოხუცს. სახლის წინ ვაშლის ხე იდგა. ხეზე ჩემი პატარა და ნატო ასულიყო. მოხუცმა თვალებზე მარჯვენა ხელი მიიჩრდილა და იყვირა, არიქა, ბავშვი არ ჩამოვარდესო. გურიკო უშველეო, ხელით მანიშნა და ვიდრე ხის ძირას გავჩნდებოდი, ნატო მოკრეფილი ხილით ბაბუასაკენ მორბოდა. ნატომ ვაშლი გაუწოდა, ბაბუამ ხელი აღმართა გამოსართმევად და ერთბაშად გაწვდილი ხელი ძირს ჩამოუვარდა... ლოგინზე რომ დააწვინეს, უკვე აღარ სუნთქავდა. მამაჩემი ხმამაღლა ჩასძახოდა, მაგრამ ამაოდ.

ბაბუას შეუსრულეს ანდერძი. დაკრძალვის დღეს მარტვილიდან ორი მღვდელი და თხუთმეტამდე ბერ-მონაზონი მოიყვანეს. სასაფლაო მიწაც აკურთხეს და ბაბუაც ბერ-მონაზვნებით, ზარითა და მოთქმით დაიტირეს.

მე ისეთი გულისდამაღონებელი, გონებისშემძვრელი ზარი და მოთქმა არც ჩემს სოფელში მსმენია და არც სხვაგან.

ბაბუასთან ერთად დაიმარხა ეს ძველებური ზარი და მოთქმა.

ორ თვეში ბებიაც გარდაიცვალა. ისიც იმავე წესით დამარხეს, როგორც ბაბუაჩემი...

შვიდწლედს ვამთავრებდით, მაგრამ ბავშვური საქციელი არ მოგვშორებია. ჯგუფში ყველა ბავშვს მეტსახელი შეარქვა ჯაბამ: გიამ,

ჩემს გვერდით მერხზე რომ იჯდა, გაკვეთილი არასოდეს არ იცოდა, პირი კი მუდამ დაღებული ჰქონდა. როცა მასწავლებელი გამოიძახებდა, ჯაბა მიაძახებდა, შე შოშია, შენა! და შეარქვა შოშია გიას. მზია, უკანა მერხზე რომ იჯდა, მოუსვენარი, მკვირცხლი და ბეჯითი იყო, ამიტომაც მერცხალი შეარქვა ჯაბამ. მის გვერდით მზეხა იჯდა შავი, კუპრივით შავი. გაკვეთილი კი მუდამ მზად ჰქონდა, მაგრამ მასწავლებელი გამოიძახებდა თუ არა, მიაყვირებდა ჯაბა — ყვავო, ყვანჩალაო და ისევ სიცილი გადაურბენდა ოთახს. სულ ბოლოს თათია იჯდა, ერთი ანჩხლი და აუტანელი ვინმე — ამას კი ჩხიკვს ეძახდა ჯაბა. ყველაზე მოუქნელსა და გრძელტანას — ჭიაყელას. მთელ ჯგუფში კი არა, მთელ სკოლაშიაც მათი ნამდვილი სახელები აღარავის ახსოვდა და ამ სახელებით იცნობდნენ. ყველაზე მეტად მოზვერა და ჭიაყელა ბრაზობდნენ. ჯაბას მოზვერასი ეშინოდა და ამიტომ ხშირად ინდობდა. ჭიაყელა კი მთლად აგდებული ჰყავდა. ერთხელ ჭიაყელამ კალმის ჩასალაგებელი „პენალტი" მოუტანა და შეევედრა: ჭიაყელას ნუ დამიძახებო. ჯაბა შეპირდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ერთხელ შერქმეული სახელი ვერ მოეშალა და ვერა...

სასწავლო წელი დასრულდა. გამოცდები დაიწყო. ირინეს, ბაბუას და ბებიას სიკვდილით დანაღვლიანებული გუნების პირობაზე წარმატებით ჩავაბარე გამოცდები. სოფელსაც გამოვემშვიდობე და პირველ სიყვარულსაც. მაშინ მთელს რაიონში ერთადერთი საშუალო სკოლა — ცხრაწლიანი შრომის სკოლა რაიონის დაბაში, ნოღალეოში იყო. იძულებული გავხდი მეორედ დამეტოვებინა ჩემი სოფელი და გადავბარგებულიყავი რაიონის ცენტრში. გამოცდები ჩავაბარე და გავხდი ცხრაწლიანი სკოლის მოსწავლე. საშუალო სასწავლებელში ჩემი სოფლის სკოლის სამი მოსწავლეც ჩაირიცხა. პირველ კვირასვე სამივენი გავიპარეთ და მარტვილის მონასტერს მივაშურეთ. გორა ავათავეთ თუ არა, ჩვენს წინ საოცარი სანახაობა გადაიშალა...

ყოველ ცისმარე შევცქეროდი სახლიდან ამ დიდებულ მონასტერს, ზარების რეკვაც აღწევდა ჩვენამდე, მაგრამ მარტვილი მაინც საიდუმლოებით მოცული გამოუცნობი რამ იყო ჩემთვის. ვნახე და გაოცებული შევყურებდი. ასე მაღალ მთაზე გაშენებული მონასტერი, ასეთი ლამაზი სანახაობა პირველად ვიხილე. მართალია, ბავშვობა მცხეთაში გავატარე, მაგრამ ჯვარზე არავის ავუყვანივარ და ამიტომაც ჩემთვის უჩვეულო იყო, რასაც ვხედავდი.

მზე ჩვენს ქვემოთ იყო დაკიდებული, ჩემი სოფელი კი წერტილივით მოჩანდა. ხოლო შორს, დასალიერში, მდინარეები ზოლებად ზღვისკენ მიიმართებოდნენ და ადვილად გაარჩევდით, როგორ ერთოდნენ ზღვას. პირველად ვიხილე ასეთი მომხიბვლელი სურათი ბუნებისა და სიმშვიდე, ყოველი ტკივილის დამაამებელი სიმშვიდე.

ჩემს თვალწინ წამოიმართა უზარმაზარი, თეთრად მოქათქათე შენობა, რომელსაც ეს თოთხმეტი წელია შორიდან შევცქეროდით შიშით და რიდით. სვეტებიან თაღებზე აღმართული გუმბათები ტალღებივით ირწეოდნენ. აქ ვიგრძენი პირველად დიდი შიში და მოკრძალება. ამაზე დიდი ტაძარია სვეტიცხოველი, მაგრამ მას შემდეგ ათიოდე წელი გავიდა და ის შთაბეჭდილება სადღაც გამქრალა. ახლა ისევ აღდგა სვეტიცხოველი ჩემს წარმოდგენაში და უფრო შემეშინდა. რისი შემეშინდა? რისი შემეშინდა მე, ათეისტ კომკავშირელს? იმ ადამიანების აჩრდილისა, რომელთა ხელებმა ააშენეს ეს საოცრება ადამიანის გონებისა?.. უფრო დავაკვირდი ყოველივეს. ეკლესიაში ცოტანი იყვნენ მლოცველნი, მაგრამ ისინიც შესაბრალისად მომეჩვენნენ. ეს მოხუცი ქალები და კაცები სასოებით შემოდიოდნენ ეკლესიაში პირჯვრის წერით, სააღმსარებლოს უახლოვდებოდნენ ქედმოდრეკილნი. წვერგაბურძგნილ მღვდელს ხელებზე ემთხვეოდნენ, მერე მონასტრის ცივ ქვაფენილზე გაერთხმოდნენ და ჩუმად ლოცულობდნენ. მღვდელი, რომელიც გაბმით კითხულობდა ლოცვანის სიტყვებს, შიგადაშიგ ზევიდან გამოხედავდა ღვთისა და მის წინაშე გართხმულ მლოცველებს.

მონასტერში წვერთეთრი მღვდელი წირავდა, ათიოდე ბერი ლოცულობდა, ოცზე მეტი თეთრ სამოსში მორთული მონაზონი გალობდა. ტრაპეზთან მნათე გიგოია ბორიალობდა. სოფლებიდან გამორეკილ მღვდლებს და ბერებს, მონაზვნებს და მორწმუნეებს აქ მოეყარათ თავი და ომში დამარცხებული უკანასკნელი ჯარისკაცებივით იცავდნენ მონასტერს. ერთმანეთს შევხედეთ და სიცილი აგვიტყდა.

მერე სერიოზული სახე მივიღე და იქ დავდექი, სადაც ახლა ქვის იატაკზე ჩაცუცქული მნათე სველი ჩვრით მტვერსა და ტალახს აცლიდა საფლავზე დაგებულ მარმარილოს ფიქალს. გარკვევით, ხმამაღლა ამოვიკითხე — ეკატერინე ჭავჭავაძე და გუმბათიანი მონასტრის ექომ უფრო ხმამაღლა გაიმეორა ეს ორი სიტყვა. წელში მოხრილმა, დაჩოქილმა მნათემ ქვემოდან ამოგვხედა, მუხუდოს მარცვლის ოდენა მრგვალი და წვრილი წირპლიანი თვალებით უცნაურად შემოგვაშუქა და გვიცნო, უმალ წელში გასწორდა მოხუცი, ადგა, იქვე დავით დადიანის საფლავზე მიყუდებულ შანდალს ხელი დაავლო და ვიდრე მარმარილოს ფიქალზე წარწერილ სხვა სიტყვებს ამოვიკითხავდი, კიეილით გვიფრინა და უკან შანდალმოღერებული თავგამოდებით გამოგვეკიდა.

— ჰაიტ, თქვე ეშმაკის ფეხებო, თქვენა. აქაც არ გვაყენებთ, თქვე ურჯულოებო, სინდის-ნამუსზე ხელაღებულნო, ჰა, მაინც რა გინდათ ჩვენგან, თქვე ურწმუნოებო! — მოთქმით ამბობდა ამ სიტყვებს მნათე და სანამ მონასტრის ეზოდან არ გამოგვყარა, არ მოგვეშვა. მარტვილის გალავანთან შევჩერდით. გავიხედეთ და ისევ საოცარი სანახაობა

გადაიშალა ჩვენს თვალწინ. ხელისგულივით მოჩანდა მთელი სამეგრელო და იმერეთი, სოფლები და მდინარეები, ტყეები და ველები, გორაკები და შარაგზები...

სულ ახლო, ცხვირის წინ მდინარე აბაშისა და მისი შენაკადების, პატარა მდინარეებისაგან ჰადრაკივით უბნებად დასერილი ყანები და ველები ეგდო; კიდევ უფრო შორს — მარცხნივ ცხენისწყლისა და მარჯვნივ ტეხურისაგან უფრო მოზრდილი, ფართო უბნებად დაფენილი ჰალები და ველები. გორაკებზე შეფენილი სოფლებიც, ას ადგილიც კარგად გავარჩიე, სადაც ცხენისწყალი და ტეხური რიონს ერთვის. მთიდან გადმოვარდნილი, თავისტეხით მორბენალი, მდინარეებისაგან განებივრებული რიონი ნელა მიიზლაზნებოდა ზღვას მიახლოებული. იქ კი, სადაც ზღვას ერთოდა რიონი, მზე სპილენძისფრად ათინათებდა... თვალი ვერ მოვწყვიტე ამ სილამაზეს. ვიდექი და ვფიქრობდი, რა უცნაურადაა ყველაფერი ეს შენიღბული: ეს ბერები და მონაზვნები, რელიგიის მსახურთა მთელი ეს ლაშქარი თითქოს ცხოვრებას გაურბოდა, ხალხს, ოჯახს, სოფელს ტოვებდა, ვითომდა ხორცის საგვემად და ღმერთის სამსახურად მთაკორდებზე გაშენებულ მონასტრებსა და ტაძრებს მიაშურებდა. მაგრამ ერთი ეს მითხარით, ვინც ასეთი ხედით ტკბებოდა, ასეთი ნიავით ხორცს იგრილებდა, იმას ცხოვრებისაგან განდგომილი ეთქმის განა?! ცხოვრების ყველაზე დიდი მშვენიერება, მისი ყველაზე დიადი სილამაზე, ღმერთის უზენაესი სიკეთე არსად ისე არ მოჩანს ასე თვალხილულად, როგორც ამ გადასახედიდან. ამის შემდეგ ვინა თქვას მარტვილს შეხიზნული ბერების და მონაზვნების ცხოვრება ხორცის გვემა იყოო?

ნამდვილად არავინ ისე არ ტკბებოდა ბუნების სიკეთით და სიმშვენიერით, როგორც ეს ბერები და მონაზვნები. თაფლი, ღვინო, ხილი... და ბუნების სილამაზეში მთლად გათქვეფილნი, ყოველდღიური ოჯახური და საზოგადოებრივი თავსატეხი კითხვისაგან თავისუფალნი, აქ დაყუდებულნი ტკბებოდნენ ბუნების ამ განუმეორებელი სილამაზით. ჩვენ კი თვალს გვიხვევდნენ... წამებულად და გვემულად გვეჩვენებოდნენ... თურმე ტყუოდნენ. ცრუობდნენ, ყველაზე მეტად ისინი ყოფილან სიცოცხლეს დახარბებულნი. მაშ რად ინიღბავდნენ სახეს გვემულთა და წამებულთა გვირგვინით? იმიტომ ხომ არა, ბევრს რომ არ დაედო წილი ამ ერთი ხელის დადება სენაკებში. იბრძოდნენ და იღვწოდნენ, რათა მცირეთა საკუთრება ყოფილიყო ეს სიკეთე დიდებული. ჰო, თურმე რა ძალა და ენერგია აქვს სწორედ სიცოცხლისათვის სწრაფვას. დიახ, სიცოცხლის ძახილმა მოიყვანა აქ ეს ბერები. სიცოცხლის ძალის კარნახით გააშენეს ეს წითელი და ყვითელი, ლურჯი და ხასხასა ვარდები და ყვავილები, ბაღები და ვაზები... სიცოცხლის, სხეულის დასატკბობად და

არა საგვემად. სიცოცხლისათვის, სიცოცხლისათვის ბრძოლაა ყველგან, აქაც, ამ ბუნების სიმყუდროვეში და იქაც, ჩემს ქვემოთ ასე ლამაზად გადაშლილ, ხმაურიან სოფელსა და მდინარეებში, ჭალებსა და მინდვრებში. სიცოცხლე გვეძახის, სიცოცხლის წყურვილი გვაბრძოლებს, გვაომებს... ცხოვრება აქ, ამ თვალწარმტაც დედამიწაზეა მშვენიერი და ლამაზი და როცა საიქიოსაკენ იშვერდნენ ხელებს ბერები და მონაზვნები, მღვდლები და დიაკვნები, თურმე ტყუოდნენ და ჩვენც გვატყუებდნენ. არა, ჩემი ქვეყნის ზეცაც ლამაზია, მაგრამ აქედან, ამ დალოცვილი მიწიდან საჭვრეტად ზეცაც ჩვენთვის მოუცია ბუნებას, რომ ღამითაც დავტკბეთ ვარსკვლავებითა და მთვარით გაბრწყინებული ცის მშვენებით. ეს დედამიწაა ქვეყნის ფუძე, ცხოვრების სილამაზის დიდი სადგური... „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“... — ჰოი დიდებულო რუსთაველო, ყველა ბრძენკაცთა შორის უბრძნესო, ახლა მიწვდა გონება ჩემი შენს ამ სიტყვების აზრსა და მე არ მესმის, რატომ გვაიძულებდნენ გვექო და გვედიდებინა ამ სააქაოს გამოგონილი, არარსებული ის საიქიო, რატომ რცხვენოდათ ეთქვათ, რომ სიცოცხლეში და მხოლოდ სიცოცხლეშია უკვდავება. და მე მინდოდა მეყვირა: ფილოსოფოსებო, მეცნიერებო, პოეტებო, არტისტებო, სიცოცხლეს უმღერეთ, სიცოცხლეს ჰიმნი და დიდება! ნუ ჩამოგტირით ცხვირ-პირი, მერე რა ვუყოთ, რომ მარტო ია და ვარდით არ არის მოფენილი ეს მდელო, ნარ-ეკალიც ხარობს, სიცოცხლეს სიკვდილი მოსდევს, ბედნიერებას — უბედურება... მერე რა! ცხოვრების სილამაზეც იმაშია, რომ იბრძოლო და ალამაზო შენთვის განკუთვნილი ცხოვრების დღენი, ალამაზო შენთვის, შენი შვილებისთვის, მომავლისთვის. დიახ, სიცოცხლე, სიცოცხლე გვეძახის; დავტკბეთ მისი მშვენებითა და სილამაზით.

ასე მომეჩვენა, თვით მონასტერი მღეროდა, სმენად ვიქეცი. დიახ, გუმბათიანი თეთრი მონასტერი გუგუნებდა. ბიჭებს დავუყვირე, აბა, ყური დაუგდეთ, ხომ გესმით, მონასტერი მღერის, დედას გეფიცებით, მღერის...

ბიჭები გამოშტერებული თვალებით მომჩერებოდნენ და მე ვერ გავარკვიე, მათაც ესმოდათ ეს ხმები, თუ მე მეჩვენებოდა, არა! რამდენჯერაც მოვიხედე, იმდენჯერ დავრწმუნდი, რომ თვით ქვები მონასტრისა მღეროდნენ...

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა მართლაც ძახილი შემომესმა. გავიხედე და ისევ გავშეშდი, უკან, ზღვისგან მონაშუქი მზის სხივებით ნაფერი, ოქროსფრად ციმციმებდა მუდამ თოვლით დაფარული ასხის მთები; ისიც ლამაზი იყო, ისიც მშვენიერი... ისევ შემომესმა ძახილი, ჩემი ორი მეგობარი მეძახდა:

— გური, გურიკო, რა მოგივიდა, არ გესმის, აქეთ გამოიქეც, არ

ხედავ, მნათე გიგოია ისევ მოგვდევსო. ქვევით, სოფლისკენ მოვკურცხლე.

გიგოია ისევ ვიღაცებს ერეკებოდა მარტვილის მონასტრის ეზოდან, კომკავშირელებისაგან დაშინებულ მღვდელებსა და დიაკვნებს, ყველა ქრისტეს ერთგულ მოციქულს, ვისაც უარი არ ეთქვა მაცხოვრის მსახურთა თანამდებობაზე, აქ შეუფარებია თავი. მარტვილის მონასტერი ჯერ კიდევ მოქმედი სალოცავი იყო მაშინ და აი, რელიგიის ამ ციხესიმაგრეს უტევდა რაიონის კომკავშირის აქტივი. მნათე გიგოია და მისი თანაშემწენი იცავდნენ ათეისტთა შეტევისაგან მონასტერს. ჩვენც ამავე მიზეზით შემოგვიტია სვებედგამწარებულმა მნათემ...

ჩვენი სოფლელები სამ ბაზარს ეტანებოდნენ: ოთხშაბათობით ხონის ბაზრობა იყო განთქმული, პარასკეობით — ნოღალევისა, კვირაობით — ბანძისა. მე არც ერთი არ მენახა და აი, მარტვილის საშუალო სკოლის მოსწავლე იმ წლის სექტემბრიდან ყოველ პარასკეობით ნოღალევის ბაზრობის მოწმე ვიყავი მთელი ორი წელი. მოწაფეებს სკოლის დირექტორი გვიშლიდა ბაზარში სიარულს, მაგრამ ჩუმად მაინც ვეტანებოდით. დიდი შესვენების დროს, მესამე გაკვეთილის შემდეგ, ბაზარს თავიდან ბოლომდე ავუვლიდით და ჩამოვუვლიდით, ხოლო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ თითო შაურობით ფულებს შევაგროვებდით. ხან ლეღვს ვყიდულობდით, ხან მოხარშულ სიმინდს და მერე თანაბრად ვიყოფდით. თავისთავად დიდი სანახაობა იყო ეს ბაზრობა.

დილიდანვე ნოღალევის ბაზრისაკენ მოედინებოდნენ ბანძელი ებრაელები ფართლეულობით დატვირთული ერთცხენიანი ორბორბალათი — ურიკათი, ნამკოლოველი ხელოსნები შინ დამზადებული ჭურჭლებით დატვირთული ურმებით, ცხენზე ვაშლებით სავსე გოდორგადაკიდებული ლეჩხუმელი გლეხები... მოჰქონდათ სოფლის ხვავი და ჭირნახული ცხენოსნებსაც და ფეხოსნებსაც, ვისაც რითაც შეეძლო. ნოღალევის ბაზარი სავსე იყო დოვლათით, ხვავით და ხალხით, მაგრამ ბაზარში მაინც დიდი წესრიგი იყო. ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული. ერთსართულიანი კრამიტითა და ყავრით გადახურული ქოხმახები, რომლებსაც დუქნებსა და მაღაზიებს უწოდებდნენ, ორ მწკრივად ქმნიდა ნამგლისებრ წრეს, რომლის მოედანი პარასკეობით საბაზროდ იყო გამოყენებული. სულ თავში მიწაზე ელაგა ნამკოლაველების შინ ნახელავი ჭურები, დოქები, კოკები, ქოთნები, ჭინჭილები... ალისფერი მოჰკიდებოდა მაგრად გამომწვარ ამ თიხის ჭურჭლებს. იქვე მიწაზე დალაგებული ხონელების მიერ მოტანილი საქალამნედ გამოჭრილი, ორად გაკეცილი საქონლის ტყავები იყიდებოდა. შემდეგ კი ლეჩხუმელების აყუდებულ გოდრებში ლოყაწითელა ვაშლები ელავდა. მერე იქვე ჩაცუცქული ქალები ყიდიდნენ ნახუნავოდან ჩამოტანილ ლეღვს — ინჩხირელები მოხარშულ სიმინდს, კვახსა და

წაბლს, ჯოლო-აბედათელები ამ კუთხეში განთქმულ ატმებს... ამის შემდეგ იწყებოდა ბანძელი ებრაელების გადახურული კარვები, რომლის ქვეშ გამართულ მაგიდაზე დალაგებული იყო ნაირნაირი ჩითი, შალეული თუ ბამბეული ქსოვილი. ბუზებივით ეხვეოდნენ სოფლის ქალები ფარდულებს. ბოლოს ლებარდელი მეჯოგეების სულუგუნებით სავსე ტყავის ტომრები ელაგა, თხის ტყავისაგან დამზადებული ეს ტომრები თეთრად ქათქათებდნენ. მათ გვერდით ტიკებითა და კოკებით სავსე სალხინოდან ჩამოტანილი ოჯალეში და კასრებით სავსე იმერლების ცოლიკოური ეპატიჟებოდა დაბის ლოთიფოთ ბიჭებს. სულ ქვემოთ, მდინარე ინჩხირის პირას მოედანი ეჭირა საქონლით მოვაჭრეებს. აქ ცხენების ჰიხვინს, საქონლის ბღავილს და გოჭების ჭყვიტინს ბოლო არ უჩანდა. ცხენების რემაში დინჯად დაალაჯებდნენ ცხენის დალილი დანელიები. ცხენებს კბილებს უსინჯავდნენ და აჭენებდნენ, მუხლის სიმტკიცეს უდასტურებდნენ, ხარებს რქების ნაოჭების მიხედვით წლოვანებას უდგენდნენ და ამის მიხედვით იყო ყიდვაც და გაყიდვაც. ხოლო დუქნების უკან მარტვილის პატარა ბულვარი სავსე იყო კოხტად მორთულ-მოკაზმული, ერთმანეთის სანახავად გამოსული მოზიმზიმე ქალ-ვაჟებით. ასე იყო მთელ იმ წელს, კიდევ ერთმა წელმა გაიარა და ბანძელი ებრაელები, მარტვილელი ვაჭრები კერძო დუქნებიდან და მაღაზიებიდან გამოაბრძანეს და მათი ადგილი კოოპერატივმა დაიკავა. ამის კვალობაზე შეიცვალა ბაზრის იერი და სახე, მაგრამ ნოღალევის განთქმული პარასკეობა არ მოშლილა და არა...

იმ წელს ქართული ენის მასწავლებელმა ექსკურსია მოაწყო. ჯერ მარტვილის მონასტერში აგვიყვანეს, მერე გორდსა და სალხინოში. ჰყონდიდელებზე გვესაუბრებოდა ქართული ენის მასწავლებელი.

— ეს იყო ძველი საქართველოს დიდების დღეები, გიორგი მეფის, დავით აღმაშენებლისა და თამარის დღენი. საქართველო შიშის ზარს სცემდა ჩვენს დაუძინარ მტრებს, ქვეყნის შიგნით კი დიდი მშენებლობა იყო გაჩაღებული. ეს მონასტერიც მაშინ აუშენებიათ, თამარს თურმე ფეხთ გაუხდია აი იქ, ქვემოთ, — მასწავლებელმა ხელი გაიშვირა მდინარე აბაშისაკენ, — და ფეხშიშველი ამოჰყოლია მშენებელთა იმ მწკრივს, რომელთაც ზურგითვე ამოჰქონდათ ქვები აბაშიდან ამ მთაზე... — აქ შეჩერდა, მერე დადიანების ამბავს მოჰყვა და ასე გაგრძელდა ჩვენი ექსკურსია სამ დღეს.

ექსკურსიებს რომ მოვრჩით, ლიტერატურული გასამართლებები დავიწყეთ. იმ თვეს გასამართლების თემა იყო ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“. ჩვენი ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. პარალელური ჯგუფი კი მოსამართლეებად და მსაჯულებად აირჩიეს. ერთნი ვიცავდით ხევისბერს, მეორენი ბრალს დებდნენ. ვინც იცავდა, იმათ საბუთად ის მოჰქონდათ, რომ მამულის სიყვარული, სამშობლოს სიყვარუ-

ლი ყველაზე ძვირფასი და წმინდა რამ არის. ის ყველაფერზე მაღლა დგას, ჩვენზეც, ჩვენს შვილებზეც და ოჯახზეცო. თავიანთ პოზიციას ისინი ილიას სიტყვებით ამაგრებდნენ: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არ ჩანან“... ხევისბერი ნამდვილი მაგალითი იყო მამულისათვის თავგანწირვის, მამულიშვილობის, ვაჟკაცობის, მაღალი მორალის... მეორენი აჩქარებასა და გრძნობაზე აყოლას უსაყვედურებდნენ ხევისბერს. შვილი მაინც შვილიაო, ამბობდნენ ისინი. და კაცმა რომ თქვას, არც პირდაპირი ღალატი იყოო ეს. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ხევისბერი უბედური ეპოქის შვილი იყო, ფეოდალური ღობეებით შემოღობილი საქართველოს შვილი, როცა მამა შვილს არ ინდობდა, ძმა—ძმას. აბა რა ჰქონდა აქ ქართლის ერისთავს მთის შვილებთან, თავისივე ძმებთან, ომით გასაყოფი? იგონებდნენ იმ სისხლის წვიმების დროს და ადარებდნენ აწინდელ საქართველოს აღორძინებასა და განმტკიცებას... ამ კამათსა და სჯა-ბაასში იწრთობოდა, იზრდებოდა, ყალიბდებოდა ჩვენი გონება. ყველაფერ ამას ქართული ენის მასწავლებელს გრიგოლ ლომაიას ვუმადლოდით. ის ჩვენი ნამდვილი მამა და დამრიგებელი იყო.

ზაფხულის არდადეგების თვეები ამ ექსკურსიებსა და ლიტერატურულ გასამართლებებს უნდებოდა. ისიც ხდებოდა, რომ ხშირად ჩვენი რაიონიდან გავდიოდით და სხვა რაიონის სკოლებს ვეჯიბრებოდით. ერთ ზაფხულს ჩვენი ჯგუფის შვიდი მოსწავლე გრიგოლ ლომაიამ ზუგდიდში წაგვიყვანა. ახლა უკვე სხვა თემა ჰქონდა: ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“. ერეკლე მეფეს ვასამართლებდით, საქართველოს ამ უკანასკნელ მეფეს, რომლის გამო კვნესით აღმოხდა გრიგოლ ორბელიანს: „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“. აქაც ორ ჯგუფად ვიყავით დაყოფილი. ჩვენ, მარტვილის მე-9 კლასელები ვამართლებდით ერეკლე მეფეს, ხოლო ზუგდიდის საშუალო სკოლის მე-9 კლასელები ბრალს დებდნენ ერეკლე მეფეს და ქებადიდებით იხსენიებდნენ სოლომონ მსაჯულს. ერეკლეს აჩქარებას უსაყვედურებდნენ პოლიტიკაში, თან უმატებდნენ, დიდებული სარდალი იყოო, მაგრამ პოლიტიკაში ხშირად ცდებოდაო, მკლავი უჭრიდა, გონებითაც გონიერი იყო, მაგრამ პოლიტიკოსს რომ სჭირდებოდა, ის ეშმაკობა მის პირდაპირობას და ომში სარდლობას გვერდში ვერ ამოუდგაო. ამ კამათში მესამე ჯგუფიც აღმოჩნდა. ისინი იდეალად სოლომონის მეუღლეს სოფიოს სახავდნენ და როცა სოფიოს სიტყვები გაისმა დარბაზში, — „რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“, მსმენელებმა ტაში დასცხეს. ყველაზე მეტი მომხრე მათ აღმოუჩნდათ. ისევ ცხარედ შეებნენ მოკამათენი ერთმანეთს. ისე გაითიშა და გაიყო დარბაზი, რომ ძნელი გახდა მათი შე-

კავება და სწორედ მაშინ გამოვიდა ჩვენი გრიგოლ მასწავლებელი. შორიდან დაიწყო: — ძნელბედითობის ხანა იყოო ის დრო, როცა ერეკლე ქართლსა და კახეთს განაგებდა. ჩვენს დადიანებს და თვით სახელგანთქმულ იმერეთის მეფეს სოლომონსაც ისა სურდათ, რომ ყოფილიყო ერთიანი საქართველო. და კიდეც რამდენჯერმე შესთავაზეს მეფე ერეკლეს გაერთიანების წინადადებანი. ბოლოს გურიელიც შემოუერთდა ამათ, მაგრამ ისე უკულმართად მოეწყო ეს საქმე, თავი არ მოება საქართველოს გაერთიანებას. საქმე ის იყო, რომ საქართველოს დიდების დღეები, დავითისა და თამარის დროშა ჩვენმა უჭკუო სამთავროს მეთაურებმა ძირს დახარეს და მათ ნაცვლად თავიანთი პაწია სამფლობელოების დროშა გამოფინეს. მტერმა ამით ისარგებლა და შემოუტია ცალ-ცალკე სამთავროებად დაყოფილ საქართველოს. ისე დაგვერია, ისე მოგვერია მტერი, რომ, როდესაც ერეკლემ ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთა, ნახევარი მილიონიც აღარ იყო მისი სამეფო. წინათ სხვა იყო. ერეკლე მეფეს რომ ჰყოლოდა ათმილიონიანი საქართველო, მაშინ ალბათ ერთ მილიონამდე ჯარს გამოიყვანდა და მას წინ ვერავინ დაუდგებოდა. ან გავიხსენოთ, რაკი აქა ვართ, ზუგდიდში, დადიანების უკანასკნელი დღეები, როცა ეკატერინე ჭავჭავაძე განაგებდა ამ მხარეს. აი, თურქებმა რომ შემოგვიტიეს, მაშინ ეკატერინე ჭავჭავაძეს ასი ათასი კაცის გამოყვანა რომ შეძლებოდა, არავის დახმარება არ დასჭირდებოდა, თურქებს კუდით ქვას ასროლინებდა. ღმერთისაგან ბოძებული ულამაზესი ჩვენი საქართველო ისე მდიდარია, ისე უხვია, ბუნების სიკეთით ისეა ყელამდის აღვსილი, რომ ყველა მტერსა და დუშმანს თვალი მისკენ უჭირავს. და თუ ჩვენ ფიზიკურად არ დავიკავეთ ეს ტერიტორია, ვინ დაგვანებებს ამ უმშვენიერეს მხარეს? ჰოდა, ჩვენს გეოგრაფიულ ცნებაში ფიზიკურ რაოდენობას ერისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, რასაკვირველია, თავი მოგვაქვს ჩვენი მდიდარი სულიერი კულტურით. ერის სულიერი ცხოვრების სასწაული ყოველთვის არ არის ტოლფარდოვანი ერის ფიზიკური რაოდენობისა, პატარა ერებსაც შეუძლიათ შექმნან დიდი სულიერი კულტურა და ამის მაგალითია ჩვენი საქართველო, მაგრამ პატარა ერები ვერ დაიცავენ ფიზიკურად თავიანთ ლამაზ სამშობლოს, თუ იმ გეოგრაფიულ სიდიდეს, რომელიც მათ უჭირავთ, ფიზიკურად არ შეავსებენ. ამიტომ უნდა გახსოვდეს, საქართველო იმდენია, რამდენი ქართველიცა ვართ. საქართველოს დიდება ქართველთა რაოდენობაზეა დაფუძნებული. და რაკი ჩვენს ერს მშვიდობის დღეები დაუდგა, დამთავრდა სისხლის წვიმების დღეები, ახლა გვმართებს მოვიშუშოთ ძველი ჭრილობა, ვამრავლოთ ჩვენი ერი და ვაშენოთ და ვალამაზოთ ისედაც ლამაზი ჩვენი საქართველო...

ზუგდიდელებიც და მარტვილელებიც, გალელებიც და ჯვარელე-

ბიც განცვიფრებით შესცქეროდნენ ამ უებარ მოსაუბრეს და საქართველოსათვის დამწვარ კაცს.

მეორე დღეს ექსკურსია მოვაწყვეთ: რუხის ციხე ვნახეთ. გრიგოლ მასწავლებელმა განმარტა, ეს ქართველთა უძველესი ციხე-სიმაგრეაო. მერე ბესიკის პოემა „რუხი ომი“ მოიგონა, თან დაუმატა, — ეს ციხე მდინარე ენგურის საიდუმლო გვირაბით გაღმა, სამურზაყანოს ციხე-სიმაგრეს სატანჯოს უერთდებოდაო. და ახლა ხელი გაღმით, სამურზაყანოსკენ გაიშვირა. რუხის ციხიდან კარგად მოჩანდა ამაღლება. ბორცვი და მასზე აღმართული სატანჯოს ციხე-ნანგრევი. მერე გავყევით რუხის გზას, ენგურის ხიდი გავიარეთ, მთებს ავყევით და სატანჯოს ციხეს მივადექით. ახლა ისევ შეაჩერა ჩვენი გუნდი და კვლავ განმარტა გრიგოლ მასწავლებელმა. ეს ადგილი — სამურზაყანო — საქართველოს ჭიშკარია. ეს ციხე აძლევდა პირველ ნიშანს, თუ დასავლეთიდან მტერი დაიძვრებოდა, აქ აანთებდნენ ცეცხლს და პირველი რუხის ციხე გამოეხმაურებოდა მოსულ მტერს. მერე ისე მოხდა, რომ თურქებმა აიღეს სატანჯოს ციხე, მაგრამ ენგური ვერ გადალახეს და ვერ სძლიეს რუხის ციხე. რუხის ციხიდან ორი ძმა გამოგზავნეს საიდუმლო გვირაბით, რომ ამბავი მოეტანათ აქ ციხეში გამომწყვდეული ქართველი პატრიოტებისათვის. მაგრამ თურქებმა ციხის კარებთან დააპატიმრეს ძმები და აქ, სატანჯოში ხელფეხშეკრულნი ორმოში ჩააგდეს. მერე ერთმა ძმამ მოახერხა გაპარვა და სიმღერით ამცნო საიდუმლო თავის ძმას. მან ვერ გაინთავისუფლა ბორკილებისაგან ხელ-ფეხი და სიმღერითვე გადასძახა ძმას — სი სო ულ ბათა... — ამ სევდიანი სიმღერით ამცნობდა იგი თავის გულის საწადელს, სატანჯოს ციხეში გამომწყვდეულ რუხის ციხის შიკრიკს, მაგრამ ამაოდ. მერე იმ მეორე ძმამ ამცნო ამბავი და განლაგება ჯარისა სატანჯოს ციხეში, შემოუტიეს ინგურიდან მტერს, სძლიეს და აი აქ გადაყარეს, ამ მდინარეში. — ხელი გაიშვირა სატანჯოს ქვემოთ გაჭიმული მდინარისაკენ. ამ მდინარეს ერის წყალი ერქვა. სწორედ იმ წელს დაერქვა ეს სახელი. ამ წყალში გადაყარეს თურქები ქართველებმა და გამარჯვების ნიშნად ამ წყალს ერის წყალი უწოდეს...

იმ საღამოს, ჩემმა გალელმა მეგობარმა, გერონტი გერგეტიას ვაჟმა, თავის სახლში წამიყვანა. შუაღამე გადასული იყო, ოჯახში ყველას ეძინა. ჩვენ ჩუმად მივიპარეთ და დავიძინეთ. დილით უცნაური ჟრიამული მომესმა. გავიღვიძე და ავდექი. ეზოში შვიდი ტიტლიკანა ბიჭი დარბოდა, შვიდივე პერანგის ამარა. ერთიც მთლად დედიშობილა, აგვისტოს ამ სიცხეში ლოგინიდან გამოპარულიყო და ცვრიან ბალახში ბიჭებს დასდევდა.

იმ საღამოს უცნაური სიზმარი ვნახე: სატანჯოს თავზე ვიდექი, და უცბად შვიდი ვაჟკაცი გამომეცხადა, მფრინავის სამხედრო ფორმა ეცვათ. მწკრივში ჩადგნენ და სამხედრო წესზე მომესალმნენ. მე-

რე ერთი მათგანი წინ წამოიწია და პატაკი წარმომიდგინა: თქვენს განკარგულებაში გამოვცხადდით ჩვენ: დავით, ერეკლე, ცოტნე, ტარიელ, ავთანდილ, ბაგრატი და თორნიკე. შევხედე ამ სამხედრო ფორმაგადაცმულ ვაჟკაცებში ის შვიდი ტიტლიკანა ბიჭი შევიცანი, გუშინ დილით გერონტის ოჯახში რომ დარბოდნენ. შევიცანი და გამეღიმა, მაგრამ ერთბაშად ბრძანების კილოთი მომმართა მათ შორის იმან, რომელსაც სახელად ცოტნე ერქვა.

— ჩვენი თვითმფრინავების შენაერთები, რომელთა მეთაურად ჩვენ აგვირჩიეს, აგერ, ზღვისპირად, ნაბაკევიდან ანაკლიამდე არიან ჩამწკრივებული და მხოლოდ ნიშანს ელოდებიან. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ შენაერთების საერთო მეთაურად შენ აგირჩიოთ.

— რატომ მე? — შევეკითხე განცვიფრებული.

— გუშინ შენი სიტყვა მოვისმინეთ ჩვენ, უფროსმა ძმებმა ერეკლემ და მე და დავრწმუნდით, რომ საქართველოს ისტორიას კარგად იცნობთ. ჰოდა, ჩვენ ასეთი კაცი გვჭირდება.

მე სამხედრო წესით ხელი აღვმართე და სატანჯოს ციხიდან გადავძახე რუხის ციხეს:

— ხომ გესმით ჩემი ხმა, მე თქვენ გეძახით, ჩემო მოძმენო, ჩემო ძმებო, მამებო და დებო, მზად ხართ თუ არა მტრის შესამუსრად.

— მზად ვართო, — მომესმა ხმა რუხის ციხიდან. ეს ხმა ისმოდა ნარიყალადან, ვარძიიდან, ბებრის ციხიდან, მურის ციხიდან, უჯარმიდან...

ჩვენი სკოლის დირექტორი — ტანმორჩილი, გამხდარი, პატარა კაცი იყო, ერთი შეხედვით კათოლიკე მღვდელი გეგონებოდათ (ასეთი პატრი მცხეთაში ბევრი მინახავს). სკოლაში ყველას მისი შიში და რიდი ჰქონდა, მასწავლებლებსაც და მოწაფეებსაც. საქმიანი, გამოცდილი პედაგოგი და კარგი ორგანიზატორი იყო. ჩვენს კლასს ფსიქოლოგიას ასწავლიდა. ყველა საგანი თანაბრად იცოდა. თუ რომელიმე გაკვეთილი გაცდებოდა, იგი უმალ ცვლიდა ამ საგნის მასწავლებელს, ალგებრა იქნებოდა ის თუ გეომეტრია, რუსული ენა თუ ქართული ლიტერატურა. ერთი სუსტი მხარე ჰქონდა — უპარტიო იყო და ამიტომ პარტიული ამხანაგებისა თუ თვით ჩვენი კომკავშირის უჯრედის მდივნის დიდი რიდი ჰქონდა. მათთან საუბარში ეს პატარა, მაგრამ უშიშარი და მკაცრი დირექტორი ერთბაშად გამოიცვლებოდა.

ეს ის დრო იყო, როცა შევესიეთ მღვდლებს და ხატებს, მკითხავებსა და ექიმბაშებს, ვაჭრებსა და თავადიშვილებს. ერთი სიტყვით, მთელი ძველი სამყარო ბრძოლაში გამოვიწვიეთ. ამ ბრძოლაში ცოტა შეცდომები როდი იყო, მაგრამ იყო ამავე დროს დიდი რომანტიკა და მგზნებარება, რწმენა და თავგადადებული ბრძოლა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის...

ჩვენს დაბაში ახალი კლუბი აშენდა. ეს კლუბი საქართველოში პირველი რაიონული ელექტროსადგურის — აბჰესის მშენებლებმა ააგეს. კლუბთან ანტირელიგიური ბრიგადა ჩამოყალიბდა, აქვე ლიტერატურული წრე დაარსდა. მათი მეოხებით ყოველ შაბათ დღეს ლიტერატურული გასამართლებები ეწყობოდა კლუბში. ჯერ იყო და ნინოშვილის ქრისტინე გავასამართლეთ, მერე თვით იესო ქრისტე. საკითხი ასე იდგა. მართლა იყო იესო ქრისტე, თუ ეს სახელი მღვდლებმა მეთხზეს. ამ საქმისათვის ორი კაცი გამოყვეს: ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელი და მე. ისტორიის მასწავლებელი ამტკიცებდა, არა, არ ყოფილაო იესო ქრისტე, როგორც ასეთი, იგი მღვდელმსახურებმა გამოიგონესო ადამიანების დასამონებლად. რელიგია ოპიუმია, რომელმაც ქრისტეს სახელით მოწამლა ხალხი...

მე კი ვამტკიცებდი, იესო ქრისტე იმ დროს პროგრესული პიროვნება იყო, რომელმაც ახალი რწმენა იქადაგა და ხალხი გაიყოლია. შემდეგ კი მღვდლებმა მისი საქმიანობა და ქადაგებანიც რელიგიის სამსახურში ჩააყენეს და დაამახინჯეს-მეთქი ეს პროგრესული მოძღვრება.

იმჟამად ერთი წიგნი ჩამივარდა ხელში და იქიდან ამოკითხულს ვყვებოდი დიდი რიხით. როგორც გამოირკვა, ეს წიგნი არ ჰქონდა წაკითხული ჩემს მასწავლებელს. მოხდა ისე, რომ კლუბის სავსე აუდიტორია მე მომემხრო, მით უმეტეს, რომ ისტორიის მასწავლებლისაგან განაწყენებული ქალიშვილები ჰარბობდნენ აუდიტორიაში; მათ, რასაკვირველია, ჩემი მხარე დაიკავეს.

ამით გათამამებულმა შეუპოვრად შევუტიე მოწინააღმდეგეს. კიდევ ერთი წიგნი მქონდა თან წამოღებული. ეს ჭოლას პირველი ტომი იყო. ახლა ეს წიგნი გადაშალე და აქ დაბეჭდილი ესკიზი „ნაზარეველი აღსდგა“ თავიდან ბოლომდე წავიკითხე. დაცქეცე წიგნი, გავშალე ხელები და ქადაგად ვიქეცი. დიახ, იესო ქრისტემ პირველმა იქადაგა თანასწორობა და ეს ვერ აპატიეს რაბინებმა, ფარისევლებმა, იუდებმა-მეთქი. მერე ისევ წიგნი გადავშალე და ეს ადგილი წავიკითხე: „ბევრი იბრძოლეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, ბევრი ტყვიაწამალი დახარჯეს იმის გასამტყუნებლად და გაამტყუნეს კიდეც...

გაამტყუნეს. მართლის მთქმელი სიცრუის მთქმელად აღიარეს, მერცხალი უკეთესი ცხოვრებისა სატანის კერძად მიიჩნიეს! იესო გაამტყუნეს! დამარცხდნენ „ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი“...

ფრაზა არ მქონდა დამთავრებული, რომ ჩემმა მოკამათემ მომაყვირა:

— და მერე იცით თქვენ, რომ ჭოლა მენშევიკი იყო! მენშევიკის აზრი არ გამოდგება საბუთად.

მე შევცბი, გავჩუმდი, მერე ერთბაშად ჰკუა მოვიკრიბე და თამამად განვაცხადე:

— ჰოლა ლომთათიძის ეს წიგნი ორი წლის წინათ არის გამოცემული. ამ წიგნში რამე მენშევიკური რომ ყოფილიყო, არავინ გამოცემდა-მეთქი. ეს ვთქვი და დროშასავით ავაფრიალე წიგნი. აუდიტორიამ ამ სიტყვებზე ტაში დასცხო...

— რასაკვირველია, — ვამბობდი მე, — ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვთქვით, სრულებით არ ცვლის რელიგიის ანტიმეცნიერულ ხასიათს — ახლა ლენინის ციტატა მოვიშველიე — მარქსის განსაზღვრა „რელიგია ოპიუმია ხალხისა“ მარქსისტული მოძღვრების ქვაკუთხედიაო, ამბობდა ლენინი, — და როცა შევატყვე, რომ აუდიტორია დაშოშმინდა, ისევ გავაგრძელე: — ანიმიზმი, ტოტალიზმი, ტაბუ და წარმართობა ერთანეთს მივაყარე. რევოლუციის პირველი წლების ახალგაზრდობის სენი იყო ციტატომანია. კანტი ამბობდა... ჰეგელი ამტკიცებდა... შოპენჰაუერი წერდა... აი რას ამბობდა ფოიერბახი, პლეხანოვი... ამას ემატებოდა მრავალსართულიანი ამღერეული, უცხოური სიტყვების ხმაური, ტრანსცედენტალური გადასახლება სულისა, ფენომენალური გამოვლინება ნიჭისა. ჩვენს პროვინციულ არტისტობას ხელს უწყობდა ზოგი ლიტერატორის წიგნები, ხოლო განსხვავება ის იყო, რომ ამ ლიტერატორებს ესმოდათ ამ სიტყვების აზრი, ჩვენ კი სრულიად გაუგებრად ვხმარობდით ამ სიტყვებს. სიტყვების ისეთი კორიანტელი დავაყენე, რომ მოწინააღმდეგენი დაიბნენ. ჩემი ვრცელი ისტორიული ექსკურსი ასე დავამთავრე — კეისარმა კონსტანტინემ რომაელების დროშას ზედ დააწერა „ჯვარით დაიპყარ ქვეყნიერება“. სწორედ ქრისტეს ჯვარით შემოიმტკიცეს საქართველო რომაელებმა...

ჩვენ ჩვენი იესო ქრისტე და წინასწარმეტყველი გვყავს. ჩვენ ჩვენი დროისთვის წამებულებიც გვყავს და ისინი არაფერში დაუდებენ ტოლს შუშანიკსა და ესტატე მცხეთელს, აბოსა და გრიგოლ ხანძთელს, სამას არაგველსა და ძმებს ხერხეულიძეებს, ცოტნე დადიანსა და თორნიკე ერისთავს...

მერე უკვე აღარ მახსოვს რა მოხდა... დისკუსიაში დამარცხდნენ ჩემი მოწინააღმდეგენი. ერთხანს კომკავშირის მდივანი და ისტორიის მასწავლებელი ეჭვის თვალით მიყურებდნენ და მიღრენდნენ... მაგრამ მოხდა ისე, რომ სულ მალე შემირიგდნენ და მალე კომკავშირის ბიუროს წევრად ამირჩიეს.

ჩემმა ტოლებმა და მთელმა კლასმა თავიანთ ფალავნად მე გამომაცხადეს, უზომო პატივისცემით მექცეოდნენ. ასე გავერიე დიდ საქმეებში და უფრო გავიზარდე ჩემი ტოლების თვალში. მე კი წამოყოლილი დარდი ისევ გულს მიღრღნიდა და გამოუცნობი წარსულისაკენ მეძახდა.

საშუალო სასწავლებელში კვლავ ქალიშვილები ჰარბობდნენ ვაჟებს, მე ბევრთან ვმეგობრობდი, მაგრამ იმ პირველი სიყვარულის

შემდეგ ჩემი გულის ყველა სარქველი დახურული იყო სხვისთვის. იმ დღეს კი უცნაური რამ დამემართა: პარასკევი იყო. საბაზროდ გამოსულ ხალხს ვერ იტევდა პატარა დაბა. ამ დაბის ხელისდადება ბაღი საესე იყო ახალგაზრდობით. გაკვეთილები დამთავრდა თუ არა, ბაღში შევედი. მოვიხედე და მაგნოლიის ხესთან ორი გოგონა იდგა. ერთში ირინე შევიცანი. დიახ, სულ გამოსახული ირინე იყო. ამ მოლანდებით აღგზნებული ერთბაშად მივადექი მაგნოლიის ხეს. გოგონები ისე იყვნენ გართული საუბრით, რომ ვერ შემნიშნეს. მე უფრო დაჟინებით დავაცქერდი იმ გოგონას, რომელშიაც ირინე შევიცანი და ვიყვირე — ირინე, ირინე-მეთქი — ქალიშვილებმა გაკვირვებით შემომხედეს და სიცილი აუვარდათ. მე შემრცხვა და მივხვდი, რომ ეს იყო მირაჟი. მივხვდი და კიდევ ერთხელ ჩამწყდა გული. მაინც დიდებული იყო ეს მოლანდება, რომელსაც მერე მთელი კვირა ველაციცებოდი.

ჩვენი სკოლის უჯრედის მდივანს ინჩხირელი გლეხისთვის ვირი ეთხოვა. კომკავშირელებმა დიდის ამბით ჩამოიყვანეს ეს დიდყურა და საგანგებოდ მორთეს. ნახშირით სახეშეღებილ, კლუბიდან გამოტანილი პარიკის წვერებით დამშვენებულ ჩვენს ჯგუფელ ბაჩილავას ანაფორა ჩააცვეს და ვირზე შესვეს. ეს ბაჩილავა ერთი უშნოდ აწოწილი, აყლაყუდა ვინმე იყო, მაგრამ უაღრესად კეთილი და ყველას უყვარდა ჯგუფში, ვირზე შემჯდარ ბაჩილავა-მღვდელს მარჯვნივ და მარცხნივ ბერისა და მონაზვნის სამოსით მორთული ორი კომკავშირელი ამოუყენეს, უკან მიუყებოდა ნახშირით სახეგათხუპნული მოსწავლე საცეცხლურით ხელში, მათ უკან კი სასულე ორკესტრი მოდიოდა და სამგლოვიარო ჰიმნს უკრავდა. ორკესტრს უკან მოვყებოდით რაიონის კომკავშირის მთელი აქტივი. ის იყო დაიგუგუნა სასულე ორკესტრმა და აუარებელი ხალხი მოაწყდა ჩვენს სკოლას. პროცესია გაიმართა ნაღალაევის ორ რიგად ჩამწკრივებულ დუქნებს შუა, საკმაოდ ფართო მოედანზე. შემოვუარეთ მთელს დაბას ორჯერ თუ სამჯერ. იყო ერთი სიცილი და ხარხარი... იმავე საღამოს კლუბში ორმოქმედებიანი ანტირელიგიური პიესა დავდგით. სიცილსა და ხარხარს აქაც არ უჩანდა ბოლო...

ამასობაში ორი წელი გავიდა. საშუალო განათლების ატესტატიც მივიღე და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივაშურე. უნივერსიტეტის კარი მოკრძალებით შევაღე და საბუთები წარვადგინე. მდივანი, ქერათმიანი ქალიშვილი დიდხანს სინჯავდა ჩემს საბუთებს. მერე თანმიმდევრობით დაალაგა: სამი ფოტოსურათი, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, დაბადების ცნობა, მოწმობა ჩემი მშობლების შესახებ და ჯანმრთელობის საბუთი. მერე საგამოცდო ბარათი გამომიწოდა (შიგ ჩემი ფოტოსურათი ჩაეკრა), გადმომცა და წარმატება მისურვა.

გამოცდებს სამედიცინო ფაკულტეტზე ვაბარებდი. მამაჩემმა ასეთი პირობა დამიდო: თუ „სადოხტუროზე“ შეხვალ, თვეში ოცდაათ მანეთს გამოგიგზავნი, თუ არა და როგორც შენ გინდოდესო... ოცდაათი მანეთი მაშინ კარგი ფული იყო და მეორეც, მე სხვა სახსარი ცხოვრებისა არ გამაჩნდა. პირობა — პირობა იყო და გამოცდები სამედიცინოზე ჩავაბარე. ისე ლიტერატურა უფრო მიტაცებდა, კაპანელის, კოტეტიშვილისა და სხვათა წიგნები თითქმის ზეპირად ვიცოდი.

მაშინ უნივერსიტეტში შესასვლელად საშუალო სკოლის ყველა საგანს ვაბარებდით. პირველ დღეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამომცადეს. უნივერსიტეტის ერთ დიდ აუდიტორიაში სამასამდე აბითურიენტი შეგვყარეს. გვიძახებდნენ სიით და იმ აუდიტორიებში შევყავდით, სადაც გამომცდელები იყვნენ. ჩემი რიგიც მოვიდა. სათნო სახის შუა ხნის პროფესორმა თავისთან მიმიხმო, ვინაობა გამომკითხა, დამიყვავა და კითხვები ჩამაწერინა. მე მაშინვე სხაპასხუპით დავიწყე პასუხი. შემაჩერა, ნუ ჩქარობო, დაფიქრდიო, დრო გაქვსო. მე გავჯიქდი და გავაგრძელე. პროფესორს გაეღიმა, ბოლომდე მომისმინა და ხუთიანი ჩამიწერა საგამოცდო ბარათში... მოხდა ის, რომ ყველაზე მეტი ნიშანი მე მოვაგროვე და ჩარიცხულთა სიაც ჩემი გვარით იწყებოდა.

და ეს მოხდა იმის წყალობით, რომ მე არა მარტო კარგად ვსწავლობდი, არამედ უზომოდ ბევრს ვკითხულობდი. ეს კია, ვკითხულობდი განურჩევლად, უსისტემოდ, უმისამართოდ, ყველა დარგისა და ყველა დისციპლინის წიგნს, რასაც კი ხელში მოვიგდებდი. აუწონავი იყო ჩემთვის ახალი წიგნის ფასი. სათითაოდ ვუვლიდი, ვინახავდი ყოველ მათგანს...

უცნაურია, წიგნი და წიგნის კითხვა ბაბუაჩემმა და ბებიაჩემმა შემაყვარეს. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდნენ, მე კი დღენიადაგ ჩამჩიჩინებდნენ, წიგნის სიყვარულს მიღვიძებდნენ. ბაბუა მეტყოდა, ისწავლე შვილო, ახლა წიგნის დროაო, უნდა ისწავლო ჩემი წილიც, ბებიაშენის, დედაშენის, შენი წილიც. ე. ი. ათჯერ და ათასჯერ მეტი. და მეც ვკითხულობდი დილასა და საღამოს, გვიან ღამით და დილა უთენია, მაშინაც წიგნი მეჭირა ხელში, როცა სახნავში ხარებს მივუძღოდი და მინდვრად ნახირს ვმწყემსავდი...

წიგნები შევიყვარე და წიგნებმა შეაყვარეს ჩემი თავი ამხანაგებსაც და მასწავლებლებსაც. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ზოგი ენაკვიმატი გამოსაჯავრებლად გენიოსას მეძახდა, მაგრამ მე მაინც წიგნში მჭონდა თავი ჩარგული და მისდამი სიყვარულს ვერც ვერავინ გადამაჩვია.

სტუდენტობის პირველმა დღემ საშუალო სკოლის პირველი დღე შომაგონა. აქაც ისე უხერხულად ვიჯექი მერხზე. ისევ ჩუმად და ფა-

რულად ვზვერაედი, ვაკვირდებოდი და ვაშტერდებოდი ყველას, როგორც ამ სამიოდე წლის წინათ მე-8 კლასის მოწაფეებს, თუმცა ახლა ჩვენ არც წლოვანებით ვიყავით ტოლნი და არც მდგომარეობით. ზოგი, რაიონებიდან ჩამოსულნი, თუ ქალაქელნი ჩაცმულობითაც განვსხვავდებოდით და საქციელითაც. მე და ჩემი ტოლი სტუდენტები ეს-ეს იყო თექვსმეტი წლისანი გავხდით. მაგრამ ჩვენში ერივნენ ისეთებიც, რომლებიც ოცდაათ წელსაც გადაცილებული იყვნენ. ისინი ცალკე ისხდნენ, უფრო ამაყად, ზევიდან დაგვცქეროდნენ. ჩვენ კი ჩუმად ვიცინოდით, ასე გვეგონა, ჩვენთან ერთად ჩვენი მამები ისხდნენ. ეს უფრო ოფიციალურს ხდიდა ჯგუფის ურთიერთობას. ჯგუფში სულ 32 კაცი ვიყავით.

ზარი დაირეკა თუ არა, დეკანის მოადგილე შემოვიდა. ეს ორმოც წელს გადაცილებული, ბურთივით მრგვალი, მსუქანი კაცი სვენებ-სვენებით და ხვნეშით გვიხსნიდა, როგორ მოვქცეულიყავით, რა უფლება და მოვალეობა გვეკისრა. ამ გაჭიანურებული შეგონების შემდეგ ჯგუფხელი ავირჩიეთ, ყველაზე უფროსი, მაღალი და გამხდარი, თმაში უკვე თეთრი ჰქონდა გარეული. დეკანმა გაგვაცნო და ბოლოს დაუმატა, ეს კაცი, გვარად გავაშელიძე სკოლის დირექტორად მუშაობდაო, პარტიის კანდიდატიაო. თქვენ ვალდებული ხართ მას მოუსმინოთ და დაემორჩილოთ. ჯგუფხელს ჯგუფის ჟურნალი საჯაროდ, საზეიმოდ გადასცა.

პირველი ლექციები ფიზიკაში, ანატომიასა და ქიმიაში დამეწყო. ფიზიკის აუდიტორია ქვედა სართულზე, უფრო სწორად, სარდაფში იყო მოთავსებული. მის თავზე, მეორე სართულზე ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციებს. ერთ დღეს ამ აუდიტორიაში შევყავი თავი. ჯგუფში ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა, მიმიწვია და ჯავახიშვილის ლექციაც ერთად მოვისმინეთ. მერე აღარ მომინდა ფიზიკის ლექციებზე სიარული. სიმონ ხუნდაძეს მივადექი. ბატონი სიმონი მაშინ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი იყო, ვთხოვე ისტორიის განყოფილებაზე გადავეყვანე. მომისმინა და ასე მითხრა: ეს შეიძლება, ოღონდ საჭირო გახდება ვინმე მსურველი მონახო, რომელიც ისტორიის სპეციალობას გაგიცვლის სამედიცინო ფაკულტეტზეო. ასეთი მსურველი ერთი კი არა, რამდენიმე აღმოჩნდა. ასე გავხდი იმავე სემესტრში ისტორიის განყოფილების სტუდენტი.

მეორე სემესტრი დაიწყო, პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა ჩაგვიტარა. ცხრილით ვიცოდი, რომ ბატონი ივანე უნდა შემოსულიყო და მოუთმენლად მოველოდი. აუდიტორიაში შემოვიდა, მაღალიო ვერ ვიტყოდით, მაგრამ საშუალო ტანის კაცზე უფრო მაღალი, ნამდვილი ევროპელი, გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი, სუფთად გაპარსული. თეთრი, ქათქათა სახე სინათლეს და სიბრძნეს აფრქვევდა ირგვლივ. შემოსვლისას მოგვესალმა. კათედრაზე საკმაოდ გახუნებული ყვითე-

ლი პორტფელი დადო. შემდეგ კათედრიდან ძირს ჩამოვიდა და დაიწყო საუბარი ხმადაბლა, ნელა, გაბმულად. სტუდენტებმა რვეულები და ფანქრები მოიმარჯვეს, ჯავახიშვილი მღელვარე გონებით საქართველოს ისტორიის უცნაურ ფურცლებს შლიდა. ჩვენ გაფაციცებით ვუსმენდით და ვიწერდით. აუდიტორიაში მხოლოდ ფანქრების შარიშური ისმოდა. მე პირველად როდი ვისმენდი მის ლექციას. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი რომ ვიყავი, ჩუმად, სადღაც, კუთხეში მიმაღული ვუსმენდი, იმ დღეს კი წინა მერხზე ვიჯექი რიხიანად, რადგან სრულუფლებიანი სტუდენტი ვიყავი ამ ფაკულტეტისა. ბატონი ივანე დამაკვირდა და, როცა ლექცია დაამთავრა, ვინაობა გამომკითხა. მე არ დავმალე და ვუთხარი, სამედიცინო ფაკულტეტიდან გადმოვედიმეთქი. ბატონი ივანე შეჩერდა, უფრო ახლო მოვიდა და საგანგებოდ დამაკვირდა. მერე ხმადაბლა მითხრა:

— მაშ თქვენ გადაწყვიტეთ საქართველოს ისტორია შეისწავლოთ? ეს როდია ლუდი, ოღონდ, ყმაწვილო, ექიმობაც დიდი საქმეა. ჩვენ ჩვენს უნივერსიტეტში საგანგებოდ გავხსენით ეს ფაკულტეტი. თქვენ კოლხელი ბრძანდებით და უნდა იცოდეთ, ჩემო კოლეგა, მედიცინამ უნდა გვიხსნას. ვინც კოლხეთის ისტორიას იცნობს, იცის, რომ ამ კუთხის მტერი ციება იყო. ეს სენი ახლაც მუსრს ავლებს დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებს. რაკი ახლა ჩვენს ერს მშვიდობიანი ცხოვრების დღეები დაუდგა, ჩვენი ვალია ვიხსნათ ხალხი ამ სენისაგან. აქ შეჩერდა, ისევ დამაკვირდა, გამიღიმა და განაგრძო: — საქართველო პატარა ქვეყანაა, მიწა ჩვენ ცოტა გვაქვს, მაგრამ ამ ცოტასაც ვერ მოვუვლით. თუ არ გავმრავლდით და ჯანმრთელობა ხალხისა არ დავიცავით, აქ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ექიმს, მაგრამ რაკი ისტორიკოსობა გადაგიწყვეტია, ესეც დიდი რამეა. ჩვენ ისეთი ერი ვართ და ისეთი დიდი წარსულის მქონე, რომ უმადურობა იქნებოდა. კარგად არ გამოვიძიოთ და არ შევისწავლოთ წინაპართა ნამამაცარი.

ერთიც უნდა გითხრათ. სოფელს უნდა მივხედოთ. საქართველო სოფელმა შეინახა. ჩვენ ეს უნივერსიტეტი თბილისელებისა და ქალაქელებისათვის კი არ დაგვიარსებია, არამედ მთელი საქართველოსათვის და ამ მთელს საქართველოს ისე არავინ ინახავს, როგორც სოფელი. თუ თბილისს სოფლიდან გამოქცეული ახალგაზრდები მიეძალა, უშნო, თავკომბალა გახდება და ამას უნდა ვერიდოთ. თბილისია საქართველოს დედა, მაგრამ ის დედა, რომელიც საკუთარი ოჯახის იქით არ იხედება, ის დედა მამულს არასოდეს გამოადგება...

ესა თქვა, თავი დაგვიკრა მე და ჩემს გარშემო მთელ ჯგუფს და აუდიტორიიდან ნელი ნაბიჯით გავიდა.

ბატონი ივანეს ყოველი ლექცია დიდი მოვლენა იყო. დიახ, მოვლენა და ახლის აღმოჩენა მეცნიერებაში. სტუდენტების გარდა მის

ლექციებს მთელი კათედრა ესწრებოდა. ერთნაირი გულისყურით უსმენდნენ პროფესორები და დოცენტები, ასპირანტები და სტუდენტები. ჩვენი პროფესორი უზომოდ თავაზიანი იყო და ასევე მკაცრი მოშთხოვნი. მისგან ვსწავლობდით არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ იმასაც, თუ როგორ დაგეპირა თავი საზოგადოებაში. ბატონი ივანე თბილისის უნივერსიტეტის კარს მიუახლოვდებოდა თუ არა, ზამთარი იყო თუ ზაფხული, ქუდს მოიხდიდა, შემდეგ დიდი მოწიწებით შეაღებდა უნივერსიტეტში და დერეფანში შეხვედრილ ნაცნობსა და უცნობს, დიდსა და პატარას, პროფესორსა და დამლაგებელს მომღიმარი სახით, თავდახრილი ესალმებოდა. ამაშიც ჩვენ პროფესორს ვბაძავდით. იგი იყო ჩვენი მეცნიერულ-მეთოდური მასწავლებელიც და ზნეობრივი მოძღვარიც. ბატონ ივანეს ქართული უნივერსიტეტი უზომოდ უყვარდა და ჩვენც ასევე უზომოდ შევიყვარეთ ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი და მეთაური...

იმ დღეს კი უნივერსიტეტის კლუბში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებაზე ივანე ჯავახიშვილი გააკრიტიკეს...

გავიდა დღეები. ჩვენ შევეჩვიეთ ისტორიის ახალ პროფესორს, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებოდა ბატონ ივანეს და სტუდენტობაც თავისი გზით წავიდა. ახლა უკვე ახალ გაცნობილ მეგობრები ერთმანეთს ვედავებოდით, ვეჩხუბებოდით, ვეკამათებოდით, ვხმაურობდით, ზოგთან ვმეგობრობდით, ზოგთან გულცივად ვიყავით და დაიყო ჩვენი ჯგუფი ქვეჯგუფებად. მერე, როცა მესამე კურსზე გადავედით, ერთმანეთი უფრო გავიცანით, გამოირკვა, რომ ზოგი არქეოლოგობას აპირებდა, ზოგი პოეტობდა ჩვენს შორის, ზოგს თავი მოჰქონდა ნაკითხობითა და განსწავლულობით. და ასე დავდიოდით ახლა უკვე ცალ-ცალკე, ზოგს იღლიაში პოეტის წიგნი ჰქონდა ამოჩრილი, ზოგს კიდევ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების შრომებით ჰქონდა პორტფელი გამოტენილი...

სამედიცინო ფაკულტეტი რომ დავტოვე, ეს მამამ გაიგო და გაჯავრდა. მეც ავდექი და სტამბაში დავიწყე მუშაობა. დღისით ვმუშაობდი, საღამოს უნივერსიტეტში ვსწავლობდი. მუშების საერთო საცხოვრებელში ერთი ადგილი მომცეს. შვიდმეტრიან ოთახში ოთხი ვცხოვრობდით. მაინც იოლად გავდიოდით. საღამოს უნივერსიტეტიდან გვიან მოვდიოდი და, რაც მთავარი იყო, ვიდრე ზამთარი დადგებოდა, მე და ჩემს მეგობარ მუშას სახურავზე გვეძინა. საათი არ გვქონდა, მაგრამ სამსახურში არასოდეს მაგვიანდებოდა. ეს იმის წყალობით, რომ თბილისის აღმასკომის საათის რეკვა მამლის ყივილივით ჩაგვესმოდა ყურში. კოჯრიდან მონაბერ მთის ნიავს ქალაქის საათის ხმა ღია ცის ქვეშ სახურავამდე, სადაც ჩვენ გვეძინა, ისე მოჰქონდა, თითქოს ბალიშის ქვეშ ამოდებული მაღვიძარა რეკდა. შვიდჯერ დაკრავდა თუ

არა. ზეზე წამოვხტებოდი, როგორც სოფელში, მზის ამოსვლას ავასწრებდი ხოლმე. პოეტის სიტყვებს ვიმეორებდი: ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს და პროლეტარულ აბობოქრებას. ღამე. ვიდრე ჩამეძინებოდა, თბილისის ცას. ვარსკვლავებით მოჭედილს, მაღალჭერიან თბილისურ ცას შევცქეროდი. არ ვიცი, ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ, ლექსების წერა დავიწყე. ერთ მშვენიერ დღეს ეს ლექსები პლეხანოვის კლუბის ლიტერატურულ წრეში წავიკითხე. წრეში შემაქეს და მეც, გათამამებულმა. ლექსები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ წარვუდგინე. კვირის ნომერში ჩემი ორი ლექსი დაიბეჭდა. ამით გაამაყებული ისე დავდიოდი რუსთაველის პროსპექტზე, როგორც ნამდვილ პოეტს შეეფერებოდა. ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი ყოველ გამვლელს და გაძოძვლელს და, ასე ძგერნა, ყველა იმათგანს ჩემი ლექსები წაკითხული ჰქონდა და მის ავტორს დაეძებდნენ. მეც ამ გრძნობით აღტაცებული დავაბიჯებდი თბილისის ქუჩებში. ჩემი წლოვანებისათვის და იმ დროისათვის საპატიო პროფესიად მე პოეტობა მიმაჩნდა და სწორედ ამიტომ პოეტობა დავიჩემე. ახლა უფრო მეტხანს მწერალთა კავშირში ეტრიალებდი, ვიდრე უნივერსიტეტში. ერთ მშვენიერ დღეს თავი პოეტად გამოვაცხადე და სამსახურიც მივატოვე. მერე მოხდა ისე, პოეტებმა ახლოც არ გამიკარეს, უნივერსიტეტში კი გამოცხადება და საგნების ჩაბარება მომთხოვეს. მეც ავიღე თავი და ისევ ჩემს უნივერსიტეტს შევაფარე.

მერე მოთხრობების წერა დავიწყე. რედაქციებმა ახლო არ გაიკარეს ჩემი მოთხრობები, მეც ავდექი და ჩემს სოფელში ლიტერატურული საღამო მოვაწყვე. იმ სკოლის დარბაზს, სადაც მე ვსწავლობდი წინათ, აუარებელი ხალხი მოაწყდა. მოხსენების წაკითხვის შემდეგ ეტიუდი წავიკითხე. კითხვა დინჯად დავიწყე: დილა იყო ღრუბლიანი, საწვიმარი შავი ღრუბლები მამადავითის მთას წელამდე ჩამოსწოლოდა, მთაწმინდაზე აღმართული მამადავითის ეკლესია არ ჩანდა. უგუნებოდ ამდგარი არქიპო ფიქრის გორადან გაჰყურებდა მთაწმინდის მთებს და ისედაც მოღრუბლული სახე მთაწმინდაზე შეფენილი საწვიმარი ღრუბელივით ჩამოსტიროდა. გუშინ სამსახურში უფროსთან შელაპარაკება მოუხდა და წუხელ ძილშიც მოსვენებადაკარგული არქიპო იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გამოესწორებინა უფროსთან გაფუჭებული ურთიერთობა.

— არა. მაინც როგორაა მოწყობილი ეს ქვეყანა. არც განათლებით, არც შთამომავლობით (რომელსაც უკვე დიდი ხანია არავინ კითხულობს!) არ გვჯობია და მაინც შენ უნდა დაუკრა თავი და ემორჩილო, მაგრამ.

ეს „მაგრამ“ იყო, ყოველთვის რომ აწვალებდა არქიპოს. ყველა ხომ უფროსი არ იქნება. უფროსი ერთია, დამორჩილებული ათასი და ათი ათასი. ცხოვრებაც ისეთი ჯაჭვია, რომლის ერთი პატარა

რგოლი შენა ხარ და რომ არ გამოვარდე ამ ჯაჭვიდან, თავი მაგრად უნდა გეჭიროს. — ასე ფიქრობდა არქიპო იმ დილას. ფანჯარასთან იდგა და ისევ მთაწმინდას გაჰყურებდა. საიდანღაც ქარი ამოვარდა. თბილისში პირველი ქარი ფიქრის გორას მივარდება ხოლმე და ახლაც ასე იყო. იმ ქარმა აივნის კარები შემოამტვრია და წინა ოთახში გავარდა. წინა ოთახის ოდნავ მიხურული ფანჯარა გაიღო და დამსხვრეული მინები მიწას დაეხეთქა. ახლა კი გონს მოეგო არქიპო. ჯერ აივნის კარი მიხურა, ჩარაზა, შემდეგ ფანჯარას მიჰწვდა, მაგრამ მინებჩალეწილი ფანჯრების ჩარაზვას აბა რა აზრი ჰქონდა. ოთხივე მინა ერთნაირად გამოეცალა ქარს, და ჩარჩოებში შერჩენილი ნამტვრევები ახლა ხელით მოაცილა არქიპომ. საკეტით მაინც ჩაკეტა ფანჯარა და ისევ ოთახში შებრუნდა.

შინ არავინ იყო. მარტო კაცს მოწყინდა, ტანთ ჩაიცვა და ქვემოთ ჩავიდა. ქვემოთ ცოლი შეეფეთა და შავი ღღე დააწია არქიპოს.

არქიპოს, წუხანდელი ამბების გადამკიდეს, სულ დავიწყნოდა, რომ დღეს ცოლი უნდა ჩამოსულიყო სოფლიდან. ბარგითა და ხაბაკ-ხუბაკით დატვირთულ ცოლს არავინ შეხვდა. მერე ძლივს იშოვა ეტლი და სახლამდის მოაღწია. ბარგი გადმოტვირთა და სწორედ ამ დროს შეეჩეხა ქმარი.

— არა, შე უბედურო, გამოჩერჩეტებული რომ ხარ, ეს კი ვიცოდი, მაგრამ ასე მთლად რამ გამოგასულელა, ახლა მიდიხარ ხომ სადგურზე შესახვედრად? შენ მოუკვდი შენს პატრონს!

დაბნეული არქიპო გაოცებული შესცქეროდა გაწიწმატებულ ცოლს და ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა. გონს მაშინ მოეგო, როდესაც ისევ შეუტია ცოლმა:

— რას დგახარ ასე გამოჩერჩეტებული, ხომ ხედავ, რომ მოვედი. ეს ბარგი მაინც აიტანე ზევით, შე არგასახარელო, რამ მოგწყვიტა ეს წელი მაინც არ ვიცი? — და ახლა ჩემოდანი მიაჩეჩა.

არქიპომ ორ ჩემოდანს ხელი ჩაავლო და ხმის ამოუღებლივ მესამე სართულზე აიტანა. უცბად კარი გააღო და შიგ შეიტანა. იხტიბარწამხდარმა არქიპომ, ცოლმა შინ შემოსულს უფრო რომ შეუტია, სიცრუეს მიმართა:

— შე ქალო, შენ თვითონ არ თქვი, სოხუმის მატარებლით ჩამოვალო. სოხუმის მატარებელი ათ საათზე ჩამოდის. ახლა ხომ ცხრა საათია?

ამან მთლად გააგიჟა ცოლი.

— არა, ეს რა გამოგიგონია, სოხუმის მატარებელს როგორ გეტყოდი. სოხუმის მატარებელი ხომ ორ დღეში ერთხელ დადის. — თან შუშაბანდში ჩემოდნების გატანას შეუდგა. ერთი ჩემოდანი გაიტანა, ჩამტვრეული მინები შენიშნა და იყვირა — არა, შე ადრე და მალე

დასაწყებელო, შე მართლა დოყლაპია შენა, ფანჯარაც ვერ მიხურე? დედა, დედა! ეს რა უქნია! — მთლად გადაირია თინა.

პილპილმოყრილი არქიპო ისევ გაშეშებული იდგა. გაშეშებული და გაოგნებული. უცბად უფროსი მოაგონდა და ახლა არც აცხელა და არც აცია და იმ ამბების მოყოლას შეუდგა:

— არა, შენ, შენც ხომ არ მინდობ, აბა ის კაცი როგორ დაგვინდობს ჩვენ, ა?

— რა კაცს ამბობ, შე გამოჩერჩეტებულო, რა კაცს?

როცა უფროსის ამბავი დაწვრილებით მოუყვა არქიპომ, თინა მთლად გადაფიჩინდა, ბოლმა ყელში მოაწვა და ისევ მივარდა ქმარს.

— ხომ გეუბნებოდი, იმ კაცს ნუ გააჯავრებ, ყველაფერი შეუსრულე, ჩვენ იმის მეტი არავინ არ გვყავს-თქვა. შენ კი ისე ეპყრობი, როგორც შენს ტოლსა და სწორს და იყავი ახლა. ახლა ის გაკლია, რომ სამსახურიდანაც გამოგაძუნძულონ. თუმცა რა უნდა გითხრა შენ. ვიცნობ იმ შენ მექრთამე უფროსსაც და უფროსის ცოლსაც. დედა, ისე გადაპრანჭულან, თითქოს დადეშქელიანები იყვნენ, არა და დეიქცა მათი სახსენებელი. აბა, რა ქვეყანაა ეს, მე — ჯაიანის ქალი, ვიღაც ცალქალამანიძის ცოლს, რომელსაც წინათ დედაჩემი მოჯამაგირედაც არ დააყენებდა, ვებოდიშო, თავი დავუკრა და ვემსახურო! არა, არ არის ჩვენი საშველი და ესაა. — ესა თქვა და მეორე ოთახში გავიდა თინა. მერე ისევ გამობრუნდა და ახლა უკვე დაყვავებით უთხრა თავის ქმარს, — ასე ყოფნა არ ივარგებს. ხო და რაც მომიტანია, მიუტანე ახლავე, ჩვენი საშველი არ ყოფილა და არც იქნება. არა, ახლავე-მეთქი, რად დგახარ. თუმცა რა, შენ ამის შნო არა გაქვს.

თინა თვითონ დატრიალდა.

— ახლავე ძირს ჩამომატანინე ყველაფერი ეს, ის ღვინოცა, ის ჩემოდანიც ახლავე-მეთქი.

არქიპო მთლად დაიბნა:

— არა, შე ქალო, რა საჩქაროა ყველაფერი ეს, უფროსი მაინც შინ არ იქნება, აბა, დღეს კვირაა და სახლში გაჩერდებოდა! მოიცადე, ჯერ მოვითქვათ სული, მოვიფიქროთ კარგად, დღე წინაა, სად გაგვექცევა ის კაცი...

თინა უფრო გაწიწმატდა.

უფროსი თუ არ იქნება, კიდევ უკეთესი, მივუტან, მივუალერსებ. ხომ იცი, როგორი ქალია დარეჯანი. გლეხის შვილია, მაგრამ ყველაფერი იცის, ვერაფერს გამოაპარებ. ჰოდა, მომეშველე-მეთქი. — და ისევ შეაჩეჩა ხელში ჩემოდანი და ღვინით სავსე კასრი. კარი გააღო და უბრძანა:

— ეტლი მიშოვე სადმე!

არქიპო ხმის ამოუღებლად გაძუნძულდა, იქვე ეტლი იდგა, ცოლი

ჩასვა და ისევ სასლისაკენ შეტრიალდა. არქიპოს, დაღლილსა და დაქანცულს, კაცის ფერი აღარ ედო, ბარბაცით შეეიდა ოთახში. პალტო ძთვრალი კაცივით გაიხადა და ტახტზე ჩამოჯდა.

— არა. სხვის ნასუფრალს მიძუძგურებულ კაცზე საცოდავი არაეინაა. ჩემი უფროსი სხვისი კაცია, მე კიდევ იმის კაცის-კაცის კაცი! აუ, რა სასაცილოა ყოველივე ეს. ამაზე დამამცირებელი არც არაფერია ამ ქვეყანაზე. კაცის კაცი იგივე მონაა, კაცი ის არის, ვისაც თავის თავი თვითონ ეკუთვნის და არც არავიზეა დამოკიდებული. არა, სომ არიან ასეთი კაცებიც! დიახ, არიან, არიან. ნამდვილი თანასწორობაც ამ ნიადაგზე თუ შეიქმნება? — ამას ლუღლუღით ამბობდა არქიპო და ხელებს ისე იქნევდა, თითქოს აბეზარ ბუზებს იგერიებსო. — ჰო, შენი თავი შენ უნდა გეკუთვნოდეს, შენი თავის უფროსი შენ უნდა იყო და არც არავის უნდა ჰქონდეს უფლება შენზე იბატონოს და ითრეშოს. პიროვნების ამგვარი თავისუფლება, აი რა არის უმაღლესი თავისუფლება ჩემო... — ეს თქვა და უცებ თავისი ცოლი და უფროსი მოაგონდა. მოაგონდა, თავი გადააქნია და დადუმდა არქიპო...“

კითხვა დავამთავრე და შვებით ამოვისუნთქე, წინ გავიხედე. მერხზე ძლივს ეტეოდა ერთი ახმახი, შუახნის კაცი. აღგზნებული თვალებით შემომხედა და ბოროტად შემესიტყვა:

— ერთი მითხარი, ეს ამბავი. შენ რომ გვიყვები, როდინდელიაო.

მე სხაპასხუპით ვუპასუხე, ძველია-მეთქი.

— თუ ძველია, მერე შენ საიდან იცი ეს ძველი ამბები. მოსწრებიხარ შვილოსა, გინახავს თუ...

დარბაზში ვიღაცამ გაიცინა. ამას კი არ მოველოდი და მართალი გითხრათ, დავიბენი. და როცა სიცილი მიწყდა, თუთიყუშივით გავიმეორე:

— არა, ახალია-მეთქი.

ისევ ადგა ეს ახმახი კაცი, დარბაზს მიუბრუნდა და ისევ როხროხით თქვა: — ჰოდა, ასე თქვი, შე კაცო. მაშ ახლაც თუ ასეა, რას მიადექით იმ ძველ დროს და არ დაასვენეთ, სანამ არ დააქციეთ, რა, უკეთესი ააშენეთ თუ?

ესა თქვა და დარბაზში ისევ ატყდა სიცილი. სწორედ ამ დროს ერთი ახალგაზრდა წამოდგა, ხელები ამ ახმახი კაცისაკენ გაიშვირა და გამომწვევად მიმართა:

— რა, პავლე! არ მოგეწონა ბატონკაცების კრიტიკა ხო? რას ერჩი ამ ყმაწვილ კაცს, სწორედ რომ მართალს ამბობს...

ახლა პავლე აყვირდა... ამასობაში დარბაზი აირია, მე ვიდექი ნირშეცვლილი და მდგომარეობა რომ გამომესწორებინა, მეორე ეტიუდის კითხვას შევუდექი:

„ფიქრის გორაზე თეთრი სახლია. ამ ხუთსართულიან სახლს ერთი

სადარბაზო აქვს და მაინც იქ იშვიათად ნახავთ უსაქმურად გაჩერებულ, მოჯორავე ქალებსა და კაცებს, რომელთაც ხშირად შეხვდებით ჩვენი დალოცვილი ქალაქის ეზოებსა და სახლებში. შეიძლება ეს იმიტომ, რომ მთელს ეზოში ორად ორი დიასახლისია; სხვები ყველანი მუშაობენ. ხოლო ეს ორი დიასახლისიც ისეა დატვირთული საშინაო საქმეებით, რომ ქუჩაში საჭორაოდ კი არა, ოჯახში სალაპარაკოდაც ვერ იცლიან. ჰოდა ასეა, ვისაც შრომისაგან ხელები აქვს დაკოჟრილი, ოფლისაგან შუბლი დაღარული, იმასთან ჭორი და უსაქმურობა ერთ ღამესაც ვერ გაათევს. იმ საღამოსაც დიდი მყუდროება მეფობდა ფიქრის გორაზე. ეს მყუდროება ერთბაშად დაარღვია თეთრი სახლის სადარბაზოში შეგდებულმა კატის კნუტებმა. საცოდავად კნაოდნენ, ყოველ გამვლელს მისტიროდნენ და შველას თხოვდნენ.

თუ მოგისმენიათ დამშეული კატის კნუტების კნავილი, ამაზე შემაზრზენი არა არის რა ქვეყანაზე. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, თეთრი სახლი კნუტების კნავილმა რომ შეძრა. ჯერ ბავშვებმა და ქალებმა შეიცხადეს კატის კნუტების კნავილი და კარებს ეცნენ, მერე მამაკაცებმაც გამოყვეს თავი სადარბაზოში და ატყდა ერთი ხმაური და კამათი თეთრ სახლში. მერე გამოჩნდა კეთილი დედა და შვილებისათვის მამასისხლად ნაყიდი რძე კატის კნუტებს მიურბენინა. რძე შესვლიპეს და დამშვიდდნენ კნუტებიც.

შუაღამე გადაცილებული იყო, როდესაც კვლავ შემაზრზენი კნავილი ატეხეს კნუტებმა. იგივე ქალი გარეთ გამოვიდა და სახლში შეიყვანა. ისევ დამშვიდდა თეთრი სახლი. მუქთახორა კატის კნუტები ძილსა და ჭამაში ატარებდნენ დროს, მაგრამ თვალი აეხილათ თუ არა, მაშინათვე გაეცალნენ იქაურობას, არ ისურვეს მუქთახორად ყოფნა და ვირთხებს დაერივნენ.

შეგონება: კატის კნუტები ხომ საცოდავნი იყვნენ და შემაზრზენნი, მაგრამ არაფერი ისეთი საცოდავი არ არის, როგორც კატის კნუტად დაბადებული ადამიანი, მუდამ სხვისი ნაშრომის შემყურე და...“

კითხვა არ მქონდა დამთავრებული, ისევ ის კაცი ავარდა, შავი, ჯაგარივით მსხვილი ულვაშები გადაიგრიხა და იყვირა:

— კნუტების ამბავი, შვილოსა, აჭ რა მოსატანია. კატა ერთი კი არა, ბარე ხუთი მყავს თავის კნუტებიანად სახლში. მაგრამ მისგან არც გვაცხელებს და არც გვაციებს. ჩვენ ის გვითხარი, ომი იქნება თუ არა, წელს პურის მოსავალი რატომაა ცუდი ან ჩვენი მაღაზიებიდან შაქარი და პური რად გაქრა. აი, ამაზე გვითხარი, შვილოსა, ამაზე...

სოფლის არტისტივით მთლად დავიბენი, მაგრამ, თითქოს სუფლიორმა მიკარნახაო, შევესიტყვე მოკამათეს.

— ნუთუ ვერ გაიგე, ძიაკაცო, სწორედ ამაზე მოგახსენებდით,

რომ ის ბიუროკრატები და მუქთახორები, გადარჩენილი კლასობრივი მტრები რომ არ გვიშლიდნენ ხელს, ყველაფერი გვექნებოდა: პურიც, შაქარიც და კარაქიც.

ამაზე მთლად გადაირია ჩემი მოკამათე.

— შე ოჯახკეტიანო, თუ ყველა მტრად გამოაცხადეთ, ვისთვის გინდათ ეს სახელმწიფო.

პავლე ყოველივე ამას დიდი გაბოროტებით ამბობდა. საქმე ის იყო, რომ პავლეს, მდიდარ გლეხს, ხე-ტყით განთქმულ ჩვენს კუთხეში დიდი სახერხი ქარხანა ჰქონდა და უზომო შემოსავალი შემოსდიოდა. კოლმეურნეობა რომ დააარსეს, იმ წელს სახერხი ქარხანა ჩამოართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. გაბოროტებული პავლე ყოველ საღამოს კომუნისტებს წყევლიდა და რაღაც სასწაულს ელოდა. წლები გადიოდა და სასწაულს აგვიანდებოდა. პავლე უფრო და უფრო ბოროტდებოდა. მე ჯერ არსად მენახა ასეთი ბოროტებით, ბრაზით, ღვარძლით გამსჭვალული თვალები.

მაშინ ვიგრძენი პირველად, ადამიანები მარტო ფერითა და სახით კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ უფრო დაფარული გრძნობით და ვიგრძენი, რომ ჩემს მოკამათეს ეზიზღებოდა და სძულდა მის გარშემო ყველა და ყველაფერი. დიახ, მე მივხვდი, რომ ის კლასობრივი ზიზღი და სიძულვილი, მის ბინძურ გულში ჩაბუდებული, ახლა ბიოლოგიურ სიძულვილში იყო გადაზრდილი და, რასაკვირველია, მისი მორჯულება კეთილ სიტყვას აღარ შეეძლო. გაღიზიანებული, გაბოროტებული მზად იყო შამფურზე ავეგე, ცეცხლში შევეწვი... გულში ფიცი დავდე, რომ არც არაფერი დამეთმო ასეთი ადამიანებისათვის. ახლა სამაგიეროს გადახდის ჟინი დამებადა, მაგრამ როგორ უცბად მომაგონდა, რომ საჭირო იყო გამეგრძელებინა კითხვა. უფრო იმ კაცის გულის გასახეთქად, ნიშნის მოსაგებად მთლად აღგზნებული და აღტაცებული შევუდექი კითხვას. კითხვა გავათავე და ტაში დამიკრეს, უფრო იმიტომ, რომ საზოგადოებამაც შეატყო პავლეს გაბოროტება და მე მომემხრო. პირველად ვიგრძენი მხარდაჭერის ძალა და სიამაყე შეუდგა ჩემს გულს. მოწინააღმდეგე მაინც არ მომეშვა. ადგა, კატის კნუტი, კატის კნუტიო, ჩაიქირქილა და გარეთ გავიდა.

წვალებით მოწყობილი ეს საღამო ჩამშხამდა და მეორე დღესვე თბილისისაკენ გამოვწიე.

საგაზაფხულო გამოცდები დიდის გაჭირვებით ჩავაბარე. არ ვმუშაობდი. ორი ეტიუდისა და სამიოდე ლექსის პატრონს შიმშილისაგან კუჭი მეწვოდა. სხვა გზა არ იყო და ისევ სოფელს მივაშურე. დამდურებულ მამაჩემს პოეტობის პასპორტად ჩემი დაბეჭდილი ლექსები წარვუდგინე. მამაჩემმა ამხედ-დამხედა და მისთვის ჩვეული სიმშვიდით მკითხა:

— რა არის ეს, შვილო?

— ლექსები! — ვუპასუხე მე. და რომ ძალა მიმეცა ჩემი პასუხისათვის, დავუმატე — აკაკი ხომ გაგიგონია, მამა, ჰოდა, მეც აკაკიევით პოეტი ვიყო.

მამაჩემი ხელოსანი კაცის პირობაზე ბევრგან ნამყოფი და ბევრის მნახველიც იყო. ქართული და რუსული ჩინებულად იცოდა.

— აკაკი არათუ გამიგონია, ვიცნობდი კიდეც, მილაპარაკნია კიდეც მასთან. მაგრამ აკაკი მარტო ლექსების მწერალი კი არ იყო, ღმერთკაცი იყო, დიახ, ღმერთკაცი. ბევრნი ბაძავდნენ, მაგრამ იმისთანა სხვა არავინ მინახავს. აქ, ჩვენს სოფელში, ერთი სულელი ბათუა. თუ გაგიგონია, ჰოდა, ისიც ლექსებს წერს და ასე ამბობს, აკაკი ვარო, მაგ სიტყვა მეორედ არ წამოგცდეს, შვილო, სად აკაკი და სად შენ? ჩემთვის რომ დაგეჯერებია, სჯობდა ექიმი გამოსულიყავი. ჩვენს გაპირებას ექიმობა უფრო წაადგებოდა. ახლა, ახლა შენ იცი. ოღონდ, იმ ღმერთკაცს თავი ანებე. — ესა თქვა და დამდურებულივით გამეცალა. პასუხიც ვერ მოვასწარი.

ამით გაჯავრებული იმ კვირას სკოლის დირექტორს შევუთანხმდი და ისევ ლიტერატურული საღამო მოვაწყევ. მართალია, საღამოს ათიოდე კაცი დაესწრო, მაგრამ მე მოხსენება მაინც დიდი რიხით წავიკითხე. თანამედროვე მწერლობა დავახასიათე, ფუტურისტებს და არიფიონისტებს შევუტიე. პროლეტარული მწერლობა ცამდე ავწიე, რაც კარგი ლექსი იყო, მათ სახელს მივაწერე, გ. ტაბიძის „კოლექტივო მხარი მხარს“... „აბა ჰე, აბა ჰე...“ ზეპირად წავიკითხე და ერთი ჩემი მეგობრის ლექსად დავასახელე. მაშინ არც აცხელა და არც აცია იმ სულელმა ბათუმ და ადგილიდან წამოიყვირა: — არა, ეს ლექსი გალაკტიონისაა. — ახლა კი გავჯიქდი, რა ქალაქელი პოეტი ვიყავი თუ ჩემს ნათქვამს არ დავიცავდი? და დავიწყე ტყუილების მტკიცება. მართალია, გალაკტიონის ლექსი ჰგავს ამ ლექსს-მეთქი, მაგრამ სიტყვის დამთავრება არ მაცალა, გვერდით ამომიდგა. ხელები გაშალა და გალაკტიონის ამ ლექსის კითხვას შეუდგა. საქმეში დირექტორი ჩაერია და ინციდენტი ამოწურულად ჩათვალა. ეს უსიამოვნება რომ გამეფანტა, მოხსენებას ჩემი ორი ლექსი მივაყოლე და დავუმატე: ეს ლექსები „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა-მეთქი. ლექსები მოეწონათ. ტაშით დამაჯილდოვეს. მართალია, სულ ათი კაცი უკრავდა ტაშს, მაგრამ შორიდან მაყურებელს დარბაზი სავსე ეგონებოდა. ამით გათამამებულმა კიდევ ორი ლექსი წავიკითხე და ზედ მივაყოლე, ეს ლექსები „მნათობში“ იბეჭდება-მეთქი. გადაცემით მართლა გადავეცი „მნათობის“ მდივანს, მაგრამ ისე ცივად ჩამომართვა, უინტერესოდ გადაიკითხა და დამადლებით დაიტოვა, სახეზე არც კი შემოუხედავს. ვიცოდი, განწირული იყო მისი ბედი, მაგრამ აქ მყოფთაგანმა ეს ამბავი არა-

ვინ იცოდა და ამიტომ ადვილად დავიტრაბახე. კამათში არავინ გამოსულა. უეცრად იმ სულელმა ბათუმ მოითხოვა, მეც წამაკითხეთო ლექსები, ვნახოთ ვისი აჯობებსო. მაგრამ სკოლის დირექტორმა კვლავაც მხარი დამიჭირა და კრება დახურულად გამოაცხადა. ვიღაცამ ჩაილაპარაკა, რად არ უშვებთ მაგ კაცს, მაგის ლექსები ჯობია იმას, რაც ახლა მოვისმინეთო. მე თითქოს არაფერი გამიგია, ისე თავაწეული გამოვედი დარბაზიდან. შინისკენ კმაყოფილი გამოვსწიე, მამა გვერდით მომყვებოდა, ხმას არ იღებდა, ისე კი ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა. ეს შევნიშნე და ვკითხე:

— როგორ მოგეწონა, მამა, საღამო?

— არა უშავდა, შვილო, ოღონდ ერთი მეწყინა. იმ ბათუს რა უნდოდა? ვფიქრობ და ყველაზე უფრო იმის მეშინია, იმას არ მიგამგვანონ, არ გამოგჯაყონ ქვეყანაზე.

იმ ზაფხულს ჩვენს სოფელში თბილისელი ქალი ჩამოვიდა. მისი ნათესავი, რომელთანაც იგი დაბინავდა, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. ჩემმა მეზობელმა ჩამოსული სტუმრის საპატივცემულოდ პატარა ნადიმი გამართა და მეც მიმიწვია. ჩემი თავი დიდის ამბით გააცნეს, უნივერსიტეტის სტუდენტიაო. ქერათმიანმა ქალიშვილმა ამხედ-დამხედა და გამიღიმა. ვცადე სუფრაზე თავი გამომეჩინა. ყოველ სადღეგრძელოზე სულ იმ ქალს მივჩერებოდი, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი შევატყვე. მერე ისევ ჩემი მეზობელი ჩაერია და მთხოვა, აბა შენ იცი, შვილო, ჩვენი სტუმარია, არ მოაკლო ყურადღება, იარე ჩვენ'საო... მეც ყოველდღე დაბარებულივით მათთან ვსაუბრობდი და ვსადილობდი... მერე ავიყოლიე ეს თბილისელი ქალიშვილი და მთელი რაიონი შემოვატარე. რა არ ვაჩვენე, რა არ ვანახე. მერე ისევ სკოლის დირექტორს შევუჩნდი და წარმოდგენა მოვამზადეთ. კარგად არ მახსოვს, ვისი იყო ეს პიესა. ის კი მახსოვს, რაღაც სულელური სამკუთხედი იყო. ერთი ქალიშვილი ორ ვაჟიშვილს მოსწონდა და ამის თაობაზე იყო დიდი ცილობა და მიწევ-მოწევა. ქალიშვილის როლს თბილისელი სტუმარი ასრულებდა, ხოლო ერთ-ერთი შეყვარებული ვაჟთაგანი მე ვიყავი. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. და სწორედ მაშინ, როცა სულგანაბული უსმენდნენ შეყვარებულთა დიალოგს, მე როლში შევიჭერი, მივვარდი ამ ქალიშვილს და ვაკოცე. ეს საკვირველი მოულოდნელი იყო. თბილისელი სტუმარი არ დაიბნა, სილა გამაწნა და ის იყო ვიღაცამ დაიყვირა — ფარდა, ფარდაო. დახურეს ფარდა, მე მეორე ოთახში გავსდიე ჩემს შეყვარებულს, მაგრამ არ მოუხედავს, ისე მოკურცხლა შინისაკენ. ჩაიშალა წარმოდგენა, ხოლო სოფელს საჭორაო გაუჩნდა. ამით განაწყენებული სტუმარი მეორე დღესვე გაემგზავრა თბილისს. ახლა მეზობლებმაც ამითვალისწუნეს. მამა ცალკე მიღრენდა, დავფიქრდი და მივხვდი, რომ ცუდად გამოვი-

და. საქმის გამოსწორება ვცადე და წერილი მივწერე თბილისელ ქალიშვილს.

„ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო მარიკა! კეთილო და მართალო, ძლიერო და ლამაზო, მშვენიერო და ამაყო... მე შენს სიამაყეს მტლად დავედები, მე შენს სილამაზეს დარაჯად დავუდგები. შენს მშვენიერებას ჩემს ლექსებში შევაქებ. შენ, ჩემო სალოცავო ხატანგელოზო! მიიღე ჩემი სალამი, მხურვალე გრძნობით, კეთილი სურვილებით და, და... მეც, მეც მინდა მყავდეს ფიქრებისა და ოცნების მესაიდუმლე, გვერდით მეგულებოდე, ჩემად ვთვლიდე, რომ მეც ავმაღლდე და სიამაყით გავიარო ქუჩებში. დიახ, ზეცამდე ავმაღლდე. ხომ იცი რამსიმაღლეა დალოცვილი ცა. გახსოვს იმ საღამოს, ერთად რომ ვიყავით გორაზე, მაშინ შენც დამეთანხმე, რომ ასე მაღალი ზეცა არსად არ არის, როგორც ჩვენში. ო, რა ბედნიერი ვიყავი იმ საღამოს! წახვედი და დავკარგე მშვიდობა სულისა. წახვედი და აქ სრული სიცარიელე დარჩა. ყველგან გეძახი და ხმა ვერ მომიწვდენია. სად ხარ, სად? ამ დროს, როცა ყველაფერი ხარობს ჩვენს სოფელში, აბიბინებულა მდელო და ვაზი, რად წახვედი, რად დაგვტოვე. ასე მგონია, რომ მარტო ვარ, სულ მარტო. ჩემს გარშემო ყველაფერი ყვავის და ხარობს, ჩემს გულში კი ზამთარია. ეს ორი დღეა ამინდი შეიცვალა, შხაპუნა წვიმა მოვიდა. წუხელ მთელი ღამე წვიმდა და სახურავზე ქარი დაჯირითობდა. ასე მეგონა ვიღაცა უცნობი შემოიპარა ფანჯარაში. თვალები ფართოდ გავახილე, სიბნელეში ვერა გავარჩიე რა. ჩუმად შენი სახელი დავიძახე, მარიკა, ჩემო მარიკა, ჩემო მეგობარო, შენ კი არსად ჩანდი. მარტო წვიმდა და წვიმდა. ნაღველი მოერია ჩემს გულს და ასე მეგონა, რომ ვიღაცა ჩემს საწოლში შემოძვრა. უხილავი. მაგრამ ჩემგან განუყრელი და ჩემი სულის ნაწილი. ერთხანს დავმშვიდდი, ამ მირაჟით ვინუგეშე თავი. თუმცა სული ჩემი მაინც არ მშვიდდებოდა და ბორგავდა. ბორგავდა და ეძებდა რაღაც გამოუცნობს, ეძებდა და ტიროდა სული ჩემი, ალბათ მიხვდები, რომ ჩემი დარდიც ჩემი ფიქრიც, ჩემი სევდაც ჩემი სიყვარულიც შენა ხარ. აწ შენით თუ გავიხარებ ქვეყანაზე. ჰოდა, ნუ გამიწყრები, ჩემო კეთილო, თუ რამ ვაწყენინე ჩემს საყვარელ არსებას. ეს მხოლოდ სიყვარულის ბრალია და არცა მსურს ბოდიში მოვიხადო შენს წინაშე, ჩემო სალოცავო. მარიკა, ჩემო მარიკა, ხმა გამეცი. თუ დამიჯერებ, წუხელ მთელი ღამე არ მიძინია, შენს სახელს ვბოდავდი, შენს სახელს ვახსენებდი, შენზე ლოცვით გავატარე მთელი ღამე. დილას ჩამეძინა და მეზმანა: მე და შენ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე დავსეირნობდით. მე შენით მოხიბლული რაღაცას გემუდარებოდი, შენ კი რაღაცის გამო მიწყრებოდი. მთელი რუსთაველი ისე ავიარეთ, რომ ვერა და ვერ მოვიგე შენი გული. ელბაქიძის დაღმართზე რომ

დავეშვით, მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე შვებით. შენ მითხარი, მოდი, ბაღში შევისვენოთო. ელბაქიძის დაღმართის იმ ხელისგულივით პატარა ბაღში შევედით, სკამი არსად იყო თავისუფალი. გული ჩამწყდა და კიდეც გამომელვიძა. ვნატრობდი, ისევ ჩამძინებოდა და სიზმარი გაგრძელებულიყო. მაგრამ არც ძილი მეკარებოდა და არც სიზმარი მოსვენებადაკარგულს. მერე ავდექი და ეს წერილი დავწერე. თითქოს რაღაც მძიმე სევდა მოვიცილე სულიდან. დღეს ამ ბარათს ჩემს ბიძაშვილს გამოვატან და იცოდე, შენგან მოველი პასუხს და იმედს, ჩემო მფარველო ანგელოზო“.

ეს წერილი გავატანე ჩემს ბიძაშვილს. საკუთარ ხელში გადასცა მარიკას. თბილისიდან იმ დღესვე დაბრუნდა ჩემი ბიძაშვილი და ამბავი მომიტანა, — იქვე გახსნაო ბარათი, კითხულობდა და ეცინებოდაო. რომ დააშთავრა, გაიღიმა და მითხრაო, როგორც ჩანს, შენი ბიძაშვილი ცუდი პოეტი არ ყოფილაო. კარგიო. მაგრამ მე ვერ გავიგე რას ნიშნავდა ეს სიტყვები. ბიძაშვილი ჩამაჯინდა, რა ლექსი მისწერეო ასეთი, ასე რომ მოეწონაო მარიკას. ისე გავიდა ერთი თვე, რომ საპასუხო წერილი ვერ მივიღე. ერთი თვის მერე რომ გადავიკითხე ამ წერილის შავი, მე თვითონ მივხვდი, რომ რომანებიდან ამოკითხული ეს სხვისი სიტყვები რაღაც უცნაურად იყო შეკოწიწებული. ალბათ იმიტომ თუ ეღიმებოდა ამ წერილის კითხვის დროს მარიკას. ამ თვის ბოლოს დავკარი ფეხი და თბილისში ჩამოვედი. იმავე საღამოს დიდუბეში გავჩნდი. მისმა ძმამ ცივად მიპასუხა „მარიკა ბორჯომში დასასვენებლად წავიდაო“. ნაცემი ძაღლივით გამოვბრუნდი უკან.

სახლში მოვედი, ვერ დავისვენე, გამოუცნობი იჭვი ღრღნიდა ჩემს სულს, ვაითუ მარიკას სხვა უყვარს და მე ვერ დავიდო ბინა მის გულში-მეთქი. იმ საღამოს ჩემს მეგობარ პოეტს ვესტუმრე, აღებული ჰონორარიდან ხუთი მანეთი ვესესხე და ბორჯომს მივაშურე. მთელი ორი დღე ვიხეტიალე ბორჯომის პარკში, ვიდრე მარიკას გადავეყრებოდი. ჩანჩქერთან იჯდა სულ მარტო, დაღონებული და დაფიქრებული. უკნიდან მივეპარე და თვალებზე ხელები მივაფარე, ისე, როგორც ბავშვობაში მითამაშია კუკუმალულობა და რიხიანად ვკითხე, აბა გამომიცანი-მეთქი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ჩემი სახელი დაასახელა და ხელები მოიშორა. მიბრძანა, აი მანდ ჩამოჯექიო, მეც პატარა ბავშვივით დავმორჩილდი და იქვე შორიახლო ჩამოვჯექი. საიდან, როგორ გაჩნდი აქო, — თითქოს სხვათა შორის მკითხა. შენს სანახავად ჩამოვედი, უშენოდ ვერ გავძელი-მეთქი. გადაიკისკისა, დედას გეფიცები-მეთქი, ისევ გადაიკისკისა. პატარა ბავშვი ვჩანდი მის წინაშე, უმწეო, უსუსური.

სულ ბანზე მიგდებდა სიტყვას, იცინოდა, იღიმებოდა. პირდაპირ პასუხს გაურბოდა და თითქოს შორს იყო ჩემგან. ეს ვიგრძენი და

დავდუმდი. მეწყინა, თვითონაც შემატყო და ახლა ჩვენს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნება რომ დაეფარა, თვითონ შემომთავაზა, მოდი ზევით, ბორჯომის პარკში ავიდეთო. ირემივით ყელი მოიღერა და აღმართს შეუდგა. მე გამოვეკიდე ენად გაკრეფილი და მოსვენებას არ ვაძლევდი. ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით ვუხსნიდი გულის დარდს, რომ მერე ამ სიტყვების თვითონვე მრცხვენოდა. როცა ამ ხეტიალსა და სიცილ-კისკისში დაიღალა, ერთ ხესთან გაჩერდა, ხელით მანიშნა, შენც შეჩერდიო და ჯარისკაცივით სმენაზე დამაყენა.

— იცი, რა გითხრა, ჩემო გურამ, ახლა წადი თბილისში, შენს საქმეებს მიხედე, და თუ შენ კიდევ ამ აზრისა იქნები, რასაც ახლა სიტყვებით მიმტკიცებდი, ჩანს, მართლაც გულით ამბობ ყოველივე ამას, მაშინ ვნახოთ იქ, თბილისში... მე კი მგონია, ეს ყველაფერი ზერელე გატაცების ბრალია, ანდა, უბრალოდ მორიგი სასიყვარულო თუ სანადირო გასეირნება ბორჯომის ხეობაში, არა?

— არა-მეთქი, — ვიყვირე. — გეფიცები ყველაფერს, ვინცა მყავს და რაც კი მწამს, მიყვარხარ, მიყვარხარ თავდავიწყებით!

ეს ვთქვი და უკან მოვიხედე. მზია წამოგვადგა. ჩვენი თბილისელი ნაცნობი. მზია ერთი კეთილი გულის, მაგრამ თავზეხელაღებული ალქაჯი ვინმე იყო. სიტყვაც არ მქონდა დამთავრებული, ისე მომაყვირა, გურიკო, გაიმეორე, გაიმეორეო. ჩემს ყურებს მოესმა, თუ ნამდვილად შენ ამბობდი ამასო. ახლა ზევიდან მოგვიარა, ფერდობზე შედგა და გაწვრთნილი არტისტივით თვითონ გაიმეორა ჩემი სიტყვები. მე შემრცხვა, თავი ძირს დავხარე, ერთბაშად გამოვეთხოვე ქალიშვილებს და თბილისისკენ გამოვწიე — გალახული და გამოაშკარავებული. ახლა იმასაც მივხვდი, რომ თურმე შეიძლება მეორედაც შეიყვარო გულის ტოლი და შეიყვარო ნამდვილი გატაცებით...

●

ივანე ჯავახიშვილი ისევ აღადგინეს უნივერსიტეტში. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე ისევ ჩემს პროფესორთან დავიწყე მუშაობა.

გუშინ ახალმა რექტორატმა უნივერსიტეტში ბალ-მასკარადი მოაწყო. ვიღაც ამბობდა, მე ძველებური ბალებისა და მასკარადის მონაწილე ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავსო. მერე ისიც უნივერსიტეტში! ჩვენი ახალგაზრდობა და მეცნიერები ნიღბებით, საოცარი ფერად-ფერადი ნიღბებით მორთულ-მოკაზმულნი უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და კლუბში ირეოდნენ. 107-ე აუდიტორიასა და კლუბში ორკესტრი უკრავდა, კიბესთან — არღანი. არღანს გარს ეხვია ყარაჩოხელებისა და კინტოების ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრ-

დები. დერეფნებსა და აუდიტორიებში თავბრუდამხვევ ვალსს ცეკვავდნენ. თვით რექტორმა პირველმა გამოიწვია ვიღაც ნიღბოსანი გოგონა. ამით გათამამებული მთელი ახალგაზრდობა ცეკვავდა, რაღაც საოცარი ზეიმი იყო. აი თურმე, როგორ იცვლება ყველაფერი. მე მახსოვს, უნივერსიტეტში სტუდენტ ვაჟებს გალსტუკის გაკეთებას უკრძალავდნენ, ქალიშვილებს — ფრჩხილების შეღებვას... არა, ცხოვრებას თავისი გააქვს...

იმ საღამოს ერთი რომანტიკული ამბავი მოხდა, რომლის გმირი მე ვიყავი. ეს ახალგაზრდული სამიჯნურო ხუმრობა იყო, მაგრამ განუყოფელი ნაწილი ჩვენი ცხოვრების, მე მინდა ჩემმა ჩანაწერებმა ეს სურათიც ასახოს. მაშ ასე:

— რა საინტერესო ვარდი გაქვს, ჩემო!

— ვითომ მარტო ვარდია საინტერესო?

— არა, საკითხავი ეს არის, ეს ვარდი შენ გამშვენებს, თუ შენ ამშვენებ ვარდსა?

— პირბადე რომ მოვიხადო, თავად იტყოდით.

— ისედაც მივხვდი. ვარდს შენთვის მოუპარავს სილამაზე.

— ჰოდა, ეს ქურდი შევიპყარი და ხელთ მიჭირავს.

— როგორც შენი სილამაზის სადარი განძი.

— წარმოდგენა ამ ვარდის მიხედვით შეგიძლიათ იქონიოთ ჩემზე.

— თუ ასეა, მაშინ მე თქვენს ხელს ვითხოვ.

— ვინც ჩემს ხელს ითხოვს, იმას მე დავავალებდი ჩემი სილამაზის ქურდი — ეს ვარდი დასჯოს. არ მსურს, ის ჩემი მეტოქე იყოს.

— მაშინ ხომ საქართველოში მთლად უნდა გავკაფოთ ვარდები!

— რაღაც სასაცილოს ამბობ, არა?

— არა, მე სერიოზულად მოგახსენებთ. ეგებ სჯობდეს, ორივე ერთად მოვიტაცო — ვარდიცა და მისი პატრონიც, რომ ჩემს ოთახს ორივენი ამშვენებდნენ!

— ეს ძვირად დაგიჯდებათ!

— არაფერს დავიშურებდი, უკან არ დავიხევდი შენი სიყვარულის წინაშე, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა!

— ნუთუ არიან კიდევ ასეთი რაინდები! თუ ტრაბახია ეს?

— მე ჭირივით მძულს ცარიელი სიტყვების ხარჯვა, რასაც ვამბობ, კიდეც ავასრულებდი!

— თუ გახსოვთ ლექსი „საამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ეპყრას. მაგრამ ვინ სცნას ვინა სუნავს, ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას?“

— ეგეც მახსოვს და მეორეცა:

და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება,
თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ!

— ჰოი, მწარე ხვედრი კაცთა მოდგმისა!

— მძულს სხვისი სიტყვებით რომ მელაპარაკებიან ხოლმე. შენა გგონია ვერ მივხვდი, ვის სიტყვებსაც იმეორებ?

— თუ მიხვდი, მით უკეთესი, ის სენი ნამდვილად მეც შემეყარა, რითაც იყო დაკოდილი გული იმ ჭაბუკისა, ვისაც ეკუთვნის ეს სიტყვები.

— იმ ჭაბუკის მოგონება უადგილოა, ვერტერის დრო დიდი ხანია წავიდა.

— არა, სიყვარული მარად ძველია და მარად ახალი. ის არ წასულა და არც მოსულა, მუდამ ჩვენს სულშია განუყოფლად. ახალგაზრდობა და სიყვარული ერთია, ჩემო. ყოველ ახალგაზრდას ვერტერის სიტყვები ისე შეუძლია გაიმეოროს, როგორც თავისი საკუთარი გულისთქმა.

— მაგრამ ამისთვის თუ არ ყოფნის ცოდნა და ნიჭი?

— რა ვუყოთ მერე? ნიჭი ისეთი რამ არის, რასაც ძუნწად არიგებს ღმერთი. სიყვარული კი ყველას შეუძლია — ნიჭიერსაც და უნიჭოსაც. ერთი გონების საქმეა, მეორე — გრძნობისა.

— ისევ სხვისი სიტყვები მესმის.

— თუ საკუთარი უკეთესი არ გაგვაჩნია, მაშინ რა ვქნათ?

— აი მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი!..

— ეგეც ხომ სხვისი სიტყვებია!

— უნდა დაგეთანხმო, მეტი რა გზაა.

— შენ ნამდვილად შლეგი ყოფილხარ.

— შენმა მიჯნურობამ მაქცია შლეგად.

— თუ ასეა, მაშინ გმართებს ველად გაიჭრა, ვით ტარიელი...

— არც ამას ვითაკილებდი, თუ შენს გულს ამით მოვიგებდი, ჩემო, რადგან ამ ქვეყანაზე სიცოცხლეს ისე არაფერი არ ალამაზებს, როგორც სიყვარული.

— საინტერესოა, თქვენ პოეტი ხართ, თუ?

— თუ რა?..

— მე თქვენ გამოგიცანით, დიახ, გამოგიცანით! და იცით მერე როგორ? ხმით გამოგიცანით. ადამიანები ხმებით განსხვავდებიან უფრო ერთმანეთისაგან, ვიდრე სხვა რამით. მე კი შეუმცდარი უნარი მაქვს გამოვიცნო ადამიანების ხმა.

— არა, არა მგონია, თქვენ მართალი იყოთ. თუ ასეა, მაშინ თქვენ ისეთივე ხმა გაქვთ, როგორიც ჩემს სატრფოს. პირველად რომ დამელაპარაკეთ, მე შევკრთი კიდეც, ასე მეგონა, ის არის-მეთქი და თუ არ მოვტყუვდი, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება.

— არა, დამცინით, თორემ ამის მსგავსი არაფერი ხდება ბუნებაში. ორ ადამიანს ვერ იპოვით, ერთნაირი ხმა რომ ჰქონდეთ.

— დამიჯერეთ...

— ნახე? წეღან ჩვენი რექტორი ვალსს ცეკვავდა.

— მერე რა, ცუდია?

— არ ვიცოდი, თორემ ჩვენც ვიცეკვებდით ვალსს, არა?

— რომ ვიცოდე, სიამოვნებით, ოღონდ, შენთან მაინც არ ვიცეკვებდი!

— იქნებ რექტორთან?

— რატომაც არა. შენ ალბათ იცი, რომ ჩვენი რექტორი ვალსსაც კარგად ცეკვავს და ლექციებსაც კარგად კითხულობს.

— ამაში მართალი ბრძანდები, მისი ლექციები პოლიტეკონომიაში მე გერმანულად მომისმენია.

— მაშ თქვენ გერმანისტი ყოფილხართ, რადგან გერმანულად პოლიტეკონომიას სწორედ იქ კითხულობს.

— ალბათ, თქვენ ისიც იცით, რომ ჩვენი რექტორი პოლიტეკონომიას სხვა ფაკულტეტებზეც კითხულობს. დიახ, ქართულად, რუსულად, გერმანულად.

— არა, ეს არ ვიცოდი, და არც მაინტერესებს ამჟამად.

უცბად ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი, ჩემი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დამიდგა თვალწინ. და მე დავდუმდი გაოგნებული ყოველივე იმით, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა. ისევ ნიღბოსან ქალიშვილს შევხედე და ლექსად ვიქეც:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი...
და მე ავტირდი ვით მეფე ლირი
ლირი ყველასგან მიტოვებული...

— კვლავ გალაკტიონის ხმა მესმის.

— მერე, რა არის ამაში ცუდი, თანამედროვე საქართველოს ერთი პოეტი ჰყავს და დიდი ცოდვა იქნებოდა, ზეპირად რომ არ ვიცოდე მისი ლექსები.

— გალაკტიონი ისე ერთია, როგორც ერთია კავკასიონი.

— სხვები? სხვა პოეტებს რად ივიწყებთ? თუნდაც...

არ დავაცალე, სიტყვა მოვუჭერ. — არა, რატომაც არა, სხვებიც არიან. მაგრამ გალაკტიონი მაინც ერთია, გალაკტიონი ქართულ პოეზიაში ისე ერთია, როგორც ერთია ქართულ მეცნიერებაში ივანე ჯავახიშვილი...

ნიღბოსანი გაჩუმდა, მეც გავჩუმდი. მერე ერთბაშად ისევ ვკითხე: მე ისა მსურს ვიცოდე, თქვენ როგორი ხართ და ვინა ხართ?

— ამის გაგება სულ ადვილია, ჩემო. ეს თქვა და ნიღაბი მოიხსნა ქალიშვილმა.

შევხედე და გავშეშდი, ჩემს წინ ის ალქაჯი მზია იდგა. დავუჩოქე

და შევეხვეწე: მარიკას არ უთხრა-მეთქი ის, რაც ახლა ჩვენს შორის მოხდა... შემპირდა, არ ვიცი, რამდენად შეასრულა დანაპირები. ისე კი მეტისმეტად მიამიტური და გულუბრყვილო იყო ჩემი საქციელი, მაგრამ ასე მეგონა, პოეტებს ეპატიებათ ასეთი რამ და მეც ვაპატიე ჩემს თავს, რაკი პოეტად მომქონდა თავი.

და ბოლოს, იცით, კიდევ რა?

— ამას წინათ ერთგან წავიკითხე კაცობრიობის ისტორიას სიყვარულისა და სიძულვილის ნიჭი წერსო. ეს ნამდვილად ასე უნდა იყოს. ან ძლიერ უნდა გიყვარდეს ის საგანი, რომელსაც ეტრფი, ან ძლიერ უნდა გძულდეს ის, რასაც ებრძვი, რომ რაიმე ხეირიანი გამოგივიდეს. ეგეცაა: დიდი სიყვარული ან სიძულვილი ბადებს შეუპოვრობას და შთაგონებას; ის ლექსებიც სიყვარულმა და ახალგაზრდობამ დამაწერინა, თორემ აბა სად მე და სად ლექსები... მით უფრო ეს ის დრო იყო, როცა არაფერი ისე არ ფასობდა პოეზიაში, როგორც ორიგინალური რითმები. მე სწორედ აქ ვიყავი სუსტი...

ამ დღეს ჩემს ლექსებს ვსინჯავდი, ვაკვირდებოდი. მერე მომინდა გაურითმავად გამემართა ეს დახავებული სიტყვები.

აი ეს ფრაზები და სტრიქონები ერთძანეთის მიჯრით გადაწერილი: „იისფერი ნისლი ებურა მთებს. მე კი მზითვად მეყოფა შენი იისფერი თვალები, გაზაფხული დამიზამთრე, მე უშენოდ ვერ დამთბება. შენ გეცვა საქორწილო კაბა ბროწეულის ფერისა და გზაზე გაწოლილ შენს ლანდს ველაციცებოდი. მე მახელებენ ზღვასავით ლურჯი შენი თვალები... ვიხსენებდი ჩვენი უიღბლო სიყვარულის მოწმეს, შენი სახლის მთვარიან აივანს... მესმოდა შენი სიცილი, ვით არწივის ფრთების ტკაცუნი... თაფზე გვეხურა ფირუზი ზეცა, მე ვით ღვთაებას, ისე გეაჯებოდი შენი თმის სურნელებით მთვრალი, ლალის საყურე გეკიდა, სახეზე ია და ვარდი გეფინა და მე მომინდა მეკოცნა შენს იამიწებებულ ლოყაზე“...

თითქოსდა ურიგო არ იყო ეს ფრაზები, მაგრამ ნაჯახირევ რითმებში ჩასმულთ სიცოცხლე და ელვარება აკლდათ. ეჭვმა შემიპყრო, ნუთუ მარტო მე მემართება ეს, თუ სხვებსაც. წიგნის თაროდან ჩემი მეგობარი პოეტის ლექსები გადმოვიღე და ახლა იმას დავუწყე სინჯვა. აქ მძლავრ სიტყვებსაც წავაწყდი, ანალოგიურ რითმებს. ცივმა ოფლმა დამასხა: ვინ იხმარა ეს პოეტური სამკაულები, ეს რითმები პირველად? მე თუ იმ ჩემმა მეგობარმა პოეტმა? თარიღებს დავუწყე ძებნა და სინჯვა, მაგრამ ამაოდ, არც ერთ ამ ლექსს თარიღი არ ესვა. მერე სხვა პოეტის წიგნი მოვიძებნე, იქაც ბევრი რამ მეცნაურა. რა გამოდის?.. — არა! ეს სიტყვები ჩვენი დალოცვილი ქართული ენის სალაროდანაა ამოკრეფილი. ოღონდ ამ სალაროდან ამოკრეფილ ოქროსიტყვებს უნიჭო მელექსენი ტრაფარეტის, შტამპის ბორკილებს ადე-

ბენ და სიტყვა სიცოცხლეს ჰკარგავს, ბორკილდადებული სიტყვა არ მღერის, ვითარც გალიაში დამწყვდეული მგოსანი...

აქედან რა გამოდის? ურითმო ლექსებს გაუმარჯოს, თეთრ ლექსებს ჩემი სალამი! არა! მაშინ გალაკტიონს რა ვუყოთ? ასეთ რითმებს რა ვუყოთ: სილაში ვარდი — სილაჟვარდე. ლურჯი მწვერვალები — ტრფობის ინტერვალები, შორით უმხურვალესი — შორეულთა ალერსი. ან იოსებ გრიშაშვილს რა ვუპასუხოთ: „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებსა“.

აი კითხვები, პასუხს რომ მოითხოვენ. ჰოი, შენ, დიდებულო შექსპირო! ამქვეყნად ბევრი რამ არის საიდუმლო, მეცნიერებს სიზმრადაც რომ არ მოლანდებიათ. დიახ, საიდუმლოება ნიჭისა. ნიჭიერი პოეტის ხელში ურითმო ლექსიც კარგია და რითმიანი ხომ არის და არის!

ნამდვილი პოეტები ისინი არიან, რომელთაც შესწევთ უნარი ხალხში გაბნეულ სიტყვებს, ნაცნობ და გაგონილ ფრაზას ახალი სიცოცხლე მიანიჭონ, აამღერონ, დიახ, დიახ, მათში დამალული საიდუმლო ხმები აღმოაჩინონ და აახმიანონ. ქაოტურად, შაბლონურად მიმობნეული ათასი და ათიათასი სიტყვიდან ისეთი აარჩიონ, ისეთის გამით გააწყონ, იმდაგვარად განალაგონ, რომ სული ჩაედგათ, ამღერდნენ, ახმიანდნენ. ეს აღმოჩენილი ხმები, ის ინტონაცია უნდა იყოს, რომელსაც სხვა ვერ იმღერებს, სხვა ვერ განიმეორებს, მაგრამ ყველას სულს შეარხევს, ყველას ზიარი გახდება. თითქოს განათდა ჩემი გონება და ისევ დავუწყე ჩემს ლექსებს სინჯვა და დავრწმუნდი, რომ ტრაფარეტი, შაბლონი ახრჩობს სიტყვებს... და მე აღმომხდა: „რითმებო, საცოდავო ჩემო რითმებო, თქვენ იქეცით ბორკილებად ჩემი ფიქრებისა და ოცნების...“

სულ მალე მივხვდი, რომ ჩემი პოეტობა ასაკის ავადმყოფობა იყო; თითქოს განვიკურნე ამ ავადმყოფობისაგან, რადგან ის არ იყო ორგანული ჩემი სულისათვის, გვიან ვნანობდი კიდეც ამდენს რომ ვწვალობდი, ვჯახირობდი ამ ცარიელი, არაფრისმთქმელი, როხროხა რითმების ძებნაში. სამწუხაროდ, გვიან ისევ მეწვია ეს ავადმყოფობა.

თუმცა კი შევატყვე, რომ ჩემგან არც დიდი პოეტი გამოვიდოდა და არც პროზაიკოსი. ისევ უნივერსიტეტს მივუბრუნდი. უნივერსიტეტი წარმატებით დავამთავრე და ივანე ჯავახიშვილის დახასიათებით ასპირანტად დამტოვეს საქართველოს ისტორიაში მოსამზადებლად. ხელმძღვანელად სიმონ ჯანაშია გამომიყვეს. იმავე წელს ავად გავხდი და ასპირანტურას თავი დავანებე. აი უკვე ორი წელია, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ვმუშაობ. ჩემს მოწოდებას მივაგენი და კმაყოფილი ვარ პროფესიით. ყოველივე კარგი უნივერსიტეტმა მომცა. მართალი გითხრათ, მე, ივანე ჯავახიშვილის მოწაფეს, ახლაც არ შემიძლია უნივერსიტეტს გულცივად ჩავუარო, მელიქიშვილის ქუჩას გავცდები თუ არა, გამოჩნდება თუ არა ირემივით კლდეზე გადმომდგარი

თეთრი შენობა, მაშინვე ქუდს მოვიხდი და ქუდმოხდილი ჩავუველი ხოლმე. ყოველთვის ისე ვღელავ, როგორც მაშინ, როცა პირველად ვისმენდი ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ჯანაშიას ლექციებს. არა, არ მეგულება საქართველოში სხვა შენობა, რომლითაც ისე ვიყო მოხიბლული. აქ საქმე შენობა როდია, საქმე თვით უნივერსიტეტია. უნივერსიტეტი კი იყო, არის და იქნება ჩვენთვის ეროვნული კადრების ძვირფასი კერა. უნივერსიტეტი საქართველოს ეროვნული სულის განსახიერებაა და ამ სულს უნაწილებს ახალგაზრდობას. უნივერსიტეტი საქართველოს სამეცნიერო კულტურის დედაა. მე მისი დამფუძნებლის ერთი შეგირდი, არასოდეს დავივიწყებ ამაგს.

ახლა საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელია, მაგრამ უნივერსიტეტი მაინც სხვაა, დიახ, სხვაა!..

1940 წლის 26 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილს გავყევი მცხეთაში, როგორც გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი. არმაზის გათხრების ახალი საოცრების მოწმე და მონაწილე გახლდით. არმაზისადმი ინტერესი მე-19 საუკუნის მიწურულში დაიბადა. ჯერ ვიღაც უცხოელი დაინტერესდა, მერე მისი პირველი მეცნიერული შესწავლა ექვთიმე თაყაიშვილმა დაიწყო. მაგრამ აბა სად იყო მაშინ ამისათვის საჭირო თანხა და მხარდაჭერა! და აი, ჩვენს დროში, კვლავ დადგა გათხრების საკითხი. ამ საქმეს ჯერ ახალშექმნილი აკადემიის ფილიალის „ენიმკის“ ინსტიტუტი ჩაუდგა სათავეში ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მეთაურობით, ხოლო შემდეგ მცხეთის ექსპედიცია შეიქმნა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ივანეს ხელმძღვანელობით დაწყებული გათხრების შედეგად პირველ სამარხს 22 ოქტომბერს მიაგნეს. სამარხის აღწერა საზეიმო ვითარებაში მოხდა, ოღონდ მიწვეულ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წრე ფართო არ იყო. მართლაც საოცრება გადაიშალა ჩვენს თვალწინ.

ახადეს სამარხი.. ივანე დაიხარა და ხელით მოეფერა სარკოფაგს, ქვისაგან დაცულ მუმიას მტვრის მაგვარი შრე ედო. გახსნეს „ქვის კუბო“ და აღწერილობა დაიწყეს, როგორ იწვა რაფაზე კაცი თუ ქალი, ფიქალი ქვისა როგორი იყო და მერე ნივთების ამოლაგებას შეუდგნენ. ფრთხილად ამოიღეს რკინის სატევარი ოქროს თვლებით მოჭედილი. მერე პორტრეტიანი და წარწერიანი ოქროს ბეჭედი ხელთ აიღო ივანე ჯავახიშვილმა და იქვე გადასცა სიმონ ყაუხჩიშვილს. ერთად წაიკითხეს წარწერა: „ასპარუგ ერისთავი“. ივანე ჯავახიშვილმა განმარტა: წინათ ერისთავებს მარჯვენა თითზე ასეთი ბეჭდები ეკეთათ. იგი ერთსა და იმავე დროს სამკაულიც იყო და საქმიანი საბუთების ბეჭედიც... ახლა ოქროს სამაჯურებიც ამოიღეს, ამას ოქროს ხუთი მძივი, ასამდე სხვადასხვაგვარი ოქროს საკინძი, ოქროს და ვერცხლის მონეტები, ვერცხლის ჯამი და სხვა წვრილმანი ნივთები მო-

ჰყვა. მერე ივანე ჯავახიშვილი სიმონ ჯანაშიას მიუბრუნდა: აბა დააკვირდით ამ ოვალურ თვალთა ბუდეს, შიგ პორტრეტია გამოხატული. ჩანს, ხნიერი მამაკაცი ყოფილა ეს ერისთავი. ცხვირი კეხიანი აქვს, ქართული, გრძელ სახეს წვერ-ულვაში ჰფარავს. და ისევ წაიკითხა ხმამაღლა: „ასპარუგ ერისთავი“, მეორე მხარეს „პიტიახში“. დიახ, ეს ბეჭედი უთუოდ ერისთავების დინასტიისაა.

შებინდებისას მოათავეს სამარხიდან ნივთების ამოღაგება.

მეორე დღეს მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის თაობაზე კორესპონდენცია გავამზადე. მასალა ბატონი ივანესათვის უნდა გამეცნო. პროფესორმა შინ დამიბარა. ქუჩისპირა ერთსართულიანი სახლის კარი გაიღო თუ არა, ბატონი ივანე და წიგნები შემოგეგებნენ... ვიწრო დერეფანი იატაკიდან ჭერამდე წიგნებით იყო ავსებული, წიგნების ეს ხეივანი გავიარეთ და მის სამუშაო კაბინეტში შემიყვანა. აქაც წიგნები და წიგნები... წიგნების გორა იდგა იატაკზე, საწერ მაგიდაზე, წიგნები ელაგა ძველ გახუნებულ დგამებზე, სკამებზე, კარადები ხომ სავსე იყო და სავსე წიგნებით, წიგნები იყო მისი სიძდიდრე, წიგნები და საქართველო...

კორესპონდენცია დაკვირვებით წაიკითხა, ზოგი რამ შემისწორა, დიდხანს მესაუბრა, შემდეგ „ქართველი ერის ისტორია“ წარწერით მომიძღვნა და დამოძღვრებული შინ გამომიშვა.

წარწერა უბრალო იყო: ჩემს მოწაფეს — გურამ გუგუშვილს მასწავლებლისაგან, ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ წარწერა კი არა, ქართული ანბანის ჩუქურთმიანი ნახატია, სადაც ყოველ ბგერა-ნიშანში ღრმა ასოციაციების აღმძვრელია, ყოველ შემთხვევაში — ჯ-კი ნამდვილად ქართულ ჯვარსა ჰგავს.

ამ წიგნს სასოებით ვინახავ, როგორც ძვირფას საგვარეულო რელიკვიას...

არმაზის გათხრებით უსაზღვროდ გახარებულმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს მთელი ისტორია ერთხელ კიდევ ხელშესახებად გადამიშალა. შინ რომ მოვედი, ზოგი რამ აღვადგინე და ჩავიწერე.

აი რა მითხრა მან: ჩვენ — პატარა ერის — საქართველოს შვილები „ვაშათი“ მივესალმეთ ცარიზმის დამხობას, ოქტომბრის რევოლუციას, ამის შემდეგ დრომ გაიარა. ახლა აგერ ვმუშაობთ ჩვენს უნივერსიტეტში და გული ხარობს. მაგრამ ზოგი მაინც უმადურია. ეს უსახო კოსმოპოლიტებს შეეხებაო, ისინი ჩვენ ძველ ხალხს გვეძახიან. ზოგნი, ალბათ ჩამორჩენილებადაც გვთვლიან, მე-19 საუკუნიდან მოსულ კაცებად. მე, მართალი გითხრათ, სწორედ იმით მომაქვს თავი, რომ ბევრი რამ კარგი, ერთგულება ქვეყნისა და მამულიშვილობა ჩემი თაობის საგზლად ძველი დროიდან შემომრჩა, მაგრამ ზოგს ახლა მამულიშვილობა დასაცინ სიტყვად გაუხდია, სწორედ იმას გვიწუნებენ,

რაც მოწონების ღირსია, რაც იმ ცეცხლის ნაპერწკალია, ჩვენს სულში ილიას და აკაკის რომ გაუღვივებიათ.

მართალი გითხრათ, არ მომწონს ის კოსმოპოლიტები, წარამარა რომ გაიძახიან — სულერთია, რევოლუციას სოციალიზმის ტაძარში ქართულად ილოცებთ, რუსულად თუ ინგლისურადო. არა, სულ ერთი არ არის! ვინც ისტორიაში ჩახედულია, იმან იცის, რომ ეს აზრი „არ ახალია, ძველია“. იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა, ამ ახალი სარწმუნოების აღსასრულებლად ბერძნული ენა იყო სავალდებულო. მაგრამ ქრისტიანებად მოქცეულმა ერებმა სულ მალე გაიგეს, რომ სულ ერთი არ იყო, ბერძნულ ენაზე ილოცებდნენ თუ თავიანთ ეროვნულ ენაზე და ქრისტიანობის ენად იმ ქვეყნის ენა გახდა, სადაც იგი ვრცელდებოდა. ასე მოიქცნენ ქართველებიც. ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ბერძნულად სრულდებოდა, მაგრამ მერმე მოიკრიბეს ქართველებმა ეროვნული ენერგია და, სწორედ ქართლში ბერძნული ენის ნაცვლად ქართულად დაიწყეს წირვა-ლოცვა. მერე მთელ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების წესი ქართულ ენაზე სრულდებოდა. სწორედ ამ გზით მოხერხდა წარმართული სარწმუნოების დაძლევა. ეროვნული ენები უნდა ემსახურებოდეს ხალხში ყოველი ჰეშმარიტად დიდი იდეალის გავრცელებას, ეროვნული ენების მეოხებით შეიძლება დაინერგოს ყოველი სიკეთე ერის სულში. ამის დავიწყებას კოსმოპოლიტიზმი, უგვარტომობა მოსდევს. უგვარტომო ხალხს არასოდეს შეუქმნია ეროვნული კულტურა. სწორედ რევოლუციამ მოგვანიჭა ჩვენ იმის უფლება, რომ ქართულად ვაწარმოოთ ერის ცხოვრება, ჩვენ კარგად გვახსოვს, ეს სულ გუშინ იყო, რომ სასამართლოშიც, დაწესებულებაშიც, სკოლებშიაც და ყველგან ქართული ენა დევნილი იყო. ჩვენმა წინაპრებმა მთელი საუკუნე შეალიეს იმასთან ბრძოლას, რომ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ძარღვიან ენას პატივისცემა არ მოჰკლებოდა. მე არც იმ ენათმეცნიერებისა მჯერა, რომ გამომხტარან და ამტკიცებენ, ერთი ენიდან წარმოიშვა მრავალი ენა და მრავალი ენიდან ერთი უნდა შეიქმნასო. წინააღმდეგი როდი ვარ, რომ საერთაშორისო კომუნიკაციისათვის ერთი ენა გამოვიყენოთ, მაგრამ ეს ენა ვერ შეცვლის ეროვნულ ენებს, სოციალიზმის დროს ეროვნული ენები კი არ მოკვდება, აღორძინდება და გაიფურჩქნება. ენა ადამიანის სულს, მის ეროვნულ ხასიათს გამოხატავს და იმის მოსპობას არავინ მოისურვებს, არც ფრანგი და არც ინგლისელი, არც რუსი და არც ქართველი.

ერთიანი ქართული ეროვნული ენის სახელმწიფო ენად, სარწმუნოების ენად ქცევაში ქრისტიანობამ დიდი როლი რომ შეასრულა, ეს სადავო არ უნდა იყოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს სათავეში სწორედ ქართლში ჩაუდგნენ, რადგან ქართლი იყო მაშინ საქართ-

ველოს სახელმწიფოებრივი კერაც და გამაერთიანებელიც. სხვა ვითარებაში კი შეიძლებოდა ქართულის სხვა დიალექტი ქცეულიყო ქრისტიანობის სალოცავ ენად. რაკი ეს ასეა, ის კი არ უნდა ვამტკიცოთ, რომ ქართული ენა სულ მალე მოისპობა და აღარ იქნება საჭირო, არამედ ქართველთა ყველა ტომი ვალდებული ვართ ჩვენი ერთიანი ენის, ჩვენი წინაპრების ენის,. ჩვენი სალოცავი ენის, ქართული ენის განმტკიცებას, ყოველგვარი ხინჯისა და ჟანგისაგან მის გაწმენდას შევალიოთ ძალა და ენერგია. არა, ღმერთმა გვიხსნას უკუღმართი აზრისაგან, სანამ საქართველო იქნება, მანამდე ქართული ენაც იცოცხლებს! ვისაც ქართული ენის მოსპობა უნდა, იმას საქართველოს დაქცევა განუზრახავს. ახლა კი, რევოლუციისაგან გამოფხიზლებულ ეპოქაში, ამის უფლებას არავინ მისცემს არც შინაურსა და არც გარეშეს. მე ეს მწამს და ამ რწმენას ვერავინ შემაცვლევინებს.

უცბად ბატონ ივანეს თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით თქვა:

მე მაგონდება ერთი ამბავი. ამიერკავკასიაში განათლების საქმეს განაგებდა დიდი რუსიფიკატორი იანოვსკი. ის შევიდა სასწავლებელში, ერთ კლასში, რომელსაც ასწავლიდა ქართველი მასწავლებელი და რომლის მოწაფეები ქართველები იყვნენ. მოწაფეს, რომელიც ყველაზე მოთხრობას, სადაც ნახმარი იყო სიტყვა „ვოდოპადი“, იანოვსკიმ ჰკითხა — როგორ არისო სიტყვა „ვოდოპადი“ ქართულად. ვერც მოწაფეებმა და ვერც მასწავლებელმა ვერ უპასუხეს. რუსმა თავი გადაიქნია და თქვა: უცნაურია, ქვეყანაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდები „ვოდოპადს“, შეუძლებელია, არ იყოს სიტყვა ასეთი მოვლენის გამომსახველი. და ირონიულად დასძინა:

— რამდენად ღარიბი უნდა იყოს ქართული ენა, რომ ვოდოპადის შესატყვისი სიტყვა არა აქვს.

ქართულში იმ დროს „ვოდოპადის“ აღსანიშნავად რამდენიმე სიტყვა იხმარებოდა: ჩანჩქერი, დანაჩქერი, გოჩგოჩანა, რასაც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონშიც შეხვდებით. და მაინც იმ მოწაფეებმა და მასწავლებლებმა ვერ უპასუხეს, ვერც ერთი ვერ მოიგონეს. თქვენ გგონიათ, მართლაც არ იცოდნენ, არ ჰქონდათ გაგონილი არც ერთი ეს სიტყვა? არა. იცოდნენ, გაგონილიც ჰქონდათ, მაგრამ არ მოაგონდათ უცბათ იმიტომ, რომ ენა თუ ხმარებაში არ არის, სიტყვა თუ წარმოებაში არ არის, მაშინ ადამიანს ეს ენაც ავიწყდება და სიტყვებიც. თურმე ამერიკაში ასეთი ამბავი მოხდა: მშობლებთან გაბუტულმა ქალიშვილმა დაიჟინა — ოცი წლის განმავლობაში არ ვილაპარაკებო. დაიჟინა და აღასრულა კიდეც. ოცი წელი გავიდა და საზეიმოდ რომ დაემტკიცებინა თავისი აღთქმა ქალიშვილს, მოიწვიეს ნათესავები და ნაცნობები, მაგრამ აი სასწაული? სიტყვა რა არის, სიტყვა ვერ დაძრა ქალიშვილმა, პირსა და ტუჩებს ამაოდ ამოძრაებდა, ვერც

ერთი ბგერა, ვერც ერთი სიტყვა ვერ წარმოთქვა. მოშლოდა მთელი სამეტყველო აპარატი... ქართული ენაც ამ დღეში იყო. იგი აკრძალული იყო არა ოც წელს, არამედ მთელი საუკუნის განმავლობაში. და ინტელიგენცია არ ეტანებოდა ქართულ ენას. ბუნებრივია, რომ ამ ინტელიგენციამ დაივიწყა ქართული ენა. სამაგიეროდ იგი შეინახა ხალხმა და ქართულმა მწერლობამ. და დადგა სანატრელი დრო. ხალხს დაშორებული, მშრომელ ხალხისაგან მოწყვეტილი, რუსეთის შორეულ პროვინციებში გადაკარგული ქართველი ინტელიგენცია ისევ დაუბრუნდა თავის მშობელ ხალხს. ხალხის სამსახურში ეზიარა ინტელიგენცია ხალხისაგან შენახულ ქართულ ენას. რასაკვირველია, იმ შავბნელ დროშიაც იყვნენ ჩვენს შორის ინტელიგენტები, რომლებიც იცავდნენ და ინახავდნენ ქართულ ენას. ამის მაგალითია ვასილ პეტრიაშვილი. მან ყველას დაუმტკიცა, რომ სამეცნიერო თხზულებათა დაწერა შეიძლება ქართულ ენაზე. და დაწერა კიდეც თხზულებანი ქიმიის მეცნიერებათა შესახებ და ეს თხზულებანი არც ერთ ევროპულ ენაზე დაწერილ მეცნიერულ შრომებს არ ჩამორჩება. პეტრიაშვილმა ეს მოახერხა იმიტომ, რომ ესმოდა: დაბეჩავებული ერის შვილი ვალდებულია ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავდეს. შენი ცოდნაც და შენი სიცოცხლეც შენს დაჩაგრულ ერს უნდა მოახმარო. და ასე იმ შავბნელ დროში თითო-ოროლა სწავლულმა და მეცნიერმა ირწმუნა, რომ იმ მძიმე პირობებში, შეიძლებოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, ქართული მეცნიერების ამეტყველება. და რამდენად მძიმე იყო ტანჯვა ამ გზაზე, იმდენად საზეიმო და სასიხარულო გახდა მისი შედეგები... და აი, ჩვენ პირველ ამოცანად დავისახეთ შეგვესწავლა ძველი ქართული კულტურა და მკვდრეთით აღგვედგინა ძველი ქართული მეცნიერება, ოდესღაც მდიდარი, შემდეგ კი დაკნინებული. და მართლაც ჩვენი ეროვნული სირცხვილი იქნებოდა კოლხეთის, იყალთოს და გელათის აკადემიის, პეტრიწონისა და მთაწმინდელების მემკვიდრეებს არ აღგვედგინა და არ გაგვეახლებინა ეს დიდებული ტრადიცია წარსულისა. და აი, 1907 წელს დაარსდა პეტერბურგის ქართული სამეცნიერო წრე. ამ წრეში თავს იყრიდნენ ქართველი სტუდენტები, იწერებოდა მოხსენებები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან ქართულ ენაზე, ვკითხულობდით ამ მოხსენებებს და იყო კამათი და მსჯელობა. ძველმა ქართულმა სამეცნიერო ენამ ფეხი აიდგა... და აი ათი წლის შემდეგ უკვე დავიწყეთ ზრუნვა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. თბილისში, ქუთაისში იმართებოდა სხდომები. იყო დიდი აღფრთოვანება და შემართება. მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგენიც აღმოუჩნდნენ ამ ეროვნულ საქმეს და უნდა ვთქვათ გულწრფელად: ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ჩვენ არავინ უნივერსიტეტის გახსნის უფლებას არ მოგვცემდა...

ბოლოს და ბოლოს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს. გახსნას აუარებელი ხალხი დაესწრო. ძალაუფლების მჭონე წრეები ცივად შეხვდნენ მას, ხოლო რკინიგზის მუშების დელეგაცია წითელი დროშით მოვიდა... ასე, მეცნიერთა ერთი წრის ინიციატივით შეიქმნა ეს ჩვენი უნივერსიტეტი. და დაიწყო მუშაობა საშინელ პირობებში. გათბობა არ იყო, განათება არ იყო, ავეჯი არ გექონდა. მაგრამ მონდომებას თურმე ბევრი რამ შეუძლია და ჩვენ ყველა წინააღმდეგობანი დავძლიეთ და ქართული ეროვნული კულტურის კერა — უნივერსიტეტი აღორძინების გზაზე დავაყენეთ. ახლა კი ისეთ დონეს მივაღწიეთ, რომელზეც მაშინ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ეს ყველაფერი შეძლო იმ ძველმა თაობამ. ახლა ჯერი თქვენზეა. ხომ გაგიგონიათ — იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა... დიახ, ჩვენ წავალთ, მაგრამ ტურფა საბაღნარო — ტურფა საბაღნაროდ დარჩება...

ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არა თუ არ ჩამოუვარდებიან ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან. უნდა მოგახსენოთ, კადრების მომზადება მარტო მასწავლებლის საკითხი არ არის. თვითონ ასპირანტებმა უნდა შეიგნონ პასუხისმგებლობა, რომელიც მათ აწევს. უნდა ახსოვდეთ, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე. გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს, უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა მეცნიერებას და თავის ხალხს.

სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოვებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილა. და აი, ამ გრძნობას, შეგნებას არ დაივიწყებს ის ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლესი მეცნიერების შესათვისებლად ემზადება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას ვერაფერი შეაკავებს. მკვდრეთით აღსდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოდან მიძინებული იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო ასე მოკლე პერიოდში?

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ პირობებში აყენებს ასპირანტებს. ჩვენ დროში სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ ასე უხვად იქნებოდა სტიპენდიები და ახალგაზრდები ასე ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. როდესაც ამბობენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობთო, უნდა მოგახსენოთ, არც მჯეროდა

და არც ახლა მჯერა. ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც მუშაობს. მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე იყო და ხელიდან კალამი არ გაუგდია უკანასკნელ წუთამდე. ეს შეგნება უნდა ჰქონდეს იმ პირს, რომელიც გადაწყვეტს მეცნიერებას შეწიროს თავისი ძალ-ღონე და გადაუხადოს სამაგიერო იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შეუქმნა მას შესაფერისი პირობები მეცნიერული მუშაობისთვის.

„დაოჯახიანება და გამრავლებაც დიდად აწუხებდა ჩვენს სახელგანთქმულ საზოგადო მოღვაწეებს. ჯერ კიდევ 1903 წელს „ცნობის ფურცელში“ ფილიპე გოგიჩაიშვილი ეხებოდა ამ საკითხს.

ესა თქვა, ადგა, მაგარ ყდაში ჩასმული „ცნობის ფურცლის“ კომპლექტი გადმოიღო და წაიკითხა:

— „დაოჯახიანება აკმაყოფილებს ადამიანის ძლიერ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას, ზნეობის გაფაქიზებას, ბიოლოგიური და სოციალური ცხოვრების გაუმჯობესებას; ამრავლებს ხალხს, აძლევს საზოგადოებას მუდამ ახალ ელემენტს, რომელიც იჭერს ძველების ადგილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ძველ ცხოვრებას, ჰქმნის კულტურულ წარმატებას და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ხალხს ჰმატებს ეროვნულ ძალასა და მნიშვნელობას. ამიტომ, ვითარცა ლოღიკური დასკვნა ყველაზე ზემოთ ნათქვამიდან: ყოველი ადამიანი, რომელიც ასრულებს ამ სოციალ-ორგანულ ფუნქციას, ჰკიდებს ხელს ოჯახს, იჩენს ცოლ-შვილს და იღვწის ოჯახისათვის, ჩვენ მიგვაჩნია ამ მხრივ საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო პირად... ოჯახისათვის ხელის მოკიდება და მისი ზნეობრივი მოვალეობისამებრ წარმართვა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა და, ვითარცა ასეთი, იგი ბევრ სხვაგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე დაბლა დასაყენებელი არაა...

— ეს ერთიც დაიმახსოვრეთ, — მითხრა გაღიმებული სახით ჩემმა პროფესორმა: საქართველოს არასოდეს ჰქონია ისეთი დრო ქვეყნის განმტკიცებისა და ერთობისა, როგორიც ახლა დაუდგა. რევოლუციამ შეაკავშირა, გააერთიანა, ერთი ძალით შეკრა საქართველოს კუთხეები და ტომები. ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობისათვის არც არასოდეს ჰქონია ჩვენს ერს ასეთი ნიადაგი. მარტო უნივერსიტეტი და მისი 17 შვილობილი — ამდენი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში ვის შეეძლო წარმოედგინა თუნდაც ამ ოცი წლის წინათ... ახლა ეს ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლები, ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, თეატრები და სხვა კულტურული დაწესებულებანი! არა, ეს სრულიად სხვა საქართველოა. ამიტომაც მე გულწრფელად ამ ახალ საქართველოში დავით აღმაშენებლის განახლებულ საქართველოს ვხედავ. იქნებ მეტსაც... ერთობა, ერთობა მა-

მულისა უნაპიროა. რასაკვირველია, მე არც იმ აზრს ვიზიარებ, რომ თითქოს საქართველო არასოდეს ყოფილიყოს ერთიანი გარდა დიდი დავითისა და თამარის დროისა. არა, საქართველო წარმართულიცა და ქრისტიანიც მუდამ ერთად ცხოვრობდა, მაშინაც კი, როცა ერთი ცენტრალისტური ხელისუფლება არ ჰყავდა ერს. საქართველოს ყოველ კუთხეში საერთო ტრადიცია, ერთი სარწმუნოება, ერთი სალოცავი ენა, ერთი დაუწერელი კანონი — ფსიქიური წყობა ერის სულისა ქვეშეცნობილად აერთიანებდა ამ ცალ-ცალკე ღობეშემოვლებულ სამთავროებს. ჩვენს სუფრას დააკვირდით, ყური დაუგდეთ ჩვენს მუსიკას, სიმღერებსა და ცეკვებს, სადღესასწაულო და სამწუხარო ცერემონიებს და უმალ ამოიცნობთ მასში განუყოფელ ერთობას სულისას, ქართველი ერის ერთ საერთო ხასიათს და სულიერ წყობას. დიახ, ერთი ლხინითა და ერთი ჭირით ცხოვრობდა ჩვენი ხალხი. ამიტომაც ვერ მოერია ცალ-ცალკე დაყოფილ და დამონებულ ამ ერს ვერც ბიზანტიელები და ვერც მონღოლები, ვერც სპარსელები და ვერც თურქები.

ჩვენი ვალია ვამრავლოთ და ვადიდოთ ერთიანი საქართველოს ეს კეთილი ნერგი — დაუმონებელი ეროვნული მეობა, ერთიანი, განუყოფელი საქართველოს მებრძოლი ეროვნული ენერგია. ცეცხლი და მახვილი პარტიკულიარისტებს, კუთხობრიობის მომხრეებს, ამ ძველებური, ფეოდალური მტრობის თუ პროვინციალური სიძულვილის გადანაშთს. აი, რას უნდა ებრძოლოს ქართველი კაცი. აი, რა არის ყველაზე უფრო უკუსაგდები და ამოსაძირკვი.

ყოველივე ამას დიდის მღელვარებით ამბობდა. უცბად ჩემი მეგობარი ასპირანტი მოიკითხა. მე არ დავმალე და ვუთხარი: ასპირანტურას თავი დაანება და მოთხრობების წერა დაიწყო-მეთქი. ეს სიტყვები დაცინვით ნათქვამი გამომივიდა, ბატონი ივანე შეიშმუშნა, ჯერ ჩაფიქრდა, მერე განმარტა:

— მოთხრობების წერა ცუდი როდია.

თუ კარგი მწერალი გამოვა-მეთქი, დავუმატე, რომ გამომესწორებინა ჩემი მდგომარეობა.

— არა, აქ მარტო კარგ მწერლობაზე როდია საქმე, რაკი უყვარს ეს საქმე, დაე წეროს, უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ კარგმა კი არა, საშუალო და თვით მდარე მწერალმაც შეიძლება უფრო მეტი და საჭირო გააკეთოს ერისათვის, ვიდრე უხეირო მეცნიერმა. მხატვრულ სიტყვას დიდი ძალა აქვს, დიდი ადგილი ერის ცხოვრებაში. მხატვრული სიტყვა ინახავს ენას და წერს ჰეშმარიტ ისტორიას. დიახ, ჩვენი ძველი მემატიანეები, უპირველეს ყოვლისა, მწერლები იყვნენ...

სუსტიო, შენ ამბობ, რამდენი სუსტი ლექსი და მოთხრობა იბეჭდებოდა ძველად, აბა, მარტო „ივერია“ აიღე, ილიაზე დიდსა და ბრწყინვალე რედაქტორს თქვენ ვერ დამისახელებთ მეორეს, მაგრამ

ის დიდებულ ნაწარმოებთან ერთად მდარესაც ბევრჯერ ბეჭდავდა. მერე რა, ეს მდარე საერთო ატმოსფეროს ქმნის და ენისა და მხატვრული სიტყვის ასპარეზს აფართოებს, ნიადაგს ანაყოფიერებს, რომ შემდეგ ერთი და ორი დიდი მწერალი ამოვიდეს ამ ნაყოფიერ ნიადაგზე...

აქ შეჩერდა ჩემი პროფესორი.

მე გულის ფიცარზე დავიწერე მისი სიტყვები და არც არასოდეს მიღალატია ამ შეგონებისათვის. და რომ ჩემ შვილებსა, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს არ დაავიწყდეთ — დღიურის სახით აღვადგინე ჩემი პროფესორის ნაამბობი.

●

ორშაბათს, 1940 წლის 18 ნოემბერს დიდი უბედურება დაგვატყდა თავს: გარდაიცვალა დიდი ივანე ჯავახიშვილი. ვაი, რა ბოძი წაიქცა, ვაი, რა კაცი დავკარგეთ!.. სიკვდილმა მაინც ვერ იზეიმა. რაკი სიკვდილი ადამიანს უწერია, მე ისეთ სიკვდილს ვისურვებდი, როგორიც ივანე ჯავახიშვილს ერგო წილად. ო, როგორი რაინდული სიკვდილით მიიძინა, სწორედ მაშინ, როდესაც თავისი საყვარელი აუდიტორიის წინაშე მორიგ საჯარო ლექციას კითხულობდა.

ლექციამდე ხელოვნების მუშაკთა სახლის შესასვლელ კარებთან შევხვდი ივანე ჯავახიშვილს. ღიმილით მომეგება, არაფრით ჩემზე წინ არ შევიდა, იძულებული გავხდი, დავმორჩილებოდი. რომ შეეედით და კიბე-კიბე ავდიოდით, უკან მივიხედე, ნაღველი შეენიშნე თვალებში. ივანეს წყლიან, გაბრწყინებულ თვალებში რაღაც გამოუცნობი ნაღველი ჩამდგარიყო. არ მომეწონა, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი, ვერ შევბედე. დარბაზი სავსე იყო ხალხით. ყველა მოწიწებით ეგებებოდა. მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა სათაყვანებელ მეცნიერს და ლექციაც დაიწყო. ხმადაბლა, სულ ნელა ლაპარაკობდა. დარბაზი გაინაბა. მის ბაგეთაგან იფრქვეოდა ჭეშმარიტება დიდი მეცნიერებისა და ჩვენს თვალწინ ბურუსით მოცული ჩვენი ისტორიის ნათელი სურათი იშლებოდა. აუდიტორია ისე აიტაცა ამ სურათმა, რომ არც კი მიუქცევია ყურადღება, როდესაც პროფესორი ერთგან შებორძიკდა, მაგრამ უმალვე განაგრძო ლექცია. მერე ის იყო, მოულოდნელად შეჩერდა, თავი დაბლა დასწია... დარბაზში უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. მომეჩვენა, რომ რამდენიმე წუთმა გაიარა... ივანეს ხმა აღარ ისმოდა. წუთიც... წაბარბაცდა, ხელებით მოეპოტინა ტრიბუნას და გულშეღონებული სანამ იატაკზე დაეშვებოდა, ერთბაშად მივარდნენ, ხელი მოჰკიდეს, სცენიდან გვერდით ოთახში გაიყვანეს, იქ დივანზე წამოაწვინეს, ექიმიო, იყვირეს. ექიმი კი რამდენიმე ალმოჩნდა დარბაზში. ავდექი, შესვლა დავაპირე, მაგრამ ვიღაცამ ხელით მანიშნა, არ შეიძლებაო.

მაინც შევედი და კუთხეში ავიტუზე. ექიმს ბატონი ივანეს მარცხენა ხელი ეჭირა და მაჯას უსინჯავდა. ვიღაცამ რაღაც წვეთები შემოიტანა, მაგრამ ექიმმა უთხრა, საჭირო აღარ არისო...

დიდი ივანე პირალმა იწვა და ჯერ კიდევ პირზე ღიმილი ეფინა, მერე ოდნავ გახელილი თვალები მილულა და ღიმილიც გაჰქრა მის მუდამ მომღიმარ სახეზე. ექიმი ადგა და გარეთ გამოვიდა. დარბაზში საზარელი ხმა გავარდა: გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი... მისი ლექციის მოსასმენად მოსული თავზარდაცემული აუდიტორია დიდხანს არ დაშლილა. რამდენიმე მისი მეგობარი მიცვალებულთან ახლო მივიდა. ერთმა მათგანმა დაიჩოქა და სახეზე ეამბორა. მერე ვიღაცა მივიდა და აქვითინებული წამოაყენა, ხელი მოჰხვია და გაიყვანა ოთახიდან.

ივანე ჯავახიშვილი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაასვენეს. მე გაოგნებული ისევ კუთხეში ვიდექი, ასე მეგონა, თითქოს ავი სული ფრთამოტეხილი ფრინველივით ღიად დატოვებულ ფანჯარაში გაფარფატდა, მაგრამ ვერ იზეიმა ჯავახიშვილის სიკვდილი. ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი რას უზამდა. დიახ, თვალშეუდგამი მეცნიერი, უძველესი ქართველი ერის პირუთვნელი მემატიანე, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი და მოძღვარი სიკვდილმა ფიზიკურად ჩამოაშორა თავის სათაყვანებელ ერს, ხოლო მისი სამაგიდო წიგნები და ქედმოუხრელი ეროვნული ენერგია მარად იცოცხლებს საქართველოსთან ერთად.

●

მთელი ღამე არ მიძინია, რედაქციის დავალებით მასალებს ვაგროვებდი... მეორე დღეს გაზეთ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის შავ არშიაშემოვლებული დიდი ფოტოსურათი. სურათის ქვემოთ — მთავრობის ცნობა: „18 ნოემბერს საღამოს 9 საათსა და 49 წუთზე ქ. თბილისში უეცრად გარდაიცვალა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი“. სურათის მარცხნივ — საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება: შექმნილია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია. საკმაოდ გრძელი სიაა დამკრძალავი კომისიის წევრებისა. ამავე გვერდზე დაბეჭდილია სამგლოვიარო განცხადებები: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, სახკომსაბჭოსაგან, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, საქართველოს სსრ განათლების სა-

ხალხო კომისარიატისაგან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან...

დეპეშები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან, საბჭოთა კავშირის გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან. ერთი დეპეშა ასე იკითხებოდა: თბილისში, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს: „სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირმა და მისმა ქართულმა კომისიამ ღრმა მწუხარებით შეიტყვეს უდიდესი საბჭოთა ისტორიკოსის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალება. მოძმე რესპუბლიკების იმ მწერალთა გულში, რომლებმაც მოისმინეს მისი ბრწყინვალე მოხსენება რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე, სამუდამოდ დარჩება მადლიერი ხსოვნა მასზე“. ა. ფადეევი, პ. პავლენკო, ვ. გოლცევი.

„კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „ლიტერატურული გაზეთის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე სრული ოთხი დღე ყოველ ნომერში ორი და სამი გვერდი ეძღვნებოდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას: რა თბილი, გულმხურვალე და მწუხარე, ამავე დროს მისი ღვაწლის მოგონებით სიამაყის აღმძვრელი იყო ეს წერილები:

...„თვით მისი სახელი ინტენსიური აზროვნების სიმბოლოა, დაუცხრომელი, შემოქმედებითი მუშაობის ნიმუში“...

„როგორ უნდა გიყვარდეს ჩვენი მამული, როგორ უნდა ეწირავდეთ მას ჩვენ ნიჭს, უნარს და თვით სიცოცხლესაც კი — აი რას გვასწავლის ივანე ჯავახიშვილის დაუცხრომელი ცხოვრება და შემოქმედება“.

„ივანე ჯავახიშვილი ქართული კულტურის დიდი მკვლევარია, პატარა ხალხის დიდი კულტურის დიდი მკვლევარი“...

„ტკბილი იყო დიდბუნებოვანი ადამიანი, საჯარო მოხსენების ხალისით კითხვის დროს ის გარდაიცვალა უამრავ მოწაფეთა ხელში“...

„საქართველოს ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე ივანე ჯავახიშვილმა დააყენა“..

„მისი სახელი უკვდავია ყველა ქართველის ხსოვნაში, როგორც უკვდავია თვით საქართველო“...

„ეროვნული უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებელი და საქართველოს პირუთვნელი მემატიანე“...

„თუ მართალია ის აზრი, რომ სახეთა გარეგნობა გამოსახავს ადამიანის შინაგან ბუნებას, მაშინ ივანე ჯავახიშვილი სრულ დასაბუთებას წარმოადგენს ამ მოვლენისა. მის მომხიბლავ სახეს ტკბილი ენა და რკინის ლოგიკა უფრო ამშვენებს“.

„მეცნიერს ჰეშმარიტება სამსახურად მიაჩნია. მაგრამ ის მამულის სამსახურს გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, პრინციპულ

უკომპრომისო ერუდიციით, საინტერესო ანალიზითა და ნიჭით, საბუთებით ახსნილ ყოველ ფაქტში".

„ეს ნაზი, კაფანდარა კაცი, გოლიათური ენერგიისა და ტალანტის მქონე იყო"...

იყო კამათი, სად დაესაფლავებინათ ივანე ჯავახიშვილი: მისი სახელოვანი წინაპრების ილიას და აკაკის გვერდით — მთაწმინდაზე — თუ თავისივე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში. და გადაწყდა: ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ეზოში დაეკრძალათ.

ივანე ჯავახიშვილის ცხედარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადმოასვენეს, დილიდანვე მოდიოდა ხალხი. მოდიოდნენ: მეცნიერები, სტუდენტები, მწერლები, მხატვრები, მუშები, დელეგაციები მოძმე რესპუბლიკებიდან, რაიონებიდან. ზღვა ხალხი გარს უვლიდა სააქტო დარბაზის შუაგულში მაღალ პოსტამენტზე დასვენებულ, ყვავილების თაიგულში ჩაფლულ ივანე ჯავახიშვილის ნეშტს, ტიროდა, ქვითინებდა მთელი ერი. ივანე ჯავახიშვილის ცხედარი ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, დღის 5 საათზე გამოასვენეს და უნივერსიტეტის კიბეების წინ დიდ მაგიდაზე დაასვენეს.

დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. უნივერსიტეტის ეზო ვერ იტევდა ჯავახიშვილის პატივსაცემად მოსულ ზღვა ხალხს.

იმას, ვინც რამდენიმე დღის წინათ მცხეთა-არმაზის გათხრილი საფლავებიდან ამოტანილ ქვებსა და სამაჯურებზე წარწერილი ცნობები ამოიკითხა, გაშიფრა და ისტორიის გაცოცხლებულ ფურცლებად აქცია, ვაი, რომ — ახლა იმას უნივერსიტეტის ეზოში გათხრილი საფლავი ელოდებოდა.

სამგლოვიარო მიტინგი...

სიტყვები, სიტყვები მთავრობის წევრების, მისი თანამებრძოლების, უნივერსიტეტის პირველი დამაარსებლის, სიტყვები მისი მოწაფეებისა...

მერე უნივერსიტეტის ეზოში, სამგლოვიარო ჰიმნის ხმებში, ფრთხილად ჩაუშვეს საფლავში ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი, მეთაური, მოძღვარი და მამა — ივანე ჯავახიშვილი...

მ ი ნ ა წ ე რ ი: 1953 წლის 10 აპრილს ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნას უამრავი ხალხი დაესწრო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში კვარცხლბეკზე აღმართულ მარმარილოს სავარძელში ზის შუბლმაღალი და ღრმად ჩაფიქრებული ივანე ჯავახიშვილი. მის გვერდით გუშაგად ჩამდგარა თავდადებული თანამებრძოლი: პეტრე მელიქიშვილი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი, თითქოს ამ დიდებულ მამულიშვილებს ჩააბარესო თბილისის უნივერსიტეტის, ქართული ეროვნული კულტურის ამ დიდებული ტაძრის გასაღები. ქვაში გაცხადებული ეს ორი ძმადნაფიცი ყოველ ცისმარე დილით ეგებე-

ბიან, კარს უღებენ, გზას ულოცავენ უნივერსიტეტში შემოსულ მათ კოლეგებსა თუ ახალბედა სტუდენტებს...

●

იმ შემოდგომას მე და მარიკა დავქორწინდით. დაიწყო სიყვარულით გამთბარი, მაგრამ უბინაობით გაწამებული მეტად ძნელი ცხოვრება ახალბედა ოჯახისა. ათი თვე გავიდა და ამას ახალი უბედურება დაემატა: დიდი სამამულო ომი დაიწყო. მე მეორე დღესვე გამიწვიეს და ჩამრიცხეს სამხედრო კორესპონდენტად. და არა მარტო მე, მთელი საქართველო ჩაება ომის ქარცეცხლში.

საქართველოს სამრეკლომ ძველებურად ჩამორეკა: ქუდზე კაცი და აღსდგა, აზვავდა მთელი ჩვენი ქვეყანა მამულის დასაცავად.

ომის ცეცხლი ისევ კავკასიის მთებში გიზგიზებდა, მე რომ დავიჭერი, მერე მარჯვენა მომშრეს საველე ჰოსპიტალში. ოთხად ოთხი მაისი გადავიხადე, რაც უნივერსიტეტი გავათავე და მამულის სამსახურში ჩავდექი. ორი წელი რედაქციაში ვიმუშავე, ხოლო 1941-იდან იარაღითაც ვიცავდი მამულს. მაგრამ, ვაი დედასა მტრისასა, ადრე გამომიყვანეს მწყობრიდან...

გონს ქალაქის ჰოსპიტალში მოვედი. თვალი გავახილე თუ არა, პირველმა ჩემს გვერდით ლოგინზე ჩამომჯდარმა, ჯარისკაცის ფარაჯა წამოხურულმა უწამწამო წითურმა მამაკაცმა მკითხა, სად დაგჭრეს, ძმობილო. ბალყარეთის მთების ძირას — ძლივს ამოვღანღლე სიტყვები. ბალყარეთის ხსენებაზე ერთმა ხეიბარმა სიმღერა წამოიწყო: „მე, ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვწევარ... მე საფლავში არა ვწევარ, აქ დარაჯად დამაყენეს...“ აქამდის დადუმებული ოთახი ახმაურდა და გამოკითხვა დამიწყეს, მაგრამ შემატყვეს, ლაპარაკი რომ მიჭირდა და გაჩუმდნენ. ეს უწამწამო წითური მეზობელიც დადუმდა და ლოგინზე წამოწვა.

მეც პირალმა ვიწექი და ვფიქრობდი, მაგრამ აბა ვინ გაცდიდა ფიქრს, ვიღაცები შემოჰყავდათ, ერთს ჭრილობას უხვევდნენ და კვნესოდა, მეორე და მესამე ისევ საოპერაციოდ გაჰყავდათ. ჩემს მარცხნივ ორივე ფეხმოჭრილი, სიცხისაგან გათანგული ბოდავდა, ბორგავდა, ექთანი გვერდით ეჯდა და შუბლზე დადებულ ცივ ტილოს ხშირ-ხშირად უცვლიდა. ერთიც გამუდმებით ახველებდა. მოკეთებული ხეიბრები ვერ უძლებდნენ მათ კვნესას და ოთახიდან გადიოდნენ.

ერთ კვირაში მეც მოვითქვი სული. ახლა პალატაში ექვსნი ვიწექით. გამოვჯობინდი თუ არა, კითხვები დამაყარეს. როცა გაიგეს ვინც ვიყავი, სად და როგორ დამჭრეს, ცოტა ხნით მომეშვნენ, მაგრამ ახლა თვითონ მიყვებოდნენ თავიანთ თავგადასავალს, როცა მეგონა ამით

ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, სწორედ მაშინ იმ წითურმა ხეიბარმა სევდანარევი ღიმილით თქვა:

— მე ვიკითხო, თორემ თქვენ რა გიშავთ, შვილებიც გყოლიათ და ცოლებიც. დიდი იმედია ცოლი და შვილი, იმედი და ხვალინდელი დღის რწმენა. აბა ახლა ამ ცალხელასა და ცალფეხას ვინ წამომყვება, ან ვის რაში გამოვადგები.

ეს თქვა და მძიმედ ამოიკვნესა. სწორედ ამ დროს ოთახში მეშვიდე დაჭრილი შემოიყვანეს, ჯარისკაცს ორივე ფეხი მუხლებში ჰქონდა მოკვეთილი. როცა დააწვინეს, საშინელი კვნესა აღმოხდა. ყველაფერი რომ მიწყნარდა, უწამწამო ხეიბარი ისევ ალაპარაკდა.

— აი, ის კაცი, ახლა რომ შემოიყვანეს, ისიც ჩემზე ბედნიერია: თურმე ექვსი მოსწრებული შვილის მამაა.

ამას ახლა ჩემს მარჯვნივ წამოწოლილი პირყვითელა ხეიბარი გამოეხმაურა:

— კი, შვილები დიდი ბედნიერებაა, დიდი სიმდიდრე. მე ცხრა შვილის მამა ვარ, — ამბობდა აზერბაიჯანული აქცენტით ეს ხეიბარი კაცი. გაჩუმდა, მაგრამ, როცა ამასაც არავინ გამოეხმაურა, თვით დაუმატა — დიდი სიმდიდრეა, მაგრამ დიდი სადარდებელიც. ჩემს ცხრა შვილში ყველაზე უფროსი 12 წლისაა, აბა ვინ მოუვლის ახლა მათ, ჩემი ცოლიც ავადაა. ამ უბედურ ომს ეგებ გადავურჩეთ, მაგრამ მერე იკითხე შენ...

— არა, ჩემო ალი, ომი, ომია, ომი უმსხვერპლოდ არც არასოდეს მოუგია სახელმწიფოს, მაგრამ მან იკითხოს, ვინც მოკვდა, თორემ ცოცხალი ადამიანის შვილს, დიდსაც და პატარასაც, ადვილად ეშველება, ადამიანი თავის თავს უკვდება, ვინც რჩება, იმას ყველას ეშველება.

ამ საუბარში ვიყავით, როცა პალატაში ექიმი შემოვიდა. ყველას მოგვესალმა და პირდაპირ იმ ფეხებმოკვეთილ ჯარისკაცთან მივიდა. პულსი გაუსინჯა, დაჭრილ ჯარისკაცს არაფერი გაუგია, ისევ აბოდებდა. მერე ექიმმა სიცხე გაასინჯია ექთანს, ამასობაში ჩვენ მოგვებრუნდა და გვითხრა:

— ასეთი მაგარი კაცი ჯერ არ შემხვედრია, მთელი ორი საათი მოვუნდით მის ოპერაციას და ერთი არ დაუკვნესია, ხმა არ გაუღია. ეს სიცხე არ მომწონს, თორემ უნდა გადაიტანოს ჩემი რწმენით...

სიცხიანი ჯარისკაცი მეორე დილით უთენია გარდაიცვალა. ადრე გაღვიძებული და სიკვდილით დაშინებული ჩვენი პალატა ახმაურდა. ჩემი მეზობელი საშინლად აღრიალდა.

— რა, შეგეშინდა?

— არა, კი არ შემეშინდა, შურისძიების გრძნობა მახრჩობს, მაგრამ აბა რით, როგორ?..

მერე ისევ სახედამწვარმა ხეიბარმა წამოიწყო:

— ომი, ომია, აქ თქვა ვიღაცამ გუშინ, ომი! ჰმ, რომელი ომი, ამისთანა ომი არ ახსოვს კაცობრიობას. მე წინა ომშიც ვიყავი, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. ეს მეორედ მოსვლას ჰგავს. ჩვენი ბიჭები მაინც მაგრად რომ არიან და გამარჯვებისა ჯერათ, აი ეს მიკვირს მე, არა! ვინ აძლევს ამ ფეხმოჭრილ და სახედამწვარ მეომრებს ამ იმედს. უკან ვიხევთ და მაინც თვალი ბერლინზე გვიჭირავს. მაოცებს, სწორედ მაოცებს ყოველივე ეს. ვინ აძლევს ამ რწმენას, ამ უსაშველო ძალას, ვისი ან რისი იმედი აქვთ!

მე ვერ მოვითმინე და ჩავერიე.

— ვინ აძლევთ ძალას სიმამაცისა და გმირობისა ჩვენს ხალხსო, კითხულობ შენ, ჩემო სევასტი? კანონიერი კითხვაა. მამაცობა და თავგანწირვა სიყვარულით იბადება, მამულის, ოჯახის, ცოლ-შვილის სიყვარულით.

— სიყვარულით თუ შიშით, — მიპასუხა სევასტიმ.

— აა, რომელ შიშზე ამბობ შენ, ჩემო სევასტი, — ახლა ალი ჩაერია საუბარში.

— იმის შიში, რომ ოჯახს აგვიწიოკებენ, ცოლ-შვილს გარეკავენ, შენ ხეზე ჩამოგკიდებენ ნემცები, ან იგივე შენი მთავრობა თუ ღალატი შეგატყვეს, არა? შიში, შიში იმზირება ჩვენს სულსა და გულში...

— დიახ, ომში ადამიანებს ამოძრავებთ სიყვარული, სიძულვილი და შიში. იგი მოიგებს ომს, ვისაც სიყვარულის, შიშისა და სიძულვილის ნიჭი აქვს, სიყვარული, სიძულვილი და შიში, მესამედ გავიმეორე და პალატაც დადუმდა...

სწორედ ამ დროს რადიოში დიქტორის ხმა გაისმა. ლევიტანი ი. ბ. სტალინის ბრძანებას კითხულობდა. იმედით, რწმენით აივსო ომის ხეიბართა ოთახი. არა! მაინც რა ძალა და ჯადო ჰქონდა მთავარსარდლის სიტყვებს?..

ცალხელა დავბრუნდი შინ. მწუხარებამ ისევ დამრია ხელი, შეშლილს დავემგვანე, მაგრამ თანდათან მოვერიე სასოწარკვეთილებას და ახლა ჩემს თავს თვითონ ვამხნევებდი. ხომ შეიძლებოდა სულ მოვეკალით, ჩემ გვერდით სამი ჩემზე უფრო ვაჟკაცი დაიღუპა, მეც ხომ შეიძლებოდა იგივე ბედი მწვეოდა? ჰოდა, ცოცხალი გადავრჩი. რაკი გადავრჩი, ახლა ვიში და ოხვრა კი არ მმართებს, არამედ ნებისყოფის დაძაბვა და ცხოვრების ფერხულში ჩაბმა. ოჯახისა და სამშობლოს ვალი ამას მოითხოვს ჩემგან. სანამ რედაქციის კარებს მივადგებოდი, მანამ მარცხენა ხელით ვცადე მეწერა, მთელი კვირა ვივარჯიშე, მაგრამ ვერ შევეჩვიე. მაშინ უარი ვთქვი ჩემს მოწოდებაზე — კორესპონ-

დენტობაზე და გადავწყვიტე დავბრუნებოდი უნივერსიტეტისაგან მინიშნებულ პროფესიას — პედაგოგობას. იმავე დღეს განათლების კომისარიატში გამოვცხადდი და მასწავლებლობა ვითხოვე. მეორე დღესვე დანიშვნის ბრძანება მივიღე.

ჩემი სოფელი მეძახდა, ჩემი ეზო-კარის მიწა, გული იქითკენ მიმიწევდა. ბაბუას მოგონებაც და სოფლის სიკეთის გახსენებაც იქით მეწვეოდნენ, მამა-პაპისა და სოფლის ვალი მჭონდა წამოღებული, ვალს გადახდა უნდოდა. არა, ქვეყნის ვალის გადახდა ქალაქადაც შეიძლებოდა (და აკი ვიხდიდი რამდენადაც შემეძლო) ოღონდ ჩემისთანები ქალაქში ბლომად იყო, სოფელს კი უფრო ჭირდებოდა ჩემი თავი. ქალაქის კომფორტიც მეძალებოდა, მაგრამ სოფელი თუ გიყვარს, მისი ტალახის ზელვაც არ გაგიძნელდება. მეტსაც გეტყვით: ქალაქების ასფალტმოსხმულ პროსპექტებზეც ადვილად გაცვლი შენს სოფლის მიწას, თუ მიწის სიკეთის რომანტიკა შენს სულში გამჯდარა. ჰოდა მე იმ წლის ოქტომბერში ბიჭითა და ცოლით სოფელს მივაშურე. სინათლეჩამქრალი, შენიღბული მატარებელი ღამის უკუნეთს მთელი სისწრაფით მიარღვევდა. ჯარისკაცებით გატენილ ჩვენს ვაგონში ფარაჯიანი უწვერულვაშო ბიჭი ჩუმის ხმით ახმიანებულ ფანდურს დამღეროდა:

ღიმილის ბიჭი ვიყავი, ბეჭზედ არწიი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი, ოცი არ გადამეხადა...
არ დაიდარდო, დედაო!

მივდიოდი მატარებლით და გზად მომძახოდნენ ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს მთა-გორაკებზე გაშენებული ციხე-კოშკები, ნადარბაზევი, ნამონასტრევი, ნაქალაქევი, ეს წინაპართა ნამამაცარი: დაიცავით მამული, მტერს არ მისცეთ საჯიჯგნელადო... უნდა გამაგრდეს საქართველო... უნდა გამრავლდეს საქართველო, რომელიც ამ უსაშველო ომში მრავალ ვაჟკაცსა სწირავს მამულს.

— ერთი დაღუპულის ნაცვლად ათი და თორმეტი, ათი და თორმეტი. მომძახოდა ეს ხმები და წინაპართა აჩრდილი ვალად მდებდა არაფერი დამეშურებინა და მიეედი და არა სოფელში, დავიწყე თუ არა მასწავლებლობა, ქადაგად ვიქეც: უნდა გავმრავლდეთ, მამულიშვილებო, ომში წასული მეომრის ნაცვლად ათი და თორმეტი, ათი და თორმეტი. ცალხელა კაცს ზოგი გაკვირვებით შემომცქეროდა, ზოგი კი ამბობდა, გიჟიაო, რა დროს გამრავლებაა, ომში გარეკილი ჩვენი შვილების ოჯახი ლამის ამოწყდესო, ბავშვები და ბებრები შევრჩით სოფელს, უსაშველო ომი გვაქვსო.

— მერე რა, რომ ომი გვაქვს? სწორედ იმიტომ, რომ არ ამოვწყდეთ, უნდა გავმრავლდეთ. შინ დარჩენილები ფრონტს უნდა დავეხმაროთ შრომითაც, გარჯითაც და იმითაც, რომ მამულს ხვალინდელი

შომველელი და პატრონი დავუზარდოთ. უნდა გავმრავლდეთ, „ვითარცა აბრამ და სარა, ვითარცა იაკობ და რახილი“... თუ არ გავმრავლდით, ამოვწყდებით. ზოგი ძალით ვიბერწიანებთ თავსა... უშვილობა ან მცირე შვილიანობა კულტგანათლება ჰგონიათ სოფლის ქალებსა. არა, ძირში უნდა ამოვკვეთოთ ეს აზრი, ერის დამღუპველი. ამას ვქადაგებდი კრებებზე და სოფლის ორღობეში, ჩემი მეზობლების გასაგონად...

სოფელში საშუალო სკოლის დირექტორად დამნიშნეს. ჩემი ცოლი მარიკა კი ქართული ენის მასწავლებლად. ომის პირობაზე კარგად მოვეწყვეთ. ჩვენი საშუალო სკოლის პირველი გამოშვება სანიმუშო იყო მთელს რესპუბლიკაში. მერე ომიც დამთავრდა და სოფელს ცოტა როდი დაუბრუნდა ომგადახდილი ვაჟკაცი... მათში ხეიბრებიც, ცალხელა და ცალფეხა, ცალთვალა და ორივე ფეხმოკვეთილიც. მერე ცხოვრებაც თავის კალაპოტში ჩადგა. ომში გამარჯვებული ჩვენი ქვეყანა ისევ ჯაფით, ისევ შრომით იშუშებდა ომისგან მიყენებულ უსაშველო ჭრილობას, ქალაქის კომფორტსაც ვიყავი მიჩვეული, მაგრამ სოფლად არ გამჭირვებია იმიტომ, რომ მე სოფლის მადლი და სიკეთე ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი. და იცოდეთ, სოფელში ყოფნა არ გაგიჭირდებათ, თუ გიყვართ გულით. თეატრსაც გამართავთ და სხვა გასართობებსაც ადვილად გამოიგონებთ, თუ გიყვართ გულით...

აბანო? — „საპონი და აბანო, ჯადოსნური ელექტრონი და თეთრი საყელო, კბილის საწმენდი ფხვნილი და ჯაგრისი, წიგნი და რადიო, ქრონომეტრი და რენტგენიც“ თუ მოისურვებთ, რამდენიც გენებოთ. მეტი? მეტი კიდევ რა გინდათ? ქებას ნახვა ჯობია. არა, გადაჭარბებით არ ვამბობ ამას...

შეუმჩნეველად გაიარა თვრამეტმა წელმა. ცხრა შვილი გვეყოლა. ექვსი ვაჟი და სამი გოგო. ვმუშაობდით და ვსწავლობდით, ვზრდიდით პატარებს. მერე მოგვერია ბავშვები და მარიკამ თავი მიანება მასწავლებლობას. მეშვიდე წელს უკვე მოგვეწია პირველი შვილი, მერე მეორე... მერე უფრო გვიან სამი უფროსი გვერდით ამოგვიდგა და გვეხმარებოდა შინ და გარეთ. უფროსი ვაჟიშვილი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მძიმე წლები გადაგვხდა, მაგრამ მაინც მხნედ ვიყავით. საარაკოდ უჩვეულო იყო ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე. საღამოს რომ ერთად თავს მოვიყრიდით, ერთი ოჯახის თერთმეტი წევრი, არც დასაჯდომი გვყოფნიდა და არც დასაწოლი. იყო უშველებელი გნიასი, ბავშვების მიწევ-მოწევა, ტირილი და სიცილი, სიმღერა და ქოთქოთი ერთმანეთში არეული. გვიან ვახშმობისას ძლივს ამოვისუნთქავდით. შუაღამე გადასული იყო, ჩვენ კი საკლასო რვეულებს ვასწორებდით. უთენია ისევ ვდგებოდით და ვმუშაობდით. ჩემი ბავშვებიც მზეს და-

ასწრებდნენ და ჟრიამულით აივსებოდა ეზო-კარი. ძნელი დღეები გვადგა, ღარიბად ვცხოვრობდით და მაინც ბედნიერად მოგვქონდა თავი. ვისაც არ უგრძვნია, იმას არც შეუძლია წარმოიდგინოს ამ გაჭირვებაში რაოდენი სიხარული იყო. ეს სიხარული ბავშვებს მოჰქონდათ. მე კი ყველა მეზობელს, ახლობელს და ნაცნობს ვუზიარებდი ჩემს სიხარულს. ზოგს სჯეროდა, ზოგი კი ზურგს უკან დამცინოდა, ზოგიც ფანატიკოსს მეძახდა. ამასობაში ზოგი ამყვა კიდეც. ჩემი სკოლის ახალგაზრდა მასწავლებლებმა, რომელთაც ჩემსავით უჭირდათ და ულხინდათ, მომბაძეს, ერთს ოთხი ჰყავდა, მეორეს ექვსი. მე მაინც ცხრას გავიძახოდი. მალე მრავალშვილიანობისათვის ჯილდოცა და ფულადი დახმარებაც შემოიღეს. ამან უფრო გაათამამა ზოგ-ზოგი. არა, ეს დიდებული რამ იყო.

სკოლაში ისტორიას ვასწავლიდი და ყველაზე უფრო მესმოდა ფასი და მნიშვნელობა საქართველოსათვის მრავალშვილიანობისა. და მართლაც, ერთი მილიონი ქართველი ხომ იქნებოდა ორმილიონნახევრიან საქართველოში, იმ თვრამეტი წლის მანძილზე მე რომ ცხრა შვილი შემეძინა, რომელთაც შეეძლოთ ემრავლებინათ შთამომავლობა. და თუ ისინი ჩემს მაგალითს გაჰყვებოდნენ, თვრამეტი წლის ბოლოს საქართველო ცხრა მილიონი იქნებოდა. ესე იგი იმდენი, რამდენიც თამარისა და რუსთაველის დროს. ჩემი მემატიანეების სისხლით და ცრემლით ნაწერი ფურცლები მიფურცლავს არქივებში და მუზეუმებში. დღეები ვმჯდარვარ, გადამიწერია, შემისწავლია და ახლაც სასოებით ვინახავ ამ რვეულებს. მე ვისწავლე და ვიწამე, რომ ერის ისტორიის ფუძე ხალხია. ხალხს უშენებია ეს ჩვენი ციხე-კოშკები, ეს ჩვენი დიდებული ტაძრები და მონასტრები. ისიც ვიცი, რომ უფრო მეტი მაშინ უშენებია და უკეთებია ჩემს ხალხს, როდესაც ბრძენი წინამძღოლები მეთაურობდნენ. ერის ისტორიის შენობის გეგმა დიდ პიროვნებებს შეუქმნიათ ვითარცა სწორუპოვარ არქიტექტორებს. და ამ გმირ წინამძღოლთა მეთაურობით დაუცავს ჩემს ხალხს მათივე ხელით აგებული ციხე-სიმაგრენი და მონასტრები. ერის დირიჟორები დიდი ადამიანები ყოფილან მუდამ. თუ ხალხი ბლომადაა, იქ მეთაურიც გამოჩნდება. უთუოდ, ნიჭიერი მეთაური და მრავალრიცხოვანი ხალხი უფრო ადვილად მოაგვარებენ ერის სატკივარს. ჰოდა, ხალხი გვჭირდება, ხალხი, ხალხი ჭიანჭველებზე მეტი, ვაითუ ვინმე უმადური ნაცარქექიობად ჩამითვლის იმის გამბედაობას, რომ ისტორიის ამ ვეებერთელა საკითხს ასე იოლად ვაბურთავებ. არა, მე დიდი წვალების შემდეგ მივაგენი იმ უბრალო აზრს, რომ ყველას, დიდსა თუ პატარას, შეუძლია აკეთოს ისტორიული საქმე, რადგან ერის ისტორიას მუდამ დიდები და პატარები ქმნიან — მეთაურები და ხალხი და მეც ხომ ერთი წახნაგი ვარ, ერთი ხრახნილი იმ დიდი მანქანისა, რომელსაც საქართველო

ჰქვია. დიახ, ამ თითო ხრახნილს, თითო წახნაგს მოგვყავს მოძრაობაში ცხოვრების დიდი მანქანა და რაც უფრო მეტნი ვიქნებით, მით უფრო ადვილად დავაბრუნებთ ისტორიის ბორბალს ჩვენი ერის სასარგებლოდ.

გაკვეთილს მოვრჩებოდი, ჩემი მეზობელი გლეხებივით ვხნავდი, ვთესავდი, ვმყნიდი და ვსხლავდი ცალხელა კაცი. მიწას დავუბრუნდი, მიწას შეზრდილი და შევიგნე, რომ ჩემი მასწავლებლობით და შრომით მეტ სარგებლობას მოვუტანდი ჩემს ოჯახს, ჩემს მამულს, ჩემს ერს, ვიდრე რიგითი კორესპონდენტი ან უკუდო ლექსების ავტორი. გამოყოფენ თავს და გამოგონილი პროფესიონალიზმით, ანაგვიანებენ ატმოსფეროს. მე ჩემი ცხრა შვილით ათასჯერ და ათი-ათასჯერ უფრო დავჭირდები ჩემს სამშობლოს, ვიდრე ჩემი სუსტი ლექსებით. მამულის დაცვაში ჩემთვის მარჯვენა რომ არ მოეჭრათ, ალბათ ამ გადაწყვეტილებამდე მაინც მივიდოდი, რადგან მუდამ მაწუხებდა რაღაც და ჩემს ადგილს ვერ ვპოულობდი. მოვნახე ჩემი ადგილი და დავმშვიდდი კიდეც. კარგი პოეტი ან კარგი მასწავლებელი. მესამე, საშუალო გზაზე ყოფნა მე არ მწამდა. მივხვდი, რომ ნამდვილად მოვნახე ჩემი ადგილი. ცხრა შვილიდან ალბათ პოეტიც გამოვა, მასწავლებელიც და მიწის მუშაც. მაინც ჩემს შვილებს ანდერძად ვუტოვებ, არ მოსწყდნენ მიწას. ქართველ კაცს ყველაზე უფრო ლამაზი და მდიდარი მიწა აქვს. და თუ ამ ბარს, ამ მთას, ამ გორაკებს პატრონად არ გამოვადექით, სხვები დაეპატრონებიან, რადგან ბუნებაში ცარიელი ადგილი არასოდეს რჩება და რომ ეს არ მოხდეს, უნდა გავმრავლდეთ. იმდენი მაინც უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ დალოცვილ მიწას და მამულს ვუპატრონოთ. ამიტომ ვთქვათ მართალი, თვალებიდან მოვიშოროთ ვარდისფერი სათვალე, ნუ ვიქნებით მეშჩანები, პროვინციალური არტისტები. დამილოცნია მე რიგითი ქართველი, რომელიც ცხოვრების მიზნად ისახავს ისეთ ამოცანას, რომლის განხორციელების უნარი შესწევს. არ იპრანჭება, არ იგრიხება, ცრუ მეცნიერის ნიღაბს არ იფარებს და იცის, რომ ცხოვრება რთულია, მაგრამ მაინც ლამაზი და მშვენიერი და შენ შენი წილი უნდა მიუმატო ამ სილამაზეს — ფიზიკური, გასაგნებული, ხელშესახები და ნამდვილი, რომლის დათვლაც შეგეძლოს, დანახვაცა და ხელშეხებაც.

ამას მე ვამბობ, ივანე ჯავახიშვილის ნამოწაფარი, ნაკორესპონდენტარი, ნაომარი, ახლა სოფლის მასწავლებელი. ეს მე ვარ, სამშობლოსათვის ცალ-ხელ მოკვეთილი ცხრა შვილის მამა. მე გეძახდით თქვენ, ჩემო მეზობლებო და მეგობრებო, შორეულებო და ახლობლებო, მთლად საქართველოვ! მე გეძახით თქვენ, სიცოცხლითა და სილამაზით სავსე ახალგაზრდობავ, ჩემო ჯაბუკებო და ქალ*შვილებო, არაფერი არ დაიშუროთ საქართველოსთვის. დე, დედაშვილობის კალ-

თამ ცხრა შვილი დაგიბერტყოთ, ცხრა კერა აგინთოთ, ცხრა წყაროს ეზიაროთ.

მე ბევრი ვეწამე და ვეწვალე, ვიდრე ცხრა შვილს გამოვზრდიდი, მაგრამ ჩემზე ბედნიერი ახლა არავინაა ამ ქვეყანაზე. მოვნახე ჩემი ადგილი ჩემს ოჯახში და ჩემს მამულში. მე და ჩემს ცოლს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი წილი შევიტანეთ ჩვენს მამულში, ყველაზე დიდი წვლილი მამულიშვილობისა. მამულიშვილობა, სწორედ რომ დედაშვილობის მოვალეობის მოხდაა.

წინ, მხოლოდ წინ უნდა ვიყურებოდეთ. იმ ერის საქმე ხელიდან წასულა, რომელიც წარსულის მოგონებით ცოცხლობს, წინაპართა ნაამაგარით მოაქვს თავი.

ჩვენი ერის წარსული გმირულია, ჩვენი წინაპართა ნამამაცარი ყოველ დიდ ერს დაამშვენებდა, მაგრამ ჩვენ იმ დიდ საქმეებში წილი არ გვიდევს, ის დიდი კულტურა უჩვენოდ შექმნილა, ის დიდი საქმეები უჩვენოდ გაკეთებულა. და თუ ჩვენი წილი არ წავუმატეთ ამ დიდებულ საუნჯეს, ისე ხვალ და ზეგ ღარიბი აღმოვჩნდებით და, რომ არ გაღარიბდეს სული ჩვენი, აწმყო უნდა განვამტკიცოთ, ჩვენი ღვაწლით და საქმით, თავდადებითა და თავშეწირვით, რადგან დიდი მსხვერპლის გარეშე დიდი საქმე არასოდეს გაკეთდება.

მე ეს მჯეროდა და არც რა დამიკლია ჩემი ქვეყნისათვის.

მე ერთი ხელი მომკვეთეს, მაგრამ ცალმკლავამ ცხრაჯერ ორი ხელი შევიძინე. ისინი, ჩემი შვილები, თავიანთი თვრამეტი ხელით დაიცავენ ჩემს საქართველოს, რომლის სიკეთისათვის მე არც არაფერი დამიშურებია და რითაც შემეძლო პირნათლად ვემსახურე.

პატიოსან კაცს სამი რამ აქვს სალოცავი: სამშობლო, ენა და ოჯახი. ბედნიერები არიან ისინი, რომლებსაც ყველაზე დიდი და ყველაზე ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე არ დაუშურებიათ მამულის, ენისა და ოჯახის დასაცავად. მე ანდერძად ვუტოვებ ჩემს შვილებს, პატიოსნად დაიცვან მამა-პაპათა მზით ნაფერი, ნაამაგარი და სალოცავი ჩვენი სამშობლო, ჩვენი ენა, ჩვენი ოჯახი ქართული.

ბედნიერები არიან ისინი, რომელთაც ბავშვური უმანკოებით გალიეს ეს წუთისოფელი და ისე მოკვდნენ, ბოროტებას არ უზეიმია მათ სულში. ისინი, რომელთაც სიკვდილის შემდეგ მათ შვილებს უქებენ გარდაცვლილი მამის საქციელს. და არც არასოდეს დაუხვდებათ გზაზე მამების ნაკვალევის ლაქა, რადგან მამებმა უბოროტოდ გალიეს ცხოვრების დღენი.

მე ვიცი, ჩემს შვილებს ჩემზე აუგს არც არასოდეს წამოაყვედრებენ, რადგან ბოროტება არც არასოდეს ჩამიდენია. ბაბუას კერასთან ზიარებული სიკეთე და ჩემი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის შეგონებანი ცხოვრების მთელ გზაზე მეყო საგზლად.

მე ვხედავ ჩემს ახალ საქართველოში, საბჭოთა საქართველოში ჩვენი კეთილი ახალგაზრდების მომზირალ თვალებს და თავს ვერ ვიკავებ შეძახილისაგან: „იმ გულად და პურად ცხრა მილიონიან საქართველოს გაუმარჯოს, იმ ცხრა მილიონიანი ქართველების ოჯახში ანთებულ სანთლებს! კეთილი იყოს, კეთილი იყოს ეს მოლანდება!“

ბოლო მინაწერი: ერთ საიდუმლოებასაც გაგიმჟღავნებთ: ორმოც წელზე მეტია, რაც ვშრომობ და ვიღვწი, რითაც კი შემეძლო, ჩემი მამულისთვის თავი არ დამიზოგავს. მრავალი ხეც დავრგე. ეს ხეები, ეს ნერგები წლობით იშრიალებენ. ჩემი შვილებიც დარგავენ ხეებს და ისინიც იშრიალებენ. ისინი ცხრაჯერ მეტს დარგავენ, ცხრაჯერ მეტს გააკეთებენ. ოღონდ მე, მაშინაც კი, როცა მტერს ვებრძოდი შაშხანით ხელში და მაშინაც, როცა ცხრა შვილს ვზრდიდი, მუზა მიღიტინებდა სულში. სამამულო ომში ხელი მომკვეთეს, მაგრამ როგორც კი მარცხენა ხელით წერას მივეჩვიე, ლამეებს წერაში ვათენებდი, დღიურების სახით ვწერდი ჩემი ცხოვრების ამ ქრონიკას. მერე დღიური დღიურს გადავაბი და ხელმეორედ გადავწერე. დაე, მაპატიოს ჩემი პროფესორის დიდი ივანეს აჩრდილმა, თუ პოეტობითა და ისტორიკოსობით ვერ ვასახელე ჩემი მამული, მაგრამ ცხრა შვილი ხომ გამოვუზარდე ჩემს საქართველოს. ერთი კაცისთვის ესეც კმარა.

* * *

ეს დღიური ამას წინათ ერთმა ნაცნობმა გადმომცა და ასე მითხრა: „ბიძაჩემის არქივს ვალაგებდი, მოგეხსენებათ, იგი ძველი რევოლუციონერი იყო. სრულიად მოულოდნელად ამ ქაღალდებს წავაწყდი, არც სათაური აქვს და არც არავინ აწერს ხელს. მე ამ დღიურების ავტორის ვინაობის გამოძიების თავი აღარა მაქვს. ეგებ შენ გამოჩხრიკო მისი ვინაობა. ერთი სიტყვით, შენთვის მომინდვია ამ ქაღალდების ბედი“. — ესა თქვა და დღიური ხელში შემომაჩეჩა. გაკრული ხელით ნაწერ ქაღალდებს თავი და ბოლო მოგლეჯილი აქვს. ეს უთავბოლო ხელნაწერი სულმოუთქმელად გადავიკითხე. მალე ავტორის ვინაობის გამოძიებასაც შევუდექი. ბევრი ვეძიე, გამოვიკითხე, მაგრამ ამაოდ, მის ვინაობას ვერ მივაკვლიე. დღიურის ამ ფრაგმენტს უთუოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება. და, რაც მთავარია, ეგებ ამ გზით აღმოვაჩინო მისი ავტორი...

1917 წელი, 25 ოქტომბერი, პეტერბურგი.

ბარათი მომივიდა თბილისიდან: მთხოვენ საქართველოში დავბ-

რუნდე, უნივერსიტეტში მიწვევენ სამუშაოდ. დიდად გამახარა ამ მოწვევამ. მაშინვე შევუდექი სამზადისს. აგერ მთელი კვირაა, რაც საჭირო წიგნებსა და ნივთებს ვარჩევ და ყუთებში, ჩემოდნებში ვალაგებ და აი, თითქმის რომ მოვრჩი სამზადისს, სწორედ მაშინ გამომიცხადა ჩემმა მეუღლემ, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო...

გუშინვე შევუთვალე უარი ჩემს თბილისელ მეგობრებს.

2 ნოემბერი.

დღეს საყვედურებითა და სალანძღავი სიტყვებით აღსავსე წერილი მივიღე... ასე მეკუთვნის მე! ჯერ თვითონ ვაქეზებდი ამხანაგებს, თბილისისაკენ მოეუწოდებდი ნაცნობსა და უცნობს, რევოლუციის სახელით გავყვიროდი: „სამშობლოს უნდა შველაო“...

მერე რა, ყველაზე მაჩანჩალა მე აღმოვჩნდი! ბოლოს სულ უარი შევუთვალე. არა, არა ვარ მე ღირსი შებრალებისა!..

1918 წელი, მაისი, თბილისი.

ვაშა! მე უკვე თბილისში ვარ, ჩემს სამშობლოში. ო, როგორ გავიხარე...

გუშინ მთელი დღე პატარა ბავშვივით დავრბოდი ქუჩებში. ნაცნობსა და უცნობს ვესალმებოდი, ხელს ვართმევდი, ვუღიმოდი, ვეხვეოდი...

ჩახჩახა მზე ანათებდა თბილისის მიწას და ჩემს გულშიაც მზე იდგა. ჩემმა სამშობლომ გულის ნათელი მაპოვნინა...

შუაღამისას თავბრუდახვეული დავბრუნდი შინ. ისევ ყველას გადავეხვიე, ყველა გადავკოცნე. ჩემი შემყურე მოხუცებული მშობლები ცრემლს ვერ იკავებდნენ. ახლა შინ მარტო ცოლი ბუზღუნებს, ყველაფერს გვიწუნებს, არც ბინა მოსწონს და არც ჩვენი მოწყობილობა... მაგრამ აღარ ვაქცევ ყურადღებას მის ბუზღუნს. რაც უნდა, ისა თქვას. მე ჩემს სამშობლოში ვარ და, ჩემი ხალხის გაბრწყინებულ თვალებს რომ შევყურებ, ყველაფერი მავიწყდება. ახლა ჩემზე ბედნიერი არავინ არის მთელს დუნიაზე!

გუშინ პირველი ლექცია წავიკითხე ჩემს უნივერსიტეტში, ქართულად, დიახ, ქართულად...

(ქვემოთ თარიღები ვერ ამოვიკითხე, ხელნაწერი დროჟამისაგან ისეა გაცრეცილი, რომ თარიღები არა ჩანს და მეც თავი მივანებე მათს აღდგენას. ს. ჯ.).

მთლად ისე ვერ მოეწყო საქმე, როგორც მე მინდოდა, მაგრამ ბედს მაინც არ ვემდური...

...დღეს სხვა პროფესორებთან ერთად ხელი მოვაწერე რომელიღაც დეკლარაციას. არა, ღმერთმანი, იმდენია ეს მანიფესტები და დეკ-

ლარაციები, რომ ვერც კი ვარჩევ, რომელი რომელი პარტიისაა...

...ახლა, ჩვენთან, რამდენიც პროფესორია, იმდენი პარტიაა...

...ჰო, გუშინ რა დავა და აყალ-მაყალი იყო ჩვენს საპროფესოროში! რა სიტყვები არ ითქვა! საქმე იქამდის მივიდა, რომ კინაღამ ხელით შეეხო ორი განუყრელი მეგობარი ერთმანეთს. ამ ჩვენს კეთილ პროფესორებს ვეღარა ვცნობ. რა მოუვიდათ, რამ გაახელა, რამ აღაგზნო ასე! ჩემთვის გამოუცნობია ყოველივე ეს. არც ის ვიცი, ვინ განაგებს ამ ვნებათა ღელვას, ამ საზღვარდაუდებელ გამთიშველობას. ახლა ჩვენ ერთი პირი და ერთი მიზანი უნდა გვქონდეს, მაგრამ ვაი რომ თანდათანობით დაირღვა ეს ერთობა!

ნეტავ როგორ წავა საქმე?

ამბობენ, თურქები აპირებენო თავდასხმას. ვითომ მართალია?

...გუშინ არ შედგა ლექცია. მთელი ჩვენი სტუდენტობა თურქეთის ფრონტზე გაკრეფილა, დიდი პატრიოტული სული დატრიალდა ახალგაზრდობაში. ჩვენი პრორექტორი ბატონი კირილეც ემზადებაო ფრონტზე წასასვლელად...

არა, ჩვენისთანა ხალხის დამარცხება შეუძლებელია.

...არც დღეს შედგა ლექციები — ყველას ფრონტი აკერია ენაზე.

12 საათზე ივანე ჯავახიშვილმა დაგვიბარა. ასე გვითხრა: „მძიმე დღეები დაუდგა ჩვენს ერს, მტერი კარზე მოგვადგაო, ახლა გვმართებსო თავდადება და თავკაცობა, დღეს საქართველოში არ არის სხვა უფრო დიდი ეროვნული დაწესებულება, ვიდრე ჩვენი უნივერსიტეტიაო, სასოებით შემოგვყურებს ხალხი და უნდა გავამართლოთ ეს იმედიო.

ეს ჩვენი თეთრი შენობა ისე უნდა ანათებდეს, როგორც ციცინათელა ღამეში, რომ ამ სიბნელეში გზა გაიკვლიოს ჩვენმა ერმაო...

კიდევ ბევრი რამ თქვა ჩვენმა მოძღვარმა. ო, რა ქრისტესავით კაცია ჩვენი რექტორი, ყელამდე აგვავსო რწმენითა და შეგნებით. კმაყოფილი დავბრუნდი შინ. ვნახოთ რა იქნება...

...თურქეთის ფრონტიდან კარგი ამბები მოდის. ბათუმი ისევ დაუბრუნებიათ ჩვენებს. უნივერსიტეტში გუშინ დიდი ზარ-ზეიმი იყო. შინ მივედი და სულ სხვა ახალი ამბავი დამხვდა:

ხვალ წითელი ჯარი შემოვაო თბილისში...

...დღეს მართლაც შემოვიდა წითელი ჯარი ქალაქში. თეთრ ტაიჭზე შემჯდარი ჩემი მეგობარი პოეტი წითელი ბაირაღით შეხვედრია მოედანზე ჯარს. მგონი ლექსიც წარმოუთქვამს...

უნივერსიტეტში კი ისევ აირია ყველაფერი. ჩვენებმა ულტიმატუმი წაუყენეს ახალ მთავრობას. მერე მთავრობის წევრებიც მოვიდნენ უნივერსიტეტში. საერთო კრება გაიმართა, მთელი დღე გაგრძელდა

კამათი და დავა. ასე გაბრაზებული არასოდეს მინახავს ივანე ჯავახიშვილი.

უნივერსიტეტში ისევ დაიწყო ლექციები, ზოგ-ზოგს კი აღარ ვხედავ საპროფესოროში. ამბობენ, საზღვარგარეთ წავიდნენო...

სხვებისა არ ვიცი და, მე კი ფეხს არ მოვიცვლი აქედან! ძლივს ვეღირსე სამშობლოში დაბრუნებას და, ახლა, ვინც უნდა მოვიდეს აქ და რაც უნდა მითხრას, ვერაფერი დამძრავს აქედან! ჩემი მიწის მტვერი მირჩევნია სხვებისაგან შეპირებულ ქიშმიშსა და შაქარყინულს.

მითქვამს და ვიმეორებ: ვერც ლხინში და ვერც გაჭირვებაში ვერ გავექცევი ჩემს ხალხს. სადაც ხალხი, იქაც მე!..

...გუშინ ძალზე გამაჯავრეს. ეგებ მართლა არა ღირს აქ დარჩენა? ა?

დღეს გავიგე, ვიღაც ახალგაზრდები სიონში შეცვენილან და ხატებისა და ფრესკებისათვის ქვები დაუშენიათ. არა, რაღაც დიდი უბედურებაა ჩვენს თავს!

წუხელ მთელი ღამე არ მიძინია.

ავდექი თუ არა, გაზეთებს მივვარდი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. გაზეთებში სულ სხვა სწერია.

თბილისში სამი ახალი ქართული გიმნაზია გაუხსნიათ. ხოშტარია-სეული სახლი ხელოვანთა სასახლედ გადაუქცევიათ.

ფითოევის ყოფილ თეატრში კოტე მარჯანიშვილს ახალი ქართული თეატრი გაუხსნია.

კოტეს მე პეტერბურგში შევხვდი თბილისში გამომგზავრების წინ. რომ არ აპირებდა ჩამოსვლას? ეს როგორ მოხდა? არა, ხვალვე უნდა ვნახო კოტე!

დღეს ისევ უსიამოვნება შემხვდა. რუსთაველსა და მის ეპოქაზე გვქონდა საუბარი სტუდენტებთან. სწორედ ამ დროს ერთი ახალგაზრდა წამომიხტა და მითხრა: „რა გააჭირეთ საქმე თქვენი რუსთაველით, ილიათი და აკაკით, იმათ მშრომელი ხალხისა არა სწამდათ რა, ისინიც სისხლისმსმელი მემამულეები იყვნენ, მადლობა ღმერთს, რომ კისერი მოვუგრიხეთ მემამულეებს და ისინიც იმათ უნდა მივაყოლოთო. იმათ პოეზიის წინაშე შეიძლება ჰქონდეთ დამსახურება, მაგრამ ხალხის წინაშე კი არაო“.

მე ავდექი და დავტოვე ლექცია. ღმერთო ჩემო! ეს რა ხდება?

გუშინ შევხვდი კოტე მარჯანიშვილს. გადამეხვია, გადამკოცნა. დიდად გაუხარდა ჩემი ნახვა. და მერე იცით რა ზღაპრული გეგმა გადამიშალა? ნეტავ ასრულდეს ყოველივე ეს! შინ კმაყოფილი დავბრუნდი.

მგონი არც ისე ცუდად არის საქმე, როგორც მეგონა...

...ვერა, ვერ დაწყნარდა ეს ქვეყანა! დღეს ჩემი ერთი მეგობარი

დააპატიმრეს. საქართველოში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყება უნდა მოეხდინათო. ამ მიზეზით გუშინ ბევრი დაუპატიმრებიათ.

არა, ეს შეუძლებელია...

ახლა მაცნობეს, დაპატიმრებით კი ბევრი დააპატიმრეს, მაგრამ ნახევარზე მეტი ისევ გამოუშვესო.

მე და ჩემი ორი მეგობარი მწერალი ჩემს ძველ ნაცნობს ვესტუმრეთ, ახლა ის განაგებს ქვეყანას. ჩემი ნახვა თითქოს არ ეწყინა. ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა. ოღონდ, როცა ჩვენი სათხოვარი მოვახსენე (დაპატიმრებული ქართველი მწერლის ციხიდან გამოშვებას ვთხოვდით), ერთბაშად შეიცვალა, გაბრაზდა, ადგა, ბოლთის ცემა დაიწყო. მერე მოგვიბრუნდა და ასე მოგვახსენა:

— თქვენ ნამეტანი გათამამდით, დიახ, დიახ... იცოდეთ, ვინც ჩვენი რევოლუციის წინააღმდეგ აღმართავს ხელს, სასტიკად გავუსწორდებით, ვინც უნდა იყოს ის! რევოლუცია თამაშობა ხომ არ ჰგონია ზოგიერთს! ნურას უკაცრავად! ჩვენ სასტიკი ვიქნებით ჩვენი მოწინააღმდეგეების მიმართ! ამას წინათ, თქვენი მეგობრის, ქართველი პოეტის ლექსი წავიკითხე:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალიაო“, — მოგვიწოდებს იგი. ეს ურიგო როდია;

დიახ, რევოლუცია სისხლიან ანგელოზს შეადარა. დე, ასე იყოს, ოღონდ არ დაივიწყოთ, თუ ეს ანგელოზი გააჯავრეთ, იცოდეთ, ძვირად დაგიჯდებათ. ჩვენ ქრისტეს მიმდევრები როდი ვართ, რომ ერთ ყბაზე თუ გაგვარტყეს, მეორე მივუშვიროთ... ვისაც ჩვენთან მეგობრობა სურს, იმათ დავუმტკიცებთ, როგორი მეგობრობაც ვიცით. მტრებს მტრულად გავუმასპინძლდებით. ეს დაიმახსოვროს ყველამ“.

ესა თქვა და ცივად გამოგვისტუმრა.

ეს ყველაფერი ქალაქად ხდებოდა. სოფელში? მე სოფლელი კაცი არა ვარ, მაგრამ იქ ერთი მეგობარი მყავს. მისი ნაამბობი სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე ჩემს დღიურში. აი რა მითხრა მან:

ცხარე კამათი ჰქონდათ ახალი სოფლის თავკაცს გიორგისა და მის ძველ მეგობარ ალმასხანს. გიორგი ხელმძღვანელისათვის ჩვეული რიხით ეკითხებოდა მეგობარს:

— რატომ დგახარ განზე, ჩემო ალმასხან? მაინც რითა ხარ უკმაყოფილო, ვერ იტყვი, შე კაცო?

— რით უნდა ვიყო, აბა რაში მეტყობა უკმაყოფილება?

— იმაში, რომ არ გვეკარები. ითნა ჩიჩუა რომ არის, ისიც კი ყოველდღე მოდის ჩვენს რევკომში, თავს ისე გვაჩვენებს, რომ ჩვენი კაცია; შენ? შენ ერთხელაც არ შემოგიხედავს ჩვენთან! ახლაც მე რომ გზაზე არ შემხვედროდი, ალბათ არც იფიქრებდი აქ შემოგევ-

ლო. ვერა და ვერ გამიგია დადიანი ხარ, ჩიქოვანი თუ ჩიჩუა, ბოლშევიკებს რომ ებრძვი?!.

— არა, ჩემო გიორგი, მე არც ვებრძვი ვისმე და არცა ვმტრობ! შენც კარგად იცი ჩემი შეხედულება დადიანებზეც და ჩიქოვანებზეც. და მარტო ისინი კი არა, ყველა მუქთახორა და სხვისი ოფლით გამძღარი ჭირივით მძულს! მე მეზიზღებიან და ვერასოდეს შევურიგდები ამ მძარცველებსა და მგლეჯელებს.

გიორგიმ სიტყვის დამთავრება არ აცალა მეგობარს, მიუბრუნდა და კვლავ შეეკითხა:

— აბა, მაშ რა ამბავია, რომ არ გვეკარები?

— რაკი ძალიან გინდა ჩემი აზრი გაიგო, გეტყვი, არ დაგიმალავ. ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ ჩვენს სოფელში, ერთი პირველთაგანი მე შევეგებე მათ და ჩემი პატივისცემაც დავუდასტურე. მაშინ შენ ქუთაისის ციხეში იყავი, ეს არ გინახავს, მაგრამ, ალბათ, გეტყოდნენ. ჩვენს სოფელში ბოლშევიკების შემოსვლას ყველა როდი შეხვდა ტაშით! ზოგნი იმასაც კი ამბობდნენ, კომუნისტები მოვლენ და ყველაფერს წაგვართმევენ, რაც გვაბადია, ჩვენ თავლაში შეგვყრიან და ოდა-სახლებში თვითონ დასახლდებიანო. აი, ჩვენი მეზობელი ძიკი რომ არის, ის ძიკიც კი ორმოს თხრიდა და იქ უნდოდა გადაემალა, რაც კი რამ ებადა. მე კი ხალხს ვამშვიდებდი, ვუხსნიდი, ვუმტკიცებდი, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო. ჰოდა, როგორც გითხარი, ერთი პირველი მე შევეგებე თქვენს მოსვლას ჩვენს სოფელში. მაგრამ არც იმას დაგიმალავ და გეტყვი: თქვენ თქვენი საქმითა და მოქმედებით ჩვენს რაიონში ვერ გამოიჩინეთ ახალი საქმის მეთაურის შესაფერისი სიფრთხილე... ვერც ის არის დიდი გმირობა, ჩემო გიორგი, ვინმეს რომ რამე შეეშალოს და მაშინვე ციხეში უკრათ თავი! — ალმასხანს კიდევ ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ გიორგიმ არ აცალა და მკაცრად შეესიტყვა:

— ჩვენგან მტრები ნუ მოელიან მოფერებასა და პატივს! მტერი მტერია, ალმასხან, მტერს მტრულად უნდა გავუსწორდეთ. ძველი და უვარგისი უნდა აღიგავოს, მკაცრად, დაუნდობლად უნდა დავამსხვრიოთ! მათი დრო წავიდა და ვერავითარი ძალა ვეღარ მოაბრუნებს.

ახლა ალმასხანმა არ აცალა გიორგის:

— მე იმას კი არ მოგახსენებთ, მტერს მოვეფეროთ-მეთქი. მე იმას ვამბობ, რომ ბევრი რამ გადამეტებულია თქვენს მოქმედებაში. მე ძველი კაცი არა ვარ და არც ძველი ცხოვრების მოტრფიალე გახლავარ. ცხადია, არ უნდა დავზოგოთ მტრები, ისინი სასტიკნი და დაუნდობელნი იყვნენ ჩვენს მიმართ. ისიც მართალია, რომ ბევრი უზნეობაც სჭირდათ, მაგრამ რა დაუპირისპირეთ თქვენ მას? უხეშობა... ამიტომაც გვერდს გიცლიან ზოგნი...

ეს კი მეტისმეტი მოეჩვენა გიორგის და ხმამაღლა შეუყვირა მეგობარს:

— როგორ თუ გვერდს გვივლიან! აბა ჰკითხეთ ხალხს, ვის მხარეზე არიან, დადიანს ემხრობიან თუ ჩვენ? ჰკითხეთ-მეთქი! — გაცხარდა გიორგი. მერე, თითქოს თავისთავისა შერცხვაო, დაყვავებით მიუბრუნდა მეგობარს: — მაშ, როგორ ჰგონიათ, ეს რევოლუცია ქადის გამოცხობაა, რომ გამომცხვარი ქადით პირი ჩაიტკბარუნონ დადიანებმა და ჩიჩუებმა? არა! მტერი მტერია, ჩემო ალმასხან! აბა კვლავ დადიანებმა რომ აიღონ ხელისუფლება, როგორ გგონიათ, ისევ ხეზე არ ჩამოგვკიდებენ? შენც მიგაყოლებენ ჩვენს გზას! ისინი რევოლუციის მტრები არიან, არც არაფერს დაგვითმობენ და ჩვენ რატომ უნდა დავუთმოთ რამე დადიანებს, ბურჟუებს, მღვდლებსა და მათ ერთგულ მსახურთ? ბრძოლა ბრძოლაა! მჩაგვრელნი უნდა გაცამტვერდნენ. დიახ, რევოლუცია ამას ნიშნავს! ჩვენ იმიტომ კი არ მოვცხეთ ბურჟუებს და თავადებს, დადიანებსა და ბატონიშვილებს, რომ ახლა რევერანსები ვუკეთოთ და ველოლიავოთ! არა, კბილები უნდა ჩავუმტვრიოთ, კბილები, ვინც რევოლუციის მტერია! — ისე გაცხარებით იმეორებდა გიორგი და გვერდზე ჩამოკიდებულ ნაგანზე წარამარა იკიდებდა ხელს, თითქოს ეს-ეს არის უნდა ამოიღოს და ვიღაცას ესროლოსო.

ახლა ალმასხანმა დაუყვავა გიორგის:

— არა, ჩემო გიორგი, მე იმას კი არ მოგახსენებთ, მტერს მოვეფეროთ-მეთქი. მე იმის მომხრე ვარ, რომ ამ მტერს მოკეთესაც ნუ გადავაყოლებთ. გარჩევა გვმართებს, დაკვირვება და გარჩევა, დაკვირვება და შეფასება! ჩვენთვის არავის მოუცია უფლება წლებით და საუკუნეებით შექმნილი და აშენებული ციხე-კოშკები, ეკლესიები, სასახლეები, განურჩევლად ვანგრიოთ. არც იმის უფლება მოუცია ვინმეს, რომ ჭკვიანი, განათლებული, ნიჭიერი კაცი, იმის გამო, რომ მან ერთბაშად არ დაიყვირა, გაუმარჯოს რევოლუციასო, მტრად გამოვაცხადოთ. არა, არა მგონია, ეს იყოს რევოლუციონერობა, ამას მოითხოვდეს რევოლუცია. ამით სახელს გაუტეხთ რევოლუციას, ხალხს გულს აუცრუებთ ბრძოლით მოპოვებულ საქმეზე. აი, რა ეფიქრებს და მაღელვებს მე...

ალმასხანის აზრები დიახაც მენიშნა მე და გადავწყვიტე ყველაფერი ეს მეამბნა ჩემი მეგობრისათვის.

ორი დღის შემდეგ ისევ ვეახელი ჩემს ნაცნობს. ჯერ მიღებაც არ სურდა. მერე, როგორც იყო, მიგვიღო, მაგრამ რა! თანდათან მკვახე ლაპარაკად იქცა ჩვენი დიალოგი. სიტყვა-სიტყვით მოვუყევი ჩემი მეგობრის ნათქვამი, ამაზე უფრო გაცხარდა იგი.

...დიახ, ზოგ-ზოგებს, — ამბობდა ჩვენი მასპინძელი, — ჩუმად უნ-

დათ მტრობა თესონ და ხალხი აგვიმხედრონ, ზოგი კი განზე გამდგარა და სეირს უყურებს, დუმს და ამით მტერს ეთანხმება. არა, არ გამოგივათ ეს! — თქვა ესა და ისე მოგვაშვირა ხელი, რომ ნამდვილად ჩვენ გვგულისხმობდა ყველა ამ მოწინააღმდეგეგე. მერე ჩვენზე განრისხებულმა უფრო მშვიდად დაუმატა: — ახალ საქართველოსთან არის ყველა პატიოსანი მშრომელი კაცი!..

პასუხი ჩემმა მეგობარმა პოეტმა წამოიწყო:

— ჩვენ განზე როდი ვდგავართ, პირიქით, კარგად ვიცით, რომ პოლიტიკაში ცარიელი ადგილი არ არსებობს, ვიცით, რომ თუ ცარიელი ადგილი დავტოვეთ, მას მეორე დღესვე ვინმე ოხერი და უღირსი დაეპატრონება, ამიტომ გვირჩევნია ეს ასპარეზი ისევ ჩვენ დავიკავოთ, ვიდრე ვინმე ქვეყნის ისტორიისა და ენის უცოდინარი დაეპატრონოს. ქართველ ინტელიგენციას ეს კარგად ესმის და აკი თანამშრომლობს კიდეც თქვენთან. მაგრამ ზოგ რამეში თუ არ გეთანხმებით, გავარკვიოთ რა არის ამ უთანხმოების მიზეზი. რევოლუციის მტრები ჩვენ არა ვართ, მაგრამ ჩვენს ენასა და მამულს არავის დავუთმობთ.

ისევ ერთბაშად გაცხარდა ჩვენი მასპინძელი:

— როგორ, ჩვენ არ ვუვლით ჩვენს მამულს, ჩვენს ენას, ჩვენს ქვეყანას?.. აბა, ერთი ეს მითხარით, როდის გამოდიოდა ამდენი ჟურნალი, ამდენი გაზეთი საქართველოში? თქვენ ხომ მწერლები ხართ და ნუთუ არ უკვირდებით ამას? ან კიდევ სად იყო ამდენი სკოლა, ამდენი უმაღლესი სასწავლებელი, ამდენი თეატრი? ანდა ის დრო სჯობდა, თბილისის ტრამვაის ბელგიელები რომ განაგებდნენ, ჭიათურის მარგანეცს — ამერიკელები? ხოლო ქართლ-კახეთის საუკეთესო ზვრები, ბაღ-ვენახები ქორ-ვაჭრების ხელში იყო, ან იქნებ არ გახსოვთ მიწაწყლიანად გაყიდული მაშინდელი საქართველო, ჰა?

— მარტო ეს როდია საქმე, — წამოიწყო ისევ ჩემმა მეგობარმა პოეტმა და ისევ დავაპირეთ შებმა მოკამათესთან, მაგრამ ერთბაშად გადავიფიქრეთ და ისევ დაყვავება ვარჩიეთ.

ეს რომ შეგვატყო ჩვენმა მასპინძელმა, გაგვიღიმა, ხელი ჩამოგვართვა და დახმარება აღგვითქვა.

ჩვენც, ჩვენი მხრით დავუდასტურეთ პატივისცემა და შინ დამშვიდებული წამოვედით.

გუშინ განათლების კომისარიატში გამოგვიძახეს. დიდი თათბირი გაიმართა: მუზეუმები უნდა გავხსნათო, წარსულის საუნჯეს უნდა გავუფრთხილდეთო, მოვუაროთო... დიდხანს იყო ამ საგანზე მსჯელობა...

მერე ალექსანდრე აბაშელი და პავლე ინგოროყვა ადგნენ და ილია

ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებების გამოცემა მოითხოვეს, წარმოიდგინეთ, დასტური მიიღეს!

— გასაოცარია ზოგი კომუნისტი! ჯერ იყო და ეკლესიებს, მუზეუმებს, ძველ მწერლებს შეუტია. ახლა ისევ ახალ მუზეუმებს ხსნიან და ძველ ხელნაწერებს დაეძებენ და აგროვებენ!

გზაზე ერთმა მეგობარმა იცით რა მითხრა? — აბა როგორ გგონიათ, რევოლუცია ნგრევაც არის და აშენებაცო!

ნგრევაცა და აშენებაც! გააჩნია ვისთვის როგორ...

...ეს სამი წელიწადია თითქოს ყველაფერი დამშვიდდა. დაწყნარდა. ცხოვრებაც კალაპოტში ჩადგა. ბევრი რამეც კეთდება.

წლეულს უნივერსიტეტს ისევ ცალკე გამოეყო სასოფლო ინსტიტუტი.

ახლა უნივერსიტეტს ორი შვილობილი ჰყავს: პოლიტექნიკური და სასოფლო.

დეე, ღმერთმა უმრავლოს შვილები და შვილიშვილები.

წუხელ დიდი ზეიმი იყო ჩემს ოჯახში.

ქალიშვილის ქორწილი გვქონდა. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა ითხოვა.

დამილოცნია, დამილოცნია ეს ახალბედა ოჯახი!

ასევე გულით ვლოცავ ჩემ სამშობლოს — საქართველოს ოჯახებს, სულ ქორწილი და ნათლობა იყოს ჩვენს ქვეყანაში!

— კმარა მტრობა და დაქცევა!

ჩემი გამოანგარიშებით, ახლა საქართველო თვრამეტი მილიონი უნდა ყოფილიყო, რომ მტრებს არ დაექციათ და არ მოესპოთ...

რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო, — ამბობს ქართველი ხალხი.

და ჰა, აღსრულდეს ხალხის ეს ბრძნული ნათქვამი!

ეგებ დაუდგეს ჩვენს ერსაც სიყვარულისა და შენების წლები...

ხელნაწერი აქ წყდება. არ ვკარგავთ იმედს, რომ აღმოჩნდეს ამ დღიურის ავტორი და მისი დაკარგული ფურცლებიც ვიპოვოთ და თუ ეს მოხდა, ისევ გავაგრძელებთ დღიურების ბეჭდვას.

17 აგვისტო, 1967 წელი

* * *

ამას წინათ ასეთი ბარათი მივიღე: „წავიკითხე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული „უცნობი ავტორის დღიური“. მინდა გაცნობოთ, რომ ეს მამაჩემის დღიურია. ის რევოლუციონერი, რომ-

ლის არქივში ეს ხელნაწერი უპოვნიათ, მაშინ ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი იყო. მისი თხოვნითა და დავალებით დაწერა მამაჩემმა ეს დღიური. მე კარგად მახსოვს რა გატაცებითა და სიყვარულით წერდა მამა. ხოლო როცა დაამთავრა, ოჯახის წევრებს დიდი პათოსით წაგვიკითხა. ზოგი რამ დავუწუნეთ მამას, ცოტა არ იყოს ეწყინა, მაგრამ მერე ჭკუაში დაუჯდა ჩვენი რჩევა და ხელმეორედ გადაწერა ეს დღიური. ის იყო აპირებდა ხელნაწერის წაღებას რედაქციაში, რომ უცბად გულის შეტევით ავად გახდა.

მაშამ სუფთად გადაწერილი დღიური მე გამატანა რედაქტორთან, ხოლო პირველი პირი, ე. წ. შავი, თვითონ დაიტოვა და სასოებით შეინახა თავისი საწერი მაგიდის უჯრაში, სადაც ჩვეულებრივ ინახავდა ხოლმე ყველაზე ძვირფას წერილებსა და ხელნაწერებს. მერე მამაჩემსაც და იმ რედაქტორსაც ერთი ბედი ეწიათ... ალბათ ამის შიშით თუ მოგლიჯეს დღიურებს თავი, კიდევ კარგი, რომ მთლად არ გაიმეტეს და ცეცხლის ალში არ გაწმინდეს.

წელს ჩვენმა ოჯახმა ახალი ბინა მიიღო. გადასვლის წინ, როცა ჩემოდანში ვალაგებდი მამაჩემის ხელნაწერებს, მე თვით წავაწყდი ამ დღიურების შავს. სათითაოდ გადავფურცლე მთელი ეს მასალა, დავნომრე და სხვა საინტერესო ადამიანების პირად წერილებთან ერთად, რომლებიც მამაჩემის სახელზე იყო გამოგზავნილი, — დავაპირე საქართველოს ლიტერატურული მუზეუმისათვის გადამეცა. სწორედ ამ დროს „ლიტერატურულ საქართველოში“ წავიკითხე ამ დღიურის ნაწყვეტი, რომელიც თქვენ გამოაქვეყნეთ.

გაზეთში გამოქვეყნებული „უცნობი ავტორის დღიური“ შევადარე მამისეული ხელნაწერის პირველ პირს. აღმოჩნდა, რომ თავში ორიოდე გვერდი აკლია მხოლოდ. ბოლო ნაწილის მდგომარეობა კი სულ სხვანაირია: ხელნაწერი ოთხ რვეულში იყო დაწერილი. ის, რაც თქვენ გამოაქვეყნეთ, მხოლოდ ერთი რვეულია (ისიც თავში პირველი ორი გვერდი ამოგლეჯილი), დანარჩენი სამი რვეული, ჩანს, დაკარგულა, მე კი ეს დანარჩენი სამი რვეული შავიდან გადავათეთრე და გადავწყვიტე თავად მომეტანა გაზეთის რედაქტორისათვის. მაგრამ მერე გადავიფიქრე და თქვენ გიგზავნით დღიურის ამ დაუბეჭდავ ნაწილს.

გთხოვთ ისევ თქვენ მოაბათ ამ საქმეს თავი“.

წავიკითხე დღიურის ეს ნაწილიც და ჩემს მოვალეობად მივიჩნიე დასაბეჭდად გამემზადებინა.

1929 წელი, 20 სექტემბერი

...ჩემმა მძახალმა, სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა, დიდად განთქმულმა დოსტაქარმა, დაიჩემა, გინდა თუ არა ჩემი შვილისა და რძლის ნამდვილი ქორწილი ჩემს სოფელში უნდა გადავიხადოო. —

აბა, ის რა ქორწილი იყო აქ რომ გადავიხადეთ, სულ ოციოდე კაცი ვიყავით ერთ ოთახში შეკრუნჩხულიო. ჩემი წინაპრები საფლავში გადაბრუნდებიან, რომ ჩვენებურად, ძველებურად დიდი ქორწილი არ გავმართოო ან თვით ჩემს სოფელში როგორ გამოვყო თავი? თქვა და კიდეც შეასრულა.

თავად იმავე კვირას გაემგზავრა სოფელში. ერთი კვირა გავიდა და დეპეშა მივიღეთ „შაბათს ქორწილი გვაქვს დანიშნული, პირობის თანახმად სადგურზე დაგხვდებით. იცოდეთ, არც ერთი დაპატიჟებული კაცი არ დამიტოვო, ყველა ერთად ჩამომიყვანე". მეტი რა გზა იყო და ჩემი ოჯახითა და რამდენიმე დაპატიჟებული სტუმრით, რომელთაც მაყარის როლი ჰქონდათ დაკისრებული, პარასკევ საღამოს თავი მოვიყარეთ თბილისის სადგურზე და ნეფე-დედოფალს ვეახელით, სოფლისაკენ გავსწიეთ.

მეორე დილის ათ საათზე ჩვენი მატარებელი დაბის სადგურთან შეჩერდა. ნეფე-დედოფალი და ათიოდე კაცი, მისი მაყარი, სადგურზე ჩამოვედით. სადგურის პატარა მოედანი მთლად დაეკავებინა ეტლებს, ცხენებსა და დამხვდურებს. მაყარში ასე ცოტა ხალხი რომ დაინახა, გულზე შემოეყარა ჩემს მძახალს და იქვე ხალხში მომაყვირა, აბა, ეს რას ჰგავს, ჩემო ალექსანდრე. ეს იყო ჩვენი პირობა? სად გამოვყო თავი, ვის ვაჩვენო ასე ცოტა ხალხი ან ამოდენა დამხვდურს რა ვუთხრა ახლა? ცოტა უკლდა ტირილს, ისე შემომჩივლა ჩემმა მძახალმა. სხვა გზა არ იყო, ვიცრუე:

— რა იყო შე კაცო, ფოთში ამაზე მეტი ბილეთი ვერ ვიშოვეთ, შენგან გვიან მივიღეთ ცნობა და მეტი ვერ მოვახერხეთ.

უმალ მიმიხვდა, რომ ვტყუოდი. მომიბრუნდა და ასე მითხრა:

— ეს ეტლები საგანგებოდ წამოვიყვანე და ახლა ცარიელი გავისტუმრო უკან?

ისევ თავად დატრიალდა, ვიღაცებს მოუხმო, რაღაც დავალებები მისცა და ნახევარ საათში ჩვენს მაყარს ოციოდე კაცი მიემატა. მერე ბრძანა:

— თითო ეტლზე ორი კაცი, დანარჩენები ცხენებზე!

დაიძრა ჩვენი ეკიპაჟი. ღმერთმანი, თვით დადიანსაც არ ეყოლებოდა ამაზე უკეთესი მაყარი.

მე და ეფრემი ერთ ეტლში ვისხედით და წინ მივუძღოდით მაყარს. გზა საკმაოდ განიერი იყო, ოღონდ ვაზივით დაგრეხილ, კვახისოდენა ქვებით მოყორილ გზაზე უხეიროდ მირახრახებდა ეს ჩვენი ეტლი. მთელი გზა ეტლებისა და ცხენებისაგან აყენებულ მტვერში იყო გახვეული.

გზად ყოველი სოფლის, სკოლის, ეკლესიისა და ციხის ნანგრევე-

ბის ისტორიას სათითაოდ მიხსნიდა და მიმარტავდა ჩემი თანამგზავრი. სამჯერ შეგვაჩერებინა ეტლი და ქადაგად იქცა:

— ეს ჩვენს რაიონში ახალაშენებული და ახალი გახსნილი საშუალო სკოლაა.

სკოლის ეზოდან დირექტორი გამოვიდა და რომელიღაც ეტლში ჩაჯდა. წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული ეფრემს ეს ახალი დანიშნული კაცი.

მეორედ დაბაში შეგვაჩერა. შაბათი დღე იყო და მთელი დაბა გარეთ იყო გამოფენილი. აქ ვიღაც კაცი შეხვდა ეფრემს. ისინიც თან გამოიყოლა.

მესამედ რომელიღაც სოფელში შეგვაჩერა, იქაც ახალი საშუალო სკოლის წინ. და მერე ამ სკოლის გახსნის ამბავი გვიამბო.

— იცით რა ხელჩართული ომი იყო ამ სკოლის გახსნაზე? საქმე ის არის, რომ სასოფლო საზოგადოება — სოფლის საბჭო ხუთ სოფელს აერთიანებს. ყველამ თავის სოფელში მოინდომა საშუალო სკოლის გახსნა. მერე საქმე იქამდის მივიდა, რომ ხუთი სოფლის ხმოსანთა კრება მოიწვიეს. მაზრიდან თავკაცები ჩამოვიდნენ, რა არ იქადაგეს, როგორ არ თხოვეს, მაგრამ ვერა და ვერ მოარიგეს სოფლელები. მერე ორი სკოლის გახსნის უფლება მისცეს, ორი სოფელი აქეთ წამოვიდა, დანარჩენი სამი — იქით, ზემოურებს შეუერთდა.

— გასაოცარი რაღაცა ხდება, ასეთი ლტოლვა და მისწრაფება სწავლა-განათლებისაკენ არასოდეს ყოფილა. გლეხის ოჯახს ვერ ნახავ, რომ მათი შვილი არ სწავლობდეს. წინათ, ბატონო, ამ ხუთი სოფლიდან სულ შვიდი კაცი სწავლობდა. დაიძრა სოფელი განათლების გზაზე.

— ეს კარგის მომასწავებელია, ჩემო ეფრემ, — ვუპასუხე მე. — განათლება, განათლება იხსნის ჩვენს ხალხს და დიდ შარაგზაზე გამოიყვანს. ჩვენი ერი დიდი წარსულის ერია, მაღალი სულიერი კულტურის ერი. ჩვენი საგანმანათლებლო ცენტრები არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც გვქონდა, ამ საქმისათვის თავშეწირულმა ხალხმა დიდი სულიერი საგანძური შეუნახა ჩვენს ხალხს. ჩვენი ვალდებულებაა მამა-პაპათა გზა განვაგრძოთ. რევოლუციამ დიდი და ფართო გზა გაუხსნა კულტურას და ჩვენ ეს ჭკვიანურად უნდა გამოვიყენოთ. ქართულ სკოლაში რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის ნაწარმოებებზე აღზრდილი თაობა — აი ვინ იქნებიან საქართველოს ნამდვილი პატრიოტები.

სიტყვის დასრულება არ მაცალა ჩემმა მძახალმა, რომ ხელი მაღლობზე აღმართული მონასტრისაკენ გაიშვირა:

— კი, ბატონო, თქვენ მართალი ბრძანდებით. დიდი ისტორია გვაქვს, დიდი. მარტო ამ მონასტრის ისტორია რად ღირს?

გატაცებით ყვებოდა ახლა ჩემი მძახალი, რაც გაეგონა და მოესმინა. ბევრი რამ ზღაპარს ჰგავდა, მაგრამ ისე დარწმუნებით ამბობდა, მე მიამიტად ვიღიმებოდი და დასტურის ნიშნად თავს ვუკრავდი.

მთელი ნახევარი დღე მოგვინდა ჩემი მძახლის სოფლამდე. მაგრამ ისეთი სანახაობა იყო გადაშლილი ლამაზი სოფლებისა, მთა-გორებისა და მდინარეებისა, რომ დაღლა არავის გვიგრძვნია.

სოფელი ფერდობზეა გაშენებული. თავზე ტყით დაფარული მთაა წამოყუდებული და ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ქვეყნის დასასრულის წინაშე დგახარ. სოფლის თავში ქვის ყორეთი შემოკავებული დიდი ეზოს შუა ორსართულიანი ოდა-სახლი დგას. ამდენმა ეტლმა, ძლივს რომ ავიდნენ ამ სოფლის აღმართზე, და ცხენებმა ეზოს ქვედა ნაწილი დაიკავეს.

სტუმრები სახლის დიდ დარბაზში მიგვიწვიეს. წინასწარ გაშლილ სუფრას ერთბაშად მივუსხედით და მოვილხინეთ... ვიდრე ჩვენ აქ პურმარილს შევექცეოდით, ქვემოთ, ეზოში დიდი ფაცა-ფუცი და მზადება იყო. სასახლის წინ დიდი ცაცხვის ძირას საქორწილო სუფრას შლიდნენ. ასამდე კაცი ფუსფუსებდა და აწყობდა სუფრას. მთელ სოფელს და ახლო სოფლებიდან მოწვეულ ხალხს ეზო გაევსო, მაგრამ ისეთი წესრიგი იყო, უბრალო ხმამაღალ ლაპარაკს ვერ გაიგონებდით. ყველას თავისი საქმე ჰქონდა და იმით იყო გართული.

საღამოს ბინდ-ბუნდი ჩამოდგა თუ არა, ცაცხვზე დაკიდებული დიდი ნათურები აანთეს. თითქმის შუაღამე იყო, სუფრას რომ მიუსხდნენ. რამდენადაც შეიძლება ერთი თვალის გადავლებით დაითვალო სუფრაზე ხალხი, ჩემის აზრით სამასამდე კაცი იჯდა.

თამადად იქაური სოფლელი კაცი დადგა. სოფლის თავკაცს უწოდებდნენ ამ მაღალ, კაფანდარა, თეთრი წვერ-ულვაშით დამშვენებულ გლეხს. იგი სასიამოვნო შესახედავი იყო; მაოცებდა ამ უბრალო გლეხის მჭევრმეტყველება. დიახ, სხვა სახელს ვერ დაარქმევდი მის აზრიან, თავაზიან და ბრძნულ სიტყვებს. ყოველ სადღეგრძელოს თავისებური კომპოზიცია ჰქონდა და ლექსივით წარმოსთქვამდა.

ქალაქელი კაცის პირობაზე ჩვენს სოფლელებს კარგად ვიცნობ, მაგრამ ამ ქორწილმა გამაოცა არა მარტო თამადის, გლეხკაცის გონიერებითა და ჭკუამახვილობით, მჭევრმეტყველებითა და ზრდილობით, არამედ იმ გასაოცარი წესრიგითა და ადათ-ჩვეულებით, რომლებიც ასე ახასიათებს ჩემს ერს, მის ყოველ კუთხეს. აქ თავმოყრილი სტუმრები მეტწილად გლეხის ქალები იყვნენ, მაგრამ თავიანთი მაღალი კულტურითა და საქციელით ძნელი იყო გაგერჩიათ აქვე სტუმრად მყოფი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. ერთი სიტყვით, მთელი სუფრა მელოდიური მეგრული ჩონგურივით იყო აწყობილი, რომელსაც ჩინებულად დირიჟორობდა გამოცდილი თამადა. დილამდე

გაგრძელდა გაბმული ქეიფი და მოლხენა. როცა სუფრა აიშალა, მძახალი მომვარდა და მიჩურჩულა, ჩვენ ახლა აქვე „ვაღურიას წყაროს“ უნდა ვესტუმროთ, თუ გინდა ერთბაშად გამოფხიზლდეო. მოგვხვია ერთი ოციოდე კაცს ხელი, წინ თავად გაგვიძღვა და უცბად ზღაპრულ გარემოში შეგვიყვანა.

სოფლის თავზე, ზედ მთის ძირას ცივზე ცივი მდინარე გამოდის, გარშემო დიდი ქვაბივით მოედანს ავსებს. ტბას ჰგავს ეს ქვები. მთიდან გამომდინარე ცივი წყაროთი ამოვსებული. სექტემბერია, მაგრამ ამ დალოცვილ მხარეში ისე, როგორც მთელს საქართველოში, შემოდგომა მეორე გაზაფხულია.

ახლაც ასეა. ვზივარ წყაროს სათავესთან, ოჯალეშისაგან შეზარხოშებული და შუბლგახურებული, ფეხმორთხმული, წინასწარ მომზადებული და გაშლილი სუფრის გარშემო ოცი კაცი და ვაგრძელებთ ქეიფს.

მთიდან მონაბერი დილის ნიავი შუბლს გვიგრილებს, ხოლო ამ ცივ მდინარეში ჩაციებული ღვინო გულს გვიხსნის მოქეიფეთა არიფიონს. დიდ გობზე ერთმანეთს მიწყობილი კალმახი შუა სუფრაზე დადგეს. ის იყო ხელით მივწვდი და ჩემსკენ დავითრიე წითლად დაწინწკლული მოზრდილი კალმახი, რომ თამადამ სავსე ყანწი გადმომაწოდა: ეს ადგილი და ეს მიდამო დამილოცეო. მეც არ დავაყოვნე და დიდი ქება შევასხი იმ ადგილს, იმ მდინარეს და იმ ჩინებულ ადამიანებს, რომლებიც თავზე გვადგნენ და სიმღერით გვართობდნენ.

ყანწი რომ გადავკარი, სულ სხვა გუნებაზე დავდექი. ახლა სიტყვას არავის ვაცლიდი და მზად ვიყავი ეს თავმოყრილი ადამიანები სათითაოდ გადამეკოცნა. მძახალმა ჩემი ეგზომ გახარება დიდ პატივისცემად ჩათვალა და მომღერალ გუნდს ჩემს პატივსაცემად სიმღერა დააგუგუნებინა. მთის ექო მთელ სოფელს წვდებოდა და ჩვენს არიფიონს ახალი და ახალი ადამიანები ემატებოდა, დაპატიჟებულიცა და დაუპატიჟებელიც.

მთიდან გადმომდგარი მზე ჯერ კიდევ ვერ წვდებოდა ჩვენს მოედანს, მთის ჩრდილს შეფარებულ მოქეიფეებს კი ფეხქვეშ მოლივლივე ლურჯი ბალახი და თავზე მთის გაგრძელებაზე დახურული ცა თითქოს არ ყოფნით, ეცოტავებათ და არც ყურადღებას აქცევენ, რა საოცარი ფერებით ლივლივებენ მთიდან ამოწვერილ მზის სხივებზე ეს მთები, ეს მდინარე, ეს სალი კლდენი, ბალახი და ველი.

მთის ჩრდილი თანდათან დამოკლდა. ბოლოს მზეც დაგვადგა თავზე, მაგრამ შეზარხოშებული არიფიონი ადგილიდან არ იძვრის. ჩვენ ისევ აქ ვზივართ, სადაც პატარა მდინარე იშლება, წყაროს თვალი ლივლივით ამოედინება ამ პატარა ფსკერიდან, მერე ამ პატარა მოედნის სივრცეზე გაშლილი ლურჯად ლივლივებს. უწყინარი და მშვიდი,

მერე ერთბაშად მთიდან დაძრული ეს ნაკადული ქვევით ბარისაკენ ეშვება შხუილით, თანდათან ღონეს იკრეფს და მერე იქით ბარში წისქვილებს აბრუნებს, ველებს და ბაღ-ვენახებს რწყავს. მისგან მოტანილი ხრეშისა და ქვისაგან სახლებს იშენებენ და გზებს აკეთებენ. აი, რამდენი სიკეთე მოაქვს ამ ერთ ციცქნა მდინარეს. ჩვენ კი ამაზე როდი ვფიქრობთ ახლა. ქეიფის ეშხში შესული თამადა სადღეგრძელოებს არ ათავებს და ქორწილსაც მეორე დღის დაბინდებისას დასასრული აღარ უჩანს. მერე ურმის ბორბლის ოდენა მთვარე ამოგორდა და შიგ ტბაში ჩაეშვა. იშვიათად მომილხენია ასე გულით. ჩემს სულში არც არასოდეს წაიშლება იმ ღამისა და იმ დილის მოგონება.

გვიან, შუაღამე გადასული იყო, შინ რომ დავბრუნდით. დავწექი და მერე დილამდე ღრმა ძილით მეძინა.

დილით ადრე ჩიტივით ამოვფრინდი ლოგინიდან. ეზოში გავიარე, სრული სიჩუმე იყო. მე კი ისევ წინა დღისა და ღამის მოგონება მედგა თვალწინ.

მოვბრუნდი და უცბად იქვე გაჩნდა ჩემი მძახალი.

— ალექსანდრე ბატონო, ხომ არ დაიღალეთ ან ხომ არ მოიწყინეთ, ეგებ ისე ვერ დაგხვდით, როგორც გეკადრებათ, ჰა?

— ჩემო ეფრემ, მე ახლა იმაზე ვფიქრობდი, რა დიდებულია ჩვენი ხალხი, რა თავაზიანი, რა სტუმართმოყვარე და თავდადებული. ეს უბრალო ხალხი ისე იქცეოდა, თითქოს ცხრა უნივერსიტეტი დაემთავრებინათ და მთელი ქვეყანა ფეხით შემოეველოთ. წრფელი გულით უნდა მოგახსენოთ, რომ დიდებული ხალხი ვართ. სოფელი მაინც რამ გაწვრთნა ასე, ეს მაკვირვებს ყველაზე უფრო.

— ნუ გეწყინებათ ქალაქელებს და უნდა გითხრათ, სოფელი, სოფელია, ქართული პატიოსნებისა და ძველი მორალის შემქმნელიც და შემნახველიც. მე მეტს გეტყვით: სოფელმა შეინახა საქართველო, სოფელმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა გადაგვარებას. ჩვენი ქალაქები ადვილად ემორჩილებიან სხვათა მოდებს და ზნეობრივ ნორმებს, ზოგნი მზად არიან უცხოურზე გაცვალონ არა მარტო ტანისამოსი, არამედ ენაც, ჩვენი სულის ეს ყველაზე მაღალი საუნჯე. სოფელი უფრო ჯიუტი და უფრო გამძლეა და საქართველოს ეროვნული სახეც მან შეინახა უმთავრესად, ჩემო ალექსანდრე, არა?

მე ჯერ ჩემდაუნებურად თავი დავუქნიე, მერე ასე დათანხმება ჭკუაში არ დამიჯდა, და ასე მოვახსენე ჩემს მძახალს:

— არა, ჩემო ეფრემ, საქართველო თბილისმა შეინახა, საქართველოს თავი და გული თბილისი იყო და არის, სანამ თბილისი ფეხზე დგას, ქართველ კაცს სავალი გზა არ უჭირს, თბილისის დაცემა საქართველოს დაცემას უდრის. თბილისის კულტურის შუქურა მუდამ გზას გაუნათებს ჩვენს ხალხს. თბილისს უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუ-

აროთ სოფლელმაც და ქალაქელმაც. არა, მე ამას იმიტომ კი არ მოგახსენებ, რომ ქალაქელი ვარ, არა!

— თბილისელი მეცა ვარ, ალექსანდრე ჩემო, ამას ნუ დაივიწყებ და მაშინ ნათელი იქნება, რომ თბილისი, ჩვენი თბილისი, არც ერთ თბილისელზე ნაკლებ არ მიყვარს. მაგრამ მე იმას მოგახსენებ, რომ ყველა მტერი და დუშმანი თბილისს ებრძოდა მუდამ და როცა იგი ეცემოდა ხოლმე, ისევ სოფელი ინახავდა თბილისის დაფერფლილ გულსაც და საქართველოს გაუტეხელ ეროვნულ მეობასაც. ჩვენს მიუვალ კლდეებსა და მთებს, გაუვალ ჭაობებსა და ჸენჭყოებს, მშრალ ბილიკებს ეფარებოდა ქართველი გლეხი და ინახავდა საქართველოსაც და თბილისის ხსოვნასაც წარუხოცველად.

— კი, გეთანხმები, მაგრამ ქვეყანა, რომელსაც დიდი ქალაქები არ აქვს, დიდი ცივილიზაციის ზიარი ვერ გახდება. თბილისი დედაქალაქად გამოცხადებიდან მუდამ იყო ცივილიზაციის ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრი, რომლისაკენ მსოფლიოს ჰქონდა ყურადღება მიპყრობილი. თავადაც მსოფლიო ცივილიზაციის გზაჯვარედინზე იყო, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის სიკეთეც და მრუდეც აქ წამოყოფდა ხოლმე თავს.

— დიახ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარი იყო თბილისი. ეს კარი ღია იყო როგორც ინდოეთიდან დაძრული სავაჭრო ქარავნებისათვის, ისე იტალიიდან წამოსული მისიონერებისათვისაც. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა შერწყმა აქ ხდებოდა სწორედ. ორი კულტურის შედეგი ვიგემეთ და კარგადაც დავეწაფეთ მათ ნაყოფს.

— არა, ჩემო მძახალო, მე კომპეტენტური არა ვარ, შენ უფრო იცი ეს საქმე, მაგრამ იგიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამას წინათ ივანე ჯავახიშვილის რომელიღაც ტომს ვკითხულობდი, სწორედ იქ ეკამათება ივანე ამ აზრს. იგი ამტკიცებს, რომ ქართული კულტურა უძველესია და თვითმყოფადი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერწყმაზე ლაპარაკი ფაქტიურ ვითარებას არ გამოხატავსო.

— აბა შეხედე ამ ჩემს მეზობელ გლეხებს, მათ ეზო-კარს, მათ ზნეობრივ მხარეს, დააკვირდით საქართველოს კულტურას და მითხარით, სად, რომელ ქვეყანაში იპოვი სწორედ ასეთს, რაც აი აქ თქვენ თუნდაც ამ ორ დღეში ნახეთ. ჰა!

— არა, ჩემო მძახალო, ეს ყველაფერი გავლენით არ შეიქმნებოდა; თვით ჩვენი ერის სულში დაიბადა იგი, ჩვენს ნიადაგზე აღმოცენდა, განვითარდა და ჩვენ საკუთარ ტრადიციად იქცა.

— მაშ თქვენ კულტურათა გავლენას უარყოფთ?

— გავლენა ერთია, ხოლო ორი სხვადასხვა კულტურის შერწყმა მესამედ სულ სხვა, ე. ი. გამოდის, იმ ვიღაც ორ უცხოს მოვპარეთ

რაღაც და მისი მექანიკური შენაერთი ჩვენა ვართ. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა მექანიკური შეერთებით შეიქმნა ქართული ენა? ქართული კულტურა? ეგებ რუსთაველიც, ჰა?

— ხალხების გავლენა ყოველი დიდი ერის კულტურაზე შეინიშნება, იგი საქართველოს კულტურასაც ემჩნევა, რასაკვირველია, საქართველომ ბევრი სიკეთე შეითვისა მსოფლიოს საგანძურისაგან, მაგრამ რომ აითვისო სხვისი სიკეთე, თვით შენი სული უნდა იყოს ამისათვის მზად.

— დიახ, საკუთარ სულში უნდა ჩანდეს შენი სახე. ჩემი ერის სახე საკუთარი, განუმეორებელია, არც არავისაგანაა ნასესხები იგი. ნასესხები და ნამათხოვარი კულტურა არ შეიძლება ურყვნელი და თვითმყოფადი იყოს.

ერის კულტურის დაბადება შემოქმედებითად რომ წარმოვიდგინოთ, ბავშვის დაბადებას ჰგავს. როგორც ერთი დედ-მამის შვილები განსხვავდებიან მეორე დედ-მამის შვილისაგან, ისევე განსხვავდებიან ეროვნული კულტურები და ისე, როგორც ნათესებში ხშირად გამოერევა მსგავსი, ასევე მონათესავე კულტურაში ბევრ რამეს იპოვი საერთოს, მაგრამ ერის კულტურის აღრევა და ერთსახეობა არასოდეს არის მაღალი კულტურის მომასწავებელი. ერის სახის პასპორტი მისი ეროვნული კულტურაა, მისი ენაა, უპირველეს ყოვლისა, და ეს ხომ ცნობილია: ქართველ ერს ღვიძლი, ერთ საშოდან გამოსული ძმა-ერი არ ჰყავს? ისე, როგორც ქართული ენა, არც ერთ სხვა ქვეყნის ენას არა ჰგავს, ასევე მისი სულიერი კულტურაც საკუთრივ ქართულია.

კამათი გაგვიგრძელდა, როგორც ჩანს, თავაზიანმა მასპინძელმა თავად შეატყო. საუზმეზე მიმიპატიჟეს და მაშინვე საქართველოს სადღეგრძელო შემომთავაზა. ჩვენი კამათიც ამით დასრულდა მეგონა, მაგრამ ახლა ისევ დააყოლა — დიახ, დიახ, ჩვენ დიდი წარსულის ქვეყანა ვართ! — კამათში გამოწვევას ჰგავდა და მეც არ დავაყოვნე.

— არა, ვინც მარტო წარსულის კულტურით იკვეხნის, იმის საქმე ხელიდან წასულია, ჩემო ეფრემ. იმ კაცისა არ იყოს, გუშინ საოამოს ჩემს გვერდით რომ დასვით, ძველი თავადიშვილიაო. ძველი ამბების მცოდნე. მე დავინტერესდი, ახლო გაცნობა ვცადე. ცოტა გახუნებულ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი ის შენი ნაქები თავადიშვილი, მაგრამ ამაში როდია საქმე. მე არ მომეწონა მისი საქციელი. წარამარა შენიშვნებს იძლეოდა და ყოველ შენიშვნას ერთი და იგივე სიტყვით ამთავრებდა: ეხ, რა ვუთხრა ძველ დროს, თორემ შენ ამდენს ვინ გაუბედებდა ჩემს გვერდით. ახლა! ახლა წახდა ქვეყანაო და იქედნურად ჩაიქირქილებდა. მართალი გითხრა, ვერ ვიტანდი მის გაპრანჭულ სიტყვა-პასუხს, მაგრამ მისთვის არაფერი მითქვამს. ზედვე ეტყობოდა, რომ ხელიდან წასული კაცია.

— ძველში ბევრი რამ კარგი და ძვირფასია, თვით თავადიშვილებშიც. ბევრი იმათგანი ძველი საქართველოს მეთაურია, მათ დროს ბევრი რამ კარგიც გაკეთდა. ყოველივე ამას უნდა გავუფრთხილდეთ და შევინახოთ, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იმ ბატონ ჩოხოსანის მსგავსი ადამიანების ხელში კარგი დღე არ ადგა ხალხს.

ჩვენ აწმყოს შვილები ვართ და ჩვენი ვალია, ვემსახუროთ ჩვენს დროს; დავინახოთ, რაც კარგია ამ ახალში; ხელი ჩავჭიდოთ და გვერდში ამოვუდგეთ ახალ ცხოვრებას.

აი, აიღეთ ჩვენი უნივერსიტეტი, რამდენს ოცნებობდა ხალხი საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის შექმნაზე? ბევრი იყო სკეპტიკურადაც განწყობილი ამ საქმის მიმართ! ერთნი ამტკიცებდნენ, ქართულ ენაზე როგორ მოხერხდებაო მეცნიერების რთული დარგების წაკითხვა, ჩვენ არ ავსულვართ იმ სიმაღლეზეო. იმათ ავიწყდებოდათ, რომ რუსთაველის, პეტრიწონისა და მთაწმინდელების ენას, მეცნიერების არც ერთ დარგს ქართულ ნიადაგზე გადმოტანა და ქართულად გაშიფვრა არ გაუჭირდებოდა. ამას ამტკიცებდა ივანე ჯავახიშვილი და ახდა კიდეც. და მართლაც, უნივერსიტეტი ჩვენი დროის პირმშოა და რომელი ერთი ჩამოვთვალო, გუშინწინ შენ რომ გზაზე ახალ სკოლებს მაჩვენებდი და ხალხის სწავლისადმი ლტოლვაზე რომ მიყვებოდი, აბა, ვის შეეძლო ამის წარმოდგენა რამდენიმე წლის წინათ და რომელი ერთი ჩამოვთვალო. მე ერთი უპარტიო კაცი ვარ, ბევრ რამეში არ ვეთანხმები ჩვენს კომუნისტებს, მაგრამ ისეთი რამ ხდება ჩვენს თვალწინ, რომ ჩვენ მოვალე ვართ ჩავუკვირდეთ ყოველივე ამას და ვიყოთ პატრიოტი თანამედროვე ჩვენი კულტურისა, გვიყვარდეს ეს ახალი ისე, როგორც გვიყვარს ჩვენი ერის დიდი წარსული. წარსულის ნერგზე ახლის განმტკიცება და გაძლიერება, იმის უკუგდება, რაც ამ აწმყოს ხინჯად ებლანდება, აი რა გვჭირდება დღეს ჩვენ.

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“... ასე გვიქადაგა ჩვენ საქართველოს მამამ ილიამ და ეს ახლანდელი ჩვენი მოქმედების პრინციპიც უნდა იყოს. აწმყოსათვის უნდა ვიბრძოლოთ და ამავე დროს უნდა ვებრძოლოთ ყველა იმას, ვინც ცუდ საქმეს აკეთებს ერისათვის. ვიბრძოლოთ და ვებრძოლოთ — აი ჩვენი დევიზი“.

სწორედ ამ კამათის დროს რიხიანად შემოალაჯა დარბაზში იმ თავადიშვილმა, რომლის აუგი ეს-ეს იყო დავასრულე. დაუპატიჟებელი სტუმარი თავაზიანად მოგვესალმა და არხეინად მიუჯდა სუფრას. ეს არც არავის გაჰკვირვებია: თურმე ეს თავადიშვილი, სადაც გაშლილ სუფრას დაიგულებს პირველი გამოცხადდება. ახლა მხოლოდ ის გაუკვირდათ, რომ ცოტა შეაგვიანდა და თამადამაც დაგვიანებული თავადიშვილის სადღეგრძელო შემოგვთავაზა. სწორედ ამ დროს აფეთქებას

ისეთი გამაყრუებელი ხმა შემოვარდა დარბაზში, რომ მთელი სახლი შეაზანზარა. თავადიშვილს ყანწი ხელიდან გაუვარდა, შეზარხოშებულმა მეზობლებმა სიცილი დააყარეს. თამადამ უთხრა — ჰაიტ! რამ შეგაშინა უჩა, შე კაცო, — განა დღეს გაიგე აფეთქების ხმა! ოთხი წელია ჰესს აშენებენ და კლდეებს აფეთქებენ და არხი გაყავთ. თუ ჩვენი მშენებლობის ღმერთთან გამწყრალი ბრძანდებით, იქნებ არც გინახავთ ყურის ძირას გაშენებული ეს ცისფერი სადგური — ჩვენი ეპოქის ელექტრო ღმერთი, ჰა?

ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

სოფლიდან რომ დავბრუნდი, ავად გავხდი. მთელი თვე შინ გავატარე. პირველი ნოემბრიდან ისევ განვაახლე ლექციების კითხვა ჩვენს უნივერსიტეტში. სწორედ იმ დღეს საპროფესოროში შემხვდა ის მწერალი რომლის განთავისუფლებისათვის ასე შევაწუხეთ მთელი ქვეყანა. ერთხანს მოსკოვში დაუყვია. ახლა გერმანულ ენას ასწავლიდა ჩვენთან. დიდად მეამა მისი ნახვა. გადავეხვიე, ამბავი გამოვკითხე. გამაოცა, ისევ ძველებურად, გამომწვევად ეჭირა თავი. ევროპულ კოსტიუმში კოხტად გამოწყობილი, მწევარივით გამხდარი, მიმინოს თვალებით აკვირდებოდა ყველაფერს და ისე ზვერავდა, თითქოს მომავალი მოთხრობის თუ რომანის გმირს დაეძებდა ჩვენს შორის. მერე ერთბაშად მომიბრუნდა, შემომაჩერდა და ასე მითხრა: ცოტა მოტეხილი მეჩვენებით, ალექსანდრე ბატონო! ხომ არ შეგეშინდა, ჰა! და აქეთ დამიწყო ნუგეშის ცემა.

ჰო, რა გაუტეხელი ნების კაცია ეს ჩემი მეგობარი?

იმ საღამოს დაპატიჟებული ვიყავი და გვიან, ორ საათზე ვბრუნდებოდი შინ (მაშინ ბესიკის ქუჩაზე ვცხოვრობდით). რუსთაველის პროსპექტზე გადავეყარე ჩემს მეგობარ მწერალს. ახლა ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი და ხელში ღვედი ეჭირა. შორი-ახლოს ჯიშიანი მეძებარი ძაღლი მოსდევდა.

— ისევ ნადირობითა და ცხენოსნობით ირთობ თავს? — ვკითხე ჩემს მეგობარს.

— გართობის დრო სადა მაქვს, ჩემო ალექსანდრე, ცისმარე დილიდან ღამის ხუთ საათამდე ვზივარ და ვწერ და ისე, როგორც ქვის მკოდავი, ტანჯვით და წვალებით გამომყავს ჩემი სათაყვანებელი ქართული ასოები. თვით ვტკბები მათი შემყურე და ეს მიადვილებს ამ მტანჯავ შრომას. მწერალმა, თუკი ის ჭეშმარიტი შემოქმედია, ყოველივე მიწიერი უნდა დათრგუნოს და დაივიწყოს გარდა ერთისა — წერისა. და თუ წერის ეშმა შემოგეპარა, შენზე ტანჯული არავინ დადის ამ ქვეყანაზე. ზოგიერთ სულელს კი მწერლობა ყველაზე იოლი საქმე ჰგონია.

გვიან იყო და მალე გამოვეთხოვე ჩემს მეგობარს. შინ რომ მოვედი, მთელი ღამე ამ უცნაური კაცის სახე ამეკვიატა და ვერ მომასვენა.

და მართლაც, თვითონაც რა მოუსვენარია და ერთხელ არჩეული იდეებისთვის თავგადადებული, მოურიდებელი, პირში მთქმელია და შეუპოვარი პოლემისტი. ისე არ შედგება ტრიბუნაზე, რამე სენსაცია არ გამოიწვიოს თავისი ნათქვამით. მერე მთელი კვირა და ხშირად თვეებით ეწერალთა სასახლეში და ჩვენს პრესაში მის მიერ წარმოთქმული თუ დაწერილი სიტყვების გამოა დავა. ზოგი კონტრრევოლუციონერად სახავს და ზოგიც გაუსწორებელ ნაციონალისტს უწოდებს, მაგრამ არაფერში აგდებს ამ ნათქვამს, არც არავის ეპუება და თავის საქმეს აგრძელებს. ალბათ ისტორია განსჯის მერე, ვინ იყო ამ დავაში მართალი. ის კია, რომ ბევრი ყაეს მომხრე და თაყვანისმცემელი. ლიტერატურაში გაბატონებულ ოფიციალურ აზრებს და შეხედულებებს ხშირად ებრძვის და ამიტომ ვერ იტანენ... ახლა მთელი ღამე იმაზე ვფიქრობ, როგორ ახერხებს ეს კაცი თავი დაიცვას? ერთიცაა, საქართველოზე ისე უზომოდ შეყვარებული და მისთვის თავშეწირული კაცი მე იშვიათად შემხვედრია ჩვენს თაობაში. ცდება თუ არ ცდება ის თავის თეორიებში, მამულიშვილობა და თავკაცობაც თან ახლავს მის სიტყვას, ყოველ ნაწერს და ეს ამშვენებს, ჩემის აზრით, მას. წუხელ იცით კიდევ რა მითხრა, ჰო, ახლა გამახსენდა.

— ღამე გამოვდივარ ჩემი ჯეკათი და ნადირობის ილუზიას თავად ვქმნი. ისე კი, სიმართლე გითხრათ, იმ კვირას საინგილოს ტყეებს ვეწვიე ღორებზე სანადიროდ. ვიღაც ერთი თათარი გადამეკიდა და სანამდის ღორისთვის დატენილი ჩემი „ცენტრალკა“ მასზე არ ვსინჯე, აღარ მომეშვა.

— რა, კაცი მოკალი?

— აბა ვუხათრებდი! — მერე გაიღიმა და ასე მითხრა:

— ვიხუმრე, შე კაცო, — ის კი შევატყვე, რაღაც კარგი საქმე არ უნდა ჩაედინოს ნადირობის აზარტში შესულს. ნუთუ მართლა კაცი მოკლა? მე მგონია დაიტრაბახა. ცოტა პოზიორი კი არის ჩემი მეგობარი. პოზიორი თუ არტისტი? თუმცა შემოქმედი კაცი კარგი არტისტიც უნდა იყოს!

ამ ფიქრებში გვიან ღამე ჩამეძინა...

ნ ო ე მ ბ ე რ ი

თბილისის უნივერსიტეტი ინსტიტუტებად დაიყო. ინსტიტუტების მანიამ შეიწირა ეს წვალებით დაარსებული უნივერსიტეტი.

კვლავ ექსპერიმენტების გზა. ახლა ძველი პედაგოგიკა, ძველი სასწავლო გეგმები და პროგრამები უვარგისად გამოაცხადეს და ბრიგადული სწავლება შემოიღეს. კურსი ჯგუფებად დაყვეს. ერთი კაცი ბრიგადაში ყველას მაგიერ პასუხობს და ასე ეწერება ნიშანი მთელს ბრიგადას. არა, არ შეიძლება ეს ასე დარჩეს.

იმ ინსტიტუტში, სადაც ახლა ვასწავლი, ლექციებს კითხულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, თავად განათლებული კაცი, მას შევჩივლე ყოველივე ამაზე. იცით, რა მითხრა იმ ამხანაგმა?

— ჩვენ ახალ ქვეყანას ვაშენებთ, მსგავსი საზოგადოებრივი სისტემა ისტორიამ არ იცის. და ვაშენებთ ამ ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდი ექსპერიმენტებისა და გაბედული ცდების გამოყენებით. შეცდომები? შეცდომები უთუოდ მოგვივა ამ გაუკაფავ გზაზე, მაგრამ ეს არ გვაშინებს, რადგან გვწამს, რომ ჩვენს მიერ არჩეული გზა სწორია. გადავწყვიტეთ, რომ მასობრივად მივცეთ განათლება მშრომელთა შვილებს. ასეთ დიდსა და მასობრივ მასშტაბს სწავლა-განათლებისას არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა არ იცნობს. ასეთი ფართო ქსელი და მასშტაბები განათლების დარგში მოითხოვს უამრავ კადრს. საიდან მოვიყვანოთ ეს ხალხი? ძველი თაობის დიდი ნაწილი გვიჭერს მხარს, მაგრამ ძალზე ცოტაა ეს ძველი კადრი, ამიტომ იძულებული ვართ მობილიზაციის წესით სტუდენტები, ტექნიკუმში მოსწავლე ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ახალგაზრდა კადრები გაბედულად და მასობრივად გამოვიყენოთ ამ საქმეში. რასაკვირველია, მათ არც გამოცდილება ყოფნით და არც განათლება, მაგრამ სამაგიეროდ დიდი რწმენა აქვთ მინდობილი საქმისა, დიდი რწმენა ჩვენს მიერ არჩეული გზისა და, როცა ასეთი რწმენაა, იქ სიძნელეთა დაძლევა არ გაგვიჭირდება. აი რა გვჯერა და გვწამს ჩვენ. მე სადღაც წავიკითხე, თურმე გერმანიაში, როცა მასობრივი სწავლა სცადეს — ზოგან მასწავლებლად წინათ ქუჩებში ფეხსაცმლის მწმენდავებად ნამყოფი წერა-კითხვის მცოდნე ხალხი გამოიყენეს თურმე. თუ გერმანიაში ეს ასე იყო, ჩვენ რა, უფრო განათლებული ვიყავით გერმანელებზე თუ? მასობრივი საქმე სხვანაირად არ გამოდის, ჩემო ალექსანდრე.

1931 წელი, მ ა რ ტ ი

არა, მომავალი რომ ახალგაზრდობისაა, როდია სადაო: ეს ბუნების კანონია და ვერც ვერავინ გარდუვა გარდუვალსა. მაგრამ თაობათა დაპირისპირება მეტის მეტია შენი ჭირიმე. ეს ზოგიერთი ახალგაზრდა ისე დადის თავაწეული, ასე გონია, ეს ქვეყანა მხოლოდ მისია. ჩვენ თითქოს არც წილი გვიდევს და არც უფლება გვაქვს ახალი ცხოვრების ულუფაში. მოკავშირე ან მტერი — ესაა ახლა მოდაში ძველი თაობის დახასიათებისას. ეს არ არის სწორი.

ა პ რ ი ლ ი

ქარიშხალმა მწერალთა კორპორაციებიდან შემოაღწია უნივერსიტეტში. პირველად თვითონ მწერალთა სასახლეში შეუტიეს „პროფესორების ჭაობს“ და „წმენდა“ მოითხოვეს. ეს ის ახალგაზრდა მწერლები იყვნენ, რომლებიც ჩვენთან უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ახლა ისინი იქაც და აქაც განაგებენ იდეოლოგიურ ფრონტს.

ბევრ მწერალთან ვმეგობრობდი, 1922 წლიდან დავდიოდი მწერალთა სასახლეში, დიდათაც ვიყავი ქართული მწერლობის ბედით დაინტერესებული. მწამდა, რომ ჩვენი ქვეყნის სულიერი ცხოვრების წამყვანი ძალა მუდამ მწერლობა იყო. ქართულმა მწერლობამ შეინახა, მოუარა და უპატრონა არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართველი ხალხის სულიერი მოძღვარი და ერის მეთაურიც ქართული მწერლობა იყო. დიახ, მწერლობა იყო ერის ეროვნული ენერგიის გამოვლინების ყველაზე მაღალი ტრიბუნა და ამ ტრიბუნაზე შემდგარ ქართველ მწერლებს უსმენდა ხალხი და სწამდა მათი. ცხადად ვხედავდი, რომ ამ როლს ხელიდან არ უშვებდა ჩვენი თანამედროვე ქართული მწერლობა, თუმცა არც ილია და არც აკაკი, არც ვაჟა და, მით უმეტეს, არც რუსთაველი მათ შორის მე არ მეგულებოდა, მაგრამ მათი სულის აჩრდილი ისევ იქ, მწერალთა სასახლეში ტრიალებდა, თვით იმ უმადურებსაც, ვინც ილიასა და აკაკის კენჭებს ესროდნენ, ისინიც მათ აჩრდილს იყვნენ ამოფარებულნი. ეს თითქოს პარადოქსია, არა? მაგრამ ფაქტია. ახლა მწერლობა რამდენიმე ბანაკად თუ კორპორაციად იყო დაყოფილი და მაინც დარბაზი ორად იყო გაყოფილი. ორი მოწინააღმდეგე ლიტერატურული მრწამსით და აზრით უტევდნენ ერთმანეთს. თვით დარბაზშიც ორად იყოფოდა ხმები. მწერლები კი ამ კამათსა და დავის ჟინს ისე იყვნენ აყოლილი, რომ ერთ პატარა დარბაზში ერთი საქმისათვის თავმოყრილი ადამიანები დაუნდობლად იმეტებდნენ ერთმანეთს. მათ შემყურეს ისეთი გრძნობა გიპყრობდა, მათი მორიგება არც არავის შეუძლიაო. ამავე დროს იყო გასაოცარი ინტერესი და მღელვარება. მთელი საქართველოს ნაღები ინტელიგენცია აქ იყრიდა თავს. ახალგაზრდები უტევდნენ უკვე სახელგანთქმულ და სახელმოხვეჭილ მწერლებს, ხშირად უდიერად და უსამართლოდ. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლაში, ლიტერატურული ცხოვრების ამ დიდ ჟინსა და ვნებებში იწრთობოდა, იზრდებოდა და პროფესიონალდებოდა ეს ნიჭიერი ახალგაზრდობა. თუმცა უკუღმართი და უნიჭოც ცოტა როდი ერია მათში. სწორედ ეს მწერლობასთან მიტმასნილი ადამიანები აფუჭებდნენ საქმეს. მაგრამ მაინც ეს ნიჭიერები და იმედის მომცემი ახალგაზრდები სჭარბობდნენ ჩემი აზრით. ოღონდ ისინიც აჭარბებდნენ, გადამეტებულად ყოყოჩობდნენ. მაგრამ, ამაშიაც იყო რაღაც კანონზომიერება. მე ასე მეჩვე-

წებოდა: მათი სურვილი იყო მწერლობის ყველა პოზიცია ხელთ ეგდოთ და ლიტერატურული სახელიც მოეხვეჭათ. და ასე ეგონათ, ეს გზა გაადვილდება, თუ ძველ სახელებსა და კერპებს ხალხისგან ბოძებულ ჩინებს ჩამოართმევდნენ.

ეს განწყობილება მეცნიერებაშიც იყო. ოღონდ აქ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთო: მწერალი რა რანგისაც უნდა იყოს, იგი ბუნებით იბადება. მწერლის გაკეთება, მწერლად გახდომა, თუ ბუნებას შენთვის ეს მადლი არ მოუცია — შეუძლებელია. მეცნიერები მაინც სხვაა. აქ სწავლით, წერით, მეცადინეობით შეიძლება გახდე მეცნიერი. მეცნიერის მომზადებას მეტი დრო უნდა, მეტი ხანდაზმულობა.

ი ვ ნ ი ს ი

მეცნიერებაში აზრთა უთანხმოება და კამათი მუდამ იყო. ეს უთანხმოება იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. მაგრამ ის, რაც დაიწყო ოციან წლებში, უთანხმოებაზე მეტი იყო. აქ ახალგაზრდობა გამოვიდა სრული პრეტენზიით. ძველ თაობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა.

მე, მაინცდამაინც, კაცმა რომ თქვას, პოლიტიკაში არ ვერეოდი, მაგრამ მოგეხსენებათ, ჩვენს დროში სანთლით რომ ეძიო, პროფესორს კი არა, გლეხს ვერ ნახავ ისეთს, რომ პოლიტიკით არ იყოს გართული და ქვეყნის საქმეებში არ ერეოდეს. ვერც მე გადავრჩი ეპოქის ამ სენს.

ამ ბოლო წლებში შინ თუ გარეთ, ოჯახში თუ მეგობრებთან სულ იმაზე მაქვს დავა, რაც სწორედ რომ პოლიტიკას შეეხება. გაზეთს წავიკითხავ ამის თაობაზე თუ ყურს მოვკრავ ხოლმე, არ შეიძლება ჩემი აზრი არ გამოვთქვა და ვედავები უცნობსა და ნაცნობ ავტორებს. ჩიჩერინის სიტყვებსა და მთავრობის საპროტესტო ნოტებს წაუკითხავად არ ვტოვებდი. ქვეყნის პოლიტიკის ჭია ისე გამიჯდა გულღვიძლში, რომ მოსვენება დავკარგე. ბოლოს ივანე ჯავახიშვილის დამუშავება რომ დაიწყეს უნივერსიტეტში და ზოგი მისი მოწაფეც რომ გადაუდგა ამ ქვეყნისთვის თავშეწირულ კაცს, მთლად გადავირიე. უნივერსიტეტში მორიგი კამპანია იყო. ისევ ჯავახიშვილს ამუშავებდნენ. სიტყვა მოვითხოვე. დარბაზში დიდი ჩოჩქოლი და ხმაური იყო. ტრიბუნაზე როგორ შევდექი, არ მახსოვს.

— ბატონებო, — მივმართე დარბაზს.

ჯერ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა და გაინაბა აუდიტორია, მერე ერთბაშად სიცილი დამაყარეს. ვიღაცამ ხმამაღლა მომაძახა:

— შენი ბატონები და ქალბატონები დიდიხანია შავ ზღვას გავაყოლეთ.

ერთბაშად შევცბი, მაგრამ არ დავიბენი. უფრო დინჯად დავიწყე.

— ამხანაგებო!

სიცილი შეწყდა. დარბაზი დაწყნარდა. ჯერ საერთო საკითხებს შევეხე, მერე სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობაზე ვილაპარაკე და შემდეგ ივანე ჯავახიშვილის მძაგებლებს მივადექი.

— გავიხსენოთ, ბოლოს და ბოლოს ვინ იყო მეთაური და ინიციატორი საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის შექმნის? ვინ გვეკრეკებოდა პეტერბურგიდან თბილისში და ამ სწავლულებს და მეცნიერებს ვინ ჩაუდგა სული? არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ ჰუმანისტური დარგის ყოველი სახელმძღვანელოს შემქმნელი და დამწერი ბატონი ივანე არ არის?

დარბაზში აქა-იქ ისევ ატყდა ჩოჩქოლი, მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე და ისევ გავაგრძელე. ჩემი სიტყვა ასე დავამთავრე.

— მართლაც, უმადურები უნდა ვიყოთ, რომ ისეთ მოღვაწეს, დიდ მეცნიერს ასე მოვექეციოთ... ილია ჭავჭავაძის შემდეგ არა გვყოლია ისეთი საზოგადო მოღვაწე და ჩვენს ისტორიაში ჩახედული კაცი, როგორიც ივანე ჯავახიშვილია.

ახლა კი რამდენიმე ხმამ მომაძახა:

— ძირს, ძირს!

უნებლიეთ 1905 წელი მომაგონდა. მაშინ პროპაგანდისტად გამოვდიოდი სოციალ-დემოკრატიის სახელით და გამოცდილებაც მქონდა. ახლაც არ შევდრკი და ამ რეპლიკებს ყურადღება არ მივაქციე. სხვათა შორის აუდიტორიაც დამშვიდდა და მეც გავაგრძელე:

— დიახ, მოგეხსენებათ, არიან ერის კაცებში ისეთი კერპები და სახელები, რომელთა ხელყოფის უფლება არავის გვაქვს. ივანე ჯავახიშვილი ისეთი ერის კაცების რიცხვს ეკუთვნის...

სიტყვა არ დამამთავრებინეს. ისევ აყვირდა აუდიტორია. ვიღაც ახალგაზრდა წამოდგა და დარბაზს მიმართა:

— ეს მეტის-მეტია. ჩამოაგდეთ ეს ნაციონალისტი ესა...

კიდევ აგრძელებდა ის ჩემს სალანძღავად სიტყვებს, მაგრამ ყური არ დამიგდია, სიტყვა შევწყვიტე, ტრიბუნიდან ჩამოვედი და დარბაზში არ შეებრუნებულვარ, ისე გამოვსწიე შინისაკენ.

იმ საღამოს გულის შეტევები დამეწყო, დილიდანვე ექიმები დამასიეს. მთელი თვე სარეცელზე მიკრული გაუნძრევლად ვიწექი.

ოთხი თვის შემდეგ ისევ განვაახლე ლექციების კითხვა. ახლა კი ისევ უნივერსიტეტში. სწორედ იმ დღეებში აღადგინეს უნივერსიტეტი შვიდი ფაკულტეტით. გავიხარეთ, ისევ ერთ საპროფესოროში ვხვდებით ძველი კოლეგები. გაიარა დრომ და ისევ ახალი უსიამოვნება დაიწყო ჩვენს ცხოვრებაში: ჯერ კონდრატიევშინას ნიშნით შეუტიეს ზოგიერთებს, მერე ვულგარულ სოციოლოგებს დაუშინეს ყუმბარები.

ისევ მძაფრი, იდეური ფრონტი გაიმართა უნივერსიტეტის კლუბსა და აუდიტორიებში. ახლა არა მარტო ძველი და ახალი თაობა ებრძოდა ერთმანეთს, არამედ თვით კომუნისტმა პროფესორებმა შეუტიეს ერთმანეთს და მათ შორისაც დიდი უთანხმოება გაჩაღდა.

გასაოცარი ის იყო, რომ მთელს ამ აურზაურსა და იდეურ ბრძოლაში საქმე მაინც წინ მიდიოდა და დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა.

ახალი ცხოვრება დევის ნაფეხურებით მიაბიჯებდა წინ. ენთუზიაზმს და ოპტიმიზმს მოეცვა ყოველივე. უნივერსიტეტი ისევ უნივერსიტეტობდა, ისევ მეთაურობდა საქართველოს მეცნიერულ და პედაგოგიურ აზრს. და ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული იდეალებით აღზრდის უველაზე დიდი კერა ისევ უნივერსიტეტი იყო. უველაფერი ეს ხდებოდა ისეთ იდეურ ბრძოლებში, როცა ძმა ძმას არ ინდობდა, შვილი — მამას, მეგობარი — მეგობარს!.. ასეთი გაშიშვლებული და შეურიგებელი იდეური ბრძოლის ვითარებაში ოჩოფეხებზე შემდგარი, მემარცხენე ქვასროლია მეტიჩრები ვერ აფერხებდნენ არჩეულ გზას. ალბათ ასეა, ცხოვრებაში დიდი გარდატეხის ეპოქებში დიდ საქმეს აეკიდება, მიეტმასნება ბევრი უნიჭო და ინტრიგანი, რომელიც ნორმალურ ცხოვრებას ხინჯად ედება, მაგრამ ისტორიის სვლას ისინი ვერ აჩერებენ.

1932 წელი

გამთიშველობა, თაობათა დაპირისპირება, დაუნდობელი მოპყრობა იდეოლოგიის ფრონტზე არ ცხრება. სწორედ ამ დროს სულ რამდენიმე დღის წინათ 23 აპრილს გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. ახლა ერთბაშად დაიწყო თაობათა და დაჯგუფებათა კონსოლიდაციაზე ბრძოლა და ზრუნვა კონსოლიდაცია, კონსოლიდაცია, — აკერია ახლა უველას პირზე. ეს მოძრაობა ისევ მწერლობიდან დაიწყო, ალბათ მეცნიერების ფრონტსაც მიეშველებიან. ვნახოთ. ჯერჯერობით ივანე ჯავახიშვილს ისევ უმადურად ეპყრობიან.

1936 წელი, 28 იანვარი

გუშინ ივანე ჯავახიშვილი მთავრობაში დაებარებინათ. დიდხანს ჰქონიათ მასთან საუბარი.

ქალაქში ხმა გავრცელდა, ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ენის ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მუდმივ სწავლულ კონსულტანტად დაინიშნაო. მისთვის მთავრობას მსუბუქი მანქანა მიუმაგრებია პირადი სარგებლობისათვისო.

დღეს ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით დიდი ბჭობა გაიმართა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს პირველ დედაქალაქ-

ში მცხეთაში დიდი არქეოლოგიური გათხრები უნდა დაიწყოს, სწორედ ამის გეგმას განიხილავდნენ.

ეს გრანდიოზული და დიდებულია. ჰო, რა გაბრწყინებული სახითა და სავსე ოპტიმიზმით, მისთვის ჩვეული სიდინჯით გვაცნობდა ჯავახიშვილი არმაზის გათხრების გეგმებს. ჩემი მეგობარი მწერალიც მონაწილეობდა ამ თათბირში. პირველი სიტყვა მან თქვა.

ჩვენი ისტორიის შესწავლას კვლავ ჩაუდგნენ სათავეში საქართველოს თავკაცები.

ბარაქალა და დიდება მათ საქმეს...

ხელნაწერი დღიურისა აქ წყდება.

წ ე რ ი ლ ზ ე მ ი ნ ა წ ე რ ი: ხელნაწერის ბოლოს თუ დააკვირდებით, ადვილად მიხვდებით, რომ ავტორის გვარი და სახელი წაშლილია, ეს მე წავშალე შეგნებულად...

მამა უკვე აღარაა ამქვეყნად და აღარა მსურს მისი სახელი საცილებელი და საკამათო იყოს. ცოცხალი რომ იყოს, თავად გასცემდა პასუხს მის დღიურზე ავისა თუ კარგის მთქმელს.

ჩემი ვინაობა მე თავად გამცნეთ და ამის მიხედვით თქვენთვის ცნობილია დღიურის ავტორის გვარიც და ამიტომ ჩემი თხოვნაა, ნურც თქვენ გაამხელთ მამის სახელსა და გვარს.

ხოლო, თუ გაინტერესებთ რა ბედი ეწია მამაჩემს, ამ დღიურის ავტორს, მე და მამიდაჩემს შეგვიძლია ამის შესახებ დაწვრილებით მოგითხროთ.

თუ ეს პირობა მართლაც შემისრულა ამ ბარათის ავტორმა, მე ისევ დოკუმენტური სიზუსტით მივყვები დღიურების ავტორის მემკვიდრეთა მონათხრობს.

სიკვდილისა დამთრგუნველი

I

ჩვენი სახლის უკან მთა იყო აყუდებული.

მთის თხემზე იდგა ციხე — ნათურქუ ჯიხა, ქვითა და კირით ნაგები, შვიდიოდე მეტრის სიმაღლისა. იგი, დანგრეული ქონგურებით, შიგნითა დიდი მოედნით, გარს შემოვლებული გალავნით, ვეებერთელა ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთ მხარეს შერჩენია მაღალი კოშკი. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი სამეგრელო და იმერეთი, რიონისა და ცხენისწყლის ხეობა. შორიდან დაძრულ მტერს შენიშნავდნენ თუ არა, ამ კოშკზე კოცონს აანთებდნენ და მთელი მთიანეთი ფეხზე დგებოდა, ციხე-სიმაგრე საომარ ბანაკად იქცეოდა. ეს ციხე მკვიდრად და დიდხანს იცავდა ჩვენს მამულს, ჩვენს მხარეს.

საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი იქ, ნათურქ ჯიხასთან შევიცანით და ლეგენდაც იქვე დამთავრდა, თუმცა ლეგენდების, ზღაპრებისა და მითების ჯადოსნური წრე არ მთავრდებოდა. იქნებ იმიტომ, რომ ჩვენ სადღაც დიდ მთებსა და დაბლობს შუა გაჩხირულ მთის ბორცვზე ვცხოვრობდით. ჩემს სოფელს ლეგენდებისა და ზღაპრების ნისლი ებურა...

მერე ლეგენდების ნისლით გაჟღენთილი ჩვენი სული ერთბაშად შეარხია სროლამ და რევოლუციის პირველი დღეების რომანტიკამ. შეარხია და მიწას დააბერტყა. ზეციდან ძირს ჩამოვცვივდით და მიწით ვისუნთქეთ. სკოლასა და კომკავშირში ათეისტებად გვზრდიდნენ და სულ მალე თავი დავაღწიეთ ლეგენდებისა და ზღაპრების ლაციცს. რევოლუციის მიერ გადახნულ მიწაზე დაცემული ლეგენდების ბუშტი გასკდა და ჰაერში დაიბნა. ლეგენდებით მთვრალი ბავშვობა რევოლუციამ და სკოლამ რწმენით, იმედით, რევოლუციური სიმღერებით გაგვიხალისა.

ნახუნაოს მითებმა და ლეგენდებმა რევოლუციას დაუთმო ადგილი, რომელმაც ეს ქალამნებიანი გლეხის შვილები სკოლებში შერეკა და მათი დაუხარჯავი ენერგია და ნიჭი ერის სამსახურში ჩააყენა. ეს იყო რევოლუციის მიერ მოტანილი აუწონავი სიკეთე და ბედნიერება. მეც საშუალო სკოლა დავამთავრე და ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში შევედი.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი ძმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

1941 წლის ზაფხულს ომი დაიწყო და იგი ფრონტზე წაიყვანეს. მას შეეძლო ავადმყოფობის მიზეზით თავი აერიდებინა ომისათვის მაგრამ, პირიქით — იგი პირველი გამოცხადდა და უნივერსიტეტის იმ 40 კომკავშირელში ერია, რომლებიც დიდი ამბით გავაცილეთ.

პირველი წერილი ნალჩიკიდან მოიწერა. მოკლედ გვატყობინებდა, კარგად ვარო. მეორე წერილი ხარკოვიდან მოვიდა. მერე ერთხანს არ ჩანდა წერილები. 1942 წელს სტალინგრადიდან იწერებოდა: საშინელი ამბები ტრიალებს ჩვენს თავზე, მაგრამ არაფრისა შეგეშინდეთ, მჯერა, რომ შემდეგ წერილს ბერლინიდან მოგწერთო, თვითონვე გვაიმედებდა. მერე ისევ შეწყდა წერილები. მართლაც, სულ ბოლო წერილები ბერლინიდან მოიწერა. გვწერდა, ავასრულე ჩემი სიტყვა, ბერლინიდან ვგზავნი ამ ბარათსო. ათ დღეში ომი დამთავრდა. იმ თვის ბოლოს კი შინ გამარჯვებული დაგვიბრუნდა ჩვენი დათო. მაიორის ფორმა ეცვა, ძლივს ვიცანი. უფრო მაღალი და გამხდარი მეჩვენა.

ქვეყანა გამარჯვებას ზეიმობდა, ომის მძიმე ჭრილობებს იშუშებდა.

— კარგია, რომ ომმა მომისწრო, თორემ მცირე წილსაც ვერ გავიღებდი ჩემი ქვეყნისათვის. მე ახლა კმაყოფილი ვარ იმით, რომ სრული ოთხი წელი ვიომე ჩემი ქვეყნის, ჩემი სამშობლოს, ჩემი რწმენის დასაცავად. დავიცავიო კიდეც. — პირველად ყვებოდა ასე გულდაგულ ჩემი ძმა ომის ამბებს. აქ შეჩერდა. მერე, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, ისევ განაგრძო: — ამ ომმა, რომლის მონაწილე მე ვიყავი, სხვა ბევრი რამეც გამომამყღავნა. მათ შორის ისინიც გამოავლინა, ვისაც ზერელე რწმენა ჰქონდა. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ისინი იყვნენ, ვინც რწმენით იცავდა ჩვენს მამულს, ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მიწა-წყალს. დიახ, ქართველი კაცი კავკასიაშიც, უკრაინაშიც და ბელორუსიაშიც თავის მამულს იცავდა, რადგან იქ ყველგან საქართველოს კარი ეკიდა, როდესაც ჩვენი დიდი სამშობლოს საზღვარი გადმოლახეს, საქართველოს კარი რომ არ ჩამოეხსნათ, უნდა დაგვეცვა ჩვენი მამულის საერთო კარი. მტერი მოიწევდა ჩვენს დასაქცევად და ჩვენც რწმენით ვომობდით ყველგან, სადაც ფრონტი იყო, თავს ვიცავდით და ამიტომ სამართლიანი იყო ჩვენი ომი.

აქ ისევ შეისვენა, იგი უკვე მძიმედ ავად გვყავდა.

— ფრონტზე რა ჯურის ადამიანს არ შეხვდები, რა ფათერაკს არ გადაეყრები. მაგრამ ახლა სულ სხვა შემთხვევა მახსენდება. გუშინ გივი ბერდენაძემ რომ მნახა, ხომ იცი, ჩემი უნივერსიტეტელი ამხანაგია. ფრონტზეც ერთად ვიბრძოდით. მაიორის ჩინს მიაღწია, კარგი ბიჭი იყო, დიახ, იყო!.. იმ ბერდენაძემ ჩვენს მიერ გათავისუფლებულ ერთს ქალაქში ვიღაც გრაფინია გაიჩინა საყვარლად და მისი მეშვეობით ნაოხარ და უპატრონოდ მიტოვებულ როიალებს აგროვებდა და შინ გზავნიდა. ამის შემდეგ შემძაგდა ის, მართალი გითხრათ. ეს

რომ გაუგეს, პარტიიდან გარიცხეს. ახლა ისე ყოყლოჩინა მამალივით იფოფრება, თითქოსდა არაფერი მომხდარაო. ადამიანს აქვს რაღაც ზღვარი მატერიალური ცხოვრებისა. თუ ეს ზღვარი გადალახა, მერე მისი მობრუნება და გაჩერება არავის შეუძლია, ღორად, გაუმაძღარ ღორად იქცევა. ეს ზღვარს გადასული ადამიანები ივიწყებენ იდეასაც, ძმასაც, მეგობარსაც და ეგოისტურად, კერძო მესაკუთრე მეშჩანად იქცევიან. ყველაზე უფრო მე ასეთი ადამიანები მეჯავრებიან — ჭინჭების მონები. ჩვენს გარემოში აღზრდილი ადამიანი, ჩვენი მორალის კაცი თუ ნივთებს გამოეკიდა, თუ ზღვარს გადასცილდა, ყველაზე მახინჯ არსებად იქცევა. ადამიანი სულით უნდა იყოს მდიდარი. ალალი შრომა ალამაზებს ადამიანს. კეთილშობილი პიროვნება შრომაში, შრომის პატივისცემაში, საკუთარი ოფლით მოპოვებული სახელის პატივისცემაში ყალიბდება. ამ საზღვრის იქით ღორობაა, ღორობა.

— ერთი ეს მითხარი, ეს ზღვარი სად იწყება და სად მთავრდება? ვინ დააწესა ასეთი ზღვარი? — შევესიტყვე მე.

— არის ასეთი ზღვარი, ჩვენთვის ეს მორალური ზღვარი შენი შრომით მოპოვებული შესაძლებლობის ზღვარია, შენი კაცობის ზღვარი, შენი რწმენის ზღვარი არის ეს ზღვარი, თუ დავფიქრდებით და ღორად არ ვიქცევით, ქურდად არ ვიქცევით, ქურდი კი ყველაზე საზიზღარია... „კალმასობაში“ იოანე ხელაშვილი ამბობს: „მპარავობა არს ღონისძიება რაიმე ცუდი და ამაო... ოდესცა განვალს იგი საზღვრისაგან, მაშინ დაშრეტს კაცთმოყვარეობასა და მოყვანებულ ჰყოფს ერთა მოტყუებისა, მტაცებლობისა და ბოროტმოქმედებისადმი; და ამასთანავე განღვიძებულ ჰყოფს კაცსა მოკვლადცა კაცისა... „არცა მპარავთა, არცა მემთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ“. და ამისთვის უნდა ვიყვნეთ ფრთხილა და მართლმსაჯულ, რომელ ერთმან მეორეს უსამართლობით არარაი მიუღოთ რა“.

II

როცა ამბავს ჰყვებოდა, თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, რადგან ამ ამბავთა მოგონება სიამაყეს ჰგვრიდა და, თავის დამოკიდებულებას მკვეთრად რომ გამოხატავდა, ამით სიცოცხლის ჩაუქრობელ ლანდს ელაციცებოდა.

— სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, თვით უკვდავება სახელისა სიცოცხლის ნაწილია მხოლოდ. სიკვდილი კი ძალადობაა სიცოცხლეზე, ამიტომ ვებრძვით სიკვდილს, სიცოცხლე გვინდა, სიცოცხლე გვინდა ასჯერ და ათასჯერ მეტი. სიცოცხლე თვით არის და ლამაზი, რაც გინდა მწარე იყოს! სიცოცხლე გვეძახის, სიცოცხლე გვიხმობს, სიცოცხლე სიკვდილისა დამთრგუნველი.

სახეანთებული, სიცხისაგან ლოყებგაწითლებული, მაგრამ რაღაცნაირად გაფითრებული და აღგზნებული ამბობდა ამ სიტყვებს. მერე მიხვდა, რომ უადგილო იყო ასეთი აღფრთოვანება ავადმყოფისა და თითქოს რაღაცისა შერცხვაო, თავისი ნათქვამის დასაბუთებას შეუდგა.

— როგორ ამბობს ჭოლა? — იკითხა და იქვე მაგიდაზე დადებული ჭოლა ლომთათიძის ტომეული აიღო. ეს წიგნი გუშინ მოითხოვა და მთელი დღე და ღამე კითხულობდა. დათოს უზომოდ უყვარდა ჭოლა. დანიშნული ადგილი გადაშალა და წაიკითხა. მერე შეჩერდა, უცნაურად გაიღიმა. — ბევრს ვლაპარაკობ სიკვდილ-სიცოცხლეზე, არა? ახლა ეს დიდებული ჭოლაც მოვიშველიე თავისმართლებისათვის, არა?

მე ჩემთვის ჩავილაპარაკე:

— სიცოცხლე ერთი წამია, ჩიტივით გაგვიფრინდება.

— არა, არ არის მართალი! თუ ერთი წამია, ვინ ააშენა ეს ქალაქები და ხიდები? მე თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარე ამ ომში, რაც მე ქალაქები და ქვეყნები ვნახე, აბა, იმას ვინ ააშენებდა, სიცოცხლე ერთი წამი რომ იყოს. არა, სიკვდილია ერთი წამი, სიცოცხლე კი გრძელია, დაუსრულებლად გრძელი და ამიტომაც ახდენენ ადამიანებიც ამ სასწაულებს. დიახ, ახდენენ სასწაულებს და სიკვდილისათვის ვერაფერი მოუხერხებიათ. მოვა სიკვდილი და ამ საათივით აწყობილ სიცოცხლეს მოშლის. ადამიანს ერთ წამს წააქცევს, აი, რა არის დასანანი. დასანანია იმიტომ, რომ ამ საათივით აწყობილ ორგანიზმს, რომელსაც ფიქრისა და განსჯის ნიჭი აქვს, ორი იმდენი ქალაქები და სოფლები შეეძლო აეშენებინა, ეს ოხერი სიკვდილი რომ არ იყოს. ცხოვრების სილამაზე კი ამ შენებასა და ბრძოლაშია გამოვლენილი, — ისევ აღგზნებით ლაპარაკობდა ჩემი ძმა...

III

— ომის დროს ორჯერ განვიცადე აუწერელი სიხარული და სიამაყე. პირველად მოსკოვში, 1941 წლის 7 ნოემბერს. მე, სამხედრო კურსანტი, პირველად მივაბიჯებდი მეომართა მწკრივში რუსულ თოვლსა და ყინვებში ლენინის მავზოლეუმის წინ. ჩემი მზერა ტრიბუნას მოხვდა. ტრიბუნაზე იდგა სტალინი, აქვე იყვნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრები, ჩემდაუნებურად თვალთაგან ცრემლი წამომცვივდა. ეს იყო ცრემლი უზომო სიყვარულისა და უზომო სიამაყისა. მაშინ ვეშაპს შევეჯიბებოდი თუნდა ცარიელი ხელებით და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა ფრონტისაკენ მიმავალ ჩვენს ძმებს. მერე ბევრი გაწბილებაცა და მარცხიც შემხვდა, მაგრამ სიხარულისა და სიამაყის გრძნობა იქ რომ დაეუფლა ჩემს სულს, არასოდეს არ მომცილებია.

მეორედ ომის დამთავრებისას ბერლინში განვიცადე დიდი სიხარული. და სიამაყე. სარდლობის ბრძანებით შიგ შუა ბერლინში აანთო ცეცხლი ჩვენმა შენაერთმა. ორი დღეც გავიდა და გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის ტექსტს ვკითხულობდით და თვალს ისევ ის სიხარულისა და სიამაყის ცრემლი გვისველებდა, 1941 წლის 7 ნოემბერს რომ მოგვეძალა. კიდევ ათი დღე გავიდა, და ბრძანება მივიღეთ შინ გამგზავრების თაობაზე. ვერ გეტყვით, გამეხარდა თუ მეწყინა, ისე შევეზარდე ფრონტულ ცხოვრებას, ფრონტელ ძმებს, რომ ახლა ჩემი ნამდვილი ცხოვრება ფრონტი იყო. ასე მეგონა, ვეთხოვებოდი ჩემს ნამდვილ ცხოვრებას, ჩემს პირველ სიყვარულს — სვეტლანას და როცა მეორე ცხოვრებაზე ფიქრს შევუდექი, რაღაცნაირად გული დამწყდა... ხოლო როცა სახლისაკენ გზას დავადექი, უკვე მოვიჩქაროდი.

და კიდევ იცი, ომმა ჩემთვის ნათელი რა გახადა? ეს ომი ერთი შეხედვით თითქოს მამაკაცების ომი იყო, ნამდვილად კი ამ ომში ქალებმა დიდი როლი შეასრულეს. ქალი სიცოცხლის დედაა, დედა სიცოცხლის გაგრძელებისა და სიცოცხლე ხომ სიკვდილის დამთრგუნველია. გამოდის, რომ ქალები ქვეყნის აშენებისა და დაცვის მთავარი ძალაც ყოფილან. ჰო, რა დიდი უბედურება გადახდათ ამ ომში ჩვენს ქალებს!

როცა ვათავისუფლებდით დაპყრობილ სოფლებსა და ქალაქებს, პირველი ისინი ხარობდნენ, მაგრამ ქალებშიც იყვნენ სუსტნი და ადვილად დამყოლნი ვნებისა. მე მინახავს საოცარი ვაჟკაცობის სქესისა. ჭირივით მძულს გაშიშვლებული, ცხოველური ვნება. იყო შემთხვევა, რომ ომმა შეურაცხყო სიყვარული, ქუჩაში გამოიტანა და მთლად გააშიშვლა ეს უნაზესი გრძნობა, გააუპატიურა, მანდილი ახადა ზოგიერთ ქალს. ეს რომელიღაც წიგნიდან ამოღებული ციტატა როდია, მე თვით ამოვიკითხე ცხოვრების წიგნში.

მაგრამ იყვნენ ქალები, რომლებიც თავსაც იცავდნენ, მამულსაც და ნამუსსაც. აი ასეთი ქალები არიან პატივისცემის ღირსნი. ჩემს ასეულში იყო ერთი რუსის ქალი, ექთანი სვეტლანა ივანოვა. ჯერ არ მინახავს იმაზე ლამაზი და იმაზე მამაცი ქალი. ქალი კი არა ქალღმერთი იყო და იცი, რა აძლევდა ასეთ დიდ სულიერ სილამაზეს? გამბედაობა, გულწრფელობა და უშუალობა. აუცილებლად ცოლად შევირთავდი, რომ ჩემს გვერდით არ მოეკლათ. ეჰ, სვეტლანა პატივით დავასაფლავეთ და ცრემლიც, გულწრფელი ცრემლიც ვაპკურე! თუ მოვრჩი, უთუოდ მოვინახულებ მის საფლავს.

სვეტლანა რომ დავმარხე, უკვე ბინდდებოდა. უცნაური ფერის ჩამავალი მზის სხივები ანათებდა დასავლეთის ცაზე დაკიდებულ ღრუბლებს. მზის უკანასკნელ სხივებს ყვითლად შეეღება თეთრ ბოლქვებად დახვავებული ღრუბლები. მე იქვე ჯირკზე ჩამოვჯექი და ცას

მივაჩერდი. შემოდგომის ყვითელ ფოთოლზე უფრო ყვითელი იყო ცის კაბადონზე დაკიდებული ყვითელი ღრუბელი. მომეჩვენა, რომ იმ ციდან ხახადაღებული სიკვდილის სილუეტი იმზირებოდა ჩემსკენ.

აი, მაშინ პირველად მეწვია უსიამოვნო სევდა, ისეთივე ნაცრისფერი და ყვითელი, როგორც იმ ცაზე დაკიდებული ღრუბელი იყო. ამ სევდას უფრო აძლიერებდა სიჩუმე და მარტოობა. ჩემგან დაშორებით სულ სამასიოდე მეტრზე იყვნენ ჩემი მებრძოლი მეომრები. მაგრამ მაინც მარტოობას ვგრძნობდი და მივხვდი, რომ ის, ვინც ახლა მიწას მივაბარე, უფრო ძლიერ მყვარებია, ვიდრე აქამდე ვგრძნობდი... დიდხანს ვიჯექი ასე გაოგნებული, ვიდრე შორეული გრუხუნის ხმამ არ გამომაფხიზლა. ეს ჩემი ასეული იყო, მტერს უტევდა.

აჩქარებით მივაშურე შეტევაზე გადასულ ჩემს ასეულს. ბრძოლის ჟინმა, სიცოცხლის ჟინმა ისევ იძალა და დათრგუნა სიკვდილის შიში...

ეს თქვა და სევდიანად ამოიოხრა.

— ჩემთვის გასაგებია ეს შენი ოხვრა, ჩემო დათო. ომის მოგონებას თან ახლავს სევდა და ოხვრა. თუმცა, მარტო ომისას კი არა, ყოველგვარ მოგონებას, რაგინდ რომანტიკულიც არ უნდა იყოს, თან ახლავს სევდა, სევდა გარდასულისა, იმისა, რაც იყო და აღარ არის! ხომ გახსოვს, ბებიას ყოველი ზღაპარი ასე იწყებოდა: იყო და არა იყო რა... მთელ ამ გაზღაპრებულ ამბავს, რაგინდ ოპტიმისტური უნდა ყოფილიყო, თან ახლდა ჩვენი სევდა იმის გამო, რომ იყო და აღარ არის... ასეა ცხოვრება: ერთი კაცი მეორედ არ დაიბადება, ერთი ამბავი, ერთი ცხოვრება, იმავე სახით არ განმეორდება. იყო და წავიდა...

შევხედე ჩემს ძმას. ჩამქრალი თვალები უცნაურად უციმციმებდა. თვალი მოვარიდე მის გამსჭვალავ მზერას. მომეჩვენა, თითქოს იატაკი გამომეცალა და ჰაერში დაკიდული შველას ვითხოვდი. ისე მიაგავდა ნამდვილს ეს შეგრძნება, რომ ფეხით მოვსინჯე იატაკი. ასეთი გრძნობა ერთხელ კიდევ მაშინ მეწვია, როცა 1942 წელს დაბომბვის შიშით აწრიალებული თბილისის ზეცა პროექტორების შუქით იყო დასერილი. მაშინაც ნიადაგი გამომეცალა და ჰაერში გამოკიდებული წარმოვიდგინე ჩემი თავი. მაშინ გადავრჩით, თბილისი გადარჩა. ნეტა ასე გადარჩებოდეს ახლა ჩემი დათოც. შევხედე დათოს და ერთბაშად შევკრთი. არ ვიცი ეს მოლანდების შიშის ბრალი იყო თუ მისი სახიდან გამომკრთალი სხივისა.

* * *

იმ კვირას დავკრძალეთ ჩემი ძმა. შინ რომ დავბრუნდით, ყველანი რომ წავიდნენ, მამაჩემმა სიკვდილისაგან დამუნჯებულ ერთ ოთახში რომ დაგვიგულა, ასე გვითხრა:

— არა, შვილებო! ჩვენს იარასა და წუხილს ვერაფერი განკურნავს, მაგრამ, რაკი ცოცხლები ვართ, ზრუნვაც გვმართებს. ოჯახის წაქცევა და ჩვენი სიკვდილი იმას ვერას უშველის აწი. ვერა და ვერა. მის საფლავსაც მოვლა უნდა და მეც და დედათქვენსაც მოხედვა და დასაფლავება.

აქ მამას ცრემლი მოერია და სიტყვა გაუწყდა. დედა ადგა, ოთახიდან გავიდა და სამზარეულო სახლში კერიის პირას დაჯდა მოკუნტული. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს... მერე დილას უთენია საფლავს მიაშურა. იტირა, იტირა საფლავს გადაფოფრებულმა, ვიდრე გული არ შეუღონდა. მერე ხელზე ატატებული მივიყვანეთ შინ. მამაჩემმა სამზარეულო სახლში კერიაზე ცეცხლი დაანთო და ისლით დახურული სახლი ისევ აბოლდა. იმედი მომეცა, მაშ ოჯახის კერა არ ჩამქრალა! გავიფიქრე მე. ცეცხლი, კვამლი და სიცოცხლე ისევ გვეძახდა.

დედაჩემს ერთი წელი ტანთ არ გაუხდია და ლოგინზე არ დაწოლილა. უმცროსი შვილის სიკვდილის შემდეგ ხორცისათვის პირი არ დაუკარებია, ხილი და ტკბილი არ უჭამია. დაიტანჯა თავი, მაგრამ მაინც დიდხანს იცოცხლა, 85 წლისა გარდაიცვალა. ტანჯულმა ადამიანმა შვილიშვილები და შვილთაშვილები მაინც დაზარდა. დაზარდაო ვამბობთ, რადგან შვილები და შვილიშვილები, ქალაქში სწავლას მორჩებოდნენ ან არდადეგები დაიწყებოდა თუ არა, სოფლად, ბებიას მიაშურებდნენ. დედაჩემი დღე და ღამე შრომობდა მათთვის. ხალისი გულთან არ მიუკარებია, მაგრამ შვილებისა და შვილთაშვილების სიყვარულით აღძრული სიხარული თვითონ ეძალებოდა და აცოცხლებდა ამ გაუტეხელ ქალს. აბა, რით ავხსნათ, რომ შვილის სიკვდილის შემდეგ ასეთნაირად გულმოკლულმა დედამ ორმოცი წელი იცოცხლა? შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მოვლაში დახარჯულმა შრომამ აცოცხლა იგი.

შრომაში ცოცხლობდა, მუშაობაში გართულს სიკვდილისათვის აღარ ეცალა. მთელი მისი ცხოვრება ბაწარივით გაჭიმული ერთი შრომადღე იყო.

თურმე აკამიანი შრომისა და ბრძოლისათვის არის დაბადებული და ეს არის სიკვდილის დამთრგუნველი ძალაც.

სვეტიცხოვლის ფიქალი

— მცხეთაში ყოფილხართ?

იმ ხანად იქ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არმაზის გათხრები წარმოებდა. მთელი ჩვენი ინტელიგენცია მცხეთაში იყო გამდგარი. და მარტო ინტელიგენცია კი არა, ყველას მცხეთა ეკერა პირზე. ამიტომ არ გამკვირვებია ეს კითხვა და უმალვე ვუპასუხე:

— როგორ არა!

— ჰოდა, სვეტიცხოველის ტაძარში შეივლიდი. ეს განთქმული ტაძარი ბაგრატიონთა საგვარეულო აკლდამაც იყო. გორგასალიც იქ მარხია და ერეკლე მეორეც. აქვე არიან დამარხული სხვა გამოჩენილი ბაგრატიონებიც. თითოეულ საფლავს ზედ უბრალო მარმარილოს ფიქალი ადევს. ფიქალებზე ამოკვეთილი წარწერები ფიქალქვეშ განსვენებულთა ვინაობას გვაცნობს: როდის დაიბადნენ, როდის გარდაიცვალნენ, რა ტიტულისა და მდგომარეობისანი იყვნენ. დაბორიალობ ამ დიდ ტაძარში, კითხულობ ამ წარწერებს და შენს წარმოდგენაში ცოცხლდებიან ჩვენი ძველი წინაპარნი, ზოგი სიამაყით და ზოგიც სინანულით მოსაგონარნი. თუ დაკვირვებიხართ გორგასალის საფლავის გვერდით ფიქალზე ბოლოდროინდელი წარწერაა: „1915 წელი, 29 მაისი, კონსტანტინე მუხრანსკი-ბაგრატიონი“. გსმენია რამე ამ ბაგრატიონისა?

— არა-მეთქი, — ვუთხარი ჩემს მოსაუბრეს.

— მე როგორც ვიცი, შენ ძველი ამბებითა ხარ დაინტერესებული და მე მიგასწავლი იმ კაცს, რომელმაც იცის ამბავი სვეტიცხოველში დამარხული ბაგრატიონისა. ის კაცი ივანე ჯავახიშვილის მეგობარია, ბევრის მცოდნე და მომსწრე.

გამოვართვი მისამართი ჩემს ნაცნობს და მეორე დღესვე მივადექი იმ კაცს.

ეს დიდებული მოხუცი, 80 წელს გადაცილებული კაცი, წელში გამართული, სამხედრო ყაიდაზე გამოჭიმული შემომეგება, შინ მიმიწვია და აი ეს ამბავი მიამბო:

— ჩვენ, ქართველები, უცნაური ხალხი ვართ, რასაც ავიჩემებთ უთუოდ უნდა ავასრულოთ და ხშირად არც ეუწევთ ანგარიშს რამდენად არის ეს აკვიატებული აზრი სასარგებლო ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისათვის. სწორედ ასე დაემართა ჩვენი განთქმული გვარის იმ ნაშიერსაც, რომლის ვინაობაც შენ გაინტერესებს. ჰო, კონსტანტინე მუხ-

რანსკი-ბაგრატიონზე მოგახსენებთ. ეს ბაგრატიონი, ბატონო, მე თვით მინახავს, პირადად ვიცნობდი. ულამაზესი გახლდათ. კაცზე რომ იტყვიან, ლამაზიაო, მეხამუშება ხოლმე. ლამაზიაო, ბატონო, ქალზე ამბობენ, კაცი? კაცი ვაჟკაცური უნდა იყოს. ვაჟკაცობა მისი სილამაზეც არის და სახელიც, მაგრამ ეს აზრი უმალ შევიცვალე, როცა კონსტანტინე გავიცანი: მაღალი, ტანადი, მწევარივით წელში გამოყვანილი... ცისფერი თვალები, თბილი, მარმარილოს მსგავსი თითები, გადაბმული წარბ-წამწამი, კეხიანი ცხვირი, ბუდეშური, ბრიალა, მშვიდი თვალები, მუდამ გაღიმებული თეთრი ქათქათა კბილები და გაბადრული სახე სამეგობროდ იწვევს ადამიანს... ბევრი მივლია, ბევრიც მინახავს კარგი ვაჟკაცი, მაგრამ იმის მსგავსი არსად შემხვედრია. მერე რა უებარი მოსაუბრე, მონადირე და მხედარი იყო! ცხენიც მუდამ საგანგებოდ შერჩეული საუკეთესო ჯიშისა ჰყავდა. კაი ცხენი და ცხენოსნობა, ბატონო, მაშინ ბატონკაცობის პირველი ნიშანი გახლდათ.

კონსტანტინე ნიკოლოზ მეორის ბრძანებით სეფე ჯარის ფლიგელ-ადიუტანტად ჩაურიცხავთ და სასახლეში მეფის დაცვაში სულ მალე მიუპყრია ყურადღება. ეს ლამაზი და დარდიმანდი ბაგრატიონი გაიშინაურეს სეფე ქალებმა და სულ მალე სასახლეში ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. თვითონ ბაგრატიონმა კი ნიკოლოზ მეორის ძმისწული ლამაზი და ელეგანტური ტატიანა შეიყვარა. ტატიანასაც მოუვიდა თვალში ბაგრატიონი და სულ მალე მოიქსოვა მიჯნურობის ბადე...

სასახლეში გახმაურდა ეს ამბავი. საჭორაოდ და სალაპარაკოდ ყველას ამ დიდებული წყვილის უნაპირო და უანგარო სიყვარული ჰქონდა. ამ ამბავმა ქალიშვილის მამის, დიდი მთავრის კონსტანტინეს ყურამდე მიაღწია. განრისხდა დიდი მთავარი, სიძედ არ ეჭაშნიკა ტახტწართმეულ ბაგრატიონთა ხელმოკლე შთამომავალი, გვარდიის უბრალო ოფიცერს როგორ გავატან ჩემს ქალიშვილსო და სასტიკ უარზე დადგა. დედა ქალიშვილის მხარეზე იყო. დედის გული გრძნობდა სიყვარულით უზომოდ გამსჭვალული ქალიშვილის გულის დარდს და თანაუგრძნობდა შეყვარებულებს. მამა უარზე იყო, მაგრამ ქალიშვილი აღარ სცილდებოდა ბაგრატიონს, ისე დღე არ გაივლიდა, რომ მასთან არ ყოფილიყო. ტატიანა ისე იყო გატაცებული ბაგრატიონის სიყვარულით, რომ დიდი მთავრის უარს არაფრად აგდებდა, უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვდა მშობლების დასტურს. რაკი თავის ქალიშვილთან ვერაფერს გახდა, დიდმა მთავარმა გადაწყვიტა ბაგრატიონი დაებარებინა და დაეტუქსა. ასეც მოიქცა. ბაგრატიონი ამაყი იყო და უსიტყვოდ გაეცალა იქაურობას. ტატიანამ ეს რომ გაიგო, გადაირია. ჯერ ბაგრატიონი დაიბარა, მაგრამ შეურაცხყოფილი ბაგრატიონი არ ეახლა ქალს. ნერვებაშლილი და მშობლებისაგან განრისხებული ტატიანა

ოთახში ჩაიკეტა და გარეთ არ გამოდიოდა. ექიმებს უხმეს, ვერაფრით უშველეს თავდავიწყებით შეყვარებულს.

მაშინ გაბრაზებულმა მთავარმა გადაწყვიტა მოეშორებინა იქაურობისათვის ბაგრატიონი. მთავრის შუამდგომლობითა და წარდგინებით მეფემ კონსტანტინე ბაგრატიონი სპარსეთში სამხედრო ატაშედ გაამწესა. დაწყნარდა და დამშვიდდა განრისხებული დიდი მთავარი, მაგრამ ამან საქმეს ვერა უშველა რა. შეურაცხყოფილი და აფორიაქებული ტატიანა ლოგინად ჩავარდა. სასახლის ექიმები დაასიეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ეს ამბავი მეფემ გაიგო, მოინახულა ძმისწული და, საქმის ვითარება რომ გაიგო, გაუწყრა ძმას: რა აქვს ჩვენი დასაწუნი იმ ბაგრატიონს, გვარიშვილობა თუ გარეგნობა? ისიც კი არ იცი, რომ ბაგრატიონების გვარი უფრო ძველია და უფრო ამაღლებული ისტორიულად, ვიდრე რომანოვებისა? სიმართლე წამოსცდა ნიკოლოზ მეორეს და ნათქვამიდან უკან აღარ დაიხია, რაკი ასეთ დღეში შეიგულა ძმისწული. მერე ადგა, ისევ შევიდა ავადმყოფის საწოლ ოთახში, უფრო მოეფერა ტრფობის ისრით გულდაკოდილ ქალიშვილს და იქვე ბრძანება გასცა: დღესვე გამოიწვიეთ უკან ბაგრატიონი და ჩემს პირად ამალაში ჩარიცხეთ. აბა იმპერატორის ბრძანებას ვინ აღუდგებოდა წინ და სპარსეთიდან უკანვე გამოიწვიეს რუსეთის ატაშე კონსტანტინე ბაგრატიონი.

ერთ თვეში დაბრუნდა ბაგრატიონი პეტერბურგს. იმავე დღეს დიდი მთავრის სასახლეში მიბრძანდა ბაგრატიონი. პირველი ხელთფარეში შეეგება, რომელმაც ამ რომანის ყველა საიდუმლო იცოდა, თავდახრილი მიესალმა და ტატიანას საწოლი ოთახისაკენ გაუძღვა. გაიღო ერთი კარი, მეორე, მესამე... ტატიანამ თვალი მოჰკრა ბაგრატიონს და ისტერიულად იყვირა: — კოტე! და გული შეუღონდა. კოტე მივარდა საწოლს, დაიჩოქა და ზედ დაეკონა გულწასულ სატრფოს. ტატიანაც გონს მოეგო და ახლა თვითონ დაუწყო კოცნა ბაგრატიონს. ჰკოცნიდა თვალებში, ლოყაზე, ყელზე, შუბლზე და ცრემლად იღვრებოდა. ამ ამბის მემსწრე ხელისფარეშიც ცხარე ცრემლებით ტიროდა, მერე ჩუმად გაეცალა იქაურობას; მარტო დარჩენილებმა გული რომ მოიოხეს, შეგუბებულმა გრძნობამ სარქველი აიხსნა და ახლა ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— კოტე, ჩემო კოტე, ჩემთვის შენი თავის წართმევა უნდოდათ. არ გამოუვიდათ, ეს არც გამოუვიდოდათ, მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებდი. ამას მარტო მე კი არა, ჩემი მშობლებიც მიხვდნენ და დარწმუნდნენ, რომ მე შენი ვარ და შენ ჩემი, მე უშენოდ რომ არ შემეძლო გაძლება. ახლა კი არა, ამას მაშინ მივხვდი, მთლად პირველად რომ გნახე. ჰოდა, ჩემი დაღუპვა უნდოდა ყველას, ვინც შენს თავს მართმევდა. ახლა კი, ამდენი ტანჯვის და წვალების შემდეგ შენს თავს

ვერავინ წამართმევს, შენ მე მეკუთვნი, მხოლოდ მე, — უთხრა და ისევ მოეხვია ტატიანა სასურველ სატრფოს.

მეორე დღესვე ჯვარი დასწერეს კონსტანტინე ბაგრატიონსა და ტატიანა რომანოვას. გაიხარეს, გამოცოცხლდნენ, თითქოს ხელმეორედ დაიბადნენ ურთიერთსიყვარულისათვის. ახლა ყოველდღე ისხდნენ და იგონებდნენ ძველსა და ახალ ამბებს.

ერთხელ ტატიანა და კონსტანტინე ნევისპირა სასახლის ბაღში ისხდნენ და საუბრობდნენ.

— მამათქვენს, დიდ მთავარს უბრძანებია, რომ მე თითქო საეჭვო დიდგვაროვანთა შთამომავალი უნდა ვიყო, ჰო, მთლად საეჭვო თუ არა, რომანოვებისათვის უკადრისი გვარისა.

— არა, ამის მსგავსი არა მსენია რა, ჩემო კოტე, ეს ალბათ, გამოგონილი ამბავი იქნება.

— არა, დარწმუნებით მოგახსენებთ, სპარსეთში გამგზავრების წინ მამათქვენის კაცმა გამომკითხა კიდეც, ჩვენი გვარის გენეალოგია. ამას ისე სხვათა შორის გეკითხებითო, მობოდიშებით მითხრა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ის კაცი დაინტერესებული იყო ჩემი წინაპრების ვინაობით. იმასაც მოვახსენე და შენც მინდა იცოდე, რომ თუ გვარის დიდებულების ხარისხზე ჩამოვარდება საქმე, ჩვენი გვარი, ბაგრატიონთა გვარი ყველაზე უძველესია და უდიდებულესი დიდგვართა შორის, ჩემო. ჩვენი წინაპარი იესეს-ძე—ბიბლიური სოლომონ მეფის შვილის ბაგრატის-ძე ყოფილა. დიახ, ღმერთების შთამომავალი! ბაგრატი იყო ჩვენი უშუალო წინაპარი და ჩვენი გვარიც მისი სახელიდან არის წარმოებული. ბაგრატ მეფე ქრისტეს წინ მეფობდა, ხოლო ქართლში, სადაც ჩვენ მუხრან-ბაგრატიონნი ვართ, ეს მეფე 575 წელს მოსულა. თუ ბიბლიურ წინაპრებს თავს დავანებებთ, ბაგრატიონები საქართველოში ქრისტეს შემდეგ 1500 წელი მეფობდნენ. ჩვენ არც ახლა ვთვლით ტახტს დაკარგულად, თუმცა რომანოვებმა, თქვენმა წინაპრებმა უკანონოდ ჩამოგვართვეს ეს ტახტი. დიახ, რომანოვების დინასტია სამასი წლისაა, ჩვენი წინაპრების, ბაგრატიონებისა კი — 1500 წლისა. ჩვენ, თქვენგან ტახტწართმეულებს, ერთადერთი ეს დიდებული შთამომავლობაღა შემოგვრჩა და ამასაც გვედავება თურმე მამაშენი, — ცხარობდა კონსტანტინე ბაგრატიონი, ტატიანა ამშვიდებდა. მეორე დღეს შეურაცხყოფილი სიძე ისევ საქართველოს ისტორიას უყვებოდა ახალ ჯვარდაწერილ ცოლს.

— ჩვენ უძველესი ერი ვართ-მეთქი, რომ გითხრა, ცოტაა.

— უძველესიცა და უმამაცესიც, — ჩამოართვა სიტყვა ტატიანამ, — თქვენ მამაცობის დასტურად მარტო პეტრე ბაგრატიონიც გეყოფათ.

— მარტო პეტრე ბაგრატიონი? — თვალებგაბრწყინებული და მთლად აღგზნებული შეეპასუხა კოტე, — ბოლო დროს, როცა ჩვენს

სამეფოს ტახტი წაერთვა, ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებს ჩვენს ისტორიას და რას არ იგონებს. მაგრამ ჩვენი წინაპრები, ჩვენი ისტორიის გამყალბებლებზე ჰკვიანი ყოფილან. ვახტანგ მეექვსემ, ჩვენმა ცნობილმა მეფემ, ბაგრატიონმა, შეაგროვა უძველესი ხელნაწერები და პერგამენტებზე და ქაღალდებზე დაწერილი ჩვენი ისტორია ერთ წიგნად გამოსცა. ეს დიდებული წიგნი სწორედ რუსეთში გამოიცა. ამ წიგნს „ქართლის ცხოვრება“ ჰქვია. იგი მერე ფრანგულად თარგმნა ჩვენმა მეგობარმა ფრანგმა ისტორიკოსმა მარი ბროსემ. თუ ინებებთ, ამ წიგნს მოგართმევთ. მანამ კი მინდა იცოდე:

საქართველო ევროპის სამხრეთი ნაწილია, უფრო ზუსტად — ევროპის და აზიის გზაშესაყარი. იგი მარტო ცამდის აზიდული მთებით, მთიდან დაქანებული თავაწყვეტილი მდინარეებითა და ჩანჩქერებით, ვეფხვის ტყავით მოხატული ბარით კი არ აოცებს ჩვენთან სტუმრად ჩამოსულ მეგობრებს, არამედ საოცარი კონტრასტებით, — მუდმივ მყინვარების, ცივ და მკაცრ ზონას, სუბტროპიკული — მუდამ თბილი ზონა სცვლის. აი შენ ჩამოხვალ და თავად დარწმუნდები, რომ აქ ყოველ ას ვერსზე იცვლება ლანდშაფტიც და ჰავაც. თბილი და ცივი, ზომიერი და ტენიანი ზონები ისე ენაცვლება ერთმანეთს, რომ ბუნების გასაოცარ ჰარმონიას ჰქმნის. ამ მდიდარსა და ლამაზ ქვეყანას, როგორც ჩვენები მოფერებით ღვთის წილხვდომილ ქვეყანას ეძახიან, ბევრი მტერი და მოშურნე ჰყავდა. რა ქარიშხალს არ გადაუვლია ჩვენს თავზე, ყოველი მტკაველი ჩვენი მიწისა სისხლითა და ოფლით არის მორწყული. უძველესი დროიდან დღემდის ვინ არ გვედავებოდა ამ ჩვენს დალოცვილ მიწაწყალს. გვედავებოდნენ და გვეძალებოდნენ, მაგრამ არავის დავანებეთ. მე რომ შემეძლოს ისე ლამაზად მოგითხროთ ჩვენი ისტორია, როგორც თვით არის, ჩემს სამშობლოს ასჯერ და ათასჯერ მეტად შეიყვარებდით, ვიდრე...

არ დააცალა ტატიანამ დამთავრება.

— როგორ, კოტე, უფრო მეტი სიყვარული კიდევ შეიძლება? მე შენთვის, შენთვის თავი გავწირე და არც ვუღალატებ როდისმე ამ სიყვარულსა და ერთგულებას შენი და შენი ქვეყნისადმი. — ეს რომ თქვა, მხურვალედ აკოცა საოცნებო ქმარს.

ბაგრატიონმა ისევ განაგრძო:

— მე თვითონ ჭირივით მძულს ისტორიის გალამაზება. გაზვიადებული და ყალბი ისტორია ვის რაში სჭირდება. ისტორიის გაცოცხლება იმიტომ გვჭირდება, რომ ეს ფუძეა, რომელზეც ჩვენი აწმყო უნდა დაემყაროს... თუ ფუძე ფუჭი და ყალბია, მასზე ვერავითარი აწმყო ვერ აშენდება. ამიტომ ჩვენ უტყუარად უნდა ვიცოდეთ რას უნდა დავაფუძნოთ აწმყო, რომლის განმტკიცებისათვის ვიბრძვით და ვიღვწით. თუ ჩვენს მეცნიერებს დავუჯერებთ, ასეული მილიონი წლის

წინათ მთელი კავკასია წყლით ყოფილა დაფარული. დიდი მთების წარმოქმნის შედეგად ხმელეთი გაჩენილა. დაახლოებით მილიონი წლის წინათ კავკასიის მთების ძირას დღევანდელი საქართველოს სახეც გამოკვეთილა და დგას კლდეზე მაგარი ჩემი საქართველო, რომელიც მე სულზე უფრო მიყვარს და ეფიქრობ მამაშენიც და მეფეც დაგვეხმარება, რომ საქართველო კვლავ კლდესავით იდგეს მტრების გულმოსაკლავად. ვერავინ მოერევა ჩემს ისტორიას და აწინდელ საქართველოს! ხომ გაგიგონია მიჯაჭვული ამირანის ლეგენდა. ამირანი საქართველოა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ თავი დაიხსნას ამირანმა. — ეს რომ თქვა, კოტე თვალებში ჩააჩერდა ტატიანას. ტატიანამ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია, ისე გატაცებით უსმენდა აღგზნებულად მოლაპარაკე კოტეს, რომ სიტყვა ვერ გააწყვეტინა.

საქართველოს უძველესი კულტურა აქვს, მას ძველ ხეთებთან, ასურელებთან და ურარტუს სამეფოსთან რომ ჰქონია ურთიერთობა, ამას ამ ქვეყნების ისტორიკოსებიც ამტკიცებენ პირველი სახელმწიფო ეგრისელებმა შექმნეს, ეგრისელებს ბერძნებმა კოლხები უწოდეს. აი ამ კოლხეთის სახელმწიფოს გვერდით მეორე სახელმწიფო შეიქმნა — იბერიელებისა, კოლხეთის სახელმწიფო ქრისტეს დაბადებამდე, დაახლოებით VI—VII საუკუნეში უნდა შექმნილიყო. ახლა ბერძნებისაგან შემონახული თქმულება თუ ლეგენდა უნდა გაგაცნო: კოლხების სამეფოს მაშინ მეფე აეტი განაგებდა. სხვანაირად მას მზისშვილს ეძახდნენ ბერძნები... ამ ჰკვიანსა და განსწავლულ მეფეს დიდი ქალაქები და ციხესიმაგრენი გაუშენებია. ედემად უქცევიათ ეს მხარე, ხოლო მისი სატახტო ქალაქი აია დიდებული სასახლეებითა და შადრევნებით განთქმული თურმე ბერძნებსაც ხიბლავდა და აოცებდა. ბევრ სიმდიდრესთან ერთად მას ოქროს ვერძი ჰქონია. მეფეს ულამაზესი ასული მედეა ჰყოლია. თურმე სასახლეში მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, მოდიოდნენ მედეას ცოლად მთხოვნელნი, მაგრამ ყველას იწუნებდა ულამაზესი და უმამაცესი ქალი. ეს ამბავი გაიგო ბერძნების ახალგაზრდა უფლისწულმა იაზონმა, შეკრიბა ბერძენი მეგობარი რაინდები და უამბო ამ ზღაპრული სილამაზის ასულის ამბავი. რაინდებს აურაცხელ ოქროსა და ვერცხლს შეჰპირდა, თუ ამ ქალის და ოქროს ვერძის მოსატაცებლად გამოჰყვებოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს იაზონი და მისი მეგობარი რაინდები საგანგებო ხომალდით „არგოთი“ შავი ზღვით კოლხეთის საზღვრებს ძიადგნენ, როგორც აეტის სამეფოს ბერძენი სტუმრები. სტუმრები დიდი პატივისცემით მიიღო კოლხეთის მეფემ. ერთ ნადიმზე თავისი ულამაზესი ასული წარუდგინა და გააცნო სტუმრებს, ბერძნების მეფისწული მოხიბლა მედეამ. მეფისწული სტუმრიანობის საბაბით დაუახლოვდა კოლხეთის ასულს. ამასობაში კოლხეთის ასულსაც მოეწონა იაზონი

და ერთ მშვენიერ დღეს „არგოთი“ გაიტაცეს მედეაცა და ოქროს ვერძიც. საბერძნეთში რომ ჩავიდნენ, დიდი ამბით იქორწინეს, შვილებიც გაუჩნდათ; მერე იაზონს სხვა შეუყვარდა და იმაზე გაცვალა მედეა, მედეას საშინელი დღეები დაუდგა, უზომოდ გამიჯნურებულს და გაბოროტებულს არ დაუზოგავს ძალა და ღონე, მაგრამ ვერ დაიბრუნა იაზონი და დედოფლობა. გაგიჟებულმა მედეამ საშინელი რამ ჩაიდინა, შვილებიც დახოცა და თავიც მოიკლა. მერე ის იყო ომი ატყდა ბერძნებსა და კოლხებს შორის. ამ ომში ბერძნებს ირანელები დაეხმარნენ და დამარცხდა კოლხეთის მეფე. ამას კოლხეთის სახელმწიფოს დანგრევა და დაცემა მოჰყვა. სამაგიეროდ იბერთა სახელმწიფო გაძლიერდა. მცხეთაც აღორძინდა — გაძლიერებული ქართლის სამეფოს დედაქალაქი. ქართლს ამ დროს სათავეში გამჭრიახი პოლიტიკოსი და მწიგნობარი ფარნაოზ მეფე ედგა. მერე ქართლი ქრისტიანობის და ქრისტიანული კულტურის მეთაური გახდა და ამით მთელი საქართველო გაერთიანდა მის გარშემო. კოლხეთი და იბერია მანამდეც ერთად ომობდნენ, ერთად იცავდნენ საქართველოს. ქრისტიანობის შემდეგ უფრო განმტკიცდა ერთი სახელმწიფოს შექმნის იდეა. X, XI, XII საუკუნის ჭკვიანმა მეფეებმა, მათ შორის მეფე ბაგრატ მესამემ, უფრო დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ უძლიერესი სახელმწიფო შექმნეს. მაშინდელ ათმილიონიან საქართველოს თავისი ჯარი ჰყავდა. მსოფლიოში ერთი პირველი პოეტთაგანი რუსთაველიც მაშინ მოღვაწეობდა. დიახ, ჩვენ ველური მეომრები კი არ ვიყავით, კულტურული, განათლებული სახელმწიფო გვქონდა. ვიბრძოდით და თავს ვიცავდით, მონები არასოდეს ვყოფილვართ. საქართველო ომითაც მონაწილეობდა მეზობელ სახელმწიფოთა ცხოვრებაში, წიგნითაც, კულტურითაც, პონტოს სახელმწიფო ხომ არსებითად საქართველოს ტომების მხარეზე იდგა. რომისა და პონტოს ომში ქართველებიც მონაწილეობდნენ, ხოლო თვით საქართველოში უცხოელებიც იღებდნენ განათლებას. ასე მაგალითად: ქალაქ ფაზისში IV საუკუნეში არსებულ ფილოსოფიურ სკოლაში ქართველებთან ერთად უცხოელებიც სწავლობდნენ, ხოლო პეტრე იბერმა და იონა ლაზმა მსოფლიო სახელი და აღიარება მოიპოვეს.

ჩვენს წინაპრებს აკადემიები და კულტურული ცენტრები, მონასტრები და ეკლესიები არამც თუ საქართველოში, არამედ იერუსალიმსა და ათონში უშენებიათ, სადაც ახლაც ცოცხალ მოწმეებად დგას ჩვენი შრომითა და გარჯით აშენებული ეს კულტურული ცენტრები. დიახ, ჩვენ ჯაბანნი და სხვისი შემყურენი არასოდეს ვყოფილვართ. ფინიკიელებიდან მოკიდებული, ისეთი სახელმწიფო არ გამოჩენილა, რომელთაც ჩვენი განადგურება არ ნდომოდეს, მაგრამ დავიცავით ჩვენი ქვეყანა და ასე მოვედით აქამდის... დიახ, ომით, შრომით, დიდი

გარჯით და მსხვერპლის გაღებით დავიცავით ჩვენი მამული და ქრისტიანული სარწმუნოება და როცა მგლებივით შემოგვესიენენ ყოველი მხრიდან, ადგა ჩვენი მეფე ერეკლე ბაგრატიონი და ერთმორწმუნე რუსეთს სთხოვა დახმარების ხელი. დახმარებით კი დაგვეხმარა რუსეთი, მაგრამ არც ჩვენა ვართ ჯაბანნი და თქვენთან ერთად ვიცავთ რუსეთსა და საქართველოს. მშვიდობიანი ცხოვრება დაგვიდგა, მაგრამ ერთიც უნდა გითხრათ. ნამეტანი ცუდი დღე დაგვადგა, რაც საუკეთესო ადგილები და მამულები გექონდა, სხვები გეტაცებენ ვაჭრობითა და მოტყუებით, ზოგი მდგომარეობითაც სარგებლობს. აი თქვენმა ბიძამ მიხეილ რომანოვმა ისეთი დიდი სასახლეები წამოუშენა ბორჯომში ლიკანში, ერთი თავისთვის და ერთიც თავისი საყვარლისთვის, რომ ჩვენს მეფეებსაც არ ჰქონიათ ასეთი სასახლე. ეს განთქმული ადგილი წინათ ავალიშვილებისა იყო. საავალიშვილო-სადროშო სათავადო გახლდათ. როცა საქართველოში ერთმეფობა მოგვეშალა, ავალიშვილებმა იძალეს და საუკეთესო ხეობა ბორჯომისა, ტაშისკარიდან ბაკურიანამდე მოიტაცეს და საავალიშვილო სათავოდ გამოაცხადეს, ქართლის მეფეს განუდგნენ. საქართველოს ეს მხარე ირანსა და თურქეთს ესაზღვრება და მათ იგი ბევრჯერ აიკლეს, დაარბიეს. ავალიშვილებში უებრო მეომარი ვაჟკაცები ყოფილან, მაგრამ მას შემდეგ, რაც საავალიშვილოს სათავადო საქართველოს მეფეს განუდგა, იგი თურქეთმა ააოხრა. მერე ისევ დაიბრუნა საქართველომ. ბოლოს საავალიშვილო მამულები რომანოვების ხელში გადავიდა და ახლა იქ, ლიკანში, მტკვრის მარცხენა მხარეზე თურქებისაგან აოხრებული ავალიშვილების ნასოფლარზე ქონგურებმონგრეული ციხესიმაგრე დგას. მას პეტრე ავალიშვილის ციხეს უწოდებენ. გამოლმა, მტკვრის მარჯვენა მხარეზე დიდი ბაღია, რომელშიც თქვენი სასახლე დგას... ასეთია ჩვენი ტრაგიკული ისტორიის ეს ერთი ფურცელი...

ერთი წელი გავიდა და ვაჟი შეეძინათ კონსტანტინე მუხრანსკისა და ტატიანა რომანოვას.

1914 წელს კი მსოფლიო ომი დაიწყო. რუსეთის იმპერია ჩაება ამ ომში და ნიკოლოზ მეფის სასახლის ჯარი საფრონტო ბანაკად იქცა. გვარდიის ოფიცერმა მუხრანსკიმ ორჯერ სთხოვა სიმამრს — დიდ მთავარს ფრონტზე გამგზავნეთო, ჩემი ადგილი ახლა იქ არისო, უზომოდ მოყვარული მეუღლე უშლიდა, მე თუ არა, ჩვენი ვაჟი მაინც შეიბრალეო.

— არა, ჩემო ტატიანა, ჩემი ნუ გეშინია, მე ომისთვის ვარ დაბადებული. ჩემს წინაპრებს მუდამ ომში უსახელებიათ თავი. მეც იქ მელოდება ჩემი წილი სახელი, ვაჟკაცურად მოვკვდები ან გიორგის ჯვარს დავიბნევ მკერდზე. შენს ქმარს ეს საპატიო ჯილდო უნდა უმ-

შვენებდეს მკერდს. დიახ, დიახ, მანამდის არ მოისვენებს ჩემი გული, სანამ ამ სანატრელს არ მიაღწევს...

პეტროგრადის სამხედრო ეშელონს მატარებელი, რომლის პირველი კლასის ვაგონები რომანოვებსა, ბაგრატიონებსა და სხვა რჩეულთ ეჭირათ, ტატიანამ ცრემლებით გააცილა. პეტროგრადიდან გამოსული მატარებელი სამი დღის შემდეგ რომელიღაც ფრონტისპირა ქალაქთან შეჩერდა. აქ ჩამოსვეს მთელი ეშელონი და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. გვარდიის პოლკის მეთაური მუხრანსკი კარგ გუნებაზე იყო. ოფიცრები სადგურის დიდ დარბაზში ისხდნენ და საუბრობდნენ. ამ დროს ამბავი მოიტანეს, ჩვენი ჯარის შენაერთებს დიდი ზარალი მოსდით და მაშველ ჯარებს მოითხოვენო. ბაგრატიონ მუხრანსკის პოლკი მეორე დილით ადრე უნდა გამგზავრებულიყო ფრონტის მაშველ ჯალებთან ერთად. იმ ღამეს კი ამ ფრონტისპირა სადგურის ერთ დარბაზში სამი თბილისელი — კონსტანტინე ბაგრატიონი, სიკო ჩოდრიშვილი და პეტრე წულუკიძე — ერთი მაგიდის გარშემო ისხდნენ და ცხარე კამათი ჰქონდათ. ბაგრატიონს ჩოდრიშვილი და წულუკიძე ფრონტზე გამგზავრებას უშლიდნენ.

ჩვენ მაშინ ომის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ვავრცელებდით ჯარში, მეფის რუსეთის დამარცხების მომხრეებად გამოვდიოდით, თავი რევოლუციონერებად მოგვქონდა, ამ ჯგუფში იყვნენ ბოჭორიშვილიც და წულუკიძეც.

— მაშ გადაწყვიტე ომში ჩაბმა? ვაჟკაცს დიახაც ამშვენებს გულადობა. ომში ზეიმით მიდიოდნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ ახლა სხვაა, ჩემო ძმაო, სხვა...

— არა, ახლაც მე უნდა ვასახელო ჩემი მამული და ქართული ხმალი.

— საქმეც ის არის, რომ ეს შენი გორდა ხმალი საქართველოს კი არ ემსახურება, არამედ — ჩვენი საქართველოს დამპყრობსა და დამაჭცევარს. ამ ხმლის ყოველი მოქნევა აძლიერებს ჩვენი მტრის ჩვენზე ბატონობას.

— რა, თქვენ მეფეს ებრძვით? თქვენ, ჩვენი იმპერატორის არმიის ოფიცრები, ასეთი აზრისა ხართ? მე რომ ქართველი არ ვიყო, ახლავე ვუბრძანებდი ეს ეპოლეტები აეხსნათ თქვენთვის და ფრონტის საველე სასამართლოზე გაესამართლებინეთ. მაგრამ ვაი, რომ პირველი ნაბიჯი ამ ომში არ მინდა ქართველების გასამართლებით დავიწყო!

— არა, რატომ არა! შეგიძლიათ უბრძანოთ და გაგვასამართლონ, ოღონდ დაიხსომეთ, რომ ამით საქართველოს, რომლის სახელითაც მეფეს ერთგულებას უმტკიცებ, ერთხელ კიდევ გაჰყიდი, — აღელვებით უთხრა წულუკიძემ.

— როგორ მიბედავთ, — იყვირა ბაგრატიონმა და ზეზე წამოდგა.

საქმეში ჩოდრიშვილი ჩაერია.

— დამშვიდდი, კოტე! ჩვენ ხომ ერთი კუთხიდან ვართ და უნდა გითხრათ, რომ შენს ადგილას მე ახლა სულ სხვანაირად მოვიქცეოდი, — იმ ომს ჩვენი ქვეყნის საქართველოს განთავისუფლებისათვის გამოვიყენებდი...

— საქართველო ურუსეთოდ არ არსებობს და ვერც ვერასოდეს იარსებებს. ნუთუ ეს არ გესმით? თამარის დღენი, დიდების დღენი საქართველოს მეფის რუსეთმა უნდა აღუდგინოს, იმპერატორმა უნდა გადააფაროს მას თავისი მფარველობის კალთა, სხვა გზა არ არის. ამიტომ უნდა ვიყოთ ჩვენ ერთგულნი იმპერატორისა. განა ჩვენ საქართველოსათვის არ ვიბრძვით? ერთადერთი ეს გზაა საქართველოს გადასარჩენად. სხვა გზა არც ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

— როგორ თუ სხვა გზა არ არის, — ისევ გაწყმატდა წულუკიძე, — აბა ისტორია სულ ტყუილი ყოფილა? ის შენი წინაპრები რომ ათ საუკუნეს განაგებდნენ საქართველოს, სათვალავში არ არის განა? და აი გახდა მეფის რუსეთის ქვეშევრდომი და გააბედნიერეთ საქართველო, არა? აი რაში ცდებით თქვენ, ბაგრატიონები, მუხრანსკები, ერისთავები და დადიანები, გურიელები და შერვაშიძეები. რუსეთის ორთავიანი არწივის ქვეშ საქართველოს ბედნიერება ზღაპარია, თქვენს მიერ შეთითხნილი, ზღაპარია და ცილისწამება.

— მაშ ბუნტი და რევოლუცია არა? — რევოლუციონერები და ჩვენ ერთ ჭერქვეშ ვერ ვიცხოვრებთ — რიხიანად განაცხადა ბაგრატიონმა — ეს მართალია, ოღონდ შენც ისე შეგიძლია გახდე რევოლუციონერი, როგორც წულუკიძე, — ამისთვის ერთი პირობაა საჭირო, უარი თქვა წოდებრიობაზე და ირწმუნო...

ეს ცხარე კამათი დიდხანს არ დამთავრებოდა, რომ ამ დროს ვიღაც უცნობი ოფიცერი არ შემოსულიყო: იმ ოფიცერმა რაღაცა ჩაუჩურჩულა მუხრანსკის.

ბაგრატიონი წასასვლელად მოემზადა, მეც იქვე ვიდექი, რაღაცნაირად გამეცინა და აკაკის ლექსი მომაგონდა: „ჭინჭარში ნუ ვარდები, ნუ გგონია იქ ია და ვარდები" — მომაგონდა და მივაყვირე კიდეც აკაკის ეს სიტყვები. ის არ მოელოდა და ალბათ ამიტომ, ერთი წუთით სახე ჩემსკენ მოიბრუნა, რაღაცის თქმა დააპირა. მე ამით ვისარგებლე და ისევ ვუთხარი:

— ია და ვარდი არსად ისე არ ხარობს და არსად იმდენი არ არის, რამდენიც ჩვენს სამშობლოშია, ის გვირჩევნია ეკალი და ბარდი მოვაცილოთ ჩვენს იასა და ვარდებს, ჩვენს ქვეყანას ჩვენვე უნდა ვეპატრონოთ. მაგრამ მან ჩვენი ნათქვამი არ შეისმინა. მოსწყდა ადგილს და ჯარს მიაშურა.

იმავე ღამეს გვარდიის პოლკი ფრონტზე გაგზავნეს. ორი დღის

შემდეგ გაიგეს წულუკიძემ და ჩოდრიშვილმა, რომ პირველივე შეტევაზე მოეკლათ გიორგის ჯვრის მაძიებელი ბაგრატიონი. ნიკოლოზ მეორის ბრძანებით, ბაგრატიონი-მუხრანსკი სიკვდილის შემდეგ გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს. სპეციალური მატარებლით წაასვენეს ფრონტისპირა ქალაქიდან თბილისს. ვიდრე მატარებელი გავიდოდა, პანაშვიდი გადაიბადეს. დიდძალი ხალხი დაესწრო პანაშვიდს. იქვე იყვნენ ჩოდრიშვილი და წულუკიძე. გვირგვინით შეამკეს თანამებრძოლებმა ბაგრატიონის კუბო და როცა ცხედარს დახედეს, თვალში ეცათ: ბაგრატიონის ცხედარს გულზე ებინია გიორგის ჯვარი, რომელიც თეთრად ბზინავდა... 1915 წლის 23 მაისს გაზეთი „სახალხო ფურცელი" იუწყებოდა: „19 მაისს ომში მამაცურად მოკვდა ფლიგელ-ადიუტანტი სეფეჯარის კავალერ-გვარდიის პოლკის პორუჩიკი თავადი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ მუხრან ბატონი, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის ნათესავნი. პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 24 მაისს, საღამოს 6 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში".

იგივე გაზეთი 1915 წლის 29 მაისს კვლავ იუწყებოდა: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტის, ლეიბ-გვარდიის კავალერგვარდიის პოლკის პორუჩიკის თავად კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ მუხრანსკის ცხედრის გამოსვენება სიონის ტაძრიდან თბილისის რკინიგზის სადგურზე მოხდება დღეს შუადღის 12 საათზე, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, დაკრძალვა საგვარეულო აკლდამაში, მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში 31 მაისს. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე".

ორი დღე ესვენა რომანოვების სიძე, სვეტიცხოველში დაკრძალული უკანასკნელი ბაგრატიონი. ორი დღე წირავდნენ სიონისა და სვეტიცხოველის მღვდელმთავარნი, ეპისკოპოსი და სრულიად და სრულიად საქართველოს კათალიკოსი... დიდებით დამარხეს ბაგრატიონების დინასტიის უკანასკნელი იმედი.

1919 წელს ოდესაში ვმსახურობდი კომენდანტად. საკონსულოში დაგვიბარეს. პარიზს მიემგზავრება ბაგრატიონის ქვრივი და ქართველებთან ითხოვა შეხვედრაო. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი, მე, ვიქტორ თევზაია, ვიქტორ უშვერიძე, ალექსანდრე ხვიტია და დავით ჭავჭავაძე საგანგებოდ შევხვდით ქვრივს. თანმხლებელმა ანდრეევსკიმ წარმოგვიდგინა ძაძით მოსილი, გასაოცარი სილამაზის ქალი და გაგვაცნო: — ეს კონსტანტინე ბაგრატიონის ქვრივია — ეს უმაწვილი კი მათი ვაჟიაო, სახელი არ დამამახსოვრდა, ასე 5—6 წლისა იქნებოდა.

ქალი სათითაოდ გადაგვეხვია ყველას, ასევე — ვაჟიც. აცრემლებულმა დედამ ვაჟს უბრძანა: — კარგად დააკვირდი ამათ და დაიმახსოვრე, სწორედ ასეთი იყო მამაშენი... იცოდე, რომ შენ მოვალე ხარ ამ

ქართველების წინაშე. — ეს თქვა და ატირდა ბაგრატიონის ქვრივი... შემდეგ რა ბედი ეწიათ მათ, არ ვიცი... ქვირას მცხეთაში ვიყავი, სვეტიცხოველში შევიარე, სამი ბებერი მონაზონი დაბორიალობდა და სველი ჩვრით ასუფთავებდნენ წარწერიან ფიქალებს. იმ მონაზვნებს სწორედ მაშინ დავადექი თავზე, როცა მუხრანსკის საფლავის ფიქალი გადაწმინდეს სველი ჩვრით. თეთრქათქათა მარმარილოზე ნათლად გამოჩნდა წარწერა: „კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი“.

ვაჟკაცი იყო იგი და უშიშარი, მაგრამ გზას აცდენილი ბაგრატიონი თავისი მამულის ხსნას ჩვენი დამპყრობელი ცარიზმის განდიდებაში ეძებდა და ამიტომაც უგემურად და უკვალოდ დასრულდა მისი ცხოვრება. მხოლოდ სვეტიცხოველის ერთი ფიქალი ამაოდ ინახავს მის სახელს.

ექიმის ჩანაწერები

სამამულო ომი დაიწყო და სულ მალე ახალბედა გინეკოლოგი საველე ჰოსპიტლის ქირურგი გავხდი.

პირველი ოპერაცია დაჭრილ წითელარმიელს 1942 წლის მაისში გავუკეთე. მერე ბედისწერამ ბევრი მათრია. ჩემს ჰოსპიტალთან ერთად ბერლინს შევაღწიე...

1954 წელს ჩემს რაიონს დავუბრუნდი ჯანგატეხილი და თმაგაჭაღარავებული. ისევ გინეკოლოგობას მივყავი ხელი. იმ დღეს კაბინეტში გაზეთს ვკითხულობდი. უცბად გაბმულმა ზარის ხმამ შემაკრთო. კარი გავაღე და ოთახში აცრემლებული საშუალო ტანის, საზაფხულო თხელ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი შემოვიდა, მიშველეთ, ექიმოო, — ამოიკვნესა და გული შეუღონდა.

ერთბაშად გონს მოვეგე. ხელთ ავიტაცე ეს გამხდარი, პატარა ტანის ქალიშვილი და ტახტზე ფრთხილად დავაწვინე, მაჯა გავუსინჯე, პულსი ნორმალური ჰქონდა. თითქოს საფრთხე არ უნდა იყოს-მეთქი, დავასკვენი, არადა, ქალი გულშეღონებული იწვა ტახტზე. ვალერიანის წვეთები ჭიქაში ჩავთვალე და ტუჩებთან მივუტანე, კრიჭაშეკრულს ძალათი შევასვი. მალე ცრემლიანი თვალები მომაშუქა და მუდარით მითხრა:

— უნდა მიშველო ექიმო, აბ... — სიტყვა გაუწყდა. გავსინჯე, უკვე საშიში იყო ოპერაცია...

— შემაცდინეს, მომატყუეს, შემპირდა, ფიცით დამიდასტურა, მაგრამ მწარედ მომატყუა.

— ვინ-მეთქი, — ინსტინქტურად ვკითხე.

თვალებიდან ცრემლი გადმოყარა და ჩვითინით თქვა:

— გივიმ, ჩვენი რაიკომის მდივნის შვილმა.

— როგორ თუ გივიმ? იმან ხომ ცოლი შეირთო?

— ჰო, შეირთო!

ისტერიული ტირილი აუვარდა, ძლივს დავამშვიდე.

— მამამისმა თუ იცოდა, რომ მისი შვილის საცოლე იყავი?

— იცოდა, — ისევ ტირილით მიპასუხა, — რომ ორსულად ვიყავი, მე თავად შევჩივლე, მაგრამ არ დამზოგა, არ შემიცოდა...

ბრაზი მომერია, ხელი ვუშვი ქალიშვილს და ტელეფონს მივვარდი, გადავწუვიტე დამერეკა და ყველაფერი გამომერკვია. ქალიშვილი მიმიხვდა განზრახვას და ატირებულმა მუდარით მთხოვა:

— ახლა უკვე ყველაფერი გვიან არის, არაფერი გამოვა ამ წამხდარი საქმიდან. მე ვიცი, თქვენ ექიმი ხართ და არ გასთქვამთ ჩემს საიდუმლოს. მაგრამ მაინც უნდა გაგაფრთხილოთ: ეს რომ მამაჩემმა გაიგოს, გული გაუსკდება. მე რომ მამის სიკვდილისა არ შემშინებოდა, უთუოდ თავს დავიხრჩობდი.

მამაჩემს სიკეთის გარდა სხვა არაფერი უკეთებია ამ რაიონში, მაგრამ სიკეთისათვის სიკეთე აბა ვისა რგებია, რომ მამაჩემს რგებოდა.

ესა თქვა და წელში გასწორდა, აღგზნებით წარმოთქვა:

— თქვენ ყველანი, მისი მოწაფეები, ვალში ხართ მამაჩემის წინაშე, მაგრამ ვაი, რომ ზოგი ისე უხდის მას, როგორც რაიკომის მდივანმა გადაუხადა.

უცბად წაბარბაცდა, ხელი ძივაშველე, სკამზე დავსვი. ქვითინი აუვარდა, ძლივს დავამშვიდე. ეურჩიე, ქალისთვის მთავარი შვილია, თქვენ მალე დედა იქნებით-მეთქი. არ დამაცალა სიტყვის გაგრძელება და სახლიდან ფეხაკრეფით გავიდა, გაუჩინარდა ღამის სიბნელეში... ჩემი რჩევა არ შეესმინა და ექიმბაშისათვის მიემართა, რის შედეგადაც მოიწამლა, ლოგინად ჩავარდა. ქალიშვილს თავისი საიდუმლო დედისათვის გაენდო და მე მომიხმეს.

პატარა ეზოკარი ისე გავიარე, არავინ შემხვედრია, აივანზე რომ ავედი, მოხუცებულმა დედამ შემიპატიჟა ავადმყოფთან. სასტუმრო ოთახიდან ავადმყოფის საწოლ ოთახში შევედით. უკმეხი ხმა მომესმა — ვინ არისო, იკითხა, გავვოცდი, ავადმყოფის საწოლის წინ დაჩოქილი მამა ქვეყნის გამჩენს ევედრებოდა ქალიშვილის გადარჩენას. ამ მდგომარეობაში რომ შევუსწარი, ალბათ, უკმეხი კითხვაც ამის ბრალი იყო. გაფითრებული მამა ფეხზე წამოდგა და რომ მიცნო, უფრო გაფითრდა. მეც დავიბენი, მაგრამ ქალიშვილმა იმარჯვა და მამას უთხრა:

— მამა, ხომ იცნობ ჩვენს ექიმს, შენი ნამოწაფარია, ხომ?

მამამ რაღაცნაირად ჩაილაპარაკა, როგორ არა, როგორ არაო და ოთახიდან გავიდა.

სიცხისაგან ლოყებაწითლებული ქალიშვილი უღონოდ შემომაცქერდა. იქვე, ლოგინის წინ დადგმულ სკამზე ჩამოვჯექი. პატარა საწოლი ოთახი დიდი გემოვნებით იყო მორთული. სარკის წინ ვაზებში თეთრი ვარდები ჩაედოთ. ავადმყოფი ხის საწოლზე იწვა. ვარდისფერი საბანი ეხურა. მაჯა გავუსინჯე და სახეზე შევხედე. ლოყებზე ისეთივე მსხვილი ცრემლი შევნიშნე, როგორიც იმ საბედისწერო დღეს. გავსინჯე, მძიმე ფორმის სეფსისთან გვქონდა საქმე. სასწრაფოდ ვიღონე ყველაფერი. დიდხანს ვუმკურნალე და სიკვდილს გადავარჩინე. მამა ყველაფერს მიხვდა, ჯერ ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა. ქალიშვილი რომ მობრუნდა და უკეთ შეიქნა, მამას გულის შეტევები დაეწყო და ათ

დღეში გარდაიცვალა გულის ინფარქტით. ქალიშვილის მამა რომ დავასაფლავეთ, მეორე დღესვე რაიკომის მდივანს მივუხტი და აღელვებით განვუცხადე: თქვენი ვაჟიშვილი გივი კაცის მკვლელია-მეთქი.

— რომელი კაცისა? — შეიცხადა ერთბაშად.

— იმ მასწავლებლისა, გუშინ რომ დავასაფლავეთ.

გონს მოეგო და შემომიტია, როგორ მიბედავო, მე რა შუაში ვარო.

— შენ და შენი შვილი ხართ იმის ქალიშვილისა და იმ კაცის გამაუბედურებელნი-მეთქი — და მოვუყევი რაც ვიცოდი. მაშინ კი იყვირა და იყვირა:

— ალბათ შენ, შენ თვითონ შეაცდინე ის ქალიშვილი, მერე აბორტი გაუკეთე და ქვეყანა შეუყარე, არა? — ნიშნის მოგებით თითები მიქნია.

მე გავვოცდი და გავბრაზდი, გადავწყვიტე სილა გამეწნა ამ უკაცური კაცისათვის, მაგრამ მივხვდი, ვერაფერს გავხდებოდი და გამოვედი, კი არ გამოვედი, გამოვვარდი კაბინეტიდან.

შინ დავბრუნდი თუ არა, იმავე წუთს ბარგი შევკარი, სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე განცხადება რაიონის მთავარ ექიმს დავუტოვე და იმავე დღესვე რუსთავ-ქალაქში გავემგზავრე...

ამ ქალაქში მუშაობა დავიწყე, მაგრამ მოსვენება სულისა დავკარგე. იმ ქალიშვილის სახე მელანდებოდა, არ მასვენებდა, მისმა ბედმა დამაღონა და არ ვიცოდი, რა მექნა. ერთხანობაზე გადავწყვიტე, წავალ, გულისწადილს გადავუხსნი, ხელს ვთხოვ, ცოლად შევირთავ-მეთქი, მაგრამ რაიკომის მდივნის პირში ჩავარდნასაც მოვერიდე და ქალიშვილისაგან შესაძლო უარის თქმასაც, ერთი სიტყვით, ვერ გავბედე. ასე გავიდა ერთი წელი, მაგრამ იმ ქალის ლანდი აღარ მშორდებოდა, ძილშიაც და სიფხიზლეშიაც თვალწინ მედგა, მეძახდა, მაქეზებდა...

ერთხელ ჩემს რაიონში წავედი და ჩემი მეგობარი მოვინახულე. იქვე გავიგე, რომ რაიკომის მდივანი მოეხსნათ, ხოლო იმისი შვილი გივი დაეპატიმრებინათ. იმავე წუთს გამოვემშვიდობე ჩემს მეგობარს, რაღაცა მოვიბოდიშე და მასწავლებლის სახლს მივადექი. ფრთხილად დავაკაკუნე, მე მეგონა ის ქალიშვილი გამიღებდა კარს, მაგრამ არა, ისევ ის დედაბერი შემომეგება, ჩემთან რომ გამოგზავნა იმ სიკვდილის განსაცდელის ჟამს, დედაშვილურად დამლოცა, მომიკითხა და შინ შემიპატიჟა. მაშინვე ქალიშვილი მოვიკითხე, ერთი თვეა მამიდასთან თბილისში გადასახლდაო, ენის ბორძიკით ყვებოდა დედაბერი, თითქოს განგება აყოვნებდა სათქმელს...

ახალმა ქალაქმა და ახალმა გარემომ თითქოს შვება მომგვარა. რუსთავის სამშობიარო სახლის ექიმი ვიყავი და ეს მახალისებდა. იმ დღეს გამოვითვალე და ამ ერთი წლის განმავლობაში ორასამდე ბავ-

შვი დაიბადა ჩემს ხელში, ახალი ქალაქის ახალშობილნი ახარებდნენ ჩემს გულს, ჩემი ქვეყნის ძლიერებას ეხედავდი მათში. მე საოცრად შევიყვარე ხვალინდელი რუსთავ-ქალაქის ბატონ-პატრონნი და ყველა მათგანს ჩემი ხელის სითბო და გულის ნაწილი თან გავატანე. ამით ვსულდგმულობდი და ვხარობდი. ამაზე მეტ სიხარულსა და სიკეთეს აბა სად ვიპოვიდი? მაგრამ კაცის გული მაინც სხვა ყოფილა, გული ისევ იმ ქალიშვილს ეძახდა და ისევ მისკენ მიიწევდა. და თუ დამიჯერებთ, არც არასოდეს ირინეს მსგავს არსებასთან მე საქმე აღარ მქონია. მისი მშვენების გადმოცემა სიტყვით რომ შემეძლოს, ყველაზე დიდებული პოეტის სახელს გავითქვამდი ამ ქვეყანაზე. და ჩემს ლექსს უფრო მეტი ძალა ექნებოდა ადამიანის სულის განსაკურნავად, ვიდრე ექიმების წამლებს. მაგრამ ვაი, რომ მე ამას ვგრძნობ და სიტყვით კი ვერ გამომითქვამს და ამიტომაც ჩემს უძლურებას ჰალუცინაციამდე მივყავარ. სიკვდილამდე მინდა მე მეკუთვნოდეს ამ განუმეორებელი მშვენების პატრონი და არც არავინ გავაბატონო საოცნებო არსებაზე.

...მე დღეს ის მამიდასთან ერთად ვნახე მთაწმინდაზე, სულ ახლოს გვერდით ჩამიარა, დავინახე და ტანში გამაჟრჟოლა, მან დამინახა თუ არა, არ ვიცი. მამიდას მიჰყვებოდა სახედაღლილი და სევდიანი. მამიდა სახეში ჩასციცინებდა და ალერსიანად ელაპარაკებოდა, ის ხმას არ იღებდა. მომინდა მისთვის პირისპირ შემეხედა, სალამი მეთქვა და გავედევნე კიდეც. აღმართი რომ ავლიეთ, მიეხვდი, რომ სასაცილო მდგომარეობაში ვიგდებდი თავს და ხეივანს ავეფარე, საცალფეხო ბილიკს მივყევი. ისინი ვერ მხედავდნენ, მე კი შორიდან ვუჭვრეტდი მისი დიდებული ტანის რხევას და ყოველ მოძრაობას ვაკვირდებოდი. უცბად მობრუნდნენ უკან და მთაწმინდის სადგურისაკენ დაეშვნენ. თვალი მივაყოლე და დავინახე, როგორ ჩასხდნენ ტრამვაიში. მე იქვე გალავანს გადავეყუდე, ქვემოთ, ტრამვაის გაყოლებაზე გაჩახჩახებულ თბილისს შევხედე და ერთბაშად გამოვფხიზლდი. თბილისი, ასეთი ლამაზი თბილისი თითქოს პირველად ვნახე. მთელი ქვეყანა თბილისს აქებს და მე მისი სილამაზე თითქოს აქამდის არც შემინიშნავს. მთაწმინდიდან ვჭვრეტდი და ვტკბებოდი თბილისის უზომო სილამაზითა და მშვენებით...

უცბად მოვტრიალდი და ფუნიკულიორის აღმართს ავყევი. პარკი გავლიე და გზის გაღმა ტყეში შევედი, ფიჭვის ბუჩქის ძირას ჩამოვჯექი. გზის მეორე მხარეს მოლზე ქალ-ვაჟი ისხდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, იცინოდნენ და თან ჩემსკენ იყურებოდნენ. ბუჩქს ავეკარი, მაგრამ ჩემსკენ მომზირალ წყვილ მიჯნურთა თვალებს ვერსად დავემალე. ისინი გულწრფელი სიყვარულის გამხელისას არავის ერიდებოდნენ, მე კი ვერიდებოდი და ბუჩქს ვეფარებოდი. ასე მეგონა, ხელს ვუშლიდი სიყვარულის გამომჟღავნებაში. სიყვარულს თავისუფლება

უყვარს, ჩვენ კი ადამიანები მზადა ვართ ბორკილები დავადოთ ამ თავისუფლებას. ეს გავიფიქრე და ჩემდაუნებურად შეეხედე გამიჯნურებულ წყვილს. მე შემრცხვა, არ ვიცი რისი, ავდექი და იქაურობას გავეცალე. გული ჩამწყდა, ჩემი სასტიკი უმწეობა ვიგრძენი. აქ, ამ პარკში ორ-ორნი დადიან და, ტყეს შეფარებულნი, ერთ არსებად გრძნობენ თავს, მე კი, მე მარტო ვარ ამ ქვეყანაზე. შინ რომ დავბრუნდი და დავწექი, ისევ ის ოთხი თვალი მელანდებოდა, სავსე სიყვარულითა და ბედნიერებით. გვიან ღამემდე არ დამეძინა. ისევ ირინეზე ვფიქრობდი და იმ მიჯნურთა თვალთა მზერაშიც იმას ვხედავდი, მთელი კვირა არ მომცილებია ეს მოლანდება.

ჩემი ცხოვრების დღეები საოცრად ჰგავს ერთმანეთს და სათვალავი დავკარგე, როდის ვნახე ის უკანასკნელად. დღეები ჰგავს ერთმანეთს და მე არ ვიცი როგორ მოვიქცე: ერთხელ კიდევ ვცადო ბედი ჩემი, მივაკითხო ჩემს ირინეს და აღსარებით წარვსდგე მის წინაშე, რომ უმისოდ ჩემი ცხოვრება მხოლოდ ტანჯვაა, გაუთავებელი ტანჯვა, თუ... დღეები ჰგავს ერთმანეთს და არ ვიცი ექნება თუ არა დასასრული ჩემს ტანჯვას ესოდენს... სწორედ ამ დროს კარზე დააკაკუნეს... გავაღე, კაცი შველას ითხოვდა: ბატონო ექიმო, ცოლი გამიხდა ავად, უნდა მიშველოო. უსიტყვოდ გავყევი. ავადმყოფს საშვილოსნოს გარეთა ორსულობა აღმოაჩნდა. სულზე მივუსწარი, გადავარჩინე.

ახლა ისევ ვზივარ ჩემს კაბინეტში და ვფიქრობ: მე ყველას ვშველი, მაგრამ მე, მე ვინ მიშველის?

ისევ ვზივარ ჩემს კაბინეტში და კარზე აკაკუნებენ. ვუშველი, ვუშველი ამასაც, მაგრამ მე. მე ვინ მიშველის? ასე ვფიქრობ და ფიქრსა ჩემსას დასასრული არ უჩანს...

შემოდგომაა, ჩემი ფანჯრის წინ დიდი ჭადრის ხე დგას და ყურს ვუგდებ მის შრიალს, ქარი ნელა არხევს და ფოთლები სცვივა. ფოთლები სცვივა და მესმის მიწაზე როგორ მსუბუქად ეცემა. ჩემი ოცნებაც ასევე ნელა ცვივა და ეცემა უხმაუროდ, ასევე ჩემი სულიც აღარ ხმაურობს, რადგან არავის უცდის, არავის ელის...

იმ დღეს ქალაქის ბაღში ვიჯექი. ჩემს გვერდით სკამზე ჩამოჯდა ახალგაზრდა ქალი ბავშვით. ქალი უზომოდ, ხმამაღლა ეფერებოდა პატარას, შევატყვე, უნდოდა ჩემი ყურადღება მიეპყრო. მე კი ვიჯექი დაფიქრებული ჩემი ბედით და ვერაფერს ვხედავდი, ვერაფერს ვგრძნობდი. მერე მთლად აწრიალდა ეს ქალი, ახლო მოვიდა, ბოდიში მომიხადა და მითხრა:

— ვერ მიცანით, ბატონო ექიმო?

— ვერა-მეთქი, ვუთხარი.

— მე ის ქალი ვარ, ამ ორი წლის წინათ საავადმყოფოში რომ გადამარჩინეთ.

სახელი და გვარი მითხრა და მომაგონდა. მომაგონდა და მესიამოვნა, როცა ის ბავშვიანი ქალი წავიდა, ჩემს თავს ვკითხე:

— ჩანს, რაღაც მეც გამიკეთებია?

— გაგიკეთებია, — მიპასუხა შინაგანმა ხმამ.

მე, რიგით ექიმს ათასი ბავშვი ამიყვანია, ორასი სიკვდილს გადამირჩენია. ეს ცოტა როდია. ტყუილ-უბრალოდ არ მიცხოვრია თურმე ამ ქვეყანაზე. გასაკეთებელი კიდევ წინ არის. ეს მოვალეობაა ჩემი, მოვალეობა! მეტისმეტად გაცვეთილი სიტყვა ხომ არ არის?

ასე ფიქრსა და ტანჯვაში ხუთმა წელმა გაიარა.

იმ საღამოს წერილი მივწერე: ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, სული შფოთავს... მე, ომგადახდილ და მრავალვაებაგადახდილ ექიმს, ასეთი მძიმე განცდები არასოდეს მქონია. რატომ? მე თვით არ ვიცი! იქნებ იმიტომ, რომ რასაც ახლა ქაღალდს ვანდობ, ეს ფიქრები საიდუმლოდ იყო ჩემს სულში დამალული და როცა იგი ამ თეთრ ქაღალდზე გავამჟღავნე — თვითონ შემეშინდა ამ ფიქრებისა. ჰოდა, როცა ამ წერილს წაიკითხავ, თავად მიხვდები, რატომ ვარ ახლა ასე შეძრწუნებული...

ეს წერილი გავგზავნე და ერთხანს მოვისვენე, იმ ღამეს კარგად მეძინა. მეხუთე დღეს ისევ ავწრიალდი, ახლა მთლად დავკარგე მოსვენება სულისა. მოუსვენრად ველოდი პასუხს, პასუხი კი არსად ჩანდა... ახლა უცნაური ფიქრები დამეუფლა. იქნება არ იყო ჩემი საქციელი სერიოზული კაცის ჭკუის ნაყოფი! ასე შეეძლო მოქცეულიყო 18—20 წლის ყმაწვილს. იმ ღამეს, უძილო ღამეს, ჩემს თავს ვეკამათებოდი, ვებრძოდი: შენ, ამდენი ხნის ექიმს, ასეთი ამჩატება არ გშვენის. ეს მხოლოდ იმ საღამოს იყო. მეორე დღეს კი ისევ ველოდი წერილს, ჩემი გულწრფელი გრძნობის პასუხს და ახლა ირინეს ვამტყუნებდი, რომ არ ეხმაურებოდა ჩემი გულის ძახილს.

მე მიყვარს, მიყვარს გაგიჟებით, რა გაცვეთილიც არ უნდა იყოს ეს სიტყვები. მე ამ სიტყვებს გულწრფელად ვიმეორებდი ყოველ დღეს, ყოველ წუთს...

მეტი ვეღარ მოვითმინე და იმ საღამოს შენი სახლისაკენ გამოვწიე, მოვუახლოვდი თუ არა, შენს ფანჯარას მივაჩერდი. ელნათურები ჩამქრალი იყო და ვიღაცები გარეთ იცქირებოდნენ სინათლის მოლოდინში. შემეშინდა, მეზობლებმა არ დამინახონ-მეთქი და იქვე სახლის წინ დიდ ჭადარს ამოვეფარე. აქედან დავინახე, როგორ გამოაღე ფანჯარა და სიბნელეში ქვემოთ მეზობელს დაელაპარაკე. დიდხანს ვიდექი იმ ხეს ამოფარებული, მაგრამ შენ მეორედ აღარ გამოგიხედავს. მერე გაჩირაღდნდა თქვენი სახლიც და შენი ფანჯარაც, მე ისევ მოვკარი თვალი შენს სახეს ფანჯრის იქით და გადავწყვიტე ამოვსულიყავი შენთან. კიბეზე ფეხი შევდგი, ისევ შევხედე შენს ფანჯარას... და შევდექი, ვერ გავბედე, ვერ გადავწყვიტე ამოვსულიყავი...

დღეს ჩვენს კლინიკაში ყველამ შემამჩნია, რომ უქეიფოდ ვიყავი. ქერათმიანმა ნათელამ გამიბედა და მკითხა კიდეც, ბატონო ალექსანდრე, ხომ არაფერი შეგემთხვათო. არაფერი-მეთქი, ვუპასუხე, უფრო დაჟინებით ჩამაცივდა, მაშინ ვიცრუე, შეუძლოდ ვარ-მეთქი. ეს მართალია, მე მართლაც ავად ვარ, თავი მტკივა, გული მიწუხს... ავადა ვარ შენი სიყვარულით, ჩემო! არ ვაჭარბებ, არც ვიგონებ — დიახ, შენი სიყვარულით ვარ ავად. დღეს კლინიკაში ფეხმძიმე ქალი მოიყვანა „სასწრაფომ“. გავსინჯე — ოპერაცია იყო საჭირო. მე კი გაოგნებული ვიდექი, ვერაფერი გადამეწყვიტა. უკვირდათ ჩემს კოლეგებს. ამასობაში ქალს გული შეუღონდა. უცბად გონს მოვეგე — ის ქალი შენ მიგამსგავსე. ის საღამო მომაგონდა, შენ რომ ჩემთან მოხვედი ფეხმძიმე... იმ ქალსაც ისეთივე ტანსაცმელი ეცვა — მარწყვისფრად დაწინწკლული ჩითის კაბა — შენ რომ გეცვა მაშინ, ჩემთან რომ მოხვედი. ეს ქალიც ისე ტიროდა, როგორც შენ მაშინ. ამის მოგონებამ მე ერთბაშად მაქცია იმ კეთილ ექიმად, შენ რომ გიშველა მაშინ. ამ მსგავსებამ მომცა მე ძალა და ნებისყოფა, რომ მეშველა იმ ქალისათვის. იცი, კიდევ რა მსგავსება დავინახე? იმ ორსულმა ქალმა ისეთი წყლიანი და ცრემლიანი, მუდარით სავსე თვალებით შემომხედა, როგორც შენ მაშინ!

გუშინ ჩემთან მოვიდა მაშინდელი რაიკომის მდივნის შვილი გივი. ვიცი, არ გესიამოვნება ამ სახელის გაგონება, მაგრამ თვით ამბავია საინტერესო და ამიტომ გწერ. მომესალმა, შევხედე, ვერ ვიცანი, ვიღაც გასავათებული, წელში ორად მოხრილი, გამხდარი, პირგაუპარსავი კაცი მელაპარაკება, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ მესმის, მერე ძლივს დამშვიდდა. გამაგებინა, თურმე ავად ყოფილა და ჩვენს კლინიკაში ნევროპათოლოგიურ განყოფილებაში მოსურვებია დაწოლა სამკურნალოდ და მე დახმარებას მთხოვდა. მერე დააწვინეს საავადმყოფოში. ახლა მომჯობინდა და ყოველდღე მაკითხავს, ყოველთვის ვიღაცას უჩივის, ვიღაცას ემდურის... ცოლი არ გამომადგაო, სულ იმ საწყალი მამაჩემის ბრალიაო, ის ქალი არ უნდა მეთხოვაო, მე სხვა მიყვარდაო (არ იცის, რომ მე ვიცი მისი ამბავი). შენი სახელი რომ ახსენა, მე ჩემდაუნებურად ვიყვირე, არ გაბედო-მეთქი... შეკრთა, რაღაცნაირად მოიკუნტა, მთლად აკანკალდა. თითქოს რაღაცა იგრძნო, ადგა და წასვლა დააპირა. დავამშვიდე, მე იმ ექთანს ვუყვირე-მეთქი და ხელი მეორე ოთახისაკენ გავიშვირე. მერე მე თვით დავინტერესდი ამბით, დავსვი და გამოვკითხე.

— მერე აღმასკომის თავმჯდომარის ქალიშვილმა, ჩემმა ცოლმა, მამაჩემი რომ მოხსნეს, მთლად აბუჩად ამიგდო, დამცინოდა მეც და მამაჩემსაც. ერთ დღეს გაჯავრებულმა მიმატოვა, მამამისთან გადავიდა საცხოვრებლად. ამასობაში მამამისიც მოხსნეს და მამაჩემთან ერთად

პასუხისგებაში მისცეს. მერე მთლად აგვეშალა ოჯახი, ჩემი ცოლი სხვას გაჰყვა, ორი ბიჭი — ჩემი შვილები — ავადმყოფ დედაჩემს მიუყარა და იმის შემდეგ არც კი მოუკითხავს. შარშან დედაც გარდამეცვალა და ბავშვები სულ უპატრონოდ დარჩნენ. ყოველივე ამას ჩემი ავადმყოფობაც დაემატა.

ეს თქვა და პატარა ბავშვივით აზლუქუნდა. შემეცოდა ეს ავადმყოფი და ხელმოცარული კაცი, თან შემეზიზღა უფრო შენს გამო, თუმცა ის გარემოება რომ არა, ალბათ ჩვენ ერთმანეთს ვერც გავიცნობდით. მაგრამ მე ახლა პირადი კი არა, ამ საქმის საზოგადოებრივი მხარე მაფიქრებდა. რატომ მოხდა ისე, რომ რაიკომის მდივანმა მაინცდამაინც აღმასკომის თავმჯდომარის ქალიშვილი აირჩია სარძლოდ და არა შენ. იქნებ ჩვენს დროში შეიქმნა რაღაც კასტა, თანამდებობიანთა და ფულებიანთა კასტა, ძველად რომ იყო, იმის მაგვარი რამ? წინათ ხომ დადიანი და ჩიქოვანი ქალიშვილს არაფრით არ გაატანდა მაჭაკარიას ან მატახერიას? თუნდაც უნიჭიერესნი ყოფილიყვნენ ისინი. ეს დიდკაცობის სენი ხომ არ გადაედოთ ჩვენს პროვინციელ თუ ქალაქელ „დიდკაცებს“? ან მაშინ იოლ ცხოვრებას მიჩვეული, მანქანაზე გადამჯდარი ეს ბიჭი რას ფიქრობდა, ვინ იცის, ვინ იცის?

გამდიდრების მეშჩანური გრძნობები დაეუფლა მათ სულს. ეს სენი ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგისა და მათი ოჯახის წევრებისა ინფექციური ავადმყოფობის მსგავსად გადამდები გახდა. თუ ამ სენისაგან არ განიკურნა ჩვენი სული, ისე ძნელი იქნება პირადი მაგალითის მაჩვენებელი იყოს კომუნისტი ხელმძღვანელი. მე მაგონდება სტუდენტობის წლები. მაშინდელი რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩემი ნათესავი იყო. მე ხშირად დავდიოდი მასთან. ორ უბრალო ოთახში ცხოვრობდა ჭონქაძის ქუჩაზე, კარზეც არავინ ეყენა, ჩვეულებრივად ცხოვრობდა. დამამახსოვრდა, ისეთივე უბრალო შუშის თლილი ჭიქებით მოგვიტანდნენ ჩაის, როგორც ოჯახში. სოფელში რომ გვქონდა, ისეთივე უბრალო ფრაჟეს კოვზებს გამოიტანდნენ. სუფრა ჩვეულებრივი: პური, ყველი, კარაქი... ოთახის ავეჯ-სამკაული ისეთივე უბრალო იყო, როგორიც შინ გვქონდა. განსხვავება არ იგრძნობოდა არაფერში, ნივთები, გარემოცვა, ჩვეულებრივი გახლდათ და ეს გარემოება ერთბაშად გვაახლოებდა, გვაერთებდა ამ ცნობილ ადამიანებთან. ეს დიდ სულიერ სიმშვიდეს და კეთილ ატმოსფეროს ქმნიდა. რა საკვირველია, დღეს ცხოვრება წინ წავიდა. რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ ადამიანებს უკეთ ეცხოვრათ. მაგრამ გულსატკენი განსხვავება საბჭოთა ადამიანებს შორის უმალვე ცვლის ატმოსფეროს და კეთილ განწყობილებას. ეს ხშირად ავიწყდებათ ჩვენს ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგებს. მე, როგორც ექიმმა, ვიცოდი, რომ ადამიანის სულსაც ისევე უნდა მკურნალობა, როგორც სხეულს. მარტო ფიზიკუ-

რი ჯანმრთელობა რაღას უშველის. თუ სულით დაავადდა ადამიანი. სულის მკურნალობა კი სხეულის მკურნალობაზე უფრო ძნელია. თუ ბავშვი მექრთამეობისა და ქონების იოლი გზით მომხვეჭელთა ოჯახში იზრდება, ის უთუოდ ავადმყოფდება ამ სენით. ასეთი ბავშვების მკურნალობა უფრო ძნელია, ვიდრე ჩვეულებრივად ავადმყოფი ბავშვისა.

მამაჩემო! დღეს მივიღე შენი წერილი. მწერ, მე შენი იმედით ვცოცხლობ, შენ კი ისე ბერდები, ცოლს არ თხოულობო. დედაშენი შენს დარდს გადაჰყვა, როცა კვდებოდა, მარტო ის დაიბარა — იმ ბიჭს ცოლი შერთე, ოჯახი უშვილოდ არ გადაეგოსო.

დედის აჩრდილი თვალთაგან აღარ მცილდება და ისიც კარგად მახსოვს, ომიდან დაბრუნებულს რომ მითხრა: — რაკი შენი თავი უზენაესმა მაჩუქა, ისე ნუ მომკლავ, შენს შვილს არ ვეღირსოო. პირობა მივეცი, მაგრამ ვაი, რომ სიცოცხლეში ვერ შევუსრულე ეს ნატვრა. ახლა? ახლაც არ არის ეგებ გვიან...

მიყვარს ჩემი ქალაქი და ამიტომაც ვალდებული ვარ მემკვიდრე დავუტოვო მას. მინდა რომ ის, რაც მე ვერ გავაკეთე, მისთვის ჩემმა შვილებმა ზღონ. მიყვარს ჩემი ქალაქი, ჩემი პაციენტები! იმ კვირას, ჩვენს ქალაქში გამოჩენილი მუშა რომ არის, ჩვენებური ჯავახია, იმის ცოლი მოვარჩინე, ბიჭი ეყოლა. ჰო, რა ზეიმი იყო! მარტო მის სახლში კი არა, მის მარტენის საამქროშიც. რკინის ძმებმა ბრიგადირს თვით საამქროში გადაუხადეს ძეობა. მეც მიმიწვიეს.

ამ ოფლიან ხალხს რომ ვუყურებ, შენ მაგონდები, მამაჩემო. სიცხეპაპანაქებაში მზეს შეფიცხებული თოხს რომ ურტყამდი მიწას და სახეზე ხვითქი რომ ჩამოგდიოდა. ის მომაგონდა.

ჰე, მართლაც რა გემო აქვს მათ შრომასაც და მათ პურობასაც! ჩემი მეგობარი ექიმიც თან მახლდა და იცით, რა მითხრა: „ამათ მეგობრობაც ნაღდი იციან და სიყვარულიც გულწრფელი“.

ეს კუნთმაგარი და მკლავმოუღალავი ხალხი, რომელთაც ქვეყნის მძიმე შრომა ზურგზე წამოუკიდებიათ, უდგას საქართველოს დედაბოძად!

„სულ სხვაა უნივერსიტეტი... აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობათა შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული“.

ივანე ჯავახიშვილი

იყო ერთი პოეტი

იმ დღეს ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში პროფესორი შალვა ნუცუბიძე გვიკითხავდა ლექციას. ფილოსოფიის შესავალი — ასე ერქვა საგანს, რომელსაც იგი ჩვენთან კითხულობდა იმ წელს (მეორე წელს კი ევროპის ლიტერატურის ისტორია წაგვიკითხა). ბატონი შალვას ლექციები ყოველთვის საინტერესო იყო და აუდიტორიაც მუდამ გაჭედილი. იმ დღესაც ასე იყო. ჩვენი კურსის სტუდენტებისა და ასპირანტების გარდა გარედან მოსული მსმენელებიც ბლომად ესწრებოდნენ. შალვა ნუცუბიძე არა მარტო დიდი ორატორი — დიდად განსწავლული და ერუდირებული მეცნიერ-პედაგოგიც გახლდათ. ლექციაში ყოველთვის ჩაურთავდა სრულიად ახალს, მოულოდნელს. იმ დღეს სპინოზაზე რომ ლაპარაკობდა, უცებ ტერენტი გრანელზე ჩამოაგდო საუბარი. და იცით რა თქვა? ქართულ პოეზიაში არ მეგულება მეორე უფრო დიდი მისტიკოსი პოეტი, ვიდრე ტერენტი გრანელიაო და ზეპირად წარმოსთქვა გრანელის სიტყვები: „მე ისევ ვსდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი, და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან. მე მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე. მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით: მე მინდა გაფრენა. მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი. ჩარჩენილი ვარ ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა. არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“. არც ერთ მისტიკოსს ამაზე თამამი სიტყვა არ უთქვამს: დაუმატა თავის მხრით პროფესორმა... რასაკვირველია, ბატონმა შალვამ გადაჭარბება იცოდა, გადაჭარბებით შეგაქებდათ, ასევე გადაჭარბებით გაიმეტებდა და ხელის ერთის მოსმით მოსპობდა მოწინააღმდეგეს. ამ შემთხვევაშიც აჭარბებდა გრანელის მიმართ და მაინც ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს შეფასება. მოულოდნელი იმიტომ, რომ ჩვენ

ყველანი, ვინც იმ დღეს ბატონ შალვას ლექციას ვისმენდით, ვიცნობდით ტერენტი გრანელს, მაგრამ ასეთი აზრისა არ ვიყავით მასზე. ბატონი შალვას სიტყვებმა საოცარი გავლენა იქონია ჩვენზე — და აი, ამ დღიდან დაიწყო ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება ამ პოეტით... მე, მე კი ტერენტი გრანელს ბავშვობიდან ვიცნობდი...

ერთმანეთი სოფელში გავიცანით, უფრო სწორად, ჩვენი დაბის სკოლაში, იმ წელს ჩვენს სასწავლებელში პირველი მაისის აღსანიშნავი დილა გაიმართა. სკოლის დირექტორმა მოხსენება წაიკითხა, უფროსკლასელებმა — რევოლუციური ლექსები. მერე სტუმრად მოწვეული ტერენტი გამოვიდა. ტერენტიმ რაღაც სევდიანი ლექსი წაიკითხა, სრულიად რომ არ შეეფერებოდა საპირველმაისო საზეიმო განწყობილებას. ისეთი სევდიანი კილოთი წაიკითხა ლექსი, რომ კრებაზე აქა-იქ ქვითინიც გაისმა.

მე, ცრემლი და ტერენტი იქ შევხვდით პირველად ერთმანეთს. სულ მალე დავძმობილდით პოეტი და მოწაფე. მერე, ასევე სულ მალე ბედისწერამ ერთმანეთს დაგვაშორა. ათი წლის შემდეგ თბილისში შევხვდი, ტერენტი უკვე ცნობილი პოეტი იყო. მეც, უნივერსიტეტის სტუდენტი ლექსებს ვწერდი, პროლეტარულ მწერლებთან ვთანამშრომლობდი, ტერენტი გრანელთან კი ვმეგობრობდი. სტუდენტობა ისე გავატარე, რომ ტერენტისთან შეხვედრები არ შემიწყვეტია, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში დამტოვეს... ხელი ავიღე ლექსების წერაზე და ლექციების კითხვას შევუდექი. სალექციო მუშაობით ისე დავიტვირთე, რომ ერთხანს ტერენტი გრანელს ჩამოვცილდი.

უნივერსიტეტში დავით კობიძე შემხვდა და მითხრა: იცი, ტერენტი გრანელი წუხელ უპატრონოდ გარდაცვლილა საავადმყოფოში. ეს იყო 1934 წლის 11 ოქტომბერს.

— როგორ? ვინ გითხრა? — შევიცხადე მე.

— დილით შემატყობინა გენო ქელბაქიანმა, — მითხრა დაღონებულმა დავით კობიძემ.

გენო და დავითი ბოლომდე უცვლელი მეგობრები იყვნენ ტერენტი გრანელისა. საავადმყოფოს პროზექტურაში გენო, დავითი და მე მთელი ღამე ტერენტის ცხედარს ვადექით თავზე. მეორე დღეს ადრიან დილით, სოფლიდან ტერენტის დებიც ჩამოვიდნენ და უბედური ძმის ცხედარს ვერაფრით მოვაცილეთ. მესამე დღეს დავასაფლავეთ ტერენტი გრანელი.

დილიდანვე ჟინჟღლავდა. დებს ეზრუნათ და მღვდელი მოეყვანათ. ათიოდე მეგობარი, დები და მღვდელი მივაცილებდით მიცვალებულის ცხედარს. გასაოცარი წინათგრძნობა ჰქონია გრანელს: წორედ რომ ყველაფერი ასე იყო, როგორც ეს აღწერილი აქვს პოეტს, ოღონდ

ზამთრის ნაცვლად, შემოდგომა იყო და შემოდგომის ეს წვიმიანი დღე უფრო გულის დამაღონებლად გვაგონებდა გრანელის წინასწარმეტყველურ სიტყვებს „სიკვდილის შემდეგ“:

დადგება ზამთარი...

მოვკვდები ღამით გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის.

ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონების წამები.

გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს.

ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს.

და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას.

ჩემი კუბო იქნება სადა

და პროცესია უცრემლო

მე დამასაფლავებენ შუადღის ორ საათზე თბილისის ახლო.

ჩემი დაკრძალვის დღეს აიშლებიან ფერადი ღრუბლები და ამოვარდება შორეული გრიგალი.

ბალდახინი, რომელიც წაიღებს ჩემს ცხედარს, იქნება თეთრი და მოძველებული. პანაშვიდს გადამიხდის ვინმე უბრალო მღვდელი, რომელსაც არ ექნება წაკითხული ჩემი სისხლიანი წიგნი „Memento mori“. არ შევეცოდები მღვდელს, რომელსაც არ ეცოდინება ჩემი დაფერფლილი სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემს დანისლულ ლექსებიდან სტრიქონები:

მოვა უიმედობა.

პანაშვიდი გათავდება ქარში.

ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში.

და პირველ მიწას სახეზე მომაყრის ვინმე უხეში მესაფლავე.

კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების.

პროცესია დაიშლება

მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო.

გზაში ისაუბრებენ ჩემზე.

დაღამდება...

მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე ღამით.

დავტოვებ კუბოს, და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან; და გიჟივით ვიკივლებ, რომ მომეშველონ, რომ დამიფარონ.

არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი, — თავს ვიგრძნობ სამარეში, და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს.

ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და — სიჩუმე.

დასაფლავებიდან სამი დღის შემდეგ თოვლით დაიფარება ჩემი სამარე.

თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა.
ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაემსგავსება უდაბნოს.
გაივლის ზამთარი წვიმით და ქარებით
დადგებიან გაზაფხულის დღეები
შეიფოთლება სასაფლაო

კვირე დილით, როდესაც ყველა მლოცველისთვის გაიღება ეკლესიის კარები, ჩემ საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შეეცოდები.

ასე გაივლიან საუკუნეები.

ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის.

ჩემ მიერ უხილავს საღამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით.

წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე. ზედ წამოიზრდება ბალახი.

ზაფხულში საღამო დროს ჩემ საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამოწყობილი ქალები, შორს სარკესთან უცნობი თითები დაუკრავენ როიალს.

დილაადრიან უიმედოდ იკივლებენ ორთქლმავლები. მოვა კვირადღე და ჩემს ახლოს დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს.

დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები.

წირვა გათავდება.

საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეულ ტუსაღებივით დარჩებიან შიგ და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი.

გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით.

და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და — სიჩუმე“.

უფრო იმან დაგვაღონა, რომ სიცოცხლეში მზრუნველობა ვერ გამოვიჩინეთ და ვერ მოვუარეთ ქართულ პოეზიაში ამ მეტეორივით გაელვებულ ნიჭს.

შინ რომ დავბრუნდი, გადავწყვიტე შემეგროვებინა ყველა მისი ლექსი, მომემზადებინა დასაბეჭდად, წინასიტყვაობა დამერთო და მასში მომეთხრო, რაც კი გამეგონა და ვიცოდი გრანელის შესახებ. შევუდექი ამ საქმეს. ჯერ მასალების შეგროვება დავიწყე. თავად რაც ვიცოდი და რაც მომაგონდა, ქაღალდზე გადავიტანე; უცებ დავღონდი, თურმე, ძალზე ცოტა რამ მცოდნია ტერენტი გრანელზე. გულნაკლულმა მისი ახლობლები და მეგობრები მოვიძიე, გამოვიკითხე, შევხვდი თითოეულს, ჩავიწერე, ჩავინიშნე, რაც კი მათგან მოვისმინე. სწორედ ამ დროს ჯარში გამიწვიეს, დაგროვილი მასალა საგულდაგულოდ შე-

ვინახე. მერე დიდი სამამულო ომი დაიწყო, ომიც დამთავრდა და შინ მშვიდობით დავბრუნდი, დავცოლშვილდი, ათასი რამ საწვალებელი და ყოველდღიური საფიქრალი გამიჩნდა სამსახურში თუ შინ, და ტერენტი გრანელის გამოცემის საქმე მიმრჩა. ამასობაში აღმოჩნდნენ ჩემზე უფრო გულშემატკივარი ადამიანები და ტერენტი გრანელის რჩეული გამოსცეს.

ეს წიგნი რომ ვნახე, სადღაც ჩემი სინდისის წინაშე დამნაშავედ ვიგრძენი თავი. წიგნი სულმოუთქმელად გადავიკითხე და აღდგა ჩემს წინაშე დიდებული აჩრდილი ბედდამწვარი პოეტისა. წიგნი დავხურე და რაღაცნაირმა სევდამ შემიპყრო. მომაგონდა პოეტის დაკრძალვის დღე, შემოდგომის დღე, ნაღვლიანი, წვიმიანი, გაძარცული ბუნება... უცბად გონებას ბინდი გადაეცალა და გადავწყვიტე ისევ გამეგრძელებინა ტერენტი გრანელის დაკრძალვის მეორე დღესვე დაწყებული საქმე. დიდხანს ვფიქრობდი, რა ფორმით შემესრულებინა ეს სამუშაო. გამოვჩხრიკე ახალი მასალები და ეს ყველაფერი ძველი და ახალი, ერთად შევკონე, მოგონებათა ერთ წიგნად ავკინძე და რომ მასალა მიკერძოებითი არ ყოფილიყო, შიგ მისი მეგობრების, მისი ეპოქის კვალიც აღვნუსხე. ეს გარდასახული წიგნი უფრო შეეფერება მის პოეტურ ბედსაც და მის ეულ სულს, რადგან იგი ავსებს იმას, რაც მას დაწერილი დღიურებისა თუ ბარათების სახით არ დაუტოვებია ან რასაც იგი შეგნებულად თუ ავადმყოფურად განერიდა. და რამე კიდევ თუ დააკლდა მის სახელს და მის თანამედროვეთა რთულ ეპოქას, ამის შევსება მომდევნო თაობებისათვის მიმინდვია.

* * *

— „ტერენტი რომ დაიბადა, იმის წინა დღეს მზე ჩაქრა თურმე, დიახ, მზის დაბნელება იყო. ჩვენი სოფლის მკითხავს ასე აუხსნია ეს მოვლენა: შავი ზღვის ვეშაპი, მდინარე ხობი ზღვას რომ შეერთვის, იქ გაჩხირულა. გაბრაზებულმა დაიღრიალა, ზეახტა, ზედ შავ ზღვაზე დაკიდებულ მზეს წვდა და გადაყლაპა თურმე მზე. სიბნელეს მოუცავს ირგვლივ ყოველი, ასე ყოფილა მთელი ორი დღე, მერე დამშვიდებულა ის ქვეყნის მტერი ვეშაპი და ისევ გამოუშვია მზე. სწორედ იმ დღეს — მზე რომ კვლავ გაჩახჩახდა ზეცაზე, სწორედ იმ დღეს დაბადებულა ტერენტი. ხალხში რწმენაა, მზის დაბნელების ჟამს უთუოდ ვინმე დიდი კაცი დაიბადებაო. ჩვენს სოფელში იმ დღეს მხოლოდ ტერენტი დაიბადა. ბავშვს ოქროსფერი, მზისფერი თმა ჰქონია და ზღვისფერი, ცისფერი თვალები. მამამისი, ჩვენში ცნობილი ხარაზი, ორმაგად გახარებული, იმავე დღეს მღვდელთან გაიქცა, დიდი მოზვერი დაკლა, შინაურები და მეზობლები მიიპატიჟა, დიდი ნადიმი გადაიხა-

და შვილისა და მზის სამადლობელი. იმ დღეს ტერენტი და მზე ერთად აღეგრძელა ჩვენმა სოფელმა. უცნაური იყო სწორედ, მზის მეორედ დაბადების დღეს დაიბადა ის ბავშვი და რაც მახსოვს სულ მოღუშული, პირქუში და სევდამორეული იყო.

მამაჩემს საუცხოო ბიბლიოთეკა ჰქონდა. ტერენტი აქ მუდამ წიგნებს ჩაკირკიტებდა, წიგნებსა და ლექსებს, ერთი დიდი შავყდიანი რვეული ჰქონდა და შიგ ჩაწერილ ლექსებს ჩვენ გვიმალავდა, — ეს ამბავი ისე დაჯერებით მოგვითხრო ტერენტის წალენჯიხელმა თანატოლმა, ამ სოფლის სკოლის დირექტორის შვილმა, რომ დაჯერებით ბევრი რამე არ დავიჯერე, მაგრამ სიტყვასიტყვით კი ჩავიწერე. — მერე, როგორც მახსოვს, — გააგრძელა დირექტორის შვილმა, — სოფლის სკოლა რომ დაამთავრა, სწავლა წყუროდა, მაგრამ მამამისმა, ზუგდიდში მეუნაგირედ გადასულმა, ხარაზობა დააწყებინა, ამას ვერ შეეგუა. გაიქცა, თბილისს მიაშურა. მას შემდეგ, მართალი გითხრათ, არ შევხვედრივარ, ისე მისმა სახელმა ჩვენს სოფლამდე დიდი ხმაურით მოაღწია, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, იმასაც ამბობდნენ, რომ ლექსებში ეჯიბრებაო ყველას, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი — ვერც ლექსებში იპოვნა შვება სულისა“.

აქ კი სიტყვას ჩვენ ჩამოვართმევთ დირექტორის შვილს, რადგან თბილისური ამბების მოწმენი ჩვენ უფრო ვართ, ვიდრე ის.

თბილისში იმ დროს ცხარე ბრძოლები იყო. ახალი თბილისი და მთლად ახალი საქართველო ძველს სასიკვდილოდ შეუიდებოდა. ამ ცხარე ბრძოლის დღეებმა ერთგვარად გაახალისა სოფლელი ბიჭი და ჩაება კიდეც ტერენტი პოეტების ორომტრიალში, სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი და ჟურნალიც კი გამოსცა. თეორიული წერილებიც გამოაქვეყნა ვ. გაფრინდაშვილზე, ქართულ სიმბოლიზმზე... ეს იყო ოციანი წლები. პოეზიის ცენტრში გალაკტიონი იდგა. იყო გაუთავებელი დავა და კამათი. აქეთ ყანწელები, იქით ფუტურისტები, უფრო დიდი პრეტენზიით — რევოლუციის პოეტები — პროლეტარული მწერლები, რომელთაც თავი მოჰქონდათ, როგორც რევოლუციური საქართველოს პირმშო შვილებს. და კიდევ იყო ცალკე ტერენტი გრანელი. რევოლუციური საქართველოს მიერ მის სულში გამოღვიძებული ცეცხლის ალი სულ მალე ჩაქრა და ახლა მისთვის არც ახალი იყო და არც ძველი. გრანელმა ახალს, რევოლუციურ საქართველოს ხმა ვერ აუწყო, წარსულის პოეტურ ისტორიასაც ვერ ეზიარა მისი სული. და ასე, არც აწმყო იყო მისთვის და არც წარსული. მომავალი? მომავალი კი მტკიცედ სწამდა. ამ რწმენას პოეზია უმტკიცებდა, დიახ, მან ძველისა და ახლის ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მესამე გზა აირჩია, მესამე გზა, რომელსაც შემდეგ პოეტმა თავისი სახელიც დაარქვა — „მესამე გზა, როგორც იდუმალება“ — და თავის იდეალადაც დასახა. არა სიცოცხლე,

არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა — ეს ლოზუნგი რევოლუციური საქართველოს რომანტიკული წლებისათვის უცნაურიც იყო და მოულოდნელიც. ტერენტის ეს მკვეთრი პოზიცია ვიღაცეებს იტაცებდა კიდეც, მაგრამ პოეტი დიდი ყურადღებით მაინც არ სარგებლობდა.

იმ წელს უნივერსიტეტში ანტიკური ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ლექციების კურსს ისმენდა და აქტიურად მონაწილეობდა პროფესორების გრიგოლ წერეთლისა და სერგი დანელიას სემინარებში. ტერენტი გრანელს ყველაზე მეტად ბერძნული მითოლოგია იტაცებდა და ანტიკური ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ლექციებს დიდი ყურადღებით ისმენდა. მაგრამ ვერც აქ იპოვა ის, რასაც ასე თავდავიწყებით ეძებდა. დაღვრემილმა და სევდიანმა ლექციებს თავი მიანება და ისევ თავის საყვარელ ლექსებს, ბოჰემას, სასაფლაოებს და ბაღებს დაუბრუნდა:

ფარულ თვალებით გაგაოცებს შავი დარდები
და თვით ეროსი აგამღერებს ფერად ჰანგებით.

იმჟამად მწერალთა სასახლე ქუხდა და ბორგავდა, დარბაზი ორად იყო გაყოფილი, ერთ მხარეზე იყვნენ რევოლუციის პოეტები, პროლეტარული მწერლები, და ყველა ის მწერალიც, ვინც რევოლუციას ემხრობოდა და იღებდა, მეორე მხარეს ისინი, ვინც იჭვის თვალით უყურებდა მთელს ამ მოძრაობას და დუმილს ხშირად მტრობაში რომ უთვლიდნენ, და ისინიც, ვინც საჯაროდ გამოდიოდა რევოლუციური საქართველოს კრიტიკითა თუ უარყოფით. კამათი და დავა იყო არა მარტო მწერალთა სასახლეში, არამედ უნივერსიტეტის აუდიტორიებშიც სტუდენტები იმდენივე ჯგუფად იყვნენ დაყოფილი, რამდენი ჯგუფიც მწერლობაში იყო. ხშირად ჩვენი ლექციები სწორედ ამ პოეტებზე კამათად იქცეოდა.

ასე იყო იმ დღესაც. ლექციას ლიტერატურის თეორიაში კონსტანტინე კაპანელი გვიკითხავდა. ლექტორი რომანტიკოსებზე საუბრობდა, ფერების საკითხს შეეხო და ნოვალისი ახსენა, მერე ანალოგია ბარათაშვილის — „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ დაუძებნა და უცბად ტერენტი გრანელი ახსენა. ტერენტი გრანელისათვისაც ცისფერი იდეალური სამყაროს სიმბოლო იყოო. ნოვალისის მიერ მინიშნებულმა ცისფერმა ყვავილმა მრავალი ვარიაცია განიცადა. მეტერლინკის ლურჯი ფრინველი და ბლოკისა და გალაკტიონის ცისფერი მერი ამის ვარიაციებიაო. ახლა ტერენტის სტრიქონები მოვიგონოთო:

ეს წამება გაივლის
თუ აისმა ინათა
და ცისფერი ყვავილი
დაეცემა მინასთან.

...არის ცისფერი თოლი.
ან — მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე.
ან — და მოვა მწუხარება — ჩემი.

ლურჯი ფრინველი.

მსოფლიოს ყველა პოეტთან ცისფერი დაკავშირებულია ამაღლებულ იდეალთან. ცისფერი — სულის სიმბოლოცაა, ესთეტიკურ სახეებში თუ გადავიტანთ მსჯელობას — ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, — ხაზი გაუსვა კონსტანტინე კაპანელმა ამ სიტყვებს — (ეს ის დრო იყო, როცა დაიბეჭდა კონსტანტინე კაპანელის ამავე სახელწოდების წიგნი) — მაშინ კი სული იმქვეყნიური ბედნიერების სიმბოლოცაა. მეშინია, თქვენ, კომკავშირელებმა, იდეალიზმში ბრალი არ დამდოთ, თუმცა გულწრფელად გეტყვით, კაპანელი იდეალისტი არასოდეს ყოფილა, — ამ სიტყვებსაც ხაზი გაუსვა პროფესორმა და თამამად განაგრძო, — ცისფერიცა და მასთან დაკავშირებული საიქიოც პოეტების გამოგონილია და ამდენად აქ ესთეტიკურ კატეგორიებთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე თეოლოგიასთან. თუ ამ განმარტებას მიიღებთ, მაშინ ცისფერი დაკავშირებულია ბედნიერებასთან, მშვენიერებასთან. პოეზია ყველაზე მაღალი სუბსტანციაა, სადაც სულის გამოღვიძება ხდება. პოეზია სულის ესთეტიკურ სახეებში გამოვლინების ფორმაა. ტერენტი გრანელის პოეტურ პალიტრაში ჭარბობს ცისფერი, ლურჯი ფერი, თუმცა აქ თეთრი ფერიც ირაციონალურის სიმბოლოა. აქაც არ არის ნოვატორი გრანელი, მაგრამ მე მაოცებს მისი მიგნებები და პოეტური ხილვანი. თეთრი ფერი — ქრისტიანულმა სარწმუნოებამ გამოაცხადა საიქიოს სიმბოლოდ, სიწმინდის, უმანკოების, უბიწოების, სიმშვიდის, სიკეთის სიმბოლოდ. მერე ყველა ჯურის მოდერნისტებმა თავისებურად გამოიყენეს თეთრი ფერი.

თეთრი და ლურჯი, თეთრი და ცისფერი გახდნენ სინონიმები მარადისობისა, იმქვეყნიური უკვდავებისა. — ეს თქვა პროფესორმა და ისევ ტერენტი გრანელის ლექსის სტრიქონები მოიგონა:

— სტეფან მალარმეს მაგონებდა თეთრი წიგნები...
ღამეა შავი და ჩნდება დარდი,
გულიდან ისევ ამოდის კვნესა.
ოთახში თეთრი სიჩუმე დადის,
სიჩუმე დადის, როგორც პრინცესა...

ან:

ჩემი თეთრი იმედი, დაიკარგა ოდესღაც...
სივრცე თეთრია და მდუმარეა.

„ცაზე ანთებული ვარსკვლავები — სიმბოლო თეთრი მარადისობის“ არა, მე მგონია, ტერენტი გრანელთან მაინც თეთრი ფერის ასოციაცია ჭარბობს ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით — თეთრი და

ცისფერი — ტოლფასოვანი სიმბოლოებია მისთვის. თეთრი და ცისფერი მუდმივი სიცოცხლის სიმბოლოა. ეს სიცოცხლე რელიგიური საიქიო სიცოცხლეა. აქ აბსტრაგირებულია თეთრი, ლურჯი და ყვითელი, და ხშირად ყვითელიც — როგორც სიკვდილის ესთეტიკური ფენომენი ან უკვდავებაში გადასვლა, ამიტომ სიკვდილსაც და სიცოცხლესაც რეალობის საფუძველი გამოცლილი აქვს ტერენტი გრანელთან. ცხოვრება, სინამდვილე, სულისა და ფიზიკური სხეულის ერთად არსებობა დროებითი მოვლენაა. ფიზიკურ სხეულთან სულის გაცილება ბედნიერების დასაწყისია. ლოთობა, ბოჰემა, ყოველგვარი ორგია, სიზმარი, ზმანება, დროებითი დათრგუნვაა სხეულის.

— ეს თეორია, — თქვა პროფესორმა, — ყველაზე ჩინებულად ბოდლერმა იქადაგა და მერე ყველა ჯურის დეკადენტებმა გაიზიარეს. ჩვენში ყველაზე ერთგული ამ აზრისა იყო და არის ტერენტი გრანელი. ტერენტი ბოჰემა იყო. ცხოვრებითა და პოეზიითაც ბოჰემას ქადაგებდა, თუმცა აქაც მოკრძალებული და ჩრდილში დამდგარი იყო. რამდენადაც მე ვიცი, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის გამართულ ბრძოლაში ის აქტიურად არ მონაწილეობდა. მისთვის ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებული ბრძოლა გაუგებარი იყო. ის რაღაც მესამე გზას ეძებდა, როგორც თვითონ ამტკიცებდა, „არც სიცოცხლე და არც სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა". მაგრამ ეს რაღაცა სხვა, ეს მესამე გზა არავის აღმოუჩენია და, რასაკვირველია, ვერც ტერენტი გრანელმა შესძლო ეს, მისი სულიერი დეპრესია უფრო დააჩქარა და გაამწვავა ამ მესამე გზის ძიებამ. ბუნებაში ორი ძალაა, ძალა კეთილისა და ძალა ბოროტისა, გრძნობა სიყვარულისა, გრძნობა სიძულვილისა, მესამე გზა ზღაპარია და ტერენტიც ამ ზღაპრით ცხოვრობდა, ოცნებით შექმნილი ზღაპრით. ამ ოცნებას შეალია მან ნიჭი და გონება. რას იზამ, ხშირად ეს გამოუცნობი შორეული და საოცნებო იზიდავს ჩვენს გონებას. დაინახო და ეზიარო იმას, რაც სხვას არ დაუნახავს — პოეტურია უთუოდ, მაგრამ, როცა მოჭარბებულია ოცნებაზე აგებული პოეზია, შეცდომების ბედისწერაც იქ იწყება. და აი, ბოლოს და ბოლოს ისიც არჩევანის წინაშე დადგა — მიწა თუ ზეცა, სიცოცხლე თუ სიკვდილი. თუმც სიკვდილამდე ებღაუჭებოდა მესამე გზას, მაგრამ სინამდვილემ თავისი გაიტანა და მან ბოლოს და ბოლოს მესამე გზა, სიკვდილის გზა, დეკადენტობის გზა აირჩია. თუმცა ეგეც მისი სიტყვებია: „სიცოცხლე არ ღირს, მაგრამ არც სიკვდილშია შველა". და ბოლოს პროფესორმა ერთბაშად მოჭრა: სიკვდილის მაღმერთებელი პოეზია კი არა, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ჰიმნი ჭირდება კაცობრიობას. სიკვდილის ღმერთმა რომ გაიმარჯვოს, მაშინ ხომ სიცოცხლეც შეწყდებოდა და პოეზიაც სადღა იქნებოდა. მაშ ვისღა ეთქვა იმავე ტერენტი გრანელის ქება, თუ კაცის სიცოცხლე დარაჯად არ დაუდგებოდა ნამ-

დვილ პოეზიას. არა, სიცოცხლე და მხოლოდ სიცოცხლე — აი, რა არის აზრი არსებობისა, აი რა არის დამთრგუნველი სიკვდილისა. რა ვუყოთ, რომ ადამიანი კვდება, სიცოცხლის აზრი ხომ ამ სიკვდილთან ბრძოლაა. თვით პოეზია, ჭეშმარიტი პოეზია, ის, რაც თვით ტერენტი გრანელმა შექმნა, არის თვით სიკვდილის პოეზიაზე გამარჯვება. მისი ლექსები სიკვდილის დამარცხებაა, ეს სურდა თუ არ სურდა პოეტს, ასეთია ობიექტური კანონი ცხოვრებისა და მაშასადამე, თვით პოეზიისა. — რიხიანად დაასრულა ლექცია პროფესორმა. მაგრამ რამდენადაც იგი აღტაცებით ლაპარაკობდა სიცოცხლეზე და ეკამათებოდა ტერენტი გრანელს, იმდენად უფრო გვაღიზიანებდა სტუდენტებს და აღგვიძრავდა გრანელის პოეზიისადმი ინტერესს. უფრო და უფრო გაფაციცებით ვეძებდით ტერენტის ლექსებს, წიგნებს. ვეძიებდით მის ნაკვალევს...

* * *

ჩემ კურსზე ყველა კომკავშირელი იყო. ჯგუფში სოფლელები ვჭარბობდით თბილისელებს და არა მარტო ვჭარბობდით, არამედ ვჯობნიდით კიდეც სწავლაში და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. რევოლუციისაგან გათამამებულ სოფლელებს უფრო ეტყობოდათ თავის გამოჩენის მიზანსწრაფვა. ორ რამეში მჟღავნდებოდა ეს მიდრეკილება: თანამდებობის დაკავებაში და სამეცნიერო კარიერაში. უნივერსიტეტში ყველა საზოგადოებრივი, პარტიული, კომკავშირული თუ პროფკავშირული თანამდებობა სოფლელ სტუდენტებს ეკავათ, ასპირანტურაში დატოვებულთა შემადგენლობაშიც სოფლელები ჭარბობდნენ. ასე იყო ეს ოციან წლებში, ასე გაგრძელდა ოცდაათიან წლებშიც. ამათში ყველაზე მებრძოლი კარიერისტი ტერენტი გრანელის თანასოფლელი ჯაბა აღმოჩნდა. იგი II კურსის სტუდენტი იყო, როცა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. კურსი დაამთავრა თუ არა, ისტორიის კათედრის ასპირანტად დატოვეს, ხოლო იმ დღეს, როცა ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, იგი პირველი გამოვიდა ბატონი ივანეს წინააღმდეგ. მან ივანე ჯავახიშვილი ქართველი ნაციონალისტების მედროშედ გამოაცხადა უნივერსიტეტის კონფერენციაზე. იმათ, ვინც მაშინ ივანე ჯავახიშვილს ებრძოდნენ, ეს დიდ დამსახურებად ჩაუთვალეს და იმავე თვეს ჯაბა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დანიშნეს... ხოლო აქვე ვთქვათ, რომ ჩვენს რთულ საზოგადოებრივ ვითარებაში, ახალი ცხოვრების დამკვიდრების ბრძოლის ისტორიაში რევოლუციისათვის ფანატიკურად თავდადებული გმირების გვერდით მკვეთრად გამოისახა ორი ტიპი. ერთი რევოლუციის რიტმს ჩამორჩენილი, რევოლუციის მიმართ შინაგანად პატიოსანი, მაგრამ ახალ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, რევოლუცია მისთვის გა-

უგებარია, რევოლუციასაც აღარ ჰირდება იგი, ხოლო მეორე — რევოლუციას მიტმასნებული, რევოლუციის სახელით პირადი განდიდების მაძიებელი და გამორჩენისათვის ცხოვრებას უზომოდ დახარბებული. ორივე მოდელს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა — თითქმის ყოველ დარგსა და სფეროში ჩვენი ცხოვრებისა. პირველი მოდელის წარმომადგენელი ტრიბუნაზე გამოსვლას იშვიათად თუ გაბედავდა, ოღონდ თუ გაბედავდა წუწუნით და გაუგებარი პრეტენზიებით აიკლებდა იქაურობას. თვითონაც არ ჰქონდა კარგად თავისთვის გამოძიებული და გამორკვეული, თუ რას მოითხოვდა იგი ახალი დროსაგან, რევოლუციისაგან... მეორეს კი ტრიბუნაზე ვერავინ ასწრებდა, რევოლუციის სახელით ქვას ქვაზე აღარ ტოვებდა, მაგრამ პირადი კარიერისა და კეთილდღეობის ამ მაძიებელს რევოლუცია ნიღბად ჰქონდა აფარებული, თორემ რევოლუციას მის სულში ერთი ღამეც არ გაუთენებია.

ჩვენს დროში გამოსახული ამ ორი მოდელის განსახიერებას წარმოადგენდა წალენჯიხელი ორი ბიჭი, რომელთაგან შემდეგ მწერლობის ისტორიაში ერთი ტერენტი გრანელის სახელით შევა, ხოლო მეორე ჯაბა ბერიშვილის სახელით, მომხვეჭელობის, გამოძალვის, საქმოსნის კლასიკური ტიპი გახდება.

ჯერ ტერენტი გრანელის შესახებ მოვითავოთ თხრობა და შემდეგ ჯაბას ამბავს უფრო დაწვრილებით გავეცნოთ.

* * *

1918 წელს, ტერენტი გრანელი თბილისში რომ პირველად ჩამოვიდა, ქალაქში ახლობელი და ნათესავი არავინ ეგულებოდა. იდგა დილით სადგურის წინ და დიდხანს ფიქრობდა, საით წასულიყო, ვის მისდგომოდა. ბოლოს მის ცხვირწინ გაჩერებულ № 2 ტრამვაიში ჩაჯდა, ფანჯარაში თავი გამოჰყო და ქალაქის ქუჩებს დააკვირდა, ტრამვაიმ ერთხანს ვაკე-ვაკე იარა, მერე აღმართს მიადგა და ზარები დააწკარუნა. აღმართი მოთავდა და ტრამვაიმ რომ გაივაკა — დიდი და ფართო ქუჩა გამოჩნდა. მოეწონა ეს ქუჩა ტერენტის და ტრამვაი ერთი დიდი შენობის წინ გაჩერდა თუ არა, ჩამოვიდა. ახლა ფეხით მიჰყვა ამ ქუჩას, დიდი შენობები დამთავრდა თუ არა, ბაღი შენიშნა. ამ ბაღში შევიდა, იქვე გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ცოტახნით შეისვენა, მერე ადგა, ბაღის რკინებიანი რიკულების წინ მდებარე პატარა წიგნის მაღაზიას გარედან თვალიერება დაუწყო, შიგ შესვლა ვერ გაბედა. ამ დროს ტანმორჩილი, შავგვრემანი მოხუცი კაცი, რომელსაც ხელში წიგნი ეკავა, გარეთ გამოვიდა და ეს ბლუზა-შარვალში გამოწყობილი ზღვისფერთვალება, გრძელი ოქროსფერთმიანი უწვერულ-

ვაშო ყმაწვილი შიგ შეიპატიჟა, გამოემცნაურა: მე ზაქარია ჭიჭინაძე ვარო, უთხრა. უცებ გონება გაუნათდა ტერენტის, ეს სახელი გაგონილი ჰქონდა, ვიცით, მისდაუნებურად წამოსცდა მერე, უხერხულობა რომ გამოესწორებინა, უცბად დაუმატა „მე ერთი წიგნი მაქვს, იმას აწერია „ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული“... მე ტერენტი ვარ, კვირკველია, სოფლიდან ჩამოველი და ბინა არსად მაქვს, — აღსარებასავით წარმოთქვა ეს სიტყვები. ზაქარია ჭიჭინაძეს მოეწონა ეს გულწრფელობა და ანუგეშა. თბილისში უბინაობა ძნელია, მაგრამ არა უშავს, რაიმეს გავახერხებთო. ეს ისე უთხრა ამ მოხუცებულმა კაცმა, თითქოს ძველის ძველ ნაცნობს თუ ნათესავს მიმართავსო.

— მაინც რას ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ თბილისში? — ჰკითხა მოხუცმა.

— მე, მე... — დაიბნა ტერენტი, მაგრამ ბოლოს სიტყვას სიტყვა წააბა, — მე ლექსებს ვწერ.

— ჰო, ეს კარგია, მაინც სად გაქვს ეს ლექსები ან თუ დაგიბეჭდავს რამე? — ისევ შინაურულად მიმართა ზაქარიამ ყმაწვილ კაცს.

— კი, დავბეჭდე.

ტერენტიმ ქუთაისის გაზეთში დაბეჭდილი ლექსი გადაშალა და მიაწოდა ზაქარიას, ზაქარიამ დახედა, ლექსი გადაიკითხა, ბოლოს ავტორის ვინაობაც ხმამაღლა წაიკითხა — ტერენტი წალენჯიხელი, ეს სახელი და გვარი ისეთი ტონით წარმოთქვა ზაქარიამ, თითქო გაეგონოს კიდეც ეს გვარი და სახელი.

იმ დღიდან ტერენტი გრანელი ამ ბაღს ამ წიგნის მაღაზიას და ზაქარია ჭიჭინაძის ბინას კუკიაზე არ მოსცილებია, ვიდრე ჭიჭინაძე არ გარდაიცვალა. 1922 წელს ზაქარია ჭიჭინაძის დახმარებით ტერენტი გრანელმა გამოსცა ლექსების კრებული „სულიდან საფლავები“. ლექსების პირველ გვერდზე სამგლოვიარო ჩუქურთმაში იყო ჩასმული შემდეგი სტრიქონები:

ტერენტი გრანელი მოდის
სისხლიანი სამარიდან
იქნებ ის იყო ქრისტე
მეორედ მოსული.

ამ წიგნს პირველი გამოეხმაურა ჟურნალი „უქიმერიონი“ (№ 1). რეცენზიაში ვკითხულობთ: „თანამედროვე პოეზია იხრჩობა ლირიზმის ქვაბში და ეს ლირიზმი შეიქმნა უკიდურესი ინდივიდუალიზმის საქანელა, რომელზედაც ყველა ქანაობს, თავისი პიროვნების ცრუ ნირვანისთვის თანამედროვე პოეზია უეჭველად უნდა გადაიხარშოს განცდათა ვულკანში და პოეტი შემოქმედი უნდა გასცდეს ჩვეულებრივ საზ-

ღვრებს, მაგრამ მან ამისთვის უნდა მხრებზე გაიდოს ნევრასტენია, სიგიჟე, ტუბერკულოზი, ღვინო და ბოჰემის ყველა სამკაული... და ეს მოხდება... მაგრამ ყველა ახალგაზრდას, რომელსაც კი ათიოდე ლექსი დაუწერია, თუ გინდ ნიჭიერი, არ შეფერის დაიტვირთოს საუკუნეთა ტირილით, კვნესით, თავი ქრისტედ გამოაცხადოს, ხელები დაილურსმოს და სთქვას:

იქნებ მე ვიყო ქრისტე მეორედ
მოსული-ო!

ჩვენ ვიცით, რომ ტერენტი გრანელი არ არის არც ქრისტე მეორედ მოსული და არც პეტრე მოციქული...

მისი წიგნი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამაზე ფიქრის ნებასაც არ გვაძლევს.

რას წარმოადგენს მისი წიგნი „სული და საფლავები“? მისი მოტივები ახალი არ არის ახალ ქართულ პოეზიაში, იგი გ. ტაბიძის მოწაფეა, მაგრამ უნდა ითქვას, ნიჭიერი...

იქ, სადაც გრანელი ძალდაუტანებელი, სადა და უბრალოა, იგი გამარჯვებულია და მისი ლექსიც თავისუფლად მღერის, გრძნობას ატკბობს:

მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგეძებს,
შენს უმანკო ბაგეზე დაბინავდნენ ლოცვები.
საოცრების ლანდები შენ წინ გლოვას ანთებენ,
როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით.

(„ტირილი სინანულის ხაზებთან“, გვ. 2).

გრანელის ლექსი იქ, სადაც ძალდაუტანებლად სჭედს, ნაზია და მგლოვიარე, რადგან მისი სული საფლავებია სევდის... პოეტი ამ კრებულში არ არის სრული გამარჯვებული, ბევრი სუსტი ლექსია შიგ მოთავსებული... პოეტი მხოლოდ რამდენიმე ლექსშია ფრთებგაშლილი და ამღერებული („ტირილი სინანულის ხაზებთან“. „ცისფერი სიშორე“, „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“, „სოფლის სიჩუმე“, „მისალმება ზამთრისადმი“, „სიშორე და სხვ.). მისი თავისუფალი ლექსი სუსტია და მჭლე...

უნდა ითქვას, რომ ტ. გრანელი შემდეგში გასცილდება გ. ტაბიძის გავლენას, დაიწმინდება, თავს დაანებებს ქრისტეზე ოცნებობას და საკუთარი გზით ერთს საუკეთესო ადგილს დაიჭერს ჩვენს უახლეს პოეზიაში“. (ჟურნალი „უქიმერიონი“, 1922 წ. № 7, ქუთაისი, მხატვრული მწერლობის კავშირი, გვ. 38).

ტერენტი გრანელის წიგნს — „სულიდან საფლავები“ — მიესალმა და „ყანწელების“ კორპორაციის წევრების გვერდით დიდის ქებით მოიხსენია ტიციან ტაბიძემ. „ტერენტი გრანელის წიგნი „სული და საფლავები“ დაწერილია ცრემლებით და ნერვებით. არის ადგილები,

რომლებიც სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ უბრალო თქმითა და გულწრფელობით. ტერენტი გრანელი სანთელივით იწვის პოეზიისათვის, არ შეიძლება ამ ალმა ცეცხლი არ გააჩინოს. მალე ის გაიმაგრებს ხმას, ასცილდება გაელენას, რომელიც მას მხოლოდ აფერხებს და მონახავს თავის თავს. ამ წიგნზეც შეიძლებოდა მეტის თქმა, რომ შეიძლებოდეს ამ წერილში" (ტ. ტაბიძე, „პოეზიის დღე", 1922 წ., 6 მაისი).

იგივე წიგნი ასეთი ეპითეტებით შეამკო კონსტანტინე გამსახურდიამ: „ტერენტი გრანელის „სული და საფლავები". „ჩვენი თანამედროვეობა მისტიკის სანიშნოს უყურებს. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პოეტის საოცარი გამბედაობით გამოცემულმა წიგნმა, რომელიც უფრო საოცარ წარწერას ატარებს: „ტ. გრანელი მოდის სისხლიანი საფლავიდან". ჩვენ დროს ესაჭიროება ქრისტეს სისხლიანი სახის დემონური შემოხედვა. ევროპულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდატეხა, რადიკალიზმიდან მარჯვნივ. ფილოსოფიაში მისტიკა იმარჯვებს. პოეზიასაც მისტიკური ქროლვა ეუფლება. ახალგაზრდა ტ. გრანელი სიმპატიურია ამ მხრივ. წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლია, დიდი მჭმუნვარება, დიდი სევდა, გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილ თაობისა... ეს წიგნი უახლეს პოეზიაში ძლიერ თამამი სიტყვაა". (ჟ. „ილიონი", 1922 წ.). მისტიციზმით ყელამდე სავსე პოეტს, მოდერნისტების ბანაკიდან ასე აქებდნენ. მეორე მხრივ, რაპელები და ფუტურისტები ტერენტი გრანელს ჯოხით ერეკებოდნენ პოეზიის სალოცავი ტაძრიდან. ასეთ დიდ წინააღმდეგობრივ ეპოქაში მოხვდა ისედაც ავადმყოფი პოეტის სული. ამ გარემოებამ ერთგვარად განსაზღვრა ტერენტი გრანელის გზა და ბედი...

აქ ისიც სათქმელია, რომ თვითონ ტერენტი გრანელი თაკილობდა გალაკტიონის გაელენას:

— მე ხშირად მადარებენ გალაკტიონს და მის ეპიგონად მაცხადებენ, — დიდი შეცდომაა ეს. გალაკტიონი დიდი პოეტია, მაგრამ სავსებით განსხვავებულია ჩვენი გზები. გალაკტიონი მრავალწახნაგიანი პოეტია, მე ერთი ხაზი მაქვს, ერთი გზა. გალაკტიონი მუდამ იბრძვის, მუდამ ბობოქრობს, სევდაშიაც ბობოქრობს, მე უფრო შერიგებული ვარ ჩემს ბედს, ჩემს ხვედრს.

შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ
წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე.
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.

მე ეს ვთქვი და ჩემი პოეზიის დევიზად გამოვაცხადე „მესამე გზა". ასე, რომ ჩვენ სხვადასხვა ვართ, სხვადასხვა.

— გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ამას ისე დაჯერებით ამტკიცებდა ტერენტი, რომ ძნელი იყო ვინმეს გადაერწმუნებინა ამ აზრისაგან, ის დიდი თაყვანისმცემელი და თავდადებული ქომაგი იყო გალაკტიონისა.

ტერენტი საოცარი კაცია, გულს არასოდეს გაგიხსნის, სულში არასოდეს ჩაგახედებს, ახლოს არ გაგიკარებს, მიხვალ, წამოხვალ და ვერ გაიგებ გაუხარდა თუ ეწყინა შენი ნახვა. ის თავისთვის არის მუდამ, თავის ფიქრებში ჩაძირული, არც არავის ამჩნევს გარშემო. არც არავის ხედავს. მართალია, ცხოვრება აიძულებს ხშირად ფიქრთა ბურუსიდან გამოვიდეს და იფიქროს საჭმელზე, ჩასაცმელზე, იფიქროს, როგორ იშოვოს სასმელი თუ ბინა, მაგრამ ეს ერთი წამით ხდება, იშოვნის და შეჭამს, ვიღაცასთან ღამეს გაათევს, მაგრამ მაშინაც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. ზიხარ თუ საუბრობ მასთან, ნახევარჯერ ყურს არ გიგდებს, სულ სხვა ფიქრითა და საზრუნავით ცხოვრობს, მეტწილად დუმს და ეს დუმილი და სიჩუმე გადამდები ხდება და შენც ჩუმდები. ის გიმორჩილებს უცნაური გამოხედვითა და სიჩუმით.

ერთხელ დილა ადრიან ტერენტი გრანელს ვესტუმრე. სად? აბა სად, საკუთარი ბინა მას არა აქვს და ადგილი, ისევ ზაქარიასთანაა შეკედლებული: იქ მისვლისა მომერიდა და ისევ იქ ალექსანდრეს ბაღში ვნახე. შიგ ბაღის მყუდრო კუთხეში, კი არ იჯდა, ფეხზე იდგა, გრძელ მერხზე კი ქაღალდები ელაგა, ხან ერთს აიღებდა ხელთ, ხან მეორეს, რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის და გარშემო არაფერს ამჩნევდა. მივუახლოვდი, მივესალმე, თითქოს შემომხედა, მაგრამ სალამზე სალმით არ გამომეხმაურა. მე დავიბენი და ასე ვიდექი შორიახლო დიდხანს.

ერთი მოიხედა, მერე უცბად დაჯდა მერხზე და ქაღალდები აალაგა, ერთი ფურცელი ძირს დაუვარდა, მე ერთბაშად დავიხარე და ავიღე ეს ფურცელი. უხმოდ გამომგლიჯა, თითქოს შეეშინდა, არ წამართვასო, ამასობაში გონს მოეგო, უცნაურად გამიღიმა, თავი დამიქნია, გამარჯობაო მითხრა. მერხზე ჩამოვჯექი, დიდხანს ვისხედით ჩუმად. მერე ვერ მოითმინა და მითხრა, იცი, მე ახალი ლექსი დავწერე, ჯერ არავისთვის წამიკითხავს, ჰაშნიკად მინდა გავასინჯო, ის კი არ სჩანსო, ესა თქვა და ისევ უცნაურად შემომაჩერდა. ვინაო? — მოუთმენლად ვკითხე. პასუხი არ გამცა, ვატყობ, რომ ღელავს, ამ დროს ბაღში გალაკტიონი გამოჩნდა. ტერენტი ერთბაშად გამოცოცხლდა. ადგა, მერე ისევ დაჯდა, რაღაცნაირი სიამაყე შევნიშნე მის სახეზე. გალაკტიონი მოვიდა: სალამი თქვენდაო, თქვა და ხელი ისე აწია, თითქოს ჯვარი გადაგვსახა, ირონიულად ჩაიქირქილა და ჩვენს გვერდით დაჯდა. ტერენტი ადგა და ხელთ აიღო ქაღალდების მთელი ბღუჯა. გალაკტიონმა მისდაუნებურად ჰკითხა:

— რა არის ეს, ძამიკო?

ისე გაკვირვებით შეხედა ტერენტიმ გალაკტიონს, თითქოს არ სურს გაუმხილოს ამ მუშაში ჩაბღუჯული ქაღალდების საიდუმლოო.

— ეს? — თითქოს გაკვირვებით იკითხა ტერენტიმ და მერე თავად გაიმეორა, — ეს? — სულმოუთქმელად თავადვე უპასუხა: — ახალი ლექსი დავწერე.

— ლექსი? — უცნაურად გაიღიმა გალაკტიონმა და ისეთნაირად დაიგრიხა მერხზე დამჯდარი რომ დღესაც არ ვიცი დაცინვა იყო ეს თუ გაკვირვება.

— დიახ, ლექსი, — რაღაცნაირი სიამაყის თუ გაბრაზების ინტონაციით კვლავ გაიმეორა გრანელმა: — დიახ, ახალი ლექსი დავწერე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა სამივენი ვდუმდით. დუმილი ისევ გალაკტიონმა დაარღვია:

— აბა ერთი წაგვიკითხე, ძამიკო, ის შენი ლექსი.

ტერენტი აღგა და ხმამაღლა წაიკითხა:

წუხს როიალი ბაღის მახლობლად
და მოდის მზიდან სხივთა კრებული
ალბათ, სადღაც შორს ვიღაც ნაღელობდა
აქაც დარდია გამეფებული.
სწუხს როიალი, მე რაღაც მტკივა
დავტოვებ თბილისს და წავალ დასთან
ვნახოთ ეს ფიქრი სანამდის მიეა
ვნახოთ ეს ტანჯვა სანამდის გასტანს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ გალაკტიონმა თქვა:

— აბა ერთხელ კიდევ წაგვიკითხე, ძამიკო, ეს შენი ლექსი?

ტერენტი გაბრაზდა, ადგა და გაგვეცალა.

— უყურე ახლა შენ ამას? — თქვა გალაკტიონმა. რაღაცნაირად ჩაიღიმილა თვითონაც ადგა და ბაღიდან გავიდა.

მარტო რომ დავრჩი, ვცადე ამეხსნა, გავრკვეულიყავ, რაც მოხდა ახლა, ამ წუთის წინ, მაგრამ ვერავითარი ახსნა ვერ მოვუძებნე მომხდარ ინციდენტს. ორი პოეტისაგან მიტოვებული ვზივარ ამ დილას ალექსანდრეს ბაღის კუთხეში სულ მარტო, ირგვლივ კაცის შვილი არა ჩანს, ვზივარ და ვფიქრობ — რატომ მოექცა გალაკტიონი ასე სასტიკად თავის ძველ მეგობარს?

ტერენტის ჩვეულებად ჰქონდა, თუ ვინმე აწყენინებდა, გაებუტებოდა თბილისს და სოფელს მიაშურებდა, თავის დებს მოიკითხავდა, მერე იქაც ვერ ძლებდა დიდხანს და ისევ თბილისში გამოიქცეოდა, მისი ნამდვილი ტრფიალი თბილისი იყო, ხმაურიანი თბილისი კი არა, ბაღები, სასაფლაოები, მყუდრო სავანე იტაცებდა მის სულს. თბილისში პოულობდა მაინც რაღაც შვებას. აქ ჟურნალ-გაზეთებს და მეგობრებს უზიარებდა თავისი ლექსების დარდს.

გალაკტიონთან ინციდენტის შემდეგ მთელი ათი დღე ვიარე იმ ბაღში, მაგრამ ვერსად დავლანდე მისი კვალი: ტერენტი იმავე დღეს წასულიყო სოფელში. ათი დღის შემდეგ კვლავ იმ ბაღში შევხვდით მე და ტერენტი. ახლა უფრო ნაღვლიანი და სევდიანი მეჩვენა. მთელი საათი ისე ვიჯექით, ხმა არ გაუცია. მერე ისევ მე ვკითხე მორიდებით, გალაკტიონი თუ ნახე-მეთქი. როგორ არაო, ისეთი გაღიმებული სახით მიპასუხა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მათ შორის ამ ბაღში. როგორ არაო, გაიმეორა და რაღაცნაირად გახალისდა ტერენტი: გუშინ აქ შენც გეძიეთ, მაგრამ არსად ჩანდი. სოფლიდან პურმარილი ჩამოვიტანე, აქ გალაკტიონი და გენო შემხვდნენ და შინ წავედით. სად შინ-მეთქი, გაკვირვებით ვკითხე, ჰო! შენ მართლა არ იცი, მე ეს ორი დღე ზაქარიას გამოვექეცი და მთაწმინდის ქუჩაზე ერთი პატარა ოთახი ვიშოვე, ახლა იქა ვარ, ჰო, მართლა, ცოტა ღვინო შემრჩა, მოდი, წავიდეთ, დავლიოთ ბარემ, სანამ დაძმარდებოდეს.

პირველად მესმოდა მისგან ასეთი მეგობრული მიპატიჟება და უარს აბა როგორ ვეტყოდი. უსიტყვოდ გავყევი, ბაღს გავცდით, რუსთაველის პროსპექტი გადავკვეთეთ და ბესიკის აღმართს ავყევით, მერე იქ, სადღაც შესახვევში, პატარა ეზოში შევედით. ეზოში ორსართულიანი პატარა აივნიანი სახლი იდგა, აივნის ქვეშ საქათმისხელა ფიცრული ოთახი იყო და იქ შევედით. ამ ფიცრულში ერთი ხის ტახტი იდგა და ერთი სკამი. ტერენტი ლოგინზე ჩამოჯდა, მე სკამზე დამსვა. ტახტიდან პატარა ტიკჭორა გამოაძერინა, თითქოს ცარიელი იყო, საიდანღაც ჭიქა და თეფში გამოიტანა, ლოგინზე გაზეთი გაშალა, თეფშიც, ჭიქაც და ხმელი ხაჭაპურის ნატეხებიც ზედ დააწყო. ტიკჭორას თავი ჭიქაში ჩააყოფინა, გაავსო და მომაწოდა. უსიტყვოდ გამოვცალე. თვითონაც ასევე უსიტყვოდ დალია და ხაჭაპურის ნატეხი გამომიწოდა: ქვასავით მაგარი ნატეხი ძლივს დავღეჭე. კვლავ გამივსო ჭიქა. ცარიელი რომ მეგონა, იმ ტიკჭორიდან ათიოდე ჩაის ჭიქა ღვინო გამოვიდა. გვარიანად შევზარხოშდით, ტერენტის სახეზე ღიმილი შევნიშნე. ღვინო მასთან წინათაც დამილევია, მაგრამ ღიმილი კი არასოდეს შემინიშნავს. გამიკვირდა, უცბად ადგა და საზეიმოდ გამომიცხადა: ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდაო. ჯიბიდან ნაცრისფერყდიანი წიგნი ამოიღო და გამომიწოდა. სანამ წიგნს გადავშლიდი, უკანვე გამომართვა და პირველივე ლექსი თავად წაიკითხა:

ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება,
ახლა მოდის ივნისი, ირგვლივ მწვანე მოლია.
ჩემი წმინდა სახელი პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სისხლი ეს „Memento mori"-ა
დღეს სამია ივნისის, მინდა იყოს ცამეტი,
ჩემს გარშემო ციხეა, მწუხარების, სავანე.

რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს
არ ვიწამებდი,
მიწა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე.
სადღაც მთასთან იწვიმა, სადღაც მთაზე ბურია,
აქნარი ღიმილი უწინ მე არ ვიცოდი.
ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია
ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი
მარადისობის.
ეხლა რა ვქნა, არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ,
როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის.
მე ძლიერი ტალანტი, ზეციერი არსება,
ჩემი ნაზი სამშობლო ლაქვარდები ცისფერი.
რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო,
მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ ადგილები.
ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა
უსახელო,
რომ დაღუპვა მომელის, ვიცი
დანამდვილებით
ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა,
მე, ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე
შორია.
ჩემი გვარი — გრანელი პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სისხლი ეს „Memento mori“-ა.

აწეული ხმით, მღელვარებით კითხულობდა, ხელები უკანკალებდა და წიგნი ცაცხვის ფოთოლივით ცახცახებდა მის ხელში. კითხვა დაამთავრა თუ არა, უსიტყვოდ გადაეხვია, ცრემლი შევნიშნე, თვითონაც ჩამეხვია და როცა გული იჯერა ალერსით, მის თვალებში ცრემლში ნარევი სინათლე კიაფობდა.

— იცი, გუშინ გალაკტიონმა თავიდან ბოლომდე წაიკითხა ეს წიგნი, მერე, როცა დავლიეთ, კიდევ გადაშალა წიგნი და ეს ლექსი ხმამაღლა წაიკითხა. წაიკითხა, ადგა წავიდა, ისე წავიდა, რომ არაფერი მითხრა. დავიბენი. ვერაფერი გავიგე, მოეწონა თუ არა, ვერ გავიგე, გავჯავრდი, კინაღამ ვიტირე. დღეს შემხვდა და სწორედ ეს ლექსი, გუშინ რომ მეორედ წაიკითხა, ზეპირად მითხრა. ზეპირად კი მითხრა, მაგრამ მოწონების სიტყვები ვერა და ვერ დავაცდენინე. მე კი მგონია, რომ ეს ლექსი გალაკტიონის ლექსებს არაფრით ჩამორჩება! — ეს ისე დაჯერებით თქვა, რომ ასი კრიტიკოსი რომ მოსულიყო და საწინააღმდეგო ემტკიცებინა, ვერაფრით ვერ გადაარწმუნებდით.

მე ძლიერ მიყვარდა ტერენტი, მისი ლექსები და საწინააღმდეგო ვერა ვუთხარი რა. მთელი სათქმელი ლექსებში სევდიან ჰანგზე იყო გაწყობილი და ამიტომ ძლიერ ხვდებოდა ჩვენს სულს. მაგრამ მეტის-მეტია ეს სევდა, მძიმე და გულის დამაღონებელი.

სევდისაგან გამოჭმული და გამოხრული გული კაცისა არაფრის

მაქნისია. გული უნდა ანებივრო, რომ კარგად იმუშაოს, რომ ქვეყანას მეტი გაუკეთოს, მეტი ააშენოს, მეტი მოხნას, მეტი დათესოს, მეტი დაწეროს, მეტი დახატოს... გარემოსაგან მოწყვეტილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი კაცი ყოველთვის სევდიანია და შენც სევდიან გუნებაზე გაყენებს. არა, არ მინდა მე შენი სევდის მონა ვიყო. ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი სევდა აქვს და ის ეყოფა მას, მენ შენი სევდიანი ლექსებით უფრო ნუ გაულრმავებ ამ სევდასა და ვარამს. ნუ ჩასჩიჩინებ წარამარა — რომ ყველაფერი წარმავალია ამქვეყნად. არა, ასეთი ლექსები ცხოვრებაში ადამიანს არ ეხმარება, თუმცა მის სულს კი ეხმაურება. ჩვენ ისედაც მარტო ვართ ამ ქვეყანაზე და მარტოობაზე ჩიჩინი კი არა, გამხნევება და გახალისება გვინდა, იმედი და რწმენა, დიახ, იმედი და რწმენა გვინდა, რომ გული, გული გვქონდეს მხნე და მედგარი, და მორწმუნე, მორწმუნე იმისა, რომ შენ საზოგადოების წევრი ხარ და ვალდებული ხარ მისი კეთილდღეობისათვის იღვწოდე, იბრძოდე ხვალისათვის, ეს ხვალ შენი შვილის და შვილიშვილების დღე იქნება და იმაში მონაწილეობა შენ დღეს შეგიძლია შენი კეთილსინდისიერი შრომით — აი, რისი ქადაგება გვმართებს ჩვენ. ტერენტის არა აქვს ან ცოტა აქვს ასეთი გამამხნევებელი და წამახალისებელი ლექსები. არა, მე არ ვამბობ სულ არა აქვს-მეთქი, მე ვამბობ ცოტა აქვს და მენანება, სწორედ, რომ მენანება, ამ ნიჭიერმა კაცმა ამდენი დრო და ენერგია სულისა და გონების დამაღონებელ ლექსებს რომ შეალია. მე ასე მგონია, მისი წარმართვა შეიძლებოდა, რომ მეგობრებს მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ, მე უფსკრულის პირად უმეგობროდ მიტოვებულ კაცად მეჩვენებოდა ტერენტი ყოველთვის. მას უფრო ხელს კრავდნენ უფსკრულში გადაჩეხილიყო, ვიდრე მეგობრულ ხელს უწვდიდნენ და ამხნევებდნენ. მის დაღონებულ სულს კი მოფერება და ალერსი, მეგობრული ალერსი ჭირდებოდა. ეს მუდამ აკლდა. ამტკიცებდნენ, რომ მას სხვანაირად არ შეეძლო წერა: არა მგონია ეს მართალი იყოს. მას ხომ აქვს ეს „სხვანაირი“ ლექსები.

ტერენტი დიდად ამაყი იყო და თავისთავში ღრმად დარწმუნებული პოეტი:

რასაც წერდა, სულის კარნახით წერდა, გულიანად წერდა, ეწერებოდა და წერდა, ოღონდ ყველაფერი, რაც მას დაუწერია, მისი პირადი აღსარებაა. ხელმოცარული და ნერვებაშლილი კაცის პირადი სულის მონაწური, მისი ღრმად დაფარული და დარწმუნებული მისტიკური რწმენის გამხელაა, ოღონდ ნახევრად გამხელაა, ნახევარ ტონებში ნათქვამი თავისი სულის ნამდვილ საიდუმლოს ის თავის ლექსებსაც აღარ ანდობდა. რაღაც შიში, შიში და იჭვი დაუფლებოდა მის სულს და ის ერთი შეხედვით მეტისმეტად აფორიაქებული — ეერიკო ანჯაფარიძის მიერ გარდასახულ შექსპირის ოფელიას ჰგავდა.

დიახ, როცა ტერენტის ვესაუბრებოდი და მის პასუხებს ვისმენდი, მუდამ ვერიკოს ოფელია მედგა თვალწინ.

იმ დღეს დიდხანს დავრჩი ტერენტის ოთახში, თუ ოთახს დავარქმევდით იმ გალიას. სათუთად ვფურცლავდი ტერენტის ლექსების კრებულს და ვკითხულობდით ხან მე და ხან თვითონ ტერენტი, ვკითხულობდით და ვდაობდით ყოველ ლექსზე, ყოველ შედარებაზე.

— მითხარი გულწრფელად, ხომ არის ამ წიგნში ბევრი სიახლე, სიახლე და მოულოდნელობა? ეს ხომ ნაღდი პოეზიაა?

უკვე ისე ვიყავით შეჩვეულები ერთმანეთს, რომ იმ დღეს არ დავმალე და პირველად ვუთხარი სიმართლე, ის, რასაც ვფიქრობდი მის პოეზიაზე. ასე დავიწყე:

— დიახ, არის აქ სიახლე და მე მიყვარს პოეზია, რომელშიაც სიახლეა, მაგრამ სიახლეს სიცოცხლე უნდა აძლევდეს ენერგიას. შენს პოეზიაში ენერგია არ არის ან ძალზე ცოტაა ის, რასაც სწორედ ენერგია, ცხოვრებისეული მიწიერება ქვია. თითქოს არ შეგიძლია სიცილი, სიხარული, აღტაცება. დიახ, აღტაცება, შენს პოეზიაში არ არის ღიმილიც, თითქოს გაღიმება არ გემეტება. ადამიანი, რომელიც მუდამ მოღუშულია, ცხვირპირი ჩამოსტირის და მის სევდას, ვარამს შენ რომ გადაგდებს — ნაკლებად მიზიდავს, ჩემს სულს არ ეხმაურება...

შეეატყვე, ეს ჩემი პირდაპირობით და გულწრფელობით ნათქვამი სიტყვები არ მოეწონა ტერენტის, ერთი შეიშმუშნა და ღვარძლიანად დაიწყო:

— აბა მე თუ მკითხავ — არც მე მიყვარს კაცი რომ მუდამ იცინის და იკრიჭება, შენ ხომ გაგიგონია ასეთ ჭკუამხიარულ კაცზე რომ ამბობენ, რა აცინებს მუდამ სულელივით ამ ბედდამწვარსო... ჰოდა, ასეა, სულელები იცინიან ანგარიშმიუცემლად, იმათი ადგილი ცირკშია, — ეს თქვა და კითხვით მომმართა: შენ თუ დადიხარ სასაფლაოზე? — ჩემთვის ეს კითხვა მოსალოდნელი იყო და მაინც შევყოყმანდი.

— არადა გეტყვი, ვისაც სიკვდილი სიცოცხლეში არ უგრძვნია, იმან ცხოვრებისა არა იცის რა. იცი თუ არა შენ, — ტერენტი კვლავ გამომწვევად ლაპარაკობდა, — იცი თუ არა შენ, რომ ადამიანი უბედური არსებაა და ამ ქვეყანაზე მწუხარება და ტირილი მეუფეობს მის ირგვლივ? დიახ, მწუხარება და ტირილი! მე შენ გირჩევ ხშირად იარო პანაშვიდებზე, გასვენებაზე, სასაფლაოზე-ო, ვიღაც ქალი საფლავთან ტირის, არყოფნის შიშმა მეც ამიტანა. — და... — სიტყვა არ დავამთავრებინე, ისე მოვუჭერი:

— ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი, არ დავფარავ და გეტყვი, სწორედ იმ ადგილებში სიარულმა შეგშალა შენ. თუ კაცი ხარ, თავი ანებე ამ სისულელეს. სასაფლაო, სასაფლაო დაგიჩემებია, გირჩევ

უფრო ფართოდ შეხედო ამ ქუჩებს, ამ ქარხნებს, ამ სასახლეებს და ღიმილი და აღტაცება შენს ლექსებშიც გამოჩნდება.

მეტისმეტად გაჯავრდა ტერენტი და მომაყვირა:

— თუ ძმა ხარ, დამაყენე ჩემს სახლში, მწერალთა კავშირში ხომ არ გგონია შენი თავი, ჰკუას რომ მარიგებ?

— არა, — დავუყვავე მე, — მწერალთა კავშირი რა შუაშია, პირადად მე სევდიანი პოეზიის, ცხოვრებისეული სევდის წინააღმდეგი როდი ვარ. ცხოვრებაში დიახაც არის წუხილიცა და სევდაც, მაგრამ მარტო ეს ხომ არ არის ცხოვრება? ერთი ფერით, შავი ფერებით დახატვა ცხოვრებისა არა მგონია ჭეშმარიტება იყოს.

— როგორ? ჩემს პოეზიაში შავი ფერია გაბატონებული? მაშ არ წაგიკითხავს ჩემი ლექსები, თეთრიც, ლურჯიც, ცისფერიც, ყვითელიც, ნარინჯისფერიც მე, მე შევიყვანე პოეზიაში სიმბოლოებად, მე ვარ ფერების და მრავალფერიანი ფერების მომხრე და ეს რა ბრალდება წამომიყენე — მხოლოდ შავი ფერიაო შენს პოეზიაში, ჰა? — ისევ გაჯავრდა ტერენტი.

— საკითხს ასე ნუ გავამარტივებთ; მე ამ ფერებზე როდი გედავები, განა მე არ ვიცი, შენს ლექსებში ლურჯი ფერი, ცისფერი, თეთრი თუ ყვითელი უხვად რომ გვხვდება, გვხვდება წითელი ფერიც:

ფერი წითელი ირგვლივ დაწვება
და უწინდელი
ეს აღტაცება...

ეგეც ხომ შენი სტრიქონებია. ყველა მათგანს თავისი ფუნქცია აქვს და ისეთივე კანონიერი უფლებით სარგებლობს, როგორც შავი ფერები. მე განწყობილებაზე. პოეტურ განწყობილებაზე მოგახსენებ.

— აქ კი გეთანხმები, — შეებით ამოისუნთქა გრანელმა, — დიახ, გეთანხმები. პოეტმა იმაზე უნდა წერო, რაც გაწუხებს და გტკივა, რაც უფრო თვალსაცემია ცხოვრებაში. პოეზია ბოლოსდაბოლოს შენი სულის აღსარებაა და მეტი არაფერი. ხოლო ცხოვრება თვით შენს სულშია, ამიტომ პოეტმა შენს სულში უნდა ჩაიხედო უფრო ღრმად, შენი სულის შუქით უნდა გააშუქო ცხოვრება, გზა უჩვენო სხვებს, გზა სანუკვარი და სამუდამო — დიახ, ცხოვრებისა და პოეზიის ამგვარი კავშირის მომხრე ვარ მე და ჩემი პოეზია სხვა არა არის რა, გარდა ამ განწყობილების ქადაგებისა „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე, მე ლექსების სიხარული მომკლავს". — მე მგონია, — განაგრძო გრანელმა, — დღევანდელი პოეზიის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ზოგი პოეტი მეტისმეტად აღტაცებულია. ხბოსებრ აღფრთოვანებას დავარქმევდი ამ აღტაცებას. გინახავს სოფელში ხბო რომ უცბად აკუნტრუშდება და დარბის განურჩევლად — აღმართია თუ დაღმართი. ზოგი ლექსიც ასე

აკუნტრუშებულია. ადამიანური სევდა და დაფიქრება აკლიათ ამ ლექსებს. ამ ლექსების საოცარი სიცივე და სიმშრალეც აქედან მოდის. მშრალი აგიტაცია ისევე არაფერს შველის რევოლუციას, როგორც ღვარძლიანი გინება და ლანძღვა ვერაფერს დააკლებს მას. მე ორივე მეზარება და ამიტომ მესამე გზა ვცადე, დიახ, მესამე. ლექსი „ობიექტისა“ და „სუბიექტის“ მექანიკური შეერთება კი არ არის, არამედ რაღაც სხვაა. ეს სხვა, ჩემი აზრით, იმ „აბსოლუტის“ ძიებაა, რომელიც არც ჩემშია, არც შენში ფიზიკურად, სინამდვილეში არავის უნახავს ის. ის სადღაც დამალულია ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელ სუბსტანტში. აი, ამ დამალულის, ამ აბსოლუტური ჭეშმარიტების აღმოჩენა უნდა იყოს პოეზია. ყოველ შემთხვევაში, ამ აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიებაზე ხელი არ უნდა ავიღოთ. პოეტმა აქეთკენ მიმავალი გზები უნდა დაუსახოს მკითხველებს...

— ეს ხომ სოლიფსიზმია და იდეალიზმი, — მშვიდად ეუთხარი აღგზნებულ გრანელს.

ახლა კი გაჯავრ და და მომაყვირა:

— კარგი თუ ძმა ხარ, თავი დამანებე ამ შენი აკვიატებული დოგმებით. სჩანს, მე და შენ საერთო ენას ვერ ვიპოვით, ჯობია, პოეზიაზე კამათს თავი ვანებოთ და ისევ ღვინოს მივუბრუნდეთ.

ტიკპორაში ღვინო არ აღმოჩნდა და ჩვენ უსიტყვოდ გამოვედით ტერენტი გრანელის „სასახლიდან“.

იმ დღეს მწერალთა კავშირში წავყევი გრანელს. სხდომათა დარბაზი ხალხს ვერ იტევდა, სალონიც სავსე იყო მწერლებით. ტიციან ტაბიძე სალონში იდგა და იქიდან ესროდა რეპლიკებს ტრიბუნაზე შემდგარ პირხმელ და გამხდარ ორატორს. მომხსენებელი იმ წელს გამოცემული ლექსების წიგნებს განიხილავდა, ტიციან ტაბიძის გაკრიტიკება მოათავა თუ არა, ორატორმა ხელში ტერენტი გრანელის წიგნი ააფრიალა და გამყინავი ხმით იყვირა: აი ამ წიგნს, ლექსების ამ შავ წიგნს თუ იცნობთ თქვენ? — კითხვით მიმართა აუდიტორიას. დარბაზი დაიძაბა, ვიღაცამ რეპლიკა ესროლა, შავი კი არა თეთრი წიგნი გიჭირავთ ხელში, ქათქათა, თეთრყდიანიო. — ჰო, — თეთრი და არა წითელი, — უპასუხა მომხსენებელმა. დარბაზში ხმამაღალი ხარხარი ატყდა. გაბრაზდა ორატორი და უფრო მძაფრად შეუტია კვიმატი რეპლიკის ავტორს. — დიახ თეთრი, ვიცით ჩვენ, რას ნიშნავს ეს თეთრი, თეთრი გიორგი, თეთრი რაში, თეთრი ანგელოზი. — ახლა ისევ ააფრიალა ტერენტი გრანელის ლექსების კრებული და რიხიანად დაუმატა: — ეს წიგნი კი აშ თეთრ ანგელოზებზე ლოცვაა, მათხოვარი ქრისტეს ლოცვაა. ამიტომ ვუწოდებ ამ წიგნს შავ წიგნს, რეაქციულ წიგნს, რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასების ნაბოდვარსა და ნაცოდვილარს.

იმ დღეს მწერალთა კავშირში ის წალენჯიხელი ჯაბა მოსულიყო. ჯაბა მომხსენებელს კვერს უკრავდა და გრანელის წინააღმდეგ საოცარ რესპლიკებს ისროდა: სწორია, მისტიკოსია, რეაქციონერია, ნაციონალისტია — მომხსენებელს აქეზებდა. კონსტანტინე გამსახურდიამ ვერ მოითმინა და ხმამაღლა იყვირა: — ვინ არის ეს ქვასროლია? — უნივერსიტეტის ასპირანტიაო, ვიღაცამ უპასუხა. ასპირანტი კი არა, ინტრიგანია. — აყვირდა სალონი და აირია დარბაზი. ტერენტი ადგა და სიტყვა მოითხოვა. თავმჯდომარემ გააფრთხილა, გვაცალეო, ჯერ მოხსენება არ დამთავრებულა, შენ სიტყვას ითხოვ? ახმაურებული დარბაზის მაგიერ თავმჯდომარე ტერენტის გაუჯავრდა. ტერენტი ახლა მომხსენებელზე უფრო ჯაბაზე და თავმჯდომარეზე იყო გაჯავრებული და ადგილზე ვერ ისვენებდა.

ტერენტის შეეხედე და მართლაც. მთლად გაფითრებული გრანელი ჩვენს ფრესკებზე დახატულ ქრისტეს მიაგავდა. უცბად მომიბრუნდა და მუდარით მომმართა: წავიდეთ აქედან, თუ ღმერთი გწამს, მომაშორე ამ ხალხს, თორემ ალბათ მთლად გავგიჟდები. ისეთი აღგზნებით მითხრა ეს სიტყვები, რომ ავდექი და უსიტყვოდ მივყევი. სასახლიდან გარეთ გამოვედით. მაჩაბლის ქუჩა ისე გავლიეთ, სიტყვა არ დაგვიძრავს. მეც ვერაფერი მოვახერხე, რომ რაიმე სანუგეშებელი მეთქვა, რუსთაველის პროსპექტზე გენო ქელბაქიანი შემოგვხვდა. გაღიმებული მოგვესალმა. მუდამ მოღუშული ტერენტი ახლა რომ მთლად აცახცახებული და ანერვიულებული ნახა, იკითხა — რა მოხდა, სად იყავითო. ტერენტის ხმა არ გაუღია. გზა განაგრძო, გენო უკან გამოგვყვა. ახლა მე მკითხა, რა მოხდა, ვერ იტყვიო. მე წვრილად მოვყევი, რაც მოხდა გენო გაბრაზდა: — ჰატ, თქვე გლახებო, თქვენა, ამისთვის ჩამოგიყრიათ ყურები, მე ვუჩვენებ მაგათ, როგორ უნდა გინება და ლანძღვა, დაბრუნდით, მომყევით! — ეს თქვა და თითქმის სირბილით მწერალთა კავშირისაკენ გასწია. რასაკვირველია, ტერენტი არ დაბრუნდა უკან. ამის გამო ვერც მე გავყევი გენოს.

სახლამდის რომ მივაცილე, თითქოს მაშინ გაახსენდაო:

— ვიცი არ მომეშვებიან ეს ჩემი მტრები მომხსენებელი და პოეტები კარგი, მესმის, რომ ჩემი ყველაფერი შურთ, მაგრამ ჯაბას მაინც რა უნდოდა, რატომ მოეთრია მწერალთა კავშირში მაინცდამაინც დღეს. იცოდა, სწორედ იცოდა, რომ დღეს ჩემზე იქნებოდა ლაპარაკი. რა უნდა ამ კაცს, რას გადამეკიდა. ჯერ იყო და სოფელში არ დამაყენა, სკოლიდანვე გადამეკიდა, რა არ მომიგონა, რა ჭორები არ გამივრცელა. ახლა აქაც არ მაყენებს, დაეტიოს იმ თავის ასპირანტურაში, კისერიც უტეხია, მაგრამ მე ხომ ვიცი, რა მამაძაღლია და ოხერი. გამოვალ ერთ დღეს და ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი ანდა

დღეს რატომ გავუშვი ეს შემთხვევა ხელიდან. — ახლა იმუქრებოდა და ნანობდა ტერენტი. ძლივს დავაწყნარე და ოთახში შევიყვანე.

მეორე დღეს შევიტყვეთ, რომ გენო მართლაც გამოსულა სიტყვით მწერალთა კავშირში, დაუცავს და უქია ტერენტი გრანელის ლექსების წიგნი, მაგრამ რა, გაზეთებში დისპუტის ანგარიში რომ დაიბეჭდა, მაინც სასტიკი ლანძღვა-გინება დაიწერა ტერენტის ამ წიგნზე... მთელი კვირა გაუჩინარდა გრანელი, სად არ ვეძიე, მაგრამ ვერსად მივაგენი მის ასავალ-დასავალს. არც წიგნების მაღაზიაში გამოჩენილა, არც მწერალთა კავშირში და არც იმ გალია ფიცრულში, სადაც ბინა დაიდო. ერთი თვის შემდეგ ისევ ბაღში ვნახე, მაგრამ ვაი იმ ნახვას. ტერენტის ჩვეულებრივ თეთრი ბლუზა-ხალათი და თეთრი პიკეს შარვალი ეცვა. ახლა ისე გახუნებული და ჭუჭყიანი იყო მთელი სამოსი, რომ რა ფერის ტანისამოსი იყო, ვერ გაარჩევდით. მივესალმე, ხმა არ გამცა, რაღაცას ლუღლუღებდა. შევატყვე ნასვამი იყო, მერე სიტყვებიც გავარჩიე, ვიღაცას უღვთოდ აგინებდა. გინება პირველად გავიგე მის ბაგეთაგან. ვცადე დამემშვიდებინა და გამემხნევებინა. ამაოდ. მთლად ხელიდან წასულა, გავიფიქრე მე. ამ დროს გენოც მოვიდა და ისევ იმან უშველა საქმეს. ქელბაქიანი მწერალთა კავშირში მომხდარ ამბებს მოჰყვა: — გუშინ გალაკტიონიც გააჯავრეს, დღეს ენახე მტკვრის პირას, მთვრალი იყო — ფეხზე ვეღარ დგებოდა, მერე ეტლით მივაცილე სახლამდის. სახლში ძლივს შევიყვანე, მთლად ნერვებაშლილია. არა, ეს დიდი მხეცობაა. თუ ვინმე წერს რევოლუციაზე, საბჭოთა საქართველოზე, პირველი გალაკტიონია. სწორედ რომ არ მესმის, რა უნდათ მისგან. დეკადენტი, მისტიკოსი, სიმბოლისტი, რა არ უწოდეს გუშინ. ყოველივე ამის ატანა შეუძლებელია, — ცხარობდა გენო. — ამ რაპელებმა და ფუტურისტებმა პირდაპირ მოწამლეს ჰაერი.

ამ საუბარში ტერენტი ცოტა არ იყოს გამოცოცხლდა. თავი იმით ინუგეშა, რომ მარტო მას კი არა, თურმე გალაკტიონსაც უმადურად ეპყრობიან.

ამ დროს ბაღში ფრიდონი გამოჩნდა. პროლეტარული მწერლობიდან ტერენტისთან მარტო ფრიდონი მეგობრობდა, თუმცა დავა და უთანხმოება, ერთი დაუსრულებელი კამათი მუდამ ჰქონდათ. ფრიდონი დარწმუნებული იყო, რომ ეს ნიჭიერი კაცი გზას აცდენილია; და მისი შემობრუნება დაესახა თითქოს მიზნად. აი, მოვიდა თუ არა ფრიდონი, მაშინვე შეება ტერენტის.

— ტერენტი, ახლა მაინც ამას არ მოველოდი შენგან, ეს რა წიგნი გამოგიცია, ბიჭო (ბიჭობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს). რა დროს წმინდა გიორგი, ქალწული მარიამი და იესო ქრისტეა, შე კაცო. მიიხედ-მოიხედე, ხომ ხედავ, რა ხდება ქვეყანაზე. პოეტი ახლა ხარაჩოებზე უნდა იდგეს, გლეხს უნდა ამხნევებდეს ხენასა თუ მკაში, შენ

კი ისევ ეკლესიებში და სასაფლაოზე დაბორიალობ, დედაბერივით ლოცულობ და მოთქვამ. გლეხის შვილი არ იყო მაინც. ამიხსენი ერთი — რამ შეგაძულა ეს შენი ქვეყანა, ეს შენი სოფელი და ქალაქი? — ცხარობდა ფრიდონი.

— მე არავისზე ნაკლებად არ მიყვარს ჩემი გლეხი და ჩემი მუშა, ჩემი ქალაქი და სოფელი, ვინ გითხრა, რომ მე მაგათ განვუდექი? — ეს თქვა და რიხიანად წაიკითხა:

დილის საყვირი და ქარხნები ნელის გრიალი,
ქალაქს ცეცხლი, დაისრული დროშა
წითელი;
ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე,
ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი.
სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა,
დამწვავს ტყვიების სურნელება და
განსაცდელი.
ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა,
კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც
სანთელი.
ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები
და შორეული რაინდებით უმწეო შფოთი.
სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების
და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი.

ბაღში დუმილი ჩამოვარდა. უხერხულობის გამოსწორება კვლავ ფრიდონმა სცადა.

— ეს მე ვიცი და მით უფრო სამწუხაროა, რომ ამის დამწერი ამ მოტივს გადაუდექი.

— ალბათ, შენ ჩემი ლექსები „ღამე გლეხთა სახლში“, „გლეხთა სასახლე“, „დაბრუნება ცხოვრებისაკენ“...

ფრიდონმა არ აცალა სიტყვების დამთავრება.

— ესენიც წამიკითხავს და ისიც ვიცი, რომ „კვირის წირვები“, „წმინდაო მარიამ“, „სასაფლაოსკენ“, „ექსკურსია ცისკენ“ — ამგვარი ლექსები უფრო ჰარბობენ შენს პოეზიაში, ვიდრე ის, რაც შენ ჩამოთვალე... ერთი გაბმული ტირილია შენი ლექსები.

— არ არის მართალი, რომ ჩემი ლექსები სულ ტირილი იყოს. მე ცხოვრებამ ბევრი მწუხარება და ჭირი შემყარა და „ჩემს ამგვარ გრძნობას ტირილს ეძახიან“. ბედნიერების წუთებიც მქონდა, განსაკუთრებით, როცა კარგ ლექსს დავწერდი ან სადმე იმ ჩემს ლექსებს შეაქებდნენ, მე იმედის ნაპერწკალი გამიელვებდა და ჩემს ლექსშიაც აციმციმდებოდა ეს იმედი, ეს სიხარული, ეს წუთიერი კმაყოფილება. ჩემს ლექსებში ისინი ციცინათელასავით ანათებენ ღამის უკუნეთში. დიახ, ციცინათელებად ყველაზე ცრემლიან ლექსებშიც ანათებენ ეს სტრიქონები:

ღამეა, ეწვევარ და მიხარია
მე ხვალინდელი დღის გათენება.

ან:

და ისევ მოვა სხვა ფიქრთა გროვა
და ისევ მოვა დღე უზრუნველი.

ან:

ისევ მზიანი დღეა, ისევ სიხარულს ვეძებ
— ისევ მიხარია დღეს გასვლა მზეზე.

ან:

როგორც იქნება გავა ზამთარი
და მალე მოვა დღე გაზაფხულის.

ან:

ეს დღე მაღვიძებს სიხარულისთვის
დღეს ისევ მზეა და დღეს ქარია...

კიღევე გავაგრძელო?.. მე მგონია, კმარა, არის ასეთი ლექსები და სტრიქონები. თუ არ დაინახავთ, ეს უკვე თქვენი საქმეა. რასაკვირველია, მე გადაჭარბებით არ ვაფასებ ამ სტრიქონებს. უფრო მეტი. მე ვიცი, რომ ისე, როგორც ციცინათელა ღამეს, უკუნეთს ვერ მოერევა, ისე ჩემს დარდს და გულის წუხილს ეს სტრიქონები ვერ ანელებენ. ჩემს ლექსებში დღეს ღამე ერევა, სინათლეს — სიბნელე ნთქავს, კეთილს ბოროტი. თუ საქმეს გარეგნულად შეხედავთ, თუ უფრო ღრმად დავფიქრდებით, მაშინ მე ის შორეული, ის მარადიული მიტაცებს, რომელსაც ჩვენი გონება ასე ადვილად ვერ წვდება. და ჩემი და ჩემი ლექსების ნამდვილი სამსჯავროც იქ მეგულება. „ყოფნას ვიგონებ ისევ, როგორც შორეულ სიზმარს“. ისე კი, ვით ამქვეყნიერ მოკვდავს, არც მე მითქვამს უარი ციცინათელებზე:

მე მაფიქრებს საქართველოს ბედი
მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს.
...და საქართველო ჩემთვის დარდია
და საქართველო ჩემთვის დიდია.

ჩემს ლექსებში საქმის ნამდვილი ვითარება ასეა წარმოდგენილი. რაც შეეხება თანამედროვეობას, მიმდინარე მომენტს — მეც ვეხმაურები. აიღეთ ჩემი „ვანო სარაჯიშვილი“, „ექსპედიცია „იტალია“, „გენერალი ნობილე“. ოღონდ საკითხია — ვის როგორ ესმის თანამედროვეობა. ზოგიერთისთვის ის მხოლოდ ვაშაა! ზოგიერთისთვის მარტო ვაშა არ არის. ვაშას უზომოდ მოტრფიალეებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ბოროტება, რომ არსებობს სიკვდილი. მე ასე მესმის ცხოვრება და ჩემი საბუთიც ჩემი ლექსებია, — „ეს ლექსებია ჩემი ქონება“. ჩემო ფრიდონ, — დიახ, საქართველო, გლეხი, მუშა, ქარხანა — ამაზე წერა საჭიროა და მე ვიტყოდი ზოგი იოლადაც ახერხებს ამას. — ეს თქვა და ფრიდონს გადახედა, ფრიდონს არ ესიამოვნა ეს გადაკრული სიტყვები, მაგრამ არ შეიმჩნია, ტერენტიმ გააგრძელა სიტყვა — ზოგს

ლექსი მარტო ის ჰგონია, რაც ფიზიკურ არსებას გამოხატავს, ყოველდღიურობას აღწერს, არა, ჩემო ფრიდონ, ნამდვილმა პოეტმა ამის იქით უნდა გადაიხედოს. მე პოეზიად ის მიმაჩნია, რაც მოულოდნელს, ჩვეულებრივი ადამიანის თვალისათვის აღმოუჩენელს აღმოაჩენს, სულის საიდუმლოებას ახსნის, მიუწვდომელს მისაწვდომად დაგვისახავს.

— ჰქრიან ფიქრები და პოეზია, რა არის, გარდა იდუმალების — ახლა ფრიდონმა შეაწყვეტინა სიტყვა გრანელს:

— შენ რატომ გგონია, რომ ნამდვილი პოეზია ანგელოზზე, იესო ქრისტეზე და ღმერთზე წერაა და არა მუშასა და გლეხზე. შენ ამბობ, მე ის მიზიდავს, რაც პირდაპირ არ გვეძლევა, თვალით არ ვხედავთო — მე კი, პირიქით მგონია და დიდ გმირობად ის მიმაჩნია, რომ რასაც თვალით ვხედავთ და ყველა ვხედავთ იმაზე ვწეროთ, და ვწეროთ ისე, ვინც ჩვეულებრივად ხედავს, ყველას გაუკვირდეს ეს რა კარგად დაუწერია, პირდაპირ ჩემი აზრი და ფიქრი გამოუხატავსო. დიახ, ვწეროთ ამ ნამდვილ ამბავზე ისე, რომ წამკითხველს შევაძულოთ ის, რაც სიძულვილის ღირსია და შევაყვაროთ ის, რაც საყოველთაო სიყვარულს იმსახურებს.

— მე ასე მგონია, —ამბობდა ტერენტი, — მუშას, გლეხს თუ ინტელიგენტს ერთი საერთო საიდუმლო აქვთ, ჯერაც ამოუცნობი და ამოუხსნელი. პოეზია უნდა დაეხმაროს ყველას ამ საიდუმლოებათა ამოცნობაში. პოეზიის საგანი ადამიანის სულის საიდუმლოებათა ამოხსნაა. საიდუმლოებისა და მარადიულობის ამოცნობის შეგნება უნდა გაუღვიძოს პოეზიამ ყველას, ვისაც კი პოეზია უყვარს და კითხულობს. აბა, ისე მუშამ და გლეხმა შენზე და ჩემზე კარგად იცის, როგორ ურტყას გრდემლს ურო ან მიწას თოხი. ჩვენ ამის საიდუმლოებას მათზე გონიერად და ნიჭიერად ვერ გავხსნით და ვერ ავუხსნით, რა გინდ არ უნდა ვეცადოთ.

— კი არ ავუხსნით, არამედ გავამხნევებთ, გვერდში ამოვუდგებით, გავახალისებთ და ამით შრომას გავუადვილებთ.

— ეგებ ეს ყველაფერი საჭირო იყოს და ამაზე მეცა ვწერ ხოლმე, მაგრამ, ჩემის აზრით, ნამდვილი პოეზია პროზაული ამბების შემდეგ იწყება. მე უფრო მეტს გეტყვით — ყოველდღიური და პროზაული საგნებიც რაღაც ალმაცერად და ირიბად უნდა დაალაგო ლექსში. სხვა მხრივ ლექსი ლექსი არ არის, — და აქ ტერენტიმ ისევ თავისი ლექსი წაიკითხა:

ელვარებს მზეზე ნატეხი სარკე
ქრის ორთქლმავალი, დღეა მზიანი.
პირველად მივალ კახეთისაკენ,
გავცილდი ნავთლუღს, ჩანს ვაზიანი

ან რა დარია, ან მიწას დახე,
ვაზიანიდან ისევ იორი.
მზიანი დღეა, მე მივალ კახეთს
და სადღაც გაჭრა გალაკტიონი...

კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო. ხან მე და ხან გენო შიგადაშიგ ვერეოდით კამათში, მაგრამ მათ შორის ზავს ვერ მივაღწიეთ, და ეს შეუძლებელიც იყო. შეუძლებელი იმიტომ, რომ ორივეს სრულიად საწინააღმდეგო აზრი და შეხედულება ჰქონდა, რწმენა და გაგება პოეზიის არსსა და დანიშნულებაზე. ამიტომ ამაო იყო მათი მორიგებაც.

* * *

იმ დღესაც ბაღში დიდხანს ვისხედით. მე და დავით კობიძემ ტერენტის ახალი ლექსები წავუკითხეთ. ყურადღებით მოგვისმინა. განსაკუთრებით მოეწონა დავით კობიძის ერთი ლექსი. ეს ლექსი მეორედ წააკითხა დავითს და შეუქო. ურჩია, დაბეჭდეო. ისე, საერთოდ დაბეჭდვას არ უნდა ვჩქარობდეთ. დაწერას, დაწერას უნდა მოანდომო მთელი დრო და ენერგია. დაბეჭდვის დრო თავად მოვა. თუმცა, აქ ისიც სათქმელია, რომ თუ არ დაბეჭდე, ისე ვინ გაიგოს შენი არსებობა, ამიტომ უნდა ვიზრუნოთ დაბეჭდვისათვისაც. ხშირად დაბეჭდვა უფრო ძნელია, ვიდრე დაწერა. მე ვიტყოდი ზოგისთვის, თორემ ზოგს დაწერა უფრო უჭირს, ვიდრე დაბეჭდვა. დაბეჭდვა მე რომ მიჭირს, თქვენ, რასაკვირველია, უფრო გაგიჭირდებათ, გულს ნუ გაიტეხთ, რაც დაიწერება, თუ ის კარგია, დღეს თუ არა, ხვალ დაიბეჭდება. მე რომ დავწერ, მერე დიდხანს კრუხივით ვაზიავარ ჩემს ლექსებს. ლექსს რომ ფრთები გამოესხას და გასაფრენად მოამზადო — დრო უნდა. დროა ლექსის უტყუარი საზომი. დრო გეტყვის ლექსი მზადაა თუ არა გასაფრენად. უფრთო და უსულო ლექსი ვის რაში ჭირდება?

ამ დროს ბაღში ხარიტონ ვარდოშვილი შემოვიდა და თავმდაბლად მოგვესალმა. ტერენტის ძლიერ გაუხარდა მისი მოსვლა, გაბალისდა:

— ხარიტონ ბატონო! მე წუხელ ლექსი დავწერე და ეს ლექსი თქვენ მოგიძღვენით: ხარიტონ ვარდოშვილს — „ქუჩა“.

რასაც იშოვიდა, იმავე დღეს დახარჯავდა. იშოვიდაო, რომ ვამბობთ იმას ვგულისხმობთ, რომ ცოტ-ცოტას ჰონორარს იღებდა, ერთხანს ზაქარია ჭიჭინაძე ეხმარებოდა, მაინც მუდმივად უფულობას უჩიოდა. იმ დღეს ბაღში რომ შევხვდი, შემომჩივლა: სოფლიდან ხომ არავის ჩამოგსვლიაო ან გენოს და ხომ არ ჩამოსულა თუ იცი, ძალიან მშია, არაფერი მიჭამიაო. მერე ერთბაშად ადგა და იქვე ბაღში ხანშიშესულ კაცთან მივიდა. სულ მალე გახარებული დაბრუნდა — არის შიმშილის წამალიო, მომაყვირა და ხელში წითელი თუმნიანი დაჭმუჭნა. ეს საიდან-მეთქი, ჩემდა უნებურად ვკითხე, არაფერი მიპასუხა, ხელი

ჩამავლო და თან გამიყოლია. იქვე ბაღის გაღმა, ინტურისტის სარდაფში შევედით, მებუფეტე გარეთ იდგა, ყურადღება არ მოგვაქცია, იცნობდა ტერენტი გრანელს, და თითქოს არ დაენახა, ისე შებრუნდა ბუფეტში. გრანელმა ცხვირწინ თუმნიანი აუფრიალა და მებუფეტეც დატრიალდა. მოგვიტანეს, დაგვაპურეს, როცა სარდაფიდან გამოვედით, მაშინ ჩუმად მითხრა:

— იცი, ის კაცი ჩემი შორეული ნათესავია. ერთი თვით მასესხა ეს ფული.

მე ვიცოდი, რომ ეს ტყუილი იყო, მის მიერ მისტიფიცირებული. საერთოდ ტერენტის უყვარდა უბოროტო ტყუილი, თავს ხშირად რაღაცნაირად გამისტიურებული მონათხრობით ირთობდა და ჩვენც გვართობდა. ისე კი ეძებდა, სულ ეძებდა ხან საჭმლის ფულს, ხან ბინას, ხან რასა და ხან რას... მუდამ ჩაფიქრებული და უკმაყოფილო ეძებდა, ეძებდა ასე დაჟინებით: პოეზიის საიდუმლოს თუ ქალის სიყვარულს?

სიყვარულით გატაცებული, სიყვარულით თავდავიწყებული ბევრჯერ ყოფილა და მაინც იგი, პირველ ყოვლისა, პოეზიით ცოცხლობდა, ღმერთს ლოცულობდა. სიყვარული კი სულის დამშვიდების გზად და ხიდად მიაჩნდა, თუმცა სიყვარულშიაც არ წყალობდა ბედი.

როგორც იგი ამბობდა, პირველად 16 წლისას შეუყვარდა თურმე უგონოდ. ის ქალიშვილი მისი თანასოფლელი იყო, მასზე უმცროსი ერთი წლით, სკოლის მოსწავლე, ორი ნაწნავი მხრებზე ჩამოშვებული წელამდე წვდებოდაო, გამხდარი იყოო და მაღალი, ოდნავ ქერას მზის ფერი დაჰკრავდა. იმ ქალიშვილისათვისაც ეს პირველი გატაცება იყო ასე ერთბაშად რომ ეწვია და გულუბრყვილოდ შეუყვარდა უიღბლოდ შეყვარებული ყმაწვილი. ქალიშვილის მამამ ეს რომ გაიგო, ერთი განგაში ასტეხა თურმე, ტერენტის დაემუქრა და ქალიშვილი კი სოხუმში წაიყვანა მამიდასთან და იქ მიაბარა სკოლაში. ყმაწვილმა დიდხანს იდარდა, მერე ზუგდიდზე გული აიყარა და თბილისს მოაშურა. პირველი ლექსი თურმე ამ ქალიშვილის სიყვარულმა დააწერინა, ხოლო მის სულს ბოლომდე შერჩა სიყვარული. ეს ლექსი დაწერა და გული ამით ინუგეშა, თუმცა გაგზავნით ეს ლექსი მის ადრესატს ვერ გაუგზავნა, ქალიშვილის მშობლებისა მომერიდა, გახმაურებას თავი ავარიდეო, დაებეჭდე კიდეც ის ლექსი — „სევდა — ლენორას“...

ყველაფერში მორიდებული და გაუბედავი იყო. უყვარდა და იტანჯებოდა, მერე ეს ტანჯვა სულისა ლექსის სტრიქონებს გაანდო, ქაღალდზე გადაიტანა, სული კი სავსე ჰქონდა პოეზიით და სიყვარულით. თბილისში სხვა ვინმე შეუყვარდა თუ არა ეს მე არ ვიცი. ის კი ვიცი, ლილის, იმ სოფლელ ქალიშვილს წერილებს ყოველ კვირას რომ წერდა. უგზავნიდა თუ თავისთვის წერდა, ვერც ამის შესახებ ვიტყვი რამეს, ისე კი წესად ჰქონდა ყოველ ახალ ლექსს უთუოდ დაბეჭდვამ-

დე წამიკითხავდა, ამ ქალიშვილის სახელზე დაწერილ ბარათებსაც მაკითხებდა. მე წესად მქონდა ლექსს, წერილს თუ ბარათს, რომელსაც წამიკითხავდა, ვიმახსოვრებდი; იმავე საღამოს შინ რომ მოვიდოდი, მათ შინაარსს მოკლედ ჩავიწერდი ხოლმე. ეს ჩანაწერები აღვადგინე და წერილებად ავკინძე. ერთხელ დიდი კამათიც გვქონდა ამ თემაზე და მეც კამათის მოთხრობით დავიწყებ:

— შენ ამბობ, რომ ყველაფერი წარმავალია, მუდმივი არაფერია ამ ქვეყნად, ამიტომ რაც მალე გავეცლებით ამ ქვეყანას, მით ადრე დავაღწევთ თავს მუდმივ სატანჯველს...

— ჰო ასეა.

— თუ ეს ასეა, მაშ რად გიყვარს ლილი ასე გაგიჟებით, რად აეკიდე იმ ქალიშვილს ასე აჩრდილივით, რად უკარგავ მოსვენებას და უმწარებ ცხოვრებას?

— მე ის მიყვარს, მიყვარს უზომოდ, მიყვარს თავდავიწყებით. ის ღმერთია, თავად ღმერთი ცით მოვლენილი ჩემს სალოცავად. დიახ, ის პოეზიაა, პოეზია, რომელიც მაღლა დგას ყოველგვარ სიკვდილზე და წარმავლობაზე, სიყვარული და ღმერთი ერთია, სიყვარული და პოეზია ტყუპი ძმებია. მე მხოლოდ ამიტომ ვიტან ამდენ სატანჯველს, სატანჯველისგან სულის განწმენდის საშუალება სიყვარულია, სიყვარული და პოეზია. ლილი ჩემი ლენორაა, გახსოვს ედგარ პოს „ყორანი?“ იქ ლენორა ხომ მისი სატრფოს ხატია. დიახ, ღმერთს ლილი მოუვლინებია ტანჯვათა ჩემთა შესამსუბუქებლად და იმის წართმევა უნდათ, არა, ცოცხალი თავით არავის დავუთმობ ჩემს ლილის.

— მაშ რა გამოდის? — ამ მიწაზე, ამ ქვეყანაზე სიყვარულით შეიძლება ბედნიერების მოპოვება. თუ ეს ასეა, რად შევიძულოთ და ზურგი ვაქციოთ ამ ქვეყანას, ამ მიწას, მიწის შვილები, სიყვარულის შვილები ვართ ხომ?

აქ უცბად შეკრთა ტერენტი, თითქოს დაიბნა დიახ, ერთხანს მეც ასე მეგონა.

— როცა ის ქალიშვილი ჩემად მეგულებოდა, მეცა მწამდა და მჯეროდა რაღაც ამქვეყნად, და თუ ის ქალიშვილი და ის სიყვარული ისევ დავიბრუნე, მაშინ კვლავ დავტოვებ ჩემს სევდას და უსასოებას და დავწერ ლექსებს სიყვარულის და ქვეყნის ქებისა. ჩემს ვალს პირნათლად მოვიხდი ჩემი ქვეყნისა და მამულის წინაშე ისე, როგორც ეს შენ გინდა და მწერლის ვალი მოითხოვს ჩემგან, თუნდ ეწინააღმდეგებოდეს იგი ჩემს შეხედულებას პოეზიაზე; სიყვარულს შეუძლია მიწასთან კვლავ დამაბრუნოს. მაშ, სიყვარულს გაუმარჯოს, — ლილის გაუმარჯოს. და თვალები გაუბრწყინდა ტერენტის. ასე გახარებული პირველად ვნახე იგი. ჰო, იმ ღამეს სავსე იყო ტერენტის სული სიყვარულით და რწმენით, პოეზიით და სიყვარულით...

ამის შემდეგ მთელი ორი თვე არ მინახავს ტერენტი. იმ დღეს ისევ ბაღში შევხვდით მთლად ფერდაკარგულსა და დაღონებულს. მოვიკითხე, ჯერ არ უნდოდა რამე ეთქვა, მერე ერთბაშად დაიწყო:

— მოვტყუვდი, სასტიკად მოვტყუვდი, ლილის ღალატმა სამუდამოდ დამისამარა სიყვარული;

— რა ღალატი, როგორ? — ვკითხე მე ჩემდაუნებურად.

— იცი ლილი ათი დღის წინ გათხოვილა. — ეს თქვა და ბავშვივით აზლუქუნდა. — მე არავინა მყავს, არავის ვუნდივარ, ყველაფერი მირაჟია ამ ქვეყანაზე და მოჩვენება. მომეჩვენა, სწორედ მომეჩვენა, რომ იმ ქალიშვილს ვუყვარდი. უღვთოდ გამაწბილა, დავკარგე ის და დავკარგე რწმენაც... — ვუსმენდი უსასოობით შეპყრობილს, რწმენა დაკარგულ, იმედგამქრალ ადამიანს და ერთხელ კიდევ მივხვდი, რომ ტერენტი ნერვებაშლილი, უსუსური არსება იყო. გარემოება მას ნაფოტივით ათამაშებდა. სამსახური სურდა, სამსახურში ფეხი ვერ მოიკიდა, შიოდა და ფული არ ჰქონდა. მეგობრები, ნამდვილი მეგობრები არ ჰყავდა, რადგან ყველაფერს და ყველას იჭვის თვალით უცქეროდა. სიყვარულშიც უბედო აღმოჩნდა, და მასში ბრძოლის ჟინი სულ გაქრა, ჩაქრა სიყვარულის უცნაური მბჟუტავი იმედიც...

შინ რომ დავბრუნდი, აღვადგინე პოეტის წერილები მიწერილი ამ ქალიშვილისადმი:

— შენ ჩემთვის მარად ქალურის, ზეციურის განსახიერება ხარ, შენ მეტი ხარ, უფრო საოცრება და ზღაპარი, ვიდრე თვით გრეტხენი (ალბათ გაგონდება ჩვენი კამათი ფაუსტისა და გრეტხენის გამო). შენ ახლა სოფელში მარტო ხარ, მარტო, ფიქრებითა და ოცნებით სავსე. მე შენგან შორსა ვარ, მაგრამ ასე მგონია ჩემს გვერდითა ხარ, შენი სახე თვალწინ მიდგას, ის მამხნევებს, ის მათბობს, ის მაწერინებს ლექსებს. შენგან წამოსულმა რაც ლექსები დაგწერე. ყველა შენ გეკუთვნის, შენის კარნახით ვწერ ამ სტრიქონებსაც. ზის შენი სული ჩემს გვერდით და მიამბობს ზღაპარს, ზღაპარს საოცარს, ხან იმედით სავსეს, ხანაც სევდიანს, მე ორივეს ვუსმენ მოთმინებით და იმედით, მაგრამ ესეც ვერ ათბობს ჩემს სულს. რადგან ეს ყველაფერი წამიერი წარმოდგენაა, თურმე მირაჟია, ჭრება ეს საოცნებო, ლამაზი ზღაპარი და ხელში მრჩება სინამდვილე საშინელი, რომ მე აქა ვარ და შენ იქ, შორს, რომ მე აქ მარტო ვარ, სულ მარტო. არც მეგობარი, არც ამხანაგი, სიყვარული? სიყვარულიც არ არსებობს უშენოდ. შენ კი შორსა ხარ ჩემგან და რაც უფრო შორსა ხარ, მით უფრო მაშინებს ეს სიყვარული და თავდება ზღაპარი. იყო და არა იყო რა, იყო და არა იყო რა... რა კარგად ნათქვამია? ბევრ უგონოს ჰგონია, რომ ხალხი მარტო მიწას ეტრფის, ხალხური სიბრძნე მიწაზე დგას ორივე ფეხითო. ეს ასე არის და არც არის ასე. აკი ზღაპარი, ხალხური სიბრძნის ეს გამო-

ნაშუქი, ასე იწყება: იყო და არა იყო რა, დიახ, იყო და არც იყო... ასეთია ცხოვრება. ცხოვრება ერთი მოლანდებაა, ამ მოლანდებას ხალხმა იყო დაარქვა და იქვე დაუმატა — არა იყო რა. დიახ, აქ, ამ მიწაზე ყველაფერი წარმავალია, ამ აზრამდე მიმიყვანა შენმა დუმილმა. ორი წერილი გამოგიგზავნე და არც ერთის პასუხი არა ჩანს. ნუთუ შენც... ამას პირდაპირ სახელს ჯერ ვერ დავარქმევ, მე ისე მჯერა შენი და შენი სიყვარულისა. გამოგიტყდები, ჩემთვის არასოდეს ყოფილა ეს ცხოვრება რეალური, ხელმოსაჭიდებელი. სანუკვარი ამ მიწაზე ვერა ვპოვე რა. შენ, მხოლოდ შენ გამინათე ეს უკუნეთი და გონებას ბინდი გადააცალე, თითქოს შენ შეისმინე ჩემი ვედრება და ღიმილით დამაჯილდოვე. ამ ღიმილით ვცხოვრობდი დღემდის, აქამდე ათბობს ჩემს სულს გაციებულს ეს ღიმილი, რომელმაც მე თანაგრძნობა დამიდასტურა, და თუ სიცოცხლის ეს ერთადერთი ძალა — სიყვარული დავკარგე. მაშინ რა მეშველება მე უბედურს, შენით ავაგე მოჩვენებათა დიდი სასახლე, ყველა მეფეთა სასახლეზე უფრო დიადი და მე ვიყავ ამ სასახლის და შენი სიყვარულის ბატონ-პატრონი.

მდინარის პირას აღმართულ ამ ოცნების სასახლეს წინ ეზო ჰქონდა. ეზოში დიდი ცაცხვის ხე იდგა. ცაცხვის ჩრდილზე ფარდაგები ეფინა, ფარდაგებზე ორი ცისფერი მუთაქა იდო. ერთზე მე მედო თავი, მეორეზე — შენ. შევცქეროდით ერთმანეთს და ვნებით და ეშხით ვეალერსებოდით. მერე, დაბინდებისას, დიდ ძაღლებს აუშვებდნენ, რომ არავინ მოსულიყო და არ მოეტაცა შენი თავი ჩემთვის, ჩვენ კი ლამპიონებით გაჩირაღდნებულ სასახლის დიდ დარბაზში შევდიოდით: ჩუქურთმიან ფანჯრებზე აბრეშუმის ფარდებს ჩამოვუშვებდით და სიყვარულითა და სასოებით შევსცქეროდი შენს თვალებს. მთელი ღამე ასე ვიჯექი ასე ვტკბებოდით ერთმანეთისა ჭვრეტით; გათენებისას გაქრა აჩრდილი და ზღაპრის სასახლეც. და მე დამრჩა საშინელი სინამდვილე: იყო და არა იყო რა...

არავის ეგონოს, თითქოს ვარტისტობდე, არა, ღმერთმა დამიფაროს ამ სენისაგან. ზოგს ჰგონია, რომ რაღაცეებს ვიგონებ, განგებ ვისაწყლებ და ვისულელებ თავს, ამიტომაც მე უფრო თბილისის გარეუბნებს ვეტანები ან სასაფლაოა ჩემი საყვარელი ადგილი. მკვდრები ვერ შეთხზავენ ჩემზე სულის მომწამლავ ჭორებს. იქ მარტო ვრჩებით მე და ჩემი ოცნება. გარეუბნებში, მთვარის ნათელ შუქზე, ხავერდფენილ ველ-მინდორზე სევდა უფრო მაგრად შემოაწვება ჩემს ტანჯულ სხეულს და ქვეყნის მაწანწალა ჩემი სული იქ უფრო ნებივრობს. დამშეული და მთვარის შუქზე აბრიალებული ჩემი სხეული ლანდად იქცევა, სული კი რჩება ხელუხლებელი. სასაფლაოზე ნათლად ვგრძნობ, როგორ ცილდება ჩემს ტანჯულ სხეულს ჩემი გახარებული სული. და მოუთმენლად მე ველი, ველი სასწაულს. ამ მოჩვენებებში ჩამე-

ძინება. როს გათენდება, ღამენათევი და ნამთვრალევი ვუბრუნდები ჩემს უფერულ ცხოვრებას. მერე ღამისგან დამცირებული მივაშურებ ჩემს პატარა ოთახს და იქ ამბოხებულ ჩემს წიგნებს შევუერთდები. მერე შენ მობრძანდები და ვხედავ ამაღლდა, გაიზარდა ჩემი ოთახი, მას აღარ ძალუძს შენთან ერთად შავეთში ყოფნა და სურს ჯვარი დაიწეროს შენზე — მზეზე... მაღლა ასული ისევ ძირს დავენარცხე და ჩემი ოთახი ჩემი სხეულის ცივ სამარედ იქცა. აი მოლანდებანი ჩემო ლილი, მე რომ არ მასვენებენ.

გახსოვს ბეკო, ჩვენი მეზობელი ბეკო! მისი მოგონება ყოველთვის ღიმილს მგვრის. ამ ჩვენს ბეკოს მუდამ თავის გამოჩენა ეწადა. ყოყლოჩინობდა, ყოჩობდა. სადაც კი თავშეყრა გაიმართებოდა, პირველი გამოჩნდებოდა და ტაშფანდურას გააჩაღებდა. მახსენდება 1920 წელი, სოფელი შიმშილობდა. ამ დროს ჩვენს სოფელში ქალაქიდან ჩამოსული ვიღაც ყმაწვილი გამოჩნდა, გვარად ფეტელავა. ჰოდა იმ კვირას „ჯარობაზე“ იცეკვა. მთელი სოფელი გაოცებით და აღტაცებით ტაშს უკრავდა მოცეკვავე ფეტელავას. „თორმეტი ფიგურა“, „თორმეტი ფიგურა“, იძახდა და გასაოცარ ილეთებს აკეთებდა. „ჯარობაზე“ აქ ამ საცეკვაო მოედანზე ქალიშვილები და ვაჟები გოგმანით რომ ცეკვავდნენ, დაფრთხნენ ამ საოცარი ილეთების შემხედვარი. ეს ახალი მოდის ცეკვა ყველას მოეწონა და აი პირველი ბეკო შეუჩნდა ფეტელავას, გინდა თუ არ გინდა, უნდა გვასწავლო ეს ახალი ცეკვაო. თურმე ფეტელავა სწორედ ამიტომ იყო მოსული ჩვენს სოფელში. იმ კვირას ფეტელავამ ჭოჭუას სახლში ცეკვის კურსები გახსნა. ჩვენი სოფლის ოცი ქალიშვილი და ვაჟი ჩაეწერა. ამ ოცდღიან კურსებზე თითოს ბათმანნახევარი სიმინდი და 5 მანეთი უნდა გადაეხადა. ამ საშინელი შიმშილის წლებში დღესაც მიკვირს საიდან გააჩინეს ეს ცეცხლად ღირებული ბათმანნახევარი სიმინდი და 5 მანეთი. ოცი დღე იყო ტკარცალი, ახსნა-დარიგება ცეკვა-თამაში და ტაშ-ფანდურა ჭოჭუას სახლში. ყველაზე კარგად ეს რთული ილეთები — „12 ნომერი, 12 ფიგურა“ ჩვენმა ბეკომ აითვისა. და მთელს ჩვენს და ჩვენს მეზობელ სოფლებში ამ ცეკვითა და როკვით სახელი გაითქვა. იმ საშინელი შიმშილის დღეებში რა ეცეკვებოდათ ჩვენს ბიჭებს, დღემდის ვერ ამიხსნია. სოფლის გაჭირვებას, სევდასა და ვარამს ალბათ ამ ცეკვასა და როკვაში კლავდნენ. ყოველ შაბათსა და კვირა საღამოს ცეცხლზე გაფიცხებული დაირა უხმობდა სოფლის ვაჟებსა და ქალიშვილებს საცეკვაო მოედანზე და იყო — გახურებული ცეკვა და როკვა. საოცარი კანონი აქვს ბუნებას. ადამიანებს მარტო გაჭირვებაზე და წვალებაზე რომ ეფიქრათ, ალბათ, მთლად დაიტანჯებოდნენ, ისედაც დატანჯულები. და დრო და დრო გამოეთიშებიან ხოლმე ამ საოცარ გაჭირვებას და მწუხარებას. ალბათ იცი, რომ ექიმები ბავშვების წამალში შა-

ჭარს ურევენ. მწარე წამალი ბავშვების თვალში ტკბილ სასმელად იქცევა. ასეა ეს ჩვენი ცხოვრებაც, შიგ თუ სოფლის საწამლავს რაღაც ტკბილი არ გაურიე თავის მოსატყუებლად, ისე მთლად ჯოჯოხეთად იქცევა. მაგრამ მე მაშინაც, როცა ბეკო ცეკვითა და როკვით ერთობოდა, მაშინაც და ახლაც წინააღმდეგი ვარ ასეთი თავის მოტყუებისა. ცხოვრება თავისი ნამდვილი სახით და სახელით — ეს იყო და არის ჩემი დევიზი. ასე თუ განსჯი, ჩემზე დიდი რეალისტი არავინაა ამ ქვეყანაზე, ამის გამო ვარ მე პესიმისტი და მისტიკოსი. ვიცი, რომ სიმართლე ჩემს მხარეზეა.

— გუშინ ერთი პოეტი შემხვდა, ლაპარაკში შევყევით, და ბოლოს იცი რა მითხრა? — შენი პოეზია საქართველოში არასოდეს იქნება პოპულარული. საქართველოს, მზისა და სიცოცხლის ქვეყანას, შენი ტირილი გულზე არ მოხვდებაო. გავჯავრდი, იმას საკადრისი პასუხი ვერ გავეცი და ახლა შენ გწერ, ჩემო ლილი. მინდა შენ გითხრა ვით აღსარება, რომ ის პოეტი მართალი არ იყო, მე ვიცი ჩემს ლექსებს ჩემსავით პოეზიაზე შეყვარებულები წაიკითხავენ და პატივად ესეც მეყოფა. ისინი მიწამებენ მე და ეს აუდიტორია სრულიად საკმარისია ჩემთვის. ფილისტერი გამკილავს მე. ცხოვრებას დახარბებულნი, კომფორტის მოყვარულები, მეშჩანები, არ მიწამებენ, მაგრამ მათთვის ერთი სტრიქონიც არ დამიწერია. მე ვწერ მათთვის, რომელთაც ჩემს მსგავსად მუდამ ესმით ყურში სიკვდილის კაკუნი, ჩემი ლექსი მე და ჩემისთანებს უადვილებს ცხოვრების გზას. კაცს, რომელსაც სიკვდილისა არ ეშინია, ბევრი რამე შეუძლია გააკეთოს ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის, ამას რად არ ითვალისწინებენ ჩემი მოწინააღმდეგეები, ეს არ მესმის. კაცს ხშირად უნდა გაახსენო, რომ არის სიკვდილი, „გახსოვდეს სიკვდილი“ — ეს ჩემი პოეტური კრედოა. და რაკი ამ ქვეყანაზე დროებითა ვართ, ისეთ რამეს ნუ გავაკეთებთ, რომ ეს წუთისოფელი ერთმანეთს გავუმწაროთ. მე ხშირად მაწამებენ და ამიტომ უფრო გაღიზიანებული ვარ.

ამ ბარათს შენ გიგზავნი, ჩემო ლილი, და იცოდე, რომ მე სულიერად მას შემდეგ უფრო დავეცი, რაც შენ ხელი მკარი. შენი სიყვარულისაგან გაწბილებული ჩემი სული სხვა გზას არ ხედავს, გარდა სიკვდილისა და ჩემი მტრები ამით ხარობენ. სხვამ არავინ დამინდო ამქვეყნად და ეგებ სიკვდილში ვპოვო შვება.

მე ისევ თბილისში ვარ, ჩემს თბილისში. თბილისი და მე ორ განუყრელ მედ ვიქეციო. თბილისის ღამე, უცნაური ჩემი სიზმრები, ბაღები და სასაფლაოები — ისევ ჩემი ძმები და დები არიან. მათთან ვსაუბრობ, მათთან ვლოცულობ, მერე მოვა ღამე და მე ბაღიდან გამომაგდებენ, ბარბაცით გავყვები ბესიკის აღმართს, შევალ და ჩემს ოთახში ჩავიკეტები. ოთხკედელ შუა ვწევარ მგლოვიარე და იწყება

სასტიკი ღამე, უძილო ღამე. აიშლებიან ჩემი ფიქრის იალქნები და სული ჩემი აფრინდება უსაზღვროების ბნელ სავანეში. სულს გაცილებული ჩემი სხეული ცეცხლივით იწვის, ვტრიალებ, ვბორგავ ლოგინში მოუსვენარი და ვბუტბუტებ ჩემსავე სტრიქონებს: „ელავს მზიანი სივრცე, ვხედავ შორეულ მიზანს, დროა გავფრინდე ცისკენ, დროა გავექცე მიწას“.

ჩემს ოთახში ბნელა, გარეთ ქარიშხალია. ჰო, ქარი ამოვარდა და ჩემი სახლის სახურავზე დაჯირითობს მიუსაფარი. ქარის ბედს ჩემი ბედი ჯობია, მე ოთახში ვწევარ და ჩუმად ვარ ჩემთვის, გარეთ ქარიშხალი დაჯირითობს და ბინას ეძებს. ქარითა და ღამით გაწამებული, ვკარგავ მოსვენებას. ვერც დღით ვპოულობ შვებას და ბედით ჩემით მაინც კმაყოფილი ვარ. სადაც ვარ ყველგან თან ვატარებ ჩემს ტანჯვას, სავსეს შენზე წუხილით, სოფელში თუ ქუთაისში, კახეთში თუ თბილისში თანა მდევს ღამე...

წუხელ ისევ შენზე ვფიქრობდი, ლილი — ლილი, ჩემო ოცნებავ და სიყვარულო! შენზე ფიქრით გულმოკლულმა ვერ მოვისვენე, ავდექი და ლექსი დავწერე:

საღღაც სამარეს ავსებენ მიწით,
მე შენს წინაშე გული გავხსენი.
და მზის სხივებთან შუადღე იწვის,
მე ადიდებულ მტკვარს გადავცქერი.
არ ვხედავ იას, არ ვხედავ ყვავილს,
მე შენ წინაშე გული გავხსენი,
მიწაზე უცებ დაეშვა ყვავი.
მე ადიდებულ მტკვარს გადავცქერი.
საღღაც ქალები ნელა მიდიან,
მე შენ წინაშე გული გავხსენი.
ძირს ვიმყოფები, მაღლა ხიდია,
მე ადიდებულ მტკვარს გადაეცქერი...

მე შემიძლია ისე მოვკვდე, რომ ვერ გნახო, მოვა დრო და ეს ლექსი ჩემს თავს გაგახსენებს. ჰო, როგორ მინდა მე შენი ნახვა, მაგრამ ვაი რომ ეს შეუძლებელია. აკი მომწერე, ქმარი ჩემი ეჭვიანობს და ათი მსტოვარი ყავს მოჩენილი, ნუ ჩამაგდებ ჭორიკანების ყბაშიო. რაკი შენ ეს გსურდა, მე ჩამოგშორდი, მაგრამ ვაი, რომ ვერ მოვახერხე შენი დავიწყება და ვწერ ბარათებს და ლექსებს, ვწერ და ისევ ჩემს თავსა და ერთს ჩემს მეგობარს ვუკითხავ, დაე იმან მაინც იცოდეს ამ ქვეყანაზე, რომ ისევ მიყვარხარ თავდავიწყებით და ვერც ვერასოდეს დაგივიწყებ, ჩემო. დაე მოვკვდე უსიყვარულოდ, ოღონდ შენ იყო კმაყოფილი შენის ბედისა.

დღეს მთელი დღე ბაღში გავატარე, მერე დავლიე, დავთვერი, ღამე მაინც არ დამეძინა. ასე გავიდა ეს ღამეც წვალებით სავსე, ფიქრები

ისევ ამეშალნენ და გათენებისას ეს ლექსი დავწერე, იგიც შენია, მხოლოდ შენი:

ქარია მძლავრი და საღამოა,
ცაზე ყვითელი ღრუბლები რბიან,
იმას არ ველი, ის აღარ მოვა,
იმაზე წუხელ არ მიფიქრია.
მზე დაიმალა ყვითელი ფერით,
(არც ეს გედია ქარზე ნაკლები)
მთაზე ჩამოწვა ლურჯი ღრუბელი
ღრუბელი მსგავსი მაღალ აკლემის.
ქარია ისევ და საღამოა.
ქარმა ჩემს სურვილს ფრთები მოსტეხა
ის არ მოსულა, ის აღარ მოვა
ის დადიოდა ბაღში ოდესღაც.
ღამდება და მეც ვციოლდები საზღვარს,
საღამოს დარდი უფრო მწარეა.
ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც,
ის შორეული სიმწუხარეა.
ო, ყოველიე როგორ მომბეზრდა,
ქარია ისევ და საღამოა.
ის დაიკარგა ქარში ოდესღაც
იმას არ ველი, ის აღარ მოვა.

შენმა სიყვარულმა მათქმევინა მე ეს ლექსიც. ვაი, როგორ მინდა, რომ შენ ეს იცოდე, შენ ეს გჯეროდეს! მე მიტაცებდა ერთადერთი იმედი — შენი სიყვარული. ეს იმედიც ჩაქრა და სულ მარტო დავრჩი. იმ დღეს თბილისში შენი და ვნახე. მითხრა: თითქოს შენ გითქვამს: მენატრებაო ჩემი ტერენტი, ქმრის რომ არ მეშინოდეს, თბილისში წავალ და ვნახავო უთუოდ. ისიც მითხრა, წერილებს ნუ მომწერსო, ლექსები გამომიგზავნოსო, ლექსებთან აბა ვის რა ხელი აქვსო... დღეს ბაღში ვიყავ და უცბად შენი ხმა მომესმა, მოვიხედე, ვიღაც ქალიშვილი ბავშვს მოუხმობდა. გული მომიკვდა, მერე ისევ შენი ხმა მომესმა, „მე მივდიოდი, შენ დაგინახე და შენ იკივლე ჩემი სახელი“. ნამდვილად ისაა-მეთქი გავიფიქრე და ჭუჩისკენ გავიხედე, ნაცნობი დავლანდე, ის ნაცნობი მეძახდა, მაგრამ ხმა არ გავეცი, გავერიდე. რას იფიქრებს ის ქალი ჩემზე, მთლად შეშლილიაო, ალბათ ვერ მიცნოო: ცნობით როგორ ვერ ვიცანი, მაგრამ ახლა მისთვის აღარ მეცალა. მე მაშინ მხოლოდ შენზე ვფიქრობდი და, „მე ვატარებ ანგელოზის ნიღაბს!“ ეს ანგელოზი შენა ხარ, ლილი! წინასწარ ვიცი, რომ განწირული ვარ და მაინც შენს ლანდს ველაციცები. ვიცი, განწირული ვარ, ეშაფოტი მელანდება ყოველ საღამოს, და მაინც მჯერა, რომ მთლად არ გამწირავ. მე გადავლახე ჩემი რწმენა, გუშინ შენი დისაგან შენი დანაბარების მოსმენის შემდეგ ეს ლექსი დავწერე.

დღეს გუშინდელი ფიქრი დავშალე,
გაჩნდა ოცნება კიდევ სხვა ფერის.
ვფიქრობ: ძვირფასო, რა დავაშავე,
ან რისთვის მოხდა ეს ყველაფერი?!
ისევ საშინელ დღეებს განვიცდი,
წინ მიდევს წიგნი სისხლით ნაფერი.
ეღონდები, ვდარდობ, თუმცა არ ვიცი,
რის ნიშანია ეს ყველაფერი!
სული ამაღლდა, გული ილეწა,
თითქოს საკუთარ ცხედარს დავცქერი,
არ ვიცი მართლა სინამდვილეა,
თუ სიზმარია ეს ყველაფერი?!..

ეს ლექსიც წავა ოცნების იქით და შენ დარჩები ისე გამოუცნობი მისანი, ჩემო ლილი, ჩემო ლილი! ვის შეუძლია მითხრას „სიკვდილის გარდა, კიდევ რა ქვია ჩემს ასეთ გლოვას და აღელვებას“?!

დღეს შენი წერილი მივიღე. მწერ, შენმა ლექსებმა დიდად გამახარესო, იმათზე ძვირფასი მე ახლა არაფერი მაქვსო, პერანგის შიგნით ქისა მკიდია, გულის ფიცარზე მიდევს ეს ქისა. ქისაში შიგნით კი შენი ლექსებია. სათუთად დაკეცილი და ჩადებული ეს ლექსები — შენი გულია, ახლა კი ჩემს გულზე ასვენია, როცა ვწევარ ვაკოცებ ხოლმე ამ ქისას, ეს კოცნაც შენ გეკუთვნის ჩემო. გულში ვინახავ და ვმალავ, არ მინდა ქმარმა გაიგოს. შენ ჩემზე უკეთ იცი, რა ეჭვიანი და სასტიკია. თუ მიზეზი ვიპოვე და ქმარს თავი დავაღწიე, ამ თვის ბოლომდე ჩამოვალ თბილისს და იქ გიამბობ, რაც გადახდა შენს ლილის.

ამგვარ ბარათს მე შენგან არ მოველოდი, ჩემო ლილი. თურმე არ ჩამქრალა შუქი, რომელიც მე შენს გულში ავანთე. სახლიდან დილა-ადრიან ბაღში წავედი, იქ კიდევ ორჯერ წავიკითხე შენი წერილი, აღგზნებულმა ბაღში ვერ მოვისვენე, გამოვედი, ია-იისა კონა ვიყიდე. იქვე ეტლი შემხვდა, ჩავჯექი და რუსთაველის პროსპექტს სამი გზით დავუარე, ეტლიდან რომ ჩამოვედი, გენო ქელბაქიანი შემხვდა. ასე აღგზნებული რომ მნახა, გაუკვირდა. რაღაცეებს მეკითხებოდა, მაგრამ მე მისი სიტყვები აღარ მესმოდა, ისევ შენზე ვფიქრობდი, შენი წერილი არ მასვენებდა, დავტოვე გენო და ხალხს მივაშურე. ეს ლექსი დავწერე და დავწყნარდი. ამ ლექსსაც შენ გიგზავნი, ჩემო, ამასაც იმ შენს ძვირფას ქისაში მიუჩინე ბინა და ეს მეყოფა ბედნიერებად, ლილი, იცოდე ამას გულწრფელად ვამბობ. აი ეს ლექსიც:

იყო საღამო, გამოთხოვება,
იყო გარშემო ჭარის ტრიალი,
მე ვუბრუნდები ახლა ცხოვრებას
— მომწყინდა ქუჩა და ხეტიალი.

ეხლა თოვლია, ღამე დღეს მისდევს,
კმარა ცრემლები, მეყო წამება
მიწიდან ცამდე სივრცეა ისევ,
მიწიდან ცამდე შავი ღამეა.
ცა სპეტაკია, მთვარე დაბერდა
და დამით ფიქრი უფრო ხშირია.
ჩემი ცხოვრება გადასხვაფერდა,
ჩემი ცხოვრება სხვანაირია.
რა ვქნა, გამეფდა სულში ჩრდილები
და პოეზია ჩემთვის ფიცია.
ახლა ვმსახურობ, ვემორჩილები
„ახალი სოფლის“ ექსპედიციას...
მე ასე ვატყობ, უფრო ფრთას გავშლი,
უფრო იელიან თეთრი ფიქრები
თუ ცხოვრებასთან დავიჭერ კავშირს,
თუ მე ცხოვრებას შევურიგდები.
იყო საღამო, გამოთხოვება,
იყო გარშემო ქარის ტრიალი.
მე ვუბრუნდები ეხლა ცხოვრებას,
მომწყინდა ქუჩა და ხეტიალი...

იმ დღეს მწერალთა კავშირში ვიყავი და ეს ლექსი წავიკითხე, შევატყვე, ზოგს არ მოეწონა ეს ლექსი, ზოგს გაუხარდა, ვიქტორ გაბესკირიამ ტაშიც დამიკრა. მერე, ტრიბუნიდან რომ ჩამოვედი, მაგრად ხელი ჩამომართვა და მომილოცა. გამეხარდა, ვიქტორ გაბესკირია არა მარტო კარგი პოეტია, არამედ კარგი მოქალაქეც. გავიდა დრო და შენგან პასუხი რა არის, პასუხიც არ მიმიღია. ჩემს სულს ისევ დაეუფლა სევდა და მწუხარება. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მწუხარებისათვის ვარ დაბადებული. ისევ მესტუმრა ჩემი განუკურნავი მელანქოლია. ჩემი ბედი ისევ ქუჩას მივანდე. იმ დღეს ბაღის დუქანში დავთვერი, მერე, გარეთ ერთი ლოთი ამედევნა და სანამ სილა არ გავაწანი, არ მომცილდა. ორივე მილიციაში წაგვიყვანეს. მთელი თვე ციხეში მაყურყუტეს. კარგი ის იყო, რომ ლექსებს ვწერდი, იქიდან გამოსული რედაქციებს მივადექი. რა ვქნა, სხვა არაფერი გამაჩნია გარდა ლექსებისა. ამ ლექსებსაც რომ არ მიბეჭდავენ? ლექსის წერაზე ხელს მაინც ვერ ამაღებინებენ „ამდენი წამებისა და გლოვის შემდეგ მე ისევ დამრჩა გული პოეტის. დიდი ხანია, რაც დავიბადე, დიდი ხანია, რაც ვიტანჯები“. დიახ, მე დღისით და ღამით პოეზიის ღმერთზე ვლოცულობ. პოეზიით ვცოცხლობ: სხვა სიცოცხლე არც მომისურვებია მას შემდეგ, რაც ლექსების წერა დავიწყე. ლექსითა ვარ დადაღული, ჩემი სული იწვის, იწვის, ლექსების ალით და როცა ეს ალი პოეზიისა ჩაქრება, ჩემი სხეულიც გაცივდება და დამარხავენ. სული კი, ჩემი სული პოეზიით სავსე დარჩება, დარჩება მარად ცოცხალი. მას მტრების სისინი ვეღარ დააჭნობს, ჩემი პოეზია

ჩემს ხალხთან ერთად იცოცხლებს. ეს რომ არ მწამდეს მაშინ უფრო ადრე მოვიკლავდი თავს. დიახ, უფრო ადრე. მე ვცხოვრობ პოეზიით, მე ვცოცხლობ პოეზიით. ერთი პოეტი მაინც ხომ უნდა იყოს ისეთი, სხვებს რომ არა ჰგავს. მე ჩემი პატარა სარკმელი მაქვს და აქედან ვუცქერი ამ ქვეყანას. მერე რა, რომ ზოგიერთებს არ მოსწონს? წარამარა მაგონებენ: სევდიანი, მოტირალი... დე, გაიგოს ყველამ, რომ მე სხვანაირი ლექსის წერა არ შემიძლია. მე ერთი ვარ ტერენტი გრანელი და არც არასოდეს ვისურვებ სხვა გვარითა და სახელით ყოფნას პოეზიაში.

იმ ღამეს ვერის ბაღში ვიჯექი და ჩემს სოფელს, წალენჯიხას ვიგონებდი. წალენჯიხა მიყვარს, თუმცა პირველი ტკივილები ჩემმა მტრებმა იქ მომაყენეს, საშინელი პირველი ჭორი იქ გამივრცელეს. მაინც განუზომელია ის სიკეთე და ამაგი, რაც ჩემმა სოფელმა მარგუნა. წალენჯიხის საოცრად ზვიადმა მთებმა. გიჟმაგი ენგურის ზვირთებმა სიამაყე დამანათლეს მე. აქ გამომეცხადნენ ჩემი საოცრად გაორებული პოეტური ხილვები. წამოვიზარდე თუ არა, ჩემს თავში ორი სული აღმოვაჩინე: ერთი — ენგურის ჭინკებმა და მთების ოჩოკოჩებმა დამანათლეს და ეჭვითა და უნდობლობის შიშით გამსჭვალეს, მეორე სული ჩემი მამაჩემსა და ჩემს დებს ებარათ და სიკეთე, სინაზე, მოკრძალება ჩამაგონეს. მერე შენ გნახე და ჩემს სულს ვნებულს მეტი სინაზე და სითბო მოეცხო. მაინც ჩემში ორი სული იყო, ორი არსება და იყო გაუთავებელი ბრძოლა საკუთარ თავთან. და ჩემს სულს მოსვენებას უკარგავს ეს ორი დემონი. დემონი ეჭვიანი სულის და დემონი კეთილი ანგელოზის, წალენჯიხის უძველესი ეკლესიის ზარების გრიალი და თბილისის ქარხნების საყვირი ორმაგად ჩაესმის ჩემს გაორებულ სულს. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ (თუმცა დედინაცვალი კარგად მიგვლიდა და არც მე ვიყავ მის მიმართ გულცივი), მამა და დები დამრჩა იმედად. დები და მამაჩემი ჩემი ლექსების ლირიკულ გმირებად ვაქციე კიდეც.

„მამა — შენ ერთი იყავი შენ ერთი წმინდა. მე მაგონდება ჩემი ბავშვობა და წალენჯიხა კარგი სოფელი“.

ლილი! მერწმუნე, ჩემო, რომ ასე იყო. ასე იყო გუშინ, დღეს, დღეს კი სულ სხვა ვარ... ეს ღამე თეთრად გავათენე შენზე ფიქრით და ოცნებით და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ დღემდის რაც დამიწერია, შენზე ლოცვით ნათქვამია.

ასეა ხოლმე, ჩემს პატარა ოთახში ერთი ციცქნა სცენა აღიმართება, შენ შედგები ამ სცენაზე და იქიდან მკარნახობ თითქოს იმას, რასაც კი ვწერ. მსაყვედურობენ, რომ ცოტას ვწერ. დიახ, ცოტას ვწერ, შენზე ფიქრს უფრო მეტ დროს ვანდომებ, ვიდრე ლექსების წერას. ცოტა და კარგი, კარგი და ცოტა მუდამ იყო ჩემი დევიზი. ვიცი,

მეტყვიან კარგი და ბევრი სჯობსო, კარგი და ბევრი იშვიათად თუ იგუებენ ერთმანეთს. რაც ბევრი და გავრცელებულია, ის არც არის საინტერესო პოეზიაში. ლამაზი ქალები თითებზე თუ ჩამოითვლება, გენიოს პოეტს ერთ-ორს თუ დაასახელებ, კარგი პოეტები და კარგი ლექსები ასევე ცოტაა, თითებზე ჩამოსათვლელი... მოდი ამაზე კამათს თავი გავანებოთ. მე ის ვიცი, რომ შენ ერთი ხარ, ერთადერთი ამ ქვეყანაზე, ჩემი სალოცავი ხატი, ჩემი ბედდამწვარი სიყვარული. შენ, ზღვის ასულო, ზღვისფერ თვალებავ, შენა ხარ ჩემი ოცნება, ჩემი ფიქრი და ჩემი სიყვარული, ჩემი ლექსების ჯავარი, მე არ ვიცი ახლა სადა ხარ და როგორ ატარებ დროს, სად ცხოვრობ. იქნებ ჩემი ოცნების ნაყოფი ხარ და მეტი არაფერი, იქნებ მე გამოგიგონე და ჩემს მიერ შექმნილი ოცნება ხარ მხოლოდ. არა, მე ის ვიცი, რომ ლილი ჩემია და უზომოდ მიყვარს, უსაზღვროდ, უკიდეგანოდ. შენ ნამდვილად ხარ, ერთადერთი სინამდვილე შენა ხარ მხოლოდ, იქნებ ვერ აღვასრულო ოცნება ჩემი და ჩემი არ გახდე, ქმარს დარჩე, როგორც საკუთრება, რაკი ერთხელ გამცვალე მასზე, არც არასოდეს მოიბრუნო ჩემსკენ გული. მე მაშინ საშინელ რამეს ჩავიდენ, ჩემს პატარა ოთახში თავს ჩამოვიხრჩობ, ბარათს დავტოვებ, ყველა გაიგებს რომ შენი მსხვერპლი ვარ, მსხვერპლი. ჩემი მეგობრები მოგძებნიან და ძალით დაგატირებინებენ ჩემს უბედურ თავს და მე ჯილდოდ, იმ უიღბლო სიყვარულის ჯილდოდ, ესეც მეყოფა...

გუშინ მე, გალაკტიონი და გენო ქელბაქიანი ვანო სარაჯიშვილის კონცერტს დავესწარით ოპერაში. პარტერის ბილეთები გვქონდა, მაგრამ გალაკტიონმა არ ქნა და ჭანდარაზე აგვიყვანა. ადგილები აქაც დაკავებული იყო და სადღაც კუთხეში გავჩერდით. სამი ახალგაზრდა ადგა და ადგილები დაგვითმეს, მაშინ გალაკტიონმა იმათ ჩვენი პარტერის ბილეთები მიაწოდა, სიხარულისაგან ცას ეწევნენ ის ახალგაზრდები.

ვანო! ჩვენი ვანო, ეს საქართველოს ბულბული, საქართველოს მაფშალია, გუშინ მაინც არაჩვეულებრივი იყო. „თავო ჩემო“, რომ იმღერა, მე ავტირდი, გალაკტიონმა გამომხედა და არაფერი მითხრა დარბაზი სულგანაბული უსმენდა ვანოს სევდიან სიმღერას და აქა-იქ ქვითინიც გაისმოდა „თავო ჩემო“! აკაკისა და ფალიაშვილს ამის მეტი რომ არაფერი შეექმნათ, ამითაც დაიდებდნენ მუდმივ ბინას ქართველი კაცის გულში. ეს ლექსი და სიმღერა კი არა, მოთქმა იყო ადამიანის ბედისწერაზე, და მე, ჩვენებური, მეგრული ტირილი მომაგონდა. ვანომ სიმღერა რომ დაამთავრა, დარბაზი ერთხანს ისე გაოგნებული იყო, ზოგიც ცრემლს იშრობდა ცხვირსახოცით, მერე ისეთი ტაშისცემა ატყდა, რომ მთელი დარბაზი ზანზარებდა. გალაკტიონი ფეხზე ამდგარიყო აღგზნებთ ტაშს უკრავდა ვანოს. მე, მე კი ისევ ვტიროდი. ეს

იყო ტირილი სიხარულის, აღტაცების, მწუხარების, ტანჯვის, სულის წვალების...

ჩემს ბარათებში ჩემო ლილი, იქნებ ხშირია განმეორებანი, ერთდაიმავე საგანზე ჩივილი, მაგრამ უნდა მაპატიო, რადგან სხვაგვარად ვერ გამომიხატავს ეს უზომო სიყვარული და ტანჯვა ჩემი სულისა. ჩემი ცხოვრება ალბათ უფრო აუტანელი ტრაგედია იქნებოდა, შენ რომ არ მეგულებოდე, შენ და მხოლოდ შენ მაკავშირებ ამ სამყაროსთან. ვიცი, რომ სხვა ბედნიერებას მე ვერ ვპოვებ, არც ამ მიწაზე და არც ზეცაში, გარდა შენი სიყვარულისა. ჩემი ცხოვრება, შენზე ოცნებით და სიყვარულით, ერთი გაბმული სიზმარია. და როცა მე ამ სიზმარში ვარ, ჩემი სული დამშვიდებულია, დამტოვებს სიზმარი და უზომოდ ვიტანჯები. მინდა ისე ბედნიერი ვიყო, როგორც სიზმარში და ვუბრუნდები ჩემს სიზმარს, სიზმარს თუ ზღაპარს, ვთხზავ და ვიგონებ ვთხზავ და ვიგონებ ამ ახალ ცხოვრებას, სიზმრისეულ ცხოვრებას და შენზე ფიქრი ისევ მეწვევა.

გახსოვს ის ბედნიერი დღე? — ზღვისფერთვალა, კაფანდარა, უკან ზურგზე გადაგდებული ორი ნაწნავით მე-7 კლასის მოწაფე, სკოლის გვერდით, ორღობეში შემხვდი. ერთ სკოლაში ვსწავლობდით, მაგრამ მე ხომ უფროსკლასელი ვიყავი და პატარებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ეს შეხვედრა კი ზღაპარს ჰგავდა. წინ გადაგიდექი და აგეტუზე, მაგრამ სიტყვა კი ვერ გავიღე, ვერაფერი გითხარი. ვიდექი უცხო ფერიის წინ და დაჟინებით გიყურებდი, მერე თვალთაგან ბინდი გადამეცალა და ხმამაღლა გითხარ, ვინა ხარ შენ, ხობის ანგელოზო-მეთქი. არც კი ვიცი გაიგონე თუ არა, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, კარგად მითქვამს, შენ მართლაც ხობის მონასტერში ცოტნე დადიანის გვერდით დახატულ მის მეუღლეს მიგამგვანე და ეს მოლანდება მართალი იყო. მერე გამოგეკიდე, დაგეწიე და ხელით შეგაჩერე. შენ ეს იუკადრისე, ხელზე ხელი ამკარი და გაიქეცი. მე ისევ ის სიტყვები გამოგადევნე — „ვინ ხარ შენ, ხობის ანგელოზო-მეთქი“. მერე გეძებდი ყოველ დღე სკოლაში. შენ გამირბოდი, ეს სხვებმაც შენიშნეს და ერთხელ ამის გამო გამიწყერი კიდეც, მაგრამ მე არ ჩამოგშორდი და ახლაც სულში მიზიხარ... სადა ხარ სადა, ჩემო ლილი! ან ის დღე და ის პირველი შეხვედრა თუ გახსოვს? ან ის პირველი თოვლივით სპეტაკი სიყვარული თუ შემორჩა შენს სულს?

* * *

1919 წლის 14 მარტს ტერენტი გრანელი „აბესალომ და ეთერის“ პრემიერას დაესწრო. ზაქარია ფალიაშვილის ამ უკვდავ ოპერაში აბესალომის როლს ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა, მურმანის — სანდრო ინაშვილი, ეთერის — შულიგინა-ბახუტაშვილი, მარეხს — გრანელი. ვა-

ნო სარაჯიშვილის აბესალომის შემდეგ ყველაზე დიდი მოწონება მარეხის როლის შემსრულებელ უცხოელ ქალიშვილს გრანელს ერგო წილად. ამას ხელს ისიც უწყობდა რომ ამ მომღერალ უცხოელ ქალიშვილს საოცრად ხავერდოვანი ხმა და მშვენიერი გარეგნობა ჰქონდა. პოეტი ერთბაშად მოიხიბლა მომღერალი ქალიშვილით. იმავე საღამოს კულისებში შეხვდა, იის კონა მიართვა და თავი გააცნო, როგორც მისმა თაყვანისმცემელმა და პოეტმა. მერე არ მოცილებია პოეტი ამ იტალიელ მომღერალ ქალს მთელი ორი წელი. ტერენტი „აბესალომ და ეთერის“ ყოველ წარმოდგენას ესწრებოდა და წარმოდგენის შემდეგ იის კონით კარებთან ელოდა. ტერენტიმ ფრანგული იმდენად იცოდა რომ შეყვარებული პოეტის გრძნობებს ადვილად უზიარებდა იტალიელ მომღერალ ქალიშვილს. ქალი კი სულ იცინოდა, იღიმოდა. ტერენტი ვერ მიმხვდარიყო მის გულუბრყვილო საქციელს დასცინოდა თუ მის ფრანგულს. ასე, მთელი ორი წელი ელაციცებოდა პოეტი მომღერალს, მაგრამ უზომოდ შეყვარებულმა პოეტმა სამაგიერო ვერ მიიღო მომღერლისაგან. მერე მსახიობი თავის სამშობლოში გაემგზავრა და ეს გატაცებაც უიღბლო აღმოჩნდა. სამაგიეროდ ისე ძლიერ აღიბეჭდა პოეტი კვირკველიას სულში ეს ხატება იტალიელ მომღერალი ქალისა, რომ გადაწყვიტა თავის უკვე გახმაურებული ფსევდონიმი — ტერენტი წალენჯიხელი — ტერენტი გრანელად ექცია.

უცხოელი მომღერალი, ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ მარეხი ასე გახდა პოეტის სულის ზიარი.

მოულოდნელად გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი. საბჭოთა საქართველომ დაკარგა თავისი უპირველესი მომღერალი, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ტენორი. უმძიმესი დანაკლისი იყო ეს. საქართველოში ეროვნული გლოვა გამოცხადდა. თბილისს მოასკდა მთელი საქართველო. ხელოვანთა სახლი, სადაც ესვენა ვანო სარაჯიშვილი, მგლოვიარე და მოქვითინე ხალხით იყო სავსე. უკრავდა სიმფონიური ორკესტრი და ვანოს ცხედართან განუწყვეტლივ იცვლებოდა საპატიო ყარაული. მომღერლებს პოეტები ცვლიდნენ, მეცნიერებს— მუშები, მუშებს სოფლიდან ჩამოსული გლეხები, მერე სტუდენტები, მოწაფეები, ექიმები, მასწავლებლები და ასე დაუსრულებლივ. გრანელი ვანოს ცხედარს არ მოსცილებია. მთლად აცახცახებული და ნერვებაშლილი ერთ ადგილზე არ ისვენებდა. ტერენტი გრანელის ლექსი და ბევრი სხვების ლექსებიც გამოქვეყნდა იმ დღეებში ჩვენს პრესაში. ხალხმა კი ტერენტის ლექსი აიტაცა. საღამოს რომელიღაც მსახიობმა პანაშვიდზე წაიკითხა ეს ლექსი. ტერენტიმ დიდი ქართველი მომღერალი ყველაზე მგრძნობიარედ დაიტირა!

დაკრძალვა! დაკრძალვა კი უჩვეულო იყო. თბილისს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემდეგ ამდენი ხალხი არ ახსოვსო,

ამბობდნენ. ეს იყო ნამდვილი სახალხო გლოვა დიდი შემოქმედისა, პოპულარული მომღერლისა. საქართველოში არავინ ყოფილა ასეთი მასობრივად პოპულარული ოპერის თეატრის მომღერალი. ოპერა მაინც კამერულ, აკადემიურ წრეთა კუთვნილებაა. ვანო სხვა იყო. ვანოს ხმით მთელი საქართველო მღეროდა. ვანო ხალხურ სიმღერებსაც ისევე აზარტით ასრულებდა, როგორც რთულ საოპერო არიებს, თანაბარი სილაღით ილხენდა იგი, მღეროდა იგი, როგორც კახელი გლეხის სუფრაზე, ისე ოფიციალურ ბანკეტებზე. თავისებური, ვანოსებური ხალისი შეჰქონდა ყველგან, სადაც იგი გამოჩნდებოდა. ყოველი შეკრების სული და გული იყო. გულღია, მოსიყვარულე, მომლხენი, ყველგან სითბოს აფრქვევდა, ყველას სიყვარულს უნაწილებდა. შენგან სამაგიეროს არ მოითხოვდა, აქეთ კი ყველაფერს გულით გაფრქვევდა, იმედს, სიყვარულს, სიხარულს. გახარებული გულით დადიოდა. საქართველოს ცასა და ბარს შესციცინებდა, მის მდელოსა და ჩანჩქერებს შეხაროდა. მღეროდა მთელი გულით, მთელი გრძნობით, მთელი არსებით და ხალხმაც ასე ახლოს მიიტანა მისი სიკვდილი გულთან, მთელი გულით და პატიოსნებით დაიტირა ეს დიდი მოქალაქე და დიდი მომღერალი. მთავრობის ოფიციალური კომისია მეთაურობდა მთელ ამ სახალხო გლოვას. მთავრობის დადგენილებით ვანო სარაჯიშვილი ოპერის ეზოში უნდა დაეკრძალათ. ოპერა ქართველ კაცს ვანო სარაჯიშვილმა შეაყვარა, ქართულ ოპერას პოპულარობა და სახალხო ხასიათი ვანოს სიმღერებმა მიანიჭეს. ქართული ოპერა და ვანო სარაჯიშვილი განუყოფელი იყო და აკი სიკვდილის შემდეგაც იგი ოპერას არ მოაშორეს.

1924 წლის თორმეტ ნოემბერს, გაზეთ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე სამგლოვიარო არშიაშემოვლებული განცხადება იტყობინებოდა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აცნობებს ამხანაგებს და მოქალაქეებს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, თექვსმეტ ნოემბერს“. ამავე გაზეთის მეორე გვერდზე ვანო სარაჯიშვილის დიდი პორტრეტია დაბეჭდილი, ქვემოთ კი სარაჯიშვილის გარდაცვალების საექიმო დასკვნა: „გუშინ, თერთმეტ ნოემბერს დილის 5 საათზე გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ივანე პეტრეს ძე სარაჯიშვილი. განსვენებული დაახლოებით 5 თვის წინათ ავად გახდა და, მიუხედავად მიღებული ზომებისა, ავადმყოფობა თანდათანობით ძლიერდებოდა. ცხრა ნოემბერს განსვენებულის ბინაზე შედგა კონსილიუმი, რომელსაც დაესწრნენ პროფესორები: ალადაშვილი, ამფიმოვი, მუხაძე, წინამძღვრიშვილი, ექიმები: ბეიერი, ქიქოძე, ლორთქიფანიძე, აბედიკი“... ამ ცნობას მოსდევს საექიმო დასკვნა, ბიოგრაფიული ცნობები და წერილი. — „ვანო სარაჯი-

შვილი“: „საქართველოს ტოროლამ შეწყვიტა რაკრაკი, ველარ გავიგონებთ მის დამათრობელ წკრიალა ჰანგებს. ეს ამბავი გლოვის სარტყლად შემოეევლება ჩვენს ქვეყანას და ყველას მწვავედ აგრძნობინებს ბედის სიმუხთლეს. ვანო სარაჯიშვილი! იგი იყო ჩვენი ქვეყნის სილამაზე და სიამაყე. ნამდვილი ჯადოქარი სულისა. საქართველოს ისტორიაში დარჩენილა მრავალ მწერალთა და მოღვაწეთა სახსენებელი, მაგრამ ჩვენს ისტორიას არ ახსოვს ქართველ მომღერალთა დიდება. ამიერიდან ვანო სარაჯიშვილის სახელი ჩაიწერება ქართველი ერის ისტორიაში, როგორც დიდება და სილამაზე ჯერ არნახული“...

ცამეტ ნოემბერს კვლავ ქვეყნდება წერილები ვანო სარაჯიშვილის შესახებ და ცნობა: „ვანო სარაჯიშვილის ცხედარი ხვალ, თოთხმეტ ნოემბერს საკუთარ ბინიდან გადატანილი იქნება ხელოვანთა სასახლეში, საიდანაც კვირას, 16 ნოემბერს, შუადღისას მოხდება გამოსვენება. დამკრძალავი კომისიის დადგენილებით ვანო სარაჯიშვილი დაკრძალული იქნება სახელმწიფო ოპერის ბაღში“. 14 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ზაქარია ფალიაშვილის წერილი.

„აღარა გვყავს ვანო სარაჯიშვილი, მოკვდა დიდი ხელოვანი, დიდი მომღერალი და იშვიათი კეთილი გულის ადამიანი. დაობლდა და ბურჯი შეერყა ახლად ფეხადგმულ ქართულ ოპერას. დავკარგეთ ის ადამიანი, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი ბუნებრივი ბრწყინვალე ნიჭით მთელი ეპოქა შექმნა ქართული ეროვნული სიმღერის დარგში. ის იყო ერთი იმ იდეალთაგანი, რომელიც თავისი მომხიბლავი სიმღერით ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორებს გულს გვიდგამდა და გვაქეზებდა ჩვენს შემოქმედებით მუშაობაში. ეს იყო ერთი იმ რჩეულთაგანი, რომელმაც ჩვენში ესე მოულოდნელად, ერთბაშად თავი წამოაყოფინა იმისთანა უძნელეს და ურთულეს მუსიკალურ ფორმას ვოკალური ხელოვნებისა, როგორიცაა ოპერა“...

სამი დღე ესვენა ხელოვნების (ახლანდელ მწერალთა) სასახლის შავ ფარჩებში ჩასმულ დარბაზში ვანო სარაჯიშვილის ცხედარი, სამი დღე აფრქვევდა ქართველი ხალხი ცრემლს ვანო სარაჯიშვილის უღვთო სიკვდილის გამო.

1924 წლის 16 ნოემბერს, დღის 2 საათზე სასახლესთან თავს იყრიდა სხვადასხვა ორგანიზაციები, დელეგაციები, ჯარის ნაწილები, სამხედრო ორკესტრები და მომღერალთა გუნდები. ახლომახლო ქუჩები, სახლების აივნები და სახურავებიც კი აივსო ხალხით. 4 საათზე გაისმა ორკესტრებისა და გუნდების შეერთებული სამგლოვიარო ჰიმნი, კუბო გამოაქვთ მწერლებს და არტისტებს. მანდილოსნები და ქალიშვილები ყვავილებს უყრიან ვანოს უკანასკნელ გზაზე. ხელოვანთა სასახლის აივნიდან ცხედარს სიტყვით მიმართავს პაოლო იაშვილი. პროცესია დაიძრა, შეჩერდა ქალაქის აღმასკომის წინ. თბილისის პროლეტარიატის სახელით სიტყვით მიმართავდნენ მუშები. შემდეგ

პროცესია რუსთაველის თეატრის წინ შეჩერდა, აქაც სიტყვებით მიმართეს. ვანო სარაჯიშვილის ცხედარი ოპერის წინ დაასვენეს. ისევე სიტყვები, მერე ზაქარია ფალიაშვილის საოცარი მუსიკის ჰანგებით ტრაგიკული სიყვარულის მსხვერპლი აბესალომი — ვანო დაიტირეს. პაუზა. უიღბლო სიყვარულისათვის კიაზოსთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ვანო — მალხაზი სატრფოს მიმართავს: „იტირე მარო, გული იჯერე“. და ოპერის აივნიდან გადმომდგარი პოპოვას ქალი — მარო გულის დამთუთქველად ატირდება. აივანზე ისევ უკრავდა ორკესტრი, წინ იდგა პოპოვა და მთლად აღელვებული და გულმოკლული გაჰყურებდა რუსთაველის პროსპექტზე გამოფენილ ზღვა ხალხს, გაჰყურებდა და ტიროდა, ტიროდა შემზარავად, ამ დროს ვიღაცის ხმა გაისმა პროსპექტზე:

„ვანო, ასრულდა შენი სიმღერა...“ „თავო ჩემო“, მაროს ტირილმა და ხალხის ქვითინმა გადაუარა რუსთაველის პროსპექტს, მთაწმინდას მიწვდა და იქიდან გადმოგდებული ეხო ჩაიშალა თბილისის ქუჩებში. მთელი თბილისი ტიროდა მაროსთან ერთად. სიმღერითა და ტირილით გააცილეს სიმღერის მეფე. დაბინდებისას კუბო ნელა ჩაუშვეს ოპერის ბაღის გათხრილ სამარეში და აქვითინდა ორკესტრთან ერთად ფირფიტაზე ჩაწერილი ვანოს ხმა: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“. საღამოს ბინდი ჩამოწვა თბილისის თავზე, ხალხი კი ისევ იდგა ოპერის ბაღის წინ გარინდებული, დაღონებული, ნამტირალევი:

ყვავილების გვირგვინებით დაფარულ ვანოს საფლავთან იდგა ტენორი გრანელი და ცრემლნარევი ხმით ამბობდა:

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
შესწყდა შრიალი და მისტერია.
ვანო, აღსრულდა შენი სიმღერა
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“
და ახლა ირგვლივ გლოვის წამია,
წამია გლოვის, ცრემლების გარდა.
ქართულ სცენაზე მძიმე ღამეა,
ქართული სცენა დამგლოვიარდა.
შენ გადაფრინდი სინათლის იქით,
რომ მხოლოდ ნისლი იყო კარავი,
და გვირგვინების მწუხარე რიგი
ახლა შენს მაღალ კუბოს ფარავენ...
დღეს აღარა ხარ, ძვირფასო, მაგრამ
ჩვენთან ელვარებს შენი ნათელი.
სამწუხაროა, რომ ასე გაჭრა
შენი ხმა, ცეცხლი და ჟრუანტელი.
დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
თვალები მაინც შენ გიცქერიან
ვანო, ასრულდა შენი სიმღერა
„თავო ჩემო ბედი არ გიწერია“.

* * *

უცნაური კაცი იყო ტერენტი, იგი მარტო ცხოვრობდა თავისთვის და მაინც ბევრი უწვდიდა ხელს. ჯერ იყო და ზაქარია ჭიჭინაძე ეხმარებოდა, ზაქარიას სიკვდილის შემდეგ ნამდვილ მფარველად დარია ახვლედიანი მოევლინა პოეტს; ბინა მისცა, აჭმევდა, ასმევდა, მეგობრობდა, ნამდვილი მფარველი იყო მისი და მისი ნიჭისა, ვერც ამან უშველა. ბოლოს მთლად ქუჩას მისცა თავი, ღამეს სად ათევდა, რას ჭამდა, რას წერდა, რით ცხოვრობდა, არავინ იცოდა, თვით მეგობრებისთვისაც გამოუცნობ სფინქსად იქცა.

ადრე კი ბევრს მოგზაურობდა, ხან კახეთს ესტუმრებოდა, ხან ქუთაისს. ქუთაისში იყო და რიონს ებუტბუტებოდა — „მე შენს კალთაზე სიმშვიდეს ვეძებ“ — მაგრამ რიონის, ბაგრატის ტაძრის, გელათის ხილვაში ვერ პოულობდა შვებას სულისას. გულმოკლული საკუთარ თავს გამოუტყდებოდა:

ახლაც სიმშვიდე არ მეკარება,
მე აქაც ბევრი ღამე ვათენე,
ო, ქუთაისო, ეს მწუხარება
და ეს ტირილი შენ მაპატიე!

ქუთაისის შემდეგ სოფელს მიაშურა, დები მოიკითხა, ერთ დას შვილი შესძენოდა.

გაიხარა. მაგრამ სიხარული მისთვის არ იყო ხანგრძლივი და არც ეს სიხარული აღმოჩნდა მყარი. გაეთამაშა დისწულს და მშვენიერი ლექსი აღმოხდა მის სულს:

შენ გულის კარი ისევ დახურე,
მიწას დაეცა დღე, როგორც ბადე.
წავედი მარტო და ვინახულე
ადგილი, სადაც მე დავიბადე.
ათასი ფიქრი ირევა თავში,
შენი სახელი უკვე ფიცია,
მეთამაშება ჩემი დის ბავშვი
და ის მეძახის ახლა ბიძიას.
და ჭარიშხალი შენ გულს გინთებდა
ძვირფასო, ერთხელ კიდევ გახსენე.
კარგია ახლა სიკვდილი დებთან
შემდეგ თბილისში თუ წამასვენეს...

ათად ათი დღე დარჩა სოფელში. ამ ათი დღის განმავლობაში ყოველ წამს თბილისი ელანდებოდა, თბილისზე ფიქრობდა და თბილისზე ოცნებობდა, ოშუშებდა სტრიქონებად მიჯრილ ოცნებას: „მე ისევ ძალას ვიკრეფავ დილისათვის, რა ვქნა, დღეს მინდა ვნახო თბილისი“ და მეათე დღეს დატოვა სოფელი და თბილისს მიაშურა.

უკვე დავტოვე ზუგდიდი, ხეთა,
დავტოვე დები და ცრემლი ბევრი
და თბილისისკენ მივდივართ ერთად
ეს მთვარე მე და მატარებელი.

თბილისში ჩამოვიდა, დიდუბეში პანთეონს მიაშურა, თითო საფლავს ორ-ორჯერ ჩამოუარა. უყვარდა, განსაკუთრებით უყვარდა ეს ალაგი, ქართველი მწერლების პანთეონი და გულში, გულში იმეორებდა: „აქ განისვენებს ბარათაშვილი და აქ მარხია ვაჟა-ფშაველა“, „მინდა სიკვდილი იყოს ადვილი, ეს მიწა ზეცის გული მგონია“.. თბილისი, ხმაურიანი თბილისი კი არ იზიდავდა მის სულს, არამედ მყუდროება. „მოვშორდი ხმაურს, ვარ დიდუბეში“, გარეუბნის სტუმარი იყო, მის გულს იზიდავდა ბაღები და სასაფლაოები, — „ღმერთო, ეს ბაღი ახლოა სულთან, ეს ბაღი სულის ნათესავია“. აქ, სასაფლაოებსა და ბაღებში თავს განმარტოებულად გრძნობდა და ეს მიაჩნდა უმაღლეს ბედნიერებად. „და მგონია ყველაფერი სიჩუმე და სიმარტოვე“, „და უდიდესი გრძნობის ნიშანი არის დუმილი და გარინდება“. გრძნობების წუთიერი აფეთქების ბრმად მორჩილი პოეტი ხშირად იმეორებდა — „ისევ მარტო ვარ, ისევ ღამეა და ისევ გრძნობას ვემორჩილები“. და აქედან შემდეგ ერთი ნაბიჯია ისევ კმაყოფილებით თქვას: „ჩემი ტირილის ჩუმი მოწმეა, ეს თეთრი მთვარე და ვარსკვლავები“, „მესმის ცხოვრება როგორც ტალახი და პოეზია სიხარულია“.

იქიდან გორის ქუჩას მიადგა. ამ გორის ქუჩაზე № 26-ში მისი მეგობარი გრიშა ცხოვრობდა და იმას მიაკითხა, მაგრამ მეგობარი შინ არ დახვდა. პოეტი მისმა უმცროსმა დამ მიიპატიჟა, მაგრამ შერცხვა, მერე მოვალო სიტყვა დააგდო და ისევ ქუჩას მისცა თავი. იმ დღეს ამაოდ ეძებდა მეგობრებს, ისე დაღამდა, რომ ვერსად ვერ მიაგნო მათ. მერე ერთბაშად მთაწმინდაზე ამოჰყო თავი. ის ღამე ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ყველა ხელმოცარულთა მფარველის იოსებ იმედაშვილის სახლში გადაითენა. დილით ისაუზმა თუ არა სამადლობელი ექსპრონტად დაწერილი ლექსი მიართვა ბატონ იოსებს. გამოძინებული და დანაყრებული მთაწმინდის ქუჩის დაღმართს დაჰყვა და მერე ბესიკის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე დაეშვა და ალექსანდრეს ბაღს მიაშურა.

ბოლო დროს უფრო ხშირი სტუმარი გახდა პეტრე-პავლეს სასაფლაოსი. აქ მთელი დღეებით, ხშირად ღამითაც რჩებოდა. ერთ ბებერ მესაფლავეს შეეჩვია, შეეჩვია და შეეთვისტომა, მასთან ბაასობდა, მასთან ხარობდა სულით. წინა ღამეც მასთან გაათია სასაფლაოზე.

„ჩემო ლილი! ახლა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ვცხოვრობ ბებერ მესაფლავესთან და სულ სიკვდილზე ვფიქრობ, რადგან სხვა ყველა

გზა დაიხშო ჩემთვის. რომ მნახო, შეგეცოდები და იქნებ დამიბრუნდე, თუმცა არა, მე მოწყალება არასოდეს, არავისთვის არ მითხოვია, სიყვარული და მოწყალება ერთად ვერ მოთავსდებიან! არა, არ მინდა მე ასეთი შეწყალება...

დღეს დილიდან წვიმს, წვიმს გადაუღებლად. წვიმა კი ჩემთვის ყველაზე დიდი სატანჯველია. წვიმიანი დღის არც ტანისამოსი მაქვს და არც გადასაწვიმარი. სანამ ზაქარიასთან ვიყავი კიდევ არა უშავდა რა, მის დიდსა და მოუხეშავ ქოლგას დავავლებდი ხელს, შიშველ თავზე გადავიხურავდი. მთლად შემოვიცლიდი ჩუღურეთის ქუჩებსა და ბაღებს. ახლა არც ზაქარიაა და არც მისი ქოლგა. წვიმს და სული მიწუხს ოთახში დამწყვდეულს, ლექსის დაწერა ვცადე, არც ეს გამომდის. აბ წვიმამ მაინც ბთლად გამიფუჭა განწყობილება. მაკვირვებს რა მოუვიდა ამ ჩვენს თბილისს, წინათ ასეთი გადაუღებელი წვიმები მე აქ არ ბახსოვს. ასე მხოლოდ ჩვენში წვიმდა. წალენჯიხასა და ზუგდიდს. კოლხეთში რომ დაიწყებდა წვიმას, მთელი ღამე, ხშირად მთელი კვირაც წვიმდა. მაშინაც გული მიწუხდა, წვიმის აუგს რომ ვიტყოდი, სოფელი მიშლიდა — ეს წვიმა სწორედ რომ წამალია ახლა სოფლისთვის.

არა! არ მიყვარს წვიმა. ჩემს ბოჰემურ სულს ვერ შეუთავსდება წვიმა.

თოვლი! თოვლი სხვაა, თოვლი უცნაურ გრძნობებს მიღვიძებს, თანაც ბაღებში და ქუჩებში სიარულს არ მიშლის. პირიქით, ფეხებქვეშ თეთრ საბნად დაგებულს ჭრაჭუნი რომ გააქვს, ძარღვებში სიცოცხლეს მიღვიძებს, თავზე თეთრ გვირგვინად რომ დამედება — ისიც მამშვიდებს. მზიან დღეზე უფრო საყვარელია ჩემთვის თოვლიანი დღე. არა, წაიღეთ ეს წვიმა და ეს წვიმიანი თბილისი. მომეცით მე თოვლით დაბურული მთაწმინდა და დიდუბე, რუსთაველი და ჩუღურეთი... ასე ვამბობ ამ დილასაც, მაგრამ აბა „ვის ესმის ჩემი წუხილი“, წვიმს, ისე წვიმს, გულის დასაღონებლად და სულის შესაწუხებლად. სად წავიდე. რა გავაკეთო დღეს მე თვით არ ვიცი. ხელში ბოდლერს ავიღებ და ვფურცლავ. იცი, ეს წიგნი ჩემს სოფელში, ჩემი სკოლის დირექტორმა პავლე შანავამ მაჩუქა. რომ წავიკითხე იმის შემდეგ თავიდან არ მომიცილებია. ჩემი ყველაზე საყვარელი წიგნი ეს წიგნია, მაგრამ ამ წვიმიან დღეს გუნებაგაფუჭებულს არც ეს წიგნი მიზიდავს. ბოდლერს ვხურავ და ვიმოწმებ ედგარ პოს, ვერლენს, მალარმეს და რემბოს, ბლოკს, ესენინს... რა ვქნა არ ვიცი, სად წავიდე, გზა არსად მაქვს და ისევ ღმერთს ვეეედრები, გადაიდაროს, ნუღარ იწვიმებს. მე კი ვეეედრებოდი, მაგრამ ვინ არის შემსმენი... არც ღმერთს ესმის ჩემი მუდარისა და არც კაცს. შენ, შენ მაინც შეისმინე

ვედრება ჩემი, ჩემო ლილი! შენ, შენ ხარ ახლა ამ წვიმიან თბილისში ჩემი ერთადერთი იმედი და ოცნება ხვალის.

ჩემო ლილი, ალბათ ეს ჩემი უკანასკნელი ბარათია! რომ მნახო ვერ მიცნობ, მთლად დამრია ხელი ამ უსინდისო ავადმყოფობამ. ამ სტრიქონებს წვალებითა და ტანჯვით გწერ და უხარია ჩემს გულს ეს უკანასკნელი ბარათი შენთვის რომ იწერება. შენ იყავი და ხარ ჩემი ერთადერთი უხილავი სული, მარად ჩემში და მარად ჩემთან რომ მეგულები. სიკვდილის წინ ერთბაშად ჩემი ბავშვობა მომაგონდა და მის შესახებ გწერ: გახსოვს, ზუგდიდი, ჩვენი ზუგდიდი! ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები იქ გავატარე და ცხოვრებასაც იქ შევხედე ფართოდ გახელილი თვალებით. იქ მამაჩემი მეუნაგირე იყო. ეს ხელობა ქუთაისში შეისწავლა და მთელს სამეგრელოში მისი გაკეთებული უნაგირი განთქმული იყო. საქორწილო ბიჭებს და ქალიშვილებს მამაჩემი უკეთებდა უნაგირებს. მეცა და ჩემი დებიც, ზოზია და მაშო, მამას ვეხმარებოდით ამ საქმეში. ცხენს უნაგირის გარდა მათრახიც ჭირდება და აღვირიც და ბევრი რამ სხვა წვრილმანიც. ჩვენ ამ „წვრილმან“ საქმეში დავოსტატდით და უანგაროდ ვეშველებოდით მამას. მამა ხარობდა ჩვენი გაკეთებული საქმით. მაინც გული ეთანაღრებოდა და ბავშვებს ყოველ დღე გვიმტკიცებდა, კიდევ ცოტა შვილებო და იმდენ ფულს მაინც დავაგროვებთ, რომ ჯერ ტერენტი და ზოზია გავუშვათ თბილისში სასწავლებლად. მერე შენ, ჩემო ნაბოლარა, შენ გაგაფრენ თბილისშიო. მამა მოეფერებოდა მაშოს. ამ იმედით ცოცხლობდა და ოცნებობდა მამაჩემი. ეს ოცნება ერთხანს გაგრძელდა, წლები გადიოდა და მე ისევ ზუგდიდში ვიყავ, თუმცა ბედს არ ვემდუროდი, იმიტომ რომ გვერდით შენ მეგულებოდი. მამაშენს მამაჩემის გვერდით ჰქონდა სამკერვალო. მისი შეკერილი ჩოხა-ახალუხი მთელს დასავლეთ საქართველოში იყო განთქმული. ვინ არ მოდიოდა მასთან ჩოხა-ახალუხის შესაკერად. ყოფილი თავადი და აზნაური, ვაჭარი და სოფლის მამასახლისი... შენ იქ ფუსფუსებდი დუქანში, ხშირად შემოდიოდი ჩვენთანაც, ჩემს დებთან საუბრობდი. ფარულად გიმზერდი და შენს თვალთა მზერას რომ დავიჭერდი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მერე უცბად ზღაპარივით წარმოვიდგენდი: ვითომ მე და შენ საქორწილოდ მორთულნი ცხენზე ამხედრებულნი, ხობის ეკლესიაში მივდიოდით ჯვრის დასაწერად, უკან მაყრიონი მოგვდევდა, შენ მამაჩემის გაკეთებულ „სედლოზე“ — ქალის უნაგირზე იჯექი, მე მამაშენის შეკერილი თეთრი ჩოხა-ახალუხი მეცვა, ბეჭებზე თეთრი დარაიას ყაბალახი მქონდა გადაგდებული — ხელში ჩემი დამზადებული მათრახი მეჭირა, ხან ჩემს ცხენს გადავუჭერდი, ხან შენსას, და ასე მივაგელვებდი კვარაცხელიების ულაყებს. მაყარი მოიმღეროდა კუჭჩა ბედნიერს. მერე ჩვენი გზები გაიყარნენ, ჩემს მაგიერ კვარაცხელიების

ულაყზე შენი ახლანდელი ქმარი იჯდა და ის მოაგელვებდა შენს გვერდით ამ ულაყს. დანარჩენი კი ყველაფერი ისე იყო, როგორც მე ოცნებით წარმოვიდგენდი — მე, მე მამაჩემის ულაყით გამოგედევნე, შენ დამინახე და იკივლე, გულშეღონებული ცხენიდან ჩამოგსვეს... ქორწილი მაინც შედგა. ქორწილი კი არა, პანაშვიდი იყო, ჩემი პანაშვიდი. ამის შემდეგ მე მაინც შენ გეპოტინებოდი და დღემდის მჯეროდა, რომ დამიბრუნდებოდი... შენ იცი, რომ ბავშვობიდან მე ლექსი მწვავდა, ლექსი და საქართველოს მზე. ლექსისთვის ვევნე და ვეწამე, მაგრამ ვინ დამიფასა. გუშინ ძლიერ გაჯავრებული ვიყავი ჩემს ბედზე, და ჩემს მტრებზე — „მტრები გამრავლდა, როგორც კალია“. და მინდოდა ისეთი რამე დამეწერა, რომ გულის ჯავრი ამომეყარა, სამაგიერო მიმეზღო ყველასათვის, ვისაც ჩემი არ ესმის, ამის მაგიერად ეი ეს სტრიქონები დავწერე:

ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა
მზე მიდის გაღმა
ცის ხმა ისმოდა.

მე პოეზიისათვის, საქართველოსათვის დამწვარ პოეტს, გიჟი მიწოდეს, გიჟის სახელით მომნათლეს. ასე სასტიკად გამიმეტეს. რა არის ეს თუ არა ბედის დაცინვა. ამით გამწარებულმა კიდევ ეს ორი სტრიქონი დავწერე:

ამ ხატის ცრემლი და მიწა ჩემი
ცრემლია მხოლოდ და ჩემი ბოლო.

ჩემგან სამყაროს ახსნას მოითხოვენ. ჩემი პოეზია კი მოთხოვნილებაა სულისა. მხოლოდ მოთხოვნილება და მეტი არაფერი“.

იმ დღეს კი ტერენტის და ჩამოვიდა ზუგდიდიდან. ტერენტი ახვლედიანების სახლში არ დახვდა დას, მერე მეგობრები მოიკითხა, გენო ქელბაქიანმა უთხრა, ერთი თვეა რაც არ მინახავსო, მწერალთა კავშირში იკითხა, იქ ნინო კლდიაშვილმა უთხრა, დიდი ხანია რაც აქ არ გამოჩენილაო. რუსთაველის პროსპექტზე დავით კობიძეს შეხვდა, დავითმა იგივე გაიმეორა, არ მინახავს დიდი ხანია, ამ ბოლო დროს ამ ბაღს, ალექსანდრეს ბაღსაც გაურბის: ამბობენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზეაო ხშირად. დამ იქითკენ გასწია, სასაფლაოზე შევიდა თუ არა, ბებერი მესაფლავე შეხვდა, ახლა, ამ წუთს აქ იყო, აქ იქნებაო სადმეო, წუხელ ღამე, აქ, ჩვენთან გაათიაო. დიდხანს ეძებეს ერთად და სასაფლაოს განაპირას ნახეს იდგა მარტო და კახეთისკენ მიმავალ მატარებელს შესცქეროდა გარინდებული. ტერენტიმ და დაინახა თუ არა, ტირილი აუვარდა. ტიროდა და ეხვეოდა დას, მერე დამშვიდდა და თავისიანები მოიკითხა. და მოეფერა, უთხრა ყველაფერი ჩამოგიტანეო, საჭმელიც, ტანისამოსიც და აბა წავიდეთო, აჩქარებდა. ტე-

რენტი ისევ გარინდებული იდგა და რაღაცას ბუტბუტებდა, ერთბაშად გახალისდა, დას ლექსით მიმართა:

იდგა შუადღე, ვამბობდი დაო,
მინდა ალერსი,
ჩანდა საყდარი და სასაფლაო
პეტრე-პავლესი.

დამ ისევ დაუყვავა, მოეფერა, სოფლის ამბები მოუყვა, მერე ტერენტი გამოჰყვა დას, მაგრამ გაოგნებულს და დაბნეულს თითქოს არც ესმოდა რა ხდებოდა მის გარშემო. კარი დარია ახვლედიანის ბიჭმა გაუღო, სახლში რომ შევიდნენ, დამ მაშინვე სანოვაგე ამოალაგა, ტერენტიმ ჭაჭის არაყი გადაკრა და თითქოს გონს მოეგო:

— იცი, დაო, ჩემი საქმე ძალზე ცუდადაა, მე შენ გამიგებ ამას და ამიტომ აღსარებასავით მითქვამს შენთვის, ყველაფერი მომერია, სევდაც, უფულობაც, მარტოობაც და, რაც მთავარია — სული ჩემი დაცარიელდა. შენ იცი, დაო, რომ მხოლოდ პოეზიით ვცოცხლობ, ახლა მუზაც აღარ მწყალობს. დაშრა პოეზიის ანკარა წყარო. ეს კი სიკვდილის წინადღეა, ჩემო დაო, ამ ბოლო დროს სულ ვფიქრობ, „ესენინივით ჩოვიკლა თავი თუ სიცოცხლისათვის განვაგრძო ბრძოლა“. არა, თავს ვეღარ მოვიკლავ. ჩემს მტრებს, ჩემს საგინებლად ახალ საბუთს აღარ მივცემ. ისე კი ვხედავ, რომ ჩემს ირგვლივ მხოლოდ ბურუსია და ჩემი ბედის ვარსკვლავი უკვე აღარ მინათებს გზას, რომ გავარღვიო ბურუსი და გავიკვალო გზა ძნელად სავალი. „ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი“. „სევდა, სევდა ღრღნის ჩემს სულს და მე ვწუეველი ჩემს გაჩენის დღეს“, „წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?“ წინად, მაინც იყო რაღაც ხალისი, მე ხშირად შინ მომიხაროდა და მერე დილით ისევ ბაღში გავრბოდი. „დაღამებისას ოთახს ვეწვევი, როს გათენდება, მივრბივარ ბაღში“, განიმეორა ეს სტრიქონი და დაუმატა: ეს წინათ იყო, ახლა სახლში მოსვლაც მეზარება, სასაფლაო, სასაფლაოა ჩემი ადგილი და მე ჩემს ტანჯულ სხეულს ახლა ამისთვის ვამზადებ. „თუ ვტოვებ გიჟის შთაბეჭდილებას დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია“. ეს თქვა და ოთახიდან გავიდა. და არ უშვებდა, ეხვეწებოდა, ცოტა ხანს მაინც დარჩიო, მე ახლავე წავალ, გენოს და დავითს მოვიყვანო, ერთად ვისადილოთ — ერთი დღე მაინც გაატარე ჩემთან, მე ამაღამვე უკან უნდა დავბრუნდე და ეს ღამე ნუ ჩამამწარეო! — დის მუდარას ტერენტი ყურს უკვე აღარ უგდებდა, ის ეზოდან უსიტყვოდ გავიდა. და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტერენტი ავარ იყო, განუკურნებელი სენით შეპყრობილი. მთელი დღე წუხდა და დარდობდა, სადილი მოამზადა, ტერენტი აღარ გამოჩნდა ახვლედიანების სახლში, ტერენტისათვის გაწყობილი სუფრა დატოვა და იმავე საღამოს ზუგდიდს გაემგზავრა.

პატარა ბავშვი მეზობელთან დატოვა ერთი დღით და ახლა შინისაკენ ეშურებოდა.

ხომ უჭირდა, უჭირდა საოცრად, მაგრამ მის სულს, მატერიალურ დახმარებაზე უფრო მეტად, მოფერება და ალერსი წყუროდა. ლექსების უბრალო შექება და მოწონება უზომოდ ახარებდა, თუ სადმე თავისი ლექსების ქებას გაიგონებდა, იმ დღეს სიხარულით ცას ეწეოდა, კარგ გუნებაზე იყო და ხალისიანი შენც გახალისებდა, მაგრამ სამწუხაროდ მოწონება კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა ტერენტიმ და მისმა პოეზიამ. მეტწილად უსამართლოდ ებრძოდნენ, უნიადაგოდ აითვალწუნეს ტრენტი და ეს უმართებლო დევნა ისედაც ნერვებაშლილს და ნამდვილ ავადმყოფს, სულს უშფოთებდა, გონებას ურევდა, ამის გამო მუდამ გული ტკიოდა, ნერვიულობდა. გრანელი ხედავდა, გრძნობდა, რომ იმაზე უფრო დაბლა აყენებდნენ მის ნიჭსა და მის პოეზიას, ვიდრე ნამდვილად იმსახურებდა. ამ ნიადაგზე განაწყენებული, ისედაც ნერვიული ბუნების პოეტი ერთგვარი პროტესტის ნიშნად მთლად განუდგა ნორმალურ ცხოვრებას და ბოჰემასა და ლოთობაში ახრჩობდა დარდს, სულის წუხილს, მთლად ამოვარდა ცხოვრების ნორმალური კალაპოტიდან. ადრე სხვა იყო. 1924 წელს კონსერვატორიის დარბაზში ტერენტი გრანელის საღამო მოეწყო, ამ საღამოზე გამოვიდნენ გ. ტაბიძე, ალ. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი და სხვანი. ამავე წლის 21 დეკემბერს გამოვიდა ერთდროული გაზეთი — „ტერენტი გრანელი“ და 28 დეკემბერს მეორე საღამო რუსთაველის თეატრში გაიმართა.

საღამო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა გახსნა. უფრო ადრე კავშირის ორგანომ გაზეთმა „პოეზიის დღემ“ მიუძღვნეს ტერენტი გრანელს წერილები და ლექსები.

ერთი სიტყვით, რევოლუციის პირველ წლებში ტერენტი გრანელი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სამწერლო ცხოვრებაში. მერე ერთბაშად შეუტიეს, რაპპელებმა და ფუტურისტებმა. ბოლოს მთლად გარიყეს მწერლობისაგან, ტერენტი კი მწერლობით, პოეზიით ცხოვრობდა. აქედან დაიწყო მისი ძლიერი სულიერი დეპრესია და ეს დასრულდა იმით, რომ 1928 წლის ბოლოს ტერენტი გრანელი პირველად აღმოჩნდა „სულით დაავადებულთა სახლში“. ახლა, როცა მის საკმაოდ მდიდარს, მაგრამ არა სრულ არქივს ეცნობით, უფრო-დაუფრო რწმუნდებით თუ რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა მის სულში. ამ უთავბოლო ჩანაწერებს, ჩანახატებს, ავტოგრაფებსა და დღიურებში ბევრი რამ არის საინტერესო, რაც პოეტის ცხოვრების საიდუმლოებას ფარდას ხდის.

1934 წლიდან, საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობი-

დან ჩვენი ლიტერატურული აზროვნება თანმიმდევრულად თავისუფლდებოდა რაპპელების მიერ დანერგილი სქემებისაგან, ამ სქემებში ყველაზე მომაკვდინებელი იყო მწერლობის დაყოფა ორ ბანაკად: მოკავშირე თუ მტერი. შიშველი პოლიტიკური სქემა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მწერალი საბჭოთა ხელისუფლების მომხრეა, მისი მოკავშირეა თუ მტერია. კითხვის ასე დასმა ის სარეცელი იყო, რომლის მიხედვით ოციანი წლების ერთი წყება ქართველი მწერლებისა რაპპელებისაგან მოიკვეთა. რასაკვირველია, ჩვენ არ გვავიწყდება ის ფაქტი, რომ ძველმა ინტელიგენციამ ერთბაშად როდი მიიღო რევოლუცია. იყო მტრული გამოხტომებიც. მაგრამ რაპპელებმა დაივიწყეს ლენინის მითითება იმის თაობაზე, რომ საჭიროა თანამშრომლობა ძველ ინტელიგენციასთან, რათა ისინი წავართვათ ბურჟუაზიას და გადმოვიყვანოთ ჩვენს პოზიციებზე. სწორედ ამგვარ სიფრთხილეს არ იჩენდნენ რაპპელები და ერთბაშად უტევდნენ და რეაქციონერების ბანაკში განურჩევლად ერეკებოდნენ ამ ძველ თაობათა წარმომადგენლებს. რაპპელებისაგან გამეტებული და მოკვეთილი პოეტი იყო ტერენტი გრანელიც. ხოლო როცა რაპპელების უკუღმართობისაგან განთავისუფლდა მწერლობა, გრანელი უკვე გარდაცვლილი იყო. მაგრამ ის, რაც მოასწრო გრანელმა, ჩვენ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ეს საინტერესო პოეტი ცალკე კუნძულად დგას ჩვენ მრავალმხრივ და რთულ ეპოქაში. სიცოცხლე'ში ერთადერთ მიზნად წიგნების გამოცემა მიაჩნდა, ბევრი უსიამოვნება მოსვლია ამ ნიადაგზე. ტერენტი გრანელის უკანასკნელი ცდაც უიღბლო აღმოჩნდა, მაშინ საბლიტგამს აკაკი რეხვიაშვილი განაგებდა, ტერენტი მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას თავისი ლექსების გამოცემის თაობაზე. გრანელმა საკუთარი ხელით გადაწერილი და შედგენილი ლექსების მთელი კრებული მიიტანა საბლიტგამში. საქაღალდე'ში ძალიან ბევრი ლექსი იყო თურმე. რეხვიაშვილი დააპატიმრეს და ის ხელნაწერები დაიკარგა. გადარჩა თითო-ოროლა ავტოგრაფი დასთან, ნაცნობ-მეგობრებთან. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში ინახება ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი. აქვე ინახება მისი დაუმთავრებელი დღიური, საიდანაც ჩვენ რამდენიმე ადგილი ამოვიწერეთ:

1 თებერვალი: „ისევ პირველი თებერვლის მზიანი დღეა, ზამთარი ნელა მიდის. ჩემი სურვილები ბერდებიან. ქვეყანა სავსეა მზის სხივებით. ეხლა ვზივართ მთავრობის სასახლის ბაღში და ვიგონებთ იმ გედს, რომელიც ამას წინათ გარდაიცვალა, როგორც ძვირფასი ქალი, მზე ვერ ათბობს ჩემს სხეულს. მზე თითქოს გულია ზეცის. ვზივარ და ვფიქრობ მოვშორდე თბილისს, რადგან სამშობლო დიდი სამარეა ჩემთვის".

3 თებერვალი: „მთელი დღე წვიმდა. მე დავდიოდი ქუჩაში და

დავეძებდი თავშესაფარს. დაღამდა. თოვლიანი ღამეა და ეზოდან ვგრძნობ საშინელ მდუმარებას. მე მგონია ფანჯრიდან მესვრიან ტყვიას. ეხლა მინდა ჩემს ოთახში უკრავდნენ როიალს, მოვიდეს ვინმე ქალი და მომეფეროს, თმებზე გადამისვას მკრთალი ხელები. ეხლა როდესაც თოვლით იმოსება მთელი ქალაქი მე ვზივარ სრულიად მარტო და გულში ცეცხლი მიჩნდება".

4 თებერვალი: „ხეტიალის შემდეგ ვჩერდები ალექსანდრეს ბაღში. შევდივარ სახელგამში. ნ. მიწიშვილთან სხედან: ს. აბაშელი და ტიციან ტაბიძე. აქედან მივდივარ ხელოვანთა სასახლეში".

5 თებერვალი: „კვირა დღეა. მივდივარ სიონში... ვუსმენ ქართულ გალობას და ვიგონებ საქართველოს, როგორც უხილავს. აქედან მივდივარ დიდუბისაკენ. ნელა თოვს. შევდივარ პანთეონში. პირველად ვნახულობ ნ. ბარათაშვილის საფლავს. ვკითხულობ ასეთ წარწერას: „ქართველი ერი არ დაივიწყებს შენს უკვდავ სახელს". ცოტახნის დაფიქრების შემდეგ ვინახულე ვაჟას ობოლი სამარე. ღრუბლიანი ზეცა და თოვლიანი დედამიწა ორივე თეთრია მხოლოდ. სითეთრეა გარშემო, და დუმილი, აქედან ვბრუნდები გზაში, ვხვდები ლადო კობიძეს, შევდივართ რესტორანში, ვსვამთ.

6 თებერვალი: „შევდივარ კათოლიკების საყდარში, ვუსმენ ფისგარმონიას და ჩემ წინ იხსნება უფსკრული"...

7 თებერვალი: „თბილისი შორიდან მოსჩანს, როგორც სასაფლაო, ვფიქრობ თვითმკვლელობაზე; თან ვკითხულობ ჩემს ლექსს „შემოდგომის პასტორალი"...

11 თებერვალი: „დავდივარ ალექსანდრეს ბაღში და ვფიქრობ. ბაღში შემოდის გერონტი ქიქოძე და ხარიტონ ვარდოშვილი. მე და გერონტი ვსაუბრობთ ლირიკაზე, და განვლილ დღეებზე"...

14 თებერვალი: „მთელი დღე ქუჩაში დავდივარ, ვიყავი სასაფლაოზე. მიხდება ჩხუბი ქუჩის ავარებთან. საღამოს დაბრუნებისას ვნახე ცაზე დაფრინავდნენ უამრავი ყვავები. თითქოს გაზაფხულის საღამოა. შევდივარ ოთახში. აქ სიჩუმეა. არ ვიცი საიდან ისმის როიალის შორეული დატეხილი ხმები. მგონია უკრავენ „თავო ჩემო"... ეხლა ვიგონებ ქალს, რომელიც ერთხელ ნახვის შემდეგ დაიკარგა და დარჩა ლანდი შორეული მოგონების.

ღამეა. მწყურია ძილი და მოსვენება.

15 თებერვალი: „მივდივარ ხელოვანთა სასახლეში. ვესაუბრები პლატონ კეშელავას და ვარლამ რუხაძეს. რაღაც უხილავზე"...

20 თებერვალი: „შევდივარ სახელგამში, დგანან ფუტურისტები და ლაყბობენ. შევხვდი ვასილ ბარნოვს, ტიციან ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს. ვსაუბრობთ „არიფიონზე".

21 თებერვალი: „ვხვდებით ჩემს მეგობარს იაშა ნიკოლაძეს. ჩვენ ვსაუბრობთ და ნელა თოვს...“

26 თებერვალი: „დილით მივდივარ სიონში: ვუმზერ ჯვარზე გაკრულ ქრისტეს სურათს...“

1 მარტი: „დილის 9 საათზე შევდივარ ეკლესიაში და ვკოცნი ქრისტეს სისხლიან სხეულის სურათს...“

11 მარტი: „არის პირველი საათი, მივყვები დოცენტ იოსელიანის ცხედარს. გზაში მესაუბრება დათიკო კობიძე, პანაშვიდს ვხვდები როგორც მიცვალებული...“

შევდივარ „ახალი სოფლის“ რედაქციაში გ. მუშიშვილთან...

1 აპრილი: „დადგა გაზაფხულის დღეები. დადგა ჩემი საღამოები. მე თეთრი ხალათით დავდივარ და მიმზერს მთელი თბილისი“.

19 აპრილი: „საღამოს შემხვდა ჩემი მარადიული მეგობარი და ძვირფასი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ექვსი თვეა არ მენახა. შემხვდა დღეს. უცებ ვიგრძენით ერთმანეთი. ბევრი ვისაუბრეთ ალექსანდრეს ბაღში...“

23 აპრილი: ...ვბრუნდები, ოთახში ზაქარია წევს, ავად არის.

24 აპრილი. დილით მივდივარ მხატვარ ირაკლი ფოფხაძესთან, რომელიც ხატავს ჩემს სურათს...“

ფაქტიური მონაცემების მიხედვით ეს დღიურები 1928 წლის თებერვალშია დაწყებული და აპრილის ბოლოს წყდება... ეს წელი ყველაზე საბედისწერო წელი გახდა გრანელისათვის. 1928 წლის აგვისტოს ბოლოს მე ის მუშტაიდში ვნახე. ნამდვილ შეშლილს გავდა. თეთრი ხალათი ეცვა, მერე არეული საუბარი დაიწყო. — იცი წუხელ შარვალ-ხალათი მომპარეს, ფეხსაცმელიც მომპარეს: უცბად ხალათი გაიხსნა და ჩემ წინ იდგა საცვლების ამარა, ფეხშიშველი, წვერებმოშვებული, გრძელ ოქროსთმიანი ცისფერთვალება მთლად გასაცოდავებული ტერენტი, რომელიც მონასტრებსა და ეკლესიებში დახატულ იესო ქრისტეს მიაგავდა...

ამის შემდეგ ტერენტი გრანელმა კიდევ ექვსი წელი იცხოვრა. ეს ექვსი წელი ყველაზე ჯოჯოხეთური წლები იყო ისედაც უფერულ მის ხანმოკლე ცხოვრებაში. ბოლოს საშინელ წლებში ის მუზამაც მიატოვა.

* *

ტერენტის ბოლო წლებში ლექსის წერაც აღარ შეეძლო, სული მისი კი ისევ პოეზიით ცხოვრობდა და ბებერ მესაფლავეს უკითხავდა თავის ძველ ლექსებს. იმ დღეს ორი ლექსი წაუკითხა ბებერ მესაფლავეს:

შავი ფიქრები გროვდება ისევ,
დგება წამების თეთრი საათი.
მიწა არ მინდა, და როგორც ქრისტე,
მეც ვემზადები გაფრენისათვის.
ეს გული მხოლოდ შენ გესალმება,
შენ, ანგელოზო. მძიმე წარსულის.
რა იქნებოდა, რომ ჩემ წამებას
ქონოდა სახე, ან დასასრული.
სხვა მეგობარი მე არ მყოლია,
მხოლოდ ჭარია ჩემი მხლებელი,
უფრო ხშირია მელანქოლია
და გაფიქრება შეუძლებელის.
იყო სიჩუმე, სამი წერტილი,
მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა.
ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი
მე მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან,
ალბათ ივნისი დადგება მალე,
დღეს ხომ მაისის ოცდაშვიდია.
და მენატრება ისეთი მხარე,
სადაც დუმილი და სიმშვიდეა.
ისმის ხმაური, არის ცხელება,
და ჟონავს წვიმა ოდნავ ხმოვანი
ციხე დგას, როგორც საშინელება,
დამძიმებული და კეთროვანი.
გულის ტკივილი უფრო ღრმავდება.
როდესაც ვუმზერ ჯიბგირს და ბანდიტს,
ალბათ ეს ღამე არ გათავდება,
ძნელია მისვლა გათენებამდის.
და იმედები ისევ ტირიან
და მწუხარება ჩემი მეობა,
ქარები ირგვლივ დაკეტილია
და ურიგდები მდგომარეობას.
აღარც თენდება, უფრო ეღონდები,
ღამეა ჩუმი და ნაწვიმარი.
ალბათ ვიღაცას იქ ვაგონდები
როგორც პოეტი და პატიმარი.

— მახსენდება, ეს ლექსი მაშინ დავწერე, ციხეში რომ ვიჯექი, ციხეში, დიახ, ციხეში.

ჰო, იმ დღეს ქუჩაზე მილიციის პოლკოვნიკი შემომეყარა, დამიჩემა მთვრალი ხარო და წესრიგს არღვევო, მე ჩემთვის მივდიოდი და ლექსს მივღიღინებდი მოვბრუნდი და უკმეხად უპასუხე: როგორ მიბედავ, მე პოეტი ტერენტი გრანელი ვარ მეთქი. მილიციის პოლკოვნიკმა ამხედ-დამხედა და ასე უშნოდ აჩაჩულ-დაჩაჩულს დაცინვით შემომაჩერდა და დაცინვითვე მიპასუხა, შენ სიფათში გეტყობა რა პოეტიცა ხარო. მაშინ კი არც ვაციე, არც ვაცხელე და შიგ სახეში ვტკიცე. შეტორტ-მანდა, მაგრამ არ დაიბნა, ხელი ჩამაელო, დაუსტვინა და ერთბაშად

ორი მილიციონერი გაჩნდა, და ის იყო ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფისთვის „გუბერსკის“ ციხეში ამომაყოფინეს თავი. ეს რომ ჩემმა ამხანაგებმა გაიგეს ფილიპე მახარაძესთან მივიდნენ და იმავე დღეს გამომიშვეს, ერთი ათი დღე კი მაყურყუტეს იმ გუბერსკის ციხეში. ეს იყო და ეს.

ჰო, მართლა მეორე ლექსიც წაგიკითხო ბარემ, ის სოფელში დავწერე, სოფელში ცუდად გავხდი და იცი, მე სიკვდილისა კი არ შემეშინდა, იმისა უფრო შემეშინდა, ვაი თუ სოფელში მოვკვდე და თბილისში არ წამასვენონ-მეთქი და აი მაშინ დავწერე ეს ლექსი:

მე ისევ ძალას ვიკრებ დილისთვის
და ანგელოზი ჩემ სულში ცხოვრობს
რა ვქნა, დღეს მინდა ვნახო თბილისი,
ვნახო თბილისი და მეუცხოვოს.
მზის ნაპერწკალი ეშვება ციდან,
მოდის შუადღე, როგორც ანთება.
ისევ თბილისის შუქი მიზიდავს,
ისევ თბილისის ცა მენატრება.
მზიანი დღეა, მე ჩინარს ვუმზერ,
სოფელს სიჩუმის დემონი იცავს
მალე მოვკვდები და ვიცი გულზე
რომ დამაყრიან თბილისის მიწას...

ეს ლექსები ძლივს წაიკითხა სვენებ-სვენებით. დიდი პაუზებით, ძალღონე ისე გამოლეოდა, რომ ლექსის წაკითხვაც აღარ შეეძლო, ახლა არაფრის თავი არ ჰქონდა, ბებერი მესაფლავეც ყურს უგდებდა ტერენტის ტანჯვას და უფრო შეეცოდა ეს ხელმოცარული კაცი. და თითქოს თავისთვის განიმეორა „მალე მოვკვდები და ვიცი გულზე რომ დამაყრიან თბილისის მიწას“.

ბებერი მესაფლავე წარმოშობით რაჭველი იყო. სანამ ძალღონე შესწევდა სადგურზე მეკურტნედ მუშაობდა, მერე უბედურება ეწია, მოულოდნელად ცოლი გარდაეცვალა. ბებერმა, სრულიად უპატრონომ, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაიწყო მუშაობა მესაფლავედ, მერე იქვე დანიშნეს დარაჯად და ოთახიც მისცეს. ტერენტიმ აქ გაიცნო და აქვე შეეკედლა ამ ბებერ მესაფლავეს. ახლა პატრონად მარტო ეს ბებერი მესაფლავე ეგულებოდა.

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ მართლაც აფორიაქდა გრანელი. ვერ ისვენებდა, რაღაცას ეძებდა, მერე უცბად ბაღიდან გამოვიდა, მიყვა ფეხდაფეხ და მეტეხის ციხის დაღმართი ჩამოათავა. მტკვარზე, ძველ ხიდზე გავიდა და სიონის აღმართს აყვა, ერთბაშად რუსთაველის პროსპექტზე აღმოჩნდა. რუსთაველის პროსპექტმა მას ახალგაზრდობა და პოეტებთან პაექრობა მოაგონა. გრანელისათვის — ახალგაზრდობა, პოეზია და რუსთაველის პროსპექტი ლექსი იყო, ლექსები კი მისი

სუნთქვა. ახლა თითქოს განუახლდა პოეზიით დამწვარი გული და გახალისდა პოეტი, რუსთაველის პროსპექტი ორჯერ შემოიარა, მაგრამ ნაცნობებს ვერავის შეხვდა, დაღონდა, წინათ სხვა იყო — „სთქვა ტერენტი გრანელი და ჩაიარა ქალმა“... — გადაწყვიტა მწერალთა კავშირში შეევლო, მერე ესეც გადაიფიქრა. „ის არ მეყოფა, რაც რომ ვიწვალე და კიდევ სხვაგვარ-წამებას ველი“ და უკმაყოფილომ ისევ პეტრე-პავლეს სასაფლაოსაკენ გამოსწია, მოდიოდა და თან ბუტბუტებდა:

შემეძლო მეტის მოცემა,
მე დავსნეულდი უდროოდ.
შორს გამიტაცა ოცნებამ,
სულში სიჩუმე მყუდროობს.
მიდის ეს მტკვარი მდინარე
და მოღრუბლული ცა უფრო,
ძვირფასო, აბა, ვინ არი?
ისევ მარტოკა ვსაუბრობ!
ასეთი განწყობილება,
სამარე უკვე მზად არი.
ეს შემოდგომა ილევა
და მოდის თეთრი ზამთარი...

სასაფლაოზე რომ მიაღწია, ისევ უკან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ შეატყო, რომ ძალღონე გამოელია და შიგ სასაფლაოში ერთას სანსალით ძლივს შეაღწია. ბებერი მესაფლავე საფლავს თხრიდა. ზედ წაადგა, გამწარებულმა უაზრო წანწალით ხმამაღლა ჩასძახა: „სული გაფრინდა ცისკენ, სხეული დარჩა მიწას“. საფლავიდან მესაფლავემ ამოხედა, ტერენტიმ ქოხის გასაღები თხოვა, მესაფლავემ გასაღები ჯიბიდან ამოიღო და ზევით ამოუგდო. ტერენტიმ გასაღები აიღო. ბებერი მესაფლავის ქოხი გააღო და ზედ ტახტზე დაეგდო. დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით დაეძინა.

გვიან საღამოს გაეღვიძა. ბებერი მესაფლავე სუფრას აწყობდა. აქ წესად ჰქონდათ დღის ბოლოს სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს და კვირას — მიცვალებულებს რომ დაასაფლავებდნენ ჟირისუფლისაგან მიტანილ ტაბლას გაშლიდნენ და სუფრას მიუსხდებოდნენ, მესაფლავენი, მათი მეგობრები, პეტრე-პავლეს სასაფლაოს გვერდით მომუშავე ხარაზები, და ხაბაზებიც. თამადად ტერენტი დადგა, ამ დღეს რაღაცნაირად აღგზნებული იყო და ლაპარაკად იქცა. უმტკიცებდა მესაფლავეებს და მათ მოძმეთ:

— დალიეთ, დალიეთ და მუდამ გამიხსენეთ და გაიხსენეთ, რომ თქვენ ტერენტი გრანელთან გიქეიფნიათ. რომ ტერენტი თქვენსავით ხარაზი იყო, მეწაღე, ხელოსანი, ახლა თქვენ ხომ იცით, რომ მე ვარ ღმერთი, ღმერთი, მეორედ მოსული ქრისტე, ქრისტე პოეზიისა. — ვიღაცამ წამოიძახა ქრისტე და ღმერთი დიდი ხანია ტახტიდან ჩამო-

აბრძანესო. დაანებე თავი მაგ სისულელეს, გაჯავრდა ტერენტი, ჭიქა ყელამდე აავსო და სულმოუთქმელად დალია, ელაპარაკე შენ ახლა ამათ, გაჯავრებით იმეორებდა ერთი და იგივეს.

ამ დროს ტერენტის ნაცნობი, ამ უბნის ხელოსანი პოეტი მოვიდა. ეს პოეტი რაჭველი მეპურე იყო, ყოველ დღე ტერენტის დასდევდა. დასდევდა და თავის ლექსებს უკითხავდა. მისგან თავი ჰქონდა მობეზრებული ტერენტის, მაგრამ ახლა გაუხარდა მისი მოსვლა და იქაურებს გააცნო, როგორც პოეტი. იმანაც ასიამოვნა ტერენტის და ერთი ჩაის ჭიქა გადაკრა თუ არა ტერენტის ლექსი წაიკითხა.

მაღალო ცაო, ისევ შენ გიმზერ,
იქ უცხო მხარეში ალბათ მომელიან;
ძვირფასო, ვედგავარ გზაჯვარედინზე
და ვიცი, ჩემი გზა ახლა რომელია,
ისევ აქა ვარ, თუმცა ვარ იქაც,
და ლექსი — გულია, და ლექსი სისხლია.
სხვაგვარ დუმილით უსმენ მუსიკას
და ახლა სიკვდილი ასე ადვილია.

ტერენტი გრანელს, თავად ყოფილ ხელოსანს, ეს ხელოსანი ხალხი, ეს ხელდაკოჭრილი და გულმართალი ხალხი გულით უყვარდა. მათთან ყოფნა სიამოვნებდა, მათში უფრო ბევრს პოულობდა სიმართლეს და სიყვარულს, ვიდრე მწერალთა კავშირში. ღვინის ეშხში შესულმა გრანელმა სცადა ამ აუდიტორიის გამოყენება თავისი აზრების გასავრცელებლად. ახლა ამ გულმართალი და მშრომელი ხალხის სადღეგრძელო შესთავაზა სუფრას.

— ცხოვრებას თავისი წესი და კანონი აქვს, ეს აზრი მე ბავშვობიდანვე ჩამინერგეს. ბავშვობიდანვე შემაყვარეს შრომა და ჩემზე ერთგული შრომაში ჩემი ტოლი არ მეგულებოდა. შრომა და მშრომელი კაცი ჩემი იდეალი იყო და მე რომ მშრომელი ადამიანი არ მიყვარდეს, ეს ბუნების საწინააღმდეგო იქნებოდა. დიახ, მეც თქვენსავით მშრომელთა რიცხვს ვეკუთვნი. სოფლელი გლეხი და ქალაქელი ხელოსანი მუშა — ეს ორი კაცი ჩემში ბავშვობიდან ზის: წალენჯიხელი გლეხი, ზუგდიდელი ხელოსანი და თბილისელი რკინიგზის კონდუქტორი — მუშა. ორივეს ვეტრფი, ორივე მიყვარს. ჩემს პოეზიას სოფლის სურნელება თან დაჰყვა და არც არასოდეს მოცილდება ეს მადლი. ოღონდ არც სოფელშია მარტო ქორწილი და მარტო შრომის სიხარული. სოფელსაც აქვს თავისი უსაშველო სევდა. ჩვენებური ტირილი რომ ნახოთ, მერე არ გაგიკვირდებათ ჩემს პოეზიაში ეგზომ ცრემლი და სევდა. ეს სევდა სოფლის სევდაა, ქვეყნიერების სევდაა. ან ჩვენებური სევდიანი სიმღერები თუ მოგისმენიათ? და ტერენტიმ ნელი ხმით დაიწყო: „ოუვ ნანა, დია ოუვ ნანა, დია ოუვ ნანა“... ხმა აუწყვეს სუფრის წევრებმა... დიახ, მეც თქვენსავით მშრომელი და

ხელოსანი კაცი ვარ. თქვენთან პურის ჭამაც ამიტომ ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაც და კმაყოფილებაც არის. მოდით, ეს მშრომელ კაცს გაუმარჯოს, მის პატიოსან მარჯვენას და კაცურ კაცობას გაუმარჯოს... სადღეგრძელო დალია და ეშხში შესულმა გააგრძელა: რა ვქნა მწერალია კავშირში არ მწყალობენ, ერთი მტირალი პოეტიაო, ზეცაში ხეტიალს თავი ვერ დაანებაო და თავისთავსაც ვერ მიხედაო. მათ ავიწყდებათ, რომ ყველა რეალისტზე დიდი რეალისტი ჩვენი აკაკი ამბობდა: „არც მიწისა ვარ, არც ცისაო“. მე მაინც უფრო ზეცა მწამს, რადგან იქ მეტია სიწმინდე, იქ ალბათ მწერალთა კავშირიც არ არის. თუმცა ზეცაშიაც არ არის დიდი ბედნიერება. ამიტომ მე მიწამებია მესამე გზა. ჩემი მესამე გზა პოეზიაა, სისხლით ნაწერი ჩემი ლექსები ამ მესამე გზის ქადაგებაა და მე რომ მოვკვდები, ეს მესამე გზა — პოეზია — დარჩება. საქართველო და მშრომელი ხალხიც მუდამ მწამდა: თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს, მშრომელო საქართველო. ეს სადღეგრძელო ლექსით დაამთავრა:

თმაგაშლილ ქალის მე დამდევს ღანდი
ფიქრი ოცნებას საშველს არ აძლევს
და მაისია, მზე ნელა ჩადის
და შავი კატა წევს ფანჯარაზე.
არ მეშინია მოვარდნილ ტალღის,
გავიმეორე ჩემი რითმები,
მწამს მხოლოდ ერთი: მშრომელი ხალხი,
მეც მშრომელ ხალხის რიცხვში ვითვლები.

ეს ლექსი რომ წაიკითხა, ვრცელი განმარტებაც ზედ მიაყოლა.

— ასე იტყვიან ჩემზე იყო ერთი პოეტი. იყო ერთი პოეტი, რომელსაც პოეზიის მეტი არაფერი წამდა. პოეზია იყო მისთვის სალოცავი ხატი და ღმერთი. ამ ღმერთის სამსახურს შესწირა მან ამქვეყნიური ყოველივე ბედნიერება.

დიახ, ჩვენი დიდებული წინაპრების მიერ ანთებული პოეზიის დიდი სანთლების გვერდით ერთი პატარა სანთელი მეც ავანთე. მე მწამდა, მჯეროდა, ამ რწმენით ვწერდი, რომ ჩემს მიერ ანთებულ პოეზიის სანთელს ჩემი მტრები ვერ ჩააქრობენ და ჩემს წამებულს სულს ძეგლად ეს ეყოფა. იყო და არა იყო რა, იყო ერთი პოეტი, რომლის სახელი და გვარი ტერენტი გრანელია. ასე დაიწყება ზღაპარი ჩემს შესახებ და ამ შეთხზულ თუ გაზღაპრულ ამბავში ბევრი რამ იქნება მოგონილი და გადაჭარბებული, ზოგნიც დამამცირებენ მე, ზოგნი ზედმეტად განმადიდებენ, ზღაპარი რის ზღაპარია თუ ასეთ გადაჭარბებას ადგილი არ ექნება?

ჩემს შესანდობარს პოეტებიც დალევენ, მათ შორის გალაკტიონიც იქნება, პოეტების მეფე. ეს კი საკმარისზე მეტია და სხვა რამ დიდე-

ბა არც მიძებნია. ეჰ, თუმცა სუყველაფერი წარმავალია, იყო და არა იყო რა!..

უსმენდნენ გაოცებით, თვალებში შესციცინებდნენ პეტრე-პავლეს სასაფლაოს უბნის ხელოსნები გრანელს. ზოგს არც ესმოდა ამ საუბრის შინაარსი და მაინც ღვინისა და ძმობის ეშხით ყელამდე სავსე სულგანაბულნი უსმენდნენ ქადაგად დამდგარ პოეტს: მოდით ახლა ჩვენი თბილისის სადღეგრძელო დავლიოთ, თბილისის სადიდებელი ვთქვათ, გრძელი, გაჭიანურებული სიტყვა თბილისზე ლექსით დაამთავრა.

ბებერი მესაფლავე ადგა, ტერენტი გულში ჩაიკრა და მწარედ აქვითინდა, ამ დროს მეწაღე მიტუაც აღრიალდა.

— ტირილი არ გამაგონოთ. მართალია ჩვენ სასაფლაოზე ვართ, მაგრამ ტირილი არ გამაგონოთ, ჩვენ აქ ახლა საქეიფოდ ვართ!

ეს თქვა და თვითონაც ატირდა, ყველანი ინდაურის ჭუკებივით გამომთვრალნი ერთმანეთს ეხუტებოდნენ და ტიროდნენ. მერე სტუმრები წავიდნენ და ამ ქოხში ისევ ტერენტი და ბებერი მესაფლავე დარჩა. დილით ადრე რომ გამოეღვიძათ და ისევ გაშლილი სუფრა ნახეს, ისევ მიუსხდნენ მაგიდას და ქეიფი გააგრძელეს. ბებერმა მესაფლავემ და ტერენტიმ მთელი დღე სვეს და გულიანად მოილხინეს. იმ ღამეს ავად გახდა გრანელი. მთელი ღამე აბოდებდა, ვიღაცას ეძახდა, დამიცადე, დამიცადე, მოვდივარ, მოვდივარ. წარამარა იმეორებდა ამ სიტყვებს. დედა ეზმანა პოეტს, დედის აჩრდილი გამოეცხადა, მოეფერა: უტუ! მე შენ ისე დაგტოვე, რომ ჩემი ხელის სითბო, დედის ალერსი აღარ გიგრძვნია, და გეტყობა კიდეც: შენი უსაშველო სევდა და სიმარტოვე უდედობამ, უჩემობამ თან დაგანათლა, ჩემო ბიჭო. ვაი რა ძნელია შვილს რომ დედის ალერსი არ ეღირსება. უდედოდ გაზრდილ ბავშვს სევდა ჭამს და ღრღნის, ნანასავით გამოუცნობი, უძიროა სევდა, შენც ასე დაგმართია.

უტუ! აწი ნუ გეშინია. ნანა შვილო, სულ მალე ჩემთან მოხვალ და იმის წილ რაც ბავშვობაში დაგაკლდა და აწინდელ წილსაც ერთად მოგიზღავ. ჩემო ბიჭო. სამ შვილში შენ ერთადერთი ბიჭი იყავ და ყველაზე მეტი საზრუნავი შენი მმართებდა, ვაი რომ დაგაკლდა ჩემგან ზრუნვაც და ალერსიც. აწი ნურაფრისა გეშინია, ნანა, მოდი, მოდი, ნანა, და დიდი ხნის უნახავი შვილი გულში ჩაიკრა დედამ. უდიდესი კმაყოფილება იგრძნო გრანელმა და ოქროს ღიმილმა გადაუარა მის დასიცხულ სახეს.

თვალი გაახილა და გაჭრა ზმანება. ისევ მილულა თვალი სიცხისაგან გონდაკარგულმა. ახლა მამა ეზმანა. მამა გაუჯავრდა. ეს რას ჰგავს შენი ცხოვრება. რა გადარეულს დამსგავსებიხარო, შვილო, ასე იცის ქუჩამ, ქუჩას ბედნიერება ვისთვის მოუტანია, შენ რომ მოგი-

ტანოს? დაუბრუნდი ოჯახს, დებს, დებს მიაშურე, იქ სახლიცა და კერაც გაიხარებს შენის მისვლით. დებს უყვარხარ და არაფერს დაიშურებენ შენთვის. მეც ხომ მუდამ გაგონებდით, რომ ერთად, ერთად ყოფილიყავით განუყრელად. წადი, წადი შვილო, კერა გეძახის, ოჯახის ხმა ნუთუ არ გესმის. სირცხვილია შენი ასე ხეტიალი, ოჯახის, ჩვენი საერთო სირცხვილია. წადი, წადი სოფელს მიაშურე. იქ იგრძნობ შვებას და მოსვენებას, წადი წადი ბაბაია... ტერენტიმ შელაპარაკება სცადა, პირი გააღო, მაგრამ მთლად პირგამშრალმა ხმა ვერ გაიღო. წყალი, წყალი, დაიხრიალა, დაიკვნესა, ბებერი მესაფლავე თავზე ადგა და უმალ წყალი მიაწოდა, პირთან მიუტანა წყლით სავსე ჭიქა. წყალი მოსვა და თვალები გაახილა. „მამა, მამა სად არის“ — იკითხა. ვინ მამაო, გაოცდა ბებერი მესაფლავე. „ჩემი მამა, ჩემი მამა“... — ისევ დახუჭა თვალები. დიდხანს ბორგავდა, მერე ისევ დამშვიდდა და ახლა ლილი, ლილი გამოეცხადა. სახეზე ისევ ღიმილი გადაეკრა პოეტს. და სცადა მოხვეოდა სასურველ სტუმარს. მაგრამ ხელები ზე ვერ აზიდა, დამძიმებოდა ხელები და აღარ ემორჩილებოდნენ ავადმყოფს. ლილი მიეჩქარა სარეცელს. პირაღმა მწოლარე პოეტას წინ დაიჩოქა და ვედრებით მიმართა: აჰა, მოვედი, ჩემო ტერენტი! შენ გინდოდა და მოვედი. დავტოვე ქმარი, შვილი და ოჯახი, მოვედი შენთან ძვირფასო, შენმა უსაშველო სიყვარულმა გამაბედინა ყოველივე ეს. მაინც რა ყოფილა ეს პირველი სიყვარული, მოვედი, სამუდამოდ მოვედი სანატრელო და ზედ დაეკონა სატრფოს. ავადმყოფმა თვალები გაახილა და არ დაიჯერა, ნუთუ მართლა მოვიდა და თითქოს იყვირა „ლილი! ლილი! შენა ხარ ეს. ლილი, ჩემო ლილი“ — რაღაცნაირი სასოებით წარმოთქვა ეს სახელი პოეტმა. — ვინ ლილი! ისევ გაკვირვებით იკითხა მესაფლავემ. — „ჩემი ლილი, ჩემი ლილი“, ლუღლუღებდა რაღაცნაირად ცმაყოფილი ტერენტი. მერე, მერე ეს მოჩვენებაც გაქრა, ისე გაქრა, რომ არც რა უგრძვნია დასიცხულ პოეტს, დრო გავიდა და ახლა ხმამაღლა ბოდვა დაიწყო პოეტმა, ისე, რომ სიტყვებიც გაარჩია მესაფლავემ:

ჩუმი ღამეა, უფრო სპეტაკი
სევდა გამეფდა — გრიგოლს ვეძახი!

— ვინაა ეს გრიგოლი, შე ბედდამწვარო ვინ? — გაკვირვებით იკითხა მესაფლავემ. ბებერი მესაფლავე ხედავდა, რომ საქმე სერიოზულად იყო. გათენდა თუ არა, შინ ნაცნობი მეეტლე მოიხმო და საავადმყოფოში წაიყვანა გონდაკარგული ტერენტი...

საავადმყოფოში სამი დღე-ღამე ებრძოდა სიკვდილს უპატრონოდ მიტოვებული ტერენტი გრანელი. ის დღეები არ ეცალა ბებერ მესაფლავეს და ტერენტი ვერ მოიკითხა. მეშვიდე დღეს კი ბებერ მესაფლავეს მოაყენეს ტერენტი გრანელი, ოღონდ ახლა არა ეტლით, არა-

მედ ბალდახინით. ბებერი მესაფლავე ელოდა ამას, თითქოს გულცივად შეხვდა ძველ მეგობარს, ხოლო ის გაუკვირდა, რომ ტერენტი გრანელის ცხედარს დების გარდა, რომლებსაც იცნობდა ბებერი მესაფლავე, ახლა ოციოდე კაცი მოაცილებდა. საიდან? იკითხა გაკვირვებულმა — ნუთუ ამ ოციოდე კაციდან ერთსაც მაინც არ გახსენებია ტერენტი, რომ ამ ბებერ მესაფლავეს თვალით ენახა ტერენტისათვის გულწემატკივარი ადამიანის შვილი... პანაშვიდი დამთავრდა, კუბო საფლავში ჩაუშვეს. ბებერმა მესაფლავემ ნიჩბით მიწა მიაყარა პოეტის კუბოს და ხმამაღლა განიმეორა:

მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე
რომ დამაყრიან თბილისის მიწას.

ერთადერთი ნატვრა, რაც აღუსრულდა პოეტს, ეს იყო.

ადექით, სასამართლო მოდის!

ჩვენს ქალაქში თითქმის ყველას გაუგონია ჯაბა ბერიშვილის სახელი, ხოლო ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას ცხოვრების გზაზე, გაკვირვებულა იმით, რომ ამ ერთ კაცში თითქოს ორი კაცი, ორი არსება ბუდობდა — კეთილი და ბოროტი, ჭკვიანი და გაქნილი, ენატკბილი და მატყუარა, ერთი სიტყვით ასეთიც იყო და ისეთიც და ეს ორი არსება, ეს ორი მოპირდაპირე სული ერთად ცხოვრობდნენ მასში, საოცრად შერწყმულნი და შეხმატკბილებულნი. ბევრმა როდი იცოდა, რომ ამ გაორების საფუძველი — ფულისადმი ავადმყოფური სიყვარული იყო. ჯაბას კარგად არ ახსოვდა როდის გაუჯდა გულღვიძლში ფულის ჭია, ოღონდ იმას კი რა დაავიწყებდა, რომ მას შემდეგ რაც სტუდენტი გახდა, მისი ნიჭიც, ჭკუაც, მოხერხებაცა და მცდელობაც იქით იყო მიმართული, რომ გამორჩეულად, ნებიერად, განცხრომით ეცხოვრა; ეს იყო მისი ფიქრიც, ნატვრაც, ოცნებაც, საზრუნავიც, ხოლო ასეთი ცხოვრებისათვის— ჯაბამ ეს ძალიან კარგად იცოდა — ბევრი ფული იყო საჭირო. ამიტომაც მან თავიდანვე ფული გაიხადა კერპად და სალოცავ ხატად.

ამ გზაზე ის არც არავის ზოგავდა, არც არაფერს ერიდებოდა, ყოველგვარ საქმეში გაერეოდა, ოღონდ ფული ეშოვა. ფული იყო მისი ცხოვრების აზრი. დღისით თუ ღამით იმეორებდა მეჯღანუაშვილის სიტყვებს: „ფულია ჩემი გამხარებელი“, ამასვე ღიღინებდა და სიზმარშიც კი ამაზე ბოდავდა. მაგრამ საქმეში ჩახედულმა ჯაბამ იცოდა მეჯღანუაშვილის ხერხებსა და მარიფათიანობას ნიადაგი რომ გამოეცალა და ვაჭრობითა და აღებ-მიცემობით გზას ვერ გაიკვლევდა, რადგან არც კერძო დუქანი იყო ნებადართული და არც კერძო ქარხნები, თუმცა, ისიც იცოდა, რომ ერთიცა და მეორეც რაღაც მანქანებით ვიღაცეებს მაინც ჰქონდათ და ისევ აძრობდნენ ტყავს გულუბრყვილო ადამიანებს, როგორც სოლომონ ისაკიჩის დროს.

ვიდრე ამ დახლართულ და მიხვეულ-მოხვეულ გზებში გაერკვეოდა, მანამდე ჯაბამ ერთ უფრო ზეზეურად ამოტივტივებულ ჰეშმარიტებას მიაგნო: საჭიროა თანამდებობა, საჭიროა სკამი, რომ გავლენა მოიპოვო, შენი შიში და რიდი ჰქონდეთ. ეს ფიქრი მის გონებას მეორე კურსის სტუდენტი რომ იყო, მაშინ ჩაეწვეთა. მესამე კურსზე ეს რწმენა მთლიანად დაეუფლა, ძვალ-რბილში გაუჯდა, წვეთი მდინარედ იქცა. ჯაბაც მიენდო ამ მდინარის დინებას და ინსტიტუტში,

მესამე კურსის სტუდენტმა იმდენი მოახერხა, ისე კარგი მხრიდან მოაჩვენა ყველას თავი, რომ დააწინაურეს და ფაკულტეტის კომორგად აირჩიეს. ასპარეზი რომ ხელთ ეგდო, ისე ერთბაშად გამოიჩინა თავი, იმავე წლის ბოლოს ინსტიტუტის განთავისუფლებული პროფორგი გახდა. ხელფასი დაენიშნა. პირველი ხელფასი რომ აიღო, საჭირო კაცები დაპატიჟა, ლაზათიანად მოილხინეს, ბევრი კარგი სიტყვა უთხრეს მასპინძელს, ერთმა ამომავალი ვარსკვლავიც კი უწოდა... საკმაოდ გვიან დაიშალნენ. კურსდამთავრებულმა გულმოცემულმა და დაუცხრომელმა ჭაბუკმა უფრო მაღალი თანამდებობის ძებნა დაიწყო. ასპირანტურაც დაამთავრა. სწორედ ამ დროს ფაკულტეტის დეკანი ინსტიტუტის პრორექტორად დანიშნეს. დეკანის პირველი მოადგილე დეკანად აირჩიეს, ხოლო მის ადგილზე ჯაბა განამწესეს.

ახალი დეკანი მეცნიერებით გატაცებული კაცი იყო და პრაქტიკული თუ ორგანიზაციული საქმეებისათვის ცოტას იცლიდა. ჯაბამ ამით ისარგებლა და მთელ ფაკულტეტს დაეპატრონა. ახლა აქ კაცი ვერავის ჩარიცხავდა მის გარეშე. ამ ფაკულტეტის მიმღები კომისიის თავმჯდომარეც თვითონ იყო. სტუდენტების კურსიდან კურსზე გადაყვანა, სტიპენდიების დანიშვნა, გარიცხვა თუ გადმოყვანა სხვა ინსტიტუტებიდან — ყველა ეს საქმე ახლა ჯაბას ხელში იყო. სულ მალე ისე გაიწაფა ამ ორგანიზაციულ სფეროში, რომ რექტორი მარტო მასღა ეკითხებოდა ფაკულტეტის საქმეებს. სტუდენტებმა ეს ყველაზე უკეთ იცოდნენ და როცა რაიმე სათხოვარი ჰქონდათ, მხოლოდ მას მიმართავდნენ. ერთბაშად გაიზარდა ჯაბას ავტორიტეტი. მან მარჯვე და საქმიანი კაცის სახელი დაიმსახურა. დაიმსახურა და ამ დამსახურებას თილისმის ძალა მიეცა. ჯაბა — დეკანის პირველი მოადგილე, ჯაბა — პარტბიუროს წევრი, ჯაბა — ინსტიტუტის ადგილკომის წევრი... გაიბერა, გაიწელა ჯაბა. ახლა მარტო ფაკულტეტზე კი არა, მთელ ინსტიტუტში ისე არ გადაწყდებოდა არც ერთი ორგანიზაციული საკითხი, რომ მისი მონაწილე ის არ ყოფილიყო.

ამ ახალგაზრდა კაცს კიდევ ერთი რამ შველოდა: ენაწყლიანი იყო, შემპარავი და დამმორჩილებელი საუბარი იცოდა — მუდამ პარტიის და მთავრობის სახელით ლაპარაკობდა და მარცხნივ და მარჯვნივ ებრძოდა იმათ, ვინც, მისი აზრით, პარტიის ხაზს ამახინჯებდა. განსაკუთრებით იმ წელს ამოტივტივდა ჯაბა, როცა კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ წამოწყებულმა კამპანიამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ჯაბამ ამ კამპანიით ისარგებლა, ურამემარცხენეებს მხარში ამოუდგა და ძველ პროფესურას შეუტია. ამას ის მოჰყვა, რომ ინსტიტუტიდან დაითხოვეს მისი დამაარსებელი და ხუთი პროფესორიც ზედ მიაყოლეს. ამ ხუთ კაცს ჯაბამ თავის მხრივ, თავისი კათედრის გამგეც მიაყოლებინა, იმ საბაბით, რომ იდეურად არასაიმედო კაცია, ოდესღაც

მენშევიკი ყოფილაო; იმ კვირის ბოლოს ჯაბა ამ კათედრის გამგედ დანიშნეს.

და აი, ამ გზით ჯაბამ სულ მალე მთელ ინსტიტუტში ყოვლისშემძლისა და გავლენიანი კაცის სახელი მოიპოვა. ყველაზე მეტად აქტიური იყო, იდეოლოგიური სიწმინდისათვის თავს დებდა, მაგრამ არავინ იცოდა, რომ მისი ასეთი თავგანწირვა თვითდაზღვევა იყო, იმის შიში იყო, მისი არცთუ სახარბიელო წარსული არ გამომზეურებულიყო. და რაც უფრო აწუხებდა ეს შიში, მით უფრო თავგამოდებით უტევდა „პარტიის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს“, ასეთ მოწინააღმდეგეებს კი თვითონ ამოარჩევდა ხოლმე... ამგვარი საქმეების გარჩევას იმ წლებში ბოლო აღარ უჩანდა. იბრძოდა ჯაბა და მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა, და მაინც რაღაც გამოუცნობი შიში უღრღნიდა გულ-ღვიძლს. ეს შიში მოსვენებას უკარგავდა... სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენდებოდა თავისი წინაპრების ამბავი, ერთხელ დეიდამ რომ უამბო.

— თქვენს სოფელში, წალენჯიხაში შენი გვარის კაცი მარტო პაპაშენი, მოსე ყოფილა, — დაიწყო დეიდა ვენერამ, —პაპაშენი ბერი იყო, მერე თავისი ეს წოდება გვარად უქცევია. ასე მოვლენია თქვენს სოფელს პირველი ბერიშვილი. ხოლო მოსე სად დაიბადა, ვინ იყვნენ მისი მშობლები, ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა დედაშენს და, მგონი, თვითონაც არ იცოდა კარგად, თუ ვინ იყო და ვისი შთამომავალი იყო მოსე. მხოლოდ ერთხელ, ბებიაშენს, ჩემს დასთან, იმ უბედურ დედაშენთან წამოსცდენია პაპაშენის ნაამბობი — მე უკანონოდ შობილი ვარ, მამაჩემს დედაჩემი შეუცდენია და აღარ უთხოვია. მე, სადღაც იმერეთის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში დაებადებულვარ. მერე ერთ დედაბერს მათხოჯის ეკლესიის წინ ჩვრებში შეფუთული ბავშვი დაუტოვებია. მათხოჯში მონაზვნებს ქრისტესგან გამოგზავნილად ვიუჩნევიათ ჩემი თავი და გავუზრდივარ. თორმეტ წლამდე იმ მონაზვნებსა და ბერებში ვიზრდებოდიო.

პატარა ჯაბა გაოცებული უსმენდა დეიდას. როცა ის წუთით შეყოვნდა, ბიჭი შეევედრა:

— მერე დეიდა, დედამ არ მოძებნა?

— დედას ვინ იცის, რა დაემართა... ბიჭი კი ერთხანს შერჩა თურმე აქაურობას. იქიდან, მათხოჯის ეკლესიიდან, ყოველდღე უყურებდა მთაზე წამოსკუპებულ თეთრად მოქათქათე მარტვილის მონასტერს. ისე გაუტაცნია ბავშვი ამ საოცარ ტაძარს, რომ თორმეტი წლისა გაპარულა მათხოჯიდან და მარტვილში გადასულა. აქ რამდენიმე წელი დაუყვია, მერე იქიდანაც გამოქცეულა და ხობის მონასტრისთვის შეუფარებია თავი. ხობელ ბერებს მოსწონებიათ ყმაწვილი და კარგად მიუღიათ, შემდეგ უმცროს მორჩილად დაუნიშნავთ და როცა

ბერად უკურთხებიათ, სახელად მოსე შეურქმევიათ. ხობში ყოველდღე დიდძალი მორწმუნეები მოდიოდნენ და აურაცხელ ოქრო-ვერცხლს თუ სხვა განძეულობას შესწირავდნენ ხოლმე. ხობის დიდი ხატის წინ იდგა ვერცხლის ვეება თასი და ყოველი მორწმუნე, რომელიც ლიტანიით გარს შემოუვლიდა ეკლესიას, ამ თასში ყრიდა ხოლმე ოქროსა თუ ვერცხლს. მონასტრის მოლარე ბერს ამ თასის მცველად ახალგაზრდა ბერი მოსე დაუნიშნავს. იდგა ხატის წინ ეს ქანდაკებადქცეული მოსე ბერი და უყურებდა როგორ ცვიოდა ოქრო და ვერცხლი, აუწონავი და უთვალავი, ამ ვერცხლის თასში; მერე, დღის ბოლოს, მოლარე ჩამოივლიდა და იღებდა თასში ჩაყრილ ოქროს და ვერცხლს... ეჰ, წყეულიმც იყოს ეს ოქრო, ეშმაკი თურმე წმინდა ტაძარშიც შეაცდენს ადამიანს.

— რა დაემართა, ეს ფული გაიტაცა? — ჩაეკითხა ჯაბა.

— დამაცა, შვილო... ამ ფულებს რომ უყურებდა, მოსეს თურმე ერთი უცნაური აზრი მოსვლია, ყოველდღე ამ ვერცხლის თასიდან თითო-ოროლა ოქრო და ვერცხლი რომ ავიღო, ვინ რას მიხვდებაო. ასეც მოქცეულა. თურმე ჩუმად ჩააპარებდა მონაპარს ბერის ანაფორის გრძელსა და დიდ ჯიბეში, როცა ეს ჯიბე გაავსო მონაპარი ფულით, უმალვე მის გადამალვას შეუდგა მოსე ბერი. მონასტერში ძველი თიხის დოქი მონახა, ჩაყარა იმაში მოპარული ოქრო-ვერცხლი, იქვე, ხობის მონასტრის ახლოს, ერთ ხის ძირას მიწა ამოთხარა და იქ ჩაფლო, ეს საიდუმლო თიხის დოქი ნახევრადაც არ იყო ოქრო-ვერცხლით სავსე და ამიტომ მოსემ ისევ გააგრძელა ეკლესიაში ფულის პარვა. როცა კვლავ აავსო თავისი გრძელი ჯიბე, ამოიღო ისევ მიწიდან დოქი და მანამდე არ მოეშვა, სანამ პირამდე არ მოჰყარა. ახლა კი მიხვდა მოსე, რომ ის მდიდარი კაცი იყო.

დეიდამ ისევ შეწყვიტა ამბის თხრობა და ეს ჩაურთო: — ღმერთო შეგცოდე, ცუდი არ მინდა, ვთქვა პაპაშენზე. მაგრამ, ერთხელ რომ შეაცდენს ეშმაკი კაცს, მერე აღარ მოეშვება. მოსე იმ ხანებში ერთ ლამაზ მონაზონს გაეცნო. და აი, ღმერთისა და ქრისტეს მორჩილმა მორწმუნე ბერმა, სწორედ ქრისტესაგან აკრძალულ ხეს მოსწყვიტა ნაყოფი. ერთ დღეს მოსეს ამ მონაზონთან წაასწრეს და ხობიდან დაითხოვეს. იმავე საღამოს ჩუმად შეიპარა ხობის მონასტერში. იქ ჩაფლული ოქროს დოქი მიწიდან ამოიღო, და ბერის ტანისამოსით შემოსილი მოსე წალენჯიხის ეკლესიას მიადგა. წალენჯიხაში შეიკედლეს ეს გამოძევებული ბერი. მალე მან იქვე, წალენჯიხაში მცხოვრებ უძეოდ გადაგებულ დედაბერს მიაგნო და თავშესაფარი სთხოვა. დედაბერმა სიხარულით გაუღო კარი ქრისტეს მოციქულს. ერთი თვეც არ იყო გასული და ეს დედაბერი გარდაიცვალა. მაშინ კი მოსემ ბერის ტანსაცმელი გაიძრო, წვერი მოიპარსა და ჩოხა-ახალუხში გამო-

წყობილი ცხენოსანი მოსე თოფით მიადგა დედათა მონასტერს, იმავე დღეს გამოიტყუა იქიდან თავისი სატრფო და მოტაცებული მონაზონი წალენჯიხაში იმ დედაბრის სახლს მიაყენა, რომლის ბატონ-პატრონი ახლა თვითონ იყო. იმავე დღეს მონაზვნის ტანისამოსი გახადა ულამაზეს ასულს, სახელად თამარი შეარქვა, საქორწილო ტანისამოსში გამოაწყო და ჯვარი დაიწერა. აი მაშინ დასჭირდა მოსე ბერს ერისკაცის გვარი, რაკი მამის გვარი არ იცოდა, ბერმა ბერიშვილი დაირქვა და ასე დაიწყო შენი გვარეულობა, ასე გაჩნდა წალენჯიხაში პირველი ბერიშვილი.

დეიდა ვენერამ აქ დაამთავრა თავისი ამბავი. ჯაბამ მომდევნო ამბებიც მალე შეიტყო, ნაცნობებმა და ნათესავებმა უამბეს.

მოსეს მალე შვილი შეეძინა, მონათლა და სახელად პახუ შეარქვა, ცხოვრობდა მოსე თავისი მოტაცებული ცოლითა და ვაჟიშვილით, ცხოვრობდა უდარდელად და არხეინად, გამდიდრებული ხობის ეკლესიაში მოპარული ოქროებით. მაგრამ ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და უკვე ხანში შესული მოსე ავად გახდა. რაც დღე გადიოდა, მით უარესობა ეტყობოდა ავადმყოფს. რა არ იღონეს, საიდან არ მოიყვანეს ექიმები... ერთ კვირა დღეს მოსემ დაიჩემა, რაც არ უნდა მომივიდეს, უნდა ავდგეო, და ავადმყოფი იმ დღეს ძველებურად ჩოხა-ახალუხში გამოეწყო, ცაცხვის ძირას დაჯდა და თავის ერთადერთ ძეს — პახუს გულითადი საუბარი დაუწყო, ბევრი რამ უთხრა მთისა თუ ბარისა. ბოლოს, თავის ყველაზე დიდი საიდუმლო გაანდო:

— შვილო პახუ, შენ ხედავ და მეც ვატყობ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია. მე ვკვდები, ბაბაია, მაგრამ ნურაფრისა შეგეშინდება, შენ არაფერი გაგიჭირდება. ერთ საიდუმლოს გაგანდობ და მიხვდები, რომ მამაშენმა იმდენი იზრუნა შენთვის, იმდენი ქონება მოგიგროვა, შენც გეყოფა და შენს შვილსაც.

ეს რომ უთხრა, ხელი მოხვია, იქვე, ცაცხვზე მიყუდებული ბარი აიღო და ცაცხვის ძირას მიწა ამოჩიჩქნა. როცა მოსემ დოქს თავი მოხადა, და ხელის გულზე ოქროსა და ვერცხლის ფულები მზეზე ათასფრად აპრიალდნენ, პახუმ ხმამაღლა იყვირა:

— სად იყო, ბაბაია, ამდენი ოქრო!

— სუ, ჩუმად, ამას მერე გიამბობ. ახლა კი იცოდე, რომ აი აქ, აქ არის მამიშენის შრომითა და ოფლით ნაშოვნი, შავი დღისთვის გადანახული სიმდიდრე და ისე უნდა მოუარო, როგორც მე ვუვლიდი მას, — შემდეგ ისევ ფრთხილად დაუცო დოქს თავი, მიწა მიაყარა და ზედ თეთრი ქვა დაადო.

იმ კვირას მიიცვალა მოსე ბერი და მისმა შვილმა, ოცი წლის პახუმ დიდი პატივით დაასაფლავა ძვირფასი მამა.

ერთი თვის შემდეგ პახუმ იმ ცაცხვის ძირას ჩაფლული ოქროს

დოქი ფრთხილად ამოიღო, სენაკში გაემგზავრა, ამ ფულის ნახევრით დუქანი იყიდა ვიღაც ვაჭარ ცაავასაგან და შიგ რკინეულობისა და ფართლეულობის მაღაზია გახსნა, იმავე წელს ცოლად შეირთო ქუთაისელი ვაჭრის თხელაძის ქალიშვილი. ერთი წლის თავზე პახუსა და თხელაძის ქალს ვაჟიშვილი შეეძინათ. პახუმ შვილი დიდი ამბით მოანათვლინა მთელ სამეგრელოში განთქმულ გვანჯი აფაქიძეს. ამ უდარდელმა და მოქეიფე კაცმა სახელად ჯაბა დაანათლა პახუს ვაჟს. ხოლო ნათლიმამა ფედერალისტების პარტიაში ჩარიცხა, სენაკის ფედერალისტების ლიდერმა.

ასე გაჩნდა ქვეყანაზე ჯაბა ბერიშვილი. მისი დაბადების ხუთი წლისთავზე ბებია თამარი მიიცვალა.

ცხოვრობდა პახუ მამაპაპეულ სახლში, სოფელში, ხოლო სენაკში დიდი სავაჭრო ჰქონდა; სენაკში პახუმ ერთი პატარა ოთახი დაიქირავა, ახლა იგი კვირაში ერთხელ ჩადიოდა წალენჯიხაში, და ცოლშვილს იმდენს უტოვებდა ხორაგსა და ფულს, რომ კვირიდან კვირამდე ჰყოფნიდათ. ნაქურდალი ოქროთი და ვაჭრობით გამდიდრებული პახუ ფედერალისტებს ფულით ეხმარებოდა და პარტიაში პირველ კაცად ითვლებოდა.

გალაღებულ ვაჭარს კი ახალ-ახალი მოთხოვნილებები გაუჩნდა. ერთხელ პახუმ შენიშნა, რომ დიასახლისმა, ნათელამ, ვისგანაც ოთახი ქირავა, როგორღაც ტკბილად და კეთილად გაუღიმა. ნათელა ლამაზი ქალი იყო და პახუს მისი ხელში ჩაგდების სურვილი აღეძრა. იმ დღიდან შეუჩნდა და მანამდე არ მოეშვა, სანამ არ დაიყოლია. ერთ დღეს შეყვარებულებს ნათელას ქმარმა ცუდ დროს შეუსწრო და ორივე სიცოცხლეს გამოასალმა.

პახუ სენაკიდან წალენჯიხაში წაასვენეს. მისი ცოლი მეტად კეთილი ქალი იყო, მორწმუნე და ღვთისმოსავი, მოსიყვარულე და მოშიშარი, ერთგული, გადაგებული ოჯახს, ქმარსა და შვილს: შვილი მაინც ხატად ჰყავდა მიჩნეული და ყოველდღე მასზე ლოცულობდა. ვაჭრობით გატაცებული პახუ კი ცოლსაც ისე უყურებდა, როგორც რაღაც ნივთს. ერთი ალერსიანი სიტყვა რა არის, ისიც არ ღირსებია ქმრისაგან ჯაბას დედას. მაგრამ ქმრის სიკვდილმა მაინც ისე იმოქმედა მასზე, შეშლილს დაემსგავსა, შინ ვერ ჩერდებოდა, ვერ ისვენებდა. ქმარს ორმოცი რომ გადაუხადა, სენაკში ყველაფერი მიყიდ-მოყიდა და სოხუმში გათხოვილ თავის დას შეეკედლა. იდარდა, ძალიან იდარდა ჯაბას დედამ და ერთ თვეში გარდაიცვალა. ათი წლის ჯაბა იშვილა დეიდამ, ვიღაც შეძლებულ ბერძენს რომ ჰყავდა ცოლად. ბერძენი უშვილო კაცი იყო, მდიდარი და ჯაბას არაფერს აკლებდა, მაგრამ ბიჭს მალე ეს მფარველიც გამოეცალა ხელიდან. პირველი კურსის სტუდენტი იყო ჯაბა, როცა ბერძენი გარდაიცვალა და უზრუნველ

ცხოვრებას მიჩვეულმა ბიჭმა პირველად გაიგო რა არის გაჭირვება. ახლა დაბერებული დეიდა ვენერა თვითონ თხოულობდა დახმარებას დისწულისაგან, და აი, აქედან დაიწყო ჯაბას დამოუკიდებელი ცხოვრება.

ჯაბა დეკანის პირველ მოადგილედ რომ აირჩიეს, იმ ხანებში ინსტიტუტში დიდი ამბები ხდებოდა. ყოველ წელს თუ ორ წელში ერთხელ იცვლებოდა რექტორი, პრორექტორი, დეკანები, პარტკომის მდივნები, თუ პროფკავშირის ხელმძღვანელები. ჯაბას უტყუარი ყნოსვა ჰქონდა. მან ერთი თვით ადრე იცოდა ვინ ვის შეცვლიდა, ვის როდის მოხსნიდნენ და ვის დანიშნავდნენ. ამის მიხედვით ცვლიდა თავის დამოკიდებულებას ამ პირთა მიმართ. გუშინ რომ მეგობრად აცხადებდა და ჰპირდებოდა — შენთვის თავს გავწირავო, მეორე დღეს იმას ტრიბუნიდან ჰგმობდა, ამათრახებდა და ემიჯნებოდა, რაკი იცოდა, რომ ხვალ-ზეგ მოხსნიდნენ. მერე იმ ახალ დანიშნულს თავის მეგობრად ჩათვლიდა და იმ დღიდან მას გამოაცხადებდა თავის მეგობარმოკეთედ.

უნივერსიტეტის დამაარსებელი პროფესორი უკანონოდ რომ მოხსნეს, ამ საქმის ერთი აქტიური მოთავე თავად ჯაბა იყო. გუშინ კი ვიღაცამ ცნობა მოაწვდინა მას — მთავრობას გადაუწყვეტია ის პროფესორი აღადგინონ თავის უფლებებში, კვლავ მოიწვიონ ინსტიტუტში და ასპირანტების მომზადება მიანდონო. ვიდრე დადგენილება ინსტიტუტში მოვიდოდა, მანამდე ჯაბამ მთელ ქალაქს მოსდო ეს ამბავი და ყველგან იმ პროფესორის ქებას და დიდებას აღავლენდა ეს ენაწყლიანი კაცი. იმ დღეებშივე ინსტიტუტის ადგილკომის კრებაზე მან საჯაროდ განაცხადა — ახლა, ახლა რაღას იტყვიან ჩვენი მასწავლებლის მტრები, რას ერჩოდნენ ამ უბადლო მოღვაწეს, უნივერსიტეტის დამაარსებელს, ჩვენს დიდ მეცნიერსო!

აი, სწორედ მაშინ შეხედეს ეჭვის თვალით ამ ენადგაკრეფილ ყმაწვილს, ბევრს გაახსენდა სულ ცოტა ხნის წინ როგორ უსირცხვილოდ გამოდიოდა ის ამ მეცნიერის წინააღმდეგ, ბევრიც გაოცებით იქნევდა თავს და ამბობდა: — არა, ეს ჯაბა ორი კაცია, კეთილი და ბოროტი, პატიოსანი და უპატიოსნო. ამ ორი კაციდან ხან ერთი ალაპარაკდება ხოლმე, ხან მეორე. ერთი ამტყუნებს მეორეს, მეორე ისევ პირველს, უცნაურია, უცნაური, — ამას კი ამბობდნენ, მაგრამ ჯაბას შიში და რიდი მაინც ჰქონდათ. ის კვლავ უტევდა ვიღაცეებს. შიშის ქარი არ ასვენებდა ყოფილ ფედერალისტისა და ვაჭრის შვილს...

ჯაბას საკმაო ფული ჰქონდა. ორმაგ ხელფასს იღებდა, როგორც დეკანის პირველი მოადგილე და როგორც კათედრის გამგე. ეს ორი თანამდებობა დიდ ჯაფასა და გარჯას მოითხოვდა. ერთხანს ჯაბაც არ ზოგავდა თავს და გაუთავებელ ფუსფუსში იყო. მალე ნიჭიერი ორ-

განიზატორისა და კარგი ლექტორის სახელიც მოიხვეჭა... შრომითა და ოფლით... ოფლითა და შრომით. მაგრამ ერთ დღეს ჯაბას რაღაც ჰინკა ჩაუძვრა სულში და ჩუმად ჩაეკითხა: — ჩემო ჯაბა, ამდენი ოფლითა და ტანჯვით ნაშოვნ ფულს რა გემო აქვს? საქმე ის არის, რომ ცოტა იშრომო და ბევრი იშოვნო, ბევრი ფული, იმდენი, რომ ჯიბეში არ გეტეოდეს, სალაროებშიც შეგქონდეს, სახლში არ გეტეოდეს, ჩუმად ინახავდე. იცი რა არის ბევრი ფული, იოლად ნაშოვნი განძი და ქონება! იმას სულ სხვა ხვავი და ეშხი აქვსო. გაიხსენე პაპაშენი და მამაშენი!

ის დღე იყო და ის დღე, აეკვიატა ჯაბას ეს უცნაური აზრი და თავიდან ვერ მოიცილა ფიქრი იოლად გამდიდრებაზე, განძზე, ქონებაზე, სწორედ იმ ხანებში ნაცნობმა ქალმა ჯაბას წარწერით აჩუქა მიხეილ ჯავახიშვილის იმჟამად გამოცემული ახალი წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ჯაბა არ იყო მხატვრული ლიტერატურის დიდი მოტრფიალე, თუმცა ბავშვობისას, სოფელში ტერენტი გრანელს ეჯიბრებოდა ლექსების წერაში. თბილისში რომ ჩამოვიდა, ტერენტის სახელის გაგონებაც აღარ უნდოდა, რადგან მან სულ მალე ლექსებით გაითქვა სახელი და ჯაბას შური ახრჩობდა. მერე იგი სულ ჩამოსცილდა ამ საქმეს, ერთი ეს კი იყო, რომ, სადაც სიტყვა მიუწვდებოდა, სასტიკად ჰკიცხავდა და აგინებდა ამ „მეორედ მოსულ ქრისტეს“.

და აი, ახლა ჯაბამ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი რომ წაიკითხა, მოსვენება დაკარგა. მოგეხსენებათ, მწერალი ამ წიგნში მრისხანედ ჰგმობს და ამათრახებს გაიძვერა კვაჭის. ნიღაბს ხდის ამ თაღლითსა და ყალთაბანდს, გვიჩვენებს, რომ კვაჭის ადამიანობის ნიშანწყალი დაკარგული აქვს, მაგრამ ყველაფერში უკუღმართმა ჯაბამ ეს წიგნიც უკუღმართულად წაიკითხა. მწერლის მკაცრ განაჩენს კვაჭის მიმართ ყურადღება სულ არ მიაქცია და მხოლოდ, ასე ვთქვათ, ტექნიკურმა მხარემ, ე. ი. იმ ხერხების აღწერამ დააინტერესა, რითაც კვაჭი თავის ბინძურ საქმეებს აჭახრაკებდა. სწორედ ეს პასაჟები ზეპირად შეისწავლა ჯაბამ.

ამის შემდეგ ჯაბას შესძულდა თავისი პროფესიაც და თავისი დეკანობაც.

„ა, ეს ჩემი შრომა მეტად უმადურია... წადი დეკანატში, მთელი დღე იყურყუტე, უსმინე ამ გადარეულ სტუდენტებს, აწყნარე და ამშვიდე. მერე შედი ლექციებზე, წერე დაფაზე, წერე და წერე. მერე ცარცისაგან გათხუპნული ხელები დაიბანე და ღონეგამოლეული და ქანცგაწყვეტილი წალასლასდი შინ, დაეგდე საწოლზე და ასე ყოველდღე... მერე, თვის ბოლოს მოგიგდებენ რაღაც სამას მანეთს. ესაა და ეს. ესაა შენი სიმწრით ნაპოვნი მთელი დოვლათი. ა, ჯერ უცოლ-შვილო ვარ და არაფერი, მაგრამ ცოლ-შვილი რომ მეყოლება, მაშინ

რა ვქნა?! რაღაც სხვა სახსარი უნდა ვიპოვნო!“ — ამოიოხრებდა ჯაბა და ისევ ის ეშმაკის ფეხი — კვაჭი დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ.

ჯაბა ასეთ ფიქრებში რომ იყო, სწორედ ამ დროს ფაკულტეტის დეკანმა ავადმყოფობის გამო თავი დაანება ამ თანამდებობას. ახლა დეკანის მოვალეობა ჯაბას დაეკისრა. ეს თვით ადრინდელი დეკანის წარდგინებით მოხდა. დეკანი ჯაბას მეცნიერხელმძღვანელი იყო, ასპირანტურაშიც ის ასწავლიდა და საკანდიდატო შრომაც მისი ხელმძღვანელობით დაწერა ჯაბამ. იგი ხედავდა, რომ მის მოწაფეს არც ნიჭი აკლდა და არც ცოდნა, ამიტომ მუდამ ხელს უწყობდა, მუდამ წინ სწევდა. ხელმძღვანელი ძველი და გამოცდილი მეცნიერი იყო. უანგარო და გულმართალი კაცი. მას, ცნობილ მეცნიერს, მოსწონდა ჯაბას ალესილი ჭკუა და დაუცხრომელი ენერგია. და როცა ამ პროფესორს ყურში ჩააწვეთეს, ჯაბა კარიერისტი და უსინდისო ადამიანია, მრუდე საქმეებსაც არ ერიდებაო — არ დაიჯერა, მაშინ მას უამბეს თუ როგორ წაართვა ჯაბამ კათედრა თავის მასწავლებელს და როგორ გასწირა იგი, რა უსინდისოდ დასწამა ცილი. პროფესორი მაინც ვერ მოსტეხეს. მას ჯაბას ნიჭისა სწამდა და საწინააღმდეგო აზრს არც ყურადღებას აქცევდა და არც იჯერებდა. და აი ახლა, ამ პროფესორის წარდგინებით ჯაბა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. ამიერიდან ყოველდღე რექტორის ან პრორექტორების კაბინეტებში ფუსფუსებდა და ყველა საკითხზე, ეხებოდა თუ არ ეხებოდა მას, იცოდა თუ არ იცოდა, მაინც თავისი აზრი უნდა გამოეთქვა.

სწორედ მაშინ მეორეჯერ დადგა ეჭქვეშ ჯაბას კეთილსინდისიერება და პატიოსნება. ის კი მაინც წინ მიიწევდა, უფრო წინ და უფრო მაღლა. ამასობაში იგი ოცდაათი წლის მოიყარა. კაცმა რომ თქვას, ცოლი აქამდე უნდა ეთხოვა, მაგრამ ბინის უქონლობა უშლიდა ხელს.

თბილისში მაშინ ყველაზე მწვავე პრობლემა — ბინის საკითხი იყო. ჯაბამ ამ საქმესაც თავისებურად მოუარა. მანამდე ის არაგვის ქუჩაზე, ასპირანტების სახლში ცხოვრობდა, სადაც დროებით დატოვეს ასპირანტურის დამთავრების შემდეგ. მას ეჭირა ერთი დიდი დარბაზი, სადაც ადრე ოთხი ასპირანტი ცხოვრობდა. აი ეს საკმაოდ დიდი ბინა ჯაბამ საკუთარ სახელზე გააფორმა და დაისაკუთრა მას შემდეგ, რაც იგი დეკანის მოადგილე გახდა.

იმავე დღეს ცოლის შერთვაც გადაწყვიტა.

ჯაბა ქალების მოყვარული კაციაო, ვერ იტყოდით, რადგან მიაჩნდა, რომ დიდი დრო და განცდები არასოდეს არ უნდა ჰფანტო წარამარა და ქალს თან არ უნდა გადაყვე. „ქალიშვილების მეტი რაა ამ ქვეყანაზე? ქალი აქეთ უნდა მეძებდეს, აქეთ უნდა მეტრფოდესო“,

იტყოდა ხოლმე ხშირად. მართლაც, ბევრი ჰყავდა მას დამფასებელიც და მოტრფიალეც... მათში, მისი აზრით, ყველაზე პატიოსანი და ღირსეული თინა იყო, მისივე კათედრის ლაბორანტი, ჯაბამ იმ დღეს სწორედ ეს თინა დაიბარა დეკანატში და, როგორც მერე ხმა გამოვიდა, ასე უთხრა:

— თინა, მე ახლა ოცდაათი წლის კაცი ვარ, არც შენა ხარ პატარა, — ეს უთხრა, გაუღიმა და განაგრძო, — ჰოდა, მე შენ დიდი ხანია გიცნობ, გიცნობ და გაკვირდები. ახლა რომ მოვყვეთ ჭრელ-ჭრელ ამბებს, არც არის ამის დრო და არც მე ვარ ახლა იმ ასაკში, რომ მკერდზე ხელები დავიკრიფო და ასე დაჩოქილმა შემოგთხოვო... ჰოდა, მოკლედ, გადავწყვიტე ცოლად შეგირთო.

თინა ამის მსგავსს არაფერს მოელოდა. მართალია, ჯაბას იცნობდა, მისი დიდი რიდიც ჰქონდა და პატივისცემაც, მაგრამ ფიქრი რა არის, ფიქრადაც არ გაუვლია, რომ ოდესმე მისი ცოლი გახდებოდა. ან კი როგორ შეეძლო ინსტიტუტში ასე გამორჩეული და დაფასებული კაცი თავის საქმროდ დაეგულებინა.

ამიტომ ეს უბრალო ხუმრობა ეგონა ჯაბას მხრით, მერე გონს მოეგო და დეკანის კაბინეტიდან მთლად აწითლებული გამოვარდა.

მესამე დღეს, არაგვის ქუჩაზე, ჯაბამ და თინამ პატარა შინაურული ქორწილი გაშართეს. მერე წავიდა ცხოვრება ჩვეულებრივი გზით, მაგრამ ოჯახმა ჯაბას ახალი საზრუნავი გაუჩინა. ფული, ფული გახდა საჭირო. ჯაბას უცებ გაახსენდა, თუ რა კარგად მოითბო ხელი კვაჭიმ სიცოცხლის და სახლის დაზღვევის წყალობით. საქმე ის იყო, რომ გუშინ პარტკომის სხდომაზე მოისმინეს ინსტიტუტის სოცდაზღვევის ინსტრუქტორის ანგარიში, ინსტრუქტორი გამცემლიძე მკაცრად გააკრიტიკეს და თანამდებობიდან მოხსნეს. გამცემლიძის ადგილზე ჯაბას ლაბორანტი ბურდანიძე დანიშნეს. იმ სხდომაზევე ჯაბას მოულოდნელმა ფიქრმა გაურბინა, მეორე დღესვე დაიბარა ახლად დანიშნული ბურდანიძე და რიხიანად უთხრა:

— აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, ხომ იცი, ჩემი წინადადებით დაგნიშნეს... ჰოდა, ფართოდ გაშალე ახლა მუშაობა, თუნდაც ჩემით დაიწყე, რომ სხვებმაც მოგვბაძონ. მეც დამაზღვიე, ჩემი დეიდაც. მე ვინახავ, ჩემს მეტი არავინა ჰყავს. დეიდა ჰქვია, თორემ ჩემი დედაც ის იყო და მამაც.— აქ კინაღამ ატირდა ჯაბა.

იმავე დღეს დაზღვევის ორი პოლისი შეავსო ბურდანიძემ — ერთი ჯაბას სახელზე, და მეორე — მისი დეიდის, ვენერა თხელაძის სახელზე. ეს ამბავი მთელ ინსტიტუტს მოსდო ბურდანიძემ, სხვებაც აჰყვნენ ფეხისხმას. და იმ კვირას ბურდანიძემ თორმეტი პროფესორი და მასწავლებელი დააზღვია. ამ ამბებამდე ხუთიოდე წლით ადრე, მეტი ფართობის მიღების მიზნით, ჯაბამ დეიდა ვენერა თბილისში

ჩაიწერა, თუმცა მოხუცი ქალი სოხუმში ცხოვრობდა. იქ, ქალაქგარეთ ერთი პატარა ფიცრული სახლი ჰქონდა და ეზოში თორმეტი ძირი მანდარინის ხე ედგა. მანდარინის ხეები, კარგი მოსავლის დროს, იმდენს ისხამდნენ, მისი შემოსავალი არათუ ჰყოფნიდა დედაბერს, ჯაბასაც უგზავნიდა. დედაბერი ერთი წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ჯაბამ სახლის დავთრიდან არ ამოწერა — ისევ და ისევ მეტი ფართობის მიღების მოლოდინი ჰქონდა.

და აი, ახლა ჯაბამ გადაწყვიტა დაეზღვია სწორედ დეიდა. ასეც მოიქცა: ახლა საბუთები იყო საჭირო. ეს საბუთებიც მალე გააჩინა — გაზეთ „მუშაში“ სამგლოვიარო განცხადება გამოაქვეყნა! „გულმოკლული ჯაბა თავისი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი აღმზრდელი დეიდა ვენერა თხელაძე“. ეს განცხადება ისე ჩაკარგული იყო გაზეთში და ისე შეუმჩნეველად იყო დაბეჭდილი, რომ ინსტიტუტშიც კი, სადაც ჯაბას ამდენი პატივისმცემელი და მეგობარი ჰყავდა, ვერ გაიგეს ვინ იყო ეს ჯაბა და მისი დეიდა თხელაძე! ეს მარტო ჯაბას საიდუმლოება იყო და ამ საიდუმლოს კარგა დიდძალი თანხა უნდა მოეტანა მისთვის. ერთი კვირის შემდეგ ჯაბა დეიდის სოფელს ესტუმრა. ჩავიდა თუ არა, მეორე დღესვე სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი დაჰპატიჟა, მათ გადაწყვეტით უთხრა, რომ დეიდას კერიას არ გააცივებდა. მერე ეს დეიდასეული ქოხი დიდი თანხით დააზღვია და საბჭოდან სათანადო ცნობა წამოიღო, რომელიც დეიდას გარდაცვალებას ადასტურებდა. ამ ცნობას თარიღად გაზეთ „მუშაში“ გამოცხადებული დღე და რიცხვი მიუსადაგა და ინსტიტუტში წარადგინა. მალე შესაფერისი თანხაც მიიღო.

იმავე დღეს ახალი საქმე გამოჩნდა. რექტორატმა იმ სტუდენტებას სია მოითხოვა, რომელთაც სტიპენდია ჰქონდათ დანიშნული. ჯაბამ სიები გულდასმით შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ 362-დან სამოცდათხუთმეტ სტუდენტს არ ჰქონდა თითო საგანი ჩაბარებული. შეიტყო თუ არა ეს, ჯაბამ გულში გაიფიქრა: ეს ისეთი ჩახლართული საქმეა, ადვილად ვერავინ გაარკვევს და ჭკვიანმა კაცმა შეიძლება რაღაც გაახერხოსო. ისევ გაიხმაურა პაპისა და მამის ნიღაბაფარებულმა სისხლმა.

მეორე დღეს ჯაბამ ჯერ ბუღალტერი გამოიძახა და უთხრა — ჩვენს ფაკულტეტზე სამოცდათხუთმეტი სტიპენდიანტი აღმოჩნდა ისეთი, რომლებსაც თითო საგანი არ ჩაუბარებიათ. მე ისინი გამოვიძახე და გამოცდებზე დავუშვი, — იცრუა ჯაბამ, — ყველა ისინი, სამოცდათხუთმეტი კაცი ისევ დავტოვე სტიპენდიანტთა სიაში, — მერე დამატებით აუხსნა, რომ, სანამ ამ სტუდენტებს საგნები არ ჩაუბარებიათ, ფულს ხელზე ნუ გასცემთო. მერე, თითქოს უცბად გაახსენდაო, დასძინა — არა, რაკი ჩვენგან მოითხოვენ, რომ ყველა სტუდენტმა კურსი

ამ თვეში უნდა დახუროს, უწყისებს შენ მოაწერე ყველა სტუდენტის მაგივრად ხელი, იმ ფულებს კი მე აქ, ჩემს სალაროში შევინახავ, რომ შენ სალაროში ზედმეტი თანხა არ აღმოგაჩნდეს, და როცა საგნებს ჩააბარებენ, მე თვითონ დავურიგებ მათ ფულს. აბა, რა უნდა ვქნათ, სტუდენტების უმეტესობა სოფლიდანაა ჩამოსული. ფული მაგათ არა აქვთ და ბინა!

ბუღალტერმა ეს დავალება შეასრულა და ჯაბას აღნიშნული თანხა ჩააბარა.

სწორედ იმ დღეს სოხუმიდან შეატყობინეს, რომ დეიდასეული ფიცრული სახლი დაიწვაო. ჯაბამ ერთი კი შეიცხადა, რომ საბუთების შედგენა დაიწყო, მაგრამ ვიღაცეებმა ხმები გაავრცელეს, რომ დეიდასეულ სახლს ცეცხლი თვითონ ჯაბამ წაუკიდაო. ამის კვლევა არავის დაუწყია, ხოლო ფაქტი ის იყო, რომ ჯაბამ ამ სახლის საფასურად ორმოცი ათასი მანეთი მიიღო.

წლის ბოლოს ჯაბას შვილი შეეძინა. ასპირანტების ყოფილი ბიწა, რომელიც არაგვის ქუჩაზე ჰქონდა, მისთვის ახლა საკმარისი აღარ იყო. დატრიალდა ჯაბა, გადაწყვიტა დეიდის სიცოცხლის და მისი ქოხის დაზღვევაში მიღებული ფულისათვის მითვისებული სტიპენდიებიც მიემატებინა და რაიმე ეღონა: აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ მისმა მოხერხებამ აქ ვეღარ გაჭრა. რაიკომებისა და აღმასკომების კარები დაკეტილი დახვდა და ბინის საკითხი ვეღარ მოაგვარა.

დაღონდა მოსეს ჰკვიანი შვილიშვილი, აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა. მერე, კოოპერატიული მშენებლობა გაახსენდა და უბინაო პროფესორებს გაენდო. უბინაო კი ინსტიტუტში ბევრი იყო. მაგრამ ჯაბამ ყველაზე ახლობლები შეარჩია და შვიდი კაცისაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს მოუყარა თავი. ამ ჯგუფის პირველსავე სხდომაზე ჯაბამ ამცნო მეგობრებს, რომ ინსტიტუტის ახლოს ეგულება ერთი საინტერესო ნაკვეთი, ამ ნაკვეთის გვერდით რაღაც ხუთიოდე ქოხია, რომელთა პატრონები ამდენსა და ამდენს მოითხოვენ, და ამის გამო ბინა შეიძლება უფრო მეტი დაჯდეს, ვიდრე ჩვეულებრივ ჯდებაო... მერე დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ რა მოცულობის ბინები აშენდება, რამდენ სართულიანი იქნება სახლი და ასე შემდეგ. ჯაბას გამოანგარიშებით ოროთახიანი — ორმოცდაათი, ხოლო ოთხოთახიანი — ასი ათას მანეთამდე დაჯდებოდა. ეს ფული ებევრათ პროფესორებს. ჯაბა ამტკიცებდა: არა, ფული დიდძალი დაგვჭირდება, ჯერ იქ განლაგებული ქოხმახების პატრონები ათ ბინას მოითხოვენ. ეს ათივე ბინა ჩვენი ხარჯით უნდა აშენდეს. ჩვენი ხარჯითო, შეიცხადეს პროფესორებმა! — მერედა სადა გვაქვს ეს ფული?

— არა, ახლავე ნუ დაფრთხებით, — ამშვიდებდა მათ ჯაბა, — ჩვენ ჩვენი ავტორიტეტი, ნაცნობობა და გავლენა უნდა გამოვიყე-

ნოთ... წევრებად ფულიანი ხალხი უნდა მოვიზიდოთ, ფულიანები კი ბევრი არიან. თუ მათი მიღება მოვახერხეთ ჩვენს კოოპერატივში, საქმე კარგად წავა. ფულიანები, ფულიანები, — იმეორებდა ჯაბა, — ასეთები, ერთი შვიდი კაცი მე მეგულება. თქვენც მოიკითხეთ და საქმე გაიჩარხება.

ეს „საქმის გაჩარხვა“ ცუდად ენიშნათ პროფესორებს, მაგრამ ისე აურია ჯაბამ ყველაფერი ერთმანეთში, ისეთი კორიანტელი დააყენა სიტყვებისა, რომ ვერც კი ჩასწვდნენ ნათლად საქმის ნამდვილ ვითარებას, ისე დაიშალა ეს პირველი სხდომა. შემდეგ დატრიალდა ჯაბა და მოძებნა ის ფულიანები. ისინი ბევრზე ბევრი აღმოჩნდნენ, მაგრამ ჯაბამ დიდი სიფრთხილე გამოიჩინა და ყველაზე ახლობელ და სანდო პირთაგან ოცდაცამეტი კაცი შეკრიბა. შემდეგ კვლავ მოიწვია ამ ორმოცი კაცისაგან შემდგარი კოოპერატიულ მშენებლობაში მონაწილეობის მსურველთა კრება. იმ შეიდმა პროფესორმა ახლად შემომატებულებს როგორღაც ეჭვის თვალით შეხედეს და გაკვირვება გამოთქვეს, ვინ არიან და რა საერთო აქვთ ჩვენთანო, მაგრამ ჯაბამ ყველა დაამშვიდა — დამაცალეთ, მთავარია ჯერ სია დავამტკიცოთ, აი ამ ორმოცი კაცისაგან შემდგარი სია, შემდეგ ყველაფერს აგიხსნითო. ახლა კი ჩვენმა კრებამ თავმჯდომარეც უნდა აირჩიოს, მოადგილეცა და მოლარეცაო.

თავმჯდომარედ ერთხმად ჯაბა აირჩიეს, მეორე დღესვე მან ინსტიტუტის პროფკომის შუამდგომლობა გამოაცხო. ამ ორმოცი კაცის სია თან დაურთო და სამინისტროში გამოცხადდა. ჯაბას ერთი ძველი მეგობარი იმ დროს სამინისტროს სათანადო სამმართველოს უფროსი იყო და მისი მეშვეობით სულ მალე მიეცა ინსტიტუტის ჯგუფს მშენებლობის უფლება. ახლა საჭირო იყო ნაკვეთის გამოყოფა, კოოპერატივის წევრთა სიის დამტკიცება და მშენებლობის პროექტის წარდგენა უმაღლეს ინსტანციებში.

და აი, აქ, უცებ შეფერხდა საქმე, მანამდე წყალივით რომ მიდიოდა. სათანადო უწყებამ იმ ნაკვეთის დამტკიცებაზე, რომელიც ჯაბამ და საინიციატივო ჯგუფმა აირჩიეს, უარი თქვა: „ეს ნაკვეთი დიღი ხანია გაცემულიაო“, უმტკიცებდნენ ჯაბას. მან საიდუმლოდ შეიტყო, რომ ნაკვეთი გაცემული არ იყო, მაგრამ ჯაბას რაღაც მიზეზების გამო არ უმტკიცებდნენ. გაჭიანურდა საქმე. ამ დროს ერთმა მეგობარმა ჯაბას გაანდო — ეს საქმე ისე არ გაკეთდება, თუ ოცი ათასი მანეთი არ გაიღეთო. გაგიჟდა, გადაირია კაცი, ყველაფრის იოლად გაკეთებას მიჩვეული, ამას ვერ შეურიგდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნეს, რომ სხვანაირად საქმეს არაფერი ეშველებოდა. იმ დღესვე შეკრიბა ჯაბამ ის ოცდაცამეცი კაცი. „ფულიანები“ რომ ეწოდებოდათ სახელად. სახლის აშენების მთელი იმედი ხომ მათზე იყო დამყარებული!

„ფულის ტომრებს“, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ, რომ სხდომაზე იმ შვიდი პროფესორიდან არცერთი არ ესწრებოდა, მაგრამ აღარაფერი თქვეს, მით უფრო, რომ კოოპერატივის მოთავე შეშფოთებული ჩანდა! მიხვდნენ, არც თუ დიდად სასიამოვნო ამბის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო იგი. მიუხედავად მათი მოლოდინისა, ჯაბამ სიტყვა იმედიანად დაიწყო.

— მაშ ასე, ძვირფასო მეგობრებო! სახელწოდება დავამტკიცეთ, სახლის აშენების უფლება მივიღეთ, იმაზეც თანახმანი არიან, რომ კოოპერატივში ორმოცი კაცი იყოს, მაგრამ...

აქ გაჩერდა ეს ეშმაკის ფეხი, დამსწრეებს გადახედა, თითქოს ამოწმებდა რამდენ ხანს ეყოფათო მოთმინება, სანამ გაიგებენ, თუ რამ შეაფერხა საქმე, როცა ჯაბამ შეატყო, რომ დამსწრენი ნერვულად ამოძრავდნენ, ერთი დაკვრით მოსჭრა:

— მიწის გამოყოფაზე უარი გვითხრეს...

საოცარი ამბავი იყო. ნებას იძლევიან და არც იძლევიან ნებას. მოდი და გაიგე რამე!

— რა მოხდა, ბატონო, რატომ თქვეს უარი?

— რატომ? რატომ? — ბრაზით გაიმეორა ჯაბამ, — პატარები ხართ, თქვენ თვითონ ვერ ხვდებით?

„ფულიანები“ პატარები არ იყვნენ. ამიტომ ერთმა პირდაპირ იკითხა:

— რა თქვეს, რამდენიო?

ჯაბამ დაუყოვნებლივ მიახალა:

— ორმოცი ათასი...

ოცდაცამეტ კაცს ერთბაშად აღმოხდა ხვნეშა. ჯაბამ ცეცხლზე ნავთი დაასხა:

— ამ ორმოცი ათასი მანეთის ამბავს მე, ჩემს მეგობარ პროფესორებს ვერ ვეტყვი... მოგეხსენებათ, ინტელიგენციაა, იმათ ათასი მობოდიშება სჭირდებათ, დაფრთხებიან და ასე კარგად დაწყებულ საქმეს ჩაშლიან. ჩვენ კი საქმის ხალხი ვართ... ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს...

— გავუგებთ, ბატონო ჯაბა, გავუგებთ...

— ჰოდა, აბა, ჩამოდით ფულები, — დაარტყა ხელი მაგიდაზე ორატორმა.

ეს ორმოცი ათასი რომ მიითვალა, ჯაბამ თანხა მაშინვე შუაზე გაყო, ოცი ათასი შინ წაიღო, ხოლო მეორე ოცი ათასი, გაზეთში სათუთად გახვეული და შეფუთული, იმ კაცს მიუტანა, ამ საქმეში დახმარებას რომ დაჰპირდა... დავუჯერებთ თუ არ დავუჯერებთ ამ კაცსა და ჯაბას, მიუტანეს თუ არა ის ფული სათანადო უწყების უფროსს, ამაზე ჯერ ნურაფერს ვიტყვით და მივყვეთ საქმის მსვლელობას. საქ-

მის მსვლელობა კი ასეთი გახლავთ: სამი დღის შემდეგ ჯაბას უკვე ხელში ეჭირა სათანადო უწყების დასტური იმ ნაკვეთის დამტკიცების თაობაზე. მან იმ დღესვე მოიწვია საერთო კრება და ქალალდი ააფრიალა: „აი, ნებართვა უკვე არისო“. შვიდმა კაცმა შვებით ამოისუნთქა, ხოლო იმ ოცდაცამეტ კაცს ოხერა აღმოხდა იმის გამო, რომ „ზედმეტი ხარჯები“ ჯაბამ მხოლოდ მათ შეაწერა, რომ სცოდნოდათ, იმ ორმოცი ათასიდან ჯაბამ ნახევარი შინ წაიღო, იმავე დღეს წინ აღუდგებოდნენ თავიანთ თავმჯდომარეს. მაგრამ ეს საიდუმლოება საიდუმლოდ დარჩა.

ჯერი ახლა სიის დამტკიცებაზე მიდგა. სია ისევ იმ უწყებას უნდა დაემტკიცებინა. ამ ოცდაცამეტი კაცისათვის, რომელთაც ზედმეტი თანხა გადაიხადეს, ჯაბამ ყველა საჭირო საბუთი მოაგროვა, ზოგი მართალი და ზოგიც ყალბი. ახლა მისი საზრუნავი ამ ოცდაცამეტი კაცის დამტკიცება იყო. მაგრამ ჯაბას მიერ ასე წვალებით და ჭაპანწყვეტით მოგროვილი საბუთები დაიწუნეს და იმ შვიდი პროფესორის გარდა ყველას უარი უთხრეს. ისევ დაფაცურდა ჯაბა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. სწორედ იმ მეგობარმა კაცმა ახლაც ასწავლა გზა, მაგრამ იმ გზაზე გაელა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ჯაბამ იფიქრა, იფიქრა და ისევ იმ ოცდაცამეტ კაცს მიადგა. ამ „ძნელ გზაზე“ მათ თავიანთი ფული უნდა გაეფინათ, რომ გავლა შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ ჯაბამ ახლა ყველა ერთად კი არა, ცალ-ცალკე გამოიხმო, ყველას ცალ-ცალკე დაუდო წინ მისი პირადი საბუთები და სულ ადვილად დაუმტკიცა, თუ რა უკანონო საქმე იყო მათი მიღება კოოპერატივის წევრებად. მერე იმის მიხედვით, ვისი საბუთი ვისზე უკეთესი იყო, თანხა განსაზღვრა და თან თანამოსაუბრეს საიდუმლოდ უთხრა:—კოოპერატივის წევრად რომ დაგამტკიცონ, ამისათვის დამატებით თანხას ითხოვენ. შენ, მაგალითად, სულ არ გეკუთვნის, ამიტომ, ექვსი ათასი მანეთი უნდა მოიტანო. იმ კაცმა ჯერ იუცხოვა ეს ამბავი, მაგრამ მეორე დღეს ჯაბას მაინც მიუტანა და ჩააბარა ეს თანხა.

ასე იანგარიშა ჯაბამ, ყველა სათითაოდ გამოიძახა და სულ მალე ასი ათას მანეთს მოუყარა თავი. ამ თანხიდან თავის მეგობარს ნახევარი გადასცა, ისევ „იქ წასაღებად“, და სულ მალე, იმ უწყებამ, რომელმაც ამ სიების დამტკიცება სამჯერ გადასდო, სხდომა მოიწვია და ორმოცი კაცის სია დაამტკიცა. ერთი კვირის შემდეგ ჯაბას ეს გადაწყვეტილება ხელთ ჰქონდა. იმავე კვირას მან მოიწვია ორმოცივე წევრი და შეუდგნენ საქმეს.

ჯაბას ჭკუისა და გამჭრიახობის წყალობით, საქმე თითქოს შეუფერხებლად წავიდა წინ. რაკი-ღა მიწაც ხელთ იგდეს, ახლა საჭირო იყო მშენებლობის პროექტის დამტკიცება და რომელიმე სამშენებლო ტრესტთან ხელშეკრულების დადება. აქაც ფული მოსთხოვეს ჯაბას

და აქაც გაუჭირდა მას, მაგრამ გამოსავალი კვლავ მოძებნა. ორმოცი კაცის საერთო კრება მოიწვია და მათ დამწუხრებული სახით განუცხადა:

ჩვენს მშენებლობას ხელს არავინ ჰკიდებს. არც საპროექტო ორგანიზაცია გვაძლევს პროექტს.

„რატომაო“ — იკითხეს დამსწრეებმა. ჯაბამ მათ დამშვიდებით აუხსნა: „ხომ იცით, ჩვენს კოოპერატივს, როგორც კერძო ორგანიზაციას, ისე უყურებენ“. „როგორ თუ კერძო ორგანიზაციასო“, შეიცხადეს დამსწრეებმა. ჯაბამ მათ დაუყვავა: „თქვენ ხომ გინდათ, რომ კარგი სახლი აშენდეს, სტანდარტულ სახლებს არ უნდა ჰგავდეს, სათავსოებიც კარგი უნდა ჰქონდეს, ჭერიც მაღალი, სამი მეტრი. ყველაფერს ამას ზედმეტი ფასი აქვს“, — ეს წამოსცდა ჯაბას, მაგრამ იქვე გაასწორა: „ყოველივე ამისათვის საჭიროა არა სტანდარტული, არამედ სანიმუშო პროექტის შედგენა. ეს კი ყველას არ შეუძლია. ვისაც შეუძლია, ის ფულს ითხოვს. როგორ მოვიქცეთ? ხელი ავიღოთ მშენებლობაზე, თუ ეს ფული გავიღოთ?“ შუა გზაზე გაჩერებას აბა რა აზრი ჰქონდა. ისევ იანგარიშა ჯაბამ, ისევ აანგარიშებინა მოადგილეს და მოლარეს, ისევ შეაწერეს თანხა „ფულის ტომრებსაც“, და პროფესორებსაც და საქმე უკვე საძირკვლის გათხრამდე მივიდა; იმ ორგანიზაციას, რომელსაც სახლი უნდა აეგო, ხელშეკრულება გაუფორმეს და სამუშაოს დამთავრების ვადაც დააწესეს. ასე იყო თუ ისე, ამ ზედმეტმა ხარჯებმა კვლავ ოცდათხუთმეტი ათასი მოითხოვა.

იმ ხანებში ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: დაიჭირეს ინსტიტუტის მოლარე, მას დიდი გაფლანგვა აღმოუჩინეს, მოლარემ ჯაბას დაადო ხელი იმ სამოცდათხუთმეტი სტუდენტის საქმის გამო, ვინაიდან მათი სტიპენდიების მითვისება მოლარეს ბრალდებოდა. ინსტიტუტში ამ საქმის შესასწავლად კომისია გამოყვეს. კომისიის წევრები — ყველა ჯაბას ამხანაგი და ძმაკაცი იყო. მაგრამ სტიპენდიების მითვისების ამბავი ისე აშკარა იყო, რომ ამ საქმეს ადვილად ვერ მოუარეს. სამოცდათხუთმეტი სტუდენტი ერთპირად ამტკიცებდა, რომ მათ სამი თვის არდადეგების სტიპენდია არ მიუღიათ.

— მაშ სად გაქრა ეს ფული? — გაოცებით კითხულობდნენ კომისიის წევრები. ამ თანხის მითვისებას ჯაბა მოლარეს აბრალებდა, მოლარე კი — ჯაბას. საქმე ბოლოს ჯაბას სასარგებლოდ გადაწყდა, ვინაიდან უწყისებს ხელს მოლარე აწერდა; ის კი, რა თქმა უნდა, არსად აღნიშნული არ იყო, რომ ის თანხა ჯაბამ შინ წაიღო.

თითქოს დააღწია ჯაბამ თავი განსაცდელს, მაგრამ წყლიდან მთლად მშრალი ვერ გამოვიდა. რექტორმა გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან და საყვედურიც გამოუცხადა.

განაწყენებული ჯაბა სხვა ინსტიტუტში გადავიდა სამუშაოდ.

მაგრამ საქმე ის იყო, რომ სანამ ეს გაწამაწია მოთავდებოდა, ჯაბამ ვეღარ მოიცალა და კოოპერატივის საქმეს ვეღარ მიხედა. დრო კი არ ითმენდა, ის ოცდათხუთმეტი ათასი იყო საჭირო, ტრესტი რომ მოითხოვდა. ახლა ეს იყო ყველაზე მთავარი.

სწორედ ამ დროს ჯაბას ბინაზე ერთი ძველი მეგობარი, ქუთაისელი ბილიხოძე ესტუმრა და თავის გულის საიდუმლო გაანდო. უთხრა, ჩემი შვილი სამედიცინოზე სწავლობს, მეხუთე კურსზეა. ერთი წელიწადიც და დაამთავრებს. მინდა აქვე, ასპირანტურაში დავტოვო. არიქა, მიშველე რამე, ბინა მჭირდება. თქვენ თურმე კოოპერატიულ სახლს აშენებთ, გამომიყენეთ, იცოდე გამოგადგებით, ფული მაქვსო.

ფულის ხსენებაზე ჯაბას თვალები გაუბრწყინდა. ნადირი თავისი ფეხით ეგებოდა მახეში. მან ძველი მეგობარი დაამშვიდა, დახმარებას შეჰპირდა და ორი დღის შემდეგ დაიბარა.

იმ ადგილას, სადაც ახლა ჯაბა სახლს აშენებდა, პატარა ქოხმახები იყო. ამ ქოხმახების პატრონებს გარანტია მისცეს. გარანტიის ძალით ისინი ჯაბასაგან მიიღებდნენ ახალ აშენებულ კორპუსებში სამ და ოთხოთახიან ბინებს. ჯაბამ აქაც ეშმაკური ხერხი იხმარა: მან ათიოდე საგარანტიო ფურცელი შეუვსებელი დატოვა. ამ საგარანტიო ფურცლებს მარტო შესაფერი უწყების ბეჭედი ჰქონდა დასმული და ჯაბას ხელმოწერა ამშვენებდა. და ახლა მარტო მასზე იყო დამოკიდებული ვის მისცემდა ამ გარანტიას და რა უფლებით.

ორი დღის შემდეგ, როცა ბილიხოძე ესტუმრა, ჯაბამ, არც აცია და არც აცხელა, პირდაპირ და გადაჭრით გამოუცხადა:

— რა ვქნა, ძმაო, რა გიყო, არ ვიცი! კოოპერატივის წევრად შენ არასგზით არ დაგამტკიცებენ!

— რატომ, შე კაცო, რა დავაშავე ასეთი?

— დანაშაული რა შუაშია? შენ ქუთაისში ცხოვრობ...

— მაშინ ჩემი შვილი მიიღე წევრად.

— არ შეიძლება, სტუდენტია.

ჯაბა მძიმედ ჩაფიქრდა. მერე სტუმარს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— არის ერთი გამოსავალი. ეს გამოსავალი გარანტიაა. თუ გარანტიას შეიძენ, შენი წევრად დამტკიცება აღარ იქნება საჭირო — შენ შეხვალ იმ ბინაში, რომელიც უნდა მიეღო გარანტიის პატრონს, ესე იგი, შენ იყიდი მის კერძო ბინას, როგორც კერძო პირი...

ბილიხოძეს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ ჯაბამ მალე ცივი წყალი გადაასხა გახარებულ სტუმარს.

— ნაადრევ სიხარულს ნუ მიეცემი... ეს ძალიან ძვირი დაგიჯდება.

— მაინც რამდენი?

— იცი, რაშია საქმე? კაცი, ვისაც გარანტია ხელთ აქვს, არის

პატრონი ერთი კერძო სახლისა, რომელიც დგას იქ, სადაც ჩვენი სახლი უნდა აშენდეს. ჰოდა, რომ იცოდე, რა მეძვირე ვინმეა ის კაცი! ასე გეგონება, ძველ სახლს კი არა, ვენეციის დოჟის სასახლეს სთმობდეს.

— მაინც რას აფასებს...

— თქმაც კი მიჭირს...

— მითხარი, იქნებ შევძლო როგორმე...

— ასი ათასი მომცესო! — გაბედა ჯაბამ, როგორც იყო.

— გადაირია?..

— კი არ გადაირია, ჭკვიანია... იმის ხელში ხარ... შენ არ მისცემ, სხვა მისცემს... ახალი, ოთხოთახიანი ბინა უნდა მიიღოს მეოთხე სართულზე. დასთმობს ამას ასი ათასზე ნაკლებად? შენ თვითონ დასთმობდი? ჰა, რას ჩაგივარდა ენა? ამოიღე ხმა!

ბილიხოძეს ენა კი არ ჩაუვარდა ფიქრში რაღაცას სთვლიდა, ანგარიშობდა, ნერვულად ისრესდა შუბლს და ხელებს იფშვნეტდა.

— ცოტა მაინც დამიკელი, ჯაბა ჩემო, შემიცოდე!

ჯაბამ გაოცებული თვალებით შეხედა.

— მე რა დაგიკლო, ძმაო, მე კი არ მაძლევ მაგ ფულს, იმ კაცს აძლევ. ის კი ნამდვილი ზიმზიმოვია, კაპიკს არ დაგიკლებს...

— კარგი, იყოს, რაც არის, მოიტა ხელი! — წამოიძახა ბილიხოძემ.

ხელი ხელს დაჰკრეს და თავიანთი გარიგება პატარა სუფრით აღნიშნეს.

მართლაც იყო ერთი ასეთი კაცი, გვარად არეშიძე, მას რაღაც საცოდავი ქოხი ედგა მომავალი მრავალსართულიანი შენობის ადგილზე, მაგრამ რა იცოდა ბილიხოძემ, რომ ის კაცი არაფერს არ მოითხოვდა არც ჯაბას კოოპერატივისაგან და არც თბილისის საბჭოსაგან.

სუფრასთან დიდხანს არ მსხდარან. ბილიხოძე კმაყოფილი დაემშვიდობა მასპინძელს და ქუთაისისაკენ გასწია.

ერთი კვირის შემდეგ ბილიხოძე ისევ მიადგა ჯაბას ბინას. მასპინძელმა კაბინეტში შეიწვია. ბილიხოძემ მას რუხი ტილოსაგან შეკერილი პარკი გადასცა, პირამდე გატენილი ფულით.

— რამდენია? — ჰკითხა ჯაბამ.

— ოთხმოცდათვრამეტი ათასი...

— იმე, — ამრეზილად შეხედა მასპინძელმა, — ორი ათასი სადღაა?

— არ ჩაეტია, ჯაბას ჭირიმე...

— რას ქვია არ ჩაეტია! ცოტა დიდს შეკერავდი იმ ოხერ ტილოს პარკს.

ბილიხოძემ ახლა გაზეთში გახვეული შეკვრა მიაწოდა — აჰა, ზუსტად ორი ათასია!

— რა ხართ ეს ბინების მაძიებელნი, — ჯაბა გაღმა შეედავა ბილიხოძეს, — ახლა ვითომ რაო, ეს რა ნომერი გამიკეთე!

— დაითვალე, ბატონო ჯაბა!

— არ უნდა დათვლა, — მკაცრად მოუჭრა ჯაბამ, — გენდობი... კაცმა თუ კაცის ნდობა და სინდისი დაკარგა, ცხოვრება შეუძლებელი გახდება! — ეს მორალური შეგონება დიდი რიხით წარმოსთქვა ჯაბამ, მერე ფულით სავსე პარკიც და გაზეთში გახვეული დასტაც იქვე მიაგდო, — დღესვე მივუტან და სახეში მივახლი იმ ძუნწ გაიძვერას... ის დაითვლის...

ეს უთხრა და ბილიხოძეს გარანტიის ბეჭედდასმული ქაღალდი გადასცა. ასე დასრულდა ეს ოპერაცია.

მეორე დღეს ჯაბამ ამ თანხიდან თხუთმეტი ათასი წინასწარ, სამუშაოს შესრულებამდე გადასცა მწარმოებელს და ისიც უმალ შეუდგა საძირკვლის გათხრას. სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთი კი თავის საიდუმლო სალაროს მიუმატა.

ჯაბას უტყუარი ალღო და გუმანი ჰქონდა. იცოდა, ვისი გული უნდა მოეგო, რომ შემდეგ ის კაცი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ის ბლომად იღებდა ფულს და ასევე გულუხვად და ადვილად აძლევდა, ოღონდ მუდამ ანგარიშით და გამორჩენით. იღებდა „ათმაგს“, გასცემდა „ორმაგს“. დანარჩენი მის საკუთარ სალაროს ემატებოდა, და იმდენი რჩებოდა, რომ თვლასა და ანგარიშს ვეღარ აუდიოდა. მაშინ გადაწყვიტა ნაწილი ამ თანხებისა ექცია ოქროდ, ბრილიანტებად, ძვირფას თვლებად, გადაწყვიტა ეყიდა უძვირფასესი ავეჯი, სამპროცენტიანი ობლიგაციები და ა. შ. მის საკუთარ სალაროში ფული მაინც არ ეტეოდა. ამიტომ წყნეთსა და ლიკანში სააგარაკო სახლების მშენებლობაც დაიწყო. ჯერ წყნეთში ერთი გლეხისაგან სახლ-კარი იყიდა, სახლი ახალ ყაიდაზე გადააკეთა, უფრო სწორად, ხელმეორედ ააშენა რომელიღაც შვეიცარიული თუ ფინური მოდელის მიხედვით; იმ ხანებში ქალიშვილი გაათხოვა და ეს აგარაკიც მის სახელზე გააფორმა. ახლა ლიკანს დააცხრა თავს, იქაც შვეიცარიულ ყაიდაზე აგებული აგარაკი წამოჰიმა, ფინური და არაბული ავეჯით მორთო და მოკაზმა, მერე მანქანა შეიძინა, თავის სახელზე კი არ გააფორმა, ერთი ნათესავი შოფერი ჰყავდა, მის სახელზე... მანქანა მან ამ ნათესავს გადასცა და შოფრობისათვის, დამატებით თვეში ასი მანეთი დაუნიშნა.

ჯაბა, როგორც მკითხველმა უკვე იცის, დეკანობიდან გაათავისუფლეს და სახელიც შეულახეს. და მაინც, რატომღაც მისი სიტყვა სჯეროდათ, მაინც გავლენა ჰქონდა. ეს გავლენა დაფუძნებული იყო იმ

მარჯვნივ და მარცხნივ გაცემულ თანხებზე, რომლებსაც თვითონ „ზედმეტ ხარჯებს“ ეძახდა. ბილიხოძის შემდეგ ჯაბამ ის ცხრა ყალბი გარანტიაც გაანაღდა და ერთმანეთის მიყოლებით, ამ ცხრა გარანტიაში ერთი მილიონი მანეთი აიღო, ფულიანსა და ყოვლისშემძლე ჯაბას მაინც „ხელს უშლიდნენ“, „წინ ეღობებოდნენ“, მაგრამ იგი ამ ბარიერებს ადვილად სძლევდა. მერე რა, რომ ერთი დღით დაბრკოლდა აგურის მოტანა? ამწეც არ მუშაობდა იმ დღეს, ხელოსნებიც არ მუშაობდნენ. მერე რა! ჯაბა რის ჯაბაა, ეს საქმეები ვერ მოაგვაროს. და მართლაც, მეორე დღესვე კალატოზებიც გამოჩნდებოდნენ ხარაჩოებზე, ამწეც ამუშაედებოდა და აგურიც მოჰქონდათ მანქანებით „ზედმეტი ხარჯები“ — ეს ოხრად შემოსული ფული იყო და ჯაბაც მოხერხებულად განაგებდა თავის უბანს. „არა, ძუნწი, არასოდეს ვყოფილვარ, წაიღეთ, ინებეთ, ოღონდ საქმე მეც დროზე გამიკეთეთ“, — გაიძახოდა იგი.

და კეთდებოდა საქმე: იმ წელს ეს ორმოცბინიანი სახლი ისე მოათავა და შიგ ისე ჩაასახლა ყველა მეპაიე, რომ არც საჩივარი ყოფილა და არც რაიმე გამოძიებას შეუწუხებია ჯაბა. ამან ერთბაშად გაუთქვა მას სახელი, ზოგმა დაცინვით, ზოგმაც სერიოზულად მას „ჯაბა ამშენებელი“ უწოდეს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯაბა სათანადო უწყების მუშაკებმა დაიბარეს და მის მიერ აგებულ ორმოცბინიანი სახლის ახლოს ახალი კორპუსების აშენება მოსთხოვეს. იქაურმა მას პირდაპირ უთხრა — შენ ხომ ის სახლი ცენტრში ააშენე, გამოგეძალე თანხმობა და ისე ააშენე! ახლა იმ ადგილებში ქოხმახები ისე უშნოდ გამოჩნდა, რომ იქ ამას წინათ უფროსებს გაუვლიათ და უბრძანებიათ, რომ დაუყოვნებლივ წესრიგში მოვიყვანოთ იქაურობა. იმ ტერიტორიაზე სულ ხუთი კორპუსი უნდა აშენდეს. თქვენ უფლება გეძლევათ გაიმეოროთ პირველი პროექტი.

ჯაბამ სიამოვნებით მიიღო ეს დავალება, ოღონდ თავის მხრივ ახალი მოთხოვნები წამოაყენა. ეს იყო რაღაც ურთიერთგარიგების მსგავსი რამ. ეს გარიგება ჯერ იმ უწყებაში დაიწყო, მერე ქვემოთ წამოვიდა. საქმეს „ვიღაცეები“, „რაღაცეების“ გამო უფრო და უფრო ართულებდნენ და აბრკოლებდნენ. თითქოს მათს ჯიბრზე ჯაბამ წინადადება წამოაყენა ამ ხუთ კორპუსს სამი კორპუსიც დამატებოდა და ეს მშენებლობა ნარევ კოოპერატივად გამოცხადებულიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეცნიერ-მუშაკთა გარდა ყველა „უბინაო მსურველიც“ შეიძლებოდა გამხდარიყო ამ კოოპერატივის წევრად. ამან კვლავ სახელი მოუხვეჭა ჯაბას.

მომავალი უბედურების მაუწყებელი ნიშნები ხან აქ იჩენდა ხოლმე თავს, ხან იქ. იმ ხანებში სათანადო უწყების უფროსი გაათავისუფლეს და ჯაბას საქმის დაწყება თავიდან მოუხდა. ამას მეორე უბედუ-

რება მოჰყვა: მეორე ინსტიტუტში, სადაც ახალი გადასული იყო, ჯაბას უჩივლეს, თავისი საგნის ჩაბარებაში ქრთამს იღებსო, მართლაცდა, ინსტიტუტში სტუდენტებს ყველაზე უფრო ჯაბას საგნის ჩაბარება უძნელდებოდათ. ჯაბა სტუდენტებს ნიშანს ისე არ დაუწერდა, თუ მისგან განსაზღვრულ გასამრჯელოს არ მიიღებდა. აქ ორი რამ სჭრიდა: ან ქრთამი, ან პროტექცია. ჯაბა მაშინ დარწმუნდა, რომ ქრთამი და პროტექცია, შეფარდებითი განტოლების მიხედვით, თანაბარი მნიშვნელობისანი არიან.

ეს საქმე ისე გახმაურდა, რომ რაიკომი იძულებული გახდა კომისია გამოეყო. კომისიამ დაწვრილებით გამოიკვლია საქმის ვითარება და დაადასტურა, რომ ჯაბა მართლაც იღებდა ნიშნის დაწერაში ფულს. სტუდენტს თურმე ჩათვლის წიგნაკს რომ ჩამოართმევდა, ხელში აიღებდა, შეატრიალებდა, გაშლიდა, შიგ რომ ფული აღმოჩნდებოდა, თუ საკმარისი იყო, გაუღიმებდა სტუდენტს, თუ არა, დახურავდა წიგნაკს და სტუდენტს მეორე დღისთვის იბარებდა.

ნამდვილად საოცარი კაცი იყო ჯაბა. მან ხომ, ცხადია, იცოდა და სტუდენტებმაც იცოდნენ, რომ მისგან ნიშანს უფულოდ ვერავინ ეღირსებოდა, და მაინც, ეს კაცი, ყოველ პარტიულ თუ პროფკავშირულ კრებაზე ტრიბუნაზე შედგებოდა, მომწუსხავად მიაჩერდებოდა სტუდენტებს და საშინლად შეაჩვენებდა ყველა უსინდისოს, ყველა მექრთამეს. „არა, ეს რა გავიგე, — ამბობდა რიხიანად, — თურმე უმაღლეს სასწავლებელშიც კი შეაღწია ამ საშინელმა სენმა“, ამას ისე ამბობდა, არც წითლდებოდა.

კაცი კი არა, ნამდვილი გამოცანა იყო!

ასე იყო თუ ისე, ჯაბა თავის საქმეს მაინც აკეთებდა, დიდი რიხიც ჰქონდა და საქმიანი კაცის სახელიც, მაგრამ იმ კომისიას ვერაფერი მოუხერხა. კომისიამ მისი მექრთამეობის ამბავი ინსტიტუტის პარტკომს აცნობა, პარტკომმა — რაიკომს, და ბოლოს ჯაბას ეს ინსტიტუტიც დაატოვებინეს.

თბილისში რომ მოხსნეს, ჯაბამ იხტიბარი არ გაიტეხა, იმავე თვეში ლიხს გადაღმა ამოჰყო თავი, და ერთ იქაურ ინსტიტუტს შეეკედლა — ნახევარ განაკვეთზე დაიწყო მუშაობა. ესეც ხალხის შესახედავად სჭირდებოდა, თორემ რად უნდოდა! იმდენი ფული ჰქონდა, მარტო მას კი არა, მის შვილიშვილებსაც ეყოფოდა, მას კი მხოლოდ მუნდირი სჭირდებოდა, დოცენტის მუნდირი.

ლიხს გადაღმა ჯაბას ახალი კლიენტები დაესივნენ. საიდან არ მოდიოდნენ მასთან, დასავლეთ საქართველოს რომელი კუთხიდან არ აკითხავდნენ! თვითონ ხომ მაძიებელი იყო, ეძიებდა და პოულობდა კიდეც. ახლა კი თვითონ მას დაეძებდნენ და პოულობდნენ. როგორც სკიდან ახალამოღებულ თაფლს ბუზები დაეხვევიან ხოლმე,

ისე ეხვეოდნენ ჯაბას ბინების მაძიებლები. ფულიანი ტომრებით.

ჯაბა სულ მალე ჩაშობრუნდა დედაქალაქში. იმ ხანებში ის ერთმა ძველმა ნაცნობმა კახეთში დაპატიჟა. ჯაბა უმალ დაეთანხმა, იფიქრა ცოტას დავისვენებო. მასპინძელმა სასურველ სტუმარს საკადრისი თანამეინახენი დაახვედრა. ქეიფის ეშხში შესულ ჯაბას თავი ისე ეჭირა, როგორც ყველაზე შინაურსა და ახლობელს ამ ოჯახისათვის. ამავე დროს, ყოვლის შემძლესა და გამკეთებელს, საქვეყნოდ გახმაურებულ გვარებს ჯაბა ისე შინაურულად და უბრალოდ ახსენებდა, მათი დიდი თანამდებობებისა და პოსტების მიუხედავად, რომ იქ მყოფნი ყველანი დარწმუნებული იყვნენ — ჯაბა მათთვის ისე შინაური და ახლობელია, რომ უამისოდ ისინი ერთ ჭიქა წყალსაც არ დალევენ და ერთ ნაბიჯსაც არ გადასდგამენო. „ოჰ, ამას წინათ ისე დავლიეთ, თეთრად გავათენეთ“, — დაიწყო ჯაბამ და ქეიფის მონაწილეთა შორის ისეთი გვარები ჩამოთვალა, გაოცებას ეძლეოდნენ არიფიონის წევრები. ისინი ღიმილითა და პატივისცემით თავს უკრავდნენ, უდასტურებდნენ. იმ საღამოს, თამადამ ყველაზე პირველად ჯაბა ადღეგრძელა და წარუდგინა იქაურობას, მაგრამ თურმე წარდგინებაც არ იყო საჭირო. ვინ არ იცნობდა მას? შემდეგ, თანმიმდევრობით, რანგისა და ჩინის მიხედვით, ყველა სადღეგრძელო რომ მოთავეს, ჯაბამ სიტყვა ითხოვა და ფრიად თავისებური სადღეგრძელო წარმოთქვა:

— მეგობრებო, კახურისთანა ღვინო მთელს დუნიაზე არ არის, დაილოცოს ეს სახლიც, ეს კახური ღვინოც. რაოდენ მართალი იყო ის დალოცვილი ლუარსაბი, ჩვენმა დიდებულმა ილიამ სასაცილოდ რომ აიგდო. რა სჭირდა ლუარსაბს სასაცილო? ის ბრძენი იყო. აბა დაფიქრდით, მართლაცდა, რა გვეშველებოდა, ეს კახური რომ არ იყოს? — იკითხა ჯაბამ და თვითვე უპასუხა: — ლუარსაბს კი არა, ჩვენ რა გვეშველებოდა, ჩვენ... აქ, ამ ღვინით ვიოხებთ გულს, ვაცნობთ ქვეყანას საქართველოს და მის სტუმართმოყვარეობას, ყველას — შინაურს თუ შორიდან მოსულს. არა, კახური რომ არ იყოს, მაშინ ჩვენს სტუმართმოყვარეობასაც არავითარი ფასი არ ექნებოდა!

ასეთი მგზნებარე სიტყვა ჯაბას არასოდეს წარმოუთქვამს. ის პირველად როდი იყო კახეთში, მაგრამ ცივგომბორის მთა გუშინ პირველად გადალახა. ტყით დაფარული ხეობა რომ გალიეს და მის წინ გომბორის სამი მწვერვალი აღიმართა, — პირველი აღტაცების შეძახილი მაშინ აღმოხდა ჯაბას. ის ანგარიშის მოყვარული კაცი იყო, ცივი გონებით აკვირდებოდა ყველაფერსა და ყოველივეს თავის გარშემო, ახლა კი პირველად მოხიბლა აქაურმა ეშხმა და სილამაზემ. გომბორის უღელტეხილზე მანქანა შეაჩერა და მის თვალწინ მთლად საოცარი სურათი გადაიშალა. შორს თოვლით დაფარულ დაღესტნის

მთებს შეხედა, მთის მწვერვალები მთებზე ცისარტყელასავით ლაპლაპებდნენ. ქვემოთ ალავერდის ტაძარი შენიშნა, თეთრად მოქათქათე, მზეში შეცურებული მისი ოქროსფერი გუმბათი ალაზნის ნათელ სხივებად გადაფენოდა. შუამთის მონასტერსაც დიდხანს უცქირა ჯაბამ და ახლა, სადღეგრძელოს რომ წარმოსთქვამდა, თვალწინ ეს დაუვიწყარი სურათები ედგა.

ჯაბას სიტყვის შემდეგ სუფრაზე მცირე დუმილი ჩამოვარდა. დიასახლისმა ამით ისარგებლა და ჯაბას თავისი ქალიშვილი წარუდგინა. საპატიო სტუმარს იქვე თავაზიანად განუმარტეს, წელს ამთავრებსო საშუალოს, ჯაბა ბატონო, გვინდა, როგორმე საექიმოზე მოვაწყოთ და თქვენი იმედი გვაქვსო.

ჯაბამ თავზე ხელი გადაუსვა თექვსმეტი წლის ტანწერწეტა ქალიშვილს და საზეიმოდ განაცხადა:

— მერე რა, განა გაგვიჭირდება მისი მოწყობა სამედიცინოზე? არ გაგვიჭირდება იმიტომ, რომ წელს მე ვარ მიწვეული გამომცდელად და ეს საქმე ჩემზე იყოს!

ახლა ყველანი შურით მისჩერებოდნენ დიასახლისსა და მის ქალიშვილს, მაგრამ აღტაცების გამომხატველი ტაში მაინც შეაწიეს სტუმრის სიტყვებს და, ის იყო, აიშალა კიდეც სუფრა, იქვე, კარებთან რომელიღაც მეურნეობის დირექტორი გვერდით ამოუდგა ჯაბას, მკლავში ხელი გაუყარა და თავისი გულის დარდი გაუზიარა:

— შვილი კი მოვაწყვე ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ, ბატონო ჯაბა, გვიჭირს. ბინა არა გვაქვს თბილისში. მე ადრეც მინდოდა იქ ჩამოსვლა, ვიცი დიდი კოოპერატიული მშენებლობა გაქვთ გაჩაღებული და თუ გამხდით ღირსად, ვიყო თქვენი კოოპერატივის წევრი, მზადა ვარ, ჩემი მხრით, რასაც მოითხოვთ...

ასე და ამრიგად, იმავე დღეს ჯაბამ ორ ოპერაციას ჩაუყარა საფუძველი და როცა იქაური სასტუმროს ლუქსში პირაღმა წამოწვა, თავისდაუნებურად აღმოხდა:

— ეს რა გულუხვი ხალხი ყოფილა ამ ქალაქში. სად იყავი ჯაბა აქამდე, სად იყავი შე უპატრონო, შე ღვთის გლახა, შენ.

ამ სიტყვებში ჩაეძინა და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ ადმინისტრატორ ქალს სასტუმროს ქვედა სართულზე ესმოდა.

პირველ ოპერაციაში ჯაბამ ოცი ათასი მანეთი მიიღო ავანსად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ის მართლა ჩარიცხავდა სტუდენტად მასპინძლის შვილს, კიდევ ოცი ათას მანეთს მიიღებდა. ეს ოპერაცია ჯაბასათვის სრულიად ადვილი აღმოჩნდა. მას მასპინძლის ფრიადოსანი ქალიშვილი უნდა მოეწყო სამედიცინო ინსტიტუტში. ხოლო თვითონ იმ წელს მართლაც მიიწვიეს გამომცდელად. ჯაბამ, მართალია, ამას გარდა, კიდევ ხუთი ასეთი წინასწარი გარიგება მოაწყო

იმერეთიდან თუ კახეთიდან ჩამოსულ კლიენტებთან, მაგრამ მერე რა, მას ყველაფერი შეუძლია. მართალია, თბილისის ორი ინსტიტუტიდან გააძევეს, ლიხს იქით გადააგდეს, მესამე ინსტიტუტში მაინც არ შედრკება და ჯაბაც შეუდგა სათევზაო ბადის გადაგდებას ხან რიონისა და ხან ალაზნის ყველაზე ღრმა და მდორე წყლებში. ორაგულიც მოჰყვა და მოჰყვა ბადეს! ჯაბა რა ჯაბა იქნებოდა, ამ საქმეს მორიდებოდა. დანაპირები ყველას შეუსრულა. აუარებელი ფული მიიღო და თავის საიდუმლო სალაროს ეს ახლად მოპოვებული თანხაც მიუმატა.

ჯაბა დედაქალაქში რომ დაბრუნდა, შუამავლებმა აქ ახალი და ახალი კლიენტები დაახვედრეს. ახლა მისი კორპუსის წინ, სახელდახელოდ აღმართულ ფიცრულ კანტორაში, კლიენტების მოსვლას და წასვლას სათვალავი არ ჰქონდა. ჯაბა მაინც აფრთხილებდა შუამავლებს. კარგად დააკვირდით, კარგად გაიცანით, ვინმე შარიანი არ შემოგვეერიოსო. მთხოვნელთა რიცხვიც ყოველდღე მატულობდა, და ამის გამო ჯაბამ მაზანდას აუწია, „ზედმეტი ხარჯების“ ფული უფრო მეტი და მეტი მოითხოვა.

და მაინც მთხოვნელები უკან არ იხევდნენ. ასე შედგა ას ოთხმოცი კაცის სია. საჭირო იყო ამ სიის დამტკიცება, მაგრამ ეს არ იყო იოლი საქმე, ვინაიდან ამ ასოთხმოცი კაციდან კანონით ბინა არცერთს არ ეკუთვნოდა. იმ ხანებში სათანადო უწყებამ ახალი დადგენილება მიიღო, რომლის მიხედვითაც, ვისაც სულზე რვა მეტრზე მეტი ფართობი ჰქონდა, მისი აღრიცხვაზე აყვანა არ შეიძლებოდა. ჯაბა ამ დადგენილებამ ვერ შეაკრთო, მან გადაწყვიტა სასწრაფოდ მოეგროვებინა ის „ზედმეტი ხარჯები“, რომელიც ამ უკანონო სიას კანონიერად აქცევდა. ამიტომ მან „ზედმეტი ხარჯების“ ნიხრი ოც-ოცდაათ ათას მანეთამდე ასწია, იმის მიხედვით, თუ ვის უფრო არ ეკუთვნოდა ბინა, და ვის უფრო ეკუთვნოდა; ჯაბას წინასწარი დაზვერვით, ვის უფრო ბევრი ფული ჰქონდა. იმავე ხანებში, შესაფერისმა უწყებამ ახალი წესი შემოიღო, რომელიც გულისხმობდა, რომ თუ კოოპერატიული სახლი აშენდებოდა ისეთ ადგილას, სადაც სახლები იქნებოდა დასანგრევი, მაშინ ამ კერძო სახლების საფასური და აქაურ მცხოვრებთა ბინით უზრუნველყოფა კოოპერატივის გამგეობას უნდა ეკისრა. მას უნდა აეშენებინა დანგრეული სახლის პატრონისათვის ახალი ბინა და ხეხილისა და ნარგავების საფასურიც მას უნდა გაეღო. ავი ენები ამტკიცებდნენ ასეთი „კანონი“ ჯაბამ ჩააწყოო. ხელთ იგდო თუ არა ჯაბამ ქაღალდი, დაიდო წინ და ყველა მსურველს ამ წესით მოსთხოვა ორი ბინის აშენება (და, ამის მიხედვით ორი „ზედმეტი ხარჯი“); ერთი სიტყვით, ჯაბამ საერთო წესიდან გამონაკლისებს ისეთი ხვრელი მოუძებნა, რაც ქრთამის აღებას თითქოს თავისთავად გულისხმობდა. ასე კვლავ გაეხსნა მას ხელ-ფეხი.

კოოპერატივის თავმჯდომარე კვლავ მიადგა საბინაო უწყებას — მისი უფროსი, ჯაბას ძველისძველი ნაცნობი, ჯაბას პირველი კოოპერატივის წევრი იყო, სამოთახიანი ბინა ჯაბამ მას უფასოდ აუშენა. ახლა, როგორც საჭირო კაცს, მიადგა და არც უკითხავს, ისე, ტყავგადაკრული კარი ფეხით შეაღო. როცა უფროსმა ჯაბა შეიცნო, ადგა და მაგრად ჩამოართვა ხელი. დიდხანს ითათბირეს, გეგმები დააწყვეს და გადასაწყვეტიც გადაწყვიტეს. შემდგომში, სასამართლო პროცესზე ძნელი დასადგენი გახდა ვისთან რამდენი ფული დატოვა ჯაბამ: ის კი კარგად გამოირკვა, რომ ჯაბამ, როგორც პროცესზე განაცხადა, გაზეთში გამოხვეული რვა სამ-სამათასიანი პაკეტი წაიღო სახლიდან. ამას პროცესზე მისი შოფერიც ადასტურებდა. „როცა იმ უწყების შენობიდან გამოვიდა, მანქანაში ისე ჩაჯდა, რომ ის პაკეტები თან აღარ ჰქონდაო“... ასე იყო თუ ისე, იმ ასოთხმოცი კაცის სიაც დამტკიცდა. დამტკიცდა და დაიწყო „ზედმეტი ხარჯების“ — ფულების შემოტანა. შემოჰქონდათ ჯერ ჯაბას სალაროში, შემდეგ იგი უწერდა ქვითარს და ამ ქვითრით შეჰქონდათ სახელმწიფო სალაროში ბინის სავარაუდო საფასურიდან თორმეტი ათას მანეთამდე. ასე გაიხსნა ჯაბას კანტორაში ნამდვილი დუქანი. დატრიალდნენ შუამავლები და დაფაცურდნენ ფულიანები...

ერთ დღეს ჯაბას შეატყობინეს — რაიკომის პირველი მდივანი გიბარებსო. ჯაბამ მაშინვე გასწია რაიკომისაკენ. მდივანი ბიუროს სხდომას ატარებდა, მაგრამ რომ მოახსენეს ჯაბა ბერიშვილი გეახლათო, უკანა კაბინეტში გავიდა და ჯაბაც იქ შეიყვანეს. რაიკომის მდივანმა უთხრა — ჩემს ცოლისძმას ბინა კი აქვს, მაგრამ ახლა შვილი შეეძინა და გაფართოება სურს. ფული აქვს, დადგენილებას აღმასკომი მიიღებს. დანარჩენი შენ იცი, ოღონდ ამ თვის ბოლოს რომ მთავრდება, იმ კორპუსში უნდა მისცე ბინა. ჯაბას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ რაიკომის მდივანმა არ დააცალა: — ვიცი, ვიცი, რომ ის კორპუსი განაწილებულია, მაგრამ მეტი გზა არა მაქვს, სახლში არ მიმესვლება, ხომ იცი ჩემი ცოლის ამბავი!

ეს უთხრა, მხარზე ხელი დაჰკრა და სწრაფად გავიდა მეორე ოთახში, ბიუროს სხდომა გააგრძელა.

ჯაბა ზლაზვნით გამოვიდა რაიკომის მდივნის ოთახიდან. საქმე ის იყო, რომ რაიკომის ეს მდივანი ჯაბას მუდამ ისეთ ხალხს უგზავნიდა, ვისგანაც გამორჩენა არ ჰქონდა. და ამიტომ უხალისოდ მიიღო მისი დავალება. გამოვიდა თუ არა, იქვე რაიკომის მდივნის ცოლისძმა დახვდა. იქიდან საბინაო უწყებას მიადგნენ და ერთ კვირაში გააფორმეს ყველა დოკუმენტი. იმავე რაიკომის მდივნის ბრძანებით ჯაბას ახალგაზრდა ექიმი ქალი შეახვედრეს, რომლისთვისაც ერთ სულზე სამოთახიანი ბინა უნდა გაეფორმებინა. ფული კი ვიღაც რამაძეს უნდა გადაეხადა. მაგრამ, როგორც პროცესზე გამოირკვა, ამ ლა-

მაზი ასულის ბინის ფული არავის არ გადაუხდია, არც კოოპერატივის წევრად გაუფორმებიათ იგი, მაგრამ სამოთახიანი ბინა კი ჩააბარეს.

გავაგრძელოთ? თითქოს ზღაპარს ჰგავს ყველაფერი ის, რასაც აქამდე ვყვებოდი: არა, ყველაფერი ეს ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ყოველდღე ას ოცი კაცი ესწრებოდა ჯაბა ბერიშვილის პროცესს უმაღლეს სასამართლოში და ყოველ მათგანს შეუძლია დაადასტუროს, რომ აქ არაფერია მიმატებული. გამოკლებით კი ბევრი ჩინოსანია გამოკლებული, ნებსით თუ უნებლიეთ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივში დაცულია ორმოცტომიანი საქმე, სადაც ყველაფერი ეს ვრცლად და დაწვრილებით არის მოთხრობილი და აღწერილი.

მაგრამ, როგორ ხდებოდა ყველაფერი ეს? ადრე, მანამდე, ვერავინ მიუხვდა ჯაბას, არავინ იცოდა რას აკეთებდა ის? როგორ არა! იცოდნენ და ხელსაც ითბობდნენ. უმაღლეს ინსტანციაში შევიდა დიდი საჩივარი საბინაო კოოპერატივის მესვეურთა უკანონო მოქმედების, მექრთამეობისა და თაღლითობის თაობაზე. გამოიყო კომისია, რომელსაც საქმის გამოძიება დაევალა. კომისიამ კარგა ხანს იმუშავა. ჯაბა ცდილობდა კომისიის წევრებისათვის თვალი აეხვია, გზაკვალი აერია, მაგრამ ამჟამად ვერაფერს გახდა — კომისიამ დაადასტურა უკანონობისა და ქრთამის აღების ფაქტები და ამის შემდეგ დაიწერა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, დაიწერა და ამით გათავდა ყველაფერი, გაჩერდა ეს საქმე ყველაზე მაღალ ინსტანციაში და იმ დოკუმენტმა დღის სინათლე მაშინღა იხილა, როცა ჯაბა ბერიშვილი დააპატიმრეს. ახლა ეს დოკუმენტი თან ერთვის იმ ორმოც ტომს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

კვლავ დაიწერა საჩივარი, კვლავ გამოყვეს კომისია, რომელმაც საქმის შესწავლის შემდეგ უფრო მკაცრი აქტი შეადგინა, ვიდრე პირველი იყო. ამ აქტის მიხედვით პასუხისგებაში უნდა მიეცათ ჯაბაც, მისი მოადგილეც, რამდენიმე ტრესტის მმართველიც, მაღალ უწყებათა ხელმძღვანელებიც. დაიწერა მოხსენებითი ბარათები, რამდენიმე ინსტანცია გაიარეს ამ ბარათებმა, ხოლო ჯაბა ისევ და ისევ განაგრძობდა თავის საქმიანობას, კვლავ არხეინად გრძნობდა თავს, იქამდე არხეინად და უდარდელად, რომ თავის სატრფოსთან ერთად მოგზაურობაც კი გადასწყვიტა.

როგორ, სატრფოცა ჰყავდა ბერიშვილს? წარმოიდგინეთ, რომ ჰყავდა და ეს სატრფოც ფულმა აპოვნინა.

შეყვარებულებმა გადასწყვიტეს მოსკოვს სწვეოდნენ.

ჯაბა არ იყო ქალების დიდი მოყვარული, მაგრამ მას შემდეგ, რაც მედიკო გაიცნო, ერთბაშად დაკარგა მოსვენება. ეს ქალი აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგემ გამოუგზავნა კოოპერატივში

მისაღებად. მედიკო მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. სტუდენტს კი კოოპერატივში ვერ მიიღებდნენ, მაგრამ ჯაბასათვის სიტყვები „ვერ შესძლებ“, „ვერ მიიღებ“ არ არსებობდა.

მედიკოს გათხოვება უკვე მოესწრო. შემდეგ ქმარს მალე გასცილებოდა და შორეულ ნათესავს შეკედლებოდა. ეს ნათესავი თვითონაც ვიწროდ ცხოვრობდა და ყოველდღე ჩასჩიჩინებდა ახალგაზრდა ქალს: — წადი, ვინმე მოძებნე, წაყევი, სილამაზე შენ არ გაკლია და განათლება, ბინასაც იშოვი და ქმარსაცო, მაგრამ ეს ადვილი არ აღმოჩნდა. მედიკო ყოველდღე დაიარებოდა რაიაღმასკომში, ბინას თხოულობდა, ქმარს უჩიოდა. საბინაო განყოფილების უფროსმა ეს სტუდენტი ყოვლისშემძლე ჯაბას გადაულოცა. მედიკომ კანტორაში პირველი მისვლისთანავე ჯაბას მომხიბვლელად გაუღიმა, ცალკე გაიხმო და იმ განყოფილების უფროსისაგან მიწერილი ბარათი გადასცა.

ჯაბამ გულდასმით ჩაიკითხა წერილი, მერე მედიკოს შეხედა და ერთბაშად აფორიაქდა. არა, ასეთი რამ მას არასოდეს დამართნია. შეხედა და ქალმაც კვლავ გაუღიმა, ჯაბამ მკლავში ხელი გამოსდო და ჩუმად უთხრა: ახლავე წადი, განჭორწინების ქაღალდი მომიტანე და ის საბუთი, რომ ბინაზე დროებითა ხარ ჩაწერილი.

და მედიკო იმავე კვირაში კოოპერატივში ჩაწერა ჯაბამ, თანაც ისე, რომ ფულის შეტანა „აღროვა“. მერე, როდესაც მედიკოს იქ მიაკითხა, სადაც ქალი შეკედლებული იყო, გაოცდა, ასე ვიწრო ბინაში როგორა სძლებო, თან წამოიყვანა, მლეთის ქუჩაზე ერთი ნაცნობი ჰყავდა ჯაბას, ამ ნაცნობთან იმავე დღეს ერთი ოთახი დაუქირავა და იქ ჩაასახლა.

აი ახლა სწორედ ამ ქალს მიადგა ჯაბა და სთხოვა — მოსკოვში წამომყეეიო. მედიკო არ დაფიქრებულა, ისე მისცა თანხმობა. საღამოს ექვს საათს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, მედიკო მოსკოვის მატარებლის საერთაშორისო ვაგონში, ჯაბას გვერდით იჯდა. თბილისის გარეუბანს არ იყვნენ გაცილებული, ჯაბამ კუპე გადარაზა და ქალს შეუტია. მედიკომ ეს დიდად იუცხოვა, სცადა დაყვავებით მოეშორებინა ასე ერთბაშად აწრიალებული კაცი, მაგრამ, როცა ვედრებით ვეღარას გახდა, ხელი ჰკრა და იყვირა: რას ჩადიხართ, მე თქვენ ვინ გგონივართ!

არც ამან გასჭრა, ვნებააშლილი ჯაბა აღარ მოეშვა; მედიკომ რომ შეატყო, ასე ადვილად ვერ მოიშორებდა ამ თავბრუდახვეულ მოძალადეს, კარი გააღო და დერეფანში გავარდა. იქ თბილისელ ნაცნობს შეეჩეხა, დაიბნა, მაგრამ უცებ მოეგო გონს და მის კუპეში შევიდა, თანდათან დამშვიდდა ქალი და დინჯი საუბარი გაუბა ამ შორეულ ნაცნობს.

ჯაბა კი კუპეში უცდიდა, თავის გულს აწყდებოდა. არა, ეს როგორ

გაუბედა, ეს როგორ აკადრა, რა უმადური ვინმე ყოფილა, ნუთუ ასე დაუფასა ზრუნვა და ამაგი, — გახელებული მიჯნური მოუთმენლად უცდიდა მედიკოს დაბრუნებას, ქალი კი იგვიანებდა, ბოლოს ჯაბამ გაიფიქრა: ალბათ დერეფანში, ფანჯარასთან დგასო, ქურდულად გამოაღო კუპის კარები და გამოიხედა. დერეფანში არსად ჩანდა მედიკო... გადიოდა დრო, უცდიდა ჯაბა. მოთმინება რომ აღარ ეყო, დერეფანში გამოვიდა. ერთხანს იდგა შეცბუნებული და ის იყო მატარებელი რომ ელიღაც სადგურზე გაჩერდა. ჯაბას უცებ მედიკოს ხმა ჩაესმა, შეიხედა კუპეში და დაინახა, რომ მედიკო ვიღაც მამაკაცების გვერდით იჯდა, არხეინად ესაუბრებოდა მათ, რაღაც სამხიარულოს უყვებოდა და აცინებდა თანამგზავრებს. ჯაბამ უკითხავად და უბოდიშოდ შეალაჯა მეზობელ კუპეში, ჩაება საუბარში, თან თავი ისე ეჭირა, თითქოს მედიკოსა და მას შორის არაფერი მომხდარიყოს.

ერთხანს ისაუბრეს, მერე მედიკო პირველი ადგა და თავის კუპეს მიაშურა. უფრო გვიან ჯაბაც წამოდგა. მეზობლებს დაემშვიდობა და ფრთხილად შეაღო კუპის კარი. ქალი უკვე იწვა და წიგნს კითხულობდა. ჯაბამ გადარაზა კარი, ტანთ გაიხადა და ფრთხილად ჩამოჯდა მედიკოს საწოლზე. ქალმა წიგნი განზე გადადო და მაცდურად გაუღიმა. — ხომ არ გაწყენინეთ, ბატონო ჯაბა, — სიტყვა „ბატონოს“ ხაზი გაუსვა და ისევ მაცდურად გაიღიმა. — არა, რა იყო მაინც ასე ერთბაშად რომ მეცი, — ესა თქვა და ისევ გაუღიმა ქალმა. ჯაბამ ეს შერიგებად ჩათვალა და ხელები მოხვია მედიკოს. „როგორ მიბედავ, — კვლავ იყვირა ქალმა, — ახლავე ადექი და შენს ლოგინზე დაწექი.

ეს ისეთი შეუვალი ბრძანების კილოთი იყო ნათქვამი, სიტყვაც ვეღარ შეუბრუნა ჯაბამ, რაღაცას თავისთვის ლუღლუღებდა ისე, რომ თვითონაც არ ესმოდა, რას ამბობდა. ქალმა ეშმაკურად დაუყვავა. „არა, ჯაბა, ერთბაშად ასე ბევრს ნუ მომთხოვ, ისე, თუ გინდა, საღამო დაგეძინება, ვისაუბროთ რამდენიც გენებოს, სხვას კი ნურაფერს იფიქრებ... მე ქუჩის ქალი ხომ არ გგონივარ, შე კაცო! მართალია, ქმარს გავცილდი, მაგრამ პატიოსანი ქალი ვარ, ექიმი, და ჩემი შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ, ვინც არ უნდა მოინდომოს“, — ესა თქვა და თავზე ხელი გადაუსვა. ჯაბას უთმო, პრიალა, ოფლიან თავს რომ შეეხო, არ ესიამოვნა და უმალ ხელი შეუშვა, ახლა ნიკაპზე მოეფერა, ნიკაპიც ოფლიანი ჰქონდა ჯაბას. ის ისევ აენთო. ქალმა ისევ გაუკავა ხელები და ისევ დააწყნარა. „თქვენ მამაკაცები, საერთოდ, ეგოისტები ხართ, — ჩურჩულებდა მედიკო, — არც არაფრის გარჩევა იცით, თქვენთვის ყველა სულ ერთია, ოღონდ კაბა ეცვას და ქალი ერქვას, ჩემთვის კი სულერთი არ არის. მე ყველა კაცს ვერ დავენდობი, ჩემო ჯაბა, თუ გინდა მან ოქროს მთა დამიდგას, — აქაც ოქროს მთას ხაზი გაუსვა მედიკომ. — აი ვნახოთ,

დღეს, ხვალ, მერე წინ სასტუმროა, შევეჩვიოთ ერთმანეთს, შევეჩვიოთ და შევეთვისოთ“ — ეს სიტყვა „შევეთვისოთო“ უსიამოვნოდ ჩაეჭმა ჯაბას, მაგრამ საპასუხოდ აღარაფერი უთქვამს. მედიკომ შეატყო, რომ ისე იყო გადარეული ჯაბა, რომ ასე დაყვავებით ვერაფერს გახდებოდა და ერთბაშად თვითონ ახტა ზემო საწოლზე და სინათლე ჩააქრო.

მოუსვენარი ძილი ჰქონდა ჯაბას. დილით გამცილებელს მაცივარში შენახული საგზალი მოატანინა და მედიკოს სთხოვა სუფრა გაეშალა. ჯაბას ყველაფერი წამოეღო. ქალმა გაშალა სუფრა და ჯაბამ ისევ დაკეტა კუპე. კონიაკი ზედიზედ დალია. მედიკოსაც აძალებდა. ქალი ჯერ აჰყვა, მერე ჯაბას უთხრა — შენ მამაკაცი ხარ და ორწილად მეტი უნდა დალიოო, და ჯაბაც მიეძალა კონიაკს, ისე დათვრა, ხელის განძრევის თავი აღარ ჰქონდა, ერთბაშად მოეშვა, მოდუნდა, მიეგდო საწოლზე და ხვრინვა ამოუშვა.

მედიკო დიდხანს დასცქეროდა მძინარეს, რაღაც საშინელი ზიზღი იგრძნო ამ კაცისადმი. მისი ხვრინვა პირდაპირ ყურს უბურღავდა, მზად იყო აეღო რაღაც და თავში დაეკრა მძინარისათვის, ან თვითონ მიერტყა თავი კედლისათვის. თავისთავად წამოვიდნენ ცრემლები. და ქალმა ჩუმი ქვითინი დაიწყო. ატირებულმა და აცრემლებულმა მედიკომ მუშტი სამჯერ ჩაირტყა თავში, ნაცვლად იმისა, რომ ჯაბასათვის დაერტყა რამე.

მედიკოს თვალებიდან ცრემლი კვლავ იღვრებოდა კუპეში და მან არ იცოდა რისი ცრემლი იყო, სინანულისა, მწუხარებისა თუ კიდევ სხვა. მერე ერთბაშად გონს მოეგო, ადგა და ზევით ჯაბას საწოლზე აძვრა. მიდის მატარებელი და ხვრინავს ჯაბა. მიდის მატარებელი და ტრიალებს მედიკო. არ ეძინება. არ ეძინება და ისევ ყურში ჩაესმის თუ რა საშინლად ხვრინავს ჯაბა. გაიტანჯა, გაწვალდა, მთლად აეშალა ნერვები მედიკოს. ისევ მიდის მატარებელი და ისევ ხვრინავს, მედიკო ისევ ტირის და ცრემლად იღვრება. ასე გაატარა წვალებით მთელი ღამე. გათენდა თუ არა, ადგა. ჯაბა ისევ სასტიკად ხვრინავდა. მედიკომ ფრთხილად ტანთ ჩაიცვა და დერეფანში გავიდა. კაციშვილი არ ჩანდა დერეფანში. იდგა ფანჯარასთან მედიკო და გაჰყურებდა რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებს. მერე აიშალა მთელი ვაგონი. მატარებელი მოსკოვს უახლოვდებოდა. მედიკო კუპეში შევიდა და ჯაბა გააღვიძა. მან თვალი გაახილა და გონს ვერ მოეგო, სად იყო ან მედიკო რატომ ედგა თავზე. მერე ბურუსიდან გამოერკვა და შერცხვა რაღაცის. შერცხვა, სასტიკად შერცხვა და ისევ დახუჭა თვალები. მედიკომ არც არაფერი უთხრა და ისე გავიდა დერეფანში. ჯაბამ საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა და მატარებელი კურსკის სადგურზე გაჩერდა.

სასტუმროში ჯაბამ ლუქსი დაიქირავა და ბატონკაცურად მოეწყვნენ. მანამდე უჩვეულო გრძნობა დაეუფლა ჯაბას, რაღაც გამოუცნობი

აწუხებდა და ქენჯნიდა. მედიკოს წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, იგონებდა და ვერ მოეგონებინა, რა მოხდა ვაგონში, როგორ იყო, რა იყო. ქალი კი ახლა ტკბილად ექცეოდა მას, შინაურულად ესაუბრებოდა და თავის გეგმებს აცნობდა. ჯაბა გულდასმით უსმენდა და ყველაფერზე ეთანხმებოდა. იმავე საღამოს დიდ თეატრში წავიდნენ. თეატრის თავი სადა ჰქონდა ჯაბას, მაგრამ რადგან მედიკომ მოისურვა, იმის სურვილს წინ ვეღარ აღუდგა. თეატრში მედიკომ ერთბაშად მოიწყინა. ახლა შინ მიეჩქარებოდა, იქ მოელოდა რაღაცას, რაღაცას ეძებდა, თვითონაც არ იცოდა რას, ვეღარ ისვენებდა. მეორე მოქმედება დამთავრდა თუ არა, მედიკომ ჯაბას განუცხადა — მეტი არ შემიძლია, თავი მტკივა, წავიდეთ აქედანო.

ჯაბა სიხარულისაგან ცას ეწია. სასტუმროში მივიდნენ თუ არა, ქალს შესთავაზა რესტორანში შევიდეთო. დიდ დარბაზში მუსიკა უკრავდა, ბახუსისაგან აღგზნებული ახალგაზრდები ილხენდნენ, ცეკვავდნენ. მორთულ-მოკაზმული ხალხით სავსე, გაჩახჩახებული დარბაზი რაღაც ზღაპრულ სამყაროს ჰგავდა. მედიკო სულ დამშვიდდა. ახლა ის თვითონ მიეძალა კონიაკს, მეორე ჭიქა რომ გამოსცალა, ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი მოვიდა და სთხოვა ეცეკვა მასთან. ქალი სიამოვნებით დაეთანხმა. უცნობი რუსი ყმაწვილი დიდად თავაზიანი აღმოჩნდა. ერთხანს ცეკვავდა მასთან მედიკო, მერე უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო, იმ ყმაწვილმა ხელი მოხვია და ისევ ჯაბას გვერდით დასვა. მედიკომ მაშინვე შესთავაზა ჯაბას, წავიდეთ აქედან, თავი მტკივა, მეტი არ შემიძლიაო. შევიდნენ თუ არა ლუქსში, მედიკო მაშინვე ლოგინში ჩაწვა, ისევ წაეტანა ჯაბა, მაგრამ ამაოდ აფათურებდა ხელებს, გამომთვრალსა და არაქათგამოლეულს უმალ ჩაეძინა და უსაშველო ხვრინვა ამოუშვა... მეორე დილით ჯაბა ადრიანად გაიძურწა სასტუმროდან და საღამომდე არ გამოჩენილა. საღამოთი ისევ რესტორანში ჩავიდნენ. სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, წინა ღამის ამბავი განმეორდა... აწრიალებულ და აფორიაქებულ მედიკოს ჯაბა ამშვიდებდა, რას არ პირდებოდა, რანაირ ზღაპრულ კოშკებს არ აგებდა, საზღვარგარეთ წაგიყვანო, უძვირფასეს სამკაულებს გიყიდიო, ეფიცებოდა სიყვარულს, ეფიცებოდა, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია. „აი, დავბრუნდებით თბილისში და მაშინ დარწმუნდები, თუ როგორ მიყვარხარ, რაღაც ცუდი ფეხით გამოვედით თბილისიდანო, — წუხდა ჯაბა, — ისევ თბილისი თუ მიშველის, ჩემი თბილისი დამიბრუნებს მხნეობას და შენს სიყვარულსო“. ვნებააშლილი ჯაბა ისევ ელაქუცებოდა ქალს, ისევ ეფერებოდა და თავმობეზრებული მედიკო ახლა კი მზად იყო სილა გაეწნა მისთვის, ახლა მას დასანახავადაც კი ეჯავრებოდა ჯაბა და რაც უფრო ელაქუცებოდა კაცი, რაც უფრო მეტად ეფერე-

ბოდა და სიმწრის ოფლში იწურებოდა, მით უფრო სძულდა და ეზიზღებოდა ქალს იგი. შუადღისას ჯაბა ისევ გაიპარა სასტუმროდან, და საღამოთი ისეთი მთვრალი დაბრუნდა, რომ ენას ვერ აბრუნებდა. შემოვიდა თუ არა, რაღაც შეკრული ფუთები შემოიტანა და ზედ ლოგინზე დაყარა: „აჰა, ესეც შენ, ჩემო მედიკო, შენია, შენია ეს ყველაფერი“, და მოეხვია ქალს. პირიდან საშინელი სუნი ამოსდიოდა ჯაბას, ახლა მთლად შესძაგდა მედიკოს ეს კაცი და ის ღამეც წვალებაში გაატარა. ჯაბა კი ეგდო ტანგაუხდელად და ხვრინავდა, ხვრინავდა ისე, რომ ჭერი ცაში აჰქონდა.

დილის ჯერ შვიდი საათიც არ იყო. მედიკო ადგა, ტანთ ჩაიცვა, ჩემოდანი ხელთ აიღო და ის იყო უნდა წასულიყო, უცბად იფიქრა. ამან შეიძლება ქვეყანა შემიყაროს და ძებნა დამიწყოსო. ამიტომ, ორად ორი სიტყვა დაწერა: „საჩქაროდ გამომიძახეს და მივფრინავ თბილისს“. ქაღალდი მაგიდაზე დასტოვა და წავიდა. ჯაბას გვიან გაეღვიძა, მაგიდაზე ბარათი შენიშნა, აიღო, წაიკითხა, გაბრაზებულმა დაჭმუჭნა და გადააგდო. ორი დღის შემდეგ თვითონაც თბილისს გაემგზავრა.

მოსკოვიდან რომ დაბრუნდა, პირდაპირ მედიკოსთან მივიდა, ქალი შინ არ დახვდა. მისთვის ნაყიდი ძვირფასი ნივთები, საგულდაგულოდ შეფუთული ორი შეკვრა, მეზობელს დაუტოვა და სთხოვა, გადაეცითო. ასე უთხარით, რომ ეს ამანათი მოსკოვიდან გამომატანეს...

მეორე დღეს უთენია მიადგა მედიკოს. ქალი კარგ გუნებაზე დახვდა. ალბათ გასჭრა ძვირფასმა საჩუქრებმა, მედიკო მოეფერა, მოუალერსა, უთხრა, — მე მართლაც გამომიძახეს საავადმყოფოდან, ხომ არ იფიქრე, რომ მოვიგონეო, ასეთ შეხვედრას ჯაბა არ მოელოდა. ახლა ერთბაშად აღტაცებული და აღგზნებული მოეხვია ქალს. მედიკო მიჰყვა მამაკაცის ნებას.

იმავე დღეს ჯაბამ მედიკოს განუცხადა: შენ აქ ცუდ ოთახში ცხოვრობ, მეზობლები გვითვალთვალებენ. მე შენთვის სამოთახიანი ბინა ვიშოვე. ვიდრე კოოპერატიულ ბინაში გადახვიდოდე, მანამდე იქ უნდა ვიყოთო.

მართლაც, ორი დღის შემდეგ მედიკო იმ ახალი ბინის დიასახლისი გახდა, კიდევ ორი თვე გავიდა და ის ჯაბას მიერ აშენებული კოოპერატიული სახლის სამოთახიან ბინაში გადავიდა. მთელი ბინა უძვირფასესი ავეჯით ჯაბამ თავის გუნებაზე მოუწყო მედიკოს. თავს ევლებოდა ქალს, უზომოდ ანებივრებდა, მარტო იმაზე წუხდა, რომ ამ ბოლო დროს მოცლა აღარა ჰქონდა, ახალ-ახალი საწუხარი და საფიქრალი არ ილეოდა.

ადრე ჯაბამ არ იცოდა რა იყო შიში, ადვილად ვერაფერი შეაკრთობდა მას, გაბედულად და რისკით წყვეტდა ყოველ საკითხს, მაგ-

რამ ამ ბოლო დროს მოუხშირეს საჩივრებს. იმდენჯერ დაიბარეს საკონტროლო კომისიებსა და საგამომძიებლო ორგანოებში, იმდენჯერ მოუხდა ახსნა-განმარტებათა წერა, რომ შიში, გამოუცნობი შიში შეეპარა მის სულს. ხშირად ღამეები არ ეძინა, ჩათვლემდა თუ არა, რაღაც წამოელანდებოდა, აბოდებდა, ვიღაცას ედავებოდა, ვიღაცას ებრძოდა, ვიღაცეები აქეთ ედავებოდნენ, აქეთ ებრძოდნენ. ერთხელ ნაცნობი პროკურორი დაესიზმრა, პროკურორს რატომღაც ბერის შავი ანაფორა ეცვა, ხელში ჯვარი ეჭირა და ის იყო ჯაბასათვის თავში უნდა ჩაერტყა — იყვირა განწირულმა და გამოეღვიძა. მერე ერთხელ რაღაც გრძელი კიბე ნახა სიზმარში — მარმარილოს საფეხურები ალაგ-ალაგ ჩამოტეხილი და მერე შეკეთებული იყო. ნაცნობი იყო კიბე, და უცებ გაახსენდა — ეს სასამართლოს კიბე იყო. რომ გაეღვიძა, ოფლში ცურავდა.

ასე ჩამწარებული ჰქონდა ძილი და ცხადში ხომ უარესი ხდებოდა. ვიღაცეები უჩიოდნენ და პასუხს სთხოვდნენ; ამას ისიც დაემატა, რომ მეორე კორპუსის განაწილების დროს რამდენიმე კაცის ჩასახლება ვერ მოხერხდა. ამით განაწყენებული მეპაიეები შეიკრიბნენ და საერთო განცხადება დაწერეს, ხოლო ის სამი კაცი, რომელთაც „ზედმეტი ხარჯებისათვის“ ყველაზე მეტი გადაიხადეს, მუქარას უთვლიდნენ ჯაბას. მან ხომ ყველაზე კარგად თვითონ იცოდა, რამდენი უკანონობა და უსამართლობა ჰქონდა ჩადენილი და ისიც იცოდა, თუ რა დაემართებოდა, ყველაფერი ეს მზის სინათლეზე რომ გამოსულიყო. ამიტომ ყველგან თავისი კაცი ჰყავდა, ყველა თადარიგს იჭერდა; მიუხედავად ამისა, უფრო და უფრო მოუხშირეს გამოძახებასა და ახსნა-განმარტებათა მოთხოვნას. ნადირის შეუცდომელი გუმანითა და ყნოსვით გრძნობდა ჯაბა, რომ ჰაერში რაღაც სხვა სუნი ტრიალებდა. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რაკი საქმის თანამოზიარენი ჯერ კიდევ თავთავის ადგილებზე ეგულებოდა: მარტო მე ხომ არა ვარ, ამ საქმეში ვინ მოთვლის ვინ არ ურევია, რა ღმერთი გაუწყრებათ. მე თუ არა, თავის თავს მაინც გაუფრთხილდებიან. არა, საქმე ისე არ წახდება, რომ ასეთი ბობოლა ხალხი ასე ადვილად დააფრთხონ და შეაშინონ. არა, ჩემი შიში და ეჭვი უსაფუძვლოა, — ინუგეშებდა თავს, მაგრამ ამაოდ. სწორედ იმ დღეს შეატყობინეს, რომ ამა და ამ კაცის პირველი მოადგილე დაუკავებიათო. მთელი ღამე არ ეძინა ჯაბას, რაღაც გეგმებს ადგენდა, მაგრამ მეორე დილით კიდევ უარესი ამბავი ამცნეს — მავანი კაცი მოუხსნიათო, მავანი და მავანი დაუჭერიათო.

ახლა ნამდვილად შეშფოთდა ჯაბა, სულ მალე ვრცელი წერილი დაიბეჭდა გაზეთში — რაიკომის მდივანს ეხებოდა და, სხვათაშორის, ამ წერილში ლაპარაკი იყო ჯაბას მიერ კოოპერატივში უკანონოდ ჩარიცხულ გვიმრაძეზეც. გვიმრაძე მხილებული იყო როგორც მექრთამე

და ისიც იყო აღნიშნული თუ რა გზით შეაღწია მან კოოპერატივში. აწრიალდა ჯაბა, რედაქციაში მივიდა, ნაცნობი ინახულა და სთხოვა სა-პასუხო წერილის დაბეჭდვა მომიხერხეო. შენ ხომ არ გადარეულხარო, უპასუხა ნაცნობმა. ჯაბა უფრო ზევით წავიდა, მაგრამ სასურველი პასუხი ვერც იქ მიიღო. იგი კარგად ხედავდა და გრძნობდა, რომ მარტო ახალმა ძლიერმა სიომ კი არ დაბერა, ქარიშხალმა დაიწყო გრიალი. ახალი გამოძიება დაიწყო და ამ საქმეს სათავეში პროკურორი გობეჩია ჩაუდგა. რაკი ასე უკუღმა დატრიალდა ჯაბას ბედის ბორბალი, მან ახალი ფანდის გამოყენება სცადა. მიადგა ძველ ნაცნობებს, თავისი საქმის თანამონაწილეებს და მუქარით უთხრა: მე თუ ჩავვარდი, იცოდე, არავის დაგინდობთო. ისინი თავის მხრივ გაჯავრდნენ: — როგორ ბედავ. თუ რამე დარღვევები გაქვს, შენ თავს მოსთხოვე პასუხი, ჩვენ რაში გვეკითხება შენი გაოხრებული საქმეო.

ამას აღარ მოელოდა ჯაბა, აყვირდა: — როგორ, ახლა ამბობთ ამას, რატომ მაშინ არ იღებდით ხმას, როცა თქვენთან ფული მომქონდაო... — ძველი ნაცნობები უფრო მეტად აუყვირდნენ: — რას როშავ და ჩმახავ, რა ფული, რის ფულიო, — ერთპირად შეუტიეს ჯაბას და გარეთ გამოაგდეს.

ამას კი არასგზით არ მოელოდა, შინ გუნებაწამხდარი და დაძმარებული მოდიოდა, სწყევლიდა თავის თავსაც და მთელ ქვეყანასაც. უცებ, შუა გზაზე შეჩერდა და წამოიძახა: — კარგი, ვნახოთ, მე თუ ჩამაგდეთ, არც მე დაგაყენებთ კარგ დღეს, ვნახოთ, ვინ უფრო უნამუსო აღმოჩნდება, ვნახოთ, ვნახოთ...

ჭირს ჭირი დაემატაო, ნათქვამია; გარეთ რომ ეს უბედურება დაატყდა თავს, შინაც აერია ჯაბას ოჯახი. მის ცოლს მეგობარმა ქალმა ნატომ საიდუმლოდ ჩაუწვეთა ყურში: ქალო, არაფერი გაგიგია, მთელი თბილისი ლაპარაკობს, შენი ქმარი მედიკოს ჰყვარობსო. ვინ მედიკოსაო, შეიცხადა თინამ. ნაცნობმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი — სწორი თუ ჭორი, რაც მოეკრიფა და გაეგონა ქალაქის მეჭორეებისაგან, უამბო მოსკოვს გამგზავრების ამბავიც, ბინის ამბავიც. თავზარი დაეცა თინას, მაგრამ უცებ თითქოს გონს მოეგოო, მეგობარს შეეპასუხა — არა, მე არ მჯერა, ჯაბა ოჯახის ერთგულია, მეც და შვილებსაც თავზე გვეველება. არა, ჩემო კარგო, ამას ჩემი მტრები იგონებენო და ავრცელებენ, შურთ ჩემი ქმრისა, შურთ ჩემი და ჩემი ოჯახის, კარგად რატომ ცხოვრობსო, თვითონ დოყლაპია ქმრები ჰყავთ, ამიტომ შურით კვდებიან. შენც არ უნდა აჰყოლოდი იმათ ლაპარაკსო.

ეწყინა ეს ნაცნობს და გაბრაზებულმა უთხრა თინას: „იცი თუ არა, რომ იმ მედიკოს შენმა ქმარმა სამოთახიანი ბინა აჩუქა?“ „არა, ეგ ჭორია, ის ქალი სადღაც დაქირავებულ ბინაში ცხოვრობსო“. დიდ-

ხანს იდავეს და ისაუბრეს ქალებმა. ბოლოს, თინა შეეხვეწა ნაცნობს: შენი პირიმე, უფრო დანამდვილებით გამიგე ყველაფერი, ეგებ შენ თვითონ შეამოწმო, ჩემთვის სირცხვილია, შენზე კი არაფერს იტყვიან, შეამოწმე და მერე მითხარი ყველაფერი, — ემუდარებოდა თინა მეგობარ ქალს.

ჯაბა შინ რომ დაბრუნდა, ცოლმა ამ ამბავზე არაფერი უთხრა, მარტო ის უსაყვედურა — სადა ხარ, სად დაიარები, მთელი დღეა ვიღაცეები გეძებენ, არ ვიცი რა უნდათო. მერე თინამ ტირილი დაიწყო, მაგრამ ჯაბას მისთვის აღარ ეცალა, უფრო დიდი სადარდელი აწუხებდა; ადგა, ცოლისთვის არც შეუხედავს, გამოვიდა შინიდან, გამოვიდა და ქუჩაში ნატო შეეჩეხა, მიესალმა, გაუცინა, მაგრამ ჯაბას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იმ კორპუსს მიაშურა, სადაც მედიკო ეგულებოდა. ახლა მარტო მედიკოს შეეძლო მისი აფორიაქებული სულის დამშვიდება. ნატო ფეხდაფეხ მიჰყვა და როცა დარწმუნდა, მედიკოსთან შევიდაო, უკანვე გამობრუნდა და ჯაბას მეუღლეს მიაშურა. თინა ატირებული დახვდა მეგობარ ქალს; ნატო აღარაფერს მოერიდა და შეწუხებულ ქალს პირდაპირ მიახალა: — ადექი, თუ გინდა დარწმუნდე პატიოსანია თუ არა შენი ქმარი, აი წავიდეთ; სად მიგყავარო, ეკითხებოდა თინა და თან მიჰყვებოდა ნაცნობს. მალე მედიკოს ბინას მიადგნენ. ის იყო კარიც გაიღო და ჯაბა გამობრძანდა, მედიკომ ღია კარიდან ღიმილით გამოაცილა მიჯნური. ალბათ საშინელი სცენა დატრიალდებოდა, მაგრამ თინას იმდენი ღირსება აღმოაჩნდა, რომ პირველი გამოტრიალდა და კიბეები ისე ჩამოათავა, უკან არ მოუხედავს. ჯაბა დაიბნა, ვერ გარკვეულიყო რა მოხდა, მაგრამ ახლა ეს გარემოება არც აფიქრებდა და არც აწუხებდა. შინ მოვიდა თუ არა, ცოლი ეცა, დაუწყო გამოკითხვა, ვინ არის მედიკო, ვინ მისცა მას ბინა, ან რა უნდოდა მის ბინაზე ჯაბას.

ჯაბა ახლაღა მიხვდა, რომ მახეში გაება და თავის მართლებას შეუდგა. მაგრამ თინა შეშლილს ჰგავდა და აღარაფრის გაგონება არ უნდოდა. როგორ ვერ მივხვდი, ამ ბოლო დროს ნახევარჯერ სახლში რომ არ იყავი, რატომ ერთხელაც არ მივიტანე ეჭვი, მთლად უსინდისო არ ყოფილხარო, — უნდოდა უფრო უარესიც ეთქვა, მაგრამ ჯაბამ დასტაცა ქუდს ხელი და გავარდა სახლიდან. ისევ კანტორისაკენ გასწია. იქ ახალი უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს. იმ დილით ჯაბას ყველაზე ახლობელი და სანდო შუამავალი დაეჭირათ. ეს შუამავალი, იმავე დროს, ხელოსანი იყო, მშენებლობაზე კალატოზად მუშაობდა. მან გაუკეთა ჯაბას ბინაზე საუცხოო, ორიგინალური ბუხარი, ცეცხლგამძლე, შავი აგურით ნაშენ ბუხარს, შუაწელს ზემოთ, ორი დიდი ყუთი ჰქონდა ჩატანებული, ჯაბამ ეს ყუთები გარედან აგურის ფერად შეღება, ისე, რომ შესამჩნევი არ ყოფილიყო და

თვალში არავის სცემოდა. ხელოსანს მაშინ ასე აუხსნა, ახალი ნაშრომი მაქვს დაწყებული, დასაიდუმლოებულ გამოკვლევას ვეწევი, ძალიან მეშინია უცხოეთის დაზვერვამ კვალი არ აიღოს. ამიტომ ხელნაწერები და გამოთვლები აქ უნდა შევინახოო. ნამდვილად კი ჯაბას ყველაფერი ეს ფულისა და ძვირფასი თვლების შესანახად სჭირდებოდა. პირველ ყუთში გადანახული ჰქონდა მთელი ის თანხა, რაც „ზედმეტი ხარჯებისა“, უკანონოდ ჩარიცხული სტუდენტების, უკანონოდ დაწერილი ნიშნების ქრთამად ჰქონდა აღებული, მეორე ყუთში — ოქროულობა, ბრილიანტები და სხვა რამ ძვირფასი ნივთები ელაგა. საჭირო სახარჯო ფულს კი ჯაბა საწერი მაგიდის ყუთში ინახავდა. ამ უჯრის გასაღები თინას ჰქონდა ჩაბარებული და ქმარი მას ხელს არ უშლიდა, რამდენიც უნდოდა, იმდენი ამოეღო იქიდან.

ცეცხლგამძლე ყუთების საიდუმლო კი მარტო ჯაბამ იცოდა, და ალბათ კიდევ იმ ხელოსანმა, რომელსაც მან ესოდენ ეშმაკურად შეთხზული ზღაპარი უამბო თავის აღმოჩენასა თუ გამოკვლევაზე, ახლო ხანში მთელი ქვეყანა რომ უნდა განეცვიფრებინა.

მედიკო იმ დილით შინ იჯდა და ფიქრობდა: ჩემი ქმრის, იმ დებილის, ჯიბრზე თითქმის ყველა საწადელი ამისრულდა! ასე არ არის? ბინა არ მქონდა, ბინა მაქვს, ჩემს მტრებსაც ხომ დაუდგათ თვალები, ინსტიტუტში აღდგენა ძნელი იყო, ჯაბამ აქაც მიშველა... და აჰა, სამკურნალო ფაკულტეტიც დავამთავრე...

მერე შემომიჩნდნენ, რაიონში უნდა წახვიდეო. უკაცრავად, ვანამ არაფერი გეტკინოთ, სანამ სადღაც, სოფლის ორღობეებში ტალახიან გზებზე არ ვიარო. თბილისშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს. საავადმყოფოში ყველა პატივისცემით მეპყრობა. მიმოვდივარ ამ კრიალა ოთახებში და ჩემი მტრები გულზე სკდებიან. ჭირსაც წაუღია ყველანი, მე რა ვქნა, თუ მაგათ თავიანთი ცხოვრების მოწყობის შნო და უნარი არა აქვთ!

არ უნდა ვიყო ჯაბას უმადური. არა! — ამ ფიქრებში ჩათვლიმა, დიდხანს იყო ასე, ძილსა თუ ზმანებაში... ზარის ხმა რომ მოესმა, გიჟივით წამოხტა. კარს ეცა, გააღო, არავინ იყო. ალბათ, მოეჩვენა.

დაბრუნდა, ტახტზე ჩამოჯდა და ერთბაშად ახლა მძიმე ფიქრები დაესივნენ. რაღაც აწუხებდა და ვერ ხვდებოდა რა იყო ეს. ადგა, გაიარ-გამოიარა ოთახებში, ნაუცბადევად გამოღვიძებულს რაღაც ლოდივით დააწვა გულზე, მერე თითქოს მიაგნო ამ სადარდელის მიზეზს:

— ცხოვრება მარტო ბინა, მარტო ავეჯი ხომ არ არის! უკვე ოცდაათი წლისა ვარ... მერედა რა მომელის ხვალ, ზეგ? სანამდე უნდა ვიყო იმ ბებერი ჯაბას საყვარელი? ახლა მე ხომ დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, ექიმი... მე შენ გეკითხები, მედიკო? — პირვე-

ლად აღეძრა ეს მწარე კითხვა ქალს და სცადა პასუხი გაეცა ამ შინაგანი ხმისათვის.

— დიახ, მე მიყვარდა, მიყვარდა ბავშვური თავდავიწყებით და გატაცებით. მანაც ამ სიყვარულს ყმაწვილკაცური გულმხურვალებით უპასუხა. მერე, მერე რა მოხდა? — ზის და იხსენებს მედიკო თავის პირველ სიყვარულს, — მერე ყველაფერი ერთ დღეს დაინგრა, სიყვარული მოჩვენება თუ ზმანება გამოდგა. იმ ჩემმა უსინდისო ქმარმა ორ წელიწადში მომიძულა და სხვა ითხოვა. ბევრი ვიტირე, და, როგორც იყო, შევურიგდი მომხდარ ამბავს. გადავწყვიტე ხელახლა მომეწყო ჩემი ცხოვრება, სწორედ ამ დროს შემხვდა ის კაცი, რამაძე, რომელმაც ჯაბასთან მიმიყვანა... მეც მივყევი, ნაფოტივით მივყევი ცხოვრების მდინარებას, ყოველივე ეს რაღაც აბურდულ სიზმარს ჰგავდა. გამომეღვიძა და ახლა ვეკითხები ჩემს თავს — წინ, წინ რა არის?

ზის და ფიქრობს მედიკო, ამ ფიქრმა ლამის მთლად გადარიოს. გრძნობს, რომ სადღაც, შორს შეტოპა, ქალის პატიოსნებას და ღირსებას ჩრდილი მიაყენა. და ეს მტანჯველი ფიქრი აღარ ასვენებს. აღარ ეხსნება. უცებ, თითქოს მის გონებას ბინდი გადაეხსნაო. ერთბაშად აღმოაჩენსა: იქნებ ახლაც არ არის გვიან, ეგებ თავიდან დავიწყო ცხოვრება, მაგრამ როგორ, რანაირად?..

კვლავ გაისმა ზარის ხმა, კვლავ გაუწყდა ფიქრი, ადგა და კარი გააღო. ჯაბამ ისე დაუკითხავად შემოაბიჯა, როგორც სამუშაოდან შინდაბრუნებული, განებივრებული ქმრები შემოდიან ხოლმე ოთახში.

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ ისე იყო ახლა ჯაბას საქმე. ასე ეგონა, მედიკო იხსნიდა მას მოსალოდნელი უბედურებისაგან; ამიტომ იყო, რომ კანტორიდან პირდაპირ მას მიადგა. მედიკო შინ რომ დახვდა, ჯაბას ეს დიდად ესიამოვნა.

ქალს შილიფად ეცვა, თხელი ხალათი მკაფიოდ გამოჰყოფდა მისი ლამაზი ტანის ყოველ ნაკვთს და მისი ერთი შეხედვაც კი თავბრუს ახვევდა ათასი სადარდელით გამოლენჩებულ ჯაბას. ახლაც ერთბაშად გახალისდა კაცი, იქვე ტახტზე ჩამოჯდა, სადაც მედიკო იჯდა, მიუალერსა, ხელი მოხვია ქალს. მედიკომ ბრაზით მოიცილა მამაკაცის ხელები. მერე ერთბაშად მიახალა:

— არა, ჯაბა, დამანებე თავი, გვეყოფა, ჩვენ სიყვარულობანას თამაში. მე, მართალია, ნაქმარევი ქალი მქვია, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ოცდაათი წლისა ვარ, უკვე ორი წელია საავადმყოფოში ვმუშაობ, და თუ ჩემი განყოფილების გამგეს დაეჯერება, ჩემგან შეიძლება კარგი ექიმი, კარგი სპეციალისტი გამოვიდეს, — აქ შეჩერდა, მერე ერთბაშად მოჭრა:

— მე ოჯახი მინდა, ოჯახი და შვილი! — ესა თქვა და სიამაყით წელში გასწორდა. — ჰოდა, სიყვარულობანას ეს თამაში ამით დავამ-

თავროთ, ჩვენ კი დავრჩეთ მეგობრებად, მეტი არაფერი, — თითქოს ნათქვამი საკმარისად არ მიიჩნიაო, მედიკომ გაიმეორა: — მე უნდა გავთხოვდე. უნდა გავთხოვდე, ჯაბა, მე უკვე დავიმსახურე პატიოსანი ქალის სახელი ჩემს საავადმყოფოში და არ მინდა, არ მინდა ვინმემ შემილახოს ეს რეპუტაცია. აი, უკვე შენმა ცოლმა მოგვაგნო, მეზობლები ჩურჩულებენ... მე მეყოფა, ისედაც მეყოფა რაც მჭირს, — აქ თავი ვერ შეიკავა და ატირდა მედიკო.

— ნეტა, რა გჭირს, რა მოხდა ისეთი, რომ სტირი. ღმერთმაც იცის და შენც იცი, არაფერი დამიკლია შენთვის, არაფერი დამიშურებია... კიდევ რა არის საჭირო, მითხარი, და მზადა ვარ. მე ძუნწი არავის მიმართ არ ვყოფილვარ. და შენ, შენ რას დაგაკლებ, ოღონდ მითხარი, ოღონდ ჩემი იყავ ბოლომდე. მე შენგან ველოდი ხსნას და გადარჩენას, — კინაღამ წამოცდა, იმ შენი ნათესავის იმედი მაქვს და ამიტომ მოვედიო, მაგრამ გადაიფიქრა და ესა თქვა: — ბევრი მტერი მყავს, ძალზე ბევრი, მაგრამ ჯაბა ისე არ წახდება, რომ ვილაც ბიჭ-ბუჭები მოერიონ. ოღონდ ახლა შენი ერთგულება მჭირდება, შენი კეთილი გული. ოღონდ ჩემი იყავ, ჩემი და მე...

— რას ნიშნავს შენი ვიყო, — აფეთქდა მედიკო, — შენ ცოლს არ მიატოვებ და ოჯახს, და მე არც მოვითხოვ ამას შენგან. ოღონდ მე არც ის მინდა, რომ მეორე, დამატებითი ცოლი ვიყო. არა, დავარქვათ ამას ნამდვილი სახელი — ხასა, ხასა ვიყო... — და ქალს ისტერიკული ტირილი აუვარდა.

— ეს რა თქვი, — ამშვიდებდა ჯაბა, — ჩვენ მეგობრები ვართ, შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის, ყველაფერი, — ლუღლუღებდა კაცი. მედიკო გულთან არ იკარებდა მის სიტყვებს.

— რა მეგობრობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი. შენ ფული გაქვს, ჯაბა, ფული და ასე გგონია, ყველაფერი ნებადართულია შენთვის. შენ ბევრი ფული გაქვს, ყველაფრის ყიდვა შეგიძლია და გადაწყვიტე მეც მიყიდო. აკი მიაღწიე ამ მიზანსაც... — ესა თქვა, თითქოს ნათქვამისა შერცხვაო, სახეზე ხელი აიფარა და უფრო მწარედ აქვითინდა.

ჯაბა ამას არ მოელოდა. აქ იმიტომ მოვიდა, რომ ეგონა აფორიაქებულ ფიქრებს დაიმშვიდებდა, ეგონა მედიკო უშველიდა, რომ რამაძის მეოხებით იმ კაცთან, იმ დიდ კაცთან როგორმე მიაღწევდა. და აი, მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. სწორედ რომ ამას არ მოელოდა ჯაბა და დაიბნა, თავის ცხოვრებაში პირველად დაიბნა. იგრძნო ეს მედიკომ და ახლა დაყვავებით მიმართა:

— რაც იყო იყო, გვეყოფა... სულელი ვიყავი და ასე სულელურად არ მინდა დავრჩე. მივხვდი, რომ შევცდი, და იმასაც მივხვდი, რომ არ არის გვიან ეს შეცდომა გამოვასწორო. ხვალ, ზეგ უკვე გვიან იქნება, როცა ყველა გაიგებს, რომ მე შენი ხასა ვარ, — ამ სიტყვის

გამეორებაზე ისევ ატირდა მედიკო. მერე ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე და განაგრძო: — წადი, ჯაბა წადი, შენ შენთვის, მე ჩემთვის... ნუ შემიშლი ხელს დროზე გამოვასწორო, რაც დავაშავე, წადი, შენც გეყოფა და მეც მეყოფა, რაც ცუდი რამ ჩავიდინეთ. წადი, შენს ოჯახს, შენ ცოლ-შვილს მიხედე, შენს საქმეს მიხედე... — აქ შეჩერდა მედიკო; კაცი უკვე აღარ უსმენდა მას, მისი გონება, დაპატიმრების შიშით დაცხრილულიყო, მისი ფიქრები შორს დაფრინავდნენ; ახლა ისღა ჰქონდა საზრუნავი, თუ როგორ გადაერჩინა თავი. მედიკოსთანაც ამ მწარე ფიქრებმა მოიყვანა და აქ მოულოდნელად სულ სხვა ამბავი დატრიალდა. მედიკოც კი გადაუდგა. ერთბაშად გონს მოეგო, მის არსებაში ძველმა ჯაბამ გაიღვიძა და მოღალატე სატრფოს შეუტია:

— ეს რა გამოდის?.. როცა გჭირდებოდი, მიყენებდი კიდეც, და შენს ფანდურზე მაცეკვებდი. ახლა კი, როცა ბინაც მიიღე, სამსახურიც, ავეჯიც, და ის ზიზილ-პიპილოებიც, — ხელი ტუალეტის მაგიდისაკენ გაიშვირა ჯაბამ, — აწი აღარ გინდა ჯაბა, ხომ?

არა, ასეთ უტიფრობას არ მოელოდა მედიკო და ერთბაშად იფეთქა უზომოდ ამპარტავანმა და ჯაბასაგან განებივრებულმა ქალმა:

— რას მაყვედრი, შე მათხოვარო! აჰა, წაიღე ეს ჭინჭები, ეს სამაჯურებიც, ეს საყურეებიც, ეს... ეს... — ყვიროდა შეშლილივით მედიკო, ტუალეტის მაგიდიდან, კარადებიდან იატაკზე ყრიდა ძვირფას ნივთებს და ალქაჯადქცეული გაჰკიოდა: — წაიღე... ყველაფერი წაიღე, მომაცილე, მომაშორე ეს სიბინძურე, ეს ჭუჭყი...

ჯაბა გაშეშებული იდგა და მედიკოს ემუდარებოდა: დაწყნარდი, დამშვიდდი, რა იყო, რა მოხდა ასეთიო...

მაგრამ ყველაფერი უკვე ამაო იყო. ქალს აღარაფერი ესმოდა.

— შენ მთლად ნერვებაშლილი ხარ, მედიკო. მე არ ვიცი, რა მოხდა... ხვალ მოვალ და უფრო დამშვიდებით მოვილაპარაკოთ, — ესა თქვა და ნირწამხდარი კაცი იქაურობას გაეცალა.

* * *

იმ დღეს ჯაბამ ისიც შეიტყო, რომ აღმასკომის თავმჯდომარის ის მოადგილე დაეპატიმრებინათ, რომელიც ყველაზე ახლო იყო მასთან. ჯაბა მიხვდა, რომ კვალი მისკენ მოდიოდა. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, შინ გამოიქცა და საიდუმლოდ გადანახული განძის ახალ ადგილზე გადამალვაზე დაიწყო ფიქრი. ახლა ცოლსაც გაანდო ყველაფერი, დაწვრილებით უამბო, თუ რა განსაცდელი უახლოვდებოდა მასაც და მის ოჯახსაც. სწორედ ამ დროს ჯაბას ბინას რვა უცნობი კაცი მიადგა. მათგან სამი უმალ ჯაბას სამუშაო კაბინეტში შევიდა, მათ საწერ მაგიდაზე დაუდეს დაპატიმრების ორდერი და ბინის გაჩხრეკას შე-

უდგნენ. საკვირველი ის იყო, რომ მოსულებმა სულ ადვილად მიაგნეს ჯაბას საიდუმლო სალაროს და იქიდან გადმოღებული აურაცხელი ფული მაგიდაზე რომ დააწყვეს, თვითონ ჯაბას გაკვირვებით აღმოხდა: „ოჰო, ჰო!“ უცებ გონს მოეგო, ძირს დახარა თავი. ამის შემდეგ ჯაბას პირველი სალაროდან ძველი, გაყვითლებული ას-ასმანეთიანების ათი შეკვრა რომ ამოიღეს და მაგიდაზე დაალაგეს, გამომძიებელსაც გაუკვირდა, ეს ხმარებიდან ამოღებული ძველი ქაღალდის ფულები რად შეუნახავსო; უნდოდა ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა და ახლა მეორე სალაროს მიადგა გამომძიებელი, აქედან გამოღებული ძვირფასი ნივთები საწერ მაგიდაზე არ დაეტია... ოქროს სამაჯურები და საათები, ბრილიანტები და მარგალიტები, ფირუზი და ლალი ჯაბას გრძელსა და ვიწრო საწოლზე გამოფინეს. ჯაბას სამუშაო კაბინეტი მუზეუმს დაემსგავსა.

მერე, ის იყო, მეზობელი ბინიდან ცნობილი პროფესორი გამოიძახეს, რომ ამ ამბავს დასწრებოდა. აქტი შეადგინეს, ერთი პირი ოჯახს დაუტოვეს, დანარჩენი თან წაიღეს, ასევე თან წაიღეს მთელი ფული და ძვირფასი ნივთები. ჯაბაც თან წაიყვანეს. და ყველაფერი ეს ისე უეცრად მოხდა, რომ თვით ჯაბას ცოლიც ვერ გაერკვა, როგორ მოასწრეს ყველაფერი ასე მოკლე დროში.

ერთი კვირის შემდეგ ჯაბას ცოლი დაიბარა იმ ჭაღარა, მაღალმა გამომძიებელმა, რომელმაც ჯაბას დაპატიმრების დღეს აქტი შეადგინა, სადაც ჩამოწერილი იყო თანხების რაოდენობა და ძვირფასი ნივთების სია. სამი საათი ეკითხებოდა ქალს ჭაღარა გამომძიებელი და ყველაფერს იწერდა, მერე ეს ჩვენება გამომძიებელმა ჯაბას ცოლს წაუკითხა და ხელი მოაწერინა.

მეორე დღეს გამომძიებელმა მედიკო დაიბარა. ქალი შეშფოთებული, აღელვებული იყო და გამომძიებლის ყოველ შეკითხვას უარით უპასუხებდა. მერე, როცა გამომძიებელმა ლაპარაკი ჩამოაგდო მისი ბინის აშენების, კოოპერატივში ჩაწერისა და ფულის გადახდის თაობაზე, მედიკო ჯერ დაიბნა, მერე თითქოს ერთბაშად გონს მოეგოო, გამომძიებელს ნერვიულად უპასუხა:

— ამაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით... მე ყველა საბუთი და დოკუმენტი რამაძეს ჩავაბარე, — თანაც რამაძის სამუშაო ადგილი და მისამართი დაუსახელა, იმას ჰკითხეთო.

გამომძიებელს არ მოეწონა მედიკოს ასეთი არაგულწრფელი პასუხი. მან ხომ იცოდა, თუ ვინ გაუგზავნა ჯაბას ეს ლამაზი ქალი, რა გზებით და ხერხებით გააფორმა მან იგი კოოპერატივში, მერე როდის, რამდენი ფული გაიღო ჯაბამ მისი ბინისთვის თუ ბრილიანტებისათვის. რასაკვირველია, ისიც იცოდნენ, რომ რამაძე იყო პირველი შუამავალი „პასუხისმგებელი პირის“ დავალებათა შესრულე-

ბის დროს... ყველაფერი, ყველაფერი იცოდა გამომძიებელმა, მაგრამ რაკი მედიკო ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლეოდა, გამომძიებელმა აღარაფერი ჰკითხა და იმ პირობით გაუშვა შინ, რომ კვლავ გამოიძახებდნენ.

მედიკოს დაკითხვის შემდეგ გამომძიებელმა რამაძე დაიბარა, მაგრამ მოახსენეს, რომ ეს კაცი გულის ინფარქტით გუშინ გარდაიცვალაო.

აი, ასე, მედიკოსა და „პასუხისმგებელი მუშაკის“ ურთიერთობის საიდუმლოება საფლავში ჩაიყოლა ამ საქმის შუამავალმა რამაძემ.

მთელი თვე გავიდა, ვიდრე მედიკოს ხელახლა გამოიძახებდნენ. ამჯერად გამომძიებელმა ჯაბა და მედიკო პირისპირ წაუყენა ერთიმეორეს. ქალი იძულებული გახდა ახლა კი „გულწრფელად“ და პატიოსნად ეთქვა ყველაფერი. ამის შემდეგ ის შინ გაუშვეს, ხოლო მისი აღსარებანი და ჩვენებანი ჯაბას საქმეს თან დაურთეს.

ჯაბა სულ ელოდა, ჩემი „მფარველები“, დღეს თუ არა, ხვალ მაინც რაიმეს იღონებენ და ამ ჭაღარა გამომძიებელს ჩემს თავს ხელში არ შეატოვებენო .მაგრამ, რაც დღე გადიოდა, საქმის ვითარება სულ უფრო რთულდებოდა... ჯაბას საქმეს ახლა არა მარტო ეს ჭაღარა კაცი, კიდევ ხუთი გამომძიებელი იძიებდა, დღეს ერთთან შეიყვანდნენ ჯაბას, მეორე დღეს — მეორესთან და ასე შემდეგ...

ერთ დღეს ჯაბას გაზეთი „კომუნისტი“ შეუტანეს საკანში. გაზეთში დაწვრილებით იყო მოთხრობილი, თუ რა ხერხით იხვეჭდნენ აუარებელ ფულსა და ქონებას ჯაბა ბერიშვილი და მისი საქმის თანამონაწილენი; ეს რომ წაიკითხა, ჯაბას იმედის ოდნავი ნატამალიც კი აღარ შერჩა, მიხვდა, რომ აღარაფრის დამალვას აზრი აღარა ჰქონდა. ამის მერე, მაინც ორი დღე ებრძოდა საკუთარ თავს, ბოლოს გადაწყვიტა ეთქვა სიმართლე...

დიახ, სიმართლე უნდა ეთქვა, ოღონდ ისე, რომ ამოეყარა იმათი ჯავრიც, ვინც ერთგულ მეგობრად აჩვენებდა თავს, განსაცდელის დროს კი ასე გადაუდგნენ და გაწირეს. კარგი ბატონო, ეთქვათ, მე არამზადა და მექრთამე ვარ, მაგრამ ვინ არიან ისინი, ვისაც ასე უხვად ვურიგებდი ფულებს. არ იციან, რომ ვალს გადახდა უნდა?! ეგ კი არა, იმასაც არ კითხულობენ, რა დღეში ვარ, ჩემზე უფრო დიდი დამნაშავენი არხეინად დასეირნობენ რუსთაველის პროსპექტზე, და ჩემთვის უბრალო მოკითხვა რა არის, ისიც არ ემეტებათ. გამოდის, რომ ჩემგან მარტო ფული უნდოდათ, ფული და უკანონოდ საქმის მოჯახრაკება. ადრე რომ „ძმობასა და მეგობრობას“ მპირდებოდნენ, ასე როგორ გამწირეს. ესაა მათი მეგობრობა? ესაა მათი პირობა?

იმავე ხანებში ჯაბამ მეორე გაზეთში ერთი კრების ანგარიში წაიკითხა. კრებაზე, სხვათა შორის, მასზეც ელაპარაკნათ და ერთ ორა-

ტორს პირდაპირ ოთხში ამოეღო ჯაბა, ასულიყო ტრიბუნაზე და ეთქვა: „ჯაბა ბერიშვილი მარტო ახლა კი არა, ადრეც გათახსირებული კაცი იყო, წინათაც უკანონო საქმეთა გამო არაერთხელ იყო მხილებული, ინსტიტუტიდანაც ამიტომ მოხსნესო. როგორ გამოგვეპარა ყოველივე ეს? ეს რა დოყლაპიობა გამოვიჩინეთო“, და სასტიკად აკრიტიკებდა თავის თავს, თავზე ნაცარს იყრიდა...

„როგორ უსინდისოდ ტყუის, — ბრაზობდა ჯაბა, — ამ ორატორმა ყველაფერი იცოდა, არაერთხელ მოსულა და უნახავს ჩვენი მშენებლობა, განა მან არ გამაფორმებინა უკანონოდ ჯერ ერთი კაცი, მერე — მეორე... ნამდვილად უნამუსოა, უსინდისო. ტრიბუნაზე რომ გაიჭიმებიან და ხელებს უქნევენ იქიდან ვიღაცეებს, რად ავიწყდებათ, რომ თვითონ არიან პირველი ქურდები და უნამუსოები?“ ჯაბას ავიწყდებოდა, რომ თავად არაერთხელ გამოსულა ასე უსირცხვილოდ და უსინდისოდ. მაგრამ ახლა ეს კი არა, მთავარი ის იყო, რომ თვითონ ამხილეს, თვითონ საკანში ზის, ხოლო მისი მსგავსი უსინდისო და ორპირი, მექრთამე და მომხვეჭელი არა მარტო გარეთ დასეირნობს, არამედ ტრიბუნაზედაც შემდგარა, იქიდან გვიქნევს ხელს და გვარიგებს ჭკუას. მაშ, რაკიღა ასეა, ახლა მე მაცალეთო, — თქვა ჯაბამ, აიღო შავყდიანი დიდი რვეული და შეუდგა წერას. მთელი საათობით წერდა, იხსენებდა, ანგარიშობდა, კოოპერატივის ძველ სიებს ითხოვდა. მოუტანდნენ ამ სიებს, საბუთებს და ჯაბა კვლავ იწყებდა წერას, ისევ იხსენებდა, ისევ ანგარიშობდა ვის რამდენი მისცა, როდის, სად, ვისგან რამდენი აიღო, ვისი თანდასწრებით. მერე მთელი ეს ასგვერდიანი მოხსენებითი ბარათი გამომძიებელს გადასცა და სთხოვა: ეს მისი გულწრფელი აღსარება თუ ჩვენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის წარედგინათ.

...გამოძიება საკმაო ხანს გაგრძელდა, ამ საქმეში ბევრი აღმოჩნდა ჩარეული. გამომძიებლებმა სამასამდე კაცი დაკითხეს და ორმოცტომიანი საბრალდებო დასკვნა დაწერეს. სამართალში მიცემული ოცდაერთი კაცის საქმე ცალკე გამოიყო და სასამართლოს გადაეცა, სახელმწიფო ბრალმდებლად პროკურორი მიხა გობეჩია დაინიშნა.

* * *

მიხა გობეჩია ბოლშევიკთა ძველ გვარდიას ეკუთვნოდა. ის ერთი შეუვალი, უმწიკვლო, საქვეყნო საქმისათვის თავდადებული კაცი იყო; ჩვენ ხელთა გვაქვს მისი ვრცელი ავტობიოგრაფია, რომელიც საქართველოს პროკურატურის კადრების განყოფილებაში ინახება. იქიდან ჩვენ ამოვწერეთ ზოგი რამ და ამ ქრონიკას დავურთეთ:

— „მამაჩემი ძველი რევოლუციონერი იყო. ჩვენი ოჯახი ნაძალა-

დევში ცხოვრობდა, რკინიგზის მუშის დემურიას ორსართულიან სახლში ერთი პატარა ოთახი გვეჭირა. მამა, დედა და მე — სულ ეს იყო მთელი ჩვენი ოჯახი. მამა დეპოში მუშაობდა ზეინკლად. უთენია დგებოდა. საყვირის ხმაზე მეც მეღვიძებოდა და დედასაც. დედა ჩაის აადუღებდა. მამასთან ერთად მეც ვსაუზმობდი, მერე მამა სამუშაოდ მიდიოდა. მე კი წიგნს ჩავუჯდებოდი, და ვიზეპირებდი ჩემთვის ჯერ კიდევ გაუგებარ პუშკინის ლექსს, მერე სკოლაში მივდიოდი.

მთელ ნაძალადევში მაშინ ერთადერთი სკოლა იყო, ე. წ. ბოტეს სკოლა, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე. მეც იქ ვსწავლობდი. შინ რომ ვბრუნდებოდი, ვისადილებდი და მაშინვე გაკვეთილების სწავლას შევუდგებოდი. კარგ მოწაფედ ვითვლებოდი სწავლაში. სამუშაოდან გვიან დაბრუნებული მამა მეხმარებოდა, დედაჩემმა კი წერა-კითხვაც არ იცოდა, მამას ორკლასიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ლექსებსაც წერდა. წიგნი ძლიერ უყვარდა და მისი ეს გატაცება მეც გადამედო. მამას ვბაძავდი ყველაფერში და წიგნის სიყვარულშიაც.

კარგად მახსოვს, ერთხელ შუაღამისას მოვიდნენ ყვითელეპოლეტებიანი კაცები, სახლში დაუკითხავად შემოვიდნენ, მამას რაღაც ნაგლეჯი ქაღალდი ჩააბარეს და ოთახის გაჩხრეკას შეუდგნენ, თაროებიდან და განჯინებიდან ყველაფერი იატაკზე გადმოყარეს. მერე იქიდან რაღაც ქაღალდები აარჩიეს და მამაც თან წაიყვანეს.

ორი კვირის შემდეგ შევიტყვეთ, რომ მამა მეტეხის ციხეში დაემწყვდიათ. მე და დედა მაშინვე მის სანახავად წავედით. წვერმოშვებული მამა ძლივს ვიცანი. რიკულებს იქით იდგა, გვიღიმოდა და გვაიმედებდა. იქ გავიგე, რომ მამაჩემი რევოლუციური მუშაობისათვის დაეპატიმრებინათ და ახლა გასამართლება ელოდა. მამა კი გვამხნევებდა — სულ მალე გამოვალ და თქვენთან ვიქნებიო. მას მერეც ბევრჯერ მივაკითხეთ, მაგრამ მამას აღარ გვიჩვენებდნენ, ერთი თვის შემდეგ საპმელ-სანოვაგე რომ მივუტანეთ, უკან გამოგვატანეს და გამოგვიცხადეს, გობეჩია ციმბირში გადაასახლესო.

ამის შემდეგ მამა თვალით არ გვინახავს და კარგა ხანს არც წერილი მიგვიღია მისგან.

ძლიერ გაგვიჭირდა, დედამ მრეცხაობა დაიწყო და პურის ფულს ამით შოულობდა. მე კვირაობით დედულეთში, გორში მივდიოდა, ბებიას სანახავად. ბებია შოთი-პურებს, ყველს, ხილს და ხანდახან დაკლულ ქათამსაც გამომატანდა. თვეში ერთხელ კი, დედა მამაჩემის სოფელში, ძველ სენაკში ჩადიოდა და იქიდან მოჰქონდა სიმინდის ფქვილი და ლობიო. ეს იყო მთელი ჩვენი საზრდო. ადრე ჩვენი ოჯახი რკინიგზელების ოჯახად ითვლებოდა, და მატარებლის ბილეთი უფასო გვქონდა. ამიტომ თბილისიდან გორამდე მგზავრობა ჩემთვის ძალზე იოლი საქმე იყო. მამა რომ დაიპირეს, უფასო ბილეთი ჩამოგვართვეს.

მახსოვს, მარტის თვე იყო, ციოდა. დედამ თბილად გამომაწყო და მატარებელში ჩამსვა. მე უბილეთო, რვა წლის ბიჭი ვაგონის ერთ კუთხეში მივინაბე: უცბად კონდუქტორი გამომეჭიმა წინ და ბილეთი მომთხოვა. მე რაღაცეები მოვიმიზეზე, არც კი მახსოვს, რა, მაგრამ ჩემმა მუდარამ არ გაჭრა და იქვე, მცხეთაში, მატარებელი რომ გაჩერდა, ძირს ჩამომსვა. დავღონდი, ერთხანს სადგურის წინ ვიდექი და ისევ მატარებლის გამოვლას ვუცდიდი, მაგრამ ამაოდ, მატარებელი არ ჩანდა. გარეთ სიცივემ ამიტანა და შიგნით, იმ დარბაზში შევედი, სადაც ბუფეტი იყო. ნაირნაირი საჭმელების სურნელებამ მადა გამიღვიძა და ჩემდაუნებურად ბუფეტს მივადექი. მებუფეტემ რაღაც მკითხა, მე პასუხი არ გავეცი და ისევ გარეთ გამოვედი.

ვდგავარ გარეთ და გავყურებ ჩემს წინ ატუზულ დათოვლილ მცხეთის მთას. თვალზე თითქოს ლიბრი გადამეკრა და გონება დამიბნელდა. არ ვიცი, შიმშილისაგან იყო ეს, თუ სიცივისაგან. გონება მოვიკრიბე და ისევ შენობაში შევედი. ახლა უაზროდ დავიწყე ამ დიდ დარბაზში ხეტიალი. მიმოვდივარ აქეთ-იქით და თვალი ისევ საჭმელებისაკენ მიმირბის. მივედი ახლოს. მიყურებს მებუფეტე და უკვირს, ასე დაჟინებით რომ ვაკვირდები, ვერ მოითმინა და მკითხა, რა გინდაო, ბიჭო! ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე — მშია, მშია-მეთქი. შევატყვე მებუფეტეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმამაღლა ტირილი დავიწყე და მუხლმოკვეთილი იქვე სკამზე ჩამოვჯექი.

ამ დროს დარბაზში მაღალ-მაღალი კაცი შემოვიდა, გრძელი, წაბლისფერი წვერი მკერდზე ჩამოჰფენოდა. ატირებული რომ დამინახა, მომიახლოვდა. უცნობმა დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, და როცა გაიგო, რომ აქ უფულობის გამო ჩამომსვეს მატარებლიდან და გორში ბებია მელოდებოდა, მომეფერა, და მებუფეტეს უბრძანა, ჩემთვის საჭმელი მოეტანა. მომიტანეს პირველი, მეორეც და მცხეთური ღვეზელიც; გეახელით ყველაფერი ეს, სული მოვითქვი და ახლა ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა ქვეყანაზე. მერე ისევ გამოკითხვა დამიწყო იმ წაბლისფერწვერებიანმა კაცმა. მამაჩემის დაპატიმრებისა და გადასახლების ამბავი რომ გაიგო, უფრო შეწუხდა, როგორ, როდის მოხდაო, წერილებს თუ გიგზავნითო მამაშენი? ისე ჩაძიებით მეკითხებოდა ყოველივე ამას, ასე ვიფიქრე, ალბათ, მამაჩემის ნაცნობია და ამიტომ წუხს ასე-მეთქი.

ამასობაში კარგა დრო გავიდა. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. თორმეტზე კი ფოთის მატარებელი ჩამოიელიდა და აქ, მცხეთის სადგურზე გაჩერდებოდა. ესეც ამ სათნო ადამიანისაგან გავიგე. ისევ მოიხმო უცნობმა მებუფეტე და რაღაც უთხრა. მებუფეტე ათ წუთში დაბრუნდა და გორის ბილეთი ხელში შემომაჩეჩა. ის იყო მატარებელიც ჩამოდგა. ის მაღალი კაცი გარეთ გამომყვა, მატარებელში ჩამს-

ვა, ნაცნობ კონდუქტორს ჩააბარა ჩემი თავი, თან ერთი მანეთიანი ვერცხლის ფული მომცა და გზა დამილოცა.

ეს რაღაც ზღაპარიივით იყო, სწორედ ზღაპარში მომისმენია ასეთი ამბავი, თორემ ცხოვრებაში, თუმცა მე სულ რვა წლისა ვიყავი, ამის მსგავსი სათნო კაცი არ შემხვედრია. ჰო, როგორ ჩამებეჭდა მეხსიერებაში ის ხანში შესული, მამასავით კეთილი კაცი. მცხეთიდან გორამდე ფეხზე ვიდექი და ისე ვლოცავდი იმ სათნო ადამიანს, ისე მეგონა, მამაჩემმა გამოგზავნა ჩემს საშველად.

გორში რომ ჩავედი, შუაღამე გადასული იყო. ბებიაჩემი მარტო ცხოვრობდა. როცა მივედი, გულში ჩამიხუტა. ვუამბე ყველაფერი, რაც გადამხდა, ხატის წინ დაიჩოქა და მთელი ღამე თვალცრემლიანი იმ კაცს ლოცავდა, რომლის სახელი არც იმან იცოდა და არც მე.

იმ ღამეს ცუდად მეძინა. ჩამთვლემდა თუ არა, ის კონდუქტორი დამესიზმრებოდა, ყურში ხელი რომ ჩამავლო და ასე წოწიალობით ძირს რომ ჩამომსვა მცხეთის სადგურზე. თვალს გავახელდი და თვალწინ ის ჩემი კეთილი კაცი დამიდგებოდა, სახეგაღიმებული და ჩემზე მზრუნველი. დილით ადრე ავდექი, უძინარი და მთლად აღგზნებული. ბებია ძროხას წველიდა. მივეშველე, მერე ვისაუზმეთ, წამოსვლისას ბებიამ ძველ კალათში ჩამილაგა შოთი-პურები, მოხარშული კვერცხები, ყველი, ხილი და სადგურამდე მომაცილა. გორი-თბილისის მატარებელი დღის სამ საათზე გამოდიოდა, ვჩქარობდი. ფანჯარასთან ვიდექ და სადგურებს გავყურებდი. მატარებელი მცხეთასთან რომ გაჩერდა, ჩამოსვლა დავაპირე, მაგრამ შემეშინდა არ დავრჩენილიყავი, სადგურზე გულისყურით ვადევნებდი თვალს ყველას, მაგრამ ის კეთილი კაცი ვეღარსად დავლანდე. შინ რომ მივედი, დედასაც დაწვრილებით ვუამბე, რაც გადამხდა. ისიც ბებიასავით ლოცავდა იმ კეთილ კაცს, თან ცრემლად იღვრებოდა, თან წყევლიდა ყველას, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. იმ დღეს დიდად სასიხარულო ამბავი მოხდა. მამის წერილი მივიღეთ. გვწერდა, ჩვენი საქმე პეტერბურგში გავასაჩივრეთ და იმედია მალე გამომშვებენო.

მერე და მერე ჩვენი საქმე უფრო ცუდად დატრიალდა. მამაჩემისაგან მეტი წერილი აღარ მიგვიღია. დედა ავადმყოფობდა და მე იძულებული გავხდი მუშაობა დამეწყო. მამაჩემის ამხანაგებმა დეპოში წამიყვანეს, და იმ დაზგაზე, რომელზეც მამაჩემი მუშაობდა, შეგირდად დამაყენეს. პირველად გამიჭირდა, მერე შევეჩვიე საქმესაც და მამაჩემის ამხანაგებსაც. ჩვენს ქარხანაში ჩემი ტოლი რამდენიმე ბიჭი მუშაობდა, მათ შორის იყო ჩვენი სახლის პატრონის დემურიას ვაჟიშვილიც. აი, ამ დემურიასთან ერთად მივდიოდი უთენია ქარხანაში და მასთან ერთად ვბრუნდებოდი შინ დაღამებისას.

ერთხელ, დილით, ისევ აწრიალდა ჩვენი ოჯახი. ვიღაც ფარაჯიანი

კაცი მოვიდა, დიდხანს ელაპარაკა დედაჩემს, მერე დედაჩემმა ტირილი დაიწყო. ის კაცი რომ წავიდა, დედამ თავისთან მიმიხმო და მითხრა: აი, შვილო, ეს რეული მამაშენისაა, აქ რომ იყო, იმ კაცისათვის გამოუტანებია ეს რეული და ხუთი მანეთი ფული. თურმე ეს კაცი მამასთან ერთად მუშაობდა ოქროს საძიებო საბადოებში და, რომ გაუთავისუფლებიათ, მამას ეს ამანათი გამოუტანებიაო.

— მამა? ის რატომ არ გაათავისუფლეს? — ვიკითხე მე. დედას კვლავ ტირილი მოერია. და მაინც გამაგებინა: მამაშენი ისევ იქ მუშაობს, ორ წელიწადში გაუთავდება გადასახლების ვადა და დაბრუნდებაო, — თქვა და რეული გადმომცა. ვნახე, ლექსები იყო. მთელი თვე თან დამქონდა უბით ეს რეული და ვიზეპირებდი მამაჩემის ლექსებს, ზოგს სევდიანსა და ზოგსაც იმედით აღსავსეს. ვისაც უმამობა არ განუცდია, ის ვერ მიხვდება, რა ხდებოდა ჩემს სულში. ახლა ეს ლექსები ჩემთვის ლექსებიც იყო, მშვენიერი ლექსებიც, და საყვარელი მამაც, ძალით რომ მომგლიჯეს მკერდიდან და გადამიკარგეს, ასე რომ მენატრებოდა, როგორც გათენება, დღე და სიცოცხლე.

ერთხელ ეს ლექსები ჩემს მეგობარ დემურიას ვუჩვენე. მის თვალებში ცრემლი შევნიშნე, როცა ჩემთვის მოძღვნილი ლექსი „ჩემს შვილს მიხას“ წავუკითხე. გადამეხვია და მაკოცა. ძლიერ გამეხარდა, მივხვდი, რომ ჩემი მეგობრის სულშიც იპოვნა ამ ლექსმა ბინა. მივხვდი, რომ მეგობრის მხრივ გამოჩენილი ეს ინტერესი, უბრალო შეცოდებით და თანაგრძნობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მის სულშიც დაებუდებინა გონების შემძვრელ და ამფორიაქებელ ძალას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ძველ სამყაროს და მომავლის რწმენით რომ იყო გაშუქებული. აი, ამან გამახალისა მეც და მზად ვიყავ სამაგიერო მიმეზღო ყველა იმისთვის, ვინც ბორკილებს ადებდა თავისუფლებისაკენ მოწოდებულ აზრს.

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი გზა. ამ გზაზე ბევრი ხიფათი და წვალება გადამხდა. მაგრამ ნამდვილი და რწმენით განათებული გზა მე სხვაგვარად არც წარმომედგინა. სულ მალე მე თავად მოვხვდი მამაჩემის მეგობრების, მოწინავე მუშების წრეში და გზა გავიკვლიე ამ ცხოვრებისა — ყველაზე საიდუმლო და სახიფათო დავალებას მე მაძლევდნენ.

მაგონდება ცხრაასთექვსმეტი წლის აღდგომის ღამე. წინადღით ნაძალადევში, დემურიას სახლში, საიდუმლო კრება იყო. ამ კრებაზე მე დამავალეს სიონის ეკლესიაში შემეტანა პროკლამაციები და ჩუმად მლოცველებისათვის დამერიგებინა. საღამოს რვა საათი იქნებოდა. მარტის თვე იყო. ციოდა. მე მეცვა გახუნებული ტყავის შავი პალტო, რომელსაც შიგნით ორი დიდი ჯიბე ჰქონდა. ეს ჯიბეები კარგად გამოვიტენე კოხტად დაკეცილი პროკლამაციებით. ასე შევედი სიონის ეკლე-

სიაში. მლოცველები ჯერ ცოტანი იყვნენ, თანდათანობით ემატებოდნენ. მეც ვიდექი უკან და ყოველ კაცს ვაკვირდებოდი. როცა საკმაოდ გაივსო სამლოცველო, ჯიბიდან ამოვალაგე პროკლამაციები და, როგორც დარიგებული ვიყავი, მიმოვფანტე აქეთ-იქით. წამიც და, ატყდა ჩოჩქოლი, აირია იქაურობა, ამით ვისარგებლე და შეუმჩნეველად გამოვიპარე სიონიდან. მერე რა მოხდა, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ მეორე დღეს ნაძალადევშიც დადიოდა პოლიცია. ყოველ სახლს და ეჭვმიტანილ ოჯახებს ჩხრეკდნენ. ჩვენი სახლიც გაჩხრიკეს. მერე, საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, დედა შეშინებული მიამბობდა პოლიციელთა თავდასხმის ამბებს და მეუბნებოდა: „ფრთხილად იყავი, შვილო, ჩემს ოჯახს ის ერთი მსხვერპლი ეყოფაო“.

იმ აღდგომის დღეს კი გადავრჩი, მაგრამ, ხომ ამბობენ, კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო. იმ წლის აგვისტოში მოგვაგნეს და დემურიას სახლში არალეგალურად შეკრებილი ხუთი კაცი გაგვაბეს მახეში. პროკლამაციებს ვკითხულობდით. იმავე დღეს მეტეხის ციხეში ამოვყავი თავი. მეორე დღესვე გაეგო დედას რაც მოხდა და ციხეში მოვარდა, მაგრამ ამაოდ. არავის არ გვაკარებდნენ.

დაიწყო გამოძიება, ყოველდღე ერთსა და იმავეს გვეკითხებოდნენ: ვინ არიან თქვენს ორგანიზაციაში, სად არიან და რას აკეთებენ აი ესენი — და გვიკითხავდნენ საკმაოდ გრძელ სიას. ჩვენ ერთსა და იმავეს ვპასუხობდით: არაფერი არ ვიცით, არც ის ვიცით, საიდან მოხვდა ჩვენს ოთახში პროკლამაციები, ვიღაცამ ისე შემოყარა, რომ ვერაფერი ვერ გავიგეთ. ჩვენი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ეგ პროკლამაციები წავიკითხეთ.

ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა ეს დაკითხვა და აბუჩად აგდება, თუ არა თებერვლის რევოლუცია. გამოგვიშვეს ციხიდან. იმავე წელს ივანე გომელაურის მიერ დაარსებულ სასწავლებელში გამოცდები ჩავაბარე სიმწიფის ატესტატზე, მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი. მაშინ ივანე ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორიის კურსს გვიკითხავდა. 1925 წელს დავასრულე უნივერსიტეტი, სამუშაოდ ამიერკავკასიის რკინიგზის პროკურატურაში გამგზავნეს. 1928 წელს ასპირანტურაში ჩამრიცხეს. 1933 წელს საქართველოს პროკურორის პირველ მოადგილედ დავიწყე მუშაობა. მე, ივანე ჯავახიშვილის მოწაფე, სამამულო ომის მონაწილეცა ვარ და ბევრი სხვა დიდი საქმეების მომსწრეც“.

ამის შემდეგ ავტობიოგრაფიაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი, თუ სად და რა პოსტებზე უმუშავნია გობეჩიას.

ჩემს საწერ მაგიდაზე ისევ ძველი ტელეფონი დგას, ისევ ის ძველი ყღარუნა აპარატი... შინაურები შემომიჩნდნენ — დაბერდა, გამოვცვალოთო. მე მაინც არ ვცვლი, და იცით რატომ? მას, ამ ძველ ტელეფონს, ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წუთები ახსოვს. მას ბევრი სიხარული მოუტანია ჩემთვის, ბევრი მწუხარებაც და გაწბილებაც. ამ ყურმილით მომისმენია პირველი მოლოცვანი — ვაჟიშვილი შეგეძინათ... ქალიშვილის მამა ხარო... როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი დაიწყო, გასაწვევ უბანზე გამოცხადდიო, ამ ტელეფონით მაცნობეს. შემდეგ შინ, დაჭრილი, ფრონტიდან ადრე დაბრუნებული ჩემი თანამებრძოლების ამბავსაც ამავე ტელეფონით ვიგებდი. ჩემი ძმა რომ გაიწვიეს, ამ ტელეფონით დამირეკა. უკანასკნელად მოვისმინე მისი ხმა და ის ხმა, ასე მეჩვენება, ამ ტელეფონში ჩარჩა, რატომღაც მგონია, რომ იმ ხმას ოდესმე ისევ გავიგონებ.

მერე ჩვენს ქუჩებშიაც დადგა დღესასწაული, ისევ გაისმოდა ჩემი ტელეფონის წკრიალა ხმა, ომიდან ახლად დაბრუნებული ჩემი მეგობრებისა და მოკეთეების ხმა, აღსავსე აღტაცებით და გამარჯვების სიხარულით.

მერე დაიწყო მშვიდობის წლები და კვლავ ამ ტელეფონით ვისმენდი სასიხარულოსაც და სამწუხაროსაც.

მოსკოვსა და კიევში წასული ჩემი ახლობლები ამავე ტელეფონით მელაპარაკებოდნენ. ჩემი ცოლის, ჩემი შვილების ხმებით სავსეა პატარა იდუმალი ყუთი, მათ ახლა ჩემი შვილიშვილის — პატარა დიტოს ხმაც მიემატა. ჩემი საყვარელი ხმებია დაბუდებული ამ ტელეფონში და მეც ამიტომ ვუფრთხილდები მას. მერე რა, რომ შიგ სიხარულს გარდა, ბევრი რამ სამწუხაროც შემონახულა! დედა რომ გარდამეცვალა, ამ ტელეფონით შემატყობინეს. მამის სიკვდილიც ისევ მან მამცნო. დიახ, ჩემი სიცოცხლე თან ახლავს მას, და ასე მგონია, ამ ძვირფას ხმებს უმალ დავკარგავ, ამ ძვირფას გრძნობებს მომტაცებენ და წამართმევენ, თუ ეს აპარატი წაიღეს, ამიტომ ვინახავ და ვუფრთხილდები მას, ჩემი მწუხარებისა თუ სიხარულის უპირველესი მოწმე ის არის და ამიტომაც ვერ ვიმეტებ ამ ძველ აპარატს.

არა, იყოს, ვიდრე ცოცხალი ვარ, იდგეს ჩემს მაგიდაზე. მას რომ შევხედავ, სიხარულიცა და სევდაც ერთად შემოდის ჩემს სულში. ჩემი სულის სიხარულისა თუ მწუხარების უტყვი და მეტყველი მოწმეც ეგ არის. მეშინია, ვერ გამოვცვლი მას, ასე მგონია, ჩემი საყვარელი ხმებიც გამექცევიან, მას თან გაჰყვებიან. ამიტომ იყოს, დაე, ჩემთან იყოს, ვიდრე ცოცხალი ვარ...

ადამიანს თუ კითხვა უყვარს, წიგნზე დიდი მეგობარი არავინ ეყოლება! ოღონდ, ადამიანების არ იყოს, წიგნებიც არიან ძვირფასნი და საყვარელნი, და ნაკლებად საყვარელნი. ყველაზე საყვარელი წიგნები მე ცალკე შევაგროვე და ერთ კარადაში მოვუყარე თავი. ჩემს სამუშაო ოთახში სულ ექვსი კარადა დგას, აქედან ერთია, რომელსაც ჩემი დავარქვი. ის მაინც სხვაა, ძვირფასი, განსაკუთრებული. ამაში ასამდე წიგნია. აქედან ათი იურიდიულ-პოლიტიკურია. ამ წიგნებში უპირატესობას ვერცერთს ვერ მივცემ. ყველა ძვირფასია ჩემთვის. ასე მგონია, ყოველ მათგანში ჩემი გულია ჩადებული. და ამ გულს ეს წიგნები ეფერებიან, ინახავენ. ამ ას წიგნში ასი გულია, არ გაგიკვირდეთ, კაცს ერთი გული აქვს, მაგრამ რაც ეს წიგნები წავიკითხე, თითოეულს ცალ-ცალკე შიგ ჩავატანე ჩემი გული, ყველას ვუწილადე ჩემი ერთი გული.

ყოველ ცისმარე დილას მივადგები ხოლმე ამ კარადას, ხან ერთ წიგნს ავიღებ ხელთ, ხან მეორეს, ყველას სათითაოდ ვეფერები, მეშინია არ გაფრინდეს ის სიხარული, რაც მათ ჩემთვის მოუნიჭებიათ; სამსახურიდან შინ დაბრუნებული ასევე ვფურცლავ და ვათვალიერებ ამ წიგნებს. ასი წიგნი და ასად გაყოფილი ჩემი ერთი გული ერთად რომ არიან, ასე მგონია, ყველა ბედნიერება აქედან მოდის–მეთქი. ამიტომ ველოლიავები ამ ერთ კარადას ყველაზე მეტად...

არა, არ მინდა სათითაოდ ჩამოვთვალო ეს წიგნები ან მათი ავტორები. ასე მგონია, ამით ვილაცას გავანაწყენებ, სხვას გავუმხელ ჩემი გულის საიდუმლოებას. მაინც თავს ვერ ვიკავებ და ცალკე გამოვყოფ ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიას“.

ამ ას წიგნში არის მეორე პატარა, თეთრყდიანი წიგნი, ლექსების კრებული, რომელსაც „არტისტული ყვავილები“ აწერია ქართულად და ფრანგულად. ეს ჩემი ასევე საყვარელი წიგნია, მარტო ჩემთვის კი არა, ყველასათვის. ამ წიგნში არის ლექსი „გემი დალანდი“, რომელშიც ქართველმა პოეტმა, იმ ქარიშხლიან დღეებში, პირველად ახსენა ლენინი და კრემლი. წიგნი კი არა, ეს ლექსების ქარიშხალია, რომელმაც საზღვარი დაუდო ძველსა და ახალს. დიახ, ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო რუსთაველის საქართველოში — ორიგინალური, განუმეორებელი სიტყვა... ჰო, როგორ მიყვარს მისი ხელში აღება, გადაფურცლა, წაკითხვა... არა, წაკითხვა არც კი მჭირდება, რადგან ყველა ლექსი ზეპირად ვიცი, და მუდამ თანა მდევს, შინ თუ გარეთ.

ქვეყანაზე ბევრი კარგი წიგნია, ყველა დამილოცნია, ყველასათვის წარმატება მისურვებია. მაგრამ ეს ორი წიგნი მაინც საოცრებაა, სასწაული. უცხო რამ, ზეშთაგონებით მოვლინებული. ამ წიგნებში ყველაფერი სხვანაირია. აქ სხვანაირად თენდება და სხვანაირად ღამდება...

* * *

ეს ნოველები კარგად ახასიათებენ ამ უაღრესად მკაცრ პროკურორს თუ რა ნაზი და ბულბულივით ტკბილი გული ჰქონია.

ახლა ამ კაცს ჰქონდა მინდობილი სახელმწიფო ბრალმდებლად გამოსულიყო ჯაბა ბერიშვილის პროცესზე. ჯაბას იგი ჯერ ისევ ინსტიტუტიდან იცნობდა, არც ისე ახლოს, მაგრამ გამოძიების მასალებს რომ გაეცნო, საშინელმა აღშფოთებამ შეიპყრო. გამოცდილსა და გამობრძმედილ პროკურორს რაღა უნდა გაუკვირდეს, მაგრამ ჯაბას საქმემ მაინც გააოცა იგი.

მიხა გობეჩიამ გადაწყვიტა სასამართლო პროცესის დაწყებამდე პირისპირ შეხვედროდა ჯაბას.

და აი, ზის პროკურორი, წინ საქმის ორმოცი ტომი უწყვია, ზის და ფიქრობს... ჯერ კიდევ მთლად ვერ გამორკვეულა იმ შთაბეჭდილებათა ბურუსიდან, რაც მის გულში ამ საქმეთა გაცნობამ აღძრა. მან ზოგი რამ იცოდა „მექრთამე პროფესორებისა“ და კოოპერატიული ბინათმშენებლობის შესახებ, პირადად იცნობდა სამართალში მიცემულთა უმრავლესობას, ხოლო ჯაბასთან ერთად ფილოსოფიის ისტორიის კურსს ისმენდა ასპირანტურაში. ამიტომაც იყო, რომ მეტი დაინტერესებით გაიცნო და შეისწავლა ეს ორმოცტომიანი საქმე.

რანაირი დანაშაული არ განუხილავს ამ ჭაღარა სახელმწიფო ბრალმდებელს. ვისთან არ ჰქონია საქმე, უნახავს გამოუსწორებელი რეციდივისტები, კაცის მკვლელები, ნაძირალები, მაგრამ ეს საქმე მაინც როგორღაც თავისებური იყო. ამ საქმის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარე მით უფრო დამაფიქრებელი იყო, რომ ჯაბას ჩვენებებში პირდაპირ თუ გადაკრულად, არაერთხელ იყო ნახსენები თუ მინიშნებული ისეთი ადამიანები, რომლებიც თვითონ იყვნენ პასუხისმგებელნი ქვეყნის წინაშე, კანონის წინაშე. მათ თვითონ უნდა დაეცვათ სიმართლე და სხვებისათვის მაგალითი ეჩვენებინათ. ეგებ ტყუის ჯაბა, ეგებ ის არამარტო მექრთამეა, არამედ ცილისმწამებელიც. ზის და ფიქრობს პროკურორი, ზის და უცდის ჯაბას შემოყვანას, რომ ზოგი რამ უფრო კარგად გაარკვიოს და დააზუსტოს. დიახ, ზოგი რამ უნდა დააზუსტოს, და ამიტომ გადაწყვიტა მასთან პირისპირ შეხვედრა.

და, აი შემოჰყავთ ჯაბაც...

ჯაბა არ ელოდა მის დანახვას. პირველად თითქოს შეკრთა, შეცბუნდა ისე, რომ ვერ გაიგებდი გაუხარდა თუ ეწყინა გობეჩიას დანახვა. მერე კი მის სახეს რაღაცნაირმა სინათლემ გადაურბინა. ეს შეამჩნია მიხამ და მაშინვე მიმართა:

— ჯაბა, მე შენ უნივერსიტეტიდან გიცნობ... მაშინ კეთილი კაცის სახელი გქონდა, მახსოვს, ლექციებსაც გიქებდნენ. მერე, მერე რა მოხდა, რა დაგემართა ასეთი?

— ჰო, ჩვენი უნივერსიტეტი, ჩემი ინსტიტუტი... ჩვენ რომ ერთად ვსწავლობდით, — აღმოხდა ჯაბას და გაუღიმა მიხას. პროკურორმა შუბლი შეიკმუხნა და სამართალში მიცემულს მკვახედ მოუჭრა:

— არა, ჯაბა, შენი და შენისთანების ინსტიტუტი მე არ ვიცი. მე რომ ვსწავლობდი, იმ უნივერსიტეტში ათი და ასი სახელოვანი მეცნიერიც მოღვაწეობდა. იქ ათასი, ასი ათასი ნიჭიერი, პატიოსანი, მშრომელი, გამრჯე ახალგაზრდა აღიზარდა. ისინი დღე-ღამე იღვწიან ინსტიტუტის ლაბორატორიებსა და აუდიტორიებში, რომ შემდეგ მთელ ჩვენს ქვეყანას მოედონ და განათლებისა და მეცნიერების მადლი მოჰფინონ. ის უნივერსიტეტი ჩვენი სინდისის, პატიოსნების სიმბოლოა და არც აქვს არავის უფლება იმას ბინძური ხელით ჩირქი მოსცხოს. ვინც მას თავის ინსტიტუტს უწოდებს, ის ამ წმინდა ტაძარს თაყვანს უნდა სცემდეს და ეცადოს, რომ არ შელახოს მისი სახელი.

მიხა უცებ მიხვდა, რომ რაღაც ლექციის მაგვარი სიტყვა გამოუდიოდა, მიხვდა, რომ უადგილო იყო ასეთი პათეტიკური სიტყვები და არც საქმე მოითხოვდა ამას. მიხვდა და შეჩერდა. ჯაბამ ამით ისარგებლა და შეედავა:

— მეც ხომ ერთ დროს პატიოსნად ვემსახურე ამ ტაძარს?

პროკურორმა სიტყვის გაგრძელება არ აცალა და მოკლედ მოუჭრა:

— ჩემთვის ადრე რომ ეკითხათ, ვიტყოდი, ასეა-მეთქი. ახლა, როცა მე შენს საბრალდებლო საქმეებს გავეცანი, სულ სხვა სურათი დამიდგა თვალწინ. ჩანს, რომ მაშინაც შენს სულს მომხვეჭელობის ჭია ღრღნიდა, მომხვეჭელობისა და ეგოიზმის ჭია. ჭიანაჭამი გულით ინსტიტუტს, ამ ჩვენს წმინდა ტაძარს ვერ მოემსახურები, ვერა... ბოლოს მოგერია კიდეც ეს ჭია. და ახლა შენ, შენი ნამდვილი სახით მოევლინე ქვეყანას, ნიღაბახდილი მექრთამის სახით. მექრთამე და კომბინატორი— აი, ვინა ხარ შენ! და მე გადავწყვიტე მაინც შეგხვედროდი, ვიდრე საჯაროდ ვიტყოდე ამ სიტყვებს... მინდა გავერკვე, პირისპირ საუბარში გავერკვე რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ არიან და რანი არიან შენს მიერ დაკითხვისას ჩამოთვლილი პირნი, რომლებსაც ხან ასე ასახელებ და ხან ისე. რატომ და როგორ დაადექი ამ გზას?

— რატომ, რატომ, ყველა ამას მეკითხება. მე თვით არ ვიცი, რატომ. თქვენ გაეცანით ჩემს საქმეებს? ჩემს ჩვენებებს? საბრალმდებლო დასკვნას?

— ჰო, გავეცანი და იმიტომ გეკითხები. რამ გაიძულა ასეთი გზა აგერჩია, დოცენტს, მეცნიერებათა კანდიდატს, კათედრის გამგეს, დეკანის მოადგილეს, რომელი ერთი ჩამოგითვალო?

— გინდათ სიმართლე გითხრათ, როგორც ყოფილ კოლეგას?

მიხას არც ეს სიტყვა მოეწონა — ყოფილი კოლეგა, და სახემოღუშულმა სწრაფად მიახალა:

— დიახ, უნდა მითხრა, მე ყველაფერი უნდა ვიცოდე... შენთან ერთად, სამართალში კიდევ ოთხი პროფესორია მიცემული. ისინიც შენსავით ქრთამს იღებდნენ, ქრთამს სტუდენტების გამოკითხვაში, ნიშნის დაწერაში...

ჯაბამ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ჰოდა, გცოდნიათ და მე რაღას მეკითხებით?!

— არა, მე იმას კი არ გეკითხები, პატიოსნები არიან თუ არა ისინი. მინდა გავიგო, რა უნდა უჭირდეს პროფესორს ისეთი, რომ სტუდენტისაგან ქრთამი აიღოს, ფული აიღოს, და მერე როგორ ბედაკს შევიდეს იმავე აუდიტორიაში და ლექცია წაიკითხოს!

— არა, მე სულ სხვა აზრისა ვარ, — შეეკამათა ჯაბა პროკურორს. ახლა კი გაჯავრდა მიხა.

— მე შენთან საკამათოდ კი არ მოვსულვარ! რაც გკითხე, თუ შეგიძლია იმაზე გამეცი პასუხი.

— არ ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია!

— კარგი, სხვებს თავი დავანებოთ, ეს მაინც მითხარი, როგორ მოხდა, რომ შენ, ერთ დროს დეკანი, დოცენტი, პარტიის სახელით რომ ყოველ კრებაზე პატიოსნებას ქადაგებდი, უცებ ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდი?

— მარტო მე?

— სამწუხარო ის არის, რომ სხვებიც... მიკვირს ასე როგორ დაეცით. ხომ მილიონობით არიან ადამიანები, რომელთაც თქვენზე ნაკლები ხელფასი აქვთ და პატიოსნად ცხოვრობენ?

— თუ თქვენ ჩემი ნამდვილი პასუხი გინდათ, მაცალეთ და გეტყვით. დიახ, მე ვიცი, რომ არიან იდეალური კომუნისტები, არიან! ამაზე კი არ ვდავობ, — ლაპარაკის აზარტში შესული ჯაბა თანდათან გათამამდა, — ძნელია ასე უცებ ჩამოაყალიბო ეს აზრი, მაგრამ მაინც გეტყვით: თქვენ დაკვირვებული კაცი ხართ, და აბა დაფიქრდით. მე მგონია, იმ ურა-იდეალისტების დრო წავიდა. ახლა ცხოვრება მათი გზით არ მიდის. განსაკუთრებით ომის შემდეგ გამოიკვეთა ადამიანთა მიდრეკილება, საოცარი მიდრეკილება გამდიდრებისაკენ, კომფორტისაკენ. ომამდე ამ გრძნობას რწმენა და კიდევ რაღაც ბორკავდა, ორმოცდაათიანი წლებიდან კი ერთბაშად გამოცოცხლდა მიმალული, დათრგუნული გრძნობა კერძომესაკუთრეობისა, მომხვეჭელობისა... ადამიანში ისე ღრმად ზის ეს ინსტინქტი, რომ მისი ამოძირკვა შეუძლებელია თურმე. თქვენ გგონიათ, რომ შეიძლება მოსპო ეს გრძნობა? შეიძლება დათრგუნო იგი? თქვენ ეს შესაძლებლად მიგაჩნიათ?

— ჯერ ერთი, საერთოდ ყველაზე, ყველა ადამიანებზე ნუ ლაპარა-

კობ... მთელი ხალხი აქ არაფერ შუაშია. მომხვეპელნი და გადაგვარებულნი — ეს ერთი ვიწრო ფენაა... და მეორეც — სანამდე უნდა დათრგუნოთო, მეკითხები. გიპასუხებ — მანამდე, სანამ ის ადამიანებიც, იმ ვიწრო ფენას რომ შეადგენენ, ნამდვილ ადამიანებად არ იქცევიან, ღორული ინსტინქტებისაგან არ განთავისუფლდებიან. მერედა იცით თქვენ, რა დიდებულია ადამიანი, თავისუფალი ამ ბიწიერებისაგან? მეჯავრებიან ეს გაუმაძღარი ღორები. ეს ადამიანები უნდა გავათავისუფლოთ ჭუჭყისაგან, კერძო მესაკუთრული განწყობილებებისაგან. ადამიანი მაღლა, მაღლა უნდა აფრინდეს, დიდი და მაღალი იდეალები ჰქონდეს, — ესა თქვა და თვალებში ჩააცქერდა ჯაბას. მაგრამ მის თვალებში თანხმობის ნიშანწყალიც ვერ შენიშნა. ამიტომ იძულებული გახდა თავის მხრივ დაემატებინა:

— არა, ჯაბა, შენისთანა გამდიდრების მოყვარულებს ეს არ სჯერათ, მაგრამ ეს მოხდება, მოხდება დღეს თუ ხვალ, ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის ყველაზე უპირველესი იდეალი ეს არის: პატიოსანი, მართალი ადამიანი, მშრომელი, ზნეობრივად მაღალი, სუფთა, კრიალა, ცასავით სუფთა, თავისი რწმენით, თავისი იდეალით...

— პატიოსნებაო, დაგიჩემებიათ. მე არ ვიცი, რატომ არის უპატიოსნო ის კაცი, რომელმაც საქმე გააკეთა, დღე და ღამე ირბინა, რომ ეს საქმე დროზე დაემთავრებინა, ამისათვის ზედმეტი ხარჯები გაიღო, ზედმეტი მისცა მუშას, ხელოსანს, დააინტერესა ადამიანები და ხალისიც შემატა: დაინტერესების გარეშე არაფერი კეთდება, კაცის დაინტერესება კი მარტო ფულით შეიძლება. დაინტერესებული იყვნენ თვით ის მეპაიეები, რომლებსაც ფული მოჰქონდათ. იმათ მოჰქონდათ ფული, და მეც, მეტს ვაძლევდი ინჟინერს, მუშას და ხელოსანს, ასე კეთდებოდა საქმე. თქვენ კი ამას მექრთამეობა შეარქვით.

— არა, ჯაბა, ვის ეუბნები ამას, ვინ გგონივარ მე? რა შუაშია აქ „ზედმეტი ხარჯები“, ვინ მოახდინა იმის აღრიცხვა, რამდენი ზედმეტი ხარჯი იყო საჭირო. სად, რომელ ბუღალტერიაში გააფორმეთ ეს „ზედმეტი ხარჯები“. არა, ეს ფულები, ზედმეტი ხარჯები კი არა, მექრთამეობით აღებული ფულები, შენს საკუთარ სალაროში შედიოდა. ათმაგად იღებდი და ერთმაგს ხარჯავდი. აი, სად არის დანაშაულის ფესვი. თქვენ, მექრთამეები — მუქთახორები და პარაზიტები ხართ. იოლად გინდათ მიიღოთ ფული, გინდათ გაატყავოთ ხალხი!

— არა, ამას ნუ მეტყვით, მიხა ბატონო, — ისევ შებედა სამართალში მიცემულმა ჯაბამ, — იოლად გამდიდრების მოყვარულიო. არა, იოლად კი არა, დიდი წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით ვცხოვრობდი მთელი ეს თხუთმეტი წელი. ღამე არ მეძინა და დღე, ფოსტის ცხენივით დავრბოდი.

— რისთვის დარბოდი?

— საქმე, საქმე მოითხოვდა ამას!

— თუ იოლი გზით ფულების შოვნა, გამდიდრება გიტაცებდა?

— არა, ვერ ვიტყვი, რომ დაინტერესება არ ყოფილიყო.

— არა, ჯაბა, ასე ნუ გავამარტივებთ საქმეს. დაინტერესება და ზედმეტი ხარჯები სულ სხვადასხვა კატეგორიების ცნებებია. ჩვენი საზოგადოება დაფუძნებულია ადამიანის პატიოსან შრომასა და რწმენაზე. შენი, ასე ვთქვათ, „შრომა“ კი მოხვეჭას, სხვისი ფულის გამოძალვას ეფუძნებოდა. შენ აიძულებდი ადამიანებს მოეცათ შენთვის ეს „ზედმეტი ხარჯები“, რომელსაც ჩვენ მისი ნამდვილი სახელ დავარქვით — ქრთამი. თქვენ აშინებდით ადამიანებს და არწმუნებით მათ, რომ სხვა გზით ისინი ბინას ვერ მიიღებდნენ.

— იმათ ჰქონდათ და მოჰქონდათ. მე ხომ ძალით არ ვართმევდი?

— ვის იმათ, ვის მოჰქონდა? შენისთანა გაიძვერებსა და მექრთამეებს, არა? სწორედ ესაა ყველაზე საშიში მხარე შენი „მოღვაწეობისა“. შენ ნამდვილი დუქანი გახსენი, კერძო დუქანი, ფულიანებისა და მექრთამეების დუქანი. შენ, მეცნიერ-მუშაკმა, პარტიის წევრმა იცოდი, რომ მექრთამეები, ფულიანები რწმენას უკარგავენ ადამიანებს; თქვენ ჩააგონებდით პატიოსან და მშრომელ ადამიანებს, რომ ისინი თავისი ალალი შრომით ვერასოდეს ვერ იშოვნიან იმდენ ფულს, რომ ბინა ჰქონდეთ, კარგად იცხოვრონ. ამისთვის ერთადერთი გზაა: მექრთამეობის გზა, ქურდობის გზა. აი, რა მაგალითს აჩვენებდი შენს ხალხს და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, და სწორედ ჩვენს ქვეყანაში აძლევენ ბინებს უფასოდ, უფულოდ ყველას, ვინც ამას პატიოსანი შრომით იმსახურებს. მერე რა, რომ ერთ დღეს, ერთბაშად არ გადაგვიწყვეტია ეს პრობლემა. აქ ბინის განაწილების პრონციპზეა საქმე. ჩვენს ქვეყანაში ბინის საკითხი სოციალური საკითხია, სოციალური მოვლენა, კლასობრივ და პარტიულ მიდგომას მოითხოვს ის ჩვენგან და ჩვენი პარტია მას პირველი რიგის პრობლემად აყენებს. ხოლო შენისთანა ადამიანები, მექრთამეები წინ გვეღობებიან, ხელს უშლიან კეთილშობილურ საქმეს, ნერგავენ სოციალურ ბოროტებას. ჩვენთვის ხომ სულ ერთი არ არის ვინ აშენებს, რა გზით, რა მიზნით. აბა, დააკვირდი შენი კოოპერატივის წევრთა სოციალურ შემადგენლობას. ვინ არიან ისინი? უსინდისო მექრთამეები და ხარბი მომხვეჭელები. რამდენი კაცია მანდ მუშა, პატიოსანი მშრომელი? არა, ეს ფულიანებისა და მექრთამეების კოოპერატივი იყო, ჩვენი სახელმწიფო კანონებისა და ნორმების საწინააღმდეგო.

— ამაში მარტო მე ხომ არა ვარ დამნაშავე. კოოპერატივს მე ხომ არ ვაკომპლექტებდი. ეგეც არ იყოს, ხომ გაეცანით საბრალდებლო დასკვნას, ხომ ნახეთ, რომ მეპაიეთა შორის არიან რაიკომის მდივნებიც, აღმასკომის თავმჯდომარეებიც, მინისტრებიც... რომელი ერთი

ჩამოეთვალო? რატომ მარტო ჩემგან მოითხოვთ ამ პატიოსნებას?

— მარტო შენგან არ მოვითხოვთ. სამართალი ყველას მიუზღავს სამაგიეროს. აი, სულ მალე სასამართლოს წინაშე წარსდგები და ნახავ, როგორ აგებენ ყველა ისინი პასუხს შენთან ერთად, — დაამთავრა პროკურორმა და ბრძანა სამართალში მიცემული ოთახიდან გაეყვანათ.

* * *

და აი, დაიწყო სასამართლო პროცესიც.

დარბაზი უჩვეულო სანახავი იყო. საბრალდებლო სკამზე ისხდნენ ოთხი პროფესორი, სამი დოცენტი, ორი არქიტექტორი, სამი ყოფილი მაღალი უწყების პარტიული მუშაკი, ხუთი ინჟინერი, სამი მაღაზიისა და საწყობის გამგე და ერთი შოფერი. ისხდნენ ისინი თავჩაღუნულნი და დარბაზს თვალს ვერ უსწორებდნენ.

— ადექით, სასამართლო მოდის! — გაისმა მდივნის საოცრად მკლერადი ხმა და ხალხი ფეხზე წამოიშალა. სასამართლოს თავმჯდომარე და ორი აკადემიკოსი — ორი სახალხო მსაჯული მაგიდას მიუსხდნენ. სასამართლოს თავმჯდომარე საბრალდებლო დასკვნის კითხვას შეუდგა. მოსამართლემ და მსაჯულებმა სამი დღე, ექვსი სხდომა მოანდომეს ამ დოკუმენტის კითხვას. დადგა სამართალში მიცემულთა სიტყვების ჯერიც. პირველი სიტყვა ჯაბას მისცეს.

დგას მიკროფონთან ჯაბა ბერიშვილი, ხელში უჭირავს თავისი შავი დავთარი, კითხულობს და ასახელებს თანამონაწილეებს, თანამზრახველებს, მათ, ვინც აქ, მის გვერდით, საბრალდებლო სკამზე სხედან და იმათაც, ვინც ჯერ კიდევ არ არიან სამართალში მიცემული. მათი საქმე ძიებით ცალკეა გამოყოფილი.

დგას მიკროფონთან ჯაბა და კითხულობს გრძელ სიას, ვისგან, როდის და რამდენი აიღო „ზედმეტი ხარჯების“ სახით — ზედმეტი ხარჯები კი არა, ქრთამი, ქრთამი — უსწორებს სასამართლოს თავმჯდომარე.

— კარგი, ვთქვათ ქრთამი იყოს, — ამბობს ჯაბა და განაგრძობს კითხვას. როცა ჩამოათავა იმათი დასახელება, ვისგანაც იღებდა ამ ზედმეტ ხარჯებს — ისევ ვითომ შეეშალა ჯაბას, ისევ გაუსწორა მოსამართლემ, ახლა იმათ დასახელებას მოჰყვა, ვის რამდენი მისცა, სად, რა ვითარებაში; მერე გამოიყვანა საერთო ბალანსი: რამდენი აიღო და რამდენი გასცა; ისევ არ ეთანხმება მოსამართლე ჯაბას, ბალანსს სწორად არ უჩვენებო.

ჯაბა ისევ აზუსტებს სიებს, იმათ სახელებსა და გვარებს, ვინც მისი კოოპერატივის წევრები იყვნენ, ვის რამდენი ოთახი უნდა მიეღო და რამდენი თანხა ჰქონდა გადახდილი, ისევ ასახელებს გვარებს, სახელებს...

დგას მიკროფონთან ჯაბა, ხელში უჭირავს შავი დავთარი და ჩამოთვლის მაღაზიისა და საწყობის გამგეებს, დაწესებულებათა და უწყებათა დირექტორებს, ისმის ნაცნობი და უცნობი სახელები და გვარები...

დგას მიკროფონთან ჯაბა, ისევ ასახელებს გვარებს, ისე კითხულობს ჩანაწერებს... ძველად ვაჭრებს მენისიეთა შავი დავთრები რომ ჰქონდათ, ასეთ დავთარს ხელში ატრიალებს და ისევ კითხულობს მოვალეთა სიას.

დგას და კითხულობს ჯაბა, დარბაზში ვიღაც წამოხტა და ხელს უშლის, აწყვეტინებს: — „ეს როგორ შეიძლება“... „აცალეთ, ათქმევინეთ“, — ხმაურობს დარბაზი. „დაწყნარდით“, — ბრაზობს თავმჯდომარე...

ჯაბა კვლავ თავს იცავს, უნდა ამ ბინძური საქმის ყველა მონაწილე გვერდში ამოიყენოს, რომ მიღებული და გაცემული ქრთამების საერთო ბალანსი გამოიყვანოს, თორემ უფრო და უფრო დაუმძიმდება ბრალდება... აი, ახლა პროფესორებსა და დოცენტებს მიადგა, ახლა ამათ სახელებსა და გვარებს ატრიალებს, ასახელებს ინსტიტუტებს, !სადაც ისინი მუშაობდნენ, კათედრებს, რომლებსაც ისინი განაგებდნენ, გამოცდებს, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ, ფულებს, რომლებსაც ქრთამის სახით იღებდნენ...

დგას მიკროფონთან ნიღაბახდილი მექრთამე, დგას და ისევ კითხულობს თანამონაწილეთა სიას და ყველაფერი ეს იწერება ფირზე. რამდენი ხალხი მოხვდა ამ სიაში, მაგრამ, მოდით, მოვერიდოთ მათ ჩამოთვლას, ნუ დავასახელებთ მათ სახელებსა და გვარებს. მათ შვილები ჰყავთ, შვილიშვილები, რომლებსაც მთელი ცხოვრება წინ აქვთ, და, ეს ლაქა, ლაქა მექრთამე მამებისა, შვილებს რომ არ უყიჟინონ, მოვერიდოთ მათ დასახელებას. შვილების სულს საშვილიშვილოდ დააჩნდება მამების ლაქა, ამიტომ მშობლები დიახაც, აგებენ პასუხს შვილების დანაშაულზე, რადგან შვილების აღზრდა მათზეა დამოკიდებული. ამიტომ დავზოგოთ იმ დღეს ჩამოთვლილი ასოთხმოცი კაცი კი არა, მათი შვილები და შვილიშვილები. ისიც ეყოფათ, რომ ბევრი მათგანი ზის ამ დარბაზში და ისმენს ამ შავ წიგნში მოხვედრილი ახლობლების გვარსა და სახელს. რაც შეეხება ჯაბა ბერიშვილს — იგი ფსევდონიმია, მოგონილი სახელი და გვარი მარტო ერთისა კი არა, ათი და ასი ათასი... საქმოსნისა. მათ სწამთ და სჯერათ ან დიდი თანამდებობა უნდა გქონდეს კაცს ან ბევრი ფული. ქვეყანას ფულიანები განაგებენ. მერე რა რომ ზოგი „ჩავარდება?“ მაინც ფულიანები არიან ყოვლის შემძლენი...

ჯაბას შემდეგ მიკროფონთან პროფესორები და დოცენტები ცვლიდ-

ნენ ერთმანეთს, მათ პარტიული და საბჭოთა აპარატის ყოფილი მუშაკები მოჰყვნენ. მერე ორასორმოცი მოწმეც დაკითხეს.

მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენს სახელმწიფო ბრალმდებლის — მიხა გობეჩიას სიტყვას. დგას პროკურორი მიკროფონის წინ და დინჯად, დარბაისლურად მიყვება და მუხლ-მუხლად ასაბუთებს, ამტკიცებს სამართალში მიცემულთა დანაშაულს.

— დანაშაული ჩადენილია. სამართალშია მიცემული ოცდაერთი კაცი, ოთხმოცდაცხრა კაცის საქმე ცალკეა გამოყოფილი. დანაშაული ჩადენილია, სამართალში მიცემულ პირთა შორის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში არიან აღზრდილნი... მით უფრო სამწუხაროა, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც შეუთავსებელია სოციალისტურ სახელმწიფოს პოლიტიკურ და მორალურ კოდექსთან, დანაშაული, რომელიც შავ ლაქად ამჩნევია ჩვენს ნათელ ცხოვრებას.

— შეიძლებოდა თუ არა ამ დანაშაულის აცდენა? — კითხულობს პროკურორი, — მე მიჭირს ამ კითხვას უცებ ვუპასუხო, მაგრამ, როცა საქმეს გონების თვალით დავაკვირდებით, მაშინ უნდა ვთქვა: შეიძლებოდა, რომ იყოს სრული წესრიგი, პარტიული და სახელმწიფოებრივი ნორმების დაცვა, შეუპოვარი ბრძოლა ყველა იმათ მიმართ, ვინც არღვევს საბჭოთა კანონს და საბჭოთა ადამიანების მორალს. ჩვენში გამეფებული უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის პირობებში მომრავლდნენ საქმოსნები და მომხვეპელები, მექრთამეები და ქურდები.

— ადამიანი დამნაშავედ არ იბადება, რაღაც მიზეზი იწვევს და უბიძგებს მას დანაშაულისაკენ, თუმცა აქ ისიც სათქმელია, რომ ამ მიზეზთა აღმოფხვრა თვითონ ადამიანის ხელშია. ეს მით უმეტეს ითქმის ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის მისამართით. ჩვენში ყველაფერი, კანონი, საზოგადოებრივი აზრი მოწოდებულია, ებრძოლოს მუქთახორებს, პარაზიტებს, მაგრამ, როცა სამართალში მიცემულთა საქმეებს ეცნობით, პირველი შთაბეჭდილება ისაა, რომ საბჭოთა წყობილების ამ წმიდათაწმიდა ნორმებს სწორედ ისინი არღვევდნენ, რომლებიც მოწოდებული იყვნენ ებრძოლათ ამგვარი ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად. სამართალში მიცემულთა საქმეს, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, როდი აქვს მარტოოდენ ლოკალური მნიშვნელობა. აქ ერთი დაწესებულების მაგალითზე, როგორც სარკეში, არეკლილია ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი, ჩვენი მორალისათვის შეუთავსებელი სიმახინჯე და სიბილწე, რომელმაც საწყობებიდან, მაღაზიებიდან და რესტორნებიდან უმაღლეს სასწავლებელშიც შეაღწია...

— საბჭოთა ადამიანების ბინებით უზრუნველყოფა დიდი სოციალური პრობლემაა და რამდენადაც ეს სოციალური საკითხია, იმდე-

ნად ის ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხიც არის. ჩვენთვის სულ ერთი როდია, ვინ აშენებს სახლებს, ფაბრიკებს, ანდა ვისთვის აშენებენ ამ დიდებულ შენობებს. არა, აქ ჩვენი პოლიტიკის ამოსავალი სათავე — კლასობრივი პრინციპია. იმ დარღვევებს, რომლებსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ხშირად წარსულის გადმონაშთებს ვეძახით. ეს ასეც არის. აბა, ერთი წუთით გადავხედოთ ამ წარსულს. ვის ხელში იყო მეცხრამეტე საუკუნის თბილისი? შინაური თუ უცხოეთიდან გადმოხვეწილი ვაჭარი, ბურჟუა განაგებდა მას თავის ნებაზე, როგორც სურდა, ისე... მათ ფული ჰქონდათ და ამიტომ ყველა ბერკეტი მათ ხელში იყო. იმათ გამორეკეს ქართველი მშრომელები, თბილისელი მუშები დედაქალაქის ქუჩებში ულუკმაპუროდ. დიდ საბინაო მშენებლობათა ცენტრი მაშინ სოლოლაკი იყო, სოლოლაკი — მეფისნაცვლის სასახლისა და ქალაქისთავის რეზიდენციების მიდამო. ადრე იქ გაუვალი ხევი იყო, მაგრამ ეს ადგილები ფულიანებმა ცენტრის ეშხით აირჩიეს და აქ დააბანდეს ძარცვა-გლეჯის გზით მოპოვებული თანხები, დაიწყეს სახლების შენება. დიახ, თბილისი და ქართველი კაცის ბედიღბალი მაშინ ამ ფულიანებს ებარათ. ეს ფულიანები კი დაუნდობლები იყვნენ. მათ ხელში იყო ქალაქი და ქალაქისთავიც მათი მონა-მორჩილი იყო, — აქ შეჩერდა პროკუროროი და ნაღვლიანად დასძინა: — აი, სწორედ მაშინ მოხდა აღმაშფოთებელი რამ: საქართველოს ყველაზე რჩეული ადამიანები, ჩვენი ილია და ჩვენი აკაკი ქალაქის უბრალო ხმოსანთა რიცხვშიც კი არ მოხვდნენ. დასახელებულნი იყვნენ, მაგრამ ფულიანებმა მათ ხმა არ მისცეს; ხმა კი მარტო მათ ჰქონდათ. ასეთი იყო ბურჟუაზიული ცხოვრების წესი და ნორმები; რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ აღკვეთილიყო ეს უსამართლობა, ფულიანების ეს განუკითხავი თარეში. და აი, მე მახსოვს, რევოლუცია რომ მოხდა, მაშინ სოლოლაკიდან გამორეკა ჩვენმა მუშათა კლასმა ეს მდიდრები, ბურჟუები და ნაძალადევის მუშებს, დეპოს მუშებს დაუდეს აქ ბინა, უკანონოდ წართმეული მათი წილი მათვე დაუბრუნეს.

— ფულიანები და საქმოსნები ყველა დროისანი, მათ შორის ჩვენი დროისანიც, საშიში არიან მუშებისათვის, მშრომელი ადამიანებისათვის. ამ ფულიანთა მაქინაციებზე მოგვითხრობს ის ორმოცი ტომი, მოსამართლის მაგიდაზე რომ აწყვია. ამ ორმოც ტომს მე დავარქმევდი შავ წიგნს. ეს ასოციაცია ჩემში აღძრა იმ შავმა დავთარმა, რომელიც ხელში ეჭირა სამართალში მიცემულ ჯაბა ბერიშვილს და ეს შავი წიგნი შეიძლებოდა არ დაწერილიყო, რომ ჩვენში მეტი იყოს კონტროლი და პასუხისმგებლობა. კონტროლი კი არ იყო სიგნალები? რა საკვირველია, იყო. მაგრამ მას ქრთამით იგერიებდნენ. აკი რიხიანად განაცხადა აქ ჯაბა ბერიშვილმა, აქ ჩვენს წინაშე, პატივცემულო მოსამართლენო — აბა რა მექნაო, როგორ დამება ისინი, ვინც სიგნალს

მერე აქტებს ადგენდნენ. ბაწრით ხომ არ დავაბამდიო, ფულით და ქრთამით ვაბამდითო მათ აი ასე, ყველაფერს აქ მოხვეჭის მგლური კანონი განაგებდა...

— ჩვენს თვალწინ გადაიშალა შემზარავი სურათი, საბჭოთა მოქალაქის მორალთან შეუთავსებელი, შეურაცხმყოფელი სურათი; აქ ყველაფერს დაკარგული აქვს საბჭოური, სოციალისტური შინაარსი. ჯაბა ბერიშვილმა და მისმა თანამოაზრებმა ნამდვილი დუქანი, კერძო დუქანი გახსნეს, სადაც ყველაფერი იყიდებოდა და ყველაფერს ყიდულობდნენ და აი, — პროკურორმა ხელში აიღო საქმის მეცამეტე ტომი და ის გვერდი გადაშალა, სადაც ჯაბა აჩვენებდა, თუ როგორ გამოართვეს მას ფული მიწის იმ ნაკვეთისათვის, სადაც პირველი კოოპერატიული სახლი ააშენა, — იყიდებოდა მიწაც, ვაჭრობდნენ მიწით... თქვენ კარგად გახსოვთ, რომ პირველი დეკრეტი, რომელიც ლენინმა გამოსცა — მიწას აცხადებდა სახელმწიფო საკუთრებად... აქ კი მიწა იყიდებოდა, როგორც კერძო საკუთრება. — და ახლა ისევ ჯაბას ჩვენების ის ადგილი წაიკითხა, სადაც მოთხრობილი იყო, თუ რამდენი გადაიხადა მან მიწის ამ ნაკვეთში, ვისი მეშვეობით, ვისი შუამავლობით. ვინც ხმას იმაღლებდა ამ სისაძაგლის გამო, სულ მალე აიღეს ხელი ბრძოლაზე, აღარ იძლეოდნენ სიგნალებს, რადგან გამკითხავი არავინ იყო. ასე დაუკარგეს ჩვენი ადამიანების ერთ ნაწილს რწმენა და იმედი, ხოლო იმაზე საშიში არაფერია, ადამიანს რომ დაუკარგავ რწმენას საბჭოთა კანონისადმი.

— ჩვენი დროის ფულიანები და მექრთამეები მეტად საშიში ადამიანები არიან, — განაგრძობდა პროკურორი, — ისინი შეიტყუებენ კაცს თავიანთ ბუნაგში, ხან დაპატიჟებენ, ხან ფულს ასესხებენ, საჩუქრებს გაუგზავნიან, მერე გამოიყენებენ, ხოლო, როდესაც პირისპირ დადგებიან სამართალში მათს წინაშე, ყველაფერს მასვე აბრალებენ, ვინც ასე უსინდისოდ მოატყუეს და თავიანთ მახეში გააბეს. დიახ, ფულიანები და მექრთამეები უნამუსო ადამიანები არიან, რომლებიც ყველაფრით ვაჭრობენ, ყველაფერს ყიდიან და ყიდულობენ, სინდისს, პატიოსნებასაც, სიყვარულსაც. ეს ნათლად გამოჩნდა ამ პროცესზე.

— უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ ჰერქვეშ, კომუნისტურ ჰერქვეშ მექრთამე და კომუნისტი ერთად ვერ იცხოვრებენ. ან უარი უნდა ვთქვა ადამიანურ ზნეობასა და მორალზე, ან ბოლომდე უნდა იყო ქვეყნის ერთგული და იცხოვრო პატიოსანი შრომით და რწმენით, მესამე გზა არ არსებობს.

— როგორ, განა ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ საბჭოთა ადამიანი მდიდრულად ცხოვრობდეს? არა პირიქით, გაუმარჯოს პატიოსანი შრომით აშენებულ სასახლეებს, კეთილი იყოს ამ სახლების ბინადართა ცხოვრების გზა. ყველაფერი ეს რწმენას უნერგავს ჩვენს ადა-

მიანებს, რომ პატიოსანი შრომით შეიძლება მიაღწიო ყველა სიკეთეს, მოიხვეჭო სახელი და დიდება, აღზარდო სასახელო შვილები, ააშენო დიდი სასახლეები, კომფორტულად მოაწყო ბინა... მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ უსინდისობისა და წამგლეჯობისა; პატიოსანი შრომით ვერა, ვერ ააშენებთ სასახლეებსო, — ნიშნის მოგებით ჩასძახიან ეს ფულიანები მშრომელებს, პატიოსან ადამიანებს. აი, აქ უნდა იყოს ხელმძღვანელის როლი საჩვენებელი და სამაგალითო, — ესა თქვა პროკურორმა, შეისვენა, დარბაზს თვალი გადაავლო და გააგრძელა:

— მოსკოვში რომ ჩავდივარ, ყოველთვის მომენატრება ხოლმე ვინახულო კრემლში ის ბინა, სადაც ლენინი ცხოვრობდა. კრემლში, ყოფილ მეფეთა სასახლეში განა არ შეეძლო კომფორტული ავეჯით მოეწყო თავისი საცხოვრებელი ბინა, მაგრამ არა, მის ოთახში თქვენ ხედავთ რკინის უბრალო საწოლს, მის მაგიდაზე ასევე უბრალო ჩაის თლილი ჭიქები აწყვია, ფრაჟის კოვზები, ისეთივე, როგორიც მის თანამოძმე მუშებს ჰქონდათ. ხოლო ირგვლივ წიგნები, წიგნები... მე ვყოფილვარ ჩვენი ძველი კომუნისტების ბინებშიც. იმ ძველ ხელმძღვანელებს ისევე უბრალოდ ეცვათ, ისევე უბრალოდ ცხოვრობდნენ, როგორც ლენინი. ახლა ცხოვრების დონემ გაცილებით მაღლა აიწია, ახლა ხალხს შესაძლებლობა მიეცა მართლაც მდიდრულად იცხოვროს, და ჩვენი პარტიაც, პირველ რიგში, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს. მაგრამ არ შეიძლება ფეტიშად, სალოცავ ხატად აქციო ავეჯი თუ ბროლის ჭაღი, გაჰყიდო მისთვის სინდისი. ეს სენი კი მოსახლეობის ერთ ფენას მართლაც დაემართა. ავეჯსა და ბროლის ჭაღებზე შეშლილი ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ ვის უკეთესი დგამი აქვს, მორთულობა და ჩაცმულობა. — პროკურორმა ხელთ აიღო საქმის ოცდამერვე ტომი და წაიკითხა სამართალში მიცემული არქიტექტორის ჩვენება. კითხულობდა იგი, თუ როგორ გაგზავნეს ეს არქიტექტორი ფინეთში, რომ ერთი ავეჯზე შეშლილი კაცისთვის ფინური დგამი და ხე-ტყის მასალა ჩამოეტანა. პროკურორმა წაიკითხა ეს ადგილი და განაცხადა, — აი, ამ მაღალ თანამდებობის წრის ადამიანებს მეშჩანური მორალი დაეუფლათ, მეპინჭეები გახდნენ, ძონძებისათვის, ჭაღებისათვის ეჯიბრებიან ერთმანეთს...

საბრალდებლო დასკვნის ყოველი მუხლის მიხედვით პროკურორი ხან ერთ ტომს აიღებდა ხოლმე ხელთ, ხან მეორეს, მოჰყავდა იქიდან ამონაწერები, ჩვენებები, დოკუმენტები, ოფიციალური მიმოწერანი, და ყველა ეს დოკუმენტი მეტყველებდა, თუ როგორ ხრწნის და ათახსირებს ადამიანს სიხარბე, შური, მოხვეჭის დაუცხრომელი წყურვილი... ვუსმენდი პროკურორის სიტყვას და უნებურად ვფიქრობდი — მართლაც საჭიროა დაიწეროს წიგნი, მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც მხილებული და გამოაშკარავებული იქნება მთელი ეს სიბინძურე, ისე

როგორც ამხილა, ვთქვათ, ბალზაკმა თავისი დროის ხარბი მომხვეჭელები, ფელიქს გრანდე იქნებოდა ის, თუ ბარონი ნუსინგენი.

ეს ფიქრი პროკურორის სიტყვამ შემაწყვეტინა. მას ისევ საქმის მორიგი ტომი ეჭირა ხელში და საბრალდებლო სკამზე მჯდომ ერთ ცნობილ პიროვნებას მიმართავდა:

— აი, ეს თქვენი ჩვენებაა, ბატონო პროფესორო! არა სჯობდა ამის ნაცვლად წიგნები გეწერათ. ახლა კი, აი, ჩვენებებს წერთ. მერე რა გულდამშვიდებით აღწერთ თქვენი მექრთამეობის ისტორიას? რა გინდოდათ მეტი, მთელი ქვეყანა პატივს გცემდათ, თქვენც თითქოს იმსახურებდით ამ პატივისცემას და უცებ ნიღაბი აგხადეს, მეცნიერი კაცი მექრთამე აღმოჩნდით. მე არ მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ წავიკითხო ყველაფერი ის, რაც თქვენ აქ გიწერიათ. აი, თქვენ სამართალში მიცემული პროფესორი პატიებას თხოულობთ, მხოლოდ ერთხელ შევცდი, მხოლოდ ერთხელ ავიღე ოცი ათასი მანეთიო.

პროკურორი ახლა მის მეზობელს მიუბრუნდა:

— ან თქვენ რა გაგიჟირდათ ასეთი? ერთგან კი არა, ორ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობდით, როცა ეს კანონით აკრძალულია. თქვენ, როგორც სპეციალისტს, ანგარიში გაგიწიეს და ამის ნება მოგცეს. თქვენ მაინც უკუღმართი გზა აირჩიეთ. რატომ? ფული გაკლდათ, სახელი გაკლდათ, დიდება გაკლდათ? — პროკურორმა მისი ჩვენების კითხვა დაიწყო:

„ერთხელ, მარტო ერთხელ შევცდი. ჩემი ძველი ნაცნობი მომადგა, არ მომეშვა, დამეხმარეო, მიშველეო როგორმე, შვილი მომაწყობინეო. ორჯერ უარით გავისტუმრე, მერე გაეგო, რომ მე იმ ინსტიტუტში ქიმიაში გამოცდას ვიღებდი, გაეგო და არ მომეშვა. ერთ დღეს, დილა უთენია მომადგა. მე ლექციაზე მეჩქარებოდა. ავდექი, მეორე ოთახში გავედი და ჩავიცვი. ამ დროს მოესწრო მას და მაგიდაზე დაეტოვებინა გაზეთში შეხვეული ფული. მე ისე წავედი ინსტიტუტში, არცკი გამიხსნია ის შეკვრა. იმ დღეს სწორედ მე შემხვდა ის აბიტურიენტი გამოსაცდელად და ხუთიანი დავუწერე. შინ რომ დავბრუნდი, ჩემს მეუღლეს უკვე გაეხსნა ეს შეკვრა, მასში ორმოცი ათასი მანეთი იყო. რაკი საქმე გაკეთებული იყო, და იმ კაცმაც აღარ მომაკითხა, მე ხელი ჩავიქნიე და ასე შემრჩა ეს ფული...“

პროკურორი განაგრძობდა:

— აგერ, საბრალდებლო სკამზე სხედან მაღალ უწყებათა ახალგაზრდა თანამშრომლები. ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში სამი გახმაურებული საქმის გამო მომიხდა გამოსვლა. იქაც პასუხისგებაში მიცემულთა შორის ახალგაზრდები იყვნენ და აი, ეს სიცოცხლით და ენერგიით სავსე ადამიანები ციხეში უნდა მოხვდნენ, იმის ნაცვლად, რომ თავიანთი ცოდნა და ძალღონე სამშობლოს კეთილდღეობას მოახ-

მარონ, ქვეყანას შვილები აღუზარდონ. ამ პროცესის დაწყებამდე არაერთ ფიცხელ დავასა და კამათს შეესწრებივარ. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ — ასეთი მახინჯი მოვლენები მარტო ჩვენში არ ხდება, მეტნაკლებად ეს ყველგან შეიმჩნევაო. სამწუხაროდ, ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ეს შეღავათს არ გვაძლევს. სხვას ცუდ საქმეში კი არ უნდა მივბაძოთ, პირიქით, კარგი მაგალითი უნდა ვუჩვენოთ, ჩვენი ეროვნული ენერგია ქართული მეცნიერების, ეკონომიკის, კულტურის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ და ამ მხრივ უნდა გავეჯიბროთ ყველას.

...პროკურორის სიტყვის შემდეგ, მეორე დღეს, ჯაბა ამაოდ ეძებდა თვალებით დარბაზში თავის ცოლსა და ქალიშვილს; აქამდე მათ საპატიმართლო პროცესის არცერთი დღე არ გამოუტოვებიათ, ამიტომ უკვირდა — რა მოხდა, დღეს რატომ არ მოვიდნენო. ისინი არც მესამე დღეს გამოჩდნენ; შესვენებისას ჯაბამ ველარ მოითმინა და დამცველს სთხოვა — გამიგე, ჩემიანები რად არ არიანო. დამცველი დარბაისელი და გამოცდილი კაცი იყო. მან კარგად იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და დარბაზში გავიდა, ვითომ ამბის გასაგებად. იქიდან რომ დაბრუნდა, ჯაბას მოახსენა, შენი მეუღლე ავად გამხდარა და ქალიშვილი თავზე ადგასო. მეოთხე დღეს კვლავ მოიკითხა ჯაბამ ცოლი და ქალიშვილი. რაღაც გამოუცნობი წინათგრძნობა არ ასვენებდა ისედაც აფორიაქებულ კაცს, ისევ იმ დამცველმა დინჯად განუმარტა, ინფარქტი აქვსო შენს მეუღლეს და საავადმყოფოში წაუყვანიათო. თავზარი დაეცა ჯაბას, ვაიო, ერთი ამოიძახა და სკამზე დაეშვა. ამასობაში შესვენებაც გამოცხადდა.

ერთი კვირის შემდეგ დარბაზში კვლავ გამოჩნდა ჯაბას ქალიშვილი, მას თავისი შვიდი წლის ბავშვი მოეყვანა. ჯაბამ დაინახა თუ არა თავისიანები, რაღაც მოლოდინის გრძნობამ შეიპყრო, იფიქრა, ალბათ, უკეთ არისო ჩემი ცოლი, და საბრალდებლო სკამიდან მიესალმა ქალიშვილსა და შვილიშვილს. იმათაც გაუღიმეს, თუმცა რა ეღიმებოდათ: ახალგაზრდა ქალმა ერთი კვირის წინ დამარხა დედა და ახლა საგანგებოდ ამ დარბაზისათვის შავები გაიხადა და ისევ იმ ღიმილით მიესალმა სამართალში მიცემულ მამას, როგორც ერთი კვირის წინათ, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა მისთვის არაფერი ეთქვა, ვიდრე სასამართლო პროცესი არ დასრულდებოდა.

შესვენებისას ჯაბას პატარა ციალას ნახვის ნება დართეს, ახლა შვილიშვილს ჰკითხა ჯაბამ — როგორ არისო ბებიაშენი. ბავშვმა გაიღიმა და უთხრა — საავადმყოფოში წევსო ბებო, გუშინ ვნახე, განძრევის ნება ჯერ არ მიუციათ, ძლიერ ცუდად არისო ბებო, — თქვა ციალამ და თავი დაღუნა. ჯაბამ თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. (მთელმა დარბაზმა იცოდა, რომ ჯაბას მეუღლე ერთი კვირის წინ

დაკრძალეს), და აქ დამსწრეებს ყველაზე უფრო ის ანცვიფრებდათ, თუ როგორ ოსტატურად ასრულებდა პატარა ციალა მძიმე და გაუგონარ დავალებას. მან თავი ისე მოაჩვენა ბაბუას, თითქოს სულაც არაფერი მომხდარიყოს. ჯაბას ქალიშვილმა კი ვერ გაუძლო ყოველივე ამას, დაბრუნდა თუ არა ბავშვი, ხელი მოხვია და გარეთ გავიდა.

ეს ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი იყო მთელ ამ პროცესზე, ეს იყო ფინალი იმ ტრაგედიისა, რომელიც ჯაბამ თავს დაატეხა პირველ რიგში თავის ოჯახს.

ჯაბა ბერიშვილის ჩანაწერებიდან

19 ივნისი: მე მივხვდი, ადრე ეს მხოლოდ თეორიულად ვიცოდი, რომ თავისუფლებაზე უფრო დიდი ბედნიერება არ არსებობს დედამიწაზე. დიახ, მე ახლა, ციხეში, მივხვდი, რომ თავისუფლება ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რაც ადამიანს ჩვეულებრივ აქვს მინიჭებული. წაართვით ეს თავისუფლება, და მასზე საცოდავი არავინ იქნება ქვეყანაზე. დიახ, ადამიანმა ამ უბრალო და ელემენტარული ჭეშმარიტების ნამდვილი ფასი არ იცის, ვიდრე ციხეში არ ამოჰყოფს თავს. იმაზე უფრო ბედნიერი თავისუფლება არ არსებობს, ვიდრე შენი თავი შენ გეკუთვნის. როცა გინდა დაწვები, როცა გინდა ადგები, როცა გინდა შენს საყვარელ ქალაქში გაისეირნებ, ნაცნობების კეთილად მომზირალ თვალებს შენს თვალებს შეახვედრებ, ნაზად, მადიანად გაუღიმებ და ისევ გააგრძელებ გზას. შემდეგ გინდ რუსთაველის დრამატულ თეატრში შეხვალ, გინდა კინოთეატრში. იქიდან გამოხვალ და სუფთა ნიავი მოგეფერება, ბაღში ყვავილები გაგიცინებენ... ახლა რა ვარ მე: უფლებაწართმეული, თავლაფდასხმული, საცოდავი პატიმარი, რომელსაც ყველაფერი ენატრება ძილიც, თეატრიც, კინოც, შვილიც და ცოლიც. ჰო, როგორ მენატრება ყველაფერი, რაც ასე ჩვეულებრივი იყო ჩემთვის და მაშინ არ ვაფასებდი. არ ვიცოდი იმის ფასი, რაც მქონდა.

ახლა მზეც მენატრება და მთვარეც, ვარსკვლავებიც და წვიმაც, ქარიც და თოვლიც. საოცარია ადამიანი, საოცარი არსებაა თურმე. როცა ყოველივე ამას განსჯი, მაშინ თვითონ გიკვირს, რად არ გაუფრთხილდი ბუნებისგან ბოძებულ შენს უფლებებს, პირად თავისუფლებას.

წუხელ სიზმარში ვნახე სოფელში ვიყავ და ჩემი ბიძაშვილების დიდ ეზოში ცაცხვის ხე რომ დგას, მის ჩრდილქვეშ გაშლილ დიდ სუფრას ვთამადობდი. როგორ ვაქებდი ლამაზ ასულებს, ჩემს მეზობლებს, როგორ ამაყად მეჭირა თავი! გამომეღვიძა, საკანში მარტო ვიყავ და ავტირდი, დიახ, ავტირდი. რად დავკარგე ის, რაც ყველა არსებას აქვს: ჩიტს, ბეღურას, ვირთხას, მგელსა და შველს. ჰოი შენ, ჩემო თავო!

რა პატარა კაცად იქეც: ვსტირი, ვსტირი ჩემს თავს. ახლა შენი ოთახი გარედან დაკეტილია და გასაღები სხვას აბარია, როცა უნდათ გააღებენ, გამოგიძახებენ დაკითხვაზე, ძიებაზე, სასამართლოზე. შენს თავისუფლებას ახლა სხვები განაგებენ, ხშირად აბუჩად გიგდებენ, რადგან მექრთამისა და ქურდის სახელი მოგაკერეს. იმ დღეს დარბაზში ვხედავდი, რომ ჩემი ახლობლების გარდა დანარჩენი ასი თვალი ეჭვით და ზიზღით მიცქერდა. რად, რად ჩავიგდე თავი ამ დღეში. ეს ხომ ვიცოდი, დოცენტს ეს მაინც უნდა ცოდნოდა, რომ დღეს თუ ხვალ ამას მიაგნებდნენ და არ მაპატიებდნენ. მე ეს ვიცოდი და სხვები მაბრიყვებდნენ, რომ მე საციხო საქმეს არ ჩავდივარ, აშენებ, ხომ არ ანგრევო, ასე მარწმუნებდნენ, როცა ამ საქმეს შევუდექი. მერე უფრო ღრმად შევტოპე და მარტო მე კი არა, სხვებიც არიან ამაში დამნაშავენი. ათასჯერ მეტად ისინი არიან ჩემი უბედურების მონაწილენი, ვინც იოლად მფარველობდნენ. ნუთუ არ შეიძლება ჩვენს ორგანიზებულ სახელმწიფოში ისე მოეწყოს სახელმწიფო კონტროლი, რომ ადამიანები დანაშაულს ავაცდინოთ! ნუთუ არ შეიძლება პატიოსანი ადამიანები ავაცდინოთ იმ ჭიას, რომელიც მე შემომიჩნდა და მღრღნიდა, მღრღნიდა, არ მასვენებდა. დიახ, მე პატიოსან ადამიანებზე მოგახსენებთ, რომლებიც გვიან გახდნენ დამნაშავენი და არა კაცის მკვლელებზე, რეციდივისტებზე. არა, ისინი სულ სხვა კატეგორიის ხალხია. მე მათზე არ მოგახსენებთ, მე მოგახსენებთ იმ დოცენტებზე, იმ პროფესორებზე, იმ აღმასკომის თავმჯდომარეებზე, უწყების მუშაკებზე, მინისტრებზე.... რომლებიც ახლა ჩემთან ერთად არიან სამართალში მიცემულნი, იმათზე ვისაც თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება და დანაშაული ჩაიდინეს. და ამგვარი კატეგორიის ხალხი მაინც ავაცდინოთ ციხეს და დაჭერას. სანამ ღორებად, გაუმაძღარ ღორებად იქცევიან, მანამდე წავართვათ მადა ღორმუცელობისა, მეტი გაფრთხილება ადამიანებს დიახ, მეტი გაფრთხილება.

19 ივნისი. მიხა, შენ ხომ გახსოვს ტერენტი გრანელი, წუხელ მესიზმრა. საოცრებაა ჩემს თავზე. ამ ბოლო ხანს მომეძალნენ სიზმრები. თურმე ციხეში ადამიანები საოცრად მგრძნობიარენი და ნერვიულნი ხდებიან. ნერვების დამშვიდების უებარი წამალი ძილია, ძილი და სიზმრები. სიზმარში თავისუფლად დაალაჯებ ამ დალოცვილ მიწაზე შენ, პატიმარი და ოხუნჯობ ვიღაცის ცოლის თუ სატრფოს ღალატზე. ოხუნჯობ, თან არხეინად შენის ნებით ერთობი და ცხოვრობ ლაღად, ვით ფრინველი. ღრმა ძილში ხშირად უსიამოვნო ფიქრებიც აღიძვრებიან. წუხელ სწორედ ასე იყო. სიზმარში ტერენტი გრანელი არ მასვენებდა, მედავებოდა, წარმოიდგინეთ, დამცინოდა, დამცინოდა კიდეც, სამაგიეროს მიხდიდა...

ტერენტი სიცოცხლეში არ იყო წესიერად მორთულ-მოკაზმული, მაგრამ წუხელ სიზმარში ნამდვილი მეფეთ მეფე გამომეცხადა. რაღაც-

ნაირი ჩოხა-ახალუხი ეცვა, წვერებმოშვებულს ქერა თმა გულმკერდზე ფართოდ ჰქონდა დაფენილი. წვერებიანი არც არასოდეს მინახავს და ძლივს შევიცანი. მუშტი მოვუღერე, რაღაცნაირად იქედნურად ჩაიცინა და დაცინვით მომმართა: აბა რას იტყვი, ჯაბა, ხომ გაები მახეში, ქვეყანას რომ დასცინოდი, ახლა ხომ გახდი ქვეყნის ტაკიმასხარა. მექრთამე, ქურდი — აი შენი სახელი. შენ, შენ ციხეში მოკვდები ახლობლებისაგან დაუტირებელი, მე კი ისე მოვკვდი, როგორც პოეტები კვდებიან. დებმაც ნაზად დამიტირეს და ჩემმა ახლობლებმაც. ჰოდა გახსოვს, რომ დამცინოდი, მახეს მიგებდი, უნივერსიტეტიც, ივანე ჯავახიშვილის დაარსებული უნივერსიტეტიც შენმა ბინძურმა მოქმედებამ დამატოვებინა. შენი ბინძური ტალახი მეც მესროლეს.

ხომ გახსოვს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემი დიდი საღამო გაიმართა. აუდიტორია სავსე იყო ქალიშვილებითა და ჭაბუკებით. მე ვკითხულობდი ლექსებს და ისინი არ მეშვებოდნენ, უფრო მეტი და მეტი ლექსების წაკითხვას მოითხოვდნენ, მემუდარებოდნენ, ყვავილებს მესროდნენ, ვაშას ძახილით იქაურობას აყრუებდნენ. შენც იქ იყავი, შეგშურდა, ვერ აიტანე ჩემი ეს წარმატება, „შენს სამფლობელოში“. უსირცხვილოდ ამოიჭერ, ხელი მიბიძგე და თვით შედექი ტრიბუნაზე. დარბაზი გაინაბა, ასე ეგონათ, მადლობის სათქმელად შესკუპდი ტრიბუნაზე. უცბად სულ სხვა სურათი დატრიალდა. ჩემი და ჩემი ლექსების ლანძღვას და გინებას მოჰყევი. აუდიტორია არ გაცდიდა. შენ გამყინავი ხმით გაჰკიოდი. ვინ მოუშვაო, აქ უნივერსიტეტში, ამ წმინდა ტაძარში, ეს პესიმისტი, დეკადენტი, მისტიკოსი, ვინ აძლევს ამისთანა ხალხს უფლებას სწამლავდესო ჩვენს საბჭოთა ჰაერს. ხმის ჩაწყვეტამდე გაჰკიოდი, მაგრამ აუდიტორია შენს წინააღმდეგ განეწყო, აიქოჩრა, შენ ჩემი გამასხარება მოინდომე, მაგრამ თავად გამასხარდი. და ძირს ჩამოგაგდეს. მე ისევ მეძახდნენ, ლექსების წაკითხვას მთხოვდნენ. რასაკვირველია, მე ლექსების წაკითხვა არ მოვისურვე და აუდიტორიიდან გამოვედი.

მთელმა დარბაზმა ფეხზე ადგომით გამომაცილა. ძირს, ეზომდე ჩამომდიეს. სტუდენტებმა ხელში ამიყვანეს და სულ ვაშა მიძახეს.

ხომ გახსოვს! ჰო, რასაკვირველია, გახსოვს! ისიც გახსოვს, რომ ვერე მწერალთა კავშირში გამომდიე და იქაც გამოხვედი ლანძღვით. იქ შენისთანა ქვასროლიები აღმოჩნდნენ და მაჯობე, მაგრამ მერე რა, შენ აგერ ციხეში ხარ, მე კი ხალხის გულში მაქვს ბინა და პოეტის სახელი. და ვიცოცხლებ მუდამ.

შენ მუდამ უკუღმართი იყავი, უკუღმართი და ეგოისტი, კარიერისტი და ბოროტი, ყველა ბინძურ საქმეებში რომ ერეოდი.

ქვეყანა დიდია და შენც სცადე ნიღბით გევლო და დიდხანს იარე კიდეც ნიღბით. მაგრამ საბოლოოდ არავის შერჩენია ავი კაცობა, და

არც შენ შეგარჩინეს. ჩამოგხადეს ნიღაბი და ახლა იყავ ასე შენი ნამდვილი სახელით, მექრთამის სახელით, ავი კაცის სახელით. შენ, ხალხის რისხვისაგან ჩაჭოლილს, არც საფლავი გერგება და ამ ჩვენს მიწაზე და არც ადგილი გექნება ზეცაში. წყეული, წყეული იყავ!

მაშინ კი ვიყვირე, რას ბოდავ-მეთქი. შევუტიე და შევუტიე, მაგრამ უცებ გაქრა ეს მოჩვენება, ჰოი რა წვალების ღამე განვვლე...

21 ივნისი. როგორც იყო, შემატყობინეს ყველაფერი, მითხრეს სიმართლე. თურმე იმ დღეს, როცა მედიკო დაკითხეს, ჩემს ცოლს, საღამოთი რომ დაბრუნებულა, ჯავრისაგან გულის შეტევა დაწყებია და იმავე ღამეს გარდაცვლილა. საცოდავი თინა, პროცესს ყოველდღე ესწრებოდა და სულ მე მომჩერებოდა. არ ვიცი მიწყრებოდა, თუ ვეცოდებოდი, დაჟინებით მიცქეროდა და ერთხელ ცრემლიც კი შევნიშნე მის თვალებში. ძალიან შემეცოდა, მაგრამ მაინც ვერ შევატყვე, მაპატია თუ არა ყველაფერი, რაც მედიკოს გამო გადახდა. მედიკოს დაკითხვის დროს ორჯერ გავიდა გარეთ, ვერ ისვენებდა, დარბაზში სული ეხუთებოდა.

თინას წინაშე ორმაგად დამნაშავე ვარ — ამ ჩემი მექრთამეობითაც და იმ ჩემი სულელური რომანითაც. ეს როგორ დამემართა... ამდენი ხნის კაცი, ოჯახის პატრონი ავეკიდე იმ ჭკუათხელ ქალს. ამის გახსენება ახლა ტანში მზარავს და გულს მირევს. რა საშინელი ვინმე ყოფილა ის ქალი! როგორ უტიფრად ეჭირა თავი პროცესზე, როგორ აბუჩად მიგდებდა მეც და ჩემს ოჯახსაც. ეუსმენდი და მიკვირდა, ნუთუ ამ ქალისათვის გადაედე თავი, მას ვანაცვალე ჩემი ოჯახი, ჩემი ერთგული ცოლი, როგორ ამაღლდა ჩემს თვალში ერთბაშად თინა, ამ მეწვრილმანე ქალთან შედარებით. მარტო მედიკოს საქციელიც კი საკმარისი იყო, რომ გული გახეთქოდა იმ უბედურ ჩემს ცოლს. ახლა მე მარტო ჩემს თავს კი არა, ჩემი ქალიშვილისა და შვილიშვილის ლანდს ვემალები, ამიერიდან იმათაც უნდა უწოდონ მექრთამის შვილი, მექრთამის შვილიშვილი...

რა მშვენიერი მდგომარეობა მქონდა, რა აწყობილი ოჯახი, დოცენტი ვიყავი, სულ მალე პროფესორი გავხდებოდი. არც უნიჭო ვიყავ, პროფესორები ჩემზე რაღაც იმედებს ამყარებდნენ და რომ მემუშავა ჩემს დარგში ისე დაჟინებით, როგორც ამ საქმოსნობაში ვიწვრთნებოდი, მემუშავა პატიოსნად და თავდადებით, ერთი კარგი სახელმძღვანელოს ავტორი მაინც ვიქნებოდი... ვინ იცის?! უკვდავო პოეტო, რა მართალი იყავი, როცა წერდი, სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსაო. მართლაც, რა ბრძნული ნათქვამია. მე სახელის მოხვეჭას ფული ვამჯობინე. რომ ვთქვა, არ ვიცოდი, არ მესმოდა-მეთქი, ყოველივე ეს არ იქნება მართალი, მაინც ამ მოლიპული გზით მივდიოდი.

ახლა რაღა დროს სინანულია, ყველაფერი დამთავრებულია. მაგრამ

მაინც რომ ვერ ვისვენებ. ვზივარ სატუსაღოში და ვაღვიძებ მოგონებებს... ვისთვის ვწერ, რისთვის ვწერ ამ სინანულის წერილს, ვის მისწვდება, ვინ წაიკითხავს მას, ვის შეუკრთობს გულს, ვის დააფიქრებს? რისთვის, ვისთვის ვწერ მე ამას, თავის გასართობად?

მაგრამ ჩემსავით კაცს სხვა გასართობი აბა რა აქვს, გარდა იმისა, რომ ამ შეგონებების წერაში მოკლას დრო, რომელიც ასე უნაყოფოდ გარბის და თან მიაქვს ყველაფერი, ამ ქვეყანაზე არაფერი იკარგება უკვალოდ, არც არაფერი იმალება. ეგებ ეს დღიური წაიკითხოს ვინმემ და დროზე ჩაიხედოს თავის სულში, დროზე მიხედოს თავის თავს... მე ახლა არა მარტო მექრთამე, არამედ კაცის მკვლელიცა ვარ, ცოლის მკვლელიც, ცოლისა, რომელსაც ერთგული და პატიოსანი მეუღლე ვეგონე და სასამართლოზე მთლად გაშიშვლებული რომ მნახა, ვერ აიტანა ამდენი შეურაცხყოფა, მისმა გულმა ვეღარ გაუძლო ამდენ უბედურებას. იმ ქალმა კი, მედიკომ მთლად გამიმეტა, მასხარად ამიგდო, დამცინა.

რა არ მოიგონა, რა არ მოჩმახა! თურმე მე არც ბინა მიმიცია მისთვის, არც ავეჯი მიყიდია, არც ფულებით მინებივრებია. თურმე ყველაფერი ეს მან პირველად გაიგო ამ სასამართლო პროცესზე. მე ბინა რამაძემ დამიქირავა და კოოპერატივშიაც იმან ჩამწერაო. ჯაბა: ჯაბას არ ვიცნობ, მისი სახელი მე რამაძისგან გავიგე პირველადო. რამაძე რომ გარდაიცვალა, მაშინ მომადგა ჯაბა სახლში და მითხრა, თითქოს ყველაფერი ის, რაც მე მაქვს, მისი ნაყიდი ყოფილიყოს. მისმა ცოლმაც, საუბედუროდ მაშინ შემოგვისწრო, როცა მე ჯაბა სახლიდან გავაგდეო. აი, როგორ საქვეყნოდ მომშრა თავი! ჰოი, როგორ ათასნაირად იგრიხებოდა, იმას ეგონა სასამართლოზე ვერ ამხილებდნენ მის ოინბაზობას და ტირილი დაიწყო. ეე, დავანებოთ თავი ყოველივე ამას, რაც იყო, იყო. ყველაფერი ჩემი ბრალია.

ისევ ის კითხვა მიბურღავს ტვინს — რისთვის ვწერ ამას, რა უფლება მაქვს შეგონებით და რჩევით მივმართო ვინმეს, უბრალოდ გულს ვიოხებ და ანდერძად ვუტოვებ ყველას, ვინც ამას წაიკითხავს, თუ არ წაიკითხავს, რომ გაუფრთხილდნენ ადამიანის ძვირფას მონაპოვარს — თავისუფლებას, პატიოსნებას.

ყველაფერი გათავდა, იყო ჯაბა და აღარ არის ჯაბა. არც არავინ იდარდებს და არც არავინ დაიტირებს, არც ცოლი, არც შვილი, რადგან ჩემგან შერცხვენილი ჩემი ქალიშვილი სახლიდან გაიქცა და, თავის ქმართან ერთად, სხვა ქალაქში გადასულა თურმე. მე უფლებააყრილი, პატივაყრილი კაცი ვარ. და თუ როდისმე გამოვედი ამ ციხიდან, მექრთამის სახელით, პატივაყრილი კაცის სახელით უნდა ვიარო, ასეა ეს, ბატონო ჯაბა!

* * *

— ადექით, სასამართლო მოდის! — უკანასკნელად, ორასმეათჯერ გაისმა დარბაზში ეს სიტყვები. გვეშველა, გვეშველა, შენც, ამის წამკითხველს და მეც, ამ გაჭიანურებული ამბის დამწერს. სასამართლოს თავმჯდომარე განაჩენის კითხვას შეუდგა. მთელი სამი საათის განმავლობაში კითხულობდა განაჩენს თავმჯდომარე, სათითაოდ ჩამოთვალა სამართალში მიცემული ოცდაერთი კაცის დანაშაულობანი და ამის მიხედვით ჩამოაყალიბა და მიუყენა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერისი მუხლი ყოველ მათგანს. პროცესიც ამით დამთავრდა. ასე დასრულდა ეს ამბავი, თუმცა დასრულდაო არ ითქმის... ისევ გაისმის საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლო დარბაზში: „ადექით, სასამართლო მოდის!“

მ ი ნ ა წ ე რ ი. სასამართლოს თავმჯდომარე, პროკურორი და საზოგადოებრივი ბრალდებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის ყოფილი შეგირდები იყვნენ.

ბოლო მინაწერი

ივანე ჯავახიშვილი მოულოდნელად დაეცა, მაგრამ ერთბაშად მთავით წამოიმართა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის ნამდვილი დაფასება მხოლოდ გარდაცვალების წინა წლებში ერგო. უნივერსიტეტმა უყოყმანოდ მიიღო და წინ წარიმძღვარა დიდი ივანეს პიროვნული და მეცნიერული ავტორიტეტი.

„ჩემი პროფესორი“ — სწორედ ამ დიდი პიროვნების დიდი ზეგავლენით შექმნილი მეცნიერების სიკეთეს გულისხმობს. უნივერსიტეტში ჩაუქრობლად ანთია ივანე ჯავახიშვილის და მისი თანამებრძოლების მიერ ანთებული სანთლები. უნივერსიტეტში აღზრდილ ყოველ სტუდენტს გზას უნათებს ეს სანთლები.

„ჩემი პროფესორი“ — ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის, მეცნიერების ამ ტაძრის გონებრივი და ზნეობრივი სიმბოლოა.

შემთხვევა სადგურზე

მიყვარს ჩემი პატარა სადგური. იმიერ საქართველოს ერთ ვიწრო ხევში, მდინარის პირას აგებული ნაცრისფერი ქვის ამ პატარა შენობის წინ, ყველა მატარებელი ჩერდება, თბილისში მიმავალი თუ თბილისიდან მომავალი, სამგზავრო თუ საბარგო. ბე, აქ დაბადებულსა და აღზრდილს, მის შემდეგ რამდენი უფრო დიდი და კეთილად მოწყობილი სადგური მინახავს, მაგრამ ყველაზე მეტად ეს მიყვარს, რადგან პირველად აქ შევხედე მატარებელს და, შიგ მოზიმზიმე ხალხი რომ დავინახე. გულში ჩავითქვი: ბევრი მემგზავრა და მენახა. მგზავრობის ტრფიალი ასე ჩამესახა და ჩემს დაბაში ჩემსავით ნავალი კაცი არც ბეგულება. თითქმის მთელი ქვეყანა შემოვიარე. სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს, სად არ მისწავლია და მიმსახურია. თბილისში ვარ ;ებადებული, მაგრამ ყოველთვის, როცა დროს მოვნახავ, აქეთ გამოვწევ. ჩემს სადგურს მოვინახულებ, მამა-პაპეულ სახლში დავიძინებ ხოლმე და უმალ აღდგება ჩემში ბავშვობის დღეები. ასე მგონია, ისევ ის ბიჭი ვარ, ორმოცი წლის წინათ რომ ვიყავი.

ჩემი სადგური იმისთვის მიყვარს, რომ აქ ყოველი კაცი და ქალი ყოველი ქვა და ხე ნაცნობია და ახლობელი. დიახ, ჩემია და ჩვენია ეს უბანი. ეს ნაცრისფერი ქვის შენობაც, რომლისთვისაც ერთი საუკუნის წინათ სადგურის სახელი უბოძებიათ. სადგური კი იმის სადგურია, რომ, დგახარ და უცდი, უცდი და დგახარ. მე კი ამოდენა ნავალს ცდა და ლოდინი არ მიხდებოდა. სადგურის გვერდით, მამა-პაპეული ორსართულიანი ფიცრული სახლი იდგა, რომლის მეორე სართულზე ერთი ოთახი ჩემთვის იყო მიჩნეული. აქედან, ჩემი ოთახის სარკმლიდან გავყურებდი სადგურს და საათს, სადგურის თავზე საკუთ მთვარესავით რომ ეკიდა. მთელს სამყაროს ამ საათით და ამ სარკმლით ვუმზერდი, ვხედავდი, ვზომავდი. სამგზავროდ ბილეთს რომ ავიღებდი, საგულდაგულოდ ჯიბეში ჩავიდებდი და მერე ჩემს ოთახში წამოსკუპებული კვლავ გავყურებდი საათსა და სადგურს. საათის ქვემოთ ჩამოკიდებულ თითბრის ზარს რომ ჩამორეკავდნენ, ეს მეზობელი სადგურიდან მატარებლის გამოსვლის ნიშანი იყო. მეც დინჯად ავდგებოდი, ჩემოდანსა და ხილით სავსე კალათას ხელს ჩავავლებდი, ბაქანზე გავიდოდი და მატარებელიც ჩამოდგებოდა. მერე კი... ჰაიდა, თბილისს თუ მოსკოვს!.

ჩვენი სადგური ერთ ბეწვისოდენა ვაკეზეა აღმართული. წინ, მდი-

ნარის გალმა-გამოღმა ხელისგულისოდენა ვაკე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მეხს მთა შუაზე გაუპია და ეს ბეწვისოდენა ვაკეც ასე წარმოქმნილაო, ახლა რომ პირისპირ დგანან და შუაში გახლეჩილი, წვიმებისაგან ჩამორეცხილი, კლდე თავზე და მეორე მხარეზე ტყით დაფარული ცალფერდა სიშიშვლეს ხევში ჩამოწოლილი ნისლით იფარავენ...

მატარებლიდან გადმოვედი და ფეხი დავადგი თუ არა ჩემი სადგურის მიწას, ჩუმად, ჩემთვის ვთქვი: გამარჯობა, ჩემო სადგურო, ჩემო ხევო! როცა შენს ცამდე აზიდულ მთებს შევხედავ, თავზე მუდამ ღრუბლის თეთრი მანდილი რომ ახურავს, ამ მთისაგან მონაჟური შენს კრიალა მდინარეში რომ ჩავიხედავ, ჩემს სულშიაც მეფდება ის სიწმინდე და სიმშვიდე, რაც ამ მთებისა და მდინარისათვის ბუნებას ასე უხვად მოუფრქვევია. გამარჯობა, ჩემო მშობლიურო მთებო! თქვენი შეხედვა შიშსაც მგვრის და იმასაც მომაგონებს, რომ თქვენს დალოცვილ კალთამდე მარტო თქვენსავით ზვიადი, ბრგე, მტკიცე, გამრჯე, თქვენთვის თავშეწირული ადამიანები კი არ იზრდებიან, არამედ პატარა კაცუნებიც, ჭონდრის კაცებიც, გაჭნილებიცა და მატყუარებიც. რაო? ისინი რკინიგზას ხომ არ ამოყვნენ საიდანმე? — არა! ასეა თვით ბუნებაში, მუხნარისა და ფიჭვნარის გვერდით ეკალ-ბარდიც ხარობს. დასაბამიდან სინათლეს სიბნელე ასდევნებია, ჩემო ხევო. ასე რომ არ იყოს, მაშინ კეთილი და ბოროტი საქმის გარჩევაც არ მოხერხდებოდა. ჰო, ეს ასეა, მაგრამ მე მუდამ იმის მლოცველი ვარ, კეთილი ადამიანები გიმრავლოს ამ მთების გამჩენმა, ცუდი და ბოროტი ხალხი კი მუდამ გაშოროს იმავე გამჩენმა...

ახალი გათენებული იყო. თოვლით გადაპენტილი, ნისლით დაბურული ვაკე და მთა ლურჯი ფიფქებით იმზირებოდა. სადგურზე ნისლისფერი ბოლი ამოდიოდა. სადგურის გაყოლებით, ორღობეში ქათმებისა და ბეღურების კრიახი და ჟრიამული ახშობდა სახლიდან სახლში მეზობლების კანტი-კუნტად გადაძახილს. ამ ხმაში უმალ გავარჩიე ჩვენი უბნელი ტაგუს ხმა. გავყურებ ნისლისა და თოვლის ნამქერებისგან წვალეკილ მთებს და ჩუმად გალაკტიონის სტრიქონებს ვიმეორებ:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა...
თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა,
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

მოვიხედე და, თითქოს ნისლიდან გამოძერა თუ თოვლით დაფარულ მიწიდან, ჩემ წინ ტაგუ აიტუზა, ხელბარგი ჩამომართვა და თან ლუღლუღით მამცნო, ხვალ ჩვენს უბანში იმათ ასამართლებენო. კინ იმათ-მეთქი ვკითხე და ენაბლუ ტაგუ შინ შევიპატიჟე. ფერწასული და აღელვებული ტაგუ მთელი დღე მიყვებოდა ამბავს, რომელიც მეორე დღეს სასამართლოს უნდა გაერჩია.

ტაგუსთან ყოველი შეხვედრისას მიხეილ ჯავახიშვილის ჩანჩურა დამიდგება ხოლმე თვალწინ და მეც ვადარებ, ვაზომებ ერთმანეთს ჩანჩურასა და ტაგუს. დღეს კი სრულიად დავრწმუნდი, რომ ეს მსგავსება, ეს ანალოგია უფრო წიგნურია, ვიდრე ცხოვრებისეული. ტაგუ მაინც სხვაა, ჩანჩურაზე უფრო გონებაგახსნილი და გაწაფული.

ტაგუმ რკინიგზის დაწყებითი სკოლის პირველ კლასში ორი წელი ისწავლა. დიახ, ისწავლა და იწვალა, მასწავლებლებიც აწამა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და თავი გაანება სწავლას, დაანება კი არა, დირექტორმა ლენჩის ნიშნით დაითხოვა. სკოლიდან დათხოვნილ ტაგუნიას მეორე დღესვე ვიღაც კვიმატმა ბატის ჭურდი შეარქვა და რაც თავი მახსოვს, სადგურზე ამ სახელით იცნობენ.

ტაგუ ჩანჩურასავით ჯუჯა არ იყო. პირიქით, უსაშველოდ აწოწილს გრძელი და წვრილი ტანი ჰქონდა, ცხვირი — კეხიანი და მოკაუჭებული, პირისახე — ყვითელი, ნაციებივით ყვითელი, დაკეცილი და დაჭმუჭნილი. კისერი კი ჭიაყელასავით გაწვრილებული და გრძელი. ამის კვალობაზე თავიც წვრილი ჰქონდა, მუჭისოდენა, ახლადგამოჩეკილი წიწილის მსგავსად ყვითელბუსუსებიანი. ხმა ბოხი ჰქონდა, ბოხი და ხრინწიანი, პროვინციელი ლოთების მსგავსი, ენაბლუ და მუდამ პირდორბლიანი, დაბადებით დებილი, ოღონდ ბავშვივით კეთილი და მიზეზიანი. მშობლები ადრე დაეხოცნენ და ახლობლებიც არავინ ჰყავდა. სადგურზე რკინიგზელთა პატარა სახლში ერთი ოთახი ეკავა. ოთახი ქვედა სართულზე იყო, ფანჯარა ზამთარ-ზაფხულ მუდამ ღია ჰქონდა. თუ შინ იყო, ამ ფანჯარაზე გადმოჰყოფდა ხოლმე ბრტყელსა და ფართო ყურებს, თუ არა და სასადილოში, მაღაზიაში ან ბაქანზე ნახავდით მუდამ რაღაცის მომლოდინეს.

ტაგუსთან შინ თუ გარეთ ყველა ჯურის კაცს ნახავდით, პატიოსანსა და უპატიოსნოს, განთქმულ ვაჟკაცებსა და ნაძირალებს, წამსვლელებსა და მომსვლელებს, ყველასთან ერთნაირად მეგობრობდა და თანამშრომლობდა. ტაგუსთვის სულ ერთი იყო, ოღონდ კი ფული ეშოვნა, ფული ყოველდღიურად სახარჯო და საცუცნავი.

ჩვენს დაბაში ყველაზე დიდი შეკრება სადგურზე იმართებოდა ხოლმე. ოთხი მატარებელი ჩერდებოდა ყველაზე დიდხანს ამ სადგურზე: ორი დილით თბილისიდან მომავალი და ორიც — საღამოს სოხუმიდან და ფოთიდან თბილისში მიმავალი. ოთხივე მატარებელს საზე-

იმო შეხვედრას უმართავდა ჩვენი დაბა, განსაკუთრებით საღამოობით. მორთულ-მოკაზმული ვაჟები და ქალიშვილები მარტო დაბიდან კი არა, ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ და ვინმე დაბელ ვაჟს ან ქალიშვილს თუ ელოდებოდნენ, უთუოდ ყვავილებით იყვნენ ხელდამშვენებულნი. მთავარი მაინც ის იყო, რომ აქ ეცნობოდენ საგანგებოდ გამოფენილ ლამაზმანებს ჩვენი უბნის საცოლო ბიჭები. მერე იმართებოდა მიწერ-მოწერა და მაჭანკლობა. ამ საქმის „ცოცხალი ფოსტა“ ტაგუ იყო. მთელი დაბა იცნობდა ტაგუს და ყველა ისე ექცეოდა, როგორც მოეპრიანებოდათ. გაგზავნა უნდოდათ სადმე — ტაგუს გზავნიდნენ, ბარგის ატანა უნდოდათ მატარებელში — ტაგუს მოიხმობდნენ, თითო გროშს მიუგდებდნენ და არც დაეძებდნენ ამით კმაყოფილი იყო თუ უკმაყოფილო. კოოპერატივში დუქანს დაჰგვიდა თუ სასადილოსათვის ჭიდან წყალს ამოიღებდა, ამაშიაც ფულს აძლევდნენ და მაინც მუდამ შიოდა ტაგუს, თითქმის არაფერი ემოსა, ზაფხულში გაცვეთილი შავი ბლუზა-შარვალი ეცვა. ხანდისხან ვინმე გამონაცვალს უწყალობებდა, მაგრამ რად გინდა — უშნოდ აწოწილ და გამხდარ ტანზე მორგებული არაფერი ჰქონდა და მუდამ სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენდა.

იმ დღეს ტაგუ უგუნებოდ იყო, ვიღაც კვიმატი გადაეკიდა და მთელი დღე სდია და უსტვინა: ტაგუნია, ბატის ქურდო, ტაგუნია, ბატის ქურდო! მის გადამკიდეს მოთმინება გამოელია და ვერც სამაგიერო გადაუხადა. იმ საღამოს იგივე ბიჭი ტაგუს შეეხვეწა — „აი, იმ ქალთან მიმეგზავნე, ეს წერილი მიუტანე“. და ქალიშვილზე ხელით ანიშნა. ტაგუმ ჯერ გაშვერილ თითზე ხელი აუკრა, მაგრამ უცბათ ბიჭმა ხელში ათშაურიანი ვერცხლის ფული და წერილი რომ შეაჩეჩა, ჯერ დაიბნა, მერე, ფულს რომ დახედა, უცნაურად დაიღრიჯა და წერილიანად იმ ქალიშვილისაკენ გაძუნძულდა... იმ საღამოს კი ასე უბრალოდ დაწყებული საქმე ტრაგედიით დასრულდა. ქალიშვილმა წერილი წაიკითხა თუ არა, ტაგუს ხელი სტაცა და იყვირა: სად არის, ახლავე წამიყვანეო. ასეთ ამბავს არ მოელოდა ტაგუ, უკვირდა, ასე რამ ააწრიალა ეს ქალიშვილიო. მერე ორივემ იქით გასწიეს, საიდანაც ტაგუ მოვიდა. მისვლით კი მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ბიჭმა ეს ბარათი მისცა ტაგუს, მაგრამ ის ბიჭი იქ აღარ დახვდათ. ქალიშვილი უფრო აწრიალდა: „ჩქარა, ჩქარა თორემ გვიან იქნება!“ მან ორივე ხელებით შეანჯღრია გაოგნებული ტაგუ. ტაგუს უკვირდა, ან იმ წერილში ისეთი რა ეწერა, ან ის ბიჭი ასე სად გაუჩინარდაო. ქალმა ისევ გაშალა წერილი და ჰკითხა, რობუ სად არისო. „რობუ? ჰოდა, ასე გეთქვა შე დალოცვილო! — შვებით ამოისუნთქა ტაგუმ და გოხს მოეგო.

რობუს ბიჭები სადგურის უკან ამოღრმავებულ ადგილს ეძახდნენ.

ეს ადგილი კარგად იცოდა ტაგუმ. ამ უბნის პატარა ბიჭები პაპიროსს აქ ეწეოდნენ ჩუმად, ტაგუს დარაჯად დაიყენებდნენ, მშობლებმა არ მოგვისწრონო, ამისთვის გასამრჯელოდ აბაზს აძლევდნენ. აი სწორედ იქ უნდა მიეყვანა ტაგუს ეს ქალიშვილი. მიუახლოვდნენ თუ არა რობუს, იქვე მანქანიდან სამი ბიჭი გადმოხტა. ეცნენ ამ ქალიშვილს და შიგ მანქანაში შეაგდეს. ტაგუმ იყვირა თუ არა, თავში რკინის ნატეხი ჩასცხეს და იქვე ჩაიკეცა. მეორე დილით გონს მილიციის სამორიგეოში მოეგო.

ქალიშვილის გაუჩინარებით მთელი დაბა შეიძრა. დედის მოთქმას ცა ჩამოქონდა... ქალიშვილის ამხანაგები ამბობდნენ, დავინახეთ ტაგუს გაჰყვა, ამის მეტი არა ვიცით რაო. ტაგუ ორჯერ დაკითხეს, ორჯერვე ერთი და იგივე გაიმეორა: ვერცერთი ვერ ვიცანი იმ სამი ბიჭიდანო. ვინც წერილი გადმომცა, არც მისი სახელი და გვარი ვიცი, სახეზე კი ვიცნობო.

მესამე დღეს ის ქალიშვილი მდინარეში დამხრჩვალი იპოვნეს. ისევ აწრიალდა მთელი დაბა. დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს. ქალიშვილის დამარხვის დღეს ტაგუ მილიციიდან წაიყვანეს და დაანამუსეს: ის ბიჭები აუცილებლად გამოჩნდებიან გასვენების დღეს, თუ კარგად დააკვირდები. იცნობ, გვანიშნე და დანარჩენი ჩვენზე იყოსო, ოღონდ გვაპოვნინე და მაშინვე გაგანთავისუფლებთ, თუ არა და, ციხეში ამოგალპობთო, ოღონდ დავინახო და, აუცილებლად ვიცნობო, ლუღლუღებდა ტაგუ და აქლემივით თავის კანტურით მისდევდა დაბალსა და ჩასუქებულ გამომძიებელს. ტაგუს გამოჩენა სატირალში ყველას გაუკვირდა. უცბათ ხალხში ხმა გავრცელდა, ტაგუ ამ საქმეში უდანაშაულო აღმოჩენილა და გაუთავისუფლებიათო. ქალიშვილის დამარხვას უამრავი ხალხი დაესწრო. ტაგუ დაბორიალობდა ამოდენა ხალხში თავგზადაბნეული, წარამარა რაღაცა ელანდებოდა, ეჩვენებოდა, მთლად გამოლენჩდა ისედაც ლენჩი. გამომძიებელს იმედი მაინც არ დაუკარგავს და შორიახლო დაჰყვებოდა აქლოშინებულ ტაგუს. მერე ტაგუ იმ ოთახში შებორიალდა, სადაც მიცვალებული ესვენა. შევიდა თუ არა, ვიღაცამ უბიძგა და გონს მოეგო. გონს მოეგო და იყვირა. „აი ის არის, ნამდვილად ის არის!“ ზმუოდა ტაგუ და ხელს ზედ მიცვალებულის თავთან მდგარი ბიჭისაკენ იშვერდა... აწრიალდა ჰირისუფალი. ამასობაში გამომძიებელი იმ ბიჭთან მივიდა, რომელსაც ტაგუ ანიშნებდა, განზე გაიხმო და უბრძანა, გამომყევიო. ბიჭი, თითქოსდა ამას ელოდაო, მიჰყვა გამომძიებელს. ტაგუ კვლავ ხმამაღლა ზმუოდა: „აი, ამან, ამან მომცა ის წერილი, დიახ ამან“. და ხელის ქნევით ემუქრებოდა ბიჭს.

სამივენი ეზოდან გავიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. ვინც თვალი მოჰკრა ამ ამბავს, ყველამ მანქანამდე მისდია გამომძიებელს, მაგრამ

იმ უბედურების დღეს არავის ეცალა დაწერილებით გამოეკითხა საქმის ვითარება.

„რობუს“ საქმის გამოძიება მთელი წელიწადი გაგრძელდა. ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა დამნაშავე დააპატიმრეს. დამნაშავენი აღმოაჩინეს თუ არა, ტაგუც გაათავისუფლეს.

ჩვენი დაბის კულტურის სახლში არასოდეს ყოფილა იმდენი ხალხი, რამდენიც იმ დღეს, ზამთარი იყო, მაგრამ ხალხით გაჭედილ დარბაზში ცხელოდა. სცენაზე მოსამართლე გამოჩნდა თუ არა, დარბაზი ფეხზე წამოდგა. მოსამართლემ ზარი გააწკარუნა, ბრძანა ფანჯარა გამოაღეთო, შეხუთული ჰაერი განიავდა და ხალხმა შვებით ამოისუნთქა. სასამართლო მუშაობას შეუდგა. საბრალდებო დასკვნა ძველი დიაკვანივით უცბად ჩაიკითხა მდივანმა, მოსამართლემ პირველად ის ბიჭი გამოიძახა, რომელმაც წერილი გადასცა ტაგუს.

— გვარი, სახელი, მამის სახელი.

— მალხაზ შოთას ძე შავაძე.

— პროფესია.

— სტუდენტი.

— ცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?

— ყველაფერი მართალია, რაც საბრალდებლო დასკვნაში სწერია, ოღონდ წერილი მე არ დამიწერია.

— წერილი ხომ შენ გადაეცი ტაგუს?

— ჰო, მე გადავეცი.

— ვინ გამოგატანა?

— ბედენაძემ.

— დიახ, მე გავატანე, დაუდასტურა ბედენაძემ.

— რა ეწერა იმ წერილში.

— ის წერილი მე ვუკარნახე არენდაძეს, — შინაარსი კარგად არ მახსოვს.

მაშინ პროკურორმა სქელი საქმე აიღო, გადაფურცლა და წაიკითხა: „ჩემო ესმა, მოკვლას მიპირებენ, ეგებ შენ მიხსნა, რობუში გელოდები. შენი გივი“.

— და ისიც მოვიდა, არა? — კითხა პროკურორმა.

მოვიდა.

— წინათაც ხვდებოდით იმ ადგილას ქალიშვილს?

— ქალიშვილმა იმ ადგილის არსებობა არ იცოდა და ამის იმედი მქონდა.

დარბაზში ისევ აყმუილდა ტაგუ:

— მე მივიყვანე ის ქალიშვილი მისივე თხოვნით...

— მერე, მერე რა მოხდა, შენ გეკითხები არენდაძე?

— მერე რა მოხდა, არ მახსოვს რადგან ტაგუს შემდეგ მე ჩამარ-

ტყეს ის რკინის ნაჭერი: აი იმან! — და ხელი კვლავ ბრალდებულ ბედენაძისაკენ გაიშვირა. გონს რომ მოეგე, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ვერსად ვიპოვე მათი გზა-კვალი. შვიდი დღე-ღამე ვეძებე. მესამე დღეს წავაწყდი დამხრჩვალ ქალიშვილს და მშობლებს შევატყობინე.

აქ შეჩერდა არენდაძე.

— მერე, მერე? გააგრძელე. — ისევ მიმართა პროკურორმა.

— იმის შემდეგ არ მოვცილებივარ ქალიშვილის ცხედარს. დამარხვის დღეს იქვე მოვიდა ეს ბანდიტი. დანარჩენი არაფერი ვიცოდი, ვიდრე საბრალდებო დასკვნას არ გავეცანი. ახლა კი ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ეხ, მათ, მათ დაგვღუპეს მეცა და ეს ქალიშვილიც! — და ბრაზმორეულმა ისევ ბრალდებულებისაკენ გაიშვირა ხელი. — სულ ერთია თავს არ ვიცოცხლებ, ამიტომ, რასაც მომისჯით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ, თუ ცოცხალი გადავრჩი, ჯერ ამათზე ვიძიებ შურს და მერე ჩემს თავს გავუსწორდები.

პროკურორმა ისევ ჰკითხა.

— სად გაიცანი პირველად ეს ბიჭები?

და ხელი ბრალდებულისაკენ გაიშვირა.

— სტუდქალაქში.

— სტუდქალაქში თუ გითამაშიათ მათთან ზარი?

— არა, არ მითამაშია.

— აბა როგორ გახდი მათი ამხანაგი და თანამოაზრე?

— ის ერთი, ჯაბანაძე ჩვენებურია, აქაური სადგურის უფროსის შვილია. ორი წლის წინათ აქ ვნახე, სადგურზე, ბედენაძესთან ერთად. მერე რობუში წავედით. იქ დაიწყეს თამაში. მერე მეც ჩამრიეს, მიმაჩვიეს, ამის შემდეგ ყოველ არდადაგებზე ვხვდებოდი მათ. ასე მოხდა წლეულს იანვარშიც.

— კიდევ ვინ თამაშობდა თქვენთან?

— აქაური არავინ.

— აკი ბედენაძემ აჩვენა რესტორნის დირექტორის შვილიცო?

— ჰო... არა... არ მახსოვს...

ახლა სადგურის უფროსი გამოიძახეს. ზორბა ტანის, ფართო მხარბეჭიანი გრძელწვერებიანი წითური კაცი მოსამართლეთა წინაშე წარსდგა.

— იცოდით თუ არა, თქვენი შვილი ზარს რომ თამაშობდა?

— გვიან გავიგე.

— ესე იგი იცოდით.

— დიახ. ვიცოდი.

— მერე რატომ არ იღონეთ რამე?

— როგორ არა, აქაურობას გავაცალე, თბილისში წავიყვანე, იქ

მოვაწყვე სასწავლებლად, მაგრამ რა, თურმე იქაც მოუნახავს თავისი ამფსონები.

— ფული, ამოდენა ფული საიდან ჰქონდა. მოსწავლეს, ბავშვს?

— ეშმაკმა იცის ამის თავი, ას მანეთამდე მე მცანცლავდა ყოველ თვე. თურმე ამდენსავეს დედამისს ართმევდა.

— ესე იგი ორასი მანეთი თვეში! საიდან მერე? თქვენ თავად ასოთხმოც მანეთს იღებთ, არა?

— მე, ჯამაგირის გარდა, სოფელში ვენახიც მაქვს. კიდევ სხვა წვრილმანი შემოსავალიც.

— უკანონო და კანონიერი არა?

— არა, უკანონო რად იქნება.

ახლა ბრალდებულ ჯაბანაძეს ჰკითხეს:

— მართლა ამდენ ფულს გიგზავნიდა მამაშენი?

— არა, კი არ მიგზავნიდა, როცა არ მყოფნიდა, ჩუმად გამოვიპარებოდი თბილისიდან, დედას თავს შევაცოდებდი და, როცა საკმარის ფულს ვერ გამოვცანცლავდი, ვიპარაედი.

— მერე, როგორ?

— როგორ და, მამაჩემს ფული დიდ კარადაში ჰქონდა შენახული. მივაგენი ფულს და ჩუმ-ჩუმად ვიღებდი იქიდან.

— ესე იგი მამათქვენს უთვალავი ფული ჰქონია, არა?

ამის გამგონე წითურ სადგურის უფროსს გული შეუღონდა.

— გდა! — დაბოხებული ხმით თქვა პროკურორმა. — აი, ასე, ნაქურდალი ფულებით ჯიბეს ისქელებენ და ანებივრებენ ეს თანამდებობას ამოფარებული მექრთამეები შვილებს. მამაშვილის დაკითხვაც ამით შეწყდა.

ახლა მთავარი დამნაშავე გამოიძახეს.

— გვარი, სახელი, მამის სახელი?

— გიორგი დიმიტრის ძე ბედენაძე.

— ზედმეტი სახელი?

— გენიოსა.

— რატომ შეგარქვეს ეს სახელი?

— ცუდად ვსწავლობდი და კლასში დამცინოდნენ ამხანაგები. ჩვენს კლასში ერთი თავზე ხელაღებული ბიჭი იყო. ამბობდა პროკურორის შვილი ვარო, ნურაფრისა გეშინიათ, ხელსაც ვერავინ გვახლებსო. აგვიყოლია იმან მე და ჩემი ბიძაშვილი დათო. ერთი, ორი გაკვეთილი გათავდებოდა თუ არა, გავიპარებოდით სკოლიდან მტკვრის პირას. თათრის მოედანს რომ ეძახიან, იქ ერთი მივარდნილი კუთხეა, უკაცრიელი. ჩვენც იქ დავიდეთ ბინა და დავიწყეთ ზარის თამაში. ჯერ ოთხნი ვიყავით, მერე შვიდნი გავხდით. როცა დაგვიჭირეს, ცხრანი ვიყავით. სულ მალე, როგორც მცირეწლოვანნი, გ. პოგვიშვეს. მერე,

მეორედ დაიჭირეს ჩვენი ამხანაგები. მარტო მე და ჩემი ბიძაშვილი გადავრჩით იმ მეორე დაჭერას. ამხანაგებმა ციხიდან შემოგვითვალეს: თქვენ არაფრისა არ შეგეშინდეთ, არ გაგამხელთო, მაგრად იყავითო, ჩვენც მალე გამოვალთო, ასე გვაიმედებდნენ ციხიდან. მართლაც სამ თვეში გამოვიდნენ ისინი და ჩვენი ჯგუფი უფრო გაიზარდა. გადიდდა. მერე კვლავ დაგვიჭირეს ქურდობაზე. ამასობაში სკოლიდან გაგვრიცხეს, პროფესონალი ქურდისა და ზარისტის სახელი შეგვარქვეს. მერე კიდევ ვილაც მინისტრისა და პროკურორის შვილები შემოგვემატნენ.

აქ პროკურორმა შეაჩერა:

— რომელი პროკურორისა და მინისტრის შვილები? გენიოსამ ვაიცინა ცინიკურად.

— ეს მე არ ვიცი, ჩვენ კანონში არსად წერია...

პროკურორმა სიტყვა გააწყვეტინა:

— რომელ კანონში? ქურდების კანონში, არა?

გენიოსამ უპასუხოდ დატოვა ეს კითხვა და თავისებურად განაგრძო: დიახ, ჩვენს კანონში არსად სწერია ძმა-ბიჭების წარმოშობა და პასპორტები ვამოწმოთ. ჩვენი პასპორტი ჩვენი პროფესიაა, რის ნიადაგზეც შევკარით ფიცი. ამ ფიცს არ უნდა გადავუდგეთ, სხვა? სხვა ჩვენ არ გვეკითხება, იმ სხვას სხვები არკვევენ.

ესა თქვა. ისევ გაიღრიჭა და დადუმდა გენიოსა.

ბრალმდებელმა ჰკითხა გენიოსას:

— რამდენჯერ იყავით პასუხისგებაში მიცემული?

— ხუთჯერ — არხეინად განაცხადა გენიოსამ.

— გრძნობ თუ არა თავს უშუალო დამნაშავედ იმ ქალიშვილის დაღუპვაში?

აქ ერთხანს შეჩერდა გენიოსა, მერე გამომწვევად უპასუხა:

— დიახ, ვგრძნობ. ეს ჩვენი საერთო დანაშაულია. მერე ერთბაშად მოიღუშა და დამარცვლით წარმოთქვა:

— მისი ბრალიც იყო. არ მენდო.

ბრალმდებელმა შეაჩერა:

— თქვენ გინდათ სხვებს გადააბრალოთ თქვენი სამარცხვინო დანაშაული. ქალი ხომ თქვენ გააუპატიურეთ?

— კი, მაგრამ ცუდი განზრახვით არ მიქნია ეს.

— აგვიხსენით, მაინც რას ნიშნავს თქვენი ნათქვამი?

— მე ის ქალი მიყვარდა.

ამის გაგონებაზე აღშფოთდა პროკურორი:

— შენ სიყვარული რა იცი რაა, შენ შიშველი ეგოისტი ხარ. ეგოისტი და მშიშარა! საკუთარ თავზე ზრუნავ, შენი თავის მეტი არავინ გწყამს, არც ახლობელი, არც ამხანაგი და მით უმეტეს, ქალიშვილის გულწრფელი სიყვარული აბა სად შეგიძლია! შენი საქმე ზარი და

ანგარიშია! ფულისათვის სატრფოს კი არა, დედას, მამას გაჰყიდი, ასეა, ხომ ასეა? — განერვიულდა პროკურორი.

— არა, მთლად ასე არ არის, — მედიდურად და გამომწვეველად განაცხადა გენიოსამ. დიახ, მე ის ქალიშვილი მიყვარდა თავდავიწყებით, მიყვარდა. დიახ, თავდავიწყებით.

— გიყვარდა და მოსაკლავად გაიმეტე, არა?

— არა, მე მისი მოკვლა განზრახული არ მქონია, არა და არა, მე ის მიყვარდა უზომოდ, უანგაროდ...

— ხმა გაებზარა გენიოსას, — დიახ, მე ქურდსა და ზარის მოთამაშეს მიყვარდა ის უზომოდ, უანგაროდ... მე ისიც ვიცოდი, რომ ის ქალიშვილი არენდაძეს უყვარდა, რომ მათ ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს და შეიყვარეს, მაგრამ რაკი არენდაძე ჩემს არიფიონში იყო, ჩემსავით ზარის მოთამაშე გახლდათ, რაკი ასეთი კაცი უყვარდა ესმას (სახელი „ესმა“ გენიოსამ რაღაცნაირი მოწიწებით წარმოთქვა), ვფიქრობდი, მეც შემიყვარებდა. ამ ჯაბანსა და თარსს არენდაძეს რით არ ვჯობივარ! — გამომწვეველად თქვა გენიოსამ. ესმა თვითონ გივიმ გამაცნო და მითხრა, გვიყვარს ერთმანეთიო. პირველად მე ეს ხუმრობა მეგონა, მერე რამდენჯერმე ვნახე ის ქალიშვილი ამასთან ერთად. ერთად გვიქეიფია კიდეც და ის იყო გულში ჩავითქვი: ჩემია ესმა და ვერც ვერავინ წამართმევს მის თავს მეთქი. ამ საიდუმლო აზრს ჯერ არავის ვუმჟღავნებდი, მერე გივისთვის მინდოდა პირდაპირ მეთქვა ესმა მე მიყვარს და შენ უნდა ჩამოსცილდე-მეთქი. ერთ დღეს ამის მაგიერ არენდაძეს ასე ვუთხარი: შენი საქმე არ არის ასეთი ქალიშვილის სიყვარული. შენ ჩვენსავით ქურდი უნდა გიყვარდეს, რომ ჩვენს ამფსონებს გამოადგეს-მეთქი. კიდევ რაღაც მივკიბ-მოვკიბე. მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ამ შეგონებამ არ გაჭრა, მაშინ სხვა ხერხს მივმართე. ძალდატანებით აი, ის წერილი დავაწერინე, დღეს რომ აქ წაიკითხეთ. ასე ვიფიქრე, ამ ქალიშვილის წინაშე მაგრად ვცემ გივის, ფეხქვეშ გავიგდებ, ამით უზომოდ დავამცირებდი გივის შეყვარებულის თვალში და გზა გაეხსნებოდა ჩემს უიღბლო სიყვარულს. მერე ქალს გავიტაცებ და ჩემი გულის საიდუმლოს გადავუშლი მეთქი. მეგონა ჩემს გულწრფელ აღსარებას ქალიშვილის თანაგრძნობაც მოჰყვებოდა. ამიტომაც ვცემე არენდაძეს. რკინის ჯოხი კი არ ჩამირტყამს, როგორც მან მოგახსენათ, არამედ ჩხუბში გამოვიწვიე, ვაჯობე და დავჯაბნე. ჯაბანს აბა რით არ ამჯობინებდა ესმა ჩემს თავს? ასე ვფიქრობდი მე მაშინ და აზარტში შესული ვცემდი არენდაძეს გონების დაკარგვამდის. მარტო მე ვცემდი, ასე რომ, ეს ბიჭები არაფერ შუაში არიან — და ხელი თავის მეგობრებისკენ გაიშვირა. — მერე ის იყო გავიტაცე ის ჩემი ესმა, მთელი ორი დღე ვეფერე და ვემუდარე, ამით რომ არაფერი გამოვიდა, გაჯავრებულმა თმით ვათრიე და ვცემე, გა-

დავწყვიტე დამემორჩილებინა, გამეტეხა მისი ჯიუტობა, მერე სად წამოვიდოდა? რომ ვცემე, იმ დღეს დამნებდა კიდეც, უტიფრად განაცხადა გენიოსამ — და მეც დავმშვიდდი. ის, ვინც პირველად ჩემთან იყო, მერე ხომ გივის არ დაუბრუნდებოდა. არც გივი მოინდომებდა გაუპატიურებული ქალის შერთვას. მეორე დღეს ქალიშვილიც მოლბა. თითქოს ბედს შეურიგდა, მთხოვა ერთი დღით გამიშვი შინ და ხვალ საღამოზე სადგურზე შევხვდეთ, მზადა ვარ თბილისში გამოგყვეო. მე ვირწმუნე თვალცრემლიანი ქალიშვილის ნათქვამი და შევცდი. აქ რაღაცნაირად ამოიგმინა გენიოსამ, დიახ შევცდი. ჩემგან რომ წავიდა, შინ კი არ წასულა, წყალში გადავარდნილა, აბა მე ხომ ეს არ მინდოდა! არა, არა, დამიჯერეთ, ეს მაინც დამიჯერეთ, სხვას ხომ არაფერს გთხოვთ, არ მინდოდა, არ მინდოდა...

პირველად გატყდა ეს თავზეხელაღებული ბიჭი და ცრემლები მოერია.

პროკურორი ახლა არენდაძეს შეეკითხა:

— როგორ გგონია, თქვენი მსხვერპლი ხომ არ გახდა ესმა? გენიოსასაგან გაუპატიურებული ესმა შენთან რომ მოსულიყო და ეამბნა, რაც გადახდა, როგორ მოიქცეოდი?

— მაინც შევირთავდი .ცოლად, გენიოსას კი მოვკლავდი.

პროკურორმა არ დააცალა:

— თუ ასეთი ვაჟკაცი იყავი, ის როგორ იკადრე, რომ შენივე ხელით დაწერილი ბარათით მოუყვანე შენი სატრფო გენიოსას?

— არა, მე ხომ მოგახსენეთ, როგორც იყო — შეწუხდა, სიმწრის ოფლმა გადაასხა, ძლივს გაიღო სიტყვა, — სხვა გზა არ იყო. მერე ისიც ხომ გითხარით, რომ ძალით დამაწერინეს წერილი, თვითონ მიკარნახეს სიტყვები, ხომ გითხარით, ხომ გითხარით, სხვა რა გინდათ ჩემგან! — ბავშვივით ასლუკუნდა გივი. მე იმის იმედი მქონდა, რომ ესმამ არ იცოდა ის ადგილი, სადაც ჩვენ ვიყავით, თანაც ისეთ სულელს, როგორიც ტაგუა, არ ენდობოდა და არ გამოყვებოდა მეგონა...

— სულელიც ხარ და მეტიც! — ზმუილით მიაყვირა ტაგუმ.

ახლა ტაგუს მიუბრუნდა პროკურორი:

— აბა რა გეგონა, ტაგუ, ასეთ ხალხს რომ დარაჯად უდგებოდი, დიახ, ზარისტებისა და ქურდების დარაჯო, შენ ხომ კარგად იცოდი, ესენი რომ ზარს თამაშობდნენ? — და ხელი პროკურორმა ბრალდებულებისაკენ გაიშვირა.

— არა, არ ვიცოდი, ზარი არ ვიცი რა არის, არც არასოდეს მითამაშნია. მე დარაჯობა მევალებოდა. ისინი იქ რას აკეთებდნენ, იმას აბა მე ვინ მკითხავდა!

ტაგუს არ დაუჯერეს და გააჩერეს. ახლა მოსამართლემ ჰკითხა ტაგუს.

— ზარისტების ყარაულობას ის არ გერჩია, რომ სადმე გემუშავნა?

— ჰო, მემუშავნა, მემუშავნა! — ლუღლუღებდა ტაგუ — მერე და ვინ გამუშავა, აბა ჰკითხეთ ამ სადგურის უფროსს, რამდენჯერ ვთხოვე „ნასელჩეკად“ დამაყენე-მეთქი, დამაყენა? დამაყენა? — აღრიალდა ტაგუ, — დამაყენა კი არა, ბაქანზე არ მაჩერებდა, ბარგით ხელში რომ დამინახავდა, ჯოხით მომდევდა... — ძლივს გააჩერეს ტაგუ.

„რობუს“ საქმის სხვა მონაწილეებიც დაჰკითხეს. მერე მოწმეების დაკითხვაც დააძთავრეს და შესვენება გამოაცხადეს.

ბრალდებულებში მე ყველაზე ახლოს გივის ვიცნობდი და ჩემი მზერაც მასზე შევაჩერე. მამამისი ყოფილი პარტიული მუშაკი იყო. პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა. აქამდე ასე ვიცნობდით, მაგრამ დიდი ხანია არ მინახავს და ვაითუ ისიც გადაგვარდა! არა, ეს შეუძლებელია! ისევ გივის შევხედე.

გარეთ თოვდა, ხვავრიელად თოვდა. თოვლმა ამოავსო „რობუც“ და ხევიც. მთელი დღე თოვდა, გადაუღებლად. ამ ლამაზი მთების შვილი გივი არენდაძე ახლა ფანჯარასთან ზის და გაჰყურებს თოვლით დაფარულ თავის საყვარელ მთებსა და ველს და თითქოს გრძნობს, რომ ამ მთების უღირსი შვილის საქმე ხელიდან წასულია, დღეს თუ არა, ხვალ მისთვის არც თოვა იქნება და არც წვიმა, არც დღე მზიანი... გივიმ სკამიდან უცებ ბრაგვანი მოადინა და იატაკზე გაიშხლართა. ჰისცივდნენ, საიდანღაც ექიმი მოიყვანეს და მოასულიერეს. მან ახლა პირველად იგრძნო, რომ ამ ქვეყანაზე არსებობს სირცხვილი, მას კი ეს სირცხვილ-ნამუსის ქუდი თავიდან მოუძვრია და ლაფში გადაუსვრია გენიოსას გადამკიდეს.

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა დარბაზში გაბმული ზმუილი გაისმა. თვალით ტაგუ მოვძებნე ის იჯდა თავისთვის, მშვიდად. მოვიხედე — ეს გივია, გივი, პატარა ბავშვივით ტირის და ზლუქუნებს... დარბაზში მსხდომნი შევყურებთ ამ ოც წელს მიტანებულ ვაჟს და ყველანი ვგრძნობთ, რომ ეს გენიოსას მსხვერპლია, სუსტი ნებისყოფის ბავშვი ხელში ჩაუგდია და სულით ხორცამდე უწვალებია, დაუტანჯავს, დაუჯაბნია მასზე ძლიერსა და ხელაღებულ გენიოსას. ამას კი ვგრძნობ, როგორღა ვუშველოთ, გენიოსას მსგავსი ბანდიტების ხელში ჩაგდებულ ბიჭუნას? არა! ახლა უკვე ყველაფერი გვიან არის, გვიან — ჩემდა უნებურად გავიფიქრე“. ეგებ არ არის გვიან? ეგებ არასოდეს არ არის გვიან ადამიანისათვის ზრუნვა? და ისევ შევხედე გივის. სახეზე დაღლილობისა და სევდის ჩრდილი ეფინა. ეტყობოდა, რომ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა მის შინაგან არსებაში. თავის წლოვანებასთან შედარებით დაბერებულად მეჩვენებოდა.

შეადარეთ ერთმანეთს გივი და გენიოსა და თქვენ უმალვე მიხვდებით, რომ ბავშვს მარტო აღზრდა რას უშველის, როგორც დიდე-

ბული აკაკი ამბობდა, თუ ბუნებამაც არ გაიღო მოწყალება. დიახ, გენიოსა ბუნებით არის ბოროტი, ზნედაცემული. ბოროტება გამოსჩენია მის ყოველ სიტყვაში, მისი ყოველი პასუხი ძაღლის ღრენას უფრო ჰგავს, ვიდრე აღიარებას. არა, არიან გენიოსას მსგავსი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს პირქუშად, ზიზღით უყურებენ. გივის გული ჩიტივით ნაზი და მთრთოლვარე აქვს, ჯერ კიდევ არ არის გვიან მასში აღმოაჩინო და აღზარდო ადამიანი. იმის გულის სიმებს შერხევა უნდა და გაიღვიძებს, დიახ გაიღვიძებს სინდის-ნამუსი, რომელიც სადღაც დამალული ღვივის, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა მე ეს, ამ პასამართლო პროცესის დროს.

მარტო ამხილო ქურდი და ზარისტი და ადმინისტრაციული ზომებით გაუმასპინძლდე ცოტაა. არა, ეს არ კმარა. ეს არასოდეს იყო საკმარისი, მით უმეტეს ჩვენს დროს არა კმარა ეს. გზასაცდენილ ადამიანებს, თვით ქურდებსაც შველა უნდათ. ეს დახმარება თვით ოჯახში, სკოლაში, პიონერთა რაზმში, თუ კომკავშირში უფრო აქტიური, უფრო მებრძოლი უნდა იყოს, მაშინ გივისთანა ბიჭებს არ გაუჭირდებოდათ დასხლეტოდნენ ხელიდან გენიოსას მსგავს ბანდიტს, სასამართლოსაც და პროკურატურასაც მარტო გამოძიება, დამნაშავეების ჩვენი საზოგადოებიდან მოკვეთა კი არ აბარიათ, არამედ დახმარება, მეტი დახმარება ადამიანების მიმართ, აი, რა არის თავი და თავი! ისე კი არ არის საქმე, გონჩაროვის ობლომოვი რომ გოდებდა: „ადამიანი მომეცით მე, ადამიანი“... არა, არიან ისეთი ადამიანები, რომელთა მიმართ მორალის ქადაგება უნაყოფოა. რაც უნდა ეცადო, მაინც ვერ გააღვიძებ მათში კეთილ ადამიანებს. ისინი ბუნებით არიან ბოროტნი. მათ შეუძლია ბოროტება თესონ, სიძულვილი ანთხიონ, სიკეთის გამოჩენა მათს ბუნებას არ ძალუძს. ისინი თითქოს სადისტებად, მკვლელებად დაიბადნენ. და თუ ეს ასეა, მაშინ ამგვარი ბუნების ადამიანები აღზრდას, გარეგნულ ფაქტორებს ნაკლებად ემორჩილებიან, ან სრულიად იშვიათად ემორჩილებიან. არა? — იქნებ ვცდები მე ამაში, იქნებ შეიძლება იმგვარ ადამიანებშიც, როგორიც გენიოსაა, ვეძიოთ და აღმოვაჩინოთ ნაპერწკალი სიკეთისა, გამოვაღვიძოთ და აღვუნთოთ მოგიზგიზე სიკეთის, სიყვარულის გრძნობა. აკი გენიოსა ამტკიცებდა, რომ მას გულწრფელი სიყვარულით უყვარდა ესმა, — ნეტავ ასე იყოს და მე არ ვიყო მართალი. არა, გივი და მისთანანი მაინც სხვანი არიან. აქ კი უთუოდ აღზრდაა დამნაშავე. ისინი სათბურებში გამოყვანილ მცენარეებს ჰგვანან, მზამზარეულად რომ აჭმევენ და ასმევენ. პარაზიტიზმს, უდარდელობას, შრომისადმი გულგრილობას ბავშობიდანვე მიაჩვიეს ისინი. ინიციატივა, დამოუკიდებლობაც ბავშვობიდანვე წაართვეს მათ. სხვის ხარჯზე ცხოვრება მათთვის ნორმად იქცა. იმათ არასოდეს განუცდიათ გაჭირვებისა და შიმშილის შიში. ლუკმა პურისათვის ზრუნვა და ბრძო-

ლა მათ არ იციან რა არის. საკუთარი ხელით ფეხსაცმელიც არ გაუწმენდიათ, არც ტანსაცმელი, გამზადებული საჭმელი სამზარეულოდან არ გამოუტანიათ. ისინი ბავშვობიდანვე მიეჩვივნენ სხვის ხარჯზე ცხოვრებას, გადაჭარბებულ მეურვეობას და მოკვდა მათში დამოუკიდებლობის, ინიციატივის, აქტიურობის გრძნობა და ჩვევა და აქა ვართ ჩვენ დამნაშავენი, მშობლები, ოჯახი... დავეხმაროთ, ვუშველოთ ადამიანებს, მანამ ვუშველოთ, ვიდრე დანაშაულს ჩაიდენს. ეს ოჯახური და საზოგადოებრივი ვალია ჩვენი. ამ ფიქრებდან სასამართლოს თავჯდომარის ზარის წკარუნმა გამომთიშა.

ისევ გაგრძელდა სხდომა. სიტყვა პროკურორმა აიღო. ადგა ეს მაღალი, ხმელ-ხმელი სათვალიანი კაცი, ორივე ხელით დიდი ყვითელი პორტფელი აიღო და ტრიბუნაზე შედგა. შავი სათვალე მოიხსნა, პორტფელი გახსნა, მთელი გროვა ქაღალდებისა წინ დაიდო და კითხვას ისე შეუდგა, რომ ზევით არ აუხედავს. ბოხი, პათეტიკური ხმა გაისმა დარბაზში:

— ამხანაგებო! დამნაშავეობა, რომელსაც ჩვენ დღეს განვიხილავთ, დიდი ხანია აღელვებს კაცობრიობის გონებას. ეს არის ადამიანის მორალის, მისი საქციელის, ოჯახის, აღზრდისა და ამდენადვე ჯანსაღი საზოგადოების საკითხი. ჩვენი პარტია სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის ზრდასთან, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ადამიანების შეგნებაში კომუნისტური მორალის ჩამოყალიბებას. მაგრამ საიდუმლო როდია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბოგინობს წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი სოციალური წყლულები — მუქთახორობა, ლოთობა, მექრთამეობა, ქურდობა, ბანქოს და ზარის თამაში და სოციალისტური საერთო ცხოვრებისათვის შეუფერებელი ზოგიერთი სხვა დანაშაული.

აქ პროკურორმა მოიშველია მარქსიზ-ლენინიზმის კლასიკოსების ციტატები და ერთბაშად მოჭრა: ამგვარად თქვენს წინაშე, პატივცემულო მოსამართლენო, არიან ჩვენი საზოგადოების ხორცმეტები — ბანდიტები, კაცისმკვლელები, ზარისტები. მერე და ვინ არიან ისინი?

ეს რომ იკითხა, პროკურორმა საზოგადოებას გადახედა და თვითვე უპასუხა: ჩვენს საზოგადოებაში განთქმული ადამიანების შვილები: გიორგი არენდაძე ჩვენი რაიონის ხე-ტყის დამამზადებელი ქარხნის დირექტორია. ამ ამხანაგს ადრე უფრო პასუხსაგებ თანამდებობაზე უმუშავნია, მაგრამ აბა რა უნდა მოვთხოვოთ მას, ან როგორ შეუძლია ისეთ დიდ საწარმოო კოლექტივს, როგორიც ქარხნის კოლექტივია გაუძღვეს, როცა საკუთარი შვილი ვერ აღუზრდია. დიახ, მე, პირველად ყოველისა, ვაყენებ საკითხს სასტიკად დაისაჯოს არა მარტო სისხლის სამართლის დამნაშავე, ზარისტი გივი არენდაძე, არამედ მისი მამაც

გიორგი არენდაძეც, დიახ მამაც, ახლა გიორგი ბედენაძეს არ იკითხავთ? ეს პროფესიონალისტი ზარისტი და ჭურდია, რომელმაც იმსხვერპლა საუცხოო ქალიშვილი ესმა, ესმა, რომელსაც ჩვენი ხევის ვარსკვლავი შეარქვეს. ვინ არიან გენიოსას მშობლები? დედა ექიმია, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე აბარია, მამა — რაიფინგანის გამგე. ისინი, ტრიბუნაზე რომ ამობრძანდებიან, სხვებს უკითხავენ ლექციას მორალზე, ადამიანის სიცოცხლის სილამაზეზე, პატიოსნებაზე, თვითონ კი? არა, აქ სჯობს სიტყვა გენიოსას მივცეთ. აი, რას აჩვენებს იგი. პროკურორმა სქელ წიგნად აკინძული საქაღალდე გადმოიღო, გადაშალა და წაიკითხა ბედენაძის ჩვენება:

„მამას დიდძალი ფული ჰქონდა. ამ ფულებს საწერი მაგიდის უჯრაში ინახავდა. გასაღებს კი საგანგებო ადგილას დებდა. იმ დღეს დედა და მამა სამსახურში რომ წავიდნენ, გასაღები ამოვაცალე და უჯრა გავაღე. ასმანეთიანებისა და ხუთთუმნიანების შეკვრას ხელი არ ვახლე. იქვე ათმანეთიანებისა და ხუთმანეთიანების რამდენიმე შეკვრა იყო. ყოველი მათგანიდან თითო-თითო გამოვაცოცე, დავითვალე, ორასი მანეთი აღმოჩნდა. უჯრა ისევ დავკეტე. გასაღებიც თავის ალაგას დავდე. ის ფული იმავე დღეს დავხარჯე ჩემს ამქრებში. მერე, რაკი ასეთი იოლი წყარო ვიპოვე, მანამ არ მოვეშვი, სანამ ეს მამამ არ შემიტყო. იმ დღეს, როგორც იტყვიან, შავი დღე დამაყენეს. მამამ სხვაგან დაიწყო ფულის შენახვა. მერე მე იმ სხვა უჯრასაც მივაგენი. ისევ დატუქსვა მაკმარეს. მერე ასე ნაშოვნი ფულით იმ ჩემს ძმა-ბიჭებში სულ მალე გავითქვი სახელი და მოვიპოვე პირველობა. მერე რაც მოხდა, თქვენც იცით.

პროკურორმა კითხვა შეწყვიტა და განმარტა:

— მერე ის მოხდა, რომ, როგორც აქ აჩვენა გენიოსამ, ხუთჯერ ამოყო ციხეში თავი. მაგრამ მის გამოსწორებას არაფერი ეშველა. შინაური ჭურდობა, მერე ზარისა და ქაღალდის თამაში. მერე ციხე. კაცისმკვლელობა. აი, გენიოსას გზა. დიახ, ჩვენ მშობლები ხშირად პატარა საქმის წაყრუებით ვაფუჭებთ ჩვენს შვილებს. ეს რომ ასეა, მე კიდევ ერთ ადგილს წაგიკითხავთ ამ სამარცხვინო წიგნიდან.

და ისევ სქელი საქაღალდე აიღო პროკურორმა:

— „ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო. მაწყენინეს ამ პატარა ბიჭებმა, მაშინ ისინი ათი-თორმეტწლისანი თუ იქნებოდნენ. „რობუში“ პაპიროსს ეწეოდნენ, მე კი დარაჯად მიყენებდნენ. იმ დღეს ფული არ მომცეს. ამის გამო გავებუტე, დიდხანს არ ვეკარებოდი. მერე ისევ მოვნახეს, არ მომეშვნენ, დამიყვავეს, შემპირდნენ, ოღონდ წავოდი და ორმაგად გადაგიხდითო. მე ჯერ უარზე ვიყავი, მერე უცებ მოვიფიქრე, ამათ ვაჩვენებ სეირს, მე თუ ტაგუნია ვყოფილვარ-მეთქი და გავყევი.

პროკურორმა კითხვა შეწყვიტა. ისევ დარბაზს მოაელო თვალი და იკითხა:

— ალბათ მიხვდით, ეს ჩვენებური ტაგუნიას ჩვენებაა.

და ხელი ტაგუსაკენ გაიშვირა. ტაგუ ძაღლივით აღმუილდა, რაღაც გაუგებარს ბურდღუნებდა, მაგრამ პროკურორს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ისევ განაგრძო კითხვა:

— „დაღამებული იყო. მე კორდზე ვიდექი დარაჯად და ვხედავ ღამის სიბნელეში, როგორ ქაჩავენ პაპიროსს. ანთებული პაპიროსები ციცინათელებივით ანათებდნენ ღამის სიბნელეში რობუს. უცბად მოვიხედე და აგერ არ მოდის გივის დედა? და ის იყო ვიყვირე — არ მოხვიდეთ, არ მოხვიდეთ. ბიჭები პაპიროსს ეწევიან, არ მოხვიდეთ, არ შეხედოთ, — გავაბი ყვირილი. ამასობაში ბიჭებიც გამოცვივდნენ და ეს ქალიც ზედ შეეჩეხა თავის პაპიროსის მწეველ შვილს. დედამ იწივლა,— შენ აქ რა გინდა, შენ ამ დროს სახლში რატომ არა ხარო?—მერე რა მოხდა არ ვიცი, რადგან მე გავიქეცი. ეს ლაწირაკები უკან მომდევდნენ ყვირილით: ტაგუნია ბატის ქურდო, ტაგუნია ბატის ქურდო"! პროკურორმა შეწყვიტა კითხვა და კვლავ განმარტა: არა, პაპიროსის საქმე შეიძლება არ ღირდეს სათქმელად, მაგრამ ასე ყოფილა, დამნაშავეობა პატარა საქმით იწყება. ჯერ კიდევ სრულიად მცირეწლოვანი პაპიროსის წევას დაიწყებს, მერე კონიაკის სმას, მერე, ფული რომ არ ეყოფათ, ჯიბეში ჩაგიყოფს ხელს, ჯერ შინაურებსა და მერე გარეშესაც. ყოველივე ამას ზარის თამაში, ლოთობა, ქურდობა, უფრო დიდი მასშტაბის ქურდობა მოჰყვება ხოლმე, ამას კი — ციხე და სასამართლო.

აქ შეჩერდა პროკურორი და კიდევ ერთი ადგილი წაიკითხა ამ შავი წიგნიდან. „ჩვენ რობუში ხშირად ვიკრიბებოდით. იქ მარტო ზარს კი არ ვთამაშობდით, არამედ ზარის შემდეგ ქეიფსაც ვმართავდით. ამ ქეიფში ქალიშვილებიც მონაწილეობდნენ.

პროკურორი შეჩერდა და კვლავ განმარტა: —

— ეს ჩვენება მალხაზ შავაძისაა, რესტორნის „დაისის" დირექტორის შვილია. აქ ჩამოთვლილია ყველა ამ ქეიფში მონაწილე ქალიშვილების სახელი და გვარი. ზოგიერთი ამათგანი აქ, დარბაზში ზის. მათ გავაცანით ეს ჩვენება და ახლა აქ საჯაროდ არ მიმაჩნია საჭიროდ გვარისა და სახელების დასახელება. მე ასე მგონია იმათთვის გაკვეთილად ისიც კმარა, რომ ამ სამარცხვინო წიგნში მოხვდნენ. ჯერჯერობით ეს ვაკმაროთ მათ. ესა თქვა პროკურორმა და ისევ გააგრძელა კითხვა:

— ეს ქეიფი იმით გამოიხატებოდა, რომ ზარში მოგებული ბიჭი ჩვენი სადგურის ბუფეტში, ან მამაჩემის რესტორანში აქ სადგურზე მოსეირნე ნაცნობ ვაჟებსა და ქალებს დავპატიჟებდით. მერე, ტანგოს ვცეკვავდით, მერე...

— სჯობია აქ შევჩერდეთ, — თქვა პროკურორმა — საკითხი მე მგონია ნათელია. ასეთი ზარისტების ხმასა და მორალს აყოლილი ჩვენი პროვინციელი ქალიშვილებისა და ვაჟების ერთი ნაწილის ისტორია. ვინ არიან ისინი? სკოლის კურსდამთავრებულნი, შინ უსაქმურობისა და ძილისაგან დასიებულნი, საღამოს სეირნობაში რომ იკლავდნენ ჟინსა და ვნებას. ესენი მამათა და დედათა მდიდარ კალთებს ამოფარებულნი არიან. აქ ერთიც არ ურევია ჩვენი დაბის ნიჭიერი მოსწავლე მეჩაიე ქალიშვილი, მესიმინდე და მევენახე. ისინი, ვინც ალამაზებს და ამშვენებს ჩვენს სკოლებს, ჩვენს მინდვრებსა და ტყეებს, შრომის, გარჯის ადამიანები, შრომის ადამიანი პატიოსანიცაა. უპატიოსნესი და ზარისტები სწორედ რომ უსაქმური ადამიანებისგან იბადებიან. დიახ, შრომა და პატიოსნება ტყუპი ძმები არიან. შრომა არა მარტო საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის სათავეა, არამედ პირადი ბედნიერებისა და მორალის დაუშრეტელი წყარო.

იგი ცხოვრებასთან დამოკიდებულების ფორმაცაა. დიახ, შრომაში დაკავებულ კაცს დრო, დრო არა აქვს ავკაცობაზე ფიქრისათვის. თუ ბავშვის, მოზარდის, მოზრდილის სიკეთე გინდათ, შეუეცადოთ ბუნებისაგან ბოძებული მთელი ენერგია შრომაში დახარჯონ, დიახ, ფიზიკურ და გონებრივ შრომაში. შრომა სიამოვნების, მოთხოვნილების, მოწოდების საქმეთ უნდა ვაქციოთ. არ გეგონოთ, რომ ეს იაფფასიანი პროპაგანდა იყოს. არა, თქვენ თვით დააკვირდით აი ამათ, ამ ვაჟბატონებს. — პროკურორმა ხელი ბრალდებულისაკენ გაიშვირა და დასკვნის გამოტანა არ გაგიჭირდებათ...

პროკურორის სიტყვის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ ბრალდებულებს მიმართა:

— სასამართლოს დამატებით ხომ არ მოახსენებდითო რამეს?

ზოგმა იმათთაგანმა კიდევ რამდენიმე დამატებითი განმარტება მისცა სასამართლოსა და პროკურორს. შემდეგ ჩვენი ხევის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გამოვიდნენ. ხალხი, კი სულგანაბული იჯდა დარბაზში და ელოდა განაჩენს. გვიან საღამოს სხდომა შეწყდა. მოსამართლენი მეორე დარბაზში გავიდნენ. მეორე დღეს დარბაზში ისევ შემოვიდა სასამართლო. ხალხი ფეხზე წამოდგა. სასამართლოს თავმჯდომარემ ზარი ააწკარუნა და დარბაზი დაშოშმინდა. სასამართლოს თავმჯდომარე განაჩენის კითხვას შეუდგა.

— მთავარ ბრალდებულს გიორგი დიმიტრის ძე ბედენაძეს, დაბადებულს 1950 წელს, ხუთჯერ ნასამართლევსა და პასუხისგებაში მიცემულს ქალიშვილის გაუპატიურებისათვის, რის გამოც დაზარალებულმა თავი დაიხრჩო — მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. „ვაი დედა შენსაო“ დაიყვირა ქალმა და წაიქცა. ვიღაცეები მიეშველნენ და გარეთ გაიყვანეს გულზე შემოყრილი დედა. სასამართ-

ლოს თავმჯდომარემ განაგრძო განაჩენის კითხვა: გივი გიორგის ძე არენდაძეს, პანტელეიმონ სამსონის ძე ჯაბანაძეს, მალხაზ შოთას ძე შავაძეს — თვითეულს ცხრა წლის თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ახლა მეორე ალაგას იყვირა ქალმა „ვაი დედათქვენსაო, შვილებო“. ერთი ჰაღარა კაცი ადგა, ხელი მოჰკიდა იმ ქალს და ხმადაბლა უთხრა: „ახლა ყვირილი საქმეს ვერ უშველის, დროზე, დროზე უნდა გეზრუნა ქალბატონო“.

სასამართლომ ცალკე გამოყო ტაგუს საქმე, როგორც სულით ავადმყოფისა, პროკურორმა ამის გამო პროტესტი განაცხადა:

— ტაგუ არც ისე სულელია — ამტკიცებდა პროკურორი — როგორც თავს გვაჩვენებს. იგი უშუალო მონაწილეა ამ საქმისა როცა წვიმდა და თოვდა „რობუს“ ნაცვლად ტაგუს ოთახში თამაშობდნენ ზარისტები და მისი ადგილი აი, იქ არის, — და ხელი ბრალდებულებისაკენ გაიშვირა პროკურორმა.

— არა, მე რა დაგიშავეთ, მე რა შუაში ვარ, ხალხო, — აყვირდა, აღმუვლდა ტაგუ და ტრიბუნისაკენ გაიწია. ვიღაცამ ხელი ჩაავლო აღმუვლებულ ტაგუს და გარეთ გაიყვანა.

ტაგუ, როგორც „დებილი“, სასამართლო განაჩენისაგან გაათავისუფლეს, მაგრამ იმ დღეს რომ ჩაიკეტა თავის ოთახში, მერე გარეთ გამოსული არავის უნახავს. ერთხანს ვიღაც დედაბერი უვლიდა, ბოლოს ისიც დაითხოვა თურმე. ტაგუ ერთი კვირის წინათ უნახავთ მკვდარი თავის ოთახში. მეზობლები დაფაცურდნენ, უპატრონოაო, და დასაფლავების თადარიგს შეუდგნენ. ტაგუს სიკვდილი რომ გაიგეს, მეორე დღესვე ვიღაცეები გამოჩდნენ. მერე ამ ვიღაცეების მეოხებით იმ დღეს, დასაფლავების დღეს იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ჩვენი სადგურის პატარა მოედანზე ტევა არ იყო. ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩაჩოსულმა ვიღაც საეჭვო პირებმა დიდის ამბით დაასაფლავეს ენაბლუ, დებილად აღიარებული ტაგუ.

ყველას უკვირდა ეს სასწაული.

მწერალთა კავშირში ერთი სკამია...

ესკიზი

მწერალთა კავშირში ერთი სკამია. სასახლის სხდომათა დარბაზში ტრიბუნის წინ როიალის გვერდით დგას ეს სკამი: ოდნავ გრძელი და ვიწრო, ცხენის უნაგირს, ან უფრო სწორად, მეგრულ ორფეხას რომ მიაგავს. რაც მე მწერალთა კავშირი მახსოვს, ამ სკამზე კონსტანტინე გამსახურდია იჯდა, ან ცარიელი იყო იგი. დარბაზი ხალხით გაჭედილი რომ ყოფილიყო მას არავინ მიეკარებოდა, არც არავინ დაჯდებოდა მასზე მწერალთაგან. იგი კონსტანტინეს უცდიდა, კონსტანტინე ბატონს ელოდა. მოვიდოდა, ხომ კარგი, ბატონი კონსტანტინე დაჯდებოდა იმ სკამზე, არ მოვიდოდა, — იყო ცარიელი და ელოდა თავის პატრონს. ასეც მომხდარა: ზოგი მისდაუნებურად დამჯდარა ამ სკამზე. კონსტანტინე გამოჩნდებოდა თუ არა დარბაზში, ხანში შესული იყო იგი, თუ ახალგაზრდა, სტუმარი, თუ მანდილოსანი, უმალ გაეცლებოდა სკამს. მე 35 წელიწადი შევცქეროდი ამ სცენას და არც არასდროს გამკვირვებია ეს სკამი ასე ტაბუდადებული რომ იყო.

ახლა, დგას ეს ერთგული და უწყინარი საგანი განმარტოებით და ელოდება თავის პატრონს, პატრონი კი არსაიდან სჩანს...

მწერალთა კავშირში ერთი სკამია. ამ სკამზე მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდია ჯდებოდა. ჰოი, რამდენი მღელვარე შეძახილი და რეპლიკა ახსოვს ამ დარბაზს, მისი პატრონისა. კონსტანტინე გამსახურდიას მეტწილად აკრიტიკებდნენ ამ დარბაზში, ვიდრე ადიდებდნენ და მაინც ეს პატივი მუდამ ჰქონდა: ამ სკამს კონსტანტინეს სკამი ერქვა და არც არავინ დაჯდებოდა სხვათაგანი ამ სკამზე. ის ტაბუდადებული იყო, კონსტანტინესაგან ტაბუ დადებული. ახლაც ისევ იმ ადგილას დგას ეს სკამი და ელოდება თავის პატრონს, მაგრამ ამაოდ...

შევცქერი ცარიელ სკამს და მინდა მოვიგონო მისი პატრონის ნათელი სახე: კაფანდარა, ჯიშიანი მწევარივით წელშეწეული, საშუალოზე მაღალი, თავზე ბოხოხის ქუდით, სპილენძისფერი სახე, ქარგული კეხიანი ცხვირი, გრძელი თითები, მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე სმარაგდის ბეჭედი: შავი წარბ-წამწამი, მსხვილი, ბრიალა თვალები, — ელვა რომ გადაურბენდა კამათის ეშხში შესულს. კრძალვის აღმძვრელი გამჭვალავი შემოხედვა, დიდი ესთეტი. არც არავის უნახავს უსტილოდ ჩაცმული. სწამდა შეგონება: ადამიანმა თავის გარეგ-

ნობას ისეთივე ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც თავის სულსაო. ხან ეროვნული სამოსი ეცვა — შავი, ქართული ჩოხა, თეთრი დარაიის ახალუხი, წელზე ვერცხლის ქამარი ერტყა, ქამარზე ქართული სატევარი ეკიდა, მუდამ წვერმოპარსულს უფრო ახალი მოდის კოსტუმი ეცვა და ხელში ჯოხი ეჭირა. ამ ჯოხსა და ბოხოხის ქუდს როიალზე დადებდა და ჯდებოდა როიალის გვერდით მისთვის განკუთვნილ სკამზე...

სიკვდილის მელანქოლიას ოდნავადაც არ შეედრება ის დიდი მწუხარება, რომელსაც ახლა ამ ობლად შთენილი სკამის შეხედვა აღძრავს ჩემში...

კონსტანტინე გამსახურდიას ქორული თვალებით შევყურებ ამ სკამის წინ აღმართულ ტრიბუნას და მე ვუახლოვდები იმ დღეებს, როცა ქუხდა და ზანზარებდა ამ დარბაზის კედლები, ამ ტრიბუნაზე შემდგარი ჩვენი დიდი წინაპრების სიტყვების ექოთი... თითქოს ყურში მესმის კონსტანტინე ბატონის სიტყვები: „ყოველივე ქართული სიტყვა ბაჯაღლო ოქროა... არც ერთი მარცვალი სიცარიელეში არ ჩავარდება. ყოველივე ხმაურობა ამ ქვეყანაზე ადრე თუ გვიან გამოძახილს პოულობს. მით უფრო ადამიანის სიტყვა. რადგან ჩვენ სიტყვის ლოთები ვართ, რადგან ჩვენ სიყვარულის ლოთები ვართ, და მშვიდობაც არ უწერია ჩვენს ბობოქარ სულს, რადგან ორლესეული მახვილი ვარვარებს ჩვენს პირში... დღისით და ღამით ისე ვებრძვით ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს... ენა ქართული — მყინვარივით გულზვიადი, ენა ქართული — ზღვასავით ულევი, ენა ქართული თასმასავით მოქნილი, ენა ქართული—ღმერთების ენა! როცა მისი გენია შუბლზე მკოცნის, მაშინ ორლესეული მახვილი იელვებს ჩემს პირში, და ასე მგონია მე თვითონ ვარ გამოუთქმელის წარმომთქმელი ღმერთი და მებადება ახალი ტემა: უნდა დავწერო მეორეჯერ ქება დიდებულისა ქართლისა ენისა“...

მწერალთა კავშირში ერთი სკამია. ეს სკამი პატრონს ელოდება... ასე მგონია, ეს ეს არის, ბატონი კონსტანტინე დარბაზში შემოვა და ამ სკამს მიუჯდება, მაგრამ ამაოდ... შევცქერი უპატრონო სკამს და ამ წუთში ვგრძნობ თუ რა საცოდავია ჩვენი წარმოდგენა და რა საშინელი ყოფილა სიკვდილი. წამიერი მოლანდება გადაურბენს დარბაზს და ისევ გაისმის ამ სკამის პატრონის სიტყვები: „ისევ აქა ვარ, ჩემს მიწაზე! ყოველთვის, როცა უცხოეთიდან საქართველოში ვბრუნდები, ასე მგონია, ხელმეორედ დავიბადე, მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა. მე არსად მინახავს ასეთი თეთრი აქატის ღრუბლები, ისე ტკბილი, გამშვირვალე ჰაერი. არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ უდის სხვაგან. ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება“...

რა მოსაწყენი იქნებოდა ჩვენი მწერალთა კავშირის დისპუტები და კრებები, რომ ამ დარბაზს დიდებული პატრონები არ ჰყოლოდათ. ერთი

ამათგანი კონსტანტინე ბატონი იყო. მათი აჩრდილები გვასწავლიან თავმდაბლობას, სათნოებას და შეუპოვრობას, გრიგალის მოლოდინში უშიშრად დგომას... და მიჭრის დრო განუზომელი, დაულეველი, უსაზღვრო დრო. დროთა ამ დაუსრულებელ სრბოლაში მათი ნამოქმედარი და ნამამაცარი ახელებენ ჩვენს ფანტაზიას, გვაქეზებენ, გვამხნევებენ, ტრიბუნებიდან გადმომდგარი მათი ლანდები...

— „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად, და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე, უდიდესი სიამე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება...“

მწერალთა კავშირში ერთი სკამია... მოდი ავწიოთ მაღლა, სულ მაღლა ეს სკამი, მერე მწერალთა სასახლის სალონის ბუხრის წინ დავდგათ. გარშემო მოვავლოთ კანაფის დაგრეხილი სარტყელი და ზედ წავაწეროთ: „ამ სკამზე კონსტანტინე გამსახურდია იჯდა“.

ძ ა გ უ ლ ი

გაზაფხული წვიმებით შემოვიდა კოლხეთში... განუწყვეტლივმა წვიმებმა არც ჩაის პლანტაციების გასხვლა დააცალა სოფელს და არც ხვნა-თესვა.

მაისის მიწურულში იძალეს აღმოსავლეთის ქარებმა და გადარეკეს ცაზე გოროზად დაზვინული ჯიქანსქელი საწვიმარი ღრუბლები. გამოიდარა თუ არა, სოფელი ერთპირად გავიდა სამუშაოდ. პატარა მდინარის ჭალებში ტრაქტორის გუგუნი გაისმოდა, გლეხკაცები სიმინდს თესავდნენ, ხოლო მდინარის გაღმა ფერდობზე შეფენილ ჩაის პლანტაციებს ქალები შესეოდნენ და ავსებდნენ წელზე მიმაგრებულ კალათებს. მეც დილაადრიან ფართობისაკენ გავსწიე, გზაზე მესტუმრეთუხუცეს მეწისქვილესთან შევიარე. თომამ წისქვილის წინ დაგდებულ მუხის გრძელ მორზე გვერდით მომისვა და ეს ამბავი მიამბო.

— ძველად, აი, იმ გორაკზე, — მეწისქვილემ მარჯვნივ მიაშვირა ხელი, — ცაცხვები რომ მოჩანს იმ ალაგას, გიორგი პატონსქუა სახლობდა. მწიგნობარი კაცი იყო იგი, მაგრამ მისი სახელი ჩვენს სოფელს არ გასცილებია. ახლა კი მთელს რესპუბლიკას ენა-პირზე აკერია ჩვენი სოფლის სახელი, გაზეთს გადაშლი, თუ ტელევიზორს მოუსმენ, ყველგან ჩვენზეა საუბარი, ერთ გაზეთში ჩემი წყლის წისქვილის ფოტოსურათიც იყო აღბეჭდილი, და ყველაფერი ეს იმ მეჩაიე ქალის, ძაბული დარჯანიას წყალობით. აბა, ვინ წარმოიდგენდა, უბრალო გლეხის ქალი ძაბული სოფელს სახელს უფრო გაუთქვამდა ვიდრე დიდებული პატონსქუა? ეს სასწაული ჩაიმ და შრომამ მოიტანა, ჩემო ბატონო. — ესა თქვა და ფეხზე წამოდგა მოხუცი, თვალებზე ხელები მოიჩრდილა, — ჰა, აგერ ზურგზე კალათა მოკიდებული ქალი რომ მოდის, სწორედ ისაა ძაბული, ხომ ხედავ უკვე გავსებული კალათა ჩაის მწონავთან მოაქვს. ქალი რომ მოგვიახლოვდა, ქუდი მოიხადა და ისე შიესალმა მას მეწისქვილე, მაშინვე მეც წამოვდექი. ქალმა თავაზიანად დაგვიკრა თავი, ღიმილი მოგვაფრქვია და იქვე ახლო ჩაის პუნქტს მიადგა.

უკან მობრუნებულს დაჟინებით დავაკვირდი. უბრალო ჩითის კაბა ეცვა, ჭაღარამორეული მუჭის ოდენა ორი ნაწნავი წელამდე წვდებოდა, ამაყად მოაბიჯებდა. გადატანილ მწუხარებას თვალის უპეების გარშემო ნაოჭებით დაიჩრდილა ტანკენარი ქალის ხორბლისფერი სახე. წლებს მაინც ვერ შეემუსრა პირველშობილი სილამაზე, კვლავინდებურად პირმშვენიერი იყო თვალმაისა ძაბული.

ტრავმაგადატანილი ქალი შრომაში ჰპოვებდა უზენაეს შვებას:

— შრომა ფოლადის სიმტკიცეს და კეთილშობილებას ანიჭებს ადამიანებს, — ამბობს მეწისქვილე.

— სანთლით რომ ეძებოთ მშრომელ ადამიანში ცრუსა და ორპირს ვერ იპოვნით. ისინი გულმართალი და ხელმართალი ადამიანები არიან.

დარჯანიები შრომით და პატიოსნებით იყვნენ ცნობილი. სწორედ რომ ბედნიერების კერა იყო ეს ოჯახი. მიხა და დესი დარჯანიების ბედნიერება და სიამტკბილობა ომმა დაარღვია. დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, მიხა მეორე დღესვე ფრონტზე გაიწვიეს. შინ დესი და დედისერთა ძაბული დარჩნენ. მთელმა სამმა წელმა ისე ჩაიარა, რომ არც მიხას წერილი და არც რაიმე ცნობა მის შესახებ ოჯახს არ მოსვლია. ომში წასული მამა არ ჩანდა. აწრიალდა ოჯახი. ძაბული წერილებისა და შეკითხვების გზავნას მანამ არ მოეშვა, სანამ პასუხი არ მიიღო. 1943 წლის აპრილს დეპეშა მოუვიდა დარჯანიების ოჯახს: სტალინგრადის ბრძოლაში გმირულად დაიღუპაო ლეიტენანტი მიხა დარჯანია. დესიმ მეგრული კივილით ამცნო სოფელს ქმრის დაღუპვა. გულშემზარავად ტიროდნენ დედა და შვილი. იმ დღეს მთელმა სოფელმა შეიცხადა დაღუპული ჯარისკაცი. ამ მოთქმა-ზარში განსაკუთრებით გულდამწველად ისინი ტიროდნენ, ვისაც უკვე მოესწროთ შვების ჩაცმა ომში დაღუპულ ქმარ-შვილის გამო. შავებით შეიმოსა დედა-შვილი. მთელი ორმოცი დღე ანთებული თაფლის სანთლით შემოუვლიდა ეზოს და თქმით ტიროდა დესი. ომის მძიმე წლებმა და ქმრის დაღუპვით გამოწვეულმა უნაპირო მწუხარებამ მწყობრიდან გამოიყვანა ეს ცნობილი მეჩაიე ქალი. ახლა დედის ნაკვეთსაც ძაბული უვლიდა.

უთენია მიადგებოდა ჩაის ფართობს. ახალგაზრდული შემართებით ზურგზე კალათას მოხერხებულად მოირგებდა. მერე წელში მოიდრიკებოდა და ჩაის ბუჩქებზე ისე რიტმულად ათამაშებდა თითებს ვით როიალის კლავიშებზე პიანისტი. იმ დღესაც ასე იყო. დასავლეთიდან ქარი დაიძრა და ღრუბლები ბუჩქებს შორის გაიბლანდა, ისე ჩამობნელდა, რომ გაძნელდა ჩაის დუყების გარჩევა. მალე თქეშიც წამოვიდა. წვიმის წვეთები ჭიამაიებივით დაცოცავდნენ ჩაის ფოთლებზე. ძაბული მაინც არ მოეშვა კრეფას, სანამ პირთამდე არ გაავსო კალათა. ასე იყო მუდამ. დარსა თუ ავდარში.

ვაზივით ფრიად შრომატევადია ჩაი, მაგრამ — მომგებიანია. ვაზს ათასი მტერი ჰყავს. სეტყვით დაწყებული და ჭრაქით დამთავრებული. არც ჩაის აკლია მტერ-მოყვარე, — მაგრამ იგი უფრო გამძლეა, თუ გაირჯები, მოუვლი და ოფლს დაღვრი, ნაყოფსაც მოგცემს ფრიად გასახარელს. შრომისაგან წელში გაიზნიქენ კოლხეთის ეს ულამაზესი ასულები, სამაგიეროდ ჩაიცვეს და დაიხურეს, გაჭირვება და სიღატა-

კე განდევნეს სოფლიდან, არა ხელმეორედ აშენდა სოფელი. ისე კი უშრომლად არც არასოდეს უჭამია კაცს პური. შრომას მაშინ აქვს მადლი, როცა მისი ნაყოფით გაიხარებს ოჯახი, ასეა, ჩაის დიდი შრომა ჰირდება, მაგრამ დიდი სიმდიდრეც მოუტანა სოფელს.

— ძაბული ადრე დგებოდა, ძროხებს მოწველიდა, ქათმებს სიმინდს დაუყრიდა, ხბორებს გრძელი თოკებით ეზოში დააბამდა, ძროხებს ეზოდან გადადენიდა და ჩაის პლანტაციას მიაშურებდა. ფართობისკენ მიმავალს თან მიაცილებდნენ შარაგზაზე ურმების ჭრიალი, შუკებიდან ძროხების ბღავილი, ეზოებიდან ხბორების ზმუილი. სოფლის ბოლოს, სასიმინდე ფართობზე ტრაქტორი გუგუნებდა. ჩაის კრეფას, რომ შეუდგებოდა, მერე კი არაფერი ესმოდა გარდა ფოთლების შარიშურისა...

ძაბული სოფლის თვალი იყო. მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. საშუალო სკოლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მასთან მეგობრობაში ქალები და ვაჟები. XI კლასში ყველაზე უფრო დათო გაბუნია დაუახლოვდა. დათომ რამდენჯერმე სახლამდე მიაცილა თვალმახარა ძაბული, რას არ უყვებოდა თანაკლასელს, მაგრამ ისე გაიწვიეს ფრონტზე, სიყვარულის გამხელა ვერ მოასწრო. პირველი წერილი ნალჩიკიდან სწორედ ძაბულის მოსწერა. დათო მღელვარებით იგონებდა სკოლაში გატარებულ დღეებს, კურსდამთავრებულთა საზეიმო საღამოს, თმაგადაპარსულ ბიჭებს — ყველაზე სასაცილო მე ვიყავიო... არა ძაბული? ეს იყო და ეს, სიყვარულზე პირდაპირ საუბარს განერიდა ამ ბარათებში დათო, მაგრამ ძაბული გრძნობდა, სტრიქონებს შორის კითხულობდა ვაჟის სათქმელს. ბოლო ბარათში იმასაც წერდა, ეს ომი სულ მალე დამთავრდება და მე რომ შინ დავბრუნდები ყველაზე პირველად შენთან მოვალ და ჩემს ნამდვილ სათქმელს მაშინ გეტყვიო. ეს წერილი გალაქტიონის სიტყვებით მთავრდებოდა: „უსიყვარულოდ არ არსებობს თვით უკვდავება“...

1945 წლის მაისში ომში წასულთაგან ყველაზე ადრე დათო დაბრუნდა. დათო იმავე დღეს შეხვდა ძაბულის. ხელი მაგრად ჩამოართვა, მაგრამ კოცნა ვერ გაბედა. ომგადახდილი ჯარისკაცი ღელავდა, ენა ებმოდა. როცა მღელვარება დაიოკა, ასე უთხრა: ჯარმა სიტყვაძვირობას მიმაჩვია, იქ გიბრძანებენ და ვალდებული ხარ შეასრულო. რასაკვირველია მე ვერც გიბრძანებ და ვერც გაიძულებ, მაგრამ შენ იცი ფრონტიდან ყოველ თვე გიგზავნიდი ბარათებს. ალბათ თანა გაქვს ის წერილები, არა? — კი, სასოებით ვინახავ მე იმ შენს სამკუთხედად დაკეცილ საველე ბარათებს, — ესა თქვა და კმაყოფილებით გაუღიმა ნაომარ ვაჟკაცს, — ჰოდა, ის წერილები არაფერს ეუბნებოდნენ შენს გულსა და სულს?

— როგორ არა! მაგრამ მაინც იგავები ჰარბობდა პირდაპირ თქმას.

— რაკი ასეა, ახლა ჯარისკაცურად პირდაპირ გეტყვი. სკოლიდან-

ვე გეტრფოდი, ამას შენცა გრძნობდი, თუ არ ვცდები, წერილებსაც იმიტომ გწერდი, ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ ამდენი ხნით ნალოლიავებ გრძნობათა შეურაცხყოფა იქნებოდა, ახლა თავიდან რომ დავგვეწყო სიყვარულობანას თამაში, მოდი ხვალე წავიდეთ და ხელი მოვაწეროთ ჰა!

ძაბული თითქოს ელოდაო ამ წინადადებას, მაგრამ ასე ერთბაშად ნათქვამმა შეაკრთო, დათო თვალანთებული შეაჩერდა ქალს, ძაბულიმ თავი დახარა და ნელი ხმით უპასუხა — როგორც შენ გენებოს...

მაშინ კი გაბედა და აკოცა ვაჟმა ქალს, და ამით ყველაფერი ითქვა, შინ მობრუნებულმა ძაბულიმ ეს დედას ამცნო. ავადმყოფმა დედამ გულში ჩაიხუტა მთლად ათრთოლებული შვილი. გონს მოსულმა ასე უთხრა ძაბულის. ცოტა კიდევ მოგვეცადა, ეგებ ის უბედური მამაშენი დაბრუნდეს. ეს დაღუპვის ცნობა ეგებ შეცდომა იყოს. აკი ჩვენ მეზობელ ბათუს ოჯახსაც მოუვიდა ასეთი ცნობა, მაგრამ ხომ ჩამოვიდა ის კაცი? ეს თქვა და ტირილი მოერია დესის. მე მგონია ეს სასწაული რომ მოხდეს მამას გაეხარდება ეს ამბავი, არა? — დათო ხომ კარგა ბიჭია დედა! ჭო ნანა! — როგორც შენ გაგიხარდება ისე იყოს, ჭო ნანა! თუ დაბრუნდა ის უბედური ამ საქმეს უთუოდ მოგვიწონებს. ისევ ცრემლებმა იწვიმეს დესის თვალებიდან...

დათოსა და ძაბულის ქორწილი იმ კვირას გაიმართა ჩვენს სოფელში. ეს ომგადახდილი ჯარისკაცის პირველი ქორწილი იყო. ძაბულის წლისთავზე ტყუპი ქალიშვილები შეეძინა. შვილები, რომ სკოლაში მიაბარეს იმ წელს დათო ავარიაში მოჰყვა. ალბათ, გაგეგონებათ, 1954 წლის აგვისტოში დიდი საავტომობილო ავარია, რომ მოხდა ნაქალაქევთან, ტეხურის იმ ძველ ვიწრო ხიდიდან გადავარდა ავტობუსი და შიგ მსხდომი 22 კაცი ერთპირად დაიღუპა. აი, იმ ავარიაში მოჰყვა ძაბულის ქმარი. ძაბულიმ მეორედ ჩაიცვა შავები. ხოლო მეორედ მოსული უბედურებისაგან თვალებჩანაცრული ავადმყოფი დესი ლოგინად ჩავარდა.

საყვარელი ქმრის დარდს ალბათ გადაყვებოდა ძაბული შვილებისათვის ზრუნვასა და მუშაობას რომ არ ეხსნა.

— კი, კი ბატონო, ირწმუნებოდა მეწისქვილე. შრომამ, შრომის მაგიურმა ძალამ უშველა ამ ქალს.

ძაბულიმ გაჭირვებაში გამოამჟღავნა ენით გამოუთქმელი ნებისყოფა, იგი შრომაში პოულობდა თავდავიწყებას. მისთვის თითქოს ჩვენს დიდებულ რუსთაველს ეანდერძებინოს. „ჭირსა შიგან გამაგრება“... მეწისქვილემ ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხისტყაოსანი“, საუბარში მოხერხებულად ურთავდა რუსთაველის აფორიზმებს.

გაუჭირდა ძაბულის ბავშვების, ავადმყოფი დედის და ორი, მამისეული და ქმრისეული ოჯახის მოვლა. დათო დედისერთა იყო, მამაც

და დედაც ფრონტზე დაეღუპა: დედა ექთანი იყო, გამოკეტილი სახლი დახვდა ომგადახდილ ჯარისკაცს. ახლა დოვლათით სავსე ორივე ოჯახს ძაბული პატრონობდა. ასე ფიქრობდა ძაბული: ორი ქალიშვილის დედა ვარ, ერთზე მამისეულ სახლში ჩავისიძებ ვინმეს და დარჯანიების კერას არ მოვშლი, მეორეს ჩემთან გაბუნიების ნაფუძარზე დავამკვიდრებ და არც გაბუნიების კერას გავაცივებ მანამ მე ფეხზე ვდგევარო. და ორი ოჯახის ეზო-კარისა და მისთვის მიჩენილი ჩაის ფართობის მოვლა მძიმე ტვირთად აწვებოდა გამწარებულ ქალს. ახლა, ახალი უბედურება დაატყდა ძაბულის, წლის თავზე დედა გარდაეცვალა, კიდევ ერთხელ დარეკა გლოვის ზარმა ძაბულის ოჯახში, მაინც არ შედრკა ქალი. შრომის მაცოცხლებელი დვრიტა იდუმალი ძალით აღავსებდა სევდით დასეტყვილს მის სულს. ძაბულიმ იცოდა: დარდი თუ მოერია ადამიანს, მონად გაიხდის და დააგლახავებს, მაგრამ დარდს თუ მოერიე და ცხოვრებას ნაბიჯი აუწყე, შენი მომრევი არავინაა ამ ქვეყნად. დარდს შრომითა და რწმენით, შენი საქმის თილისმით თუ მოერევი, თორემ სხვა წამალი ჯერაც არ გამოუგონია მეცნიერებას დარდისაგან განსაკურნავად. ვისაც შრომის სიყვარული დვრიტად გაჯდომია სხეულში იმას დარდი ვერ მოერევა. შრომის ნიჭი ყველაზე მაღალი ნიჭია იმათ შორის რაც კი განგებას ადამიანებისათვის უბოძებია. ადამიანის სულის სილამაზის ყველაზე მაღალი გამოხატულება შრომაა, შრომით მოპოვებული სახელი, სულ ერთია პოეტი იქნება იგი თუ უბრალო მეჩაიე. მიხვდა ძაბული ისევ ჩაის პლანტაციებში გაბმულ მუშაობას უნდა გადაეტანინებია მწუხარება... უდრტვინველად იტანდა მძიმე გასაჭირს, უხმოდ უვლიდა ჩაის ფართობს და ორ ოჯახს. ბაწარივით შრომაში გაბმულ ძაბულის დარდისათვის აღარ ეცალა. ისე დაილეოდა დღე, ცაზე გამოკიდებულს ფიქრისთვის აღარ ეცალა. გვიან საღამოს ფართობიდან შინ დაბრუნებულს, ბავშვების ალერსი გულს გაუხალისებდა, ცხოვრებასთან ბრძოლას დააძლევინებდა და ისევ იწყებოდა მეორე დღე, შრომის დღე. ასე გრძელდებოდა თვეობითა და წლობით. ბოლოს ქალიშვილებიც მოესწრნენ და გვერდში ამოუდგნენ მეჩაიე ქალს. იმედი და რწმენა შემატა შრომაში წილნაყარ ცხოვრების ძახილს.

რაც ხანში შევიდა მით უფრო დამშვენდა. ბევრი უცოლოდ დარჩენილი მამაკაცი უთვალთვალებდა პირმშვენიერ ძაბულის. მაგრამ მისთვის ვერავის შეებედა ამაზე საუბარი. დიდი მორიდება ჰქონდათ ამ ულამაზესი და უმამაცესი ქალისა. ბოლოს მაინც გამოჩნდა ერთი რომელმაც შებედა ძაბულის. ეს კაცი ჩვენი კოლმეურნეობის ბრიგადირი ტაგუ შელია იყო; სოფელი ამჩნევდა სავსებით რომ შეიცვალა ეს უწყინარი ბრიგადირი, ავიზნით შეპყრობილივით დადიოდა და თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა, უიღბლოდ შეყვარებული ტაგუ დიდ-

ხანს ვერ უმჟღავნებდა თავის გულის ნადებს, მაგრამ ხომ გაგიგონია კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი ვერ დამალაო. სიყვარული ჭირსა გაჯ თუ ადამიანს შეეყარა იგი, უთუოდ თავს გამოყოფს სამზეოზე. და ასეც მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს ტაგუ გზაზე გადაუდგა მეჩაიე ქალს და უთხრა: ერთადერთი თხოვნა მაქვს — გულდასმით მომისმინო და სიტყვა არ გამაწყვეტინო, ვიდრე ბოლომდის არ გეტყვი სათქმელს — შეკრთა ქალი. ისეთი რა უნდა მითხრა ასე გულდაგულ რომ მაფრთხილებო: — რა ექნა აქამდის ვითმინე და ვიტანჯე, ვატყობ მეტის მოთმენა არ შემიძლია. ჯერ ისევ ჩვენი სოფლის სკოლაში ვსწავლობდით შენი თავი ჩემთვის რომ დავიგულე. შენ ჩვენს კლასში ყველაზე მშვენიერი და ყველაზე კეთილი იყავ, მაგრამ სკოლა ისე დავამთავრეთ, აქის თქმა ვერ გავბედე. ეს იმის გამოც, რომ შენ ის ჩემი მეგობარი დათო გაბუნია გეტრფოდა. ჩვენ რომ სიმწიფის გამოცდებს ვაბარებდით სწორედ იმ თვეს დაიწყო ომი. გემახსოვრება, მამაშენი, მამაჩემი და დათოს მამაც ერთად გავაცილეთ ფრონტზე. იმ თვის ბოლოს მეც გამიწვიეს. ომიდან რომ დავბრუნდი, შენ გათხოვილი დამხვდი. ბედს შევურიგდი, მაგრამ გულიდან შენი სიყვარული ვერ ამოვიგდე. მერე ის შენი უბედური ქმარი დაიღუპა, ჯერ კიდევ შავებიც არ გაგეხადა და დედაშენიც გარდაიცვალა. თუ შენიშნე, დედაშენის გლოვის დღეებში არ მოგცილებივარ. ხომ ასე იყო?

— ასე იყო, — თავაზიანად დაუდასტურა ქალმა, — მაგრამ ეს შენს კაიკაცობას უფრო მივაწერე, ვიდრე სხვა რამეს, — ეს თქვა და ისევ სმენად იქცა ქალი.

— მერე, — მღელვარებით განაგრძო ტაგუმ — დედა დიდხანს იგლოვე, ამასობაში შვილებიც წამოიზარდნენ, მე ომიდან მობრუნებულს შინ არავინ დამხვდა, მამა ფრონტზე დაღუპულა, დედაც ხომ მის დარდს გადაჰყვა. სულ მარტო დავრჩი, ახლაც მარტო ვარ. დიდიხანია გადავწყვიტე ეს ყოველივე შენთვის გულწრფელად მეთქვა, თან ღმერთს შევფიცე, თუ უარს მეტყვი, სხვა ქალის სახელი არ ვახსენო, — თქვა და მოწყალებით შეაჩერდა ქალს. თითქოს ახლა შენიშნაო — ქანდაკებასავით შემართული ტანი ოდნავ მოედრიკა ჩაის კრეფას, უზომო შრომას, მაგრამ გადაუმქრალი ეშხი და სიკეკლუცე ისევ შერჩენოდა ქვრივს, ხორბლისფერ სახეზე ოდნავ ჭორფლი შეჰპაროდა მუდამ მზეს შეფიცხებულ ძაბუნის, კაცი, რომ დაჟინებით ჩააცქერდა, ქალი ერთბაშად გაწითლდა, როგორც ეს უმწიკვლო და ზნეშეუბღალავ ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, მღელვარება დაიოკა და მშვიდად უპასუხა:

— რა დროს ჩემი გათხოვებაა, ბატონო ტაგუ, თავი ჭაღარით მაქვს დათოვლილი და გული სევდით დამეხილი. ჩვენს ასაკში ადამიანები გულწრფელნი უნდა იყვნენ, ამიტომ ერთსაც მოგახსენებ? პირველი სიყვარული და პირველი თანხმობის სიტყვა შენს ბაგეთაგან წარმოთქ-

მული ისევე განუმეორებელია, როგორც დაბადება და სიკვდილი. პირველი სიყვარული დაბადებასა ჰგავს. ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება. ასევე ერთხელ გვეწვევა ნამდვილი სიყვარული, გახსოვს ქართულის მასწავლებელმა XI კლასში კლასგარეშეთ საზეპიროდ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი რომ მოგვცა — „უსიყვარულოდ".

— როგორ არა.

— მაშინ ალბათ ისიც გახსოვს, რომ ეს დავალება კლასში მარტო დათოს ჰქონდა შესრულებული. მან საოცრად ნაზად და სევდიანად წაიკითხა ეს ლექსი. მთელი კლასი სულგანაბული უსმენდა. მეორე დღეს ყველამ ზეპირად ვიცოდით ეს ლექსი. არ დაგიმალავ, ამ ლექსით შევიყვარე მე დათო გაბუნია. შინ, რომ მიგაცილებდა, ჩვენ ერთმანეთს ამ ლექსის გამომეტყველებით წაკითხვაში ვეჯიბრებოდით. დათოს არც სიტყვით, არც ბარათებით არასოდეს აუხსნია ჩემთვის სიყვარული. ჩვენი სიყვარულის შუამავალი გალაკტიონის ეს ლექსი იყო. ცრემლი მოერია, სიტყვა ყელში გაეჩხირა, მაშინ სიტყვა ჩაურთო ტაგუმ.

— ამ ლექსში ასეთი სტრიქონებიცაა: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის, ხშირად პირველს სჯობს. იგი არ უხმობს ქარიშხლიან უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ მთებს, იგი არ უხმობს".

— არა, ჩემთვის პირველიცა და უკანასკნელიც დათოს სიყვარული ია. მე მას პირველი სიყვარულის სახით წავყევი და დღესაც არ განელებულა ჩემს გულში მისდამი ეს სიყვარული. დიახ „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჭრის, ტყე არ კრთება საშიხარულოდ. უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ". მე ასე მგონია, ჩემო ტაგუ, თუ ღმერთი არსებობს ამ ქვეყნად, ეს ღმერთი სიყვარულია. ჩემი სიყვარული და ჩემი სალოცავი ღმერთი დათოა. ჩემ თავთან მარტო რომ დავრჩები მე დათო გამომეცხადება და მას ვუკითხავ გალაკტიონის ამ ლექსს. ლექსის ბოლო სტრიქონებს, რომ დავამთავრებ — არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ! — მოლანდება გაქრება, ვით სულის ნათელის ეს ლექსი ხიდია ჩემსა და ჩემს გადამქრალ დათოს შორის. ამ ხიდს მე ჩემი ხელებით ველარ დავანგრევ.

ეს თქვა და ისევ მოეძალა ცრემლები ქალს. სული რომ მოითქვა განაგრძო: ახლა ჩემი ოცნება მხოლოდ ის არის, რომ ასე წვალებითა და დაგვით გამოზრდილი შვილები გზაზე დავაყენო, ჩემს გათხოვებაზე კი არა შვილების დაქორწინებაზე უნდა ვიზრუნო.

— მით უმეტეს ამ საქმეშიაც გამომიყენე მე, როგორც მეგობარი და იმ შენი შვილების მამის მაგიერი.

— სწორედ რომ მამის მაგიერის სახლში შემოყვანა იქნებოდა ჩემის მხრივ ღალატი შვილებისა და მათი მამის ხსოვნისა...

— არა, თქვენ ცდებით ძვირფასო, ღალატი აქ რა მოსატანია, ისე კი თქვენ გამშვენებთ თქვენი ეგზომ ერთგულება დაღუპული ქმრის მიმართ. აბა, ახლა ჩემს გულსაც კითხეთ, რა ეუყო ამ ოხერ გულს, ვერაფრით, რომ ვერ მოვერიე.

— რატომ გგონია რომ თუ სიყვარულს გამომიცხადებდი, მაშინვე დავეთანხმებოდი და უკან გამოგეკიდებოდი?

— ყოველ შემთხვევაში აქამდის მარტო არ დავრჩებოდი ჩემი დამეხილი გულით. მეცოდინებოდა მაინც შენი აზრი, სიყვარული უფრო მწვავეა, მაშინ როცა ადრესატს ვერ გაუმხელ. რასაკვირველია ნამდვილ სიყვარულს უარყოფითი პასუხი ვერ წაშლის, მაგრამ დროზე გამხელილს უფრო მოევლება, ვიდრე გაუმხელელს, ხომ გაგიგონია „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“. მე კი ახლა გიმხელ გულის ხვაშიადს. ამ მხრივ მართლაც ძალზე დავიგვიანე. მიზეზი? — მიზეზი ისევ შენა ხარ. ისე თაყვანს გცემდი, ისე გემონებოდი, რომ დღემდის ვერ გაგიბედე ის, რასაც ახლა აღსარების მსგავსად გიყვები. მე უშენოდ არ შემიძლია და ნუთუ ანგარიში არ უნდა გაუწიო ადამიანის ტანჯვას? თქვენი კეთილი გული მეც მინაწილე, ვითა ღმერთს ისე გთხოვ ამას. აქ ქალმა ბანზე აუგდო საუბარი.

მეორე დღესაც დაუდარაჯდა ძაბულის, ფართობზე მუშაობა უკვე დიდი ხანია, რაც დაემთავრებიათ ქალებს, მაგრამ ძაბული ისევ აგრძელებდა კრეფას. გვიან შეღამებულზე, რომ მიატოვა ფართობი შინ მიმავალ ქალს უკან გამოუდგა ბრიგადირი. ძაბულის არ ეამა ასე მოულოდნელი ადევნება ბრიგადირისა, მაგრამ ვერც უკმეხი სიტყვა აკადრა და მოთმინებით ყურს უგდებდა უკვე ნათქვამ და მოსმენილ აღსარებას კაცისას. ახლა ისე დაბნეულად და უგონოდ ყვებოდა ტაჯუ ადრე ნათქვამს, რომ ძაბული ნატრობდა ნეტავ მალე დამთავრდეს ეს გზა ფართობიდან ჩაის პუნქტამდეო. მწონავთან ცოტა ხნით შეყოვნდა, ბრიგადირის თავიდან ჩამოშორება სცადა, მაგრამ ამაოდ. სოფლის შარაგზაზე კვლავ აეკიდა. შეწუხდა ქალი, პირდაპირ უთხრა შინ მიმეჩქარება და ნუ მაყოვნებთ, თუ ღმერთი გწამსო.

— ღმერთო ჩემი ღმერთიც შენა ხარ და ჩემი ხატიც, ამ ბედნიერებას მაინც ნუ დამიშლი შენს გვერდით რომ ვიარო და შენზე ვილოცო, — ვით მორწმუნე ისე ევედრებოდა ქალს. ძაბულიმ ძალ-ღონე მოიკრიბა და ყური მიუგდო ლოცვასავით ნათქვამ სიტყვებს. თავგაბეზრებული იძულებული გახდა დაყვავებით ეთქვა.

— აკი გითხარით, დავაგვიანეთ მეთქი.

— სწორედ ახლაა დრო, ბავშვები დაიზარდნენ, დღეს თუ არა ხვალ დათხოვდებიან და შენ ჩემსავით მარტო დარჩები. იცოდე, შვი-

ლები, რაგინდ დიდი მოყვარულნი არ იყვნენ დედისა, მათ თავიანთი ოჯახი რომ ექნებათ, მერე გულითაც რომ ეცადოთ, ვერ იცლიან მშობლებისთვის.

— აბაში კი მართალი ხარ, მე ვერ ვუპატრონე დედას ისე, როგორც ეკუთვნოდა მას.

ახლა ამ დეტალს ჩაეჭიდა და მღელვარებით განაგრძო ტაგუმ-ჰოდა შენზე უფრო მზრუნველი შვილი დედას არ ჰყოლია. ცოლქმრობა ღმერთს იმისათვის უფრო დაუწესებია, რომ, როცა შვილები ოჯახებს მოეკიდებიან, ერთმანეთს უპატრონონ და მოუარონ.

ძაბული ყურადღებით უსმენდა, ზოგჯერ მწარედ ამოიკვნესებდა ხოლმე, ამით ისარგებლა ბრიგადირმა და სულის მოუთქმელად ჰკითხა

— ხომ ვარ მე მართალი?

ძაბულიმ თითქოს ახლა დააღწიაო თავი გაოგნებას და უპასუხა — მართალი ხარ, მეც მიფიქრია ამაზე, მაგრამ ვიმეორებ ახლა გვიანაა მეთქი, ვერ ვიქმ ამას. ეს თქვა და საღამო მშვიდობისა უსურვა ბრიგადირს. ახლაც ისე დასცილდნენ ტაგუ და ძაბული ერთმანეთს, რომ ბრიგადირის გულში იმედი ისევ ბოგინობდა და სიყმაწვილის ჟამინდელი სიყვარულიც უფრო მოეძალა.

იმ დღეს ისევ დაიმარტოხელა ძაბული ბრიგადირმა და ისევ გაუბა საუბარი, მაგრამ სათქმელს რიგიანად ვერ მოუყარა თავი, ამით ისარგებლა ქალმა და ახლა უფრო კატეგორიული ტონით უთხრა: მამის, ქმრისა და დედის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება მე შრომაში მავიწყდებოდა და ასე მოვაღწიე აქამდის, აწი კი, აღარავინ მჭირდება შემწედ და მეაბჯრედ. ჩემი მეაბჯრე ჩემი მოსწრებული ქალიშვილები და ჩემი თითებია. სხვა თანამდგომი მე არ მჭირდება, სანამ ჩაი არ გამოილევა ამ ჩვენს დალოცვილ პლანტაციებში... არა, ქმარი ახლა ჩემთვის ახალი ტვირთი იქნება და ზედმეტი საზრუნავი, მეყოფა საზრუნავად ჩემი შვილები. მე ისე გავზარდე ისინი, რომ ამაგს არ დამიკარგავენ და სიბერეში ქმარზე უფრო ისინი მომიელიან. ახლა ამით დაეამთავროთ ეს ჩვენი უსიამოვნო დიალოგი. გთხოვთ ამიერიდან დაივიწყოთ ყოველივე ის, რაც ითქვა და მეც დამივიწყო. იმოდენა სიწრფელე იყო ამ სიტყვებში, ისეთი ინტონაციითა და კილოთი იყო ეგი ნათქვამი, რომ ძაბულის ასე ეგონა არასოდეს გაუბედავსო ამის შემდეგ ამ თემაზე ბრიგადირი საუბარს.

ბრიგადირი კი სულ სხვას ფიქრობდა: ახლა ღმერთსაც არ დაუთმობდა, უკან დახევა რომ ეთხოვა მისთვის.

კოლხეთში აგვისტოს ხვატი იდგა. გვალვისაგან გათანგულ ჩაის ბუჩქებს ბარაქა და ხვავი დააკლდა. შეფერხდა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია. მეჩაიეები ბუნების ჭირვეულობას გამრჯე შრომით ებრძოდნენ და მაინც დღიურ დავალებას ვერ ასრულებდნენ.

კვირა საღამოს ზღვაურმა დაუბერა და დასავლეთიდან მორეკილმა ღრუბლების მორევმა ცა გადაბურა, ტაბაკონას მთა წინ გადაუდგა ზღვიდან დაძრულ მობალახე ღრუბლებს და ის იყო წვიმისაგან დამძიმებულმა ღრუბლებმა კოლხეთის ვაკეზე კალთები ჩამოიბერტყეს. ასე გავიდა გვალვა და მეხთატეხივით მოვიდა წვიმა. კვირა საღამოს დაწყებულმა წვიმებმა ორშაბათს უფრო უმატეს. ამ თავსხმაში ჩაის ფართობზე კაცი არ გაჭაჭანებულა ძაბულის გარდა. ძაბულიმ საწვიმარი გადაიცვა და დილიდანვე ფართობს მიაშურა. წვიმის მსხვილი წვეთები აშრიალებდნენ ბუჩქებს, ძაბულის გრძელი თითები ელვის სისწრაფით კრეფდა წვიმისაგან გაღვივებულ ჩაის ლორთქო ფოთლებს. ცა დაივრუხუნებდა და სქელ ღრუბლებს ელვა დახლეჩდა, დააპობდა, მერე მზისფერ სარტყელს შემოარტყამდა სამოსშეფხრეწილ ცას. ფართობისკენ მიმავალ ძაბულის ტაგუს სახლის წინ უნდა გამოევლო. იმ წვიმიან ორშაბათს, ოდა სახლის რიკულებიან აივანზე, სავარძელში იჯდა ტაგუ და პაპიროსს აბოლებდა დარდიან გულზე, მოიხედა და გზაზე მიმავალი ძაბული შენიშნა. გაოცდა! ამ თავსხმაში რა გაჭირვებია, საით გაუწევიაო, გამოდევნება დააპირა, მაგრამ უცბად შედგა, ალბათ ვინმე მეზობელთან თუ მიდისო, მაგრამ ეს ჩაის საკრეფი კალათა? დიდხანს იწრიალა აივანზე, მერე გადაწყვიტა ფართობს მოვინახულებო, ამ კოკისპირულმა წვიმებმა ხომ არ ავნეს რამეო. ეს მოიმიზეზა და ჩაის პლანტაციებისაკენ გაუდგა გზას. ძაბულის ფართობი სულ ბოლოს იყო. მკრეფავ ქალს მიესალმა. ჯერ მზეზე გარუჯულ პირსახესა და ხელებს, მერე ტანზე საწვიმარ შემოსალტულ ხორცსავსე სხეულს შეავლო თვალი და უცნაურად გაუღიმა ქალს, ქალმა გრძელ წამწამებიანი ცისფერი თვალები ისე მიაკვესა მამაკაცს, რომ ღიმილი ზედ შეაშრა ბრიგადირს. დაიბნა ტაგუ, ახლა კითხვა მიაშველა გრძნობამორეულ გონებას —

ამ წარღვნაში რამ გამოგიყვანა.

— ივლისის გეგმის შესრულებაში ჩამოვრჩით მე და ჩემი ქალიშვილები და ამიტომ გადავდე თავი.

ბავშვების ხსენებაზე კითხვა მოუნაცვლა ბრიგადირმა

— ბავშვები სად არიან ძაბული ეს ერთი კვირაა, პლანტაციებში არ მინახავს.

— ბავშვები გამოსაშვები გამოცდებისათვის ემზადებიან და ამიტომაც დღის მეორე ნახევარში არ გამომყავს სამუშაოდ.

— შენი ბავშვები უკვე დაიზარდნენ, ალბათ მალე გაგიფრინდებიან ხელიდან, გამომწვევად უთხრა ტაგუმ.

— მერე რა, ახალგაზრდა ბებია მოუვლის შვილისშვილებს, ხოლო ჩემი ქალიშვილები ჩემზე მეტს მოკრეფენ, ბრიგადირო, ჩაის.

— არა, მე ის მინდოდა მეთქვა, სანამ დროა, შენს თავს უნდა მიხედო მეთქი.

— მადლობა მომიხსენებია ჰკუის დარიგებისთვის, — ისევ მკვახედ უპასუხა ქალამ და კრეფა განაგრძო, ბრძოლაწაგებული კაცის სიფრთხილით შეავლო თვალი ბრიგადირმა ქალს. მართალია საწვიმარი თავსა და ტანს უფარავდა ძაბულის, მაგრამ პირსახეზე ქარიდან მონაბერი წვიმა წურწურით ჩამოდიოდა, ეს კი ღვთიური სათნოების იერით მოსავდა მის ხორბლისფერ სახეს. ოღონდ ეს ნაზი ქალი ოდნავ გააუხეშა მწუხარებამ და მძიმე შრომამ. მცირე შენიშვნასაც არ იტანდა. დღეს ბრიგადირსაც უკმეხად პასუხობდა. ასეთ რამეს არ მოელოდა ტაგუ და შედრკა.

იძალა წვიმამ, ახლა ამით ისარგებლა ბრიგადირმა და თხოვა თავი დაენებებინა მუშაობისთვის. გეგმა ისედაც შესრულდებაო.

— სხვისა არ ვიცი, მე კი გულისკარნახით ვმუშაობ და აქ მარტო გეგმა არაფერს შუაშია. ეს წვიმაც, ეს ჩაის ფოთლებიც, რომელთაც ასე გაიხარეს ამდენი გვალვის შემდეგ, მე სიამოვნებას და სიხარულს მანიჭებს, ამიტომაც ხალისით ვმუშაობ. მძაგს მოწუწუნე და მტირალა ადამიანები, თავზე რომ გვახვევენ თავიანთ გულის წუხილს.

ძაბული მანამ არ მოეშვა კრეფას, სანამ კალათა არ აავსო, ტაგუ იდგა და უსიტყვოდ ელოდებოდა ქალს. ახლა წინ ჩაის მწკრივებს შორის გაყოლებულ საცალფეხო გზაზე ძაბული მიდიოდა და უკან ტაგუ მისდევდა. ტაგუს ოცნება, ერთადერთი ბედნიერება და სიხარული ძაბულის გვერდით ყოფნა იყო. ისევ იძალა წვიმამ, მერეხად იქცა, სიარული გაჭირდა ტლაპოში. იქვე გზაზე განმარტოებით ბებერი მუხა იდგა. მუხაზე დიდი ზარი ეკიდა, რომლითაც მოუხმობდნენ ხოლმე დილააღრიან კოლმეურნეებს. ამ მუხის ქვეშ გადავიწვიმოთო, შესთავაზა ბრიგადირმა ქალს. მისდა უნებურად დაეთანხმა ქალი, ხეს შეეხიზნენ, ტაგუ სიხარულით ცას ეწია და ასე ინატრა: ნეტა საღამომდის არ შეწყდებოდესო ეს მერეხი. გადაუღებელი წვიმით ისარგებლა ტაგუმ და ჩაის ფართობზე შეწყვეტილი საუბარი განაგრძო, ქალი უზომოდ შესძრა ამ საუბარმა, პირსახე ჯერ ჩაის ფოთოლივით გაუმწვანდა, მერე ბამბასავით გაუთეთრდა და ერთბაშად მოუჭრა.

— არა, ისევ გინდა მაწყენინო ტაგუ? რამდენჯერმე გითხარი მეორედ გათხოვებაზე ფიქრიც კი გვიანაა-მეთქი.

— გვიან რად არის?

— თქვა ტაგუმ და ქალის ორივე ხელი გულში ჩაიხუტა. ხელებს მკერდზე უფრო და უფრო მაგრად იხუტებდა და ეველერებოდა ქალს.

— შემიბრალე, შეისმინე ჩემი, ბედის ტრიალმა შენი თავი მე პირველს არ მარგუნა, ახლა მაინც ნუ მკრავ ხელსო. გაბრაზდა და გაცეცხლდა ქალი, ძალით წაგლიჯა ხელები გახელებულ კაცს და გაიქცა.

უცებ გაისმა საშინელი გრიალი თითქოს ზეცა ჩამოინგრაო. იელვა და მეხმა მუხის თავზე გაიშხუილა, ფოთლები შეუტრუსა ხეს, ხოლო ტაგუ ერთბაშად მიწაზე გააკრა. გრიგალის ტალღა ძაბულისაც მიწვდა და წააბორძიკა, ბარბაცით შემოტრიალდა ქალი, გაფითრდა, მიხვდა, რაც მოხდა.

მიწაზე პირქვე დამხობილ ტაგუს მივარდა. თავჩაქინდრული უყვიროდა, მაგრამ ამაოდ, მერე ძლივს პირაღმა ამოაბრუნა ბრიგადირი. პირსახე და ხელებ გალურჯულ ტაგუს ზედა ტუჩი ოდნავ შეუტოკდა. ძაბულიმ გაიფიქრა ცოცხალიაო და კივილი მორთო, მერე მოიაზრა და ხეზე დაკიდებული ზარის თოკი ზედიზედ შეარხია. ზარმა საშინელი მოთქმით გადაუარა სოფელს. ამ თავსხმაში ატეხილ განგაშს ქალის კივილიც რომ შეერია, მაშინვე დაიძრა სოფელი. ხალხი ზედ ფოთლებდანახშირებულ მუხას მიადგა. მეხითგანაბზარი ბებერი მუხის ჭირას პირაღმა ესვენა ტანვეება ტაგუ. თავზე ჭირისუფლად ძაბული ადგა, გაშეშდა ხალხი. ქალებმა წივილ-კივილი მორთეს, კაცებმა ქუდები მოიხადეს, მოხუცები პირჯვარს იწერდნენ, მერე სახელდახელოდ გამზადებულ საკაცეზე დაასვენეს ბრიგადირი და სოფლისაკენ გაემართნენ...

საცარი სიკვდილით მოკვდა ტაგუ. ასე სიზმარივით გათავდა ყველაფერი. ამ ამბის შემსწრე მარტოდმარტო ძაბული იყო. სხვა შემთხვევაში ათასგვარ კუდს გამოაბამდნენ ამ ამბავს. მით უმეტეს, ყველამ იცოდა ტაგუს უიღბლო მიჯნურობის ამბავი, მაგრამ სოფელმა ძაბულის აქაც ვერ შეჰბედა აუგად ხსენება. ძაბულის უმწიკვლო ქალის სახელი აქვს სოფელში და, აბა, ბრალს ვინ დადებდა იმაში შვილები რომ არ მიატოვა და ტაგუ შელიას არ გამოეკიდა. სწორედ ტაგუს ახირებულობით, თვით ძაბულიმაც სულ ერთი წამით გაასწრო სიკვდილს იმ საბედისწერო დღეს...

— ამის შემდეგ ათი წელი გავიდა. ძაბულის ქალიშვილები დათხოვდნენ. ძაბული კი ისევ და ისევ თავს დასტრიალებდა თავის საყვარელ ჩაის ფართობს. ამას წინათ ტელეგადაცემა მიუძღვნეს „მწვანე ოქროს დედოფალს“ — ეს თქვა მეწისქვილე თომა ალანიამ და ზეზე წამოდგა. ფქვილში ამოთხვრილი წინსაფარი ჩამოიბერტყა და დააყოლა: — შენ ისე ყურადღებით მისმენდი და იწერდი კიდეც იმ შენს წიგნაკში, ალბათ ამ ამბავს სადმე გამოაქვეყნებ, თუ ამას იზამ, მაშინ ნურც იმას დაივიწყებ, რომ ძაბული სხვა მხრივაც სანიმუშოა ჩვენში, ჩაიმ მართლაც დიდი ბედნიერება მოუტანა სოფელს.

ახლა ოჯახი არ არის, მოკრეფილი ჩაის ფულით ორსართულიანი სახლი არ წამოეჭიმოს ან „ვოლგა“ არ ედგას ეზოში. კი ბატონო, დიდი სიკეთე, დიდი სიმდიდრე მოუტანა ამ დალოცვილმა ჩაიმ სოფელს, მაგრამ ერთი მაინც გულსატკენია, ამ სიკეთეს დაშურებულმა ზოგმა

ოჯახმა ხელი აიღო ძროხაზე, ქათამზე და სხვა რამეზეც, რაც ასე ჭირდება სოფლის კაცს. ძაბული აქაც სამაგალითო გამოდგა. ნახირში სამი ძროხა დაუდის, ფრთოსნებს, ქათამს, ინდაურს თვლა არა აქვს. მისი ორი ღორი და 18 გოჭი ყოველ დილას ღრუტუნით მოადგება ამ ჩემს წისქვილს: ...სოფელი მაინც სოფელია და რას მიქვია იმისთანა მოწინავე მეჩაიე ქალი, რომელსაც პირუტყვი და ფრთოსნები გაუწყვეტია და სტუმარს ქალაქელი კაცივით ჩვენს კოოპერატივში ნაყიდი პურითა და ყველით ან ძეხვით გაუმასპინძლდება? ნუ დაუკარგავთ სოფელს თავის შნოსა და ლაზათს. ათი კაციც რომ მიუვიდეს სტუმრად ისე გაუმასპინძლდება, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ეზოდან არ გადავა.

საოცარი მოუბარი იყო მეწისქვილე თომა. ძველ მეზღაპრეთა დარად ერთბაშად მოგწუსხავდა, დაგიმორჩილებდა, მოგაჯადოვებდა და გაიძულებდა გულდასმით გესმინათ მისთვის, ვიდრე სათქმელს არ მოათავებდა. მეც ბოლომდის ვუსმენდი ტკბილმოუბარ მოხუცს.

ამბავი რომ მოათავა, მადლობის სათქმელად გავემზადე. შეატყო და დამასწრო — თავი თუ არ შოგაბეზრეთ, ერთსაც გეტყვი, სოფლის გამოჩენილი ადამიანები დიდი პოეტებივით არიან. ძაბულისთანა მშრომელი ადამიანები ამაღლებენ სოფელს, ზნეობრივ ღირსებას აღვივებენ ხალხში, რწმენით და იმედით დასახლებულ მისთანა ადამიანებს უამრავი მიმბაძველები უჩნდებიან ხოლმე. შრომაშიაც ბაძავენ და ჩაცმადახურვაშიც. დღეს ძაბულის რამდენიმე მეჩაიე ქალი ეჯიბრება მთელს რესპუბლიკაში.

წინ გამხედავი ადამიანი მუდამ ცდილობს სხვას არ ჩამორჩეს. ყოველ მშრომელ ადამიანში სთვლემს იდუმალი მისწრაფება — სამაგალითო რომ იყოს, მოწინავენი უბიძგებენ ამ გრძნობათა გამოღვიძებას. ახლა ძაბულის ბრიგადაში ათი ქალიშვილია, მასავით მოწინავე და გამრჯე. სოფელში ახალშობილ გოგონებს ძაბულის სახელს არქმევენ, ულამაზესს, უმამაცესს მას ამსგავსებენ...

თომა ალანიამ წისქვილის ქვების გრუხუნს ააყოლა ეს სიტყვა და თან გამომატანა, რათა იგი ხელმეორედ მომეთხრო თქვენთვის, ჩემო მკითხველო.

„პეტრიწონული წითელი“

ყოველ ერს გააჩნია ისტორიულად გამომუშავებული ნაციონალური ტრადიცია და ხასიათი, ყოველ ქვეყანას გამოკვეთილი გეოგრაფიული სახე აქვს. მაგრამ ისევე, როგორც ერთი ქვეყნის შვილი ხშირად ჰგავს მეორე ერის ადამიანს, ასევე სხვადასხვა ქვეყნებიც ხშირად ჰგვანან ერთმანეთს თავიანთი ისტორიული ბედითა თუ ლანდშაფტით. ვინც ბულგარეთში ერთხელ მაინც ყოფილა, ის ადვილად დამემოწმება, რარიგ მოაგონებს ეს ქვეყანა ჭართველ კაცს თავის სამშობლოს, რარიგ მახლობელია მისთვის. მახლობელია არა მარტო თავისი გმირული ისტორიით, ტრაგიკული წარსულით, არამედ თავისი ბუნებითაც: ცამდე აზიდული მთებითა და ლამაზი ბარით, მჩქეფარე მდინარეებითა და ხშირი გორაკებით, მდიდარი ბაღ-ვენახებით, მწვანით შემოსილი ალპური საძოვრებით და მიუდგომელი ციცაბო სალი კლდეებით. ასე მგონია, აქ ბევრჯერ ვყოფილვარ, ყოველი სოფელი და ყოველი ტყე-ველი ნაცნობია, თითქოს არა ერთხელ ფეხით დამივლია და მინახავს ყველაფერი ეს. ასეთი გრძნობა გიპყრობთ მაშინაც, როცა ბულგარულ მოხუც მწყემსებს ან სასოფლო კოოპერატივში გაერთიანებულ გლეხებს ხვდებით. როგორ იქნება, რომ მათმა საუბარმა, ქცევამ და სასიათმა, განსაკუთრებულმა სტუმართმოყვარეობამ — საქართველო არ მოგაგონოთ.

აი ამ ქვეყანაში მოვხვდი მე პირველად 1956 წლის დეკემბერში, როგორც წევრი სსრკ მწერალთა კავშირის დელეგაციისა. დელეგაციის შემადგენლობაში ხუთნი ვიყავით: უკრაინელი—მიხეილ სტელმახი, პოეტი და პროზაიკოსი, დაღესტნელი პოეტი — რასულ გამზატოვი, რუსი პროზაიკოსი — ნიკოლოზ ჩუკოვსკი, რუსი დრამატურგი — ვიქტორ როზოვი და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენ ბულგარეთის მწერალთა კავშირის სტუმრები ვიყავით.

ბულგარეთის დედაქალაქში, სოფიაში, 11 დეკემბერს ჩაეფრინდით. აეროპორტზე საზეიმო შეხვედრა მოგვიწყვეს; თვალცემცემა ბულგარელმა პიონერებმა ცოცხალი ყვავილები მოგვართვეს. მწერალთა კავშირის მდივანმა, პროფესორმა დინიკოვმა კი ბულგარულ ენაზე სიტყვით მოგვმართა: კეთილი იყოს თქვენი ფეხი ბულგარულ მიწაზე „ამ წინა საახალწლო დღეებშიო. მერე ყველას სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა და გულმხურვალედ გადაგვკოცნა. სხვები მიჰყვნენ მის მაგალითს, შემდეგ მანქანებში ჩაგვსვეს და სოფიაში წაგვიყვანეს. აეროპორტი

ზედვე აკრავს ქალაქს, ქალაქის ცენტრიდან იგი მხოლოდ სამიოდე კილომეტრითაა დაშორებული. დელეგაციის წევრები ქ. სოფიას ყველაზე უკეთეს სასტუმროში „ბულგარიაში“ მოგვათავსეს. მეორე დღიდანვე შევუდექით ბულგარეთის ქალაქებისა და სოფლების დათვალიერებას, ამ ქვეყნის შესანიშნავი ადამიანების გაცნობას.

სოფიაში ოთხი დღე დავყავით. იგი ერთი უძველესი სლავური ქალაქია. მისი ახალი უბნები იწყება გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმიდან. მავზოლეუმი, სადაც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბელადი ასვენია, ლენინის მავზოლეუმის ტიპისაა. სწორედ აქედან იწყება ქალაქის ახალი უბანი, რომელსაც დიდი მრავალსართულიანი სახლები ამშვენებს. ეს ახალი უბანი ზედმიწევნით გვაგონებს ქ. მოსკოვის ფართო განიერ ქუჩებს, მაღალ მონუმენტალურ შენობებს. ახალი შენობები ქალაქის საერთო სტილს ერთგვარად არღვევენ. ძველი ორსამსართულიანი სახლები უფრო მსუბუქი და ნაზი ჩანს. ამ საერთო ანსამბლში ეს ახალი უბანი საგანგებოდ გამოირჩევა. ისე როგორც საერთოდ დიდ ქალაქებს, სოფიასაც ერთიანი სახე არ აქვს. მის განსაკუთრებულ ღირსებას ის წარმოადგენს, რომ სოფია თითქმის მთლიანად მწვანეშია ჩაფლული. იშვიათად ნახავთ ქალაქს-ესოდენ მდიდარს მრავალნაირი პარკებით, ხეივნებით, ბაღებით. ეს დიდი სიუხვე ბაღ-პარკებისა დეკემბერშიაც თავისებურ ლაზათს აძლევს ქალაქს. სოფია ზღვის დონიდან 550—560 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. იგი ყველაზე დიდი ქალაქია ბულგარეთში, მთელი ბულგარეთის მოსახლეობის ერთი მეოთხედი სოფიის მოსახლეობაზე მოდის. სოფია — ბულგარეთის დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრია. მეორე, რითაც ყურადღებას იპყრობს ქალაქი, ისაა, რომ მისი ქუჩები მოკირწყლულია ლამაზი აგურისფერი კვადრატული ქვით. ასფალტს მთელ ქალაქში ვერსად შეხვდებით. სოფიაში დიდი მშენებლობა მიდის. ჩვენ დავათვალიერეთ ახლად აგებული სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოპერის თეატრი, პოლიგრაფიული კომბინატი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი შენობა. ჩვენ ვნახეთ ფაბრიკა-ქარხნები ლენინის, სტალინის, დიმიტროვის, კოლაროვის სახელობისა, ახალი მრავალსართულიანი შენობებით და კომბინატებით. ვნახეთ, თუ რა დიდი შემოქმედებითი შრომა სუფევს სოციალისტური ქალაქის ცხოვრებაში, ჩვენი გამცილებლები, ჩვენი მეგობარი მწერლები, დიდი სიყვარულით გვიყვებიან ყოველივე ამის შესახებ და თან დასძენენ — ეს დიდი შრომითი ტემპი ჩვენს ცხოვრებაში სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც ბულგარეთი სოციალიზმის გზას დაადგა, რაც იგი სოციალისტური სახელმწიფოების ოჯახში მტკიცედ დამკვიდრდაო.

1946 წლიდან ამ ახალი გზით მიდის დემოკრატიული ბულგარეთი.

ბულგარეთის სახელმწიფო წარმოიშვა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მე-7 საუკუნის ბოლოს. ტრაგიკული იყო ამ გმირი ხალხისა და მისი სახელმწიფოს ისტორია. 167 წლის განმავლობაში (1018—1185) იგი ბიზანტიის უღელქვეშ იყო, ხოლო ხუთი საუკუნე თურქთა მონობაში გაატარა. ურიცხვმა დამპყრობლებმა მაინც ვერ გასტეხეს ხალხის ნებისყოფა, ვერ ჩაკლეს მისი ეროვნული სული, ბულგარელმა ხალხმა მტკიცედ შემოინახა თავისი ენა, თავისი ტრადიცია, თავისი თვითმყოფობა. 1876 წელს ხალხი თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ აღსდგა. სისხლისაგან დაცლილი ხალხი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა. ამას მალე მოჰყვა რუსეთ-თურქეთის ომი. რუსეთის ხალხის დახმარებით 1878 წელს ბულგარეთმა თავიდან მოიშორა თურქი დამპყრობლები. მაგრამ ნამდვილი თავისუფლება ხალხმა მაინც ვერ მოიპოვა. დიდხანს გმინავდა იგი შინაური და გარეშე ბურჟუაზიის ექსპლუატაციის უღელქვეშ.

1923 წლიდან ხალხის ბრძოლას სოციალური და ნაციონალური სამართლიანობისათვის სათავეში ჩაუდგა კომუნისტური პარტია.

ამაოდ არ ჩაუვლია ბულგარელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ბრძოლას; 1944 წელს საბჭოთა არმიამ გაანთავისუფლა ბულგარეთი ფაშიზმის მონობისაგან, შემდეგ 1946 წელს სახალხო დაკითხვის შედეგად ბულგარეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. დღეს მას სათავეში უდგას მუშათა კლასის მოწინავე რაზმი — კომუნისტური პარტია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიმიტრი ბლაგოევმა 1891 წელს, ხოლო ბრძოლაში გამოწრთვნეს გიორგი დიმიტროვმა და მისმა თანამებრძოლებმა. არის ბულგარეთში მეორე პარტიაც — ბულგარეთის მიწათმოქმედების კავშირი. ეს არის წვრილი და საშუალო მშრომელი გლეხობის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს აღზარდოს თავისი წევრები სახალხო დემოკრატიის და სოციალიზმის სულისკვეთებით. ეს პარტია ჩამოყალიბდა 1899 წელს. მას საფუძველი ჩაუყარა ალექსანდრე სტამბოლსკიმ; მონარქიისა, რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბულგარეთის მიწათმოქმედების კავშირი აქტიურად მხარს უჭერდა კომუნისტურ პარტიას. ამ პარტიის წევრი გიორგი ტრაიკოვი ახლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. ყველაზე დიდი მასობრივი ორგანიზაცია ბულგარეთში სამამულო ფრონტია, რომელიც 1942 წელს შეიქმნა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლაც აერთიანებს უპარტიოებს, კომუნისტებს და მიწათმოქმედების პარტიის წევრებს. ბულგარეთში არის სხვა მასობრივი ორგანიზაციებიც: ახალგაზრდობის დიმიტროვის სახელობის კავშირი, პროფესიული კავშირი და სხვა. ყველა ეს ორგანიზაცია ადმინისტრაციულად თავმოყრილია ქ. სოფიაში.

ბულგარეთი კულტურული ქვეყანაა, დიდი ხანია აქ უკვე მომხდარა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ბულგარეთის დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში ორჯერ და სამჯერ გაიზარდა საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. დღეს ბულგარეთში 20 უმაღლესი სასწავლებელია 42 ფაკულტეტითა და 150 სპეციალობით. ამ უმაღლეს სასწავლებლებში 37000 სტუდენტი სწავლობს. 1954 წელს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიაზე სახელმწიფომ ორმოცდაათჯერ მეტი თანხა გაიღო, ვიდრე 1944 წელს. აკადემია, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი მეცნიერი, ფილოსოფოსი პაველოვი, 35 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს აერთიანებს. ბულგარეთში 27 დრამატული თეატრია, ხუთი სახელმწიფო ოპერა, 4 მოყვარულთა ოპერა, მუსიკალური ოპერეტისა და კომედიის 6 თეატრი, 12 სიმფონიური ორკესტრი. ბულგარეთი დიდად თეატრალური და მუსიკალური ქვეყანაა. ჩვენ ვიყავით ოპერის თეატრში. ეს ახლად აგებული ერთ-ერთი ულამაზესი საოპერო თეატრია, ძალზე საინტერესო თავისი არქიტექტურული ნაგებობით.

საოპერო თეატრში ჩვენ მოვისმინეთ პოლონელი კომპოზიტორის სტანისლავ მონიუშკოს ოპერა „გალკა“. შემდეგ მუსიკალური კომედიის თეატრში ვნახეთ „მშვენიერი ელენე“, ქ. პლოვდივის ოპერის თეატრში — „სევილიელი დალაქი“. დარბაზი ყველგან ხალხით იყო ვაჭედილი. ვიყავით სოფიის დრამატული თეატრის სპექტაკლებზე. ვნახეთ პიესა „ვიოტიშას ძირას“. ეს პიესა ეკუთვნის ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსს იავაროვს. მასში საინტერესოდ არის გაღმოცემული ავტორის თავგადასავალი. პიესის ავტორი პეიო იავაროვი გასული საუკუნის 90-იან წლებში რევოლუციური მწერლობის მეთაური იყო, ბულგარელი რევოლუციური პოეზიის ერთი მამამთავართაგანი. შემდეგ იგი ერთ ხანს სიმბოლიზმმა გაიტაცა, თუმცა მის შემოქმედებაში მტკიცედ შემოინახა სოციალური და რევოლუციური მოტივები. მწერალს ცოლის მოკვლა დააბრალეს. თავისი ტრაგიკული ცხოვრება მან თვითმკვლელობით დაამთავრა.

პიესაში ნაჩვენები ამბავია გადმოცემული: რევოლუციონერს ხრისტო ხრისტოფოროვს უყვარს ახალგაზრდა ქალიშვილი მილა. მილას ძმა სტეფანე დეპუტატად აირჩიეს. მას სურს თავისი და გაიძვერა ვექილს, ბურჟუაზიული მთავრობის ლაქიას გაატანოს. სტეფანე მატყუარობის გზით ახერხებს ჩაშალოს მილასა და ხრისტოს გულწრფელი სიყვარული. შეურაცხყოფილი მილა სახლიდან გაიქცევა და ტრამვაის ქვეშ ჩავარდება, გონებაშერყეულს, სიკვდილის პირზე მისულს სახლში მოიყვანენ. სიკვდილის წინ მას ინახულებს ხრისტოფოროკი. მომაკვდავი სატრფოს ნახვით შეძრწუნებული თავს იკლავს. ასე შეეწირა ორი ადამიანის გულწრფელი სიყვარული გაიძვერობას, კარი-

ერიზმს. ამ პიესაში არაჩვეულებრივად არის განსახიერებული ტრაგედია უბრალო ადამიანებისა, განსაკუთრებით ძლიერია სცენა სასაფლაოზე. შესანიშნავად თამაშობდნენ მსახიობები. მაყურებლებმა მათ გულთბილი, ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს.

სოფიაში ჩვენ ვიყავით მეორე დრამატულ თეატრში, რომელშიაც ჩვენი დელეგაციის წევრის, როზოვის, პიესა „გზა მშვიდობისა“ მიდიოდა. ეს საზოგადოდ ერთი საინტერესო პიესათაგანია საბჭოთა დრამატურგიაში. აქაც დიდი წარმატება ჰქონდა. სოფიაში ჩვენ შევხვდით პიონერთა სასახლეში პიონერებს. ვიყავით ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ვნახეთ რევოლუციის მუზეუმი. ამ მუზეუმმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე, თუმცა მუზეუმში რემონტი მიდიოდა და ჩვენ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი გვაჩვენეს. ეს არის 1940—44 წწ. პერიოდი. აქ გამოფენილი ექსპონატები, დიაგრამები, ფოტოსურათები, პირადი ნივთები თვალსაჩინოდ მოგვითხრობენ, თუ როგორ იბრძოდა ბულგარელი ხალხი, როგორ იბრძოდნენ მისი საუკეთესო შვილები — პარტიზანები ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ დოკუმენტებმა ცხადად დაგვანახეს შემაძრწუნებელი სურათი იმ ჯალათობისა, კაცისმკვლელობისა და სისხლის ღვრისა, რაც ფაშიზმმა მოუტანა ბულგარეთს. ამავე დროს თქვენ ნათლად ხედავთ, რომ ბულგარეთის ხალხი ვერ გასტეხა დევნამ და წამებამ. და არა მარტო ამ მუზეუმში ხედავთ მებრძოლი ადამიანების გაუტეხელ ნებისყოფის გამოხატულებას, არამედ ამასვე მოგვითხრობენ პარტიზანული სახლმუზეუმები სოფლებსა და ქალაქებში, ძეგლები და ბიუსტები პარკებსა და სკვერებში. ამ ძეგლებსა და ბიუსტებში თქვენ ამოიკითხავთ იმ პატივისცემას, რომლითაც ინახავს ხალხი თავის გულში თავდადებულ მებრძოლთა სახელებს. შემთხვევით როდი გვითხრეს ჩვენ ამ მუზეუმში: ჩვენი ყოველი სოფელი, ყოველი ქალაქი პარტიზანული მოძრაობის ცოცხალი მუზეუმიაო.

14 დეკემბერს პირველად გავედით ქალაქგარეთ, ვნახეთ ქალაქ სოფიას ახლო მდებარე მთა, რომელსაც ბოიანოს მთას ეძახიან. სოფიადან ის დაშორებულია ორიოდე კილომეტრით. მთის კალთაზე გაშენებულია უძველესი პატარა ეკლესია, ბოიანოს ეკლესია. როგორც წარწერა იტყობინება, აუგიათ იგი 1259 წელს მეფე არსენ კონსტანტინეს ძის ბრძანებით. ეკლესიის შიდა კედლები მთლიანად მოხატულია ფრესკებით — ჩვეულებრივი საეკლესიო თემები გასაოცარი ოსტატობით არის შესრულებული. ეს ყველაზე უძველესი ფრესკებია ბულგარეთის მრავალ მონასტერსა და ტაძარში შემონახულ ფრესკებს შორის. აქ ეკლესიიდან ხელმარჯვნივ, მთისაკენ მიიმართება ქვით მოკირწყლული გზა. იგი გადის ულამაზეს ნაძვნარსა და მუხნარში. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს გზა გარშემო უვლიდესო მთას. ამ ხე-

ების ჯარს შიგადაშიგ არყის ხეებიც გარევია, ცნობილი რუსული „ბერიოზა“. მანქანაში სამნი ვართ: ნ. ჩუკოვსკი, ვ. როზოვი და მე. ჩუკოვსკი გვიმტკიცებს, რომ ეს მთა ფუნიკულიორსაც მაგონებს და ბორჯომის ხეობასაცო, თუმცა მისი პეიზაჟი უფრო ღარიბია, ვიდრე ბორჯომის ხეობისა. აი, ხომ ხედავთ, „ბერიოზას“, თეთრ არყის ხეს. იგი რუსეთიდან მოსულა, მდინარე დუნაი გადმოულახავს და აქაც კარგად გრძნობს თავს, მაგრამ გასაოცარია, რომ ამ ხემ კავკასიის ქედი ვერ გადმოლახა და საქართველოში ადგილი ვერ დაიმკვიდრაო. ბაკურიანი მე რამდენჯერ მინახავს, მისი მსხვილ-მსხვილი ნაძვისა და ფიჭვის ხეები რუსეთის განთქმულ ნაძვნარებს მაგონებს ყოველთვის. ამგვარი ნაძვნარი საქართველოში სხვაგანაც მინახავსო, მაგრამ არყის ხე კი არსად შემხვედრიაო. გასაოცარია ეს მოვლენა — ამბობს ჩუკოვსკი...

რასაკვირველია, ნ. ჩუკოვსკის დაკვირვება არ არის მართალი (თუმცა მე იგი ვერ დავარწმუნე). ქართველი ბოტანიკოსების, სპეციალისტების მიერ საქართველოში „ბერიოზას“ რამდენიმე სახეობაა აღწერილი და მოხსენებული. და ეს აღწერილობაც რომ არ იყოს, ვისაც საქართველოში უცხოვრია, მისი ტყეები დაუთვალიერებია, უბრალო თვალის გადავლებითაც ადვილად შეამჩნევს ჩვენს ტყეებში გავრცელებულ „ბერიოზას“ — თეთრ არყის ხეს.

ბოიანოს მთა სოფიის მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილია. ქალაქიდან ყოველ კვირა დღეს ამოდიან აქ მთელი დღით. მოაქვთ სასმელ-საჭმელი. შუადამემდის ამ მიდამოში ხალხის ხმაური და ჟრიამული არ წყდება. მოდიან ისინი ვიწრო ბილიკებით, უფრო ახლო, პირდაპირი გზებით, პატარა ხევში მდინარის გაყოლებას რომ მისდევენ. ამ ბილიკების გასწვრივ, ყოველ ათ მეტრზე არყის ხეების სკამები დგას, მეტად მარტივი, ამავე დროს ორიგინალური და ლამაზი. წინათ აქ სოფიის არისტოკრატია ისვენებდა. ახლა ბულგარეთში ქვეყნის ბატონ-პატრონი მშრომელები არიან... ეს მთაც მათია და ეს პარიც, ეს ქალაქიცა და ყველაფერი ის, რაც მათი მარჯვენით შენდებოდა და შენდება ამ მშვენიერ ქვეყანაში.

საღამო იყო, როდესაც ქ. სოფიაში დავბრუნდით. მთას მოსარკული ცა დაჰყურებდა, კაშკაშა ვარსკვლავები დანათოდნენ, სოფიას კი ნისლი ებურა. ასეა ხშირად. სოფია მეტწილად ნისლში გახვეული ქალაქია. ამ მხრივადაც გამოირჩევა ბულგარეთის სხვა ქალაქებისა და ადგილებისაგან.

ბულგარელები სლავები არიან, სლავური კულტურის ერთ-ერთი პირველი მედროშენი ამ მიწაზე. მათი ენაც სლავურია და მათი ანბანიც. დღევანდელი მათი დამწერლობა ზედმიწევნით ემთხვევა რუსულს, ოღონდ მას რუსულისაგან განსხვავებით არა აქვს ы და е. სა-

მაგიეროდ აქვს მაგარი უ — რომელიც ყუს მსგავსად ისმის (მაგალითად იწერება България და არა ბულგარია). ვერც ბიზანტიელებმა და ვერც თურქებმა ვერ უცვალეს იერი მათს ანბანსა და ენას. რასაკვირველია. ბულგარეთს ბევრი საერთო აქვს როგორც ბალკანეთის სლავებთან, ისე კერძოდ რუსეთთან. ისინი რუსებს თავიანთ ძმებს უწოდებენ... ბოიანოს მთიდან რომ ჩამოვედით, სწორედ იმ საღამოს სასტუმრო „ბულგარიაში“ ბანკეტი იყო გამართული, აცილებდნენ იმ დღეებში სოფიის ოპერის თეატრში საგასტროლოდ ჩამოსულ საბჭოთა ბალეტის მსახიობთა ერთ ჯგუფს, რომელშიაც იყვნენ ლეპეშინსკაია, პრეობრაჟენსკი და სხვები (სხვათა შორის, ამავე ჯგუფში იყო ორი ქართველი — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან: დვალი და გუნაშვილი). ლეპეშინსკაიამ სიტყვით მიმართა ბულგარელებს: რუსულად ძმა და ბულგარულად ძმა ერთია, განაცხადა მან, სამშობლოსაც ერთნაირად წარმოვთქვამთ. დიახ, ჩვენ ძმები ვართ, ძმები, ყველაზე ახლობელი ნათესავები. ეს უდაოდ ასეა და ამას ჩვენ ყველგან ვგრძნობდით ბულგარეთის მიწა-წყალზე. მაგრამ ბულგარეთს დიდი კავშირი აქვს ჩვენთანაც, საქართველოსთანაც. შავი ზღვის გაღმა ისინი არიან და გამოღმით ჩვენ, შავი ზღვის პირას ბათუმის ხაზი რომ გააგრძელოთ, ბულგარეთის სანაპიროზე ნავსადგურ ვარნას მიადგებით. ჩვენს წინაპრებს უახლოესი კავშირი ჰქონიათ მათთან, ქართველთა დიდი კულტურული ცენტრი პეტრიწონი საკმარისია ამის საბუთად; მსგავსებას ქართველებთან თქვენ იპოვით მათს ტრადიციაშიც, ჩაცმულობაში, ქცევაში, ჰამა-სმაში.

განსაკუთრებით დიდი მსგავსებაა ბულგარულსა და ქართულ მუსიკალურ მელოდიებში; როცა მათ სიმღერებს ვუსმენდით, განსაკუთრებით ხალხურს, ასე მეგონა, ჩვენს ხალხურ სიმღერებს ვუსმენ-მეთქი. როდესაც ბულგარელებს „ქეთო და კოტეს“ კუპლეტები მოუსმენიათ, ეს მსგავსება თავათაც შეუნიშნავთ. ქართული ენა სრულიად განსხვავებულია ბულგარულისაგან, მაგრამ ამ რამდენიმე დღის ყოფნისას ბულგარელებისაგან ქართულის მსგავსი რამდენიმე სიტყვა გავიგონე. ბულგარელები სუფრას ეძახიან პატარა ჩვენებურ მრგვალ ტაბაკს, სოფლურ სუფრას რომ ჰგავს, და სუფრასვე უწოდებენ გაშლილ ჭაგიდას. არაყს — არაკს ეძახიან, ღვინო — ხომ ღვინოა, მაგრამ, რაც მთავარია, მათი საჭმელები და სუფრის წესი დიდად ჩამოჰგავს ქართულს.

სოფიიდან ჩვენ პირველად ქ. პლოვდივში გავემგზავრეთ. პლოვდივი ბულგარეთის მეორე დიდი ქალაქია, სოფიიდან სამხრეთისაკენ ასიოდე კილომეტრით დაშორებული, მას დედაქალაქთან აერთებს რკინიგზა და ფართო ასფალტირებული გზატკეცილი. სოფიიდან ჩვენ დილის ათ საათზე გავედით. დეკემბერია, მაგრამ თბილი, სამხრეთისათვის დამახასიათებელი მზიანი ამინდი დგას. ფართო საავტომობი-

ლო გზას ვაშლის, მუხისა და აკაციების ხეების რიგი გასდევს. ხეებს აქა-იქ ფოთლები კიდევ შერჩენია. ამ მართლაც ზღაპრულ ხეივანში მიქრის მანქანა, ქარი მიაქროლებს მიწაზე დაცვენილ ფოთლებს და მე მაგონდება გ. ტაბიძის სტრიქონები:

ქარით დატირებული, უნუგეშოდ შთენილი,
მიფრინავდა ფოთოლი, ხიდან გადმოფრენილი...

ო, ეს ფოთლები ფენილი ქარით,
ო, ეს მთვარე და ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ერთი მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?

ჩვენ უკან მოვიტოვეთ სოფიის განაპირა სახლები, ბაღის პარკები, ნისლით დაბურული ქალაქი. მიგვაქროლებს მანქანა და ბუნების სურათებიც იცვლება: რაც უფრო შორს მივდივართ სამხრეთისაკენ, ჰაერში მით უფრო იგრძნობა სითბო, ვაკეც უფრო სწორი და ვრცელი ხდება. ჩვენს მანქანაში პოეტი ტოდორ ხარმანჯიევი ზის. იგი ცნობილია, როგორც ანეგდოტების ოსტატი, და აი, გზადაგზა ნაირ-ნაირ ანეგდოტებს ჰყვება, განსაკუთრებით თურქი მოლების შესახებ. ჩვენ გვეუბნება, ეს ანეგდოტები იმ დროს ეკუთვნის, როცა ბულგარელი ხალხი გმინავდა თურქი დამპყრობლების უღელქვეშ და ჩუმად გულს იოხებდა მძაფრი სოციალური ანეგდოტების შეთხზვითო. პოეტი ტოდორი ახლა ამ ანეგდოტებს ბულგარეთის ისტორიის მოთხრობით სცვლის. იგი დიდი მცოდნეა ამ ისტორიისა და დიდი მოყვარული თავისი ქვეყნის წარსულის. თითონაც ბევრის გადამხედი კაცია.

ტოდორ ხარმანჯიევი ჩვენს დელეგაციას ბულგარეთის მწერალთა კავშირმა მოამაგრა. მეორე პოეტი, რომელიც ჩვენ დაგვყვებოდა სოფიაში, იყო ახალგაზრდა პოეტი ქალი ლილიანა სტეპანოვა, რომელსაც მოსკოვში აქვს დამთავრებული ლიტერატურული ინსტიტუტი. მისი ლექსების წიგნი რუსულად სამჯერ გამოიცა, იგი საინტერესო ლირიკოსი პოეტია, მას მთელი გატაცებით უყვარს თავისი დემოკრატიული ბულგარეთი, რა არ გვაჩვენა, რა არ გვირჩია, არ დაუზოგავს არც დრო, არც ენერგია, ოღონდ მეტი გვენახა, უკეთ გაგვეგო მისი ქვეყნის სიკეთე და მადლი. ნ. ჩუკოვსკიმ ამ ახალგაზრდა პოეტ ქალს სიყვარულით შეარქვა „დედსკი სადის“ მომვლელი, საბავშვო ბაღის ანალოგიით. პაპის (дед) სახელი სწორედ რომ შეეფერებოდა ჩვენს დელეგაციას. პოეტ გამზატოვის გარდა, ყველანი 50 წელს გადაცილებული ვართ. მივქრივართ. ტოდორი ახლა ისევ ანეგდოტებს უბრუნდება: მოლას ჰკითხეს, რამდენი წლისა ხარო, ორმოცდაათისაო, უპასუხა მან. გავიდა ათი წელი და ისევ იგივე კაცი შეეკითხა: რამდენი წლისა ხარო? ორმოცდაათისა, მიუგო მან. როგორ? გაიკვირვა შემ-

კითხველმა. სრულიად უბრალოდ, გულდამშვიდებით მიუგო მოლამ. მე სიტყვის კაცი ვარ, რაკი ერთხელ ვთქვი ორმოცდაათი, სიტყვის გადათქმა არ მჩვევიაო.

ახლა ტოდორი ლექსებს მიუბრუნდა. მან ზეპირად იცის პუშკინის, ბლოკის ლექსები. გვიკითხავს და გვიკითხავს ამ ლექსებს. წუთით არ ისვენებს. მეგობრულ საუბარში ისე გავიარეთ ეს გზა, არც კი გაგვიგია. ბოლოს როზოვმა ჰკითხა ამ კეთილ თანამგზავრს: ხომ არ დაიღალეთო. არაო, პასუხობს იგი და თან თავს აქნევს ჩვენებური თანხმობის ნიშნად — ზევიდან ქვევით. ჩვენ გვეგონა, რომ მართლაც დაიღალა და როზოვმა კვლავ გაუმეორა კითხვა, ტოდორმა კვლავ თავი დააქნია ზევიდან ქვევით. ძალიან გვიან მივხვდით, რომ ის, რაც ჩვენთვის თანხმობის ნიშანია, იმათებურად უარს ნიშნავს და პირიქით... კვლავ გავაგრძელეთ გზა როდობის მთის კალთების გასწვრივ, თრაკიას ველზე, გადავლახეთ მდინარე მარიცა, მანქანიდან მხოლოდ ერთი თვალი შევავლეთ მდინარეს. მარიცა არაგვივით დაუდგრომელი მდინარე ყოფილა, მაგრამ აქ უკვე მდორედ მიედინება. კიდევ რამდენიმე კილომეტრი და ჩვენ პლოვდივში შევედით. სამხრეთული ქალაქი ქუჩაში გამოფენილ აურაცხელი ხალხით შემოგვეგება. ინტურისტში დავბინავდით, მერე სასტუმროდან გამოვედით და ქალაქის დათვალიერებას შევუდექით, მაგრამ ისე სავსე იყო ქუჩა ხალხით, გვერდი ვერ ავუარეთ. სამხრეთელთათვის დამახასიათებელი ნელი ნაბიჯით მოდიან ცენტრალურ ქუჩაზე, ვასილი კოლაროვის სახელობის ქუჩაზე, თავშიშველა ახალგაზრდა ვაჟები და ქალები, ჭაბუკები და მოხუცები. ტევა არ არის. საერთოდაც ასე სცოდნიათ აქ სამუშაოს დამთავრებას შემდეგ. უმალ მომაგონდა ჩვენი რუსთაველის პროსპექტი. მაგრამ, მართალი გითხრათ, ასე მჭიდროდ ხალხი არასოდეს მინახავს რუსთაველზე, თუმცა აქაური ქუჩა უფრო პატარაა, ვიდრე ჩვენი პროსპექტი.

პლოვდივს ძველად ფილიპოპოლი ეწოდებოდა. ფილიპე იყო მამა ალექსანდრე მაკედონელისა. გიორგი დიმიტროვის თანამებრძოლის ვასილ კოლაროვის სახელობის ცენტრალური ქუჩის ხელმარჯვნივ იწყება აღმართი, რომელიც მიიმართება ქვით მოკირწყლული დაკლაკნილი გზით ბურანჯიკოს მთისაკენ, ახლა რომ გამანთავისუფლებელ მთას ეძახიან. ფეხით ავედით მთაზე, აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი ქალაქი. მას არც მწვანე ნარგავები მოსავს და არც ის სიმაღლე და მშვენიერება აქვს, რაც ჩვენს ფუნიკულიორს ამკობს, მაგრამ მაინც ლამაზია. ამ მთაზე აღმართულია ორი ძეგლი, ხელმარჯვნივ დაბალი და განიერი ობელისკი, 1878 წლის ბულგარეთის განთავისუფლების სიმბოლო, ხელმარ(ხვნივ კი უფრო მონუმენტალური ძეგლი დგას: 10 მეტრიან კვარ(ხლბეკზე აღუმართავთ 12-მეტრიანი ფიგურა რუსი

ჯარისკაცისა, რომელსაც ხელში ავტომატი უჭირავს. ამ მთის პირდაპირ რუდოპის მთა მოჩანს, საიდანაც იწყება საბერძნეთის საზღვარი. რუსი ჯარისკაცის ძეგლს ბულგარულ ენაზე აწერია: „დიდება უძლეველ საბჭოთა არმიას, ჩვენს გამანთავისუფლებელ არმიას“. მთიდან რომ ჩამოვედით, უკვე ღამე იყო. ქუჩის ბოლოს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეტლების მწკრივმა. წინ „ტაქსები“ იდგა, უკან კი — ეტლების ჯარი. მთელ ბულგარეთში ყველგან შეხვდებით ამ ძველებურ ეტლებს, ქუთათურ ეტლებს რომ ჰგვანან ზედმიწევნით. მანქანებთან ერთად ეს ფრიად გავრცელებული ტრანსპორტია ბულგარეთში. მართალია, ჩვენებურ „პობედებს“ ცოტა შეუვიწროებიათ ისინი, მაგრამ მწყობრიდან საბოლოოდ მაინც ვერ გამოუყვანიათ.

მეორე დღეს დილით დავათვალიერეთ პლოვდივის მუზეუმი, რომელიც ეგზომ მდიდარია ქვის, ბრინჯაოს და ანტიკური ხანის არქეოლოგიური ნივთებით. 10 საათზე გავემგზავრეთ სოფელ პერუშიცაში. იგი 12—14 კილომეტრითაა დაშორებული პლოვდივიდან. ამ სოფელში მევენახეობის დიდი კოოპერატიული მეურნეობაა. აქვეა მევენახეობის სახელმწიფო მეურნეობა და დიდი სარდაფი ღვინისა; საზოგადოდ მევენახეობა დიდად გავრცელებულია ბულგარეთში, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში მიაქციეს დიდი ყურადღება სოფლის მეურნეობის ამ დარგს. ახლა ბულგარეთს არა მარტო ჰყოფნის საკუთარი ღვინო, არამედ თამბაქოსთან ერთად ის ექსპორტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საგანია. ამავე დღის მეორე ნახევარში ჩვენ გავემგზავრეთ პეტრიწონში. ახლა ბულგარეთში ამ მონასტერს ბაჩკოვის მონასტერს უწოდებენ. იგი პლოვდივიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული. პლოვდივიდან ასენოვგრადამდე მიიმართება დიდი მოასფალტებული გზა. ასენოვგრადიდან, რომელიც უხვი მინერალური წყლებით არის ცნობილი, იწყება დიდი ხეობა, რომელსაც მდინარე ჩაპელარსკა — ჩეპელდერესი მოსდევს. მდინარეს მიჰყვება საავტომობილო გზა, აქაურობა ხან ბორჯომის ხეობას გვაგონებს, ზოგან კიდევ ლიხის ქედის იქითა მხარეს. 10-15 კილომეტრზე ასენოვგრადიდან თითქმის თავდება ეს ხეობა და იწყება მოედანი, რომელიც თითქო განგებ გაუფართოებიათო.

სწორედ ამ ხეობაში გაუშენებიათ პეტრიწონის მონასტერი. მოედანი როდოპის ქედს ორად ჰყოფს. სოფელ ბაჩკოვოდან მონასტერი ორიოდე კილომეტრით არის დაშორებული. საავტომობილო გზიდან მარჯვენა მხარეზე გადავუხვიეთ, ჩეპელარსკა გადავლახეთ და ოდნავ აღმართი რომ დაიწყო, სულ მალე ხეივანში მონასტერიც გამოჩნდა, ჩვენ უკვე მოვედით პეტრიწონში. მანქანიდან ჩამოვედით თუ არა, შვიდთავე კაცმა (დელეგაციის ხუთი წევრი და ორი გამყოლი) ქუდი მოვიხადეთ და მოკრძალებით მივადექით რკინის კარებს. კარებში ორი მორჩილი შემოგვეგება. ხელი ჩამოგვართვეს და წინ გაგვიძღვნენ.

სანამ კარიბჭეს გადავაბიჯებდით, მარჯვნივ გალავანზე წარწერა შევნიშნეთ: 1083. ესაა მონასტრის აშენების თარიღი. ამ წელს დაუმთავრებიათ ქართველ მხედართმთავრის გრიგოლ ბაკურიანისძის სახელით აშენებული მონასტერი. გრიგოლმა თავის დროზე ასახელა ქართული ხმალი თავის მარჯვენით და ამით მოიპოვა პატივისცემა და ამ მონასტრის აგების უფლება იმპერატორისაგან. ასე გაჩნდა ქართველთა ეს დიდი კულტურული კერა ამ შორეულ მხარეში.

წინ გაგვიძღვა ეს ორი ახალგაზრდა მორჩილი და გალავნის შიგნით შეგვიყვანა. გარშემოვლებული გალავნის ცენტრში დგას ქვის ორსართულიანი შენობა. ხელმარჯვნივ იწყება და გალავნის ირგვლივ გადადევს მონასტრის დამხმარე შენობები. ჩვენ სწორედ ხელმარჯვნივ შევუხვიეთ და მეორე სართულზე ფართოდ გაღებულ კარებში შევედით. წინ შემოგვეგება ახალგაზრდა, ოდნავ წვერმოშვებული ბერი ნიკოლაი. მეორე ოთახში გაგვიყვანეს და პალტო და ქუდი ჩამოგვართვეს. შემდეგ მორჩილმა მონასტრის წინამძღოლის თანაშემწეს, ბერ ნიკოლაის წარუდგინა ჩვენი თავი და სათითაოდ გააცნო. მან მიგვიპატიჟა უკვე გაშლილ სუფრაზე (როგორც ჩანს, გველოდებოდნენ და სუფრა გაეშალათ). ბერი ნიკოლაი მაშინვე თამადობას შეუდგა, ჯერ თითო არაყი დაგვალევინა და მერე ღვინო მოატანინა. ამ ორ ახალგაზრდა მორჩილს, ჩვენ რომ გვემსახურებოდნენ, უბრძანა, ჰიქები გაევსოთ. ნიკოლაი მე მომმართავს: ეს ღვინო ძველი ჯიშისააო, ჩვენი მონასტრისა, შეიძლება ქართველების ჩამოტანილიც იყოსო. კარგი ღვინოა, გასინჯეთ. ბერი სასმისს ავსებს და მე მაწვდის. ეს შენ გეკუთვნის პირველს, რამეთუ ეს ჯიში ღვინოსი შენსა წინაპრებს დაუფუძნებია ამ მონასტრის ეზოში. მე შევსვი და თითქოს გონება გამინათდა. ქართული ვაზის ყივილი მომესმა: ეს მე ვარ ქართული ვაზი, ქართული კაცის ხელით დარგული, სამშობლოდან აქ მოტანილი. მიდის საუკუნეები და მე ვაზი ქართული ისევ ნედლი და გაუხმარი ვარ აქ. ქართული ფესვი შემრჩა, ფერიც და ლაზათიც...

ისტორიის ბურანში წასულმა უცბად ბერს ვკითხე, რა ქვია-მეთქი ამ ვაზის ჯიშს. ბერი ნიკოლაი იღიმება, და ამბობს სახელი არ ვიციო. მაშინ მე აღგზნებით ავიღე თასი, შევავსე ღვინით და ვთქვი: მოდით ძმებო! რაკი ამ ვაზს სახელი დაუკარგავს, მას **პეტრიწონული წითელი** შევარქვათ. რას იტყვი ბერო ა? — შევარქვათ. მორიდებით დამიდასტურა ბერმა. მერე უბის წიგნაკი ამოიღო და ძველი სლავურით შიგ ჩაწერა. ჩაწერა კი არა ჩახატა. — „პეტრიწონული წითელი“. ჩემს სულს სიამაყე შეუდგა და ახლა მზად ვიყავ დილამდე მესვა. ამით ისარგებლა ჩემმა მეგობარმა რასულ გამზატოვმა და სადღეგრძელო წარმოსთქვა:

ეს საქართველოს გაუმარჯოს. მაინც რა საოცარი ისტორია გაქვთ ქართველებს, მომმართა მე მისი ჩვეული ღიმილით და იუმორით. იმდენი მწერლები და მეცნიერები გყოლიათ, რომ თქვენს საქართველო'ში არ დატეულა და მსოფლიოს ყველა კუთხეში მიმოფანტულა, რომ აქედან ემღერათ და ედიდებინათ საქართველო. ბევრჯერაც აუოხრებიხართ, აქ ისევ ღიმილი ჩაურთო. ჩვენებსაც, ლეკებსაც, როგორი ისტორია დავარქვათ ამას, ტრაგიკული თუ გმირული. მე ორივეს ვხედავ აქედან ოღონდ საქმე ის არის, რომ ტრაგიკულშიაც გამოსავალი ქართველებს ყოველთვის უპოვნიათ. უკუღმა დაბრუნებული ჩარხი ისევ წაღმა უბრუნებიათ. აი, ავიღოთ თქვენი დავით გურამიშვილი. ალბათ იგი პოეტობაზე არც იფიქრებდა ჩვენ, ლეკებს არ მოგვეტაცნა და არ გამოგვეტანჯა ორმოში ჩაგდებული ტყვე. ადამიანი თავის ნამდვილ სახეს ყოველთვის ხიფათის ჟამს ამჟღავნებს მთელი ძალითა და ენერგიით. და აი დავით გურამიშვილმაც გამოამჟღავნა სიდიადე სულისა და გოლიათური გამძლეობა ფიზიკური. ლეკებს გამოგვექცა ტყეში და ღრეში, თვეობით იარა და ასე მოსკოვს ჩააღწია. მოსკოვში ქართველ მეფეთა ამალას შეუერთდა. ისევ ხელთ აიღო ხმალი და რუსების გვერდ-გვერდით პრუსიაში ხმლით შეაღწია. მერე ისევ ტყვეობა. მერე ისევ თავის დახსნა. კვლავ ომი და ომი. ბოლოს ვალმოხდილი უკრაინაში დასახლდა. და იქ შექმნა მსოფლიოს ერთადერთი შედევრი „დავითიანი". აღგზნებით მოსაუბრე რასულ გამზატოვს უკრაინელი სტელმახი და რუსი ჩაკოვსკი სახეგაღიმებული შესცქეროდნენ და უმოწმებდნენ ნათქვამს. ბოლოს გამზატოვმა საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა. ჯერ ერთი სტროფი მშობლიურ ენაზე და მერე ბოლომდის რუსულად. ტაშით დავაჯილდოვეთ მეგობარი პოეტი. ჩემს სულს მეტი სიამაყე შეუდგა და წამოვიწყე სიმღერა. „შენ ხარ „ვეფხი". ეს სიმღერა ირაკლი აბაშიძესთან, იაშვილთან და ავალიშვილთან ერთად არა ერთხელ მიმღერია და ამიტომაც გამომივიდა სიმღერა. ბერი ნიკოლაი ამყვა. ეს ხომ საეკლესიო გალობაა.

ახლა მე პეტრიწონის ამბავს ვყვები. აკად. ქ. კეკელიძის წიგნი ერთხელ კიდევ გადავიკითხე ვიდრე ბულგარეთს გავემგზავრებოდი და ახლა სხაპასხუპით ვყვები მონასტრისა და პეტრიწონელის ამბავს. ეს დიდებული მონასტერი გრიგოლ ბაკურიანისძემ ააშენა. იგი ბიზანტიის სახელმწიფო ასპარეზზე დაწინაურებული მხედართმთავარი იყო. სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის დიდი მამულები ებოძა ფილიპოპოლის ამ მხარეში. შემდეგ ხანდაზმულმა საკუთარი სახსრებით ააშენა ეს ქართული მონასტერი და საკუთარი ხელითვე დაწერა ქართულსა და ბერძნულ ენებზე ტიპიკონი — წესდება, რომლის მიხედვით მონასტერი ქართველ ბერ-მონაზონთა კუთვნილებად გამოაცხადა. პეტრიწონის ამ ქართულ სავანესთან არსებობდა სასწავლებე-

ლი, სემინარია, სადაც ქართველებს სამონასტრო და კულტურული მოღვაწეობისათვის წვრთნიდნენ, სემინარიაში ქართულ ენაზე სწარმოებდა სწავლება. მონასტერსა და სემინარიას სათავეში ედგა გამოჩენილი ფილოსოფოსი პეტრიწონი. იქნებ ეს ვაზის ნერგებიც პეტრიწონს ჩამოეტანოს აქ. ვინ იცის! ვინ იცის! ისე კი ჩემი მეგობრები დამიდასტურებენ, რომ ეს ღვინო ფერითაც, გემოთაც და სურნელებითაც ქართულ ღვინოს ჰგავს. მაგრამ მხოლოდ ეს ჩემი ვარაუდია. ბულგარეთი ხომ ვაზების ქვეყანაა. ხოლო პეტრიწონს დაარსებიდან დღემდის ბრავალი უბედურება დაატყდა თავს, როგორც ბულგარეთს. ხან ბერძნები აოხრებდნენ ამ მხარეს და ხან თურქები. თურქები ხომ ვაზის მტრები იყვნენ და ეგებ აჩეხეს, დიახ, მონასტერი ხელიდან ხელში გადადიოდა. ქართული სული კი სულ ცოცხლობდა და სულ ტრიალებდა და ეს დიდი კულტურული კერა ქართველთა გადაურჩა ისტორიის ქარბორიას. დგას ეხლა ეს სავანე როგორც სიმბოლო ქართველთა და ბულგარელთა საუკუნეობრივი მეგობრობის ნიშანსვეტი. კარგად მოვლილი და შენახული. სულ ახლახან სოციალიზმის მშენებელი ჩვენი მოძმე ბულგარელი ხალხის მიერ აღდგენილი და ახლა ქართველებთან ერთად ბულგარელი მეცნიერები სწავლობენ ამ მონასტრის ისტორიას, ქართველთა და ბულგარელთა ისტორიული ძმობისა და მეგობრობის ფესვებს.

ნიკოლაი ღვინოს ისევ მაწვდის და თანაც მეუბნება, შენ ხომ ქართველი ხარ, ქართველები თურმე ბევრ ღვინოს სვამენ, საგანგებო სასმელებიც აქვთო, რა ჰქვიან? — ყანწი, ჰო, ყანწიო. ახლა ჩემს გვერდით მჯდომ პოეტ გამზატოვს მიუბრუნდა: შენ უფრო ახალგაზრდა კაცი ხარ და ბევრსაც დალევ, ალბათო. გამზატოვი ღიმილით ართმევს ჭიქას, თან უხარია, რომ ასეთი კეთილი პარტნიორი შეხვდა. პოეტი გამზატოვი ჩვენზე უთითებს და ეუბნება: ვერც ერთი ვერ სვამსო, ზოგს გული სტკივა და ზოგს სისხლის წნევა აქვსო. არც ეს ქართველიაო დიდი მსმელი. ალბათ იმიტომ, რომ მისმა წინაპრებმა იმდენი მიირთვეს ნუნუა, რომ მათ შთამომავლობას მობეზრებული აქვს, მე კი მუსულმანი ვარ, ალლაჰის შიშით წინათ ჩემი წინაპრები ღვინოს არ სვამდნენ, და ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაიკლეს, მე უნდა მოვითავოო, მე ჩემი წილიც მეკუთვნის და ჩემი წინაპრებისაც. ნიკოლაი იცინის და უხარია, რომ ასეთი თანამგრძნობელი ჰპოვა ჩვენ შორის. ის თანდათანობით ეშხში შედის და სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე სცლის. ახალგაზრდა ბერის ლოყებს ღაჟღაჟი გააქვს, სახე უბრწყინავს, საჭმელს ეძალება და ახლა მონასტრის ისტორიის მოყოლას შეუდგა. სამი პერიოდი აქვსო ამ მონასტერს. ეს მთავარი მონასტერი და აგრეთვე ამ გალავნის გარეთა მონასტერი, რომელსაც გრიგოლის საძვალეს ეძახიან, აშენებულია ქართველების მიერ 1083 წელს, მაშინ

აქ ორმოცამდე ქართველი ბერი იყოო. 1390 წელს მონასტერი თურქებმა ააოხრეს და დაარბიეს. 1602 წელს კვლავ აღადგინეს. მესამე პერიოდი ამ მონასტრისა იწყება 1843 წლიდანო. ძველი ნივთებიდან გადარჩა ქართველების მიერ მოტანილი დიდი ჯვარი, რომელსაც ქართულად აწერია — ძლევაი. გარდა ამისა, მონასტერში შენახულია ხატი, რომელსაც აგრეთვე ქართული წარწერა აქვს. ამას წინათ აქ იყვნენ ქართველი მეცნიერები ა. შანიძე და ნ. ბერძენიშვილი, მათ გაშიფრეს და ამოიკითხეს ეს წარწერა. ეს ალბათ თქვენთვისაც ცნობილიაო, გვითხრა ნიკოლაიმ. ასე გადაურჩნენ ისტორიულ ქარტეხილებს და ჩვენს დრომდე მოიტანეს ქართველების აქ ყოფნის კვალი ამ რელიქვიებმა.

ეს ნივთებიც ადასტურებენ იმ ცნობებს, რაც დაცულია მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში შემონახულ მტვერდაყრილ ფოლიანტებში.

ახლა ამ მონასტერში 50-მდე ბერი ვართ, მათში ახალგაზრდებიც არიანო. აი ორი იმათთაგანი. ესენი სწავლობენ, მეცადინეობენ, მონასტრის ხარჯზე ცხოვრობენო. ჩვენი ძველი წესდება, ქართველებისაგან მომდინარე წესდება მონასტრისა, რამდენჯერმე შეცვალეს, ამჟამად იგი უფრო დემოკრატიულია. ჩვენს ბერებს ახლა ბევრის ნება აქვთ. აი, ამ ორი ახალგაზრდიდან ერთს, უფროსს საცოლე სოფიაში ჰყავსო. თქვენც ხედავთ. რომ ჩვენ ისევე ვჭამთ და ვსვამთ, როგორც თქვენ.

და, მართლაც ,დეკემბერში — ქრისტეშობის მარხვაში — ამ მაგიდაზე სამარხვო საჭმელებთან ერთად ხორცეული ხორაგიც ბლომად იყო. ღვინით შუბლგახურებული ბერი ნიკოლაი ისეთი დიდი ეშხით თამადობდა სუფრას, როგორც ყოველი ჩვეულებრივი ღვინის მოყვარული კაცი. ჩვენ გვეჩქარება მონასტრის ნახვა და თამადას ვაჩქარებთ. როგორც თამადისა, უკანასკნელად მისი სადღეგრძელო შევსვით, და ამით თავი დავაღწიეთ ამ ჭირვეულ ბერ-თამადას. ძეგლის დათვალიერებას შევუდექით. ჩვენ უფროსი მორჩილი გამოგვყვა, ბერი ნიკოლაი კი იქვე დარჩა. ამ მორჩილს საღეთისმეტყველო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და კარგადაც ერკვევა. მან მონასტერში შეგვიყვანა თუ არა, მაშინვე ის ხატი გვაჩვენა, რომელსაც ქართული წარწერა აქვს და, რომელიც პეტრიწონის მონასტრის ქარბორიას გადარჩენილა. მას ყველაზე გამორჩეული ადგილი უჭირავს ამ მონასტერში და თავადაც გამოირჩეოდა იგი მხატვრული ფერებით და მოჩვედილობით. როგორც წარწერა იუწყება, ეს ხატი პეტრიწონში ორ ქართველ მოძღვარს — ძმებს: ათანასესა და ოქროპირს მოუჩვედიათ. ღვთისმშობლის ხატი დათარიღებულია, ბაგრატიონის გვარის მეფეც არის მოხსენიებული. მე გამიკვირდა, ასე ზედმიწევნით როგორ ახსოვდა წარწერის შინაარსი ამ ახალგაზრდა მორჩილს. მორჩილმა შემდეგ

დაგვატარა ტაძარი, ტრაპეზშიაც შეგვიყვანა. ტაძარი შიგნით მოხატული იყო. იგი 1843 წელს მოუხატავს ზაქარია ზოგრაფს. სხვათა შორის, ეს ზაქარია ზოგრაფი რეალისტური მხატვრობის დამწყები ყოფილა და მთელი ბულგარეთის ეკლესიების უმრავლესობა მის მიერაა მოხატული. ჩვენ ვნახეთ ქ. ტირნიოოში მე-19 საუკუნის რუსული ეკლესია, რომელსაც თვით მხატვრის ზოგრაფის გამოსახულება ამკობს. მორჩილი გვეუბნება, ტაძრებში გამოსახული პირები ბულგარეთის იმ დროის ლამაზი ქალებისა და ვაჟების ცოცხალი პორტრეტებია. ჩვენი გამცილებელი ტოდორიც ეთანხმება მორჩილის ამ აზრს. შემდეგ მორჩილმა მეორე სართულზე აგვიყვანა. აქედან უფრო ახლო და კარგად ჩანსო გუმბათი და მასზე აღმართული ქართული ჯვარი. მართლაც, ერთ მეტრზე მეტი ზომის ყვითელი ფერის ჯვარი შევნიშნეთ გუმბათზე. რაც შეეხება პეტრიწონის ქართულ წესდებას, ახლა იგი თურმე სოფიაში ინახება. მორჩილმა მეორე ოთახში გაგვიყვანა, სადაც ოთხი ბერი იყო. სამი მათ შორის ფეხზე იდგა და სადღაც შორს იცქირებოდა, ერთი კი კათედრაზე იყო პირქვე დამხობილი. მთელი ნახევარი საათი ვიდექით ამ ახალგაზრდა მორჩილთან ერთად ამ დარბაზში და ამ სამ ბერს თვალი არ დაუხამხამებიათ, განზე არ მოუხედავთ და არც პირქვე დამხობილ ბერს აუხედავს ზევით. იდგნენ ისინი გარინდებულნი, იდგნენ და ელოდნენ ღვთისა თუ კაცის განაჩენს. ეს ახალგაზრდა მორჩილი პირდაპირ, რომ იტყვიან ხოლმე, ენად გაიკრიფა, რას არ გვიყვება, რას არ გვიამბობს. როგორც იქნა თავი დავაღწიეთ ამ ენაჭარტალა მორჩილს. ეკლესიიდან გარეთ გამოვედით. მე თან გამომყვა ერთგვარი სიამაყის გრძნობა. მეამაყებოდნენ ის ქართველები, რომელთაც აქ ასეთი აშკარა კვალი დატოვეს. გამოვედით მონასტრის ეზოში და ცამდე აზიდულ მთებს შევხედე. ფიქრებმა წამიღეს, თვალწინ წარმომიდგნენ ის ქართველები, რომლებიც ოდესღაც ესტუმრნენ ამ მიდამოებს, ცად აზიდულ მთებს, ასე რომ გვაგონებენ საქართველოს. ვიღრე აქ მოვიდოდნენ, რა ვაი-ვაგლახი ნახეს, არ შეპუებიან არც ავდარს, არც სიცხეს, გადაულახავთ მდინარეები, ტბები, გაუვალი ჭაობები, უსიერი ტყეები, და მოსულან აქ ცხრა საუკუნის წინ; დაუარსებიათ ქართული კულტურის კერა; მოსულა აქ რამდენიმე ბერი, შავი ხამი სამოსელით, რათა ედიდებინათ ღმერთი და ქართული სიტყვა. მოსულა აქ იოანე პეტრიწი, რომ ქართული ფილოსოფიური აზროვნებისათვის დიდება მოეპოვებინა. მოსულან ქართული სიტყვის ჭირისუფალნი. და აი, ცხრა საუკუნის შემდეგ ჩვენ მოძმე ხალხის შვილებთან ერთად მოვედით აქ, რომ სიყვარულით პატივი ვცეთ მათ სახელს. მე ვიდექი ამ ეზოში, იმ მიწაზე, სადაც უვლია იოანე პეტრიწს, სადაც ღამეები უთენებია ქართული ხელნაწერების გადამწერლებს, ბერის შავ ტანისამოსში გადაცმულ ქართველ

მწიგნობრებს, ბევრის სახელი ისტორიას არც კი შემოუნახავს, ამ უპრეტენზიო ადამიანებს შეუწირავთ თავიანთი სიცოცხლე ქართული ასოების გამოყვანისათვის და ხელნაწერებზე თავიანთი სახელებიც არ მიუწერიათ. მათი სახელი უკვდავია, ფასდაუდებელია მათი ამაგი.

პეტრიწონის ეზოდან გარეთ რომ გამოვედით, მანქანაში ვსხდებოდით, როდესაც ბერი ნიკოლაი ჩვენთან მოიჭრა, სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა, დაგვემშვიდობა, გზა მშვიდობისა გვისურვა.

გვიან საღამოს დავბრუნდით ქალაქ პლოვდივში.

ეწევარ ახლა სასტუმროში მარტო პირაღმა და ვფიქრობ; ფიქრი ფიქრს გადაება და ძილგამკრთალს ჩუმად აღმომხდა ვით კვნესა ქართველი კაცისა. დიახ, ვამბობდი ჩემთვის ქართველ მშრომელ კაცს ერთ ხელში ხმალი ეპირა, მეორეში გუთანს იყო ჩაჭიდებული და ასე იბრძოდა, ასე შრომობდა, ასე იცავდა და განადიდებდა საქართველოს. ქართველ მწიგნობრებსაც შორეულ უდაბნოებში გადმოხვეწილ მონასტრებში შეხიზნული ბერ-მონაზვნებსაც ერთ ხელში ხმალი ეპირათ, და მეორეში საწერ-კალამი და ამ გზით იცავდნენ ქართულ სიტყვას, ქართველთა ეროვნულ მეობას, ლოცვასა და გადაწერაში თუ ორიგინალური ნაწარმოების წერაში განადიდებდნენ მათთვის საფიცარ საქართველოში. არა საოცარი ქვეყანა იყო და არის ეს ჩვენი საქართველო, პატარა, მაგრამ წელმარჯვე. პატარაო? მომესმა თითქოს გარე სამყაროდან, რატომ პატარა, პატარას როგორ შეეძლო შინ და გარეთ ეშენებინა ამდენი მონასტრები, კულტურის კერები, ამდენი ომიც გადაეხადა. არა ის საქართველო დიდი იყო, დავითის, რუსთაველის, თამარის საქართველო. მთელს მაშინდელ მსოფლიოში ერთერთი დიდი ქვეყანა იყო, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შიშის ზარსა სცემდა მტრებად მომხდურებს. დიახ, დიდი ვიყავით, ბევრნი ვიყავით. მერე ყოველმხრიდან შემოგვესივნენ, გვჩეხეს და გვკაფეს, გადაწვეს და გადაბუგეს ჩვენი ქალაქები და სოფლები; ჯვარს გვაცვეს, მაგრამ არ გატყდა სული ქართული და მაინც დღემდი მოიტანა დროშა უძლეველი. ეს დროშა ქართველებს არასოდეს გაუგდიათ ხელიდან, არც მაშინ, როცა დიდი იყო საქართველო, და არც მაშინ, როცა პატარა გახდა. საქართველო მარად მწვანე ხეა, უკვდავების ხე, მწვანით, ყლორტით, ნაყოფით მოსილი. არა, ასეთი ქვეყანა უკვდავია, უკვდავება და დიდება შენ, ჩემო მამულო, შვებით აღმომხდა ძილდაკარგულს.

საქართველო, მამულო ჩემო, რა გზებზე არ გიტარებია შენ შვილნი შენნი, რა ბილიკები არ გადაგილახავს, უდაბნოში გაგიძლია, გაჭირვებაში ჩავარდნილს თავი დაგიხსნია, მერე ისევ ამდგარხარ და გზას დადგომიხარ და ისევ გზები და გზები, გზები ქვეყნის დაცვისა, მამულის შემომტკიცებისა, მისი განდიდებისთვის არ დაგიშურებია არც

შრომა, არც გარჯა, არც სიცოცხლე. მტრებისთვის მტრობა გაგიწევია, მეგობრებს გვერდში ამოდგომიხარ. სად არ გიბრძოლია, სად არ გიშენებია, სად არ გიშრომია, ოფლით, სისხლით, ტანჯვით, წვალებით დაგიცავს საქართველო და გისახელებია ქართული ხმალი. ბერძნებს, ბიზანტიელებს, ასირელებს გვერდში ამოდგომიხარ და მათთან ერთად დაგიცავს საქართველოს დროშა. მერე როცა თვით ეს „მეგობრები“ გადაგიდგნენ, მაშინაც გამკლავებიხარ ურიცხვ მტერს. ჰო, სად არ გიშენებია, სად არ გიწირავს და დაგიცავს შენი სალოცავი ენა ქართული. ერთიანი საქართველოს სალოცავი ენა ადუღაბებდა კახელებსა და ლაზებს. ქართლელებსა და ჰანებს, მესხებსა და ეგრისელებს, ყველანი ერთპირად აღთქმულნი განადიდებდნენ საქართველოს ხმლით, წიგნით, სარწმუნოებით... და არ დაღლილა ის ამ ბრძოლაში, რადგან მუდამ მართალი იყო იგი, რადგან თავს იცავდა იგი მტრებისგან, თავს იცავდა ის ყოველ გასაჭირსა და მწუხარებაში ჩავარდნილი და რაკი თავს იცავდა, მართალი იყო, ამაში განგება სწყალობდა ამ ღვთის წილ ქვეყანას. ძნელია მოინახოს ისეთი კულტურული ქვეყანა, სადაც ქართველ კაცს ფეხი არ დაედგას, კერა არ გაეჩინოს და იქ შორეულ ქვეყანაში მთაწმინდელებს, იყალთოელებს, პეტრიწონელებს... შენი ენისა და კულტურის ელჩებად გადმოხვეწილებს სინას მთასა და პალესტინაში, შავ მთასა და აფონში, კონსტანტინეპოლსა თუ აი ამ პეტრიწონში დღეს რომ მოვინახულეთ და ჩემთან ერთად ქართველების მეგობრებმა რუს, უკრაინელ, დაღესტნელ მწერლებმა ქუდმოხდილი რომ გემთხვიენ. აი, ამისთანა წმინდა ადგილებში დღე და ღამე შენზე ლოცვასა და შენზე ფიქრსა და ზრუნვაში, ხმლითა და კალმით მოუპოვებიათ უფლება ეცხოვრათ, ემოქმედათ და ეზრუნათ შენთვის, ჩემო საქართველო. აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ამ შორეულ უდაბნოებში დაყუდებულებს უწერიათ შენი მატიანე, უთარგმნიათ ქართულ ენაზე ყველა სხვა კულტურულ ენების მიერ შექმნილი ძეგლები და მთელ მსოფლიოსთვის ნათელი გაუხდია, რომ შენ არც ინტელექტით, არც მხნეობით, არავის ჩამორჩებოდი შრომასა თუ წიგნების წერაში, დედასამშობლოსათვის ზრუნვაში. ასე ჩაება ემი ერი **მსოფლიო კულტურულ მოძრაობაში** და ინტენსიური კონტაქტებით დაუკავშირდა მთელ მსოფლიოს. ქართული მწერლობა, მისი დიდი და მაღალი კულტურა ძველიდან დღემდის მოპოვებული, მსოფლიო კულტურული ჯაჭვის ერთი აქტიური რგოლი იყო მუდამ. იერუსალიმით, ბიბლიური მითოლოგიით დაწყებული და ევროპული მოდერნისტული მისტიციზმით დამთავრებული მსოფლიოს კულტურა შენ ისევე სულით და გულით გიტარებია, შენს დედა აკვანში გირწევია, ქართული ყალიბი და ქართული ფორმა მიგიცია. ასე ბრუნავდა მთელ მსოფლიოს გარშემო საქართველოს ცხოვრების ისტორია, მისი

მწერლობა და ხელოვნება. ბევრი გტანჯეს, ბევრჯერ გაწამეს, მაგრამ მწუხარებაში გაუტეხელს გმირულად გადაგიტანია ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალი და ასე მოგიტანია დღევანდელი საქართველო. მით შეუდრეკელი სული შენი, დაუმორჩილებელი და თვითმყოფადი შემოგინახავს, და ახლა სული შენი ისევ და ისევ ახალ გმირებს უყივის, ეძახი, უკვდავი ხარ შენ, საქართველო, ვენახო ჩემო...

ვწევარ მე ახლა ისევ პირაღმა სასტუმროში და ისევ შენზე ფიქრობს შენი შვილი, შენ გზა-კვალზე მავალი, შენს ნაკვალევის ძებნაში მე ახლა აქ ბულგარეთში გულით გავიხარე და სიამაყით აღვივსე. დიახ, მე დღეს პეტრიწონის ამ ძველ ტაძარში ქართველების შრომით, გარჯით, სისხლით, აშენებულ ამ დიდ კულტურულ კერაში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც შინაური კაცი. და ჩემი ბულგარელი მეგობრები, ჩემი საბჭოთა მეგობრები, ეს მწერლები თუ ის ბერ-მონაზვნები, რომელთაც მე აქ შევხვედი ამ მონასტერში, თვალებგაბრწყინებული შემციცინებდნენ და საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ. დღეგრძელი იყავ, ჩემო მამულო; ამ სიტყვებში ლოცვასავით ჩამეძინა. რა ბედნიერი ვიყავ მე იმ ღამეს, რა კმაყოფილი და ამაყი.

* *

ბალკანეთის მთები (სტარა პლანინა) ბულგარეთს ორ ნაწილად ჰყოფს. ჩრდილოეთით მთიანი ზეგანია, რომელიც დუნაისაკენ თანდათანობით დაბლდება. სამხრეთ ბულგარეთი უფრო ვაკეა. ესაა მდინარე მარიცასა და ტუნჯის დაბლობები. ჩვენ სწორედ სამხრეთიდან, მარიცას ვაკედან, კურსი ჩრდილოეთისაკენ ავიღეთ ისე, რომ უნახავი დაგვრჩა ბალკანეთის ვაკის კარლოვოსა და ყაზანლიკის მსოფლიოში ცნობილი ბულგარული ვარდის ველები. ბალკანეთის მთების ძირას ჩვენ მივადექით ქალაქ ვაზოვგრადს. ეს ბულგარეთის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის, გამოჩენილი მწერლის ივანე ვაზოვის სამშობლო ქალაქია.

წინათ ამ ქალაქს სოკუტს ეძახდნენ. 1875 წელს თურქებს გადაუბუგავთ მთელი ეს ქალაქი, დაუწვავთ ივანე ვაზოვის სახლიც. მწერლის ძმის გენერალ გიორგი ვაზოვის მოგონების მიხედვით 1932 წელს სახელოვანი მწერლის სახლი აღუდგენიათ. სახლი ერთსართულიანია, პატარა ეზო აქვს. ბზაშემოვლებულ პატარა ეზოში რამდენიმე ვაშლის ხე დგას, სახლის წინ, ზედ აივანთან, ვაზის დიდი ძირია (მხოლოდ სამეგრელოში მინახავს ასეთი დიდი ვაზი, იზაბელას ჯიშისა). ეს ერთსართულიანი სახლი სულ ოთხი ოთახისაგან შედგება. სასტუმრო ოთახში დგას დაბალი ტახტი, მეორე ოთახში საწერი მაგიდა, სადაც ვაზოვი წერდა თავის ნაწარმოებებს. სამზარეულოში ჩოხის საქსოვი მანქანა დგას, აქვეა პატარა კასრი ღვინისათვის, ჭუჩის მხარეს სახლს მიდგ-

მული აქვს დიდი დარბაზი. აქ ახლა მუზეუმია მოწყობილი. წინათ კი სავაჭრო დუქანი ყოფილა (ვაზოვის მამა წვრილი ვაჭარი იყო). მუზეუმში დაცულია ვაზოვის ხელნაწერები, მისი წიგნები გამოცემული სხვადასხვა ენაზე, პოეტის თანამედროვე მწერლების სურათები და სხვა ნივთები.

ცენტრალურ სტენდზე ჰკიდია ივანე ვაზოვის სურათი, გვერდზე კი სურათი დედისა — სიბა ვაზოვასი, რომელიც მისი ლექსების დიდი დამფასებელი ყოფილა. მწერლობის სიყვარულიც ჩაუნერგა მან თავის შვილს. მარცხნივ მამის ვინჩა ვაზოვის სურათია, აქვეა მწერლებისა და რევოლუციონერების: ვასილი ლესკოვის, ხრისტო ბოტევის, ტოდორ კაბლეშკოვის (ამ ქალაქის რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელის) და სხვათა სურათები. მუზეუმში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩუჩელა-ფიტულები, რომლებიც წარმოგვისახავენ ვაზოვის რომანის გმირებს, მისი თანამედროვე ქალაქის ტიპებს. აქ ვხედავთ მაშინდელ ვაჭრებს, ხელოსნებს, ღარიბსა და მდიდარ გლეხებს.

აქტიური რევოლუციური ბრძოლისათვის მუდამ სდევნიდნენ ვაზოვს. სამშობლოდან გადახვეწილმა მან ერთ ხანს თავი შეაფარა რუმინეთს. აქ იგი წერდა თავის ნაწარმოებებს და სხვათა შორის სამშობლოს შესახებ ამბობდა:

დე ვიყო ასე შორს განდევნილი,
მე მაინც ვხედავ, მე ვხედავ ყველას,
და შორი მხრიდან ცრემლდადენილი,
შენს მტანჯველ მტარვალს ვუგზავნი წყევლას.
მაგრამ შენს წმიდა ალისფერ სისხლში,
მაგ გმირთა სისხლში დღეს რომ ღვრის, დედავ,
შენს დიად ომში, ცრემლსა და ჭირში.
მომავლის ნათელ განთიადს ვხედავ.

(თარგმანი ირ. აბაშიძისა.)

ბულგარელი ხალხი დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ინახავს ვაზოვის სახელს. ყველა ქალაქში, ყველა დაბაში თუ სოფელში შეხვდებით მისი სახელობის დაწესებულებებს, მის ძეგლს, თუ სხვა რამ სიმბოლო ნიშანს მისდამი პატივისცემისა. ეს ნათლად დავინახეთ ჩვენ სოფიაში, ბულგარეთის თეატრის ასი წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე. აქ შეკრებილი იყვნენ მრავალი ქვეყნის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები. აქ იყვნენ სტუმრები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ვიეტნამიდან, კორეიდან, ჩინეთიდან, აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნებიდან, საბჭოთა კავშირიდან. მოსაწვეთა ბარათის მარცხენა მხარეზე ეწერა ივანე ვაზოვის სიტყვები თეატრის დანიშნულების შესახებ, მარჯვენა მხარეს კი გიორგი დიმიტროვის სიტყვები. საზეიმო სხდომის შემდეგ მხატვრულ ნაწილში ივანე ვა-

ზოვის პიესის „დამონებულის“ (ეს პიესა ამავე სახელწოდების რომანიდან თვით ავტორის მიერ არის გადაკეთებული) მესამე სურათი აჩვენეს, სცენა სასწავლებელში. სცენა თავდება ბავშვების პატრიოტული სიმღერით ბულგარეთის მომავალზე. მთელი დარბაზი აჰყვა ამ სიმღერას და დიდხანს იყო ტაშისცემა. ეს იყო ნამდვილი დემონსტრაცია დიდი ეროვნული მწერლისადმი სიყვარულისა და მისი განუყოფელი კავშირისა ხალხთან. ივანე ვაზოვისა და ხრისტო ბოტევის სახელები ყოველ ბულგარელისთვის წმიდათა წმიდა სახელია.

ვაზოვგრადიდან ბულგარეთის მეორე დიდი რევოლუციონერის, მგზნებარე პოეტის ხრისტო ბოტევის სამშობლო ქალაქისაკენ ავიღეთ გეზი. ხრისტო ბოტევის სამშობლო ქალაქი კალოფერი ვაზოვგრადიდან აღმოსავლეთით 30—35 კილომეტრითაა დაშორებული. ამ ქალაქში ერთ პატარა ეზოში დგას ერთსართულიანი აგურის სახლი, ხის აივნით. ეზოში რამდენიმე ნაძვის ხეა. სახლს თავზე დასცქერიან ბალკანეთის მთები. ეზოში, სახლის წინ, ხრისტო ბოტევის ბიუსტია, რომელზედაც პოეტის სიტყვებია ამოკვეთილი:

„უკვდავია, ვინც თავისუფლებას შეეწირა“.

ხრისტოს მამა, ბოტიუფ პეტკოვი, პედაგოგი იყო. რუსული ენისა და ლიტერატურის დიდ მცოდნესა და მთარგმნელს ბოტიუფ პეტკოვს ცხრა შვილი ჰყავდა (შვიდი ვაჟი და ორი ქალიშვილი). არც ეს სახლმუზეუმი და არც ვაზოვის სახლმუზეუმი არ სტოვებენ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას, ესენი ძალზე უბრალოდ და სადად არიან ექსპონირებული. მაგრამ ექსპონატების ეს უპრეტენზიო განლაგება, მთელი ეს ხელნაწერები, წიგნები, პატრიოტული ამონაწერები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ბულგარეთის ხალხის უდიდეს მწერლებზე. ხრისტო ბოტევის სახლმუზეუმში პირველსავე ოთახს ამშვენებს რევოლუციონერი პოეტის სიტყვები: „ყველა ჩაგრული და მშრომელი, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი, ძმები არიან“. მეორე სტენდზე კი მოთხრობილია, თუ 1876 წელს როგორ გადალახა ხრისტო ბოტევმა მდინარე დუნაი თავისი შეიარაღებული რაზმით — პატრიოტი ბულგარელებით, რათა გაენთავისუფლებინა ბულგარეთი თურქი დამპყრობლებისაგან. ორასი შეიარაღებული ბულგარელი, რომელთაც წინ ხრისტო ბოტევი მიუძღოდა, სოფ. კოზლოდუსთან დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულან და კურსი ვრაცასაკენ აუღიათ. სოფ. ნიკიანინთან, ვრაცადან 10—12 კილომეტრის დაშორებით, მათ აედევნა ჩერქეზებისა და თურქების შეიარაღებული რაზმი; პირველი ბრძოლა ხრისტო ბოტევის რაზმმა მათ ქალაქ ვრაცაში გაუმართა. ბოტევის რაზმმა ვრაციდან 7 კილომეტრის დაშორებით ბრძოლით უკან დაიხია. ამ უთანასწორო ბრძოლაში მოჰკლეს ხრისტო ბოტევი, 28 წლის ახალ-

გაზრდა რევოლუციონერი და პოეტი. ჩვენ გავიარეთ სწორედ იმ გზაზე, საიდანაც ბოტევს ჩერქეზების რაზმი აედევნა. გზის პირას აღმართულია ქვის დაფა და მასზე აწერია: „1876 წლის 4 მაისს აქედან აედევნა ხრისტო ბოტევს ჩერქეზების შეიარაღებული რაზმი“. აღსრულდა პოეტის წინასწარი გრძნობა:

იქნება მოკვდე ცხარე ბრძოლაში,
მაგრამ მე ჯიღდოდ ისიც მეყოფა,
რომ ჩემზე იტყვის ოდესმე ხალხი,
გმირულად მოკვდა, თავი შეწირა
სიმართლესა და თავისუფლებას.

ქალაქ კალფერიდან იწყება ბალკანეთის მთების კალთები. გზა თანდათანობით მიიმართება ბალკანეთის მთების გადასასვლელ შიპკასაკენ. უკვე ბინდდებოდა, როდესაც ჩვენი მანქანები შიპკაზე ავიდნენ. ამ მთის მწვერვალზე აგებულია ობელისკი შიპკას ბრძოლის გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად. 1877 წელს რუსეთის ჯარის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. თურქები უკანასკნელი საშუალებით უწევდნენ წინააღმდეგობას რუსეთის ჯამანთავისუფლებელ არმიას. ბრიანსკის ცხენოსანთა ნაწილების მოსვლამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. სულეიმან ფაშას არმია დაამარცხეს და უკუაგდეს. რუსეთის არმიამ ერთხელ კიდევ მოუპოვა დიდება რუსულ იარაღს. შიპკას ომის გმირების ხსოვნის აღსანიშნავად აუგიათ აქ ცამდე აზიდული ეს ობელისკი. ამ ომის გმირი სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი ნიკო დადიანიც იყო.

რუსეთ-თურქეთის ომის ტალღამ საქართველოს ზღვისპირეთშიც შეაღწია. სწორედ ამ დროს (1878 წელს) მოხდა თურქებისაგან მიტაცებული ქართული მიწის დაბრუნება, ბათუმისა და მისი რაიონის განთავისუფლება. სამი საუკუნის თურქთა ბატონობის შემდეგ, აჭარა, რომლის მოსახლეობასაც რჯული ძალით შეაცვლევინეს, მაგრამ ენა და სიყვარული ქართულისადმი ვერ მოუკლეს, ისევ დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მაშინდელი ქართული პრესა, კერძოდ ი. ჭავჭავაძის „ივერია“ რუსეთ-თურქეთის ომისადმი. ცხადია, რუსეთის არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლება დიდი სიხარულით აღინიშნა ქართულ პრესაში.

თანდათან დავეშვით შიპკას მწვერვალებიდან. კურსი ავიღეთ ქ. ტირნოვოსაკენ. ტირნოვო ისტორიულად ბულგარეთის მეორე დედაქალაქია. ქალაქი მდინარე იანტრაზეა გაშენებული. როგორც ყოველი ძველი დროის ქალაქში, შენობების უმრავლესობას კრამიტით დახურული აგურის ერთსართულიანი პატარა სახლები წარმოადგენენ. ვიწრო, ვაზივით დაგრეხილი ქუჩები აერთიანებენ მის პატარა უბნებს.

მდინარე იტრიდან რომ გახედავ, ფერდობზე მოკრუნჩხული პატარა სახლები ჩიტის ბუდესავით მოჩანან. დეკემბრის სუსხი უკვე იგრძნობოდა. ღამე სასტუმრო „ინტურისტში“ გავატარეთ. მეორე დღეს დავთვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და პატარა სოფელი, რომელსაც ალბანს ეძახიან (ალბანიტო ხორე — ალბანური სოფელი). მე-16 საუკუნეში ეს სოფელი სავაჭრო ცენტრი ყოფილა, მეტწილად ალბანელებით დასახლებული. აქვე მოსახლეობდა ბულგარელებიც და რუმინელებიც. აქ გვაჩვენეს ერთი სახლი, რომელიც მე-16 საუკუნეში ყოფილა აშენებული. ახლა იგი აღუდგენიათ და მუზეუმად უქცევიათ. ეს ორსართულიანი ქვიტკირის სახლი ვიღაც მდიდარი ვაჭრისა ყოფილა. მას კარი მუხისა აქვს. ეს სახლი 1913 წელს მიწისძვრისაგან დანგრეულა და ახლა აღუდგენიათ დაახლოებით იმ სახით, როგორიც იყო იგი. ზედა სართულზე 6 ოთახია, სასტუმრო, მისაღები ოთახი, სხდომების დარბაზი, სადაც ვაჭრები იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ სავაჭრო საქმეებზე. ქვედა სართულში ღვინის სარდაფია. მუზეუმის დირექტორი გვიმტკიცებს, რომ ამ სახლში ალბანეთის ცნობილი მხედართმთავარი სკანდერბეგიაო ნამყოფი. იგი გამოხიზნული იყო ამ სოფელში და აქედან ამზადებდაო ალბანეთის აჯანყებას. საოცარი დაჟინებით და აღტაცებით ამტკიცებს დირექტორი ამას და დელეგაციის წევრების დაეჭვებას აინუნშიაც არ აგდებს. ამავე სოფელში გვაჩვენეს ეკლესია. იგი გასაოცარი არქიტექტურული აგებულებისაა, ის უფრო დიდ სამზარეულოს ჰგავს, ვიდრე ეკლესიას. მას ქრისტიანული ეკლესიებისა და მონასტრებისათვის დამახასიათებელი მაღალი თაღები არა აქვს. იგი პირდაპირი და სწორია. დარბაზი ოთხ ნაწილად იყოფა, უფრო დიდი დარბაზი ორადაა გაყოფილი: პირველი კაცებისათვის, მეორე — ქალებისათვის. აქ ლოცულობდა უგვარო და უჩინო ხალხი. გვერდზე მიდგმული აქვს კიდევ ორი პატარა ოთახი მდიდრებისათვის, მაღალი წოდებისათვის. ასევე ორადაა გაყოფილი ეს დარბაზიც: ერთი კაცებისათვის, მეორე — ქალებისათვის. ეკლესია მთლიანად მოხატულია.

ქალაქ ტირნევოში, შესანიშნავ კინოთეატრში, ჩვენ ვნახეთ ძალზე საინტერესო დოკუმენტური ფილმი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო სოფიას ქუჩებში გამართული ხალხმრავალი დემონსტრაცია — გამომხატველი ბულგარელი ხალხის უღრმესი ერთგულებისა თავისი დემოკრატიული მთავრობისადმი; ეკრანზე ჩანს ხალხით სავსე მოედანი, დიმიტროვის მავზოლეუმის წინ უამრავი დროშები, პლაკატები. ხალხი ფიცსა სდებს თავისი მშობლიური მთავრობის წინაშე, რომ ის ბოლომდე ერთგული იქნება სოციალიზმის საქმისა, ხალხი ერთსულოვნად ჰკიცხავს იმპერიალისტურ გაიძვერებს, რომლებიც ცდილობენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს წაართვან

თავისუფლება და ისევ მონობის უღელი დაადგან. ამ მიტინგზე ბულგარელებმა აღშფოთებით დაჰგმეს ოინები ფაშისტური პროვოკატორებისა, რომელთაც სურდათ უნგრეთის ხალხი გამოეთიშათ სოციალიზმის ბანაკიდან და უნგრეთი ახალი ომის კერად ექციათ. ბულგარეთის ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებაა, — ნათქვამია ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში, — განუხრელად იდგეს სოციალიზმისა და მშვიდობის დიდ ბანაკში. დიდია უწმინდესი და დაურღვეველი ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ძმობა.

შემდეგ დოკუმენტურ ფილმში ნაჩვენები იყო მთელი ბულგარეთის ახალგაზრდობის დემონსტრაცია მშვიდობისა და დემოკრატიის დასაცავად. კინოლენტზე წარწერილი იყო: არავითარ ძალას არ შეუძლია გადაგვახევინოს ჩვენ, ახალგაზრდებს, ჩვენ მიერ არჩეული ლენინური გზიდან, გიორგი დიმიტროვის ანდერძი დაურღვეველია, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა სალ კლდესავით მტკიცეა.

ყველგან, ბულგარეთის ყოველ სოფელსა და ყოველ ქალაქში, თქვენ ნახავთ ამ გულწრფელი სიტყვების მტკიცე დადასტურებას, თქვენ ხედავთ პლაკატებზე, ქვაზე, კლდეზე ამოჭრილ წარწერებს: შრომა და სიფხიზლე, შრომა და მშვიდობა! თქვენ ყოველ ნაბიჯზე რწმუნდებით, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლება ხელი ააღებინოს ბულგარელ ხალხს მის დიად მონაპოვარზე.

მესამე დღეს დილით ჩვენ წავედით ქ. პლევენისკენ. ტურნოვოდან პლევენამდე ექვსი საათის სავალი გზაა. მივქრიოდით მანქანებით და უკან ვტოვებთ თვალუწვდენელ ველებს, უამრავ გორაკებს, სოფლებს და დაბებს. მთელი ეს ფერდობები და ველები შავად არის გადახნული. გლეხები მუშაობენ, ხნავენ ტრაქტორებით. დაინახავთ გუთნებში შებმულ ხარებსაც, ცხენებსაც, კამეჩებსაც. გუთანში როგორც დასავლეთ საქართველოში, აქაც უღელი ხარი აბია, ან უღელი კამეჩი. ყურადღებას იპყრობს, რომ ჩრდილოეთ ბულგარეთშიაც ბევრია ბაღ-ვენახები, ლამაზი გორაკები, უსიერი ტყეები და ვრცელი მინდვრები ერთმანეთს სცვლიან. გზაზე გავიარეთ ქ. ლოვეჩი, რომელიც მდინარე ოსიმზეა გაშენებული. როგორც ძველი ქალაქების წესია, აქაც თვით ხიდზე არის დუქნები, სავაჭრო მაღაზიები. 250—300 მეტრის სიგრძისაა ეს ხიდი. დაბალშერიანი შენობები მთელ ხიდზეა გაყოლებული. დავათვალიერეთ ეს ხიდი-ქალაქი. მაღაზიებში უმთავრესად ადგილობრივი მრეწველობის ნაწარმია: ფარდაგები, ნოხები, ხალიჩები.

დღის ოთხ საათზე პლევენში ვიყავით. ეს შედარებით პატარა ქალაქია. უმთავრესად იგი ერთი გრძელი ქუჩისაგან შედგება, რომელსაც გარს ბაღები და პარკები არტყია. ჩრდილოეთიდან ქალაქში რომ შე-

დიხარ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს დიდი, მრავალგუმბაზიანი ტაძარი, რომლის ირგვლივ გალავანზე ქვემეხები დგას. პირველად ჩვენ ეს ტაძარი დავათვალიერეთ. მას ახლა მავზოლეუმ-მუზეუმს უწოდებენ. ტაძარი 1903–7 წ. აუგიათ ხალხისაგან შეგროვილი ფულით. ტაძარს წარწერილი აქვს, რომ ის აშენებულია იმ დღეების უკვდავსაყოფად, როცა რუსეთის არმიამ ბულგარელი ხალხი გაანთავისუფლა თურქების მონობისაგან. მონასტერს გარშემოვლებული აქვს ბზის დეკორაციული წრე, მცენარეებისაგან გამოჭრილი სიტყვებით: „გმირებო, თქვენს ძვლებზე დამკვიდრდა ჩვენი თავისუფლება“. ამ სიტყვების მნიშვნელობა უფრო ნათელი გახდა, როდესაც მონასტერი დავათვალიერეთ. შიგნით, მონასტრის ქვედა სარდაფში დადგმულია სამი დიდი სარკოფაგი, რკინისაგან გაშენებული. მათში ამ ქალაქისათვის ბრძოლის დროს, 1877 წელს დაღუპული მეომრების ძვლები ალაგია. სარკოფაგები შემკულია ვერცხლის გვირგვინებით. ტაძრის გარე კედელზე ჩამოწერილია იმათი სახელები და გვარები, რომელთაც თავი ისახელეს პლევნის განთავისუფლებისას თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ გვხვდება რუსების, უკრაინელების, რუმინელების, ბულგარელების გვარები. ისინი, ვინც გადალახა მდ. დუნაი და თურქებისაგან დამონებულ ბულგარეთს თავის სისხლით მოუპოვა თავისუფლება, მათ პატივსაცემად აუგია ბულგარელ ხალხს ეს ტაძარი. ტაძრის შესასვლელში ამოკვეთილია ვრცელი ლექსი რუსულ ენაზე, მიძღვნილი საბჭოთა არმიისადმი, განმათავისუფლებელი არმიისადმი, რომლებმაც ნამდვილად და საბოლოოდ გაათავისუფლა ბულგარელი ხალხი. ამ მონასტერს ზედვე ეკვრის დიდი პარკი, სადაც დგას ტოლბუხინის ბიუსტი წარწერით: „დიდება სტალინურ მხედართმთავარს, უკრაინის მესამე არმიის სარდალს მარშალ ტოლბუხინს. 1944–45 წელი“. მოპირისპირე მხარეს აღმართულია დიდი ობელისკი ბულგარელი პარტიზანებისა. ასე იქმნება მთელი ანსამბლი, რომელსაც უკვდავების ძეგლს ეძახიან; ხალხს უყვარს ეს ადგილი, ღრმა პატივისცემით ეპყრობა ამ მიდამოს. აი ახლაც, დეკემბრის თვეა და ჩვენ აქ ვნახეთ ძეგლების წინ ცოცხალი ყვავილები. მუზეუმის დირექტორმა გვითხრა, ყოველ დილას მოდიანო ბავშვები, ქალები, მოხუცები და მოაქვთ ეს ცოცხალი ყვავილები. საერთოდ ბულგარეთში დიდია კულტურა ძეგლებისა. აქ თითქმის ყოველ ქალაქში, ყოველ დაბაში შეხვდებით ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების, რევოლუციონერებისა და პარტიზანების, საბჭოთა არმიის გამოჩენილი მხედართმთავრების ძეგლებს, ბიუსტებს, ობელისკებს. მათ ყოველ დღე ამკობენ ყვავილებით, ბულგარული ნაზი ყვავილებით. საგანგებოდ კი ყოველ წელს 30 მაისს ხალხი აღნიშნავს ამ გმირების, პარტიზანების, ჯარისკაცების ხსოვნას, რომლებმაც თავი დადეს დემოკრატიული ბულგა-

რეთის წყობილებისათვის ბრძოლაში. მიდიან ამ ძეგლებთან და ყვავილებით ამკობენ, ახალგაზრდები წარმოთქვამენ ლექსებს და სიტყვებს. ხალხი პატივს სცემს თავის თავდადებულ შვილებს, თავის განმათავისუფლებლებს, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულ ვაჟკაცებს.

ბულგარეთს ხომ ვარდების ქვეყანას ეძახიან. ფაშისტებს სურდათ მოესპოთ აქ ყველაფერი, უნდოდათ ამოეძირკვათ ეს ვარდებიც. ჰიტლერის განკარგულებით სპეციალური პრემია დააწესეს იმათთვის, ვინც ვარდების პლანტაციებს ამოძირკვავდა და სამაგიეროდ პურს დათესავდა. აქაურ ყვავილებს მსოფლიო ბაზარზე დიდი სახელი ჰქონდა. ჰიტლერელებს სურდათ მსოფლიო კონკურენტი გზიდან ჩამოეცილებინათ, მოეშალათ, მოესპოთ, მაგრამ ეს ნაზი ყვავილები კვლავ ხარობენ და მუდამ იხარებენ ბულგარეთის მიწაზე. ახლა იმ ფართობზედაც, სადაც გერმანელებმა მოშალეს ვარდების პლანტაციები, ბულგარელმა მშრომელებმა კვლავ გააშენეს ნაზი ყვავილები — ბუნების დიდი მშვენება.

საღამომდე ვათვალიერებდით ქ. პლევენის შესანიშნავ ადგილებსა და პარკებს. საღამოს ქალაქგარეთ ვიეახშმეთ. ამ ადგილს ფიშერს ეძახიან. ფიშერი დიდი გამოქვაბულია. მას ლოკოკინის მსგავსი ზედაპირი აქვს, შიგ ქვის ნაოჭებში ელექტროსინათლეა გაყვანილი, მუხის მაგიდის გარშემო სკამების ნაცვლად კასრის ფორმის ხის გადანაჭრები დგას. წინათ ეს ადგილი თურქებისაგან აწიოკებულ ადამიანთა თავშესაფარი იყო. ახლა ფიშერი და მისი ლამაზი პარკი ბულგარეთის მშრომელთა დასასვენებელი ადგილია.

მეორე დღეს დილით ადრე გავემგზავრეთ სოფიაში. გზად ქალაქი ვრატცა გავიარეთ. ამ ქალაქის ცენტრში აღმართულია ხის დაფა ხრისტო ბოტევის ბიუსტით, დაფას აწერია „აქ აღიმართება ხრისტო ბოტევის დიდი ძეგლი“. სწორედ ამ ქალაქში გაიმართა უთანასწორო ბრძოლა თურქ დამპყრობლებისა და ხრისტო ბოტევის რაზმებს შორის. პატარა ქალაქს საინტერესო მდებარეობა აქვს. დასავლეთით აკრავს ცამდე აზიდული ციცაბო სალი კლდეები.

ჩვენი თანამგზავრი ტოდორ ხარმანჯიევი წარმოშობით ამ ქალაქიდანაა. იგი დაწვრილებით გვიამბობს მის ისტორიის. სხვათა შორის ძალზე საინტერესო ლეგენდას მოგვითხრობს. აგერ ხომ ხედავთ ამ სალ კლდეებს, გვეუბნება იგი, — ერთ მათთაგანს, ყველაზე მაღალ მწვერვალს ახლაც ნისლი ბურავს. დღეში მხოლოდ ერთხელ გადაიყრის იგი ნისლს. და ამ სალი კლდეების თავზე გამოჩნდება ქანდაკება დალალებჩამოყრილი ქალისა. ეს ქალი ამ ქალაქისთავის შვილი იყო. და, როდესაც თურქები შემოესივნენ აქაურობას, ბულგარელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ თავიანთ ქალაქს, მისი აღება თურ-

ქებმა ვეღარ მოახერხეს და ალბათ ვერც აიღებდნენ, თუ არა ღალატით. აბ ქალაქისთავს ჰყავდა ულამაზესი ქალიშვილი, რომელიც თურქების სარდალს უყვარდა. თურქების სარდალმა დაავალა შეყვარებულს, მოეპარა მამისთვის ქალაქის ციხის გასაღები. შეყვარებულმა თხოვნა შეუსრულა მიჯნურს. მამა მოღალატე შვილს მოსაკლავად გამოეკიდა, იგი სახლიდან გაიქცა და თავი ამ სალ კლდეს შეაფარა. მაგრამ ბუნებამაც არ დაინდოო სამშობლოს მოღალატე, ზედ სალ კლდეზე ქვად აქცია იგი. მოღალატეს ბუნებამ ნისლის კალთა გადააფარა, რომ ხალხს არ შეეხედა მისთვის. აღმართული ლოდი ეს მოღალატე ჰგონიათ.

დღის ორ საათზე გავედით ქალაქ ვრატცადან. აქედან იწყება ბალკანეთის მთების გადასასვლელი სოფიიდან რომ გავდიოდით, ჩვენ ეს მთა ჩრდილო-დასავლეთიდან გადმოვლახეთ, ახლა კი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მწვერვალი უნდა გადავიაროთ. ვრატცადან შიშველი სალი კლდეები იწყება. შემდეგ უკვე გამოჩნდა მწვანით შემოსილი ტყიანი მთები. გზის გაყოლებით მთებს მდინარე ჰკვეთს და ამ მდინარეს გასწვრივ გასდევს რკინიგზაცა და საავტომობილო გზაც. ეს მთები მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით. გზადაგზა გვხვდებოდა გზის პირას გამოთხრილი და გამაგრებული დიდი გვირაბები.

სოფიაში ჩამოვედით საღამოს 6 საათზე.

ექვსი დღე ვიმოგზაურეთ ჩვენ მანქანებით ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში. ვნახეთ მისი შესანიშნავი ადამიანები და ზღაპრული ბუნება. ასეთი მდიდარი პეიზაჟები, საქართველოს გარდა, მე არსად მინახავს, და ჩემთვის სავსებით გასაგები გახდა, რატომ უჭირავს ასეთი დიდი ადგილი ბუნებას ბულგარეთის კლასიკურ და თანამედროვე მწერლობაში. დიახაც, შეეძლო ეთქვა ივანე ვაზოვს:

სხვა ბულგარეთი სად არის,
ასე უხვი და ფერადი.

ბულგარეთი უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ჩვენ ბევრგან შევხვდით ბულგარეთის გლეხებს და მწყემსებს. გვჭონდა მათთან გულთბილი საუბარი. ბულგარელები დიდად შრომისმოყვარე ადამიანები არიან. მათ მარჯვენას უხვად მოჰყავს თამბაქო, ღვინო, პური, ვარდი — ბულგარული ნაზი ვარდი. ამ ქვეყანაში დიდად განვითარებულია მეცხოველეობაც, ჩვენმა დელეგაციამ მევენახეობის კოოპერატივი ნახა პლოვდივის მახლობლად. ახლა გადავწყვიტეთ გვენახა მეპურეობის კოოპერატივიც. და აი, ჩამოვედით თუ არა სოფიაში, მეორე დღესვე გავემგზავრეთ სოფ. პეტრიჩში. ვნახეთ სტალინის სახელობის კოოპერატიული მეურნეობა. ეს კოოპერატივი 1945 წლის შემოდგომაზე შეუქმნიათ. სოფელში 500 კომლია, პირველ წელს მხოლოდ 220 კომლი გაერთიანებულა კოოპერატივში, ახლა კი ხუთასი-

ვე ოჯახია გაერთიანებული. როგორც წესი, კოოპერატივში ყოველ წევრს თავისი წვლილი შემოაქვს, დაწესებულია ე. წ. რენტა მიწისა, მართალია, იგი თანდათანობით მცირდება და რენტის გაღებაც გარკვეული ვადის შემდეგ მთავრდება, მაგრამ პირველ წლებში ვისაც მეტი მიწა შემოუტანია, იგი მეტსაც იღებდა. როდესაც ჩვენ პირველად გავერთიანდით, გვიყვება ამ კოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი აგნიან ხრისტოვი, უმთავრესად ღარიბები გაერთიანდნენ. რაც შეეხება კულაკებს, იმათ მიწა მთლიანად დავუტოვეთ, მხოლოდ ავუკრძალეთ დაქირავებული შრომა. და ისინი სულ მალე იძულებული გახდნენ მიწის ის ნაწილი, რომლის დამუშავება იმათ საკუთარი ძალით აღარ შეეძლოთ, კოოპერატივისათვის გადაეცათ. შემდეგ, კულაკების ოჯახებიდან ახალგაზრდები მოვიდნენ ჩვენთან, მივიღეთ. სულ ჩვენს სოფელში 13 კულაკი იყო, ახლა ისინი უკვე ჩვენი კოოპერატივის წევრები არიან ყველანი. ხრისტოვი გვიამბობს: თუ წინათ ამ სოფლის 500 კომლიდან 440 მიწურ სახლში ან პატარა ქოხებში ცხოვრობდა, ახლა მათ 340 ახლად აგებული ორსართულიანი აგურის სახლები აქვთ. ჩვენ თვითონ, დელეგაციის წევრებმა, ჩვენი არჩევით ვინახულეთ ეს ოჯახები. ყურადღებას იპყრობდა ლამაზად აგებული ორსართულიანი სახლი, მოცულობით არაა დიდი, — ორი ოთახი ზევით და ორი ქვევით. ამ ბინებში რომ შედიხართ, გული გაგინათდებათ — ყველაფერს სისუფთავისა და სიკოხტავის ბეჭედი აზის. აგნიან ხრისტოვი გვიამბობს, რომ მე წინათ ღატაკი გლეხის შვილი ვიყავიო, ერთი მიწური სახლი გექონდა, ერთი თხა და ერთი ღორი გვყავდაო და ორ-ნახევარი დეკარი მიწა გექონდაო. ახლა თქვენ თვითონ ხედავთ, როგორ ვცხოვრობთ, აი რა მოგვცა ჩვენმა კოოპერაციულმა მეურნეობამ. და მართლაც უნდა ვთქვათ, ბევრი რამ მისცა ახალმა დრომ ბულგარელ მშრომელებს. ეს თვით ამ კოოპერატივის მაგალითიდანაც ჩანს. ჩვენ გვაჩვენეს იქ მეცხოველეობის ფერმა. მართლაც რომ საუცხოო სანახავი იყო ეს ფერმა, ყურადღებას იპყრობდა დიდი სისუფთავე და სიფაქიზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცხოვრების დონე ბულგარეთში მაღალია ყველგან, სადაც ჩვენ ვიყავით, ქალაქებში და სოფლებში, სახალხო მაღაზიები სავსეა პროდუქტებით, სამრეწველო საქონლით. მართალია, აქ თქვენ არსად არ შეხვდებით განსაკუთრებულ ფუფუნებას, თქვენ ხედავთ ყველგან — თეატრებში, რესტორნებში, ქუჩებში, რომ ეს ხალხი დაახლოებით თანაბარი ცხოვრებით ცხოვრობს. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ მათ ხელფასი ასე შეფარდებით აქვთ, აკადემიის პრეზიდენტი იღებს 4000 ლევს (ეს არის ბულგარეთში უმაღლესი ხელფასი), პროფესორი 1850 ლევს, დოცენტი — 1250 ლევს, მასწავლებელი — 700 ლევს, მუშა კი საშუალოდ 500—

600 ლევს. ეს გარემოება უთუოდ ერთგვარად აწესრიგებს იმ საერთო დონეს, რომელსაც თქვენ აქ გრძნობთ.

დეკემბრის თვის 15 დღემ გაიარა და ჩვენ ბულგარეთში თოვლი, ყინვა და ავდარი არ გვინახავს. ასე საგანგებოდ თითქოს ჩვენთვის მოეწყოო ყველაფერი. მარტო შიპკას მწვერვალზე იყო მცირე თოვლი, მაგრამ ბუნებას მაინც თავისი კანონი აქვს და აი, 25 დეკემბერს დილით დაიწყო თოვა, ბარდნის და ბარდნის გადაუღებლად, ცაც და მიწაც თოვლშია გახვეული.

25 დეკემბერს მოეწყო მწერალთა საერთო კრება. ჩვენი დელეგაცია მიიწვიეს ამ კრებაზე. მწერლებმა გვთხოვეს გვეამბნა მათთვის ჩვენი ქვეყნის შესახებ. პირველი სიტყვა სტელმახს მისცეს. მეორედ მე მომიწია გამოსვლა. რაც შემეძლო, დაწვრილებით მოვყევი ქართული მწერლობის შესახებ დაწყებული მე-5 საუკუნიდან თანამედროვე ჩვენი მწერლობის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღებით გვისმენდნენ. დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენი ძველი მწერლობისადმი. განსაკუთრებით დაინტერესდნენ იმით, რომ ჩვენი წინაპრები მე-11 საუკუნიდან თარგმნიდნენ ბულგარელ მწერლებს. მე დავუსახელე მათ ის ფაქტი, რომ ჰიმჰიმელმა მე-11 საუკუნეში თარგმნა ბოლგარსკის საეკლესიო თხზულებანი, ხოლო რაც შეეხება მე-19 საუკუნეს, ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ბულგარელი კლასიკოსებისადმი. ივანე ვაზოვის რომანი „დამონებულნი“ ბულგარულ ენაზე გამოქვეყნებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ თარგმნეს ქართველებმა. ეს მათ დიდად გაუხარდათ. ჩვენს ბულგარელ მეგობრებს ძლიერ მოეწონათ მიხ. კვესელავას წიგნი „ბულგარული ლიტერატურა“, რომლის შესახებ მე დაწვრილებით ვილაპარაკე (ისიც უნდა ითქვას, რომ მე ეს წიგნი ფრიად გამომადგა). ბულგარელი მწერლები კიდეც საყვედურობდნენ თავიანთ კრიტიკოსებს: აი, ქართველებს დაუწერიათ ბულგარეთის ლიტერატურის ისტორია, ჩვენ კი დღემდე არ გვაქვსო ასეთი შრომა. ჩვენი დელეგაციის წევრები ჩვეულებრივ თავიანთ გამოსვლებს ლექსებით ამთავრებდნენ. ასე მოიქცა, ჩემს წინ გამოსული ორატორი უკრაინელი პოეტი სტელმახი და ასევე ჩემს შემდეგ გამოსული რასულ გამზატოვიც. მეც მთხოვეს წამეკითხა მათთვის ქართულ ენაზე რომელიმე ლექსი.

მე აკაკის „სულიკო“ წავიკითხე მიმღერებით:

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე დაკარგულიყო!
გულამოსკვნილი ვჩიოდი,
„სადა ხარ ჩემო სულიკო“.

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო.

გულისფანქალით ეკითხავდი,
შენ ხომ არა ხარ სულიკო.

ჩემთვის არ იყო მოულოდნელი, რომ ეს მელოდია ბულგარელებისათვის ნაცნობი იყო და ლექსსაც იმიტომ ვამბობდი მიმღერებით. და ერთბაშად ამყვა მთელი აუდიტორია და ახლა ფეხზე ამდგარი ვმღეროდით მე, ქართველი ჩემი მეგობრები, ჩუკოვსკი, სტელმახი, როზოვი. გამზატოვი აქ მყოფ ბულგარელებთან ერთად. სიმღერა დამთრულდა. სიხარულის ცრემლები მოშეძალნენ და, რომ ეს მღელვარება გაეფანტა, ბარათაშვილის ლექსი „საყურე“ წავიკითხე:

ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს.
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავის სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენი შერხევით,
სიო-მობერვით
გულსა სიცხეს განგრილებდეს!
ჰოი, საყურეო,
გრძნებით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგეკონოს?

წავიკითხე ეს ლექსი და განვმარტე. ნ. ბარათაშვილმა, ჩვენმა დიდმა რომანტიკოსმა ეს ლექსი მიუძღვნა აქ ჩვენთან შიპზე თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილე ნიკო დადიანის დედას ეკატერინე ჭავჭავაძეს. ეკატერინე ჭავჭავაძეს, ვიდრე ნიკოს მამას დავით დადიანს გაყვებოდა, პოეტი ბარათაშვილი ელაციცებოდა და ეს ლექსიც მას მიუძღვნა. ნიკო დადიანს სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს თურქების სიძულვილი დედიდან გამოჰყვა. თურქებმა ხომ 1854 წელს სამეგრელო აიკლეს. მაშინ უკვე ნიკოს მამა დავითი გარდაცვლილი იყო და სამეგრელოს ეკატერინე დედოფალი განაგებდა. სწორედ ეს ეკატერინე ჭავჭავაძე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქართული ხმლით გაუძღვა წინ სამთავაროს ჯარს და რუსი ჯარის დახმარებით თურქთა მიერ აოხრებული სამთავრო გაათავისუფლა. ეს კარგად ახსოვდა ნიკო დადიანს და აქ თქვენთან ერთად რუსეთის ჯარში ვაჟკაცურად იქნევდა ხმალს. და 1878 წელს შიპზე გამოჩენილი გმირობისათვის ნიკო დადიანს ხმალი ებოძა წარწერით. — „შიპკის ომის გმირს“. ეს დადი-

ანი რუსეთის სელმწიფე-იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ ბულგარეთის ტახტის კანდიდატად გამოაცხადა...

ბოლოს რამდენიმე ზოგადი შეკითხვა მოგვცეს. მათ შორის სოციალისტური რეალიზმის, მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ. დელეგაციის წევრებმა პასუხი გაეცით ამ შეკითხვებზე. კვლავ გრძელდებოდა შეკითხვები. როდესაც აუდიტორიიდან ადგა ბულგარელი ცნობილი დრამატურგი ვასილევი და თქვა: ჩვენს დელეგატებს ალბათ მოესსენებათ, რომ დღეს ჩვენს დედაქალაქში ამ წუთებში ჩვენი თეატრის 100 წლის იუბილე ტარდება, ბევრი ჩვენთაგანი იქ მიპატიჟებულია, მაგრამ ჩვენ აქ მოვედით თქვენთან, საბჭოთა მწერლებთან. თქვენ ახლა შეკითხვებით არ შეგაწუხებთ, თქვენ რომ წინათ ჩამოსულიყავით ან ჩამოსულიყავით სხვა ვითარებაში, უნგრეთისა და პოლონეთის მწერლობის ამ უკანასკნელი დროის ამბების გარეშე, ჩვენ ბევრი შეკითხვა გვექნებოდა, ბევრი რამ სადაო თქვენთან, მაგრამ ახლა თქვენთან სადაო არაფერი გვაქვს. ჩვენ მხოლოდ ახლა ერთი სათქმელი გვაქვს: ვისთან ვართ ჩვენ ბულგარელი მწერლები, თქვენთან, თქვენთან, ჩვენო ძმებო და მეგობრებო, საბჭოთა მწერლებო, და არ არის ისეთი ძალა მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია დაგვაცილოს ჩვენ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მწერლობას, სოციალიზმის ბანაკს. ეს ისეთი გრძნებით და გულწრფელობით თქვა ამხ. ვასილევმა, რომ ძნელია გადმოგცეთ ამ სიტყვებით გამოწვეული შთაბეჭდილება და აღფრთოვანება.

26 დეკემბერს, საღამოს დიდი ბანკეტი მოგვიწყვეს. აქ იყვნენ ბულგარეთის საუკეთესო მწერლები, ბულგარეთის ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები. პირველი სიტყვით მოგვმართა ბულგარეთის მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ხრისტო რადევსკიმ. მან დალია საბჭოთა მწერლების სადღეგრძელო. მეორე სიტყვა აკადემიის პრეზიდენტმა პავლოვმა წარმოთქვა. ეს იყო დიდი გულწრფელობითა და სიყვარულით აღსავსე სიტყვა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მეგობრობაზე. ძმობისა და მეგობრობის ეს საღამო, ეს უაღრესად გულწრფელი შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. გვიან ღამით რომ გამოვედით, გადაუღებლად თოვდა. არაჩვეულებრივი ლამაზი იყო თოვლში გახვეული ქალაქი სოფია. ბანკეტზე შეკრებილმა ბულგარეთის ინტელიგენციამ ჩვენ სასტუმრომდე გამოგვაცილა, ერთხელ კიდევ გადაგვეხვივნენ და გადაგვკოცნეს, შინ მშვიდობით დაბრუნება გვისურვეს. ასეთივე გულთბილი შეხვედრა გვქონდა ჩვენ მწერლების ოჯახებშიაც. მიგვიპატიჟეს ოჯახებში მწერლებმა ანგელ ტოდოროვმა (სხვათა შორის იგი მეთაურობდა საბჭოთა კავშირში ბულგარელი მწერლების დელეგაციას), სტოიან დასკალოვმა, მლადენ ისაევმა. ჩვენ გვქონდა შეხვედრები და საუბრები მწერლებთან: ლუდმილა სტო-

იანოვთან, ელისაბედ მაგრიანთან, ბლაგა დიმიტროვასთან, ორლიან ვასილევთან, ივანე ბურინთან, ანდრეი გულიაშთან, ლამართან, პანჩოსთან და სხვ.

ჩვენ არც ტურისტები ვიყავით და არც გასტროლიორები. ჩვენ სტუმრები ვიყავით ბულგარელი მწერლებისა. შეიძლება ამანაც ითამაშა როლი იმ დიდ სიყვარულში, გულითადობასა და გასაოცარ პატივისცემაში, რომლითაც ჩვენ ვიყავით გარემოცული 17 დღეს ბულგარეთში. ისე გაგვათბეს სიყვარულით, ისე აღგვავსეს პატივისცემით, რომ ამის აღწერა და გადმოცემა შეუძლებელია სიტყვით. 27 დეკემბერს ჩვენ გამოვფრინდით სამშობლოში. თან წამოვიღეთ მწერლების მიერ მოძღვნილი თაიგულებად შეკრული ბულგარული ნაზი ყვავილები, როგორც სიმბოლო იმ სიყვარულისა, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის არსებობს.

საუბარი ლანდებთან

ჭლექით დაავადებული, ლოგინად ჩავარდნილი ოცდათხუთმეტი წლის ეგნატე ნინოშვილი სიკვდილს ებრძოდა. 1894 წლის 20 აპრილს მწერლის განუყრელი სულიერი მეგობარი სილიბისტრო ჯიბლაძე ანასტასია წერეთელს ატყობინებდა:

„დიდად პატივსაცემო ბატონო ანასტასია მიხაილის ასულო! ეგნატე ინგოროყვამ მიიღო თქვენგან გამოგზავნილი ფულები. რადგანაც მას პასუხის მოწერის თავი აღარ აქვს, მე მომანდო გულწრფელი მადლობა მოგიძღვნათ თანაგრძნობისათვის. ეგნატე ეხლა სოფელშია. აქ არჩია დალიოს უკანასკნელი დღეები თავისი მწარე სიცოცხლისა. თხუთმეტი დღეა, რაც დავსცქერი მის აუტანელ ტანჯვას. ბათუმის ექიმების სიტყვით ის ამ გაზაფხულს ვერ გადიტანს. მადა სულ დაეკარგა, ხმა მიუწყუტა, ლოგინიდან ადგომა სრულებით არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, როცა უკეთ იგრძნობს თავს, ცდილობს განაგრძოს თავისი ახალი მოთხრობა „პარტახი“, მაგრამ ამაოდ: კალამი ხელიდან უვარდება და საშინელი აღელვებული იწყებს ცურვას თავის მწარე ოფლში... გაშმაგებული, თვალცრემლიანი ლოგინად ეცემა: „ვკვდები, ვკვდები“, — ამბობს შემაძრწუნებელი ხმით, „ვკვდები იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარ, როცა ჩემი მომავლის მოქმედების პროგრამა უფრო ნათლად გამოვარკვიე“... ასე ლევს სულს ეს კეთილშობილი ადამიანი“...

ავადმყოფობის ჟამს ნინოშვილს უცნაური რამ დასჩემდა: წასთვლემდა თუ არა, ახლობელთა ლანდები გამოეცხადებოდა. ხან უიღბლოდ შეყვარებული ნადასის ეფერებოდა, ხანაც მის მიერ დახატული გმირთა აჩრდილები არ აძლევენ მოსვენებას. მთელი ეს სიკვდილის წინა თვე ლანდებთან კამათში გაატარა. პირველად უკვირდა: რა მემართებაო, ებრძოდა ზმანებებს თუ მოჩვენებებს, მერე და მერე ისე შეეჩვია, ისე სულის ზიარნი გაუხდნენ ეს მოლანდებანი, რომ ჩათვლემდა თუ არა, ახლა თავად ელოდა ამ აჩრდილების გამოცხადებას.

1. ნადასი

იმ ღამით წვალებით ჩაძინებულ ნინოშვილს ნადასი ესტუმრა. გაღიმებული სახით შემოვიდა იგი, საწოლის წინ გაჩერდა. ჯეირანივით

ყელმოღერებული, ცისფერი, დიდრონი, სიყვარულით საესე თვალებით ავადმყოფს შეაჩერდა და ჩურჩულით წარმოთქვა:

— აჰა, მოვედი, ჩემო ეგნატე!

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი!

— საიდან იცოდი?

— იქიდან, რომ შენი ლანდი მუდამ თან მდევდა განუშორებლად, — შეჩერდა, მძიმედ ამოისუნთქა და სვენებ-სვენებით დაუმატა: — ალბაო, შენც ხშირად გესიზმრებოდი, არა?

— კი, ხშირად. ეს სიზმრები ყველაზე ხშირი მოგონებაა ჩემს უსიხარულო ცხოვრებაში. მე მათ გამოვყევი და მოვედი შენთან ამ სიზმარ-ცხადში. — ესა თქვა, სარეცლის წინ დაიხარა და შუბლზე აკოცა ავადმყოფს.

პირსახეზე სიცხის ალმური შეპოენთო ქალს.

— ეს რა სიცხის გაგანია მოგდებია, რა უღეთოდ იწვი, სულო!

— შენით, შენით მომედო ეს გაგანია, უსაწველოდ ვიწვი, ვიწვი შენი სიყვარულით! გავიტანჯე, დავიტანჯე, სულზე უტკბესო!. — შენ გგონია, რომ ავადმყოფობამ დამჯაბნა? არა, მე შენმა სიყვარულმა დამრია ხელი. შენმა სიყვარულმა შემყარა ქლექი და ბევრი სხვა უბედურებაც. შენი სიყვარული სულს მითუთქავდა, გულ-ღვიძლს მიწვავდა, ეს ოხერი გული კი მაინც ცოცხლობს, რაკი შენ ეგულები ამ ქვეყნად, ხელი ჰკარი ჩემს სიყვარულს და მაინც შენის სიყვარულით ვსულდგმულებდი, მჯეროდა, რომ მოხვიდოდი და აკი მოხვედი კიდეც. ახლა კი გეტყვი. გეტყვი სუყველაფერს, გეტყვი, როგორ ვეწამე უშენოდ. უსიყვარულოდ კი არა, შენი სიყვარულით ვწერდი ჩემი სულის აღსარებას. რაც კი ჩაისახა შენი სიყვარული ჩემს სულში, მას შემდეგ მოვკიდე კალამს ხელი და შენი სიყვარულის დარდს წერით ვინელებდი. გახსოვს, პირველად რომ განახე? განახე და მაშინვე შემიყვარდი, ეს იყო 1889 წელი, ჯერ ვერ გაგიბედე სიყვარულის გამხელა და ჩემს გულში ვინახავდი საიდუმლოდ შენს სიყვარულს მთელი სამი წელი. თავაუღებლივ ვმუშაობდი, ვწერდი, მეგონა მწერლის სახელით თავს გაგაცნობდი, აკი შენდამი მოწერილ ბარათს მე „ნინოშვილი“ მივაწერე, ვითომ ერთი ვინმე ჩვენებური ინგოროყვა კი არ გწერს ამ ბარათს, არამედ მწერალი ნინოშვილი. ამით თავი მომქონდა შენს წინაშე. შენგან უარი რომ მივიღე, უფრო მწვავედ ვიგრძენი, რომ ეს „ნინოშვილის“ ხელმოწერა თავმოწონება და ერთგვარი კეკლუცობა იყო შენს წინაშე: ხომ ხედავ, რამხელა ბედნიერება გერგო წილად, თვით სახელგანთქმული მწერალი — ნინოშვილი გიცხადებს სიყვარულს! მივხვდი, რომ ეს შეცდომა იყო ჩემის მხრივ და შემრცხვა, შევწუხდი, წერილიც მოგწერე და მაინც ვერ მოვისვენე. შეურაცხყოფილმა, ორმაგად შეურაცხყოფილმა, გადავწყვიტე, შენგან დამცირებულ ნინო-

შვილს, ისეთი რამე გამეკეთებინა, რომ ქვეყნის წინაშე გამომესყიდა მოყენებული დამცირება. შეურაცხყოფილი ნინოშვილი ხალხის საყვარელ ნინოშვილად მექცია. და მე დავტოვე გურია, თბილისს მივაშურე, და შევუდექი ჩემს გოლგოთას. თბილისში კარგი მეგობრები შემხვდნენ. ბინა მიხა ცხაკაიასთან დავიდევი, მიხა მაშინ „ივერიაში“ მუშაობდა. დღესა და ღამეს შრომაში ვასწორებდით. დღისით სტამბაში ვმუშაობდი და 7 კაპიკს ვიღებდი, ღამე კი ვწერდი და ვწერდი... არ ვასვენებდი უსიყვარულო, გაუხარელ ჩემს სულს. თბილისშიც არ მასვენებდა მე შენი ლანდი, სასიამოვნო იყო ეს მოლანდება და მტანჯველიც. ხომ იცი, გრძნობა აღარ ემორჩილება გონებას. ასე ვევნე და ვეწამე მე მთელი ჩემი სიცოცხლე.

— შენ გგონია, მე ცოტა ვიტანჯე? შენს ტანჯვაზე მეტი იყო ჩემი ტანჯვა, ჩემო ეგნატე. მე ხომ ის აღად მოსაგონარი ბარათი ჩემმა ძმებმა ღამაწერინეს, ჩემივე ძმების რჩევით გავყევი ცოლად ჩემს ქმარს, მავრამ პირველსავე ღამეს მივხვდი, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის არ ვიყავით დაბადებული. იმავე ღამეს შენ დამიდექი თვალწინ და მთელი ღამე ტირილში გავატარე. არა, ის სულ სხვა კაცია, ვიდრე ჩემი ქმარი, — ვიმეორებდი ჩემთვის და მთელი ის თვე ტირილში გავლიე. ჩუმად ვტიროდი, ვტიროდი ჩემს თავს, ჩემს დაკარგულ სიყვარულს. შენზე ვფიქრობდი... რაც დრო გადიოდა, მით უფრო ერწმუნებოდი ჩემს შეცდომაში, მერე, იმ დღეს, მთლად ცხადად ვიგრძენი, რომ მე არ შემეძლო უშენოდ, არა, არ შემეძლო, ასე ვიწვალე ეს სამი წელი, დავტანჯე ჩემი გული და უდანაშაულო ჩემი ქმარიც. ჯერ ავადმყოფობა მოვიგონე და არ ვეკარებოდი. მერე ძმებთან დავბრუნდი და იქ დავყავი მთელი ნახევარი წელი. ვერ ვისვენებდი, ყველგან შენი ლანდი დამდევდა თან. მერე შვილი შეგეძინა, ცოტა ხანი გული ამას გადავაყოლე. იცი რატომ? — ის ბავშვი შენ მიგამგვანე, უგონოდ ვკოცნიდი ყოველ წამს და მით ვითომ შენ გეფერებოდი, შენ გელაციცებოდი. მერე მივხვდი, რომ შენ მაინც შორს იყავ ჩემგან... ასე ვიტანჯე აქამდე, მეტი ვერ ავიტანე და აჰა, მოვედი, მოვედი და ეს აღსარებაც გულისა გითხარი... მოვედი და არც არასოდეს მოგცილდები აწი. — ეს თქვა და ტირილი აუვარდა ქალს.

— ჩემო ნადასი! იქნებ შეცდომა იყო ჩემის მხრით, რომ გაგიმხილე მე უღირსმა ჩემი გულის საიდუმლო და მოგწერე ის მწარედ მოსაგონარი წერილი, ჰმ — კი, შეცდომა იყო, შეცდომა და კიდევ შეცდომა, — სამგზის გაიმეორა ავადმყოფმა.

— არა, არ იყო შეცდომა, ჩემო ეგნატე. აკი შენს მოთხრობებში იმას ქადაგებ, რომ ადამიანი გულის კარნახს უნდა დაემორჩილოსო. სიყვარული ყველაზე დიდი ნიჭია ადამიანისა და ვინც ამ ნიჭს ჩაკლავს, ის მტერია თავის თავისაო. ასე სცოდნია თურმე სიყვარულს. ჰოდა,

შენ რა იცოდი მაშინ, რომ ჩემი გულიც შენებრ იწვოდა სიყვარულის ცეცხლით და მაინც უარი მოგწერე, მომაწერინეს, მაგრამ აკი იმავე ბარათში გთხოვდი: „ჩემმა უარმა არ აღმოფხვრას თქვენს გულში თქვენი ჩემდამი სიყვარული და თუ შეიძლება გვიყვარდეს ერთმანეთი ისე, როგორც და-ძმას“ — შენ, მწერალმა კაცმა, ნუთუ ვერ ამოიკითხე ამ სიტყვებში ღრმად დაფარული ჩემი გრძნობა, ძმების კარნახით დაწერილ წერილში ღრმად დამალული ჩემი შენდამი თანაგრძნობა ვერ დაინახე? ნუთუ არ შეატყვე ჩემს წერილს ჩემი დამწვარი გულის ფარული კვნესა? ან იქნებ ამოიკითხე კიდეც, მაგრამ მოგერიდა ისევ იმ ჩემი ძმებისა და ბრმად დაემორჩილე შენს ბედს, ჩემგან განწირულს, ისე როგორც მე დავემორჩილე უსიტყვოდ ჩემი ძმების სურვილს? როგორც მე გავიგე, შენ და ჩემს ძმებს დიდი დავაც გჭონიათ თურმე სიყვარულის თაობაზე და მათგან გაჯავრებული ვე მერე არც არასოდეს მინახიხართ ჩემი ძმების ოჯახში. ჩემო ეგნატე, ხომ ასეა ეს? მე ისიც მახსოვს, შენ რომ ნიშნის მოგებით მწერდი: „სიყვარული აღმოიფხვრება თუ არა, ამისა რა მოგახსენო, ეს გულზეა დამოკიდებული, არის ისეთი გული, რომლიდანაც ადრე ირეცხება, აღიგვება სიყვარული და არის ისეთიც, რომელიც სამარეში ჩაიტანს სიყვარულსო“. ხომ დაინახე, ახლა მაინც ხომ დარწმუნდი, რომ ჩემს გულში შენდამი მხურვალე სიყვარული არ აღმოფხვრილა, ამ სიყვარულმა დამატოვებინა მე კანონიერი ქმარი და შვილი და შენთან მოგიყვანა აქ, — ეს თქვა და უფრო თავშეუკავებლად ატირდა ნადასი...

— არა, ახლა გვიანაა, ნადასი, რად დაიგვიანე, ჩემო სანატრელო, რად დაიდე წილი ჩემს ესოდენ ტანჯვაში? არა, ახლა გვიანაა ვე ისე ავად ვარ, უფლება არა მაქვს შენთან ერთად ერთს ჭერქვეშ ვიცხოვრო! მაშინ სხვა იყო, ახლა ვიმეორებ: ჩემის მხრივ გამოუსყიდველი დანაშაული იქნება, რომ ის, ვინც ასე უზომოდ მიყვარს, ჩემთან ყოფნით ჩემსავით ჯვლექში ჩავაგდო. არა, ეს არ მოხდება, ჩემო სულო! ვაი, რომ გვიანაა! — ...ხმა მთლად ჩაუწყდა ეგნატეს.

— მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია და აწი, როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე, შენთან სიკვდილი მირჩევნია ქმართან დაბრუნებას. — ესა თქვა და სკამზე ჩამოჯდა ნადასი.

მეტისმეტად აღელდა ეგნატე. მადლიერების გამომხატველი სიტყვები ძლივს მოძებნა და ესღა უთხრა: — ნადასი, ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვარ. ჩემი სიცოცხლე განახლდა, ნეტარების შუქით შეიმოსა. დღეიდან ახალი ცხოვრება იწყება ჩემთვის, მაგრამ მეშინია, ძლიერ მეშინია, ჩემმა მდგომარეობამ არ დაგტანჯოს და... — ნადასიმ, სიტყვაც არ დაამთავრებინა, ისე მოუჭრა:

— შენთან ჯოჯოხეთიც ვერ შემაშინებს, ჩემო!

ამის გამგონე ეგნატე გახალისდა, ძალა მიეცა ღონეგამოლეულს და

სიყვარულით აღგზნებული ენად გაიკრიფა. ნინოშვილი ვერ ისვენებდა, ბორგავდა, სიხარულისაგან ატაცებული სულს ძლივს ითქვამდა და მაინც ჰყვებოდა სულის კარნახით:

— ჰო, რა ტანჯვა არ გამოიარა შენმა ეგნატემ, ჩემო ნადასი. გავწამდი, გავწვალდი. უსიყვარულოდ მიტოვებულ ჩემს სხეულში ბოროტი სული ჩასახლდა და მთლად დამიკარგა მოსვენება. — ეს თქვა და საშინელი ხველა აუტყდა. მოითქვა სული და ისევ გააგრძელა: — ჰო, რა უბედური რამ ყოფილა ეს ოხერი სიყვარული. მე ხომ მრავალგზის აღვწერე შეყვარებულთა გულისვარამი, მაგრამ ყველა ამათზე მეტი აღმოჩნდა ჩემი საკუთარი უიღბლო სიყვარული, შენდამი ჩემი უსაშველო სიყვარული, ჩემო! ეს სიყვარული ისე უძირო და ღრმა იყო, რომ ერთი გმირის ვარამში ვერ გამოვთქვი, ყველა შეყვარებულთ გავუნაწილე და მაინც ვერ გავახარულე ჩემი გულის სათქმელი, მაინც ვერ გამოვხატე ჩემი შენდამი სიყვარულის სწორად და ტოლად მათი სიყვარული, მაგრამ რაც განვიცადე, გულით დავხატე, სულის კარნახით დავწერე. მათ ბედში ჩემი ბედი წარმოვიდგინე და თან გავატანე ჩემი სიყვარული. შენი სიყვარულით აღძრული ტკივილები სულისა და შიმშილით გადახდილი ჯოჯოხეთური ჯაფა მიადვილებდა განწირულ ბედთან ბრძოლას, ამ დროს ცისა და ქვეყნის ნეტარება შენ იყავ ჩემთვის... დამშეული კუჭით და სიყვარულისაგან გამოხრული გულით ვწერდი მე ჩემს და ჩემებრ ადამიანთა ისტორიას. მე რასაც ვაკეთებ ან რაც აქამდის გამიკეთებია — ეს ყველაფერი შენმა სიყვარულმა შემაძლებინა. მე მაწუხებდა და მაწვალებდა სიყვარულით და შიმშილით ჩემებრ დაჩაგრულთა ბედისწერა.

შიმშილი და სიყვარული! უცნაური შედარებაა, არა? — თუ ღრმად დავაკვირდებით, არის მათ შორის ლოგიკური კავშირი; შიმშილი და სიყვარული — ეს ორი ძალა ზღვას გადალახავს, მთებს დაიპყრობს, გაუჩენელს გააჩენს. სიყვარული და შიმშილი ტყუპი ძმებივით უშიშარნი და შეუპოვარნი არიან. ხომ გინახავს დიდ ზამთარში გურიის მთებიდან ბარად ჩამოვარდნილი მშიერი მგელი. იმაზე საშიში არა არის რა. შიმშილისგან გამწარებულს შიშის გრძნობა დაკარგული აქვს და უშიშრად ეკვეთება სოფელს, არც თოფიანი კაცისა ეშინია და არც ძაღლისა; სანამ კუჭს არ გაიძღებს, არაფრად აგდებს არავის. მოიტაცებს რამეს და კუჭს მით გაიძღებს, ან არადა მშიერს ჩააძაღლებენ. უფრო საშიშია დამშეული კაცი, ეს გონიერი მშიერი არსება, თუ ეს დამშეულთა და კუჭკარიელთა არმიები შეერთდებიან და შეიარაღდებიან, ვერავითარი ძალა ვერ აღუდგება მათ წინ. შიმშილი უშიშარი და შეუპოვარია. ასევე ძლიერია სიყვარული. მე სიყვარული შენით დავკარგე და დავრჩი უსიყვარულოდ. უსიყვარულოდ და ულუკმაპუროდ ორმაგად გამწარებული, ჩუმი, სუსტი ჯან-ღონით

მშიერი მგელივით ვეკვეთე ბედს და ბრძოლაში გამოვიწვიე. ამ ორმა ძალამ — სიყვარულმა და შიმშილმა გამაკეთებინა, დამაწერინა ყველაფერი. ჩემი ჯანიც ამ ორ ფარულ მტერთან ბრძოლაში გაველიე. და ჰა, შენი თვალებით ხედავ, რა დღეშიც ვარ დღეს.

აჭ ისეთი სევდა, კაშანი შემოაწვა ავადმყოფს, რომ სიტყვა ვერ დასძრა. მერე ისე ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გულიც თან ამოატანაო, შეისვენა, და ვაკრძელა:

— მე რომ მაძღარი ვყოფილიყავ, მე რომ შენი სიყვარულით გამოპატრონებული ოჯახი შემექმნა, ალბათ არც არასოდეს ვიფიქრებდი ასე მეწერა. მე ვწერდი შიმშილისაგან და სიყვარულისაგან გამწარებული. ამავე დროს ყველა დამშეულთა და უსიყვარულოდ დარჩენილთა სახელით ვწერდი ამ სტრიქონებს. ჩემი ფიზიკური და სულიერი ძმები ეს დამშეულთა არმიაა, ეს უსიყვარულოდ და ულუკმაპუროდ გამწარებული ადამიანთა არმია. შენ ხომ იცი, რა უბედურია ის ადამიანი, ვისაც სიყვარული არ განუცდია. ჩემი ზოგიერთი გმირის გულში სიყვარულს ერთი ღამეც არ გაუთენებია. კაციასა და გოგიას ვინ აცალა სიყვარულით გაეთბოთ გული. მათი ისედაც უგემური ცხოვრება უსიყვარულოდ უფრო უფერული იყო. ჰო, რა ძნელია უსიყვარულოდ ცხოვრება: უსიყვარულოდ სიკვდილი ორმაგი სიკვდილია. მე სინდისი არ მაძლევდა უფლებას, რომ გულდამშვიდებით და პოეტურად მეწერა მათს არაპოეტურ ცხოვრებაზე. მე ამ უსიყვარულოდ და უსინათლოდ გაწამებულთა მარტივი ცხოვრება სრული ბუნებრიობით და სიმართლით, შეუფაქიზებლად და შეუფერავად დავხატე: „კაცია იდგა ერთ ადგილას და თვალგაშტერებით გაჰყურებდა ერთ კონცხის ძირს, სადაც მთვარეს შუქის მიტანა ვერ მოეხერხებინა. არ იფიქრო, მკითხველო, თითქოს კაციას ფანტაზია აუთამაშდა ასეთ პოეტურ ღამეში... კაციას არავითარი ტკბილი მოგონება არ ჰქონდა შეერთებული პოეტურ ღამესთან: არც სატრფოს ხვევნა-კოცნა, არც მწვანეზე ქეიფიანი ვახშამი, არც სატრფოს წინაშე სიყვარულის განცხადება და არც სხვა მისთანა. მას თავის დღეში არ ჰქონია მისთვის დრო, რომ სატრფოსთან ხელიხელ გაყრილი ესეირნა და დამტკბარიყო ბუნების სიმშვენიერით, ან მთვარიან ღამეს სატრფოს მოლოდინში აეტკეცებინა მისი გული. კაციას რომანებისა არა გაეგებოდა რა, მისი სიყვარულის ისტორია სულ ეს იყო: ერთ საღამოს დაიწერა ჯვარი თავის კესარიაზე და იმ დღიდან დაწყებული ეწეოდნენ ორივე ცხოვრების მძიმე უღელს. თუ მთვარიანი ღამე მოაგონებდა რასმე, ისევ თოხს, სახნისს, ურემს, ღამით მუშაობას და სხვას მისთანას. მაშ რას მოასწავებდა კაციას გაშტერებული თვალები? მძიმე და ნაღვლიან ფიქრებს: რამდენი რა არ ტრიალებს საწყალი ყაძახის თავზე? — ეუბნებოდა ფიქრებში კაცია თავის თავს, — ცოლ-შვილი დაარჩინე, ფოშტის ფული გა-

დიხადე, უჩიტლის, მწერლის... გზის სამუშაოზე წადი, სადარაჯოდ წადი. ყველას მორჩილება გაუწიე, ყველას ემსახურე, არა, ძალიან უბედურათ არის ყაძახის ცხოვრება მოწყობილი!... აი, ამისთანა ბედუბედურთა სულის სადიდებლად დავწერე მე, რაც კი დამიწერია. ვიმეორებ, ალბათ კალამს ხელში არც არასოდეს ავიღებდი, რომ ჩემებრ გამწარებულთა მოთქმა ჩემის გულისზიარად არ გამეხადა. მე დაჩაგრულთა და ბედით გაწამებულთა გულის კარნახით ვწერდი, მთელის აღშფოთებით ვწერდი ულუკმაპუროდ და უსიყვარულოდ დარჩენილთა ბედზე. გულდამწვარი ვწერდი ბედდამწვართა თავვადასავალს. ერთია ამ ადამიანებზე გარედან მაყურებლის თვალითა და გონებით დაწერილი და მეორე თვით ამ ადამიანების ბედის მონაწილე მწერლის, მათებრ გამწარებული კაცის თვალით დანახული და გულით დაწერილი. მე და ისინი, ვის შესახებაც მე თანაგრძნობით ვწერდი, ერთს ბედქვეშ ვიყავით. თუ რამე კარგია ჩემს ნაწერებში, აქედან მოდის — გულის ერთობიდან, ბედის ერთობიდან მოდის. მათებრ გამწარებული ვწერდი მე ამ გამწარებულთა ბედზე. და რაც შემეძლო არ დამიშურებია მათთვის ძალა და ენერგია, არც ნიჭი და გამოცდილება. პირმართალი და გულმართალი ვარ მათს წინაშე.

აქედან ისე ხომ არ გამოდის, რომ მხოლოდ ჩემებრ დამშეული და გამწარებული მწერალი დაწერს სასიკეთოს და ხალხისთვის საჭირო ნაწარმოებებს? არა, ასეთი დასკვნის გამოტანა არ იქნებოდა მთლად მართალი. მწერლობა თავის ბუნებითაა ჰუმანისტური. ჭეშმარიტი მწერალი არ შეიძლება არ იყოს მშრომელი ხალხის მხარეზე, ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ რა ვუყოთ გრაფ ლევ ტოლსტოის, შენს საყვარელ მწერალს? არა, ჭეშმარიტი მწერალი ხალხის მხარეზე იყო და მუდამ იქნება. მაინც ვიტყვი, რომ მე გამწარებულთა და შეიწროებულთა გულის კარნახით ვწერდი, ამიტომ ჩემებრ დაჩაგრულნი უფრო ბეჭად აფასებდნენ ჩემს ნაწერებს, ვიდრე საკუთრივ ხელოვნების მაღალ კოშკში ჩაკეტილები. აბა სად მე და სად „მაღალი შტილის“ კანონები. სამაგიეროდ მე ისეთი შინაგანი ენერგია მივანიჭე გამწარებული კაცის ფიქრსა და ოცნებას, გულის წადილსა და სულის ძახილს, ისე ბუნებრივად, მათთვის გასაგებ ენაზე ვთქვი მათი სულის აღსარება, რომ ამ ადამიანების წარმოდგენაში ამ ჩემს ნაწერებს ყოფნიდა სიმართლის მადლი და ძალა. დღესა და ღამეს წერაში ვეჯიდებოდი, და ეს მიმაჩნდა ჩემს ზნეობრივ მოვალეობად. ჩემს ამ ხარივით შრომაში ხალხის თანაგრძნობა მეყოფა ჯილდოდ. „ადრე თუ გვიან ჭეშმარიტებას უფრო ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, ვიდრე დღეს ჩვენ ქვეყანაში მოწონებულს სოფიზმებს და დამყაყებულ აზრებს. ვცდილობდი და ვცდილობ — შეძლებისდაგვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები და მთელის გულით შევებრძოლო, ვინც

თავიანთი ცრუ აზრებით ხელს უშლის ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნვაზე. მე, რასაკვირველია, სრულიადაც არა მაქვს პრეტენზია „მაღალი შტილის ხელოვნებაზე“. მე ჯერ ამისთვის საკმაო ძალაც არა მაქვს და მერე კიდევ, თუნდა ძალა მქონდეს, სად შემიძლია დინჯად და ძლიერ დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება მაშინ, როცა ლუკმა პურისთვის მოუსვენრად აქეთ-იქით ვწანწალებ. აბა რა ვქნა, რით დავიპყრო სული?“... ეს განწირული სულისკვეთება მიკარნახებდა დაუყოვნებლივ გამემხნევებინა ეს გამწარებული და დაჩაგრული ადამიანები, აღმენთო მათში თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინი, რომ „მტერი მტრად ეცნოთ და მოყვარე მოყვრად“. ჩემს ნაწერებში ამის მაგალითად დავსახე სიმონა და სპირიდონი, გიორგი და ლევანი... აი ის უბირი გლეხი ლევანი ჩვენს ხალხში გავრცელებული და ხალხის ძვალრბილში გამჯდარი დიდებული რუსთაველის სიტყვებს იშველიებს თავისი მოქმედების გასამართლებლად: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“... ჰოდა ლევანი და მისი თანამოაზრენი ნაძრახ სიცოცხლისგან გამწარებულნი უთანასწორო ბრძოლაში იღუპებოდნენ და მაინც იბრძოდნენ იმისთვის, რომ „მუშას თავის ნაშრომი რჩებოდეს, ქუჩაში ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს“ და ანდერძად გვიტოვებდნენ, არავინ შეგუებოდა და შერიგებოდა ნაძრახს სიცოცხლეს... ჩემი მოთხრობები ამ გამწარებული ხალხის ერთი გაბმული კვნესაა. აქ მეტია ტირილი და მოთქმა, ვიდრე სიცილი და კისკისი, სად მეპოვნა მე ეს მხიარულება და სიცილი, როცა ჩემს ირგვლივ მხოლოდ ტირილი, ვაება და მოთქმა მესმოდა? ეს თექვსმეტთვრამეტი წლის ქალიშვილები სიცოცხლისთვის, კისკისისთვის, სიყვარულისთვის, მხიარულებისთვის იყვნენ დაბადებულნი, მაგრამ მანას თუ გულოს, დარიკოს თუ ქრისტინეს ვინ აცალა, ტკბილი სიცოცხლე და სიყვარული. დიახ არ აცალეს, გაამწარეს, გააბოროტეს, ნაადრევად ბოლო მოუღეს, ნაადრევად დააჭკნეს მინდვრის ეს მაღლიანი ყვავილები. შეულამაზებლად, გულისდამწველად ვწერდი მათ შესახებ, მეც ბევრჯერ ავტირებულვარ მათ ბედზე. ამ ბედისგან დაჩაგრულ ქალიშვილებს სიყვარული უადვილებდათ ცხოვრებას. ეს ერთადერთი იმედი იყო მათი, ისე როგორც შენ იყავ ერთადერთი იმედი და ძალა ჩემთვის. აკი ეს სტრიქონები მე მეკუთვნის: „დარიას სიახლოვეს ყოფნით სიმონა, რა თქმა უნდა, ნეტარების მორევში ცურავდა. სიმონას თვალში ამ დროს ცასაც სხვა ფერი ედო, მიწასაც, დღესაც და ღამესაც. ასე ეგონა ფრინველებიც ჩემს სიყვარულს მღერიანო“. სიყვარულის ჯავრი და ნაღველი ადამიანს აჭკნობს, აჭლექებს...

ეს თქვა და კვლავ მწარედ ამოიგმინა. ამასობაში გამოელვიძა და მოლანდება გაქრა. ავადმყოფი ოფლში ცურავდა, გარშემო კაციშვილი არ ჩანდა... იმ საღამოს ისევ ეზმანა ეგნატეს ნადასი... ჩასთვლიმა თუ

არა, მოლანდება ისევ გამოეცხადა მწერალს. გულით გაიხარა, გახალის-და ავადმყოფი.

— შენ ისევ ჩემთან ხარ, ჩემო სანატრელო? ეს შენა ხარ, ნადასი?

— ჰო, ეს მე ვარ, ეს მე ვარ, შენი ნადასი, და აწი არც არასოდეს მოგცილდები, სულო ჩემო! მე მთელი ღამე გისმენდი და ჩუმად ვტიროდი კიდეც. ნუთუ არ გესმოდა ჩემი კვნესა და წუხილი? გისმენდი და კვნესოდა და მოთქვამდა შენი ბედით დათუთქული ჩემი გული.

— ამ ტანჯვაში ყველზაე მწვავე შენი სიყვარული იყო, შენი უარით გაწბილებული გული კვნესოდა და წერდა, წერდა თავის სულის აღსარებას. პირველი ჩემი რომანიც სიყვარულით გაწბილებულთა ბედზე დავწერე, სულზე უტკბესო. იმ რომანს დღემდე ვწერ და ვერ დავასრულე, ვერ მოვერიე, ახლა კი სიკვდილი თვით მერევა, ასე რომ, მისი გადაწერაც ვერ მოვახერხე. შენ პირველად რომ გნახე, მაშინ შევუდექი ამ რომანზე მუშაობას, მერე შენგან უარი რომ მივიღე, ერთბაშად თავი მივანებე და როცა შენი სიყვარული გულზე დარდად მომაწვებოდა, ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი მასზე მუშაობას, შენი ლანდი კი არასოდეს მცილდებოდა და ამიტომაც შენს ქარგაზე გამოვხატე აქ წარმოდგენილი ქალიშვილებიც. შენით ნატკენი ჩემი გული იმათ მაგიერ აფრქვევდა ცრემლებს, შენი სახე გულზე მეხატა და ამ ხატზე ლოცვით ვამბობდი იმათ სათქმელსაც, სხვა ჩემი მოთხრობების შეყვარებული ქალების სათქმელსაც. გულოც და მანაც შენის ცრემლებით დავიტირე, ჩემო. ჯერ არავის წაუკითხავს ეს რომანი.

ეს თქვა და მოზრდილი ხელნაწერი ჟურნალი ხელში აიღო; — ჰოდი, შენ წაგიკითხავ ამ რომანის დასაწყისს.

ეგნატე კითხვას შეუდგა:

— უფ, რა გრილი ღამეა! პერანგის ამარა გამოვედი და საშინლად მცივა.

— თუ გცივა, გულზე მომეკონე და გათბები...

— გულზე? არ ჯობს. მოწიფული კაცის გული და ზღვა ერთია.

სხვაი რამე რომ გაგიპირდეს, მაშვინ რაღაი? ხომ იცი, სიმონ, ჩვენი ჯვარისწერის საქმე ჯერ ცხრა ქედის გადაღმაა!

მან კითხვა შეწყვიტა და ლანდს შეხედა. მის გაშეშებულ სახეზე ვერ ამოიკითხა, მოეწონა თუ არა ეს ადგილი... უკმაყოფილო ეგნატემ გადაფურცლა მეორე გვერდი და კვლავ შეუდგა კითხვას. — მანა იყო თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის, მომაღლო, მშვენივრად მოყვანილი ტანისა. მის თეთრ-ყირმიზს, ცისფერი დიდრონი თვალებით გაბრწყინებულ პირსახეს რაღაც ისეთი გვარის მომაჯადოებელი სხივი ეკრა, რომ ბერად განყენებულსაც კი გულს უბრუნებდა და უტოკებდა“... — აქ შეჩერდა და ისევ შეაცქერდა ლანდს, ნადასიმ რაღაცნაირად გაი-

ღიმილა, ოღონდ ეგნატემ ვერ გაიგო, ეს ღიმილი დაცინვის გამომხატველი იყო თუ მოწონების. ახლა ხელნაწერის ბოლო თავი წაიკითხა. ეს ადგილი ყველაზე უფრო მოსწონდა მწერალს და ხალისით შეუდგა კითხვას:

— ამ ყმაწვილ ქალს თავის სატრფო გიორგის ოსმალეთში წასვლისთანავე დასჩემდა სევდიანობა, რამდენიმე თვის შემდეგ დააწყებინა ხველა და პირიდან სისხლის ღებინება და უკანასკნელი, ის იყო, დაეცა სასიკვდილოდ.

— დედა! — წამოიძახა გულომ მინელებულის ხმით.

— ვაი შენს დედას! რა ვქნა, შვილო! — უპასუხა ტირილით დედამ.

— ჩემი წიგნები ერთათ დააწყვეთ და ისე დაახვედრეთ გიორგის. რომ შეხედავს, მოვაგონდები... დედა, გიორგის ცოლს ჩემი ვარდისფერი ატლასის კაბა აჩუქეთ. უთხარით, გულომ დაგიტია ნახელაობით-თქვა... ვაი სულო, ერთი ახლა გიორგი მაჩვენა!...

დედა, ახლა ზამთარი იწყება... მერე გაზაფხული დადგება, არა?.. მაშინ მოვა გიორგი... მარა უფ, მე საღა ვიქნები... ველარ შევიტყობ.. დედა, გეხვეწები, ხმას ნუ უშობ, ისე იტირე... თვარა გული მიწუხს... დაღამდა?

— არა, შვილო, ჯერ კიდევ დღეია, — უპასუხა ტირილით დედამ.

— დედა, იცი რა გამახსენდა... უბედური ბესიკის მამა თქვენთან მეიყვანეთ და არჩინეთ... იმას ქვეყანაზე პატრონი აღარა ჰყავს... ჰაი, ჰაი... რა შვილები დაეღუპა!... მისმა დედამ ველარ გაუძლო ჯავრს და მოკვდა... ჯავრი ცუდი გასაძლები ყოფილა!... დაღამდა?...

— ჯერ არა, შვილო, რეზა კითხულობ?

— მეშინია ღამის...

ნინოშვილი კითხულობდა მძიმედ, ძლივს სუნთქავდა, ჰაერი არ ყოფნიდა, სიმწრის ოფლი ასხამდა, მაინც თავს ძალას ატანდა და კითხულობდა. კალანდაძის ქალი ისე სულგანაბული უსმენდა, რომ მისი გულის ბაგაბუგი ესმოდა ეგნატეს და ეს ძალას მატებდა მწერალს. მომაკვდავი გულოს უკანასკნელი სიტყვები რომ მოისმინა, მთლად აღელვებულსა და მოცახცახე ნადასის ტირილი აუვარდა. ნინოშვილმა კითხვა შეწყვიტა, დიდად ეამა, ცრემლები რომ მოსწყვიტა მისმა ნაწერმა მის სათაყვანებელ არსებას. ნადასი დაამშვიდა, თვითონაც სული მოითქვა ავადმყოფმა და ასე მოახსენა:

— ჩემი ნაწერების ქებას რომ ვისმენ, არ დაგიმალავ და გეტყვი, დიდად მეამება ხოლმე, მაგრამ შენი ცრემლები ყველაზე დიდი ჯილდოა ჩემთვის. მე თვითონ მიკვირს ლუკმაპურისთვის წანწალსა და ხეტიალში როგორ შევძელი ის დამეწერა, რაც დავწერე, სისხლით და ოფლით ვწერდი მე ამ სტრიქონებს, მათ თან გავატანე ჩემი ფილტ-

ვების ნაფლეთები, სისხლად ქცეული ჩემი ცრემლებიც ეაპკურე მათ უკუღმართ ბედისწერას და მე ამით ჩემი თავიც გამოვიტირე, შენი სიყვარულიც, ჩემო ნადასი. ახლა ჩემზე ბედნიერი არავინ არის, რაკი ჩემი რომანის კითხვით ცრემლები მოვწყვიტე შენს თვალებს, შენი სული ჩავუდგი მე ამ ქალებს, შენდამი ჩემი უიღბლო სიყვარული! ცრემლებითა და სულის წვალებით დავხატე მათი უბედური ბედი... მოდი, მოდი ჩემთან, მომიახლოვდი, სულზე უტკბესო! — ესა თქვა და ხელები გაშალა ქალის მოსახვევად და ის იყო გაქრა ლანდი. გამოიღვიძა, ისევ ოფლში ცურავდა ავადმყოფი, იმ დღესაც სიკვდილს ებრძოდა ლოგინად ჩავარდნილი... მესამე ღამეს ისევ ეზმანა ნადასი. ისევ გაიმართა დიალოგი ლანდთან. ისევ გაიხარა ავადმყოფის სულმა.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, შენი ყველაზე სრულყოფილი სახე მე დესპინეში გამოვხატე, იმ ჩემს დესპინეში, ის, ის ყველაზე უფრო შენ მიგამგვანე, ხომ წაიკითხე „ჩვენი ქვეყნის რაინდი“? ჰა...

— წავიკითხე, ჩემო ეგნატე, წავიკითხე და ბევრი ცრემლებიც ვღვარე, იმიტომ, რომ მე სპირიდონ მცირეშვილში შენი თავი შევიცანი. ნუ დამიმალავ, სპირიდონი ხომ შენა ხარ, არა?

— მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით. ისე კი მცირეშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე. მან ისე მოხიბლა დესპინე, რომ იქით შეეხვეწა სპირიდონს, ხელი არ ეკრა მისი გულწრფელი სიყვარულისთვის და შეუღლდნენ ის ბედნიერნი, ბედნიერი და გულწრფელი სიყვარულით. შენ მეტყვი: შედეგი ხომ მაინც სამწუხარო და სავალალო იყოო? მართალია, მაგრამ მაინც ლამაზი სიცოცხლით იცოცხლეს და ლამაზი სიკვდილით მოკვდნენ, დიახ, ლამაზი და მამაცი სიკვდილით, დიახ, მამაცობა იყო დესპინეს მხრივ, რომ მან საზოგადოებისთვის თავშეწირულ ავადმყოფ კაცს ხელი გაუწოდა, გვერდში ამოუდგა სპირიდონს, ცხოვრება და ბრძოლა ხალხისთვის, ეკლიანი და მძიმე გზა შეუმსუბუქა. დესპინე ულამაზესი და უმამაცესი ასულია ჩვენი დროის ქალიშვილთა შორის, სულით მაღალი, ზნეობით უმწიკვლო, ერთგული მეუღლე... არა, ნამდვილად გმირობა იყო დესპინეს მხრივ სპირიდონის არჩევა! ეს ყვავილივით ნაზი არსება მხეც ტარიელს შეეწირა. დესპინე ჩვენი უკუღმართი დროის, მხეცი კაცის მსხვერპლი გახდა. მე ტარიელი ხომ ცოფიან ძაღლს შევადარე, იმ ცოფიან ძაღლს, რომელსაც უმანკო ბავშვი უნდა დაეგლიჯა, მაგრამ იმ ცოფიან ძაღლს სპირიდონის გასროლილმა ტყვიამ მოუღო ბოლო.

სპირიდონიც, ისე როგორც დესპინე, შეეწირა ამ ცოფიან ძაღლს, მაგრამ სულით მაღალი, გონებით მხნე და ქედმოუხრელნი იყვნენ ისინი, ლამაზი იყო მათი სიყვარული, გმირობა იყო მათი სიცოცხლე და მეც, რაც შემეძლო, არ დავაკელი საღებავები მათსა საქმესა სამაგალითოს. — ეს თქვა და თავართქილაძის მიერ გამოცემული,

„ჩვენი ქვეყნის რაინდი“ გადაშალა და ეს ადგილი წაიკითხა:

„კაცი, ასე ოცდახუთი თუ ოცდარვა წლის იქნებოდა. ხმელ-ხმელი, ჩია ტანის, ბეჭებში ცოტა მოხრილი, გამხდარი, ავადმყოფი პირსახისა, გახუნებული პალტოთი...

ეს იყო თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის ყმაწვილი ქალი, ლამაზად მოყვანილი, საშუალოზე ცოტა მომაღლო ტანისა, ცოტათი ფერნაკლული, სწორი პირსახე, დიდრონი შავი თვალები, მსხვილად დაწნული წელამდე, წაბლისფერი თმა ჰქონდა. რაღაც ისეთი, როგორც იტყვიან, სანდომით იყო შემკობილი, რომ თვალის მოშორება გაგიძნელდებოდა, ძლიერ შვენოდა გაბედული მეტყველება და თავისუფალი მიხრა-მოხრა. ტანზე ღარიბულად ეცვა, გახუნებული ტალმა, ჩალისფერი თივთიკის ყაბალახი შეადგენდა მის ტანსაცმელს... — აქ შეჩერდა, ცრემლმორეული თვალები მიაპყრო სასურველ მოლანდებას — ნადასის და ჩუმად თქვა. — არა, ნამდვილად ის არის, ის... ეს საიდუმლოება რომ გაეთქვა, უცბად სულ სხვა გვერდი გადაშალა და ისევ შეუდგა კითხვას:

„დესპინე, გაგიტყდები და გეტყვი, რომ — დაიწყო მძიმედ და დაფიქრებულად სპირიდონმა, — დიდი ხანია ჩემმა გულმა იგრძნო შენი სიყვარული, იგრძნო ისე მძლავრად, რომ მთელ ღამეებს უძილოდ მატარებინებდა და მატარებინებს, მარა გადავწყვიტე, ეს სიყვარული ჩემსავე გულში ჩავიკლა. გადავწყვიტე იმიტომ, რომ არ მეგონა, თუ შენც გიყვარდი, მარა თუნდაც ეგ მცოდნოდა, მე მაინც ამ გადაწყვეტილებას დავადგებოდი, რადგანაც არ მინდა ჩემი ცხოვრების ვარსკვლავი შენ გაგინაწილო, არ მინდა გაგხადო იმ ტანჯვის მონაწილედ, რომელიც მე შემხვდება ცხოვრებაში. მე შენ მიყვარხარ და ამიტომ მსურს, რომ შენ ბედნიერი იყო და არა უბედური...

— ეგენი, რაც შენ ჩამოთვალე, ანგარიშებია, რომლებსაც სიყვარულთან არავითარი მნიშვნელობა და ძალა არა აქვს...

— მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, და აწი, როგორც გინდა. ისე გადაწყვიტე, — მოუჭრა სიტყვა დესპინემ...

სპირიდონი კარგა ხანს ჩაფიქრებული იყო. მერე აიღო თავი, სიყვარულით მიაპყრო დესპინეს თავისი მშვიდი თვალები და უთხრა:

— დესპინე, ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვარ! ჩემი სიცოცხლე განახლდა, ნეტარების შუქით შეიმოსა. დღეიდან დაწყებული ახალი ცხოვრება იწყება ჩემთვის. მარა მეშინია, რომ ჩემმა სიყვარულმა არ დაგტანჯოს, მეშინია, რომ ვერ შეძლო იმ გზაზე სვლა, რომელიც მე ცხოვრებაში ამომირჩევია. ჩვენი ცხოვრების გზა მეტად ეკლიანი და ძნელი სავალი იქნება.

— შენთან ჯოჯოხეთიც ვერ შემაშინებს. ოღონდ შენთან ვიყო და ყოველსაღეს ავიტან, ყოველსაღეს! — აღტაცებით უთხრა დესპინემ,

რომელსაც სიყვარულით ცრემლები მოედინა თვალებზე“... — აქ შეჩერდა ავადმყოფი, ძალ-ღონე აღარ ყოფნიდა გაეგრძელებინა კითხვა, წიგნი დაკეცა და მაგიდაზე დადო. აღელვებული და ცრემლმორეული ნადასი ადგა, სარეცელის წინ კვლავ დაიჩოქა და ოფლიან შუბლზე აკოცა ნინოშვილს. ისევ გახალისდა ავადმყოფი, ახლა ვრცელს განმარტებას შეუდგა:

— სპირიდონი რწმენით სავსე კაცი იყო, რწმენით და ბრძოლის ენით ანთებული. ეს რწმენა და მისი სულის სიდიადე გადამდები იყო, ყოვლის დამმორჩილებელი. სწორედ ამ სულის სიმაღლით დაიპყრო დესპინე და რწმენით აღანთო, გული სიყვარულით გაუთბო. დესპინემ იდეალად გაიხადა სპირიდონი. მე ვერ შევძელი შენი გულის ანთება, მე ამისთვის არ მეყო ძალა და ნიჭი. მაგრამ, ვიმეორებ, ასე მგონია, ასე ჯობდა, თორემ შენ დესპინეზე უფრო დაიტანჯებოდი ჩემს ხელში.

— არა, არ დავიტანჯებოდი, პირიქით, სწორედ, რომ იმგვარ „ტანჯვაშია“ ბედნიერება. განა სიყვარულით გამთბარი ის რამდენიმე თვე თუ წელი, რომლითაც იცხოვრა დესპინემ სპირიდონთან, არა სჯობია უსიყვარულოდ, სწორედ რომ უსიყვარულოდ დატანჯულ ცხოვრებას, თუნდაც ასი წელი გაგრძელდეს? არა, ამას ახლა მივხვდი, ჩემო ეგნატე, რა თავში ვიხლი გრძელ ცხოვრებას, თუ იგი ჭეშმარიტი სიყვარულით არ არის გამთბარი. დესპინეს ხანმოკლე ცხოვრება დიდი სიყვარულით იყო გამთბარი, ამიტომაც იყო იგი ბედნიერი. ჩემი ცხოვრება ცივზე ცივი აღმოჩნდა, ამიტომაც ვარ მე უფრო უბედური, ვიდრე დესპინე. ამას მივხვდი და ამიტომ მოგაშურე, ჩემო სულო, შენით, ისევ შენი სიყვარულით უნდა დავიბრუნო მე უსიყვარულოდ დაკარგული ჩემი დღეები. უსიყვარულოდ არ არსებობს ბედნიერება, დესპინე სპირიდონის სიყვარულით იყო ბედნიერი...

— ნადასი, შენ გაიწყდება, რომ სპირიდონი უფრო ყოჩაღი იყო, ვიდრე მე. ის იდეალი იყო ჩემი. ჩემს მიერ დახატული, მაგრამ იდეალი, ცხოვრებაში მე ის იდეალი თვით ვერ განვახორციელე, თორემ შენგან მე უარს არ მივიღებდი. როგორც ხედავ, აქ დავცილდით მე და ჩემი იდეალი ერთმანეთს. ჩემი პრაქტიკული ცხოვრების ნიჭი და იდეალად დახატული ჩემი გმირი სპირიდონი სხვადასხვანი აღმოვჩნდით, აქ მაჯობა მე ჩემმა ორეულმა — სპირიდონმა. ბედნიერები იმ მაღალი იდეალების ადამიანები არიან, რომელთაც პრაქტიკულადაც შეუძლიათ განახორციელონ იდეალად წარმოდგენილი საქმე. სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ უნდა დაცილდეს! აი, სად მაჯობა მე ნინოშვილს მცირეშვილმა.

— არა ხარ მართალი! ჯერ ერთი, ვინ ვის აჯობა, ეგეც საკითხავია, ჩემო ეგნატე! შენ მეტი გააკეთე, ვიდრე სპირიდონმა. შენ ყველას გული გაათბე და აღავსე სიყვარულით, შენ აღავსე სიყვარულით მანა

და გულო, ქრისტინე და დარიკო... შენი გულის სითბო მათ გაუნაწილე და ამიტომ დარჩა შენი გული ცარიელი. ის ცარიელი ადგილი მე, მე უნდა გამეთბო და მაშინ შენ ორმაგად მეტს შეძლებდი, ორმაგად მეტს გააკეთებდი, ორმაგად მეტს დასწერდი... ამიტომ მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, მე ვუღალატე ნამდვილ სიყვარულს, ამიტომაც დავისაჯე კიდეც, სიყვარულის წინაშე ღალატი არ შეიძლება. არა, აბა, ჩემო ეგნატე, სწორედ აქ მაჯობა მე შენმა დესპინემ, და როცა ახლა შენ მითხარი, ჩემი დესპინე შენ გგავსო, ამით უფრო მომიკალი გული. შენ რომ წამიკითხე, ის დიალოგი, სპირიდონისა და დესპინეს სიყვარულის დიალოგი, ჩემი განაჩენია, მე შენ ამით განაჩენი გამომიტანე, დამნაშავის სკამზე დამსვი.

ხომ ხედავ, შენი დესპინე არ მოეშვა სპირიდონს, რაკი შეუყვარდა იგი. არ მოეშვა და დაუმტკიცა კიდეც, რომ სპირიდონის გარეშე მის სიცოცხლეს სიცოცხლე არ ერქმეოდა, გასტეხა ეს კერპივით კაცი სიყვარულის გულწრფელობით. აი, რატომ დადგა დესპინე ჩემზე მაღლა. მე შენ რომ გამოგყოლოდი, ბედნიერი ვიქნებოდი და შენც მეტს გააკეთებდი, უფრო მეტს, რადგან ჩემი სიყვარულით გამთბარი გული მეტხანს იცოცხლებდა, ჩემო და უფრო მეტსაც მოასწრებდი. ალბათ სპირიდონსა და დესპინესაც სხვა ფერებითა და სხვა განწყობილებით დახატავდი. მე და მხოლოდ მე ვარ დამნაშავე, რომ შენ, ეს ოცდათხუთმეტი წლის კაცი, ასე იწვი და დნები ჩემს თვალწინ! — აქ სიტყვა გაუწყდა ნადასის და მწარედ აქვითინდა.

— ნუ, ნუ სტირი, შენი ცრემლების დანახვა არ შემიძლია, — კვლავ ლოგინიდან წამოდგომა სცადა, რომ ხელებით მოხვეოდა სანატრელ არსებას... სარეცელი ახმაურდა და ნინოშვილს გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედა, ნადასი არსად ჩანდა, სიზმრის განმეორება მოუნდა და თვალები დახუჭა, მერე ისევ სიზმარმა წაიღო და დიალოგი გაგრძელდა ლანდთან:

— ჰო, რა თქვი? — უფრო მეტს გააკეთებდიო, კი, ეს მართალია, შენი სიყვარულით გამთბარი გული უფრო დიდხანს იმუშავებდა, ვაი, რომ მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ უსიყვარულოდ გაბოროტებული დაუზოგავად ვეპყრობოდი თავს. მტერიც კი არ მოეპყრობა ისე უდიერად კაცს, როგორც მე ჩემს ჯანს ვეპყრობოდი და ჰა, შედეგიც! ამ ზამთრის სამი მეოთხედი ლოგინზე ვეგდე. მახველებს ხანდახან ნახველს სისხლსაც ამოვაყოლებ, ხმა სრულიად ჩაწყვეტილი მაქვს. მარცხენა მკერდს ქვეშ (ძუძუს ქვეშ) ხველების დროს და ხან სუნთქვის დროსაც ძლიერ ტკივილს ვგრძნობ, თითქოს შიგ მწიფე მუწუკი მჭონდეს. საშვლის მადა სრულიად დაკარგული მაქვს... — აქ შეჩერდა, — ალბათ, მოგაძულე თავი ამდენი ლაპარაკით, ოღონდ არ იფიქრო, რომ ამით მინდა თავი შეგაცოდო და მოწყალება გთხოვო. არა, მოწყა-

ლება მე არასოდეს არავისთვის არ მითხოვნია, არც ახლა გთხოვ ამას, თუმცა განა არ ვიცი, რომ შენ არ შეგეძლო სხვანაირად მოქცეულიყავი, გათხოვილ ქალს ოჯახი მიგეტოვებინა და ჩემსკენ გამოქცეულიყავი, რაკი გაიგე ეგნატე ავად არის და მივხედავო. იქნებ მართლა სიბრალულმა მოგიყვანა დღეს ჩემთან, ჩემი აღსასრულის წინ? არა, ნადასი, მე სიბრალულით გამოწვეული სიყვარული არ მწამდა, და რომ არ მწამდა, ეს ჩემი ნაწერებიდანაც ჩანს. ჩემი გმირი ქალებიც სიყვარულის ერთგულების მაღალი გრძნობით დავხატე. ისინი, სიყვარულისაგან გაწამებულნი, ღალატით ნამუსახდილნი, ოჯახიდან გარბიან, თავს იკლავენ და ბოლომდე ერთგულნი რჩებიან სიყვარულისა. უსიყვარულოდ რომ ოჯახი არ მწამდა, ამიტომ ცოლიც არ შევირთე. მე შენი სიყვარულის ერთგული დავრჩი ბოლომდის ნადასი, და აჰა, ეს ჩემი წიგნებიც, ეს დაუბეჭდავი ჩემი რომანიც შენთვის მომირთმევია, შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის იგი. მიიღე ჩემგან ჩემი სულის წვალებით დაწერილი ეს წიგნები. — ეს თქვა და ხელნაწერი რომანი და დაბეჭდილი მოთხრობები გაუწოდა მოლანდებას, სუსტმა ხელებმა ვერ აზიდეს ეს წიგნები და საშინელი ტკივილი იგრძნო სიყვარულისაგან გამოხრულმა გულმა...

მთელი ღამე ბორგავდა მოუსვენარი ძილით, სიზმრისეულ სამყაროში უჩვეულო დიალოგით ძალაგამოლეული ნინოშვილი. დილით თავი დააღწია ზმანებას და თვალები გაახილა. თავზე სილიბისტრო ჯიბლაძე ადგა. გაუხარდა, რომ მარტო არ იყო.

— როგორა ხარ, ძმაო ეგნატე, მგონი გეძინა, არა?

ნინოშვილმა ხელები გაასავსავა.

— გეძინა, ჩემო ეგნატე, გეძინა, ოღონდ მთელი ღამე ვიღაცას ედავებოდი.

— მართალია, ეს ოხერი სიზმრებიც რომ არ მასვენებენ? ეს რისგანაა, ვერ გამიგია. ჩანს ძალზე ცუდადაა ჩემი საქმე; რომ იტყვიან, წინ წყალი და უკან მეწყერიო, სწორედ რომ ამ დღეში ვარ, — ეს თქვა და მწარედ გაიღიმა. სილიბისტრომ სიტყვა შეაშველა, მოეფერა ავადმყოფს:

— არა, ეგნატე, არც ისეა საქმე, როგორც შენ გეჩვენება. აგერ, გუშინ ბათუმიდან ექიმები რომ იყვნენ, ირწმუნებიან, თუ თავს მოუვლის და გაუფრთხილდება, რეჟიმს დაიცავს, კიდევ დიდხანს იცოცხლებსო. — სილიბისტრო, მთელი ღამე უძილობისგან გაფითრებული, ავადმყოფის მდგომარეობით შემკრთალი რაღაცნაირად ღერღავდა ამ სიტყვებს. ეგნატე მიუხვდა მეგობარს, რომ მოვალეობის მოხდას ჰგავდა ეს საუბარი და ახლა უფრო მწარედ გაიღიმებულმა უპასუხა:

— მეტი არაა ჩემი მტერი, მე დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, ოღონდ ისე ვკვდები, რომ ვერ მოვასწარი ჩემი სათქმელი ბოლომდის მეთქვა.

წელს ბათუმიდან დაბრუნებულს უფრო ნათლად გამომეხატა თვალწინ ჩემი ქვეყნის მომავალი და ვაი, რომ ვერ ვასწრებ ყოველივე ეს ქაღალდზე გადავიტანო, ახლა ყველაზე მეტად ეს მტანჯავს — ესა თქვა და ისევ ჩათვლიმა ავადმყოფმა. ისევ დაიწყო სიზმარეული დიალოგი ლანდებთან...

სილიბისტრო ადგა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

2. ბიოგრგი

შუაღამისას, სიზმარში გადასულ ეგნატეს, ყრუ-ბოხი ხმა შემოესმა: შეხედა, მის წინ რუსულ ტანისამოსიანი, შავწვერულვაშიანი საშუალო ტანის კაცი იდგა, ფრიად ზრდილი და განათლებული ჩანდა; მან გაღიმებულმა შეხედა მწერალს და მოკრძალებით სალამი მისცა:

— გამარჯობათ, ბატონო ეგნატე! როგორ ბრძანდებით, ვერ მიცანით?

არეულ-დარეული ფიქრებისგან მოქანცული ეგნატე ძლივს გამოერკვა.

— ჰო, როგორ არა, გიცანით, თქვენ ხომ ჩემი გიორგი ხართ, გიორგი! — და ცნობისმოყვარეობით დააკვირდა. მტვერში ამოგანგლული ტანისამოსი ამტკიცებდა, რომ სტუმარს შორი გზა გამოევლო.

— საიდან მოდიხართ, აქ როგორ გაჩნდით, ჩემო გიორგი!

— შენი ავადმყოფობა შევიტყვე, ოსმალეთის მიწა გამოვარღვიე. სამი დღე-ღამე ფარულად ვიარე და ასე მოვაღწიე შენამდე.

— იმ დასაქცევ ოსმალეთში რაღა გინდოდა! პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ შეგირდს, რუსეთთან მეგობრობის მქადაგებელს, რა გინდოდა-მეთქი იმ ჩვენი დამღუპველისა და დამაქცევარის ქვეყანაში?

— ყოველივე იმის შემდეგ, რაც გურიაში მოხდა აქ არ დამედგომებოდა, რა მექნა? რომ დავეჭირე, ჩამომახრჩობდნენ, ან ციმბირში მიკრავდნენ თავს. მეც ავდექი და დროებით ოსმალეთს შევეფარე. იქ დამიჭირეს, რუსეთიდან შეგზავნილად მომწათლეს და სტამბოლში ჯალათებმა თავი გამაგდებინეს ხონთქრის ბრძანებით.

ახლა ვნანობ, ნეტავ ყაჩაღად გავვარდნილიყავი ან რუსეთში მეძებნა თავშესაფარი. არა, შეცდომა შეცდომაზე მოდის. მოუმზადებლად და ნაადრევად წამოვიწყეთ აჯანყება და დავმარცხდით კიდეც...

— მერე რა, რომ დავმარცხდით, — გაჯავრდა ნინოშვილი, — სამაგიეროდ ხალხს იმედი და რწმენა შთაუნერგეთ, ყველა ურწმუნომ იწამა, რომ აჯანყებით და ბრძოლით შეიძლება მიაღწიო გამარჯვებას, თუ გონივრად ვიმოქმედებთ, მაგრამ მარტო კი არა, აბა, ერთ მუჭა გურიას მარტო რა შეეძლო. ჩვენ ჩვენსავით დაჩაგრული რუსი ხალხისთვის უნდა მიგვემართა. ერთადერთი ხსნა რუსეთია.

— მეც მანდა ვარ, ბატონო ეგნატე! მეც ასე მწამს, ოღონდ შენ

თავად ნამეტანად გაზვიადებულად ხომ არ წარმოადგინე გურია და მისი შესაძლებლობანი? „გურიის ერი“, „გურიის ხალხი“ გაკიოდა ის შენი ბესია და ასე ეგონა, ყველაფერს თვითონ მოერეოდა. იმერეთსა და სამეგრელოში არ მოვძებნეთ მოკავშირე. უფრო მეტი, სამეგრელო-იმერეთიდან მთავრების მიერ ძალით მორეკილი ხალხი მასხრად ავიგდეთ და ამით სამეგრელო და იმერეთი გადავიმტერეთ. ხომ ასე იყო ეს? ჯერ ჩვენი ქვეყნის შიგნით უნდა გვეძია მოკავშირე ძმა და მეგობარი. აჯანყება ქვეყნის შიგნით ეროვნულ მოძრაობად უნდა გვექცია და ამასთანავე გვეძებნა რუსეთთან კავშირი. ცოტა კოსმოპოლიტები რომ არ ვიყავით, მე და შენ იმ დროს, 1841 წლის აჯანყების შეფასებისას? შენ თავზე ხომ არ მომახვიე შენი „მესამე დასელთა“ ნაუცბათევი აზრები?

გაჯავრდა ნინოშვილი.

— როგორ, ამას შენ ამბობ გიორგი, შენ, ჩემო გიორგი, შენც მეველესავით ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ოცნებობ რუსი ხალხის დაუხმარებლად? აკი სულ სხვანაირად ამბობდი და უხსნიდი შენთან რჩეისთვის მოსულ აჯანყების მეთაურებს მაშინ! ეს რა დაგმართია ამ ოსმალეთში? შენ უცხო სტუმარი ხარ და არა ორეული ჩემი. — შეუტია ნინოშვილმა.

— ოსმალეთი აქ რა შუაშია, — ცხარედ შეეკამათა გიორგი ნინოშვილს.

— მაგრამ ჯანყის სამწუხარო შედეგებმა ფრიად დამაფიქრეს. იქ, ოსმალეთშიც ბევრს ვფიქრობდი ამაზე და აი ახლა შენთან იმიტომ მოვედი, რომ ისევ ერთხელ კიდევ ერთად გავიზიაროთ და შევამოწმოთ ჩვენი ნაფიქრალი და ნააზრევი. რაკი შენს ორეულად დამხატე, მოდი კვლავ ერთად გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს და რადგანაც რომანი ჯერაც არ დაგიბეჭდავს, ეგებ გადახედო, გაასწორო ზოგი რამ.

გიორგი ლაპარაკობდა დინჯად, დაფიქრებული და ღრმად გარკვეული ამ დიდ პრობლემებში. ეს სულ სხვა დიალოგი იყო, ვიდრე დიალოგები ქრისტინესთან თუ ივანესთან. აქ ტოლნი და სწორნი დაობდნენ დიდ პრობლემათა გარშემო. გიორგი დაეჭვებული იყო 1841 წლის აჯანყებაში სამეგრელოსა და იმერეთის მშრომელთა ჩაურეველობის გამო, ახლა ეგნატესთან ამოწმებდა ამ მოვლენების სისწორეს. ეგნატემ სცადა უფრო ვრცლად განემარტა რომანში აღძრული ეს პრობლემები:

— განა მე არ ვათქმევინე გურულ გლეხს: „იი თავადები, რომ არ ყოფილიყო აქანა, ჩვენ და მეგრელები ერთმანეთს არ დავხოცავდითო“. და ეს აზრი გურულ გლეხს მეგრელმა გლეხმა უმალ დაუდასტურა:

— მართალს ამბობს ეს კაცი! ჩვენი მთავრები ძველთაგანვე დაჩვე-

ულნი არიან ადამიანების დახოცვას. ვინცხამ ბარათი მოიწერა, წადით ახლავე ან გურულები დაჟლიტეთ, ან თავი შეაკალითო, გვიბრძანა. წამოვედით ამოდენა კაცი, ზოგი და ზოგი ტყვიამ მოკლა და დანარჩენს შიმშილი ხოცავს. მას რა დარდი აქვს, რა ეტკინება, ჩვენი სიკვდილით: ჩვენი შვილები დარჩებიან მოსამსახურეებათ. რომ მოვახსენეთ, ბატონო, არ ჯობს გურიის გადამტერება, გაგვიწყრა, თქვენ ვინ გათხავთო. აგია სამართალი? სასიკვდილო საქმეზე გაგზავნიდეს კაცი და გეუბნებოდეს, ენის თქმა შენი საქმე არ არისო, ისე წადიო! — აი სწორედ ასე ვიწამე კლასობრივი ძმობა თვით საქართველოს შიგნითაც, მაგრამ მე მწამდა და ახლაც მწამს, რომ მარტო საქართველოს მშრომელთა კავშირი საკმარისი არ არის თავისუფლების მოსაპოვებლად. და რაკი ჩვენ რუსეთის იმპერიაში შევდივართ, ასეთი მოკავშირე ძალა რუს ხალხში უნდა ვეძიოთ. ინტერნაციონალისტური კლასობრივი ძმობა თუ იხსნის საქართველოს თორემ სხვა გზა არ არის.

— მე ეს ვიცი, ბატონო ეგნატე! ვიცი და შენგან გავიგე, რომ სხვა გზა არ არის, მაგრამ მე სწორედ ახლა მაეჭვებს, ეგებ თქვენ და თქვენი ამხანაგები არ ხართ ამაში მართალი?

— ეს როგორ? — იკითხა მისდაუნებურად ეგნატემ და აი, რა უპასუხა გიორგიმ.

— საქართველოში გაჩნდნენ თუ არა პირველი მარქსისტები, მაშინათვე ეროვნულ საკითხზე ატყდა დავა. ეროვნული საკითხი ყველაზე ჩამოყალიბებულ საკითხად მიაჩნდათ სამოციანელებს. სამოციანელთა თაობა უყოყმანოდ იღებდა და იზიარებდა ილიას მოხევეს სიტყვებს „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო“ და ამ პრინციპით იბრძოდნენ საქართველოს ერთოვნული შეკავშირებისათვის. თქვენ, მარქსისტებმა, ბატონო ეგნატე, სწორედ ამ დებულებას შეუტიეთ.

— მართალი ხართ, შევუტიეთ და ახლაც ვუტევთ. ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ და აქ ისიც სათქმელია, რომ ილიას ეს დებულება ნაციონალისტებმა გააუკუღმართეს, ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაუდვეს საფუძვლად ეს ფორმულა. ამ მხრივ გიორგი წერეთელთანაც კი მომივიდა უთანხმოება. მე დავწერე სტატია „ძველი და ახალი“. ეს სტატია, რა თქმა უნდა, აღვირახსნილი ნაციონალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული, კერძოდ, მე აქ „ივერიაში“ დაბეჭდილ ხიზანიშვილისა და მიქელაძის წერილებს ვაკრიტიკებდი. ჩემდამი კეთილად განწყობილმა გიორგი წერეთელმა მოითხოვა ამ ჩემს სტატიაში ცვლილებები შემეტანა. ჩემს მიერ წამოყენებული ყველა ქვეყნის სოციალისტებთან, მუშებთან ინტერნაციონალისტური კავშირის თეორიას არ იზიარებდა ბატონი გიორგი და მწერდა: „საქმე იმაშია, რომ გერმანიის სოციალისტები მანამდის ძმები არიან ფრანცუზების და მთელი ქვეყნის, სანამდის მათ ეროვნულ პიროვნებას, მათ

ენას, მათ ისტორიას, მათ კულტურას არავინ შეეხება... ნამდვილი სოციალიზმი იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ტერიტორიიდან ავბარგდეთ, ჩვენი ისტორია დავივიწყოთ, ჩვენი ტიპი უკუვაგდოთ, ქართული დავივიწყოთ... არა, სოციალიზმი ინდივიდუალურ თვისებას, როგორც კერძო ტიპისას, ისე ეროვნებისას არ ეხება... სოციალიზმი ითხოვს, რომ ყოველი კაცი, ღვთისაგან შექმნილი, ეკონომიური უთანასწორობით არ იჩაგრებოდეს, ყოველი ნაცია მეორე ნაციის ძალმომრეობისგან ეკონომიურად არ იჩაგრებოდეს... ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა საკუთრება მასაზრდოებელი მოისპობა და ყოველი მათგანი თავისი შრომით ბედნიერი იქნება. კერძო საკუთრება საზოგადო საკუთრებად გადაიქცევა... თუ ჩვენს პოლიტიკურად დაჩაგრულ გარემოებას არ მივაქციეთ ყურადღება და ვიყვირეთ, რას მიქვია ეროვნება, რა საჭიროა ქართველობა...

ჩვენს ბედში მყოფი ხალხი ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას და ამასთანავე ჩვენსავე ქვეყანაში ვავრცელებდეთ სოციალურ იდეებს, რომ წოდებით და შეძლებით უთანასწორობა რამენაირად მოვსპოთ. ამ გარემოების ძალით ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორები ჩვენცა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა უფრო ძლიერი ნაციის მონობისაგან... ჩვენ რომ ბოლგარიის ან გერმანიის, ან იტალიის, ან რუსეთის მდგომარეობაში ვიყოთ პოლიტიკურად, ე. ი. სრული განთავისუფლებული ვიყოთ, მაშინ დიახაც გავშლით კოსმოპოლიტიკურ ბაირაღს და მთელ ქვეყანას თანასწორუფლების მქონე ძმებად ვაღიარებთ, მაგრამ დღეს რომ პოლიტიკურ მონობაში ვართ გამოკლული, კოსმოპოლური სოციალური პრინციპი ყელში დანას გაგვიყრის"...

გიორგი წერეთელი, რომელიც ასეთი თანმიმდევრობით იცავდა ნაციონალურ-სოციალიზმის პოზიციებს, მირჩევდა მეც გამეზიარებინა ეს შეხედულებანი და ამის მიხედვით სათანადო შესწორებანი შემეტანა ჩემს სტატიაში — „ძველი და ახალი". ეს რჩევა არ მივიღე. ასეთი რჩევის მიღება მარქსიზმის ღალატს ნიშნავდა. ვინ — ვინა და შენ, ჩემო ტყუპო ძმაო, უნდა იცოდე, რომ მე მარქსიზმის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი ვარ საქართველოში. და ჩვენ, მარქსიზმის მიმდევრებმა რევოლუციური საქართველოს სახელით ბრძოლა გამოვუცხადეთ კვაზიპატრიოტებს, მე ინტერნაციონალისტი მარქსისტი ვიყავი და გიორგი წერეთელსაც კი, იმ ჩემს მეგობარს, რომელიც სოციალიზმის იდეას იზიარებდა, მაგრამ ნაციონალისტურ სოციალიზმს ქადაგებდა, არ დავეთანხმე. მისი რჩევისამებრ შემესწორებინა ჩემი სტატია „ძველი და ახალი", მე უკომპრომისო ვიყავ ჩემი აზრების დაცვაში. ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ დავეთანხმე და ის წერილი არ

დაიბეჭდა. ახლა რომ ვაკვირდები, კარგი ვქენი, რომ არ დავეთანხმე ბატონ გიორგის. მე მწამდა და შენი პირითაც იმას ვამტკიცებდი, რომ მშრომელმა საქართველომ მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხთან კავშირში უნდა მოიპოვოს თავისუფლება. „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — კომუნისტური მანიფესტის ეს სიტყვები ჩვენი ალფა და ომეგაა. ჩვენ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერი ვართ და ამიტომაც რუსეთის მშრომელ ხალხთან ერთად უნდა ვეძიოთ ჩვენი ხსნა, ამ კავშირის მეოხებით უნდა დავამარცხოთ ჩვენი შინაური და გარეშე მტერი: ცარიზმიც, კაპიტალიზმიც და ნაციონალიზმიც. ამის გარეშე პირველ ყოვლისა ჩვენი მეზობლები, ჩვენი ისტორიული მტრები — სპარსეთი და თურქეთი მოგვიღებს ბოლოს. ჩვენ რუსეთის პროლეტარიატთან კავშირი გვიხსნის გარეშე და შინაური მტრებისაგან და განა ეს არის კოსმოპოლიტიკა? არა, ეს ნამდვილი ინტერნაციონალიზმია და მე მთელი ჩემი ბუნებით ინტერნაციონალისტი ვარ. და შენ „ჯანყი გურიაშიც“, — ჩემო გიორგი ამ ინტერნაციონალური იდეოლოგიით დაგხატე, შენ ჩემი ტყუპი ძმა ხარ და ახლა რა მესმის შენგან, ჩვენა ვართ კოსმოპოლიტები?

— არა, ბატონო ეგნატე, მე იმის წინააღმდეგი როდი ვარ, რომ მშრომელთა კავშირმა უნდა იხსნას მთელი მსოფლიო პროლეტარიატი. ის საზოგადოება, რომელიც აგებულია ადამიანის მიერ ადამიანის ბატონობაზე, უთუოდ ზიზღის ღირსია. ადამიანი თავისი პატიოსანი შრომით უნდა ცხოვრობდეს. ვინც სხვისი შრომით ისქელებს ჯიბეს, ის ქურდია, ქურდებისაგან შემდგარი საზოგადოება კი საზიზღარია, მშრომელი კაცის მიერ შექმნილ დოვლათს ვინც უკანონოდ ითვისებს და იპარავს, ხალხის ყველაზე დიდი მტერია.

„შრომისა ახსნა, ეგ არის ტვირთი ძლევამოსილი ამ საუკუნის“, ეს ხომ ილიამ გვიანდერძა?

— კი გვიანდერძა და ჩვენ აღფრთოვანებით ვიღებთ ამ აზრს, ოღონდ, სამწუხაროდ, იგივე ილია კერძო საკუთრებას ძალაში ტოვებდა. აქ ბევრად უფრო მართალი იყო გიორგი წერეთელი, რომელიც კერძო საკუთრებას ებრძოდა და სოციალიზმს ემხრობოდა.

— მეც მანდა ვარ, — შეაწყვეტინა სიტყვა გიორგიმ. — მეც ისა მწამს, რომ კერძო საკუთრებაზე აგებული საზოგადოება უნდა დაინგრეს. მაგრამ არც ეროვნული მონობა ვარგა და მე აქ გიორგი წერეთლის მხარეზე ვარ.

— ეროვნული მონობის სასტიკი წინააღმდეგი ვართ ჩვენ, სწორედ ჩვენ, მარქსისტები. ეკონომიური მონობა და ეროვნული მონობა ორივე მონობაა და ორივე ეს უღელი თავიდან უნდა გადაიგდოს მშრომელმა საქართველომ.

— ეს დიდებული აზრია, ბატონო ეგნატე, დიდებული აზრი, ოღონდ

კოსმოპოლიტები რომ ეროვნულ მონობაზე ყურადღებას არ ამახვილებენ, ეს ხომ ცხადია.

— მერე და ვინ ამბობს, რომ მარქსისტები კოსმოპოლიტებს ემხრობოდეს?

— არა, მე ამას არ ვამბობ, მე ოღონდ იმის თავდადებული მქადაგებელი ვარ, ერის ყოველგვარი მონობა, ყოველგვარი ჩაგვრა საზიზღრობაა. ძირს ყოველგვარი ჩაგვრა, ძირს სოციალური და ეროვნული მონობა.

— ვაშა! მეც მანდა ვარ. — აღფრთოვანებით შესძახა ნინოშვილმა და გიორგის ლანდიც გაქრა.

მოლანდებასთან საუბრით ნასიამოვნებ ეგნატეს ის იყო ძილი მოერია, რომ მთლად დასველებული და სიცივისაგან აკანკალებული ივანე დაადგა თავზე...

3. ივანე

შუბლზე ხელებს ირტყამდა, ხმამაღლა ცას შებღაოდა და ქვეყანას შესჩიოდა: ღვიძლ შვილს ნიკოს, ნიკოს ეძახდა. ივანემ დაინახა, როგორ ჩასძირა და ჩაყლაპა შეუბრალებელმა პალიასტომმა მისი საყვარელი ნიკო, ერთი უკანასკნელად კიდევ დაიღრიალა ივანემ მონადირისაგან სასიკვდილოდ დაჭრილი ლომივით: „ვაიმე ოჯახო! ვაიმე ცოლ-შვილო“ — შეხედა ეგნატემ, სულით სიღრმემდე შესძრა მწერალი გლეხკაცის ტირილმა. დაუყვავა: ნუ ტირი, ტირილითა და თავში ცემით ვერას გახდები შენს უბედურ ბედთან. ბრძოლა, ბრძოლაა საჭირო. გლეხს უზომოდ უყვარს სიცოცხლე, თავისი ოჯახი, ცოლ-შვილი. ვიცი, მთელი არსებით რომ ეჭიდება ამ ძაღლურ ცხოვრებას. ჰო, ძაღლურ ცხოვრებას და მაინც გვიყვარს, მაინც ლამაზია ეს ოხერი სიცოცხლე, თუმცა რა არის ჩვენი სიცოცხლე გულქვა მებატონის ხელში? მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, მტერს, მოყვარეს — ყველას პასუხის გაცემა უნდა, ძნელია მუშის უღელი, — ეს სიტყვები მე გათქმევინე შენ, ჰოდა, შენ იცოდი ყოველივე ეს, იცოდი და მაინც ვერაფერი უშველე შენს საქმეს და ასე იქნება მანამ, სანამ ის, რასაც ურჩევდი შენსავით დაჩაგრულ შენს მოძმეებს არ აღსრულდება. გახსოვს ის ძვირფასი სიტყვები: „ყაზახმა, რომ ერთი პირობა იცოდეს და ერთმანეთის ფხარის მიცემა, მაშინ“... — მაშინ, გასაგებია, რომ თქვენი გამარჯვება გარდუვალია. თუ მთელი მშრომელი და პატიოსანი ხალხი შეკავშირდება, მაშინ ვერავითარი ძალა ვერ მოგერევათ, რადგან გლეხობა ბევრია და მათ წინააღმდეგ ძალით ვერას გახდება ვერც მებატონე და ვერც პოლიცია. თუ კი ყველა გლეხმა ერთად პირი შეთქვა, სულ ადვილად შეუძლიათ იმის უარყოფა და შეცვლა, რომ ადამიანი ადამიანს პირუტყვივით არ ემსახუროს. ჰო, მძლავრი და საშიშია,

როცა იმოდენა ხალხი ხმას ამოიღებს, ხელს გაანძრევს! ვაი მათ, ვისაც იმათთვის უსამართლობა რომ უყვიათ. მოკითხავენ ძველსა და ახალ ცოდვებს, მწარედ მოინანიებენ ყველა დანაშაულს. ოღონდ შეკავშირება და კიდევ შეკავშირება გვჭირდება!

ასე უბრალოდ და გასაგებად უმარტავდა ნინოშვილი ივანეს. ეგნატე მათ გულში იხედებოდა და ყურს უგდებდა მათსავე სიტყვებს, იმეორებდა იმათ ბაგეთაგან წარმოთქმულს. და ამ დროს სპირიდონის, გიორგის, დესპინეს, სიმონას, დარიკოს, ლიზას. ქრისტინეს ლანდებით აევსო ოთახი, ერთბაშად თითქოს ტრიბუნა აღმართეს, ტრიბუნაზე პირველი სპირიდონი შედგა და ქადაგად იქცა, სპირიდონი გიორგიმ შეცვალა. გულით გაიხარა ნინოშვილმა:

— ვაშა! თქვენისთანა მამაც ხალხს ვერავინ მოერევა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, ვაშა! ვაშა! — ამ შეძახილში კვლავ გამოეღვიძა ეგნატეს. ოთახს მიმოავლო თვალები, საწოლის წინ ბიძაშვილი შენიშნა. ბიჭს ხელში 1892 წელს თავართქილაძის მიერ ოზურგეთში გამოცემული ნინოშვილის პალიასტომის ტბა ეჭირა და ტიროდა:

— რა გატირებს, ბიჭო? — დაყვავებით ჰკითხა ეგნატემ, — ნუთუ ისე ცუდად ვარ, რომ ცოცხალს დამტირით — მე, ბიძია, შენ კი არა, ამ წიგნს დავტირი. — როგორ თუ წიგნსაო, ჯერ კიდევ სიზმრის ბურანიდან თავდაუღწეველი ავადმყოფი შეეკითხა მტირალ ბიჭს. ეს რა გიქნია ეგნატე, ასე უღმერთოდ როგორ გაიმეტეთ ეს მამა-შვილი ამ შენს „პალიასტომის ტბა“-ში. ლუღლუღებდა ბიჭი. გონს მოეგო ავადმყოფი, გაუღიმა მტირალ ყმაწვილს — მაშ წაიკითხე არა? გიტირია კიდეც. ეს ძალზე კარგია. რა არის კარგი — ისევ ტირილით იკითხა ბიჭმა, — კარგი ის არის, ჩემო ბიჭიკო, რომ შენ აგატირა იმათმა ბედმა, მაშ ჩანს, ურიგოდ არ დამიწერია.

— არა, ამ მოთხრობას უცრემლოდ ვერ წაიკითხავს კაცი, მაგრამ კაი რომ მეტისმეტად გაგიწირავთ ის უბედურნი.

— მე გამიწირავს? — კითხვა შეუბრუნა ავადმყოფმა.

ჰო შენ, შენ ბიძაჩემო, მათ ის ტანჯვა არ ეყოფოდათ, რაც იმ წვიმასა და სიცივეში, იმ ხეების მოჭრაში რომ გადახდათ, ყოველივე ამის შემდეგ პალიასტომში არ დაგეხრჩო ხომ შეიძლებოდა?

— ეს ჩემზე როდი იყო დამოკიდებული.

აბა ვისზე?

— ყველა იმაზე, ვინც აუჯანყდა ამ მამა-შვილს. — აქ შეჩერდა. ძალ-ღონე მოიკრიფა და განაგრძო: — ძალზე ცუდადაა გლეხკაცის საქმე მოწყობილი: ივანეს, ნიკოს და ყველა მათს ბედში მყოფთ, არა მარტო მემამულეები, მეფის მოხელეები და ვაჭრები, არამედ თვით ბუნებაც არ ინდობთ. დიახ ძნელია, მეტად ძნელი მათი ხვედრი. მე ერთი ბეწოთი არ შემილამაზებია მათი ცხოვრება, მათი ჯოჯოხეთური ცხოვრება

მთელი სისასტიკით დავხატე, რომ ამგვარი მაგალითებით ავაჯანყო ეს დაჩაგრულთა არმია, ერთი მუჭა მჩაგვრელების წინააღმდეგ.

4. ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ

მეოთხე ღამეს ნინოშვილს ქრისტინე გამოეცხადა:

„აი, კატასავით ჩუმად გამოიარა ლოგინიდან და დახედა აკვანს, რომელშიაც ტკბილად მძინარე ბავშვი ძლივს გასაგონად სუნთქავდა. რამდენსამე წამს ისე უყურებდა ქრისტინე, თითქოს უნდა საუკუნოდ ხსოვნაში შთაიბეჭდოს ეს ბავშვის სუნთქვაო. მერე ჩუმად, ხმის კანკალით ჩასჩურჩულა: „მშვიდობით, ჩემო გოგი! გათავდა ყოლიფერი, გათავდა!“ მერე წაიწვდინა ტუჩები. მაგრამ ბავშვს კი არა, აკვანს აკოცა სამჯერ, შემდეგ ნელა ადგა და წუნარად მივიდა კარებთან. გული ისე მძლავრად უცემდა, რომ სახლის მეორე კუთხეში გაიგონებდით. თავბრუ ეხვეოდა, წელი და მუხლები ეკეცებოდა. რამდენსამე წამს კარებთან იყო გაჩერებული. „აწი ვეღარ გნახავ, ოჯახო“ — დაიჩურჩულა. კიდევ უნდოდა მგონია რაღაცის თქმა, ტირილმა მოუსწრო. სწრაფად, მაგრამ წუნარად გააღო კარები, გავიდა გარეთ და შთაინთქა ღამის წყვდიადში. შუაღამისას მარიკას შემოესმა ბავშვის გაცხარებული ტირილი:

— ქრისტინავ, ქრისტინავ! არ გეყურება? ბალანაი ტირის, ძუძუ აჭამე! დაუძახა მარიკამ ქალიშვილს“...

ეგნატემ შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ძალზე აღელვებულმა ჩურჩულით წარმოთქვა: ეს რა დამიწერია, აი თურმე, როგორ გამისხლტა ხელიდან ეს ჩემი ქრისტინე. არა, ბავშვი, ღვიძლი, ძუძუსანაბარა ბავშვი როგორ მიატოვა ასე უღმერთოდ. თვით უკვირდა თავისი გმირის მოქმედება და მწარედ აღმოხდა — ქრისტინე, ჩემო ქრისტინე, ეს რა ქენი შე ბედდამწვარო? მწერლის სარეცელის წინ თავდახრილი ქრისტინეს აჩრდილი ტირილით შეეპასუხა.

— აბა რა მექნა, სახლში მე არ დამედგომებოდა და სოფელში, მთლად შემჭამეს, ბატონო ეგნატე. შენ თვით ხარ მოწმე, რომ ჩემთვის ცემა არ დაუკლიათ და ტყეპა. წყეველა და გინება. ჩემი სიცოცხლე წვეთწვეთად იწამლებოდა და იშხამებოდა. დიდი ბრძოლა და მღელვარების ქარიშხალი ტრიალებდა ჩემს სულსა და გულში. ბევრჯერ თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ ვერ გავბედე. ვერც ჩემს გამაუბედურებელ იასონზე ვიძიე შური... მერე, გავიხსენო როგორ იყო... ტირილი მოერია, მალე ღონე მოიკრიფა და გააგრძელა. ჰო, სწორედ იმ დროს ჩვენს სოფელში ის ქალაქელი ქალი სონია გამოჩნდა. ჩემმა მეგობარმა მარინემ ჩემი ამბავი რომ უამბო, ასე შემომითვალა: რა აბრიყვებს, თავის მოკვლასა და დაშლექებას ის არა ჯობს, მიატიოს ის დედ-მამა, წავიდეს სადმე და იცხოვროს... მერე შენ ჩემზე უკეთ იცი, რაც გადახ-

და შენს ქრისტინეს... მე შევცდი, გაბრძოლებით გავიბრძოლე, მაგრამ მაინც დავემორჩილე ბედს. შევცდი... რატომ შევცდი? — ალბათ, მე არც მკითხავ იმიტომ, რომ თქვენ თავად გაეცით ამ კითხვას პასუხი ჩემი სულიერი დის ლიზას პირით:

„რეზა შეცდიო? — რა ვიცი რეზა შევცთი! ისე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევცთი. თლათ იგინია დანაშაული ჩემ შეცდომაში! არა ვითომ? აბა მე ვარ? რა ვიცი, ვერაფერს გაიგებს კაცი, ესეა მოწყობილი ჩვენი ყოფნა!.. თაობიდან არის ყოლიფერი უხეიროდ მოწყობილი და იგია“...

— ეგ ხომ თქვენი სიტყვებია, ბატონო ეგნატე! ეგ ხომ თქვენ ათქმევინეთ იმ უბედურ ლიზას და იმ ლიზასავით უბედურად, უფრო უბედურად წაეწყო ჩემი ცხოვრება.

— ეგ კი მართალი თქვით, ჩემო ქრისტინე, — ბრძანა ეგნატემ. მეც იმიტომ დავწერე იმ შენს ბედზე, იმ ლიზას და მისთანების ბედზე ისე მწარედ და პირუთვნელად, რომ როგორმე შემეძულებინა ხალხისათვის ის დრო, ის საზოგადოება, რომელიც აუბედურებდა შენსავით სიცოცხლით სავსე ადამიანებს. აუბედურებდნენ და თავს აკვლევინებდნენ. ფულიანები განუკითხავად პარპაშებდნენ, ნებივრობდნენ... ფული ჰქონდათ და ამიტომ ყველაფერი ნებადართული იყო მათთვის. სასახლეები, ავეჯი, მამული, რაც მოეწონებოდათ, იყიდიდნენ, ასევე ვაჭრობდნენ და ყიდულობდნენ სილამაზეს და ლამაზ სხეულს. განა ასევე ზარ-ზეიმით, ფულით არ გიყიდეს შენ, მერე ებრაელის ქალის რახილის სახელით მოგნათლეს და მთელი თბილისის ფულიანები და ნაძირალები შენ გყიდულობდნენ. შენ უმწიკვლო და ულამაზესი ჯუ-რული ქალი ჯერ მეზობელმა თავადიშვილმა იასონმა მოგატყუილა და დაგჯიჯგნა, მერე ქალაქის უზნეობის მორევში გყიდიდენ და გყიდულობდნენ ის უნამუსო ფულიანები. მობეზრდებოდით და მერე ქუჩაში გაგდებდნენ. ასეთია მგლური კანონი და სამართალი იმ საზოგადოებისა, რომელსაც ვებრძოდი და ვებრძვი, ჩემო ქრისტინე. ხომ ხედავ, რა დღეში ჩაგაგდო ამ საზოგადოების მგლურმა კანონმა. ის მხეცები, ის მგლები დაგერიენ და შენ უსუსური არსება ვერაფერს გახდი მათთან ბრძოლაში, ლამაზი იყავი ბუნების უმანკო მშვენებავ, შენ, ჩემი სოფლის მინდვრის ყვავილო, შენი დიდრონი ცისფერი თვალები ვაი, რომ შენივე დასაკლავი დანა შეიქმნა. ლამაზი იყავი და შენი სილამაზე ბოროტად გამოიყენეს. სილამაზე დიდი ნიჭია ბუნებისა. შენ ბუნების ამ მადლით იყავ უხვად დაჯილდოებული. უსაშველოდ ლამაზი იყავ, ჩემო ქრისტინე! გახსოვს, მატარებელში იმ ბევრის მნახველმა და ნავალმა კონდუქტორმა, რომ ჰკითხა იმ შენს დამღუპველ სონიას:

— ვინ არის ეგი, გაჯავრებულ ანგელოზს რომ გავსო. იასონისაგან

გაუბედურებული, ცხოვრებისაგან გამოუცდელი, მართლაც რომ გაბრაზებულ ანგელოზს გავდი შენ იმ დროს.

— ნუ, ნუ მომაგონებ, ბატონო ეგნატე, ჩემს სიმწრის დღეებს, — მხრებში მოხრილი, სევდამორეული აჩრდილი ქალისა ემუდარებოდა მწერალს.

— არა, უნდა მოგაგონო! ათჯერ და ასჯერ უნდა მოგაგონო შენ და სხვებსაც, რომ არასოდეს საბედისწერო გზას არ დაადგეთ. არის, ხომ არის სხვა გზა, — გზა შრომისა და ბრძოლის?

— მეც ამას ვეხვეწებოდი თბილისში ყველას, რაიმე სამუშაო რომ ეშოვათ ჩემთვის. ჰო რამდენი ვემუდარე ჩემ ბებერ დიასახლისს, მერე იმ ჩემ დამღუპველ სონას, სადმე ხელზე მოსამსახურედ ან მრეცხავად დამაყენეთ-მეთქი. ხომ გახსოვს, რაც მიპასუხეს. აქ ძალიან ძნელი საპოვნია სამოჯამაგირო ადგილი, ათასი მშიერი კაცი და ქალი ტრიალებს ამ ქალაქში და ეძებს მოჯამაგირედ დასადგომ ადგილს, მაგრამ მეათედიც ვერ შოულობს, მერე კიდევ შენ სადაც უნდა დადგე მოჯამაგირედ, ძალით იქნება თუ ნებით, ერთ დღეს მაინც ვერ აცდები იმას, რასიცა ახლა გეშინიაო. გამწირეს, ყოველგვარი გზა გადამიწურეს და მეც წვალებით, ტირილით, მოთქმით დავემორჩილე ბედს. ახლაც მახსოვს ის პირველი საბედისწერო ნაბიჯი. იმ წუთს ისეთი სევდა შემომაწვა გულზე, თითქოს ამ ქვეყნიერებას ვტოვებდი და სხვა პლანეტაზე მივდიოდი. მართლაც ჩემთვის სხვა პლანეტა იყო ის ცხოვრება... აქ ცრემლები მოეძალნენ ქრისტინესა და ბოლმა ვერ დაფარა: მდგომარეობამ, მდგომარეობამ მაიძულა, გასაყიდ ნივთად მექცია ჩემი სილამაზე, ჩემი ყმაწვილქალობაც. ხელიდან ხელში გადავდიოდი, მყიდულობდნენ და მყიდდნენ, ჩემი სხეულით ვაჭრობდნენ.

აქ ნინოშვილი ალაპარაკდა:

— ერთ დღეს ვიღაც ყმაწვილებმა ჩაისვეს ქრისტინე ფაიტონში და გასწიეს ორთაჭალისკენ, სადაც მთელი ღამე დუდუკითა და ღვინის სმით უნდა გაეტარებინათ. არ გასულა ორი-სამი საათი სმის დაწყების შემდეგ, რომ მოქეიფეთ მოუვიდათ ჩხუბი ქრისტინეს გამო და შეიქმნა ხანჯლის ტრიალი.

— რას გაგიშტერებია თვალები, წამო რაღა? — უთხრა ერთმა ყმაწვილმა ქრისტინეს და მოჰკიდა ხელი წასაყვანად.

— თავი მომიკვდეს, თუ ეგ აქედან გაგატანო! მაშ მე დედაკაცი ვყოფილვარ. — გადაუდგა წინ მეორე ხანჯლით.

— გასწი მეთქი! აბა, ბიჭია და გაგიბედოს ვინმემ ხელის ხლება! — შესძახა პირველმა ყმაწვილმა ქრისტინეს და გაიგდო წინ.

— ეე! ხედავ ამ ხანჯალს? ლუკმა-ლუკმა აგკუწავ, თუ არ გაჩერებულხარ! — მიუტანა ხანჯალი ქრისტინეს სახესთან მეორე ყმაწვილმა.

— გასწი მეთქი!
— არ იშლი? მიგყავს რაღა!
— მიმყავს!
— ვერ წაიყვან!
— წავიყვან!
— მაშ, აჰა, თუ წაიყვან!

ამ დროს რამდენჯერმე გაიელვა ქრისტინეს სახეზე იმ ყმაწვილის ხანჯალმა, რომელიც ქალს წინ უხვდებოდა და რამდენსამე ადგილას დაჭრილი ქალი გულშემოყრილი დაეცა ძირს...

ეგნატემ შეხედა ლანდს, მის წინ იდგა სახედასახიჩრებული, წელში ორად მოკაკული დედაბერი. ტიროდა ქრისტინე მწარე ხვედრს და ცრემლი ღვარად მოედინებოდა ნაჭრილობევ სახე-პირზე. შეეცოდა მწერალს მის მიერ ასეთი მკაცრი სიმართლით დახატული ქრისტინე.

— გხედავ და თვალებს არ ვუჯერებ, ეს შენა ხარ, ჩემი ქრისტინე. სად გაქრა ის ქრისტინე, მე რომ ულამაზეს ქალად დავხატე? — კიდევ შეხედა ავადმყოფობისაგან ცხვირმოჭმულს, მოქეიფეთა ხანჯლისაგან სახედასახიჩრებულს, მათხოვრად ქცეულ ლანდს. უცბად ეს ლანდი სხვა მოლანდებამ შეცვალა. ნინოშვილმა თხრობა განაგრძო: „თხუთმეტ-თექვსმეტი წლის, საშუალოზე ცოტად მომაღლო, ნაკვთად მოყვანილი ტანის ქალი, სწორი, ცოტათი მოგრძო, ლამაზი, ქერა პირისახით, დიდრონი ცისფერი თვალებით. მათ ზემოთ თეთრ შუბლზე მშვენიერად გადატკეცოდა ისრის მსგავსი, წაბლისფერი წარბები, ხშირი თმა წელზე ეყარა. ქალს ტანთ ეცვა იაფფასიანი ჩითის კაბა. ფეხს — წუღა, თავზე ორშაურიანი სახოცი ეხურა, მაგრამ ამ უბრალო მორთულობაშიაც კი ისეთი ეშხიანი და სიცოცხლით სავსე სჩანდა, რომ თვალის მოშორება დაგენანებოდათ“...

— აი, როგორი იყავი ქრისტინე შენ, სოფლის უბრალო გლეხის ქალი. — ესა თქვა და მძიმედ ამოიოხრა ეგნატემ. მწერალს კვლავ სახედასახიჩრებული და ცხვირმოჭმული დედაბრის ლანდი დაუდგა წინ და ისევ ჯიუტად იკითხა, თითქოს თავისთვის, და მზერა სახლის ჭერს მიაპყრო: — ვინ არის დამნაშავე? — ახლა ამ კითხვით ქრისტინეს მიმართა. ქრისტინეს ტირილი მოერია და მოთქმით უპასუხა, — ვითომ მე? მე ვარ დამნაშავე, ბატონო ეგნატე?

— არა, შენ არა, — დამშვიდებით მიუგო მწერალმა. ჩვენი ცხოვრებაა უკუღმართი, აი, ვინ არის დამნაშავე. — დიახ, დიახ, ადამიანი არ იბადება ქურდად, დამნაშავედ... გარემოებანი განაპირობებენ, ცხოვრება უბიძგებს აქეთკენ. ტანჯვით და ვაებით სავსე ცხოვრება. — აქ ცოტა შეყოვნდა მწერალი და მერე ისევ გააგრძელა, — მაგრამ თვით ადამიანი ხომ მოვალეა ებრძოლოს გარემოებას. დიახ, დიახ, ადამიანები უნდა აღუდგნენ წინ უსამართლო საზოგადოებრივ წყობილებას,

იბრძოლონ ცხოვრების გარდასაქმნელად. — თითქოს ახლა მიაგნოო ამ აზრს და გაღიმებულმა მწერალმა ერთბაშად მიმართა ლანდს: — მოდით და ერთად ვებრძოლოთ ბედუკუღმართ ჩვენ დროს. ის ხანჯალი, რომლითაც შენ დაგასახიჩრეს, მტრებს გავუყაროთ მუცელში. იმ ფულიანებს ფაშვები გამოვაყრევინოთ, ისე ნებით და მორჩილებით არაფერი, გამოვა ჩემო ქრისტინე. მაშ წინ, ჩვენი გზა სიმართლის გზაა, გზა ნათელის გამარჯვებისა... ქრისტინეს მოლანდება კვლავ ალაპარაკდა: ისევ თავიდან უყვებოდა მწერალს მთისა და ბარისას, სოფლისას თუ ქალაქისას, მერე ერთბაშად დაღონდა. ქრისტინეს ის შავი ღღე მოაგონდა, თბილისის საავადმყოფოში რომ იწვა მოქეიფეთა მიერ მძიმედ დაჭრილი, სიცხისგან გათანგული, იწვა და აბოდებდა ამ საცოდავს:

აგერ სოფელში თავის სახლშია და შინ ფუსფუსებს... კვირა ღღეა, მშობლები შორეულ ნათესავთან წავიდნენ. მზე რომ მაღლა აიწია და სხივი მოჰფინა არემარეს, ერთი იმ სხივთაგანი მის გულს მოხვდაო თითქოს და ერთბაშად უცნაურმა ღელვამ შეიპყრო. მერე ეზოდან გავიდა, სახლის უკან ტყით დაბურულ ვიწრო ბილიკს დაადგა და იმ ბუხის ძირას შეჩერდა, სადაც იასონს უნდა დალოდებოდა. აი, უცბად მიწიდან ამოძვრა თუ ზეციდან ჩამოფრინდა სალკლდესავით მამაკაცი. მის წინ აღიმართა და ღონიერი მკლავებით გულში ჩაიკრა სასურველი მიჯნური. ერთხანს მიყვა ქალი ვაჟის ნებას, მაგრამ ვაჟმა როცა იძალა, ქალი გონს მოეგო და იყვირა, — არა, სანამ ჯვარს არ დავიწერთ, ეს არ მოხდება, იასონ! — და რკინის მკლავებს თავი დააღწია. შეურაცხყოფილი ვაჟი დგას გაბუტული და ხმას არ იღებს, ახლა თვით ქრისტინე ემუდარებოდა ვაჟს, — არა, საწყენად როდი გითხარი, მაგრამ სულმოკლეობა აქ რა საჭიროა. — ვაჟი ისევ არ იღებს ხმას, ქრისტინე ახლა თავად მოეხვია ვაჟსა და ის იყო რკინის მკლავებმა ისევ იძალეს და დაყვა ქალი ვაჟის ნებას... იკივლა ქალმა და ატკივდა საავადმყოფოში მწოლიარე ქრისტინეს ნაჭრილობევი, ერთხელ კიდევ ღრმად ამოიკვნესა და ისევ იძალა სიცხის ბურანმა, ისევ გაგრძელდა ამბავი... უკანონო შვილის დედა ყველამ აითვალწუნა. იძულებულია, გაეცალოს ჭორიან სოფელს და ეძიოს თავშესაფარი. ამ დროს ქალაქელი სონა გამოჩნდა, თან წარიტანა სოფლისაგან და მშობლებისაგან თავგაბეზრებული ქრისტინე, ბუშის დედა. აქ, ქალაქში, წვალებითა და ტანჯვით გამოიტირა თავისი თავი და მერე მისდაუნებურად თავი მისცა ქალაქის მეჯლისს...

აგერ ლამაზ, თმახუჭუჭა საბჭედრო ტანისამოსში გამოწკიპულ ვაჟს მიუყვანეს და დაუტოვეს ქრისტინე ურიის ქალის — რახილის სახელით. ვაჟს შეუყვარდა ლამაზი ურიის ქალი და ცოლად შერთვას შეჰპირდა. თვით მიამიტმა ქრისტინემაც ვერ ირწმუნა ვაჟის ეს გადაწყვეტილება, თავადიშვილის ფიცი ცოლად შერთვაზე ბედის დაცინვად მიაჩნდა და

ყოველ ამ წინადადებას ცხარე ცრემლებით ხვდებოდა. მაგრამ არა, არ ეშვებოდა თავადიშვილი. მართლაც რომ გულით შეუყვარდა ქალი. მერე ის წელი ასეთ ბედნიერ სიყვარულში გაატარა ქრისტინემ.

დიახ, დიახ, დამავიწყდა სოფელი, ბავშვი, საკუთარი თავიც. მე ურიის ქალი რახილი ბედნიერი „ცოლი“ ვიყავ იმ ოფიცრისა. მიდიოდა დღეები, მე ვნებივრობდი, მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი ხანმოკლე აღმოჩნდა. აქ ლანდს მწარედ გაეღიმა, უცბად ხელები გაასავსავა, ვიდრე ამ ამბავს ბოლომდე გიამბობდეთ, მინდა, იმ უცნაური სიზმრის შესახებ მოგიყვეთ, რაც ასე მალე ამიხდა, — უთხრა მწერალს, და გააგრძელა ლანდმა თხრობა. — ვითომ მე იმ ოფიცრის, თავად ჯანდიერის ოჯახში ვარ. აი, დიდი ქორწილი გადაგვიხადეს და ჯვარდაწერილებს ჯანდიერების სასახლის დარბაზში მიგვიჩინეს ბინა. ბოლოს სულ მარტო დავრჩი. მარტოობის შიშმა შემიპყრო. შეშინებული ვეძახი კოტეს, კოტე ერქვა იმ ოფიცერს, ჯანდიერების ერთადერთ ვაჟს. ჩემს განწირულ ძახილზე შემოდის მთლად ფერწასული კოტე და ქვითინით ჩამეხვია, როცა დავმშვიდდით, ზეზე წამომაყენა და ასე მითხრა: ჩვენ აქ არ დაგვედგომება, ჩემმა მშობლებმა გაიგეს, რომ შენ ქალაქელი ურიის ქალი ხარ, რახილი, ასე მითხრეს... დღესვე წაიყვანე ის შენი ურიის ქალი, სანამ სოფელს. მეზობლებს არ გაუგიათ, ოუ არა ჩვენ თვით გავაგდებთ და თავს მოვკრით საქვეყნოთ... მე უარი ვუთხარი და აქეთკენ გამოვიქეცი.

ესა თქვა და ვიღაც დათვივით კაცმა დაუკითხავად შემოალაჯა ოთახში და გარეთ გვისროლა ორივე, თან მოგვყვიროდა, აქედან დაიკარგენით, თქვე უნამუსოებოო... და ის იყო მე და კოტემ მოვკურცხლეთ. გავრბივარ მე, უკან მომდევს კოტე და თან მომძახის, — ნუ, ნუ გეშინია, მთელი ქვეყანა რომ აგვიჯანყდეს, შენ არსად დაგტოვებ. უშენოდ ჯოჯოხეთი იქნება ჩვენი ცხოვრება. — დამეწია, ხელი მომხვია და ახლა ხელმოხვეული და სვებედნიერი გავრბივართ ზევით, სულ ზევით, აღმართზე, მთა ავიარეთ ერთი, მეორე, მესამე და აი, ყველაზე მაღალ მწვერვალზე ავედით. ზევით ზეგანზე დიდი მუხის ხე იდგა. შევხედე, ჩემი სოფლის მუხის ხეა, ჩემი საბედისწერო ალავი, უცბად ტანში გამაჟრჟოლა, უნდა მეკივლა, სწორედ ამ დროს დედა შემომეგება ჩემი ბიჭით და ხელში შემომაჩეჩა ბავშვი. გულში ჩავიხუტე ჩემი პირმშო და ისევ გავრბივარ, ისევ გამომედევნა კოტე, ბავშვი გამომართვა, ახლა თვით ჩაიხუტა გულში ჩემი პირმშო. ისევ გავრბივართ ერთად მე, ჩემი ბიჭი და ჩემი კოტე. უცბად ჩემს სოფელში აღმოვჩნდით და რომ შეიტყვეს, მე კანონიერი ქმრითა და შვილით წავრსდექი მათს წინაშე, ამის მომსწრე სოფლელები სიყვარულით გარს შემომეხვივნენ და დიდი პატივისცემა დაგვიდასტურეს. მეორე დღეს ქორწილი გადაგვიხადეს. თამადამ ჩვენი სადღეგრძელო

რომ შესვა, მოითხოვა, იცეკვოსო ახლად ჯვარდაწერილებმა. კანონიერმა ცოლ-ქმარმა სვებედნიერად ვიცეკვეთ. როდესაც სუფრასთან დავბრუნდით, თამადამ ორივეს სავსე ყანწი მოგვაწოდა. კოტემ სულმოუთქმელად დალია. მე ის იყო პირთან მივიტანე ყანწი, ტუჩებით შევეხე, რომ ხელიდან გამივარდა. გულშეღონებული იატაკზე დავეცი და ვიკივლე. კივილზე კოტეს გამოეღვიძა, როცა ზმანებიდან გამოვერკვიე, მთლად ოფლში ვცურავდი. სვენებ-სვენებით მოვუყევი სიზმარი. კოტე მომეფერა, დამამშვიდა, — ნუ გეშინია, ჩემთან ხარ, გონს მოდი, აგრე რიგად რათ კანკალებ, რა მოხდა, სიზმარი იყო, სხვა ხომ არაფერი. მამშვიდებდა, მაგრამ მე თავს ვერ ვიმორჩილებდი, შიშისგან ვკანკალებდი. უფრო და უფრო ვეხვეოდი და გულში ვიკრავდი კოტეს, მეშინოდა, მეშინოდა, გათენებისას ძლივს ჩაგვეძინა.

შუადღე წამოსული იყო, როცა გავიღვიძეთ. ისევ თავიდან ვუყვებოდი სიზმარში ნახულ ამბავს კოტეს, რომ, სწორედ ამ დროს, დაუკითხავად კარები შემოაღო მაღალმა, ლამაზად მორთულმა და მოკაზმულმა ქალმა, ერთად რომ დაგვინახა ერთ საწოლში მე და კოტე, შეიცხადა. ეს ვინ არისო, — იკითხა მრისხანედ და ხელი ჩემსკენ გამოიშვირა.

— დედა, ჩემო დედა, რა კარგი ჰქენი, რომ ჩამოდი, სწორედ გუშინ გამოგიგზავნე ბარათი, სადაც გატყობინებდი, ცოლს რომ ვირთავ. აი, ეს არის ის ანგელოზი და კოტემ ხელი ჩემსკენ მოიშვირა. — ქალს უსიამოვნო ღიმილმა გადაუარა პირისახეზე და ასე უთხრა: — გითხოვია და ეს არის. დედ-მამის დასტური გვიან მოგგონებია, ჩემო, მაგრამ ეს არ არის ეხლა მთავარი. მთავარი ის არის, რომ ჯანდიერის ნაშიერმა არ დაივიწყოს, რომ ის კახეთის პირველი თავადიშვილია. — ესა თქვა და ბრაზმორეული მეორე ოთახში გავიდა. ჩვენ საჩქაროდ ტანთ ჩავიცვით და დედას ვეახელით. კოტეს დედა მაშინათვე ჩემ დაკითხვას შეუდგა. თუ ვისი შვილი ვარ, საიდან ჩამოვედი, როგორ გავჩნდი აქ, ამ ოთახში. ვცადე მეპასუხა ამ კითხვებზე, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი პასუხი ქალბატონს ვერ დააკმაყოფილებდა და ფეხქვეშ ჩავუვარდი იმ ქალბატონს... უძლური, პატარა ბავშვივით ავტირდი, ვზლუქუნებდი, ვტიროდი. ჯერ ყურადღებას არ მაქცევდა ქალბატონი. მერე ისევ დამიწყო დაკითხვა: — დამშვიდდი, მიამბე ვისი ხარ, საიდან, როგორ მოხვდი აქ. — დამიყვავა, მომეფერა. მე ისევ ვდუმდი. კოტე, ის ჩემი კოტე გალახული ბავშვივით იდგა და ხმას არ იღებდა. მერე, თითქოს გონს მოეგოო, ვედრებით მიმართა დედას: — აცალე, შეგვეჩვიოს, სული ამოითქვას და მერე თვითონაც გვიამბობს და მეც გიამბობ, ვინც არის და საიდანაც გაჩნდა ამ ოთახში. — ადგა ქალბატონი და უსიტყვოდ გაგვეცალა. მარტო ესღა თქვა, ქალაქში საქმე მაქვს და საღამოს ისევ მოვბრუნდებიო. მე ეხლა კოტეს ჩავუვარდი ფეხ-

ქვეშ, — გამიშვი, ჩვენი საქმე განწირულია, — მაშინ კოტემ პირველად მთხოვა გულწრფელად მომეთხრო ჩემი ამბავი. მეც არ დავუმალე და ვუამბე, ამბავის თხრობით ცრემლი მოვწუვიტე ჩემზე უსაშველოდ შეყვარებულ კოტეს. მერე გაბრაზდა და ასე მითხრა, — მე მოვძებნი იმ უსინდისო იასონს და შენს მაგიერ მე ვიძიებ შურს იმ ბოროტ კაცზე. დიახ, შენი ასე გამმეტებელი ან უსინდისო, უგულო კაცი უნდა იყოს, ან თავზეხელაღებული, ბოროტი, ბანდიტი. — ესა თქვა და თვითონაც მტკიცედ გადაწყვიტა თავიდან არ მოვეცილებინე. საღამოს შინ დაბრუნებულ დედასაც ასე უთხრა, მე ან ამას შევირთავ, ან არავისო. დიდხანს იკამათეს დედა-შვილმა, მაგრამ როცა დედა დარწმუნდა, რომ ვერ გადაათქმევინებდა ჩემს სიყვარულს, მეორე დღეს დილაადრიან სოფელს მიაშურა. ის იყო და ის დღე, ამის შემდეგ თავიდან არ მიშორებდა კოტე. დავყავდი თეატრებში, მეჯლისებში, ნაცნობ მეგობრებში და ყველას ჩემს თავს აცნობდა, როგორც კანონიერ ცოლს. კოტეს დედ-მამა მაინც არ ისვენებდა, ვიღაც ქალი შემომიჩინეს და იმის საშუალებით ის დედაბერი მოძებნეს, ვისთანაც სონიამ პირველად მიმიყვანა. მერე დედაბერი პოლიციაში დაიბარეს და დააპატიმრეს. ჩემი ჩამოყვანისა და ქალაქში ჩაწერის სიყალბეც გამოჩხრიკეს და მეც დამაპატიმრეს. ერთი თვის შემდეგ რაღაც ოქმზე ხელი მომაწერინეს და იმ პირობით გამომიშვეს, რომ ერთი დღის განმავლობაში დავტოვებდი თბილისს. ციხიდან რომ გამოვედი, ისევ კოტეს მივადექი, მაგრამ სახლის პატრონმა, სადაც კოტე ცხოვრობდა, ცივად გამომისტუმრა, შენი კოტეს ამბავი არა ვიცით რაო, ერთი თვეა, რაც თვალი არ მოგვიკრავსო. იქიდან წამოვედი დაღონებული და სასოწარკვეთილი, დიდი წვალების შემდეგ ისევ მოვძებნე ის ბებერი ქალი, სადაც სონა მეგულებოდა, შეშინებულმა ბებერმა ქალმა გარეთ გამომისტუმრა და ასე მითხრა: ჩემთან არ მოხვიდე, არ გნახო, მეყო, რაც მე შენს გამო გადამხდაო. გარეთ რომ გამოვედი, იღბალზე სწორედ ჩემი დამღუპველი სონია შემხვდა. მომეფერა, დამიყვავა, მე ეხლა ახალი ბინა მაქვსო და იქ წამიყვანა. ისევ თავიდან დაიწყო ურიის ქალის რახილის სახელით ჩემი მწარე დღეები... იმ დღეს კი ის მოქეიფენი გადამეყარნენ, იმათგან მჭირს, რაცა მჭირს, ესა თქვა და ისტერიული ტირილი ატუვარდა ქალს.

...სიცხისაგან გაგანიამოდებული ქრისტინე წევს და ყურში ჩაესმის ბავშვის ტირილი, ჩვილი ტირის და ძუძუს ითხოვს, დედა ცდილობს ძუძუ მიაწოდოს ბავშვს, მაგრამ ამაოდ, უმწეო ხელებს ვერ ანძრევს. უაზროდ მიაჩერდა ჭერს და ახლა უფრო გარკვევით ესმის გადაფიჩინებული ბავშვის ტირილი, ძლივს მოუფათურა ხელი ლოგინს, მაგრამ ბავშვი მის გვერდით აღარ წევს. არა და, უფრო და უფრო მკაფიოდ ისმის ბავშვის გაბმული ტირილი. და ის იყო ვიღაცას

შეემუდარა სახედასახიჩრებული ავადმყოფი, — ბავშვი, ჩემი ბავშვი მომიყვანეთ, გეყედრებით ისე ნუ მომკლავთ, რომ ჩემი ბავშვი არ მაჩვენოთ.

იწვა ავადმყოფი და ისევ აბოდებდა. — ეზმანა, ვითომ სოფელშია. დედ-მამის ქოხიდან ნელი ნაბიჯით გამოვიდა და ნახირის მოსარეკად გასწია. შუკებში ნახირი ბღაოდა, სადღაც მამალი ყიოდა, გზაზე ურემი მიჭრიალებდა, ვიღაც ახმახ კაცს ხელში აეტატებინა ქრისტინეს ბავშვი და ეფერებოდა მტირალს. მას უკან მისდევდა შავთავსაფრიანი ქალი, რომელსაც ბავშვის აკვანი მიჰქონდა ხელით. ამ ქალში დედა შეიცნო ქრისტინემ, ისევ ტიროდა ბავშვი, ისევ ეფერებოდა და ამშვიდებდა ახმახი. ამ უცნობისაგან შეშინებული ბავშვი მთლად გადაფიჩინდა და უმატა ტირილს. აგონიამორეული ავადმყოფი ქალი უყვირის ახმახს, — ჩემი ბავშვი, ჩემი ბავშვი, სად მიგყავთ ჩემი ბავშვი.

თავზე მოწყალების და დაადგა და დამშვიდება დაუწყო. — რის ბავშვი, რა ბავშვი, ვის მიყავს, რას ამბობ შე საწყალო, გონს მოდი, გონს მოეგე, ეს მე ვარ, — ამაოდ ჩასძახოდა მოწყალების და გონწასულ ქრისტინეს...

იდგა ახლა ქრისტინეს ეს მოლანდება ნინოშვილის წინაშე და შეშზარავად ტიროდა. დაუყვავა მოლანდებას ავადმყოფმა მწერალმა. გულამომჯდარმა ქალმა ძლივს გასარკვევი ლუღლუღით უთხრა მწერალს: — ნეტავ ყველა შენისთანა გულისხმიერი იყოს, ბატონო. მე დარწმუნებული ვარ, რომ მამაკაცებში სანთლით საძებნელია გულიანი კაცი. არა, მათი უმრავლესობა უსულგულონი არიან. ისინი ვერასოდეს ვერ ჩაწვდებიან ქალის იდუმალ მწუხარებას. მამაკაცები ქალს გასაყიდი, მოსახმარი ნივთივით უცქერიან, მოეწონებათ, ხელთ იგდებენ, მოტყუებით, თუ ფულით. მერე, ჟინს და ვნებას რომ მოიკლავენ, იქვე მიატოვებენ უსულგულოდ. არა, ისინი უგულონი და უსულონი არიან. ამ უგულოებმა მე ერთხელ კი არა, ათჯერ და ასჯერ ამატირეს, დამამცირეს, ფეხქვეშ გამთელეს როგორც ჩვარი, მერე ასევე უსულგულოდ გარეთ გამომიძახეს. იმ ოფიცერმაც, რომელიც ჩემი სიყვარულის გამო ვითომ გიჟდებოდა, იმ ვაჭარმაც, იმ მეეტლემაც, იმ ნოქარმაც, ისევე უნამუსოდ მომატყუა, როგორც იასონმა. მზეს მეფიცებოდნენ და მზისა და დღის არა რცხვენოდათ, ასე უნამუსოდ რომ ტყუოდნენ. მანამ მჯიჯგნეს, სანამ ბინძური გული არ იჯერეს. მერე ამწიეს და ქუჩას ჩააბარეს ჩემი თავი...

— შენ მართალი ხარ, ქრისტინე! მამაკაცების უმრავლესობა უგულონი და უსულონი არიან, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, ქალებშიც ცოტა როდია ასეთი უგულონი და უპირონი. შენ, ჩემო ქრისტინე, რამდენიმე თვე და დღე მაინც იცხოვრე სიყვარულით გამთბარი გულით. მე ეს რამდენიმე დღეც არ მარგუნა ბედმა. ასე რომ, შენი ავტორი უფრო

უბედურია და გაწბილებული სიყვარულისგან, ვიდრე შენ. ისე მოეწყო ჩემი ცხოვრება, რომ არც სიყვარული მერგო წილად და არც ბავშვი, შენ ბავშვი მაინც გყავს, პირმშო, შენი ხორცის და სულის ნაწილი. ოღონდ უღვთოდ მიატოვე იგი და მე ამაში გდებ ბრალს, ჩემო ქრისტინე. და მერე იცი, რა დიდი დანაშაულია მიატოვო შენგან შობილი...

ყველაზე უჯიათონი და უგულონი სწორედ ის ქალებია, ჩემო ქრისტინე, ვინც პირმშოს დაივიწყებს, ამიტომ არა გაქვს შენ უფლება სხვებს უწოდო უგულო.

— ნუთუ მე ვარ დამნაშავე, შვილი რომ დავტოვე. აკი მოგახსენე, ჩემო ეგნატე, რომ მე მაიძულეს, თავი მომაბეზრეს, არა... სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული ქრისტინეს, ისე შეაწყვეტინა სიტყვა ეგნატემ.

— დიახ, დიახ, მე გრძნობას ავყევი... შენ ნამდვილად ჩვენი ბნელი ცხოვრების მსხვერპლიცა ხარ. მარტო ქალაქისა კი არა, სოფლის მსხვერპლიც. ეს სოფლის უკმური, ეს ბნელი ადათ-წესები თავიდან თუ არ ჩამოვიბერტყეთ, ისე არაფერი გამოვა. შენ სოფლის უკმურს გაექეცი და თავი ქალაქს შეაფარე, მაგრამ რა იცოდი, რომ არც ქალაქია მშრომელი კაცისათვის ნავთსაყუდელი. სოფლის უკმურს გამოექეცი, მაგრამ ქალაქის ჰუჰუმა ჩაგითრია და ის უფრო მკაცრი და დაუნდობელი აღმოჩნდა, სწორედ კაპიტალისტურმა ქალაქმა დაგახრჩო თავის სიბინძურის მორევში. ფულზე, ანგარიშზე, ანგარებაზე, მოვებაზე აშენებულმა ქალაქმა მთლად დაგიბნია გზა-კვალი. აბა შენისთანა გამოუცდელ სოფლელ ქალიშვილს რა შეეძლო. აი, რამდენი მტერი და დუშმანი ყავს მშრომელ კაცსა და ქალს, აი, რამდენ ბოროტებასა და სიმახინჯეს უნდა ვებრძოლოთ, რომ ადამიანი შენსავით არ დაიღუპოს. მაგრამ ამან არ უნდა შეგაშინოს, ბოლოს და ბოლოს მშრომელი კაცი შეიგნებს, რომ მდიდრები, არც სოფლად და არც ქალაქად, ჩვენისთანა ღარიბი კაცისთვის თავის ნებით არაფერს გაიმეტებენ. ჩვენ ძალით, ძალადობის გზით უნდა წავართვათ მათ ჩვენგან მიტაცებული სიმდიდრე, რის წყალობითაც ასე განუკითხავად პარპაშობენ სოფლად თუ ქალაქად. უპატიოსნო გზით წართმეული სიმდიდრე და უფლება ძალით უნდა გამოვგლიჯოთ ხელიდან ჩვენს დამღუპველ ბატონებს — მიწიანებს და ფულიანებს. რადგან ის მიწაც და ის ფულიც სიკეთით იმას უნდა აჯილდოვებდეს, ვინც სოფლად მიწას აპოხიერებს და ქალაქში ფულის ბარაქას ქმნის. შრომის, სინდისის, პატიოსნების გამარჯვებისთვის ღირს ბრძოლაც და შრომაც, არ დავზოგოთ თავი თავისუფლების გამარჯვებისთვის. წინ, წინ და მხოლოდ წინ, — შესძახა ნინოშვილმა და გამოეღვიძა კიდეც.

გამოეღვიძა და გაჭრა ეს მოლანდებაც...

წუხელ გარდაცვლილი მამიდა ნინო გამოეცხადა. მამიდამ დიდი ამაგი დასდო ობლად დარჩენილ ეგნატეს. ნინოშვილი ერთი წლისაც არ იყო, დედა რომ მოუკვდა, დედის მაგივრობა ნინომ გაუწია. მისმა სითბომ და ალერსმა უდედობა გადაატანინა და მწერალმაც დედა-სავით შეიყვარა ეს უანგარო ქალი...

დიდად ეამა ავადმყოფს მამიდა ნინოს მისვლა. ნინო სასთუმალთან ჩამოჯდა, თავზე ხელი გადაუსვა. ეგნატეს თმები და წვერ-ულვაში მთლად ოფლით ჰქონდა დასველებული. მამიდამ შეიცხადა: ასე უპატრონოდ როგორ მიგატოვესო, კარადიდან პირსახოცი გამოიღო და ოფლი შეუმშრალა, სადღაც ძველმანები გამოძებნა და გამოუცვალა მთლად სველი საცვლები. ახლავე რძეს აგიდუღებო და კარდალა გამორეცხა, მეზობლისგან რძე მოიტანა და აუდუღა, მერე თბილ რძეში მჭადი ჩაუტეხა და ხის კოვზი გაუწოდა ავადმყოფს, ნინოშვილმა ხელი წაატანა და გამოეღვიძა კიდეც. ეს ზმანებაც გაქრა. გული ჩაწყდა, ყოველივე ეს რომ მოჩვენება აღმოჩნდა. ისევ სძლია სისუსტემ და კვლავ ჩასთვლიმა. კვლავ მამიდა ნინო დაადგა თავზე.

— უჩემობა დაგტყობია, შვილო. ვაი შენს მამიდას, ეს რა დღე გადგას, თუმცა სულ გაბმული ტანჯვა იყო შენი ცხოვრება. მე, ღმერთმა იცის და კაცმაც, შენთვის ზრუნვა არ დამიკლია — ეს უთხრა და ისევ სასთუმალთან ჩამოუჯდა ავადმყოფს:

— გახსოვს, მაშინ 7 თუ 8 წლისა იქნებოდი, მე დავიჩემე, ის უბედური მამაშენიც ავიყოლიე და წერა-კითხვა დაგაწყებინე, არც მე და არც მამაშენმა წერა-კითხვა არ ვიცოდით. მამაშენი იმ ჩვენ მეზობელ აზნაურთან გავგზავნე. იმ აზნაურიშვილს, უმადურად, ძველ ნაგლეჯ ქაღალდზე ჩამოეწერა ქართული ანბანი. მამაშენმა სირბილით მოიტანა ეს ძვირფასი ქაღალდი, სასოებით გადმომცა და გულაძგერებულმა მითხრა, აბა შენ იცი, ამ საქმეს თუ მოაბამ თავსო. შენ ამ ქაღალდზე ჩამოწერილ ასოებს დამარცვლით კითხულობდი, გახსოვს?

— მახსოვს, ჩემო მამიდა, მახსოვს... და ერთბაშად გახალისდა ავადმყოფი. — ეს ასოები სულ ერთ თვეში დავიზუთხე. — ეს თქვა და ერთბაშად სახე მოეღუშა. მერე სული მოითქვა და გააგრძელა: — იმიც მახსოვს, შენ რომ ჩვენი სოფლის მღვდლისას მიმიყვანე, ჰო, რამდენი ევედრე და ემუდარე, რომ მე შეგირდად ავეყვანე. აყვანით კი ამიყვანა, მაგრამ მერე რა? იმან მხოლოდ ხუცური იცოდა, მხედრულის კი არაფერი გაეგებოდა. სწავლის ნაცვლად ხუცურად ლოცვებს მაზეპირებინებდა და თავისი ოჯახის წვრილმან საქმეებს მაკეთებინებდა, — მოჯამაგირედ გამიხადა. ეს რომ შენ შეიტყვე, მოვარდი, მომეფერე, გულში ჩამიკარი და წვრილად გამომკითხე ყოველივე. მერე ერთბაშად

ხელი ჩამავლე და შინ წამიყვანე. მალე მამაჩემმა ვიღაც ფოთელი ვაჭარი გამოძებნა და იმას მიმაბარა. ეს ვაჭარი იმ სოფლის მღვდლის ძმისწული აღმოჩნდა. იქ უფრო უარესი დღე დამადგა. სამზარეულოში შემაგდეს და ათასნაირი საქმით დამტვირთეს. მთელი დღე ჩუმად ვტიროდი, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი. იმ ვაჭარზე გულქვა იმის ცოლი იყო, ალბათ სულ მალე სულსაც ამომხდიდნენ, რომ ისევ შენ არ გეზრუნა ჩემთვის. თურმე მამა ძალით გამოაგდე, წადი ფოთში და ნახე, რა დღეშია ეს ჩვენი ბიჭი. მოვიდა მამა და მე რომ ამ დღეში მიხილა, ვაჭარს წაეჩხუბა და შინ წამომიყვანა. მე ისევ შენის მეოხებით სული მოვითქვი, ტკბილად მეძინა შენს ლოგინში, შენთან ჩახუტებულს. მერე შენ მაინც არ მოისვენე, ბავშვს უსწავლელს ვერ დავტოვებო და ჩვენი სოფლის სკოლაში მიმიყვანე, სკოლაში კარგად მიგვიღეს და კარგი მასწავლებელიც შემხვდა. სულ მიჩიჩინებდი, აბა წიგნი და წიგნიო. თავის მხრივ სკოლაში მასწავლებელიც მაქებებდა და ყურადღებას არ მაკლებდა. ყოველივე ამის წყალობით 1878 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში რომ მიმიღეს, იმავე თვეს მესამე კლასში გადამიყვანეს. კარგად ვსწავლობდი და იმიტომ. არა, სწავლით კი გამოვიჩინე თავი, მაგრამ დიდი წვალება და ტანჯვა გადამხდა ოზურგეთში:

მანასე თოთიბაძესთან სამი ბიჭი ვიყავით მდგმურად, სამივე ღარიბი, მაგრამ ყველაზე ღატაკი მე ვიყავი. შენ გახსოვს, მეზობლისაგან ნათხოვარი, გამონაცვალი, გაცვეთილი საზაფხულო პალტო რომ მეცვა. ლოგინი არ მქონდა და ამ ნათხოვარი პალტოთი ვიწექი პირდაპირ ტახტზე, ასე გაჭირვებულს რომ მხედავდნენ, არავის ვუნდოდი, მერე იმ თოთიბაძემაც, რაკი ფულს ვერ იღებდა ჩემგან, შემიძულა და მეც მეტი რა გზა მქონდა, დავტოვე თოთიბაძის ოჯახი და მთლად ცის ქვეშ რომ დავრჩი, ვიმათხოვრე, ფიცრები და დაპობილი ხის მასალა ვიშოვნე, ზოგი თავად მოვჭერი და, როგორც იქნა, ოთხ ბოძზე პატარა ჯარგვალი მოვაცოდვილე, ამაში თოთიბაძის მდგმური ბიჭებიც დამეხმარნენ. მერე ის ორი მდგმური, ჩვენებური ბიჭები, მე იმ ჯარგვალში შევიკედლე. პირდაპირ ფიცრებზე ვიწექით, საჭმელს მე თვითონ ვამზადებდი, ზოგი რამ სოფლიდან მომქონდა, ბალახბულახსა და ეკალს ვკრეფდი მინდორ-ველზე. ნავთი და ლამპა არ მქონდა და ფიჩხის სინათლეზე ვსწავლობდი. იმ ფიჩხებსაც ტყეში ვაგროვებდი და ასე გაჭირვებით გამქონდა თავი. წიგნს კი არ ვეშვებოდი არც დღე და არც ღამე, გვიანობამდე ფიჩხის სინათლეზე ვკითხულობდი, რასაც ხელთ ვიგდებდი. წიგნის საყიდელი ფული აბა სად მქონდა, ნაცნობ შეგირდებში და ბიბლიოთეკებში ვშოულობდი წიგნებს. ამ წიგნებმა ამიხილეს თვალი და დამანახეს ცხოვრება თავისი უსაშველო

სირთულით და საშინელი სინამდვილით. წიგნებმა ნაკითხი კაცის სახელი მომიხვეჭეს, ამავე წიგნებმა უზომოდ გამათამამეს.

სასულიერო სასწავლებელში კარგი მასწავლებელი შემხვდა — გვარად ლიაძე. ის კეთილი მასწავლებელი ნამდვილი მამა იყო ჩემი. საკითხავ წიგნებსაც ის მირჩევდა და სკოლაშიაც მმფარველობდა. მისი მითითებით მე ამ ჩემს მიერ წაკითხულ წიგნების შინაარსს ჩემს თანაკლასელებს ვუამბობდი. საკითხავი წიგნებით ასე გატაცებას გვიკრძალავდნენ სკოლაში, სწორედ ამის გამო გადამეკიდა ის დაწყეველილი დეკანოზი ქიქოძე, მერე შარი მომდო და სკოლიდან გამაგდო. მასწავლებელი ლიაძეც ზედ მომაყოლა. გამიჭირდა. მე სწავლა მწყუროდა, დეკანოზს წიგნები და რევოლუცია სძულდა და ჯავრს ჩემზე იყრიდა. სულ უბრალოდ მომდო შარი: შენ იმ აკრძალული წიგნების კითხვით მოწაფეებს მიბუნტებო. აბა რისი ამბუნტებელი ვიყავი მე. იმათ ლიაძისაგან შერჩეულ წიგნებს ვუკითხავდი და ისინიც გულისყურით მისმენდნენ.

მე სწავლითა და წიგნებით გატაცებული რომანტიკოსი ვიყავი. ეს უზომო სიყვარული წიგნებისადმი არ მაპატია ქიქოძემ და ოზურგეთის სასწავლებლიდან გამომაგდო. მთელი ორი თვე ატუზული ვიყავი სკოლის კარებთან და აღდგენას შევთხოვდი ყველას. მერე თანაკლასელ ჯიბლაძესთან ერთად ჩემს ჯარგვალში ჩავიკეტებოდი და ვიზეპირებდი იმ გაკვეთილებს, ჩემს კლასელებს რომ აძლევდნენ დავალებად. ამის გამო იმ ჩემს მეგობარს, სილიბისტრო ჯიბლაძეს გადაეკიდა ქიქოძე და კინაღამ გარიცხა. ცნობა რა იყო, უბრალო ცნობა, ოზურგეთის სასწავლებელში რომ ნამდვილად ვსწავლობდი, იმის ცნობაც კი არ გაიმეტა ქიქოძემ. მეტი გზა არ იყო, ავიკრიფე გუდა-ნაბადი, წვალებით აგებული ჩემი ჯარგვალი დავტოვე და სახლს მივაშურე. მამა ჯერ გამიჯავრდა, მერე, რომ გაიგო საქმის ნამდვილი შინაარსი, შეეცოდე. მამასახლისსა და მწერალს უამბო ჩემი ამბავი. ცოტა ქრთამიც მიართვა და ამის წყალობით გაიმეტეს ჩემთვის ცნობა. ამ ცნობით გამოცდები ჩავაბარე ქუთაისში სახალხო სკოლის მასწავლებლის წოდებაზე. დიდი ხალისით დავიწყე მასწავლებლობა, ჩემი სოფლის ხალხი გვერდში ამომიდგა. ჩემი სკოლა საჩვენებელი სასწავლებელი იყო. მერე აქ სოფლის მწერალი გადამეკიდა და დაბეზღება დამიწყო, ვითომ მე ხალხს ვაბუნტებდი მთავრობის წინააღმდეგ და ბავშვებს „ღმერთისა და სახელმწიფოს“ ორგულობას ვუნერგავდი. დაიწყეს გამოძიება. მე გავჯავრდი, დავტოვე ჩემი სოფელი და ხელი ავიღე მასწავლებლობაზე. იმჟამად თბილის-ბათუმის რკინიგზა გაყავდათ და იქ დავიწყე მუშაობა. მინდოდა ცოტა ფული მომეგროვებინა და თბილისში განმეგრძო სწავლა, მაგრამ ჩემი მცირე ხელფასი საჭმელადაც არ მყოფნიდა და აბა ფულს საიდან დავაგროვებდი. მაინც მივაშურე თბილისს და იქ არსენ

კალანდაძის სტამბაში დავიწყე მუშაობა. მაძლევდნენ მხოლოდ ხარჯის ფულს — დღეში 7 კაპიკს. ეს პურის ფულადაც არ მყოფნიდა. ბევრი ვეცადე, მაგრამ თბილისში ვერსად ვიშოვე რიგიანი სამუშაო და ისევ სოფელში დავბრუნდი, სოფელში ისე გამიჭირდა, რომ სოფლის კანცელარიაში მწერლად ვიმუშავე ექვსი თვე. ვიცოდი ჩემს საქმეს არაფერი ეშველებოდა, თუ განათლებას არ მივიღებდი. მახსოვს რამდენი ვემუდარე ბიძაჩემს, შენც, ჩემო მამიდა, — ჩემს ნათესავებსა და ნაცნობებში გვესესხა და იმდენი ფული მოგვეგროვებინა, რომ საფრანგეთში წავსულიყავ განათლების მისაღებად. ამ დროს წერილი მივიღე, ჩვენებური სალარიძე მწერდა: ჩამოდი აქ, მონპელიეში, ადგილსაც გიშოვი და სწავლასაც ჰოახერხებო. 1886 წელს, როგორც იქნა სამგზავრო ფული ძლივს ვიშოვე და წავედი საფრანგეთში ბედის საძიებლად. ტრაპიზონიდან სტამბოლის გავლით მარსელში ჩავედი გემით და იქიდან მატარებლით მონპელიეში ამოვყავი თავი. მაგრამ მე ბედი რაში მქონდა, აქ რომ გაეჭრა ჩემს ბედს. ის მეგობარი, ვინაც აშენებას მპირდებოდა, მონპელიედან წასული დამხვდა. იქ ჩემზე ღარიბი ორი ქართველი სტუდენტი გავიცანი და იმათი დახმარებით 1887 წლის მარტამდე მივატანე, ჯერ სამსახური, შავი სამუშაო ვეძიე, ძლივს ვიშოვე, მერე იქიდან განცხადებით მოვმართე სოფელს, დახმარება აღმოეჩინათ, ბიძაჩემს ყოველდღე წერილს ვწერდი და დახმარებას ვთხოვდი, მაგრამ პასუხიც ვერ მივიღე. მერე ის სტუდენტებიც წავიდნენ სამშობლოში და მე მარტო დავრჩი. კიდევ კარგა ხანს ველოდი სოფლიდან დახმარებას, მაგრამ არ დაადგა საშველი ჩემს საქმეს. ბოლოს მეც შინისაკენ გამოვწიე, იმის შიშით, რომ სადმე შიმშილით სული არ ამომძრომოდა...

1889 წელს ბათუმში ჩავედი და იქ დავიწყე მუშაობა, ჯერ ვიღაც ცატუროვის ქარხანაში თუნუქს ვაწყობდი ყუთებში და მერე ამ მძიმე ყუთებს ისევ ზურგით ვეზიდებოდი დანიშნულ ადგილზე. მეტად მძიმე ფიზიკური სამუშაო იყო. ამაში დღეში ათ შაურს მაძლევდნენ, მერე როტშილდის ქარხანაში დავიწყე მუშაობა. ისევ თუნუქს ვაწყობდი ყუთებში და ხელებში სისხლი მდიოდა. მძიმე მუშაობა და ცუდი პირობები ქანცს მაცლიდა. იმ წელს ბათუმში ცივი ზამთარი იყო. მე ერთი გაცვეთილი საგაზაფხულო ტანისამოსი მეცვა. უნდა ავმდგარიყავ დილის 4 საათზე და ამ საშინელ ამინდში ფეხით უნდა გამევლო მთელი ორი ვერსტი. ხშირად სამსახურში ადრე მისულს, სიცივისაგან აკანკალებულს ქარხნის გარეთ მიხდებოდა ცდა. ჩემი ჯანი პირველად, აი აქ, ამ ჯოჯოხეთურ მუშაობაში გატყდა.

1890 წელს ზესტაფონში ღოღობერიძის კანტორაში მოვეწყვე, მაგრამ აქაც უარესი დღე მადგა. ასე მგონია, ჩემი ჯანი და სიმრთელე სწორედ ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით დავღუპე.

მამიდაჩემო! შენ ჩემზე უკეთ იცი, მე რომ ბავშვობაში ავადვმყოფობდი. რაც ჩემი თაყი მახსოვს, თავს ჯანმრთელად არასოდეს ვგრძნობდი, 1890 წლიდან კი, ზესტაფონში და ბათუმში მუშაობისას უფრო შემეჩვია ავადმყოფობა და მერე ვერა და ვერ მოვითქვი სული...

1891 წელს დავანებე თავი ღოღობერიძის კანტორას და შევედი საფილოქსერო დასში — აგრონომ ტიმოფეევის პარტიაში. მოვიარეთ მთლად დაღესტანი და რაჭა-ლეჩხუმი. ეს დასი მეტად ჭრელი იყო და სულ ჩხუბი იყო აქ მომუშავეთა შორის. ჩემი ფიცხი ბუნება ამ აყალმაყალს ვერ შეეგუა, მალე მივანებე თავი იქ მუშაობას და ისევ ბათუმს მივაშურე, ვერც აქ დაერჩი დიდხანს და 1892 წლის 15 აპრილს ხელმეორედ დავიწყე მუშაობა ღოღობერიძის კანტორაში — გომში. აქედან ისევ თბილისში წავედი და სამუშაოს ძებნას შევუდექი, აი, მაშინ მომივიდა სამწუხარო ცნობა: შენს გარდაცვალებას მაუწყებდნენ მამიდაჩემო. მოვედი შინ და გულით დაგიტირე, შენ ჩემი აღმზრდელი მამიდა, დედის მაგივრობას რომ მიწევდი სიკვდილამდე. შენი გარდაცვალებით გულმოკლული. ერთხანს ვიყავი სოფელში და ყოველდღე შენსა და დედაჩემის საფლავს დავსტიროდი, მე თავად სატირალი — ეს თქვა და ხველა აუვარდა ავადმყოფს. მოლანდება ადგა, პირსახოცი აიღო და ავადმყოფს ოფლი მოუწმინდა სახეზე და თან ვიშვიშებდა. — არა, ასე მთლად როგორ გაგწირა ღმერთმა ობლობაში და ვაებაში გაზრდილო, ჩემო უიღბლო შვილობილო, ჩემო ეგნატე! არა, მთლად უსაშველო შექმნილა ჩვენი ცხოვრება და ესაა, ვაი შენს მამიდას, რომ ვერაფრით შეუძლია გიშველოს ამ განსაცდელში ჩავარდნილს. რა ვქნა მე ახლა, ვის მივადგე, ვის ვთხოვო შენი შველა, ცაზე ღმერთი არ მეგულება ჩვენი შემწყალე და მიწაზე ადამიანი, რა ვქნა! რით გიშველო! — ამ ვიშვიშში გაჩრა მოლანდება.

●

მისი ცხოვრება ერთი გაუთავებელი ტანჯვა და ვაება იყო: გაუხარელი კაცის ერთადერთი სიმდიდრე — თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა, რომელიც ვერაფერმა ვერ აღმოფხვრა მასში. ბევრს კითხულობდა. წიგნები იყო მისი შვება და ცხოვრების საგზალი. მისი ნაწერებიც დაჩაგრული კაცის სულის ამოკვნესაა, უსამართლობასთან, ძალდატანებასთან, უპატიოსნებასთან თავგანწირული შებრძოლებაა. ცხოვრების უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსული დღენიადაგ სწავლა-განათლებას ეწაფებოდა, ბედმა აქაც უმუხთლა, მაგრამ მაინც არ დანებდა მის ბორკილებს. სწავლა-განათლების მისაღებად სრულიად უღონომ და უფულომ საფრანგეთს მიაშურა. ევროპის განათლების ჰაერი შეისუნთქა თუ არა, გადაწყვიტა, იქ დარჩენა და ქვეყანას ემუ-

დარებოდა, ამისთვის საჭირო სახსარი გაეღოთ. პირველად ბიძას მიმართა დახმარებისათვის: 1886 წლის 10 დეკემბერს ალექსი ინგოროყვას წერდა: „ძვირფასო ბიძიავ, ალექსი ფრანციაში მივედი, არავითარი გასაჭირი არ მინახავს... მაგრამ საქმე ეს არის, რომ აქ ჩვენი საქმე ძალიან გაჭირვებულია, რადგან სალარიძე ვეღარ ვნახეთ. ჩვენ, ხომ იცი, იმის იმედით წამოვედით. უამისოდ რომ დავრჩეთ, ოცი თუმანი მომინდება. აბა საიდან.

— მესწავლა, მერე დიდი ბედნიერი ვიქნებოდი მეც და შენც... ძალიან კრიტიკული მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა. ჩვენში, რომ იტყვიან „წინ წყალი, უკან მეწყერიო“, ისეა სწორედ.

13 დეკემბერს ჩოჩხათის სოფლის სხოლს მოვწერე წერილი, რომლითაც ვთხოვ შემწეობას. იქნება ქნან კაცობა და არ დაიზარონ ამ საქმისთვის შემწეობა, მაშინ ხომ გაკეთდა საქმე. სამ წელს აქ დავრჩები, ვისწავლი, შემდეგ დავბრუნდები და ქვეყანას ვემსახურები. თქვენც თქვენი მხრით თხოვეთ, რომ მომცენ შემწეობა. თუ კი ტყვილა უარს არ იტყვიან, მათ სრულიადაც არ გაუჭირდებათ ეგეთი შემწეობა. რომ დავბრუნდები, მათ სამსახურში ჩავლევ სიცოცხლეს და დანახარჯს ფულად გადავუხდი“...

1888 წ. სიო კალანდაძეს შესთხოვდა ჩამოსულიყო საფრანგეთში. „თქვენ რომ ამბობდით: მდიდარი ოჯახი მაქვს, ფულებს ადვილათ მოვკიდებ ხელს და წამოვალო. ვინ დაგიშალა ეგ კეთილი განზრახვის აღსრულება?.. ამ წერილის შემდეგ ეცადე, როგორმე წამოხვიდეთ და თან იმდენი ფულები წამოიღოთ, რომ მეცა და სამსონ კანდელაკსაც რამე გვხვდეს. იმ ფულებით თქვენ ორ კეთილ საქმეს იზამთ. ერთი თავისთავს გაანათლებთ სწავლით და, მეორე, საქართველოს სამ ნასწავლ კაცს შესძენთ (შეიძლება მეტსაც, თუ ფულები ბლომად იქნება), ოჰ! სიო, რომ იცოდე აქაური განათლების ამბავი? აქ რომ ვისწავლით, ჩვენი თვალები ისე განათლდება, რომ მტერს მტერად გვაცნობებს და მოყვარეს მოყვრათ. ეხლა კი ვერც ერთს ვერ ვხედავთ! სიბნელის ფარდა გვახვევია თავზედ და გვეხვევა კიდეც, თუ აქაურმა სუფთა ახალმა ჰაერმა არ გარეკა ჩვენი თავიდგან ეს ბნელი ბურუსი“.

1887 წლის 15 მარტს კვლავ შესთხოვდა ფულით დახმარებას ალექსი ინგოროყვას: „მომავალ ოქტომბრის თვეში შევალ უნივერსიტეტში. ფრანციზული თითქმის გვარიანად შევისწავლე, ლექციების გაგება შემიძლია. სხვა ენები: ნემეცური, ინგლისური და იტალიანური ჯერჯერობით ძლიერ ცოტა ვიცი, ძლივს გავაგებინებ კაცს. თქვენგან რომ ფული მომსვლოდა, ამ ზაფხულს დავბრუნდებოდით საქართველოში და ვინმე ვინმეს შემწეობას მოვსთხოვდი: ენკენისთვემდე თბილისში დავრჩებოდი და შემდეგ ისევ დავბრუნდებოდი ფრანციაში. ეხლა ამას ვეღარ ვახერხებ უფულოთ“.

ნინოშვილი უსახსრობისაგან გულმოკლული და სევდიანი, იძულებულია დატოვოს საფრანგეთი და იქ გაცნობილი სტუდენტობისაგან ნასესხები ფულით საქართველოში დაბრუნდეს. თბილისში ადგილი ვერ იშოვნა და ისევ სოფელს მიაშურა. აქ გრიგოლ გურიელის პირადი მდივანი გახდა. პირდაპირ ბედის დაცინვა იყო: სულ წანწალში და სამსახურის ძებნაში იყო გაბმული. ამ ნიადაგზე გულმოკლული წერდა კეთილ მეგობარს თედო სახოკიას: „სულ გურიაში უნდა დარჩეო? — მეკითხები. მაშ რა ვქნა ძმაო? ხომ გინახამს ფრთებდაჭრილი ფრინველი, რომელიც აღმა-აღმა გასაფრენად იწევდა, მაგრამ ძალა კი არ შესწევდა? სწორედ ამ ფრთებ მოჭრილ ფრინველს გავს ჩემი წადილიც. გულს სწყურია, ენატრება სწავლა-განათლების შეძენა, ჟენევა-პარიჟის თავისუფალი ცხოვრების ხილვა, მაგრამ ღონე და გარემოება არ შემწევს ეგ წადილი განვახორციელო. ვინ იცის, იქნება ოდესმე თუ არა, ისეთი ბედნიერი შემთხვევა, ისეთი ბედნიერი დრო, რომ პარიჟი და სხვა მისთანა თავისუფლების სამშობლო ქალაქები ვნახო, თავისუფლების ჰანგებით სავსე „Marsellieuse“ გავიგონო! ჰე, ეგ შემთხვევის საქმეა და არც ღირს ამაზე ლაპარაკი“...

ნინოშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა საღად მოაზროვნე, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა. სცადა მათი შეკავშირება, ხელი მიჰყო პოლიტიკურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას: „გასული წლის დეკემბერში სამსონის წერილი მივიღე, — წერდა იგი მეგობარს,— მწერდა ბათომში მოგელიო. მე, რა თქმა უნდა, ვიშოვე გროში თუ არა, ჩაველ ბათომში მის სანახავად. ჩასვლისთანავე გავიგე, რომ სამსონი სიო კალანდაძესთან დგასო და ამიტომ არ გამძნელებია მისი ნახვა. ძრიელ მეწყინა ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო იმ დროებით; ისეთ ცუდ კაცებთან ცხოვრობდა. სიო კალანდაძესთან იმ დროებით კიდევ ოცი ვიღაც კინტო-კინტო ყმაწვილები ცხოვრობდნენ, რომ ზიზღი მომივიდა გულზედ: არც ერთი მდგმურთაგანი სამსონის მდგომარეობას (მე ვამბობ უფულობაზე) არ თანაუგრძნობდა, პირიქით, კიდევაც ჩუმ ჩუმათ (მაშ ცხადად სამსონს ვერ გაუბედავდნენ) დასცინოდნენ — პარიჟიდამ მოსული ბულანჟეაო“.

ნინოშვილი, თვითონ არაფრის მქონე მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებს ამხანაგებს და მეგობრებს. ამავე წერილებში იგი თავის გაჭირვებულ მდგომარეობას გვამცნობს: „მე ჯერჯერობით კიდევ გრიგოლ გურიელთან ვიმყოფები და შევყურებ უკბილო პირში — იქნებ გალოკილი ძვალი გავარდეს მეთქი. ჯამაგირი თვიურათ თითო თუმანი მაქვს, მაგრამ ეგ ხარჯათ არ მყოფნის და ამიტომ თანდათან ვალები მემატება. მომავალი ჩემთვინაც ამოცანაა, არ ვიცი, თუ რა საქმეს დავადგები, როცა ეს ასი წლის ყმაწვილი გრიგოლი წაბრძანდება წიაღსა აბრამისასა! თან თუ წავყვები, თორემ სხვა გზა

ჯერჯერობით არა ჩანს. ოფიციალურ სამსახურში შესვლა არ შემიძლია, რადგან ვინმე „კუჭს“ მომაყვანიებს და ტყვილა „გამაუბედურებენ“. ისეთი შესანიშნავი სხვა არაფელია, რომ მოწერათ ღირდეს. მართალია, ამ დროებით ბრიყვეთში (საქართველოსათვის ახალი ამოკვლეული სახელია), ეს დროებითი ხელმწიფე მოგზაურობს და დიდ სიხარულში არიან მკვიდრნი ბრიყვთისანი. გათავდა ესე წერილი, ვითა სიზმარი ღამისა 1888 წ.“. ამ წერილში ორი გარემოება იპყრობს ყურადღებას, ერთი პიროვნული, ცოტა ხელფასს რომ იღებს და დიდად უჭირს ამ ხელმოკლეობის გამო, მეორე და მთავარი პათოსი ამ წერილისა იმაშია, რომ ეს სრულიად ახალგაზრდა კაცი, 17 წლის ეგნატე, — საქართველოზე ფიქრობს და ოცნებობს, გულისტკივილით განიცდის „დროებითი ბრიყვეთის“ ბედს და საქართველოს მდგომარეობით უკმაყოფილო უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველადაა განწყობილი. გულით სწადია გზა გაიკვლიოს ამ სიბნელეში. ბედს შეჰსჩივის, მეგობრებს დახმარებას თხოვს. დიდი საზოგადოებრივი ასპარეზისათვის ემზადება:

— „ძმაო ალფესი!

დღეს გავასწორეთ ყოველივე ანგარიში და გავშორდი კნიაზ გრიგოლ გურიელს. ამ დღიდან მოწყებული მიგულებდეთ მამიჩემის სახლში. აბა სწორედ ამ კრიტიკული (ჩემთვის) დღისათვის მინდა თუ რამე გაგიხდებათ, ხელის მოწყობა. უთხარით თქვენს ნაცნობებს ჩემი გარემოება და თუ რამ ადგილი აიკვლიოთ, მომეშველეთ, მომწერეთ. არ იფიქროთ, თითქო მე ადგილები და სამსახურები მენატრებოდეს, თავის დღეში არა... პირიქით, ძლიერ მეჯავრება, მაგრამ რა ვქნა, რით დავიპურო სული? მოხუცებული მამა ხომ ვერ დამარჩენს (თავი ძლივს დაურჩენია). „იევრიაში“ სტატიების წერას მოვუხშირებ, მაგრამ ამით ხომ პრემიებს არ დამინიშნავენ. ჩემი მოთხრობა „ღვთ“... ხომ ჩაილულის წყალს გააყოლეს. მსურს თუ არა მსურს, რაიმე ადგილი უნდა ვიშოვნო, და რომ კუჭის ანთება არ მომივიდეს, ძალაუნებურად ვიმსახურო, ვირის აბანოს ბიუროკრატიაც რომ იყვეს“.

1888 წ. 7.XI ალფე ბარამიძეს კვლავ წერილით მიმართა:

— „ძმაო ალფესი!

გასულ ნოემბერში წერილი გამოგიგზავნე. არ ვიცი ის წერილი დაიკარგა, თუ შენ პასუხის მოწერა დაიზარე? თუ წერილი არ მიგიღია, აი ამ მეორე წერილით გაცნობებ, რომ აგერ ერთი თვეა რაც გრიგოლ გურიელი მივატოვე და მამაჩემს ჩავუჯექი სახლში. მგონია, მეტი აღარ არის საჭირო, ამითაც მიხვდები, თუ რა მდგომარეობაში ვყოფილვარ. მაშ მიიკითხ-მოიკითხე, იქ, ადესაში იქნება რამე ადგილი იშოვებოდეს. თუ რამე აღმოჩნდეს, ნუ დააგვიანებ მოწერას. თუ არაფერი იშოვება, ისიც მომწერე. ხომ არ დაგლუპავს სამი კაპიკი?“

და ასე დაუსრულებლივ, ნინოშვილი ადგილს ეძებს, სამსახურს ვერ შოულობს, ნახევრად მშიერი და მწყურვალია, ბედისაგან მთლად განწირული, არ ემორჩილება ცხოვრების საშინელ განაჩენს და იბრძვის, იბრძვის დაუოკებლად. ასეთ ვითარებაში მოთხრობებს და სტატიებს წერს და რედაქციებს უგზავნის.

1880 წ. გაზეთ „თეატრის“ რედაქციას წერდა: „ამასთანავე გიგზავნით ჩემ მიერ დაწერილ მოთხრობას „საახალწლო პურ-ღვინოს“ და გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენი პატივცემული გაზეთ „თეატრის“ ნომერში. უკეთუ რამე მიზეზის გამო ჩემი მოთხრობა თქვენს გაზეთში დასაბეჭდად არ გამოდგეს, იმ შემთხვევაში გთხოვთ დამიბრუნოთ“.

ეგნატე ღღე და ღამეს შრომაში ასწორებს და მაინც მუდამ იცლის მეგობრებისათვის. 1890 წელს დავით კუბლაშვილს წერდა: „ძვირფასო ძმაო, დათიკო! ამასთანავე გიგზავნი სილიბისტრო ჯიბლაძის წერილს, რომელიც ჩემს წერილთან ერთად თბილისიდან მომივიდა. ჩვენი მრავალტანჯული სილიბისტრო ეხლა თბილისშია... არიქა, დათიკო, გააუმჯობესე შენი ეკონომიური მდგომარეობა და შემდეგ, იმედია, შენისთანა კეთილშობილი სულის პატრონი გაჭირვებულ და მშიერ ძმებსაც (მაგალითად სილიბისტროსაებრ მრავალტანჯულს) ხელს გაუწვდის და შეძლებისდაგვარად ლუკმაპურს არ დაამადლის“. ამავე წერილში ავადმყოფობას უჩივის: „არ ვიცი ღმერთმანი რას მიპირებს ეს ავადმყოფობა, ლამის სულ გამომადნოს“... ასეთ ვითარებაში ისევე საზოგადოებრივ საქმეზე ფიქრობს „ეხლა დათიკო об общем вопросе ვილაპარაკოთ. რას შვრება ბათომის პატრიოტები გიორგი გუნიას მეთაურობით? იქვი არ არის სადილებს მართავენ საქართველოს საკეთილდღეოდ. გაზეთ „თეატრის“ გარდაცვალებას შენც გაიგებდი. „ივერია“ სულ პროგრესში შედის, ესე იგი, რაც დღე მიდის, ისე ეკარგება სინათლე. საწყალი ამ სიმოხუცის დროს, მგონია სულ დაბრმავდეს. გასულ კვირას თბილისში ვიყავ. დიდი ნაყოფი უნდა მოიტანოს იქაურმა ინტელიგენციამ. სულ ერთმანეთის მტრობაში და ქიშპობაში ატარებენ თურმე დროს. ერთი მეორეს არ ეკარება, მაშ, იმედია, ადრე აგვისრულდება სანატრელი... არა?“ აქ აშკარაა ნინოშვილის „მესამე დასელთა“ იდეური კვალი, „ივერიასთან“ კამათის დაწყება და ახალი გზების ძებნით გაერთიანებული ჯგუფის ინტერესებიც. ეს ბარათი დათარიღებულია 1890 წლით, ამ დროს ნინოშვილი ბათუმისა და ჭიათურის მუშათა წრეებს ხელმძღვანელობდა და „მესამე დასის“ ორგანიზაციულ ჩამოყალიბებაზე მუშაობდა. ხოლო, როცა ნინოშვილის მეთაურობით 1892 წელს ზესტაფონში გაიმართა „მესამე დასელთა“ პირველი საორგანიზაციო სხდომა, ნინოშვილი უკვე ჯგუფის სახელით ეკამათებოდა „ივერიელებს“. 1892 წლის 14 თებერვალს პეტრე უმიკაშვილს წერდა: „თქვენი წერილი მივიღე. დიდ მადლობას

მოგახსენებთ კეთილი დარიგებისათვის. თქვენი ერთი სიტყვაც ძვირფასია ჩემისთანა გამოუცდელი, კალმით მოვარჯიშისათვის. თქვენი წერილი რავდენიმეჯერ გადავიკითხე. უნდა მოგახსენოთ გული გამითბო, გამამხნევა მისმა გულწრფელობამ, მამობრივმა კილომ. ამ წერილს ისე შევინახავ ჩემ სიკვდილამდე, როგორც ერთ ძვირფას განძს.

რაც შეეხება ყაჩაღობას ჩვენს სამშობლოში და კერძოთ გურიაში, მე თანახმა ვარ, რომ აქ, დღევანდელი გარემოების გარდა, შთამომავლობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი (საქართველოს) ისტორიული ცხოვრება ისეთი იყო, რომ ყოველად შეუძლებელია იმისგან ტრადიციულად გადმოცემული ცუდი ზნე-ჩვეულება ასე ადვილად აღმოიფხვრას ჩვენში. ჩვენს ხალხში ტრადიციულად გადმოცემული ზნე-ჩვეულება და ინსტინქტი რომ გაიწმინდოს, ამისათვის კიდევ რამდენიმე საუკუნეა საჭირო.

მაგრამ ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი გურიის ხალხის საყოველთაო ყაჩაღობის მიზეზი იმდენად შთამომავლობით ცუდი ინსტინქტი არ არის, რამდენადაც სოციალური და ადმინისტრაციული წესწყობილება. დასამტკიცებლად ამისა ისიც კმარა, რომ სამოციან და სამოცდაათიან წლებში, როცა შედარებით ეხლანდელთან, გვარიანი კარგი მაზრის უფროსები იყო და როცა ხალხს სწამდა შრომით და გარჯილობით ხეირიანად მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებასო, გურიაში ყაჩაღი არ მოიპოვებოდა. მაგრამ გავიდა წლები, გაცრუვდა იმედები. იმდროინდელი რბილი ადმინისტრაცია შეიცვალა სასტიკს, ხალხის შეურაცხმყოფს ადმინისტრაციაზედ, მაზრის უფროსებმა წაღმა-უკუღმა, ბრალზე და არა ბრალზე დაუწყო ხალხს მათრახით ცემა და გურულმაც, ამპარტავანმა გურულმაც, ვეღარ მოითმინა, — „ამ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობსო“ სთქვა და აიღო თოფი ხელში. ვინც ახლო იცნობს დღევანდელ გურიის ყოფა-ცხოვრებას, ის, რა თქმა უნდა, იმისთანა „დანოსი“-სებურ ფელეტონს არ დასწერს გურულებზე, როგორც გუშინწინ სანოს (სტ. ჭრელაშვილის) ფელეტონი იყო „ივერიაში“. ის გურიის ხალხს კი არა, დღევანდელ წესწყობილებას დასდებს ბრალს გურიაში ფირალობის გამო.

მე, რასაკვირველია, სრულიადაც არ მაქვს პრეტენზია მაზედ, რომ ჩემს „სიმონაში“ სრულად ყოფილიყოს დახატული დღევანდელი გურიის ხალხის მდგომარეობა. მე ჯერ ამისთვის საკმაო ძალაც არა მაქვს და მერე კიდევ, თუნდაც ძალაც მქონდეს, სად შემიძლია დინჯად და ძლიერ დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება, მაშინ, როცა ლუკმაპურისთვის მოუსვენრად იქით-აქეთ ვწანწალებ? ძლიერ უკაცრავად დამრჩა „ივერიის“ რედაქცია: აგერ რაღაც ათი თვის განმავლობაში ოთხი (დიდი და პატარა) მოთხრობა და ერთი დიდი სტატია დაღესტნის შესახებ დაბეჭდა ჩემი, დაბეჭდა და თან ქებასაც მეუბნე-

ბოდა. — კარგებია შენი ნაწერებიო, მაგრამ ფულად კი ერთი გროში არ გამოიმეტა ჩემთვის. რა უშავდა მცირეოდენი ხელფასი მოეცა, ამით მეც საშვალება მომეცემოდა შემდეგაც დამეწერა რამე. რომ ისე ღარიბი იყოს „ივერიის“ რედაქცია, არ შეეძლოს თანამშრომლისათვის ფულის მიცემა, მაშინ მეც გულს არ დამწვავდა, მაგრამ სხვებს კი აძლევენ და მე რაღა ვიყავ? თუ კი ჩემი ნაწერი, რაღაც ათი თვის განმავლობაში ოცდაორი ფელეტონი მიაწოდა მკითხველებს, ურიგობა იქნებოდა, რომ ორიოდე გროში ჩემთვისაც გაემეტებინა? არ ქნეს და ეს იყო მიზეზი, რომ გუშინ უარი მოვსწერე, — თქვენს გაზეთში აღარაფერს დავბეჭდავ-მეთქი.

ბრძანდებოდეთ ნეტარებით.

თქვენი ერთგული ეგნატე ინგოროყვა“.

ეგნატე უკომპრომისო, მტკიცე რწმენის მებრძოლი იყო. — „რატომ წაეჩხუბეო? — კაცო, სადაც წასაჩხუბებელია, იქ წაჩხუბება უნდა! რას მიქვიან მოთმენა და ისიც ადგილის გულისთვის! ჯანი გავარდეს იმ სიცოცხლეს თუ კი ჩემს დღეში კომპრომისებზე ვივლი? იცი ვარლამ, ჩვენი ცხოვრება უამისოდაც კომპრომისებით არის სავსე — არა, ძმაო, სადაც უსინდისობას დაინახავ, იქვე უნდა უკიჟინო“... ეს ფრაზები კარგად გვიხასიათებს ნინოშვილის ბუნებასა და ხასიათს, მის შეუპოვარ მებრძოლ ბუნებას. ამ დროს ბევრს კითხულობდა, ბევრს წერდა, ბევრსაც კამათობდა, ყალიბდებოდა მსოფლმხედველობრივად, განსაკუთრებით ბევრს კითხულობდა მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის წერილებს, სტატიებს. წრის წევრებიც მას ბაძავდნენ. ერთ წერილში, 1892 წლის აპრილში, წერს: „კარლო კარგად არის, მარქსს სწავლობს, მომავალ ზამთარში, თუ მას შემდეგ — გაზაფხულში, იოსებ კაკაბაძე და ის აპირებენ საზღვარგარეთ“. თან მეტად მძიმე და სანერვიულო სამუშაოს ასრულებს ზესტაფონის ღოღობერიძის კანტორაში, სოფ. გომის სადგურზე: — „არ ვფიქრობ, რომ აქ რამეს დაწერა შეიძლებოდეს, თუმცაღა კი შენ ძლიერ მირჩევ რამე დავწერო. აბა, წარმოიდგინე, რის დაწერა შეიძლება ასეთ გარემოებაში: ათასნაირი გარყვნილი ხალხის სამიკიტნოს გვერდზე არის მიკეთებული ერთი ოთახი, რომელსაც სიგრძე ხუთი არშინი აქვს, სიგანე 3 1/4 არშინი, სიმაღლე 3 1/2. იატაკი დამპალი, ოღრო-ჩოღრო, უხეირო ჭერს ისეთი დვიროები აკრავს, რომ კაცის თავი უწვდება ქვემოდან. ერთი ხელისგულისოდენა ფანჯარა აქვს. ამ კუბო ოთახს სამიკიტნოდან აშორებს კარდონივით თხელი ფიცრის კედელი. დუქნიდან ისე შემოდის მთვრალი ხალხის ყაყანი, ჩხუბი, ლანძღვა და აყალ-მაყალის ხმა, თითქო, შიგ, ჩვენთან იყვეს. ასეთი მორთული ჩვენი ოთახი ისეა გავსილი (გახსოვდეს, რომ ამ ოთახში 2 კაცი ვცხოვრობთ) უხეირო სტოლით, უხეირო ლოგინებით, ნიჩბებით, წალკატებით, რა-

ღაც ჩვენი ხაბაკ-ხუბაკით, რომ ვერც კი გაინძრევი შიგ... ახლა მოდი და იმუშავე, თან წერე ამისთანა მდგომარეობაში! შეიძლება? არ ვფიქრობ". მართლაც და რა საოცარი ნებისყოფა და სულის სიმაღლე იყო საჭირო, რომ ამისთანა პირობებში ეწერა კაცს და ნინოშვილი წერდა, ასეთ პირობებში ქმნიდა თავის შესანიშნავი სულის აღსარებით დაწერილ წიგნებს. სულ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში დაწერა რომანი „ჯანყი გურიაში", მოთხრობები: „გოგია უიშვილი", „უცნაური სენი", „პალიასტომის ტბა", „არშიყნი", „სიმონა", „კაცია და გუნება", „მონადირე", „ქრისტინე", „განკიცხული ოჯახი", „პარტახი", „განკარგულება", „ჩვენი ქვეყნის რაინდი", „მოსე მწერალი", „სხვამ რაც უნდა ისა თქვას", „სოფლის გმირები", „მუშათა თავშესაფარი", „ცოლი და ქმარი", რამდენიმე პუბლიცისტური წერილი და კორესპონდენცია...

გული მუდამ თბილისისაკენ მიუწევდა, იქ ჯერ „იერიაში", მერე ქარხანაში ცდილობდა მუშაობის დაწყებას: — სხვაგან სიცოცხლეს, იქ, (თბილისში) სიკვდილი ჯობიან, ის არის ჩემი „აღქმის ქვეყანა". მაგრამ ეს აღქმის ქვეყანა, როგორც გულცივი დედინაცვალი ისე ეპყრობოდა მას. „რაც თბილისში ამოველ, ამ ბოლო დროს 9/10-ს დღე და ღამე ლოგინში ვწევარ უძილობის გამო. მაინც სულ მომკლა იმ გარემოებამ, რომ შინიდან ძლიერ ცუდი ამბები მომდის: გუშინ დამარხეს ჩვენი ოჯახიდან ერთი უსაყვარლესი ჩემი ნათესავი. მე ისიც ვერ შევიძელი, რომ ან ავადმყოფი მენახა, ან დამარხვაზე მაინც დავსწრებოდი.

ვიცი, მკითხავ — რა დაწერეო? აბა, რა უნდა დაწეროს ასეთ მდგომარეობაში კაცმა! მე კი მაინც არ დავუჯერე თავს, ძალა დავატანე და ერთი უხეირო მოთხრობა (სახელად „პარტახი") დავჯღაბნე ჩვენი ამხანაგების კრებულისათვის, გადავეცი კიდეც, მაგრამ იმედი კი არა მაქვს, რომ გავიდეს. ეხლა კი აღარა მაქვს წერის ღონე. წერის მაგივრად მძიმე-მძიმედ ვახველებ და ვწევარ ლოგინში".

წარმოუდგენელ მძიმე პირობებში, ლუკმა-პურის შოვნაში და გაბმულ წანწალში ეწეოდა მწერლობის მძიმე ჯაპანს. სულ უჭირდა, მაგრამ სულით არ დაცემულა და წერა სიკვდილამდე არ მიუტოვებია. 1893 წლის 23 ოქტომბერს ალექსანდრე თოიძეს წერდა: „შეიძლება მენდოთ და რამდენიმე თვის ვადით ორი თუმანი მასესხოთ? დაგარწმუნებ განზრახვა არა მაქვს — ამ ფულებს ვისესხებ და „შევიტყაპუნებ"-მეთქი (ეს ტერმინი „შეტყაპუნება" ი. ჭავჭავაძისა და მაჩაბლის ეხლანდელ ფელეტონებში ვისწავლე, მაგრამ არ შეგაშინოს, ვისწავლე სიტყვა და არა თითონ „შეტყაპუნება" ფულების). არა, ვსესხულობ იმ იმედით, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში შევიძლებ კიდეც გადახდას. უნდა გითხრა, აქამდეც გამჭირვებია, მაგრამ ვუვლიდი გვერდს თქვენგან ფულის სესხებას, ვუვლიდი იმიტომ, რომ

თქვენ ჯერე უჩემოთაც ბევრს აძლევთ ნისიად თუ ფულად და მეორე ე'ს-ეც, კაცს, რომ ასეთი საქმისთვის მივმართავ, იმ კაცს მეც უნდა ვესაჭიროებოდე რამეში. თქვენ აბა რაში შეგექმნებათ ისეთი საჭიროება, რომ სამაგიეროდ მეც ხელი გაგიმართოთ? დიახ, ეგ კარგად ვიცი და ამიტომაც ვერიდებოდი ასეთს სესხებას. როცა გამიჭირდებოდა, ასევე ჩემისთანა პროლეტარებს ვართმევდი თითო-ოროლა გროშობით. მაგრამ წრეულს, ეს ოხერი, ძლიერ ცუდად წავიდა ჩემი საქმე. მამის სიკვდილი, ავადმყოფობა და მის გამო უჯამაგიროდ ყოფნა, „ივერიასთან" წაჩხუბება და გონორარის მოსპობა, ყველა წრეულს დამატყდა თავზე"...

ნინოშვილი გადაჭრით გაემიჯნა „ივერიას" და ახალი დასის პროგრამის შემუშავებას შეუდგა.

„მე რომ „მოამბის" პროგრამა და შინაური და უცხოეთის ქრონიკები წავიკითხე: — სწერდა ანასტასია წერეთელს ეგნატე ნინოშვილი. — ღმერთო ჩემო! ასე გეგონებათ, ამ კაცებს საფრანგეთის პირველ რევოლუციას შემდგომი ფაქტების, მიმართულებანის, კლასების, დასების და სხვების, რომლებიც ევროპაში გაჩნდნენ და მიმდინარეობენ, ამბადაც კი არ გაუგონიათ რაო. პოლიტიკურის ეკონომიის ხომ მგონია ადამ სმიტის გარდა არა წაუკითხავთ რა ამ საგანზე.

„ივერია" ხომ ადგია და ადგია რეაქციის გზას. ამ უკანასკნელ დროს მისგან არც არავინ მოელოდა უკეთესს.

ერთი სიტყვით ჩვენ ქვეყანაში აზროვნებას სძინავს და მხოლოდ ხანდახან ბოდვასავით ნაპერ-ნაწყვეტად წამოიძახებს იმას, რაც უკვე ნახევარი საუკუნეა საზროვნო არხივში არის გადადებული. ამიტომ საჭიროა რომელიმე სამწერლო ორგანომ ვალად ჩათვალოს ჩვენს ქვეყანაში აზროვნების გამოფხიზლება. შარშან ეტყობოდა რომ „კვალი" არ გაურბოდა შორს ასეთს მოვალეობას, ის არ უშინდებოდა კვაზი-პატრიოტების საყვედურებს. წრეულსაც, იმედია „კვალი" არ უმუხთლებს ამ თავის ვალს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტების გამორკვევისათვის დავა და პოლემიკა აცოცხლებს და საინტერესოდ ხდის გაზეთს ან ჟურნალს და არამც და არამც არ აფრთხობს საზოგადოებას მისგან (გაზეთისაგან), როგორც ეს ჩვენში ბევრებს ჰგონიათ. ადრე თუ გვიან ჭეშმარიტებას უფრო ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, მანამ დღეს ჩვენ ქვეყანაში მოწონებულს სოფიზმებს და დამყაყებულ აზრებს"...

ბოლო წლებში ნინოშვილი რასაც წერდა, გაზეთ „კვალში" ბეჭდავდა. 1894 წლის თებერვალში გიორგი წერეთელს წერდა: „რაც შეეხება საზოგადოდ ჩემს ნაწერებს, მე ყოველთვის მსურველი ვიქნები, რომ კვალში" დაიბეჭდოს... „კვალი" დღეს არსებულ ჭართულ

ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე პროგრესიულია, აი ამიტომ მიმაჩნია ჩემ ზნეობრივ მოვალეობად „კვალის“ თანამშრომლობა“.

„კვალი“ ამ დროს თითქმის „მესამე დასელთა“ ორგანო იყო. ნინოშვილი კი სწორედ ამ „მესამე დასს“ ედგა სათავეში. „მესამე დასი“ ნინოშვილის მეთაურობით 1892 წელს ჩამოყალიბდა.

ეს მოხდა 1892 წლის 25 დეკემბერს. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ნინოშვილს საოცარი ფიქრები აეკვიატა. მონტელიეში გატარებულმა ექვსიოდე თვემ ახალი კვირტი გამოკვირტა მის გონებაში. იქ, მონპელიეში დაესწრო და გაიგო სოციალისტური მუშათა პარტიის არსებობის თაობაზე, შემდეგ ამ სოციალისტური მუშათა პარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელს გაეცნო. შინ, საქართველოში მობრუნებულმა, ამის შესახებ მიხა ცხაკაიას უამბო და აი, ზესტაფონში კაკაბაძის ბინაზე შედგა, სადაც იმჟამად ნინოშვილი ცხოვრობდა, საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი კრების თავმჯდომარე ეგნატე ნინოშვილი იყო.

1893 წელს ნინოშვილმა „მესამე დასის“ კრებას — მარქსისტული წესდება წარუდგინა. 1894 წელს ნინოშვილის შემუშავებული პროგრამა და წესდება თბილისში გამართულ მესამე დასის მესამე საორგანიზაციო კრებამ დაამტკიცა და მიიღო „მესამე დასის“ სამოქმედო პრინციპად. ამასთან დაკავშირებით რაჟდენ კალაძეს წერდა: „ახლა დღე და ღამეს ვასწორებ წესდების და პროგრამის შედგენაზე. ძალიან ბევრს ვკითხულობ მარქსს, ენგელსს, ახალგაზრდა პლეხანოვს... — ახლა ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ ჩვენი საზოგადოების მთავარი ეროვნული ძალა მუშათა კლასია, ამ კლასს უნდა დაეყრდნოს მომავალი საქართველოს ბედი.

ბევრს მოგზაურობს თბილისს, ბათუმსა და ჭიათურაში. უფრო ახლო ეცნობა მუშათა კლასის ცხოვრებას. თბილისში მეტწილად მიხა ცხაკაიასთან რჩება და მასთან ერთად აზუსტებს და აყალიბებს „მესამე დასელთა“ პროგრამასა და წესდებას. მაგრამ ავადმყოფობის გამო მალე ბრუნდება სოფელში. ამასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილს წერდა: „ექიმ ქიქოძესთან მე თითონ გეახელით თბილისში ყოფნის დროს და მისი რჩევით წამოვედი სოფელში საცხოვრებლად. სწორედ რომ კეთილი რჩევა იყო ეს, თორემ ასე მძიმე ავადმყოფი რომ თბილისში დავრჩენილიყავი, სიკვდილს ვერ გადავურჩებოდი. თან მაქვს ბ. ქიქოძესაგან წამოღებული რეცეპტები, და, როცა ძლიერ გამიჭირვებს ხველა საქმეს, ვღებულობ წამლებს იმ რეცეპტების თანახმად, ზოგიერთები მირჩევენ მომავალ ზაფხულში აბასთუმანს წადიო. მეც განზრახვა მაქვს, წავიდე. მართალია, ახლა რომ მე ჩემი თავის

ამბავი ვიცი, ძლიერ დიდი ოპტიმისტი უნდა ვიყო, რომ მოვრჩები მეთქი ვიფიქრო ჩემი ფიქრით, ბევრი-ბევრი აწი ორი-სამი წელიწადი ვიცოცხლო. მაგრამ იქნება სიცოცხლეში ტანჯვა ცოტათი მაინც შემიმსუბუქდეს და ეს არის მიზეზი, რომ ხან სოფელს ვირჩევ საცხოვრებლად, ხან აბასთუმანს და ხან სხვას". ასე წერდა იაკობ გოგებაშვილს ეგნატე 1894 წლის 12 თებერვალს. სამწუხაროდ სამი წელიწადი კი არა, ამ ბარათის დაწერიდან სამ თვეში გარდაიცვალა ნინოშვილი...

ეგნატეს ძველი სამყაროს დამცველები გადაუდგნენ და სასტიკად დევნიდნენ, ავიწროებდნენ, მასში ხელისუფლების საშიშ პიროვნებას ხედავდნენ. ვინ არ ავიწროებდა მას. სოფლის მღვდელი, ფოთელი ვაჭარი, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის დეკანოზი, პოლიციელი თუ სოფლის მამასახლისი, უბრალოდ, პასპორტი რომ მიეღო, წერილობითი განცხადებები უნდა ეწერა მამასახლისის სახელზე. სწორედ რომ საოცარი ბედის დაცინვა იყო: „უფალს ჩოჩხათის სოფლის საზოგადოების მამასახლისს" თხოვდა ამ „საზოგადოების მცხოვრები ყმა ეგნატე ინგოროყვა", მიეცა მისთვის პასპორტი. მამასახლისმა ყურადღება არ მიაქცია ეგნატეს თხოვნას. ნინოშვილი იძულებულია ფაქტის წინაშე დააყენოს მამასახლისი. აი ეს განცხადება: „უფალს ჩოჩხათის სოფლის საზოგადოების მამასახლისს ამავე საზოგადოების მცხოვრების ყმა ეგნატე თომას ძე ინგოროყვასაგან

განცხადება

მრავალჯერ გთხოვეთ პირადად, რომ მოგეცათ პასპორტი ერთი წლის ვადით ქ. თბილისში საცხოვრებლად. მაგრამ თქვენ ყოველთვის უარი ინებეთ პასპორტის მოცემაზედ. მე არ ვიცი, რა უნდა იყოს ამის მიზეზი. თქვენ არ გამოგიცხადებიათ რა ჩემთვის და ისე საიდან უნდა გამეგო. იქნება სახელმწიფო და საზოგადო გადასახადების გამო მიჭერენ პასპორტს-მეთქი და ის იყო, მომავალი სახელმწიფო და საზოგადო გადასახადების და მოვალეობის (აქამდე, როგორც მოგეხსენებათ, ყოველივე გადახდილი მაქვს) თავდებად წარმოვადგინე ალექსი ინგოროყვა, მაგრამ პასპორტის მიღებას მაინც ვერ ვეღირსე და ვერც იმის გაგებას, რა მიზეზით არ მაძლევეთ პასპორტს. ამდენი ხანია სახლში ვიმყოფები და თქვენ არ გინებებიათ ჩემთვის გამოცხადება იმ დამაბრკოლებელი მიზეზისა, რომლის გამო მე პასპორტი ვერ მიმიღია. რაღაც საიდუმლო ბურუსით არის მოცული ყოველივე ეს და სასოწარკვეთილებამდე მიეყავარ ამგვარ ჩემს გამოურკვეველ მდგომარეობას.

დღეს მე იძულებული ვარ, რომ უპასპორტოდ წავიდე იქ, სადაც ჩემთვის ეხლა მოუცილებელი საჭიროებაა ყოფნა, — ქ. თბილისს იძულებული მყო ორმა გარემოებამ: პირველი, ამ უკანასკნელ წლებში

ცხოვრების ერთადერთი საღსარია ჩემთვის ლიტერატურული შრომა. ლიტერატურული გონორარის გარდა არავითარი საშუალება არ მომეპოვება ცხოვრებისათვის. ამიტომ უნდა ვიცხოვრო იმ ქალაქში, სადაც ქართული ჟურნალგაზეთობა არსებობს, თბილისში. მეორედ, როგორც მოგეხსენებათ, ეს რამდენიმე ხანია, რაც ავად ვარ, დღეს იმ ზომამდეა ჩემი ავადმყოფობა მისული, რომ უეჭიმოდ თავის განება ძალად თავის მოკვლა იქნება ჩემი მხრით. ამ შემთხვევაშიც თბილისი ჩემთვის ერთადერთი უახლოესი ადგილია, სადაც ჩემისთანა ავადმყოფს შეუძლია ექიმობით თავს უშველოს, ამიტომ მე მივდივარ ქალაქ თბილისს უპასპორტოდ. შესაძლებელია, უმაღლესი მთავრობისათვის რომ მიმემართა, მომცემდა პასპორტს, მაგრამ სხვადასხვა დაწესებულებებში საჩივრად სიარულისათვის მე არც ფიზიკური შესაძლებლობა მაქვს და არც ჩემი ავადმყოფობა მოითმენს იმ დრომდე უეჭიმოდ დარჩენას, სანამ ამგვარი საჩივრით გამოვიდოდეს ნებართვა პასპორტის მოცემისა. მე იმდენი ფიზიკური ღონე დამრჩენია, რომ გაჭირვებით შემიძლია მატარებელში ჩავჯდე და თბილისს მივიდე. ჩემი ადრესი ეს იქნება: В. г. Тифлис. в редакцию грузинской иллюстрированной газеты «Квали». Игнатию Ингороква.

ყოველივე ჩემთვის დანიშნული ქალალდების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით. ჩემი ავადმყოფობის გამო ამ განცხადების მართვას მივანდობ ალექსი ინგოროყვას. 1 ოქტომბერს 1893 წ. ს. ჩოჩხათი. ეგნატე ინგოროყვა.

ფურცლავთ და კითხულობთ ამ საარქივო დოკუმენტებს, დეკანოზის, მამასახლისის თუ სხვა კერძო პირთა მიმართ დაწერილს, და ხედავ რა უსამართლოდ იქელებოდა, იდევნებოდა და იჩაგრებოდა ეს უსამართლობის ღმერთთან შერკინებული კაცი.

მძიმედ დაავადებული, სიკვდილის უკანასკნელ დღეებში, 1894 წლის 22 მარტს, გიორგი წერეთელს წერდა: „პატივცემულო ბატონო გიორგი ექვთიმეს ძევ! ბოდიშს ვიხდი, რომ აქამომდე ვერც ერთ თქვენს წერილზე პასუხი ვერ მოგწერეთ. მიზეზი ამისა ჩემი ავადმყოფობის გაძლიერებაა. ჩემდა საუბედუროდ მთელი ზამთარი მოვემწყვდიე სოფელში, სადაც არც ბინა მქონდა ხეირიანი და არც საჭმელი. ჩემს ოთახში ღამღამობით, როცა ბუხარში ცეცხლი გაქრებოდა, ჭურჭლებში წყალს ჰყინავდა. ზამთრის შიშით გზაში არ გავცივდე-მეთქი, ვერც სხვაგან წასვლა მოვახერხე. ახლა ცოტა, რომ გათბა ჰაერი, წაველ ბათომში (20 ამ თვეს ჩამოვედი), მაგრამ მგზავრობამ მაინც მავნო და უფრო ავად შევიქენი. მერე ეს ავადმყოფი კაცი არსად სასტუმროში არ მიმიღეს, მხოლოდ უკანასკნელ, როგორც იყო, შევეტყუეთ ერთ სასტუმროს, ისიც იმის მოწყობილობით, რომ ერთი ლაქია ჩვენი სოფლის მცხოვრები აღმოჩნდა. კერძო ოთახი კი არსად არ მაქირავეს— ავადმყოფს ვერ დავაყენებთო“.

ნინოშვილი იძულებულია სულ მალე ბათუმიც დატოვოს და თავის ღარიბულ სახლის ჰერს დაუბრუნდეს. აქ ავადმყოფს თავზე დაადგა მისი განუყრელი სულიერი მეგობარი, სილიბისტრო ჯიბლაძე.

●

— „სილიბისტრო, შენ მართალი ხარ, მართალი“..

სილიბისტრო უმალ გამოეხმაურა ავადმყოფს.

— რაში ვარ მე მართალი, ჩემო ეგნატე, ჰა!

ეგნატე გონს მოეგო. ზმანება ცხადად წარმოიდგინა. თავზე წამომდგარ მეგობარს გაუღიმა, — ჩამძინებია ეს ოხერი, სიზმარში ვაბოდებდი. ისე მომერია ეს ავადმყოფობა, რომ ვერც გამირჩევია, მძინავს თუ მღვიძავს, სულ ვიღაცას ვედავები და ვეკამათები.

— რაზე ამბობ მაგას ეგნატე — დაყვავებით მიმართა სილიბისტრომ მეგობარს.

— ჰო და იმას მოგახსენებდი, — დაიწყო ეგნატემ სვენებ-სვენებით, — ვითამ ახლა ჩვენ ზესტაფონში ვიყავით. იმ ღოღობერიძის დაწყევლილ კანტორაში ვისხედით მე, შენ და იოსებ კაკაბაძე და ისევ ვდაობდით.

— გახსოვს, შარშან ამ დროს ჩემთან რომ იყავით შენ და რაჟდენი?

— როგორ არ მახსოვს ან რა დამავიწყებს შენს მაშინდელს გაწიწმატებას?

— მაშინ იოსები იმას ამტკიცებდა, რომ ჩვენ გლეხებს უნდა დაეყრდნოთო, საქართველოში ამჟამად დაჩაგრულთა უმრავლესობა გლეხობააო. ისინი, ისინი უნდა ავიყოლიოთ ამ ჩვენს კარგ წამოწყებაშიო.

— გახსოვს, საკითხი ჩვენი წესდების პირველ მუხლს ეხებოდა.

— აბა ჩემზე კარგად ვინ იცის გლეხის გასაჭირი ან ჩემზე უფრო გულშემატკივარი მათ სასტიკ ბედზე ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბათომში და თბილისში მუშებს შორის გატარებულმა დღეებმა და მარქსიზმის გაცნობამ მე საბოლოოდ დამარწმუნეს, რომ სწორედ მუშათა კლასია რევოლუციის მთავარი ძალა, მომავალი მას ეკუთვნის, გლეხსაც და ერსაც ბედნიერება მან უნდა მოუტანოს. ამით ვხელმძღვანელობდი, როდესაც პირველ მუხლად ჩვენი წესდებისა ჩავწერეთ: „ახლა ყველაზე რევოლუციური ძალა საქართველოში მუშათა კლასია... ვიდრე ამ მუხლს ბოლომდე ჩავიკითხავდი, იოსები ყელში მეცა. ამით ჩვენ გლეხებს გავანაწყენებთო. შენ მე მომეხმარე და უმტკიცებდი კაკაბაძეს: — ჩვენ მარქსისტები ვართ და არა ხალხოსნები, ჩვენი დასი — მარქსიზმის მედროშე უნდა გახდეს ხომ?

იოსები გაჯიუტდა, დიახ, ჩვენ მარქსისტები ვართ, მაგრამ მარქსის-

ტებიც ხომ ღარიბ გლეხკაცობას რევოლუციონერებად თვლიან? ახლა საქართველოში ყველაზე მეტი სწორედ ეს ღარიბი გლეხობაა დაჩაგრულთა შორის.

— ეს დღესაა, ხვალ სწორედ მუშათა კლასი იქნება, ვუპასუხე მე, ჩვენი ცხოვრება სწორედ ამ გზით მიდის, ჰოდა მარქსისტებისა და ხალხოსნების დავა სწორედ ამაზეა ახლა: ვინ არის რუსეთის იმპერიაში მთავარი ძალა რევოლუციისა — მუშათა კლასი თუ გლეხობა? რუსეთის მარქსისტები ახლა ერთხმად ამტკიცებენ, რომ შრომისა და მონობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მთავარი დასაყრდენი ძალა სწორედ რომ მუშათა კლასიაო.

მაშ გეზი მუშათა კლასზე უნდა ავიღოთ, ეეუბნებოდი მე. ის თავისას მაინც არ იშლიდა. მაშინ მე საფრანგეთის მაგალითს მოვჰყევი: მონპელიეში რომ ჩავედით მე და სამსონ კანდელაკი, ის კაცი, ვინც გვეპატიჟებოდა და აშენებას გვპირდებოდა იქ არ დაგვხვდა. მერე ძლივს მოვძებნეთ ორი ქართველი — ვახვახიშვილი და გუნცაძე, იმათ შეგვიკედლეს, მე და სამსონს ისეთი უხეირო და ძველი სამოსი გვემოსა, რომ ამით სიარული აქ ქალაქში არ შეიძლებაო გვითხრეს და ის იყო ჩემი გახუნებული პიჯაკის მაგიერ ვახვახიშვილის კოსტუმში გამომაწყვეს, კანდელაკმა კი გუნცაძის პალტო გადაიცვა და ასე შეუდექით იქ ცხოვრებას. ფული სულ მთლად შემოგველია და სხვა გზა არ იყო ქარხანაში უნდა დაგვეწყო მუშაობა. სამსონი ჩემზე ღონიერი და ჯანიანი იყო და ადვილად შეეწყო ქარხანაში მუშაობას. მე ცოტა გამიჭირდა, მაგრამ შენ გენახა, როგორ ამოგვიდგნენ გვერდში ფრანგი მუშები. ჩემი მდგომარეობა რომ შეიტყვეს, სულ მიფრთხილდებოდნენ, ჩემს მაგიერ მძიმე ტვირთს თვითონ ის ფრანგი მუშები ეზიდებოდნენ.

ჩვენ, ყველა ქვეყნის მუშები ძმები ვართო, ბედით ძმები, ჩვენ ლუკმა ერთმანეთს უნდა გავუყოთო. არა, საოცარი ატმოსფერო იყო იმ ქარხანაში, ნამდვილი ძმობის, ურთიერთდანდობის, ერთმანეთთა გატანის მტკიცე, პროლეტარული ატმოსფერო, მე მაშინ ვიგრძენი, რომ მომავალი სწორედ ამ ხალხისაა, ამ კეთილსინდისიერი და არაფრისმქონე პროლეტარიატისა. ასევე იყო ბათომში მუშაობის დროსაც. გლეხიც გატანჯულია ჩვენს დროში, მაგრამ იმაში კერძო მესაკუთრე ისე ღრმად ზის, რომ მეტი დრო და ხანია საჭირო, რომ ის მუშის შეგნებამდე ამაღლდეს. მუშას არაფერი აბადია, გარდა თავის ძალღონისა და ამიტომ იგი თავისი ბუნებით უფრო სოლიდარულია. კერძო მესაკუთრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი პირველი გამოგყვება, კერძო მესაკუთრე გლეხს ასე ადვილად ვერ გაიყოლიებ საერთო საქმისათვის. მასში უფრო ღრმად ზის კერძო მესაკუთრე, სწორედ ფრანგმა და ბათუმის როტშილდის ქარხნის მუშებმა ჩამინერგეს მე კლასთა სოლიდა-

რობისა და ინტერნაციონალიზმის ეს გრძნობა. დიახ, დიახ, დემოკრატიისა და სოციალიზმის იმედი მუშაა. ჰოდა ეს დავა მქონდა ახლა ისევ კაკაბაძესთან. და შენ გიმოწმებდი, შენი სახელიც ამიტომ წამოვიყვირე და გამომეღვიძა კიდეც.

— ჩემო ეგნატე, რას ერჩოდი იმ ჩვენს იოსებ კაკაბაძეს, აკი დაგეთანხმა და მტკიცედ იცავდა მერე ამ აზრს; გახსოვს, თბილისში რომ შევიკრიბეთ საბოლოო პროგრამისა და წესდების დასამტკიცებლად?

— მახსოვს? როგორ არ მახსოვს. — დიდსა და მძიმე საქმეს მოვკიდე ხელი და ბოლომდის უნდა ვსდიოთ.

— შენ ოღონდაც კარგად იყავი ჩემო ეგნატე და ჩვენს საქმეს კარგი ბოლო უჩანს. ახლა შენს გამოჯანმრთელებას ველოდებით. და აი აქ, ამ ზაფხულს ისევ მოვიყრით თავს და მერე რომ გაზეთ „კვალში“, როგორც შენ გვირჩევ, გამოვაქვეყნებთ ჩვენს პროგრამას და ჩვენს მიზანსა და ამოცანებს მთელს საქართველოს ვაცნობებთ. — ეს თქვა და ავადმყოფს მიაჩერდა. ეგნატეს ისევ ძილი მორეოდა და კვლავ ვიღაცას ედავებოდა ზმანებაში გადასული...

იმ დღეს ეგნატეს გიორგი ლომჯარია ესტუმრა. გიორგი ნინოშვილთან ერთად მუშაობდა როტშილდის ქარხანაში. ახლა ამ მოწინავე მუშის სტუმრობა დიდად ეამა ავადმყოფს. საუბარი ერთბაშად აეწყო. ნინოშვილმა ბათუმელი მეგობრები მოიკითხა, ქარხანაში მუშაობა გაიხსენა, შავბლუზიანმა ჯმუხა კაცმა ნაღვლიანად უპასუხა:

— ჰო, ჩემო ეგნატე, ვერც კი წარმოიდგენ თუ რა საჭირო იყავ შენ ამას წინათ ჩვენთვის. ხომ გახსოვს 1889 წელს, შენის შთაგონებით იმ ჩვენს ქარხანაში პირველი გაფიცვა რომ მოეწყო?

— მახსოვს, როგორ არა, მე საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი, მაშინვე ბათომს მოვაშურე. ქარხანაში დაიწყე მუშაობა, მუშები გარეუბანში საშინელ ბარაკებში ვცხოვრობდით, ძალზე გვიჭირდა. მე მანპელიეში მთელი თვე ვიმუშავე ქარხანაში, იქ ბათომთან შედარებით იდეალური პირობები იყო, მაგრამ ერთ დღეს მთელი ეს ათიათასიანი ქარხანა გაიფიცა, ხელფასის მომატება მოითხოვეს ფრანგმა მუშებმა და კიდეც მიაღწიეს საწადელს. მე ეს გამოცდილება გამოვიყენე და გახსოვს, რა დიდი გაფიცვა მოვაწყეთ? შენ, ჩემო გიორგი, მაშინ დიდი მუშაობა გაწიე მუშებში, დირექტორი ცოფმორეული დარბოდა ქარხანაში და გვემუქრებოდა, მერე პოლიციაც გამოიწვიეს, მაგრამ ჩვენ მაგრად დავუდექით და იძულებულნი გახდნენ მოემატებინათ ხელფასი.

ჩვენ რწმენით და შთაგონებით ვმოქმედებდით მაშინ. დიახ, რწმენით და შთაგონებით ჯიუტად ვწერდით ისტორიის ახალ ფურცელს. ჩვენ ვირწმუნეთ, რომ ამ ახალი ისტორიის მეთაური მუშათა კლასია. დიდი ზეიმი იყო მაშინ ჩვენს ქარხანაში, არა?

გიორგის შავგვრემანი პირისახე. დიდრონი შავი თვალები სიცოცხლით აეკსო და ადგილზე ვერ ისვენებდა, ნინოშვილი გაფიცვის ამბებს რომ ყვებოდა. მერე ერთბაშად სიტყვა ჩამოართვა და ასე უთხრა: სულ ერთი თვის წინ კვლავ ვცადეთ და მოვაწყვეთ კიდეც გაფიცვა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ჩვენი ახალი დირექტორი ზროდლოვსკი ერთი უბედური ვინმეა, საიდან მოათრია ის როტშილდმა, ვერ გაგვიგია. დაგვემუქრა, თუ მუშაობას ხვალვე არ განაახლებთ, სათითაოდ ყველას დაგითხოვთო. სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს თავად ერისთავს ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ არც იმან მოგვაქცია ყურადღება. ჰე, შენ რომ ყოფილიყავი, ბატონო ეგნატე, სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქმე.

— რა ვქნა, ავადმყოფობას რა ვუთხრა და ჩემს ბედს თორემ, გულით მწადია, თქვენს შორის რომ ვიყო. — მერე მწარედ ამოიოხრა და თქვა: მე ვერ გადავიხადე ჯეროვანი ვალი თქვენს შორის ყოფნითა და ერთად ბრძოლით. მე, აგერ სარეცელზე მიმაკრა ავადმყოფობამ, სული ჩემი კი ისევ თქვენს შორის ტრიალებს. რაკი ავადმყოფობამ მომისპო საშვალება თქვენთან ყოფნისა, ვცადე მოთხრობა დამეწერა თქვენსავე ბედზე და ამით მაინც ამოგდგომოდით გვერდით. — ეს თქვა და მაგიდიდან ხელნაწერი აიღო, კითხვას შეუდგა:

— ქ. ბათომის ერთ მხარეს, ნავთის ქარხნების ზემოთ, მინდორზე ერთმანეთში უხვირთ არეულ-აჩხირულან ფიცრული ფარღალატა შენობები, რომელთა ქოხები უფრო შეეფერება სახელათ, მინამ სახლები, გარშემო ამ შენობებს მუდამ ტლაპო-ტალახი ადგია. მისავალი გზები ისეთია, რომ წვიმების დროს დიდი სიფრთხილე გჭირია, ტალახში არ შთაინთქა. ჭაობები, რომლებითაც მდიდარია ეს კუთხე, გაჟღენთილია უწმინდურობით. მათი ანადენი ოხშივარი წამლავს ჰაერს და ისეთი საძაგელი სუნია გამდგარი, რომ სუფთა ჰაერზე შეჩვეულ ადამიანს ცხვირაუხვევლად არ შეუძლია გაძლა. შენობები უბუხროა. თითო ოთახს თითო-თითო პაწია სარკმელი აქვს და ამიტომ ოთახში მზიან დღესაც კი ბნელა. მართალია ოთახს საკმაოთ აქვს ჭვრიტინები, მაგრამ იმათში ქარი უფრო ღონივრად შედის, ვიდრე სინათლე. აი, ეს შენობები არის თავშესაფარი იმ რამდენიმე ათასი მუშისა, რომელნიც მუშაობენ ბათომის ნავთის ქარხნებში. ამ ვიწრო და ნამიან ოთახებში ბინადრობს ათი თორმეტი კაცი ერთად თითო ოთახში".

კითხულობდა ხალისით და აღტაცებით, უცბად ხველა აუტყდა. ამ დროს სილიბისტრო შემოვიდა ოთახში და გიორგის მიესალმა, ხველებისაგან დაღლილ ნინოშვილს ჩაეძინა. სილიბისტრო და გიორგი ოთახიდან გარეთ გამოვიდნენ. გიორგიმ გულდაწყვეტით ჰკითხა სილიბისტროს: ნუთუ ექიმებს არაფერი შეუძლიათ? — იყვნენ ბათომელი ექიმები სწორედ გუშინ, უნუგეშოა მდგომარეობა — ხმადაბლა შეესიტყვა სილიბისტრო გიორგის...

ავადმყოფს თავზე წაადგა სამი თავადი: მანუჩარ არწივაძე, ტარიელ მკლავაძე და იასონ უქმაძე. მანუჩარს ჟღალი ჩოხა-ახალუხი ეცვა, ტარიელს — შავი ჩერქეზული, იასონს — თეთრი, სამივეს დარაიას ყაბალახი ზურგზე მოეგდო, თავზე ყალმუხის მაღალი ქუდი ეხურათ. წელზე ხანჯლები ერტყათ. პირველად მანუჩარ არწივაძემ იშიშვლა ხანჯალი, მას ტარიელი და იასონი მიყვა, სამი ხანჯალი ყელზე დააბჯინეს და ნიშნის მოგებით უყვირეს სულთმობრძავ ავადმყოფს: აბა, ახლა სად წაგვიხვალ? ამ სიკვდილის წინ პატიება მაინც გვთხოვე. ავადმყოფს კვნესა აღმოხდა. მაშ კვდები, კვდები ისე, რომ ერთხელაც არ შეევედრებიხარ ღმერთს და პატიება არ გითხოვია.

— რის პატიება? რა მაქვს ამქვეყნად შეცოდება?

— თავს ნუ იკატუნებ, — შეუყვირეს რაინდაძეებმა. — ვით არ იცი, რომ აბუნტებდი, აბრიყვებდი ამ უბირ გლეხებს, მეფის, ღმერთის, ხატის, ბატონების, რჯულის წინააღმდეგ. შეცოდებანი შენი აუნაზღაურებელია და უნდა მოკვდე, ვით დამნაშავე. თუმცა გლეხუჭანას შავ სისხლში ხელებს არ გავისვრით, ისედაც მიქელ-გაბრიელი გაზღვევინებს, ყველას მაგიერ ის გაგისწორდება. ოღონდ სიკვდილის წინ მაინც თქვი სიმართლე, რას გვერჩოდი, ასე საჯაროდ რომ გამოგვაჭენე, იმ ტილიან გლეხკაცობაზე რომ გაგეცვალე. შენ ნაკითხ და ნასწავლ კაცად თავი რომ მოგაქვს, ის არ იცი, რომ ჩვენისთანა ჯიშიანები უნდა გამრავლდეს და არა შენისთანა და სპირიდონისთანა ბაღლინჯოები? არა, თუ იმ გლეხის გომბიოებს ვიკადრებდით და ამით გადაჯიშებულ გლეხკაცებს სისხლს განუახლებდით, განა ამით არ ვიხსნიდით ხალხს გადაშენებისაგან? მაგრამ შენ თვითონ გლახას, გლახების რიცხვი გინდოდა გემრავლებინა და ჩვენ, ჯიშიანებს და ბუნებით სრულყოფილებს თოფს გვესროდი. არა, სად არის ის შენი გლახაკების რესპუბლიკა, გურიის რესპუბლიკა, შენის თავმჯდომარეობით. ამდენს რომ სტყუოდი და აბრიყვებდი ამ ხალხს; ამ სიკვდილის წინ მოინანიე მაინც, პატიება ითხოვე, ვიდრე ესშენი ძაღლური სული ჯოჯოხეთში მოხვდებოდეს. — კვლავ უყიელეს და ხანჯალი მიაბჯინეს ყელზე მომაკვდავს.

ავადმყოფმა ძალ-ღონე მოიკრიბა და შეუტია.

— როგორ მიბედავთ თქვე ქვეყნის დამღუპველნო, ხალხის სისხლით და ლეშით გამაძღარნო. ჯიშიანიო, რომ ამბობთ, აბა მიხედეთ ტიტიკოს, დავითს, ვინ არიან ისინი? — გუშინდელი გლეხები, მაგრამ გლეხის სისხლით გამძღარნი და გალეშილნი. ნაჭურდალი ქონებით გახდნენ „ჯიშიანები“ და ამიტომ თქვენსავით „გამორჩეულნი“ და ჭურდობით „თავმომწონენი“ სასტიკნი და დაუნდობელნი არიან. მე სწორედ თქვენისთანა ჭურდებისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ ავი-

მაღლე ხმა. ხმა ავიმაღლე იმის წინააღმდეგ, რომ თქვენისთანა მუქთახორები გლეხის სისხლს არ სწოვდნენ. და მერე სხვისი შრომით განებივრებულთ, მართლაც ღმერთისაგან ბოძებული ღირსება არ ეგონოთ: „ჯიშიანობა“, თქვენი „ჯიშიანობა“ სამარცხვინო მუქთახორობა და ქურდობაა. არა, თქვენი დღე დათვლილია. მე ვკვდები, მაგრამ მჯერა, რომ თქვენს პარპაშს ბოლოს მოუღებს გამოღვიძებული ხალხი. მომცილდით! — იყვირა და დარბაზი გაივსო თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული გლეხებით.

შეიარაღებულ გლეხკაცობას წინ ხმალამოღებული ბესია მოუძღოდა, გიორგი და სპირიდონი გვერდით ამოდგომოდნენ, უკან როსტომ მეჯიხურე, პეტრე მშვედელი, სიმონა ძალაძე და მისი მეზობლები მოსდევდნენ. გლეხები ხმლებით მიცვივდნენ და თავი გააგდებინეს თავმომწონე მანუჩარ არწივაძეს, ტარიელ მკლავაძეს და იასონ უქმაძეს. ოთახი სისხლით აივსო. ავადმყოფს ხელი დასტაცეს და გარეთ გამოიყვანეს. ეზო ხალხით იყო სავსე. ზოგს თოფი ეკიდა, ზოგს ხანჯალი, ზოგსაც ბარი და ნიჩაბი გაედო მხარზე. ამ მოზეიმე ხალხს რომ შეხედა, ნინოშვილი ერთბაშად გამოცოცხლდა, ავადმყოფი ტრიბუნაზე შეაყენეს, გვერდით სილიბისტრო ჯიბლაძე და სპირიდონ მცირიშვილი ამოუდგა. წინ სიმონა ძალაძე, ბესია, გოგია, ივანე, ნიკო... ჩამწკრივდნენ. აქვე არიან ქალებიც, დესპინე, ქრისტინე, დარიკო, გულო, ხელში ატატებული ბავშვებით. ამოდენა მოზეიმე ხალხს რომ შეხედა, ცრემლები მოერია დაუძლურებულ ნინოშვილს, მერე სძლია სისუსტეს და ხმა გაიღო: ძმებო, ამხანაგებო, აჰა ეს ბედნიერი დღეც დაგვიდგა, ხელები გაშალა და უნდოდა ხმამაღლა შეეძახა: მომილოცნია გამარჯვება, ძვირფასო ძმებო! მაგრამ ერთბაშად ხმა ჩაუწყდა და სიკვდილთან მებრძოლ ავადმყოფს გამოეღვიძა კიდეც.

●

ის ბოლო ორი ღამე ყველაზე დიდ წვალებაში გაატარა ნინოშვილმა. მოლანდებას მოლანდება ცვლიდა, მაგრამ ნინოშვილს უკვე აღარ ჰქონდა მათთან საუბრის თავი. ძალ-ღონე გამოლეული ძლივსღა სუნთქავდა, ბორგავდა. ავადმყოფს მთელი ის ორი ღამე თავზე ადგა ბათუმიდან ჩამოყვანილი ექიმი და განუყრელი მეგობარი სილიბისტრო ჯიბლაძე, აქვე ვიშვიშობდნენ მეზობელი ქალები. რა არ იღონეს, მაგრამ ვერ მოახედეს და ვერ მოაბრუნეს სასიკვდილოდ გადადებული ნინოშვილი.

იმ უკანასკნელ დღეს, ღონემიხდილმა ყრუდ იკითხა:

— რა, დაღამდა?

— არა, რა დროს დაღამებაა, ჯერ შუა დღეც არ არის, — შეესიტყვა ჯიბლაძე ავადმყოფს.

— აბა, ჩემს ოთახში რათ ბნელა? ღამე, ღამე იმზირება სახლში, კარი მიხურეთ, სინათლე აანთეთ, ბნელა, ბნელა, — საშინელი ხმით ამოიკვნესა ავადმყოფმა. სილიბისტროს ისე მოეჩვენა, თითქოს ამ სიტყვებზე წამოიწია ავადმყოფმა, მერე თვალები დახუჭა და ხროტინი დაიწყო.

იმ ფიცრულ პატარა ოთახში, სარეცელზე მიკრული ნინოშვილი მთელი ღამე სიკვდილს ებრძოდა, თავზარდაცემული ღამისმთევლები სდუმდნენ. გარეთ კი ჟამი ყვავილობისა ბობოქრობდა, მწვანით მოსილი ეზო-ბაღი ბრდღვიალებდა, გაზაფხულისაგან ათუხთუხებული ბუნება ღამის უკუნეთს დაჰყიოდა...

გათენებისას, 1894 წლის 30 აპრილს მიიცვალა ეგნატე ნინოშვილი. რამდენიმე საათის შემდეგ მეზობლებისა და მეგობრების დიდ ჯგუფს სილიბისტრო ჯიბლაძე გულდაწყვეტილად, ცრემლმორეული უყვებოდა, თუ რა წვალებით დალია სული ეგნატემ. ეს ცრემლნარევი მოთხრობა გრძელი განმარტებებით დაასრულა ჯიბლაძემ:

— ნინოშვილმა მთელი თავისი ლამაზი, მაგრამ ტანჯვით სავსე ცხოვრება სამართლიანობისათვის ბრძოლას და ლუკმა-პურის ძებნას შეალია. ამავე დროს პირად საუბარში და თავის ნაწერებში იმას ამტკიცებდა, რომ პატივისცემის ღირსია ის ხალხი, რომელთაც ვერ აშინებს ვერც შიმშილი და ვერც სიცივე, ვერც საპყრობილე და ვერც სახრჩობელა... ყველა დაჩაგრული და დამცირებული ძმებად მიაჩნდა. მათი ტკივილები საკუთარ ტკივილებად, მთელი მისი პირადი ცხოვრება და შემოქმედება ერთად გაბმული მოთხრობაა მასზე, თუ როგორ იდეგნება და ფეხქვეშ ითელება სიმართლე, შრომა და პატიოსნება. ნინოშვილის მშრომელ ადამიანებს შიოდათ, წყუროდათ. ადამიანური ცხოვრება ეწადათ და ამიტომ დღესა და ღამეს შრომაში ასწორებდნენ და რაც უფრო გულმართლად და პატიოსნად შრომობდნენ, მით მეტი იყო გაწბილება, დამცირება და ტანჯვა, ვიდრე შრომით მოტანილი სიხარული და ბედნიერება. მკლავაძეების, დროიძეების, ავსენიძეების, არწივაძეების სათარეშოდ გამხდარა ჩვენი ქვეყანა. ისინი აბუჩად იგდებდნენ, აწიოკებდნენ და კვლავაც განუკითხავად ანადგურებდნენ სუსტებს და მონებს, მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ ეპუებოდნენ უსამართლობას. შურისძიების, სამაგიეროს გადახდის ყოველისმომცველი ძალა დაუფლებოდა მათ სულსა და გულს. ამ ურჩთა და დაუცხრომელთა სულს უმღეროდა ნინოშვილი. ეს გმირებიც მარცხდებიან უთანასწოროდ მოწყობილ საზოგადოებაში, მაგრამ მათი გაუტეხელი და მებრძოლი სული შრომის განთავისუფლების მაგალითად გამოაცხადა ნინოშვილმა.

გამარჯვების ერთადერთი გზა ბრძოლის გზაა. ეს აზრი ანდერძად დაგვიტოვა ნინოშვილმა. უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ უნდა მივბაძოთ ნინოშვილს. არ დაგიმალავთ და გეტყვით: ნინოშვილის ინიციატივით ჩვენში შეიქმნა ხალხისათვის თავდადებულთა ახალი დასი, რომელსაც ამიერიდან ნინოშვილი გაუძღვება, როგორც ამ მოძრაობის სული და გული, მისი დროშა. ნინოშვილმა ყველაზე კარგად იცოდა ფასი და გულისთქმა მშრომელი კაცისა. ამავე დროს ტანჯულთა, დამშეულთა ცხოვრებას ყველაზე კარგად იცნობდა. თვით მისი ცხოვრებაც იყო ერთი გაბმული ტანჯვა და ვაება, მაგრამ ბედს არ ეპუებოდა და ეს ავადმყოფი კაცი, სიტყვით თუ კალმით ებრძოდა ყველა ბოროტს, მჩაგვრელსა და მოღალატეს. მან გვიანდერძა ეს გაუტეხელი, შებრძოლი სული და ჩვენ მისი მეგობრები და თანამებრძოლები ვალდებულნი ვართ, არ ვუღალატოთ მის ანდერძს.

ეს ტანჯული კაცი ხალხის გამარჯვების რწმენით ცხოვრობდა და ამავე რწმენით წერდა. ის მწერლობით ცხოვრობდა. ლუკმა-პურისთვის წანწალში ღონეგამოცლილი და ფილტვებგამოხრული მიუჯდებოდა თუ არა საწერ მაგიდას, ერთბაშად გამოცოცხლდებოდა და წერდა, წერდა სიცხიანი, ოფლიანი, აცახცახებული და ჭლექისაგან დალეული თითებით. მის მოთხრობებში ყველაფერი უბრალოა და გასაგები. მაგრამ ეს მთელი სულით და გულით ნათქვამი უბრალოებაა. ეს დამშეულთა. დამცირებულთა, ბედისაგან გაწამებულთა, გულისმომკვლელი აღსარებაა, ცხოვრებისეული დიდი სიმართლეა.

იგი იყო მდაბიოთა მფარველი, მშრომელი კაცის ქომაგი. ბატონისა და უსამართლობის ღმერთის წინააღმდეგ ააჯანყა ნინოშვილმა ეს ბიშვიდობიანი გლეხკაცობა. გლეხში გაიღვიძა პროტესტის გრძნობამ, წინააღმდეგობის გრძნობამ, სამაგიეროს გადახდის ჟინმა. ასე გადადის აქ უბრალო ხალხის მარტივი აზროვნება მაღალი რანგის ხელოვნებაში. აქ ყველაფერს შინაგანი, ბუნებრივი ჰარმონია განაგებს. ეს ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელი პირველადი აღქმაა, სოფლის პირით აქ მეტყველებს მკაცრი ცხოვრებისეული სიმართლე. ამ სიმართლეს მიაგნო ნინოშვილმა არა მარტო წიგნებში ამოკითხული თეორიებით, არამედ თვით საკუთარ თავზე გადახდილისა და განცდილის მეშვეობით. და ასე მივიდა მწერალი იმ რწმენამდე, რომ კერძო საკუთრებაზე აგებული უსამართლო საზოგადოება უნდა დაინგრეს და ქვეყანაზე თანასწორობა უნდა დამყარდეს. ამის მიღწევა კი მხოლოდ და მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლით შეიძლება, როგორც გითხარით, ამ ბრძოლების ხელმძღვანელად საქართველოში შეიქმნა ახალი ორგანიზაცია, რომლის მეთაურად ჩვენ ნინოშვილი ავირჩიეთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ ნინოშვილის მიერ დაწყებული ეს საქმე განვაგრძოთ. ვიყოთ ნინოშვილი-

ვით შეუდრეკელნი და უშიშარნი. ვიბრძოლოთ მშრომელი ბალხის უკეთესი მერმისისათვის. ამით უკვდავყოთ ნინოშვილის სახელი.

დიდხანს საუბრობდა ჯიბლაძე მეგობრებს შორის. — იმავე საღამოს ეს საუბარი სილიბისტრო ჯიბლაძემ წერილობით ჩამოაყალიბა და მესამე დასის პროგრამის სახით წარმოთქვა ნინოშვილის საფლავზე სა-ჯაროდ, მან აქვე გამოაცხადა ე. ნინოშვილი ახალი დასის მეთაურად.

●

1894 წლის სამი მაისის გაზეთ „ივერიის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა მოწინავე წერილი „ე. ნინოშვილი (ინგოროყვა).“ „სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დეპეშამ გურიიდან. იქ 30 აპრილს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ახალგაზრდა მწერალი ე. ნინოშვილი. ეს რამდენიმე წელიწადია მხოლოდ, რაც ე. ნინოშვილი გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და პირველი დღიდანვე საზოგადო ყურადღება დაიმსახურა თავისის უეჭველის ბელეტრისტული ნიჭით. ნინოშვილის ნაწერებში ერის მაჯა სცემდა, საერო მოტივი გაისმოდა, სამოთხრობო მასალას უფრო სოფლის ცხოვრებაში ეძებდა, უფრო ბეჩავის გლეხკაცისათვის სტკიოდა გული და იმის ჟამთა ავ-კარგიანობას ადევნებდა თვალყურს. რამდენიმე მისი მოთხრობა ღაბეჭდილი, როგორც „ივერიაში“ აგრეთვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, აშკარა მოწამეა და საბუთი ამ უდროოდ დაკარგული მწერლის ნიჭისა. საბრალო ეგნატე ინგოროყვა იმ თავითვე ავადმყოფობდა გულით, ვგონებთ ჭლექი ჰქონდა, და არც არავითარი იმედი იყო იმის მორჩენისა. ამ ბოლო დროისთვის ხომ თანდათან ცუდად შეიქმნა. ჯერ კიდევ 13 აპრილს გვწერდნენ ჩოხატაურიდან: „ე. ნინოშვილის ავადმყოფობას ამ ბოლო დროს მეტად უიმედო ნიშნები დაეტყოო. სისუსტე თანდათან უძლიერდებოდა. დროგამოშვებით წამოვარდებოდა ლოგინიდან და ამაოდ სცდილობდა დაწყებული შრომის განგრძობას. აკანკალებული ხელიდან კალამი უსხლტება და გაშმაგებული, თვალცრემლიანი ლოგინადვე ეცემა, თან ქვითინით ამბობს: ვკვდები, ვკვდები, იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი, როცა ჩემის მომავლის მოქმედების პროგრამა უფრო ნათლად გამოვარკვიეო“. განსვენებულის ამ წინასწარმეტყველების შემდეგ მხოლოდ ერთს კვირასღა უცოცხლია და, როგორც დეპეშამ გვაუწყა, 30 აპრილს დაულევია თავისი მრავალტანჯული სული.

ნიჭიერი ადამიანის სიკვდილი დიდად სამწუხაროა და საგლოვი, ხოლო ჩვენისთანა პაწია ერისთვის კი, რომლის მოღვაწენი თითებზე ჩამოითვლებიან და სადაც „სამკალი ფრიად არს. ხოლო მუშაკნი ყოვლად არა“, სადაც „მრავალნი არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ საგრძნობელი უბედურებაა. განსვენებულს ვინ იცის რამდენი

ნიჭით და ხელოვნებით სავსე ნაწარმოებები ეძღვნა თავისის სამშობლოსათვის, რომ დასცლოდა, რომ შესძლებოდა „გაკეთება“ და განხორციელება იმ პროგრამისა, რომელიც უკვე „ნათლად ჰქონდა გამოკვეთილი“. თან წარიღო ყოველივე თავისი კეთილზრახვა და სურვილი, ეხლა გულხელდაკრეფილი წევს კუბოში და 8 მაისს სამუდამოდ დაკრძალული იქნება გვამი მისი შავსა და გაუმაძღარ მიწაში.

დიდის მწუხარებით აღვნიშნავთ ახალგაზრდა მწერლის გარდაცვალებას, რომლის სიკვდილით სამშობლო ლიტერატურის ყანის დამმუშავებელთა რიცხვს უკვე ერთი გულწრფელი, მხურვალე, თავგადადებული მუშაკი გამოაკლდა. საუკუნოდ იყოს ხსენებაში შენი, ტანჯულო ეგნატე!“

1894 წლის 6 მაისის „ივერია“ პირველ გვერდზე შავარშიაშემოვლებული განცხადებით იუწყებოდა: „მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობთა და პატივისმცემლებს ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის ეგნატე თომას ძე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალებას და ვსთხოვთ მობრძანდნენ კვირას 8 მაისს, დილის 9 საათზე, ჯუმათის რკინის გზის სადგურის მახლობელ სოფ. ჩანჩეთში განსვენებულის გვამის სოფლის ეკლესიაში მისაცილებლად“. ხოლო გაზეთ „კვალის“ ამავე წლის 8 მაისის ნომერში პირველ გვერზე დაბეჭდილია ნინოშვილის შავარშია შემოვლებული პორტრეტი, ისიდორე რამიშვილის ვრცელი წერილი „ე. ნინოშვილი, დუტუ მეგრელის ლექსი „ე. ნინოშვილს“.

სუყველასაგან უარყოფილი
და ცხოვრებისგან მწარედ დასჯილი,
მხოლოდ ჩაგრულთა მუზამ შეგიტკბო
და შეგიყვარა, ვით დედამ შვილი
და შენც მთლად შენი სუსტი ძალღონე
შესწირე მხოლოდ მის სამსახურსა,
არად აგდებდი, არც ძლიერთ რისხვას,
არცა უგუნურთა მტრობას და შურსა.

აქვე მომდევნო ნომერში („კვალი“ №25) დაბეჭდილ წერილში „მწარე ფიქრები“ ვკითხულობთ: „ეგნატე ნინოშვილი... დიახ, ჩქარა მოშორდა სამუდამოდ ქართველი ერის დასუსტებულ სულს კიდევ ერთი სხივი. დიაღ, განშორდა საქართველოს ნორჩი ქართველი, რომლის ნორჩ გულში ტანჯული ერის ჰდიოდა ცრემლები, ჩქარა „რაინდის“, „სვიმონას“ და „ქრისტინეს“ მთქმელი და მით ჩვენს სულში განახლდა მწვავე წყლულები. მაგრამ დაგვიწყლულა კი სული ნინოშვილის დაკარგვამ? მართალია ჩვენ ვიტირეთ, ბევრი ვანთხიეთ ფარისევლური ცრემლები, შევამკეთ განსვენებულის ნეშთი ძვირფასი გვირგვინებით, წარმოვთქვით მის დასაფლავებაზე მხურვალე სიტყვები, ვწერეთ და ვაქეთ მრავალი, გავაცანით ქვეყანას მისი სურათი,

მაგრამ სანამ ცოცხლობდა, სანამ ხსნიდა იგი ფარდას მშრომელის, ტანჯულის, მივიწყებულ ხალხის გულს და გვახედებდა შიგ, სანამ თავისიცე სისხლში ჩაწებებული კალმით გვიხატავდა, გვაცნობდა იმ პატიოსან ხალხის ვარამს, დარდსა და მისწრაფებას, სანამ იგი 2 წელი მშიერმწყურვალი იყო მიგდებული ობლად სადღაც კუთხეში, შრომობდა თავდახრილი დღედაღამ კვნესით და ქმნიდა თავის საყვარელ სამშობლოს სულის საზრდოს, დიაღ, სად ვიყავით მაშინ ჩვენ...

ესა ვართ ჯერჯერობით ქართველნი. დაობლდა ახალგაზრდობის ის წრე, რომლის სულის ჩამდგმელი შენ იყავ!..

„კვალმა“ ერთბაშად აიტაცა ნინოშვილის სახელი, როგორც „ახალგაზრდა თაობის“ მეთაურის...

7 მაისს თბილისიდან გაემგზავრნენ დელეგაციები. გაზეთ „კვალის“ დელეგაციას გიორგი წერეთელი მეთაურობდა, გაზეთ „ივერიისას“ გრიგოლ ყიფშიძე, „Новое обозрение“-ს, ჟურნალ „მოამბის“, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა... თბილისიდან დელეგაციამ თან წაიღო გვირგვინები „კვალის“, „ივერიის“, „მოამბის“ რედაქციებისაგან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან, ასოთამწყობთაგან, თბილისის ქალებისაგან, ქართველი, სომეხი ახალგაზრდებისაგან, „Новое обозрение“-საგან, პირადად ილია ჭავჭავაძისაგან. მატარებლის ის ვაგონი, რომლითაც ეს დელეგაციები მიემგზავრებოდნენ, სავსე იყო გვირგვინებით; მათ გზად უერთდებოდნენ სხვადასხვა დელეგაციები. სამტრედიაში სოხუმიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, რამდენიმე დელეგაცია შეუერთდა თბილისიდან გამგზავრებულ დელეგაციებს. „კვალის“ კორესპონდენტის ცნობით მატარებელში თავი მოიყარა ოთხმოცამდე კაცმა. ჯუმათიდან ისინი გაემგზავრნენ ეტლებით.

ნინოშვილის კუბოს გარშემო უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, დიდის პატივისცემით მიაცილეს ჩანჩეთის სოფლის ეკლესიამდე და აქ ხალხმრავალი მიტინგი შედგა. პირველი სიტყვა გიორგი წერეთელმა წარმოსთქვა:

„ძმაო ეგნატე! ნეტამც ახლა წამოგახედა მაგ ცხედრიდან, რომ შეხედო ამდენს შენს თანამგრძნობელსა, რომელნიც მოსულან შენს პატივსაცემად და თან მოუტანიათ გვირგვინები შენი მოღვაწეობის შესამკობლად. ეს რომ მოხდეს, მე ვიცი რომ პირველად შენ მხიარულად გაიღიმებ, მაგრამ მეორე წამს ისევ წარბს შეიჭმუხნი, ზურგს შემოგვაქცევ და გვეტყვი — უმადური გამყოფოთ ღმერთმაო, სიცოცხლეში მე ვერავინ მოგიკარეთ ჩემს გარშემო და ახლა რას ვაქნევ თქვენს თანაგრძნობასო“, დიახ, რაც გვაქვს, მას არ ვაფასებთ, თუ დავკარგეთ ვწუწუნებთ და ვტირით... აქ შეჩერდა, ჰაერი მძიმედ შეისუნთქა და ხალხს მიმართა:

— იცით რითაა ჩვენთვის ძვირფასი ნინოშვილი? იმან მიგვითითა

ჩვენი ერის საძირკველზე, მიწის მუშის დაბალ წოდებაზე და ცხოველი სურათებით დაგვიხატა, თუ რა საშინელს და დაცემულს მდგომარეობაშია იგი. იმან გამოიყვანა სამაგალითო პირები ამ წოდებისა: გოგია უიშვილი, სიმონა, ქრისტინე და გვიჩვენა, რომ ეს მივიწყებული ბურჯი ჩვენი ერისა მრავალნაირს ცუდი გარემოებისა და უპატრონობისაგან ბნელს მდგომარეობაშია. იმან ამით შეგვახსენა, რომ მივეშველოთ ამ დაცემულს ბურჯს ჩვენის ერისას, წამოვაყენოთ იგი, ზნეობით ავამაღლოთ, მივსცეთ მათ ზურგი და მასთან ხელიხელჩაკიდებულნი ვისწრაფოთ ერთად ერის წარმატებისათვის, არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ ერის კეთილი მდგომარეობა ამ მშრომელ, დაბალ წოდებაზეა დამყარებული. ის ასაზრდოებს მთელი ერის ტანს და თუ ის დაჭიანებულია, მაშინ მთელი ერის სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ნინოშვილმა ცხადად გვიჩვენა, რომ თუ გვინდა ჩვენი ერი შევიკავოთ გადაშენებისაგან, აი ამ წოდებას უნდა ეუშველოთო; ავამაღლოთ ის ზნეობრივად და გონებრივად, ავაშოროთ მას მოსე მწერლისთანა, ტარიელისთანა ავი თვისების კაცები. ამ სახით მან გაუკვალა ეშმარიტი გზა „მესამე დასის“ ახალ თაობას ხალხში მოქმედებისათვის, აი ამაშია იგი ჩვენთვის ძვირფასი. კურთხეულ იყოს ხსენება მისი“.

1894 წლის 11 მაისის „ივერიაში“ გამოქვეყნდა გრიგოლ ყიფშიძის სიტყვა ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმული: „ძმაო ეგნატე! შენმა უდროოდ გარდაცვალებამ მეტად გული დაგვწყვიტა ყველას, ვინც კი მოვასწარით და თვალი მოვკარით შენს ნიჭს, ვინც წავიკითხეთ შენი ხელოვნებით დაწერილი მოთხრობანი და მით ვისიამოვნეთ, დავტკბით. მოვასწარით-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ უცბად ამოაშუქე, სასწრაფოდ ამობრწყინდი და შენი თბილი და ნათელი სხივი ისევ მალე წაგვართვა ჩვენმა შავ-ბნელმა ბედმა. უდროოდ დაგკარგეთ, ძმაო, უდროოდ მოგვტაცა შენი თავი სიკვდილმა და ნეტავ რადა, რისთვის, განა რა დაუშავეთ ასეთი განგებას, რომ ასე გაგწირა, ასე გაგვირისხდა? რად შეშურდა იმ დალოცვილს შენი მადლიანი კალამი ჩვენთვის, ჩვენის ბნელით მოცულის ერისთვის.

...მოღვაწეობდი შენთვის ჩუმათ, წყნარად... მაგრამ არა; ბოლოს შენც მიხვდი, შენც იგრძენი შენი დიდი მოწოდება, შენი წმინდა დანაშაულება. შენი მისია ამ ქვეყნადა და ღვთიური ცეცხლი შენის მომადლებული ნიჭისა უფრო მეტის ელვარებით აენთო, გაძლიერდა, გაცხოველდა. არა მგონია შენი უკანასკნელი ქმნილება „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, უკეთესი თვალმარგალიტი არ იყოს ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში...

ვაი რომ მუხთალმა წუთი-სოფელმა არ დაგაცალა, თუმცა ცოტა

ხანს იცოცხლე, ბევრი გააკეთე—სულ ოთხი, ხუთი წელიწადი იმოღვაწე...

— ვწუხვართ, ვწუხვართ, ძმაო, რომ სიცოცხლეში საკმაო პატივი ვერ გეცით. ჯეროვნად ვერ დაგაფასეთ, თვალისჩინივით ვერ გაგიფრთხილდით და მოგკალით სიღარიბესა და სიღატაკეში, მშიერ-მწყურვალი... გვიანღა არის გლოვა, წუხილი და თავში ცემა! შენ პირველი არა ხარ მსხვერპლი ჩვენი სიბრმავისა, ჩვენის დაუდევრობისა. დიაღ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვიდგეთ შენს წინ და ვიწოდეთ სირცხვილით, ვიდგეთ შერცხვენილნი, გაწბილებულნი და თავს მაღლა ვერ ვწევდეთ"... „ივერიის" დელეგაციის მეთაურის გრიგოლ ყიფშიძის ასეთი მხურვალე სიტყვის მიუხედავად, „კვალელები" თავს დაესხნენ „ივერიელებს" და მთლად „ივერიის" რედაქციას გადააბრალეს ნინოშვილის ასეთ სიღატაკეში და გაჭირვებაში სიკვდილი. გაზეთ „კვალში" დაიბეჭდა მიხა ცხაკაიას „პასუხი გრიგოლ ყიფშიძეს" („კვალი", 1894 წ. № 26) „ჩემს მიერ „კვალში" წარმოთქმული აზრის შესახებ, რომ უდროოდ დაკარგული მაღალი ნიბიერი და მაღალი ზნეობის ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) მსხვერპლია არამცთუ უკურნებელი სენისა მხოლოდ, არამედ უფრო ჩვენი საზოგადოებრიობის ზნეობისა და პირობებისა მეთქი. — „ივერიის" რედაქციას გულში მოხვდა შხამმოკიდებული ისარივით ეს ჩემი უკანასკნელი აზრი, ალბათ იმიტომ უფრო რომ მართლაც საკმაო წილი უძევს მას (რედაქციას) ჩვენში ამჟამად არსებული საზოგადოებრიობის ზნეობრივი პირობების დამყარებაში, რომლის მსხვერპლი სხვათა შორის მიმაჩნია მწერალი ნინოშვილი". ამას მოსდევს ბრალდებანი იმის თაობაზე, რომ „ივერიის" რედაქცია დროზე არ აძლევდა ჰონორარს ნინოშვილს დაბეჭდილ მოთხრობებში, რედაქციაში სამუშაოდ არ მიიღეს, ერთი თვე არბენიეს, ვიდრე დაუბეჭდავდნენ „ჩვენი ქვეყნის რაინდს"... ატყდა დიდი დავა ნინოშვილის გარშემო. ამავე დროს თითქმის მთელი წელი იბეჭდებოდა წერილები, მოგონებანი, სტატიები და თვით ნინოშვილის დაუბეჭდავი რომანი „ჯანყი გურიაში" გაზეთ „კვალში". „ივერიასა" და „კვალს" შორის ნინოშვილის გარშემო ატეხილ დავაში აქაკი წერეთელმა, ვაჟა ფშაველამ და თვით გიორგი წერეთელმა „მესამე დასელებს" დაუჭირეს მხარი. 1894 წლის 20 ნოემბრის გაზეთ „კვალში" ვაჟა წერდა: განა ტყუილათ სდებენ „ივერიას" ბრალს რომ იგი უმადლოთ და უმადურათ მოეპყრა განსვენებულ ნინოშვილს"...

ამას მოჰყვა კამათი ნინოშვილის ადგილის თაობაზე ქართულ მწერლობაში. გიორგი წერეთელი და „კვალელები" ნინოშვილს ახალი დასის, „მესამე დასის" მეთაურად აღიარებდნენ, „ივერიელები" საზოგადოდ უარყოფდნენ „ახალი დასის" არსებობას ჩვენში და ნინოშვილს მიიჩნევდნენ 80-იანი წლების ხალხოსნების მიმდევრად: ერთი

რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე — წერდა გიორგი წერეთელი, მის კუბოს გარს შემოკრბნენ, ასე ვთქვათ „მესამე დასის“ ახალგაზრდობა, ესე იგი სულ უკანასკნელი წლების ახალი თაობა. ისინი, რომლებიც გამოსულა ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან. ნამდვილი ამათი მოთავე, ამათი სახელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწარმოებებშიაც ბრწყინავს ამ „მესამე დასის“ ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა. ისინი უარყოფენ ჩვენ ძველს ინტელიგენტების მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის. ამ სახით „მესამე დასი“ ხდება დაუძინებელ მტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტი მეთაურებისა... ამ დასში ყველანი თავგანწირულნი არიან, რომელთაც არავითარი სიმდიდრე არ იტაცებს და მზად არიან ძაძით შემოსილნი ემსახურონ ხალხს და ეცადონ მათ გამოფხიზლებას. — აი ამ დასის მეთაური ნინოშვილი იყო — ასკვნის გიორგი წერეთელი.

●

ნინოშვილის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა საზოგადოება, მთელი საქართველო: გაზეთები „კვალი“ და „ივერია“ იუწყებოდნენ: „განჯის სადგურზე მოსამსახურე ქართველები გვწერენ: „გთხოვთ გამოაცხადოთ ჩვენი ღრმა მწუხარება პატივცემულის ბელეტრისტის ნინოშვილის გარდაცვალების გამო. 8 მაისს პანაშვიდს ვიხდით...“

— „ჩვენის საყვარელის ნინოშვილის გარდაცვალებამ დიდად შეაწუხა სურამის ქართველი საზოგადოება. მთელი ეს საზოგადოება შეიკრიბა და პანაშვიდი გადაიხადა“. სამტრედიიდან იტყობინებოდნენ: „დღეს, 4 მაისს გადავიხადეთ ჩვენი ნიჭიერი მწერლის ნინოშვილის პანაშვიდი. განსვენებულის საფლავზე ვაგზავნით გვირგვინს“. ასეთივე ცნობები იყო ახალციხიდან, ფოთიდან, სენაკიდან, ოზურგეთიდან, ზესტაფონიდან, თელავიდან... მთელმა მშრომელმა საქართველომ მწუხარედ დაიტირა ნინოშვილი. „კვალში“ დაიბეჭდა ტერ-დავითიანის სიტყვა ე. ნინოშვილის შესახებ.

— „ეგნატე ნინოშვილი მე გავიცანი, შარშან „კვალის“ რედაქციაში, სადაც დავიწყეთ ლაპარაკი ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის შესახებ. იმას მოსწონდა ეს აზრი და უნდოდა კიდეც, რომ ქართველებსა და სომხებს ერთად ემოქმედათ თავიანთ საკეთილდღეოდ. იგი აქებდა „კვალის“ მიმართულებას, რომელმაც სომეხთა და ქართველთა ურთიერთობის კითხვა პირველად აღძრა. აი აქედამ შევიტყვე, რომ ეგ. ნინოშვილი ახალი მიმართულების კაცი იყო“.

(„კვალი“, 1894 წ №24).

დიდი სახალო გლოვით დაიტირეს ნინოშვილი, ოღონდ ნინოშვილის საფლავზე იჩინა თავი ორგვარმა პოზიციამ ნინოშვილის ადგილისა და მნიშვნელობის შეფასებაში. შემდეგ ეს დავა „ივერიასა“ და „კვალში“ იქნა გადატანილი და ცხარე ხასიათი მიიღო.

არიან მწერლები რომლებიც უკამათოდ იკავებენ შემოქმედებითა და საზოგადო მოღვაწეობით დამსახურებულ კუთვნილ ადგილს ლიტერატურის ისტორიაში. არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც მუდამ დავასა და კამათს იწვევენ მათთვის თანამედროვეთა მიერ მიკუთვნებული ამ ადგილის გამო. ამ უკანასკნელთა ბედში ყოფნა ერგო წილად ნინოშვილს. 1894 წელს, დაკრძალვის დღესვე მიაკუთვნეს ნინოშვილს საპატიო ადგილი, გამოაცხადეს რა „მესამე დასის“ მეთაურად ჩვენს მწერლობაში. ოღონდ მაშინათვე შეედავენ ამ ადგილის გამო ნინოშვილს და ეს დავა დღემდის გრძელდება. ამ დავაში ორი უკიდურესი ტენდენცია, ორი ასპექტი გაჩნდა:

ერთის მხრით ნინოშვილის გამოაცხადეს რა სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის მოძღვრად საქართველოში, რატომღაც დაუპირისპირეს იგი დიდი ილიასა და საერთოდ ნაციონალური ეროვნული მოძრაობის მეთაურებს. ამ ბრძოლამ ზოგიერთი „ურამარქსისტის“ ხელში მეტად მახინჯი ფორმა მიიღო. მაგალითად პეტრე გელეიშვილი 1909 წელს გაზეთში „ჩვენი აზრი“ აცხადებდა რა ეგნატე ნინოშვილს „მესამე დასელების“ მოძღვრად, რევოლუციური საქართველოს მეთაურად, იქვე მოითხოვდა „ილია ჭავჭავაძის საჯარო გასამართლებას, როგორც ხალხის მყვლეფელი მებატონისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის მტრისა საქართველოში“. სამწუხაროდ, ჩვენს დროშიაც — ოციან წლებში გავლენიან პირთა მხარდაჭერით კვლავ დაიწყო ნინოშვილის დროშით ილიას წინააღმდეგ ლაშქრობა. მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზთან ილიას სურათი მოხსნეს და მის ადგილს ნინოშვილისა დაჰკიდეს, ხოლო მწერალთა კავშირს ნინოშვილის სახელი უწოდეს. „ჩვენი ეგნატე — მათი ილია“... ეს მახინჯი შეცდომა იყო.

მეორე ბანაკმა ნინოშვილის წინააღმდეგ „ივერიაში“ დაწყებულ კამათს ასევე მახინჯი ფორმა მისცა. ისინი ნინოშვილის მთელს შემოქმედებას „არარაობად აცხადებდნენ, „ბელეტრისტად, მხატვრად“ არ თვლიდნენ. ასეთ რთულ ზიგზაგებში წარიმართა ნინოშვილისა და ილიას გამო ატეხილი დავა. ორივე ეს ასპექტი ორი უკიდურესობაა. 1934 წლიდან სწორ მარქსისტულ-მეცნიერულ გზაზე იქნა დაყენებული კლასიკოსების შეფასება. ამ ფაქტით აღფრთოვანებული ივანე ჯავახიშვილი წერდა: „საბედნიეროდ ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და უეჭველია მთელი საქართველო გულ-

ნრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობით ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილია ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია“ (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1936 წ., №153, 6 ივლისი). ობიექტური ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის ერთიანი საქართველოს მამაა, ხოლო ნინოშვილი მარქსიზმის მოძრაობის მიხედვით კლასებად დაყოფილი საქართველოს სათავეებთან დგას. ისე, როგორც „მესამე დასი“ იყო პირველი უჯრედი მარქსისტულ-სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა საქართველოში, ასევე ნინოშვილი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი, დამაარსებელი მესამე დასისა და ახალი მიმართულების — მესამე დასის მწერლობის დამწყები ქართულ ლიტერატურაში.

ცისფერი კომუნარები

I

ინდუსტრიული საქართველოს პირმშო — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური 1927 წლის 26 ივნისს დიდი ზეიმით გაიხსნა, სწორედ იმ დღეს ზაჰესის გახსნისადმი მიძღვნილ გაზეთ „კომუნისტის“ სადღესასწაულო ნომერში გამოქვეყნდა ალექსანდრე აბაშელის ლექსი — „თბილისის ღამეს“. ჩვენი ქრონიკის თავფურცელი ამ ნაწარმოებით გვინდა დავიწყოთ, რადგან ამ ლექსში ისმის უახლესი ისტორიის ხმა, მისი განიერი ფრთების შრიალი:

თბილისის ღამეს შიში სწვევია:
ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური, —
ავჭალას ცეცხლი შემოხვევია,
ანთებულ რკინის ისმის ხმაური.
დაირღვა ძილი და მყუდროება,
მიეცა ღამე ჟრიამულს უჩვევს,
ნაძვის სვეტები თეთრ ურდოებად
შემოესია თბილისის ჭუჩებს
და დაირაზმა შიშველ სვეტების
რკინის ფეხებზე შემდგარი ჯარი
დატყვევებული ცეცხლის წვეთები
რომ დაარიგოს მეტის სიჩქარით.
ის ავჭალიდან სინათლეს ელის
და მთელი ღამე არ დაიძინებს
შუშის კბილებით უპირავს ქსელი,
სადაც მორჩილი ელვა იდინებს.
როცა სვეტები გადაიქცევა
ათასი მთვარის ეშაფოტებად,
სნეული ჩრდილი ცად აიწევა,
იმატებს ღამის გაბოროტება.
ვერას გახდება — ბევრიც იბრძოლოს
და, რომ ინათებს დილა სისხამი
წავა და სადმე ქალაქის ბოლოს
თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე.

დიახ, სიბნელეს სძლია სინათლემ და სვეტიცხოველის გვერდით აღიმართა სვეტი სინათლისა — ზაჰესი — სიმბოლო ახალი საქართველოსი.

საბჭოთა საქართველოს ეს ისტორიული დღე ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა.

უკვე ოფიციალურად გაიხსნა ზემო ავჭალის ჰიდროელექტრონული სადგური, — წერდა „კომუნისტი“ 1927 წლის 29 ივნისის მოწინავე სტატიაში. — რას გვეუბნება ეს ფაქტი? პარტიის მიერ სამეურნეო აღმშენებლობაში აღებული გეზი, კურსი ინდუსტრიალიზაციისაკენ მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში... წინ კიდევ დიდი და საპასუხისმგებლო სამუშაო გვიძევს. ელექტროფიკაციას ჩვენში ბრწყინვალე მომავალი აქვს. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რომ კარგ ნიადაგზე დააყენოს ჩვენში ელექტროფიკაციის საქმე. ამით აიხსნება, რომ ზაჰესის გახსნის სწორედ მეორე დღეს საძირკველი ჩაეყარა უძლიერეს სადგურს ქუთაისში მდინარე რიონზე. ამით აიხსნება, ასე გამალებით რომ შენდება ჰიდრო-ელსადგურები აჭარისტანში, აბაშაში და სხვაგან“...

ზემო ავჭალის ზეიმმა ქუთაისში გადაინაცვლა...

28 ივნისს დილის 11 საათზე სპეციალური მატარებლით ქუთაისში რიონის ჰიდროელექტროსადგურის საფუძვლის ჩაყრაში დასასწრებად ჩავიდნენ მიხეილ კალინინი, მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, ლავრენტი ქართველიშვილი, გიორგი ყურულაშვილი და სხვები. სტუმრებს სადგურზე შეხვდნენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ერასტი ღვამიჩავა, მუშებისა და გლეხების მრავალრიცხოვანი დელეგაცია, სადგურზე იყვნენ აგრეთვე დილით ჩასული ინჟინრები ბესო ჭიჭინაძე, მელიქ-ფაშაევი და ჯორჯაძე.

სტუმრები ქუთაისიდან გაემგზავრნენ რიონში, სადაც დაათვალიერეს მომავალი საგენერატორო სადგურის ასაგები ადგილი...

საღამოს 5 საათზე კი ქუთაისიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით — ჰომის მიდამოებში დიდი ზეიმით საძირკველი ჩაეყარა რიონის ჰიდროელექტროსადგურს. მიტინგზე ილაპარაკეს მ. კალინინმა, ფ. მახარაძემ, მ. ცხაკაიამ, მ. ორახელაშვილმა, შ. ელიავამ, მუშებმა, გლეხებმა, ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

ხალხი ზეიმობდა სასიხარულო მოვლენას. მეორე დღეს კი აქ უნდა დაწყებულიყო ახალი შრომითი ცხოვრება. მშენებლებს არა მარტო რამდენიმე კილომეტრიანი არხი უნდა გაეყვანათ, არამედ რიონისათვის გეზი უნდა ეცვალათ საღორიისაკენ, რომ ელექტროსადგურის ტურბინები ებრუნებინა, რათა საქართველოს მთა და ბარი კაშკაშა სინათლით უფრო გაებრწყინებინათ.

ფერების ამ ზეიმამდე კი დიდი და ძნელი გზა იყო სავალი. უნდა ეშოვნათ მუშახელი, მისთვის აეგოთ საცხოვრებელი ბინები, მოეწყოთ სასადილოები; მშენებლობა ხე-ტყით, აგურით, რკინით, ცემენტით, ტრაქტორ-ექსკავატორებით მოემარაგებინათ; ეზრუნათ ტრანსპორტისათვის, სასმელი წყლისათვის, სამედიცინო მომსახურებისათვის,

დღე და ღამ ემუშავათ. დღე და ღამ ებრძოლათ, რომ ელექტროსადგური დროზე აეგოთ. ქართველ მშენებლებს ზაჰესზე მიეღოთ ამის გამოცდილება. და აი თბილისიდან ქუთაისისაკენ დაიძრნენ საბარგო მატარებლები. იქაურ სადგურში ყოველ ცისმარე დილას ჩადიოდა ეშელონები, ვაგონები. მოჰქონდათ ხე-ტყე, საშენი მასალა, დაშლილი ხის ბინები, მოჰქონდათ ყველაფერი, რაც ადრე ზემო ავჭალაში გამოიყენეს და ახლა რიონჰესზე უნდა განეგრძო კეთილი სამსახური. ბარით, ნიჩბით, ურიკით შეიარაღებული მუშა და გლეხი, ტექნიკოსი და ინჟინერი ახლა ზაჰესიდან რიონჰესისაკენ მიეშურებოდნენ, რათა რიონის პირას დაეკრათ პირველი ბარი და მას ისეთივე სიხარული მოეტანა ინდუსტრიულ საქართველოში, როგორც ზემო ავჭალის საოცრებამ მოუტანა ქართველ ხალხს.

ახალ ხანაში შედიოდა საქართველოს იდუსტრიული მშენებლობა, ხელით მუშაობას ნელ-ნელა ტექნიკა ენაცვლებოდა.

...1927 წლის 27 აპრილს სსრ კავშირის საგეგმო კომისიის სხდომის დადგენილებით რიონჰესის მშენებლობის პირველი წლის სამუშაოებისათვის გამოიყო სამასი ათასი მანეთი. პროექტის მიხედვით სადგურის აგება უნდა დამჯდარიყო 13 მილიონი მანეთი და იგი მწყობრში უნდა ჩამდგარიყო 1930 წლის პირველ ოქტომბერს. საბჭოთა მთავრობამ რიონჰესისათვის შეკვეთები მისცა უცხოეთის ფირმებს, ხოლო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროფიკაციის განყოფილებამ დაიწყო საჭირო მოწყობილობების სიის დაზუსტება. საკავშირო მთავრობამ ამისათვის სახსრები არ დაიშურა, დიდძალი უცხოური ვალუტა გამოჰყო.

1927 წლის 19 აგვისტოს რიონის ჰიდროელსადგურის სამშენებლო კომიტეტმა გამოაქვეყნა ასეთი ცნობა: დაიწყო მთავარი სადგურისა და სხვადასხვა მსხვილი ნაგებობის ასაგები ადგილების დაწვრილებითი დაგეგმვა, დასრულდა გეოლოგიური გამოკვლევები სადგურის ტერიტორიაზე. წარმოებს ჰიდროელსადგურის ასაგები ტექნიკური პროექტის დამუშავება, რაც 1 სექტემბერს დამთავრდება, უკვე გაყვანილია რკინიგზის ჩიხი. მუშებისათვის აშენდა 10 ფინური ბინა. შემდეგ ცნობაში მითითებული იყო: „წინ უფრო მეტი და ძნელი სამუშაოებია. წყლის საგუბარი უნდა გაკეთდეს ჭომაში. იქიდან ორ ადგილას გაიჭრას მთა და გაკეთდეს გასაყვანი გვირაბი — სიგრძით ორნახევარი კილომეტრი, შემდეგ არხი მიიღებს მიმართულებას საღორიისაკენ და რიონის სადგურთან დაეშვება დაბლა, სადაც მოეწყობა ხელოვნური წყალვარდნილი, სიმაღლით 60 მეტრამდე. აქვე გაკეთდება ელსადგური... „ნოვოროსცემენტს“ შეკვეთილი აქვს მილიონი ფუთი ცემენტი, საკავშირო სინდიკატის — 60 ათასი ფუთი რკინა“...

უთვალავი მუშაკაცი შეესია მშენებლობას, დაიწყო დაძაბული შრომითი ცხოვრება ქუთაისთან, რიონის პირას...

II

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მაგიდას სამნი უსხდნენ და ცხარე კამათი ჰქონდათ. ამათგან ერთი იყო საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ანდრო კოკათელი, მეორე — რიონჰესის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და მშენებლობის მთავარი ინჟინერი მირზა ქებურაძე, მესამე მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე ნოდარ ნებიერიძე. რიონჰესის მშენებლობამ განსხვავებული ხასიათის, ბიოგრაფიისა და შეხედულებების ეს სამი ადამიანი ერთად შეჰყარა...

მირზა ქებურაძე ქუთაისელი ყოფილი დიდვაჭრის შვილი იყო და პეტერბურგი სამთო-საინჟინრო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ნოდარ ნებიერიძეც ასევე ქუთაისელი იყო, ცნობილი იურისტის შვილი, მას საინჟინრო განათლება ხარკოვის უნივერსიტეტში მიეღო. მერე ორივე ეს ქუთაისელი ინჟინერი ერთხანს გერმანიაში ერთად სწავლობდა. 1918 წელს საქართველოში დაბრუნდნენ და ერთი წელი თურქეთის ფრონტზე ერთად ომობდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჭიათურის მარგანეცის კანტორაში მუშაობდნენ რიგით ინჟინრებად. მაგრამ აი დაიწყო თუ არა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი დიდი ელექტრომშენებლობის—ზაჰესის დაპროექტება, ორივენი თბილისში გაიწვიეს და ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში ჩააბეს... ზაჰესის მშენებლობა ჯერ არც დამთავრებულიყო, რომ ინჟინრების ორ ჯგუფს მიენდო რიონჰესის პროექტის შეღგენა. ერთ ჯგუფს მელიქ-ფაშაევი და მირზა მეთაურობდნენ, ხოლო მეორე ჯგუფის მონაწილე ინჟინერი ნებიერიძე იყო. მოხდა ისე, რომ საბოლოოდ მელიქ-ფაშაევის პროექტი დაამტკიცეს და საქმეს რიონჰესმშენკომიტეტთან ერთად ამ პროექტების ავტორები ჩაუყენეს სათავეში. მირზამ თავის ძველი მეგობარი ნოდარი მოადგილედ აიყვანა, მაგრამ პირველი ბზარი მათ შორის სწორედ მშენებლობის პროექტის ნიადაგზე გაჩნდა. შემდეგ მდგომარეობა თანდათან დაიძაბა და ვითარება უფრო გართულდა. სწორედ ამ დროს დაინიშნა ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნად ანდრო კოკათელი...

ანდრო სულ სხვა ბიოგრაფიის კაცი იყო. მან საოცარ სიღარიბესა და სიღატაკეში დაასრულა ჰუმანიტარული ტექნიკუმი და ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში გადაწყვიტა შესვლა. თბილისში მისი უფროსი გათხოვილი და ცხოვრობდა და იმედი ჰქონდა, თუ უნივერსიტეტში მოეწყობოდა, ბინას დასთან დაიდებდა და

დაუმადლებელი ლუკმაპურიც ექნებოდა. ანდროს და ცაბუ შეძლებულ კაცს ჰყავდა ცოლად, ბანძელი ფაღავას — სახელგანთქმული იურისტის შვილს. მას იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული და ახლა თბილისში უმაღლესი სასამართლოს პალატაში მუშაობდა. უშვილო ცოლ-ქმარი სოლოლაკში ცხოვრობდა. თბილისში გამომგზავრებულ ანდროს დის მისამართი გულის ჯიბეში ედო და ეგონა, სულ ადვილად მივაგნებო, მაგრამ მოტყუვდა. ვაგზალზე მატარებელი რომ გაჩერდა, იმდენი ხალხი აირია ერთმანეთში, ჩამოსულნი თუ დამხვდურნი, დაიბნა არ იცოდა, საით დასდგომოდა გზას. ბედზე იქვე ნაცნობი შეხვდა და მისი დახმარებით მიაკვლია დის ბინას. მისი ჩამოსვლით გახარებული ცაბუ ცას ეწია, მხურვალედ გადაეხვია დიდი ხნის უნახავ ძმას და სიყვარულით გამოიკითხა მშობლების, დების, ძმების ამბავი.

მორთულ-მოკაზმული ბინა-დარბაზები რომ იხილა, სწავლამოწყურებულ ანდროს იმედი მოემატა: ასეთი შეძლებულია და, ალბათ, არც არაფერს დაიშურებსო, გაიფიქრა. სადილისათვის სამსახურიდან მოსულ მექის გაეხარდა ცოლისძმის ნახვა, მით უფრო მას მერე, როცა ჩამოსვლის მიზეზი შეიტყო. იქვე სადილობისას გადაწყდა, ანდროს უნივერსიტეტში ხვალვე სიძე წაიყვანდა.

მეორე დღეს გიორგი ახვლედიანს მექიმ დიდი ამბით წარუდგინა ცოლისძმა. მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი გიორგი ახვლედიანი გულღიად შეხვდა ძველ ნაცნობს და იმავე დღეს ანდრო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტად ჩარიცხეს. ანდრო გატაცებით ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანის ლექციებს, ყოველ მათს სიტყვას რვეულში იწერდა და მერე შინ დაბრუნებული გულმოდგინედ აკონსპექტებდა. ერთი კვირაც არ გასულიყო, რაც სწავლას შეუდგა, მაგრამ ამ რამდენიმე დღეში ბევრი რამ გაიგო და მოისმინა. სწავლის მხრივ ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ სტუდენტთა წრეში იყო დიდი მღელვარება. ზოგი თურქეთის ფრონტზე მიდიოდა მოხალისედ, ზოგი მენშევიკების საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობდა. ანდრო ყველაფერს აკვირდებოდა, ახალ ამბებს ხარბად ისრუტავდა, სწავლობდა, ფიქრობდა. ცდილობდა გაერკვია, ვის მხარეზე იყო სიმართლე.

ამასობაში ის წელიც მიიწურა და მარტში ახალი სემესტრი დაიწყო. სწორედ ამ დროს შეიტყო ანდრომ, რომ მომავალ კვირას თბილისის უნივერსიტეტის შენობაში სპარტაკელების პირველი კონფერენცია ეწყობოდა. ცნობისმოყვარე ანდრო ახლა ამით დაინტერესდა. 1919 წლის 31 მარტს—2აპრილს მოეწყო ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა თბილისის ორგანიზაციის არალეგალური კონფერენცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დედაქალაქისა და საერთოდ საქართველოს კომკავშირს. ანდრო მეგობრების დახმარებით დაესწრო

კონფერენციას. იქ ბორის ძნელაძეს გაეცნო და საგანგებო რეკომენდაციით ჩარიცხეს სპარტაკელთა წრეში. ანდრომ სულ მალე გამოიჩინა თავი: 1922 წელს დაასრულა თუ არა თბილისის უნივერსიტეტი, კომკავშირულ სამუშაოზე გაიწვიეს და საქართველოს კომკავშირის ცეკას განყოფილების გამგედ დანიშნეს, ხოლო ერთი თვის შემდეგ ორი წლით გერმანიაში გაგზავნეს სამეცნიერო მივლინებით. გერმანიიდან დაბრუნებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად დანიშნეს. მერე პარტიის ცაგერის რაიკომის მდივნად, ხოლო 1928 წელს ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. აი აქ შეხვდნენ პირველად ერთმანეთს ანდრო, მირზა და ნოდარი. დღევანდელი ეს ცხარე კამათი ქალაქკომში რიონჰესს ეხებოდა. მთელი რესპუბლიკისა და, ცხადია, ქუთაისის ყველაზე დიდი ობიექტი ამჟამად რიონჰესის მშენებლობა იყო. ახლად არჩეულმა ქალაქკომის მდივანმა პირველი დღიდანვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი მშენებლობის მწვავე პრობლემათა გადაწყვეტას. მაგრამ სიძნელე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. უსხდნენ ახლა ეს სამნი მაგიდაზე გაშლილ პროექტს და ყოველ დეტალს ჩაჰკირკიტებდნენ. მათ წინ ედოთ გაზეთი „კომუნისტი“, რომელშიც ანშლაგით იყო გამოყოფილი: „ელექტროფიკაცია“. „ქუთაისის ჰიდროელექტროსადგური“. მასში, კერძოდ, ნათქვამი იყო:

„ტექნიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ამ სადგურისა და ადგილობრივ ეკონომიაზე და განსაკუთრებით ჭიათურის ინდუსტრიალიზაციაზე მეტად დიდია. ეს გარემოება გაითვალისწინა საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ, რომელმაც მოისმინა მელიქ-ფაშაევის მოხსენება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მდინარე რიონის წყალმოცულობა მეტია, ვიდრე მდინარე მტკვრისა, ამიტომ რიონი შეიძლება ფართოდ გამოყენებულ იქნეს ელექტროფიკაციისათვის, რიონის საერთო სიმძლავრე 500 ათასი ცხენის ძალაა.

მდინარე რიონის გამოყენება რკინიგზის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციოდ განზრახული იყო ჯერ კიდევ ომამდე — 1913 წელს. პროფ. ბახმეტიევის მიერ შედგენილი იყო ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომლის მიხედვით მაშინდელი გზათა სამინისტრო 1913-1914 წლებში აწარმოებდა რიონის დაწვრილებით გამოკვლევას. მუშაობის დაწყებას ხელი შეუშალა იმპერიალისტური ომის დაწყებამ... შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ფერომარგანეცის კომისიის წევრის პროფ. ლიუდინის პროექტზე და თავის ორ ვარიანტზე, რომელიც შემუშავებულია ამ პროექტის დასამტკიცებლად. პროფ. ლიუდინის პროექტი ითვალისწინებს მდ. რიონის და წყალწითელას გამოყენებას ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. ამ პროექტის მიხედვით სადგურის სიმძლავრე იქნება 41 ათასი ცხენის ძალა. ინჟინერ მელიქ-

ფაშაევის ვარიანტი ეყრდნობა ლიუდინის იმავე პროექტს, მაგრამ რამდენიმე შესწორება შეაქვს მასში, რომლის მიხედვით სადგურის სიმძლავრე იქნება 62 ათასი 400 ცხენის ძალა".

შემდეგ წერილი მიუთითებდა, რომ ლიუდინის პროექტის მიხედვით სადგურის აგება დაჯდება 12 მილიონი მანეთი, მელიქ-ფაშაევისა კი საგრძნობლად ამცირებს ამ თანხას. კრების თავმჯდომარემ ბესო ჭიჭინაძემ საბოლოო სიტყვაში ძხარი დაუჭირა მელიქ-ფაშაევის პროექტს.

ამ ცნობას ახლა მერამდენედ უკითხავდა ანდრო ორივეს და თან ედავებოდა: აი ამის შემდეგ დიდხანს წარმოებდა იმ პროექტის გარშემო მუშაობა, რომელიც ახლა მაგიდაზე გვიდევს, მაგრამ, სამწუხაროდ, საბოლოო ვარიანტი დღესაც არა გვაქვს. აი ძირი იმ დაბრკოლებისა, რაც აფერხებს საქმის გეგმაზომიერად წარმართვასო. ნებიერიძე დუმდა, ანდრო კი პროექტს იცავდა: — პროექტი კი არ არის მიზეზი, ქუთაისის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ასე დიდი სიძნელეების წინაშე რომ დგასო დღეს, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელიც ჩვენს უბნებზე გავაპიროვნეთ, მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდაო. დავას ბოლო არ უჩანდა...

●

თბილისში პეტროგრადიდან ახლად დაბრუნებული მირზას სახელი სწრაფად გახმაურდა. ველიამინოვის ქუჩაზე №18 სახლის მცხოვრებლებმა შეიტყვეს თუ არა ახალი მდგმურის ვინაობა, ყურები ცქვიტეს და ალაპარაკდნენ. მერე ქუჩას მოედო მისი ამბავი, სულ მალე კი ლამის მთელი ქალაქიც ალაპარაკდა. ზოგი სილამაზესა და ახოვანებას უქებდა, ზოგი ზრდილობას და თავაზიანობას, ზოგიც ნაკითხაობასა და განათლებას. ახლა იმ სახლში, სადაც მირზამ დაიდო ბინა, ტექნიკური ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იყრიდა თავს.

ვ. ი. ლენინმა საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია სოციალიზმის აშენების მთავარ პირობად გამოაცხადა და ამ დარგს მიაპყრო ქართველი კომუნისტების მთავარი ყურადღება. საქართველოს ხომ ამისათვის საუკეთესო ბუნებრივი პირობები ჰქონდა: მთებიდან დაქანებული დიდი და ჩქარი მდინარეები იყო ელექტროობის უხვი ბუნებრივი წყარო და ბაზა.

და აი საბჭოთა საქართველო გოელროს გეგმით პირველი დიდი ელექტროსადგურის აგებას შეუდგა ზემო ავჭალაში. მშენებლობის ამბავი სწრაფად გახმაურდა, იქით დაიძრა მთელი საქართველო — თვით საქმე იყო ახალი და მიმზიდველი. შეიქმნა ზაჰესის სამშენებლო კომიტეტი 14 წევრისაგან. კომიტეტს თვითონ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

შალვა ელიავა ჩაუდგა სათავეში. სამუშაოთა უფროსად ზაჰესის კომიტეტის წევრი ინჟინერი ბესო ჭიჭინაძე დაინიშნა, სამუშაოთა უფროსის თანაშემწედ — მელიქ-ფაშაევი. სამუშაოთა მწარმოებლად ბესარიონ ჭიჭინაძემ თავისი ნაცნობი ინჟინრები მირზა ქებურაძე და ნოდარ ნებიერიძე გამოიწვია...

ის სახლი, სადაც მდგმურად იდგა მირზა, ეკუთვნოდა ბათუმიდან თბილისში გადმოსახლებულ ბერძენს დოქსოპულოს, რომელსაც უმაღლესი ეკონომიური განათლება პარიზის სორბონის უნივერსიტეტში მიეღო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ამ ბერძენს საწარმოები თბილისსა და ბათუმში ჩამოართვეს, მაგრამ როგორც კარგი სპეციალისტი, საქართველოს ვაჭრობის კომისარიატში საქონელმცოდნედ დანიშნეს. ამ დოქსოპულოს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა — თინა. მირზა რომ მათ მდგმურად დაუდგა, იმ წელს თინა ჰუმანიტარულ ტექნიკუმს ამთავრებდა და ტოლ-მეგობრებით გართულს არც კი მიუქცევია მისთვის ყურადღება. მამამისმა და მისმა მეუღლემ ქართველმა ქალმა სოფიომ მაშინვე დიდი პატივი მიაგეს მთავრობაში მიღებულ ინჟინერს და ყოველი წვეულებისას პატიჟებდნენ ახალ მდგმურს. ხან ხილსა და ხან რას ხშირად თინას ხელით შეუგზავნიდნენ ხოლმე. გაღიმებული მირზა მადლობით ისტუმრებდა პატარა დიასახლისს. მერე მოხდა ისე, რომ საქმეში ყელამდე ჩაფლულს მაინც გულში ჩაუვარდა საოცრად ლამაზი ცისფერთვალება თინას სიყვარული. კოხტა, ხორცსავსე თინას ოდნავ შეზნექილი ვიწრო წელი გამხდარს აჩენდა. ჰქონდა ხორბლისფერი სახე, ფერმკრთალი, ამობურცული ლოყები, პატარა, მაგრამ სქელი და ხორციანი ტუჩები, სწორი, მოკლე ცხვირი. თეთრი, ერთმანეთზე მიჯრილ კბილებს მისი ლამაზი ბაგეები შუაზე გაეპო და ღიმილით აღევსო.

პირველ დღეებში მდგმურის გადაკრულ სიტყვებს არად აგდებდა განებივრებული ქალიშვილი. თანაკლასელი ვაჟი მოსწონდა და ამიტომ გულგრილი იყო ასაკით მასზე უფროსი ინჟინრის მიმართ.

იმ მაისს თინამ ტექნიკუმი დაამთავრა და ამის აღსანიშნავად თანაკლასელები მასთან შეიკრიბნენ. გაჩირაღდნებული დიდი და ძველი დარბაზი ახალგაზრდებმა აავსეს. მასპინძლებმა მირზა მიიწვიეს. მირზამ ელეგანტური ქცევით, გონებამახვილი სადღეგრძელოებითა და ცეკვით ყველას ყურადღება მიიქცია. ახლა მასთან ცეკვისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ქალიშვილები. ყველაზე მეტად ნანული გელოვანი აქტიურობდა. ერთხელ კიდეც უჩურჩულა თინას, ეს რა ლამაზი და განათლებული მდგმური გყოლიაო. თინამ თითქოს ახლა შენიშნა ეს საოცრად მომხიბლავი კაცი და პირველად მის სიცოცხლეში შურით შეხედა თანატოლებს, რომლებიც ასე აშკარად ელაციცებოდნენ ინჟინერს.

ის დღე იყო და ის, თინას გული ერთბაშად დაიპყრო გამოუცნობმა და ძლიერმა გრძნობამ. რა იყო ეს — სიყვარული თუ შური, რომ მის მეგობარ ქალიშვილებს არ მოეტაცნათ მისი ლამაზი მდგმური, რომელსაც ახლა წარამარა რაიმე საბაბითა თუ უმიზეზოდ თითქმის ყოველდღე აკითხავდნენ? თინა ახლა ყოველნაირად ცდილობდა, რომ უკვე არავინ მიჰკარებოდა მირზას და თავად ყოველ საღამოს შინ დაბრუნებულს მოიკითხავდა ხოლმე. მერე და მერე ისე გაუშინაურდა, ოთახში დაუკითხავად შედიოდა და სულმოუთქმელად უყვებოდა ცისას და ბარისას. მირზა სიამოვნებით უსმენდა და უკვირდა, ასე ერთბაშად ეს ცელქი გოგონა სერიოზულ ქალიშვილად რამ აქციაო.

მირზას ხშირად აკითხავდნენ ნაცნობი ქალიშვილები და თინა ამის გამოც ღელავდა. სტუმრის წასვლას სულმოუთქმელად ელოდა, რომ მყისვე შევარდნილიყო და წვრილად გამოეკითხა: ვინ არის, რისთვის მოვიდა და რა სურდაო. მირზა გრძნობდა, ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა არ არისო, და გულის სიღრმეში უხაროდა, რომ მასზე ეჭვიანობდა ეს 18 წლის მომხიბლავი ქალიშვილი. არა, სიყვარულმა ერთბაშად დააქალა თინა და თან უფრო ლამაზი გახადა იგი მირზას თვალში. მოუცლელი ინჟინერი საათობით სიამოვნებით უსმენდა საყვედურნარევ სიტყვებს და სიხარულით არ იცოდა რა ექნა, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ მივარდნოდა და არ გადახვეოდა.

სიყვარულმა სრულიად შეცვალა ეს დინჯი და საქმიანი კაცი, თუმცა ზემო ავჭალის მშენებლობის საქმეში ისე იყო ჩაფლული, რომ ახლა თითქოს არავისთვის და არაფრისთვის არ ეცალა. უთენია მოადგებოდა ფორდის საკმაოდ დაძველებული შავი მანქანა და გზას გაუდგებოდა მცხეთისაკენ. მზის ამოსვლას ასწრებდა იქ მისვლას და მთის წვერიდან მისი გუმბათი რომ გადმოაჭყიტებდა, ის უკვე ხარაჩოებზე იდგა და განკარგულებას იძლეოდა. ასე იყო ყოველდღე.

ერთ კვირა დღეს ბერძენის ოჯახი მშენებლობის დასათვალიერებლად მიიწვია. თინას დედა წინ, მძღოლის გვერდით დასვა. თინა და მამამისი გვერდით მოისვა უკანა სალონში. ზემო ავჭალაში მისვლამდე მირზამ მშენებლობის მთელი ისტორია გაბმით მოუთხრო.

მანქანა იქ შეჩერდა, სადაც საგუბარი უნდა შექმნილიყო და არხი იწყებოდა. ხომ უქმე დღე იყო, მაგრამ მშენებლობა მაინც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მირზას არხის მშენებლობის უფროსი შეეგება და შესჩივლა, ხალხი გვაკლიაო. დღეს ასოცამდე კაცი მუშაობს, ჩვენ კი ორასი მაინც გვჭირდებაო. მირზამ შეწუხებული ტექნიკოსი დააშოშმინა: ხვალ გორიდან შეგვპირდნენ ას კაცს, აუცილებლად მოვლენო. ესა თქვა და სტუმრებს მიუბრუნდა, ახსნა-განმარტებას შეუდგა. თინა გულდასმით უსმენდა და გაოცებული აკვირდებოდა თხრილში ჩადგარ წელზეშოთ შიშველ, მზისგან გარუჯულ ახალგაზრდა მუშებს.

თბილისში მეჯლისების, საღამოებისა და სკოლის გარდა ბევრი არაფერი ენახა და ახლა ამ მიწას შეჰიდებულ ვაჟკაცებს, ამ გრანდიოზულ მშენებლობას თვალი რომ მოავლო, განცვიფრებული იხედებოდა გარშემო. თან გულის სიღრმეში ამაყობდა, რომ მირზას ასე პატივითა და მოწიწებით ხვდებოდნენ, რა სწრაფად და რწმენით იძლეოდა მითითება-განკარგულებებს. თითქოს ახალ სამყაროში აღმოჩნდა, თვალებს ვერ აშორებდა ბარითა და ნიჩბით არხში დატრიალებულ შავტუხა ბიჭებს. მირზამ სტუმრები არხის გასწვრივ წაიყვანა და ინჟინერი რომ შენიშნეს, მუშები შეჩერდნენ, თავაზიანად მიესალმნენ მშენებლობის სახელგანთქმულ ხელმძღვანელსაც და მის თანმხლებთაც. თან თინას მიაჩერდნენ მისი სილამაზით მოხიბლულები. თინამ ეს უთვალავი ანთებული თვალები რომ შენიშნა, ესიამოვნა ასეთი აღტაცება რომ გამოიწვია მისმა გამოჩენამ. ფუფუნებასა და ნებივრობაში აღზრდილი ქალიშვილი ამაყი იყო და პატივმოყვარე. ქალაქში პატარა ქალბატონად მოჰქონდა თავი. და ახლაც მისდამი მიმართული აშკარა მზერა ყმაწვილკაცებისა ღირსეულად შეიფერა...

მირზამ პატივსაცემ სტუმრებს იქაურობა დაათვალიერებინა და მერე სვეტიცხოველს მიაშურეს. სვეტიცხოველი სავსე იყო მლოცველებითა და ტურისტებით. ფართო ეზო ვერ იტევდა ხალხს. თინა პირველად იყო სვეტიცხოველში. სიონის შემდეგ თითქოს არ უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ ისედაც აღტაცებული ქალიშვილი ამ წმინდა ადგილის ნახვამ უზომოდ გაახალისა. მირზა უჩვეულოდ აღგზნებული, რომანტიკული გატაცებით ჰყვებოდა სვეტიცხოველის ისტორიას. თინა მის ყოველ სიტყვას და იქაურობას ისე განიცდიდა, ვით საკვირველებას პირველად ხილულს.

ბოლოს კი მირზამ მცხეთის დუქანში გულუხვი სუფრა გააშლევინა მედუქნეს. თამადა თვითონ იყო და მშვერმეტყველებით, მოსწრებული სიტყვაპასუხით, ხალისიანი საუბრით უფრო გაართო სტუმრები. თინამაც და მისმა მშობლებმაც კარგად შენიშნეს, რა თავაზიანად, მოწიწებით ესალმებოდნენ მირზას დუქანში შესულები, სიამოვნებით მოისმინეს, როცა სხვა სუფრასთან მსხდომებმა ადღეგრძელეს ინჟინერი და მთლად გაიბადრნენ.

თბილისში გვიან საღამოს დაბრუნდნენ. კირიაკი, ეს ბევრის მომსწრე და მნახველი ბერძენი, მღელვარებას ვეღარ ფარავდა: — არა, მე ყველაფერი რასაც გაზეთში წერდნენ, ბოლშევიკური პროპაგანდა მეგონა! ეს რა სასწაული ვნახე! ეს უბრალო ხალხი რა ხალისითა და მონდომებით მუშაობს მამაპაპური ბარით, ნიჩბით, ურიკებით... არა, კომუნისტები ნამდვილად ქვეყანას გადააბრუნებენ, ყველაფერს შეცვლიან! — შინ უზიარებდა თავისიანებს შთაბეჭდილებას. ახლა მირზას გამო აღტაცებული სოფიო არავის აცლიდა ლაპარაკს. ყველაზე

მეტად მაინც თინა იყო აღტაცებული და ასე თითქმის მთელი ღამე ოჯახის საუბრის საგანი ზაჰესი და მირზა იყო: ეს ჭკვიანი, ლამაზი, ახოვანი, მომხიბვლელი მდგმური...

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის საზეიმოდ გახსნის წინ, 1926 წლის სექტემბერში, მირზა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახეს და რიონჰესის მშენებლობის კომიტეტის უფროსის მოადგილედ დანიშნეს. ნოდარ ნებიერიძე მირზას წინადადებით მის მოადგილედ დაამტკიცეს.

იმავე საღამოს ისე უეცრად და მოულოდნელად გაემგზავრა სხვა ქალაქში სამუშაოდ, რომ მარტო გამომშვიდობების პატარა ბარათი დაუტოვა ბერძნების ოჯახს, თბილი მოკითხვა-სინანულის სიტყვებით აღსავსე.

ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად თინა ააღელვა. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ეჰვიც ჩააწვეთეს: იმ დღეს მეზობლის ქალიშვილმა ქალაქში გავრცელებული ამბავი წვრილად მოუთხრო: თქვენს მდგმურს ქუთაისში გელოვანის ქალიშვილი წაუყვანიაო, აქ შენს თვალწინ მოსვენებას რომ არ აძლევდაო.

— არა, უცნაურია, სწორედ რომ უცნაური, როდის მოასწრეს ამდენად დაახლოება? — თავის მხრივ ვითომც სინანულით დაუმატა მეზობლის ქალიშვილმა.

მთელ იმ ღამეს თინას თვალი არ მოუხუჭავს. მოსვენებადაკარგული, ნერვებაშლილი დადიოდა ოთახში და თავისთვის ჩურჩულებდა: ნუთუ ყველაფერი მართალია, ნუთუ ეს განათლებული ინჟინერი და ამ ოჯახში გაღმერთებული კაცი არა მხოლოდ ორპირი და მატყუარა ყოფილა, არამედ დახელოვნებული არტისტიც? განა ეს თვალთმაქცი, მატყუარა იმ დღეს მცხეთაში მთელ ოჯახს არ გვიმტკიცებდა ერთგულებას, კაიკაცობას, სიყვარულს? ჰო, სიყვარულს, იმის მერე ასეთი რა მოხდა? როგორ გამოეპარა ასეთი მუხანათობა? არა, აქ რაღაც სხვა ამბავია. მაინც რა უცნაურად ამეკვიატა ის გელოვანის ქალი. ჯერ იყო და ჯგუფში არ მასვენებდა იქ თანაკლასელს მეცილებოდა, მერე აგერ ოჯახში არ მომადგა? ჩანს, ძალიან გვიან, გვიან გავიღვიძე. ან იქნებ თვითონ მირზამ ითხოვა ქუთაისში გადასვლა, რომ ჩვენს ოჯახს ჩამოშორებოდა და ცეკასაგან გაგზავნა უასიდად შოიგონა, ფანდი იხმარა? იქნებ გელოვანის ქალიშვილი უყვარდა და მე მაბრიყვებდა. დამცინოდა, ჩემი მიამიტობით ერთობოდა, გულში კი სხვა ედო? ფიქრები, მწველი ფიქრები ტვინს უბურღავდნენ თინას და მაინც ერთი დალაგებული განმარტება მირზას ამ საქციელისათვის ვერ ეპოვნა. წუხდა, ბორგავდა მთელი ოჯახი. ღამეები არ ეძინათ შვილის უოფით აფორიაქებულებს... ის კი არა და არ ჩანდა.

მირზა კი ჩვეული მონდომებითა და გატაცებით შეუდგა ახალ საქ-

მეს. რიონჰესის ელექტროსადგურის მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს ავადმყოფობა მიეძალა და მუშაობის მთელი სიმძიმე მირზას დაწვა. გამოცდილმა, ენერგიულმა, მცოდნე მირზამ ერთბაშად გაიშინაურა ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშები და მოსამსახურეები. დილის შვიდ საათზე დგებოდა, უბანზე მუშებს ასწრებდა მისვლას, სწრაფად აზუსტებდა დღის სამუშაო გეგმას, ამოწმებდა წინა დღის გაკეთებულს, ყოველივეს გულდასმით აკვირდებოდა, ვის რას მოუწონებდა და ვის რას დაუწუნებდა, მაინც ყველასთან საერთო ენას პოულობდა და კონტაქტს სწრაფად ამყარებდა, ამასობაში ისე გაიარა სამმა თვემ, თითქოს სამი დღე ყოფილიყოს.

მუშაობით ასე გატაცებულს დრო და დრო გამოუცნობი სევდა მაინც შემოაწვებოდა ხოლმე, განსაკუთრებით საღამოობით. მარტო დარჩენილს, მწარე ფიქრები ეძალებოდა, მაგრამ მთელი დღის ორომტრიალით დაღლილ-დაქანცულს მალე ძილი ერეოდა და გათენებისას კვლავ თავდავიწყებით ეძლეოდა საქმეს.

იმ ღამეს როგორღაც ადრე დაბრუნდა შინ და დაწვა, ერთი გემრიელად გამოვიძინებო. მაგრამ აი ბედი — დაწვა და ძილი მყისვე გაუქრა. დიდხანს იწრიალა ლოგინში, მერე წვალებით ჩაძინებულს თინა გამოეცხადა. იდგა მის წინ გაბუტული ქალიშვილი, საყვედურით სავსე ცისფერი თვალებით მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა. ასე უზომოდ შეწუხებული რომ ნახა, გაოცდა, სულმოუთქმელად ჰკითხა: „რა მოხდა?“ ქალი ვაჟს მიაჩერდა და პატარა ბავშვივით აღრიალდა. ისევ ხმა გაიღო მირზამ და კვლავ გაიმეორა კითხვა: — „რა მოხდა, რამ შეგაწუხა?!“ მისკენ გაიწია, მოუნდა მოფერებოდა სასურველ არსებას, ის იყო ხელები გაშალა, და მოჩვენებაც გაქრა. გამოეღვიძა შეშფოთებულს. თითქოს ახლა მიხვდა, რაც აწუხებდა და მოსვენებას უკარგავდა...

მეორე დღეს ჩვეულებრივზე ადრე მიაშურა სამუშაოს, ნებიერიძეს დავალებები მისცა და ბოლოს უთხრა: თბილისში მივდივარ, შეიძლება რამდენიმე დღე შემაგვიანდეს, აქაურობისა შენ იციო, და თბილისისაკენ გამოსწია მანქანით. შუაღამე იყო, როცა ძველ ბინას მიადგა. ეზოს კარი დაკეტილი დაუხვდა. მანქანამ სიგნალი მისცა და მალე კარი სახლის პატრონმა გაუღო. აღტაცებულმა კირიაკმა ისე ხმამაღლა იყვირა, მირზა მოვიდაო, რომ მთელმა ეზომ გაიგონა. კირიაკი მამასავით გადაეხვია მირზას და შინ მიიპატიჟა: ნამგზავრი მშიერი იქნებიო და ვახშამი შესთავაზა. თვითონ წინ გაიჭრა და თინა და მეუღლე გამოაღვიძა, მირზას მოსვლა ამცნო. ისინიც, რა თქმა უნდა, მყისვე წამოიშალნენ უზომოდ გახარებულები.

მალე სუფრა გააწყვეს და მირზას შემოსვლას მოუთმენლად დაელოდნენ. ფრთხილ დაკაკუნებაზე კარი თინამ გააღო. გააღო და გონ-

დაკარგული ბავშვივით კისერზე ჩამოეკიდა და ლოყაზე აკოცა. გრძნობამორეული ლუღლუღით ამბობდა: არა, ისე როგორ წახვედით, რომ არც კი შეგვატყობინეთ, ეს როგორ იქადრეთო. ტუქსავდა და თან ხელში ჩაფრენილი სუფრისკენ ეწეოდა. ცოლ-ქმარიც ალერსიანად შეეგება სანატრელ სტუმარს. მირზამ ბოდიში მოიხადა, რა ვქნა, ისე სასწრაფოდ მომიხდა ქუთაისში გამგზავრება, თქვენთან გამოთხოვება ვერ მოვახერხე, ბარათით ხომ გთხოვეთ პატიებაო. ის იყო ვახშამს მიუსხდნენ და ერთბაშად ყველამ იპოვა სათქმელი. მირზა რიონჰესის მშენებლობის ამბავს ჰყვებოდა დიდი გატაცებით და ბოლოს ქუთაისში მიიპატიჟა მთელი ოჯახი. თინას შენობით მიმართა:

— შენ, ალბათ, არ უოფილხარ ქუთაისში, არც იცი, სად შენდება რიონჰესი, რომელზეც ახლა მთელი საბჭოთა კავშირი ლაპარაკობს.

თინას დიდად ეამა, შენობით რომ მიმართავდა ეს ცნობილი კაცი, თითქმის ყოველდღე რომ ახსენებდნენ გაზეთებში. ღელავდა, ადგილზე ვერ ისვენებდა. თვალებში შესციცინებდა საყვარელ სტუმარს. მერე ერთბაშად იკითხა: როდის წავიდეთ? და ახლა მამას ჩამოეკიდა კისერზე და აკოცა. ოჯახს დიდად ეამა მიწვევა და მირზას ასე შინაური მოპყრობა. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, მირზა რომ თავის ოთახში გავიდა უზომოდ ნასიამოვნები და გახარებული. არანაკლებ აღტაცებული იყვნენ მასპინძლებიც.

იმ ორ დღეს მირზას იმდენი საქმე-საზრუნავი გაუჩნდა, რომ შინ ძალზე გვიან, ნაშუაღამევს ბრუნდებოდა დაქანცული და კეთილი ბერძნების ოჯახი, განსაკუთრებით კი თინა, ვერ ნახა. მხოლოდ მესამე დღეს დილით მოახერხა ორიოდე წუთით შეხვედრა. ყველას გულთბილათ ჩამოართვა ხელი, თინას სიყვარულით სავსე თვალები შეანათა და კვლავ დიდი ამბით მიიპატიჟა ქუთაისში. და როცა მათგან თანხმობა მიიღო ჩასვლის დღეც დათქვეს, ნასიამოვნები იქიდან პირდაპირ პაოლო იაშვილს მიადგა შინ. შენს ქუთაისში მე კი არ უნდა გეპატიჟებოდე, თვითონ უნდა ჩამოსულიყავიო. ძველ მეგობარს პასუხი არ აცალა, შენ და შენს ამხანაგებს ამ თვის ოცისათვის გელოდებით, იცოდეთ, არ დამაღალატოთ. იმ დღეს გვირაბის გაყვანას ვიწყებთ და ჩამოდით, ეს დიდი საქმე პოეზიის საღამოთი აღვნიშნოთო.

მირზას უყვარდა პოეზია. მისთვის პუშკინი პოეტი კი არა, ღმერთკაცი იყო და მთელი მისი ლექსები ზეპირად იცოდა. ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი ინჟინერი ქართული მწერლობის თავგამოდებული პატრიოტი იყო. ქართველი პოეტებიდან ყველაზე მეტად აკაკი უყვარდა. ეს სიყვარული მამისაგან ჰქონდა ჩანერგილი, ძველი სკოლის მეხუთე გაკვეთილმა, რომელიც ქართული ენისათვის იყო განკუთვნილი ქუთაისის გიმნაზიაში, გამორჩეული როლი შეასრულა ქართული ენისა და მწერლობის შესწავლაში. აქედან მოდიოდა მირზას დიდი

თაყვანისცემა ქართული მწერლობისათვის. აკაკი ყველაზე საყვარელი სტუმარი იყო მათს ოჯახში. მირზა ერთი მათგანი იყო, რომელსაც დიდ აკაკისთან უსაუბრია და უკამათია კიდეც. ეს შეხვედრები სამშვილიშვილოდ დააჩნდა მის სულს. ამას ისიც დაუმატოთ, რომ თავის თანამედროვე ქართველ მწერლებთან პირადი მეგობრობა ჰქონდა. ამით მოხერხებულად და უნარიანად სარგებლობდა — პოეტებს ხშირად იწვევდა ზაჰესის მშენებლობაზე და მუშათა აუდიტორიის წინაშე გამოჰყავდა. ამას კი, მით უფრო მაშინ, დიდი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაზე გულწრფელი მეგობრობით მაინც პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან იყო დაკავშირებული. და აი ამიტომაც სწორედ პაოლოს მიაკითხა ქუთაისში გამგზავრების წინ და სთხოვა რიონჰესის მშენებლობას სწვეოდა სხვებთან ერთად.

დათქმულ დღეს ქუთაისს მართლაც ეწვია ქართველი პოეტების დიდი ჯგუფი. მათ შორის ძველ მეგობრებთან ერთად სრულიად ახალგაზრდა პოეტიც აღმოჩნდა. ამ მაღალმა და გამხდარმა პოეტმა, რომელიც ლაპარაკის დროს ზოგჯერ ენას უკიდებდა, ერთბაშად მიიქცია მირზას ყურადღება. ყველაზე უფრო მირზა იმან გააკვირვა, ეს ცნობილი პოეტები მათზე ბევრად ახალგაზრდასთან ასე დამეგობრებული და დაძმობილებული რომ აღმოჩნდნენ.

პოეზიის დიდი მოყვარული აღმოჩნდა ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანიც. ანდრო თბილისის უნივერსიტეტში დაახლოებოდა ქართველ პოეტებს და ძვირფას სტუმრებს მოუთმენლად ელოდა. ამიტომ მირზამ ისინი პირდაპირ საქალაქო კომიტეტში მიიყვანა. ანდრო აღფრთოვანებით შეხვდა მათ და იქვე შედგა ლიტერატურული საღამოების გეგმა.

იმ საღამოს ანდრომ და მირზამ დიდი ნადიმი მოაწყვეს და კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე და ვერიკო ანჯაფარიძე მიიწვიეს. ეს ის წლები იყო, როცა ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის თეატრმა დაიქუხა, მისი ექო მთელ საქართველოს გადასწვდა. ქუთაისელებს ახლა არა მარტო რიონჰესით მოჰქონდათ თავი — ამ სწრაფად გახმაურებული თეატრითაც.

სუფრას პაოლო იაშვილი თამადობდა, რომელმაც ნადიმი ნამდვილ სანახაობად აქცია. მარჯანიშვილმა კიდეც ხუმრობით უთხარ, შენ პოეტად კი არა რეჟისორად უნდა დაბადებულიყავიო, თუმცა ქართველი პოეტების დირიჟორიცა და რეჟისორიც მაინც შენა ხარო: ამის გამო ერთმა წამოიძახა: — ყოველი ქართველი პოეტი თვითონ არის რეჟისორიცა და დირიჟორიც და მათ სხვისი რეჟისორობა არ სჭირდებათო.

სადღეგრძელოს ლექსები მოჰყვა, ქეიფის ეშხში შესული პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. პაოლომ სიტყვა იმ მაღალსა და გამხდარ

პოეტს მისცა, თან შეხუმრებით უთხრა: მოდი, ის შენი ახალი ლექსი ობლიგაციაზე, ამას წინათ „ახალგაზრდა კომუნისტში“ რომ დაბეჭდე, აი ის წაგვიკითხეო. ახალგაზრდა პოეტი გაწითლდა, მაგრამ არ დაიბნა, წამოდგა და მართლა ის ლექსი წაიკითხა. ანდრო გაოცებული მისჩერებოდა უცნობ კაცს, რომელიც მთელი გრძნობითა და გატაცებით კითხულობდა ნაწარმოებს. ლექსი ყველამ გულწრფელად მოიწონა და ტაშიც დაუკრეს. ქალაქკომის მდივანი ადგა და სიტყვით მიმართა პოეტებს: თურმე, შეიძლება კარგი ლექსი დაიწეროს ობლიგაციაზე, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაზე, პატარა ამბებზე, წვრილმანებზე, არა? დიახ, ამხანაგებო, როგორც ჰაერი, როგორც წყალი ისე გვწყურია და გვჭირდება კარგი ლექსი ჩვენს მუშებზე, ჩვენს გლეხკაცობაზე, ჩვენს ინტელიგენციაზე, ლექსი გვეხმარება სოციალისტურ მშენებლობაში, ახალი ადამიანების აღზრდაში. — ამ სიტყვებზე ახალგაზრდა პოეტთან მივიდა და გადაკოცნა.

პაოლო შეეკამათა:

— არა, პატივცემულო ანდრო, გეთანხმებით, და-არც გეთანხმებით. მე ამას ვიტყვი, რომ მწერლობამ უნდა აგვამაღლოს ყოველდღიურ წვრილმან ცხოვრებაზე, ზევით აგვიტაცოს და ჩაგვახედოს ადამიანის სამყაროს საიდუმლოებაში. დიახ, მკვიდრდება ახალი ცხოვრება, და ეს საოცრება უნდა გახსნას მწერლობამ. მან უნდა გვიჩვენოს ახალი ადამიანის საიდუმლო და ამ პოზიციებიდან უმღეროს ზაჰესსაც, რიონჰესსაც. აი ჩვენ ყველამ დავწერეთ ლექსი ზაჰესზე, კრებულიც მივუძღვენით ამ ისტორიულ მოვლენას. იქ ჩემი ლექსიც არის, სხვებისაც, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი დამამახსოვრდა. — და დიდი პათოსით წაიკითხა ალექსანდრე აბაშელის ლექსი.

ზაჰესს ეს ჰიმნი რომ უძღვნა სწორედ იმ დღეებში ალექსანდრე აბაშელმა გამოაქვეყნა მეორე ლექსი — „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“, საოცრად საინტერესო და მართალი ლექსი, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ახლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან, ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან“. მაშინათვე შეუტიეს ამ ლექსს პროლეტარულმა მწერლებმა, რა არ უწოდეს მის ავტორს: რეაქციონერი, რენეგატი, მაგრამ მე თუ მკითხავ ცამდე მართალი იყო ალექსანდრე აბაშელი. დიახ, პოეტს უნდა ჰქონდეს უფლება მართალი სიტყვისა; სოციალისტური ლირიკა ვერ იარსებებს მართალი, კრიტიკული ნაკადის გარეშე. დიახ, მეტი თავისუფლება პოეტურ ფანტაზიას და ოცნებას, მართალ მხატვრულ სიტყვას. და განა ცოტა იბეჭდება ახლა უდღეური, უფორმო, უსახო ლექსები და ამაზე წერა კონტრრევოლუციაა? მწერლობა გაბედულების, მართალი პროფესიონალიზმის გარეშე, ფიქციაა, და საზოგადოდ თუ მწერლობას კრიტიკული პათოსი არ დაჰკრავს ისე იგი რაღა მწერლობაა?

— სუფრაზე კამათი და დავა გაჩაღდა პოეზიის რაობასა და დანიშნულებაზე, პროლეტარულ მწერლობაზე, ცისფერყანწელებზე...

მირზამ სცადა მოკამათენი დაეშოშმინებინა და სიტყვა ითხოვა.

— მე არ ვიცი, ვის რა სახელი ჰქვია და რა დამსახურება აქვს, მე ის ვიცი, რომ ჩვენმა პოეტებმა ისე უნდა წერონ, როგორც პუშკინი წერდა. განა მან თავისი ეპოქა, თავისი დროის ადამიანები, იმდროინდელი ურთიერთობა არ დაგვიხატა? — თქვა გატაცებით და განაგრძო: — ჩვენ ამას მოველით თქვენგან. თქვენ უნდა დაგვიხატოთ ეს ახალი რევოლუციური ადამიანები თავიანთი ფიქრებით, ოცნებებით, დღეს რომ მთებს ბურღავენ, მდინარეებს აგუბებენ და ცისფერ ღმერთებს სადგურებს უგებენ. რიონჰესის არხის მშენებლობაზე ეს შავტუხა ბიჭები დაგვიხატეთ, ახალი ცხოვრების რომანტიკაზე გვითხარით პოეტური სტრიქონები, რომ უფრო გატაცებით იმუშაონ და ემსახურონ სამშობლოს. აამაღლეთ ეს შავტუხა, შავხალათიანი ჩვენი ბიჭები, რომლებიც სასწაულს ახდენენ, ბარითა და ნიჩბით აშენებენ ამ ელექტროსასწაულს; სიყვარულით, მოწიწებით მოეპყარით მათ. რასაკვირველია, მწერლობაში ბევრ რამ არის საიდუმლო, რაც ჩვენისთანა მოკვდავთათვის მიუწვდომელია, მაგრამ ამას თქვენ უჩვენოდაც გაარკვევთ. ჩვენ კი იმას გთხოვთ, დაგვეხმაროთ თქვენი მწერლური ნიჭით, რომ ადამიანს ეს ძნელი, და ხშირად მძიმე შრომა გაუადვილდეს. თქვენ ყველანი ჩვენი მოკავშირეები ხართ, დიახ, მოკავშირეები დიდ საქმეში. მაშ გაუმარჯოს ჩვენს ქართველ მწერლებს! შეიხედეთ ახლა ჩვენს თეატრებში, აიღეთ ჟურნალ-გაზეთები, ყველგან თქვენს ლექსებს. თქვენს ნაწარმოებებს შეხვდებით. იცით, როგორ გვიხარია რომ თქვენ გულღიად უმღერიხ ახალ დროს, ჩვენს ახალ ცხოვრებას. თქვენ ჩვენი დიდი დროის მხატვრები და სიტყვის დიდი ოსტატები ხართ, დიდება თქვენს ნიჭსა და უნარს!

ესა თქვა და ატმოსფერო ერთბაშად განიმუხტა, გამხიარულდა სუფრა. ამას მოჰყვა ისევ ლექსების კითხვა, ხალისიანი რეპლიკები. შუაღამემდე გაგრძელდა პოეზიის ეს დიდი ზეიმი.

მეორე დღეს იმ შენობაში, სადაც კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ახალმა ქართულმა თეატრმა დაიდო ბინა, გაიმართა პოეზიის დიდი საღამო. დარბაზი სავსე იყო რიონჰესის მშენებლებით და ქუთათურებით. ახალ ლექსებს დიდი გრძნობითა და გატაცებით კითხულობდნენ პოეტები და მსახიობები, ხოლო როცა შალვა ღამბაშიძემ გალაკტიონ ტაბიძის „დროშები“ წაიკითხა, ყველა ფეხზე წამოდგა და დიდხანს უკრავდა ტაშს.

ახალი ქვეყნის მშენებლებთან პოეტების ამგვარი სტუმრობა უთუოდ იყო სიტყვის ოსტატების საბჭოთა ცხოვრებასთან დაახლოების ერთ-ერთი ფორმა, რითაც ჩინებულად სარგებლობდა კომუნისტური

პარტია. თავის მხრივ მწერლობა გრძნობდა პარტიის მხრივ დაფასებაპატივისცემას და მათს შემოქმედებაში ახალი ყოფა, თანამედროვეობა სულ უფრო აშკარად ბატონდებოდა.

მეორე საღამოს ქართველი პოეტები მარჯანიშვილის პრემიერას „ურიელ აკოსტას“ დაესწრნენ. თბილისიდანაც ბევრი იყო ჩამოსული ამ წარმოდგენის სანახავად — შალვა დადიანი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, პოლიკარპე კაკაბაძე, ბესო ჟღენტი და სხვები. წარმოდგენამ ნამდვილი ტრიუმფით ჩაიარა. გვიან საღამოს რესტორანში ისევ ნადიმი გაიმართა. ამჯერად იგი მარჯანიშვილელებმა მოაწყეს. თამადამ, შალვა დადიანმა, პირველი სიტყვით მარჯანიშვილს მიმართა: „ბატონო კოტე! ის, რაც ჩვენ ამ საღამოს ვნახეთ „ურიელ აკოსტას“ სახით, მას სხვა სახელს ვერ დავარქმევთ, თუ არა თეატრალურ სასწაულს. ეს საოცრად მომხიბლელი, ტრაგიკული, მაგრამ დიდი სანახაობის სპექტაკლი გვიმორჩილებდა, გვაჯადოებდა, ცრემლებს გვაღვრევინებდა. მე ამაზე დიდებული რამ, თვითონ თეატრალსა და დრამატურგს, არა მინახავს რა. არა, ნახვით როგორ არ მინახავს. ლადო მესხიშვილის, კოტე მესხის, ვასო აბაშიძისა და სხვებისა და სხვების სპექტაკლები, მაგრამ ის, რაც ამ საღამოს ვნახეთ, სულ სხვა რამ არის. თქვენ რუსთაველის თეატრში დაიწყეთ რევოლუცია ჩვენი თეატრისა. აქ, ქუთაისში, მძლავრად გაშალეთ ფრთები. ქუთაისი საოცარი ქალაქია. აქ, დიახ, აქ, ეგებებიან ნამდვილი ზეიმით დიდსა და მაღალ ხელოვნებას. თქვენი დიდი და მაღალი ხელოვნების სადღეგრძელო იყოს!“ — ესა თქვა, კოტე მარჯანიშვილთან მივიდა, თავი დახარა, მერე გადაეხვია და აკოცა...

ახლა სიტყვა პაოლო იაშვილმა აიღო:

— დიახ, ბატონი შალვა მართალს ბრძანებდა, ჩვენ დღეს დიდი თეატრალური დღესასწაულის მონაწილენი ვიყავით, მაგრამ მე ახლა მინდა თამადის ბოლო სიტყვა გავაგრძელო. ქუთაისელი მაყურებელი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. დიახ, ქუთაისი საოცარი ქალაქია. ამ მხრივ, ჩვენ ვამაყობთ ამ დიდებული ქალაქით...

და პაოლომ გაიხსენა, რომ ცისფერყანწელებმა სწორედ ქუთაისში დაიწყეს თავიანთი შემოქმედება, აქ გამოსცეს პირველი ჟურნალები, აქედან გაითქვეს სახელი მთელს საქართველოში.

პაოლო იაშვილს არსებითად ყანწელების ხოტბა გამოუვიდა, და კარლო კალაძე შეეკამათა. მან თქვა, ქუთაისში მაღალი პოეზიის ტრადიცია ყანწელებმა კი არა, ჩვენმა დიდმა წინაპარმა აკაკი წერეთელმა დაიწყოო, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ აქ დაიბეჭდა და გამოვიდა ჩვენი — პროლეტარული მწერლობის პირველი ჟურნალი „დინამიტები“. დიახ, აქ „დინამიტებმა“ ააფეთქეს ძველი სამყაროსა და ძველი პოეზიის ბილიკები. ამ ჟურნალში დაიბეჭდა პირველი ლექსები საბჭოთა მუშათა კლასზე. აბა, მოიგონეთ „მუშა გამომგონებელი“... დიახ,

რევოლუციურ პოეზიას ქუთაისში ჩაეყარა საფუძველი; განა აქ ამ დარბაზში, სადაც თეატრმა ბინა დაიდო მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, სწორედ აქ არ დაიქუხა გალაკტიონ ტაბიძის ლექსმა „დროშები ჩქარა“? ეს ლექსი იმავე წლის მარტში ქუთაისის გაზეთში დაიბეჭდა. ახლა მარჯანიშვილის თეატრი სწორედ ამ რევოლუციურ ტრადიციას განაგრძობს. განა ამას არ ნიშნავს შალვა დადიანის „კაკალგულში“, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“?

ატმოსფერო დაიძაბა. ეს შენიშნა თამადამ და მოკამათენი შეაჩერა. ამით ისარგებლა კოტე მარჯანიშვილმა, რომელსაც, ყანწელების კორპორაციის წევრებთან პაოლოსთან და ტიციანთან პირადი მეგობრობა ჰქონდა.

კოტეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ცისფერყანწელებთან. 1924 წელს რუსთაველის თეატრში „ძველი“ და „ახალი“ თეატრალურ თაობათა შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. ამ ნიადაგზე შეიქმნა თეატრალური ახალგაზრდობის ცნობილი დეკლარაცია „დურუჯელებს“ სახელწოდებით. „დურუჯელებმა ეს დეკლარაცია საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთს „ქართულ სიტყვას“ გაუგზავნეს დასაბეჭდად, შაგრამ რედაქციამ უარი თქვა მის გამოქვეყნებაზე. მაშინ რუსთაველის თეატრში წარმოდგენის მსვლელობისას პარტერიდან წაიკითხეს ეს დეკლარაცია. დარბაზში მყოფი პაოლო იაშვილი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა და მხარი დაუჭირა დეკლარაციას, „დურუჯელებს“, მარჯანიშვილისა და ახმეტელის მეთაურობით შექმნილ თეატრალურ ახალ დასს. ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. ტიციან ტაბიძემ „დურუჯელების“ დასაცავად ვრცელი სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „ქართულ სიტყვაში“. ყანწელებმა ასე თავდადებით დაუჭირეს მხარი „დურუჯელებს“. მერე მოხდა ისე, რომ თვით თეატრალური ახალგაზრდობა ორად გაიყო, კოტე მარჯანიშვილისა და ალექსანდრე ახმეტელის დასებად. ამ რთულ ვითარებაში ყანწელებმა ახმეტელს დაუჭირეს მხარი. რუსთაველის თეატრი ალექსანდრე ახმეტელს დარჩა, კოტე მარჯანიშვილის დასმა ქუთაისში დაიდო ბინა.

ახლა ეს გაახსენდა კოტე მარჯანიშვილს და ისეთი სიტყვა წარმოთქვა რომ არც ყანწელებს აწყენინა, მაგრამ აგრძნობინა, თქვენი გადამეტებული პრეტენზიები ყოველთვის მხარდაჭერას ვერ იპოვისო, და ასე დაასრულა: მოდით, ეს რიონჰესელებს გაუმარჯოს! თქვენ თვითონ დაინახეთ, რომ ჩვენს თეატრში მაყურებელთა უმრავლესობა რიონჰესელები იყვნენ. რა გულწრფელი მაყურებლები და მოყვარულები არიან თეატრისა! ჩვენ მათთვის ვიბრძვით, მოდით, ამ გულწრფელ და გულმართალ ხალხს გაუმარჯოს!

სუფრამ თავისუფლად ამოისუნთქა, ქეიფმა სულ სხვა მიმართულება მიიღო...

სულ მალე ბერძნების ოჯახი ესტუმრა მირზას. ქუთაისში პირველად იყვნენ თინა და დედამისი სოფიო, და როცა ქალიშვილს სანატრელი შეხვედრის პირველმა მღელვარებამ ცოტა გაუარა, ყველაფერს ხარბად აკვირდებოდა ღია „ფორდიდან“, რომელიც ქალაქის ვიწრო ქუჩებში თუხთუხით იკვლევდა გზას ეტლებსა და ურემ-საზიდრებს შორის.

მირზამ სტუმრები სასტუმროში დააბინავა და საუზმის შემდეგ მანქანით რიონჰესის მშენებლობას მიაშურეს. როგორც ზაჰესში, აქაც დაწვრილებით უხსნიდა და აცნობდა მშენებლობის ისტორიას, საღამოს კი დიდი ნადიმი მოაწყო სასურველი სტუმრების პატივსაცემად. ყველაზე საპატიო ადგილი საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს და მის მეუღლეს მიუჩინა, მერე ახლო მეგობრები მიიწვია სუფრასთან. პირველი სიტყვა თვითონვე წარმოთქვა და თამადობა ანდროს სთხოვა. მას დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია. ჯერ მირზას სტუმრები ადღეგრძელა, მოუბოდიშა, პირველად გხვდებით და, ალბათ, მაპატიებთ, რომ შესაფერისად ვერ შეგამკობთო. მაგრამ ისეთი ქალიშვილი გყოლიათ, — მიმართა ცოლ-ქმარს, — რომ ალბათ, გაგვიჭირდება ქუთაისიდან გავუშვათ! — და გაღიმებულმა მირზას შეხედა. მირზა თვალებგაბრწყინებული უყურებდა და თითქოს უდასტურებდა, ასეც მოხდებაო. სუფრა ერთბაშად გამხიარულდა.

მეორე სასმისით უკვე მასპინძელი ადღეგრძელა და ცოტა შორიდან დაიწყო:

„— ძველ საქართველოს დიდებული მშენებლები ჰყავდა. ვისაც ვარძია უნახავს, გელათი და სვეტიცხოველი უხილავს, დავით გარეჯის ანსამბლი ან სიონი, სამთავისი, ჯვარი თუ მარტვილი — იმას სხვა საბუთი არ უნდა, რომ საქართველო ხუროთმოძღვრებით მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ქვეყნებს ამოუყენოს გვერდით. ჩვენ ახლა ახალ საქართველოს ვაშენებთ, ჩვენი პარტია, — სიამაყით დასძინა, — ძველ დიდებასაც დაიცავს და ახლის მშენებლობითაც გააბრწყინებს მის მდიდარ ისტორიას. ჩვენში სრულიად ახალი საქმეა ელექტრომშენებლობა. ამ ცისფერი სადგურების ერთ-ერთი პირველი მშენებელი შენა ხარ, ჩემო მირზა შენ, და შენი მეგობრები საქართველოს ცისფერი რაინდები ხართ. მე ვიტყოდი, ახალი საქართველოს, ინდუსტრიული საქართველოს ცისფერი კომუნარები. ზაჰესის შემდეგ აი ამ ჩვენი რიონჰესის მშენებლობა თქვენ მოგანდეს. ბევრი სიძნელე გვიძევს წინ, მაგრამ შენი გარჯითა და საერთო ხელშეწყობით შევძლებთ საქმე გამარჯვებით დავაგვირგვინოთ. შენი კაიკაცობისა და ორგანიზატორული ნიჭისა იყოს ეს სადღეგრძელო!“ — და პირთამდე სავსე ყანწი გამოსცალა.

ყველამ ქებით მოიხსენია მირზა — შეუქეს გამჭრიახი გონება, ენერგიულობა, ორგანიზატორული ნიჭი, საქმის სიყვარული. და თითქოს შეთქმულება მოუწყესო, ყველა მალე დაოჯახებას უსურვებდა.

სანამ მირზას სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ, თინას ათჯერ მაინც ეცვალა ფერი. ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა, ადგილზე ვერ ისვენებდა. ვერა და ვერ დაიოკა მღელვარება. ყველამ შენიშნა, მომხიბლავი ქალიშვილი ჩვენი ინჟინრის მიმართ გულგრილი არ არისო, და მეტი გატაცებით უსურვებდნენ მასპინძელს მომავალ ბედნიერ ოჯახს და ღირსეულ მეუღლეს.

ლხინმა გვიანობამდე გასტანა.

მეორე დილით სასტუმროს რესტორანში საუზმობდნენ, როცა მირზას შეატყობინეს, თბილისში გიბარებენო.

საუზმეს მორჩნენ თუ არა სტუმრებს დაუბარა მე მალე დავბრუნდებიო. მძღოლს საღამოს მატარებელზე ოთხი ბილეთი შეუკვეთა, ქალაქკომიდან სულ მალე მობრუნდა, სტუმრები გელათში აიყვანა.

სტუმრებს გიდობას მირზა უწევდა, როცა იმ კეტარში შევიდნენ სადაც დავითის ფრესკაა, თინა საგანგებოდ დააყენა ამ ფრესკის წინაშე. თინა თვალებს ვერ აცილებდა მეფის სახეს, მირზამ ამით ისარგებლა და წასჩურჩულა შენი მეუღლეობა დამშვენდებოდაო მეფეს. თინა გაწითლდა და კვლავ მიაპყრო გულუბრყვილო თვალები დავითის სახეს. მერე ასევე გულუბრყვილოდ უპასუხა სად მეფე და სად მე — რატომ არა? ულამაზესი და უმამაცესი ყოფილა მეფეთა შორის, მაგრამ არც შენა ხარ დედოფალზე ნაკლები. ეს უთხრა და მკლავი მკლავზე გამოდო. ქალიშვილი შეკრთა, მერე მთლად მიეკრა მკლავზე და თითქოს მის სხეულში უცნაური სითბო გადმოიღვარა — ნეტავ დიდხანს გაგრძელდეს ეს გრძნობა გრძნეული—ფიქრობდა ქალიშვილი. სწორედ ამ დროს თინას დედა შემობრუნდა დავითის კეტარში და ხმადაბლა კითხა მირზას დავითის საფლავი სად არისო. დავითის საფლავს ზედ მიაყენა სტუმრები, გაოცებულმა ბერძნის ცოლმა იკითხა. ასეთი უბრალო ქვა როგორ აძევსო, ამხელა მეფეს. მირზამ განმარტა: დავითს ანდერძად დაუტოვებია სწორედ აქ, მონასტრის შესასვლელ კარებში დაემარხათ იგი, ზედ უბრალო ქვა დაედოთ ისე რომ მის საფლავზე გადაევლო ყოველ შემომსვლელს.

რათ უსურვებიაო ასეთი რამ მეფეს, გაოცებით იკითხა თინამ, ალბათ შეცოდებათა მოსანანიებლად — მაინც რა შეცოდება შეიძლებოდაო ჰქონოდა ასეთ დიდებულ მეფეს? ამბობენ პირველი ცოლი ვინც ასე უზომოდ უყვარდა სახელმწიფო ინტერესებით მიუტოვებიაო და სხვა შეურთავსო, როგორ თუ სხვა, ის ვინც უყვარდა ის ცოლი როგორ გასცვალა იმაზე ვინც არ უყვარდა, აკი უძლეველი მეფე იყოო და ქვეყნის აღმაშენებელი, რა გაუჭირდა ასეთი უძლეველ მეფეს სა-

ყვარელი ცოლი რომ მიატოვა. თითქოს თავად შეეშინდაო თავის ნათქვამისა და უფრო ახლო მიეკრა მირზას. მირზამ ამით ისარგებლა და ყურში წასჩურჩულა, მე კი არასოდეს მიგატოვებდიო თუ შენს ცოლობას მაღირსებდაო ბედი. ქალიშვილს საოცარი სიამით ჩაესმა ვაჟისაგან ნათქვამი ეს სიტყვები და მაინც შეკრთა ამის გამგონი. არა, მამაკაცები უგულოები ხართ, ისევ გულმხურვალედ თქვა თინამ, მაგრამ მეფე დავითი მაინც არ მეგონა თუ უგულო იყო...

ნაშუადღევს ქუთაისში დაბრუნდნენ და ისადილეს. საღამოს კი ერთად გამოემგზავრნენ თბილისს. ანდრო მისი სტუმრებით ქუთაისის ვაგზალზე დიდი ამბით გაშოაცილეს, აქვე იყო მისი მოადგილე ნოდარი. ნოდარი ისევ გამომწვევად შესციცინებდა თინას, ხოლო როდესაც მატარებელზე ასვლისას ხელი ჩამოართვა ხელი ხელზე საგანგებოდ მოუჭირა და უთხრა იმედია ისევ გიხილავთ ქუთაისში. მიდიხართ და ჩვენი ქუთათურების გულები თან მიგაქვსო. არა ქუთათურების კი არა, ჩემი ჩემი... ამას ყვებოდა და ეშმაკურად ჩასციცინებდა თვალებში, თინას ერთის მხრით ეამა მამაკაცის ქათინაურები, მაგრამ უცბად უსიამოვნო გრძნობამ მოიცვა, გაბრაზდა ასე თამამად და შინაურად რომ ექცეოდა ეს გუშინ გაცნობილი მამაკაცი. თქმით კი არაფერი უთხრა, თავი დაუკრა ყველას და ჩიტივით აფრინდა საერთაშორისო ვაგონის კიბეზე. საერთაშორისო ვაგონში დედა-შვილი ერთ კუპეში მოექცა, მეორეში — მირზა და თინას მამა კირიაკი. მატარებელი დაიძრა თუ არა თინა მამასთან შევიდა, მირზამ კუპეში ცხელაო მოიმიზეზა და დერეფანში გამოვიდა, თინაც თან გამოყვა მირზას, კირიაკმა მეუღლეს მიაკითხა.

მიდიოდა მატარებელი, ვაგონის დერეფანში ფანჯარასთან მდგომი თინა და მირზა ხმადაბლა საუბრობდნენ. მატარებლის ხმაურში მირზა სიტყვებს ძლივს არჩევდა და ერთადერთი, რასაც ახერხებდა, ის იყო, რომ თვალებში შესციცინებდა. ხარაგოულიდან გამოსული მატარებელი მთებშუა დაკლაკნილი რკინიგზით მიიწევდა წინ და გვერდ-გვერდით მდგომთ აკვანივით არწევდა. ერთ მკვეთრ მოსახვევში თინამ თავი ვერ შეიკავა და მიეჯახა მამაკაცის მკვრივ სხეულს და რომ არ წაქცეულიყო, მისდაუნებურად ხელი მოხვია. მირზამ ხელები შეაგება და ქალიშვილი მძლავრად მიიკრა სუნთქვაშეკრულმა. მერე რის ვაი-ვაგლახით ჩასჩურჩულა განაბულ თინას:

— თინა, თინიკო, ჩემო თინა... ხომ იცი, მე ხვალვე უნდა დავბრუნდე უკან. უნდა დავბრუნდე, მაგრამ ვაი ამ მარტოობას. აი სამი დღეა ჩემთან ხარ და ეს ყველაზე ბედნიერი დღეებია ჩემს ცხოვრებაში. გამოგიტყდები, ამდენ მეგობრებში მაინც მარტოდ ვგრძნობ თავს. ეს მარტოობა სულს მიღრღნის და მოსვენებას მიკარგავს. მივხვდი, დიდი ხანია მივხვდი მიზეზს. ასე იქნება მუდამ, ვიდრე საუკუნოდ ჩემს

გვერდით არ გიგულებ... ის, რაც მაწუხებს და მოსვენებას მიკარგავს, შენა ხარ. არ მოვყვები ლამაზ-ლამაზ სიტყვებს, პირდაპირ გეტყვი: თუ თანახმა იქნები, დღესვე შოველაპარაკები შენებს და ხვალვე მოვაწეროთ ხელი თბილისში.

თინა გაოგნებული ისმენდა ამ საოცნებო სიტყვებს. თავი სიზმარში ეგონა. ბერე გონს მოეგო და სახეგაფითრებულმა, აღელვებულმა ამის თქმაღა მოახერხა: „როგორც იტყვი, ისე იყოს“.

ოჯახი დიდი ხანია ელოდა ამ დღეს და ეს დღეც დადგა. თბილისში დაბრუნებულებმა იმ დილითვე მოაწერეს ხელი მმაჩში. პატარა, შიხაურული ქორწილიც გადაიხადეს და ორი დღის შემდეგ, როცა მირზა საქმეებს მორჩა, ახალდაქორწინებულმა ცოლ-ქმარმა ქუთაისს მიაშურა.

თინას სიყვარულმა ახალი ძალითა და ენერგიით აღავსო ისედაც თავდადებული მშენებელი. პირველ დღეებში სამსახურის დამთავრებისთანავე გამორბოდა შინ, თინასთან შეხვედრას ეშურებოდა. მერე და მერე მშენებლობის საქმემ მირზა ისე ღრმად ჩაითრია, რომ გვიან ღამემდეც უხდებოდა სამუშაოზე დარჩენა. თინა მოუთმენლად ელოდა საყვარელ ქმარს, არასოდეს დაუძინია მის მოსვლამდე. მირზა ოთახში შემოვიდოდა თუ არა, პატარა ბავშვივით კისერზე ჩამოეკიდებოდა მერე ხელებს ჩაავლებდა, სავარძელში ჩასვამდა, საყვედურობდა დაგვიანების გამო. სულის მოთქმას არ აცლიდა, თვალებში სიყვარულით შესციცინებდა, ათას რამეს ეკითხებოდა, დაგვიანების მიზეზს მოიძევდა გაღიმებული და ალერსით სავსე პასუხობდა ყოველ კითხვაზე კეთილი ქმარი...

ასე მიდიოდა დღეები. მირზას უფრო და უფრო აგვიანდებოდა შინ მოსვლა. თინაც სულ უფრო და უფრო ნერვიულობდა. მერე და მერე მოიწყინა, ქმარმა ეს რომ შეიტყო, სამუშაოზე მოაწყო ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში. თინას მუსიკალური განათლებაც ჰქონდა მიღებული და ერთხანს სამსახურს კარგადაც შეეწყო. მაგრამ სამსახურიდან დაბრუნებული ისევ საათობით ელოდა ქმარს.

თინა ისე დაიმორჩილა მირზას სიყვარულმა, რომ ახლა მისთვის აღარაფერი აღარ არსებობდა მეუღლის გარდა. არა, თინას საოცარი სიყვარულით უყვარდა მირზა და ამიტომ უფრო ნერვიულობდა. მირზა ისევ მშენებლობაზე ათენებდა და აღამებდა. თინა უფრო და უფრო ნერვიულობდა და ეჭვიანობდა, ქმარს ახლა ყველა წვრილმანზე ედავებოდა და ეკამათებოდა. მირზამ იგრძნო, რომ ოჯახი მძიმე ტვირთად დააწვა, ხოლო ეჭვიანი ცოლი უფრო უმძიმებდა ოჯახის სამსახურს, მაგრამ მშენებლობისადმი ყურადღება ერთი წუთითაც არ შეუნელებია.

სწორედ ამ დროს რიონჰესის მშენებლობა დიდი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა.

იმ დღეს მშენებელთა უბნის უფროსების, ტექნიკოსების, ბრიგადირების, მოწინავე მუშების თათბირი მოიწვიეს ქალაქკომში. მუშაობის მიმდინარეობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციით მირზა გამოვიდა. თათბირი შეაჯამა და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ქალაქკომის მდივანმა ანდრო კოკათელმა: — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის გახსნის მესამე დღესვე 1927 წლის 29 ივნისს, დავიწყეთ რიონჰესის მშენებლობა, — აღნიშნა კოკათელმა, აქ, ამ თათბირზე თავმოყრილმა ადამიანებმა ჩავუყარეთ საფუძველი ამ ისტორიულ საქმეს. ეს უკვე ღირსებაა. უფრო დიდი ღირსება და დიდება იქნება ამ ობიექტის მშენებლობის დროულად დამთავრება. ვ. ი. ლენინს ხშირად უყვარდა კრიჟანოვსკის სიტყვების განმეორება: ორთქლის საუკუნე ბურჟუაზიის საუკუნეა, ელექტროობის საუკუნე — სოციალიზმის საუკუნეო. დიახ. ჩვენი საუკუნე ტექნიკის საუკუნეა, ტექნიკის პროგრესს საფუძვლად ელექტროენერგია უნდა დაედოს. ილიჩის ნათურებმა არა მარტო საქართველოს ქალაქები და სოფლები უნდა გააჩირაღდნოს, არამედ ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების, ჩვენი წარმოების წარმატების საფუძველი ელექტროენერგია უნდა გახდეს.

ლენინის მითითებანი დაედო საფუძვლად რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმას — „გოელროს“. ამ გეგმით აშენდა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე — ზაჰესი. ახლა ჩვენ რიონჰესს ვაშენებთ. მომავალში სხვაგანაც გადაინაცვლებს ასეთი დიდი მასშტაბის მშენებლობა, საქართველოს სწრაფი მდინარეები ამოუწურავი წყაროა იაფი ელექტროენერგიისათვის. ამ საქმეში გადაწყვეტილი როლი ჩვენ გვაკისრია, ადამიანებს, საბჭოთა ქვეყნის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს; — აქ შეჩერდა, მიხვდა, რომ ლექციის მაგვარ რაღაცას კითხულობდა, მაგრამ წინ მოხსენების გეგმა ედო და ვერ გადაუხვია: ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში არ ყოფილიყოს ჰიდროელექტროსადგურების ტრადიცია. სათავადაზნაურო ბანკის დაფინანსებით, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა ამუშავდა პირველი ელექტროსადგური თბილისში, ხოლო ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი დიდი სადგური იყო. ასე მოვედით საბჭოთა ხელისუფლებამდე — ორად-ორი ელექტროსადგურით...

1922 წლის 23 მაისს თბილისის საბჭოს აღმასკომმა მიიღო დადგენილება ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე და თხოვნით მიმართა რსფსრ მთავრობას გამოეყო ამ მშენებლობისათვის ერთი მილიონი მანეთი. ლენინის უშუალო ჩარევით 1923 წლის 16 იანვარს სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. ის გრძელვადიანი

სესხი, რაც საკავშირო მთავრობამ გაიღო, საკმარისი არ აღმოჩნდა და დაიწყო ადგილობრივი ფონდების შეგროვება. ყველა ჩვენგანს ახსოვს, რა წვალებით, მაგრამ რა დიდი რომანტიკითა და ენთუზიაზმით შენდებოდა ზაჰესი. ახლა ჯერი ჩვენზეა, თქვენზე, ძმებო და ამხანაგებო. ჩვენ ცოტა დახმარებას როდი გვიწევენ, მაგრამ მაინც დიდი სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდით: უცხოეთიდან გამოწერილი ექსკავატორების მიღება ბრკოლდება, საავტომობილო ტრანსპორტის დიდ ნაკლებობას განვიცდით. არ გვყოფნის ლითონი, ცემენტი, ხე-ტყე... წერილით მივმართეთ საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარს სერგო ორჯონიკიძეს, უეჭველია დაგვეხმარებიან, მაგრამ ახლა მთავარია ჩვენი საკუთარი რესურსები გამოვნახოთ: ამ კვირას შაბათობაზე ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებიდან და წარმოება-დაწესებულებიდან 1400 მუშახელს გამოვიყვანთ, მუშახელით დახმარებას შეგვპირდნენ ჩვენი მეზობელი რაიონები. ბარით, ნიჩბით, ურიკებით უნდა შევეჯიდოთ მიწას, სხვა გზა არ არის, ვიდრე ტექნიკურ დახმარებას მივიღებდეთ. ყველა ფეხზე უნდა დავაყენოთ, ჩვენ ამასთან დაკავშირებით შევადგინეთ რიონჰესის მშენებლობის კალენდარული გეგმა. ეს გეგმა თქვენ დაგირიგდათ, ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენ ორგანიზაციულ ნიჭსა და უნარზე. ჩვენ გვჯერა: რიონჰესის მშენებელთა კოლექტივი თავს გაართმევს შექმნილ სიძნელეებს და მშენებლობა ნორმალურად წარიმართება, — დაამთავრა თავის სიტყვა ქალაქკომის პირველმა მდივანმა.

მეორე დღესვე შეუდგნენ თათბირის მიერ დამტკიცებული გეგმით მუშაობას, მაგრამ ახლა დაბრკოლებებს ახალი სიძნელე დაემატა. რიონჰესის მშენებლობის არხის ერთ-ერთ ფერდობზე მეწყერი გაჩნდა. შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა ახალი გვირაბის გაყვანა. დღითი-დღე ნათელი ხდებოდა მელიქ-ფაშაევის ჰიდროტექნიკური ნაგებობის პროექტის ნაკლოვანი მხარეები. ქალაქკომში გამოიძახეს მირზა და უსაყვედურეს, როგორც მელიქ-ფაშაევის პროექტის ერთ-ერთ თანაავტორს. მირზა გაცხარდა: — აქ პროექტი არაფერ შუაშია. მეწყერი გაუთვალისწინებელი რომ არის და ამგვარი დაბრკოლება ყოველთვის შეიძლება გამოჩნდესო. მირზასთვის სრულიად მოულოდნელად მისივე თანაშემწემ ნოდარ ნებიერიძემ შეუტია პროექტს. მან შეახსენა მდივანს, რომ პროექტის ავტორები ვალდებული იყვნენ გეოლოგიურად გამოეძიათ და გამოეკვლიათ ყველაფერი მშენებლობის ტერიტორიაზე. კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო, მირზა მიხვდა, რომ უნდობლობას უცხადებდნენ. ქალაქკომის მდივანმა ურჩია, ნებიერიძესთან ერთად დღესვე დაეზუსტებინა პროექტის ეს სუსტი მხარეები და ამის თაობაზე თბილისისათვის ეცნობებინათ. მირზა გაჯიუტდა და უარი განაცხადა, ყოველივე ამის გამო გაჯავრებულმა ქალაქკომის პირველმა მდივან-

მა პროექტის თაობაზე კრიტიკული მოხსენების შედგენა ნებიერიძეს დაავალა.

ანდრო კოკათელის კაბინეტის გრძელ მაგიდაზე — რიონჰესის ახალი, დაზუსტებული პროექტი იდო. შესწორების ავტორი იყო ნოდარ ნებიერიძე. უმთავრესი შესწორება ძველი პროექტის წყლის მარაგს შეეხებოდა. მელიქ-ფაშაევის პროექტის მიხედვით ტურბინებში რიონის საშუალო წლიურ მარაგს უნდა გაეელო. გამოდიოდა, რომ გვალვიან დღეებში, ქალაქის ტერიტორიაზე, რიონის ძველ კალაპოტში წყალი თითქმის არ იქნებოდა. რიონს — ქალაქის განუყოფელ ნაწილსა და ხედს ეკარგებოდა თავისი სახე. სწორედ ამის გამო სპეციალისტებსა და თვით ქალაქკომის პირველ მდივანსაც პროექტის გადაკეთება სამართლიანად მიაჩნდათ. ნოდარმა ეს მომენტი გამოიყენა და უფრო გააზვიადა პროექტის სუსტი მხარე. იგი საჯაროდ გამოთქვამდა უკმაყოფილებას მირზას მიმართ. მელიქ-ფაშაევის პროექტს კი მირზას გარდა ბზარს უპერდა ცნობილი ინჟინერი ბესარიონ ჭიჭინაძე.

ბესარიონ ჭიჭინაძე 1923 წლიდან ზემო ავჭალის სამუშაოთა უფროსად ითვლებოდა. მის მოადგილედ კი მელიქ-ფაშაევი იყო. 1926 წლიდან, ბესარიონ ჭიჭინაძე სმუსის თავჯდომარედ დანიშნეს, მაგრამ ზაჰესის მშენებლობის საერთო მეთვალყურეობა მაინც მას ჰქონდა მინდობილი. სწორედ ამ ორი ინჟინრის, ბესარიონ ჭიჭინაძის და მელიქ-ფაშაევის რეკომენდაციით ერთად დაიწყეს მუშაობა მირზამ და ნოდარმა ჯერ ზემო ავჭალისა და შემდეგ, აქ, რიონჰესის მშენებლობაზე. თანამდებობით მირზა იყო უფროსი. ნოდარის მოადგილის როლი აღიზიანებდა და ამ საქმეში ბრალს მელიქ-ფაშაევსა და ბესარიონ ჭიჭინაძეს სდებდა. მეტოქეობისა და ქიშპობის ფარული ჩია უჯდა გულში და არ ასვენებდა. და აი, სწორედ ახლა, როდესაც მელიქ-ფაშაევსა და მირზას ძველ პროექტში ეჭვი შეიტანეს, პირველი ნოდარი გამოხტა. ნოდარის აზრით, მას ეკუთვნოდა პირველობა განათლებითაც, წარმოშობითაც... მირზას ყოფილ ეჯრის შვილს ეძახოდა და ყოველნაირად ცდილობდა გზა გადაეღობა ჰისთვის. ხოლო როცა მირზამ ცოლათ თინა შეირთო, რომელზეც ნოდარისაც ეჭირა თვალი, იგი მშენებლობის უფროსის აშკარა მტერი გახდა.

— არა, რად ამეკვიატა ასე რიგორც ბედისწერა, — შურით იმეორებდა ნოდარი. ჯერ იყო და თანაშემწედ აიყვანა მელიქ-ფაშაევმა, როცა მე მეკუთვნოდა ეს ადგილი. ქუთაისში პირველობა მას მიანიჰეს, ცაკის წევრად ის აირჩიეს. მე რა? მარტო მუშაობა და მუშაობა! ასე გამოდის, რომ მე მონად დაბადებულვარ და ის კი — ბატონად. არა, არ შევარჩენ ამას. და კარიერიზმის ავადმყოფური გრძნობით შეპყრობილი ედავებოდა ქალაქკომში მელიქ-ფაშაევის პროექტს ნოდარ ნებიერიძე.

— ეს როგორ მოგივიდათ, ამხანაგო მირზა, როგორ დაუშვით, რომ ქალაქი უწყლოდ დატოვეთ?

— ჩვენ, ამხანაგო ანდრო, ყველაფერი ეს გავითვალისწინეთ — ჩაილაპარაკა მირზამ და რაიკომის მდივნისაკენ შებრუნდა.

— თუ გაითვალისწინეთ, მაშინ რატომ გედავებიან, ხომ გამოირკვა, რომ ქალაქი უწყლოდ რჩება მთელ ზაფხულს.

— არა, არ არის მართალი, მელიქ-ფაშაევის პროექტით იგულისხმება, რომ გაზაფხულზე და ზაფხულზე, აგვისტოს შუა რიცხვებამდე რიონი წყალუხვია, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთი თვე მოაკლდეს წყალუხვობა რიონის კალაპოტს. ასე, რომ ჩემი ვარაუდით, არაფერია აქ საგანგაშო.

— სწორედ რომ საგანგაშოა — მოულოდნელად მიახალა სიტყვა ნოდარმა და ახლა ქალაქკომის მდივანს მიუბრუნდა — აი, ამხანაგო ანდრო, ჩემი გაანგარიშება, და თითი დაადო პროექტის გვერდზე ჩამწკრიეებულ ციფრებს. — ამ გაანგარიშებით, რასაც სპეციალისტებიც ადასტურებენ, ძველი პროექტით მთელი რვა თვე ქალაქი უწყლოდ რჩება, ქვების ამარა, რიონის კალაპოტი სიკვდილის სავანეს დაემსგავსება. გამოსავალი ერთია: რიონს ცხენისწყალი უნდა მივაშველოთ ნახევრად მაინც უნდა გადმოვაგდოთ იგი რიონის კალაპოტში.

— კი მაგრამ ძველი პროექტის დამტკიცებისას ხომ იყო ამაზეც საუბარი? — გაბრაზებით უპასუხა მირზამ, — მაგრამ ხომ გახსოვთ, როგორ ცივი უარით გამოგვისტუმრეს ცხენის წყლის გადაგდების გამო, სადა გვაქვსო ამის საშუალება, ეს მომავლის საქმეაო, გვითხრეს მაშინ. მაშ ეხლა საიდან გაჩნდა ეს დამატებითი სახსრები, ბატონო ანდრო?

— იქიდან გაჩნდა, რომ მიხვდნენ, ქალაქის უწყლოდ დატოვება არ შეიძლება.

— მაშინ ძველ პროექტს რას ერჩით, ყველაფერი ეს ხომ გათვალისწინებულია იქ. ეს ხომ იგულისხმება ძველ პროექტში?

— იგულისხმებოდა ჰაერში, პროექტზე კი არსად აღნიშნული არ არის! — უკმეხად უპასუხა ნოდარმა.

მთელ დღეს გაგრძელდა კამათი, ახლა თვით ანდროსაც ეპვი შეეპარა, რამდენად რეალური იქნებოდა ცხენის წყლის რიონის კალაპოტში გადაგდების გეგმა და თათბირი მეორე დღისთვის გადადო.

მეორე დღეს კამათმა უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. გაჯავრებულმა მირზამ სხდომა დატოვა. ახალ პროექტს მაინც მეტი მომხრე აღმოაჩნდა. დაიწერა ვრცელი წერილი ცენტრალური კომიტეტის სახელზე. ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა კომისია გამოეყო. თბილისიდან ჩამოსულმა კომისიამ ადგილზე შეისწავლა ყველაფერი. კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნებიერიძის მეგობარი აღმოჩნდა. კომი-

სიის მოხსენებითმა ბარათმა უკუაგდო ძველი პროექტი. ამით შეურაცხყოფილმა მირზამ განცხადება შეიტანა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში განთავისუფლების თაობაზე, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და იგი იძულებული შეიქნა მუშაობა გაეგრძელებინა.

მან ერთხანს სცადა, არ შეემჩნია ნაწყენობა და ძველებური ენერგიით განეგრძო მუშაობა, მაგრამ საქმეს წარმატება არ მოჰყოლია. პროექტის თაობაზე დაწყებული ეს დავა დიდ უთანხმოებასა და სიძულვილში გადაიზარდა. ამას ახლა ოჯახური ამბებიც დაემატა და ძველი მეგობრები, მირზა და ნოდარი, ერთმანეთის მოსისხლე მტრებად იქცნენ.

რიონჰესის მშენებლობას საკავშირო მთავრობა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდნენ, მაგრამ ყველაზე მეტი გასაჭირი მაინც ქუთაისის ქალაქკომს ადგა. ქალაქკომში თითქმის ყოველდღე იმართებოდა თათბირი რიონჰესის მშენებლობის კონკრეტულ საკითხებზე, მაგრამ გეგმა მაინც არ სრულდებოდა, რის გამო ქალაქკომი მწვავედ უტევდა მშენებლობის ხელმძღვანელებს. მეორე მხრივ, ასეთ დაძაბულ ვითარებაში მირზას ოჯახური მდგომარეობაც გაურთულდა, — ცოლი გაებუტა. განერვიულებული და საქმეში ყელამდე ჩაფლული მირზა მეუღლისათვის ვეღარ იცლიდა. ამაყი თინა უყურადღებობას ვერ იტანდა და ყოველ საღამოს მირზას ედავებოდა და ეკამათებოდა.

— ჩემი ცოლი ლამაზი ქალია, — გამოეხმაურა შინაგანი ხმა მირზას, ლამაზ ქალს ბევრი მოშურნე და მტერი ჰყავს, ჩვეულებრივ ასეა ხომ? — ლამაზი ცოტაა, სილამაზის მოტრფიალე უკლებლივ ყველა. აქედან მოდის ეს გაუთავებელი ცილობა და მტრობა. ქვეყნად არც დაბადებულა ლამაზი ქალი, რომლის სილამაზე ნებსით თუ უნებლიეთ ცილისწამებისა და უსიამოვნებათ სათავე არ გამხდარიყოს. მაშ ასე, გამოდის, სილამაზე და უსიამოვნება ტყუპი ძმები არიან, დიახ, ასე ყოფილა, ასე იქნება! — ასე ფიქრობდა იმ საღამოს გვიან შინ მობრუნებული მირზა ქებურაძე.

მირზა დაწვა, მაგრამ არ დაძინა, თვალწინ თინა და მისი საქციელი ედგა. ეძებდა მიზეზს და ვერ ეპოვა, თითქოს მოშურნე და მტრები მოერივნენ მას, ყველაფერში ნოდარა ადანაშაულებდა. ასე ეგონა, რომ იგი არა მარტო სამსახურში მტრობდა, არამედ ოჯახშიც, დიახ, ის ნოდარი და მისი ენაჭარტალა ცოლია ყველაფერში დამნაშავე, — ასე ფიქრობდა მირზა.

მირზა და ნოდარი ფიზიკურადაც ერთმანეთის საპირისპიროები იყვნენ. მირზა საშუალო ტანისა იყო, მსუქანი, ბუთხუზა. ღრმად გახელილი ცისფერი თვალები საოცრად სანდომიან იერს აძლევდა. შავ სვიტრ-

ზე ტყავის შავი პიჯაკი და იმავე ფერის შარვალი ეცვა. თავზე ტყავის „კეპკა“ ეხურა. ადამიანთან ურთიერთობაში უაღრესად გულღია და კეთილი იყო.

ნოდარი კი საოცრად ამაყი, თვითნება, ზვიადი ბუნებისა გახლდათ, სხვებს ზევიდან დაჰყურებდა მუდამ დამცინავი ღიმილით, აწოწილი, გამხდარი და მაღალი ტანი სპორტულ გარეგნობას ანიჭებდა. მოგრძო პირისახე, ჩალისფერი თმა და წვერ-ულვაში, მწვანე და წვრილი ლიბრგადაკრული თვალები არასიმპათიურად განგაწყობდათ. ოღონდ მოშვებული, კოხტად დაყენებული წვერები და სპორტული კოსტუმი ევროპულ იერს აძლევდა და ამიტომაც მოსწონდათ ქალებს. თვითონ კი ქალებს გასაყიდი ცხენივით აკვირდებოდა და ვერავის აერჩია. ქალების შერჩევაში საკმაოდ გადაბერებულს, დონჟუანის სახელი გავარდნოდა. ადამიანებთან ურთიერთობაში მეტად რთული ბუნებისა იყო და ძნელად თუ მიხვდებოდით მისი გულის ზრახვებს. აი, ამგვარი, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ადამიანები, მირზა და ნოდარი ბუნებრივია, რომ ბოლომდე ერთ ჭერქვეშ მეგობრებად ვერ იცხოვრებდნენ.

აი, თინა მარტო ზის და ფიქრობს: მე ის მიყვარს, არა მე ის მიყვარდა, არა, მე ის ახლაც მიყვარს, ვითომ?—ასე ფიქრობდა იმ საღამოს მირზასავით გვიან შინ დაბრუნებული თინა და წრიალებდა ლოგინში. ფიქრი ფიქრს გადაება:—კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მიყვარდეს? ის ხომ ჩემს სიყვარულს უგულოდ ეკიდება. არა მე სულ მარტო ვარ, მარტო. დაწვა, მაგრამ არ დაეძინა. ადგა და ფანჯარასთან მივიდა. აგვისტოს მიწურული იყო. ფანჯარა გამოაღო, თბილი ჟუთათური ნიავი ქროდა, ცაზე ვარსკვლავებს მიაჩერდა, ჰოი ნეტავ რომელია ჩემი ბედის ვარსკვლავი ამ ვარსკვლავთა სამყაროში. როგორ ბრწყინავენ, რა კმაყოფილებით იღიმებიან, მე კი ღიმილსაც გადავეჩვე, არა, ეგებ შეიძლებოდეს ჩემი სიყვარულის თავიდან დაწყება, ეგებ დავიბრუნო ის, რაზედაც ამდენი ვიოცნებე, ამდენი ვეძიე: მაინც რაზე ვოცნებობდი მე, რას ვეძებდი მე — სიყვარულს, გამოეხმაურა შინაგანი ხმა, დიახ, სიყვარულს უპასუხა თავის მხრივ; მირზა მხურვალე გულით შევიყვარე, მასაც ვუყვარდი თავდავიწყებით, არა, ვერ დავფარავ, პირველად მართლაც ვიგრძენი მისგან ეს უზომო სიყვარული, მერე, მერე? — ისევ დაეკითხა თავის თავს თინა და თვითონვე უპასუხა. — მერე თანდათანობით გაცივდა გული მისი და მე ეს ვიგრძენი. როდის ვიგრძენი პირველად? იგონებს და ვერ მოუგონებია ეს თინას. დიახ, მე დავკარგე ეს მხურვალე გული და სიყვარული, დიახ დავკარგე სიყვარული, უსიყვარულოდ ცხოვრება კი ტანჯვა ყოფილა თურმე, გაცივდა სიყვარულით გამთბარი სარეცელი ჩვენი, ო, რა ძნელია ყველივე ეს, არა მე უსიყვარულოდ არ შემიძლია, ესა თქვა, ფანჯარა მიხურა, მობრუნდა და ისევ

დაწვა. ძილი მაინც არ გაეკარა მის თვალებს, ისევ გააგრძელა დიალოგი თავის თავთან, არა, უნდა ვეძიო, უნდა ვეძიო სიყვარული, იქნებ ისევ გამოვაღვიძო ჩემს უგულო ქმარში სიყვარული, მერე როგორ? — გამიგონია რომ თუ გინდა ქმარს მუდამ უყვარდე, მას შიში უნდა ჰქონდესო შენი, ჰო, შიში და ეჭვი, რომ არ უღალატო, რომ სხვამ არ წაართვას შენი თავი, თითქოს თინამ მიაგნოო თავის საიდუმლოს და გააგრძელა, დიახ, უნდა ჩავთესო მე მირზას სულში ეჭვი. ეჭვს ფართო თვალები აქვს და ის მაშინ დამინახავს მთელი არსებით, როცა მის სულში ეჭვს ჩავთესავ. არა, მე უნდა გავიდე სახლიდან, თავი უნდა დავაღწიო ჩაკეტილობას, უნდა გამოვამზეურო ჩემი თავი, დამინახონ, ეგებ მაშინ შემნიშნოს ჩემმა ქმარმა! — გვიან, ძალიან გვიან ჩაეძინა ამ ფიქრებში თინას. მეორე დილით, მზემოსულზე ადგა, სასადილო დარბაზში შეიხედა და მაგიდაზე ჩაის ფინჯანი შენიშნა, წასულა, — თქვა, სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა და სახლიდან გავიდა.

ეს ის დრო იყო, მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ქუთაისის თეატრი თბილისში საგასტროლოდ რომ ემზადებოდა. ამასთან დაკავშირებით განიზრახეს, დასი ახალგაზრდა ქუთათური ლამაზმანებით შეევსოთ, კერძოდ, მოცეკვავე ლამაზი ქალებით. კოტეს სპექტაკლებს მუდამ თან ახლდა მოცეკვავე-საბალეტო ჯგუფი. ეს ჯგუფი მეტ სანახაობით ხასიათს აძლევდა სპექტაკლს. კოტეს აზრით, წარმოდგენა სანახაობათა დღესასწაული უნდა ყოფილიყო და იგი ათას ხერხს ეძებდა ამ სანახაობითი მხარის გასაძლიერებლად. ხან კინოსურათს მოიშველიებდა, ხან პანტომიმას, საბალეტო ცეკვას... და აი, მარჯანიშვილის თეატრის ყოველდღიურ მაყურებელს, მირზას ულამაზეს მეუღლეს — თინას ერთ დღეს თვითონ კოტემ შესთავაზა და დასში მიიწვია. თინამ ეს მიწვევა დიდი ზეიმით მიიღო.

სწორედ ამ გზით დავთესავო ეჭვს მირზას გულში და ჩატეხილი ხიდიც გამრთელდება — ასე ფიქრობდა იმ დღეს თინა. თინას ეგონა, რომ ქმარი წინ აღუდგებოდა ცოლის სურვილს, მაგრამ, პირიქით, მირზა არ ეურჩა თინას სურვილს. ასე მოხვდა თინა მარჯანიშვილის თეატრში. თინამ მთელი თვე იარა რეპეტიციებზე, მაგრამ მარჯანიშვილის მოწონება ვერ დაიმსახურა, ეს თვითონ შეატყო უზომოდ განებივრებულმა თინამ და დრამატულ თეატრზე გული აიცრუა, მაგრამ რაკი ოჯახიდან ერთხელ გავიდა, ახლა შინ ვერ მოისვენა და ფილარმონიის მოცეკვავეთა ანსამბლში შესვლა გადაწყვიტა.

მოცეკვავეთა ანსამბლში თინა ნოდარის ახლად „შერთულმა“ ცოლმა მიიყვანა:

ნოდარის ცოლი, ლია, თავის დროზე ქუთაისში ერთ ლამაზ ასულად იყო მიჩნეული. მას, ქუთაისის მოცეკვავეთა ანსამბლის ნიჭიერ წევრს, ქუთათურ ბიჭებში ულამაზესი აჩიკო გადაეკიდა, სწორედ მან

დააწყებინა თავის ანსამბლში ცეკვა ლიას. ერთხანს ცოლობასაც ჰპირდებოდა. ლიას მარტო დედა ჰყავდა. დედა მოწადინებული იყო ქალიშვილი გაეთხოვებინა, მაგრამ შესაფერისი არავინ ეგულებოდა. ამიტომ როცა მის ოჯახში ეს ლამაზი ბიჭი გამოჩნდა, თავდაპირველად ესიამოვნა კიდეც ქალიშვილის დედას. ამით ისარგებლა აჩიკომ, ხოლო როცა დედამ გაიგო საქმის ნამდვილი შინაარსი, უკვე გვიან იყო.

აჩიკომ ერთ დღეს თავის მეუღლედ გამოაცხადა ანსამბლში ლია და იმავე საღამოს პატარა წვეულება გამართა ლიას სახლში.

ლია ანსამბლის მბრძანებელი გახდა. ახლა იგი წყვეტდა, ვინ მიეღო ან ვინ დაეთხოვათ დასიდან. ამ ნიადაგზე მწვავე განხეთქილება მოხდა ანსამბლში. ამასობაში აჩიკოს მეორე, უფრო ლამაზი მოცეკვავე მოეწონა და იმავე კვირას ოფიციალურად ხელი მოაწერა მასთან, ხოლო ოჯახში და ანსამბლში ცოლად გამოცხადებული ლია გზაშარაზე მიატოვა. დედამ მთელი თვე იგლოვა ქალიშვილის ბედი, ახლობლებსა და ნათესავებსაც ბევრი შესჩივლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამ ნიადაგზე გაბოროტებულმა ლიამ გადაწყვიტა მის მეზობლად მცხოვრებ რიონჰესის მშენებელს, გადაბერებულ ინჟინერს, ნოდარ ნებიერიძეს მიტმასნებოდა. იგი ამას წინათ მირზას ოჯახში გაიცნო, მაგრამ ზედაც არ შეხედა ამ ბებერ მელიას, როგორც თვითონ უწოდა თინას გასაგონად, იმ საღამოს მასზე გამოჯნურებულ ნოდარს. აი, ახლა ხელმოცარულმა ლიამ მოიგონა მისგან ხელნაკრავი ნებიერიძე. ბინიდან გამოსულს, თავის სახლის კარისწინ დახვდა, მოწიწებით მიესალმა, შინ მიიწვია და დედას გააცნო. დედას ესიამოვნა ასეთი საქმიანი კაცის გამოჩენა, ყოველდღე სანაქებო პურ-მარილს უწყობდა სასურველ სტუმარს. ქალების წუნია, ულამაზესი საცოლის მაძიებელი 50 წელს გადაცილებული ნოდარი სულ ადვილად გაება ლიას მიერ დაგებულ „სიყვარულის ბადეში“.

იმ დღეს ნოდარი დიდხანს აკაკუნებდა ლიას კარებზე, გვიან, სულ გვიან გაღიზიანებული და უკმაყოფილო სახით გააღო კარი ლიამ და თითქოს არ ესიამოვნაო ნოდარის დანახვა, — ჰო შენა ხარ, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა, არ გელოდი, რაღაც საყვედურით მიმართა სტუმარს. ნოდარი დაიბნა, მერე თავისთვის წაილუღლუღა, — აკი დამიბარე.

— მე დაგიბარე? — გაიოცა ლიამ, —

— ჰო, დიახ, თქვენ.

— ჰმ, მე დაგიბარე — ირონიულად გაიმეორა ლიამ, მერე ერთბაშად შეიწვია შინ და დაუყვავა.

— მართალი გითხრა, მეძნელება შენი მიღება, — შორიდან მოუარა ლიამ: — ჩვენი ქალაქი პატარაა და ჭორიკანა. ჰოდა, ყველას გაუგია რომ შენ ჩვენთან დადიხარ, ხმა დაუგდიათ, რომ დედაჩემისაგან მალუ-

ლად, ღამ-ღამობით თითქოს ერთად ვრჩებით, — აქ ცრემლები ჩამოუგორდა თვალებიდან ლიას, თეთრი ცხვირსახოცით ცრემლები რომ მოიწმინდა, გააგრძელა: — ვითომ მე შენი საყვარელი ვარ. საგანგებოდ გააგრძელა სიტყვა — „საყვარელი“ და ისევ მოიწმინდა ცრემლები, მერე მედიდურად თავი აღმართა და შიგ თვალებში შეაჩერდა ნოდარს: არა, აბა მე ჭორებს რას დავეძებ, ვისაც რა უნდა, ისა თქვას. მე მხოლოდ ჩემი გულის კარნახს ვუსმენ, მინდოდა და გზვდებოდი, მომეწონე და ჩემი სახლის კარები ფართოდ გაიღო შენთვის, სხვებს მე რაში დაველევი, ჩემი გულის ამბავი ვის რაში ეკითხება?! მაგრამ... — აქ შეჩერდა გაწვრთნილი არტისტი, სიყვარულობანას მოთამაშე ლია, მაგრამ... დედაჩემს შეხვედრია დეიდაჩემი და ასე უთქვამს, იმ შენს ქალიშვილს მთელი ქალაქი ჭორავს, ვითომ ნოდარის საყვარელიაო... დედა მთლად გადარეული მოვიდა, მე დავამშვიდე მაგრამ ვერას გავხდი, მერე გამებუტა და სახლიდან გაიქცა. არ ვიცი, რით დავამშვიდო ან დედაჩემი, ან დეიდაჩემი. — აცრემლებულმა ლიამ თვალი თვალში გაუყარა ნოდარს. გახევებული ნოდარი ალუღლუღდა, — მე მგონია, ჩვენ არავისთვის მიგვიცია ამის საბაბი, რომ ასეთი ცუდი კუდი გამოაბან ჩვენს შეხვედრებს, მე თქვენ უნებართვოდ არც არასორეს მოვსულვარ თქვენთან, დედაშენი კი, პირიქით, როცა სადმე მხვდება სულ იმას მსაყვედურობს, რატომ ჩვენთან სიარულს უკელითო. არ ვიცი, სწორედ არ ვიცი, ასეთი ჭორი რა შუაშია?

— რა ვიცი, ხალხი ჭრელია ჩემო ნოდარ, ჩემი ყველას შურს, რაკი სახლში მარტო ქალები ვართ, ასე გონიათ რომ ჩვენი დაბრიყვება ადვილია. — ესა თქვა და ტირილი აუვარდა ქალს. — შენ არ იცი თუ რა ეჭვიანია დედაჩემი, არ ვიცი, სწორედ არ ვიცი... რა ვქნათ, და კვლავ ატირდა ქალი. კაცი ადგა, ახლო მივიდა ქალთან, ქალი უფრო აქვითინდა, ნოდარმა ამით ისარგებლა და ხელები მოხვია ქალს, ლია გაინაბა, მერე მთლად აცახცახდა და თავად მოეხვია მამაკაცს, — მცივა, მაგრად მომეკარი, ჰო, მაგრად მომეკარი, — ქალი იმეორებდა ამ სიტყვებს და უფრო და უფრო ეკვროდა მამაკაცს. სწორედ ამ დროს, სახლში, ბაზრიდან დაბრუნებული დედა შემოვიდა, ერთმანეთს ჩახვეული ლია და ნოდარი რომ დაინახა, იკივლა და ხელიდან სურსათით სავსე ჩანთა გაუვარდა...

მეორე დღეს ქუთაისის მმაჩში, მირზასა და თინას თანდასწრებით, ნოდარმა და ლიამ ხელი მოაწერეს და იმავე დღეს სახელდახელო ქორწილი გამართეს.

ეს დღე იყო და ეს დღე ჭორების მოყვარულმა, მოცეკვავე ლიამ მეგობრად გაიჩინა თინა და თავის წრეში გაიტაცა. მეუღლის ყურადღებას მოკლებულ თინას ახლა სულ ლიასთან ეჩქარებოდა, ნოდარ ნებიერიძეს სიამოვნებდა კიდეც მის ცოლთან თინას მეგობრობა. ისინი

სამნი: ნოდარი, ლია და თინა თითქმის ყოველ საღამოს ერთად ისხდნენ და საუბრობდნენ, ამ საუბარში ნოდარი თავის ცოლს თინას ადარებდა ჩუმად და რწმუნდებოდა, რომ თინა უფრო ლამაზი, ჭკვიანი და სერიოზული იყო, მაგრამ ბედს მისთვის არ გაემეტებია ეს მომხიბლავი ქალი.

— არა, ყველაფერში რომ მჯაბნის, ყველაფერში რომ ბედი აქვს, — ეს გაიფიქრა ნოდარმა და გულში ისევ გაკრა სიძულვილის გრძნობამ მირზას მიმართ. სწორედ ამ დროს თინა ადგა და წასასვლელად გაემზადა, ლიამ და ნოდარმა სახლამდე მიაცილეს მირზას მეუღლე. უკან გამობრუნებულმა ნოდარმა ვერ დაფარა თავისი აღტაცება თინას სილამაზის გამო. მთელს გზაზე უზომოდ აქებდა თინას. ცოლი ამის გამო ნერვიულობდა, შემდეგ და შემდეგ ამ გადაჭარბებულმა ქებამ და ნოდარის ღრმა თაყვანისცემამ თინასადმი ლიას ეჭვები გაუღვიძეს, ეჭვი შემდეგ თინასადმი სიძულვილში გადაიზარდა.

იმ დღესაც ცოლ-ქმარი ერთად ისხდნენ, ნოდარი ისევ თინას აქებდა: არა, ღმერთმანი თინაზე ლამაზი მთელ ქუთაისში არავიან არისო. ამის გამო განაწყენებულმა ლიამ უყვირა ქმარს: — არა, რამ გამოგაჩერჩეტათ ეს კაცები, შენ ალბათ არც იცი, ახლა მთელი ქუთაისი იმაზე ლაპარაკობს, რომ თინა მირზას ღალატობსო. როგორ თუ ღალატობსო, — შეიცხადა ნოდარმა. — არა, ეს ჭორია, ამას არ დავიჯერებ, თან სადღაც, გულის სიღრმეში უხაროდა მირზას ფარულ მტერს. თავის მხრივ ლიამ იცოდა ყველაფერი ეს მის მიერ გამოგონილი ჭორი რომ იყო, მაგრამ ისიც იცოდა, მისი ენატანია ქმარი ამას მთელ ქუთაისს მოდებდა და ამაში ხედავდა ერთადერთ გზას, შური რომ ეძია ლამაზ თინაზე, ვისაც ახლა მთელი ქუთაისი აღმერთებდა.

სწორედ იმ დღეს ლიას თინა ესტუმრა და თავისი გადაწყვეტილება გაანდო: მოცეკვავეთა ანსამბლში მინდა დავიწყო მუშაობა და ხმა შენ უნდა დამაწიოო. გულის სიღრმეში დიდად ესიამოვნა ლიას თინას გადაწყვეტილება, აი, იქ, იმ ჩემს ანსამბლში ნამდვილად დავჩაგრავო ქუთათურების ამ სალოცავ სილამაზეს, და მაშინვე შეპირდა დახმარებას.

იმჟამად ქუთაისის ახალგაზრდობას ახალმოდური ცეკვების ციებცხელება შეჰყროდათ, ქალიშვილებისა და ჭაბუკების ყველაზე დიდი თავშესაყარი ცეკვების კლუბი იყო, და აი მარჯანიშვილის თეატრის მიერ დაწუნებულმა მსახიობმა თინამ სწორედ ცეკვების ამ კლუბს მიაშურა. იქ მონახა თავისი დაუოკებელი, ქმრისაგან უყურადღებოდ მიტოვებული, მოზღვავებულ გრძნობათა თავშესაფარი. ამ თავშესაფარში სულ მალე ბევრი თაყვანისმცემელი გაიჩინა. ხან „ტანგოს“ ცეკვების მასწავლებელი ჯიბო მოაცილებდა სახლში, ხან ქართული ცეკვების ხელმძღვანელი, ლიას ყოფილი საყვარელი აჩიკო. ცეკვების თვალის-

ჩინები ჯიბო და აჩიკო, თინას მუდმივი პარტნიორები ტანგოსა და ქართულ ცეკვაში, ახლა, მის გაცილებაშიაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. თინა დამშვიდდა. მისმა ზვიადმა თავმოყვარეობამ და რჩეულის ტახტის ძიებამ თავის საწადელს მიაღწია. ახლა იგი ცეკვით ცხოვრობდა, ცეკვით იკვლევდა გზას დიდებისაკენ. ხალხის ყურადღებით განებივრებულს, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

ერთ დღეს მირზა და ნოდარი მეუღლეებთან ერთად რიონჰესის არხის მშენებლობის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. მანქანა ჯერ საავტომობილო გზით მიდიოდა, მერე მარჯვნივ გადაუხვია და მინდორ-მინდორ გაჰყვა, არხის მთელ სიგრძეზე შავტუხა ბიჭები და მამაკაცები ბარითა და ნიჩბით მიწას თხრიდნენ, იქვე ბულდოზერიც თუხთუხებდა. ბრიგადირები რაიონებიდან მოსული მუშების ახალ პარტიას ანაწილებდნენ, მირზამ მანქანა სწორედ აქ შეაჩერა. ეს არხი რიონიდან ერთი კილომეტრით იყო დაშორებული, მირზა და ნოდარი ინჟინრებსა და ტექნიკოსებს მიესალმნენ და იქვე შეუდგნენ სამუშაო გეგმის დაზუსტებას. გეგმის გარშემო კამათი და დავა დიდხანს გაგრძელდა. თინას მოსწყინდა ეს გაუთავებელი დავა და განმარტოვდა. ფეხით გაჰყვა რიონის ნაპირს. ადიდებული რიონი მოაგორებდა ვეებერთელა ტალღებს და ხმაურით ავსებდა ხევს. მღვრიე მდინარე მზის სხივებზე მოლისფერად ლაპლაპებდა, თინას თვალებს სჭრიდა მზის სხივების ანასხლეტი, სამაგიეროდ გულს ესალბუნებოდა გადარეული რიონის გუგუნი და ტალღების ხმაური. ერთხანს, იქვე, ნაპირზე ჩამოჯდა და გარინდებული ყურს უგდებდა მდინარის ხმაურს. ქვემოთ ისევ კამათობდნენ, ყაყანებდნენ, თინას კი არაფერი ესმოდა გარდა აქაფებული რიონის ბუხუნისა.

მოდის, მოღელავს ადიდებული რიონი, მოარღვევს კალაპოტს, თან მოაქვს ტყეში მოჭრილი ხის მორები, ფიცრები, ყავრები, მოტაცებული ხიდები და ჯებირები. თინამ ზევით აიხედა, შორს, ჩრდილოეთით, მზეზე ლაპლაპებდა ასხის მთის ასვეტილი, მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები.

რიონის ხეობიდან გრილი ნიავი ქრის და ადიდებული რიონის ტალღები ისევ ღრიალებდა, იქვე ექსკავატორი თუხთუხებს და მისგან ამონაბოლქვი შავ ზოლად გასდევს რიონის თავზე დამხობილ კრიალა ცას. თინას თითქოს ახლა მოაგონდაო თბილისის ცა და ადიდებული მტკვრის ბუტბუტი, მთაწმინდაზე დაკიდებული ვარსკვლავებით მოქედილი ცა, რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე გიმნაზიელ ქალ-ვაჟთა კისკისი. უცბად გაინაბა ბუნების ბურანში, მერე ხელები აიქნია და ეს მოლანდებაც გაქრა, ახლა ისევ რიონის პირას ბუნების ამ უცნაურ სანახაობაში გათქვეფილი თინა ყურს უგდებდა რიონის ღრიალს. ამ

დროს უკანიდან მოეპარა, თავზე წაადგა და ხელები მოხვია ლიამ. უცებ გამოერკვა ბურანიდან თინა, მაინცა და მაინც არ ესიამოვნა ამ ლაქლაქა ქალის მიერ მყუდროების დარღვევა.

— თინა იცი, მე შენს ქმარს ახლო არ ვიცნობდი, აი, რამდენჯერ მოვდივართ მე და ნოდარი შენსას და იგი შინ არ არის, დღეს დავაკვირდი და შენი ქმარი დიდებული კაცი ყოფილა, ჰკვიანი, დინჯი, საოცარი მოსაუბრე, ჰო, რა გასაგებად უხსნიდა ტექნიკოსებსა და მუშებს ყველაფერს, როგორ თვალებში შეჰყურებს ყველა, არა, შენ არა ხარ მართალი.

— რაში არა ვარ მართალი? — ერთბაშად აფეთქდა თინა, თითქოს დანაშაულში დაიჭირესო. სწორედ ამ დროს მირზა და ნოდარი მოვიდნენ და ეს საუბარიც შეწყდა. მთელი ის დღე ერთად გაატარეს, ერთად ისადილეს გზაზე მუშათა სასადილოში, ლია მთელი ის დღე არ გაჩერებულა, ლაპარაკობდა იქაც, თინა კი სულ დუმდა, თითქოს პირზე ბოქლომი დაადვესო.

თინა წარამარა საათს დასცქეროდა. თითქოს სადღაც აგვიანდებაო, ადგილზე ვერ ისვენებდა. მირზა, მას შემდეგ რაც ასე უსირცხვილოდ ცილი დასწამა ნოდარმა, ვერ იტანდა ამ უკვე ნიღაბახდილ კარიერისტს, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ერთად მუშაობა და მირზაც უნებურად ითმენდა მტერს. მელიასავით გაქნილი ნოდარი მომნუსხავი თვალით მისჩერებოდა ხან თინას, ხან ლიას. სიტყვად გაკრეფილი ლია კი ქვეყნის ჭორებს ჰყვებოდა, ბოლოს ანდროსაც მისწვდა და თითქოს თავისთვის თქვა, თურმე ლამარა აშკარად ეჭვიანობს ქმარზე, იმ დღეს ისეთი უსიამოვნო შელაპარაკება მოსვლიათ, რომ ის ღამე ანდროს ქალაქკომში გაუთენებიაო. ეს თქვა და ქურდულად თვალები შეავლო თინას. თინა ერთბაშად აენთო, მაგრამ თავი შეიკავა, გონება მოიკრიფა და სუფრაზე ნისლივით ჩამოწოლილი უსიამოვნება რომ გაეფანტა, ქმარს მიმართა, — ავდგეთ, წავიდეთ.

ისინი გვიან საღამოს დაბრუნდნენ შინ.

ქუთაისის მოცეკვავეთა ანსამბლი, მოცეკვავეთა და მომღერალთა გუნდების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის ემზადებოდა. იმ დღეს გაზეთ „კომუნისტში“ ასეთი ცნობა გამოქვეყნდა: **„განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების მთავარი მმართველობის თაოსნობით 28, 29 და 30 ივნისს ქალაქ თბილისში, ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართება სრულიად საქართველოს მომღერალთა და მოცეკვავეთა ოლიმპიადა! მონაწილე გუნდები თბილისში უნდა იყვნენ 27 ივნისისათვის და ამავე დღეს უნდა გამოცხადდნენ დღის ათ საათზე, სახელმწიფო კონსერვატორიაში (გრიბოედოვის ქუჩა). დასკვნითი საღამო გაიმართება ოპერის თეატრში, ოლიმპიადაში საუკეთესო გუნდებისათვის დაწესებულია ექვსი ჯილდო. ერთი — ხუთასი მანეთის**

ოდენობით, 2 — თითო სამასი მანეთის ოდენობით, ორი — თითო ორასი მანეთის ოდენობით და ერთი — 150 მანეთის ოდენობით". ეს ცნობა იმ დღეს აჩიკომ ერთხელ კიდევ წაუკითხა გუნდის წევრებს და მოუწოდა მეტი მონდომებითა და ენერგიით, ემუშავათ, რადგან წინ ასეთი საპასუხისმგებლო შემოწმება მოგველისო.

თინას ცეკვის გასაოცარი ნიჭი აღმოაჩნდა. ათასი გზით დამუშავებულ ილეთებს საოცრად ახლებურად და უჩვეულოდ გამოხატავდა. მის მიერ შესრულებული ქართული ცეკვა ხან აჩიკოსა და ხან ჯიბოს პარტნიორობით მთელ ქუთაისს სალაპარაკოდ ჰქონდათ, სიახლის გასაოცარი ნიჭი, რაც ასე უხვად ებოძებია ბუნებას, ახლა ცეკვებში გამოავლინა, სულ მალე მთელ ანსამბლში ქალბატონისა და მბრძანებლის ტახტი დაიდგა.

როგორც ვთქვით, ეს ის დრო იყო, როცა ანსამბლი თბილისში საგასტროლოდ ემზადებოდა. ანსამბლის წევრებისა და რეპერტუარის შერჩევას სპეციალური კომისია ხელმძღვანელობდა. ამ კომისიას სათავეში ქალაქკომის პირველი მდივანი ანდრო ედგა. ყოველ შაბათს ანდრო თვითონ ამოწმებდა ანსამბლს. ერთ-ერთმა შემოწმებამ აშკარად გამოავლინა ანდროსა და კომისიის თვალში თინას ტალანტი და თინამაც საჯარო შექება დაიმსახურა. შინ ფრთაშესხმული დაბრუნდა თინა. ეს იყო მისი ნიჭის პირველი საჯარო აღიარება, და ამაყი ქალი სიხარულისაგან მეცხრე ცაში იყო ასული.

როგორც ვთქვით რეპეტიციაზე ყველაზე დიდი მოწონება თინას ერგო წილად. ქალაქკომის მდივანმა თითქოს ახლა აღმოაჩინაო თინა. ანდრომ იცოდა, თინა რომ მირზას ცოლი იყო. მაგრამ აქამდე მის თვალში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებდა. თინა მოხერხებულად და მორგებულად მიარხევდა ტანს ნელი ნარნარით, ისე საოცარი მოქნილობით ზნექდა ხელების მტევნებს, ისე უეცრად შემოტრიალდებოდა თანაყოლილი კაბის შრიალითა და შარიშურით, რომ ისედაც ლამაზ და წერწეტა სხეულს უფრო ანაზებდა ამ საოცარი მოძრაობით. სხეულის სილამაზის საოცარი გამოსხივებით ხიბლავდა მაყურებელს, ხოლო როცა თავს ზემოთ ასწევდა, მისი თვალებიდან და წამწამებიდან გამონაკრთომი ელვა მაყურებელს ერთბაშად იმორჩილებდა.

დოლის ბრახუნი მეზურნეთა ლირიკულმა ხმებმა შეცვალეს და ქალი მწყერივით აგოგმანდა, ვაჟი გამოედევნა და დაეწია, ამ დროს ისევ განზე გაუსხლტა ქალი ვაჟს და მისეული, დამწველი ღიმილი შეაგება... ახლა ისევ ვაჟი გამოედევნა, მაგრამ პარტნიორი დონდლო, უხდილი, უცეცხლო აღმოჩნდა. ეს იგრძნო ქალმა და აელვარებული თვალები დაატაკა უხდილად მოცეკვავე ვაჟს. ცეკვა დასრულდა. საზღვარი არ ჰქონდა მოწონების ტაშს, დარბაზმა რამდენიმეჯერ გამოიწვია ჩინებული თინა.

ცხოვრებით, სილამაზის შექებით განებივრებულმა თინამ ასე იფიქრა კულისებში: მე ჩემი სილამაზით დავიპყარი ეს დარბაზი თუ ცეკვით? — ცეკვით, — გამოეხმაურა უცნობი ხმა. სილამაზე? — სილამაზითაც. — გამოეხმაურა იგივე ხმა. მე კი ის მირჩევნია, რომ სილამაზეს უფრო მიქებდნენ, ვიდრე ცეკვას, — წამოცდა მის ბაგეებს, ცეკვას თან ხომ არ ვატარებ, სილამაზე კი ყველგან თან მახლავს. მე სილამაზით ამირჩია ჩემმა ქმარმა, მე სილამაზით გამანებივრა იმავე ქმარმა, მე სილამაზით მიმიწვია ჯადოქარმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, მე სილამაზით დავიპყარი ქუთათურები. მე ცეკვით თავს ვირთობ, არა, ჩემს სილამაზეს ვართობ, ჩემი სილამაზე სამსჯაეროზე გამომაქვს... ასე ედავებოდა თავის შინაგან ხმას კულისებში იმ ბედნიერ საღამოს, ასე დიდი მოწონებით რომ ჩაიარა მისმა ცეკვამ და საზოგადოებამ პატივისცემა რომ დაუდასტურა. ყოველივე ამის გამო ცაში ასული თინა ისევ თავის ცეკვის ოსტატობასა და სილამაზეს ადარებდა ერთმანეთს. უპირატესობას ისევ და ისევ სილამაზეს ანიჭებდა. სწორედ ამ დროს ნოდარი შემოვიდა და უხეშად ყურში უჩურჩულა, არა, კი არ უჩურჩულა, როხროხით უთხრა: დღეს მთლად გადარიე საზოგადოება, ლამის გაგიჟდნენ ქუთათურები, დარბაზს არ ტოვებენ, ჩვენი ქალაქკომის მდივანი მეტად აღფრთოვანებული წავიდა, არა, დღეს გადასარევად ცეკვავდი.

— ეს როგორ, — იკითხა მისდაუნებურად, — გადასარევად ვცეკვავდი თუ გადასარევად ლამაზი ვიყავი?

მიუხვდა საწადელს უიღბლოდ შეყვარებული ნოდარი და ნათქვამი გაასწორა: — რასაკვირველია ლამაზი იყავი, მაგრამ ბრწყინვალედ ცეკვავდი, შენს სილამაზეს შენი არაჩვეულებრივი ცეკვა უფრო წარმოაჩენდა, ვაი რომ ჩემი ლუკმა სხვის ჯამში ჩავარდა!

თინა ერთბაშად აენთო, უადგილოდ ნათქვამი ანდაზის აზრს მიუხვდა და უფრო დაპატარავდა თინას თვალში ეს ლაქუცა კაცი.

— ეს ვინ გითხრა, რომ მე შენი ლუკმა ვიყავი? — პირდაპირ მიახალა პირში მის წინ წელში ორად მოკაკულ მამაკაცს.

— არა, მე ისე ვთქვი, სხვათაშორის.

— მაშინ მეც ისე გეტყვი, უბრალოდ. ის გირჩევნია იმ შენს ლაქლაქა ცოლს მოუარო, — ეს უთხრა, ზურგი შეაქცია ნოდარის და კულისებიდან გამოვიდა.

კლუბის წინ თაყვანისმცემელთა გუნდი შემოეგება თინას, ვიღაცამ ლამაზი თაიგული მოართვა. ამ წუთსაც საოცარი მომხიბლავი იყო, ბედით კმაყოფილი, ბედით განებივრებული, ყველას უღიმოდა, ზოგს ხელს უქნევდა, ზოგს იმავე ხელებით ამბორს უგზავნიდა. ამ დროს გაახსენდა რომ კულისებში ხელჩანთა დარჩა, უცბად მოტრიალდა და ოთახში შევიდა. მის გაოცებას საზღვარი არ ქონდა ნოდარი იქ რომ

დაუხვდა, ხელჩანთასთან, — აღების მოწადინე. როცა ნებიერიძემ თინა შენიშნა, უცბად მივარდა ხელჩანთას და დიდის მოწიწებით ჩააბარა. თან თავის მხრივ დაუმატა: — არა, სწორედ გითხრათ არა მესმის რა იმ შენი ქმრისა, ამდენი აურზაურია შენს გარშემო, საქართველოში ყველაზე უკეთეს მოცეკვავედ შენ ეგულებით და ის ერთხელაც არ მინახავს რეპეტიციებზე. მშენებლობას გადაყოლილ შენ ქმარს უნდოდი სახლში ჩაეკეტე. ზოგნი ოთხკედელს შორის აჭკნობენ ცოლის სილამაზეს... სილამაზეს გამომზეურება უყვარს, სილამაზეს გაბრწყინება სჭირდება, ქმარი ხელს უნდა უწყობდეს ამ მხრივ ცოლს. მე, მართალი გითხრა, მაოცებს შენი ქმრის უგულობა. თინას არ ეამა ამ სიტყვების გაგონება ნოდარისაგან, მას უკვე შეტყობილი ჰქონდა ნოდარისა და მირზას უთანხმოების ამბავი და მოემზადა რომ შეეტია ამ ავყია კაცისათვის, მაგრამ სწორედ ამ დროს კულისებში ლია შემოვიდა, თინას გულისგარეთ გამარჯვება მიულოცა, ქმარს გაუჯავრდა, დატუქსა, — მე გარეთ გეძებ, შენ კი აქ ყოფილხარ თურმე, ვერ მითხარი, თუ თინასთან შედიოდი. არა, ეს ქმრები სწორედ რომ უცნაურები არიან! — თქვა თინას გასაგონად ლიამ. მერე ხელი ჩაავლო ქმარს და კულისებიდან დატუქსული ბავშვივით გაიყვანა. თან სეტყვასავით მიაყარა სიტყვები: — შე უპატრონო შენა, შენი ცოლისთვის არ მოგივლია და სხვას რომ ეპოტინები რისი იმედით, მთლად რამ გამოგალენჩა შე უბედურო შენა... თინა შეკრთა. თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, არ მოეწონა ლიას ეს გამომწვევი საქციელი, მაგრამ არ შეიმჩნია. სწორედ ამ დროს ჯიბოც მოვიდა, მან სახლამდე მიაცილა თინა.

მეორე დღეს ანდროთ შინ მიიპატიჟა თინა და მირზა. ქალაქკომის მდივნის ოჯახში სხვა საპატივცემულო სტუმრებიც იყვნენ მოწვეული, მათ შორის ნოდარი და ლიაც აღმოჩნდა. პირველსავე სადღეგრძელოში ოჯახის უფროსმა ოლიმპიადის მზადებაზე ჩამოაგდო საუბარი. ისიც განაცხადა, რომ მე ვესწრები ამ რეპეტიციებს და იმედი მაქვს, რომ თბილისს თავბრუს დაახვევს ჩვენი მოცეკვავეებიო. ერთი ამათგანი უთუოდ ქალბატონი თინა იქნებაო. მე დიდი სიამოვნებით შევსვამ თინას და ჩვენი ამხანაგის მირზას სადღეგრძელოს. — ესა თქვა და თინას შეანათა გაბრწყინებული თვალები. თინა შეკრთა. ანდროთ სიტყვა გააგრძელა — მე ჩვენი მირზას მეუღლეს, ქალბატონ თინას ადრეც ვიცნობდი, რამდენადაც ვიცი ჩვენთანაც ყოფილაო, აქ დიასახლისი დაიმოწმა, — არა ლამარა! — ჰოდა მე ახლა ამას ვამბობ, როგორ მოხდა რომ მართლაც და აქამდე ვერ შევნიშნეთ ეს ადამიანიო! — ესა თქვა და ქალებს გადახედა. თინამ თავი დახარა, არა, მე სერიოზულად მოგახსენებთ და ამ შეცდომის პატიებას ვითხოვ. ისევ შეანათა თავის მომნუსხველი თვალები თამადამ ოდნავ შემკრთალ თინას.

— დიახ, ეს ჩვენი თინა ნამდვილი ტყის ფერია ყოფილა. ხომ ეს-

წრებოდით გუშინ რეპეტიციას, — საქმიანი კილოთი იკითხა ქალაქკომის პირველმა მდივანმა, — ვესწრებოდით — ერთხმად დაიგუგუნა სუფრამ. და სწორედ რომ სწორუპოვარი იყო ეს ჩვენი თინა. ოღონდ პარტნიორი ბიჭი არ მომეწონა. ამბობენ, თქვენი მეორე პარტნიორი, აჩიკო, უფრო უკეთესი მოცეკვავე არისო, ხოდა იმით უნდა შეეცვალოთ ის ბიჭი, ესა თქვა და ისევ თინას შეხედა.

თინა თავჩაღუნული იჯდა, გულში უხაროდა ასე საჯაროდ რომ აქებდა ქუთათურების თავკაცი.

ლია ვერ იყო ხასიათზე, და რაც უფრო აქებდნენ თინას, მით უფრო გული ბოღმით, შურისძიებით ევსებოდა. თავის თავს სწყეველიდა, რამ მიმაყვანიაო ეს გომბიო ცეკვის დასში. ასე ეგონა, პირველობა თინამ წამართვაო, ალბათ ასევე სიამოვნებით წამართმევდა ქმარსაც, რომ ღირსეული კაცი იყოსო. გაბრაზებული ლია გულში უშვერი სიტყვებით ლანძღავდა თინას და ადგილზე ვერ ისვენებდა. ქმარს წარამარა უჯავრდებოდა, ხოლო, როცა ნოდარმა თინას სადღეგრძელო ფეხზე ადგომით შესვა, ლიამ თავი ვერ შეიკავა და ქმარს პიჯაკი ისე ძლიერ ჩამოჭაჩა, რომ ჰიქიდან ღვინო გადმოეღვარა ნოდარს, ეს ყველამ შეამჩნია. ეს თამადამაც შენიშნა. და ერთბაშად რომ გაეფანტა უსიამოვნება, ოლიმპიადის ყველა მონაწილე ადღეგრძელა, მათ შორის ლიაც, მასაც არ დააკლო ხოტბა და წარმატება უსურვა თბილისში მთელ გუნდს.

გვიან საღამოს დაბრუნდნენ შინ მირზა და თინა. თინა უზომოდ აქებდა ანდროს და მის შეხედულებებს, აქილიკებდა მირზას და მის საქციელს. — აი, ამ საღამოზე ვინც კი იყო, ყველას ნახული ჰქონდა ჩვენი რეპეტიციები. შენ რეპეტიციებისათვის კი არა, სალაპარაკოდ არ იცლი, ახლა კი, რაკი ხელში ჩაგიგდე, უნდა გითხრა ჩემი სათქმელი: შენი მოქმედება პირდაპირ მაოცებს. კრიტიკული უნარი და ალღო სავსებით დაკარგული გაქვს. მიამიტი, იმდენად გულუბრყვილო ხარ, რომ შენს გარშემო ავაზაკებსა და საქმოსნებს ვერ არჩევ, და რასაკვირველია, ვერც შეამჩნევ ისეთ ნიღაბაფარებულ კარიერისტს, როგორიც შენი თანაშემწე ნოდარია. არც სხვებია ანგელოზები, მონებივით ცახცახებენ დიდკაცების წინაშე. აბა რას ჰგავდა ეს დღევანდელი ნადიმი? — ერთი გაუთავებელი ქება და დიდება თქვენი ქალაქკომის მდივნისა, აქ შეკრთა თინა, რატომღაც თავის მხრივ დაუმატა, — თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის ქებას არ იმსახურებდეს, მაგრამ მე მაოცებდა ის პატარა კაცუნები, მის გვერდით რომ ისხდნენ და ასე ქედმოდრეკილები ერთმანეთს ეცილებოდნენ იმ კაცის ქებაში. მთელი ნადიმი ისე გათავდა, ერთი სიმღერა არ ყოფილა, ერთი ცეკვა, ერთი თავისუფალი, ლაღი ხუმრობა და ღიმილი. რა ნაძალადევი სერიოზულობით, ჯარისკაცებივით გაჭიმულები ისხედით... არა, ისევ ის თქვენი ანდრო

გჯობდათ ყველას. ალბათ, იმიტომ, რომ იმას იმ სუფრაზე არავისი არ ეშინოდა. თქვენ კი დამფრთხალი ცხვრებივით თავჩაქინდრულები ისხედით და თვალებში შესციცინებდით ქალაქკომის მდივანს. აი, თქვენი უსულგულო სუფრა. არ ვიცი ღმერთმანი, ამ ქალებს მაინც რას ეპატიჟებით ამ ბერების სუფრაზე. პირდაპირ ტანჯვაა, იჯდე საათობით და თქვენს გაუთავებელ „საქმიან“ სადღეგრძელოებს უსმენდე.

მირზა ჯერ დუმდა. მერე გაჯავრებული კილოთი დაიწყო: — პირადად მე თუ მკითხავ, ჭირის დღესავით მძულს სუფრაზე ღლაბუცი, ქალებს კალთას რომ უკოცნიან ან ცრემლებით რომ ალბობენ. ამგვარ „რაინდთა“ ნადიმი ერთი გაუთავებელი ხორხოცია. ჩვენი სუფრა საქმიანი და მოქალაქეობრივი აზრით უნდა იყოს სავსე. აი, სულ რამდენიმე ხნის წინათ აქ, ქუთაისში, თბილისელი ქართველი პოეტები იყვნენ. ჰო, რა გაუთავებელი და საქმიანი კამათი იყო. დიახ, ვინც საქართველოს ისტორიას იცნობს, იმან იცის საქართველოში სუფრაზე რომ წყდებოდა საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეები. იქ იმართებოდა სჯა-ბაასი ქვეყნის ბედზე, ერის ცხოვრებაზე, დიახ, ჩვენ ამ ტრადიციას ვაგრძელებთ, მაგრამ ჩვენს სუფრას ახლა ახალგაზრდები უსხედან, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანები, ამიტომაც ჩვენი სუფრა ისევე მკაცრად რეგლამენტირებულია, როგორც ჩვენი დრო. მაგრამ ეს სრულიად არ გვიშლის ხელს ლამაზ ქალს ლამაზი სიტყვები ვუთხრათ. მე მგონია, ეს მხარე დღეს არც ჩვენს სუფრას აკლდა. შენ რა გაქვს სასაყვედურო!

— არა, შენ ჩემს სიტყვას ტყუილად განზე აგდებ. მე შენს უგულობაზე მოგახსენებ. ქალს ალერსი უნდა, ტკბილი სიტყვა, დიახ, ალერსი და ტკბილი სიტყვა. მე, არ ვიცი რატომ არ იცლი ჩემთვის. ნუთუ ვერაფერი დავიმსახურე შენს თვალში, სწორედ შენს გამოსაჯავრებლად ჩავეწერე მე იმ მოცეკვავეთა წრეში, სადაც ლამის გამაღმერთონ, მე ასე მეგონა, ამის შემდეგ მაინც გამოვიწვევდი პატივისცემას შენის მხრივ, მაგრამ ამაოდ, შენს მაგივრად, ჩემთან კულისებში, შენი მელია ამხანაგები შემოდიან და ისინი მასხამენ უზომო ქებას, შენ კი ჩემთან, კულისებს ვინ დაეძებს, კონცერტებსაც არ ესწრები. აი, აიღე ის შენი მეგობარი ანდრო! წარმოდგენას არ გაუშვებს, რომ ცოლთან ერთად არ იყოს. საქმე იმას შენზე ნაკლები საპასუხისმგებლო არა აქვს, მაგრამ ის გრძნობს პასუხისმგებლობას ცოლის და ოჯახის წინაშე და საზოგადოებას ამ მხრივ მაგალითს უჩვენებს. შენ გაკლია ეს ყოფითი კულტურა, შრომისა და სამსახურისადმი მუყაითობა სრულებით არ ნიშნავს ჩაკლა შენს თავში სილამაზისა და მოლხენის ნიჭი. ღამე ერთ სარეცელში რომ ვწვებით, იმასაც ანგარიშობ ალბათ. დილაუთენია დგები ისე, რომ ცოლს ერთ საალერსო სიტყვასაც აღარ ეტყვი. გარბიხარ სახლიდან ჭუდმოგლეჯილი. იქნებ შენ

ფიქრობ, რომ ხელმძღვანელებს პირადი ცხოვრება არ უნდა ჰქონდეთ. ჰოდა აქ ცდები, ისევ ის შენი ანდრო უნდა მოგაგონო. აი, იმას აქვს ცხოვრების შნო და ლაზათი.

ანდროს ასეთი გადამეტებული ქება არ ეჭაშნიკა მირზას და მისდა უნებურად წამოცდა:

— ჰა, ბატონო, გყავდეს ის შენი ანდრო, მე ხომ არ გიშლით ხელს?

— როგორ, რას მიქვია მყავდეს, რა, შენ ცილი გინდა დამწამო?— გადაირია თინა, ისედაც გაღიზიანებულს და ნერვებაშლილს ტირილი აუვარდა, და ტირილითვე უპასუხა: — მაშ რათ ირთავთ ამ ცოლებს, თუ პირად ბედნიერებას, სიხარულს წაართმევთ და ოთახში ჩაკეტავთ, ვით ლამაზ ნივთს, რომ არავინ მოგპაროთ?

— როგორ თუ ჩავკეტავ? — ვეღარ მოითმინა და ხმას აუწია მირზამ, — მე თვით არ მოგაწყვე სამუშაოდ, მაგრამ შენ არ ინებე და სახლში დაჯექი, მერე ეს ცეკვა აიკვიატე, არც აქ შემიშლია ხელი, მაშ რაში მადანაშაულებ?

— ჰო, მუშაობა და ბევრი შვილები, აი შენი მრწამსი.

— მაშ ცეკვა, დროს ტარება, აი მიზანი თურმე, არა, მე როდი ვარ წინააღმდეგი ცეკვისა, და არც გიშლი მე ამ ცეკვა-თამაშს. თუმცა ყოველივე ამის გამო მე ზოგი უსიამოვნო ხმებიც მომწვდა, მაგრამ...

— რა მაგრამ, — ერთბაშად იფეთქა თინამ, — ალბათ ისიც გითხრეს, რომ მე საყვარლები გავიჩინე არა? — აქ ისეთნაირად აუწია ხმას თინამ, რომ მირზა უბრად ადგა და გაეცალა გაკაპასებულ ქალს.

ასე გაჩნდა მირზას სულში მღელვარება და ეჭვი, ასე გაჩნდა პირველი ბზარი ცოლსა და ქმარს შორის. უცბად მირზას სულში ისე ძლიერად გახმაურდა ეს ეჭვი, რომ იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო და ბოლომდის ეთქვა სათქმელი.

— იცი თუ არა, თინა, ძველების ნათქვამი! სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო.

თინას ეს სიტყვები მწარედ მოხვდა და სეტყვასავით მიაყარა!

— არა, რაზე დაგჭირდა ეს ანდაზა? ვისი სახელის გატეხვას უფრთხი, ჩემსას თუ შენსას?

— მე და შენ ვინ გაგვყო თინა?

— შენ, შენ გაყავი ჩვენი ერთობა, შენ, მხოლოდ შენ ხარ დამნაშავე ყველაფერში, შენისთანა კაცს ცოლისთვის ხელი არ უნდა მოეკიდა, შენ ცოლი სახლის სამკაული გგონია, შინ რომ ეგდოს და რომ მოხვალ ამ ლამაზ სამკაულს შეხედო, მხოლოდ შენ უყურო, მხოლოდ შენ გეკუთვნოდეს. შენ გამოუსწორებელი ეგოისტი ხარ. — აქ ისევ ტირილი აუვარდა თინას.

— მაშ თუ ასეა, მეც მომეცი უფლება, ისე ვიცხოვრო, როგორც მე მინდა, თუ არა და სულ წავალ ამ სახლიდან!

—რას ნიშნავს, სულ წახვალ, ალბათ, უკვე წასული ხარ და ჩემგან მოითხოვ დასტურს?! — წამოიყვირა მირზამ და უსიტყვოდ გავიდა მეორე ოთახში.

მეორე დღეს მირზამ უთენია მიაშურა სამუშაოს, თინამ შუადღემდე იწრიალა ლოგინში, მოგვიანებით უხალისოდ ადგა, ჩაიცვა და საცეკვაო კლუბისკენ წავიდა.

იმ შაბათს გენერალურ რეპეტიციაზე კოტე მარჯანიშვილი, დოდო ანთაძე და არჩილ ჩხარტიშვილი მოიწვია ქალაქკომის პირველმა მდივანმა. კოტე და მისი თანაშემწეები ბოლომდე დაესწრნენ რეპეტიციას და, როდესაც ანდრომ თხოვა, თავის აზრი გამოეთქვა ანსამბლის მომზადების თაობაზე, კოტემ რამდენიმე საგულისხმო რჩევა მისცა კომისიას და არჩილ ჩხარტიშვილს დაავალა, ამ შენიშვნების მიხედვით ჩაეტარებინათ რეპეტიციები შემდგომში.

ჩხარტიშვილმა არსებითად შეცვალა და გადააადგილა მიზანსცენები და მოცეკვავეთა წყვილები. თინასა და აჩიკოს წამყვანი სოლისტების ადგილი მიაკუთვნა. ამის გამო განაწყენებულმა ლიამ ერთი ამბავი დაათია, მთელი გუნდი ააწრიალა, ვის არ მიმართა საჩივრით, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

მერე ქალაქკომში იჩივლა, კომისიამ ჩხარტიშვილის წინადადებას დაუჭირა მხარი. განაწყენებული ლია კი ისევ ჩიოდა, ათასგვარ ჭორებს ავრცელებდა, ვიღაც-ვიღაცეებს მუქარას უთვლიდა. როცა ვეღარსად იპოვა „სამართალი“, საკუთარ მეუღლეს შეუტია. სულ შენი ბრალიაო ყველაფერი, შენ რომ ანგარიშს გიწევდნენ და კაცად გთვლიდნენ, მე ასე არ მომექცეოდნენო.

ნოდარი დიდხანს ამშვიდებდა გაკაპასებულ ლიას, მაგრამ ვერას გახდა.

— არა, როგორ ვერ ხვდები, — გაანჩხლებული ლია უყვიროდა ქმარს, — ყველაფერი მე შენითა მჭირს, შენ გადაეკიდე მირზას, ახლა შენს გამო მე თინა მიტევს, შენ კი ვერას მშველი, არა, ყველას, ყველას უნდა ვამცნო, რომ ეს ჩვენი ოჯახის წინააღმდეგ მომართული ინტრიგაა, თინას და მირზას დაგებული მახეა.

იმ წელს 1928 წელს, თბილისში გრანდიოზული ოლიმპიადა მოეწყო. ქუთაისის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლმა ამ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო თინას და აჩიკოს შესრულებული „ქართული“ და „განდაგანა“ პირველი პრემიითა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ოლიმპიადის საზეიმო დახურვა ოპერის თეატრში მოეწყო. საღამოს საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანიც დაესწრო.

თინა და აჩიკო მთავრობის ლოჟაში მიიწვიეს და შეაქეს. აღფრთოვა-

ნებულმა ანდრომ მხურვალედ ჩამოართვა ხელი ორთავე მოცეკვავეს. წარმატებისაგან თავბრუდახვეული თინა მივარდა ანდროს, კისერზე პატარა ბავშვივით ჩამოეკიდა, მერე ერთბაშად მაგრად აკოცა და ლოჟიდან გავარდა. ეს შენიშნა ცეკვას მდივანმა და ღიმილით უთხრა ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივანს: — არა, ეს შენი მოცეკვავე ქალი ნამეტანი ლამაზია, საშიშად ლამაზი, გაფრთხილებ ამხანაგო ანდრო.

იმავე წელს 3 ნოემბერს გაიხსნა ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის სეზონი. სეზონი გაიხსნა ტოლერის პიესით „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“. თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებსა და თეატრალურ ქუთაისს დარბაზი ვერ იტევდა. დაუსრულებელ ოვაციებსა და შეძახილებს საზღვარი არ ჰქონდა, ხოლო როცა წარმოდგენა დასრულდა, ფეხზე დამდგარი დარბაზი დიდხანს, ძალიან დიდხანს მხურვალე შეძახილებით და ყვავილების თაიგულებით აჯილდოებდა მსახიობ შემსრულებლებს. ეს იყო ქართული თეატრის დიდი ზეიმი. ამას მოჰყვა 17 ნოემბრის მეორე პრემიერა — ბერნარდ შოუს კომედია „წმინდა ქალწული“, ხოლო 24 ნოემბერს განახლებული იქნა „ცხვრის წყარო“ — მარჯანიშვილის დადგმით. დეკემბერში კი ორი ახალი პრემიერა უჩვენეს: შალვა დადიანის „კაკალ გულში“ და გუცკოვის — „ურიელ აკოსტა“. თეატრალურ ზეიმს ქუთაისში საზღვარი არ უჩანდა. ამას მოჰყვა კარლო კალაძის „როგორ“...

ეს სეზონი მარჯანიშვილის ნიჭის გენიალური გამობრწყინება იყო. მთელი თეატრალური საქართველო ამ სპექტაკლებზე ლაპარაკობდა.

მას შემდეგ, რაც რუსთაველის თეატრი ორად გაიყო, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელად ახმეტელი დარჩა, ხოლო ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელი მარჯანიშვილი გახდა. საქართველოს ინტელიგენცია და ქართული მწერლობაც ორ ბანაკად დაჯგუფდა. ერთნი რუსთაველის თეატრს აქებდნენ. განსაკუთრებით იწონებდნენ ახმეტელის მიერ იმ წელს დადგმულ „ანზორს“, სადაც საოცარი ნიჭიერებით, დიდებული სამეული, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, და ვასო გოძიაშვილი ასახიერებდნენ როლებს... მეორენი მარჯანიშვილის მიერ ჯადოსნურად ამეტყველებულ ქუთაისის თეატრის დადგმებს უკრავდნენ ტაშს. აქაც გამოჰყოფდნენ დიდებულ სამეულს. ვერიკო ანჯაფარიძეს, უშანგი ჩხეიძეს და შალვა ღამბაშიძეს.

ამ ვითარებაში შეუდგა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისის თეატრი თბილისში საგასტროლო მზადებას, ისედაც შესანიშნავ დადგმებს, ახალი თეატრალური დეტალებით ავსებდნენ და ამდიდრებდნენ. ამასთან დაკავშირებით, ოლიმპიადაზე ასე ბრწყინვალედ გამარჯვებული თინა კვლავ მოიწვია კოტე მარჯანიშვილმა. თინამ რამდენიმე ცეკვა გრიგოლ შავგულიძესთან ერთად მოამზადა მაჭავარიანის

ხელმძღვანელობით. კვლავ ალაპარაკდა ქუთაისის საზოგადოება თინას განსაკუთრებული ტალანტის გამო. შურით გულზე გამსკდარი ლია ათასგვარ ჭორებს უვრცელებდა ყოფილ მეგობარს.

ჯერ აჩიკოს საყვარლად გამოაცხადა და მთელ ქუთაისს მოსდო ეს ამბავი, მაგრამ, როცა ამან ნაყოფი ვერ გამოიღო, ლიამ ამჯერად თინას საყვარლად ანდრო, ქალაქკომის პირველი მდივანი დაასახელა, ქალაქში დარხეულმა ამ ჭორმა სწრაფად ფეხი აიდგა და მთელი ქალაქის მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ყოველივე ამის გამო, დაწვრილებით მოახსენეს ანდროს. ანდრო, ეს მუდამ დინჯი, მომთხოვნი ხელმძღვანელი, გულის სიღრმემდე შესძრა ამ ამბავმა. ლია უკვე აღარავის ერიდებოდა და საჯაროდ აცხადებდა: — აბა რა ეგონა მის ჩანჩურა ქმარს, ასე რომ მიუშვა ის თავზეხელაღებული ფაშატი. რატომ ერთხელ მაინც არ იკითხა, თუ ვინ მიართვა საქართველოს ოლიმპიადაზე ცეკვის დედოფლის ტახტი თინას? ანდა ხელმეორედ ვინ გაუხსნა კარები მარჯანიშვილის თეატრში? რასაკვირველია, მისმა საყვარელმა, იმ ჩვენმა ქალაქკომის მდივანმა. — ბოლოს იქამდე გათამამდა, რომ ერთ დღეს ანდროს ცოლთანაც კი მიბედა სამსახურში — საავადმყოფოში.

ლამარამ, ქალაქკომის მდივნის მეუღლემ, ერთხანს მშვიდად უსმინა ენაჭარტალა ლიას, მაგრამ როცა ჭორიკანამ მეტისმეტად შორს შესცურა, მოთმინების ფიალა აღევსო და მკვახედ მოუჭრა: — მე არ ვიცი, ვინ რა ჭორებს ავრცელებს, მე ის ვიცი, რომ ჩემმა ქმარმა თავის საქმე კარგად იცის და უჩემოდაც გაერკვევა ამ ვითარებაში! — სახტად დარჩენილი ლია უცბად გაიძურწა ექიმის კაბინეტიდან.

შინ დაბრუნებული ლამარა მღელვარებამ მაინც აიტანა, სწორედ იმ დროს ანდროც დაბრუნდა, აფორიაქებული მეუღლე რომ ნახა, გაიკვირვა, მიზეზი ჰკითხა, მაგრამ ერთხანს დუმდა ლამარა, მერე გადაწყვიტა, წვრილად მოეთხრო, რაც რამდენიმე საათის წინ მის კაბინეშტი მოისმინა. ერთბაშად აღელდა ანდრო, — აი თურმე ვინ ავრცელებს ქალაქში ჭორებს! — წამოიძახა ხმამაღლა.

პირველად თავის სიცოცხლეში ანდრო საშინელმა ეჭვმა შეიპყრო და მთელი ღამე წვალებაში გაატარა. მეორე დღეს ნოდარი გამოიძახა და პირდაპირ მიახალა: — რა, შენ და შენ ცოლს, მეტი საქმე არა გაქვთ, რომ ჭორები ავრცელოთ ქალაქში?

— რა ჭორებიო, — შეკრთა ნოდარი.

— ვითომ არ იცი, არა?

— არ ვიცი, — კატეგორიულად განაცხადა ნოდარმა — მე მგონია თქვენ მოგეხსენებათ ანდრეი პეტროვიჩ, რომ მე ჭორების კაცი არა ვარ.

— არა — უცებ მოუჭრა ქალაქკომის მდივანმა, — მეც ასე მეგონა და ამიტომაც მხარს გიჭერდით მუდამ. შენს გამო მირზაც დავიმდურე

მაგრამ ახლა ირკვევა, რომ შენ არ ყოფილხარ გეერდში ამოდგომის ღირსი. არა მარტო ამ პორების გამო, არა,—ხმას აუწია ქალაქკომის მდივანმა, — მე მაშინაც შევცდი, როცა შენს პროექტს დავუჭირე მხარი. შენ ხომ უბრალოდ, მექანიკურად გადმოიტანე ძველი პროექტიდან შენს „ახალ პროექტში“ ის, რაც მელიქ-ფაშაევს უკვე ჰქონდა მინიშნებული და შენს აღმოჩენად გაასაღე. ჩვენ ახლა ისიც ვიცით, რომ პროექტების შესახებ ატეხილ დავამდეც არ იყავით უცოდველი, თავს პატიოსან კაცად ასაღებდი და სხვების ავტორიტეტის შელახვის ხარჯზე დაწინაურებას ცდილობდი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე დაწერილი შენი წერილები ჩვენ გადმოგვიგზავნეს, პასუხს აგებთ ამ წერილებში მოყვანილი ფაქტების სისწორეზე...

ნოდარმა ძლივს აითრია წელი და გალახული ძაღლივით გამოვიდა ქალაქკომიდან.

1929 წელს მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები დიდი ტრიუმფით ჩატარდა თბილისში. ოპერის თეატრი მაყურებელს ვერ იტევდა. კმაყოფილი და აღფრთოვანებული მაყურებელი განუწყვეტელ ოვაციებს უმართავდა თეატრის სულისჩამდგმელსა და ხელმძღვანელს კოტე მარჯანიშვილს და როლების ბრწყინვალე შემსრულებელს. იმ საღამოს, „ურიელ აკოსტას“ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თეატრიდან მაყურებელი არ გამოდიოდა მარჯანიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე და უშანგი ჩხეიძე მრავალჯერ გამოიყვანეს სცენაზე, მაყურებელი მაინც არ იშლებოდა. გვიან, როცა დარბაზი დაიცალა და კოტე მარჯანიშვილი თავის თანამებრძოლებით ოპერის შენობიდან გამოვიდა, მოხიბლული მაყურებლების ერთმა ჯგუფმა ეტლი მოჰგვარეს გამოჩენილ რეჟისორს, მარჯანიშვილი ეტლზე შესვეს, ცხენები გამოუშვეს და თავად ატარეს ეტლი სასტუმრო ორიანტამდე.

გასტროლები უჩვეულო წარმატებით დასრულდა. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებსა და ხელმძღვანელობას ეგონათ, რომ ამის შემდეგ, როგორც ეს იმთავითვე იყო დათქმული, როცა ქუთაისში დასი ჩამოაყალიბეს, მარჯანიშვილის თეატრს, მეორე დრამატული თეატრის სახელწოდებით თბილისში დატოვებდნენ. მაგრამ როცა საგასტროლოდ განკუთვნილი დრო ისე ამოილია, რომ ზემოდან თეატრის თბილისში დატოვებაზე სიტყვა არავის დაუძრავს, თეატრის ხელმძღვანელობას ეშვი გაუჩნდა. მსახიობებმა სცადეს საქმეში ქუთაისის ქალაქკომის მდივანი ჩაერიათ.

ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი ანდრო კოკათელი ბოლო წარმოდგენას ესწრებოდა, ამიტომ იმავე საღამოს, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, თეატრის დელეგაცია, სადაც თინაც შედიოდა ანდროს ეწვივნენ სასტუმროში. ანდრომ დიდი კმაყოფილებით მიიღო ისინი, გამარჯვება მიულოცა და, როცა მათი სათხოვარი მოისმინა

თბლისში გადმოსელის თაობაზე, ღიმილით უპასუხა: არა, აბა იმისთანა საქმეზე მე როგორ დაგიდგებით შუამავლად საქრთველოს ცენტრალური კომიტეტის წინაშე? ერთი წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ჩვენი ქალაქი, თქვენისთანა ტალანტები რომ არ ამშვენებდნენ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქუთაისში აღარ ჩამოშვებენ, რას მეტყვის ხალხი ასეთ ხელმძღვანელს, თეატრის დამანგრეველს.

როცა ანდრომ ახლოს არ გაიკარა დელეგაციის თხოვნა, ახალ ხერხს მიმართეს. მსახიობებს ბევრი რამ გაეგონათ ანდროსა და თინას ოჯახის მეგობრულ ურთიერთობაზე, მათ სიახლოვეზე და გადაწყვიტეს უშუალოდ თინა მიეგზავნათ ქალაქკომის პირველ მდივანთან.

ანდრო კოკათელს თინას გამოჩენა არ ესიამოვნა, ლიას მიერ მოგონილი ჭორები გაახსენდა, მაგრამ რაკი კარებზე იყო მომდგარი, შინ შეიპატიჟა. საოცრად აღელვებულმა თინამ, ერთბაშად მიიქცია ანდროს ყურადღება.

მამაკაცის გონებაში ხელახლა გახმაურდა ცენტრალური კომიტეტის მდივნის მიერ ამასწინანდელი ნათქვამი: — ეს შენი მოცეკვავე ქალი საშიში სილამაზისაო. მაცდურებას გარიდება სჭირდებოდა, მაგრამ ამის საშუალება აღარ იყო, ამის საშუალებას თავად ქალი არ იძლეოდა. სწორედ ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა, ანდრომ კარებს მიაშურა.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის მსახიობთა დელეგაციამ რაკი წუხელ ანდრო ვერ დაითანხმა და ამ დილით მასთან გაგზავნილ თინას დაბრუნება და პასუხის მოტანაც დააგვიანდა,— გადაწყვიტა უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან მისვლა.

ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დელეგაცია მიღებით მიიღო, მაგრამ დაყვავებითა და მშვიდობიანი უარით გამოისტუმრა. — არა, ერთი წელი კიდევ წაიმუშავეთ ქუთაისში, მხოლოდ ერთი წელი, თან ხუმრობით დაუმატა — ქუთაისი არც ისე ცუდი ქალაქია, ასე ერთბაშად რომ აგიყრიათ გული, მაგრამ რაკი ასე გადაგიწყვეტიათ, კიდევ ერთი წელი, კვლავ ხაზი გაუსვა მდივანმა და კარებამდე მოაცილა დელეგაცია.

ანდრომ გაისტუმრა თუ არა თინა, ოთახში ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ერასტი ღვამიჩავა შემოვიდა. ამის გამო უსიამოვნო ფიქრებმა შეიპყრეს ქალაქკომის პირველი მდივანი, საკმარისია, ერასტის თინას ეს სტუმრობა პირველ მდივანთან სადმე წამოცდეს, რომ შემდეგ, აქამდე არსებული ჭორი ნამდვილ ამბად მოინათლოსო, მაშინ რით იმართლოს თავი ქალაქკომის მდივანმა ან ცოლის, ან მეგობრების წინაშე?! ახლა ტვინს უბურღავდა ეს კითხვები ანდროს.

ანდროსთან ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე მომღიმარი სახით შემოვიდა. რიონჰესის მშენებლობის საკითხებზე ერთად უნდა წასულიყვნენ სმუსის თავმჯდომარესთან — ბესარიონ ჯიჯინაძესთან. სწორედ

ამის გამო ეჩქარებოდა ახლა ღვამიჩავას, მაგრამ შემოეიდა თუ არა ოთახში და ასე დაბნეული ქალაქკომის მდივანი დაინახა, სათქმელს თავი ვერ მოაბა, გონს რომ მოეგო, მარჯანიშვილის თეატრის წარმატებით აღფრთოვანებული ერთბაშად ალაპარაკდა: — არა, ნამდვილი საოცრება იყო, რაც ამ დღეებში მოხდა თბილისში. დღეს ვინც კი შემხვდა ქუჩაში, დიდი და პატარა, უცნობი და ნაცნობი, ყველანი გვილოცავდნენ ამ გამარჯვებას. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა წარმატებამ... ასე მიუახლოვდა ღვამიჩავა მთავარ სათქმელს, მაგრამ ანდროზ ერთბაშად მოუჭრა, მე შეუძლოდ ვარ, თუ კაცი ხარ, შენ თვითონ წადი ჰიჰინაძესთან და თან ეს წერილები გადაეცით, — პორტფელი გახსნა და წერილები ღვამიჩავას მიაწოდა.

ანდროზ გაისტუმრა თუ არა ღვამიჩავა, ოთახში ჩაიკეტა და ტახტზე წამოწვა. წევს თბილისის სასტუმროს ოთახში ქუთაისის ქალაქკომის მდივანი და გონებაამღვრეულს, საოცარი ფიქრებისათვის თავი ვერ გაურთმევია — არა, რა სასწაულად მომევლინა ეს ქალი, ვიღაცაა ავადმყოფია ნადვილად, რა მოხდა, რამ გადარია ასე, იქნებ მე მივეცი ამის საბაბი, იქნებ მაშინ უნდა დამეტუქსა, აი, აქ, ერთი წლის წინათ, ოპერის თეატრში, ცენტრალური კომიტეტის მდივნის წინაშე რომ დამიწყო ლოშნა! არა, ეგეგ ვინმემ განგეგ შემომიგზავნა, იქნებ ნებიერიძისა და მისი ენაჭარტალა ცოლის ხელი ურევია ამ საქმეში. ან იქნებ მე რომ მის ნიჭს ვაქებდი, ამან აღძრა მასში ის სითამამე...

ტახტზე წამოწოლილი ანდრო მთელი ორი საათი ებრძოდა აკვიატებულ ფიქრებს, მაგრამ ამაოდ. ამასობაში დღის ორი საათი გახდა. ადგა, ჩემოდანი აიღო და თბილისის სადგურს მიაშურა. ქუთაისის მატარებელი დღის 3 საათზე გადიოდა.

ანდროდან გამოსულმა თინამ კი მამისეულ ოჯახს მიაშურა. მამა შინ არ დახვდა. დედას გულში ჩაეკრა და დიდხანს ჰკოცნიდა. დედა პირველად ხედავდა ასე აღგზნებულსა და აღტაცებულ შვილს და უკვირდა, რა მოხდაო. თინამ დედას კალთაში ჩაუდო თავი და სხაპასხუპით დაიწყო: დედა იცი, მე მეორე გამარჯვება ვიგემე. მარჯანიშვილის თეატრის ეს გამარჯვება ჩემი გამარჯვებაცაა. იცი, რომ ახლა მთელი თბილისი ჩვენზე ლაპარაკობს.

— ჰო როგორ არ ვიცი, შვილო, მე არც ერთი წარმოდგენა არ გამომიტოვებია თქვენი, — ჰო, ისევ ბავშვივით შესციცინებდა თინა დედას თვალებში, ჰო, ეს შენ იცი, მაგრამ შენ ის არ იცი, თუ ვინ მომანიჭა მე ეს გამარჯვება. აბა შენ საიდან გეცოდინება, ესა თქვა, პატარა ბავშვივით ზე ახტა და დედას კისერზე ჩამოეკიდა.

— დედა! შენ იცნობ ჩვენს ქალაქკომის მდივანს? — ჰო, ვიცნობ შვილო. აკი ერთხელ, ჩვენ რომ პირველად ჩავედით ქუთაისში, მაშინ იქ ბრძანდებოდა, იმ ჩვენს მირზასთან. ჰო, კი, მაგრამ შენ არ იცი,

ვინ არის ის, არა, ის ჩვეულებრივი ადამიანი კი არა, ღმერთკაცია, სათავე ჩემი ბედნიერებისა, — ჩურჩულებდა თინა და დედას გაშმაგებული კოცნიდა. დედას ვერ გაეგო რა იყო ქალიშვილის აფორიაქების მიზეზი.

თინა დამშვიდდა და მეორე ოთახში გავიდა.

— დიახ, დიახ, ჩემს სულში მზის საოცარი სინათლე შემოიჭრა და სულ სხვანაირად გამინათა გონება, დიახ ეს იყო ის, რასაც სულ ველოდი, რასაც ვეპოტინებოდი და, როცა გავთხოვდი, ასე მეგონა, მივაღწიე კიდეც საწადელს, მაგრამ სულ მალე გაწბილდა ჩემი იმედი, სხვას ვეძებდი და სხვა შემრჩა ხელში და აი ახლა, ერთი საათის წინ ვპოვე მე ის კაცი, ვინც ოცნებით წარმომესახა, ვპოვე და ნეტარებით აღივსო სული ჩემი, თავბრუ მეხვევა ნეტარებისაგან. არა, აღარავის დავანებებ, ხელით შეეხოს ამ ნეტარების წყაროს. თავს მოვიკლავ და ხელიდან არ გავუშვებ ამ ტანჯვით მიგნებულ ბედნიერებას. ჰოი, რა წუთიერი იყო ეს გაელვება, მაინც ვინ იყო ის ჩერჩეტი, იმ დროს რომ მობრრიალდა და ჩამიშხამა წუთიერი გამონათება სიცოცხლისა. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ამაღამ ისევ მივალ და...

მერე, მერე რა მოხდება? მერე ქუთაისში რამეს ვიღონებ, დაუსრულებლად გაგრძელდება ეს ნეტარება. არა, ჯოჯოხეთად გადამექცეოდა ცხოვრება ეს მზის ნათელი სხივი რომ არ ჩამდგარიყო ჩემს სულში, მაგრამ ჩემი ქმარი? — ახლა გაახსენდა ქმარი რომ ჰყავდა. არა, ქმარი ქმარია, მაგრამ ამ ღმერთკაცზე მე არავის გავაბატონებ სხვას. მაგრამ იმასაც ხომ ცოლი ჰყავს? ამბობენ რომ ის თავის ცოლს ძალზე დიდ პატივს სცემსო. პატივს სცემს თუ უყვარს ნეტავ? ვაი თუ ისე უყვარს როგორც მე მიყვარს იგი ამ წუთში, მაშინ ქუთაისში რომ ჩავალ, არც გამიკარებს ანდრო. არა, ის ისეთი კაცია, რომ მე ასე უგულოდ არ გაძიმეტებს, მაგრამ თუ ცოლი უყვარს, მაშინ რა იქნება ის ჩემი? — საყვარელი? არა, ეს ცუდი სიტყვაა, ისეთ კაცს საყვარელი არ დაერქმევა. მაშ ვინ არის ის ჩემთვის — ის, ის ღმერთკაცია, ციდან მოვლენილი ღმერთკაცი ჩემს საშველად და ჩემ სანუგეშებლად, — თითქოს აკვიატებულ კითხვას გასაღები უპოვნაო და დამშვიდდა.

კვლავ აგორდა ქუთაისში ჭორი, ისევ დარბოდა ლია ქალაქში და დაუფარავად ქაქანებდა, აი, ახლა მაინც არ დაიჯერებთ, ახლაც ჭორია ვითომ? ჰა, ჰა, ეკითხებოდა იგი გამვლელ-გამომვლელს, ნაცნობსა და უცნობს. ამ გზით რომ ვერ მიაღწია საწადელს, ახლა უსახელო წერილების მიწერა დაუწყო მირზას, რაგვარი სისაძაგლე არ ეწერა ამ წერილებში. თავდაპირველად ისე ხვდა მირზა ამ ბარათებს, რომ არც კითხულობდა, მერე და მერე კი ეჭვის ჭიამ მაინც გაიტანა თავისი, სიმშვიდე შეერყა საქმეზე შეყვარებულ დარბაისელ კაცსაც. სულ მცი-

რე რამეზე ბრაზდებოდა და ჩხუბობდა თანამშრომლებთან. განსაკუთრებით ვერ იტანდა მის მოადგილეს ნოდარ ნებიერიძეს და ყველაფერს მას და მის ენატარტალა ქალს აბრალებდა.

— არა, სულაც ლიამ გადამირია ეს კეთილი და სათნო მეუღლე, ჯერ ცეკვებზე ატარა, მეგობრობასა და სიყვარულს უდასტურებდა, მერე, როდესაც ჩემს ცოლს ნიჭი აღმოაჩნდა, ერთბაშად გადაუდგა.

ნებიერიძეზე გაბოროტებულ მირზას თინასაგან ღალატი მაინც ვერ ერწმუნებინა, — მე სრული თავისუფლება მივანიჭე მას, ფრთები გავაშლევინე მის ოცნებასა და ნიჭს, ახლა კი რატომ უნდა მიღალატოს? არა, ეგებ სულ ჩემი მტრების მიერ გამოგონილი ჭორია, და მე ტყვილა ვიტანჯები, — ხომ არ ჯობია თავად თინას ვუამბო ამის შესახებ ყოველივე, — გაიფიქრა მირზამ, მაგრამ თინასთან შესვლა მაინც ვერ გაბედა.

თინა ერთი კვირაა რაც თბილისიდან დაბრუნდა, რაღაც გამოგონილი მიზეზით ოთახში ჩაიკეტა და ახლო არ იკარებდა მეუღლეს.

ეს ის დრო იყო, როცა საბჭოთა აპარატისა და თვით კომუნისტური პარტიის რიგების წმენდა დაიწყო. ამით ისარგებლა მთლად გაბოროტებულმა ნოდარმა და ცოლის წასისინებით ვრცელი ანონიმური წერილი გაგზავნა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში. ამ წერილში ის განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს მირზას წარმომავლობას და მიიჩნევდა მას პარტიისათვის საშიშ ელემენტად. ეს ვრცელი წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი იმიტომ აფარებს ხელს ამ დიდვაჭრის შვილს, რომ მის ცოლს ჰყვარობსო. ასეთი ამორალური კაცის ხელშია დიდი ტრადიციების მქონე ჩვენი ქალაქიო.

ანონიმური წერილი ქუთაისის ქალაქკომს გადმოუგზავნეს. ანდრო გაეცნო თუ არა წერილს, ეჭვი მაშინვე ნოდარზე მიიტანა, მაგრამ რაკი წერილი ხელმოუწერელი იყო, ამის გამოძიებას არ შეუდგა.

გაიარა დრომ და ქალაქკომში ახლა უკვე ხელმოწერილი წერილი შემოვიდა. წერილის ავტორი ამტკიცებდა, რომ მირზა შენილბულად არისო შეპარული პარტიაში და ამის გამოძიებას მოითხოვდა. წერილს ხელს აწერდა ნოდარ ნებიერიძე. ნოდარ ნებიერიძე რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მირზას „შავბნელი წარსული“, — როგორც თვითონ წერდა, — დამალული ჰქონდა. ანდრომ ეს წერილი იმ ანონიმურ წერილს შეადარა, რომელიც ცენტრალურ კომიტეტში იყო შეტანილი, ერთბაშად ნათელი გახდა, რომ ეს წერილი თითქმის ასლი იყო იმ წერილისა. გაშიშვლდა, ნიღაბი აეხადა, ავადმყოფ კარიერისტის სახეს ანდროს თვალში.

იმ დილით მირზას სამსახურში ამბავი დაახვედრეს, რომ თბილისიდან კომისია ჩამოვიდა და ქალაქკომში გიბარებენო. საქმე იმაში

იყო, რომ მელიქ-ფაშაევის პროექტით, რითაც დაიწყო მშენებლობა, რიონჰესის პირველი აგრეგატი 1930 წელს უნდა დამთავრებულიყო. სწორედ 1930 წლის დამდეგს უარყვეს ძველი პროექტი და ნოდარის მიერ შესწორებული პროექტით გააგრძელეს მშენებლობა. მაგრამ რიონჰესის მშენებლობა კვლავ ახალი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. თბილისიდან ჩამოვიდა კომისია, და ეს კომისია მოითხოვდა რიონჰესის ენერგიის დამატებით გადიდებას ჭიათურის ფერომარგანეცის წარმოებისათვის. ქალაქკომში, ანდროს კაბინეტში, სახელდახელო თათბირი მოიწვიეს ამ საკითხზე. კომისიამ, ბესო ჯიჯინაძის წინადადებით, პროექტის ხელახალი გადამუშავება — ჭიათურის ფერომარგანეცისათვის ენერგიის გათვალისწინებით, მირზას მიანდო. ამავე კომისიამ შეისწავლა ნებიერიძის განცხადება-საჩივარი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელზე და დაადასტურა მისი ცილისმწამებლური ხასიათი. ნებიერიძის პარტიულობის საკითხი განსახილველად კომისიამ ქალაქკომს გადასცა. იმავე კვირას ქალაქკომის ბიურომ ნებიერიძე, როგორც ცილისმწამებელი და სხვისი პროექტის მიმთვისებელი კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხა. საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა დაადასტურა ქუთაისის ქალაქკომის დადგენილება და ნებიერიძე რიგით ინჟინრად გადაიყვანეს ქუთაისის ძაფსახვევ ქარხანაში.

მირზას მიერ წარმოდგენილი ახალი პროექტი მოიწონა სმუსის საბჭომ და დაავალა რიონჰესის საამშენებლო კომიტეტს ამიერიდან ამ პროექტით ეხელმძღვანელათ. ახალი პროექტი უფრო შრომატევადი იყო. ყველაფერი ეს ახალ დამატებითს სახსრებსა და ტექნიკას მოითხოვდა, ამასთან დაკავშირებით ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივნისა და რიონჰესის მშენებლობის უფროსის ხელმოწერით დასაბუთებული ერცელი წერილი გაიგზავნა სახკომსაბჭოს სახელზე, ახალი დამატებითი სახსრების გაღების თაობაზე.

პასუხმა დაიგვიანა.

„— საწარმოო-საფინანსო გეგმა პირველ და მეორე კვარტალში უბნების მიხედვით რიონჰესის ადმინისტრაციას შედგენილი არ აღმოაჩნდა. მესამე უბანში გეგმა შესრულდა მხოლოდ 50 პროცენტით, ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ საწარმოო გეგმა არ ჰქონდა მესამე უბანს. მუშები სურსათ-სანოვაგით არ იყვნენ უზრუნველყოფილი, მათ სპეცტანისამოსიც არ ეძლეოდათ თავის დროზე და, რაც მთავარია, — სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა არ ყოფილა გამოყენებული მუშაობის ტემპის გასაძლიერებლად. ასევე გამოუყენებელი იყო ექსკავატორი „მარიონიც“... ეს მაშინ, როდესაც ტექნიკა საერთოდ აკლია რიონჰესის მშენებლობას“. — ასეთი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ 1930 წლის 24 აპრილის ნომერში.

1930 წლის 27 ივნისს კი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლევან ღოღობერიძემ მკაცრად გააკრიტიკა რიონჰესის მშენებლობა და თქვა: **„როდესაც რიონჰესის მუშებმა შეიტანეს საყურადღებო წინადადებები გვირაბის გაყვანის დაჩქარების შესახებ, მშენებლობის ხელმძღვანელებმა მათ უპასუხეს: ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა გვირაბის გაყვანის დაჩქარებასო. ასე ზრუნავენ რიონჰესის ხელმძღვანელები რიონჰესის მშენებლობის დამთავრებისათვის“..**

ამას კვლავ მოჰყვა „კომუნისტში“ დაბეჭდილი ვრცელი წერილი სათაურით **„რიონჰესში არ წარმოებს უბედური შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლა“**:

რიონჰესის მშენებლობა აშკარად საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ საგანგაშო დროს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვრცელი ხელმოუწერელი წერილი შევიდა. ანონიმურ წერილში ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივანს ბრალს სდებდნენ: ქალაქკომის მდივანი ოჯახს უნგრევსო რიონჰესის მშენებლობის უფროსს. ხოლო ოჯახური ტრაგედიით განერვიულებული მირზა უკვე ვეღარ იცლისო მშენებლობისათვის.

სწორედ ამ დროს ცვლილება მოხდა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, მდივნად ახალი კაცი აირჩიეს. ახალმა კაცმა საჩივრის შესამოწმებლად კომისია გამოყო. კომისიამ მთელ სამ თვეს იმუშავა, ამ ხნის განმავლობაში მშენებლობის საქმე უფრო აირია, ხოლო მირზას ოჯახური მდგომარეობა უფრო დაიძაბა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა გაეთავისუფლებია მირზა ქებურაძე, იგი საქართველოს სმუს-ში გადაიყვანეს სამუშაოდ.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ეს წლები მეტად დაძაბული და მძიმე წლები იყო. უდიდესი გარდატეხა ხდებოდა ადამიანთა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში. გეგმები იყო მეტად დაძაბული, მატერიალური ბაზა კი — უკმარისი. ბოლშევიკებს უკან არ იხევდნენ: შიმშილის, სიღატაკის და გაუგონარი დაბრკოლებების გადალახვის ფასად წინ მიიწევდნენ. მაინც ბევრი იყო შეცდომები და დამახინჯებანი, ხშირად იცვლებოდნენ ხელმძღვანელები, მარტო ბოლო სამი წლის განმავლობაში სამჯერ გამოიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი: კახიანი გაათავისუფლეს და ღოღობერიძე დანიშნეს, სულ მალე ღოღობერიძე მამულიამ შესცვალა. ხელმძღვანელობაში ახალი კადრები მოვიდნენ. ამ ვითარების ფონზე მოხდა მთელი პარტიული კადრების გადახალისება. და აი, ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ანდრო კოკათელი თბილისში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს.

სწორედ ამ წლებში თბილისში გადავიდა სამუშაოდ მარჯანიშვილის

სახელობის დრამატული თეატრი. რუსთაველის სახელობის დრამატიული თეატრის გვერდით მეორე დრამატიული თეატრი შეიქმნა. თინა თან გადმოჰყვა თავის მშობლიურ თეატრს. და აი, ახალ ვითარებაში წარიმართა ჩვენი მოთხრობის გმირების, ანდროს, თინას და მირზას ცხოვრება.

რიონჰესის მშენებლობის ახალი უფროსი ინჟინერი ვლადიმერ ჯიქია მთელი ორი კვირა ეცნობოდა, სწავლობდა მშენებლობაზე შექმნილ მდგომარეობას.

რიონჰესი გეგმით უნდა ამუშავებულიყო 1931 წლის მაისისათვის, მაგრამ ისე უხეიროდ წარიმართა საქმე, იმდენი დაბრკოლება და წინააღმდეგობა გამოჩნდა, რომ ახლად დანიშნულ ჯიქიას წინაშე მწვავედ დადგა საკითხი: იქნებოდა თუ არა მშენებლობა დამთავრებული 1932 წლის ბოლოსათვის.

მოასწრებენ? — ეკითხებოდა ყოველ ცისმარე დილას სამმართველოში გამოცხადებული ინჟინერი თავის თავს და თავის თანაშემწეებს... მერე გაუდგებოდა მშენებლობისაკენ მიმავალ გზას. რიონჰესის მშენებლობას კი 15 კილომეტრზე გაეშალა ფრთები, მაგრამ ასაფრენად გაშლილი ეს ფრთები მიწაზე უძლურად ფართხალებდა... სულ მალე დარწმუნდა მშენებლობის უფროსი იმაში, რომ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საგანგებო ზომების მიღება იყო საჭირო. იგი აქამდეც იცნობდა რიონჰესის მშენებლობას. ეს გამოცდილი ინჟინერი რევოლუციური პეტროგრადისა და სამოქალაქო ომის გმირი, ვოლხოვჰესის მშენებლობის ყოფილი უფროსი, რომელიც აქ დანიშვნამდე „ზაკენერგოს“ მმართველად მუშაობდა, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს ცეკას დავალებით ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში. მონაწილეობდა ზემდგომ ორგანოების მიერ გამოყოფილ კომისიების მუშაობაში და დადგენილებათა პროექტების შემუშავებაში; ერთი სიტყვით, იცნობდა მშენებლობაზე შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ ერთია — შორიდან იცნობდე საქმეს და სხვებს ავალებდე მდგომარეობის გამოსწორებას, ხოლო მეორეა, — თვითონ აგო იმაზე პასუხი, რასაც გეგმის შესრულება მოითხოვს. ახლა თვითონ, საკუთარი ცოდნით, გამოცდილებით, დღედაღამე თვალმოუხუჭავი მუშაობით უნდა გარდაექმნა, უნდა გამოესწორებია, ფეხზე დაეყენებია ეს ჩავარდნილი მშენებლობა...

ძველი ხელმძღვანელებიდან, მას შემდეგ რაც მელიქ-ფაშაევი, მირზა ქებურაძე და ნოდარ ნებიერიძე გაათავისუფლეს, — ყველაზე მეტად საქმის ვითარებაში ჩახედული რიონჰესის მშენებლობათა მწარმოებელი ინჟინერი ბაგრატ მიქელაძე იყო. 5 მაისს სწორედ მიქელაძე გამოიძახა მშენებლობის ახალმა უფროსმა და დაავალა მოხსენება მოემზადებია, რაშიც აისახებოდა სრული სურათი უკანასკნელი ერთი

წლის მონაცემების მიხედვით მშენებლობაზე შექმნილი მდგომარეობისა. მიქელაძე დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ დავალებას და ათ დღეში ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა მშენებლობის ახალ უფროსს. ვლადიმერ ჯიქია გაეცნო თუ არა მოხსენებით ბარათს, მეორე დღესვე შეკრიბა სამმართველოს მთელი აპარატი, უბნების ინჟინრები და ტექნიკოსები, ბრიგადირები, მოწინავე მუშები. თათბირი ვლადიმერ ჯიქიამ მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა. მშენებლობის საქმეს გაცნობილი ინჟინერი მკაცრად ლაპარაკობდა: — არა, ეს რა გიქნიათ? — კითხვით მიმართა თათბირის მონაწილეებს მშენებლობის ახალმა უფროსმა, ისე რომ თავი ზევით არ აუწევია. რას მოვიფიქრებდი, ასეთი უსფკრულის წინაშე თუ ვიდექით; ახლა აქ გამოვლენ ამხანაგები და თავის მართლებას შეუდგებიან, თუ ამას ვინმე აპირებთ, ახლავე გთხოვთ, რომ თავს ნურავინ შეიწუხებს. სიტყვას არა, საქმეს მოვითხოვთ თვითეული თქვენგანისაგან. ეს თათბირიც ამ მიზნით მოვიწვიეთ, — მკაცრად მოჭრა თავის სათქმელი და სიტყვა ინფორმაციისათვის მისცა ბაგრატ მიქელაძეს.

მიქელაძემ თავისი გამოსვლა პირდაპირ საქმით დაიწყო:

— 1930 წლის 2 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რიონჰესის მშენებლობის მიმდინარეობა, ბიურომ აღნიშნა, რომ დეკემბრისათვის საამშენებლო-საფინანსო გეგმა 23 პროცენტით არის შესრულებული, რაც გამოწვეულია შრომის არასწორი ორგანიზაციით, პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის სისუსტით, ხელმძღვანელ მუშაკთა შეუთანხმებლობისა და ურთიერთკინკლაობით.

ბიურომ სასტიკად გააფრთხილა რიონჰესის მშენებლობის ხელმძღვანელობა, დაუყოვნებლივ გამოესწორებინა მშენებლობაზე შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. 1931 წლის 23 თებერვალს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა რიონჰესის შესახებ საქართველოს ბიუროს ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის დეკემბრის დადგენილების შესრულება და კვლავ არადამაკმაყოფილებლად ცნო ჩვენი მუშაობა. დადგენილებით საყვედური გამოეცხადა მშენებლობის ხელმძღვანელებს მელიქ-ფაშაევს, ქებურაძეს... მაგრამ, რასაკვირველია, ვერც ამ დოკუმენტიდან გამოიტანეს სათანადო დასკვნა. რომ თავი არ მოგაბეზროთ მშრალი ციფრებით, მე მხოლოდ 1932 წლის თებერვალ-მარტის მონაცემებს მოვიყვან: თებერვალ-მარტში მუშათა ცვალებადობამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მეორე უბნიდან 52 მუშა წავიდა, მესამე უბნიდან — 304, მეოთხე უბნიდან — 244, მუშათა დენადობას ხელი შეუწყო საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესებამ. ყოველივე ამის გამო მთელ მშენებლობაზე გეგმა მხოლოდ 43

პროცენტით შესრულდა. არც ამჟამად არის მდგომარეობა გამოსწორებული. აპრილის მონაცემებით სამუშაოებზე მოვიდა რაიონებიდან მხოლოდ 112 კაცი, სამუშაო კი დატოვა 154 კაცმა...

— კარგი, კმარა! — თავი ვერ შეიკავა აღშფოთებულმა ჯიჭიამ. სიტყვა ჩამოართვა მიქელაძეს და თავად გააგრძელა: მე ერთ დოკუმენტს წაგიკითხავთ, ეს მასალა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. აი ისიც: **„რიონჰესის მშენებლობა გაშლილია 15 კილომეტრზე. ეს მთელი საბრძოლო ფრონტია. სამუშაოებზე დაბანდებულია 4700 მუშა. მუშა ხელი არ არის საკმარისი. მშენებლობას აკლია ათას შვიდასი მუშა. ეს გარემოება მოქმედებს მშენებლობის ტემპებზე. დადებულია ხელშეკრულება სამხრეთ ოსეთის, სტალინირის, გორის და კასპის კოლმეურნეობებთან მუშახელის მოწოდების შესახებ, მაგრამ ათას ხუთასი კაციდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორას ორმოცდასამი კოლმეურნე მოვიდა. აქედანაც ნაწილი უკან გაბრუნდა. მუშათა ცვალებადობას ხელს უწყობს მომარაგების მოუწესრიგებლობა. მუშები ზოგჯერ პურსაც ვერ იღებენ დაწესებული ნორმით. რიონჰესზე მუშაობს სახალხო კვების დამოუკიდებელი სექცია. მესამე კვარტალისათვის ისეთი მცირე რაოდენობაა გამოყოფილი ამ სექციისათვის, სასადილოები სანახევროდაც ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. მუშები ვერ ღებულობენ ვერც სამრეწველო საქონელს. არ არის სპეცტანსაცმელი. ასეთ პირობებში მუშახელის მიზიდვა ძნელია და შრომის ნაყოფიერებაზე საუბარი წყლის ნაყვაა. მუშახელის გარდა მშენებლობას აკლია საამშენებლო მასალები. რიონჰესი უნდა ამუშავებულიყო მიმდინარე წლის პირველ ოქტომბერს, მაგრამ საეჭვოა ამის მიღწევა, ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვკითხეთ მიქელაძეს...“** — აი სწორედ ამ ჩვენ მიქელაძეს ჰკითხა კომუნისტის კორესპონდენტმა და ხელი მიქელაძისაკენ გაიშვირა ჯიჭიამ. მიქელაძემ უპასუხა, — მკაცრად თქვა მშენებლობის უფროსმა, — „შევძლებთ, თუ გაუმჯობესდება მასალების მიწოდება, თუ კოლმეურნეობებმა დროზე გამოგვიგზავნეს შეპირებული მუშახელი. აქ ისევ დამსწრეთ გადახედა ჯიჭიამ. არა, სწორედ რომ მაოცებს მშენებლობის ხელმძღვანელის მიქელაძის ასეთი გულდამშვიდებული პასუხი. ჩვენ, ამხანაგებო, ისევ მკაცრად მიმართა მსმენელთ, ჩვენ, ყველა ჩვენგანმა თუ თვითონ არ ირბინა, თუ თვითონ არ მოითხოვა კასპის ცემენტის ქარხნისაგან — ცემენტი, ხე-ტყის მწარმოებელ დაწესებულებებისაგან — ხე-ტყე, კოლმეურნეობებისაგან—მუშახელი, იქე თავისთავად არავინ არაფერს მოგვცემს. ჩვენ საქმეს ჩვენვე უნდა მოვუაროთ. თუ ჩვენ ყველა ერთად და ცალ-ცალკე პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ამ საერთო სახალხო მშენებლობას, არა მგონია, ვერ დავძლიოთ დაბრკოლება. დასკვნა ერთია: არა სიტყვით, არამედ საქმით ვუპასუხოთ ამ დარღვევებს, — ესა თქვა და თათბირი დახურა.

„არა სიტყვით, არამედ საქმით!“ — გამოჰყვა თათბირის მონაწილეებს ახალი უფროსის ეს კატეგორიული განცხადება.

●

ნოდარ ნებიერიძეს მაღალ თანამდებობის კიბეზე ასვლის სურვილი ისე გაუჯდა ძვალ-რბილში, რომ ამ გზაზე საკუთარ ძმასაც არ დაინდობდა. რიონჰესის მშენებლობის ახალ უფროსთან დიპლომატიურად მოსინჯა ნიადაგი. თათბირის ამბავი რომ გაიგო, მეორე დღესვე სამმართველოში გამოცხადდა და მიღება სთხოვა მშენებლობის უფროსს ვლადიმერ ჯიქიას. ჯიქიამ პატივისცემით მიიღო ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი მშენებლობისა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ნებიერიძე კვლავ დაებრუნებინა სამუშაოზე. ნოდარმა შეამჩნია რა ახალი ხელმძღვანელის კეთილი განწყობილება, იფიქრა, ჩემი დრო დამდგარაო და ჭორებით სავსე გუდას სახელდახელოდ მოხსნა თავი: მოხერხებულად დაამუშავა მირზა და მელიქ-ფაშაევი. მშენებლობაზე შექმნილი მდგომარეობა მთლიანად პროექტის ავტორებს გადააბრალა. ჯიქიას იმაზედაც დაწვრილებით მოუთხრო, თუ როგორ ამხილა თავის დროზე ეს მავნებლები და როგორ არ მიაქცია ყურადღება ზემდგომმა ორგანომ ბესო ჭიჭინაძის ჩარევის გამო. დასასრულს, სხვათაშორის, ნებიერიძემ ისიც გააჟღავნა, რომ ყოველივე ამის გამო განცხადებით მინდა მივმართო ახალ ხელმძღვანელობას და მის ასლს თქვენ მოგართმევთო.

პარტიულ მუშაობაში საკმაოდ გამოცდილმა ჯიქიამ ერთბაშად შეიცნო ეს ნიღბოსანი და შეკრთა, არ მოეწონა რაინდული ბუნების, პირდაპირი და ჯიქური მოქმედების კაცს ეს მელაკუდა, მაგრამ თითქოს არ შეიმჩნია, რადგან მისთვის ახლა ყველაზე მაღლა სახელმწიფოებრივი საქმე იდგა — რიონჰესის მშენებლობის ბედი, ამიტომ, თუ ამ საქმეში გამოადგებოდა ნებიერიძე, მისთვის ხელი არ უნდა ეკრა მშენებლობის უფროსს.

— მე შენს სამსახურში აღდგენის საკითხს მხოლოდ მაშინ გადავწყვეტ, — მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ შეაგება ნებიერიძეს მშენებლობის უფროსმა, როცა გავეცნობი იმ განცხადებას, რომელსაც თურმე შენ ცეკაში აგზავნი. ეხლა შინ წაბრძანდი, თუ შეიძლებოდეს, იმ განცხადების ასლი მე გადმომეცი და შემდეგ ცენტრალური კომიტეტის განკარგულებას ერთად დაველოდოთ.

ნებიერიძემ იმავე დღეს გამოაცხო თავისი ვრცელი განცხადება, რომელსაც ახსნა-განმარტება უწოდა და რაც არსებითად მელიქ-ფაშაევისა და მირზას დაბეზღებას შეიცავდა. რასაკვირველია, აქ, შიგადა-შიგ იყო საღი მარცვალი და სწორედ ამ მარცვალს ჩაეჭიდა ვლადიმერ

ჯიქია. სპეციალური კომისია შეადგინა. ამ კომისიაში მისი მოადგილეები მიქელაძე და ერისთავი შეიყვანა. მეორეს მხრივ, კომისიაში შევიდნენ მელიქ-ფაშაევი, მირზა და მომჩივანი ნებიერიძე. იმ ხუთშაბათს ჭიჭინაძის დავალებით ქუთაისში ჩამოვიდა მირზა ქებურაძე და ბახტაძე. ჯიქიამ ამ სპეციალისტებს თავი მოუყარა და შეუდგნენ ნებიერიძის განცხადების განხილვას, სწორედ განცხადების იმ ნაწილისას, რომელიც პროექტს შეეხებოდა.

თათბირი მეტად მღელვარე ვითარებაში ჩატარდა, დავა ნებიერიძემ წამოიწყო:

— პროექტი რომ გონიერად შეედგინათ, იგი ქალაქის ზემოთ უნდა დაეწყოთ. ამის მაგალითია ზაჰესი. ზაჰესის არხის მშენებლობა ზემო ავჭალაში დაიწყეს და ამით არც მცხეთა დატოვეს უწყლოდ და არც ჩვენი თბილისი, მტკვარი — თავისი ძველი კალაპოტით დარჩა. ქუთაისს კი თითქოს განგებო, — თვალისჩინი — მდ. რიონი ამოაცალეს. რა არის ქუთაისი ურიონოდ? — თვალებდათხრილი ქალაქი. ჩემი პირველი პროექტით, ერთი ხელის მოსმით რომ უკუაგდო ბესო ჭიჭინაძემ, სწორედ ქალაქის ზემოთ იწყებოდა მშენებლობა. მართალია, ცოტა მეტი ჯდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ქუთაისს მისი თვალისჩინი — რიონი შერჩებოდა. ესაა და მელიქ-ფაშაევის პროექტი ნაკლები ჯდებაო, ამას მთავრობა უფრო ადვილად დაგვიმტკიცებსო. ახლა კი ფაქტის წინაშე ვართ. მაგრამ, ჩემი აზრით, ამის გამოსწორება არ არის ძნელი, თუ ისევ ჩემს პროექტს დაუბრუნდებით.

— მე მაოცებს შენი გამოხდომა, — აღელვებით შეუტია ნოდარს მირზა ქებურიძემ. — შენ როგორც ამ საქმის სპეციალისტს და აქ ჩვენს გვერდით მომუშავე ამხანაგს კარგად მოგეხსენებათ, თუ რა პრინციპი დაედო რიონჰესის მშენებლობის პროექტს: რიონჰესი სეზონური ტიპის ჰიდროენერგო სადგურია, მისი რეგულირება წყლის დროების მიხედვით უნდა მოხდეს. რიონი როცა წყალუხვია, ჰესის ოთხივე ტურბინი იმუშავებს სრული დატვირთვით, ხოლო როცა რიონი დაიკლებს, მაშინ ოთხი ტურბინიდან სამი, ორი ან შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს ჩართული. ამგვარი რეგულირებით შეიძლება ქუთაისს წყალი ყოველთვის ჰქონდეს. რიონი რიონად ისევ დარჩეს. პოეტები და ენერგეტიკოსები ამაზე ამაოდ დაობენ.

— არა, არა ხართ თქვენ მართალი, ამხანაგო მირზა, ჩემი აზრით,— ხმა აიმაღლა ჯიქიამ, — რიონჰესი საერთო სისტემაში, ამიერკავკასიის ჰიდროგაერთიანებათა სისტემაში ჩაერთვება და ვინ მოგვცემს ჩვენ დროის მიხედვით ამ უნიკალური მშენებლობის რეგულირების უფლებას? უმალ ქალაქს წყალს მოაკლებენ, ვიდრე ელექტროსადგურს. ჩვენი პროექტი ელექტროსადგურების საერთო საკავშირო გეგმას უნდა დაემორჩილოს. რამდენიც არ უნდა ვუმტკიცოთ საკავშირო მთა-

ვრობას საქართველოს წყლების თავისებურება, საერთო საკავშირო გეგმაში ამას არავინ გაუწევს ანგარიშს, და აკი არც მიაქციეს ყურადღება ჩვენს თხოვნას, რათა პროექტის ნაკლი იმით გამოგვესწორებინა, რომ რიონის კალაპოტში ცხენისწყალი გადმოგვეგდო და ამ გზით ქალაქ ქუთაისს მისი თვალისჩინი რიონი, როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე, არ დაეკარგა.

— და მე მაინც მოვითხოვ რიონის კალაპოტში ცხენისწყლის გადაგდებას, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას, — საკმაოდ დამაჯერებლად წარმოთქვა ნებიერიძემ.

— ჭიჭინაძე და მეც ცხენისწყლის რიონის კალაპოტში გადაგდებას ვემხრობოდით, ეს ჩვენ პროექტში იყო გათვალისწინებული და უსირცხვილოდ ნურც ნურავინ მიითვისებს. ამავე დროს — გააგრძელა მირზამ, — მე მწამდა და კვლავ მწამს, საკავშირო ენერგოსისტემის შექმნა შეუძლებელია არ ითვალისწინებდეს ცალკეული რესპუბლიკების სპეციფიკას. სწორედ ამ სპეციფიკას ვეყრდნობოდით ჩვენ და ზემდგომი ორგანოებიც პროექტის შედგენისას და მიგვაჩნდა, რომ წყლის რეგულირება გამორიცხავდა ქალაქის ურიონოდ დატოვებას.

— არა, ეს ცარიელი ფრაზაა — გაჯავრდა ვლადიმერ ჯიქია, — ეხლახან მოგახსენეთ და ეხლაც ვაგრძელებ, ერთიან ენერგოსისტემაში არავინ მოგვცემს უფლებას წლის დროების მიხედვით მდინარეთა გულუხვობას ანგარიში გაუწიონ და ამის მიხედვით აკლონ და უმატონ საერთო საკავშირო ენერგო გეგმას. საერთო საკავშირო გეგმა ქვეყნის ელექტროფიკაციის, სოციალისტური სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველია. ელექტროენერგიის წარმოება ჩვენს ქვეყანაში ამ საერთო საქმეს დაემორჩილება და ამის მიხედვით რიონჰესის წილი ყოველთვის უნდა იყოს ერთიანი, რენტაბელური და უცვლელი. დღესაც, რაკი ჩვენი სისტემა ამიერკავკასიის ენერგოსისტემაში ჩაერთო, — ამასვე გვთხოვენ. გავეცანი რა დაწვრილებით მშენებლობის პროექტს, ჩემთვის, ნებიერიძის განცხადების გარეშედაც ნათელი გახდა არსებული პროექტის მანკიერებანი. მე კიდევ უფრო მეტს ვიტყვი, თქვენი პროექტი, ამხანაგო მირზა, უფრო მანკიერია, ვიდრე იუდინისა და ბახმეტიევისა, ჰოდა, ამიტომ, შენ და მელიქ-ფაშაევს რომ დაგიჭირათ მხარი ჭიჭინაძემ, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

მირზამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჯიქიამ არ აცალა.

— ხომ ცნობილია, ამხანაგო მირზა, — თქვა ქებურაძის გასაგონად, — 1927 წელს წყალთა მეურნეობის მაშინდელმა მმართველმა, რომელიც დღეს აქ გვესწრება, ამხანაგმა ბახტაძემ, ცენტრალურ კომიტეტს წერილით რომ მიმართა? ამ წერილში ის აკრიტიკებდა მელიქ-ფაშაევს და წერდა: აქ მარტო ერთი ინტერესია, — ელექტრიფიკაციის ინტერესი, ხოლო ის, რომ ამ პროექტით ქუთაისი უწყლოდ რჩება და

ქალაქს ანტისანიტარიის საფრთხე მოელის, ამაზე არავინ ფიქრობსო.— ხომ ასე იყო ეს, ამხანაგო ბახტაძევ? — მიუბრუნდა ბახტაძეს. ამ უკანასკნელმა თავის დაქნევით უპასუხა. თავის მხრივ ჯიქიამ დაუმატა: დიახ, ასე იყო! ჭიჭინაძემ თავის ავტორიტეტი გადააფარა მაშინ ამ პროექტს და ხედავთ, რა დღეში ჩავვარდით! ამის შემდეგ იყო ის, რომ 1931 წლის 14 დეკემბერს სამგან თუ ოთხგან არხის გაყვანილობაში თავი იჩინა მეწყერმა. მეწყერი თითქოს სიგნალი იყო პროექტის მანკიერების აღსაკვეთად, მაგრამ აქაც წავუყრუეთ. დროც წავაგეთ და ფულიც უთავოდ დავხარჯეთ, და რაც მთავარია, ამდენმა შრომამ ამაოდ ჩაიარა. ახლაც ყოველდღე ვაწყდებით პროექტის მანკიერებით გამოწვეულ დაბრკოლებებს. არა, მეტის მოთმენა არ შეიძლება, მე ცეკას უნდა მივწერო ყოველივე ეს. ვნახოთ, რას გვეტყვიან, ხოლო რაც შეეხება ნებიერიძის წერილში აღძრულ „ყოფაცხოვრების საკითხს“, — მე არ მაინტერესებს, ის თქვენი პირადი საქმეა. თქვენ თვითონ მოილაპარაკეთ ერთმანეთში.

ჭიჭინაძე მოსკოვში იყო და როცა დაბრუნდა, მირზამ დაწვრილებით მოუთხრო ქუთაისში გამართული თათბირის ამბავი. გაბრაზებული ჭიჭინაძე მაშინვე ცეკაში წავიდა. ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური კომისია გამოყო, წევრებად ჭიჭინაძე და ჯიქიაც შეიყვანა. კომისია მთელი კვირა სწავლობდა ნებიერიძის მიერ აღძრულ საკითხს. დასასრულს კომისიამ მაინც ძალაში დატოვა მირზასა და მელიქ-ფაშაევის პროექტი, ხოლო შემჩნეული საპროექტო ხასიათის ხარვეზების გათვალისწინება და რიონჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობათა პროექტის საბოლოო დაზუსტება პავლე შენგელიას მიანდო.

რიონჰესელებმა მთელი ენერგიით შეუტიეს მშენებლობას, დაიწყო ბრძოლა დევიზით: „1932 წლის ბოლოსათვის რიონჰესის მშენებლობა საქართველოს ჰიდროენერგიის მწყობრში ჩადგება.“

ვლადიმერ ჯიქია 1932 წლის აპრილში დანიშნეს რიონჰესის მშენებლობის უფროსად, ხოლო იმავე წლის 8 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი სტატია სათაურით „რიონჰესი“:

„რიონჰესი ერთ-ერთი მძლავრი ჰიდროსადგურია ამიერკავკასიაში. სწორედ ამიტომ, რიონჰესის მშენებლობა შეტანილია დაკვრითი მშენებლობათა რიცხვში. ამას გარდა, რიონჰესის აგება წარმოადგენს მდინარე რიონის და მისი შენაკადების გეგმიანად გამოყენების საწყისს. რიონის და მისი შენაკადების საერთო სიმძლავრე, პროფესორ ლუდინის გამოკვლევის და ახალგაზრდა ინჟინრის პ. გ. შენგელიას მიერ ბრწყინვალედ შემუშავებულ სქემის მიხედვით, იძლევა 1000 000 ცხ ძალის სავსებით მოწესრიგებულ მუდმივ ენერგიას, რომელსაც წელიწადში შეუძლია გამოიმუშაოს 6.500.000.000 კილოვატ საათი.

რიონჰესის დანადგარის საერთო სქემა ასეთია:

მდინარე რიონზე, ქ. ქუთაისში, ჯაჭვის ხიდიდან 1,7 კილომეტრის მანძილზე აგებულ იქნება 10,37 მეტრის სიმაღლის კაშხალი. კაშხალს აქვს ოთხი ძირი (ხვრეტილი), თვითეულის სიგანე უდრის 10,2 მეტრს, რომლებიც იხურება ფარისებური საკეტებით. მარჯვნივ კაშხალს აკრავს ავტომატიური სიფონის წყალსადენები, ზედმეტი წყლის გასაშვებად წყალდიდობის დროს, და მისი გამტარუნარიანობა დაახლოებით უდრის 120 კუბ. მეტრ წუთ. სიფონის გვერდით, მარჯვენა ნაპირზე მოწყობილია ტივსაშვები, მდინარე რიონის სათავეებიდან დიდი რაოდენობით მომავალ ტივების გასაშვებად.

კაშხალიდან წყლის მიმღების და მთავარი ხაზის მეშვეობით წყალი გადავა დერივაციაში, რომლის საერთო სიგრძე უდრის 9,2 კილომეტრს.

სადერივაციო ნაგებობა იწყება 1502 მეტრის სიგრძის მქონე გვირაბით, რომელსაც პირველი პროექტის მიხედვით მიყვებოდა ღია არხი 1533 მეტრის სიგრძით. ეს არხი გადადის მეორე გვირაბში, რომლის სიგრძე უდრის 1072 მეტრს.

ამას შემდეგ არხი მისდევს საღორიის ვაკეს, რომლის სიგრძე 5,1 კილომეტრს უდრის. სადღეღამისო ავზის სადღეღამისო ფენის მოცულობა 400.000 მ უდრის. დერივაცია მთავრდება საწნევი აუზით, საიდანაც გაყვანილია საწნევი რკინის მილი. თვითეული მილის დიამეტრი უდრის 2,60 მეტრს, ხოლო სიგრძე 214 მეტრს. ეს მილები წყალს აწვდიან 4 ტურბინას, ტურბინები არის როგორც ვერტიკალური, ისე ფრენსისის ფორმის; თითოეული მათგანის სიმძლავრე უდრის 17,200 ცხენის ძალას. ერთ ლილვზე ტურბინებთან დაკავშირებულია სამფაზა ელექტროდენის 4 გენერატორი. თვითოეული 6600 ვოლტის ძაბვით და 150 კილოვატის სიმძლავრით. გენერატორები უშუალოდ შეერთებული არიან ტრანსფორმატორებთან, რომლებიც ადიდებენ ძაბვას. დანადგარის სრული სიმძლავრე უდრის 69 ათას ცხენის ძალას — 240 მილიონ კილოვატსაათის გამომუშავებით წელიწადში.

რიონჰესი ენერგიას მიაწვდის ისეთ მსხვილ მომხმარებლებს, როგორიცაა: ფერომარგანეცის ქარხანა, ტყიბულის მაღაროები, ენგურის ქაღალდის ფაბრიკა. ამის გარდა იგი დააკმაყოფილებს ქუთაისის, სამტრედიის, ფოთის, სტალინირის, სურამის სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საჭიროებებს. ელექტრო ენერგიით მოამარაგებს ამიერკავკასიის რკინიგზის საუღელტეხილო უბანს.

სადგურის მშენებლობა დაიწყო 1928 წ. იმ ანგარიშით, რომ იგი ამოშავებულიყო 1931 წლის მაისში, ეს ვადა, მშენებლებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჯერ გადაწეულ იქნა 1931 წ. დეკემბრისათვის, ხოლო შემდეგ 1932 წ. მაისისათვის. ამ უკანასკნელ ვადაზე მშენებლობა დამთავრებული იქნებოდა, რომ 1931 წლის 14 დეკემ-

ბერს არ გამორკვეულიყო ფერდობი უბნის არასიმტკიცის პირველი ნიშნები, — საფიჩხიის უბანში აღმოჩნდა წვრილი ნაპრალები.

21 დეკემბრის შემდეგ ნაპრალებმა იწყეს გაფართოება. უკვე ფერდობის ძირითად ქანში შეიქმნა ჩამოზვავების აშკარა საფრთხე. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერკავკასიის ჰიდროსადგურების სამმართველოს შეერთებულმა კომისიამ, ფერდობის გეოლოგიური გამოკვლევის და საპროექტო მასალის შესწავლის საფუძველზე, საშიშროების თავიდან ასაცილებლად დაადგინა — დავშორდეთ ფერდობს შემოსასვლელი გვირაბის მოწყობის გზით.

ეს დადგენილება შემდეგ დადასტურებულ იქნა უმაღლესი ორგანოების მიერ.

ამრიგად, თავი დავანებეთ ფერდობიან უბანს (არხს), სადაც თითქმის დამთავრებული იყო მიწის ამოღება 1534 მეტრის სიგრძეზე, და ამის ნაცვლად თებერვლის შუა რიცხვებიდან შევუდექით ახალი გვირაბის (№3) გაყვანას, მისი სიგრძე 1500 მეტრია, იგი აერთებს პირველ გვირაბს მეორესთან. ახალი გვირაბის ღირებულება უდრის 4.600.000 მანეთს. სამივე გვირაბის მთელი სიგრძე უდრის 4,1 კილომეტრს. პირველი ორი გვირაბი დამთავრებული იქნა ჯერ კიდევ 1931 წლის შუა თვეებში და ყველა მუშა და საინჟინრო ტექნიკური პერსონალი გადავიდნენ სხვა მშენებლობებზე. მაისის დამდეგისათვის მუშაობა გაჩაღდა და უკვე გვირაბის სიგრძე 500 მეტრს მიუახლოვდა. ეხლა მუშაობა სწარმოებს 8 სანგრევში. მხოლოდ 82 მეტრი სიგრძის გვირაბის გაყვანა — ყოველ დღე, ყველა სანგრევში, — აი რას შეუძლია უზრუნველყოს სადგურის ამუშავება. მუშაობა სწარმოებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში. 4 ცვლად მუშაობენ რიონჰესის ძველი მუშები, დონბასის, ჭიათურის და ტყიბულის მუშებთან ერთად.

ფსკერის და ფერდობების დაგეგმვა შესრულებულია 70%. ამის გარდა საჭიროა ფერდობების და არხის ძირის დაბეტონება 140 ათას კვ. მეტრის ფართობზე, რომელთაგან უკვე დაბეტონებულია დაახლოებით 20 ათასი კვ. მეტრი. 93 მეტრი სიგრძის ფერდობის დაბეტონება სწარმოებს მანქანა „დინგდერ"-ით, რომლის შრომის ნაყოფიერება დღე-ღამეში ორ ცვლად 1000კვ. მ. აღწევს.

მთავრობამ ვალიუტით გადასდო 70 ათასი მანეთი საზღვარგარეთიდან ელექტრო-მექანიკური აპარატურის შესაძენად. მთელი სამონტაჟო, გეგმის მიხედვით უნდა დამთავრდეს 1 სექტემბრისათვის, რომ გვექნეს დრო გამოვცადოთ სადგური მის ამუშავებამდე.

მშენებლობაზე გამოყენებულია სამუშაოთა ორგანიზაციის ახალი ფორმები (სოცშეჯიბრი, დამკვრელობა).

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღწევს 5.500 კაცს. მშენებლობა უოველთვის მწვავედ განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას. ამჟამად

მშენებლობამ კიდევ უნდა შეაგროვოს სულ ცოტა 1.200 მუშა, ამაზეა 90% დამოკიდებული რიონჰესის დამთავრება. არ შეიძლება ხელიდან გაუშვათ ზაფხულის სეზონი, თორემ მშენებლობის დამთავრება გადაიდება არა 2-3 თვით, არამედ მინიმუმი 1 წლით.

1932 წ. პირველი მაისისათვის შესრულებული იყო ყველა სამუშაოების 63%, ყველამ უნდა მოიკრიბოს ძალღონე დარჩენილი სამუშაოს შესასრულებლად. 1932 წ. გამოყენებული უნდა იქნას 20 მილიონი მანეთი 47 მილიონიდან. ვადა ერთობ მცირეა, ხოლო სამუშაო — ძალზე საპასუხისმგებლო, და ცენტრალური ორგანოების დიდი დახმარების გარეშე შეუძლებელია მშენებლობის დროული დამთავრება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის რიონჰესის მშენებლობით და სადგურის ამუშავებით არა თუ არაფერს არ იგებს, არამედ ნაწილობრივ ზარალობს კიდეც. ქალაქი, კაბელების ნაკლებობის გამო არ არის მზად დენის მისაღებად. შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ უდიდესი სიმძლავრის ელსადგური ამუშავდეს, ხოლო ქუთაისი უსინათლოდ დარჩეს. იგივე ითქმის წყალსადენზე. ქალაქი რიონჰესის მეხებით უწყლოდ რჩება, მილგაყვანილობა კი არ არის წყალსადენის დასამთავრებლად. ასეთივე მდგომარეობაა ბევრ სხვა დარგებში, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.“

ინჟ. Ვ. Დ. ჯიქია.
(„კომუნისტი“
ოთხშაბათი, 8 ივნისი, 1932 წ. №132)

●

მირზამ ბინა თბილისში ჭონქაძის ქუჩაზე მიიღო, იმ სახლში სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირნიც ცხოვრობდნენ. მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივიდან თბილისში დაბრუნებულმა თინამ მამისეულ ბინას მიაშურა და იქ გაჩერდა, ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ისევ დაუბრუნდებოდა თუ არა ქმარს.

ერთ დღეს თინამ თეატრში შემთხვევით გაიგო, ანდრო კოკათელი სწორედ იმ სახლში ცხოვრობს, სადაც მირზას ბინა მისცესო. თეატრიდან დაბრუნებულმა, გვიან ღამით, გადაწყვიტა ქმარი მოეკითხა. მიადგა მეუღლის ბინას და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. მირზამ კარი გააღო და მოულოდნელობისაგან ადგილზე გახევდა, სიტყვა ვერ დაძრა. ამით ისარგებლა თინამ და ოთახში თამამად შევიდა. ნაწყენობის გრძნობა უმალ გაქრა. თინა მირზას გულმხურვალედ გადაეხვია, ქალურმა სისუსტემ სძლია და ხმამაღლა ატირდა. ქმარი აჰყვა ქალის გრძნობებს.

თინა ისე უყურებდა კანონიერ მეუღლეს, თითქოს და ახლა აღმოეჩინოს ეს სახელგანთქმული ინჟინერი.

ატმის ყვავილისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა თინას. წელზე დედის ნაქონი ვერცხლის სარტყელი ერტყა. მარჯვენა თითზე სმარაგდის თვლებიანი ოქროს ბეჭედი ეკეთა. შესცქეროდა ამ საოცრად მომხიბვლელ ცისფერთვალება ქალს მირზა ქებურაძე და მათ შორის არსებული „ყინულის კედელი“ თანდათან დნებოდა.

თინა მეორე დღესვე გადმოვიდა მშობლების სახლიდან თავის საკუთარ ბინაში. ქმრის უხეში ხელით მიმობნეულ ბარგს, ყოველ ნივთს და აეჯს თავისი ადგილი მიუჩინა. სამსახურიდან შინ დაბრუნებულ მირზას თბილი საჭმელი და ცოლის თბილი გული დაახვედრა და თითქოს წყალი ჩადგა ნაგუბარში.

„დიახ მე ვიწექი მის გვერდით და ისევ ის დღე ბედნიერი, დღე პირველი მოგონებაში კი არა სინამდვილეში განმეორდა. მე გაბრუებული ვიყავი წუხელ. მე ცას ვეწიე სიხარულით.“

— ასე ფიქრობდა მირზა იმ საყვარელ არსებაზე, ახლა რომ სამზარეულოში ფუსფუსებდა.

ქმაყოფილებით სავსე მირზა ქებურაძეს უცბად ანდრო კოკათელი მოაგონდა და იჭვმა გაკენწლა, ბედის ქარიშხლისაგან შელეწილ მის არსებაში ისევ გაიხმიანა საშინელმა აზრმა: „ვაი თუ თინა მოღალატეა, დიახ, მოღალატე!“ მერე ერთბაშად უკუაგდო ეს იჭვნეული ხმა. „არა, ის რომ მოღალატე იყოს, არ მოვიდოდა ჩემთან ასე გულღიად, ასე გულწრფელად.

ჩემი ურემი ჯერ კიდევ არ გადაბრუნებულა, მე წუხელ სიყვარული დავიბრუნე, სულ მალე ყველას ჩემს თავდადებას დავუმტკიცებ და თავაწეული, პატიოსანი, ღვაწლმოსილი ქართველი ენერგეტიკოსის სახელით გავივლი ჩვენს დაღოცვილ რუსთაველის პროსპექტზე. მე ყველაფერი საქართველოს, მისი ახალი ცისფერი ღმერთის — ელექტროსადგურების აგებას შევწირე და არავის მივცემ უფლებას ბინძურად აფათურონ ხელები ჩემს გრძნობებსა და ჩემს სამსახურებრივ ავტორიტეტში. არა, ამ საღამოს თვით თინას უნდა ვუამბო ყველაფერი, რაც კი თავზე გადამხდა. რაკი ახლა ეს ძვირფასი განძი დავიბრუნე, ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ კვლავ არ დავკარგო იგი. გვიან მივხვდი, თინა რომ ჩემი ძლიერების წყარო იყო. მე სამსახურს შევწირე სიყვარული ამ ქალისა და დამსაჯა კიდეც ღმერთმა; ქვეყნის გამგებელო, მაკმარე ეს! სიყვარულსაც ისე უნდა გაფრთხილება და მოვლა, როგორც ყოველგვარ ვალდებულებას, ამ ქვეყნად ჩვენგან აღებულს, რამეთუ უსიყვარულოდ დასნეულებული სული ვერასოდეს შესძლებს მაღალი რწმენით ემსახუროს თავის ქვეყანას, თავი გაართვას სამსახურს, მოვალეობასა და რწმენას. მე ცუდ დროს მივატოვე

თინა უყურადღებოდ. დიახ, სიყვარულს არა მარტო დაპატრონება უნდა, არამედ მოვლა. ხარაჩოებზე გატარებული დღეები და ღამეები მე მართმევდნენ საშუალებას, უფრო მეტი ყურადღება დამეთმო ჩემი პირადი გრძნობებისათვის, თინას გულწრფელი სიყვარული, ჩემი ბედნიერების ეს დაუშრეტელი წყარო, ჩემი და ჩემი ქვეყნის ბედნიერებისათვის უნდა გამომეყენებია. ჰოი, ქვეყნის გამგებელო და გამჩენო! მე გვიან მივხვდი ჩემს უსამართლო მოქმედებას თინას მიმართ. და მან რით მიპასუხა? ვითომ ღალატით? არა არ მჯერა...“

...და კვლავ აწრიალდა მირზას სულში იქვი, იქვი საშინელი.

„ჩემი სუსტი მხარე მუდამ ის იყო, რომ მე იოლად ვენდობოდი ხოლმე ადამიანებს. დიახ, მე იოლად გავიხადე ძმად და მეგობრად ნოდარ ნებიერიძე — ეს ბინძური კაცი. როგორ იყო მაინც ისე შენიღბული, რომ მთელი თხუთმეტი წელიწადი ვერ გამოვიცანი, ძნელი ყოფილა, ძნელი, ბოროტი კაცის გამოცნობა, — გვიან საღამომდე ეკამათებოდა საკუთარ თავს მირზა ქებურაძე.

იმ დილით მირზა ადრე წავიდა სამსახურში. თინაც თეატრში წასასვლელად მოემზადა. ოთახიდან გამოვიდა თუ არა, წინ ანდრო კოკათელი შემოეფეთა. მოულოდნელობისაგან დაფრთხა ქალი. კაცმა ხელი გაუწოდა აკანკალებულ ქალს და სახე აემღვრა. თინამ ხელი ძლივს ჩამოართვა. გულშეღონებული იქვე ჩაიკეცებოდა, რომ ანდრო არ მიშველებოდა. ხელიხელ ჩაკიდებული ჩამოყვნენ კიბის საფეხურებს. იქვე მანქანა უცდიდა კოკათელს. როცა მანქანაში ჩასხდნენ, ანდრომ უცნობი კაცის კილოთი ჰკითხა თინას, — სად მიგიყვანოთო.

— თეატრში, — ძლივს თქვა ქალმა.

ანდრომ მარჯანიშვილის თეატრში მიიყვანა ქალი და თვითონ ცეკაში დაბრუნდა, ცეკაში თათბირი ჰქონდა დანიშნული. ის თათბირი უგემურად ჩაატარა, თვით განყოფილების თანამშრომლებს უკვირდათ მისი მოშვებულობა იმ დღეს. მღელვარე, ბობოქარ თათბირებს ატარებდა ის ყოველთვის. თათბირი მორჩა თუ არა, მარტო ჩაიკეტა ოთახში. იჯდა გაოგნებული და თვალთახედვა და გონების საწიერი თინასთვის ვერ მოეცილებინა. არა, რაღაცნაირად გაუხსენა ძველმა ჭრილობამ და ეს ჭრილობა მოშუშებას ითხოვდა. გრძნობა კაცისა დიდხანს ებრძოდა თავის თავს და გონებაში ჩარჩენილ თინას, მაგრამ ამაოდ.

მთელმა იმ დღემ უგემურად ჩაიარა სამსახურში, ხოლო შინ დაბრუნებულს უფრო მძაფრად განუახლდა ჭრილობა სიყვარულისა.

„არა, უნდა ნახოს და საბოლოოდ გამოარკვიოს ამ ქალთან ურთიერთობა,“ — ამას ფიქრობდა და თვითონაც არ იცოდა რა ურთიერთობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი: მას კანონიერი ცოლი ჰყავდა, თინასაც ასევე — კანონიერი ქმარი. მაშ რად აეკვიატა ეს ქალი ასე?

თავის მხრივ თინამაც დაჯარგა იმ დღეს მოსვენება, თეატრში მივი-

და თუ არა, რეპეტიცია უმალვე დაიწყო. მას ახალ პიესაში ერთი ეპიზოდური როლი ჰქონდა, მაგრამ ამ ორ ღამესა და განსაკუთრებით დღეს იმდენი რამე გადახდა თინას, რომ რეპეტიციაზე თავი ვერაფერს მოაბა. ხან სიტყვა ეშლებოდა, ხან მიზანსცენა. ამის გამო კიდევაც გაუჯავრდა იმ დღეს მორიგე რეჟისორი.

შინ დაბრუნებულმა თინამ ქმარს მტკიცედ განუცხადა, მე დღეიდან თეატრს ვტოვებო...

ჯერ ხუმრობა ეგონა ეს მირზას, მერე დაწვრილებით გამოჰკითხა მიზეზი.

— თეატრი ჩემი საქმე არ არის მუზეუმში უნდა დავიწყო მუშაობა, მაგრამ სანამ ეს მოხერხდებოდეს, ერთი წლით, ოჯახური მდგომარეობის გამო, შეებულება უნდა მომცენო.

მეორე დღეს მირზამ საკუთარი ხელით მიუტანა არჩილ ჩხარტიშვილს თხოვნა იმის თაობაზე, რომ თინა ერთი წლით გაეთავისუფლებია თეატრიდან.

თეატრის სამხატვრო კოლეგიამ დააკმაყოფილა თინას თხოვნა. ოღონდ თვითონ თინას კარგად არ ჰქონია გამორკვეული, რა უნდა ეკეთებინა ამის შემდეგ შინ. ბოლოს გაარკვია, მაინც გაარკვია და სახელი დაარქვა, — ანდროს დადარაჯება უნდოდა, მარტო მოხელთება. ანდროს მეუღლე დილით ადრე მიდიოდა სამსახურში, როცა მირზასაც გაიდარიებდა, ჯიქურ შეუღებდა კარს ანდროს.

იმ დილით მართლაც შეიჭრა თინა ანდროს ბინაში და აღელვებულმა ესღა უთხრა:

— მე თქვენი დახმარება მჭირდება.

— რაში, — გაღიმებით ჰკითხა ანდრომ მთლად აკანკალებულ ქალს.

— იმაში რომ მე მუზეუმში უნდა მომაწყოთ სამუშაოდ და მერე, რაც მთავარია, დღეში ერთი საათით მაინც უნდა შევხვდეთ ჩვენ ერთმანეთს.

— რატომ? — მისდაუნებურად ჰკითხა ანდრომ თინას.

— ამაზე მაშინ გეტყვით, როცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით. — და ბინიდან გიჟივით გამოვარდა.

ანდრომ ეს დღეც უგემურად გაატარა სამსახურში, ახლა მასში უკვე ორი გრძნობა იბრძოდა ჩუმად, მალულად, მისდაუნებურად შემოპარული, შიშველ ენებაზე თუ სიყვარულზე დაფუძნებული, და მეორე — ოჯახის, საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობა.

ერთ დღეს მუზეუმიდან შინ დაბრუნებული თინა (მუზეუმში იგი ანდრომ მოაწყო) ფანჯარასთან იდგა და უხალისოდ გაჰყურებდა მთაწმინდის ფერდობს. მწუხარებიდან გონებაგაფანტული ძლივს იბრუნებდა სულს, საკუთარ თავს არწმუნებდა, ედავებოდა. მერე ის იყო მთლად აცახცახებული შევიდა მირზასთან...

— მე ასე მეგონა, ჩემო მიზრა, ისევ დავიბრუნებდი ჩვენს პირველ სიყვარულს და გულით მოვედი შენთან. აი, ერთი თვეა ერთად ვართ, მაგრამ ამ ოხერმა გულმა ვერ იგრძნო და ვერა ის ძველებური სითბო და სიყვარული. მსახიობმაც კი ვერ მოვახერხე, შენ წინ მოჩვენებით მაინც მეთამაშა ერთგული ცოლის როლი. მე შენგან ეხლა სამუდამოდ უნდა წავიდე.

— სად? — თოფნაცემივით იკითხა მირზამ.

— მე თვით არ ვიცი, — გაბოგონილი სიმშვიდით უპასუხა თინამ, მერე მეორე ოთახის კარი შეაღო, უკვე წინასწარ ჩალაგებული ხელბარგი აიღო და ბინიდან ისე გამოვიდა, რომ უკან არ მოუხედავს.

გულგამეხებული, გონებაარეული პირაღმა იწვა იმ ღამეს მირზა და ფიქრობდა, ფიქრობდა და ედავებოდა საკუთარ თავს თუ უიღბლოდ შეყვარებულ თინას. ცდილობდა როგორმე ჩასძინებოდა, რომ აბეზარი ფიქრები თავიდან მოეცილებინა, მაგრამ ამაოდ. თვალები დახუჭა და მის გონებაში თინა აღდგა, მთელი თავისი არსებით, მერე სცადა აღედგინა მათი პირველი შეხვედრა, ხელისმოწერა, ქუთაისის და რიონჰესი, რიონჰესი და თინა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა გადაება ეს შთაბეჭდილებები ერთად. ამასობაში დაიღალა და ჩაეძინა კიდეც...

„ერთმა შავთვალა ქალმა ასეთი რაღაც მითხრა: შენ იცი, როგორ ანთებენ ბუხარში ცეცხლს? — პატარა ფიჩხებს დააყრიან ზედ ნაღვერდალზე, მერე ნელა შეუბერავენ და ცეცხლი აბრიალდება. შემდეგ შეშის დიდ დანაპობს შეაწყობენ და ცეცხლიც გაჩირაღდნდება, მერე გათბება ბუხრის გარშემო ყოველივე და იქ მსხდომნი სკამებს შორს გაწევენ, მაგრამ ძალზე შორს არა, ზომიერად, ისე რომ არ შეგცივდეს და არც მეტისმეტად დაგცხეს, და ბოლოს თუ უნდათ ცეცხლი სულ ენთოს, დიდ მუგუზალს დააგდებენ ზედ ნაკვერცხალზე, მთელი ღამე გუგუნებს ბუხარი და სითბოს აფრქვევს. ასეა ქალ-ვაჟის სიყვარული, თუ ნამდვილად უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ძნელია ქალის გულის გამოცნობა და უფრო ძნელი — მისი გულის შენარჩუნება.

ერთსაც გეტყვი, ლამაზ ქალებს ბევრი მტერი ჰყავს. ამ მტრების მოგერიება ადვილი როდია, მით უმეტეს თუ ქალი მარტო მიატოვე; ულამაზესნი მეტ წილად ტრაგიკულად ამთავრებენ ცხოვრებას“...

მისი ნაამბობი იმ დღეს სამსახურში ფრიად დამწუხრებულ მირზას მისმა ახლად შეძენილმა მეგობარმა ნიკო ბახტაძემ მოუთხრო.

შინ დაბრუნებულს ძილი არ მიეკარა. მირზა იწვა პირაღმა და ბახტაძის მიერ გადაკრულად ნათქვამ სიტყვას იგონებდა. მაგრამ, ვაი რომ ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნოდა, ახლა სულ ცარიელი იყო მისი სულიცა და მისი სხეულიც. მისდაუნებურად თვალებს მდუღარე ცრემლი მოსწყდა, ბნედიანივით წამოიჭრა, ფანჯარასთან მივარდა, ფანჯარა გამოაღო და ოთახი მთაწმინდიდან მონაბერი სურნელებით

აივსო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ზეცას მიაჩერდა, აღარსად ჩანდა მთვარე, მკრთალად ანათებდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ყური მიუგდო, მთაწმინდიდან ნიავს მოჰქონდა ჭოტის კივილი, ჭოტს ხმა ცუდად ჰქონდა დაცდილი მირზას და უმალ ფანჯრები მიხურა; საგონებელში ჩავარდნილი ისევ წამოწვა ტახტზე. მტკვართან და რიონთან შეჭიდებული უშიშარ ცისფერ კომუნარს უსიამოვნო ფიქრები დაეუფლნენ.

ერთ დღეს კოკათელი თავად ეწვია თინას ბერძულების სახლში. იგი მარტო დაუხვდა, მამა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, არც დედა იყო შინ...

ანდრო თავაზიანად ეხმიანებოდა თინას მოჭარბებულ გრძნობას. ანუგეშებდა, ეალერსებოდა...

— ხომ იცი, რომ მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი, — გამოუტყდა ანდრო კოკათელი ქალს. — მე ორი მბრძანებელი მყავს. ჩემი სათაყვანებელი პარტია და ჩემი ოჯახი.

— მაშ მე არაფერი ვყოფილვარ?! — მიახალა გაფითრებულმა თინამ.

— რატომ არაფერი? — მოეფერა კაცი — აკი გითხარი, ჩემი სათაყვანებელი არსება ხარ-მეთქი. განა მე თვით არ განვიცდი მარტოობას უშენოდ. განვიცდი, მაგრამ ოჯახისა და პარტიის წინაშე პასუხისმგებლობას რა ვუყო, ამაზე მეტს ნუ მომთხოვ, ჩემო ძვირფასო...

„სიყვარულო ძალსა შენსაო“ — ნათქვამია, მართალია, კარგა ხანია ებრძოდა ანდრო კოკათელი თავის თავში სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობას, მაგრამ მაცდუნებელმა ძალამ საბოლოოდ თავისი გაიტანა...

მირზა ქებურაძე მას შემდეგ, რაც მეუღლემ მიატოვა, ღვინის სმას მიეძალა. ყოველდღე მთვრალი ცხადდებოდა სამსახურში. ამის გამო ჰიჰინაძესაც მოახსენეს. ჰიჰინაძემ გამოიძახა:

— შენზე ამბობენ, ყოველდღე თვრებაო, მართალია?

— მართალია, — ცივად უპასუხა მირზამ.

— აბა თუ მართალია, მე გთხოვ, რომ აწი აღარ განმეორდეს ეს.

მირზამ გადაწყვიტა ფარდა აეხადა ვითარებისათვის, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და სიტყვის უთქმელად გამოვიდა ჰიჰინაძის კაბინეტიდან.

●

რიონჰესის ახალმა ხელმძღვანელმა მტკიცე კურსი აიღო. ფრიად განათლებული, ნიჭიერი, ენერგიული ახალგაზრდა, ელექტროინჟინერი პაველ შენგელია ჩაუყენა მშენებლობის საინჟინერო საქმეს სათავე-

ში. მუშაობა მთელი ძალით გაიშალა, მაგრამ საქმე მაინც ვერ წარიმართა ისე, როგორც ეს ჩაფიქრებული ჰქონდა ახალ ხელმძღვანელობას. 1932 წლის 21 სექტემბრის „კომუნისტი“ იტყობინებოდა: **„რიონჰესის გვირაბ №8-ში უნდა გამოეღოთ 530 კმ მიწა. ფაქტიურად გამოიღეს 139 კმ. დღიური დავალება შესრულებულია 21%-ით. გვირაბის დაბეტონება გეგმით გათვალისწინებული იყო 180 კუბამეტრით, ფაქტიურად შესრულებულია 47 კბ. მ, რაც უდრის გეგმის 21%-ს, სადერვივაციო არხი უნდა დაბეტონებულიყო ათასი კუბ მეტრით, დაბეტონებულია 178 კუბ. მეტრით. — გეგმის 17%-ი. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია მუშახელის სიმცირით“.**

27 სექტემბრის „კომუნისტი“ კვლავ საყვედურობდა რიონჰესელებს: 24 სექტემბრის გეგმა მშენებლებმა ოცდაშვიდი პროცენტით შეასრულესო.

ახალმა ხელმძღვანელობამ განგაში ატეხა. ჩაატარეს სახელდახელო მიტინგები გვირაბების მიხედვით და გეგმის შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრეს ხელმძღვანელ ბირთვს: პირველ გვირაბს პავლე შენგელია მიამაგრეს, მეორეს — საშა მჟავანაძე, ხოლო ყველაზე ჩამორჩენილ მესამე გვირაბს, მშენებლობის უფროსი ვლადიმერ ჯიქია ჩაუდგა სათავეში. ვლადიმერ ჯიქიამ მეორე დღესვე მშენებლობის კომიტეტის წევრები: ბაგრატ მიქელაძე, კლიმენტი სულავა, კოტე გაბუნია, გიორგი ჩოგოვაძე, ნიკანდრო ჭლიკაძე, გიორგი ქაჯაია რაიონებში გაგზავნა, რათა რაიონის ხელმძღვანელებისათვის ეთხოვათ მეტი ოპერატიული და კონკრეტული დახმარება გაეწიათ მშენებლობისათვის. ამასთან ერთად მშენებლობის უფროსმა პირადი თხოვნით მიმართა „კომუნისტის“ რედაქციას, აეღოთ შეფობა რიონჰესის მშენებლობაზე. ამავე დროს ზემდგომი ორგანოების წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა რიონჰესის ხუთდღიანი გაზეთი — „რიონჰესის დამკვრელი“ ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინათ. და ასე „რიონჰესის დამკვრელი“, ქუთაისის საქალაქო გაზეთ „მუშა და კოლმეურნესთან“ ერთად ახლა ყოველდღიურად აქვეყნებდა ცნობებს რიონჰესის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. იწერებოდა ნარკვევები და წერილები რიონჰესის მოწინავე ადამიანებზე. ამ საქმეში ადგილობრივ მწერლებთან ერთად, თბილისელი მწერლებიც ჩაება ვლადიმერ ჯიქიამ და ჩვენს პრესაში გამოჩნდა წერილები, ნარკვევები, ლექსები: ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ალიო მაშაშვილის, ირაკლი აბაშიძის, ელიზბარ პოლუმორდინოვის, ვასო გორგაძის, ლევან მეტრეველის, ბონდო კეშელავას, მამია ასათიანის, ვლადიმერ გუგუშვილის, დია ჩიანელის, ვანიონ დარახველის, შალვა ბუაჩიძის, გიორგი გიასელის, პეტრე ბახტურიძის... ამ მძაფრ იდეოლოგიურ იარაღს, მხატვრულ სიტყვას ოპერატიულად იყენებდა მშენებლობის

უფროსი. იგი ხომ თავად იყო ჟურნალისტი, ერთ დროს სამხედრო გაზეთსაც რედაქტორობდა და იცოდა ფასი მხატვრული სიტყვისა...

25 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა გაზეთის რედაქციის მიმართვა გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდასადმი“: „ვინაიდან თავი იჩინა რიონჰესის დროზე ამუშავების ჩაშლის აშკარა საფრთხემ, მშენებლობის შეფი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მოგმართავთ თქვენ— დაგვეხმაროთ ამ ჩაშლის თავიდან აცილების საქმეში: ქარხანა „კრასნაია პუტილოვეცმა,“ რომელიც ამზადებს მშენებლობისათვის ორკეც ფარებს, საგუბართა და საწნევი აუზის ფარებს, „შანდარებს“, „ჰალამბრებს“ და ფილის ოთხმოც ტონიან ონკანს — ამ ნაწილების გამოგზავნა უკვე დააგვიანა. ასევე ელექტრო აპარატურის გამოგზავნას აგვიანებს ქარხანა „ელექტრო აპარატი“.

ჩვენ გთხოვთ „ლენინგრადსკაია პრავდას“, მოახდინოთ „კრასნაია პუტილოვეცისა“ და „ელექტრო აპარატურის“ ქარხნების მუშათა საზოგადოების მობილიზაცია იმ მიზნით, რომ დაკვრითი წესით უმოკლეს ვადაში იქნას შესრულებული შეკვეთები“. („კომუნისტის“ რედაქცია.).

ორგანიზაციული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ღონისძიებების ფართოდ გამოყენებამ მუშაობა უთუოდ წინ წასწია, მაგრამ მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. მუშათა დენადობა ისევ გრძელდებოდა.

მკითხველი ბუნებრივად იკითხავს, მუშათა ასეთი დენადობა თუ იყო, თუ ასე მოუმარაგებელი იყო მშენებლობა საჭირო მანქანებითა და საშენი მასალებით, მაშ როგორ მოხდა, რომ ეს უნიკალური შენობა — რიონჰესი მაინც შენდებოდა და საქმე წინ მიიწევდა. ამის პასუხი ჩვენ იმ მოწინავე მუშებსა და ინჟინერ ტექნიკოსთა თავდადებულ შრომაში უნდა ვეძიოთ, უნდა ვეძიოთ იმ შრომის რომანტიკაში და რწმენაში, ამ მოწინავე მშენებლებს რომ ამოძრავებდა. ისინი თავდადებულ შრომაში ხედავდნენ არსებობის და სიცოცხლის ფასს. უძლებდნენ ყოველგვარ განსაცდელს, ყოველგვარ სიძნელეებს. მათი თავდადება ქმნიდა საერთო ატმოსფეროს. ეს მოწინავე მუშები სასწაულს ახდენდნენ. მათი სახელები დაფებიდან, გაზეთებიდან გვიმზერდნენ რწმენით ანთებული თვალებით, გვეძახოდნენ, ჩაგვაგონებდნენ, გვამხნევებდნენ, აღგვაფრთოვანებდნენ. რიონჰესის მშენებლობას სწორედ ისინი აძლევდნენ ტონს:

„საწარმოო ფრონტზე კვლავ ბრძოლის იშვიათ მაგალითებს იძლევიან: ობოლაძის, დოგრაშვილის, ბრანკალინის, დამკვრელი მუშათა ბრიგადები“ („რიონჰესის დამკვრელი“№3, 3 იანვარი 1932 წ.). „ირაკლი ობოლაძის ბრიგადამ დეკემბრის თვის გეგმა ასოცდაათი პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერებამ თითოეულ კაცდღეზე ასოცდაცამეტ პროცენტს მიაღწია. ბრანკალინის ბრიგადამ ამავე თვის საამშენებლო გეგმა შეასრულა ასოცდარვა პროცენტით, შრომის ნა-

ყოფიერება გაიზარდა თითოეულ კაცდღეზე ას თვრამეტი პროცენტით, ჭოლიკაძის ბრიგადამ დეკემბრის თვის დავალება შეასრულა ას ოცდაოთხი პროცენტით. საჭიროა № 3 გვირაბის მშენებლობაზე აღნიშნული მოწინავე მშენებლებს მიბაძოს: ბუხაიძის, ნადირაშვილის და პაცენკოს ბრიგადამ“. („რიონჰესის დამკვრელი“, №9, 1933 წ.).

რიონჰესის სამმართველომ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი ღონისძიებები დასახეს და ამან თავის ნაყოფი გამოიღო. რიონჰესის მშენებლობის მთელ მანძილზე სოცშეჯიბრების ლოზუნგები და პლაკატები გამოაკრეს. ამ პლაკატების გვერდით წითელ მატერიაზე თეთრი ასოებით იყო აღბეჭდილი გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ალიო მაშაშვილის ლექსებიდან ამოღებული ეს სტრიქონები:

ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს
და პროლეტარულ აბობოქრებას!...
მიეყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

გალაკტიონ ტაბიძე

მდინარეების ყოველი წვეთი
გადაიქცევა წყრიალა შუქად,
და ჩვენს დღეებში არასდროს ერთი
დღეც არ ჩაიელის ხალხისთვის უქმად.

პაოლო იაშვილი

თუ გიბრძოლია, თოფით, სხეულით
დღესაც მედგარი ბრძოლა გვჭირია,
ჭრომის ფრონტიდან გამოქცეული,
იგივე ბრძოლის დეზერტირია.

ალიო მაშაშვილი

რიონჰესის სამმართველოს მიერ სააღმშენებლო გეგმებისა და გრაფიკების ყოველდღიურმა შემოწმებამ და მკაცრი კონტროლის დაწესებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მესამე გვირაბი. ამასთან დაკავშირებით 1933 წლის 2 თებერვალს მოწვეული იქნა რიონჰესის „აღმშენკომის“ კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა პროფორგანიზაციის თავმჯდომარის კოტე გაბუნიას და მშენებლობის უფროსის მოადგილის კლიმენტი სულავას მოხსენებები. კონფერენციაზე გამოსულმა მუშებმა სასტიკად გააკრიტიკეს მშენებლობაზე შექმნილი მდგომარეობა. მშენებლობის საუკეთესო დამკვრელები: ფედოროვი, ვიტალი ობლი, ალექსანდრე გაბრიაძე. გიორგი უგულავა, რაჟდენ წოწონავა, ნიკოლოზ მაკარეიჩი და რიონჰესის მშენებლობის უფროსი ვლადიმერ ჯიქია საკითხს პირდაპირ აყენებდნენ: **„მშენებლობაზე დღემდის დიდ დარღვევებს აქვს ადგილი. რა არის ამის უმთავ-**

რესი მიზეზი? მუშახელის ნაკლებობა, მისი დენადობა და გაცდენები. ამის გამომწვევი მიზეზები კი არის ცუდი კულტსაყოფაცხოვრებო პირობები, საამშენებლო მასალებით ცუდი მომარაგება, მექანიზაციის მოცდენა და ამას ემატება ბიუროკრატიზმი და უთავბოლობა ჩვენი მხრივ.“

(„რიონჰესის დამკვრელი“, №43, 1933 წ.).

კონფერენციის მეორე დღესვე ფართოდ შეუტიეს რიონჰესელებმა მთელი ფრონტით. უკვე 3 ივლისის „რიონჰესის დამკვრელი“ მეორე გვერდზე აშლანგით იუწყებოდა: **„გვირაბის მუშათა დამკვრელი ბრიგადები იძლევიან ბოლშევიკურ პირობას, რომ გვირაბი ნომერი სამი მთლიანად იქნება დამთავრებული რვა ივლისს.“**

მშენებლობის წარმატებას კვლავ მოწინავე მუშები განაპირობებდნენ — რიონჰესის ვარსკვლავები შეარქვა მათ ვლადიმერ ჯიქიამ. ყოველ მათგანს იცნობდა, ესაუბრებოდა.

ერთ დღეს მოწინავე მუშას უგულავას ესაუბრა. იგი ექსკავატორზე მუშაობდა. ექსკავატორი შეუფერხებლად გუგუნებდა და ეს მუშა კაცი ხალხური სიმღერის ჰანგს ამ მანქანის გუგუნს თან აყოლებდა. მშენებლობის უფროსი რომ გამოჩნდა, შეჩერდა, სიმღერა მიატოვა. ქუდის მოხდით მიესალმა. ჯიქია დაინტერესდა ამ კაცის ვინაობით და ახლოს მივიდა მასთან. სადაური ხარო, ჰკითხა და ზურგზე ხელი მოუთათუნა.

— მე ბატონო წალენჯიხელი ვარ, — იყო პასუხი.

— როგორ მიდის საქმე?

— კარგად.

— მაინც?

— მაინც ის რომ ერთი წელია აქ ვმუშაობ და ისე მიველჩვიე აქაურობას, ვერც კი წარმომიდგენია თავი ამ ექსკავატორის გარეშე. ვიცი, თქვენ წალენჯიხაში არ გამატანთ ამას, შინ დაბრუნებული თოხის ტარზე დაეყუდები და ალბათ იმ სიმღერით მოეიგონებ ამ ექსკავატორს, რომლითაც ეხლახან ვეფერებოდი მას.

— მაინც რას მღეროდით?..

— ეს ჩვენებური მეგრულია, ბატონო, „სისოუ, ნანა.“

ჯიქიამ თხოვა გაეგრძელებინა სიმღერა მაგრამ უგულავა გაჯიქდა. მაშინ უფრო მოეფერა უგულავას ჯიქია და ასე უთხრა:

— მართალია, ამ ექსკავატორს ვერ გავიმეტებთ, მაგრამ ამ მშენებლობას რომ მოვრჩებით, თქვენი კოლმეურნეობისათვის ერთ მშვენიერ ტრაქტორს გაგატან. — ხელი ჩამოართვა და გზა განაგრძო.

ახლა იქ მეორე მუშა შეხვდა. ამას კი კარგად იცნობდა. გუშინ გაზეთ „რიონჰესის დამკვრელის“ ფურცელზე იყო დახატული: **„ამხანაგი გრიშა ბერაძე რიონჰესის მშენებლობის დამკვრელური მუშა-**

კია“. — წერდა გაზეთ „რიონჰესის დამკვრელი“, — ბერაძე არაერთხელ ყოფილა დაჯილდოებული ენერგიული მუშაობისათვის. ბერაძე პარტიის კანდიდატია. აი, რას მოგვითხრობს ამხანაგი გრიშა თავის მუშაობის შესახებ: **„რიონჰესის მშენებლობაზე დავიწყე მუშაობა 1928 წლის 11 ივლისს ელმართველის თანამდებობაზე. პირველ ხანებში ვმუშაობდი რიონჰესის დროებითი ელსადგურის მონტაჟზე, შემდეგ კი უბნის ქვესადგურში, 1929 წლის აპრილის თვიდან ვიმუშავე ისევ დროებითი ელსადგურის ელექტრიკოსის თანამდებობაზე. 1931 წლის ნოემბრიდან გადამიყვანეს მეორე უბნის ელცეხში, უფროს ელექტრომმართველად. 1932 წლის მაისიდან კი დღემდე ვმუშაობ მეოთხე უბნის მემონტაჟე ბრიგადირად. ბრიგადა შედგება 17 კაცისაგან. მათ შორის 9 პარტიის წევრია. მთელი ბრიგადა ერთსულოვნად დარაზმულია და ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში“.**

(გაზეთ „რიონჰესის დამკვრელი“, №57, 1933 წელი, 10 ივნისი).

— რაც აქ სწერია, ხომ იცით, ამას გამართლება უნდა, — უთხრა გრიშა ბერაძეს მშენებლობის უფროსმა და ოთხად მოკეცილი გაზეთი მიაწოდა, — თუ არ ჩამორჩები სხვა მოწინავე ბრიგადირებს და პირობას შეასრულებთ, მაშინ ჩვენი რიონჰესიც დაწესებულ ვადაში ამუშავდება. ალბათ იცი, რომ რიონჰესის პირველი აგრეგატი ამუშავებულ უნდა იქნეს 16 ნოემბერს, ხოლო მეორე აგრეგატი — 1 დეკემბერს. საჭიროა ყველაფერი ამის გათვალისწინება. რიონჰესის მუშები და ინჟინრები მჯერა, რომ პირობას შეასრულებენ.

— დიახ, შეასრულებენ! — რიხიანად უპასუხა მშენებლობის უფროსს ბერაძემ. — ჩემი ბრიგადა პირობას არ უღალატებს, სხვებზე ნაკლები რითა ვართ, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო, ხომ გაგიგონია?! — ღიმილით გააცილა ბრიგადირმა მშენებლობის უფროსი.

მოწინავე ბრიგადირად, შრომის ვარსკვლავად მოეელინა რიონჰესის მშენებლობას ირაკლი ობოლაძე... — **„ვმუშაობ №8 ბრიგადის ხელმძღვანელად, ჩემს ბრიგადაში სამოცი კაცი იყო, — ახლა ორასი კაცია. გეგმას ვასრულებ ასოცი, ასოცდაათი პროცენტით“** — წერდა ირაკლი ობოლაძე გაზეთ „რიონჰესის დამკვრელში“ (12 ივლისი, 1933 წ.).

გაზეთის იმავე ნომერში მშენებელთა წარმატებას მეორე ინფორმაციაც გვატყობინებს:

„თოთხმეტი თვის გაშმაგებული, გმირული, შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დასრულდა მშენებლობის „ვიწრო“ ადგილი — №8 გვირაბი, რომლის სიგრძე 1550 მეტრს შეადგენს. თავი ისახელეს დამკვრელებმა: ირაკლი ობოლაძემ, გობელაშვილმა, ტანკომ, შილაკაძემ, იზოტოვებმა“... ხოლო 1933 წლის 14 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო გაზეთმა „მუშა და კოლმეურნემ“ ასეთი ცნობა გამოაქვეყნა: **„რიონჰესის მშენებლობაზე უმთავრესად დარჩა შესასრულებელი მეორე ხარისხოვანი**

სამუშაოები, რიონჰესის სამმართველომ, პარტიულმა კომიტეტმა და კომკავშირის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს რიონჰესის ვადაზე ამუშავება".

რიონჰესის ხელმძღვანელობა და მოწინავე მუშათა კლასი თავს არ იზოგავდა, რათა მესამედ დათქმული ვადა რეალური გაეხადა. როგორც ითქვა, 1929 წლის 19 მაისის დადგენილებით, რიონჰესის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1931 წლის ოქტომბრისათვის. პროექტის არასრულყოფილობამ, მეწყერმა და სხვა დაბრკოლებებმა ჩაშალა ეს მეორე ვადაც. როცა 1932 წლის აპრილში რიონჰესის მშენებლობის საქმეს სათავეში ჩაუდგა ვლადიმერ ჯიქია, მან მტკიცე პირობა დადო, რომ მშენებლობა 1932 წლის დეკემბრისათვის მისცემდა ელექტროენერგიას ქვეყანას. ჯიქიამ ყველაფერი იღონა, ყველაფერი გააკეთა, რათა პირობა არ გაეტეხა. ამ საქმისთვის მან კვლავ გამოიყენა მწერლობისა და ხელოვნების ფრონტი. ვლადიმერ ჯიქია არა მარტო დიდი მოტრფიალე იყო მწერლობისა, არა მარტო პირადი მეგობრობა აკავშირებდა ბევრ ქართველ და რუს პოეტებთან, არამედ სამოქალაქო ომის წლებში თვითონ რედაქტორობდა არმიულ გაზეთს და უხვად იყენებდა მაიაკოვსკის, ესენინისა და სხვათა ლექსებს. და აი ახლა მან ფართოდ ჩააბა რიონჰესის მშენებლობაში ქართველი მწერლები. ზოგი მათგანი თანამშრომლებად ჩარიცხა. ბევრ მათგანს ხელშეკრულება გაუფორმა ახალი ლექსების დასაწერად. ხშირად იმართებოდა პოეზიის საღამოები, სადაც თვითონ მონაწილეობდა, ხან შესავალ სიტყვას იტყოდა, ხან გახსნიდა საღამოს. ასე ამოუყენა ქართველი მწერლობა და ხელოვნება გვერდში რიონჰესელებს. ვლადიმერ ჯიქიას ამის თვალსაჩინო ტრადიციაც დახვდა მშენებლობაზე. ჯერ კიდევ 1929—31 წლებში მარჯანიშვილის თეატრი და ქართული მწერლობა გვერდში ედგა მშენებლებს. მაშინ მარჯანიშვილის თეატრის გარშემო შემოიკრიბა ქართველი მწერლობის დიდი ბირთვი: შალვა დადიანი, კარლო კალაძე, პოლიკარპე კაკაბაძე, იონა ვაკელი, სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, დემნა შენგელაია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, დია ჩიანელი, ბონდო კეშელავა, ვანო დარასელი. ეს ბირთვი თანდათანობით იზრდებოდა. ქართველი მწერლები თავიანთი მგზნებარე პუბლიცისტური წერილებით, ლექსებით პიესებით, მოთხრობებით ჩააგონებდნენ, ამხნევებდნენ, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს.

რევოლუციური პოეზია რევოლუციურ საქართველოსთან ერთად დაიბადა, მისი პირველი პოეტები იყვნენ: იროდიონ ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ჩხიკვაძე, ალექსანდრე აბაშელი... 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში და რეაქციის მძვინვარე წლებში მუშები ტრიბუნიდან წარმოთქვამდნენ, მოედნებზე მღეროდ-

ნენ ქართველი პოეტების ლექსებს. პირველი ქართველი რევოლუციონერი პოეტების ეს ტრადიცია საბჭოთა ხელისუფლების წლებში აიტაცა ქართულმა მწერლობამ და გვერდში ამოუდგა ახალ საქართველოს მშენებლებს. საბჭოთა რევოლუციურმა პოეზიამ გალაკტიონ ტაბიძის პირით განაცხადა: „დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ეწირავთ სიცოცხლეს ჩვენ პოეტები საქართველოსი," და არ ყოფილა საქართველოსი არც ერთი დიდი ისტორიული ფაქტი და მოვლენა, ქართული საბჭოთა მწერლობა მგზნებარედ რომ არ გამოხმაურებოდა. და აი დაიწყო ზემო ავჭალის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა საქართველოში. ამ ისტორიული მოვლენის ფოტოსურათი დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში". ამ ფოტოსურათზე სერგო ორჯონიკიძესთან, მიხა ცხაკაიასთან, ფილიპე მახარაძესთან, შალვა ელიავასთან, საშა გეგეჭკორთან ერთად აღბეჭდილია შალვა დადიანის, პაოლო იაშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, ტიციან ტაბიძის, ილო მოსაშვილის, ალექსანდრე აბაშელის და სხვა ქართველ მწერალთა სურათები, რომელთაც ხელში წერაქვი უპირავთ და ამ მშენებლობის პირველ კვალს ავლებენ. მუშათა კლასთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად, ამ პირველი დიდი მშენებლობის საოცარ რომანტიკას ქართული მწერლობა ეზიარა და მთელი გულით დაეწაფა. ამის შედეგად შეიქმნა გალაკტიონ ტაბიძის გიორგი ლეონიძის, სანდრო შანშიაშვილის, ალიო მირცხულავას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ილო მოსაშვილის, ტიციან ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, პაოლო იაშვილის, შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელაიას, ალექსანდრე ქუთათელის და სხვათა საოცრად ემოციური და იდეური ლექსები, მოთხრობები და ნოველები, ეს ტრადიცია გაგრძელდა რიონჰესის მშენებლობაზე და მას სათავეში ჩაუდგა მოწინავე მწერლობა, რომელსაც ელოლიავებოდა, ეფერებოდა, აქეზებდა და ფართოდ აბამდა მუშაობაში რიონჰესის უფროსი ვლადიმერ ჯიქია.

ვლადიმერ ჯიქიას ავტორიტეტი გაიზარდა არა მარტო რიონჰესელების თვალში, არამედ მთელ საქართველოსა და საბჭოთა კავშირში. ჯიქია ბევრ შემთხვევაში რიონჰესის მშენებლობის საკითხებს პირადად უთანხმებდა ორჯონიკიძესა და სტალინს. ასეთი აღზევება ნიჭიერი ორგანიზატორისა და პარტიული მოღვაწისა ზოგზოგებს საშიშად მოეჩვენათ.

●

რიონჰესის ამუშავების წინ ტიციან ტაბიძე ორჯერ ესტუმრა ქუთაისს. ამას მოჰყვა ორი ნარკვევი. პირველი რიონჰესის გამოცდის წინ, 1932 წელს — „რიონიდან-ენგურამდე", ხოლო მეორე — ზაჰესი-

დან რიონჰესამდე“ სწორედ რიონჰესის ამუშავების დღეს — 1933 წლის 12 ივლისის გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა.

რიონიდან-ენგურამდე

I

ქუთაისი ჩემთვის გამოუცდელი ურუანტელის ქალაქია. ანდა როგორ არ უნდა იყოს თრთოლვის მომგვრელი ის ქალაქი, რომელთანაც დაკავშირებულია შეგნების პირველი გაღვიძება და სადაც მიდიოდა ჩემი ბავშვობისა და ყრმობის წარუხოცელი წლები. სწორედ ომის წინა წელს დასტოვა ჩვენმა თაობამ ქუთაისი, რომ შემდეგ იქ არ დაბრუნებულიყო, — ასე დავიჭსაქსეთ რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში და უფრო მეტი კიდევ სამხედრო სასწავლებლებში. აბა რას ვიფიქრებდით პირტიტველა ენთუზიასტები, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ეზოში უზარმაზარი ჭადრის ქვეშ შებუდრულნი, რომ ბევრი ჩვენგანი კარპატების მთებში, აღმოსავლეთ პრუსიის თუ არზრუმისა და ტრაპიზონის ფრონტებზე დალევდა ახალგაზრდა სიცოცხლეს.

იმპერიალისტურ ომს მოჰყვა რევოლუცია, რევოლუციას კიდევ ოქტომბერი, მაგრამ საერთო ოქტომბრამდე კიდევ რამდენი ფრონტი იყო საქართველოს საზღვრებზე: ბათუმთან, აწყურთან, გაგრასთან. სამოქალაქო ომები საზღვრებს შიგნით: ღუშეთსა თუ ცხინვალში.

აჭ ხომ დღენიც თვეებად ჩასათვლელია, თვეები ხომ წლებს უდრიდნენ. ახლა ჩვენ ვართ ორი სოციალისტური ხუთწლედის უღელტეხილზე, როცა აღორძინებისა და აშენების ტემპები თვალებს აბრმავებს, როცა სოციალიზმის მშენებლობის პროგრამა მოქმედებაში იხსნება.

მეოცეჯერ დაბადებას უდრის ამ ეპოქის შესწრება და თვალის გასწორება. არც გასაკვირია, თუ ამ დიდ მოედანზე ცოტანი მოვედით.

ქუთაისი უფრო ძალიან დაბერებულა. თუ ჩვენ მას ომამდე „მკვდარ ბრიუგედ“ ვთვლიდით, ახლა ობივატელებიც ეძახდნენ მისი ბელგიელი ორეულის — როდენბახის ბრიუგეს „მკვდარ ბრიუგეს“ სახელს.

მხოლოდ დღეს იწყება მისი გამოცოცხლება, ქარხანა ქარხანაზე შენდება: მაუდისა, აბრეშუმის სახვევი, საგრენაჟო, ბარიტისა, ლიტოფონის, გუმბრინისა და სხვა.

თავისი რადიოაქტივობის ძალით უახლოვდება წყალტუბოს კურორტის კომბინატი, უფრო შორიდან — ფერომარგანეცის ქარხანა და ტყიბულის მაღაროები. ხოლო ყველაფერს თავს უყრის და აერთიანებს რიონის ელექტროსადგური.

აქედან არა მარტო ქუთაისი მოელის ელექტრონით აღორძინებას,

რიონჰესი, როგორც ოდესღაც სურამის გვირაბი, აერთებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთი ეკონომიკური არტერიით.

ჭომაში, რიონჰესის სათავესთან, გაკეთებულია წყალსადენის სათავე, ბალახვანის ქუჩა საუცხოოდ არის მოკირწყლული. ეს არის ქარხნებისა და მუშების რიონი. და სავარდო და სამაისო ჭუთაისის ბაღსა და ბულვარს, რომელიც წინათ იმერული ვოდევილების საოხუნჯო გამხდარიყო, ასფალტის ოხშივარი ასდის და სიმფონიური კონცერტებისათვის შენდება პავილიონი.

სადაც არის, რიონჰესმა უნდა გამოუშვას სამრეწველო დენი, ამას მოუთმენლად ელის მთელი ქუთაისი და მის გარშემო მდებარე ქარხნები და წარმოებები. ზესტაფონის ფეროქარხანა ნერვიულად ნიშნავს დროსა და რიცხვს, როდის შეერთდნენ წარმოებაში.

გამოძახება გამოძახებაზეა.

საქართველოს „კომუნისტისა“ და საკავშირო „იზვესტიას“ რედაქციების დავალებით დღეს მეც აქა ვარ რიონის ჰიდროელსადგურის გამოცდისა და გაშვების ასაწერად.

მეც გადმომედო სამუშაოზე დანთებული ცხელება.

აქ მთავარია აილაგმოს პოეტის ლირიკა და მოცემული იქნას ის გრანდიოზული სურათი, რომელსაც იძლევა თვითონ რიონჰესი. მაგრამ როგორ უნდა დათრგუნო ეს ლირიკა, როდესაც გულს მოაწყდება ბავშვობის ამდენი მოგონება, ანალოგია და კონტრასტი.

მარიეტა შაგინიანს თავის ახლად გამოქვეყნებულ დღიურებში ჩაწერილი აქვს ჩვენთან შეხვედრა 1931 წლის ზაფხულში. საუბარი ეხებოდა სწორედ ამ თემას.

ჩვენ ვიცავთ ლირიკის პრიმატს. მე მთლიანად წაკითხული არ მქონდა მისი რომანი „ჰიდროცენტრალი“. ბევრი რამ მის საუბარში მეჩვენებოდა გადამეტებად და ლირიკის შეუფასებლობად. მაგრამ ალბათ ჩვენ ერთმანეთის გაგებას ის გვიშლიდა, რომ მას წლები ჰქონდა გატარებული ძორაჰესზე. დაკავშირებული იყო წარმოებასთან და ემზადებოდა საგეგმო ინსტიტუტში შესასვლელად.

ბევრი რამ ჩემთვის საცნაური შეიქნა, როცა ვნახე ტყვარჩელი და როცა დღეს აქ ვარ, რიონჰესზე.

თუ გუშინდელი გუთნის გლეხები დღეს საუკეთესო დამკვრელები არიან გვირაბებში, განა ჩვენ არ მოგვეთხოვება საწარმოო გარდაქმნა? მაგრამ სხვაა მოთხოვნილების შეგნება და უფრო ძნელია მისი შესრულება.

წინათაც მითქვამს და ხელმეორედ მინდა გავიმეორო ეს არა მარტო მკითხველისათვის, არამედ თვითკრიტიკისათვის.

გასაგები იქნება ჩემი ლირიკის დათრგუნვის სიძნელე, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რიონჰესის უფროსი ინჟინერი ვალოდია

ჯიქია ჩემი სიყრმის და სკოლის ამხანაგია. სწორედ ერთი იშვიათი ბედით გადარჩენილი თაობიდან. მას უნახავს ომი და ოქტომბრის რევოლუცია ლენინგრადში, ორგანულად განიცადა როგორც კომუნისტმა და სამოქალაქო ომის მონაწილემ, მაგრამ ამასთან ერთად მან მოასწრო ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრება, რათა სოციალიზმის აღმშენებლობის ფრონტზე პირდაპირ ებრძოლა; მან მოასწრო აგრეთვე დედამიწის გარშემო ზღვით შემოვლა; და ისეთი ბედიც ხვდა, რომ ყოფილიყო ხელმძღვანელი პირველი დიდი ელექტროსადგურის აშენებისა, რომელსაც ჰქვია ვოლხოვჰესი, — ვოლხოვჰესი ხომ პირველი სადგურია ელექტროფიკაციის გენერალური გეგმის გაშლასთან დაკავშირებით. ეს ის დროა, როცა ჰ. უელსი წერს წიგნს — „რუსეთი წუვდიადში". დაბნელებულ კრემლის სასახლეში ლენინი უელსის წინაშე გადაშლის რუსეთის მომავალი ელექტროფიკაციის გეგმას. აუარებელი უტოპიური რომანების ავტორს უელსს ეს გეგმა ფანტასტიურად ეჩვენება და ლენინი კიდევ — გაუსწორებელ მეოცნებედ. მხოლოდ დღესაა უველასათვის აშკარა, რომ ლენინის პროგნოზი ცხოვრების სინამდვილეს ასახავდა და უელსის თხუნელას ობივატელური დაეჭვება ნიავივით გაქრა.

უველაფერი ეს მაგონდებოდა, როცა ამხ. ვ. ჯიქიასთან ერთად დავდიოდი გვირაბებში და გასაგებია, რომ ამ გვირაბებს შევყავდით განვლილი ცხოვრების ხვრელებში და მოგონება მოგონებას იწვევდა. ამ წყალწითელას ხეობას, სადაც ბავშვობისას გვითამაშია და გვიბანავია, დღეს 70 ათასი ცხენის ძალა ელექტროენერგია გამოსტაცა გამარჯვებულმა პროლეტარიატმა და ამხ. ჯიქიას დაკისრებული აქვს ამ მშენებლობის ხელმძღვანელობა. საერთოდ პერსონიფიკაცია ძალიან სადავოა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. მშენებელია მშრომელი მასა, რომელიც სისხლით და ოფლით იკაფავს გზას. და მეთაურია კომუნისტური პარტია, რომელიც უშუალოდ ყოველ რგოლზე ხელმძღვანელობს ამ მუშაობას, მაგრამ ამ რგოლებზე არიან კონკრეტული ადამიანები, ახალი ადამიანები და ერთი ადამიანი ჩემი სიყრმის ამხანაგია, მისი ბიოგრაფია ჩვენი თაობის ბიოგრაფიაა.

რასაკვირველია სოციალიზმის მშენებელთა აღწერაში მთავარია იმ მასების აღწერა, რომელნიც თავგანწირვით იბრძვიან გვირაბებსა და თხრილებში, ენთუზიაზმით ასრულებენ გეგმებს. ყოველი ბიულეტენი, რომელიც რიონჰესის სამმართველოს მოსდის, ცხრილებში აჩვენებს ამ ადამიანების თავგანწირვას; ამისათვის საჭიროა ახალი ხედვა წერის მანერის შეცვლა, წარმოებასთან ორგანულად შეზრდა, მაგრამ ამ მასებს თვითონ მოჰყვება ასეთი მწერალი, სოციალისტური კულტურის დამდგინებელი.

დარჩენილია ლეგენდა:

ალექსანდრე მაკედონელისათვის უკითხავთ: ვინ ერჩივნა მას ყოფილიყო — ჰომეროსი თუ აქილევსი? მაკედონელსაც უპასუხნია: რასაკვირველია, აქილევსი; მე მირჩევნია ჩემზე წერდნენ, ვიდრე მე სხვას ვაქებდეო. და რამდენად უმადურია ჰომეროსის ბედი, როცა აქილევსს არ უნდა აქილევსობა და გარშემო გაჩვენებს სოციალისტური მშენებლობის ათასობით ახალ გმირს, სწორედ საზღაპრო აქილევსებს. საჭიროა სხვანაირი სულის მონტაჟი, რომ გაერკვიო ამ რთულ დიალექტიკაში, მით უმეტეს თუ ჟურნალისტობა არ არის შენი მთავარი პროფესია და დარჩენილი გაქვს რომანტიზმის რეციდივები. ასე თანდათან რთულდება ჩემი პასუხისმგებლობა — რიონჰესის პირველი დენის მემატიანისა... ახლა გადავდივართ ეპიზოდებზე.

2

ზუგდიდის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს ქალაქში წყალსადენის მოწყობა, თბილისიდან იქ გაუგზავნიათ ინჟინერი მჭედლიშვილი გამოკვლევათა მოსახდენად, მაგრამ ეს ინჟინერი მომკვდარა და პროექტი შეუდგენელი დარჩენია, დატოვებული მასალებიც არ არის შესწავლილი და სისტემაში მოყვანილი. ზუგდიდის რაიკომმა წყალსადენის პროექტის შესადგენად ქუთაისიდან მოითხოვა სპეციალისტები.

12 მაისი დასასვენებელი დღეა ქუთაისში, ამიტომ 11 მაისს, 4 საათზე ამხ. ვ. ჯიქიას მეთაურობით მანქანით მიდის ზუგდიდში ინჟინრების კომისია და კომისიასთან ერთად მეც.

თუ არა დასასვენებელი დღე, ისე შეუძლებელია ახლა ქუთაისის დატოვება, ისეთი ტემპებით მიდის მუშაობა რიონჰესის სადგურის ამუშავების წინ.

თითქოს საგანგებოდ ყველანი ლიხაქეთური ხალხია და თანაც პირველად მიდიან სამეგრელოში. ინჟინერი დ. ხერხეულიძე ზაჰესიდან გადმოჰყვა რიონის სადგურს, ერისთავი შარშან ჩამოვიდა ლენინგრადიდან, ანდრონიკაშვილი თბილისის ახალი კადრებიდან არის და სვანეთსა და სამეგრელოში იღებს საწარმოო სტაჟს.

საუცხოო მაისის დღეა, ცა ისეა ნათელი და მოკრიალებული, რომ ორივე მხრიდან აწვებიან ავტომობილს თოვლიანი მწვერვალები. სხვა დროს ეს მიდამო ისე დაიხურება, რომ გაუვალ ტროპიკებს დაემგვანება.

გვინდოდა მარტვილით გასვლა ზუგდიდში, მაგრამ ცხენისწყალი ადიდებულა და მანქანა ვერ გავა, ამიტომ გზა გაგრძელდა ხონიდან მარანით სენაკისაკენ. იმერეთის უჩვევ მგზავრებს უკვირთ ამ გზაზე გაშლილი მწვანე ეზოები, კრამიტით დახურული ბზიალა ოდები და რკინის ჰიშკრები.

ეზოებში მოლი და კოინდარი მუხლებამდე ბიბინებს, აუვავებული აკაციების სურნელება გვაბრუებს. განუწყვეტელია ეზოების და სოფლების რგოლი, არა მგონია კიდევ იყოს საქართველოში ასე მჭიდროდ დასახლებული კუთხე. ჩვენს თანამგზავრებს უკვირთ ეს სისუფთავე, ერთი შეხედვით სიმდიდრე.

სკოლებისა და ლამაზი სახლების სიუხვეზე ნაკლებად არ ცხადყოფს ქვეყნის კულტურას კარგი გზები და აქაც ეს ტრაქტი იშვიათი სანახავია: შეკეთებული ხიდები, გაწმენდილი თხრილები და ისარივით სწორი შარა, — ამ გზაზე მიმოსვლა უსახტიკეს ზამთარშიაც არ შეწუდება. ოდების ღია კარებიდან მოჩანს თეთრი სუფრები, უვავილებით მორთული მაგიდები, სუფთა საბნები.

მაგრამ სანაქებო გზა მალე გაფუჭდა სამტრედიიდან აბაშამდე სოფ: მარანთან, აქ არის ძველი დროიდან ცნობილი საჭილაოს ხე-ტყის ქარხანა. აქ იყრება იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს გზები. წარსულში ეს პუნქტი უველაზე უფრო ცოცხალ ადგილად იყო მიჩნეული. რკინიგზის გახსნამდე აქ ფოთიდან მოდიოდნენ გემები და ახლაც დარჩენილა ცხენისწყლისა და რიონის შესართავთა დიდი სანაოები — ძველი ორპირი.

ამ ადგილების აღწერას შეხვდებით XIX საუკუნის უველა უცხოელ მოგზაურთა წიგნებში. ბედის ირონიით სწორედ ეს გზა არის უველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში.

მიუხედავად კარგი დარისა, აქ გასვლა ძალიან გაჭირდა, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება, როცა აიზილება ორპირის კოსმიური ტალახი. ასეთი დაუდევრობა სწორედ გასაკიცხია. თუ სძინავს სოფლის ან რიონის საბჭოს, განა ქარხნის ადმინისტრაციას არ შეეძლო ამ ორისამი კილომეტრი გზის შეკეთება? მინდოდა ბოდიში მომეხადა მარანისა და ორპირისათვის და გზის წახდენა ცხენისწყალს დავაბრალე, მაგრამ აქ ისეთი მაღალი ნაპირი აქვს ცხენისწყალს, ჩემს თანამგზავრებს სასაცილოდ არ ეყოთ ეს განცხადება; დავიმოწმე ღობეზე მომდგარი საჭილოელი გლეხი, მაგრამ ისიც ამბობს, ცხენისწყალი აქამდე არასოდეს მოსულაო.

აბაშიდან ზუგდიდამდე იგივე განუწყვეტელი კრიალა ეზოებია, ოღონდ აქ ბუნებას უფრო ემატება სილამაზე და სუბტროპიკული მცენარეულობა თვალსაჩინო ხდება. დგანან ცამდე ასული ხეები და უზარმაზარი ჭადრები. ცაიშში აკაციების სურნელების ნამდვილი თავდასხმა განვიცადეთ, ქარიშხალივით მოვარდა ამ გორაკზე უვავილების კორიანტელი. შიგ ზუგდიდის შესავალთან ერთი ეზოდან მოგვესმა სტვენა, მანქანა შედგა. შოფერმა ვასომ სტვენაზე იცნო ვარლამ ჩიქოვანი, ნამდვილი ოდიშის კანიფერშტანი, რომელსაც უველა იცნობს

და რომელშიც ყველაფერი იცის. მგზავრობაში ასეთი კაცი სწორედ მისწრებაა.

გაიცანით ჯელაღური და ისიც გაიცნობა, რომ ზუგდიდში სწორედ ჯვია ელიან კომისიას.

ვარლამი არ იკო ჩაცმული. მხრებზე ჩოხა ჰქონდა მოგდებული. არც თავისი განუკერელი მაუზერი ეკიდა და არც შესტები ეცვა, მაგრამ ვერ მოვასწარით სასტუმროში შესვლა, რომ ვარლამიც იქვე გაჩნდა, — ვეღარ გაიგეთ, როდის მოასწრო გამოწუობა, ან როგორ გაიარა ასე უცბათ ორი კილომეტრი, ცხენი კი არსად ჩანდა.

ამის შემდეგ დარჩა მას ჩვენმა ექსპედიციამ ერენბურგის მექსიკელი ბულიო ხურენიტოს სახელი. და ხურენიტოსაც რომ შებვედროდა ჩვენი ვარლამი. ნეგროსი აიშაზე ნაკლებ სამსახურს არ გაუწევდა, ყოველ შემთხვევაში თვითონ ერენბურგი ძალიან გაიკვირვებდა მისი ვქირის ასეთ ორეულს.

მალე პარტიომმა მოაწყო თათბირი წუალსადენის საკითხზე.

ნახევარი საათის განმავლობაში ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენელსა და ადგილობრივ სპეციალისტს შეატყობინეს, განოძახეს შაშგონის ქარხნის დირექცია და მიწის მზომლები, თათბირის დაწყებამდე ამხ. გვასალია გვაცნობდა აღმშენებლობის ტემპებს ზუგდიდის რაიონში.

შაშგონის ქალაქის ფაბრიკას საფრთხე ელოდა, მაგრამ დღეს საქმეთ თანხაა გადადებული, და მუშაობა გაჩაღდება. ქალაქის დიდი საავადმყოფო და ამბულატორია საცაა დამთავრდება. რეალურად დგას რკინიგზის შტოს გაყვანა ზუგდიდიდან ჯვარამდე. ყველა ამ წარმოებას წყალი სჭირდება და არ ღირს სათითაოდ ეძიოს წარმოებამ წყალი, — საჭიროა ერთი მთავარი წყალსადენის გამართვა.

მალე მოიტანეს ინჟინერ მგელიშვილის მოხსენება, მოვიდა მიწის-მზომელი რუკებით და დაიწყეს ვარიანტების სინჯვა. სასურველად იქნა ცნობილი ადგილობრივი დათვალიერება და მალე სხდომა გადატანილ იქნა რუხის წყალზე.

მოსინჯეს სამი ვარიანტი: ყველაზე უფრო მოხერხებული აღმოჩნდა რუხის წყლიდან არხის გაყვანა ზუგდიდში და თვითონ რუხში ენგურის შტოს გადაგდება.

ექსპედიციას თან ახლავს ზუგდიდის აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც ბავშვობიდან იცნობს ამ ადგილებს, წყაროებსა და მდინარეთა შესართავს, მაგრამ ეტყობა ბევრი დავიწყებია; სხვა ინჟინრებიც რუკებზე იბნევიან. ვერ არჩევენ მდინარის განშტოებას და სხვაგან ეძებენ. ზუგდიდის აღმასკომის თავმჯდომარე კი საოცარი სიზუსტით ანიშნებს ადგილებს, თუმცა რუკას არ არის შეჩვეული და წერა-კითხვაც სულ რამდენიმე წლის წინათ უსწავლია. სამაგიეროდ მისი გუმა-

საქმის ცოდნა და ბუნებრივი ნიჭ შესახარბია. მას არ გაუპირდება აქაურ ლამაზ ამბავალო გლეხობას ენის გამონახვა. გზაში მას ყველა ეკითხება, ყველა უპრალოდ ესალმება, თუმცა ხმირად არ სჭირდება ინტერესების გამოკითხვა და თითონაც კარგად იკვლევს გზას.

ჯერ არავის ახსოვს, რომ ზუგდიდის მაზრაში თესვა მთლიანად მოთავებულიყოს პირველ მაისის ძველი სტილით, ამ ზაფხულის თესვა სამაგალითოა, გვიამბობს ლადი. აი ერთი დამაჯერებელი დეტალიც. ჩვენს ავტომობილს უკან ჩამორჩა ებლი, რომლითაც ექსპედიციის ნაწილი მოდის. მათ მოლოდინში გადავწყვიტეთ რუხის ციხის დათვალიერება. უზარმაზარი ციხე თუმცა დანგრეულია, მაინც ზვიადად გადმოსცურებს ენგურის ხეობას. ციხე ვაი-ვაგლახით ავდივარ ციხის ბურჯებიდან სარემონტებზე. გადამწვანებულ ენგურის ხეობაში მოჩანს სალხინო და აბაკლიასთან — მავი ზღვა. ციხის შიგნით ვიღაცის მწარუწველ ხელს ბოსტანი დაუთესია და უკვე უურია პრასას და კამას.

— ჩემო ძმაო, თუ თქვენ ასე ძველი ციხეები სთესეთ, მართლა არაფერი დაგრჩებათ დაუთესავი.

— სხვა იყოს, თორემ წელს თესვის კამპანიისათვის შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, — ამბობს დიმილით როგავა.

ციხის დაბლა, ენგურის რიყეზე, ტრაქტორი გუგუნებს, ტრაქტორს რაღაცნაირად მრგვალი წრე აურჩევია და ბზრიალასავით ტრიალებს, შევუდექით ენგურის შტოს გამოკვლევას და რუხის სათავეს. გზადაგზა დავთვალიერეთ რამის საბჭოთა მეურნეობა. რამი უკვე წელამდე უწევს, არჩევენ სანერგეებს, შეთოღობილია 150 ჰექტარი, სჩეხავენ ტყეს, რომ კიდევ გაალიდონ ფართობი. საბჭოთა მამულის დირექტორიც შემოუერთდა ჩვენს ექსპედიციას და მასთან ერთად რამდენიმე კომკავშირელი; ახლა უკვე აღარ არის საჭირო რუკა, ყველა კითხვაზე პასუხი მზად არის, ყველას ახარებს, რომ ენგურის შტო მალე ზუგდიდს ჩაუვლის. მაგრამ საბჭოთა მამულის დირექტორსაც უნდა გამოიყენოს ექსპედიცია თავისი მამულისათვის და მორიდებით მოითხოვს ღაათვალიერონ ერთი აღგილი, სადაც წისქვილია გაკეთებული. დირექტორიც აქ ფიქრობს პატარა ელექტროსადგურის მოწყობას, აქ წყალს მეტრნაბევარი დაქანება აქვს.

— არა, ძმაო, ასე კი ნუ ეხუმრებით თქვენ ელექტროფიკაციას, — ამბობენ რიონჰესელები, — ყველა ღელეზე კი არ შეიძლება სადგურის აშენება; რომ აშენდეს კიდეც, ისე ძვირი დაგიჯდებათ, არ იქნება სარფიანი.

მამულის დირექტორმა დაიცხვინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გული დაიიმედა, რომ აქაც შეიძლება 30 ცხენის ძალის სადგურის აშენება. კიდევ კარგი, აქ არის ჩვენი ვარლამი, თორემ ძალიან იწყენდა კონკურენციას. მისი სათხოვარია ექსპედიცია ეწვიოს ჩხოროწყუს და იქ

მოსინჯოს ელსადგურის ნიადაგი. კომისია პირდება ვარლამს, როგორც კი რიონჰესი მოთავდება, ეწვიოს ჩხოროწყუს. მაგრამ ვარლამს ეეჭვება, რომ კიდევ ნახავს ამ ადგილას ასეთ კომისიას და ახლავე მოითხოვს დაპირების ასრულებას. გარშემო ყველა ამბობს, რომ ჭუთაისში დაბრუნება არ შეიძლება ჩხოროწყუს გზით, ვარლამი კი, პირიქით, გაიძახის ხელისგულივით გზა არისო. ჩვენი შოფერი ვასოც დაითანხმა ვარლამმა, რადგან არც ისე იოლია მისი გაწბილება. მაგრამ მაინც ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს გზა მანქანისათვის გაუვალია.

უკვე საბოლოოდ დადგინდა არხის ვარიანტი. ყველა ნიშნით ეს ადგილი უფრო მოსახერხებელია. ახლა საჭიროა მისი შესწავლა და გამოკვლევა, რაც დაევალა ს. ანდრონიკაშვილს.

უკვე საღამოვდებოდა, როცა მივედით იქაური გლეხის გრიგოლ ვეკუას ოჯახში დასასვენებლად. როგორი გულადი უნდა იყვეს კაცი, რომ ამ უდაბურ ტყეში იცხოვროს. გარშემო არც ერთი მოსახლე. ეზო და კარი კი იშვიათი მზრუნველობით არის მოვლილი. ყველაზე უფრო საინტერესოა თვითონ მასპინძელი გრიგოლ ვეკუა, თავის ჩაბალახში და ცოტა შემოხეულ ძველ ჩოხაში. ეს-ეს არის დაბრუნებულა სამუშაოდან, ეს არის უიარაღოს, მამლუკის ხვიჩას მამა, — ასეთ ტიპს კიდევ შეხვდებით მწერლობაში, სამაგიეროდ მხატვრობას არ შეუნახავს ეს სახე, თუმცა სწორედ მხატვრობისათვის არის გაჩენილი: რამდენი ძალა და ახოვნებაა ამ ფიგურაში, მის მიხრა-მოხრასა და საუბარში, თან გადმოუცემელი თავაზიანობა და სისადავე. ჩვენი თანამგზავრები სულ მოიხიბლნენ ამ იშვიათი მოხუცით. ასეთი ხალხი აშენებდა წინათ რუხის ციხეს და ებრძოდა უწყალო თათრებს, ბატონებისაგან გაყიდული მონების დასატოვებლად. ასეთი მეგრელი ანატოლიის ბაზარზე ბევრი გაყიდულა წინათ, ახლა კი მშვიდად ცხოვრობს თავის სახლში და გვესაუბრება გეგმებზე.

— მუშაობა ძალიანი ვიცით, — ამბობს გრიგოლი და ან ვის დააეჭვებს მისი შრომის უნარი.

ზუგდიდში თავი მოუყრიათ ხელმძღვანელ ამხანაგებს და ელიან კომისიის დასკვნას, სიხარულით მიიღეს არხის, გაყვანის დადგენილი ვარიანტი. ამხ. იუსტინე გვასალია ხატავდა იმ სურათს, როცა აშენდება შამგონის ქაღალდის ფაბრიკა, ზუგდიდში გავა წყალსადენი, ჯვარამდე მივა რკინიგზა, ენგურზე აშენდება ელექტროსადგური და მომრავლდება ინდუსტრიული პროლეტარიატი, რომ პარტიას გაუადვილდეს გლეხობაზე ხელმძღვანელობა და რაიონმა მიიღოს სამრეწველო ხასიათი. აღნიშნა აგრეთვე რიონჰესის როლი დასავლეთ საქართველოსთვის, რადგან მის კარგ ამუშავებაზე დამოკიდებულია მომავალი ელსადგურების ბედი.

მე მაგონდება საუბარი რიონჰესის უფროსის მოადგილესთან —

რომ იცოდეთ როგორ მოელის მთელი იმერეთი ჩვენს სადგურს, მაგრამ რომელ ერთს დააკმაყოფილებს ჩვენი სადგური? მალე ისეთი მოთხოვნილება იქნება ელექტროენერგიის, რომ ათი რიონჰესიც საჭირო გახდება. მარტო კოლხიდის პრობლემა რამდენ ენერგიას მოითხოვს ჭაობების ამოსაშრობად, ტექნიკური კულტურების გასაშენებლად, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის და სხვა. ჩვენი ქვეყანა სავსეა ბუნებრივი სიმდიდრით, საჭიროა მხოლოდ შრომა და მასების ინიციატივის გამოყენება. და ჩემ წინ იხატებოდა ახალი ელსადგური ენგურზე, ტყვარჩელის მაღაროები, სვანეთის ტყეები და გამოუყენებელი მადნები.

მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ ამაზე მარტო წერა და ოცნება შემიძლია, მაგრამ წერისთვისაც საჭიროა ტექნიკის დაუფლება და მეხარბება ჩემი თანამგზავრებისა, რომელნიც აშენებენ საბჭოთა საქართველოს და რომელთა ხალასი ენერგია დაუშრეტელია.

ახლა უფრო მიძნელდება გზა უკან — ენგურიდან რიონამდე...“

ეს საოცრად ხატოვანი ნარკვევი მთელი გულითაა დაწერილი, მწერლის მართალი გულით, მწერლისა, რომელმაც ამ წლებში უკვე საბოლოოდ დაუკავშირა თავის მართალი სიტყვა საბჭოთა საქართველოს.

როგორც ვთქვით, ინდუსტრიული საქართველოს ერთ-ერთმა გამოჩენილმა ორგანიზატორმა ვლადიმერ ჯიქიამ მშენებელთა უანგარო სიყვარული დაიმსახურა. იგი იყო ნამდვილი ბატონ-პატრონი და მკაცრი მეთაური რიონჰესელებისა. მას პატაკებს უდგენდნენ ცეკას მდივნების დარად. „პატაკი“:

„საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს...

რიონჰესის მშენებლობის უფროსს ამხ. ვ. ჯიქიას

ლენინის პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, სოციალისტური ფორმების — სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლით, ქარხანა „მასტიაუარტის“ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა ამიერკავკასიის ელექტროფიკაციის ფრონტზე, რიონჰესის საწნეო მილსადენის მონტაჟის დამთავრებით მოიპოვა უდიდესი გამარჯვება. მილსადენი შესდგება ოთხი ლითონის მთლიანად შედუღებული მილისაგან, რომლის სიგრძეა 212 მეტრი და დიამეტრი — 2,6 მეტრი მილსადენს თავისი ზომით და კონსტრუქციით პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში.

სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი ბელორუსოვი.
სამუშაოთა მწარმოებელი სტარისინი“. (გაზ. „რიონჰესის დამკვრელი“, 14 იანვარი, 1933 წ. №20).

„...ამხანაგ ვლადიმერ ჯიქიამ მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ „მთავარენერგომ“ რიონჰესის წლიური ანგარიში სცნო სავსებით დამაკმა-

ყოფილებლად. „მთავარენერგომ“ აღნიშნა აგრეთვე რიონჰესის უდიდესი მიღწევა. რაც მდგომარეობს სამი აგრეგატი გაშვებაში და ენერგიის მიწოდებაში ზესტაფონსა, ფერომარგანეცისა და სურამის უღელტეხილისათვის“ (გაზეთ „მუშა და კოლმეურნე“, №89, 1933 წ.).

ვლადიმერ ჯიქიამ არ დაიშურა არც ძალა და არც ორგანიზატორული ნიჭი, რათა მესამედ დათქმულ ვადაში დაემთავრებინა რიონჰესის მშენებლობა, 14 მაისს ის დეპეშას უგზავნის კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორს და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს: „29 აპრილს თქვენი ქარხნიდან გამოგზავნილი 20 ვაგონი ცემენტიდან 6 მაისს მიეიღეთ მხოლოდ 9 ვაგონი. დანარჩენი ვაგონები მოქცეულია ზესტაფონისა და ხაშურის სადგურების ჩიხში. ასეთი მდგომარეობა საფრთხეს უმზადებს ჩვენს მუშაობას. მოვითხოვთ თქვენგან აქტიურ დახმარებას“ ერთი პირი დეპეშისა გაზეთ „კომუნისტს“ გაუგზავნა და დაიბეჭდა კიდეც 14 მაისის ნომერში, (1933 წ. №109). ვლადიმერ ჯიქია ისეთი კაცი იყო, რომელიც არავის არაფერს შეარჩენდა, — პრინციპული და შეუვალი—პასუხისმგებლობის ასრულებაში და ამასავე მოითხოვდა სხვებისაგან. დიდი ავტორიტეტი და დიდი სახელიც ამ გზით მოიპოვა.

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ვლ. ჯიქიას საიუბილეო წერილი, სათაურით „საქართველოს ელექტროფიკაციის გიგანტის — რიონჰესის მშენებლობა დამთავრდა. რიონჰესი გამოცდის წინ“: „ჰიდროსადგურის ელექტროენერგიის მომხმარებლებს, რომელთა საჭიროებითაც ეკონომიურად იქნა დასაბუთებული ჰიდროსადგურის მშენებლობა, წარმოადგენენ: ჭიათურის სამთამადნო მრეწველობა, მარელისის ავეჯის ფაბრიკა, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, ქალალდის ფაბრიკა მდინარე ენგურზე, მაუდის ფაბრიკა და ბარიტის წისქვილი ქუთაისში, იმ ქალაქებისა და სოფლების განათების დატვირთვა, რომლებიც მდებარეობენ ამიერკავკასიის რკინიგზების წევის ქვესადგურების რაიონში: გორი, ხაშური, ზესტაფონი და სხვა. როგორც ვხედავთ თავისი დატვირთვის მხრივ რიონჰესი წარმოადგენს უაღრესად საპასუხისმგებლო ჰიდროსადგურს და ამიტომ მისი მუშაობის უმნიშვნელო შეფერხებაც კი დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას. ამიტომ, გამოცდა უნდა ჩატარდეს ზედმიწევნით ზუსტად და საფუძვლიანად იქნას გამოსწორებული ყველა ის დეფექტი, რომლებიც აღმოჩენილი იქნება, რათა სამრეწველო დენის გაშვების შემდეგ არ ექნეს ადგილი არასასიამოვნო შემთხვევებს. ამჟამად საალმშენებლო და სამონტაჟო მუშაობა იძლევა შემდეგ სურათს: სავსებით დამთავრებულია კაშხალი, სამივე გვირაბი, საწნეო აუზი, ორი საწნეო მილგაყვანილობა, საგენერატორო სადგური და წყალსაგდები არხი. პირველი ორი აგრეგატის

დამუშავებასთან დაკავშირებული სამონტაჟო სამუშაოები დამთავრდება 25 ივნისისათვის.

14 ივლისს დაიწყება წყლის აწევა, კაშხალიდან ორ-სამ დღეს იწარმოებს კაშხალის მექანიზმების და წყლის ამწევი ნაგებობათა გამოცდა. წყალი გაშვებული იქნება თანდათანობით. დაწყებული ერთი კუბამეტრიდან დამთავრებული 6 კბ. მ. წამში. წყალი ჩაშვებული იქნება წყალსაგდებ არხში და შემდეგ მდინარე ყვირილაში. ამის შემდეგ დაიწყება ტურბინების გამოცდა, რასაც დასჭირდება ხუთი დღე. დაახლოებით 15 აგვისტოსათვის შეიძლება ჭვესადგურის დაყენება ძაბვის ქვეშ, და თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, 20 აგვისტოს შესაძლებელი იქნება პირველი დენის გაშვება აგრეგატიდან, ხოლო აგვისტოს დამდეგს მეორე აგრეგატიდანაც გაიშვება დენი. თითოეული აგრეგატის სიმძლავრე უდრის 17 ათას ხუთას ცხ. ძალას. სულ ორივე აგრეგატიდან მრეწველობა მიიღებს 35 ათას ცხ. ძალის ელექტროენერგიას.

რიონჰესის მშენებლობის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მუშები ნაგებობათა გამოცდის დროს გამოიჩენენ ენერგიის, შრომის უნარის და დისციპლინის მაქსიმუმს, რომ ღირსეულად შეასრულონ მათთვის დაკისრებული მეტად ძნელი ამოცანა. რადგან ამ გამოცდებზეა დამოკიდებული რიონჰესის რეგულარული და შეუფერხებელი მუშაობა“ რიონჰესის სამუშაოთა უფროსი ვ. ჯიქია (კომუნისტის“ 12 ივლისი, 1933 წ.).

რიონჰესელებმა სამუშაოთა უფროსის ეს წერილი როგორც პროკლამაცია ისე გაავრცელეს მთელს უბნებში და დაიწყო რიონჰესის ამუშავების მოლოდინისა და გამარჯვების რომანტიკით წინასწარ განათებული დღეები. რიონჰესის ხელმძღვანელებმა მოქმედებაში მოიყვანეს ყველა შესაძლებლობა. „კომუნისტის“ იმავე გვერდზე, სადაც ჯიქიას ეს საპროგრამო წერილი იყო მოთავსებული, დაიბეჭდა ტიციან ტაბიძის წერილი სათაურით „ზაჰესიდან რიონჰესამდე“:

„რიონჰესი — მეორე დიდი ელექტროსადგურია საქართველოში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენდა. საბჭოთა საქართველოს ძლიერი შეტევა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მცხეთასთან დაიწყო, როდესაც ერთ დღეს თბილისიდან გავიდნენ პასუხისმგებელი ამხანაგები და პირველი ბარი დაჰკრეს იქ, სადაც მომავალი ზაჰესი უნდა აშენებულიყო. ეს ლაშქრობა ორმაგ ბრძოლას იწვევდა. ამ მებრძოლ რაზმს სჭეროდა თავისი გამარჯვება, ბლომად იყო ხალხი, რომელიც არ ცნობდა საქმეს და გულგრილად უცქეროდა ამ ამბავს. ზოგმა იცოდა და შეიძლება კიდეც სჭეროდა, რომ ბოლშევიკები აქაც გაიმარჯვებდნენ, მაგრამ მაინც ირონიას არ მალავდა, გულს უტეხდა მოქალაქეებს, ამუშავებდა შინაურ ემიგრაციას. მხოლოდ გარეული ემიგრაცია არ მალავდა თავის მტრულ განწყობილებას და სასაცილოდ

იღებდა ზაჰესის მშენებლობას და მის შემოქმედ ლირიკოსებს: — ჯერ ერთი ვერავითარ ელექტროსადგურს ვერ ააშენებენ და მეორეც, თუნდაც ააშენონ, რად უნდათ, რაზე მოიხმარენო. მაგრამ თანდათან აკლდებოდა დაჯერების უნარი მტრებს, აშენდა ზაჰესი, რამდენიმე ხნის შემდეგ მის ბაზაზე ისე განვითარდა მრეწველობა, რომ ვერავითარი ანტისაბჭოთა აგიტაცია ამას ვერ დამალავს. უველა მოჭალაქემ იცის დღეს როგორ არის დაძაბული და გადატვირთული ავჭალის ელექტროსადგური, ამიტომ ის ასე გამძაფრებით მოელის რიონის ენერგიას. 1927 წლის ზაფხულზე, როცა ზაჰესის საზეიმო გახსნა იყო, ჩაეყარა საფუძველი რიონჰესს. პირველი სადგურის გახსნა დიდი ზეიმით იყო მოწყობილი და სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ბლომად იყვნენ ჩამოსული სტუმრები. ერთი ჩემი ნაცნობი ნიჭიერი და ცნობილი მწერალიც იყო დამსწრეთა შორის. ის რიონჰესის საფუძვლის ჩაყრასაც დაესწრო. არ მალავდა თავის განწყობილებას, მას რიონჰესი ზედმეტად ეჩვენებოდა და ეს აზრი არ იყო მარტო მისი აზრი. რად უნდა ამოდენა სადგური ქუთაისს. ირგვლივ მხოლოდ სოფლები არტყია ამ ქალაქს და ქუთაისსაც ქალაქი პირობითად თუ ეწოდებაო... ჩემს ნაცნობ სკეპტიკოს მწერალს მინდა მოვაგონო, ქუთაისს რომ გარშემო სოფლები ახლავს, დღეს ამ სოფლებსაც სჭირდება ელექტრონი. სოფლის განვითარების რეკონსტრუქცია უველაზე უფრო საგრძნობი წარმატებაა, რომელსაც მხოლოდ ჩემი ნაცნობი არ ელოდა და მას წარმოდგენაც არ ჰქონდა მაშინ კოლხიდის ამოშრობის შესახებ, რაც ეხლა ასე რეალურად დგას. რა საფუძვლიანად სცვლის იმერეთის ეკონომიკას ელექტროობა. რიონჰესი ზაჰესთან შედარებით არის მეორე ეტაპი. მეორეს მესამე მოჰყვება. რიონჰესის ეკონომიურ მშენებლობას თან ახლავს კადრების მომზადება. თუ ზაჰესს კანკალით შეუყურებდნენ მუშებიცა და ინჟინრებიც, რომელთაც არ ჰქონდათ გამოცდილება, რიონჰესელებმა აამაღლეს მათი კვალიფიკაცია და სრულიად ახალი კადრები შეიქმნა...“

20 ივლისს ჯიქია გაზეთ „კომუნისტს“ ატყობინებდა: „დაიწყო რიონჰესის პირველი ტურბინისა და საწნეო მილსადენის ზედმეტი წყლის ორივე წყალსაშვის გამოცდა. პირველი შედეგები საუცხოოა... მექანიზმების გამოცდა წარმატებით ჩატარდა, გამოცდას ხელმძღვანელობდნენ რიონჰესის ტექნიკური განყოფილების გამგე ინჟინერი დ. ხერხეულიძე და საპროექტო განყოფილების გამგე ინჟინერი ერისთავი. გამოცდას დასჭირდება სამი-ოთხი დღე. შემდეგ წყალი გაშვებული იქნება არხში საწნეო არხსადენის ასავსებად და გამოსაცდელად“...

19 სექტემბერს ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომაზე მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამიერკავკასიაში ბესო ჭიჭინაძემ გააკეთა საინფორმაციო მოხსენება რიონჰესის ამუშავებისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა მსვლელობის შესახებ. „რიონჰესის ორივე აგრეგატის მონტაჟი დამთავრებულია. ახლა

ხდება მათი გამოცდა. ამასთან გამოცდას უშუალოდ აწარმოებენ ქარხნების — ლენინგრადის „ელექტროხელას“ და მოსკოვის ელექტრო-ქარხნის პასუხისმგებელი წარმომადგენლები, აგრეთვე ენერგეტიკის მთავარი სამმართველოდან სპეციალურად გამოგზავნილი ჰიდროელექ-ტროსადგურების რაციონალიზაციის განყოფილების ბრიგადა, რომელ-მაც უნდა შეამოწმოს ელექტრული ნაწილის გამართულობა და შე-ერთების სისწორე“.

...25 სექტემბერს ქუთაისში ჩავიდა ამიერკავკასიის ენერგეტიკული სამმართველოს უფროსი ბესო ჭიჭინაძე, რათა ადგილზე დასწრებოდა და ჯიქიასთან ერთად ეხელმძღვანელა სადგურის მზადყოფნისა და დენის მიწოდებაზე სურამის უღელტეხილსა და ყველა ქვესადგურე-ბისათვის, რიონჰესიდან კასპის ცემენტის ქარხნის ქვესადგურამდე.

რიონჰესის ყველა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამოცდამ საუკე-ბით დამაკმაყოფილებლად ჩაიარა.

— რიონჰესმა მოგვცა პირველი სამრეწველო დენი, ელექტრომა-ვალი პირველად მიდის რიონჰესის დენით, — თქვა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ბესო ჭიჭინაძემ და ლენტი გადაჭრა...

— რიონჰესი შეემატა საბჭოთა კავშირის მომუშავე ჰიდროსადგუ-რების რიცხვს, — განაცხადა თავის მხრივ მშენებლობის უფროსმა ვლადიმერ ჯიქიამ.

ასრულდა დიდი ხნის მოლოდინი, რიონჰესი ამუშავდა. ეს იყო პირველი ზეიმი, ზაჰესის შემდეგ რიონჰესის პირველი ორი აგრეგატის მშენებლობის დამთავრებით გამოწვეული, მაგრამ წინ იყო კიდევ ერთი წელიწადი, ვიდრე 1934 წლის 30 ივლისს შედგებოდა რიონჰესის სა-ბოლოო გახსნის ზეიმი.

ქმნა მართლისა...

ჩემს სახლთან ახლოს ერთი პატარა ბაღია. ყოველ საღამოს მე ამ ბაღის სტუმარიც ვარ და მასპინძელიც. ვის არ შეხვდებით აქ, ჩემი უბნიდან თუ სხვა უბნიდან მოსულს, ნაცნობს თუ უცნობს, კაცს თუ ქალს. უფრო მეტად ბავშვები და მოხუცები მოდიან. ზოგი აქეთ გამოგეცნაურება, ზოგსაც შენ გაეცნობი, გამოგესაუბრება, გაესაუბრები.

ამ ზაფხულს ძალზე ბევრი მსურველი მოეძალა ამ ერთი ხელისდადება ბაღს. აუტანელმა პაპანაქებამ სახლებიდან გამორეკა ხალხი. თბილისურ ქუჩებში გავარვარებული ასფალტისაგან სუნთქვაშეკრულ ადამიანებს მოეჩქარებოდათ აქეთ. რამდენიმე წუთში სულს მოითქვამდნენ ხოლმე. თუ ამ ხალხმრავლობაში დასაჯდომ ადგილს იპოვნიდნენ, მაშინ ხომ ნეტარება იყო.

ერთი ამორჩეული ადგილი მქონდა ბაღის შადრევნის წინ. იმ საღამოს გვიან გავედი სასეირნოდ. ის ჩემად მიჩნეული სკამი ცარიელი დამხვდა და მეც სიამოვნებით მოვკალათდი. ნებივრად ვეზივარ ამ გრძელ სკამზე და ყურს ვუგდებ შადრევნის საამურ შხუილს. გავერთე იმ იდილიაში. როდის-როდის მივიხედე და გვერდით თავმოტვლეპილი, წვერმოშვებული ხანში შესული კაცი შევნიშნე — არ გამიგია, როდის ჩამოჯდა იგი ჩემს სკამზე. შეეხედე თუ არა, ერთბაშად მომესალმა და ძველი ნაცნობივით გამიბა საუბარი.

— მე, მეგობარო, საბურთალოში ვცხოვრობ, მაგრამ ამ ბაღის ერთ-ერთი სტუმარი ვარ. შევეჩვიე აქაურობას, ორი რამ მიყვარს აქ: ბავშვების გაუთავებელი ჟრიამული და ხეების გაბმული შრიალი, — აქ შეჩერდა, თითქოს მამოწმებდა. მისმენს თუ არაო და ახლა სულ სხვა ხმაზე განაგრძო: — ჩემი ტრფიალი, გითხრათ სიმართლე, ბავშვები და წიგნები იყო, მერე ისე მოეწყო ჩემი ცხოვრება, რომ მთელი ოცი წელიწადი ხეს ველოლიავებოდი. ხე-ტყეს, ჩემო კარგო, ბევრი მტერ-მოყვარე ჰყავს, მაგრამ უფრო მეტი — მოჭრილ ხეს — აქ ისევ შეჩერდა, — არეულად ვყვები არა? — პასუხს არ დალოდებია, ისე მოსწრა.— თავიდან დავიწყებ:

— სვანეთში ვიყავი მასწავლებლად, მთელ მსოფლიოში ზღაპრად გასული სვანეთი ბავშვობიდანვე ოცნებად მქონდა გადაქცეული. და აი, უმაღლესი დავამთავრე თუ არა, იქაურობას მივაშურე. მთელი არსებით შევიყვარე სვანეთი და სვანებმაც გული გამიღეს, სულ მალე სახელიც მოვიპოვე. იმ წელს პირველი რიგის გზებით გაყვანაც მოთავდა და

სვანეთს ფილიპე მახარაძე ესტუმრა. საზეიმო მიტინგზე მეც გამომიყვანეს, ჩემი სიტყვა მოეწონათ. წამოსვლის წინ ფილიპემ დამიბარა და მამაშვილურად დამარიგა: ცოტა ხანს კიდევ დარჩი აქ, ახლა სვანეთში შენისთანა ადამიანები გვჭირდებაო. მე უცბად მოვჭერი: აქედან ფეხის მომცელელი არა ვარ-მეთქი. გაეხარდა, და მაგრად ჩამომართვა ხელი.

მართლაც არ ვიყავი იქიდან წამომსვლელი, ომს რომ არ მოეშალა ჩემთვის ის ბუდე. მთებზე უზომოდ შეყვარებულს ამ მთების შვილი, სვანი ბორენა შემიყვარდა. მე იგი მითების პირმშოს დალის მივამგვანე და მასთან ერთად სვანეთის მთებში ცხოვრება გადავწყვიტე. ცხადში თუ სიზმარში ახლაც თვალწინ მიდგას მისი მზისფერი სახე, მხრებზე ჩამოშლილი ოქროსფერი ნაწნავები.

სვანეთის გრძელი ზამთარი მიილია და ერთბაშად დათბა მთებში. ბუნება აფოფინდა, გარშემო სიცოცხლე გუგუნებდა, სკოლის ეზოდან ერთად გამოვედით. ბორენას მარწყვის ფერი დაწინწკლული-დაჩითული კაბა ეცვა. ორღობეებში თეთრი პეპლების გუნდი გამოგვედევნა, ბორენას თმებზე, წამწამებზე, მხრებზე ასხდებოდნენ, რაღაცას ეპუტუნებოდნენ. უცბად შეჩერდა. შევხედე და გავოცდი. თეთრულდის ქურციკივით მის უზაკველ სათნოებით სავსე თვალებს უსაზღვრო სევდის შუქი დაფენოდა და მაინც ამ საოცრად სევდით სავსე თვალებიდან ჩაუქრობელი სიცოცხლისა და სიყვარულის გამონაშუქი გონებას მირევდა და ზეცაში მიმაფრენდა. ზეცა კი ისეთი აუმღერეველი და კრიალა იყო ვით ბორენას თვალები. სულით გულამდე შემძრა სიამაყემ, რომელიც ჩემს არსებას დაეუფლა. რწმენის მადლით ამევსო სული და ჩემზე ბედნიერი კაცი იმ წუთში არავინ მეგულებოდა. დიახ, სიყვარული აგვამაღლებს და ბედნიერებასთან გვაახლოებს თურმე, მაგრამ სიყვარულს ეჭვის მატლი თუ გაუჩნდა მერე მორჩა, ადამიანი რწმენადაკარგული არაფრის მაქნისია ამ ქვეყნად. მე მწამდა და მჯეროდა ბორენასი, ვგრძნობდი, მასაც რომ სჯეროდა ჩემი და ასე შეუდგა ჩემს სულს სიამაყის გრძნობა. თუმცა ჩვენ სიყვარული ერთმანეთისთვის არ შეგვიფიცია, მაგრამ სიტყვითაც გვესმოდა სიყვარულით ნაკურთხი ჩვენი გულის ნადები. დიახ, შიყვარდა მე ის მთელის გატაცებით და ასე მეგონა მასაც ასე თავდავიწყებით უყვარდი. მე იმდენი რომანი წამიკითხავს ბედდამწვარ შეყვარებულებზე, ცხოვრების წიგნი ისე ზედმიწევნით შემისწავლია, რომ ჩემი გუმანი შემცდარი მეგონა. მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები ბევრი რამ არა მცოდნია რა. ბორენა რთული არსება აღმოჩნდა ვიდრე მე მეგონა. თუ შეგიყვარდა ქალი, ეცადე რომ ერთბაშად არ გასცე შენი თავი. ამ ვითარებაში რაც უფრო გულგრილი იქნები მით უფრო მეტ გახელებას გამოიწვევ ქალში. მე კი მის სიყვარულს ერთბაშად მონად გავუხდი. თვალებში შევციცინებდი. ის

კი ჩემს მიძალებას თავშეკავებით უპასუხებდა, თან მუდამ ორაზროვანი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ეს ღიმილი მახელებდა, უფრო მიზიდავდა...

სწორედ ამ დროს ომი დაიწყო. მეორე დღესვე გამიწვიეს ლომივით ვიბრძოდი, ომის მალე დამთავრებაზე ვოცნებობდი, რადგან შინ ბორენა მეგულებოდა. მაგრამ ხომ გაგიგონია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ჰოდა, ის ჩემი სიყვარულის ღმერთი, როცა ფიცს ჩემსას გარინდებული ისმენდა და ტუჩებზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა. თურმე, სხვაზე ფიქრობდა. ის ღიმილიც სხვას ეკუთვნოდა— აკვნიდანვე მასზე დანიშნულ სვანს, მურზაყანს... სწორედ ომიდან ჩემზე ადრე შინ დაბრუნებულ მურზაყანს შეერთო ცოლად ჩემი ბორენა...

ეს თავზარდამცემი ამბავი ზუგდიდში დამახვედრეს. იქ ორი დღე დავრჩი, გადაბმულად ვსვამდი, უზომოდ მთვრალს ტირილი ამივარდებოდა ხოლმე. ვტიროდი ჩემს თავს, დაკარგულ სიყვარულს. მე მაშინ მივხვდი ვეფხვთან მეომარი უშიშარი ტარიელი რომ ტიროდა წყლისა პირსა რამდენად მართალი ყოფილა თურმე. ადრე კი ასე მეგონა, ტირილი რა ვაჟკაცის საქმეა, ტარიელი რა ვაჟკაცია, დიაცივით რომ ტირის მეთქი, სირცხვილი მეგონა ვაჟკაცისაგან ტირილი, მაგრამ არა, ტირილი მოზღვავებული გულმართალ გრძნობას სცოდნია თურმე, გულწრფელ სიყვარულს დიახაც, რომ ტირილი შეშვენის. ტირილი სიყვარულისაგან გულდაკოდილთა მალამოა თურმე.

გამოვიტირე მეგობრის სახლში ბორენას სიყვარული და თბილისს მოვაშურე. გადავწყვიტე, სხვა რესპუბლიკაში წავსულიყავი და იქ თავიდან დამეწყო ცხოვრება, მაგრამ იმ დღეს რუსთაველის პროსპექტზე ჩემი თანაკურსელი მიხა გაჩეჩილაძე შემხვდა. გადამკოცნა, მომიკითხა, ომიდან დაბრუნება მომილოცა. იქვე სარდაფში შემიპატიჟა. ვსვამდით და ვყვებოდით ცისა და ბარისას. მერე უცბად მომიბრუნდა და მკითხა ცოლი თუ შეირთეო. მოვუყევი რაც გადამხდა. დამამშვიდა და მკითხა, ახლა რას ფიქრობ, სად აპირებ მუშაობის დაწყებასო. თვითონვე შემომთავაზა, ჩემთან წამოდიო. ის, თუ გახსოვთ ნავთლუღში სახერხი ქარხნების გაერთიანების ტრესტი რომ იყო, იმ ტრესტის მმართველი გახლდათ. მეორე დღესვე დამნიშნეს ერთ-ერთი სახერხი ქარხნის დირექტორად. მერე ვინ არ მომადგა — ნაცნობი თუ უცნობი, ზოგი სახლს აშენებდა თბილისში, ზოგი — აგარაკს წყნეთში. სიმართლე გითხრათ, მაშინ ხე-ტყის მასალას ბლომად ვიღებდი და რაც შემეძლო, ყველას პატიოსნად ხელს ვუწვდიდი, მაგრამ ბოლოს რომ დავაკვირდი, თვითონ ვერ გავარკვიე ვის რა მიჰქონდა, ვისი განკარგულებით მიჰქონდა. ვერ მოგატყუებთ, სულ მალე ჩამითრიეს, დიახ, ჩამითრიეს... აქ მცირე ხნით შეჩერდა. მერე გონს მოეგო და ისევ დაიჩემა: — ჰო, ჩამითრიეს, ჯერ დამპატიჟებდნენ სადმე, მერე უზომო

მთვრალს შინ რომ მოვდიოდი, ხან ერთ ჯიბეში აღმომაჩნდებოდა ფული, ხან მეორეში. გამოფხიზლებული ვბუზღუნებდი. სამსახურში დაბრუნებული ვიღაცას ვემდუროდი, ვეძებდი გასაკიცხად. მაგრამ მერე შევეჩვიე. მიმქონდა ეს ოხრად ნაშოვნი ფული და ვინახავდი.

დამავიწყდა რომ მეთქვა, ომიდან რომ დავბრუნდი, არავინ დამხვდა ცოცხალი — მოხუცი მშობლები გარდაცვლილიყვნენ. უმცროსი ძმა ომში დაკარგულიყო. მამისეული ბინა გამოკეტილი დამხვდა. ამას ჩემი სიყვარულში გაწბილება დაემატა და საოცრად შევიცვალე... ჰოდა, ოხრად ნაშოვნ ფულს ოხრადვე ვხარჯავდი. სამუშაოს შემდეგ ერთ შეჩვეულ სარდაფში მივდიოდი ხან მარტო, ხან სხვებთან ერთად, გამოვთვრებოდი, მერე მოვდიოდი შინ, ხშირად გაუხდელი დავეგდებოდი ლოგინზე და მივტიროდი ჩემ დაკარგულ სიყვარულს. მეორე დღეს ისევ მოვიდოდი სამსახურში. იქ ისევ ათასი ჯურის კაცი მხვდებოდა — ხარი ხართან დააბი ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. მეც ფერი ვიცვალე და შევეჩვიე ჩემს სევდით გასივებულ გულსაც და არმად ნაშოვ ფულსაც.

ერთსაც გეტყვით, ბევრ ფულს კაცის გათამამება სცოდნია, თურმე. მე ყოველდღე მიპატიჟებული ვიყავ და ბევრ ისეთ კაცსა და ქალსაც დავუახლოვდი, რომელთა სახელის წარმოთქმასაც რიდით ვეკიდებოდი ადრე. ახლა კი არად ვაგდებდი ამ დიდკაცებს. რომ გაიგეს უცოლო ვიყავი, ვინ არ მომეძალა, ვინ არ დამიდგა შუამავლად, მაგრამ მე, ბორენასაგან უარყოფილს, სხვა ქალი არ მინდოდა. მისგან გულდამეხილმა გულითვე დავწყეველე ქალის მოდგმა და არც არასოდეს მიფიქრია ცოლის შერთვაზე. ასე მიჰქონდა ქარს ჩემი ცხოვრების დღეები. ჩემს ფულიან ადგილს ათასი მოშურნე და დუშმანი გამოუჩნდა...

იყიდებოდა ადგილი და სკამი, ძმობა და მეგობრობა. თურმე, ახლაც ბევრი ოხერი ყიდულობს და ჰყიდის ადგილს. ყველაზე ადრე სწორედ ისინი გადამიდგნენ, ვინც ყველაზე მეტად ძმობასა და მეგობრობას მეფიცებოდა. ჯერ რევიზია გამომიგზავნეს და ამ გზით სცადეს ჩემი თავიდან მოშორება, მაგრამ მე ისევ ფულით მოვიგერიე ეს მოგზავნილი რევიზორები. ამასობაში სამოცი წლისა მოვიყარე. მერე ეს ჩემი სამოცი წელი მოიმიზეზეს და პენსიაზე გამიშვეს. ვარ ახლა ჩემთვის გამოკეტილი იმ ჩემს ბინაში მარტო, უცოლო. უჯეო და უპატრონო.

ზოგი ჭირი მარგებელიაო — ეზივარ ახლა და ძალიან ბევრს ვკითხულობ, ამან თითქოს განწმინდა სული ჩემი და ჭირის დღესავით შემჯავრდნენ ამ ბნელი საქმისმკეთებელი საქმოსნები. დიახ, წიგნს დიდი ძალა ჰქონია, სულის განწმენდის ძალა. მეც მთელი დღე ვკითხულობ, მერე მივუჯდები ტელევიზორს და ვუსმენ სულგანაბული. ეს კია გულსატკენი, წიგნს წაიკითხავ თუ გაზეთს, ტელევიზორს მოუსმენ თუ რადიოს, ყველგან და ყველასაგან ერთ ყველაზე დიდ სატკივარზეა საუბარი —

მეკრთამეები, საქმოსნები. ბანდიტები, ქურდები სარეველა ბალახივით მომრავლდნენო. ჰო, როგორ შეიცვალნენ ეს ადამიანები, სწორედ რომ არ გამეგონა, ომამდე ეთქვათ, ეს კაცი მეკრთამეაო.

მერე უცბად მომმართა: თქვენ მგონი მწერალი ბრძანდებით, არა?— ჰოდა, მეც ძალიან მიყვარს მწერლობა, ახლა მაინც თუ სადმე გაიგონებთ სიმართლეს ყველაზე მეტად ეს სიმართლე მწერლის ბაგეს თუ წამოსცდება, თუ დააკვირდით. ამ ბოლო წლებში ძალიან ეტანება ჩვენი ხალხი ლიტერატურას. წიგნებს არასოდეს ჰყოლია ამდენი მკითხველი და დამფასებელი. ჩემი აზრით, ეს დაიმსახურა ქართულმა მწერლობამ წარსულში და დღესაც. აი, აიღეთ ეს ჩვენი პაწაწინა ბაღი, ან სხვაგან თავშეყრილთ მოუსმინეთ — მეტწილად წიგნზე კამათობენ. კარგ წიგნს, კარგ ჟურნალს არც ერთი კაცი არ სტოვებს წაუკითხავად. მერე არის კამათი და შეხლა-შემოხლა ამ წაკითხული წიგნის გარშემო. ეს განსაკუთრებული სიყვარული მწერლებსაც ბევრ რამეს ავალებს. არა ვარ მართალი? — ჩაჯინებით ჩამეკითხა მოსაუბრე. მართალი ბრძანდებით-მეთქი დავუდასტურე. ამით გათამამებულმა ისევ გააგრძელა:

— ისე, მართალი რომ გითხრა, ყველა მწერალს როდი უყვარს ჩემისთანების აზრი. ეს მე აქ ბაღში გავიგონე. ერთი მწერალი, ხმამაღლა ჰკიცხავდა აქ პენსიონერი გივი დადის იმას — ჩვენი საქმე მაშინ წავიდა ხელიდან, როდესაც თქვენისთანა მდაბიონი წყვეტენ წიგნის ავ-კარგობასო, ნამდვილი წიგნისა შენ რა იცი, უტევდა იმ პატიოსან კაცს... რატომ, მეგობარო, რატომ არ იცის ვითომ, ერთი კი არა ორი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული იმ პენსიონერს, ორმოცდაათი წელი უმწიკვლოდ ემსახურა თავის საქმეს, ყოველთვის უყვარდა კითხვა. იცის, ჩემო კარგო, როგორ არ იცის. ჰოდა, არ იყო ის მწერალი მართალი, როცა შემამჩნია, რომ მე ყურს ვუგდებდი, მეტის აღტკინებით გააგრძელა, მე ჩავერიე იმ კაცთაში.

— არა მე ის ნაწარმოები მიყვარს-მეთქი, — ვამბობდი. — სადაც ყველაფერი გასაგებია. ამბავი, სიტყვა, ფრაზაც რომ ცასავით გამჭირვალეა, დიდი აკაკისეული აზრისა და სტილის სიმართლე მიყვარს-მეთქი. ორაზროვნება, დაბინდული, ღვარძნილი სიტყვა, ისეთი წიგნი, ლექსიკონი რომ სჭირდება, სწორედაც არ მიყვარს და არ მიტაცებს-მეთქი. ის მწერალი ჩემი ნაცნობი იყო, 1951 წელს აგარაკს აშენებდა წყნეთში და ხე-ტყით ვამარაგებდი. ის კი არა, ცოდვა გამხელილი სჯობია, ერთი საბარგო მანქანა რუსეთიდან მოტანილი დახერხილი მასალა ისე გავატანე, ფულიც არ გამომირთმევია, და იცით, რა მითხრა იმ მწერალმა? თავი დაანებე შენ წიგნებზე საუბარს, წიგნის გარჩევა პროფესიონალი კრიტიკოსების საქმეა. შენი საქმე კი საანგარიშო, არშინი და ფულებიაო... დამჩაგრა. უნამუსოდ დამჩაგრა. ჩემისთანა კაცის

დაჩაგვრა ადვილია, შეეამჩნიე, აქ სიტყვა ჩაუწყდა მოსაუბრეს. — ეჰ, ეს ჩემი წარსული კუზივით ზურგზე მკიდია და წარამარა მახსენებს ვისაც მოეპრიანება. იმ ჩემმა მეგობარმა მწერალმაც გამიმეტა, აი რა ცუდია უხეირო წარსული. მაგრამ მე მაინც გავეცი საკადრისი პასუხი. გავბრაზდი და ყველაფერი ვთქვი, ახლა ვნანობ, იქნებ არ უნდა მეთქვა-მეთქი. — ესა თქვა და ისევ ცრემლები მოერია. მე ამით ვისარგებლე და ნელა შევაპარე მოსაუბრეს — არა, ის მწერალი ზოგ რამეში მართალია-მეთქი.

რაშიო, გაბრაზებით მომახალა. მე ისევ დაუყვავე და შევესიტყვე, — იმაში-მეთქი, რომ ეს თქვენი პატარა ოქტომბრელები და პიონერები, ეს ჩვენი კეთილი პენსიონერები და სხვებიც ვისაც მოესურვება ტრიბუნაზე შესკუპდებიან და გამოცდილ მწერლებს ჰკუას ასწავლიან, ცხოვრებას არ იცნობთო, ჩამორჩებითო. აი ჩვენს ქვეყანაში რამდენ რამეს აშენებენ და ეს ყოველივე მწერლობაში არ აისახაო. ვინ იცის, კიდევ რას არ უსაყვედურებენ. იმაში გეთანხმებით, რომ მწერლობას ცხოვრება ბადებს. მერე მწერლობა ხალხს უბრუნებს თავისივე სულის სილამაზეს, დიახ ხალხი ინახავს მწერლობას. მწერლობის მსჯავრის დამდები საბოლოოდ, რასაკვირველია, ხალხია. დიახ, ჩვენ მაღალი მოქალაქეობრივი, მაღალი ზნეობის მწერლობა გვჭირდება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს მწერლობაში ერთფეროვნება ვიქადაგოთ. მწერლობა ისეთივე მრავალფეროვანი უნდა იყოს, როგორც ცხოვრებაა, მწერალი შრომაში უნდა გვამხნევებდეს. ბრძოლაში უნდა გვაქეზებდეს, სიყვარულში გვაფაქიზებდეს, ჭირსა და ლხინში გვერდში გვედგას.

ადამიანი რთული არსებაა. არც ჩვენი ყოფნაა გაბმული ზეიმი. ცხოვრებას ხანდახან მოაქვს მარცხი, გაწბილება, მწუხარება. ამ მდგომარეობას სევდიანი კილო-ჰანგები შეესატყვისება. ეგეც უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე მწერალმა. აბა, დააკვირდით ქართულ ხალხურ მწერლობას: საქმირო, სახოტბო, სამიჯნურო პოეზიის გვერდით რა უძირო სევდიან პოეზიასთან გვაქვს საქმე... მწერლობა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ერთი ფერი და ერთი ტრაფარეტი დამღუპველია. მაგრამ ჩვენ ახლა მწერლობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ შეჭრაზე ვლაპარაკობთ. მაგალითად, როცა მომრავლდებიან ყვარყვარეები, უნდა ვებრძოლოთ, ნიღაბი ავხადოთ, გავაშიშვლოთ ყვარყვარეობა. მხატვრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე გვჭირდება დღეს, ფუთობით, ტონობით სიმართლე, ქმნა მართლისა და მართალი— სიტყვა ტყუპი ძმები არიან. მწერალი წმინდანივით უნდა იყოს, ოღონდ, არა ენებადაცლილი, დიდი ენებების, დიდი ტკივილების გარეშე არ არსებობს დიდი მწერლობა. ნაწარმოები რაც უფრო უშუალოდ ეხმაურება ეპოქის ტკივილებს, მით უფრო მეტ ინტერესს იწვევს

მკითხველში. მერედა, რამდენი რამ გადახდენია ჩემი თაობის კაცს: ომი, შიმშილი, ანთებული რწმენა და იმედი... მერე ამ რწმენის გაბზარვა უხეირო კაცის მეოხებით, მერე ისევ ბრძოლა რწმენის აღდგენისათვის. ამ გზაჯვარედინზე გაჩნდა ჩემის აზრით, მექრთამის ახალი ტიპი. იგი ინტელიგენციასაც შეეხო. ყოველ შემთხვევაში, მაღალი იდეალებით ცხოვრება შეიცვალა უაღრესად მიწიერი, პრაქტიკული ანგარიშით. იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ თუ იმ კაცს არ დაუფასებს, მე რით დამიფასდება ჩემი პატარა ამაგიო. ჰოდა, ზოგმა მოჩვენებით, ზოგმა საჭოთირო ნიღბით იწყო რწმენის შეცვლა პრაქტიკული ანგარიშით. და გაჩნდა რწმენის წინააღმდეგ აღმართული ახალი ფსიქოლოგიური ბარიერი. აღმოვჩნდით დილემის წინაშე: არ დავკარგოთ, რაც წლებით ვაშენეთ, ვაწრთეთ. სულიერი კათარსისია საჭირო. უპირველესად ყოვლისა, მწერლობამ უნდა იზრუნოს, გადაარჩინოს ჩვენი ადამიანები, გაწმინდოს მათი სული ოქროს ჭუჭუყის სენისაგან.

— ძნელი ამოცანაა ეს, ჩემო კარგო, ძნელი, — ჩაილაპარაკა მოსაუბრემ. მე თითქოს არ გამეგონოს მისი შენიშვნა ისე განვაგრძე: — ძნელია, მაგრამ შესაძლებელია. თუ მივუბრუნდებით ჩვენი წინაპრების, დიდი რევოლუციონერების მაგალითს, 20-იან, 30-იან, 40-იან წლებში მაღალი რწმენით, დიდი საზოგადოებრივი მორალით აზავთებული ადამიანების ტრადიციას, ნივთების ბატონობისაგან თავისუფალ ადამიანებს. ჰოდა, უნდა მივუბრუნდეთ ამ უნიკალურ საზოგადოებრივ და სოციალურ ძირებს. დიახ მწერლობამ უნდა იკისროს ეს, მწერლობამ, — არა, აქ მარტო მწერლობა ვერაფერს გახდება. თუმცა, დიდია მისი ძალა, — ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა მოსაუბრემ. რატომ მარტო მწერლობა? — კვლავ დავიბრუნე სიტყვის ძაფი, — მწერლობა უნდა დაეხმაროს იმათ ვინც ამ საქმეს სათავეში უდგას. ვიმეორებ, უმადურობამ შეიძლება დაღუპოს ქვეყანა, რწმენაში ეჭვის შეტანამ გაბზარა ჩვენი ადამიანი. ახლა ცოტას როდი შეხვდები ჩვენს შორის, რომელიც ამტკიცებს თუ დიდი თანამდებობა არა გაქვს ან ბევრი ფული, არავის სჭირდებიო. შიში გიპყრობს, რომ როცა მდგომარეობას დაკარგავ, არავინ მოგაკითხავს, არავინ დაგირეკავს და სულ მარტო დარჩებიო. საშინელია ამის შეცნობა ამის შიშით ადამიანები წინასწარ აგროვებენ დოვლათს, ქონებას, რადგან ამბობენ, რომ ფულიანები არასოდეს კარგავენ ადგილს საზოგადოებაში.

— ამაზე პირდაპირ არავინ არაფერს ამბობს, — ჩაერია საუბარში ჩემი მოსაუბრე. — იწყებ გაზეთებისა და წიგნების კითხვას და იქ ეძებ ამის პასუხს, მაგრამ ამაოდ. ვერსად იპოვით ამის პირდაპირ პასუხს. დიახ, მე ჩემს თავზე ვიწვნიე ყველა სიკეთე და ყველა სიმრუდე, რომელიც თანამდებობასა და თანამდებობის დაკარგვას მოაქვს. მე გადავიტანე საოცარი და მოულოდნელი დარტყმა და მივედი იმ

დასკვნამდე, რომ ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე საზოგადოებას პირად მაგალითს აძლევდნენ და მეთაურობდნენ ქვეყნის საქმეს, ასე უმოწყალოდ არ უნდა დავტოვოთ. დიახ, მარტოობის შიში უბიძგებს ადამიანებს მრუდე საქმისაკენ. ქვეყნის წინაშე პასუხისმგებელი ადამიანები არ უნდა მივატოვოთ ბედის ანაბარად და თუ ჩვენი მაღალი და დაბალი თანამდებობის პიროვნებანი ბოლომდე დარჩებიან იმ რწმენით, რომ თანამდებობის დაკარგვა საზოგადოებაში პიროვნების ადგილის დაკარგვას არ უდრის და დამსახურების სახელი რეალობად დარჩება სამსახურიდან წასვლის შემდეგ. მაშინ ისინი, ჩემის აზრით, სხვანაირად მოიქცევიან. დიახ, რწმენა უნდა დავუბრუნოთ ადამიანებს, ამავე დროს უნდა ავამაღლოთ ადამიანები იმის შეგნებით, რომ სიმდიდრით გატაცებული კაცი უბედურია. თუ საგნები, ნივთები, უბრალო ძონძმანძი, ოქროს ზიზილ-პიპილოები დაეუფლა შენს სულს, შენზე უბედური არავინ არის ამქვეყნად. რადგან ქვეყნად არ შექმნილა ისეთი სიმდიდრე, დრომ და ჟამმა რომ არ გადათქეროს. ყველაზე დიდი განძი შრომითა და ოფლით მოპოვებული სახელია. ზემოხსენებულ ფსიქოლოგიურ ბარიერს მეორე ასპექტიც აქვს: პატიოსანი შრომაა სათავე სულიერი სიმშვიდისა და ოჯახური ბედნიერებისა, საქმოსნობით მოპოვებული ქონება არავის შერჩენია, აკი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო. დიახ, ნაოხარი, მოპარული ფულით მოპოვებული სიმდიდრე წუთიერია და წარმავალი. სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა. აი ამ შეგნებით, რუსთაველის ამ სიბრძნით უნდა აღვზარდოთ ჩვენი ხალხი. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს ქონებასგამოკლებული ადამიანები ფარისეველ თვალთმაქც კაცუნებად იქცევიან. ამ ჭუჭყიან გზაზე ივიწყებენ იდეასაც, მეგობრობასაც, საზოგადოებასაც და საზიზღარი ეგოისტები ხდებიან.

მკითხავთ, ალბათ, ვინ დააწესაო ასეთი ზღვარი, სად იწყება და სად თავდება ასეთი ზღვარი? არის ასეთი ზღვარი. ჩვენთვის ეს ზღვარი ჩვენი შრომით მოპოვებული შესაძლებლობის ზღვარია, ვინც ამ კრიტერიუმებს არღვევს ის მექრთამედ, ქურდად იქცევა, ქურდი კი, რა ჯურისაც უნდა იყოს იგი, ყველაზე საშინელი სახელია. ჭოლა ლომთათიძე წერს: „ქურდი! ქურდი! რა საშინელი დამამცირებელი, სახელია. ქურდი — ეს ადამიანის საზიზღარი ჩირქია, ეს სიკვდილის განაჩენია. ქურდობა ეს ღორობაა, ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყნად და სწორედ იმიტომ, რომ ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყნად ღორობას უნდა ვერიდოთ. ხა! ხა! ხა! ერთხელ მხოლოდ ერთხელ მოხვიდე ამ ქვეყნად და წაიღო ღორის სახელი, ფუ! რა უსინდისობაა“. ჭოლა ლომთათიძე, ეს სპეტაკი რევოლუციონერი მთელი თავისი მოქმედებით, მწერლობით ებრძოდა ქურდებს, ბანდიტებს, მექრთამეებს, ამ

ბურჟუაზიულ შარლატანებს და სწამდა, სჯეროდა, „სოციალისტური საზოგადოება ბოლოს მოუღებს ამ საზიზღრობას“.

ხელმძღვანელის პირადი მაგალითი საზოგადოებაში მორალურ, მატერიალურ, სულიერ ზემოქმედების ძალას იძენს. ხოლო, როცა ეს პირადი მაგალითი მომხვეჭელის სახელით არის შემკული, მაშინ იგი საზოგადოების მორალური გადაგვარების რეალურ ძალად იქცევა. მომხვეჭელობის ჰიანაჰამი გული ვერასოდეს გახდება საზოგადოების მორალური ძალა. სამწუხაროდ, ცოტა როდი აღმოჩნდა ხელმძღვანელი მუშაკი, მომხვეჭელობის ჰიანაჰამი გულით რომ წარმართავდნენ მინდობილ საქმეს. ქვეყანაზე ბოროტი საქმე არასოდეს იმალება, ყველაზე მეტად ხელქვეითებმა იციან ხელმძღვანელობის საიდუმლოებანი და თვითონაც ამ საიდუმლოების მოდელის მიხედვით მოქმედებენ. ცოტას როდი წერენ ჩვენი მწერლები ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. რამდენი ტელეგადაცემა, რადიოდადგმა თუ თეატრების მიერ განხორციელებული სპექტაკლი მიეძღვნა ამ თემას; რამდენი პლენუმის აქტივის კრების ცხარე კამათის საგანია ეს ნეგატიური მოვლენები, ამას მიუხედავად კვლავაც საგანგაშო მდგომარეობაა. მაშ, რასაც ჩვენ ნეგატიური მოვლენა დავარქვით, ნამდვილად მძიმე და საშიში სოციალური ბაცილა ყოფილა. ამ ატმოსფეროში, ბუნებრივია, წვრილფეხა ქურდი, ბაცაცები რომ მომრავლდნენ. ის კი არა, ანეკდოტი დადის: თითქოს რომელიღაც ქალაქში ქურდებს დაუდგენიათ: ყველა ქურქოსანს გახადეთ ქურქი, ნუ მოერიდებით, ისინი ჩვენზე უარესი ქურდები არიანო.

ჩანს, საჭიროა უფრო კატეგორიული, მძაფრი ბრძოლა. უფრო მეტიც: ბრძოლა კი არა, ომი უნდა გამოვუცხადოთ ამ საშინელ სენს. იმ ქვეყანას, რომელიც ჰიტლერის თავით-ფეხებამდე შეიარაღებულ არმიას მოერია, არ გაუჭირდება ამ საშიში ბაცილის მოსპობა. ოღონდ ერთის პირობით, თუ მთელ საბჭოთა კავშირში გამოცხადდება საომარი მდგომარეობა და ვიომებთ ისე გულით, ისე ერთპირად, ისე ერთსულოვნად, როგორც იმ დიდ სამამულო ომში, სადაც წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნა...

შემოდგომა დადგა. ბაღის საღამოები კი ისევ გრძელდება — მშვიდი. საამო პატარა ბაღის საღამოები და მღელვარე პაექრობა რუსთაველის სიბრძნით გაბრწყინებული: „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“...

სარჩევი

მე და ჩემი პროფესორი	3
სიკვდილისა დამთრგუნველი	102
სვეტიცხოვლის ერთი ფიჭალი	109
ეჭიმის ჩანაწერები	121
იყო ერთი კოეტი	130
ადეჭით, სასამართლო მოდისს	193
შემთხვევა სადგურზე	260
მწერალთა კავშირში ერთი სკამია	278
ძაბული	281
„პეტრიწონული წითელი“	294
საუბარი ლანდებთან	325
ცისფერი კომუნარები	389
ქმნა მართლისა	474